შუა საუკუნეების ისტორია

ტომი I

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

გამომცემლობა და სტამბა

1947

„შუა საუკუნეების ისტორია“ შეიცავს დასავლეთ ევროპის, ბიზანტიისა და არაბთა აღმოსავლეთის V—XVII საუკუნეთა ისტორიას და შედგენილია შეფარდებით უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის პროგრამისადმი, რომელიც განკუთვნილია უნივერსიტეტთა ისტორიული ფაკულტეტებისათვის. პირველ ტომში თხრობა მიყვანილია XVI საუკუნემდე; მეორე ტომში მოცემულია XVI—XVII საუკუნეთა ისტორია. წიგნი განკუთვნილია სტუდენტობისათვის, მაგრამ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას საშუალო სკოლის მასწავლებლების მიერ და აგრეთვე თვითგანათლებისათვის.

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

„შუა საუკუნეების ისტორიის“ პირველი გამოცემა საერთოდ დადებითად იქნა შეფასებული ჩვენს პრესაში, მაგრამ კრიტიკამ ამავე დროს აღნიშნა სახელმძღვანელოს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაკლულოვანებანი. ამ მეორე გამოცემის მომზადებისას ავტორები და რედაქტორები ცდილობდნენ, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო, გამოეყენებინათ ყველა ეს კრიტიკული შენიშვნა და აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში ამ სახელმძღვანელოზე ორი წლის მუშაობის საკუთარი გამოცდილება.

სახელმძღვანელოს ამ გამოცემაში შეტანილი ცვლილებები შეეხო როგორც მის სტრუქტურას, ისე მის ტექსტს. I ტომში სტრუქტურულმა ცვლილებებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს ზოგიერთი თავების სხვაგვარ განლაგებაში და XI თავის (ისტორიოგრაფიული) ამოღებაში; ეს თავი ზედმეტი გახდა შუა საუკუნეთა ისტორიოგრაფიის სპეციალურ სახელმძღვანელოს გამოცემის გამო.[1]

ორივე ტომის სტრუქტურულ ცვლილებებს ეკუთვნის, გარდა ამისა, ბიბლიოგრაფიულ საძიებელთა გადმოტანა წიგნის ბოლოდან თვითეული თავის ბოლოში და სახელობითი საძიებლის ამოგდება, ვინაიდან ეს უკანასკნელი ზედმეტია სახელმძღვანელოში, რომლის დანიშნულებას ცნობარის ფუნქციების შესრულება არ წარმოადგენს და რომლითაც სტუდენტები ფაქტიურად არ სარგებლობდნენ.

გაცილებით უფრო არსებითი მნიშვნელობისაა ცვლილებანი, რომლებიც მთელი სახელმძღვანელოს ტექსტს ეხებიან. უწინარეს ყოვლისა, ის თავები, რომლებმაც განსაკუთრებით მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოიწვიეს სპეციალისტების მხრით, სრულიად ახლად დაიწერა (კარი ძველ სლავთა შესახებ, თავები ბიზანტიისა და არაბთა ხალიფატის შესახებ — I ტომში, შესავალი, მეტი წილი თავისა XVI საუკუნის საფრანგეთის შესახებ — II ტომში).

რედაქციას შეგნებული აქვს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი მიძღვნილი თავები (ნაწილობრივ ამათ ეკუთვნის თავი ბიზანტიის შესახებ I ტომში და მთლიანად თავი არაბთა შესახებ), მოთხრობილია ძალიან მოკლედ და ისინი შედარებით ნაკლებ მასალას იძლევიან სამოქალაქო ისტორიის ხაზით; მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ არ გვსურდა გამეორება შუასაუკუ-

---

[1] ო. ლ. ვაინშტეინი, შუა საუკუნეთა ისტორიოგრაფია, „ლენსოცეკგიზ“, 1940.

ნოებრივი აღმოსავლეთის ისტორიის სახელმძღვანელოსი, რომელიც დასაბეჭ-დად მზადდება.

დანარჩენი თავების უმრავლესობა გადამუშავდა, კერძოდ მნიშვნელოვ-ნად შემცირდა, რამაც შესაძლებელი გახადა სახელმძღვანელოს განტვირთვა ზედმეტი დეტალებისაგან. ამავე დროს უმნიშვნელოვანესი მოვლენები და ის-ტორიული ფიგურები უკეთ არიან გაშუქებულნი მასში ახალი მონაცემებისა და დახასიათებების შეტანით, რომლებიც განსაკუთრებით ფართოდ არის გად-მოღებული (მეორე ნაწილში) მარქსის „ქრონოლოგიური ამონაწერებიდან". სამივე ნაწილში საგრძნობლად გაძლიერებულია კულტურის ისტორიის ელე-მენტები. დაბოლოს, ყველგან შესწორებულია შენიშნული სტილისტური და ფაქტიური შეცდომები. უკანასკნელი ეხება აგრეთვე ქრონოლოგიურ ცხრილს. ზოგიერთი ისტორიული რუკა ახლად არის შედგენილი, დანარჩენები გაუმჯობესებული და შესწორებულია.

რედაქცია იმედოვნებს, რომ ყველა აღნიშნული ცვლილებათა შედეგად სახელმძღვანელო უკეთ უპასუხებს თავის ამოცანებს, ვიდრე 1938/39 წელს გამოცემული მისი პირველი ვარიანტი. სახელმძღვანელოს გაუმჯობესებისა-თვის ჩატარებული მუშაობის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენ რომ არ დაგვხმარებოდნენ საბჭოთა კრიტიკა, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავ-ლებლები და ცალკეული სპეციალისტები; ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს მადლობა მივუძღვნათ მათ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დახმარება, რო-მელიც რედაქციას გაუწიეს — აკადემიკოსმა ბ. დ. გრეკოვმა, იმ კარის გადა-თვალიერებით, რომელიც ეხება ძველ სლავებს, პროფ. ნეედლიმ, იმ მასალების გადათვალიერებით, რომელიც ეხება დასავლეთ სლავებს, პროფ. ა. ი. იაკუ-ბოვსკიმ თავისი შენიშვნებით იმ თავისადმი, რომელიც ეხება არაბებს, და პროფ. ლევჩენკომ, რომელმაც ნება დაგვრთო ბიზანტიის შესახები თავის შედგენის დროს გამოგვეყენებინა ძირითადი დასკვნები მისი წიგნისა „ბიზანტიის ისტო-რიის მოკლე მიმოხილვა".

თავების განაწილება ავტორებს შორის I ტომის ამ გამოცემაში არსები-თად არ შეცვლილა. პირველი ნაწილი ძირითადად დაწერილია პროფ. ა. დ. უდალცოვის მიერ, გარდა VII და IX თავებისა, რომლებიც პროფ. ნ. პ. გრა-ციანსკის ეკუთვნის, X და XI თავებისა, რომლებიც დაწერილია პროფ. ო. ლ. ვაინშტეინის მიერ, და XII თავისა, რომლის შედგენა მიენდო პროფ. ბე-ლიაევს. მეორე ნაწილის ავტორი არის პროფ. ე. ა. კოსმინსკი, გარდა XXXI და XXXIII თავებისა, რომლებიც პროფ. ო. ლ. ვაინშტეინს ეკუთვნის.

მოსკოვი, 1940 წ. 5 სექტემბერი.

შესავალი

შუა საუკუნეების საერთო ხასიათი. შუა საუკუნეების დასაწყისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენით აღინიშნება: მონათა რევოლუციების დარტყმათა და ბარბაროსების შესევათა შედეგად დაინგრა მსოფლიო მონათმფლობელური რომის იმპერია. ეს ეპოქა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენით მთავრდება: გლეხთა აჯანყებების შეტევათა გამო, XVII — XVIII საუკუნეების ბურჟუაზიულ რევოლუციათა ცეცხლში დაიმსხვრა ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმი. ამ ორ მსოფლიო ისტორიულ მოვლენათა შუა ძევს ვრცელი ცამეტსაუკუნოვანი პერიოდი, რომელსაც ჩვენ შუა საუკუნეებს ეუწოდებთ.

კაცობრიობის ისტორიის ეს ცამეტი საუკუნე, შეიცავს მდიდარ, ფერადოვან შინაარსს, მრავალფეროვან კლასობრივ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლას, — წინ რომ მიჰყავდა მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარება, — ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფორმათა აღმოცენება და განვითარება.

ამ საუკუნეებს უხილავთ ალარიხისა და ატილას ბარბაროსული ურდოები, „მსოფლიოს მბრძანებელ“ ძველ რომს რომ არბევდნენ; ტომთა და ხალხთა ქაოტური ადგილგადანაცვლება; ახალ სახელმწიფოთა ჩასახვა, რომელთაც შესცვალეს ევროპის, ხოლო ნაწილობრივ თვით აზიისა და აფრიკის პოლიტიკური სახე; ქრისტიანული, განსაკუთრებით კათოლიკური ეკლესიის ძლიერების ზრდა და დრამატული ეპიზოდებით აღსავსე მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა პაპებისა იმპერატორთა წინააღმდეგ; ჯვაროსანთა ლაშქრობანი — ეს, რობერტსონის გამოთქმით, „კაცობრიობის სიგიჟის საუცხოო ძეგლი“, — რომელთაც პირველად დააკავშირეს მჭიდროდ აღმოსავლეთი და დასავლეთი; ფეოდალურ სახელმწიფოთა მრავალრიცხოვანი ომები, რომლებმაც ძირითადად მოხაზეს თანამედროვე ერთა პოლიტიკური საზღვრები; წარმართული მოძრაობანი და ყმათა მქუხარე აჯანყებანი ფეოდალთა და ეკლესიათა უღლის წინააღმდეგ; ამ აჯანყებათა ჩამქრობ ფეოდალების სისხლიანი ორგიები და ველური ურჯულობა ხუცებისა, რომელნიც კოცონთა ალში, ინკვიზიციის ჯურღმულებში ახრჩობდნენ ადამიანთა თავისუფალი აზრის სულ მცირედ გამოვლინებას.

ფეოდალთა მატერიალური და სულიერი ბატონობის ამავე პირქუშ საუკუნეებს უხილავთ განვითარება ქალაქებისა, მარქსის მხატვრული გამოთქმით, შუა საუკუნეების ამ ყველაზე ბრწყინვალე ყვავილისა;[1] ამ ქალაქებში ახალი,

ბურჟუაზიული კულტურის, ახალი კლასების და კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმების ჩასახვა; დიადი გეოგრაფიული აღმოჩენანი, რომელთაც არაჩვეულებრივად გააფართოვეს ევროპელთა გონებრივი ჰორიზონტი, და მკაცრი საგმირო საქმეები კონკვისტადორებისა ახალ ქვეყანაში; პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლები რეფორმაციისა, — რომელმაც შეარყია კათოლიკური ეკლესიის მსოფლიო ბატონობა; კაპიტალიზმის პირველი ნაბიჯები, რაც აღინიშნა მშრომელთა მასების გაპარტახებით და პაუპერიზაციით „კაპიტალის პირველადი დაგროვების“ სადიდებლად; ბურჟუაზიული რევოლუცია გერმანიასა და ნიდერლანდებში.

შუა საუკუნეებმა ჩვენ მემკვიდრეობად დაგვიტოვეს არა მარტო ფეოდალური ძალადობისა და ბერმონაზვნური ფანატიზმის, ხალხის უმეცრების და ღვთისმეტყველურ-სქოლასტიკური „სიბრძნის“ ძეგლები. ამ საერთოდ პირქუში ეპოქიდან ჩვენამდე მოაღწიეს პოეტურმა ნაწარმოებებმაც, რომლებშიაც ხალხმა თავისი გენია აღბეჭდა, შესანიშნავმა, უზარმაზარმა გოთიურმა ტაძრებმა, აღორძინების დროის საუცხოო, განუმეორებელი სილამაზის მხატვრულმა და პოეტურმა ქმნილებებმა, გაღვიძებული მეცნიერული და პოლიტიკური აზროვნების დიდმა მოღვაწეებმა და დიდმა წამებულებმა, რომლებითაც ამაყობს მოწინავე კაცობრიობა: უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებლები — თომას მორი და კამპანელა; გაბედული მოაზროვნენი — ჯორდანო ბრუნო, გალილეი და კოპერნიკი; რევოლუციური მასების ბელადები და იდეოლოგები, ჯერ კიდევ ბუნდოვანად წარმოდგენილი კომუნისტური იდეის მაუწყებელნი — დოლჩინო, ჯონ ბოლი, თომას მიუნცერი — ყველა ესენი და მრავალნი სხვანი, რომელნიც თავიანთი ცხოვრებით, მოღვაწეობით, ხოლო ხშირად მოწამებრივი სიკვდილითაც, ამზადებდნენ და აჩქარებდნენ კაცობრიობის პროგრესს, მის მომავალ განთავისუფლებას ყოველგვარი სიძნელისა, ჩაგვრისა, ძალადობისა და ტანჯვისაგან, — ჯერ კიდევ შუა საუკუნეებს ეკუთვნიან.

ამრიგად, შუა საუკუნეებმა შეიტანეს თავისი — და არამცირე წვლილი მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა საერთო საგანძურში, რომლის მემკვიდრედ უკვე გახდნენ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მშრომელები და გახდებიან ისტორიულად არცთუ ისე შორეულ მომავალში მსოფლიოს სხვა ქვეყნების მშრომელებიც.

სანამ შუა საუკუნეების შესწავლაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გამოვარკვიოთ, ჯერ ერთი, რა აიძულებს ჩვენს მეცნიერებას გამოყოს კაცობრიობის ისტორიის ცამეტი საუკუნე ერთიან ისტორიულ ეპოქად, სხვაგვარად რომ ითქვას, რა შეადგენს შუა საუკუნეების არსებას; და, მეორე, რატომ ვუწოდებთ ჩვენ ამ ეპოქას შუა საუკუნეებს, საიდან გაჩნდა ცნება — „შუა საუკუნეები“.

დავიწყოთ მეორე საკითხით.

„შუა საუკუნეების ცნების წარმოშობა“. მსოფლიო ისტორიის დაყოფა ძველ, შუა და ახალ ისტორიად თავს იჩენს ჯერ კიდევ XV—XVI საუკუ-

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. XVII, стр. 784.

ნეებში, აღორძინების ეპოქაში. ჰუმანისტები, პირველი წარმომადგენელნი ლიტერატურაში ახალი კლასის — ქალაქის ბურჟუაზიისა, რომელიც სულ უფრო ვითარდება და ძლიერდება, თავიანთ ეპოქას გამოყოფენ, როგორც „ახალს", უახლოვებენ მას ანტიურობას და ამავე დროს მასვე უპირისპირებენ მის უშუალო წინამორბედ ეპოქას, რომელსაც ისინი უწოდებენ „შუა საუკუნეებს", „შუა საუკუნეს" (medium aevum). თუ XV — XVI საუკუნეების ჰუმანისტებს თანადროულობა წარმოდგენილი ჰქონდათ ანტიკური კულტურის „აღორძინების" სახით, „შუა საუკუნე" მათ წარმოედგინათ კულტურის დაცემის დროდ, ახალი კულტურისადმი უაღრესად მტრულად განწყობილი უხეში ფეოდალური ბარბაროსობის დროდ. ამ პერიოდიზაციამ თავისი გამოხატულება ჰპოვა XVII საუკუნის ფილოლოგთა შეხედულებებში ლათინური ენის ისტორიაზე. მათი აზრით, „წმინდა", „კლასიკური" ლათინური ენის პერიოდს რომის იმპერიის დაცემისა და ბარბაროსების მიერ წარმოებულ დაპყრობათა შემდეგ მოჰყვა „წამხდარი", „ბარბაროსული", ეგრეთწოდებული „შუა" და „მდაბალი" ლათინური ენის (media latinitas, infima latinitas) ეპოქა.

საეკლესიო პერიოდიზაცია. მსოფლიო ისტორიის სამწევრიან დაყოფას ძველ, შუა და ახალ ისტორიად წინ უსწრებდა შუა საუკუნეებში გაბატონებული და ბიბლიაზე დაყრდნობილი დაყოფა ისტორიისა ოთხ ერთი მეორეს მომდევნო მსოფლიო მონარქიად: ასურელ-ბაბილონელთა, მიდიელ-სპარსთა, ბერძენ-მაკედონელთა და რომის მონარქიებად. რომის მონარქია წარმოდგენილი ჰქონდათ უკანასკნელ მონარქიად: მას უცვლელად უნდა ეარსებნა „ქვეყნის დასასრულამდე". ამ საეკლესიო პერიოდიზაციისათვის უცხო იყო განვითარების იდეა; ღმერთი თანმიმდევრობით ანიჭებდა მსოფლიოზე ბატონობას ამა თუ იმ ხალხს, ხოლო რომის იმპერიის წარმოშობით მონარქიათა შეცვლის ეს პროცესიც მთავრდება. ახლა მყარდება მტკიცე, ურყევი წესრიგი, რომელიც ქვეყნის დასასრულამდე დარჩება.

ისტორიის პერიოდიზაცია XVIII და XIX საუკუნეებში. აღორძინების ეპოქაში წარმოშობილი ახალი სამწევრიანი პერიოდიზაცია შემდგომ განავითარეს XVIII საუკუნეში „განათლების" ისტორიკოსებმა და პუბლიცისტებმა; ისინი ამ პერიოდიზაციას აყენებენ როგორც მათთვის საძულველი ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღს. იგი თანდათანობით საყოველთაოდ იქნა აღიარებული და საფუძვლად დაედო ისტორიის მთელს ბურჟუაზიულ სწავლებას სკოლებში. „შუა საუკუნეების" განმსაზღვრელ ქრონოლოგიურ ჩარჩოებად, ეპოქის დასაწყისად ისინი სთვლიდნენ ქრისტიანობის გამარჯვებას IV საუკუნეში, ანდა რომის იმპერიის დაცემას დასავლეთში, რასაც ჩვეულებრივად ათარიღებენ 476 წლით, ხოლო ეპოქის დასასრულად—ან კონსტანტინეპოლის დაცემას 1453 წელს, ან ამერიკის აღმოჩენას 1492 წელს, ან, ბოლოს, რეფორმაციის დასაწყისს გერმანიაში 1517 წელს. შემდგომი ეპოქა ითვლებოდა „ახალ დროდ"; ამ ეპოქიდან გამოყოფდნენ კიდევ საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ პერიოდს, როგორც „უახლეს" ისტორიას.

ისტორიის მარქსისტულ-ლენინური პერიოდიზაცია. მარქსიზმი იღებს მსოფლიო ისტორიის სამწევრიან პერიოდიზაციას — მის დაყოფას „ძველ",

„შუა“ და „ახალ“ ისტორიად, მაგრამ მასში ახალი შინაარსი შეაქვს. ისტორიის მარქსისტულ-ლენინურ პერიოდიზაციას საფუძვლად უდევს ისტორიული პროცესის წარმოდგენა, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების ანუ საწარმოო ურთიერთობათა ძირითადი ტიპების პროგრესული ცვლა: პირველყოფილ-თემურ წყობილებიდან განვითარებული მონათმფლობელური წყობილება, შემდეგ ფეოდალური ანუ ბატონყმური წყობილება და ბურჟუაზიული ანუ კაპიტალისტური წყობილება, რომელსაც სცვლის სოციალისტური წყობილება; სოციალისტური წყობილების მიმართ მთელი წინამორბედი ისტორია კაცობრიობის მხოლოდ წინაისტორიას წარმოადგენს. ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების ყოველი შეცვლა მეორეთი ხდება სასტიკი კლასობრივი ბრძოლის შედეგად, რომელიც თავის დაგვირგვინებას სოციალურ რევოლუციაში ჰპოვებს. რევოლუცია სპობს მოძველებულ საწარმოო ურთიერთობას, რაც ახლა გადაიქცა ბორკილებად საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისათვის, და ჰქმნის, ახალ, უფრო პროგრესიულ საწარმოო ურთიერთობას.

ამხანაგმა სტალინმა დამკვრელ კოლმეურნეთა I სრულიად საკავშირო ყრილობაზე შემდეგი სიტყვებით დაახასიათა მონათმფლობელური ფორმაციიდან ფეოდალიზმზე გადასვლა: „მონების რევოლუციამ მოსპო მონათმფლობელები და გააუქმა მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა. მაგრამ მათ ნაცვლად მან დააყენა მებატონეები და მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა“.[1]

„შუა საუკუნეთა“ ეპოქა წარმოადგენს ფეოდალური ანუ ბატონყმური ურთიერთობის ეპოქას. ამის შესაბამისად მარქსისტულ-ლენინური პერიოდიზაცია საზღვრად შუა საუკუნეებსა და ახალ დროის შორის იმ მოვლენებს სთვლის, რომლებიც მოასწავებენ ფეოდალიზმის დამხობას ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში და მისი ლიკვიდაციის დასაწყისს სხვა ქვეყნებში XVII—XVIII საუკუნეთა ბურჟუაზიულ რევოლუციებს.

ფეოდალიზმის ზოგადი ცნება. ფეოდალიზმის ყველაზე სრული და ზუსტი დახასიათება მოგვცა ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. ფეოდალიზმის არსებობისათვის იგი აუცილებლად სთვლის შემდეგ პირობებს:

„პირველად — ნატურალური მეურნეობის ბატონობას. ბატონყმური მამული წარმოადგენდა თავისთავზე დაყრდნობილ კარჩაკეტილ ერთეულს, რომელსაც ძალიან სუსტი კავშირი ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოსთან... მეორედ — ასეთ მეურნეობისათვის საჭიროა, რომ პირდაპირ მწარმოებელს მიცემული ჰქონდეს წარმოების საშუალებანი საზოგადოდ და მიწა კერძოდ; მაგრამ ესეც საკმარისი არ არის, საჭიროა, რომ ის იყოს მიმაგრებული მიწაზე, რადგან სხვანაირად მებატონე არ იქნება უზრუნველყოფილი მუშა-ხელით... მესამედ — მეურნეობის ამ სისტემის პირობაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მებატონესაგან. მებატონეს რომ არ ჰქონდეს პირდაპირი ძალა-უფლება გლეხის პიროვნების მიმართ, მას არ შეეძლებოდა ემუშავებია მის სასარგებლოდ ადა-

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გამოცემა მე-11, გვ. 514.

ვიანი, რომელსაც აქვს მიღებული მიწის ნაკვეთი და აწარმოებს საკუთარ მეურნეობას. საჭიროა, მაშასადამე, „გარე ეკონომიური იძულება", როგორც ამბობს მარქსი, როცა ის ახასიათებს ამ სამეურნეო რეჟიმს... ამ იძულების ფორმა და ხარისხი შესაძლებელია სულ სხვადასხვანაირი იყოს, დაწყებული ბატონყმურ მდგომარეობიდან და გათავებული გლეხის წოდებრივ არასრულუფლებიანობით. ბოლოს, მეოთხედ,—როგორც პირობა, ისე შედეგი აღწერილი მეურნეობის სისტემისა იყო ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობა, რადგან მეურნეობის ხელმძღვანელობა წვრილ გლეხობის ხელში იყო, რომელიც გაჭირვებისაგან წელში წყდებოდა და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნელით დაქვეითებული იყო".[1]

ფეოდალზმის დროს ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძირითადი კლასი. ერთი ამ კლასთაგანია ფეოდალებისაგან დამოკიდებული, ანუ ყმა გლეხთა კლასი: შემდეგ, ქალაქთა წარმოშობის მერმე მათ უერთდება ქალაქის წვრილი ხელოსანთა ფენა. ანტიკური მონისაგან განსხვავებით, ყმა არის ადამიანი, „რომლის მოკვლა ფეოდალს უკვე არ შეუძლია, მაგრამ რომლის გაყიდვა მას შეუძლია. ფეოდალურ საკუთრებასთან ერთად არსებობს პირად შრომაზე დამყარებული გლეხისა და ხელოსნის ერთპიროვნული საკუთრება წარმოების იარაღებზე და თავის კერძო მეურნეობაზე".[2] „როგორც წვრილი გლეხური მეურნეობა, ისე დამოუკიდებელ წვრილ-ხელოსანთა წარმოებაც... ამბობს მარქსი,—წარმოების ფეოდალური წესის ბაზისს შეადგენს".[3] საწარმოო საშუალებებისა და საჭირო ინვენტარის მქონე წვრილ უშუალო მწარმოებელს სოფლად და ქალაქად უპირისპირდება მიწის მსხვილი მესაკუთრე—მემამულე: „მეორე მხრით,—ამბობს მარქსი,—მას უპირისპირდება მხოლოდ მიწა, როგორც სხვის საკუთრებაში მყოფი პირობა შრომისა, მისგან განთვისებული და მიწის მესაკუთრეში განსახიერებული".[4]

ფეოდალური საზოგადოების ამ ორ ძირითად კლასს შორის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სასტიკი ბრძოლა წარმოებს, „კლასობრივი ბრძოლა ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს შორის შეადგენს ფეოდალური წყობილების ძირითად ნიშანს".[5]

ფეოდალიზმი წარმოადგენს საწარმოო ურთიერთობათა უფრო პროგრესიულ ფორმას, ვიდრე მონათმფლობელური საზოგადოება. „ახალი საწარმოო ძალები მოითხოვენ, რათა მუშაკს ჰქონდეს რაიმე ინიციატივა წარმოებაში და შრომისადმი მიდრეკილება, შრომით დაინტერესება. ამიტომ ფეოდალი სტოვებს მონას, როგორც შრომით არადაინტერესებულ და სრულიად უინიციატივო მუშაკს, და ამჯობინებს საქმე იქონიოს ყმასთან, რომელსაც გააჩნია თავისი მეურნეობა, თავისი წარმოების იარაღები და რომელსაც აქვს ერთგვარი დაინტერესება შრომით, რაც აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ მან დაა-

---

[1] ლ ენ ინ ი, თხზ., ტ. III, გვ. 170—171 (ქართ.); იხ. აგრეთვე „აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს". ტ. XII, გვ. 226—227 (რუსულად).

[2] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 152.

[3] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1935, გვ. 251.

[4] იქვე, ტ. III, 1936, გვ. 699.

[5] საკ. კ-პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 152.

შუშაოს მიწა და ფეოდალს ნატურით აძლიოს გადასახადი თავისი მოსავლიდან".[1] ყმები უფრო მაღლა დგანან იმ მხრივაც, რომ ისინი გაერთიანებული არიან თემად; თემური (მარკული) ორგანიზაცია მათ ხელში აძლევს ფეოდალის გადაჭარბებული მოთხოვნების წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ იარაღს.

ფორმას, რომლითაც ხორციელდება ფეოდალური ექსპლოატაცია, ე. ი. სხვისი ზედმეტი შრომის ანუ პროდუქტის მითვისება, წარმოადგენს ფეოდალური რენტა, რომელსაც სამი სახე აქვს: შრომითი ანაზღაურების რენტა (ანუ საბატონო ბეგარა), პროდუქტული რენტა (ანუ ნატურალური ღალა) და ფულადი რენტა (ფულადი ღალა). თუმცა ჩვეულებრივად ფეოდალური რენტის ყველა ეს სახეები ერთად გამოდიან, მაგრამ მაინც სხვადასხვა ეპოქაში რენტის ერთ-ერთი სახეა გაბატონებული, წამყვანი. თავდაპირველად ასეთი წამყვანი შრომაა შრომითი ანაზღაურების რენტა, შემდეგ პროდუქტული და, ბოლოს, უფრო გვიან — ფულადი რენტა.

ყოველი საზოგადოებრივი წყობილება ხასიათდება აგრეთვე საკუთრების განსაკუთრებული, მისთვის ჩვეული ფორმით, რომელიც გამოხატავს სათანადო კლასის — მონათმფლობელების, ფეოდალ-მემამულეების, კაპიტალისტების — ბატონობას. ფეოდალური საკუთრების ძირითადი ნიშანი, რაც მას განასხვავებს ანტიკური და ბურჟუაზიული კერძო საკუთრებისაგან — არის მისი იერარქიული სტრუქტურა. უშუალო მწარმოებელთა კლასის მიმართ გარეეკონომიური იძულების განსახორციელებლად საჭირო იყო. ექსპლოატატორთა კლასის გაერთიანება, ორგანიზაცია. მიწის საკუთრების იერარქიული სტრუქტურა ფეოდალიზმის დროს სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა მიწის მესაკუთრენი გაერთიანებული იყვნენ იერარქიულ ურთიერთობით, ქმნიდნენ რა თავისებურ „საზოგადოებრივ პირამიდას". ყველაზე მაღლა იდგა მეფე, რომელიც ყველაზე უფრო განვითარებულ ფეოდალურ უფლებრივ სისტემაში — სამეფოში არსებული მთელი მიწის უზენაეს მესაკუთრედ ითვლებოდა, და მისგან „იღებდნენ" მიწას უმაღლესი რანგის ფეოდალები, სამეფოს მაგნატები (ჰერცოგები, გრაფები, ბარონები). ამ უკანასკნელთაგან „იღებდნენ" მიწას უფრო დაბალი რანგის ფეოდალები — ვასალები, და ქვევასალები, ფეოდალური რაინდობა. ამ პირამიდის საფუძველს შეადგენდა ყმა და ფეოდალთაგან დამოკიდებული გლეხობა. ამის გამო მიწის მფლობელობამ პირობითი ხასიათი მიიღო. ამასთან დაკავშირებით თვით ფეოდალური საკუთრება (dominium) ნაწილდებოდა dominium directum-ად და dominium utile-დ, ანუ სხვაგვარად უზენაეს საკუთრებად (proprietas) და მფლობელობად (possessio), რომელთაგანაც კიდევ ანსხვავებდნენ მიწით უშუალოდ სარგებლობას დასამუშავებლად (usus fructus).

მარქსი და ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში" ფეოდალიზმის შესახებ წერდნენ: „მიწის საკუთრების იერარქიული სტრუქტურა და მასთან (ფეოდალიზმთან — რედ.) დაკავშირებული შეიარაღებული რაზმების სისტემა თავადაზნაურობას ყმებზე ბატონობას ანიჭებდა".[2] ფეოდალიზმის დამახასიათე-

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 152.

[2] Маркс и Энгельс, Соч., т. IV, стр. 14.

ბელ მომენტს წარმოადგენს აგრეთვე მიწის საკუთრების კავშირი პოლიტიკურ ბატონობასთან მიწის-მუშა—მოსახლეობის მიმართ. თვითეული მსხვილი ფეოდალური მამული წარმოადგენდა ამავე დროს ფეოდალურ საზოგადოების დაბალ პოლიტიკურ უჯრედს სენიორის მეთაურობით, ერთგვარ პატარა თავისებურ სახელმწიფოს. ასეთ „მამულ-სახელმწიფოთა“ იერარქიული გაერთიანებიდან შესდგებოდა ფეოდალური სახელმწიფო მთლიანად.

ფეოდალური საზოგადოების განვითარების სტადიები. დასავლეთ ევროპის ფეოდალურმა საზოგადოებამ თავის განვითარებაში სამი ძირითადი სტადია განვლო.

I. ადრეული შუა საუკუნეები (Vს. — XIს. ნახევარი) ხასიათდება საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონით და მით, რომ ქალაქსა და სოფელს შორის შრომის განაწილება არ არსებობს. ხელოსნობა ჯერ არ გამოჰყოფია სოფლის მეურნეობას და არ გამოყოფილა მამულისა და სოფლისაგან. თითქმის განუყოფლად ბატონობს ნატურალური წარმოება, როდესაც თვითეული მეურნეობა ამზადებს საგნებს თავის საკუთარ მოთხოვნილებათა და ფეოდალ-მემამულეების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, როდესაც წარმოებს მხოლოდ წარმოების ნამეტთა გაცვლა-გამოცვლა.

საზოგადოებრივი განვითარების ასეთი დონე მყარდება რომის იმპერიის დაცემის დროიდან მონების რევოლუციებისა და ბარბაროსების მიერ წარმოებულ დაპყრობათა შედეგად. ამ პერიოდის განმავლობაში დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში თანდათანობით მყარდება ფეოდალური ურთიერთობა, ზოგგან — უკვე IX საუკუნიდან (ფრანკთა სახელმწიფო), ზოგგან კიდევ — ცოტა უფრო გვიან (მაგალითად, გერმანიაში ან ინგლისში).

II. ფეოდალიზმის აყვავების ეპოქა (XI საუკუნის ნახევრიდან XV საუკუნემდე) ხასიათდება საწარმოო ძალთა განვითარების დონის ამაღლებით და შრომის განაწილებით ქალაქსა და სოფელს შორის. ხდება ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან და მისი კონცენტრირება ქალაქებში, რომლებიც აღმოცენდნენ როგორც განსაკუთრებული სახელოსნო და სავაჭრო ცენტრები. ვითარდება ვაჭრობა და იქმნება წვრილ საქონელმწარმოებელთა ფენა ქალაქად და სოფლად. კლასობრივი წინააღმდეგობანი მწვავდებიან და მშრომელთა მასების გამოსვლები ფეოდალების წინააღმდეგ უკანასკნელთათვის უფრო სახიფათო ხასიათს იღებენ. იწყება დასავლეთ ევროპის ძირითად ერთა ჩამოყალიბება. სახელმწიფო წყობილება იღებს წოდებრივი მონარქიის ფორმას სახელმწიფო წოდებათა წარმომადგენლობის ჩანასახებით — როგორიცაა პარლამენტი (ინგლისი), გენერალური შტატები (საფრანგეთი), კორტესები (ესპანეთი) და ა. შ.

III. კაპიტალის პირვანდელი დაგროვებისა და ფეოდალიზმის დაშლის ეპოქა (XVI — XVII სს.) ხასიათდება ფეოდალური საზოგადოების წიაღში კაპიტალისტური მანუფაქტურის ჩასახვით და განვითარებით; გლეხთა სულ უფრო მზარდი გაბოგანოებით და წვრილი ხელოსნების გაჩანაგებით, ე. ი. უშუალო მწარმოებლის ჩამოშორებით წარმოების საშუალებათაგან და მისი გადაქცევით „ფრინველივით თავისუფალ პროლეტარად“ (მარქსი); კოლონიების ძარცვით, რაც დიად გეოგრაფიულ აღმოჩენათა შემდეგ დაიწყო და ახ-

ლად აღმოჩენილი ქვეყნების მკვიდრი მოსახლეობის გაძლიერებული ექსპლოატაციით; სწრაფი განვითარებით ვაჭრობისა, რომელიც მსოფლიო ხასიათს იღებს, და საბანკო-საკრედიტო ოპერაციებისა; ვაჭრულ-მევახშური კაპიტალის გაძლიერებული კონცენტრაციით, კაპიტალის, რომელიც მრეწველობაშიც იჭრება. მიმდინარეობს დასავლეთ ევროპის ერთა შემდგომი ფორმირება, ეს ერები ახლა პოლიტიკურ გამოხატულებასაც აძლევენ თავიანთ ერთიანობას ფეოდალურ-აბსოლუტისტური ნაციონალური მონარქიების სახით. ფეოდალთა გაბატონებულ კლასსა და ქალაქისა და სოფლის ანტიფეოდალურ ელემენტებს შორის კლასობრივი ბრძოლის შემდგომი გამწვავება მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში ბურჟუაზიული რევოლუციების აფეთქებას იწვევს; ამ რევოლუციებში ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ყმა და ფეოდალთაგან დამოკიდებული გლეხობა, აგრეთვე ქალაქთა პლებეური მასები. ბურჟუაზიულ რევოლუციებს შედეგად მოსდევს შატონყმობისა და ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სახელმწიფოს ლიკვიდაცია.

ფეოდალიზმის გენეზისი. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება დასავლეთ ევროპაში მოხდა მონათმფლობელური საზოგადოების დაცემის შემდეგ მონათა რევოლუციებისა და ბარბაროსების მიერ წარმოებულ დაპყრობათა შედეგად, რომელთაც მოამზადეს ამ განვითარების პირობები. ფეოდალიზმის გენეზისის შესწავლისათვის საჭიროა გამოვიკვლიოთ, ერთი მხრივ, მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისი, რამაც მისი დაცემა გამოიწვია, და ფეოდალურ ურთიერთობათა ის ჩანასახები, რომლებიც ამ საზოგადოების შიგნით მწიფთებოდნენ; მეორე მხრივ, საჭიროა შევისწავლოთ ის საზოგადოებრივი განვითარება, რომელსაც ამ დროისათვის გადიოდნენ ეგრეთწოდებულ „ბარბაროსთა" სხვადასხვა ტომები — კელტები, გერმანელები და სლავები, — რომლებიც სხვადასხვა რომანულ და ელინურ ეროვნებებთან ერთად შევიდნენ შუა საუკუნეების დამლეგს ჩამოყალიბებულ ევროპულ ერთა შემადგენლობაში და რომლებმაც განაპირობეს შუა საუკუნეთა დასაწყისში ევროპის ფეოდალური განვითარება.

ნაწილი პირველი

ადრეული შუა საუკუნეები

თავი I

მონათმფლობელური წყობილების კრიზისი და ფეოდალურ ურთიერთობათა ჩანასახები რომის იმპერიაში IV—V სს.

მსხვილი მიწათმფლობელების როლი. III — IV საუკუნეთა რომის იმპერიის საზოგადოებრივი წყობილება ხასიათდება მსხვილი მიწათმფლობელობის წამყვანი როლით. იგი ჯერ კიდევ რესპუბლიკის პერიოდში წარმოიშვა. მსხვილი მიწათმფლობელნი თავიანთ მიწებზე ჯერ წმინდა მონათმფლობელურ მეურნეობას მისდევდნენ და ძირითად და ყველაზე შემოსავლიან სამეურნეო დარგებში მონათა დიდ მასებს იყენებდნენ; წარმოების მხოლოდ ყველაზე ნაკლებად შემოსავლიან დარგებში აძლევდნენ მიწას დასამუშავებლად წვრილ მოიჯარეებს — კოლონებს. მაგრამ იმპერიის პერიოდში, განსაკუთრებით III — IV საუკუნეებში, მსხვილი მიწათმფლობელობა თავის ხასიათს იცვლის. მონური შრომა სულ უფრო არახელსაყრელი ხდება, იგი არ იძლევა შესაძლებლობას შრომის უფრო ნაყოფიერ ფორმებზე გადასვლისათვის. დაპყრობათა შეწყვეტასთან ერთად მცირდება ახალი მონების მოდენა სამხედრო ტყვეების რიცხვიდან; თავს იჩენს მუშა-ხელის ნაკლებობა. ამის შედეგად ანტიკური საზოგადოება ჩიხში ემწყვდევა. ამ ჩიხიდან გამოსვლა მას მხოლოდ რევოლუციის გზით შეეძლო.

კოლონატი. ამავე დროს ვრცელდება არათავისუფალი შრომის ექსპლოატაციის სხვა ფორმები. ერთი მხრით, მიწაზე ამუშავებენ მონებს, აქცევენ მათ servi casati, რომლებიც მიწათმფლობელს აძლევენ რენტას ნატურით ან ფულით და შრომითი ანაზღაურებით. ისინი მიწერილი არიან მიწაზე glebae adscripti.

მეორე მხრით, ის თავისუფალი მოიჯარეები, რომლებიც ჯერ კიდევ გვიანდელ რესპუბლიკის პერიოდში არსებობდნენ, რიცხვობრივად სულ უფრო და უფრო მრავლდებიან იმის გამო, რომ წვრილი თავისუფალი მონათმფლობელნი ამ ეპოქაში ღატაკდებიან და იდევნებიან მსხვილი მონათმფლობელების მიერ. მაგრამ ამ მოიჯარეების მდგომარეობა ძლიერ იცვლება. სოფლის მეურნეობის საერთო კრიზისის გამო მოიჯარე გლეხებს აღარ შეუძლიათ საიჯარო გადასახადის გასტუმრება; ისინი უწესივრო გადამხდელებად იქცევიან და კაბალაში ვარდებიან. ამავე დროს იჯარის ფორმებიც იცვლება: ფართოდ ვრცელდება მონახევრეობა, ე. ი. იჯარა მოსავლის ნაწილის მიხედვით. იქმნება მოიჯარე გლეხების ფენა, რომლებსაც მონახევრეებს colonipartiarii-ს უწო-

დებენ. ამ მოიჯარეების იურიდიული მდგომარეობა უარესდება მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად.

კოლონების ახალი იურიდიული მდგომარეობა განისაზღვრება იმპერატორთა მთელი რიგი ბრძანებულებებით, რომელთაგან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტანტინე I-ის ბრძანებულებას 332 წლის თარიღით. ეს ბრძანებულება მოითხოვს გაქცეული კოლონების შეპყრობას და ძველ ადგილებზე დაბრუნებას, მათზე ბორკილების დადებასაც კი; ე. ი. იგი აფორმებს კოლონების მიწაზე მიმაგრებას. ასეთ დამოკიდებულ, მიწაზე მიმაგრებულ კოლონებად იქცევიან შემდეგ ყველა მოიჯარენი, რომელნიც განუწყვეტლივ მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე მუშაობდნენ 30 წლის განმავლობაში. მაშასადამე, კოლონი ხდება მიწის მონად — servus terrae. ამ ეპოქაში იზრდება აგრეთვე მუდმივსამემკვიდრეო იჯარა (ემფიტევზისი). მუდმივსამემკვიდრეო მოიჯარეები — ემფიტევტები იღებენ ყამირ, ცარიელ მიწებს შეღავათიან პირობებში და თავის იჯარას გადასცემენ მემკვირდეობით მამიდან—შვილს. იმის გამო ,რომ იმპერია ამ დროს მუშა-ხელის ნაკლებობას განიცდის, მიწის დასაშუშავებლად მეტად ფართოდ იყენებენ ბარბაროსებს, რომლებსაც მიწაზე ამუშავებენ კოლონატის უფლებებით (jure colonatus).

კერძო ხელისუფლების ზრდა. რომის იმპერიის ბოლო საუკუნეებში მიმდინარეობს პირადი დამოკიდებულების ზრდაც, რაც ასე დამახასიათებელია ფეოდალიზმის შემდგომი ეპოქისათვის. გაჩანაგებული გლეხები სულ უფრო და უფრო ხშირად აძლევენ თავიანთ მიწას მსხვილ მაგნატებს, ხოლო შემდეგ იღებენ მას პირობით სარგებლობაში ეგრეთწოდებული „პრეკარიუმის“ საფუძველზე, ე. ი. სხვისი ქონების სარგებლობის უფლებით მანამ, სანამ მას მისი შესაკუთრე მოითხოვდეს. ამასთან ერთად ასეთი გლეხები მაგნატის მფარველობას, მის პატრონატს (patrocinium) ღებულობენ. კერძო ქვეშევრდომობაში გადასვლის ეს პროცესი წარმოებდა არა მარტო ინდივიდუალურად, არამედ ზოგჯერ მთელი სოფლები კოლექტიურად კისრულობენ დამოკიდებულებას მსხვილი მაგნატისაგან, მეტწილად თავისი უახლოესი მეზობლისაგან. ეს არის ის, რასაც წინათ ეწოდებოდა patrocinia vicorum, ე. ი. მფარველობა მთელი სოფლების მიმართ.

ამავე დროს მიმდინარეობს მსხვილ-მიწათმფლობელთა კერძო ხელისუფლების ორგანოების განვითარების პროცესი. მსხვილი მიწათმფლობელი თავის ტერიტორიაზე ქმნის სამხედრო რაზმებს — ბუკცელარიებს ანუ ისავრებს (უკანასკნელი სახელწოდება წარმოსდგება მცირე აზიის ერთ-ერთი ტომის ისავრების სახელიდან, რომელთა წარმომადგენლებს განსაკუთრებით ხშირად იყენებდნენ სამხედრო-საპოლიციო სამსახურისათვის მსხვილ მამულში). სამხედრო რაზმებს ადგენენ მსხვილი მიწათმფლობელის მონებისგანაც, ბოლოს, კერძო მიწათმფლობელნი აწყობენ საკუთარ საპყრობილეებს, სადაც ამწყვდევენ მათ მიწაზე მცხოვრებ დამნაშავე კოლონებს. მრავლდება კერძო სასამართლოები, რომლებიც ასამართლებენ მსხვილ მიწათმფლობელ — სენატორის ტერიტორიის მოსახლეობას. სახელმწიფო აკანონებს კერძო ხელისუფლების ამ ზრდას და მიწათმფლობელ-სენატორებს აკისრებს პასუხისმგებლობას მათ მიწაზე მოსახლე მიწათმოქმედ-კოლონებისათვის მათ მიერ გადასახადების შე-

ტანისა და აგრეთვე რეკრუტების მიწოდების მხრივ. სახელმწიფოში გაბატონებული წოდება, პრივილეგიური სენატორთა წოდება (ordo senatorius), რომლის საფუძველს წარმოადგენს მსხვილი მიწათმფლობელობა, ახლა ჰფლობს პოლიტიკურ ძალაუფლებასაც მის მიწაზე მოსახლე მცხოვრებთა მიმართ.

ამრიგად ყალიბდება ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი კავშირი მსხვილი მიწათმფლობელობისა პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, იწყება მსხვილი მამულის გადაქცევა პატარა მამულ-სახელმწიფოს ერთგვარ ჩანასახად.

კურიალების მიმაგრება. ასეთივე საზოგადოებრივი პროცესი მიმდინარეობს ქალაქშიც. ანტიკურ მსოფლიოსათვის დამახასიათებელი მომენტი იყო ქალაქის უპირატესობა. ქალაქი იყო გაბატონებული ცენტრი გარემომცველ ტერიტორიისათვის, მაშინ როცა მომდევნო ფეოდალიზმის ეპოქის დამახასიათებელი იყო პირუკუ მოვლენა — სოფლის ბატონობა ქალაქზე. ახლა რომის იმპერიაში მიმდინარეობს ქალაქის მიმართ სოფლის, უფრო სწორად, სოფლის მამულის მიერ გაბატონებული მდგომარეობის თანდათანობითი მოპოების პროცესი. წინათ თვითეული ქალაქი თავისი ოლქით (მუნიციპიუმით) თვითმმართველ ერთეულს წარმოადგენდა. ხელისუფლება ქალაქში ეკუთვნოდა სახალხო კრებას და ადგილობრივ მუნიციპალურ საბჭოს. პირველ ხანებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სახალხო კრება. იქ ირჩევდნენ მაგისტრატებს; ბმებს აძლევდნენ, ისე როგორც რომში, ტრიბების ანუ კურიების მიხედვით: შემოღებული იყო ფარული არჩევნები. უმაღლესი ადმინისტრატიული და სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნოდა ორ თანამდებობის პირს—დუუმვირებს duoviri jure dicundo. არსებობდა აგრეთვე ედილების თანამდებობა. მათ ეკუთვნოდათ პოლიციური ძალაუფლება, ისინი განაგებდნენ ქალაქის პურით მომარაგებას და სანახაობათა შოწყობას; დაბოლოს არსებობდა ქალაქის კვესტორთა თანამდებობა. კვესტორები განაგებდნენ ქალაქის ფინანსებს. ყველა ეს თანამდებობა უფასო იყო. პირიქით, თანამდებობის პირებს თვითონ უნდა გაეწიათ დიდი ხარჯები ქალაქის სასარგებლოდ, მათ უნდა გაეღოთ დიდი შეწირულებანი, დროდადრო უხვად უნდა დაერიგებინათ დოვლათი მოსახლეობისათვის, მოეწყოთ თამაშობანი და აეგოთ შენობები ქალაქის ტერიტორიაზე. მათ დიდი ცენზი უნდა ჰქონოდათ. სენატი ან კურია თვითეულ ქალაქში შესდგებოდა ყველა იმ პირთაგან, რომელთაც წინათ მუნიციპალური მაგისტრატურები ეკავათ; ჩვეულებრივად მათი რიცხვი 100 კაცს შეადგენდა.

უკვე II საუკუნეში სახელმწიფოში გაბატონებული სენატორთა წოდება მიმართავს ცდებს ადგილობრივი თვითმართველობის შეზღუდვისათვის. იმპერატორ ტრაიანეს დროს შემოიღეს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ უ რ ი კ უ რ ა ტ ო რ ე ბ ი ს (curator rei publicae) თანამდებობა; მათ მუდმივი მეთვალყურეობა უნდა გაეწიათ მუნიციპიუმთა მეურნეობისათვის; ხოლო IV საუკუნის მეორე ნახევარში ზოგიერთ პროვინციაში შემოიღეს დ ე ფ ე ნ ზ ო რ ი ს თანამდებობა; მათ ნიშნავდა იმპერატორი ან პრეფექტი. თავდაპირველად დეფენზორების მოვალეობას შეადგენდა ქალაქის დაცვა იმპერატორთა მოხელეების გამოძალვისაგან, შემდეგში კი მათ ხელთ იგდეს მთელი ძალაუფლება ქალაქის თემში. რომის იმპერიის დამლევისათვის და ბარბაროსების მიერ წარმოებულ დაპყ-

რობათა პირველ ,ხანებში დეფენზორთა როლს ძალიან ხშირად ქრისტიანთა ეპისკოპოსები კისრულობდნენ.

თვითმართველობის შეზღუდვის გარდა მიმდინარეობს ქალაქის მოსახლეობის კლასთა ყმად გადაქცევის პროცესი.

კურიალებისაგან, ქალაქის ყოფილ მაგისტრატებისაგან, ყალიბდება მოსამსახურე არისტოკრატიის მმართველი წოდება. ქალაქში ამ მმართველ ჯგუფს ეკისრება ახლა პასუხისმგებლობა გადასახადების აკრეფისათვის, რაც დაწესებულ იქნა უკვე იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს. პასუხისმგებლობა გადასახადების აკრეფისათვის საერთო ეკონომიური კრიზისის პირობებში გამანადგურებელი იყო კურიალებისათვის. ამ დროს თავს იჩენს კურიალების მისწრაფება, რომ გამოსულიყვნენ კურიიდან, მიმდინარეობს მისი დაცალიერების პროცესი, ქალაქში კურიალები თითქმის აღარ რჩებიან. ამის საპასუხოდ იმპერატორები აქვეყნებენ მთელ რიგ ბრძანებულებებს—კურიალებს უკრძალავენ სხვა წოდებებში—სენატორების, სასულიერო პირთა და სხვ. წოდებაში გადასვლას. არკადის ბრძანებულება 396 თარიღით უკრძალავს მათ ქალაქის მიტოვებასაც კი და მათ კუთვნილ მამულებში გადასახლებას. ამრიგად წარმოებს კურიალების ერთგვარი დაყმევა. თუ გლეხს მიწაზე მიამაგრებდნენ, ახლა საშუალო მიწათმფლობელსაც (possessur) მიამაგრებდნენ კურიაზე. ყოველი მიწათმფლობელი, რომელსაც 25 იუგერი მიწა (დაახლოებით 6 ჰექტარი) მაინც ჰქონდა, ვალდებული იყო იძულებითი წესით შესულიყო კურიალების წოდებაში. კურიალების ქონებრივი შეძლების შესანარჩუნებლად, მათ ეკრძალებოდათ გაეყიდათ თავისი ქონება მეფისნაცვალის ნებადაურთველად. მეორე მხრით, იმ პირებს, ვინც კურიის შემადგენლობაში არ შედიოდა, ეკრძალებოდათ კურიალების კუთვნილი მიწის შეძენა. თუ კურიალებს კანონიერი მემკვიდრეები არ „ყავდათ, მათი ქონების სამი მეოთხედი კურიის ხელში გადადიოდა. ყველა ამ ხელოვნურ ღონისძიებათა მიზანი იყო შეენარჩუნებინათ საშუალო მიწათმფლობელობა, რომელიც კრიზისს განიცდიდა. მაგრამ ამით კურიალები, როგორც მაშინ ამბობდნენ „რესპუბლიკის მონებად“ იქცეოდნენ. ყველა ეს ღონისძიება ჰბადებს კურიალებში მისწრაფებას თავი მოერიდებინათ ყოველგვარი საშუალებით თავიანთ მოვალეობათა შესრულებისათვის. ესენი პირდაპირ გარბიან კიდეც. მაგალითად, 388 წ. მცირე აზიის ოთხი ქალაქის კურიალები ერთბაშად გაიქცნენ, შექმნეს ყაჩაღთა ბრბო და ეწეოდნენ მძარცველობას.

ვაჭრობის კრიზისი, ხელობის დაყმევა. სოფლის მეურნეობაში ფეხმოკიდებული ღრმა კრიზისი ვაჭრობასა და ქალაქის წარმოებაზედაც გავრცელდა. იტალიის სავაჭრო ჰეგემონია ეცემოდა პროვინციებში საკუთარი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების განვითარებასთან ერთად. მაგრამ პროვინციებში მიმდინარეობდა საერთო გაღატაკება და გაჩანაგება, სამეურნეო განვითარების შეფერხება, ვაჭრობის დაცემა წარმოების მონათმფლობელური წესის საერთო კრიზისთან, გადასახადების უღელთან, მეფისნაცვალთა და ბეგარათა ამკრეფების მტაცებლობასთან დაკავშირებით.

ხელოსნები და ვაჭრები ქალაქში დაბალ წოდებას — plebs urbana-ს შეადგენდნენ. ისინი ძალიან ხშირად ირაზმებოდნენ კოლეგიებად არჩეული თანამდებობრივი პირებით, აწყობდნენ თავიანთ კრებებს, მათვე ჰქონდათ განსაკუთრებული კორპორატული სალარო. სახელმწიფო სდებდა მათთან ხელშეკრულებებს, მაგალითად, დედაქალაქის მოსამარაგებლად სურსათით და ყოველგვარი ნაკეთობებით. რომში არსებობდნენ მეპურეების, მეხორცეების, გემთმფლობელების და სხვათა კოლეგიები. იმპერიის არსებობის პირველ ორ საუკუნეში ამ კორპორაციებს ზოგჯერ კრძალავდნენ, თუ მათ სახელმწიფოსათვის საშიშად მიიჩნევდნენ. ცნობილია, მაგალითად, მცირე აზიის ერთი ადგილობრივი მმართველის ედიქტი ქალაქ მაგნეზიის მეპურეთა კავშირის წინააღმდეგ. ედიქტი კრძალავდა მეპურეთა ორგანიზაციას, იმიტომ, რომ ისინი გაფიცვებს აწყობდნენ. საერთოდ სახელმწიფო დიდი ეჭვით უყურებდა კორპორაციებს. მაგრამ II საუკუნის დამლეგიდან და III ს. დასაწყისიდან სახელმწიფო ცდილობს გამოიყენოს კოლეგიები თავის ინტერესებისათვის. კოლეგიაში მონაწილეობა სავალდებულო ხდება, შემდეგ კი მემკვიდრეობითიც. ყოველივე ამას, უწინარეს ყოვლისა, ადგილი ჰქონდა ისეთ დარგებში, რომლებიც საჭირო იყო არმიისათვის, დედაქალაქის მომარაგებისათვის. მეორე მხრით, სახელმწიფო თვითონ აწყობს საწარმოებს, ზოგჯერ საკმაოდ დიდს. ეს არის საიმპერატორო სახელოსნოები, მათ სათავეში უდგანან იმპერატორთა განსაკუთრებული მოხელეები — პროკურატორები. ამ სახელოსნოებში, ერთი მხრით, მუშაობენ მონები, მონათა „გვარები", მეორე მხრით, ასეთი სახელოსნოებზე ამაგრებენ მემკვიდრეობითს სახელოსნო კოლეგიებს. ამ კოლეგიის წევრებმა მემკვიდრეობით უნდა იმუშაონ სახელმწიფო სახელოსნოებში. პროკურატორები ხელოსნებს აძლევდნენ ნედლეულს სახელმწიფო მაღაზიებიდან და ისინი ვალდებული იყვნენ იძულებითი წესით უფასოდ ჩაებარებინათ თავისი შრომის პროდუქტები ნატურალური ბეგარის სახით. ასეთი საწარმოები იქმნებოდა შალისა და ტილოს მრეწველობის, იარაღისა და სამონეტო საქმეთა დარგში, ბორბლების, საოქრომჭედლო და საღებავი წარმოების დარგში, მაღაროების დამუშავების დროს, სადაც შრომის იძულებითი ორგანიზაცია არსებობდა.

ვაჭრობის საერთო დაცემასთან დაკავშირებით ნელ-ნელა იმპერიის მთელი მეურნეობა ნატურალურ სახეს იღებს, რაც ასე დამახასიათებელია შემდგომი ფეოდალური წყობილებისათვის, რომელიც აღმოცენდა უფრო გვიან, ბარბაროსების მიერ წარმოებულ დაპყრობათა და რომის იმპერიის ტერიტორიაზე მონების აჯანყების შემდეგ.

მონებისა და კოლონების აჯანყებები. ამავე დროს გლეხობის დამონებასთან დაკავშირებით და იმის გამო, რომ გადასახადების უღელი სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ადგილი აქვს ძალადობას მოხელეების მხრით, გალიასა და ჩრდილოეთ იტალიაში მიმდინარეობს მონებისა და გლეხების (ბ ა გ ა უ დ ე ბ ი ს აჯანყებები. ეს აჯანყებები იწყება III საუკუნის 60-იან წლებში და განსაკუთრებით ძლიერ გაქანებას იღებს 80-იან წლებში. ბაგაუდების ბელადები გალიაში — ელიანი და ამანდი — იმპერატორის ტიტულს ღებულობენ,

იპყრობენ მთელ ტერიტორიებს და იმპერია მხოლოდ დიდის შრომითა და დიდი დაძაბვით ახერხებს ამ აჯანყების ჩაქრობას 285 წელს. ასეთი აჯანყებები ეწყობოდა იმპერიის სხვა ნაწილებშიც უფრო გვიან „ხალხთა გადასახლების“ ეპოქაში. V საუკუნის შუა ხანებში რეტიუმსა, პანონიასა და ნორიკუმში მიმდინარეობდა ეგრეთწოდებული სკამარების აჯანყებანი. ჩრდილოეთ აფრიკაში ადგილი ჰქონდა აგონისტიკების ანუ ცირკუმცელიონების მოძრაობას, რომელიც IV საუკუნიდან მოყოლებით V საუკუნემდე გრძელდებოდა. ესეც მონების, კოლონების და ყველა ჩაგრულ ელემენტთა მოძრაობა იყო; ისინი თავიანთი ბატონების წინააღმდეგ ჯანყდებოდნენ. ყველა ეს აჯანყება, დროდადრო რომ იფეთქებდა ხოლმე, არყევდა იმპერიის შინაგან წყობილებას, და ხელი შეუწყო შემდგომში რომის ტერიტორიების დაპყრობას ბარბაროსების მიერ. ამნაირად მონათა რევოლუცია შიგნით გამოდის ბარბაროსების დამპყრობლობასთან კავშირში.

დაპყრობილ ხალხთა ოპოზიცია. რომი ძალდატანებით აერთიანებდა და უმორჩილებდა თავის ძალაუფლებას მის მიერ დაპყრობილ მთელ რიგ ხალხებს. საინტერესოა ერთი წყარო, ეგრეთწოდებული „სივილას ორაკულები“; იგი ახასიათებს იმ დამოკიდებულებას გაბატონებული რომისადმი, რომელიც წარმოიშვა ამ დაპყრობილ ხალხთა შორის. „სივილას ორაკულები“ — არის სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი პოლემიკური და აპოკალიპსური ლექსების კრებული, დაწერილი სხვადასხვა დროს ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ სამ საუკუნეში. პირველ ჭოვლისა, მასში გამოსჩანს ქალაქ ალექსანდრიაში, ეგვიპტეში მცხოვრებ ელინურ ებრაელთა ფენების დამოკიდებულება რომისადმი.

„ვაი შენ, ფურიავ, შხამიან გველთა მეგობარო! — ეუბნება სიბილა რომს, —იყუჩე, ოდესღაც საზეიმო ხმებით მოცულო, ბილწო ქალაქო! ამიერიდან შენს ტაძრებში ახალგაზრდა ქალწულნი საღმრთო ცეცხლს აღარ გააღვივებენ. ამიერიდან შენს საკურთხევლებზე მსხვერპლს არვინ მიიტანს... შენ თავს ჩაჰკიდებ, გულზვიადო რომო! ცეცხლი გშთანთქამს შენ, შენი სიმდიდრენი გაჰქრებიან, მგლები და მელები გაიჩენენ ბუნაგს შენს ნანგრევებში; შენ გაპარტახდები, და ისე იქნება, თითქოს არც კი ყოფილიყვე!..“

ეს ნაწყვეტი ფრიად დამახასიათებელია. ის გვიჩვენებს, თუ რარიგ ფართოდ იყო გავრცელებული დაპყრობილ ეროვნებათა შორის სურვილი რომის დაღუპვისა. ასეთი გრძნობები გვაძლევენ იმის ახსნას, თუ რატომ იყო, რომ ბარბაროსებმა შედარებით ადვილად განახორციელეს დაპყრობა და ბარბაროსთა მხარეზე გადადიოდნენ თვით რომის იმპერიის მოსახლეობის დაბალი კლასები.

დიოკლეტიანეს და კონსტანტინეს რეფორმები. მოგვიანო რომის იმპერიის სოციალურ წყობაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად თვალსაჩინო ცვლილებები ხდებოდა სახელმწიფო წყობილებაშიც, რაც გამოისახა დიოკლეტიანეს და კონსტანტინეს რეფორმებში.

ამის წინა, III საუკუნის განმავლობაში, სახელმწიფო ხელისუფლებას დიდი მერყეობა ახასიათებდა. 235-დან 284 წლამდე 26 იმპერატორი გამოიცვალა, რომელთაგან მხოლოდ ერთი მოკვდა თავისი ბუნებრივი სიკვდილით.

დიოკლეტიანეს (285—305 წწ.) და კონსტანტინეს (323—337 წწ.) რეფორმების ამოცანას შეადგენდა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობის განმტკიცება სენატორთა მსხვილი მიწათმფლობელობის ინტერესების სასარგებლოდ და ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერება ამ მსხვილი მიწათმფლობელობის დასაცავად რევოლუციური მასებისაგან.

ადმინისტრატიული რეფორმები. პირველი ამოცანა იყო პროვინციების ნაცვალთა დასუსტება. გამოცდილებით დადასტურდა, რომ ძლიერი ნაცვალნი ოცნებობენ დამოუკიდებლობაზე, თვით იმპერატორის ძალაუფლების დაპყრობაზეც. ასეთ შესაძლებლობათაგან თავის დასაცავად საჭირო იყო, ჯერ-ერთი, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და, მეორეც, ნაცვალთა დასუსტება, ხოლო ამისათვის საჭირო იყო პროვინციების დაწვრილება.

ამ მიზნით გატარებულ იქნა იმპერიის დაყოფა ოთხ ნაწილად ორი ავგუსტით და ორი კეისარით სათავეში, მათი თანაშემწე — პრეფექტებითურთ. დიოკლეტიანეს აზრით, ამ ორი ავგუსტიდან თვითეული ნიშნავდა თავისთვის კეისარს, როგორც თანაშემწეს, ისე, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ეს კეისარი უშუალოდ შეუდგებოდა ავგუსტის მოვალეობის აღსრულებას. ამით დიოკლეტიანე ფიქრობდა თავიდან აეცილებინა იმპერატორთა წამოყენებისას შემთხვევითი გარემოებანი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომების დროს III საუკუნეში, და უზრუნველეყო სახელმწიფო ხელისუფლების უფრო შეტი სიმტკიცე. იმპერიის ამ ოთხ ნაწილს ეწოდებოდა: 1) აღმოსავლეთი, რომელიც მოიცავდა აზიას, ეგვიპტეს, თრაკიას; 2) ილირია, რომელშიაც შედიოდა მაკედონია და საბერძნეთი; 3) იტალია, რომელშიც შედიოდა საკუთრივ იტალია, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთი მხარე და აფრიკა, და ბოლოს, 4) გალია, რომელიც მოიცავდა საკუთრივ გალიას, ესპანეთს, ბრიტანეთს და მავრიტანიას, ე. ი. აფრიკის უკიდურეს დასავლეთს. ასე იყო იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს. კონსტანტინეს დროს ძალაუფლება კვლავ ერთადერთი იმპერატორის ხელში გადავიდა, ამასთან იმ ოთხ ნაწილს, რომლებადაც დაყოფილ იქნა იმპერია, პ რ ე ფ ე ქ ტ უ რ ე ბ ი ს სახელწოდება მიეცა.

პრეფექტურები იყოფოდა 12 (უფრო გვიან 14) დ ი ო ც ე ზ ა დ ქორეპისკოპოსებით სათავეში. დამახასიათებელია, რომ ქორეპისკოპოსები არ ექვემდებარებოდნენ პრეფექტებს, არამედ მათ გვერდის ავლით უშუალოდ იმპერატორს ექვემდებარებოდნენ. ეს შემოღებული იყო იმ მიზნით, რათა ერთგვარი კონკურენცია შეექმნათ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პრეფექტთაგანი განიზრახავდა აჯანყების ან შეთქმულობის მოწყობას იმპერატორის წინააღმდეგ, ყოველ ქორეპისკოპოსს, რომელსაც ახლა იმპერატორთან უშუალო ურთიერთობის უფლება ჰქონდა, შეეძლო დროულად მიეწოდებინა ცნობა საფრთხის შესახებ. ამნაირად წესდებოდა ურთიერთ ჯაშუშობა ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესთა სასარგებლოდ.

დიოკეზები შედგებოდა პ რ ო ვ ი ნ ც ი ე ბ ი ს ა გ ა ნ; თვითეულ პროვინციაში არსებობდა მუნიციპიები, ცალკეული ქალაქები ოლქებით, რომლებიც ატარებდნენ „პაგების“ სახელწოდებას. „Pagus“ — ტერმინია, რომელსაც

ხშირად ვხვდებით შუა საუკუნეების ეპოქაში ადმინისტრატიული ოლქების აღნიშვნის დროს.

ამრიგად, პროვინციათა მოცულობის შემცირება და მათ ნაცვალთა როლის შესუსტება — ესაა დიოკლეტიანეს და კონსტანტინეს რეფორმების პირველი ამოცანა.

იგივე ამოცანა უნდა შეესრულებინა სამხედრო ხელისუფლების გამოყოფას სამოქალაქოსაგან, რასაც ადგილი ჰქონდა, უმთავრესად, იმპერიის საზღვრებზე. იქ დაყენებული იყვნენ განსაკუთრებული სამხედრო ხელისუფალნი, ეგრეთწოდებული duces. კონსტანტინეს დროს ცალკეულ პროვინციებსა და პრეფექტურებში დაწესებული იყო აგრეთვე სამხედრო უფროსთა თანამდებობები (magistri militum).

ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაცია. დასასრულ, გაძლიერებულ იქნა ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაციაც. იმპერატორის დროს ჩამოყალიბდა მუდმივი საბჭო, რომლის ხელშიც გადავიდა იმპერიის ყველა საქმის გადაწყვეტა. ეს იყო ეგრეთწოდებული consistorium principis, რომლის სხდომებშიაც მონაწილეობას იღებდნენ იმპერიის უმაღლესი მაგნატები. იმპერატორის დანიშვნით. დაწესდა ცალკეულ „მინისტრთა“ თანამდებობებიც. თავისებური კანცლერი, რომელსაც ეწოდებოდა comes et quaestor sacri palatii, აწარმოებდა ახალი კანონების გამომუშავებას და იმპერატორის განკარგულებათა გამოცემას. იმპერატორის საუფლისწულო მამულთა „სამინისტრო“, რომლის სათავეშიც იდგა comes rerum privatarum, განაგებდა საუფლისწულო მამულებს, ე. ი. საიმპერატორო მიწებს, და ყოველგვარ საიმპერატორო ქონებას. ფინანსთა „მინისტრი“ — comes sacrarum largitionum — განაგებდა იმპერიის ხაზინას, დაბოლოს, არსებობდა თავისებური შინაგანი და გარეშე საქმეთა „სამინისტრო“. მის მეთაურს ეწოდებოდა magister officiorum-ს ეკუთვნოდა უმაღლესი საპოლიციო მეთვალყურეობა იმპერიაში, რაც ხორციელდებოდა ჯაშუშთა მთელი ორგანიზებული ქსელის დახმარებით, რომელთაც ეწოდებოდა curiosi.

ბიუროკრატია. დაარსებულ იქნა მოხელეთა ბიუროკრატიული წოდება, რომელიც იმპერატორის ხელისუფლების დასაყრდენი უნდა ყოფილიყო. მრავალროცხოვან საიმპერატორო კანცელარიებში სამსახური უმაღლეს თანამდებობებზე და სენატორთა და მხედართა წოდებაში მოხვედრის შესაძლებლობას იძლეოდა. გამომუშავებულ იქნა ხარისხების ცხრილი, რომელშიც ვრცლად იყო აღწერილი სხვადასხვა ხარისხი და ტიტული, წვრილიდან უმაღლეს მოხელეებამდე.

ამგვარად ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი ბიუროკრატია, ახალი გაბატონებული ფენა იმპერიაში, რომელიც ეწეოდა მექრთამეობას და მოსახლეობის აშკარა ძარცვას. იგი ახლა მეტოქეობას უწევდა ძველ გაბატონებულ ფენას — მსხვილ სენატორებს, მაგნატ-მიწათმფლობელთ, და თვითონ თავისი ზედაფენით თანდათანობით ითქვიფებოდა ამ გაბატონებული მსხვილი მიწათმფლობელობისა და მონათმფლობელობის კლასში. გაძლიერდა და ამაღლდა თვით იმპერატორის ხელისუფლებაც. ქვეშევრდომებში მეტი პატივისცემის დასანერგად შემოღებულ იქნა მდიდრული ცერემონიალი, იმპერატორი იწყებს მდიდ-

რულად მორთვას, თავზე იდგამს დიადემას. იგი ღებულობს ტიტულს „dominus“ — ბატონი, იმპერიის მოსახლეობას კი ეწოდება მისი ქვეშევრდომები subiecti. ხდება იმპერატორის პიროვნების გაღმერთება ქრისტიანობის დროს, ისევე როგორც წინათ წარმართობის დროს. გარდა ბიუროკრატიისა, იმპერატორის ხელისუფლებას ქრისტიანული ეკლესიის სახით ახალი დასაყრდენი უჩნდება.

ქრისტიანული ეკლესია. კონსტანტინეს დროიდან ქრისტიანობა ჯერ აღიარებულ რელიგიად იქცევა თანაბრად წარმართობისა (როგორც ეს დაწესებულ იქნა მილანის ედიქტით 313 წ.), შემდეგ კი ერთადერთ სახელმწიფო რელიგიად. ეკლესიის მეთაური ფაქტიურად იმპერატორი იყო. მისი კონტროლით ტარდება ეკლესიის მართვა, იწვევენ საეკლესიო კრებებს. ქრისტიანული რელიგიის ხასიათი იცვლება. ოპოზიციური კლასების რელიგიიდან, „ღარიბთა, შაშვრალთა, მონათა და განკიცხულთა“ რელიგიიდან ქრისტიანობა იქცევა ისეთ რელიგიად, სადაც საეკლესიო ორგანიზაციაში მდიდრები ბატონობენ. წინანდელი მარტივი წყობის ნაცვლად იქმნება საეპისკოპოსო წყობა, გამოიყოფა თანამდებობათა—დიაკონთა და მნათეთა — მთელი იერარქია, რომელთა სათავეში სდგანან ეპისკოპოსები. ამასთანავე ერთად ქრისტიანული იდეოლოგია სულ უფრო და უფრო იქცევა ისეთ იდეოლოგიად, რომელიც აკურთხებს შონათმფლობელური საზოგადოებისა და სახელმწიფო ცენტრალიზაციის არსებობას. იგი ცდილობს უზრუნველყოს მოსახლეობის მორჩილება უმაღლესი ხელისუფლებისადმი. ცდილობს რა შეაჩეროს ხალხთა მასების გარეოლუციურება, ქრისტიანული ეკლესია სახალხო მოძრაობას წარმართულ დარბევათა კალაპოტით წარმართავს (წარმართული ტაძრებისა და ბიბლიოთეკების, მაგალითად, ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკის დანგრევა IV საუკუნის დამლევს). ამ დროიდან ოპოზიციური და რევოლუციური მიმდინარეობანი თანდათან მწვალებლობათა (არიანობა, ნესტორიანობა, დონატიზმი და სხვ.) ფორმას ღებულობენ.

არმია. დამორჩილების მეორე იარაღს ცენტრალური ძალაუფლების ხელში წარმოადგენს არმია, რომელსაც აგრეთვე დიდი ყურადღება ეთმობა დიოკლეტიანეს რეფორმებში. არმიის ყველაზე ბრძოლისუნარიანმა ნაწილმა შეადგინა ქვეყნის შიგნით განლაგებულ, ეგრეთწოდებულ comitatenses, რჩეული რაზმების, კადრები. ცხადია, მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ყოველგვარი შინა-მოძრაობის, პირველ რიგში მონებისა და კოლონების განუწყვეტელი რევოლუციური გამოსვლების, ჩახშობა. დანარჩენი რაზმების განლაგება ხდებოდა მოსაზღვრე ოლქებში მიწაზე მოკალათებულ სამემკვიდრეო — სამხედრო-ახალმოსახლეთა (limitanei) სახით. დაბოლოს, გაუქმებული პრეტორიანთა გვარდიის ნაცვლად, რომელიც წინათ აქტიურ როლს ასრულებდა ყოველ საშინაო გადატრიალებაში, ჩამოყალიბებულ იქნა ეგრეთწოდებულ palatini-თა რაზმები, რომლებიც კარის უშუალო განკარგულებაში იმყოფებოდნენ. გადიდებულ იქნა ხარჯები არმიაზე, გადიდდა ლეგიონთა რიცხვი, ამაგრამ ამასთანავე ერთად მოხდა ლეგიონთა დაწვრილება, რათა ისინი უფრო მოძრავი გაუხადით და მეთაურთა შემადგენლობის ხელში არ მოექციათ მეტად

დიდი ძალაუფლება. ლეგიონის შემადგენლობა 5 ათასი კაციდან 2 და 1 ათას კაცამდე შემცირდა.

ამასთანავე ერთად ამ ეპოქაში მატულობს იმ დამხმარე რაზმების მნიშვნელობა, რომლებსაც ბარბაროსებისაგან, ე. ი. უცხო ტომის ხალხთაგან, არარომაელებისაგან და არაბერძნებისაგან, ადგენდნენ. IV საუკუნიდან იმპერია თავს იცავს ბარბაროსებისაგან, უმთავრესად, თვით ბარბაროსთა შორის შეგროვილ რაზმთა დახმარებით.

ბარბაროსები არმიაში გაჰყავდათ შემდეგი პირობებით. ერთი მხრივ, ისინი იყვნენ ფ ე დ ე რ ა ტ ე ბ ი, ანუ მოკავშირეები, რომლებთანაც სახელმწიფო სდებს ხელშეკრულებას სამხედრო რაზმების მიწოდებაზე. ეს სამხედრო რაზმები ჩვეულებრივ თავსდებოდნენ იმპერიის ტერიტორიაზე სადგომად, ისე რომ მიწათმფლობელი გამოყოფდა სახლის და თავისი შემოსავლის მესამედს მასთან სადგომად დაყენებულ მხედართა შესანახად (არკადისა და ჰონორის 398 წლის ედიქტი).

სამხედრო სამსახურის მეორე ფორმას წარმოადგენდნენ დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ უ ლ ნ ი, dedititii. პირველებთან (ფედერატებთან) იდებოდა სამოკავშირეო ხელშეკრულება, მეორენი კი ითვლებოდნენ იმპერიის მიერ დამარცხებულებად. მათ ურიგებდნენ ნაკვეთებს, მეტწილად მოსაზღვრე ოლქებში. მათ შორის ახდენდნენ ჯარისკაცთა შეკრებას დამხმარე რაზმებისათვის.

საგადასახადო რეფორმები. მთელი ქვეყნის ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭირო იყო ნატურალური ხასიათის მიცემა აგრეთვე მთელი სახელმწიფო მეურნეობისათვის. არმიამ თავის რჩენა დაიწყო უშუალოდ მოსახლეობის მიერ მიწოდებული პროდუქტებით. ჯარისკაცთათვის შედგენილ იქნა განსაკუთრებული ულუფები (annona), რომლებიც შესდგებოდა პურისა, ხორცისა, მარილისა, ღვინისა, ზეთისხილისა და ძმრისაგან. ასევე დაწესებულ იქნა განსაკუთრებული ულუფები შესანახად. ულუფათა რაოდენობა დიდდებოდა ხარისხების ტაბელში აღნიშნულ აღმატებასთან ერთად. ჯარისკაცები იღებდნენ ერთ ულუფას, მეთაურთა შემადგენლობა კი ღებულობდა ასეთ ულუფათა დიდ რაოდენობას.

ნატურალურ რჩენაზე გადაყვანილ იქნა მოხელეობაც. მისთვისაც აგრეთვე დამტკიცებულ იქნა განსაკუთრებული ულუფები (annonae, capita), რომლებშიც, სურსათსანოვაგის გარდა, შედიოდა ტანსაცმელის, ვერცხლის, ჭურჭლეულის განსაზღვრული რაოდენობა და მხევლებიც კი. ამასთან მოხელეებს აძლევდნენ აგრეთვე ფულსაც.

არმიისა და მოხელეთა შენახვის უზრუნველსაყოფად დიოკლეტიანემ 297 წელს გაატარა საგადასახადო რეფორმა, რომლის ძალით გადასახადთა გადახდევინება დაწესებული იყო ნატურალური ფორმით. მთელს იმპერიაში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა. წინათ გადასახადს იხდიდნენ მხოლოდ პროვინციები, იტალია განთავისუფლებული იყო გადასახადისაგან; ახლა გადასახადები იმპერიის მთელ მოსახლეობას უნდა გადაეხადა, გარდა ქალაქ რომის მოსახლეობისა. შემოღებულ იქნა საადგილ-მამულო კადასტრი, ყველა მიწების აღწერა იმპერიაში, რაც ყოველ 5 წლის განმავლობაში მეორდებოდა. დაწესებულ იქნა განსაკუთრებული საგადასახადო ერთეული — caput, და თვი-

თეულ საქალაქო ოლქს დაეკისრა ასეთ საგადასახადო ერთეულთა განსაზღვრული რაოდენობა. სირიაში, მაგალითად, ერთი ასეთი საგადასახადო ერთეულით იბეგრებოდა 5 იუგერი ვენახი, ან პირველი კატეგორიის ნახნავის 20 იუგერი, ან პირველი კატეგორიის 225 ზეთის ხე. მუშა საქონელი და მუშა ხელი — მონები, კოლონები — აგრეთვე იბეგრებოდნენ საყოველთაო გადასახადით. ამგვარად ეს საადგილმამულო გადასახადი ეფარდებოდა საყოველთაო გადასახადს მუშა ხელზე. ვაჭრებსა და ხელოსნებზე მოდიოდა განსაკუთრებული ფულადი გადასახადი (lustralis collatio), იმპერატორ კონსტანტინეს მიერ შემოღებული. შედგენილ იქნა სიები, რომლებიც თვითეული ვაჭრისა და ხელოსნისათვის აწესებდნენ დასაბეგრი თანხის ოდენობას. იმპერიის მოსახლეობისათვის შემოღებულ იქნა აგრეთვე სხვადასხვაგვარი ნატურალური გადასახადები, მაგალითად, მოსახლეობის მიერ სახელმწიფო მაღაზიებში სხვადასხვა ნატურალური შესატანების მიტანა, აგება და შეკეთება ხიდებისა და გზების, იმპერატორთა სასახლეების აგება.

მოგვიანო რომის იმპერიის დახასიათება ენგელსის მიერ. „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობაში“ ენგელსი იძლევა ამ პერიოდის რომის იმპერიის შემდეგ დახასიათებას:

„უზარმაზარი ტერიტორიის ურიცხვი მოსახლეობის მასას მხოლოდ ერთი ძალა აკავშირებდა, რომის სახელმწიფო, იგი კი ყამთა მსვლელობაში უბოროტეს მტრად და მჩაგვრელად იქცა. პროვინციებმა გაანადგურეს რომი; თვით რომი პროვინციულ ქალაქად იქცა სხვა ქალაქებივით; მართალია, მას უპირატესობანი ჰქონდა, მაგრამ ის აღარ ბრძანებლობდა, მსოფლიო იმპერიის ცენტრს აღარ წარმოადგენდა, არც იმპერატორების და მათი მოადგილეების სატახტო ქალაქი იყო, ისინი უკვე კონსტანტინეპოლსა, ტრირსა, მილანოში ცხოვრობდნენ. რომის სახელმწიფო უზარმაზარ რთულ მანქანად იქცა. მისი დანიშნულება ქვეშევრდომთა სისხლის გამოწოვა იყო. გადასახადებმა, სახელმწიფო ბეგარამ, ყოველგვარმა გამოსაღებმა თანდათან გააღატაკეს მოსახლეობის მასა: ტვირთი აუტანელი გახდა ადგილობრივი მმართველობისა, ხარკთამკრეფლებისა, ჯარისკაცების ძალმომრეობის წყალობით. აი სად მივიდა რომის სახელმწიფო თავისი მსოფლიო ბატონობითურთ: იგი თავისი არსებობის უფლებას იმით ასაბუთებდა, რომ შიგნით წესიერებას ვამყარებ, ხოლო გარედან ბარბაროსებს ვიგერიებო. მაგრამ მისი წესიერება უარესი იყო, ვიდრე უსაშინელესი უწესობა, ხოლო ბარბაროსებს, რომელთაგანაც იგი ვითომდა მოქალაქეებს იცავდა, ეს უკანასკნელნი თავიანთ მხსნელებად სთვლიდნენ“.[1]

ჩვენ უკვე დავინახეთ, როგორ გამოუვალ ჩიხში მოექცა რომის სამყარო მისი ანტიკური მონობით. ენგელსი ამბობს, რომ „მონობა ეკონომიურად შეუძლებელი გახდა, თავისუფალი ადამიანების შრომა ზნეობრივად უარყოფილი იყო. პირველს ამიერიდან აღარ შეეძლო საზოგადოებრივი წარმოების ძირითად ფორმად დარჩენილიყო, მეორეს ჯერ არ შეეძლო ასეთ ფორმად გამხდარიყო. აქ მხოლოდ ყოველმხრივს რევოლუციას შეეძლო საქმის შველა“.[2]

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. გვ. 150.
[2] იქვე, გვ. 152.

ასეთი იყო მონების ის რევოლუცია, რომელმაც მოახდინა მონათმფლობელობის ლიკვიდაცია. როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, „არაროომაელები, ე. ი. ყველა „ბარბაროსები“, გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და სწრაფად დაამხეს რომი“ (ს ტ ა ლ ი ნ ი).

საჭიროა გავეცნოთ ბარბაროსთა იმ პერიფერიას, რომელმაც ესოდენ გადამწყვეტი როლი შეასრულა რომის იმპერიის დაღუპვაში.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса“, т. V, стр. 5—20). — ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. — Энгельс, Бруно-Бауэр и раннее христианство, Соч., т. XV.—Энгельс, Из истории раннего христианства, Соч., т. XVI, ч. II. — Энгельс. К истории древних германцев. Соч., т. XVI, ч. II.

II. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. I, 1897, стр. 2—48. — Виноградов, Происхождение феодальных отношений в лангобардской Италии, гл. I, М. 1880. — Петрушевский, Очерки из истории средневекового общества и государства, разн. изд., очерк I.—Фюстель де-Куланж, Римский колонат, 1908.

თ ა ვ ი II

ძველი კელტები. გერმანელები და სლავები

ევროპის უძველესი მოსახლეობა. ბარბაროსთა სამყარო, რომელთანაც უხდებოდა შეხლა-შემოხლა რომის სახელმწიფოს, დასავლეთ ევროპის ფარგლებში თავის შემადგენლობაში შეიცავდა კელტების, გერმანელებისა და სლავების მრავალრიცხოვან ტომებს, და აგრეთვე უფრო ძველი ეთნიური წარმოშობის ტომებს, რომელთაც შეინარჩუნეს თავიანთი ძველი ენები და საზოგადოებრივი ყოფაცხოვრება და რომელნიც ჯერ კიდევ დასავლეთ ევროპაში ინდო-ევროპული ენობრივი წყობის ტომების (კელტების, გერმანელების, სლავების) გამოჩენამდე ჩამოყალიბდნენ.

ევროპის ამ ძველისძველი მოსახლეობიდან, რომელიც ლაპარაკობდა ენობრივი განვითარების ,ინდო-ევროპულის წინანდელი — იაფეტური — სტადიის ენებზე, ჩვენს დრომდე შემონახულია მხოლოდ თანამედროვე ჩრდილო-ესპანეთისა და სამხრეთ-საფრანგეთის (გასკონი) პირენეისპირა მოსახლეობის ბასკური ენები. რომის ეპოქაში ამ უძველესი ტომების დასახლება გაცილებით უფრო ვრცელ არეს მოიცავდა. იბერები, რომელთა ჩამომავალნი არიან თანამედროვე ბასკები, ესპანეთის და, ალბათ, სამხრეთ გალიის (აქვიტანია) მომეტებულ ნაწილში მოსახლეობდნენ; სამხრეთ-აღმოსავლეთ გალიაში, და ჩრდილო იტალიისა და დასავლეთ ალპების მოსაზღვრე ოლქებში ცხოვრობდნენ ლიგურთა ტომები, რომლებიც უძველესი ცნობებით ადრინდელ ეპოქებში დასავლეთ ევროპის უფრო ვრცელ ტერიტორიებზე მოსახლეობდნენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საერთოდ ამ უძველესი ტომების მიერ დასახლებული ოლქები რომის ეპოქაშიც გაცილებით უფრო ვრცელი იყო, ვიდრე ამას ანტიკური ლიტერატურული წყაროები აღნიშნავდნენ.

1. ძველი კელტები

კელტების დასახლება. კელტები, რომელნიც ენობრივის მხრივ განვითარების იაფეტური სისტემიდან ინდო-ევროპულზე გარდამავალ სტადიას წარმოადგენდნენ იულიუს ცეზარის მოწმობით, რესპუბლიკისა და რომის იმპერიის დასასრულის ეპოქაში გალიაში, ამ ქვეყნის ცენტრალურ ოლქებში, მდინარეების ლუარისა და სენის აუზში ცხოვრობდნენ, მაშინ როდესაც ქვეყნის სამხრეთი ეკავათ იბერული წარმოშობის აქვიტანელებს, ხოლო ჩრდილოეთი—

ბელგებს; ამ უკანასკნელთა ეთნიურ წარმოშობაში ბერძნები და რომაელები ვერ ერკვეოდნენ და მათ ხან კელტებს, ხან გერმანელებს უწოდებდნენ. ესპანეთში კელტები ცხოვრობდნენ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მაშინ როდესაც ქვეყნის ცენტრში შერეული წარმოშობის ტომები — კელტიბერები მოსახლეობდნენ. დასასრულ, ირლანდიასა და ბრიტანეთში, კელტები, როგორც სჩანს, ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ და მრავალრიცხოვან ტომებად იყოფოდნენ. კელტები თავდაპირველად რაინისა და დუნაის სათავეებში (გელვეტები) და აგრეთვე ბოჰემიასა (ბოიები) და მის მოსაზღვრე ქვეყნებში ცხოვრობდნენ; აქედან ისინი თავს ესხმოდნენ მეზობელ ოლქებს და იქ სახლდებოდნენ კიდეც. მაგალითად, მდინარე პოს ხეობაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და თვით მცირე აზიაშიც.

კელტთა ტომები, ჩვენის ფიქრით, ეკუთვნოდნენ ორ ძირითად ჯგუფს: ეგრეთწოდებულ გალელთა ჯგუფს, რომელსაც შეიძლება მივაკუთვნოთ ირლანდიისა და შოტლანდიის ტომები, და კიმვრთა (ბრიტთა) ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნოდნენ უელსისა და კორნფელსის ვალიელები და ბრიტანეთის ბრიტები, აგრეთვე კელტები ბრეტანისა, რომელთაც ჩვენს დრომდე შეინარჩუნეს თავისი ბრეტონული ენა. დანარჩენი გალიის კელტთა ენა ჩვენთვის ნაკლებად ცნობილია.

გალიის კელტები რომამდელ და რომის პერიოდებში. ყველაზე უკეთ ცნობილი არიან ჩვენთვის გალიის კელტები იმ ცნობების წყალობით, რასაც მათ შესახებ გვაწვდის იულიუს ცეზარი. რომის დაპყრობათა ეპოქისათვის კელტებს ემჩნეოდა ბარბაროსობიდან კლასობრივი საზოგადოების დასაწყის სტადიებზე გადასვლა, მაგრამ გვაროვნული წყობის ჯერ კიდევ ძლიერი გადანაშთებით. კელტების უძველესი საზოგადოებრივი ფორმა იყო გვაროვნული თემი, რომელიც ჯერ კიდევ დიდხანს შემონახული იყო ზოგიერთ კელტურ ოლქებში, მაგალითად, ირლანდიასა, უელსსა, შოტლანდიასა და ნაწილობრივ ბრეტანში. გალიაში I საუკუნის ნახევარში ჩვენს ერამდე, იულიუს ცეზარის დროისათვის, პირველყოფილი გვაროვნული თემი უკვე დაშლის გზაზე იდგა. მასში გამოიყოფა საგვარტომო დიდკაცობის ზედაფენა, რომელიც ცეზარის სიტყვით, მხედართა (equites) სახელწოდებას ატარებდა. ეს მხედრები ფლობდნენ უფრო მსხვილ საადგილ-მამულო ნაკვეთებს, რომლებსაც ისინი მონების შემწეობით ამუშავებდნენ, და აგრეთვე საქონლის დიდ ჯოგებს. გვაროვნული თემის მეორე პოლუსზე გამოიყოფა გაღატაკებული ხალხი, რომელსაც ცეზარი პლებს უწოდებს. ისინი ამბაქტების, ანუ კლიენტების სახით მსხვილ მიწათმფლობელებთან და მეჯოგეებთან დამოკიდებულებაში შედიან. ამბაქტები ხშირად ღებულობენ სესხს საქონლის სახით, უხდიან ღალას თავის ბატონს და იხდიან სხვადასხვა ბეგარას, მათ რიცხვში სამხედრო ბეგარასაც, შედიან რა ბატონის რაზმის შემადგენლობაში. ამბაქტებს ეკუთვნოდნენ სხვა ადგილებიდან მოსულნიც, რომელთაც გაწყვეტილი ჰქონდათ კავშირი თავის გვაროვნულ გაერთიანებებთან და ესახლებოდნენ ცარიელ მიწებზე. ისინიც შედიოდნენ იმ საგვარტომო დიდკაცობისაგან დამოკიდებულებაში, რომელიც სულ უფრო და უფრო იხვეშდა ძალაუფლებას და გავლენას გალიაში. კელტთა საზოგადოების ამ ბელადთა გარშემო ჯგუფდებიან თა-

ვისი ბელადებისადმი ერთგული მუდმივი რაზმები. თავისი ბელადისადმი ასეთ ერთგულრაზმელთა (soldurii) წარმოშობა სრულიადაც არ წარმოადგენს მხოლოდდამხოლოდ გერმანული სიძველის თავისებურებას, როგორც ამას ამტკიცებენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გერმანელი ისტორიკოსები.

კელტთა საზოგადოებაში დიდკაცობა თავის ძალაუფლებას უყოფდა ქურუმებს, ეგრეთწოდებულ დ რ უ ი დ ე ბ ს. ისინი შეადგენდნენ განსაკუთრებულ ქურუმთა ორგანიზაციას და იკრიბებოდნენ განსაკუთრებულ ყრილობებზე ცენტრალურ გალიაში. გარდა ქურუმთა ფუნქციებისა, ისინი ასრულებდნენ აგრეთვე სამოსამართლო ფუნქციებსაც, სწყვეტდნენ ტომებს შორის წარმოშობილ სხვადასხვა კონფლიქტებს.

კელტები იყვნენ მობინადრე მიწათმოქმედნი, თუმცა მათში მესაქონლეობაც ძალზე განვითარებული იყო. ისინი ცხოვრობდნენ მრავალრიცხოვანი გარე მეურნეობებით გარემოცულ სოფლებად და თავის განკარგულებაში ჰქონდათ გამაგრებული თავშესაფარები, სადაც იკრიბებოდნენ მტრის თავდასხმის დროს. ამ თავშესაფარებში მცირე მუდმივი მოსახლეობაც იყო სხვადასხვაგვარ წვრილ ხელოსანთა სახით. ჩვეულებრივ ასეთ გამაგრებულ ადგილებში დასახლებას ამჯობინებდნენ მჭედლები, რომლებიც ამზადებდნენ იარაღს. ეს გამაგრებული ადგილები (oppida) წარმოადგენდნენ კულტის და აგრეთვე პრიმიტიული, იმ დროს ძალიან სუსტად განვითარებული ვაჭრობის ცენტრებს.

ძველი კელტები ცხოვრობდნენ ცალკეულ ტომებად, რომლებიც შეადგენდნენ ტომობრივ კავშირებს, ეგრეთწოდებულ „civitates", რომელთა გაერთიანება ჯერ კიდევ მეტად არამყარი იყო. ცალკეული ტომობრივი ქვედანაყოფები, რომლებიც საგრძნობწილად ჯერ კიდევ გვაროვნულ ხასიათს ატარებდნენ, ერთგვარ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. ტომობრივი კავშირის სათავეში იდგა დიდებულთა კრება, რომელსაც იულიუს ცეზარი სენატს უწოდებს. ეს „სენატი" თავისი წრიდან გამოჰყოფდა სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირთ. კელტთა სახელმწიფოს ჩასახვა რომ უკვე იწყებოდა, ამას მოწმობს მუდმივი სახელმწიფო გადასახადების წარმოშობა.

თუ რა დონეს აღწევდა ამ გალთა საზოგადოებაში კლასების წარმოქმნის პროცესი, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ, მაგალითად, ცეზარის მიერ მოხსენიებული ჰელვეცთა ბელადი ორგეტორიქსი (ჰელვეცია— ჩრდილო შვეიცარია) თავისთან ითვლიდა 10 ათასამდე მონას და მისგან დამოკიდებულ დანარჩენ ხალხს. ამგვარად, გალთა დიდკაცობის ცალკეულ წარმომადგენელთა მეურნეობა მეტად დიდი მოცულობისა იყო. გვაროვნული დიდკაცობის ამ „მდიდართა" შორის ფეხს იკიდებს ერთპიროვნული ხელისუფლებისადმი მისწრაფება სახელმწიფოში. ვითარდება სოციალური ბრძოლა, რომელიც ნაწილობრივ მოგვაგონებს იმას, რაც ძველბერძნულ ტირანიებს სჩვევია. ისახებოდა აგრეთვე სხვადასხვა კავშირებისა და ტომების უფრო ვრცელი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები ცალკეული ტომებით სათავეში. კელტთა ყველა ტომებს შორის ჰეგემონია თავდაპირველად არვერნებს ჰქონდათ, შემდგომ კი გალიაში ჰეგემონიისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ ედუები

და სეკვანები. უკანასკნელებმა დაიქირავეს კიდეც თავის თვისტომთა წინააღმდეგ რაზმების გერმანელი ბელადი არიოვისტი.

რომის მიერ დაპყრობამ დააჩქარა კლასთა წარმოქმნის პროცესი და დაამთავრა კელტთა საზოგადოების კლასიკურ მონათმფლობელურ საზოგადოებად გარდაქმნა; არსებითად სწორედ ასეთ პროცესამდე მივიდა ეგრეთწოდებული „რომანიზაცია"; იგი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა გალიის უფრო სამხრეთ ნაწილებში, მაშინ როდესაც ჩრდილოეთის ტყეებში ჯერ კიდევ დიდხანს იყო შემონახული უფრო პრიმიტიული საზოგადოებრივი ურთიერთობაც და უფრო ძველი გალური დიალექტებიც, რომლებიც ლათინური ენის გავლენის ქვეშ არ მოქცეულან. გალთა oppida, გამაგრებული პუნქტები რომის ტიპის მუნიციპალური თვითმართველობის მქონე ქალაქებად იქცნენ და რომის გზების ქსელით შეუერთდნენ ერთმანეთს. ალმოცენდა მონების ექსპლოატაციასთან დაკავშირებული მსხვილი საადგილმამულო საკუთრება. რომის იმპერიის დასასრულს გალიაში, ისე როგორც სხვა პროვინციებში, ვითარდება კოლონატი, ეწყობა რომის ტიპის ვრცელი ვილები — მამულები. ხდება გალთა მოსახლეობის არევა მოსულ რომაულ მოსახლეობასთან და იქმნება გალურ-რომანული ეროვნება განსაკუთრებული რომანული ენით.

გალია ამ დროისთვის იმავე კრიზისს განიცდის, რასაც მთელი რომის იმპერია. აქ ძალიან ხშირად ხდება დიდი აჯანყებები მონებისა და ბატონყმობის უღელში შებმულ გლეხობისა (ბაგაუდები). ეს აჯანყებები, გერმანელთა დაპყრობით ომებთან ერთად, არყევენ და შემდგომ V საუკუნის დამლევისათვის მთლიანად ამხობენ რომის ბატონობას გალიაში.

ბრიტანეთისა და ირლანდიის კელტები. ჩვენი ცნობები ბრიტანეთის კუნძულების, ირლანდიის (ძველი გიბერნიის) და ბრიტანეთის (ძველი ალბიონის) შესახებ ალექსანდრე მაკედონელის დროიდან (IV ს. ჩვენს ერამდე) მომდინარეობს. ამ კუნძულებზე მოსახლე კელტთა ტომები, რომელთა შორის უფრო ცნობილი ბრიტები იყვნენ, უკვე იცნობდნენ რკინას. მათ ქვეყანაში დიდიხნიდან წარმოებდა კალის დამუშავება, რის გამო ამ კუნძულებს ჯერ კიდევ ბევრად ადრინდელ ეპოქაში ფინიკიელები „კალის კუნძულებს" უწოდებდნენ. მაკედონიის ეპოქიდან შემონახულია ფულის საგანძურები; მათი მდებარეობა საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ძველის ძველი სავაჭრო გზა დუნაიზე, რაინზე, და შესაძლოა, ლუარაზეც, სენასა და რონაზე და ჩრდილოეთ ზღვაზე, რომელიც მაკედონიას შორეულ ბრიტანეთის კუნძულებთან აკავშირებს. ბრიტებს აგრეთვე ხმელეთის კელტებთანაც ჰქონდათ სავაჭრო კავშირურთიერთობა.

ბრიტანეთის კელტთა ყველა ტომისათვის დამახასიათებელია გვაროვნული წყობა პატრიარქალური გვარის სახით, რაც ჩვეულებრივ იწოდება ტერმინით კ ლ ა ნ ი. მაგრამ ჯერ კიდევ იულიუს ცეზარის დროს ბრიტანეთში დაცული იყო უფრო ადრინდელი, მატრიარქალური გვარის გადანაშთები; შემორჩენილი იყო პოლიანდრია, ანუ მრავალქმრიანობა, როცა რამდენიმე ძმას ერთი საერთო ცოლი ჰყავდა. ენგელსი უელსის, ირლანდიისა და შოტლანდიის უფრო მოგვიანო დროის ძეგლთა საფუძველზე არკვევს, რომ „კელტებში

წყვილადი ცოლქმრობა მეთერთმეტე საუკუნეში ჯერ სრულიადაც განდევნილი არ ყოფილა მონოგამიის მიერ".[1] ქალები ხმის უფლებით სარგებლობდნენ სახალხო კრებებზე. შოტლანდიის ძველ პიქტებში მეფის ხელისუფლება მემკვიდრეობით გადადიოდა ქალის ხაზით.

კელტებში განვითარებული იყო მიწათმოქმედება, მაგრამ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აღწევდა მესაქონლეობა. ჯარიმებს, რომელსაც სხვადასხვა ბრალეულობისათვის ახდევინებდნენ, ძროხების რაოდენობით განსაზღვრავდნენ. მიწათმოქმედებაში გაბატონებული იყო გადანაცვლების სისტემა, ამასთან მიწის დამუშავებას მეტწილად გვაროვნული ორგანიზაციები, როგორც სჩანს, მთელი კლანები აწარმოებდნენ; ნაწილს მიწისას ცალკეულ მეურნეობებს უყოფდნენ დამოუკიდებლივ დასამუშავებლად. უკვე იულიუს ცეზარის დროს ხდება ორი წოდების გამოყოფა, მსგავსად იმისა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა გალიაში: ქურუმთა წოდებისა, მსგავსად გალიის დრუიდებისა, და მხედრებისა — ტომობრივი დიდკაცობის, რომელიც რიგითი კელტებისაგან განსხვავებით, ჰომიროსის ეპოქის ძველ გმირთა მსგავსად, ჩვეულებრივ ეტლებით იბრძოდნენ.

გალიის დაპყრობის შემდეგ იულიუს ცეზარმა ორი ლაშქრობა მოაწყო ბრიტანეთში (55 — 54 წწ. ჩვენს ერამდე). იქით მას იზიდავდა ლეგენდარული ცნობები, თითქოს ბრიტანეთის კუნძულზე წარმოებს არა მხოლოდ კალის, არამედ ოქროს მოპოვებაცო. გარდა ამისა, რომაელთა ჯარები ისწრაფოდნენ იქითკენ იმისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი მონები წამოეყვანათ. 55 წლის პირველი ლაშქრობა ნაკლებ ხელსაყრელი იყო, სამაგიეროდ მეორე ლაშქრობა, 54 წ., წარმატებით დამთავრდა. მოპოვებულ იქნა დიდი გამარჯვება ბრიტანელ ტომთა კავშირის ბელადზე კასიველანზე, ტყვედ წამოიყვანეს მძევლები, რის შემდეგ იულიუს ცეზარი კონტინენტზე დაბრუნდა.

ამ დროიდან უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდა ბრიტანეთსა და გალიას შორის. გალთა ვაჭრებმა იწყეს უფრო ხშირი მიმოსვლა ბრიტანეთთან. იულიუს ცეზარის მიერ დამარცხებული გალთა აჯანყებულნი ხშირად თავს აფარებდნენ კუნძულებს, მაშინ როდესაც ტახტიდან ჩამოგდებული ცალკეულ ბრიტანელ ტომთა ბელადები ემიგრაციას ახდენდნენ გალიაში.

თვითონ ბრიტანეთის დაპყრობა რომის მიერ მოხდა იმპერატორ კლავდიუსის მეფობის დროს (ჩვენი ერის 43 წ.), თითქმის 100 წლის შემდეგ იულიუს ცეზარის ბრიტანეთში ლაშქრობიდან. დაპყრობა ნაკარნახევი იყო, უმთავრესად, რომაელ ვაჭართა და მევახშეთა ინტერესებით: ამ დროისათვის ბრიტანეთის ტომთა მრავალი ბელადი რომის სავახშო კაპიტალის ქსელში გახლართული აღმოჩნდა. მაგრამ ეს დაპყრობა ჯერ კიდევ არ იყო მტკიცე. მალე, 60-იან წლებში, ხდება ბრიტანელ ტომთა დიდი აჯანყება ერთ-ერთი ტომის დედოფლის ბოადიცეის, ანუ ბუდიკის წინამძღოლობით. ეს აჯანყება, რომელიც გამოწვეული იყო რომაელ ვაჭართა და მევახშეთა ჩაგვრით, ჩახშობილ იქნა, რის შემდეგ იწყება ბრიტანეთის შემდგომი დაპყრობა. განსაკუთრებით

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 134.

დიდ წარმატებებს რომაელებმა მიაღწიეს იმ დროს, როდესაც ბრიტანეთს გაბატონებდა აგრიკოლა, რომლის ბიოგრაფიაც დაწერილ იქნა მისი სიძის, საბელგამოჩენილი რომაელი ისტორიკოსის ტაციტის მიერ. ჩრდილოეთში მობინადრე ტომებისაგან თავის დასაცავად აგებულ იქნა ორი კედელი, არსებითად ორი გამაგრებული ხაზი: ეგრეთწოდებული ადრიანეს კედელი და, რამდენიმედ უღრო გვიან, ანტონინის კედელი.

ბერძნულ ლიტერატურაში დიდი დავა წარმოებდა იმის შესახებ, თუ რამდენად რომანიზებული იყო ბრიტანეთი. არქეოლოგიური მონაცემები გვიჩვენებენ, რომ კელტთა საზოგადოების მხოლოდ ზედაფენებმა ბრიტანეთში გადმოიღეს რომიდან მაღალი მატერიალური კულტურა, ამ საზოგადოების ქვედაფენების უდიდესი უმრავლესობა კი ისევ გვაროვნულ წყობილებაში განაგრძობდა ყოფნას. მაგრამ მაინც ცალკეულ ადგილებში ჩნდებოდნენ რომაული ბანაკები, რომლებიც შემდეგ ქალაქებად იქცეოდნენ ვაჭართა და ხელოსანთა მიერ მათ გარშემო დაარსებული ახალშენებით; ისინი დაიქსელენ რომაული გზებით. ინგლისის თანამედროვე მთელ რიგ ქალაქთა სახელწოდებას დაბოლოებად აქვს „ჩესტერი“ (მაგალითად, მანჩესტერი): სიტყვა „ჩესტერი“ წარმოიშვა რომაული სიტყვისაგან castrum (ბანაკი). ეს უკვე იმას მოწმობს, რომ კელტური წარმოშობის უძველესი ქალაქების გვერდით, როგორიცაა, მაგალითად, ლონდინიუმი (ლონდონი) ან ებორაკუმი (იორკი), ინგლისის მრავალი თანამედროვე ქალაქი ძველი რომაული ბანაკების საფუძველზე აღმოცენდა. რომაული წყობის ვილები, მამულები, რომელთაც არქეოლოგიური გათხრებით აღმოაჩენენ, აქ ძალიან იშვიათი იყო. ისინი, უმთავრესად სამხრეთ-აღმოსავლეთში მოიპოვებოდნენ. რომაელი ახალმოსახლენი — ვაჭრები, მრეწველები, განსაკუთრებით სამხედრო პირნი, — ბრიტანეთის საზოგადოების მხოლოდ ზედა, თხელ ფენას წარმოადგენდნენ.

კავშირი ბრიტანეთსა და რომის იმპერიის შორის ხმელეთიდან ფრანკთა და საქსთა ტომების თავდასხმების გავლენით თანდათან სუსტდება, განსაკუთრებით III საუკუნის დამლევიდან და IV — V საუკუნეების განმავლობაში. ბრიტანეთის დასაცავად ორგანიზებულ იქნა საზღვაო ძალები და დაარსდა უფროსის განსაკუთრებული თანამდებობა „საქსონიის ნაპირის“ (ე. ი. ლამანშის) დასაცავად. იმავე დროს მიეკუთვნება ახალი თავდასხმებიც ჩრდილოეთიდან — შოტლანდიის მხრივ, და დასავლეთიდან — ირლანდიის მხრივ.

სტილიხონის ალარიხთან ბრძოლის დროს კუნძულიდან რომაელი ჯარების გაყვანას შედეგად მოჰყვა თითქმის სრული გაქარწყლება რომაული კულტურის იმ თხელი ფენისა, რომელიც ბრიტანეთში დამკვიდრდა. ესაა ეგრეთწოდებული „კელტური აღორძინების“ ეპოქა ბრიტანეთში; იმავე დროს — ესაა ჩრდილოეთიდან სკოტების და ხმელეთიდან გერმანელების (საქსები, ანგლები, იუტები, ფრიზები) თავდასხმათა გაძლიერების ეპოქა. კელტები გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამ ეპოქიდან შემონახული ლეგენდები მამაცი „მეფის“ არტურისა და მისი „მრგვალი მაგიდის რაინდების“ შესახებ შემდეგში შუა საუკუნეთა ცნობილი რაინდული რომანის შინაარსად იქცნენ.

ბრიტანეთის დიდმა ნაწილმა ვერ გაუძლო ანგლო-საქსების იერიშებს და დამორჩილებულ იქნა; მხოლოდ დასავლეთი—უელსი, და აგრეთვე შოტლანდია

ჯერ კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ თავის დამოუკიდებლობას. მაგრამ კელტთა გვაროვნული წყობილება და თავისებური კელტური კულტურა განსაკუთრებით მტკიცედ ირლანდიაში იყო შემონახული. აქ მტკიცედ ფეხმოკიდებული იყო განსაკუთრებული ქრისტიანული ეკლესიაც კი, რომელიც არ ცნობდა თავის თავზე რომის ძალაუფლებას და კულტის თავისებურებებით განირჩეოდა. ირლანდიის მრავალრიცხოვან ზღაპრებში აღბეჭდილია ირლანდიელთა თქმულებანი მათი ძველი გმირების შესახებ.

2. ძველი გერმანელები

გერმანელ ტომთა წარმოშობა. ანტიკური წყაროები გერმანელებს ჩვეულებრივ უწოდებენ მთელ რიგ ბარბაროს ტომებს, რომლებიც მოსახლეობდნენ დუნაის ჩრდილოეთით სკანდინავიამდე და რაინიდან ვისლამდე. მაგრამ თავდაპირველად ამ ტერიტორიის სამხრეთი, და შესაძლოა, დასავლეთი ოლქებიც, კელტთა ტომებით იყო დასახლებული. გარდა ამისა, ძლიერ ეჭვს ჰბადებს გერმანელებისადმი იმ მრავალრიცხოვანი ლუგიელთა, ანუ ლიგიელთა, ტომების მიკუთვნება, რომლებიც ოდერის აუზში მოსახლეობდნენ და დარჩნენ აქ აღმოსავლეთ-ელბის ოლქებიდან ეგრეთწოდებულ აღმოსავლეთის გერმანელთა (გუთები, ვანდალები, ბურგუნდები) გადმოსახლების შემდეგ; ეგრეთწოდებულ „ხალხთა დიდი გადასახლების“ დამლევს აღმოსავლეთიდან აქ გადმოსახლებულ ვენედებთან შერევით ამ ტომებმა დასაწყისი მისცეს დასავლეთის სლავებს (ვენდები და ლუჟიჩები), უმთავრესად, ელბისპირა (ანუ ლაბისპირა, ელბის სლავური სახელწოდებიდან — ლაბა) სლავიანებს. გერმანელ ტომთა ბინადრობის ძირითად ოლქებს, როგორც სჩანს, წარმოადგენდნენ მდინარეების ვეზერისა და ქვედა და შუა ელბის აუზები, ნახევარკუნძული იუტლანდია მოსაზღვრე კუნძულებით და სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.

ძველ გერმანელთა ტომების მოსახლეობის ამ ტერიტორიაზე მთელი ისტორიის მანძილზე არ უცხოვრია ერთ რომელიმე გარკვეულ რასას. ძველი „გერმანიის“ მოსახლეობა წარმოადგენდა რამდენიმე ფიზიკური ტიპისაგან შერეულ მოსახლეობას და იგი შემდეგშიაც განაგრძობდა სხვადასხვა ეთნიურ ჯგუფებთან — კელტებთან, სლავებთან, ფინებთან შეჯვარებას. ძველი გერმანელები სხვადასხვა ეთნური და რასული ტიპების რთული შეჯვარების პროდუქტს წარმოადგენდნენ.

ძველი გერმანელები თავისი წარმოშობის დასაწყისს არ ღებულობენ აგრეთვე რომელიმე ერთიანი პრაგერმანელი ხალხისაგან, რომელიც თავის მხრივ ვითომდა წარმოშობილია ოდესღაც ერთიანი „არიელი“ პრახალხისაგან. პირიქით, „გერმანელი“ ხალხების (გერმანელები, ანგლო-საქსები და სხვ.) განვითარება, ისე როგორც მსოფლიოს ყველა სხვა ხალხის განვითარება, წარმოებდა ჯერ ცალკეული ტომების ტომობრივ კავშირებში გაერთიანების გზით, უფრო გვიან — ცალკეულ ტომობრივ წარმოქმნათა ეროვნებებში და, ბოლოს, თანამედროვე ერებად გაერთიანების გზით (უკვე კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების დროს).

აკადემიკოს ნ. ი. მარის მიერ ენის შესახებ დასაბუთებული ახალი მოძღვრების თანახმად, ყველა ევრეთწოდებული ინდო-ევროპული ტომები და ხალხები, მათ რიცხვში გერმანული ტომებიც, თავის ჩამოყალიბებამდე, ენობრივი განვითარების ინდო-ევროპულის წინა სტადიას გადიან, რომელსაც მან ი ა ფ ე ტ უ რ ი უწოდა. ენობრივი განვითარების ამ იაფეტური სტადიიდან დასავლეთ ევროპის მოსახლეობის შორის ჩვენს დრომდე შემონახულია მხოლოდ პირენეისპირა, ბასკური მოსახლეობის — დასავლეთ ევროპის უძველესი იაფეტური მოსახლეობის ამ ცოცხალი ნაშთის, ენები. უძველესი იაფეტური მოსახლეობის ენების ასეთივე ნაშთები გვაქვს ჩვენ ამჟამად კავკასიაში (სვანები, აფხაზები და სხვა ტომები) და პამირზე (ვერშიკები).

როდესაც ერთ-ერთი გერმანელი ენის — საკუთრივ გერმანულის — აღნაგობას ვუკვირდებით, ჩვენ მასში ვპოულობთ 30%-მდე ენობრივ შემადგენლობას, რომელიც შეუძლებელია ახსნილ იქნას თვითონ ამ ძველი გერმანული ენიდან და წარმოადგენს მასში მისი განვითარების უფრო ძველი, ჯერ კიდევ ინდო-ევროპულის წინანდელი (იაფეტური) სტადიის გადანაშთს, რასაც გვიჩვენებს აგრეთვე იმავე ენის მთელი რიგი სხვა უძველესი ფორმების გადანაშთი. ამგვარად, ეცლება საფუძველი წარმოდგენას იმ ინდო ევროპულ ხალხთა განსაკუთრებულ არიელობაზე, რომელთაც განიცადეს ისეთი განვითარება, რასაც ვითომდა არაფერი საერთო არ ჰქონია მსოფლიოს სხვა ხალხთა განვითარებასთან.

ძველ გერმანელთა სხვადასხვა ტომები ყალიბდებოდნენ თანდათანობით, სხვადასხვა რასულ და ეთნურ წარმოქმნათა შეჯვარების გზით, და იმ ეპოქისათვის, როცა ანტიკურობის უფრო კულტურული ხალხები, ბერძნები და რომაელები შეეჯახნენ მათ, ისინი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ რაიმე მთლიანობას. ესენი წარმოადგენდნენ ცალკეულ დამოუკიდებელ ტომებს. და ტომთა კავშირებს, რომლებიც ერთდებოდნენ და იშლებოდნენ, მუდამ ერმანეთის მტრობაში იყვნენ, არაერთხელ იცვლიდნენ თავისი ბინადრობის ადგილს, მშვიდობიან დროს კი შინაგან ერთობასაც ვერ ინარჩუნებდნენ.

თვითონ ამ ტომებმა არ იცოდნენ ერთი, ყველა მათთვის საერთო, სახელწოდება. სიტყვა „გერმანელები", როგორც ეს ახლა მტკიცედ დადგენილია, ტომების ამ ჯგუფს მიეცა მათი მეზობლების კელტების მიერ, ხოლო მათგან გადალებული ჰქონდათ ის რომაელებსაც და ბერძნებსაც, ამასთან ბერძენი მწერლები ჯერ კიდევ დიდხანს ვერ განასხვავებდნენ გერმანელებს კელტებისაგან, რომელთაც გერმანელებთან საერთო იაფეტური წარმოშობა ჰქონდათ.

ძველ გერმანელთა დასახლება. ცალკეული დიდი ტომობრივი კავშირებიდან იულიუს ცეზარის ეპოქისათვის (50-იანი წლები ჩვენს ერამდე) გამოირჩეოდა სვევთა სამხედრო კავშირი, რომელიც მოიცავდა მდინარეების ელბისა, შაინისა, ნეკარისა და ზედა რაინის ნაპირებზე განლაგებულ ტომებს. სვევთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ ლანგობარდები, სემნონები, მარკომანები და გერმუნდურები, აგრეთვე მთელი რიგი უფრო მცირე ტომებისა ქვედა

რაინის ნაპირებზე და ასევე მცირე ტომთა ჯგუფი, რომლებიც ცხოვრობდნენ ბალტიისა და ჩრდილოეთ ზღვის სანაპიროებზე, უფრო გვიან შლეზვიგ-ჰოლშტაინში.

შუა რაინზე გამოირჩეოდნენ სუგამბრები (ანუ გამბრივიები) და მარსები, რომლებსაც აღმოსავლეთით ხატები, ხერუსკები და სხვა რაინისპირა ტომები ემეზობლებოდნენ. ყველა ეს ტომები მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ რაინსიქითა ბელგებთან, სახლდებოდნენ რა ნაწილობრივ რაინის მარცხენა ნაპირზე.

ქვედა რაინის ჩრდილოეთით, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ცხოვრობდნენ ფრიზებისა და ხავკების ტომები და შემდეგ, ელბის სათავის ჩრდილოეთით და იუტლანდიის ნახევარ კუნძულზე, — ანგლები, საქსები, ტევტონები, კიმვრები და მთელი რიგი უფრო მცირე ტომებისა.

გარდა ყველა ამ ტომებისა, რომლებიც თავის ერთობლიობაში შეიძლება აღნიშნულ იქნენ, როგორც დასავლეთის გერმანელები, მათგან აღმოსავლეთით მდინარეების ოდერისა და ვისლის ნაპირებზე ცხოვრობდნენ ეგრეთწოდებული აღმოსავლეთის გერმანელთა ტომები — გუთები, ვანდალები, ბურგუნდები, ჩრდილოეთით კი, სკანდინავიაში, — ჩრდილო გერმანელთა ტომები: სვიონები, თანამედროვე შვედების წინაპრები, გაუტები და სხვ.

ცნობები გერმანელთა შესახებ იულიუს ცეზარამდე. დავიწყოთ ძველ გერმანელთა ისტორიის შესწავლა იულიუს ცეზარის ეპოქიდან (I საუკუნის ნახევარი ჩვენს ერამდე). იგი თავის „კომენტარიებში გალთა ომის შესახებ“ არაერთხელ აგვიწერს თავის შეხლა-შემოხლას სხვადასხვა გერმანელ ტომებთან და იძლევა მათი საზოგადოებრივი წყობის დახასიათებას. უფრო ადრინდელი ჩვენი ცნობები გერმანელთა შესახებ არ გამოირჩევიან სისრულით და კონკრეტულობით, არც აგრეთვე უცილობლობით. დაახლოებით 325 წ. ჩვენს ერამდე პითეასი მარსელიდან პირველად იხსენიებს ჩრდილოეთის ზღვის „ქარვის ნაპირზე“ ტევტონებს. დაახლოებით 180 წ. ჩვენს ერამდე ქვემო დუნაიზე ჩნდებიან ბასტარნები — უცნობი ეთნური წარმოშობის ტომი, რომელნიც აწვდიან დაქირავებულ ჯარისკაცებს — „პირველ ლანდსკნეხტებს“, როგორც მათ ენგელსი უწოდებს, — მაკედონიის მეფე პერსეისის ჯარს მის ბრძოლაში რომაელთა წინააღმდეგ. დასასრულ, იმავე II საუკუნის დამლევს ჩვენს ერამდე გალიაში, შემდეგ კი ჩრდილოეთ იტალიაშიც, საიდანღაც, ვითომდა შორეული ჩრდილოეთიდან, იჭრებიან კიმვრები და ტევტონები, ამარცხებენ ზედიზედ რომაელთა რამდენიმე არმიას, სანამ თვითონ არ იგემებენ გადამწყვეტ დამარცხებას კონსულ მარიუსისაგან (102 — 101 წ. ჩვენს ერამდე). მაგრამ ყველა ამ ტომების შესახებ მოწოდებული ცნობები ნაწყვეტ-ნაწყვეტია და ნაკლებად სანდო. მივმართოთ იულიუს ცეზარს.

საზოგადოებრივი წყობა იულიუს ცეზარის ეპოქაში. იულიუს ცეზარი მის თანამედროვე გერმანელებს გვიხატავს, როგორც გვაროვნულ წყობილებაში მცხოვრებთ; ისინი ცხოვრობენ გვაროვნულ საადგილ-მამულო თემებად, განირჩევიან მიწათმოქმედების ტექნიკის დაბალი დონით და მათში მესაქონლეობის ჭარბი განვითარებით. „მიწა მათ არ აქვთ დაყოფილი ერძო საკუთრებად“, — ამბობს იგი სვევთა შესახებ, — „და წელიწადზე მეტ ხანს მათი ერთ ადგილზე დარჩენა შეუძლებელია“. ამასვე ამბობს იგი საერთოდ გერმანელთა

შესახებ: „არცერთ მათგანს არა აქვს მინდვრის ან მამულის ზუსტად მიზომილი ნაკვეთი კერძო საკუთრების სახით, მაგრამ თანამდებობის პირნი და ბელადები ყოველწლიურად გამოუყოფენ მიწას ერთად მცხოვრებ მოყვარეთა გვარებსა და გაერთიანებებს, სადაც და რამდენიც საჭირო აღმოჩნდება, და ერთი წლის შემდეგ სხვა ადგილზე გადასვლას აიძულებენ“.

გერმანელებში ჩვენ ვხედავთ საწარმოო ძალთა დაბალ განვითარებას მიწათმოქმედებაში; ტუუილად კი არ ამბობს ცეზარი, რომ გერმანელები „მაინცდა მაინც მუყაითობას არ იჩენდნენ მიწათმოქმედებაში“ („agriculturae non student“). ეს იყო გადანაცვლებითი მიწათმოქმედება, დაკავშირებული სახნავი ნაკვეთების ხშირ ცვლასთან და ნასვენ მიწად ქცევასთან. ამასთანავე საჭირო ხდება ახალ ადგილებზე თვითონ ბინების, შესაძლოა, მთელი სოფლების და, ყოველ შემთხვევაში, ხშირად საცვლელ სახნავის დამუშავებასთან დაკავშირებულ ცალკეულ ნაგებობათა გადატანა. როგორც სჩანს, სოფლები დასახლებული იყო მთელი გვარების მიერ, მიწის დამუშავება კი, როგორც ეს იულიუს ცეზარის სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, წარმოებდა არა ცალკეული, ინდივიდუალური ოჯახების მიერ, არამედ უფრო მსხვილ გვაროვნულ გაერთიანებათა მიერ, შესაძლოა ეგრეთწოდებული დიდი ოჯახებისაგან, ე. ი. მთელი სახლეული თემებისაგან.

ძველ გერმანელებში გვაროვნულ წყობილებასთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო სტუმართმოყვარეობის ფართოდ განვითარება. ცეზარი მოგვითხრობს, რომ „სტუმრის შეურაცხყოფა გერმანელებს ცოდვად მიაჩნიათ; როგორიც უნდა იყოს მათთან სტუმრების მისვლის მიზეზი, ისინი იცავენ მათ შეურაცხყოფისაგან, ხელშეუხებლად სთვლიან მათ, მათ განკარგულებაში გადასცემენ თავის სახლს და თავის ლუკმას უყოფენ მათ“.

გარდა პრიმიტიული საახოვე, ან სანასვენო, მიწათმოქმედებისა, ცეზარის ეპოქის გერმანელებში ძლიერ განვითარებული იყო მესაქონლეობა, რის მაჩვენებელიცაა ცეზარის მიერ აღწერილი გერმანელთა საჭმლის შემადგენლობა: ისინი იკვებებიან, უმთავრესად, რძით, ყველით და ხორცით, გაცილებით ნაკლებ — პურით. გერმანელები დიდ დროს უთმობენ ნადირობასაც.

ყოველივე ეს მოსახლეობის დიდ ძვრადობას ჰქმნის, სამხედრო საშიშროების ჟამს იგი ადვილად აიყრება და იძვრის თავისი ადგილებიდან. ცეზარი არა ერთხელ აღწერს, როგორ აიყრებოდნენ ხოლმე რაინის გადალმა მისი ლაშქრობის დროს უახლოესი გერმანელი ტომები თავიანთი დასახლებული ადგილებიდან და მიდიოდნენ ყველაზე შორეულ საზღვრებამდე; მალავდნენ ტყეებში თავის ახლობლებსა და თავის ქონებას, რითაც საომარ მოქმედებას უძნელებდნენ რომაელებს. მაგრამ გერმანელები, რომლებიც ძირითადად მესაქონლეობას ეწეოდნენ და ნაწილობრივ მიწათმოქმედებას, შედარებით მაინც ბინადარნი იყვნენ, აშენებდნენ, თუმცა არასრულყოფილ, სახლებს, ჰქმნიდნენ სოფლებს (vicus), და ჰქონდათ მუდმივი გამაგრებული ადგილები (oppida), სადაც თავს აფარებდნენ თავიანთი საქონლითურთ უფრო მცირე სამხედრო შეტაკებათა დროს.

ასეთი შეტაკებანი, როგორც სჩანს, საკმაოდ ხშირი იყო. ცეზარი ამბობს, რომ „ყაჩაღური თავდასხმები, რაკი თვითონ ტომის ფარგლებს გარეშე წარ-

მოებს, სამარცხვინოდ არ ითვლება და მათ ახალგაზრდობის საყარჯიშო და უქმად ყოფნის საწინააღმდეგო საშუალებად იყენებენ". ტყუილად როდი უწოდებს იგი სუგამბრებს „ომსა და ძარცვაში გამოზრდილებს". აი როგორ სურათოვნად აწერს იულიუს ცეზარი ასეთ თავდასხმებისათვის ატამანების მიერ ცალკეულ, კერძო რაზმების შეკრებას: „როცა რომელიმე ბელადთაგანი სახალხო კრებაში თავს იდებს წინამძღოლობას და მოუწოდებს გაჰყვნენ მას, ფეხზე დგებიან ისინი, რომელნიც იწონებენ წამოწყებასაც და ბელადსაც, და საყოველთაო მისალმებებთან ერთად თავის დახმარებას აღუთქვამენ; სიტყვის მიმცემთა შორის ,თუ ვინმე არ გაჰყვება ბელადს, დეზერტირად და მოღალატედ ითვლება და შედეგად ყოველგვარ ნდობას ჰკარგავს".

გერმანელთა გვაროვნული წყობა, რომელსაც აღწერს ცეზარი, საზოგადოებრივი კლასების არარსებობით ხასიათდება. ცეზარი პირდაპირ ამბობს, რომ მათში არსებობს სოციალური თანასწორობა: „თვითეული ჰხედავს, რომ ქონებრივად იგი ყველაზე შემძლე ადამიანთა თანაბარია". მისი სიტყვებით, გერმანელებს მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობის წყალობით „არა აქვთ მისწრაფება კერძო ადგილ-მამულის გაფართოებისადმი, რის შედეგადაც უფრო ძლიერნი აძევებენ ჩვეულებრივ მათი ადგილ-მამულიდან უფრო სუსტებს; მათში ადგილი არა აქვს აგრეთვე ფულით გატაცებას, რაც შობს პარტიებს და შეხლა-შემოხლას". ეჭვს გარეშეა, რომ ცეზარის ამ მორალურ ქადაგებებს საფუძვლად უდევს გვაროვნული საზოგადოების მის მიერ შემჩნეული რეალური თავისებურებანი. ცეზარი მიუთითებს აგრეთვე გერმანელებში ეაჭრობის სუსტად განვითარებას, რომელიც მხოლოდ ნაძარცვისა და სამხედრო ნადავლის გაყოდვით განისაზღვრება.

ცეზარის ეპოქისათვის გერმანელები არ წარმოადგენდნენ რაიმე მყარ შეთლიანობას, ცალკეულ ტომებსაც კი „მშვიდობიან დროს არ ჰქონიათ არავითარი საერთო სამთავრობო ხელისუფლება"; ტომის თვითეულ ქვეგანაყოფს, რომელიც, როგორც სჩანს, მსხვილი გვაროვნული ორგანიზაციის ხასიათს ატარებდა, თავისი ცალკე ბელადები ჰყავდა, როგორიც იყვნენ გვარის უხუცესნი (maiores natu), რომელთა მთავარ ფუნქციას, ცეზარის სიტყვით, წმინდა სამართლებრივი მოღვაწეობა შეადგენდა. უზენაესი ხელისუფლება სახალხო კრებას ეკუთვნოდა. მხოლოდ ომის დროს ირჩევდნენ მხედართ-მთავრებს, რომელთაც სიკვდილით დასჯის უფლება ჰქონდათ.

სვევთა ტომობრივი კავშირი. ყველა გერმანელ ტომთა შორის ცეზარის ეპოქაში განსაკუთრებით სვევები გამოირჩეოდნენ. ყველა გერმანელებიდან ის მათ ყველაზე მრავალრიცხოვნად და მებრძოლად მიიჩნევს. ამ სახელით მთელ რიგ ტომებს აღნიშნავდნენ: მარკომანებს, გერმუნდურებს, ქვადებს, სემნონებს, ლანგობარდებს და სხვა უფრო მცირე ტომებს. ყველა ისინი იმ ეპოქის უმნიშვნელოვანეს სამდინარო გზებზე ბინადრობდნენ: ელბისა და ნაწილობრივ ოდერის ნაპირებზე, რომლებიც თავის სათავეებში დაკავშირებული იყვნენ ზემო დუნაის შენაკადებთან, ნაწილობრივ კი ზემო რაინის ახლოს. ცეზარის ეპოქისათვის სვევთა ტომები იწყებენ სამხედრო კავშირებში გაერთიანებას, თავისი მეზობლების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების გაძლიერებას, ცალკეული სამხედრო რაზმების თვით უფრო შორეულ გალიაშიც

გზავნას. ამასთან ზოგიერთი მეზობელთაგანი სვევების მიერ თავისი მუდმივი სამოსახლო ადგილებიდან გაძევებული აღმოჩნდა; სხვებს სვევები იპყრობდნენ და აიძულებდნენ ეხადათ მათთვის მუდმივი ხარკი. დასასრულ, ზოგიერთი ტომი იძულებული იყო შესულიყო სვევებთან სამხედრო კავშირში და ვალად აეღო თავის თავზე მათთვის დამხმარე სამხედრო რაზმების მიწოდება. ცეზარის ეპოქისათვის სვევთა სამხედრო კავშირმა ისეთი ძლიერება მოიხვეჭა, რომ ხშირად ცეზარის თვალში ისინი ყველა დანარჩენ გერმანელებს ჩრდილავდნენ, მთლიანად გერმანელთა აღწერაში ისინი მისთვის ნიმუშსა და მაგალითს წარმოადგენდნენ. გალიაში პირველად შესვლისას, 58 წ. ჩვენს ერამდე, ცეზარს მოუხდა შეჯახება გერმანელთა სამხედრო ძალებთან, რომელთაც სვევები მეთაურობდნენ.

არიოვისტი. გალების სიტყვით, თავდაპირველად ეს იყო დაქირავებული რაზმი, სულ 15 ათასი კაცი, სვევ არიოვისტის წინამძღოლობით, რომელიც მოიწვიეს ქირით გალების ტომებმა სექვანებმა და არვერნებმა თავიანთი ბრძოლაში გალების სხვა ტომთან, ედეუებთან. და ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ აქ ენგელსის სიტყვები, რომ „აქ უნდა ვეძებოთ სამხედრო დაქირავების სისტემის ჩანასახი, რომელიც გერმანელების სამარცხვინო ლაქას და შეჩვენებას წარმოადგენს“.[1] გერმანელთა ეს ძალები თანდათანობით ივსებოდა სხვადასხვა გერმანულ ტომთა რაზმებით და გალიაში ცეზარის მისვლის დროისათვის ისინი 120 ათას კაცამდე გაიზარდნენ, ამასთან სამხედრო ძალთა მოდენა კვლავ გრძელდებოდა. დასაწყისში გერმანელებმა თავის დამქირავებელ სექვანებისაგან დასასახლებლად მიიღეს მათი ტერიტორიის მესამედი ნაწილი. დაამარცხეს რა სექვანების მოწინააღმდეგე ედუები, არიოვისტის გერმანელებმა ისინი თავის მეხარკეებად აქციეს და მათგან მძევლები წამოიყვანეს. ამით გაძლიერებულმა არიოვისტმა თავისი გარნიზონებით დაიკავა სექვანთა გამაგრებული პუნქტები, წამოიყვანა მათგანაც მძევლები და მოითხოვა მიწების კიდევ ერთი მესამედი. ცეზარის კონსულობაში (59 წ. ჩვენს ერამდე) არიოვისტი უკვე ისეთი გავლენით სარგებლობდა, რომ რომის სენატის მიერ ცნობილ იქნა მეფედ და რომაელი ხალხის მეგობრად და მდიდარი საჩუქრები მიიღო. იწყებდა რა გალიის დაპყრობას, ცეზარი უნდა შეჭბმოდა არიოვისტს, რომელიც უკვე საშიში ხდებოდა რომისათვის. გადამწყვეტ ბრძოლაში არიოვისტი დამარცხებულ იქნა და მისი სამხედრო ძალების ნაშთები რაინს გადაღმა გაიქცნენ. ეს იყო გერმანელთა რაზმების პირველი ცდა დაეარსებინათ ისეთი სამეფო, რომელიც ემსგავსებოდა შემდეგში „ხალხთა დიდი გადასახლების“ შემდეგ, რომის ნიადაგზე, მაგრამ უფრო მაღალ ეკონომიურ ბაზისზე, წარმოქმნილ, მომავალ ბარბაროსულ სამეფოებს.

ტაციტის ეპოქის გერმანელები. აგრარული წყობა. დაახლოებით 150 წელი აშორებს ცეზარის გერმანელებს ტაციტის მიერ მის „გერმანიაში“ აწერილ (ჩვენი ერის I საუკუნის დასასრული) გერმანელებისაგან. ამ ხნის განმავლობაში მათ შემდგომი ნაბიჯები გადადგეს თავის განვითარებაში.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 147.

გერმანელები უკვე უფრო მტკიცედ დამკვიდრდნენ მიწაზე. მიწათმოქმედებამ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა მათ ცხოვრებაში, თუმცა საქონელი, რომელიც მათ უხვად ჰყავთ, მაინც სიმდიდრის მთავარ სახეობად რჩება ;ნადირობა უკვე სავსებით უკანა რიგში მოექცა. ხნავენ, როგორც ეს ცეზარის ეპოქაშიაც იყო, გუთნით, რომელშიც ხარებს აბამენ. მაგრამ, მაშინ როდესაც ცეზარი ლაპარაკობს ხნულის ყოველწლიური ცვლისა და ამასთან დაკავშირებით ბინების გადატანის შესახებაც, ტაციტი აღნიშნავს, რომ ხნული იცვლება მორიგეობით რამდენიმე წლის შემდეგ, რაც დაკავშირებულია უფრო მტკიცე ბინადრობასთან. გერმანელები მუდმივ სოფლებად ცხოვრობენ, ამასთან სახლები უწესრიგოდაა გაფანტული და თვითეული მათგანი გარემოცულია თავისი კარმიდამოთი. გერმანელებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ წესიერი მეხილეობა და მებოსტნეობა. ქერისა და ხორბლისაგან მათ უკვე შეეძლოთ რაღაც ლუდის მაგვარის დამზადება.

ისე როგორც ცეზარის ეპოქაშიაც, გერმანელებში ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული კერძო საკუთრება მიწაზე. აი როგორ აღწერს ტაციტი საადგილმამულო წესებს მის თანამედროვე გერმანელებში: „მიწებს მიწაზე მომუშავეთა რაოდენობასთან შეფარდებით ყველანი იკავებენ მორიგეობის წესით, შემდეგ კი მათ იყოფენ ერთმანეთში, თანახმად ღირსებისა; დაყოფას აადვილებს მინდვრების დიდი მოცულობა. ხნულს სცვლიან რამდენიმე წლის შემდეგ, და რჩება ზედმეტი მიწა“.

ეჭვს გარეშეა, რომ ტაციტი აქ აღწერს ნათესავთა მიერ დასახლებულ სოფელს. სწორედ ასეთი სოფლის სურათი წარმოგვიდგება ჩვენ ტაციტის თხრობაში იმის შესახებ, თუ როგორ სჯის ქმარი მის მიერ ღალატში მხილებულ ცოლს: შიშველ-ტიტველს, შეკვეცილი თმებით აძევებს იგი მას სახლიდან და ნათესავების თვალწინ მთელ სოფელს ცემით შემოატარებს. ახალმოსახლეთა ასეთსავე გვაროვნულ ხასიათს მოწმობს მთელი თავისი სახით დაცული, როგორც ცეზარის დროს, ფართო სტუმართმოყვარეობა: „რომელიმე მოკვდავისათვის თავშესაფარზე უარის თქმა ცოდვად ითვლება; თვითეული ღებულობს და უმასპინძლდება თავისი შეძლებისდამიხედვით. უკეთუ ნაკლებობას განიცდის, მასპინძელი უჩვენებს ბინას და მიაცილებს სტუმარს; ისინი დაუპატიჟებლად მიდიან უახლოეს სახლში. ამას არ აქვს მნიშვნელობა: ერთნაირი გულთბილობით ღებულობენ მათ“. ცხადია, ცალკეული ბინის ფარგლებით შეუზღუდველი ასეთი კოლექტიური სტუმართმოყვარეობა მოწმობს გერმანელთა თავდაპირველ დასახლებაზე სოფლის გვაროვნულ ჯგუფებად, რომლებიც მეურნეობას ერთად ეწეოდნენ.

არქეოლოგიაც გვაწვდის აგრეთვე ზოგიერთ მონაცემებს სასოფლო და გვაროვნული თემის სასარგებლოდ. ცალკეული სოფლების გათხრის დროს ნაპოვნია ბინებისაგან დაცილებით პურის საცხობი ღუმელები, რომლებიც, როგორც სჩანს, თემის კუთვნილებას შეადგენდნენ. გარდა ამისა, არასოდეს ბინებთან არ მოიპოვება საქონლისათვის განკუთვნილი შენობები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქონელს მუდმივ კოლექტიურად ინახავდნენ სოფლის ნახირში. საკმაოდ დიდი მოცულობის მქონე, ეგრეთწოდებული „ბოძიანი“ სახ-

ლებიც აგრეთვე მიუთითებენ სახლეული თემების არსებობაზე, დიდი ოჯახებით ცხოვრებაზე, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწეოდნენ.

სწორედ ასეთ გვაროვნულ სოფელში მიწათსარგებლობის წესის შესახებ არის ლაპარაკი ჩვენს მიერ ზემოთ ტაციტის „გერმანიის“ 26 თავიდან ციტირებულ ნაწყვეტში. აქ აწერილია მიწათმოქმედების გადანაცვლებითი სისტემა. სახნავი მიწა იცვლება ყოველთვის რამდენიმე წლის გავლის შემდეგ (arva per annos mutant); ამასთან მას სახნავად იყენებს მთელი სოფელი (ab universis) მუშახელის რაოდენობის მიხედვით (pro numero cultorum) და იკავებენ გარკვეული რიგის წესით (invicem) მიწის ერთ ფართობს მეორეზე, დანარჩენს კი უშვებენ ნასვენ მიწად. დროებით სახნავად ქცეული მიწა ნაწილდება ცალკეულ მეურნეობებზე, როგორც სჩანს, დიდ ოჯახებზე, საჯალაბო თემებზე, თვითეული მეურნეობის საწარმოო შესაძლებლობათა კვალობაზე (secundum dignationem), ამასთან მეურნეობრივად უფრო ძლიერნი, ცხადია, აღმოჩნდებიან გვარეულობათა ბელადების ოჯახები.

გვაროვნული წესწყობილება. თუ რამდენად ძლიერი იყო გვაროვნული ურთიერთობა ჯერ კიდევ ტაციტის ეპოქაში, ამას მოწმობს თვით ტაციტის აწერილობანი, საიდანაც სჩანს, რომ გერმანელის მთელი ცხოვრება არსებითად მის ნათესავთა შორის (propinqui), გვაროვნული ორგანიზაციის წრეში (propinquitas) მიმდინარეობდა.

ბრძოლაში გერმანელები ეწყობიან გვაროვნული ორგანიზაციების მიხედვით; მათი ცხენოსანი რაზმები და სოლისებური ფეხოსანი კოლონები საოჯახო და გვაროვნულ (familiae et propinquitates) გაერთიანებათაგან შესდგებიან. ტაციტი თავის „ანალებში“ აწერს ხერუსკების ორი ბელადის — არმინიუსის და სეგესტის — ბრძოლას და უკანასკნელს არა მხოლოდ რაზმის, არამედ ტომის გვაროვნულ გაერთიანებათა სათავეში მდგომად გვიხატავს. ნათესავთა თანდასწრებით ღებულობენ ჰაბუკს სახალხო კრებაში ტომის სრულუფლებიან მებრძოლთა რიცხვში. გერმანელი ვალდებულია თავს იდოს მამის ან ნათესავთა მტრობა მტრისადმი, მეგობრობა მეგობრისადმი. მკვლელობისათვის საურავის გადახდისას ანაზღაურებას სახლეულთა მთელი თემი (universa domus) ღებულობს; ნათესავები ჯარიმის ნაწილსაც ღებულობენ უფრო წვრილმან დანაშაულთათვის. ნათესავების თანდასწრებით ხდება ქორწინებაც და მზითევის გასტუმრებაც; ოგივე ნათესავები, როგორც ზემოთ დავინახეთ, ესწრებიან ქმრის მიერ მოღალატე ცოლის დასჯასაც. „რაც უფრო ბევრი ჰყავს ნათესავებიც და მოყვრებიც, მით უფრო საპატიოა გერმანელის მოხუცებულობა“, — წერს ტაციტი.

ძველ გერმანელებში სიტყვა „გვარის“ აღსანიშნავი საერთო ბერძნულის genos და ლათინურის gens შესატყვისი ტერმინი იყო გუთური kuni, შუა- და ზემო გერმანული künne. როგორც ენგელსი აღნიშნავს, ის გარემოება, რომ იმავე ძირიდან წარმოიშობა სიტყვაც „ქალი“ — გუთური qvino, ძველსკანდინავური kona, kuna (ისე როგორც ბერძნული gyna, სლავური zena), მოგვითითებს თავდაპირველად დედის გვაროვნული წყობილების არსებობის

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, стр. 113.

კვალზე.[1] თუმცა ტაციტის ეპოქაში დედის გვარი უკვე მამის გვარით შეცვალა, მაგრამ ტაციტთან ერთად უნდა აღინიშნოს როგორც შემონახული გადანაშთი, რომ ჯერ კიდევ ამ ეპოქაში „დისწული ისეთივე პატივისცემაშია ბიძის მხრივ, როგორც მამის მხრივ; ნათესაური კავშირის ამ სახეობას ზოგნი უფრო მჭიდროდ და სალმრთოდ მიიჩნევენ და მძევლების მოთხოვნისას უპირატესობას სწორედ მას ანიჭებენ“. წინანდელი დედის გვაროვნული წყობილების ნიშნებს წარმოადგენს გერმანელთა მიერ ქალებისადმი განსაკუთრებული პატივისცემაც; ისინი სთვლიან, რომ ქალებში არის რაღაც ღვთაებრივი და მისნური, ამიტომ არ უარყოფენ მათ რჩევას და არ უგულვებელყოფენ მათ წინასწარმეტყველებას; სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებათა დადების დროს ყველაზე ნამდვილი ის ხელშეკრულებები აღმოჩნდება ხოლმე, რომლებიც განმტკიცებულია მძევლების სახით დიდგვარიან ქალიშვილთა გაცემით.

ნათესავთა წრიდან უკვე უფრო მომეტებულად, ვიდრე ცეზარის ეპოქაში, გამოიყოფა გვაროვნული დიდკაცობა.

ყველა გერმანელი ბელადი (principes, reges), რომელიც კი წარმოდგენილია ტაციტის ნაწარმოებებში, ყოველთვის დახასიათებულია, როგორც ამ გვაროვნული დიდკაცობის წარმომადგენელი. ტაციტის ეპოქის ძველგერმანული გვაროვნული დიდკაცობა — არის იმ დიდგვაროვანთა ერთობლიობა, რომლებიც სათავეში უდგანან ტომის ცალკეულ გვაროვნულ ქვედანაყოფებს, რომლებიდანაც გამოდიან ტომისა და გვარის უხუცესნი და სამხედრო ბელადები. ამიტომ განსაკუთრებული გვარიშვილობის და წინაპართა განსაკუთრებული დამსახურების საფუძველზე შესაძლო იყო თვით ჭაბუკსაც მინიჭებოდა ბელადის (princeps) წოდება. და თუმცა ბელადებს ტომის ან მის ცალკეულ ქვედანაყოფთა (gau, pagus) სახალხო კრებებში ირჩევენ, მაინც ასარჩევთა წრე შეზღუდულია ასეთ დიდგვაროვან ოჯახთა წევრების რიცხვით, რომლებიც სათავეში უდგანან ტომებს და მათ გვაროვნულ ორგანიზაციებს. იმ ტომებში, სადაც უკვე ტაციტის ეპოქისათვის გამოიყოფოდა მუდმივი სამეფო ხელისუფლება, მეფეებსაც აგრეთვე გარკვეული დიდგვაროვანი ოჯახის წრიდან ირჩევენ. ამიტომ ტომი დიდ სიძნელეს განიცდიდა, როცა გვაროვნულ-ტომობრივი დიდკაცობის წარმომადგენლები განუწყვეტელი ომების შედეგად გადაშენდებოდნენ ხოლმე. ტაციტი მოგვითხრობს, რომ სწორედ ასეთი სიძნელის წინაშე აღმოჩნდნენ ხერუსკები, რომლებიც ბოლოსდაბოლოს იძულებული იყვნენ მეფის სახით მიეღოთ „სამეფო გვარის“ ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ჩამომავალი, იტალიკი, მიუხედავად იმისა, რომ ის ცხოვრობდა რომში, ძლიერ შორს თავისი ტომისაგან, და რომაული კულტურის დიდი გავლენა განიცადა.

გვაროვნული დიდკაცობის გამოყოფას ტომის უბრალო წევრებიდან (ingenui, vulgus, plebs) ხელს უწყობდა აგრეთვე რაზმების ჩამოყალიბება ტაციტის ეპოქისათვის. იმ დროს, როდესაც ცეზარის ეპოქაში გერმანელებში იქმნებოდა მხოლოდ კერძო, დროებითი გაერთიანებანი ომის საწარმოებლად თავისი პასუხისმგებლობით, ახლა სახელგანთქმული სამხედრო ბელადების გარშემო უკვე მ უ დ მ ი ვ რ ა ზ მ ე ბ ა დ თავს იყრიან ტომის მებრძოლი ელემენტები. ბელადები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი რაზმების მრავალრიცხოვნობით

და მამაცობით, განთქმული და სახელოვანი ხდებიან არა მარტო თავისი საკუთარი გვარის, არამედ მეზობელ ტომებისათვისაც; მათკენ მიილტვიან საელჩოები, მათ მიართმევენ საჩუქრებს, და უკვე ერთი სახელიც კი ხშირად ომის ბედსაც სწყვეტს. მაგრამ ასეთი რაზმების შენახვა, მათი მომარაგება იარაღით შესაძლებელია მხოლოდ მეზობლების ძარცვით და ომით. ამიტომ, როცა ტომი მშვიდობიანად ცხოვრობს დიდხნობით მეზობლებთან, მრავალი ახალგაზრდა დიდკაცობიდან, ამბობს ტაციტი, მიემგზავრება მთელი რაზმის შემადგენლობით იმ უცხო ტომებთან, რომლებიც იმხანად რაიმე ომს აწარმოებენ.

მეორე მომენტი, რომელიც ხელს უწყობდა გვაროვნული დიდკაცობის დაწინაურებას, — ეს იყო გერმანელებში უკვე დაწყებული პროცესი კლასების ჩასახვისა, მონობის შექმნისა. ტაციტი აგვიწერს მონობის ძირითად ფორმებს გერმანელებთან შემდეგი ნიშნებით. „სხვა მონებით, — ამბობს ის, — ისინი სარგებლობენ არა ჩვენებურად (ე. ი. არა ისე, როგორც რომაელები I საუკ. ჩვ. წ. აღრიცხვით), ანაწილებენ მათ შინა მეურნეობაში ცალკეული სამსახურის მიხედვით; თვითეული მონა ჰფლობს თავის სადგომს და თავის კერას, ბატონი ბეგრავს მას, როგორც კოლონს, პურის განსაზღვრული ოდენობით ან წვრილფეხა საქონლით, ან ტანსაცმელის გარკვეული რაოდენობით, და მონაც მხოლოდ ამას ასრულებს; დანარჩენ მოვალეობას სახლში ასრულებენ ცოლი და ბავშვები“. აქ ჩვენს წინაშე მონობის ისეთი ფორმაა, რომელიც ძლიერ მოგვაგონებს მონობის პრიმიტულ ფორმებს ძველ საბერძნეთში, თუმცა საზოგადოებრივი განვითარების უკვე უფრო მაღალ სტადიაზე: სპარტაში — ილოტების, კრეტაზე — მონა კლეროტების, თესალიაში — პენესტების. დიდკაცობის გამოყოფას ხელს უწყობდა აგრეთვე ზოგიერთთა ხელში საქონლის უფრო დიდი ჯოგების, გერმანელებისათვის ამ ერთადერთი და, ტაციტის სიტყვებით, ყველაზე სასიამოვნო სახის სიმდიდრის თავმოყრა. სწორედ განსაზღვრული ოჯახების ხელში მონებისა და საქონლის დაგროვება აწინაურებდა და განასხვავებდა მათ დანარჩენი გვაროვნული მასისაგან, განამტკიცებდა მათ ძალა-უფლებას გვარსა და ტომში, გარდუვალს ხდიდა ბელადთა არჩევას მხოლოდ მათი წრიდან, გამოყოფდა ამ ოჯახებს საგვარტომო დიდკაცობის (nobiles, proceres, primores gentis) განსაკუთრებულ მუდმივ ფენად. ამ დიდკაცობის წარმომადგენლები, რომლებსაც გარს ერტყათ მებრძოლი რაზმები და ფლობდნენ მონებსა და საქონლის დიდ ჯოგებს, უკვე მეტის შნოიანობით და სილაზათით განირჩეოდნენ როგორც ჩაცმულობის, ისე ცხოვრების წესების მხრივ. ამასთანავე ერთად, ტაციტის სიტყვით, გერმანელებს ჩვეულებად ჰქონდათ მიერთმიათ ბელადებისათვის მსხვილფეხა საქონელი ან მიწათმოქმედების პროდუქტები; ამას ღებულობენ როგორც საპატიო საჩუქარს, მაგრამ იმავე დროს ეს წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებასაც. ამასთან გავიხსენოთ, თუ რას ამბობდა ტაციტი რაზმების ბელადთა შესახებ: რომ მათთვის აუცილებელია აწარმოებდნენ მუდმივ ომს ან ძარცვას რაზმის მოთხოვნილება-საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ცხადია, ის შემოსავალი, რომელსაც საგვარტომო დიდკაცობის წარმომადგენლები ღებულობდნენ საკუთარი მეურნეობიდან, ჯერ კიდევ მაინც

არ კმარობდა საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობით გამოწვეულ და უკვე გართულებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საგვარტომო დიდკაცობის საკუთარი მეურნეობა, აშკარაა, ვერ აღწევდა განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს ტომის რიგითი წევრებთან შედარებით. შინაური მონების უყოლობა ან უმნიშვნელო რაოდენობაც აგრეთვე ლაპარაკობს დიდკაცობის საკუთარი მეურნეობის სიმცირეზე, სადაც ყველა სამუშაოს ასრულებდნენ თვითონ ოჯახის წევრები. ამასვე ადასტურებს არქეოლოგიის მონაცემებიც. დიდის რაოდენობით გათხრილი სამარხები მოწმობენ ქონებრივი დიფერენციაციის სუსტ განვითარებას: თვით ყველაზე მდიდრული დასაფლავება ოდნავადაც ვერ შეედრება, მაგალითად, იმ დასაფლავებას, როგორიც მიღებული იყო სკვითებში. ბელადებისა და მათი რაზმის დასაფლავება განირჩევა მხოლოდ მახვილის ჩატანებით, მაშინ როდესაც რიგითი გერმანელის ჩვეულებრივი იარაღი, არქეოლოგიის მონაცემებით, იყო შუბი. თავდაცვის იარაღს ხის ფარი წარმოადგენდა. თვით დიდგვაროვანი გერმანელის საკუთარი მეურნეობის მცირე მოცულობისა გამო მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ომებსა და ძარცვა-გლეჯას სიმდიდრის დაგროვების მსვლელობაში. „ომი და ომის ორგანიზაცია ახლა ხალხის ცხოვრების რეგულარული ფუნქციები გახდნენ... ომს წინათ მტრის უკუსაგდებლად ან კიდევ ტერიტორიის გასაფართოებლად იწყებდნენ, როცა ეს ტერიტორია ვიწრო ხდებოდა; ახლა ომი ნადავლის მიღებას ისახავს მიზნად. იგი შეძენის წყარო ხდება,"[1] — ამბობს ენგელსი, ახასიათებს რა საზოგადოებრივი განვითარების ამ სტადიას. ასეთი მუდმივი ომის მდგომარეობა ძლიერ ხელსაყრელად მიაჩნდათ რომაელებს, რადგან ეს ასუსტებდა გერმანელებს. „დეე ნურც შეწყვეტილა ამ ტომებს შორის ურთიერთ შუღლი და მტრობა," — წერს ტაციტი.

გერმანელთა ტომების პოლიტიკური ორგანიზაცია. პოლიტიკურად ასეთი საზოგადოებრივი წყობილება ჰქმნიდა „სამხედრო დემოკრატიას" (ენგელსი). უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნოდა სახალხო კრებას, რომელიც შესდგებოდა ტომის ან მის ქვედანაყოფთა ყველა სრულუფლებიან შეიარაღებულ წევრთაგან. ასეთ კრებებს ქურუმები ხელმძღვანელობდნენ. წინადადებებით და სიტყვებით გამოდიოდნენ ბელადები; თუ გამოთქმული მოსაზრება არაა მოსაწონი კრების წევრთათვის, მას უკმაყოფილო ხმაურით უარყოფენ, თუ მოსაწონია, შუბების რხევით ღებულობენ მას. ასეთივე კრებებზე წარმოებდა გასამართლებაც და აგრეთვე როგორც მთელი ტომის, ისე მის ცალკეულ ქვედანაყოფთა ბელადების არჩევა. უკანასკნელნი თავის მხრივ ,ხელმძღვანელობდნენ სასამართლო საქმეების გარჩევას საოლქო სახალხო კრებებზე, ამასთან ჩვეულებრივად საურავს დაზარალებულის მთელ გვაროვნულ ორგანიზაციას უხდიდნენ.

სახალხო კრებაში განსახილველ ყველა უმნიშვნელოვანეს საქმეს წინასწარ არჩევდნენ საოლქო უხუცესთა და სხვა ბელადთა კრებაში; ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმეები საბოლოოდ წყდებოდა უხუცესთა ასეთ კრებაში.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. გვ. 166.

მთელი ტომების სათავეში იდგნენ ტომის განსაკუთრებული უხუცესნი (princeps civitatis), ზოგჯერ მეფეები (reges), რომლებიც უხუცესის ფუნქციებს სამხედრო ხელისუფლებასთან ათავსებდნენ. ჩვეულებრივ კი, გვარის უხუცესების გარდა, ირჩევდნენ განსაკუთრებულ სამხედრო ბელადებს (duces), ამასთან უკანასკნელთა არჩევისას გამოდიოდნენ არა იმდენად გვაროვნულ ურთიერთობათა პრინციპიდან, რამდენადაც პირადი სამხედრო თვისებებიდან.

სამხედრო სარდლობის საფუძველზე მთელ რიგ ტომებში წამოყენებული სამეფო ხელისუფლება მაინც შეზღუდული იყო, რადგან იგი დამოკიდებული იყო როგორც უხუცესთა საბჭოსაგან, ისე სახალხო კრებისაგან. მეფის ხელისუფლების გაძლიერების ყოველგვარ ცდას ჩვეულებრივ თან სდევდა შეჯახება გვაროვნული საზოგადოების ამ ორგანოებთან.

იმ ტომებში, სადაც წამოყენებული იყო სამეფო ხელისუფლება, შესამჩნევია ერთგვარი ტომობრივი ერთიანობა, განსაკუთრებით ომიანობის დროს. იმ ტომებში კი, სადაც სამეფო ხელისუფლება ჯერ არ ყოფილა წამოყენებული, ასეთი ერთიანობა ხშირად სრულიადაც არ ყოფილა; ტომის ცალკეულ ქვედანაყოფებს, ცალკეული ბელადებით სათავეში, შეეძლოთ დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკა ეწარმოებინათ და ზოგჯერ იარაღით ხელში ერთმანეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ასე, მაგალითად, ხერუსკების ტომში ხშირად ადგილი ჰქონდა განხეთქილებას ცალკეულ ბელადებს შორის, რომლებიც ტომის სხვადასხვა ქვედანაყოფის სათავეში იდგნენ, მაგალითად, არმინიუსის და სეგესტის შორის, რომელთაგან პირველი ებრძოდა რომს, მეორე კი რომის მოკავშირე იყო.

განსხვავება ცალკეულ ტომთა განვითარების დონეში. ასეთი იყო ძველგერმანული საზოგადოების წყობა, რომელიც ტაციტის ეპოქაში გვაროვნული საზოგადოების, ანუ ბარბაროსობის, უკანასკნელ სტადიას განიცდიდა, როგორც ენგელსი ამბობს.[1] მხოლოდ ცალკეულ ტომებს ზოგიერთი თავისებურებანიც ემჩნეოდა მათ საზოგადოებრივ განვითარებაში. გერმანელთა ზოგიერთი ტომები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც რომის ტერიტორიაზე სახლდებოდნენ იმპერიის ქვეშევრდომთა უფლებით (მაგალითად, ბატავები და უბიები), რამოდენიმედ წინ წავიდნენ მათ შორის კერძო საკუთრებისა და ქონებრივი დიფერენციაციის განვითარებაში. მათი ბელადები, რომლებიც ახლა ხშირად რომის სამხედრო სამსახურში შედიოდნენ, რომაული ვილების მსგავს უფრო დიდ სამფლობელოებს იძენდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, 70 წლის ბატავთა აჯანყების ერთ-ერთი ბელადი ცივილისი.

მაგრამ იმ ტომების გვერდით, რომელთაც ემჩნეოდათ მიწაზე კერძო საკუთრების უფრო მეტი განვითარება და რამოდენიმედ უფრო მეტი ქონებრივი დიფერენციაცია, რასაც თან ახლავს კლასების წარმოშობა, მეორე, მოწინააღმდეგე პოლუსზე ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ისეთი ტომები, რომლებიც გერმანელთა მიერ უკვე მიღწეულ საზოგადოებრივი განვითარების საერთო დონეზე

---

[1] Маркс и Энгельс. Соч., т. XVI, ч. I, стр. 13.

უფრო დაბლა იდგნენ. ასეთი იყვნენ, მაგალითად, ზღვის პირა ხავკები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩრდილოეთის ზღვის ნაპირზე, ემსის შესართავის ახლოს და მოსაზღვრე კუნძულებზე. პლინიუსი თავის „ნატურალურ ისტორიაში" აწერს ამ ხავკებს, როგორც მეტად პირველყოფილ ტომს, რომელიც მეთევზეობით ცხოვრობს, არ იცის არც მიწათმოქმედება, არც მესაქონლეობა, არც თუ მონადირეობა. მათი ბინები მოგვაგონებს ხიმინჯებიან შენობებს, ზღვის პერიოდული მოქცევით გაპირობებულს; სვამენ მხოლოდ განსაკუთრებულ ორმოებში დაგროვილ წვიმის წყალს; სათბობს წარმოადგენს მათ მიერ მოპოებული ტორფი. ტაციტი ამ ზღვის პირა ხავკებზე ლაპარაკობს როგორც ყაჩაღებზე, რომლებიც ძარცვავენ ჩრდილოეთ გალიის სანაპიროებს.

გერმანელები და რომი. **რომის დაპყრობანი გერმანიაში.** იულიუს ცეზარის მიერ გალიის დაპყრობის შემდეგ, გერმანელები რომის უშუალო მეზობლები გახდნენ და ხშირად ესხმოდნენ თავს გალიას. იმპერატორ აგუსტუსს გერმა დრუზმა (12 — 9 წწ. ჩვენს ერამდე), შემდგომ იმპერატორ ტიბერიუსმა და მისმა სარდლებმა (8 წ. ჩვენს ერამდე — ჩვენი ერის 6 წ.) რამდენიმე ლაშქრობა ჩაატარეს რაინს გაღმა და დაიპყრეს მთელი რიგი რაინს გადაღმა გერმანელთა ტომები, ასე რომ გერმანია თვით ქლბამდე უკვე რომის პროვინციად ითვლებოდა. დაპყრობილ ტერიტორიაზე რომაელები ციხეებს აარსებდნენ, გერმანელთა ცალკეული ტომების გვაროვნულმა დიდკაცობამ რომის სამსახურში იწყო შესვლა. კელნში, უბიების ქალაქში, დაწესებულ იქნა იმპერატორის კულტი, რომელსაც გერმანელთა ქურუმი ხელმძღვანელობდა.

მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნეში რომის ბატონობა რაინს გაღმა ერთის დაკვრით დაემხო. გერმანიაში დანიშნულმა ახალმა ნაცვალმა პუბლიუს კვინტილიუს ვარმა გერმანელ ტომთა შორის იწყო მათი გვაროვნული წყობილებისათვის უცხო რომაული ადმინისტრაციისა და რომაული სასამართლოების შემოღება. ხერუსკების ჰეგემონიით იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც მეთაურობდა არმინიუსი. უკანასკნელი წინათ რომის სამსახურში იყო და რომაელი მხედრის წოდება ჰქონდა. არმინიუსის მოხერხებული ტაქტიკის წყალობით ვარი სამი ლეგიონითა და დამხმარე ჯარებითურთ მახეში გაება ტევტობურგის ტყეში; თითქმის მთელი არმია განადგურებულ იქნა, თვითონ ვარმა თავი მოიკლა.

მას შემდეგ გერმანიის საზღვრად იქცა რაინი; მხოლოდ ზღვის სანაპიროს ტომები, ბატავები, ფრიზები და ხავკები, დროებით რომის ბატონობის ქვეშ დარჩნენ. თვით გერმანიკის მიერ რაინს გაღმა არაერთგზის გამარჯვებით დამთავრებულმა ლაშქრობამ ვერ აღადგინა აქ რომის ბატონობა. დაპყრობითი პოლიტიკა თავდაცვითი პოლიტიკით შეიცვალა. რაინიდან, ახლანდელ კობლენცთან, დუნაიმდე, ახლანდელ რეგენსბურგთან, აგებულ იქნა ციხე-სიმაგრეების ხაზი, ეგრეთწოდებული რომაული სანგარი, limes Romanus. მთელი ეს ხაზი შესდგებოდა მესრიანი თხრილისაგან, რაზედაც შიგადაშიგ აგებული იყო ცალკეული სიმაგრეები და სამხედრო საგუშაგოები, რომლებიც სამხედრო გზებით იყვნენ შეერთებული; ზურგში, უმთავრესად, რაინზე გადიოდა ღიდი სამხედრო ბანაკების ხაზი. რომის დაპყრობითი პოლიტიკიდან თავდაცვითი

პოლიტიკაზე გადასვლის ძირითად მიზეზს თვითონ რომის არმიის შინაგანი გადაგვარება წარმოადგენდა. თავისუფალი გლეხობა — ძველისძველი რომაული ლეგიონების ეს საფუძველი, თითქმის სავსებით გაჰქრა. არმიაში, რომელიც რომს ბარბაროსებისაგან იცავდა, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იხვეჭდნენ მეტწილად თვით ბარბაროსებისაგან შემდგარი დამხმარე რაზმები. ძველი ტაქტიკა და სტრატეგია სულ უფრო უვარგისი ხდებოდა. არმიისათვის შესაძლებელი იყო მხოლოდ საზღვრების დაცვა.

გერმანელებისა და რომაელების მშვიდობიანი ურთიერთობა. გერმანელთა ტომების ერთი ნაწილი მშვიდობიან ურთიერთობას ამყარებდა რომთან, განიცდიდა რა უფრო მაღალი კულტურის გავლენას თავის თავზე. რაინის ქვემო წელზე, უბიების მიწაზე, დაარსებულ იქნა რომის კოლონია — Colonia Agrippina (თანამედროვე კელნი), რომელიც რაინს იქითა გერმანელებთან სავაჭრო ურთიერთობის ცენტრად იქცა. დუნაიზე სავაჭრო კავშირურთიერთობა დამყარდა გერმუნდურებთან; აქ ამ ურთიერთობის ცენტრად იქცა რომის კოლონია Augusta Vindelicorum (ახლანდელი აუგსბურგი). რომაელი ვაჭრები მარობოდის სატახტო ქალაქს აღწევდნენ. ზოგიერთი ტომი კავშირით ეკვროდა რომაელებს, სხვები თავის მეფეებსაც კი რომიდან ღებულობდნენ (მაგალითად, ხერუსკები). ცალკეული გერმანელები, ზოგჯერ მთელი რაზმებიც კი, რომის სამსახურში შედიან. ომის დროს ტყვედ წაყვანილი გერმანელები მონების ან კოლონების სახით ამუშავებენ ფისკისა და რომაელთა დიდკაცობის მიწებს. თანდათან სულ უფრო და უფრო მეტი გერმანული ელემენტი იჭრება რომის საზოგადოებაში.

ცივილისის აჯანყება და მარკომანთა ომი. 69 — 70 წწ. იფეთქა ბატავეებისა და კანინეფატების აჯანყებამ ცივილისის წინამძღოლობით. მათ შეუერთდნენ ფრიზები, ხატები, ტენქტერები, ბრუქტერები, რომელთა შორის დიდ როლს ასრულებდა მისანი — ქალი ველედა. ამ დროს წარმოებდა ომი საიმპერატორო ტახტის ორ პრეტენდენტს, ვიტელიუსისა და ვესპასიანს, შორის, და რომაელთა ჯარებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ვესპასიანს გალიაში, მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში. გარდა ამისა, აჯანყდა ზოგიერთი გალთა ტომი, რომელთა ბელადებს ეწადათ დამოუკიდებელი „გალიის იმპერიის“ დაარსება. დროებითი წარმატების შემდეგ ისინი დამარცხებულ იქნენ.

ამ აჯანყების შემდეგ დაახლოებით 100 წელს გასტანა რომის მშვიდობიანმა ურთიერთობამ გერმანელებთან, ეგრეთწოდებულ მარკომანთა ომამდე (165—180 წწ.), როცა იმპერატორ მარკ ავრელიუსის დროს მარკომანთა ტომი სხვა გერმანელ, სარმატ, ალანელ და თრაკიელ ტომებთან ერთად (სულ 18 ტომამდე) შეიჭრა რომის დუნაისპირა პროვინციებში, ცალკეული რაზმები კი თვითონ იტალიის ტერიტორიაზეც იჭრებოდნენ და აწადგურებდნენ მას.

მარკომანთა ომი არსებითად შემდეგში „ხალხთა დიდი გადასახლების“ პრელუდიას წარმოადგენდა.

ძველ გერმანელთა რელიგია. ძველ გერმანელთა რელიგია მეცნიერულად ძალიან ნაკლებად არის გამოკვლეული. ძველგერმანული რელიგიის გაურკვეველებული ბურჟუაზიული „რასისტული“ კონცეპცია მის განვითარებას საფუ-

ძვლად უდებს იმავე წინარ ხალხს (არიელები), რომელსაც ჰქონდა არა ძხოლოდ განსაკუთრებული, მისთვის ჩვეული წინარენა, რომლისგანაც ვითომც განვითარდნენ შემდეგში ყველა ჩვენთვის ცნობილი ინდო-ევროპული ენები, არამედ განსაკუთრებული, მისთვის ჩვეული წინა რელიგიაც, რომლისგანაც ვითომდა განვითარდა ინდო-გერმანელ ხალხთა ყველა ჩვენთვის ცნობილი რელიგია, — მათ შორის ძველ გერმანელთა რელიგიაც. იმავე დროს რელიგია, როგორც ყოველგვარი იდეოლოგია, ცალკეულ ხალხებში თავის განვითარებაში გაივლიდა ყველა მათთვის საერთო სტადიებს, საზოგადოებრივი განვითარების იმ გარკვეული სტადიების შესაბამისად, რომელთაც განიცდის მსოფლიოს ყველა ხალხი. თავდაპირველად ცალკეული გვაროვნული ჯგუფებისა და ტომების რელიგიები და კულტები, შემდეგ ტომობრივ კავშირთა რელიგიები და კულტები და, ბოლოს, სხვადასხვა დიდი ხალხებისა და ერების რელიგიები, ხშირად მათი ჯგუფებისთვის საერთო, — ყველა ეს რელიგიური წარმოდგენები და კულტურები თავის განვითარებაში ასახავდნენ დედისა და მამის გვარის, ანტიკური მონობის პერიოდის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის განვითარების თანმიმდევნო ეტაპებს, იმისთვის, რომ ბოლოსდაბოლოს, გამქრალიყვნენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციასთან და კომუნისტური საზოგადოების აგებასთან ერთად.

ამგვარად, არა დასაბამითი ერთიანობა, არამედ ადგილობრივი კულტებისა და რელიგიური სისტემების მრავლობა, — აი. რა წარმოადგენს ცალკეული ტომებისა და ხალხების რელიგიის ისტორიის გამოსავალ პუნქტს.

ის რელიგია, რომელსაც ჩვეულებრივ ძველ გერმანელთა რელიგიად გვიხატავენ, უფრო მრგვიანო პერიოდის რელიგიურ წარმოდგენებს ასახავს, რომლებიც ჩვენი ერის XI — XIII საუკუნეებისათვის ჩამოყალიბდნენ სკანდინავიასა და ისლანდიაში და მოალწიეს ჩვენამდე „ედას“ თქმულებებში; მათ აზის ჩრდილოეთით ჩამოყალიბებულ ფეოდალურ კლასობრივ ურთიერთობათა ეპოქის ბეჭედი და ქრისტიანობის გავლენაც კი. ძველ სკანდინავთა ამ რელიგიურ შეხედულებებზე თავს იჩენს იმ მრავალრიცხოვან სახალხო მეხრობელთა — სკალდების შემკრებელობითი და გამაერთიანებელი მუშაობა, რომლებიც ცდილობდნენ მოეყვანათ სისტემაში სხვადასხვა ტომებისა და მათ გაერთიანებათა სხვადასხვაგვარი რელიგიური წარმოდგენები, შეექმნათ ღმერთების იერარქია მთავარი ღვთაებით ოდინით (ვოდანით) სათავეში. ამიტომ სკანდინავთა ამ რელიგიურ წარმოდგენებზე უნდა ვილაპარაკოთ იმ თავში, რომელშიაც სკანდინავიის ადრეული ისტორიის შესახებ იქნება საუბარი.

რაც შეეხება გერმანელ ტომთა რელიგიურ შეხედულებებს ცეზარისა და ტაციტის ეპოქაში, ჩვენი ცნობები მათზე ფრიად ღარიბია.

იულიუს ცეზარი ამტკიცებდა, რომ გერმანელებს არ ჰყავდათ ისეთი ქურუმები, როგორც გალიის დრუიდებს, ხოლო ღმერთების სახით ისინი თაყვანს სცემდნენ მხოლოდ ბუნების ძალებს: მზეს, ცეცხლს და მთვარეს; სამაგიეროდ მათ ჰყავდათ მისანი ქალები, რომლებიც მკითხაობის საშუალებით განსაკუთრებულ წილის საყრელ ჩხირებზე წინასწარმეტყველებდნენ ბრძოლის გამარჯვებით თუ დამარცხებით დამთავრებას.

უფრო კონკრეტი მონაცემები ძველგერმანული რელიგიის შესახებ ჩვენ ძოგვეპოება ტაციტის ცნობებში. გერმანელებს ამ ეპოქაში უკვე ჰყავდათ ქურუმები და ჰქონდათ ტაძრები და აგრეთვე ღმერთებისადმი შეწირული წმინდა ადგილები, განსაკუთრებით, წმინდა ჭალაკები, და ღვთაებათა გამოსახულებანიც კი. სჩანს, ბუნების ძალებისადმი თაყვანისცემა უკვე ანთროპომორფულ ხასიათს ღებულობს. წინანდებურად დიდ როლს თამაშობენ მისნები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობაზეც კი ახდენდნენ გავლენას, როგორც, მაგალითად, ზემოთ ნახსენები წინასწარმეტყველი ველედა. ცალკეული წინასწარმეტყველები დიპლომატიური მიზნით მოგზაურობდნენ რომში, წარუდგებოდნენ იმპერატორს, ღებულობდნენ საჩუქრებს და კვლავ სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ფართოდ იყო განვითარებული აგრეთვე ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, განსაკუთრებით ტყვეების მსხვერპლად მიტანა მთავარი ღმერთებისადმი.

ყოველ ტომს თავისი რელიგიური კულტები ჰქონდა, მაგრამ ახლა დიდ მნიშვნელობას იხვეჭენ მთელ სატომო კავშირთა კულტები. ასეთი კულტი ცნობილი იყო, მაგალითად, ელბისპირა ტომების სვევთა კავშირისათვის, რომელთა წარმომადგენლებიც იკრიბებოდნენ სემნონთა ტომის წმინდა ჭალაკში და ასრულებდნენ აქ თავის კულტს ადამიანთა მსხვერპლთშეწირვით. მეორე ასეთი კულტი ცნობილი იყო ჩრდილოეთში, მთელ რიგ წვრილ ტომებში, რომლებიც იუტლანდიის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. ბალტიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე არსებობდა ღმერთქალ ნერტუსისადმი, დედა-მიწისადმი მიძღვნილი წმინდა ჭალაკი, სადაც მოიპოვებოდა ღმერთქალის წმინდა ეტლი. გარკვეულ დროს ეს ეტლი, რომელიც მიჰქონდათ უმობელებს და დახურული იყო საბნით, რომ უცხო თვალს არ დაენახა, ახდენს ღმერთქალის თაყვანისმცემელ ტომების შემოვლას, და მაშინ ყველგან იმართება დიდი დღესასწაულები ღმერთქალის მოსვლის პატივსაცემად.

ამ დროისათვის ეწყობა ცდებიც. ცალკეული ტომების წინაპარ ღვთაებათა გენეალოგიის შესადგენად. ტაციტი მოგვითხრობს, რომ გერმანელებს წარმოდგენილი ჰქონდათ დასავლეთ-გერმანელ ტომთა — ი ნ გ ვ ე ო ნ ე ბ ი ს, ი ს ტ ვ ე ო ნ ე ბ ი ს და გ ე რ მ ი ნ ო ე ბ ი ს — სამი ძირითადი ჯგუფი, როგორც წარმოშობილი პირვანდელი ადამიანის მანის, ღმერთ ტუისტოს (ანუ ტევტის — აქედან ტევტონები და თანამედროვე Deutschen, ანუ Teutschen) შვილის, უმაღლესი ღმერთქალის დედა-მიწის მიერ შობილის, სამი შვილისაგან. ხოლო იმავე ტაციტის ეპოქაში მსგავს გენეალოგიათა სხვა ცდებიც არსებობდა, რომლებიც მიმართული იყო აგრეთვე სხვა ტომების წარმოშობის დასაბუთებისაკენ.

ამ ეპოქაში ცალკეული ტომები ინარჩუნებდნენ აგრეთვე თავის სატომო უმაღლეს ღვთაებად და ძველისძველ, დედის გვარის ბატონობის გვართან დაკავშირებულ დედამიწის უმაღლესი ღმერთქალის კულტებს. თანდათანობით ასეთ უძველეს კულტებს სცვლიან მამრობით უმაღლეს ღვთაებათა კულტები, რომლებიც განასახიერებენ ცას, მზეს და მათთან დაკავშირებულ ბუნების ძალებს. ანტიკური მწერლები ამ მამრობით ღვთაებებს ადარებდნენ რომაელთა ღმერთებს — მერკურიუსს, მარსს, ჰერკულესსა და ეულყანს. ასეთი მამრობითი

უმაღლესი ღვთაებანი შემდეგში ცნობილი იყვნენ სხვადასხვა სახელწოდებით: სვევები ადიდებდნენ ღმერთს ციუს, ბავარები (ძველ მარკომანთა შთამომავალნი), ისე როგორც ხერუსკები, — ღმერთს ერს (ეორი ანუ ხერუ), გერმინონთა ტომების ჯგუფი — ირმინს (გერმინი ანუ გერმუნი, როგორც გერმუნდურები), ჩრდილოეთის ტომები — ოდინს (ვოდანს).

უმაღლეს ღვთაებათა გარდა, ბუნების ძალთა თაყვანისცემა დაკავშირებული იყო აგრეთვე მრავალ ღვთაებათა, მრავალრიცხოვან კეთილ და ბოროტ სულთა კულტთან, რომლებიც ცხოვრობენ მიწის ქვეშ ქონდრისკაცების სახით და ეწევიან ლითონების დამუშავებას ,ანდა ბოროტ გოლიათთა სახით, რომლებიც მუდმივ ბრძოლაში არიან ნათელ ღვთაებებთან, დასასრულ, სინათლის სხვადასხვა დაბალ სულთა ელფების სახით. შემონახული იყო ტოტემიზმის გადანაშთები, ღმერთების სხვადასხვა ცხოველებად გადაქცევის წარმოდგენასთან და მათდამი მთელ რიგ ცხოველთა შეწირვასთან დაკავშირებული. დაბოლოს, არსებობდა რწმენა, საიქიო ცხოვრებისადმი და მიცვალებულთა კულტი, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობდა დაკრძალვის ცერემონიებში.

3. ძველი სლავები

სლავთა ტომების წარმოშობა. სულ მცირე ხანია, რაც დაიწყო სლავთა ტომების წარმოშობის საკითხის დამუშავება ჩვენს საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში და ამიტომ ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება. თვითონ ტერმინი ს ლ ა ვ ე ბ ი პირველად ჩვეულებრივ ტერმინად ხდება მხოლოდ VI საუკუნის მწერლებისათვის (ფსევდო-კესარიუსი, ნაზიანზინი, მენანდრი, იოანე ეფესელი, პროკოფი, იორდანე, ფსევდო-მავრიკიუსი), რომლებიც ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხ. IV საუკუნეში გამოსულ მთელ რიგ დუნაის იქითა ტომების სახელწოდებად იყენებენ მას. უფრო წინათ, ჩვენი წელთ. აღრ. I—III საუკუნეებში, სლავების წინაპრები ცნობილი იყვნენ ვ ე ნ ე დ ე ბ ი ს (ვენეტების, ვინიდების) სახელწოდებით, პროკოფის მოწმობით კი, ს პ ო რ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ი თ ა ც.

პლინიუსის, ტაციტის (ჩვენი წელთაღრიცხ. I საუკუნეში), პტოლემეოსის (ჩვენი წელთაღ. II საუკუნეში) და უგრეთწოდებული „პეიტინგერის" რუკის (IV ს.) მოწმობით, ვენედები ცხოვრობდნენ ვისლის შუა წელზე და შემდეგ აღმოსავლეთით, ბალტიის სანაპირომდე ჩრდილოეთით და კარპატის მთებამდე და დუნაიმდე სამხრეთით. უკვე მაშინ განირჩეოდნენ ეს ტომები სარმატიის დანარჩენი ტომებისაგან თავისი ბინადრული ცხოვრებით, მათ შორის მიწათმოქმედების არსებობით. —

VI საუკუნეში ვენედები უფრო ცნობილი ხდებიან სლავთა (სტლავინების, სლავინების, სკლავინების) და ანტების სახელწოდებით, რომელთაგან პირველნი ცხოვრობდნენ მდინარე ვისლის აუზში დუნაიმდე სამხრეთით, მეორენი — შავი ზღვის პირას, დნესტრსა და დნეპრზე (შუა და ზემო დნეპრისპირეთი).

VI საუკუნის დამლევს სლავებს ეკავათ უკვე უზარმაზარი ტერიტორია ელბიდან (ლაბიდან) დონამდე, ოკამდე და ზემო ვოლგამდე და ბალტიის ზღვისპირეთიდან შუა და ქვემო დუნაიმდე და შავი ზღვის ნაპირებამდე. VI და VII საუკუნეებში სლავებმა დაიკავეს ვრცელი ოლქები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და წაიწიეს შორს სამხრეთით. საფიქრებელია, რომ ვენედები თავის წინსვლაში შეერივნენ თავისი დასახლების მთელი ამ უზარმაზარ ოლქის დასავლეთის და სამხრეთის განაპირა ძირითად მოსახლეობას და მისცეს დასაბამი დასავლეთის და სამხრეთის უგვიანეს სლავებს.

დასავლეთში, ელბის აღმოსავლეთით, ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრ. I საუკუნიდან ჩვენთვის ცნობილია ლ უ გ ი ე ბ ი ს მრავალრიცხოვანი ტომები. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ეს ტომები დროებით ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ აღმოსავლეთელ გერმანელთა (გუთები, ბურგუნდები, კანდალები) წასვლის შემდეგ თავიანთ სამშობლოში დარჩნენ და აღმოსავლეთიდან წამოსულ ვენედებს შეერივნენ. ამიტომაა, რომ დასავლეთელ სლავთა შორის შემონახულია ისეთი სატომო სახელწოდებანი, როგორც ვენედები და ლუჟიჩები. ამ მხრივ საინტერესოა ზოგიერთი ანტიკური ავტორის მითითებაც ელბის აღმოსავლეთით ჩვენი წელთაღრ. ჯერ კიდევ I — V საუკუნეებში ისეთი ტომების არსებობაზე, რომელთა სახელებიც ძალიან უახლოვდება უგვიანეს სლავების სახელებს. მაგალითად, სტრაბონი (ჩვენი წელთაღრ. I ს.) იხსენიებს მუგილონების ტომს იმ ადგილას, სადაც უფრო გვიან (X საუკუნეში) ცნობილი იყო მოგილიანთა ტომი. ისტორიკოსი პრისკი (V ს.), რომელიც აღწერს ატილას ჰუნთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ და პანონიაში მცხოვრებ ტომთა ყოფაცხოვრებას, აღნიშნავს მათ ენაზე რამდენიმე სლავურ სიტყვის არსებობას (მაგალითად, თაფლი, რომლითაც აღინიშნება თაფლის სასმელი), რაც მოწმობს სლავური ელემენტების არსებობას პანონიაში უკვე IV საუკუნეში

იმ ტომების თავისებურებას, რომლებიც უფრო გვიან გახდნენ ცნობილი ლუგიების სახით, და გერმანელთა ტომებისაგან მათ განსხვავებას, ადასტურებს არქეოლოგიაც. XIV — IV საუკუნეებში ჩვენს წელთაღრ.-მდე უზარმაზარ ტერიტორიაზე ელბის აღმოსავლეთით (უმთავრესად, აღმოსავლეთი გერმანია, ჩეხია, სლოვაკია, პოლონეთი) ცნობილია ეგრეთწოდებული ლ უ ჟ ი ჩ ე ბ ი ს კ უ ლ ტ უ რ ა, რომელიც მკაფიოდ განსხვავდება გერმანელ ტომთა წინაპრების ტერიტორიად აღიარებულ ელბის დასავლეთით მდებარე ოლქთა თანამედროვე კულტურისაგან. ცნობილია ლუჟიჩების ქალაქები გრძელი „დედაბოძიანი“ სახლებით, სადაც ცხოვრობდნენ მთელი გვაროვნული ჯგუფები, მარცვლეულის სათემო ბეღლებით, ნახირის საერთო ბაკებით სოფლის ცენტრში და პურის საერთო ღუმელებით, კარგად შესრულებული თავისებური კერამიკის ნაშთებით და ქვის ყუთების (კისტების) სამარხებით ეგრეთწოდებული „ბურთისებრი“ ამფორებითურთ. ლუჟიჩების კულტურას ჩვენ მივყევართ უგვიანეს მრავალრიცხოვან ლუგიელთა ტომებთან, რომელთაც ეს ტერიტორია ეკავათ და მის ძველის-ძველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ, ლუგიების მეოხებით კი —აქ კიდევ უფრო გვიან ცნობილ დასავლურ სლავებთან.

საფიქრებელია, რომ დუნაის სამხრეთით მდებარე ოლქებშიაც, სადაც სამხრეთის სლავების წარმოქმნის პროცესი მიმდინარეობდა, სლავების ტომები

წმინდა მოსულ ელემენტს არ წარმოადგენდნენ, რადგან ისინი შეერიენენ თრაკიისა და ილირიის ძირითად მოსახლეობას. სხვანაირად სრულიად გაუგებარი ხდება, სად გაჰქრნენ ამ ტერიტორიაზე მოსახლე მრავალრიცხოვანი ილირო-თრაკიელები. ამიტომაა, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიაზე მათი პირვანდელი თავდასხმების დროს სლავებს აგრეთვე უძველეს თრაკიულ ტომობრივ სახელს „გეტებს" უწოდებენ.

აღმოსავლეთ ევროპაში, ვისლის აღმოსავლეთით სლავების წინაპრების ძველის-ძველ ბინადრობას ადასტურებს აგრეთვე არქეოლოგია. არქეოლოგია გვიჩვენებს, რომ არსებობდა შუა დნეპრისპირეთის ბინადარ მიწათმოქმედ ტომთა განუწყვეტელი განვითარება სკვით-სარმატთა (სკვითი—მხვნელნი) პერიოდიდან ანტების კულტურის გზით კიევის პერიოდის უგვიანეს სლავურ კულტურამდე. შუა დნეპრისპირეთი ძველთაგანვე თვალსაჩინო კულტურული ცენტრი იყო, რომელიც განვითარდა მჭიდრო ურთიერთობაში როგორც დასავლეთის სლავურ ოლქებთან, ისე, განსაკუთრებით, ველებიან სკვითურ—სარმატულ — გუთურ — ჰუნურ კულტურასთან სამხრეთთან; იგი შავი ზღვისპირა ანტიკური ქალაქების კულტურულ მემკვიდრეობას გადასცემდა და ავრცელებდა ჩრდილოეთით. ჰუნთა სატომო კავშირის დაშლის შემდეგ ანტების ტომები განაგრძობდნენ შემდგომ იმ კულტურის განვითარებას, რომელიც შავი ზღვისპირეთში ჩვენი წელთაღრ. ჯერ კიდევ II — V საუკუნეებში ჩამოყალიბდა.

ჩრდილოეთით, ზემო დნეპრის, დასავლეთ დვინის, ზემო ოკის და ვოლგის პირებზე არქეოლოგია გვიჩვენებს აღმოსავლურ სლავების ეთნოგენეზის მეორე ცენტრს, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენს წელთაღრიც. I ათასეული წლის დასაწყისიდან და ჩვენი წელთაღრ. I ათასეული წლის ნახევრამდე ეგრეთწოდებული დიაკური კულტურის ტომების არსებობასთან. დასავლეთით მის საზღვართან ახლოს მდებარეობდა ოლქი, სადაც ხდებოდა ეგრეთწოდებული ბალტიის ჯგუფის ტომების ფორმირება, რომელთაგან ჩვენს დრომდე მოაღწიეს ლიტველებმა და ლატვიელებმა (ლატიშებმა). სლავთა ეთნოგენეზის ჩრდილოეთის ცენტრი მოიცავდა მთელ რიგ ტომებს, რომლებიც უპირატესად მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მაგრამ ძლიერ განვითარებული ჰქონდათ მესაქონლეობა; მათი წყობილება იყო პატრიარქალურ-გვაროვნული; თავისი კულტურით ისინი თავდაპირველად რამდენადმე ჩამორჩებოდნენ შუა დნეპრისპირეთის უფრო მაღალ კულტურას. ხოლო ის მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებობდა, სულ უფრო და უფრო შლიდა ამ განსხვავებას და ხელს უწყობდა ეთნიური და კულტურული ერთობის დამყარებას, რაც შესამჩნევი გახდა აღმოსავლეთის სლავებში ჩვენი წელთაღრ. დაახლოებით I ათასეული წლის შუაგულიდან.

ძველი სლავების საზოგადოებრივი წყობილება. წერილობითი წყაროებიდან გამომდინარე ცნობები ძველი სლავების საზოგადოებრივი წყობილების შესახებ უფრო მოგვიანო დროს ეკუთვნის, ვიდრე ცნობები ძველ გერმანელთა შესახებ. ეს იქიდან წარმოსდგება, რომ რომის იმპერიას გაცილებით უფრო გვიან მოუხდა უშუალოდ შეხლა სლავებთან. მაინც უკვე ტაციტი გვაგები-

ნებს ჩვენ, რომ სლავების წინაპრები — ვენედები — გერმანელებს ემსგავსებოდნენ; ისინი ბინადარ მიწათმოქმედ ხალხს წარმოადგენდნენ და თავის მეზობელ ტყის მონადირე ფენებისაგან (ფინებისაგან) და ველების მესაქონლე— მომთაბარე სარმატებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ. არქეოლოგიაც ამასვე ადასტურებს.

ძველი სლავების საზოგადოებრივი წყობილების დასახატად უნდა მივმართოთ VI — VII საუკუნეთა მწერლებს (პროკოფის მთელი რიგი ნაწარმოებები, ფსევდო-მავრიკიოსი „სტრატეგიკონში", VI საუკუნის დამლევის და VII საუკუნის დამდეგის სამხედრო ტრაქტატში) და მათი მწირი ცნობები არქეოლოგიის მონაცემებით უნდა შევავსოთ. ამასთან შესაძლებელია ერთნაირად ვიმსჯელოთ როგორც სლავებზე, ისე ანტებზე. „სლავებისა და ანტების ტომები ერთმანეთს ემსგავსებიან თავისი ცხოვრებით, თავისი ზნე-ჩვეულებით და თავისუფლებისადმი სიყვარულით; არავითარი საშუალებით არ შეიძლება მათი მონებად გადაქცევა ანდა დამორჩილება", — მოგვითხრობს წყარო (ფსევდო-მავრიკიოსი) ერთდაიმავე დროს სლავებზეც და ანტებზეც.

ძველი სლავები წარმოადგენდნენ ბინადარ ხალხს, რომელიც მისდევდა მიწათმოქმედებას, როგორც წარმოების ,ძირითად დარგს, და ფართოდ ჰქონდა განვითარებული მესაქონლეობა, ნადირობა, მეთევზეობა და მეფუტკრეობა (ტყიური მეფუტკრეობა). ფსევდო-მავრიკიოსი ანტების შესახებ ლაპარაკობს, რომ „მათ გააჩნიათ სხვადასხვა საქონლისა და მიწის ნაყოფთა დიდი რაოდენობა, რაც შექუჩებულად აწყვია, განსაკუთრებით ფეტვი". დნეპრის შუა წელზე უკვე ცნობილი იყო საყანე მიწათმოქმედება. სლავებმა იცოდნენ აგრეთვე რკინის დამუშავება და ყოველგვარ სახელოსნო ნაწარმთა დამზადება (ბრინჯაოს სამკაულები ინკრუსტაციით, თიხის ჭურჭელი, რაც ზოგჯერ უკვე ჩარხზე მზადდებოდა, და ა. შ.).

ძველი სლავები სოფლებში ცხოვრობდნენ. ეს სოფლები, ზოგჯერ საკმაოდ მოზრდილნი, მთელი გვაროვნული ჯგუფებით იყვნენ დასახლებული; ამასთან დაკავშირებით შემდეგშიაც ასეთი სოფლები ხშირად ღებულობდნენ სახელწოდებებს, რომელთა დაბოლოებაც იყო იჩი, — ოვიჩი, — ოვიცი. სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა პატრიარქალური დიდი ოჯახი ანდა დიდი საოჯახო თემი, რომელსაც სამხრეთ სლავებში გროვა ანუ ზადრუგა ეწოდებოდა.

ენგელსი ასე ახასიათებს სლავების ამ საოჯახო თემს: „...პატრიარქალური დიდი ოჯახი, რომელსაც ახლაც ვპოულობთ სერბიასა და ბულგარეთში... გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა ჯგუფობრივი ცოლქმრობიდან წარმომდგარ, დედის უფლებრივ ოჯახსა და თანამედროვე ინდივიდუალურ ოჯახს შორის... სამხრეთ-სლავური ზადრუგა ასეთი დიდი ოჯახის საუკეთესო ჯერ კიდევ ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს. იგი ერთი მამის შთამომავლობის რამდენიმე თაობას მოიცავს მათ ცოლებთან ერთად. ისინი ყველანი ერთ კარმიდამოში ცხოვრობენ, თავიანთ ყანებს ერთად ამუშავებენ, საერთო მარაგიდან ღებულობენ საკვებსა და ტანისამოსს და მოსავლის ნაშთს ერთად ფლობენ. ეს დიდი ოჯახი ექვემდებარება მამასახლისის (domacin) ხელისუფლე-

ბას, რომელიც მის საგარეო წარმომადგენლად ითვლება... მას ირჩევენ და სრულიადაც საკალდებულო არაა იგი უხუცესი იყოს".[1]

სწორედ ასეთი დიდი ოჯახებისგან შედგებოდნენ ძველი სლავების ახალშენები. ამასვე მიუთითებს ფსევდო მავრიკიოსის ცნობა, რომ ცალკეული ნახევრად მიწისქვეშა ბინები ანტების ახალშენებში ერთმანეთთან შეერთებულია დახურული გადასასვლელებით და, მაშასადამე, საერთო მეურნეობით გაერთიანებულ ბინების მთელ კომპლექსებს წარმოადგენენ.

დიდი ოჯახები ერთიანდებოდნენ გვარებად და ტომებად, რომელთა სათავეშიც იდგნენ ბელადები (ფილარქები, როგორც მათ ბიზანტიის მწერლები უწოდებენ). მაგრამ ასეთი ბელადების ხელისუფლება მცირე იყო, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო კრებებს (ვეჩე). პროკოფი გვაცნობებს სლავების შესახებ: „ამ ხალხს ერთი კაცი კი არ განაგებს, არამედ იგი უხსოვარი დროიდან დემოკრატიული წყობილებით ცხოვრობს. ამიტომ ყოველივეს, რაც მათთვის სასარგებლო თუ საზიანოა, ისინი შეთანხმებულად განიხილავენ". ეს იმით აიხსნება, რომ ძველ სლავებს შორის ჯერ კიდევ არ იყო კლასებად დაყოფა. ჩანასახში მყოფი მონობა ჯერ კიდევ სავსებით პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა. ფსევდო-მავრიკიოსი ასე ახასიათებს მონობას ძველ სლავებს შორის: „ტყვეებს ისინი მონობაში განუსაზღვრელი დროის განმავლობაში როდი ამყოფებენ, როგორც დანარჩენი ხალხები, არამედ მათ განსაზღვრულ ვადას უნიშნავენ და არჩევანში შეჰყავთ: სურთ თუ არა მათ ერთგვარი გამოსასყიდით დაბრუნდნენ შინ ან დარჩნენ იქ, სადაც ისინი იმყოფებიან, თავისუფალთა და მეგობართა მდგომარეობაში".

სლავებისა და ანტების ყოფაცხოვრება ხასიათდება მათ შორის ფართოდ განვითარებული სტუმართმოყვარეობითაც. „ვინც მათთან მიდის და სტუმართმოყვარეობით სარგებლობს, ისინი გულთბილად და მეგობრულად ეპყრობიან; ასევე გულღიად ხვდებიან და აცილებენ ერთი ადგილიდან მეორემდე მათ, ვინც ამას საჭიროებს. უკეთუ სტუმარს რაიმე უბედურება შეემთხვა მასპინძლის უყურადღებობით, მაშინ მისი მეზობელი, რომელმაც მას სტუმარი ჩააბარა, შურს იძიებს სტუმრისათვის, და ამას იგი თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნევს" (ფსევდო-მავრიკიოსი).

განუწყვეტელი ომები, რასაც სლავები თავიანთ მეზობლებთან აწარმოებდნენ, იწვევდა მათში სამხედრო დიქტატურის განვითარებას. ზოგჯერ მათში მსხვილი გაერთიანებები, მთელი ტომობრივი კავშირები ყალიბდება. IV საუკუნეში ანტებში გუთებთან წარმოებული ომების დროს გამოირჩევა თავადი ბოჟი, რომელიც 70 უხუცესის სათავეში იდგა. მაგრამ ასეთი გაერთიანებები არ იყო მტკიცე. ამიტომ ფსევდო-მავრიკიოსს შეეძლო დაეწერა სლავებზე: „ვინაიდან მათ მრავალი თავადი ჰყავთ, და ისინი ერთმანეთთან უთანხმოებაში არიან, ხელსაყრელია ზოგი მათგანის მიმხრობა ან დაპირებების, ან მდიდრული საჩუქრების მეოხებით, განსაკუთრებით ისეთების, რომელთაც ჩვენს

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 59.

მეზობლად სხვებთან აქვთ „ურთიერთობა, რათა ისინი ერთად არ შეეთანხმნენ და ერთის ხელქვეითნი არ გახდნენ“.

სლავების შეიარაღება მეტად პრიმიტიული იყო; თვითეული მებრძოლი შეიარაღებული იყო ორი პატარა ხელშუბით, ზოგჯერ ფარით. ხმარებაში იყო მშვილდებიც შხამიანი ისრებითურთ. სლავების, ისე როგორც ყველა ბარბაროსის, საყვარელ ტაქტიკას წარმოადგენდა ჩასაფრებისა და მოულოდნელ თავდასხმათა მოწყობა ძნელადგასავლელ ადგილებში.

მაგრამ რომაელი მწერლები აღნიშნავენ, რომ სლავებმა ძალიან მალე შეითვისეს რომაული სამხედრო ტექნიკა, მათ რიცხვში გამაგრებული ქალაქების გარემოცვის რთული ტექნიკაც. სლავებმა იცოდნენ ერთფიცრიანი ნავების გაკეთება და ისინი ასეთი ნავებით ზოგჯერ ძალიან შორეულ საზღვაო ლაშქრობას აწყობდნენ.

VI — VII საუკ. სლავები იმდენად გაძლიერდნენ, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიისათვის საშიშარი შეიქნენ. მათ გაარღვიეს დუნაის საზღვარი და ფართო ნაკადად შეიჭრნენ იმპერიის ფარგლებში; აქ ისინი ისეთსავე როლს ასრულებდნენ, როგორც გერმანელები დასავლეთ რომის იმპერიისათვის. თუმცა სლავებს არ დაუნგრევიათ აღმოსავლეთ რომის იმპერია, მაგრამ ძლიერ შეუწყეს ხელი მასში მონათმფლობელური წესწყობილების დამხობას.

ძველი სლავების რელიგია. ძველი სლავების რელიგია ბუნების ძალთა თაყვანისცემას წარმოადგენდა. „ქვეყნის მეუფედ“, — ამბობს პროკოფი ანტების შესახებ, — ისინი სცნობენ ერთადერთ მეხთა მფრქვეველ ღმერთს და მას მსხვერპლად სწირავენ ხარებს და სხვა სამსხვერპლო ცხოველებს... თაყვანს სცემენ ავრეთვე მდინარეებს და ნიმფებს და სხვა ღვთაებებს და ამასთან ყველა მათთვის მსხვერპლთშეწირვას აწყობენ და მკითხაობენ“. მთელი რიგი ტომებისათვის ასეთ უმაღლეს ზეციერ ღვთაებას წარმოადგენდა პერუნი (პირონი — ბულგარელებისათვის, პორენუცი ზღვისპირა სლავებისათვის). სხვა უმაღლესი ღვთაებანიც საერთო იყვნენ მთელი რიგი ტომებისათვის, მაგალითად, სვაროგი, ღმერთი ცისა, მფარველი მჭედელთა საქმისა; რუსი სლავების გარდა, ის ცნობილი იყო ზღვისპირა სლავებისათვისაც, სადაც ადიდებდნენ მის შვილს სვაროეიჩს, ცეცხლის ღმერთს. როგორც აღმოსავლელ, ისე დასავლელ სლავთათვის ცნობილი იყო საქონლის ღმერთი ველესი. მაგრამ გარდა ამ ღმერთებისა, რომლებიც საერთო იყვნენ თითქმის ყველა ტომობრივი ჯგუფისათვის, ჩვენ ვიცით ადგილობრივი ღვთაებანიც, რომლებიც მეტწილად მზეს განასახიერებენ. ასეთი იყო კიეველ სლავებისათვის ღმერთი ხორსი; ირანულად ეს სახელი ნიშნავს მზეს და მიგვითითებს იმ კავშირზე, რომელიც სკვითებისა და სარმატების მეშვეობით ჰქონდათ ძველ სლავებს და მათ წინაპრებს ირანულმსოფლიოსთან. ასეთნი იყვნენ ღვთაებანი დაჟდ-ბოგი, სვიატოვიტი (ოთხთავიანი კერპის სახით), ტრიგლავი, იაროვიტი. შესამჩნევია ზოგიერთი გადანაშთი მატრიარქატის ეპოქის უფრო ძველი რელიგიისა, მაგალითად, ნოყიერების ღმერთ ქალის, ნოტიო-მიწის დედის, ღმერთქალი ჟივის თაყვანისცემის სახით, ანდა ცალკეულ სტიქიურ სულთა-წყლის სულთა (ბერეგინები, ალები,

ტოპილკები, მავკები, ორთითები, წულისკაცები), ტყის სულთა (ტყის კაცები, ტევრეულნი) და მინდვრის სულების (მინდვრეულნი) თაყვანის ცემის სახით. რელიგიური თაყვანისცემის საგნებს წარმოადგენდნენ ჭები, წყაროები, წმინდა ჭალაკები, წმინდა კუნძულები და მთები. გვარის ღვთაებანი იყვნენ გვარი და დამბადებელი, ხოლო ხახლის (ოჯახის) მფარველ ღვთაებას ოჯახის ანგელოზი წარმოადგენდა.

ლიტერატურა

I. ბარბაროსების ადრეული. Маркс, Формы, предшествующие капиталистическому производству, „Пролетарская революция" № 3, 1939. — Маркс и Энгельс, Переписка, Письма от 14 и 25 марта 1868 г., 22 ноября, 8 декабря 1882. г., Соч., т. XXVI. — ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. — Энгельс, К истории древних германцев, Соч., т. XVI, ч. I. — Энгельс. Марка, Соч., т. XV.

II. წყაროები. Цезарь. Записки о галльской войне, Соч., М. 1876. — Тацит Германия, соч., т. I, Спб. 1856. — Страбон, Географии, М. 1879. — Древние германцы. Сборник документов под ред. Удальцова, М. 1937. — Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. I, М. 1939, стр. 3—30. — Социальная история средневековья, под ред. Косминского и Удальцова, т. I, 1927, стр. 35—100. — Хрестоматия по западно-европейской литературе. Средние века (IX—XV вв.), под ред. Шор. 1938, стр. 125—144.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Маурер, Введение в историю общинного, подворного, сельского и городского устройства и общественной власти, М. 1880. — Фюстель-де-Куланж, История общественного строя древней Франции, т. I, М. 1901. — Общая история европейской культуры, т. VII. Франция в раннее средневековье, 1913 (Блок, Независимая Галлия и Римская Галлия). — Виноградов, Средневековое поместье в Англии, гл. I, Спб. 1911. — Ковалевский, Экономический рост Европы, т. III, 1903, стр. 370—422. — Дельбрюк, История военного искусства в рамках политической истории, т. II, М. 1937. — Любавский, История западных славян, 1918. — Погодин, Из истории славянских передвижений, 1901. — Фламмариум, Божества древних славян, 1880.

თავი III

ბარბაროსული დაპყრობანი და მონების რევოლუცია. ბარბაროსთა სახელმწიფოების წარმოქმნა რომის იმპერიის ტერიტორიაზე

I. გერმანელ ტომთა ეკონომიური განვითარება II — III საუკუნეებში

გერმანელი ტომები ჩვენი წელთაღრ. II — III საუკუნეებში. II საუკუნიდან დაწყებული შესამჩნევი ხდება შემდგომი პროგრესი გერმანელ ტომთა განვითარებაში. ენგელსი „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“ და აგრეთვე თავის ნაწყვეტში „ძველი გერმანელები“ ვრცლად აღწერს იმ აღმავლობას მატერიალური კულტურის დარგში, რასაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, ჩვენი წელთაღრ. II — IV საუკუნეებში. არქეოლოგია აღნიშნავს ამ დროს გემოვნებისა და ყოფაცხოვრებითი პირობების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას გერმანელთა, განსაკუთრებით, აღმოსავლელ გერმანელთა ცხოვრებაში. შემოაქვთ მრავალი რომაული ნაწარმი, დაწყებული იარაღით და გათავებული საოჯახო ავეჯეულობით, მორთულობა-მოკაზმულობით და სხვადასხვა სატუალეტო მოწყობილობით. რომთან სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველებას მიუთითებს აგრეთვე აღმოჩენილი რომაული ფულები. ძირითად სავაჭრო გზებად ხდებიან წყალსავალი გზები მორავიასა და სილეზიაზე. პირველი გზა იწყებოდა დუნაიდან და მიემართებოდა მდინარე მორავის (ანუ მარხის) და ოდერის გასწვრივ ბალტიის ზღვისაკენ, ქარვის ნაპირისაკენ, როგორც მაშინ ეწოდებოდა ამ სანაპიროს, რადგან იქ ქარვის მოპოებას ეწეოდნენ. მეორე გზა გადიოდა დუნაიდან ელბაზე ჩრდილოეთით. როგორც სჩანს, ამ მხრივ თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნეს აგრეთვე უფრო აღმოსავლეთით მდებარე გზებმა შავი ზღვიდან დნესტრზე ან დნეპრზე პრიპიატით ვისლის შესართავისაკენ.

სილეზიასა და ბრანდენბურგში II — III საუკუნეებში რომაელი ვაჭრები მუდმივ მცხოვრებლებად იქცევიან. გერმანიიდან გაზიდვის საგნებს წარმოადგენდნენ ქარვა, პირუტყვი, ბეწვეული და მონები. ენგელსის დახასიათებით, „რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ხალხთა გადასახლებისა და სლავებთან მათი ომების პერიოდში, ისინი (გერმანელები. — რედ.) — თავისი დროის პირველი მეკობრენი, მონათა გამტაცებლები და მონათვაჭრები არიან“.[1]

გერმანელთა მეკობრეობამ, გერმანელთა ნავოსნობამ და ვაჭრობამ გან-

---

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, стр. 369

საკუთრებით დიდ განვითარებას მიაღწია ბალტიის მხარეში, რის მაჩვენებელიც არის დიდძალი რაოდენობა აღმოჩენილი ფულის ნიშნები, საქონელი და თვით საზღვაო ხომალდები გერმანიის ჩრდილოეთ სანაპიროზე, სკანდინავიაში და აგრეთვე კუნძულ გოტლანდზე. III საუკუნის დამდეგს ვითარდება ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა, რომელიც „ხალხთა გადასახლების“ დროისათვის მნიშვნელოვან დონეს აღწევს და შეიცავს სხვადასხვა (კელტთა, გერმანელთა, ძველ სლავების) ტომებით დასახლებულ უზარმაზარ ტერიტორიას, —ინგლისიდან შავ ზღვამდე და შვეიციდან დუნაიმდე. ამ დროს მიღწეული იყო მნიშვნელოვანი წარმატებები მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დარგში. გაწმენდილ იქნა მრავალი ტყე, გაუმჯობესდა საქონლის ჯიშები. ტაციტის ეპოქაში გერმანელებს მეტად წვრილტანის საქონელი ჰყავდათ, III საუკუნის დამლევს კი რომაელები თავიანთი ცხენოსანი ჯარისათვის უპირატესობას უკვე გერმანელთა ცხენებს აკუთვნებენ.

ამ დროისათვის განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს რ უ ნ ი კ უ ლ ი დ ა მ წ ერ ლ ო ბ ა — წერილი, შედგენილი განსაკუთრებული ნიშნებით, რომლებითაც სარგებლობდნენ ძველი გერმანელები. ამ დროს ეკუთვნის ძველგერმანული კალენდარის გამოჩენაც, რომელსაც ადგენენ რომაელის მიხედვით, სადაც ღვთაება მერკურის ადგილს იკავებს ღმერთი ოდინი, ხოლო მარსის ადგილს — ღმერთი ციუ, ანუ ტირი.

გერმანელები და რომი III — IV საუკუნეებში. ამასთან ერთად ამ ეპოქაში გერმანელ ტომთა ცხოვრებაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა ომს, რომლის მნიშვნელობაც ბარბაროსობის უკანასკნელ სტადიაზე ზემოთ უკვე დახასიათებული იყო ენგელსის სიტყვებით (იხ. გვ. 41).

საწარმოო ძალთა საერთო განვითარებისა და ომის როლის გადიდების შედეგად ძლიერდება გერმანელ ტომთა მიწოლა რომის ტერიტორიაზე. ძველთა ადგილას იქმნება ახალი დიდი ტომობრივი ჯგუფები, ჩნდება ტომების ახალი სახელწოდება — ფრანკები, ალამანები, რომლებსაც წინათ ანტიკური მწერლები არ იხსენიებდნენ. გალია სულ უფრო და უფრო განიცდის ძარცვასა და რბევას, ცალკეული ბარბაროსული ტომები შედიან რომის სამსახურში ფ ე დ ე რ ა ტ ე ბ ი ს, ე. ი. მოკავშირეთა სახით და სადგომად თავსდებიან რომაელ მიწათმფლობელთა სახლებში როგორც რომის მუდმივი სამხედრო კონტინგენტი, ანდა ლ ე ტ ე ბ ი ს სახით, რომლებიც საზღვარზე ღებულობდნენ ნაკვეთებს დასასახლებლად და იცავდნენ ამ საზღვრებს ბარბაროს ტომთა თავდასხმისაგან. ცალკეული სამხედრო მეთაურები ბარბაროსთა წრიდან აღწევენ მაღალ სამხედრო წოდებებს და დიდ როლს ასრულებენ იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც, მაგალითად, სარდალი სტილიხონი ანდა ოდოაკრი, რომელიც გერმანიის მეფედ იქცა იტალიაში. ბარბაროსთა შეკრა რომის საზოგადოებაში სხვა გზითაც წარმოებდა. ტყვედ ჩაგდებული ბარბაროსები იქცეოდნენ მონებად ანუ კოლონებად და ავსებდნენ რომის იმპერიის მწარმოებელი კლასების შემადგენლობას. დასასრულ, „არარომაელები, ე. ი. ყველა „ბარბაროსები“, — როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, — გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და გრიალით დაამხეს რომი“. (ს ტ ა ლ ი ნ ი).

2. შავიზღვისპირეთი ჩვენი წელთაღრ. II—IV საუკუნეებში
გუთები და ჰუნები

შავიზღვისპირეთის ტომები ჩვენი წელთაღრ. II — IV საუკუნეებში. კულტურის აღმავლობა, რომელსაც განიცდიან გერმანელთა ტომები ჩვენი წელთაღრ. II — IV საუკუნეებში, მოიცავდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ გერმანიას, არამედ უფრო მეტად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს. ჩვენმა საბჭოთა არქეოლოგიამ გამოარკვია, რომ ტერიტორია, რომელსაც ეს აღმავლობა მოიცავდა, იწყებოდა ელბიდან და აღწევდა დონს. II — III საუკუნეებში შავიზღვისპირეთიც მნიშვნელოვან ვაჭრობას ეწეოდა იმპერიასთან. გაჰქონდათ ბეწვეული, თევზეული, ხოლო შემოჰქონდათ ღვინო, სხვადასხვა ქსოვილი და ფუფუნების საგნები. ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ცნობილია რომაული ფულის მრავალრიცხოვანი საგანძურები, განსაკუთრებით ჩვენი წელთაღრ. I და II საუკუნეებში. განსაკუთრებით მრავალი ასეთი საგანძურია შუა დნეპრისპირეთში, რომელშიც, როგორც სჩანს, უძველეს კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, რომელსაც თავისი ფესვები შორეულ საუკუნეთა სიღრმეში ჰქონდა გადგმული.

III — V საუკუნეებში შავიზღვისპირეთის კულტურა ფრიად მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს. იგი წარმოიშვა შავიზღვისპირეთის ისტორიის სარმატულ პერიოდში მის წინამორბედ სკვითური კულტურის საფუძველზე, რომელმაც განიცადა ანტიკურ შავიზღვისპირეთის ქალაქთა და განსაკუთრებით ბოსფორის სამეფოს კულტურის ძლიერი გავლენა, და განაგრძობს თავის არსებობას ჰუნურ პერიოდში; ამ ადგილობრივ შავიზღვისპირეთის კულტურას შეიძლება ეწოდოს სარმატულ-ჰუნური, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გუთური, რომელიც თითქოს გერმანიიდან იყო შემოტანილი. ეს კულტურა ხასიათდება ეგრეთწოდებული „პოლიქრომული სტილით", ლითონის ნაწარმთა სხვადასხვაფერი ნართაულებით გაწყობით, რაც შეცდომით „გუთურ სტილად" ითვლებოდა, ხოლო სინამდვილეში შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ჯერ კიდევ გუთების მოსვლამდე. ანალოგიურ თავისებურებებს ვხვდებით აგრეთვე უფრო შორს აღმოსავლეთით, სადაც გუთებს ფეხი არ დაუდგამთ, თვით ირანამდე და ციმბირამდე. ესევე ითქმის ამ მატერიალური კულტურის მეორე თავისებურებაზეც, ეგრეთწოდებულ „მხეცთა ორნამენტზე", რომლისთვისაც მოტივების სახით აღებულია სცენები მხეცთა ცხოვრებიდან ანდა მათი ცალკეული გამოსახულებანი.

III საუკუნის დამდეგიდან ძველი სკვითიის და სარმატიის ტომთა შორის, ტომების უფრო ძველ სახელწოდებათა — სკვითების, სარმატების, ალანების — გვერდით გუთებსაც იხსენიებენ.

ძველი გუთები. ტაციტის ეპოქაში ძველი გუთები მეტწილად ვისლის ქვემო წელში ცხოვრობდნენ და შემდგომ აღმოსავლეთით — ბალტიის ზღვის სანაპიროზე. გუთების ცალკეული ჯგუფები ცხოვრობდნენ კუნძულ გოტლანდზე, რომელმაც სწორედ მათგან მიიღო თავისი სახელწოდება, და, შესაძლოა,

როგორც ამას გვიჩვენებს სამხრეთ სკანდინაველ ტომთა სახელწოდებები (გაუთები), — ისინი სამხრეთ სკანდინავიაშიც ცხოვრობდნენ. როგორც სხვა დანარჩენმა აღმოსავლეთელმა გერმანელებმა, ტაციტის ეპოქის შემდეგ გუთებმა ჰნიშვნელოვნად წაიწიეს წინ თავიანთ საზოგადოებრივ განვითარებაში. II საუკუნის ნახევარში ერთი ნაწილი გუთებისა, ალბათ, თავდაპირველად ცალკეული რაზმების სახით, იწყებს ადგილის გადანაცვლებას სამხრეთ-აღმოსავლეთით, შავი ზღვისაკენ, ორი ძირითადი წყალსავალი გზით: ვისლიდან დნესტრზე და ვისლიდან და დასავლეთ ბუგიდან პრიპიატსა და დნეპრზე. უკანასკნელი გზით მიემართებოდნენ, როგორც სჩანს, ის გუთები, რომელთაც შერჩათ ოსტგუთების (ოსტროგუთების), ანუ აღმოსავლეთელი გუთების (სხვანაირად გრეიტუნგები, ველის გუთები) სახელწოდება. მოძრაობის მეორე გზა— ვისლაზე და დნესტრზე — ესაა გზა, რომლითაც იძვროდნენ ის გუთები, რომლებმაც მიიღეს დასავლეთელი — ვ ე ს ტ გ უ თ ე ბ ი ს (ვიზიგუთები), ანუ ტყის გუთების (ტერვინგები) სახელწოდება.

გუთები შავიზღვისპირეთში. ამ მოძრაობის შედეგად, რომელიც მთელი ათეული წლების მანძილზე წარმოებდა, გუთების ძირითადმა მასამ ბალტიის მხრიდან შავიზღვისპირეთისაკენ გადაინაცვლა და მდინარეების დნეპრისა და დნესტრის აუზში დამკვიდრდა, სადაც იგი ადგილობრივ მოსახლეობას შეეჭრია და იწყო მისი კულტურის შეთვისება.

VI საუკუნეში გუთების ისტორიკოსის იორდანის მიერ მოყვანილი ცნობებით, შავიზღვისპირეთის გუთების შემადგენლობაში გაითქვიფნენ გეთების ადგილობრივი ტომები და, გარდა ამისა, როგორც სჩანს, უფრო გვიან, — ალანთა ტომები. გუთებს უერთდებოდნენ აგრეთვე ტაიფალები და გეპიდები და, შესაძლოა, ბასტარნები და დანარჩენი ადგილობრივი ტომები. შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ბარბაროს ტომთა და მათ კავშირთა მთელ ამ ერთობლიობას ანტიკური მწერლები ხან სკვითების, ხან გუთების სახელით იხსენიებდნენ. გუთები, რომლებიც აქ სამდინარო გზებზე, კერძოდ დიდი მდინარეების — დნეპრისა და დნესტრის დაბლობებში დასახლდნენ, იმ ყაჩაღური თავდასხმების ორგანიზატორები ხდებიან, რომლებიც მათი სამხედრო ჰეგემონიით იწყობა სამხრეთ ველებიდან მცირე აზიასა და ეგეოსის ზღვაშიც კი. გუთები თავდასხმებს ახდენენ სახმელეთო გზით მეზიაში და ნავებით შავ და მარმარილოს ზღვებზე, და ეგეოსის ზღვაზეც კი; ძარცვავენ და ანადგურებენ სოლუნსა და ათენს. ისინი იპყრობენ დაკიას, რომელიც მათ იმპერატორმა ავრელიანმა დაუთმო III საუკუნეში. კონსტანტინეს დროს გუთების ცალკეული ტომები იმპერიის ფედერატები ხდებიან და ვალდებულებას კისრულობენ გამოიყვანონ და გადასცენ მის განკარგულებაში 40 ათასი მებრძოლი. მყარდება აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობა იმპერიასთან.

გუთების ტომები ამ ეპოქაში იწყებდნენ გადასვლას ბარბაროსობის უკანასკნელი სტადიიდან პრიმიტიული მონათმფლობელური საზოგადოების საწყისებზე. გუთებში ძლიერდებოდა კლასების წარმოქმნის პროცესი, ფეხს იდგამდა და ვრცელდებოდა მონობა. ამ თავისებურ „რომანიზაციას“ თან სდევს ქრისტიანობის გავრცელება არიანობის სახით, თუმცა ზოგიერთ ცალკეულ

ტომებში ქრისტიანობა წინააღმდეგობას აწყდებოდა, მაგალითად, მეფე ატანარიხის მხრივ.

გუთების ერთ ნაწილს („მცირე" გუთები, იორდანის მიხედვით) ევლინება თავისი „მოსე გუთებისა", სახელად ვულფილა, რომელიც ტყვედქმნილი მცირეაზიელი მონების წრიდან წარმოსდგებოდა. ის ქადაგებდა ქრისტიანობას და 341 წელს კურთხეულ იქნა ეპისკოპოსად; მან შეადგინა ალფაბეტი და დასაბამი მისცა ბიბლიის გუთურ ენაზე თარგმანს.

IV საუკუნის შუაგულში შავიზღვისპირეთის ველებში იქმნება დიდი ტომობრივი გაერთიანება, რომლის სათავეშიც სდგას ოსტგუთების მეფე გერმანარიხი. სხვადასხვა ტომთა ამ გაერთიანების შემადგენლობაში შედიოდა, გარდა გუთებისა, სლავთა და სარმატთა ტომების ერთგვარი რაოდენობაც.

ჰუნების ტომობრივი კავშირი და ოსტგუთების განადგურება. ამ გუთური ტომობრივი კავშირის აღმოსავლეთით, ქვემო ვოლგის, დონის ველებსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, იქმნება მეორე ვრცელი ტომობრივი კავშირი ჰუნების მეთაურობით. ამ ტომობრივი კავშირის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ადგილმაცვალი — მესაქონლეები (ძირითადად თურქები, მაგრამ მათ შორის, როგორც სჩანს, მონგოლთა წარმოშობის ტომებიც იყვნენ), რომლებმაც, თავისი მოძრავი ცხენოსანი ჯარის უპირატესობათა წყალობით, ადვილად დაიმორჩილეს აღმოსავლეთ ველების ბინადარ და ნახევრადბინადარ მცხოვრებთა გაფანტული ტომები, მათ რიცხვში ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ალანებიც. ამგვარად, IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედის დამდეგს სამხრეთში წარმოიქმნა ორი ტომობრივი კავშირი — გუთებისა და ჰუნებისა. 375 წელს ჰუნების სამხედრო კავშირი შეეჯახა გერმანარიხის ძალებს. გამარჯვება წილად ხვდათ ადგილმაცვალ ჰუნებს. აქ განსაკუთრებით თავი იჩინა ჰუნების ცხენოსანი ჯარის სამხედრო წყობის უპირატესობამ გუთების ფეხოსან ჯარზე. ოსტგუთები შეუერთდნენ ჰუნების სამხედრო კავშირს და მონაწილეობა მიიღეს შემდგომ მოძრაობაში დასავლეთის მიმართულებით.

ყირიმის გუთია. გუთების კავშირის ზოგიერთი ნაშთები, რომლებიც შეადგენდნენ ეგრეთწოდებულ ყირიმის გუთიას დედაქალაქით დოროსში, მხოლოდ ყირიმშია დაცული. ფიქრობენ, რომ დოროსი წარმოადგენს ნაშთებს ძველი ესკი-კერმენის ციხე-სიმაგრისას, რომელიც სევასტოპოლის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და ამჟამად გაცხოველებით სწარმოებს მისი გათხრა საბჭოთა არქეოლოგების მიერ. ეს ყირიმის გუთია ბიზანტიისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და დროდადრო ხაზარების, პაჭანიგების, პოლოვცების მორჩილებაში იყო. შემდეგში ყირიმის გუთები დაპყრობილ იქნენ თათრებისა და თურქების მიერ და თავისი ენაც მათ თათრული და ბერძნული ენით შესცვალეს.

3. ვესტგუთები ბალკანეთში და მათ მიერ სახელმწიფოს შექმნა გალიასა და ესპანეთში

ვესტგუთები ბალკანეთში. ჰუნების მიერ ოსტგუთების განადგურებამ და დამპყრობი ჰუნების შემდგომმა წინსვლამ დასავლეთით თავის მხრივ ვესტგუთებიც განადგურების საშიშროების წინაშე დააყენა. ვესტგუთების მნიშვნე-

ლოვანი ნაწილი სამხრეთით, დუნაისკენ დაიძრა და სთხოვა იმპერატორ ვალენტს იმპერიის ფარგლებში შესვლისა და იქ სამუდამოდ დასახლების ნება დაერთო მათთვის. იმავე დროს ისინი თხოულობდნენ სურსათ-სანოვაგით მომარაგებას, რისთვისაც აღუთქვამდნენ მორჩილებას და სამხედრო სამსახურში შესვლას (376 წ.). ნებართვა მიცემულ იქნა, მაგრამ იმ პირობით, რომ გუთები იარაღს ჩააბარებდნენ. ვესტგუთები გადავიდნენ მეზიაში, დუნაის მარჯვენა ნაპირზე. მაგრამ იმპერატორის იმ მოხელეებმა, რომელთაც ევალებოდათ ვესტგუთების მოთავსება და მათ სურსათ-სანოვაგით მომარაგება, ისარგებლეს იოლი გამდიდრების შესაძლებლობით, რომელიც მათ მიეცათ; მათ ისარგებლეს გუთების მძიმე მდგომარეობით, გუთების, რომელნიც შიმშილს განიცდიდნენ. სხვადასხვა ხერხით გამოძალვისა და პირდაპირ ძალმომრეობის გზით ისინი ყიდულობენ გუთებისაგან მათ მონებს და თვითონ გუთებს, მათ ცოლებსა და ბავშვებს მონობაში აგდებენ, ხანდახან კი სასყიდლით უტოვებენ მათ იარაღს, რომელიც უნდა ჩამორთმეოდათ. ასეთი შეკიწროებითა და ჩაგვრით სასოწარკვეთილებამდე მისული გუთები აჯანყდნენ და იწყეს გარემომდებარე ოლქების რბევა-განადგურება. მათ უერთდებოდნენ მონათა და გლეხთა მასები, რომელნიც ისწრაფოდნენ გადაეგდოთ ექსპლოატაციის უღელი, და აგრეთვე ოქროს საბადოების მუშები. ადგილმდებარეობასთან კარგად გაცნობილნი, ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ გუთებს.

გუთების მისაშველებლად დუნაის იქითა მხრიდან გერმანელთა ცალკეული რაზმები და აგრეთვე ალანებისა და ჰუნების რაზმებიც მოვიდნენ. დაბოლოს, გუთები იმდენად გაძლიერდნენ, რომ იმპერატორი ვალენტი მათ სასტიკად დაამარცხეს; ადრიანოპოლთან ბრძოლაში მოკლულ იქნა თვითონ იმპერატორი (378 წ.). ამის შემდეგ გუთები ბალკანეთის მთელ ნახევარ კუნძულზე გაიფანტნენ და ყველგან რბევა და განადგურება მიჰქონდათ, სადაც კი გაივლიდნენ. ამასთან ერთდროულად მცირე აზიაში მონებისა და კოლონების მნიშვნელოვანმა აჯანყებამ იფეთქა.

გუთების აჯანყება ჩაქრობილ იქნა თეოდოსის მიერ, რომელიც იყო სარდალი, შემდეგში იმპერატორ გრაციანის თანამმართველი და, ბოლოს, მისი მოადგილეც. თეოდოსიმ გუთების რაზმები ნაწილობრივ დაამარცხა, ნაწილობრივ მოისყიდა მათი ბელადები და მიიზიდა ისინი თავისთან სამსახურში. 382 წელს გუთებთან დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მათ თავისთავი იმპერიისაგან დამოკიდებულად სცნეს და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა ნაწილში მიიღეს ბინები და ჯამაგირი. გუთები თეოდოსიანდმი ერთგულებაში იყვნენ მის სიკვდილამდე 395 წ. ისინი მონაწილეობას იღებდნენ მის ლაშქრობებში მის ყველაზე საიმედო ნაწილთა სახით და ვლოვობდნენ სიკვდილს, როგორც ისინი ამბობდნენ, ამ „გუთების მეგობრისას", რომელიც მათდამი ყოველთვის გულუხვობასა და დათმობას იჩენდა.

ალარიხი და სტილიხონი. თეოდოსეს სასახლის კარზე და მის სხვადასხვა ლაშქრობაში თავის კარიერას იკეთებდა ვესტგუთების მომავალი სახელგანთქმული მეფე ალარიხი, რომელიც გუთების წარჩინებული გვარის ბალტას ჩამომავალი იყო. მის დროსვე დაწინაურდნენ და მაღალი თანამდებობები ეჭი-

რათ სახელმწიფოში ვანდალ სტილიხონს, ფრანკ არბოგასტს, გუთს გაინას. როდესაც თეოდოსეს სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდნენ მისი მცირეწლოვანი შვილები — არკადი აღმოსავლეთში და ჰონორი დასავლეთში — და დაიწყო სასახლის ინტრიგები, რაც დამაუძლურებლად მოქმედებდა ცენტრალურ ხელისუფლებაზე, გუთები გაერთიანდნენ, თავისი ტომის მეფედ ალარიხი წამოაყენეს და სასახლის პარტიების ბრძოლაში იწყეს ჩარევა. არკადის ხელმძღვანელმა რუფინმა, რომელიც თვითონ ისწრაფოდა ხელთეგდო იმპერატორის ძალაუფლება, მოლაპარაკება გამართა ალარიხთან და თავისი გეგმების განხორციელებაში დახმარებისათვის აღუთქვა მას მიწა და მხედართმთავრობა ილირიაში. მაგრამ სასახლის გადატრიალების დროს რუფინი მოკლულ იქნა, გუთები კი ჯამაგირის პირველივე დაგვიანებისას კვლავ აჯანყდნენ; აიღეს კონსტანტინეპოლისგან უზარმაზარი გამოსასყიდი და მთელი ნახევარკუნძული დაარბიეს და გაანადგურეს. იმავე დროს მცირე აზიაში მონების აჯანყების ჩასაქრობად წარგზავნილი გუთების რაზმი, გაინას მეთაურობით, აჯანყებულია მხარეზე გადავიდა, მაგრამ გუთები წაწყდნენ ძლიერ წინააღმდეგობას დასავლეთის იმპერატორის ჰონორის ჯარებისას, რომელთაც მეთაურობდა სტილიხონი, და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. რომის ჩარევა აღმოსავლეთის იმპერიის საქმეებში სახიფათო იყო აღმოსავლეთის იმპერატორის ხელისუფლებისათვის. არკადიმ თავისი გაიტანა, და სტილიხონი გაძევებულ იქნა. ალარიხმა კი მიიღო ილირია, სადაც გუთები დასადგომად მოეწყვნენ ფედერატების სახით. ილირია წარმოადგენდა იტალიის მოსაზღვრე ოლქს, რომლისთვისაც დავა ჰქონდა იმპერიის ორივე ნახევარს. ამავე დროს ეს ოლქი მისი ციხე-სიმაგრეებით, სამხედრო არსენალებით და სასურსათო მაღაზიებით აღმოსავლეთის იმპერატორებისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო მნიშვნელოვან პლაცდარმად შემდეგში დასავლეთით, პირველ ყოვლისა, იტალიაში შესაძლებელი ლაშქრობისათვის. სწორედ ასეთი ლაშქრობისათვის ამზადებდა თავის სამხედრო ძალებს ალარიხი, ავსებდა რა მათ დუნაის მხრიდან მოხულთაგან.

401 წლის დამლევს ალარიხი დაიძრა ჩრდილოეთ იტალიისაკენ, ალყა შემოარტყა აქვილეას, დაემუქრა მილანს, სადაც გამაგრდა ჰონორი, მაგრამ სტილიხონის გამოჩენამ საზღვარი დაუდო ალარიხის წარმატებებს. ორჯერ სასტიკად დამარცხებული, იგი იძულებული იყო უკანვე ილირიაში გაბრუნებულიყო და საიდუმლო ხელშეკრულებაც კი დაედო სტილიხონთან, რის შემდეგ იგი დასავლეთ რომის იმპერიის სამსახურში გადავიდა და დიდი ყოველწლიური ჯამაგირი დაენიშნა. ეს შემთხვევა იმის მაჩვენებელია, თუ რა ადვილად გადადიოდნენ გერმანელები ფულის გულისათვის ერთი დამჭირავებლიდან მეორესთან.

მალე, 404 წელს, ჩრდილოეთიდან იტალიას თავს დაესხნენ გერმანელთა და სარმატთა ტომების მრავალრიცხოვანი ძალები გუთების ბელადის რადაგაისის მეთაურობით. მხოლოდ 405 წელს მოახერხა სტილიხონმა საკმაო ძალების შეგროვება, სასტიკად დამარცხა რადაგაისი და ტყვედ ჩავარდნილ ბარბაროსთა მთელი უზარმაზარი მასა მონებად აქცია. მაგრამ ამას მოჰყვა ბარბაროსთა ახალი თაედასხმა. სვევები, ალანები და ვანდალები იქრებიან გალი-

აში და არბევენ მას. შემდეგ ისინი გადადიან ესპანეთში და ჰქმნიან აქ მთელ რიგ დამოუკიდებელ ტომობრივ სამეფოებს. იმავე დროს გალიამ და ესპანეთმა იმპერატორად სცნეს გალთა ლეგიონების მიერ წამოყენებული უზურპატორი კონსტანტინე. იტალიაში რომის სამხედრო ძალთა მცირერიცხოვანების გამო სტილიხონმა გამოიყვანა თავისი ლეგიონები ბრიტანეთიდან და რაინის არმიის ერთი ნაწილი იტალიაში გადაიყვანა.

იმპერატორის სასახლე და რომის დიდკაცობა, რომელმაც დიდის ხნიდან უკვე შეიძულა მასზე წინწასული და სათავეში მოქცეული უცხო ქვეყნელი სტილიხონი, რომისათვის ყველა ამ მრისხანე მოვლენებს განიხილავდა როგორც სტილიხონის მთელი პოლიტიკის გაკოტრებას, რომელიც ბარბაროსთაგან რომის დაცვას თვითონ ბარბაროსებისვე ძალებით ცდილობდა. სტილიხონს ბრალი დასდეს გერმანელებთან, კერძოდ ალარიხთან ერთად იმპერიის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, თავისი შვილის ტახტზე აყვანის სურვილში და წარმართობის აღდგენის განზრახვაშიც კი. სტილიხონი მოღალატედ გამოაცხადეს და იგი მოკლულ იქნა (408 წ.). ეს იყო იმის ნიშანი, რომ დაეწყოთ იტალიაში ყველა გერმანელის, ყველა არიანის და წარმართის, როგორც სტილიხონის თანამზრახველის, დევნა. რომის მოსახლეობა სასტიკად უსწორდებოდა მათ; არ ინდობდა არც ქალებს, არც ბავშვებს. ამით აღშფოთებულმა, იტალიაში დაბინავებულ გერმანელ-ფედერატთა ერთმა ნაწილმა, სულ 30 ათას კაცამდე, დასტოვა იტალია და ალარიხს მიაშურა.

ვესტგუთები იტალიაში. ალარიხმა ეს მომენტი თავისი ლაშქრობისათვის ხელსაყრელად მიიჩნია და რომისაკენ დაიძრა. ჰონორი ზღვისპირა ციხეში რავენაში გამაგრდა. რომს ალყა შემოარტყეს. რომის სენატმა სცადა ალარიხი დათმობაზე დაეყოლიებინა და რომის მრავალრიცხოვან მოსახლეობაზე მიუთითებდა მას, მაგრამ ალარიხმა უპასუხა: „რაც უფრო სქელია ბალახი, იგი მით უფრო ადვილი გასათიბია". მან მოითხოვა ყველა მონა-ბარბაროსის განთავისუფლება და ქალაქში არსებული მთელი ოქრო-ვერცხლის მისთვის გადაცემა. როცა რომის სენატი შეეკითხა, რას უტოვებს ის რომის მცხოვრებთ, მან უპასუხა: „სიცოცხლეს!" დაბოლოს, ალარიხი უფრო ზომიერ გამოსასყიდზე დათანხმდა, დროებითი ხელშეკრულება დასდო და ტოსკანაში დაიხია. აქ მასობრივი გადასვლა იწყეს მის მხარეზე მონებმა და კოლონებმა (თანამედროვეთა ცნობებით 40 ათასამდე), რომლებიც, ამგვარად, მხარს უჭერდნენ გუთების გამოსვლას რომის იმპერიის წინააღმდეგ. მაგრამ სასახლეში ამ დროს კვლავ არავითარ დათმობას არ იჩენდნენ და გერმანელთა და არიანთა დევნას განაგრძობდნენ. ალარიხთან დადებული ხელშეკრულების დამტკიცებასაც აყოვნებდნენ.

მაშინ ალარიხი მეორედ დაიძრა რომისაკენ, ხელთიგდო ნავსადგური ოსტიუმი და გადასჭრა სურსათ-სანოვაგის მისაზიდი გზა. ის მოითხოვდა გუთებისათვის პროვინციების ნორიკუმის, ვენეციისა და დალმაციის გადაცემას, ყოველწლიურ ხელფასს და ნატურალურ ულუფას, ხოლო პირადად თავისთვის — უმაღლესი სამხედრო უფროსის (magister milltum) წოდებას.

იმპერატორი ჯიუტობდა. მაშინ ალარიხმა ჩამთაგდო ჰონორი და მის ნაცვლად იმპერატორად ქალაქ რომის პრეფექტი ატალი გამოაცხადა. მაგრამ მან

ალე ატალიც დაამხო და რომს მესამედ ალყა შემოარტყა. მონებმა ქალაქში შეთქმულება მოაწყეს და გუთებს ქალაქის კარები გაუღეს; ქალაქი აღებულ და გაძარცულ იქნა (410 წ.).

ეს იყო ქალაქ რომის პირველი დაცემა ისტორიაში. ამან შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა იმპერიის მთელ მოსახლეობაზე. რომს სთვლიდნენ „მარადიულ ქალაქად", რომელიც არასდროს არ დაეცემა, ამავე დროს კი იგი ბარბაროსების მიერ დაპყრობილი აღმოჩნდა.

რომის განადგურების შემდეგ ალარიხი იტალიის სამხრეთით დაიძრა, სადაც მას განზრახვა ჰქონდა გადასულიყო სიცილიაში და შემდგომ კი აფრიკაში, მაგრამ ამ ლაშქრობისათვის მზადების დროს იგი გარდაიცვალა.

ატაულფი. ალარიხის სიკვდილის შემდეგ ვესტგუთების მეფედ გამოცხადებულ იქნა ატაულფი. ატაულფმა იტალიაში ორ წელს დაჰყო, დაარბია იგი და დაიძრა სამხრეთ გალიაში. თავდაპირველად ის ორჭოფ პოლიტიკას აწარმოებდა, ხან რომის გალიას არბევდა და იმპერიისადმი სხვადასხვა მტრულ მოქმედებას ეწეოდა, ხან კი თავის თავს იმპერატორ ჰონორის მოკავშირედ აჩვენებდა. ბოლოსდაბოლოს სამხრეთში ის დაეუფლა ქალაქ ნარბონას, სადაც, წინაალმდეგ იმპერატორის ნება-სურვილისა, იმპერატორის ტყვედქმნილ დაზე პლაციდიაზე დაქორწინდა; ქორწილზე დაცული იყო რომაელთა მდიდრული ცერემონიალი. მაგრამ მას მოუხდა უკან დახევა რომაელთა ჯარების ჭარბი ძალების წინაშე, რომელთაც ნარბონა უკანვე წაართვეს. მალე ატაულფი ესპანეთისკენ დაიძრა, სადაც ის დაიღუპა მთელი რიგი ბრძოლების შემდეგ ვანდალებთან და ალანებთან, რომელთაც ამ დროისათვის ხელთიგდეს ესპანეთის დიდი ნაწილი. როგორც სჩანს, ის შეიქნა გუთების დიდგვაროვანთა შეთქმულების მსხვერპლი, რადგან ისინი მხარს უჭერდნენ არა შერიგებას, არამედ ბრძოლას რომაელებთან. მაგრამ საბოლოოდ გუთებში გაიმარჯვა იმპერიასთან კავშირის მომხრეთა პარტიამ. ამ პარტიამ ვესტგუთების მეფედ აირჩია ვალია, რომელმაც საზავო ხელშეკრულება დასდო იმპერატორთან, უკანვე დაუბრუნა პლაციდია, მთელი რიგი გამარჯვებები მოიპოვა ესპანეთში ვანდალებსა და ალანებზე, იმპერიის სახელით, და მიიღო იმპერატორისაგან სამხრეთი გალია (აქვიტანია) დედაქალაქ ტულუზით. 419 წელს სამხრეთ გალიაში წარმოიქმნა ვესტგუთთა ტულუზის სამეფო.

ვესტგუთთა ტულუზის სამეფო. თავდაპირველად ვესტგუთები აქვიტანიაში დასახლდნენ იქ მდგომ რომაელთა დამხმარე ჯარის უფლებებით. ისინი იღებდნენ სახლის მესამედს და პროდუქტების ნაწილს იმ მემამულის მიწიდან, რომელთანაც ისინი იდგნენ. ვესტგუთთა მეფე ითვლებოდა ამ ჯარის სარდლად; მას ჰქონდა რომის ტიტული — magister militum. იმავე დროს იგი იმპერატორის ნაცვალს წარმოადგენდა იმ ოლქში, სადაც მისი ტომი იმყოფებოდა.

ამ დროისათვის გალიაში ახალის ძალით იფეთქა ბ ა ჯ ა უ დ ე ბ ი ს გლეხურმა აჯანყებამ (435 — 437 წწ.). გალებისა და რომაელების უღარიბესი ნაწილი სრულიად აშკარად ვესტგუთთა მხარეზე გადადიოდა. ამ ამბების თანამედროვე მარსელული მღვდელი სალვიანი წერს, რომ „რომაელებს არ სურთ რომის კანონს ექვემდებარებოდნენ". ღარიბები, მისი სიტყვით, „ბარ-

ბარბაროსებთან ეძიებდნენ რომაულ ადამიანობას, იმიტომ, რომ ვერ იტანდნენ რომაელთა ბარბაროსულ არაადამიანობას... ისინი ამჯობინებდნენ იყვნენ თავისუფალნი და მონების სახელწოდებას ატარებდნენ, ვიდრე მონობაში სულს ლევდნენ და თავისუფალთა მარტოოდენ სახელწოდებას ინარჩუნებდნენ". მონები და კოლონები უერთდებიან ვესტგუთებს და მათ სამხედრო ძალებს აძლიერებენ. ამასთან ერთად გალიაში გამუდმებით წარმოებს ერთი უზურპატორის შეცვლა მეორით, ხოლო ამასთან დაკავშირებით თვითონ გუთების მეფეთა პოლიტიკაც დასაწყისში მერყეობას განიცდის. ისინი ხან მხარს უჭერენ რომაელ ნაცვლებს, კერძოდ ავციუსს, რომელმაც 451 წელს ცნობილი ბრძოლა გაუმართა ჰუნებს კატალაუნის ველზე, ხან ცდილობდნენ ხელთიგდონ ცალკეული საიმპერიო ქალაქები და ბოლოსდაბოლოს ნარბონის ოლქს ეუფლებიან. ესპანეთში ისინი ვანდალებს მიწებს ართმევენ და თავისთვის იტოვებენ, იმპერიისთვის გადაცემაზე უარს ამბობენ. ამგვარად, გუთები სარგებლობენ ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით და სადგომად მისულ რომის ჯარიდან თანდათანობით რომის იმ პროვინციების ბატონებად იქცევიან, რომელიც მათ დაიპყრეს. თვით აქვიტანიაში თავისი კუთვნილი ნაკეთების (sortes gothorum) სახით ეპატრონებიან მიწის ორ მესამედს, რომაელ მესაკუთრეთა განკარგულებაში კი მხოლოდ ერთ მესამედს (რომაელთა ტერიტორიაში) სტოვებენ. ტყეები თანაბრად გაიყვეს რომაელებმა და გუთებმა. გაუყოფელი მიწები რომაელებისა და გუთების საერთო საკუთრებად რჩებოდა. ამასთან გუთები ყოველგვარი გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ; გადასახადებს მხოლოდ რომის მოსახლეობა იხდიდა. ამგვარად, ამ ღონისძიებათა შედეგად მსხვილ რომაელ მაგნატთა ძალები დასუსტებულ იქნა და მსხვილი მიწათმფლობელობაც დაკნინდა. ამასთან ერთად გაძლიერდა თავისუფალი წვრილი საკუთრება და თემური წყობა, ვინაიდან გუთებში ჯერ კიდევ შემონახული იყო გვაროვნული წყობის გადანაშთები და მიწათსარგებლობის სათემო ფორმები.

ბოლოსდაბოლოს მეფე ერიხმა (466 — 484 წწ.), რომელიც ხედავდა იმპერატორების ასეთ ხშირ ცვლას და მათ სისუსტეს, საბოლოოდ შესწყვიტა ვესტგუთთა დამოკიდებულება რომის იმპერიისგან. უკვე მის დროს იქნა შედგენილი კანონთა კრებული ვესტგუთებისათვის, ეგრეთწოდებული ვესტგუთთა სამართალი მისი თავდაპირველი რედაქციით, მისი შემკვიდრე ალარიხ II დროს კი (484 — 507 წწ.) შედგენილ იქნა რომის სამართლის კრებულიც (Lex romana Wisigothorum), ანუ ალარიხის კოდექსი (Breviarium Alarici).

გუთების ბატონობამ გამოიწვია ოპოზიცია გალთა და რომაელთა დიდკაცობის მხრივ, რომელიც განუწყვეტლივ აწყობდა ინტრიგებს დამპყრობელთა წინააღმდეგ. ეს ოპოზიცია თავის იდეოლოგიურ განსახიერებას ჰპოებდა იმაში, რომ გუთები არიანებად რჩებოდნენ, რომის მოსახლეობა კი კათოლიკური იყო. ასეთი განსხვავება, ერთი მხრივ, გალ-რომანულ მსხვილ მიწათმფლობელობასა, განსაკუთრებით კათოლიკური ეკლესიასა და, მეორე მხრივ, გუთებს შორის, ასუსტებდა ვესტგუთთა ბატონობას გალიაში და ამან ხელი შეუწყო შემდეგში ფრანკებს, წაერთმიათ აქვიტანია გუთებისათვის (507—510 წწ., იხ. თავი IV).

ვესტგუთთა ესპანეთის სამეფო და მისი ფეოდალიზაცია. ამ დროიდან ვესტგუთთა ბატონობა მარტოოდენ ესპანეთით განისაზღვრება. გუთების საზოგადოების შემდგომი ევოლუცია ესპანეთის ფარგლებში ფეოდალურ ურთიერთობათა სულ უფრო მეტი განვითარების გზით მიიმართება.

იზრდება მსხვილი მეურნეობა, რომელიც მონებისა და კოლონების სამუშაო ძალით სარგებლობს. უკვე მეფე ლეოვიგილდის (572 — 586 წწ.) კოდექსისათვის ცნობილია დიდგვაროვანი პირები, დაბალი თავისუფალი ადამიანები და მონები, რომელთა განთავისუფლებაც შეიძლებოდა გააზატებულთა უფლებებით.

ჩვენამდე მოღწეულ ვესტგუთთა იურიდიულ ფორმულებს შორის, რომლებიც შედგენილ იქნა VII საუკუნეში (ეს იყო სხვადასხვაგვარ დოკუმენტთა კრებულები, რომლებიც სასამართლოებში წარმოებულ იურიდიულ გარიგებათა ნიმუშები უნდა ყოფილიყვნენ), უკვე გვხვდება შემთხვევები, როცა გაღატაკებული თავისუფალი ადამიანები გაჭირვებისა გამო თავის თავს მონებად ჰყიდიან, აგრეთვე შემთხვევები კოლონებად გადაქცევისა პირად სარგებლობაში მიწის ნაკვეთის (პ რ ე კ ა რ ი უ მ ე ბ ი) მიღებისათვის. იზრდება მსხვილ მიწათმფლობელთა კერძო ხელისუფლება, განსაკუთრებით მეფის რაზმელთა და მოხელეთა ხელისუფლება, რომელნიც თავისი კერძო რაზმებით (bucellarii) იყვნენ გარს შემორტყმულნი. იწყება ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება. ამასთან ერთად თანდათანობით იშლება განსხვავება გაბატონებული კლასის ორ ნაწილს შორის — რომაელებისა და გუთების დიდკაცობის შორის. მეფე ხინდაზუინტეს დროს (641 — 652 წწ.) უკვე ღებულობენ კანონების ერთიან რედაქციას როგორც გუთებისათვის, ისე რომაელთათვის. ისპობა აგრეთვე რელიგიური განსხვავებანი გუთებსა და რომაელებს შორის, ვინაიდან უკვე VI საუკუნის დამლევს ღებულობენ კათოლიკობას (587 წ.). წარმოებს კონსოლიდაცია ფეოდალების ახლად წარმოშობილი კლასისა ერთ მთლიან გაბატონებულ კლასად.

ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოშობის ეს პროცესი ვესტგუთთა ესპანეთში სწყდება არაბთა მიერ ვესტგუთთა სამეფოს განადგურებით და მისი დაპყრობით 711 წელს, რაც გაადვილებულ იქნა იმ შინაური არეულობით, რომელიც არყევდა ვესტგუთთა საზოგადოებას.

4. ვანდალები, ალანები და სვევები ესპანეთში. ალან-ვანდალთა სამეფო ჩრდილოეთ აფრიკაში

ვანდალები, ალანები და სვევები ესპანეთში. ვანდალების ტომი ეკუთვნოდა აღმოსავლელ გერმანელებს და ერთხანს ოდერის შუაწელის ნაპირებზე ცხოვრობდა. იგი ძველითგანვე ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა: ს ი ლ ი ნ გ ე ბ ა დ, რომლებიც ცხოვრობდნენ თანამედროვე სილეზიაში, და ხ ა რ ი ე ბ ა დ, რომელთაც შემდეგში, ამ ტომის სათავეში მდგომ სამეფო გვარის სახელით, მიიღეს ა ზ დ ი ნ გ ე ბ ი ს სახელწოდება.

სამხრეთით ვანდალების მოძრაობის დასაწყისი II საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ მარკომანთა ომში, და

174 წელს მარკუს ავრელიუსი აძლევს მათ მიწას დაკიაში, - სადაც ისინი IV საუკუნის 30-იან წლებამდე ცხოვრობდნენ. მაგრამ შემდეგ გუთები გამოდევნიან მათ დაკიიდან, და იმპერატორი კონსტანტინე ნებას რთავს მათ დასახლდნენ პანონიაში ცხენოსანთა დამხმარე ჯარის უფლებებით. ალბათ, ამ დროს მიეკუთვნება მათ მიერ არიანობის მიღებაც.

V საუკუნის დამდეგს ჰუნები მათ პანონიიდანაც გამოდევნიან; შემდეგ ისინი იძვრიან დასავლეთით, დუნაის აღმა, რაინისაკენ და გალთა ხალხებთან და აგრეთვე გერმანელთა სხვა ტომებთან სასტიკ ბრძოლაში ებმიან. მათ უერთდებიან ს ვ ე ვ ე ბ ი და ა ლ ა ნ ე ბ ი, შავიზღვისპირეთში მცხოვრები სარმატთა ტომი, და 406 წელს ყველა ისინი ესპანეთში იჭრებიან. აზდინგებმა და სვევებმა დაიკავეს ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი — გალისია, ალანებმა დაიკავეს შუა სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი — ლუზიტანია (ე. ი. თანამედროვე პორტუგალიის ნაწილი) და მის აღმოსავლეთით მდებარე ოლქები, ესპანეთის სამხრეთი ნაწილი კი — ბეტიკა — სილინგებმა დაიკავეს. აზგვარად, თავდაპირველად ესპანეთში შეიქმნა ბარბაროსთა ოთხი სამეფო სხვადასხვა ტომობრივი შემადგენლობით. იმპერიამ სცნო ასეთი დაპყრობა, მაგრამ შემდეგ (416 წ.) მან ვანდალებს ვესტგუთთა მეფე ვალია წაუსია, რომელმაც ვანდალები და ალანები ჩრდილო და შუა ესპანეთიდან განდევნა, ამასთან სილინგები თითქმის მოსპობილ იქნენ, ალანები კი სამხრეთით აზდინგებს შეუერთდნენ.

ალან-ვანდალთა სამეფო ჩრდილოეთ აფრიკაში. მაგრამ ვანდალ-აზდინგები და ალანები დიდხანს არ დარჩენილან ესპანეთში. ესპანეთში რომაელებისა და გუთებისაგან შევიწროებულნი, ისინი 50-დან 80 ათას კაცამდე თავიანთ მეფის გეიზერიხის მეთაურობით 429 წელს გიბრალტარის სრუტით ჩრდილოეთ აფრიკაში გადავიდნენ. აფრიკის კოლონია 10 წლის განმავლობაში ალან-ვანდალების მიერ იყო დაპყრობილი; 442 წელს იმპერიას საბოლოოდ უნდა ეცნო მათი სამეფო.

აფრიკის ასე იოლად დაპყრობა (უფრო შეუპოვარ წინააღმდეგობას მხოლოდ დიდი ქალაქები უწევდნენ) გაპირობებული იყო იმით, რომ ამ დროს თვითონ მის მოსახლეობაში სასტიკი კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა. ამ პროვინციის დაბალი კლასები, რომლებიც ძირითადად დ ონ ა ტ ი ს ტ ე ბ ი ს (ეგრეთწოდებული ც ი რ კ უ მ ც ე ლ ი ო ნ ე ბ ი ანუ ა გ ო ნ ი ს ტ ი კ ე ბ ი) სექტას ეკუთვნოდნენ, გაბატონებული კლასის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და, სალვიანის მოწმობით, აშკარად შესთხოვდნენ ღმერთს ბარბაროსთა მოსვლას.

ჩრდილოეთ აფრიკაში დამკვიდრების შემდეგ ალან ვანდალებმა მოახდინეს იმ მსხვილ მესაკუთრეთა მიწების ფართო კონფისკაცია, რომლებიც განსაკუთრებით შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ ბარბაროსთა დაპყრობას. აქაც იმავე მოვლენას ჰქონდა ადგილი, რაც ბარბაროსთა მიერ რომის ტერიტორიის ყოველ დაპყრობისას შეიმჩნევა: მმართველი კლასის თავგანწირული წინააღმდეგობა და ხალხის მასების მხრივ ბარბაროს — დამპყრობთადმი თანაგრძნობა.

ის მიწები, რომლებიც მსხვილ მესაკუთრეთა მფლობელობაში რჩებოდა, დაბეგრილ იქნა გადასახადებით, ხოლო კონფისკაციაქმნილი მიწები დამპყრო-

ბლებმა დაიყვეს ნაკვეთების (sortes) სახით და ისინი გადასახადებისაგან გაათავისუფლეს.

ამგვარად, ჩრდილოეთ აფრიკაში თავისი სამეფოს დაარსების შემდეგ ალან-ვანდალები იქიდან ახდენდნენ თავდასხმებს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე. 455 წელს მათ აიღეს კიდევაც და გაანადგურეს ქალაქი რომი. თანამედროვეთა აზრით, ვანდალებმა რომის გაძარცვისას ყოველივე ზომიერებას გადააჭარბეს. მას შემდეგ ყოველგვარი ნგრევა-განადგურების უმაღლეს ზომას „ვანდალიზმს" უწოდებენ.

მაგრამ პროვინციის გაბატონებული კლასის განადგურების შემდეგ ალან-ვანდალებმა ძალიან მალე მის ადგილას თავისი საკუთარი კლასი გამოჰყვეს, ეს იყო კლასი მსხვილ მიწათმფლობელთა და მონათმფლობელთა, რომლებიც დიდ მონაწილეობას იღებდნენ მეკობრეობაშიც. კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარებამ, რასაც არიანთა და კათოლიკეთა შორის წარმოებული რელიგიური ბრძოლა კიდევ უფრო ართულებდა, დაასუსტა აფრიკაში ალან-ვანდალების ბატონობა, და, ბოლოს, 534 წელს იმპერატორ იუსტინიანეს საუკეთესო სარდლის — ველიზარის დარტყმებმა დაამხო ვანდალების ხელისუფლება. ამას ხელს უწყობდა პოზიცია მსხვილ რომაელ მიწათმფლობელთა ჯერ კიდევ გადარჩენილი ნაშთებისა, რომლებიც ყოველნაირად მხარს უჭერდნენ იმპერიას აფრიკაში მისი ბატონობის აღდგენისადმი მისწრაფებაში.

5. ჰუნების ტომობრივი კავშირი პანონიაში

ჰუნები პანონიაში. ოსტგუთების დამორჩილების შემდეგ ჰუნები თავის დაპყრობით მსვლელობას განაგრძობდნენ დასავლეთისაკენ. იმავე დროს ისინი თავდასხმებს ახდენდნენ სამხრეთითაც — აზიაზე, კავკასიაზე, იჭრებოდნენ თვით სირიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, თრაკიაში, და კონსტანტინეპოლამდე აღწევდნენ. მათ დაარსეს უზარმაზარი ტომობრივი კავშირი ცენტრით პანონიაში; გააერთიანეს ოსტგუთების, გეპიდების, სკირების, ტურკილინგების, გერულების, ხაზარების ტომები, რომლებიც იმ დროს შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ, ანტების სლავთა ტომები და სხვ. ამ კავშირის ხელისუფლება აღმოსავლეთით ვოლგამდე ვრცელდებოდა. მრავალი ჰუნი შედიოდა რომის იმპერატორის სამსახურში ჯამაგირით და მსახურობდა სტილიხონისა და აეციუსის ჯარებში. ჰუნების მომავალი ბელადის, ატილას ბიძამ — რუამ (რუგილამ) რომისაგან მიიღო რომის მხედართმთავრის წოდება ყოველწლიური ხელფასით 350 გირვანქა ოქროთი.

ატილა. V საუკუნის 30-იან წლებში ჰუნების ბელადის ადგილს იკავებს სახელგანთქმული ატილა (433 — 454 წწ.). ახალგაზრდობაში ის იყო აღმოსავლეთ რომის სასახლის მძევლად და რომაელთა ჯარში მსახურობდა. თავდაპირველად ატილა ხელისუფლებას თავის ძმას უყოფდა, რომელიც მან შემდეგში მკვლელობის გზით თავიდან მოიშორა და ამგვარად ჰუნთა უზარმაზარი კავშირის ერთადერთი მმართველი გახდა; იგი ყველაზე ძლიერ მბრძანებლად იქცა თავისი დროის ევროპაში. შუა საუკუნეთა გერმანულმა ეპოსმა

შემდეგში ატილა მეფე ეტცელის სახელწოდებით თავის ერთ-ერთ გმირად დასახა.

პირველ ყოვლისა ატილამ საშინლად გაანადგურა ჰუნთა კავშირის მოსაზღვრე ირანი და აღმოსავლეთი იმპერია. იმპერია არაერთხელ იძულებული იყო ეყიდა ზავი ჰუნებისაგან მეტად მძიმე პირობებით. თავისი სიცოცხლის დასასრულს ატილა დასავლეთისკენ დაიძრა. ნეკართან იგი რაინზე გადავიდა; მთელი რიგი ქალაქები (ტრირი, მეცი, რეიმსი) დაანგრია. და ორლეანს ალყა შემოარტყა. ამ დროს სამხრეთით აეციუსი სამხედრო ძალებს რაზმავდა და თავის არმიას ვესტგუთებს, ფრანკებს, ბურგუნდებს უერთებდა. ორლეანის აღების შემდეგ, რომელიც მალე აეციუსის მიერ წართმეულ იქნა, ატილამ მდიდარი ნადავლით იწყო უკან დახევა სამშობლოსაკენ, მაგრამ მას დაეწიეს აეციუსის ჯარები ქალაქ ტროუას მახლობლად, კატალაუნის მინდვრებში, სადაც სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა (451 წ.). ერთ მხარეზე ამ ბრძოლაში იბრძოდნენ ჰუნები და გერმანელთა მთელი რიგი ტომები, მათ რიცხვში ოსტგუთებიც, ხოლო მეორეზე — აეციუსის გალები და რომაელები და აგრეთვე გერმანელთა ტომები, მათ რიცხვში ვესტგუთებიც. ამ ბრძოლაში ორივე მხარე ძლიერ დასუსტდა და არც ერთს არ ხვდომია გადამწყვეტი უპირატესობა. ამასთან აეციუსმა, ვესტგუთების გაძლიერებით შეშინებულმა, თავიანთ სახლებში გაუშვა ისინი. თავის ბანაკში ალყაშემორტყმულმა ატილამ მოახერხა მთელი ნადავლით უკანვე რაინს იქით წასვლა. ამ ბრძოლამ ცხადჰყო გალიაში შექმნილი სამხედრო კავშირის ძალა, და ამიტომ ატილას ამის შემდეგ უკვე აღარ მოუხდენია დასავლეთით შესევა; მან მიმართულება შესცვალა და ახალი თავდასხმისათვის სამხრეთისაკენ დაიძრა. 452 წელს მან გადალახა ალპები და მიადგა რომს, ყველა ბარბაროსისათვის ამ მუდმივი ნატვრის საგანს. მაგრამ იმპერატორის ელჩებმა მიაღწიეს იმას, რომ ჰუნებმა იტალია დასტოვეს ყოველწლიური ხარკის გადახდის პირობით.

მალე ატილა გარდაიცვალა, მის მიერ შექმნილი სამხედრო კავშირი დაიშალა. ცალკეულმა ტომებმა (ოსტგუთებმა და გეპიდებმა) აჯანყება მოაწყეს და ჰუნების დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდნენ.

ჰუნთა კავშირის საზოგადოებრივი წყობა. ჰუნთა კავშირის საზოგადოებრივი წყობის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ წარმოდგენა იმ ცნობების მიხედვით, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია ნაწყვეტებში პრისკის, აღმოსავლეთ რომის იმპერატორის მიერ პანონიაში ჰუნებთან დანიშნულ საელჩოს მონაწილის, დაკარგული თხზულებიდან. კავშირის შემადგენლობაში შემავალმა ცალკეულ ტომებმა შეინარჩუნეს თავიანთი ბელადები, რომლებიც შეადგენდნენ ატილას ამალას; მათ რიცხვში იყვნენ ოსტგუთთა, გეპიდთა, სკირთა კონუნგები, ალანთა ბელადები და სხვ. თვითონ ჰუნები მიწათმოქმედებას არ მისდევდნენ. ისინი კვლავ ადგილმაცვალ — მესაქონლეებად რჩებოდნენ და მიწათმოქმედების პროდუქტებს ხარკით დაბეგრილ მათ ხელქვეითი ტომებისაგან ღებულობდნენ. მაგრამ მათ მაინც ჰქონდათ უკვე თავისი გამაგრებული ქალაქები, რომელთაგან ერთი, კედლითა და კოშკებით გარემოცული, ატილას სატახტო ქალაქი იყო. ჰუნებში განვითარებული იყო მონათმფლობელობა, და ჰუნთა დიდკაცობის ცალკეული წარმომადგენლები

მთელ სოფლებს ფლობდნენ, სადაც მათგან დამოკიდებული ხალხი მოსახლეობდა. გვაროვნული და მოსამსახურე დიდკაცობა დიდის უფლებით სარგებლობდა კავშირში. მაგრამ მხედართა ძირითადი მასის მდგომარეობა მაინც არ იყო მძიმე; იგი გაცილებით უკეთესი იყო რომის იმპერიის მოსახლეობის იმდროინდელ მდგომარეობაზე, როცა ეს უკანასკნელი გადასახადთა სიმძიმითა და ჩაგვრით ილაჯგაწყვეტილი იყო. ამიტომ იყო, რომ, როცა რომის საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები ხელთ-ჩაუვარდებოდნენ ხოლმე ჰუნებს სამხედრო ტყვეების სახით, ისინი სიამოვნებით რჩებოდნენ მათთან სამსახურში.

6. ბურგუნდთა სამეფოს დაარსება

ძველი ბურგუნდები. ბურგუნდები, ისე როგორც გუთები და ვანდალები, აღმოსავლულ გერმანელებს ეკუთვნოდნენ. თავდაპირველად ისინი ცხოვრობდნენ ბალტიის მხარეში, ოდერის შესართავთან, და აგრეთვე ბალტიის ზღვის კუნძულზე, რომელიც ძველად მათივე სახელით—ბურგუნდარხოლმად იწოდებოდა, ახლა კი ბორნგოლმი ეწოდება. რუგიების მიერ ზღვის სანაპიროებიდან განდევნილმა ბურგუნდებმა ვიდინარეების ვარტისა და ნეტცეს აუზები დაიკავეს თვით ვისლამდე; პტოლემე მათ ამ ადგილების ახლოს, ოდერის შუაწელსა და ვისლას შორის მაცხოვრებლად გვისახავს.

III საუკუნის პირველ ნახევარში ბურგუნდთა ძირითადი მასა ვანდალებთან ერთად სამხრეთისაკენ დაიძრა, შემდეგ კი დასავლეთით მაინის ზემო და შუაწელის ხეობებში. აქ ისინი დიდხანს ცხოვრობდნენ, ებრძოდნენ ალამანებს და იმპერიასაც მხარს უჭერდნენ უკანასკნელებთან ბრძოლაში. ცალკეული რაზმები ან იმპერიის სამსახურში შედიოდნენ, ანდა მონაწილეობას ღებულობდნენ იმპერიაზე გერმანელთა სხვა ტომების თავდასხმებში.

ნელი თანდათანობით ისინი რაინისაკენ მიიწევენ, უმთავრესად, მაინცის ოლქში, ერევიან იმპერიის შინაურ საქმეებში და მხარს უჭერენ გალიაში საიმპერატორო ხელისუფლების ცალკეულ პრეტენდენტებს. ძველი ზღაპრები („სიმღერა ნიბელუნგებზე") იხსენიებენ რაინზე მდებარე ქალაქ ვორმსს, როგორც ბურგუნდთა ტომის სატახტო ქალაქს. აქ მათ შორის არიანობის სახით ფეხს იკიდებს და ვრცელდება ქრისტიანობა.

ბურგუნდები გალიაში. V საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ჰუნებისწინსვლა რაინისაკენ. პირველად ჰუნები თვითონ ებრძვიან რომის სარდალ აეციუსს, მაგრამ შემდეგ ისინი მონაწილეობას ღებულობენ რომის მხარეზე კატალაუნის მინდვრებზე წარმოებულ ბრძოლაში. ისინი სთხოვდნენ იმპერიას მათ დასასახლებლად გამოეყო სავოია (საბაუდია) სატახტო ქალაქით ჟენევაში. მოკავშირე ჯარის სახით ბურგუნდებს ადგილს მიუჩენდნენ აგრეთვე ლიონის პროვინციაში, და მათი მეფეები ღებულობენ რომის ტიტულს: magister militum. ბურგუნდთა მიერ დაკავებული ოლქის ცენტრად იქცეა ქალაქი ლიონი.

ბურგუნდთა ლიონის სამეფო. ესაა ბურგუნდთა მოძრაობის მესამე ეტაპი, რომელმაც ისინი ლიონის სამეფოს დაარსებამდე მიიყვანა. თავდაპირველ-

ლად აქ რომის მოკავშირეთა და დაქირავებულთა სახით დასახლებულნი, შემდეგში ისინი რომაელთა ბატონებად და პატრონებად იქცევიან, რასაც ხელს უწყობდა ამ დროს ცენტრალური საიმპერატორო ხელისუფლების დასუსტება. მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ბურგუნდებმა აიძულეს გალთა სენატორები გამოეყოთ მათთვის თავისი მამულების ნაწილი. ბურგუნდთა სასარგებლოდ ჩამორთმეულ იქნა სახნავი მიწის ორი მესამედი და მონების ერთი მესამედი, და აგრეთვე სახლის, ტყის, ბაღის და საძოვრის ფართობის ნახევარი. ამ დროისათვის ბურგუნდები უკვე მდინარე რონის მთელ ხეობას ფლობდნენ, დასავლეთით ისინი ვესტგუთებთან შეხლა-შემოხლას ეწეოდნენ და ოვერნს ედავებოდნენ.

იმპერიაში ბურგუნდები დიდ ძალას იხვეჭენ მეფე გუნდობადის დროს (461 — 516 წწ.). მის დროს ჩაწერილ იქნა ბურგუნდთა სამართალი მისი თავდაპირველი რედაქციით; ესაა ბურგუნდთა სამართლის კრებული, რომელიც შედგენილია რომის სამართლის ძლიერი გავლენით. როგორც ვესტგუთებს, ისე ბურგუნდებსაც რომაელთათვის შედგენილი ჰქონდათ რომის კანონთა განსაკუთრებული კრებული (Lex Romana Burgundionum). როგორც გერმანელთა სხვა სამეფოებშიც, რომლებიც რომის ტერიტორიაზე არსდებოდა, ბურგუნდები სამართლის დარგში, პერსონალურ პრინციპს იყენებდნენ, რომლის მიხედვით თვითეული ტომის წევრები თავიანთი სატომო ადათებისა და კანონების მიხედვით ცხოვრობდნენ. ამგვარად, სამართალი არა ტერიტორიულ, არამედ პირად ხასიათს ატარებდა. ბურგუნდთა ტომის თვითეულ წარმომადგენელს მისივე ტომის კანონთა მიხედვით ასამართლებდნენ, სულ-ერთია, სადაც არ უნდა ეცხოვრა მას, რომაელს კი რომის კანონთა მიხედვით ასამართლებდნენ.

რომაელებსა და ბურგუნდებს შორის მიწების დაყოფამ თავდაპირველად დაასუსტა მსხვილი მიწათმფლობელობა, მაგრამ ამასთან ერთად ხელი შეუწყო ბურგუნდებში ძველისძველ თემურ-გვაროვნულ ურთიერთობათა დაშლას, მათში კერძო საკუთრებისა და კლასობრივი დიფერენციაციის განვითარებას. მიწის მობილიზაციამ და გაბოგანოებამ იმდენად მწვავე საფრთხეში ჩააყენა ბურგუნდთა მთელი სამხედრო სისტემა, რომ მეფემ აუკრძალა კიდევაც ბურგუნდებს მიწის ნაკვეთების (sortes) გაყიდვა ისეთ შემთხვევებში, როცა ბურგუნდს, გარდა გასაყიდი ნაკვეთისა, სხვა ადგილას მიწა აღარ მოეპოვებოდა.

ბურგუნდთა სამართალმა იცის უკვე სამი წოდება თავისუფალ ბურგუნდთა შორის (ingenui, faramanni): დ ი დ კ ა ც ო ბ ა, ს ა შ უ ა ლ ო შ ე ძ ლ ე ბ ი ს ხალხი, რომლებიც სრულ ნაკვეთებს ფლობდნენ, და დ ა ბ ა ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი, უადგილმამულო ხალხი, რომლებიც მარალი კლასების სამსახურში იმყოფებიან. გარდა ამისა, ცნობილი იყვნენ კ ო ლ ო ნ ე ბ ი, მ ო ნ ე ბ ი და გ ა ა ზ ა ტ ე ბ უ ლ ნ ი. ამგვარად, ბურგუნდთა კლასობრივმა დიფერენციაციამ უკვე მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია.

ბურგუნდთა წრიდან მსხვილ მიწათმფლობელთა ფენის წარმოსახვას ჰრ მოჰყოლია ამ ფენის შეერთება მსხვილ რომაელ მიწათმფლობელ-სენატორებთან. ნაციონალური განცალკევებულობა არ იყო აღმოფხვრილი, პირიქით,

მას ართულებდა რელიგიური სხვაობა კათოლიკე-რომაელებსა და არიან-ბურგუნდებს შორის, თუმცა უკანასკნელნი სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით განირჩეოდნენ. ეს განცალკევებულობა ასუსტებდა ბურგუნდთა სამეფოს და მით ხელს უწყობდა შემდეგში მის დაპყრობას ფრანკების მიერ (534 წ.).

ოსტგუთთა სამეფო იტალიაში

იტალია რიციმერისა და ოდოაკრის ეპოქაში. ვანდალების მიერ რომის აღებისა და დარბევის შემდეგ (455 წ.) ძალაუფლება დასავლეთ რომის იმპერიაში ერთ-ერთი გერმანელის — სვევ რიციმერის ხელთ აღმოჩნდა, რომელიც თვითნებურად ნიშნავდა და გადააყენებდა ხოლმე დასავლეთ რომის იმპერატორებს.

შემდგომ ძალაუფლება მოკლე ხნით გადავიდა ბურგუნდ გუნდობადის ხელში და, ბოლოს, იგი ხელთ იგდო პატრიციმ ორესტმა (რომელმაც თავისი კარიერა ატილასთან ნოტარიუსის თანამდებობაზე ყოფნით დაიწყო). ორესტმა ჩამოაგდო იმპერატორი იულიუს ნეპოტი და იმპერატორად თავისი შვილი რომულ ავგუსტული გამოაცხადა (475 წ.). ვინაიდან ორესტს მხარს უჭერდნენ იტალიის მსხვილი მიწათმფლობელები და იგი მათი კაცი იყო, მან უარი განაცხადა იმპერიის ამ სამხედრო დაქირავებულთათვის მიწების დარიგების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომლებიც ბარბაროსთა სხვადასხვა ტომებს (გერულები, სკირები, ალანები და სხვ.) ეკუთვნოდნენ და იმ დროს იტალიის ჩრდილოეთით იყვნენ დაბინავებული. დაქირავებულნი, რომელთაც გაუცრუვდათ ჯილდოდ მიწის მიღების იმედი, აჯანყდნენ და თავისი წინამძღოლის ოდოაკრის მეთაურობით დაამხეს რომულ ავგუსტული (476 წ.). დასავლეთ რომის უკანასკნელი იმპერატორის რომულ ავგუსტულის დამხობის წელს ჩვეულებრივ „დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის" წლად სთვლიან.

იტალიაში ოდოაკრმა, ბარბაროსთა სამხედრო რაზმებზე დაყრდნობით, დააარსა თავისი სამეფო აღმოსავლეთ რომის იმპერატორის უზენაესი ხელისუფლებით. კონსტანტინეპოლში მან წარგზავნა საიმპერატორო ხელისუფლების ნიშნები, რომლებიც მანამდე დასავლეთ რომის იმპერატორებს ეკუთვნოდა, ცნობილ იქნა იმპერიის ნაცვლად და სასახლიდან მიიღო პატრიციის ტიტული. ხელმძღვანელი როლი მის დროს კვლავ რომის სენატსა და რომის ბიუროკრატიას რჩებოდა. მიწის დაყოფა მაინც მოხდენილ იქნა. კონფისკაცია გატარდა მსხვილ მიწათმფლობელთა მიწების ერთი მესამედისა, რომელიც დაქირავებულთ გადაეცა, მაგრამ ეს მიწები ერთიან ფართობს არ შეადგენდა, არამედ გაფანტული იყო იტალიის სხვადასხვა ადგილებში.

ოდოაკრი ისწრაფოდა ხელთ ეგდო უზარმაზარი საეკლესიო ადგილ-მამულები, რომლებიც იმ დროისათვის უკვე ჩამოყალიბდა იტალიაში, და თვით პაპების არჩევნებიც კი წარემართა. მას კონსტანტინეპოლის სასახლისაგან სრულიად დამოუკიდებლად ეჭირა თავი და დამოუკიდებელ პოლიტიკას ეწეოდა. ყოველივე ამან გამოიწვია უძლიერესი ოპოზიცია სენატისა და საეკლესიო დიდკაცობის უმრავლესობის მხრივ თვით იტალიაში და აგრეთვე ბიზანტი-

ის უაღრესი უკმაყოფილება. ოდოაკრის ამ პოლიტიკისათვის რომ ბოლო მოეღო, იმპერატორმა ზენონმა იტალიაში ოსტგუთთა სამხედრო ძალებს მიმართა.

ოსტგუთები პანონიაში. ჰუნთა კავშირის დაშლის შემდეგ, იმ დროს პანონიაში მცხოვრებმა ოსტგუთებმა აჯანყება მოაწყეს, თავი გაინთავისუფლეს ჰუნების ბატონობისაგან და იმპერიის მოკავშირეები გახდნენ. V საუკუნის დამლევს მათი ბელადი გახდა თეოდორიხი, რომელიც წარმოშობით ამალთა გვარეულობას ეკუთვნოდა. ის ალიზარდა კონსტანტინეპოლში მძევლის სახით, დაწინაურდა სამხედრო სამსახურში იმპერატორ ზენონის დროს და მაღალ მდგომარეობას მიაღწია სასახლის კარზე; მიიღო იმპერატორის შვილობილის ტიტული, პატრიციისა და კონსულის ტიტულები. ეს ხელს არ უშლიდა თეოდორიხს არაერთხელ გაელაშქრნა იმპერატორის წინააღმდეგ და დამუქრებოდა კონსტანტინეპოლს. რათა მოეშორებინა ოსტგუთები სატახტო ქალაქიდან, ზენონმა მათ ბელადს თეოდორიხს დაავალა დაემხო ოდოაკრის ხელისუფლება იტალიაში.

ოსტგუთთა სამეფოს დაარსება იტალიაში. 488 წელს თეოდორიხი გუთებითა და მათთან მოკავშირე ტომებით იტალიისაკენ დაიძრა. რამდენიმე ბრძოლისა და რიგი ქალაქების გარემოცვის შემდეგ (ამასთან სენატორთა დიდაცობის უმრავლესობა ოდოაკრის წინააღმდეგ გამოდიოდა, დამოკიდებული გლეხობა კი ნაწილობრივ მას მხარს უჭერდა) თეოდორიხსა და ოდოაკრს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება იტალიის დაყოფის შესახებ, მაგრამ უკვე რამდენიმე დღის შემდეგ ამ ხელშეკრულების დადებისა, ოდოაკრი ვერაგულად იქნა მოკლული თეოდორიხის მიერ. და იტალიაში დაარსდა გუთების სახელმწიფო, რომელმაც 62 წელს იარსება (493 — 554 წწ.). სხვა ბარბაროსულ სამეფოებში მათი დაარსებისას მიწას ყველა მსხვილ მესაკუთრეს ართმევდნენ. ოსტგუთები ამას არ საჭიროებდნენ ,ვინაიდან ჩისინი მოთავსებული იყვნენ წინათ ოდოაკრის ბარბაროსთა მიერ დაკავებულ მიწებზე (sortes); დანარჩენი მიწებიდან განსაზღვრულ იქნა გადასახადი მათგან მილებული შემოსავლის ერთი მესამედის სახით. დამახასიათებელია, რომ ოსტგუთთა შორის მიწის განაწილება მოხდენილ იქნა იმ კომისიის მიერ, რომლის მეთაურიც იყო რომაელი სენატორი და მიწათმფლობელი ლიბერი. ამრიგად, გუთებისათვის მიწის დარიგება არ იყო მიმართული თავისი მახვილით რომის მსხვილი მიწათმფლობელობის წინააღმდეგ.

დასაწყისში ოსტგუთების მიერ დაპყრობამ ერთგვარი ცვლილებები შეიტანა იტალიის საზოგადოებრივი განვითარების საერთო მსვლელობაში. ოსტგუთები თემებით-მარკებით დასახლდნენ. მათში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო გვაროვნულ ურთიერთობათა გადანაშთები. მაგრამ ძალიან მალე ეს გადანაშთებიც ისპობა, ვინაიდან ოსტგუთები დასახლებული იყვნენ გაფანტულად, რომაელებთან შენაცვლებით. გაძლიერდა აგრეთვე შინაგანი კლასობრივი დიფერენციაციის პროცესიც. მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა თვითონ ოსტგუთთა საზოგადოებაში დაკავშირებული იყო იმ პროცესთან, რომელიც მეორე პოლუსზე წარმოებდა,—გუთების ერთი ნაწილის გაღატაკებასთან და მათ მონებად გადაქცევასთანაც კი. ამგვარად, ოსტგუთთა ტომის

შიგნით „წარმოიშვნენ თავისი მემამულე დიდკაცობა და ღარიბ-ღატაკნი. მომავალმა მეფემ თეოდატმა, რომელიც ამალთა სამეფო გვარეულობას ეკუთვნოდა, უკვე დაყოფის დროსვე მიიღო ბევრი მიწა. ამასთან „იგი ვერავის მეზობლობას ვერ იტანდა“, ამბობს ამბების თანამედროვე მწერალი (პროკოფი), რომელიც გვიხასიათებს თეოდატის მუდმივ სწრაფვას მეზობლების ხარჯზე თავისი სამფლობელოების გაფართოება-დამრგვალებისაკენ. ამ ახალი ოსტგუთთა მსხვილი მემამულე არისტოკრატიის ინტერესებს შეადგენდა ახალ მსხვილ მეურნეობათა შექმნა, რომლებიც მუშა-ხელს საჭიროებდნენ. ამიტომ იგი კოლონების მიწაზე მიმაგრების წინააღმდეგი იყო. თეოდორიხის ედიქტით ნებადართული იყო კოლონებისა და მონების უმიწოდ გასხვისება და მათი მოჯალაბე-მონებად გადაქცევაც კი (famuli urbani). მაგრამ საფიქრებელია, რომ თვითონ მონობის ხასიათი რამდენადმე შერბილებულ იქნა გერმანელებში არსებული პატრიარქალური მონობის ზეგავლენით. ამასთან ერთად ის მონები, რომლებიც წინათ, დაპყრობისას, გაექცნენ თავიანთ ბატონებს და ოსტგუთებს მიემხრნენ, ახლა მათი წინანდელი პატრონებისათვის უნდა დაებრუნებინათ. ამგვარად, თეოდორიხის სოციალური პოლიტიკა ტარდებოდა როგორც ახალი, ოსტგუთთა, ისე ძველი, რომის სენატორთა და ეკლესიის მსხვილი მიწათმფლობელობის ინტერესთა სასარგებლოდ, რომელსაც თავისი საერთო ინტერესები ჰქონდა. ინტერესთა გაერთიანებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ოსტგუთებს იტალიაში დახვდათ მსხვილი მიწათმფლობელობა, რომელიც მათ არ დაუნგრევიათ. მეორე მხრივ, ადრიანად დაწყებულ კლასობრივ დიფერენციაციას შედეგად მოჰყვა გუთების მიწათმფლობელური და მონათმფლობელური დიდკაცობის გამოყოფა, რომელმაც შეიგრძნო თავის ინტერესთა ერთიანობა რომის დიდკაცობასთან. ყოველივე ამან განაპირობა ის პროცესი, რომელსაც ეწოდება რომანიზაცია: მსხვილი მიწათმფლობელები და მონათმფლობელები თვითონ ოსტგუთთა წრეში თავიანთი ბატონობის ორიდიული სანქციისათვის რომის სამართალს, რომის დაწესებულებებს საჭიროებენ და ამიტომ ისინი მათ მხარს უჭერენ.

ოსტგუთთა ახალი მემამულე არისტოკრატია, რომელიც იქმნება თეოდორიხის მეთაურობით, სულ უფრო და უფრო უახლოვდება რომის ძველ არისტოკრატიას. ამიტომ ოსტგუთთა სახელმწიფოში დიდი გავლენა მოიხვეჭეს დიდგვარიანმა რომაელმა სენატორებმა. განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა დიდგვარიანი რომაელი კასიოდორი, რომელსაც ეკავა სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ოსტგუთთა სახელმწიფოში და თეოდორიხის დავალებით დაწერა „გუთების ისტორია“ ამალთა ოსტგუთთა სამეფო გვარეულობის ამაღლების მიზნით.

ამასთან ერთად იცვლება თვითონ პოლიტიკური წყობილება გუთებისა. სახალხო კრება სრულიად სწყვეტს თავის არსებობას. ოსტგუთთა სახელმწიფოში გარკვეულ მნიშვნელობას ინარჩუნებს რომის სენატი, რომელიც მსხვილი მიწათმფლობელობის ინტერესების დამცველს წარმოადგენდა. მაგრამ მმართველობის ცენტრად სულ უფრო და უფრო ხდება სამეფო კარი. ძლიერდება მეფის ხელისუფლება. თეოდორიხი ძოწეული ტანსაცმელით იმოსება, მისი არსება წმინდანად ცხადდება, იგი ავგუსტუსის ტიტულს ღებულობს. თვი-

თეოდ ის რომის კულტურის დიდი თაყვანისმცემელი იყო, თუმცა არც კითხვა და არც წერა ლათინურად მან არ იცოდა. მაგრამ მისი ქალიშვილი იმ დროის ცნობილი მწერალი იყო ლათინურ და ბერძნულ ენაზე. მან ბერძნულ ენაზე სთარგმნა ვირგილიუსის „ენეიდა“.

ამგვარად ოსტგუთთა სამეფოს სათავეში მყარდება ოსტგუთთა ჯარის ბელადის ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც მხარს უჭერს მსხვილი მიწათმფლობელობის ინტერესებს. იმავე დროს სამხედრო სისტემა მხოლოდ და მხოლოდ გუთებს ემყარებოდა; რომაელებს სამხედრო სამსახურში არ უშვებდნენ. მეორე მხრივ, მოხელეებს ჰკრებდნენ თითქმის და მხოლოდ რომაელთაგან.

თეოდორიხის განსაკუთრებული ედიქტით იმპერიის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნა უპირატესად რომის სამართალი. აღდგენილ იქნა რომის ადმინისტრატიული სისტემის ძლიერ ბევრი დაწესებულება. მაგრამ ოსტგუთთა სამეფოს სახელმწიფო წყობილება მაინც ორმაგი ხასიათისა იყო. უწინარეს ყოვლისა, ეს თავს იჩენს ოსტგუთთა მეფის ტიტულში: „rex gothorum et italicorum“. კანონები შემოღებულ იქნა რომაული, მაგრამ იმავე დროს გუთების ადათობრივი სამართალიც დაცული იყო. იმ ოლქებში, სადაც რომაელები მოსახლეობდნენ, იყვნენ პროვინციების ნაცვლები, მაგრამ იმავე დროს გუთთა მოსახლეობისათვის არსებობდნენ გუთების განსაკუთრებული გრაფები. თავის არსებობას განაგრძობდა რომის ცენტრალური ადმინისტრაცია, მაგრამ მასთან თანაბრად არსებობდნენ ეგრეთწოდებულნი საიონებიც, მეფის რაზმელები, რომლებიც განსაკუთრებული დავალებებით იგზავნებოდნენ სამეფოს სხვადასხვა ადგილებში. მოსახლეობის ორთავე ნაწილი—გუთები და რომაელები—თავთავის განსაკუთრებულ რელიგიას ინარჩუნებდა. ერთნი არიანები იყვნენ, მეორენი—კათოლიკები. დაცული იყო რომის იმპერიის ფინანსიური სისტემა, რომელიც დამყარებულ იქნა კონსტანტინეს და დიოკლეტიანეს რეფორმების შედეგად. იმავე დროს გუთებს არ სურდათ ეხადათ გადასახადები და ხანდახან ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მიუხედავად თეოდორიხის ედიქტებისა, ოსტგუთთა წრიდან დაწინაურებული ახალი მსხვილი მიწათმფლობელები სულმუდამ ავიწროებდნენ დაბალ კლასებს. ოსტგუთთა სახელმწიფოს ეს შინაგანი წინააღმდეგობანი მუდმივ აჯანყებებსა და მღელვარებას იწვევდნენ. ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ რომის დიდკაცობა თეოდორიხის სამეფოში მფარველობით სარგებლობდა, მისი ცალკეული წარმომადგენლები მუდამ გუთების ხელისუფლების დამხობაზე ფიქრობდნენ და იმპერიასთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. თეოდორიხმა თავის სიცოცხლის მიწურულში მიიღო დაბეზღების წერილი ამ საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ. მას ხელთ ჩაუვარდა ზოგიერთი სენატორის მიმოწერა ბიზანტიასთან. ამის შედეგად რომის სენატორები ბოეციუსი და სიმახი სიკვდილით იქნენ დასჯილი, ხოლო მათი ქონება—კონფისკაციაქმნილი. მარქსი თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ ასე ახასიათებს თეოდორიხის პოლიტიკას: „მისი დიდი შეცდომა იმაში მდგომარეობდა,

რომ მან არამც თუ შეინარჩუნა რ ო მ ის ე კ ო ნ ო მ ი კ ა, კანონები, მაგისტრატურა და ა. შ., არამედ ერთგვარად განაახლა კიდეც ისინი".[1]

თეოდორიხის შემდეგ, რომელიც 526 წელს გარდაიცვალა, სახელმწიფოს მართავდა მისი ქალიშვილი ამალასუნტა თავისი მცირეწლოვანი შვილის ატანარიხის, ხოლო შემდეგ ქმრის და თანამმართველის თეოდატის დროს. მის დროს ტარდებოდა რომაელ სენატორებთან კიდევ მეტი დაახლოების პოლიტიკა; ასეთი წმინდა პრორომაული პოლიტიკა არასასურველი აღმოჩნდა გუთთა სამხედრო დიდკაცობისათვის, და ამალასუნტა მოკლულ იქნა. ამან გამოიწვია იმპერატორ იუსტინიანეს ჩარევა. მისი სარდალი ველიზარი იტალიისაკენ დაიძრა. დაიწყო ომი.

ბიზანტიასთან ომი და კლასობრივი ბრძოლა. ომი ოსტგუთთა სახელმწიფოსა და ბიზანტიას შორის მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა, რასაც ადგილი ჰქონდა თვით ოსტგუთთა საზოგადოებაში. ამ ომის დროს მეფეებს პირდაპირ რაზმელებიდან აწინაურებენ. ასეთია, პირველ ყოვლისა, ვიტიგესი, რომელიც დაქორწინდა ამალასუნტას ქალიშვილზე, შემდეგ კი ტოტილა, რომელიც წამოყენებულ იქნა მსხვილი მიწათმფლობელობის ჩაგვრით უკმაყოფილო ქვედა ფენების მიერ. ტოტილამ იმეფა 541 წლიდან 552 წლამდე. მან გამოიჩინა სარდლისა და ორგანიზატორის დიდი ტალანტი თავგანწირულ ბრძოლაში ბიზანტიასთან, რომელმაც დროებით დაიპყრო ოსტგუთთა სამეფოს თითქმის მთელი ტერიტორია, მაგრამ შემდეგ მთელი მისი ყურადღება მიპყრობილ იქნა აღმოსავლეთით სპარსეთთან ომზე. ტოტილას მისი თანამედროვე ბიზანტიის ისტორიოგრაფია ხატავს როგორც „ტირანს" და „კანონის დამრღვევს", მის მეფობას კი როგორც „უკანონობას" და „უპატიურობას". ასეთ სამარცხვინო დაღს ასვამდნენ ბიზანტიის რეაქციული მწერლები ოსტგუთთა მეფეს, რომელიც ფართო მასების ინტერესებისათვის სასარგებლო პოლიტიკას ატარებდა.

რევოლუციური მოძრაობის მარცხენა ფლანგს ტოტილას ეპოქაში შეადგენდნენ მონები და კოლონები, რომლებიც ცდილობდნენ მემამულეთა ჩაგვრისაგან განთავისუფლებას, ცდილობდნენ მოეხდინათ მსხვილი მიწათმფლობელობის ექსპროპრიაცია და მასობრივად შედიოდნენ ტოტილას ჯარში. მონებისა და კოლონების ამ მოძრაობით შეშინებულმა რომის დიდკაცობის ერთმა ნაწილმა ბიზანტიას მიაშურა და, ამგვარად, ემიგრაციაში მყოფი, იგი მხარს უჭერდა ბიზანტიის ჯარების ლაშქრობას იტალიაზე; მისი დარჩენილი წარმომადგენლები გუთებმა მძევლების სახით წაიყვანეს და შემდეგ დახოცეს. თუ რა გასაქანი ჰპოვა ამ დროს ტოტილას რეფორმებმა დაბალი კლასების სასარგებლოდ, ეს სჩანს იმ ბიზანტიური კანონის პ რ ა გ მ ა ტ ი უ ლ ი ს ა ნ ქ ც ი ი დ ა ნ, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა იუსტინიანეს მიერ იტალიის დაპყრობის შემდეგ და რომელშიც, შავი ფერებით არის დახატული ტოტილას მეფობა. კანონი აღგენს ორი ეპოქის არსებობას ოსტგუთთა სამეფოს ისტორიაში: თეოდორიხისა და ამალასუნტას ეპოქას და ტოტილას უკანონო დაპყრობისა და ტირანიის ეპოქას. ტოტილას მეფობაში მიღე-

[1] „Архив Маркса и Энгельса", т. V; М а р к с, Хронологические выписки, I, стр. 21.

ბული ყველა დადგენილება უქმდება, ცხადდება უკანონოდ; ყოველნაირი ბოძება და საჩუქრები, ტოტილას მიერ გაცემული, აგრეთვე გაუქმებულად ითვლება. გამოიცა დეკრეტი კონფისკაციაქმნილი და წართმეული ქონების წინანდელ მეპატრონეებისათვის დაბრუნების შესახებ. ცხადდება, რომ კოლონები, რომელნიც თავისუფალი გახდნენ ამ ეპოქაში, წინანდელ დამოკიდებულ მდგომარეობაში უნდა მოექცნენ, ხოლო მონები, რომელნიც ტოტილას მიერ განთავისუფლებულ იქნენ, და კოლონები, რომელთაც მოეხსნათ საბატონო ბეგარა და ღალა, წინანდელ მდგომარეობას უნდა დაუბრუნდნენ.

ამგვარად, ტოტილას ბრძოლა ბიზანტიასთან ატარებდა იმ მონებისა და კოლონების რევოლუციური აჯანყების ხასიათს, რომლებიც ადგილ-ადგილ თავისუფლდებოდნენ და ტოტილას ჯარებში შედიოდნენ. თავის მხრივ ტოტილა ზავის აუცილებელ პირობად აყენებდა თავის დროზე მის მხარეზე გადასულ მონებისათვის თავისუფლების შენარჩუნების მოთხოვნას.

ტოტილას სიკვდილის შემდეგ გუთების წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. თვითონ გუთების ზედაფენა მონებისა და კოლონების რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით ისწრაფოდა შესულიყო კავშირში რომის დიდკაცობასთან და მხარს უჭერდა ბიზანტიის მიერ იტალიის რეაქციულ დაპყრობას. 554 წელს საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა ოსტგუთთა სახელმწიფო. ბიზანტიის სარდალი ნარსესი ლანგობარდების, ჰუნების, პართელებისა და სხვა ტომებისაგან შემდგარი არმიით და კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერით, რომელიც იმ დროისათვის მსხვილი მიწათმფლობელი ხდება, ამთავრებს იტალიის დაპყრობას. ბარბაროსებსა და ერეტიკოს „არიანებს“ სასტიკად უსწორდებიან.

ამგვარად, რევოლუციამ, რომელმაც იტალიაში ოსტგუთთა ბატონობის დასასრულს იფეთქა, მარცხი განიცადა. მაგრამ ბიზანტიის ბატონობაც არ იყო ხანგრძლივი. 13 წლის შემდეგ, 568 წელს, იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ დაპყრობილ იქნა გერმანელთა მეორე ტომის—ლანგობარდების მიერ.

8. ლანგობარდთა სამეფო იტალიაში

ლანგობარდების დაპყრობები. ლანგობარდები თავდაპირველად ელბის შესართავთან ცხოვრობდნენ, ამ მდინარის მარცხენა, დასავლეთ ნაპირზე. „ხალხთა დიდი გადასახლების“ დროს მათ გადაინაცვლეს სამხრეთით, პანონიის საზღვრებისაკენ, შემდეგ კი უფრო ახლოს იტალიის საზღვრებისაკენ. ისინი მონაწილეობას იღებდნენ ბიზანტიის შეტევაში ოსტგუთებზე, 568 წელს კი მთელ რიგ გერმანელ, სარმატ და თურქ (ბულგარები) ტომებთან კავშირში, თავის კონუნგ ალბოინის წინამძღოლობით, თვითონ დაესხნენ თავს იტალიას და შემუსრეს ბიზანტიის ბატონობა, რომელიც ძველი რომის მსხვილი მიწათმფლობელური და მონათმფლობელური კლასის ბატონობის რესტავრაციას წარმოადგენდა.

ლანგობარდებმა იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრეს, მაგრამ დამკვიდრდნენ, უმთავრესად, ჩრდილოეთ იტალიაში, რომელიც ამ დროიდან

დაწყებული, ატარებს ლანგობარდიის ანუ, შემდეგში, ლომბარდიის სახელწოდებას, ვენეციისა და რავენის გამოკლებით; შემდეგ მათ დაიკავეს შუა იტალიის მეტი ნაწილი, რომის გამოკლებით. ამით განისაზღვრებოდა მათი სამფლობელოები. სამხრეთ იტალია და რომი ლანგობარდების მიერ დაპყრობილი არ ყოფილა.

ლანგობარდთა მიერ დაპყრობებს ხელს უწყობდნენ მონები და კოლონები, რომლებიც იტალიის შიგნით აწყობდნენ აჯანყებებს და, ამგვარად, ეს დაპყრობა, ოსტგუთთა მიერ იტალიის დაპყრობისაგან განსხვავებით, რევოლუციურ ხასიათს ატარებდა; ჩვენ დავინახეთ, რომ მხოლოდ ოსტგუთთა ბატონობის დასასრული აღინიშნა იტალიაში ხალხის მასების აჯანყებით. ლანგობარდთა მიერ დაპყრობისას ფართო გასაქანი მიეცა მსხვილ მიწათმფლობელობის განადგურებას. მოკლულ იქნა მრავალი მსხვილი მიწათმფლობელი, მათ ადგილმამულს კონფისკაცია უყვეს. მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამორთმეულ იქნა, მასზე ლანგობარდები მოაწყეს, ხოლო დანარჩენ მიწას, რომელიც რომაელთა ხელში დარჩა, ხარკი შეაწერეს. თვითონ მიწის მფლობელები მოხარკე მოსახლეობად—ტ რ ი ბ უ ტ ა რ ი ე ბ ა დ გადაიქცნენ სახელმწიფოში. იმავე დროს დაპყრობის პროცესში რომაელები დიდის რაოდენობით გადაქცეულ იქნენ მონებად. თანამედროვე მწერლები მოგვითხრობენ, რომ იმ დროს ხშირად შეიმჩნეოდნენ ბაზრებზე რომაელები, რომელთაც მონებად ჰყიდდნენ.

ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება. ლანგობარდების მიერ იტალიის დაპყრობის შედეგად გაბატონებულ ფენად იტალიაში ლანგობარდთა თავისუფალი გლეხობა გადაიქცა. ეს გლეხობა მეტნაწილად წინანდელ გვაროვნულ ურთიერთობათა გადანაშთებს ინარჩუნებდა. გვარს აქ ფ ა რ ა ეწოდებოდა. ამჟამად ეს სახელწოდება (ფარა) დაცულია იტალიის ცალკეული სოფლების ძალიან მრავალ საკუთარ სახელთა შემადგენლობაში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ლანგობარდები გვაროვნულ ჯგუფებად სახლდებოდნენ და თავის ძველისძველ თემებს-მარკებს ინარჩუნებდნენ. მაგრამ იმთავითვე ემჩნეოდა, რომ კლასობრივი დიფერენციაციაცია სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. არსებობდა გვაროვნული დიდკაცობა, რომელნიც მონებსა ჰფლობდნენ.

უკვე მეფე როტარის ედიქტში (დაახლოებით 643 წელს) ნებადართულია მიწის საკუთრების გასხვისება. ეს ედიქტი ნებას იძლევა გადაეცეს მიწა ეკლესიას—უძრავი ქონების გასხვისების პირველი ფორმა, რომელიც თავს იჩენს ბარბაროსთა სამართალში. მეფე ლიუტპრანდის მოგვიანო კანონებში (VIII საუკუნის დასაწყისი) ჩვენ ვამჩნევთ კლასობრივი დიფერენციაციის უკვე მნიშვნელოვან განვითარებას. გარდა იმ სოციალური ფენებისა—დიდკაცობისა და ლანგობარდთა თავისუფალი გლეხობისა, რომლებიც თავდაპირველად არსებობდნენ,—ჩნდებიან საშუალო ქონების, მცირე შეძლების და სრულიად ბოგანო ხალხიც კი. გარდა ამისა, არსებობს ორი კატეგორიის ხალხი—მ ო ნ ე ბ ი და ა ლ დ ი ე ბ ი. ეს უკანასკნელები წარმოადგენენ სხვა ბარბაროსულ სახელმწიფოების აზატების-ლიტების შესატყვისს. იზრდება მსხვილი მიწათმფლობელობა, ძლიერდება მსხვილი მიწათმფლობელის კერძო უფლება.

ფეოდალიზაციის ამ პროცესის წინააღმდეგ წარმოებს გლეხთა აჯანყებები. საკანონმდებლო ძეგლებში აღნიშნულია მთელი რიგი შემთხვევები, როცა გლეხები უჯანყდებიან თავიანთ ბატონებს. მღელვარება თავს იჩენს აგრეთვე თავისუფალი გლეხური თემის მზარდი მსხვილ მიწათმფლობელობასთან შეჯახების ნიადაგზე. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ფეოდალიზაციის პროცესი სულ უფრო და უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

თვითონ ლანგობარდებში კერძო საადგილმამულო საკუთრების განვითარებასა და მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდასთან ერთად ისპობა უფლებრივი განსხვავება ლანგობარდებსა და რომაელებს შორის. ხდება ფეოდალების კონსოლიდაცია ერთიან კლასად, რომელშიც ტომობრივი განსხვავება მეორეხარისხოვან ადგილს იკავებს. ამასთან ერთად თავდაპირველი განცალკევებულობა არიან-ლანგობარდებსა და კათოლიკე-რომაელებს შორის აგრეთვე ისპობა, ვინაიდან VI საუკუნის დამლევს და VII საუკუნის დამლევს ლანგობარდები კათოლიკობას ღებულობენ.

ლანგობარდები და პაპობა. ამ დროს კათოლიკური ეკლესიის სათავეში სდგას პაპი გრიგოლ I. უკვე მაშინ პაპები იჩენენ მისწრაფებას გახდნენ ბამოუკიდებელი ბიზანტიისაგან. პაპების ეს მისწრაფება განსაკუთრებით ძლიერდება მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, რომელიც ახლა ბიზანტიის სახელწოდებას ატარებს, ვრცელდება ეგრეთწოდებული ხატისმებრძოლი მოძრაობა (იხ. თავი XI). ხატის თაყვანისცემის წინააღმდეგ მიმართული კანონები, რომლებსაც 726 წლის შემდეგ სცემდნენ იმპერატორები აღმოსავლეთში, ცხოვრებაში ტარდება აგრეთვე იტალიის ბიზანტიურ საფლობელოებშიც. პაპობამ ისარგებლა ამ საბაბით, აშკარად გამოვიდა ბიზანტიის წინააღმდეგ და საბოლოოდაც კი შესწყვიტა მასთან ურთიერთობა. აღმოსავლეთ რომის იმპერატორს პაპი ერეტიკოსად აცხადებს. იტალიაში ყველგან იწყება ბიზანტიელ მოხელეთა მოხსნა-გადაყენება. ლანგობარდთა მეფეები სარგებლობენ ასეთი ხელსაყრელი სიტუაციით და იპყრობენ იმ მიწებსა და ქალაქებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბიზანტიის მფლობელობაში რჩებოდნენ, კერძოდ რავენას-ბიზანტიური სამფლობელოების მართვაგამგეობის ცენტრს იტალიაში. მაგრამ ამით ლანგობარდები საშიში მეტოქეები ხდებიან პაპის ხელისუფლებისა, რომელიც აქამდე მათთან ხელიხელჩაკიდებული მიდიოდა. ახლა პაპები ლანგობარდების წინააღმდეგ დახმარებისათვის მიმართავენ იმავე ბიზანტიას, შემდეგში კი დახმარებას სთხოვენ დასავლეთში ამ დროს უკვე ჩამოყალიბებულ ფრანკთა ძლიერ სახელმწიფოს. VIII საუკუნის შუახანებში, როცა კონფლიქტი ლანგობარდებსა და პაპებს შორის განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს, პაპები აგულიანებენ ფრანკებს ლანგობარდების წინააღმდეგ. ფრანკთა მეფე პიპინი პაპის მიერ მეფედ კურთხევისთანავე ორჯერ შეიჭრა ლანგობარდთა სამეფოში და პაპს გადასცა მის მიერ ლანგობარდებისათვის წართმეული რავენის საეგზარქოსოს და რომის ოლქის ქალაქები, რომლებიც წინაბ ბიზანტიას ეკუთვნოდა. კარლოს დიდმა, რომელმაც თავის-თავი ლანგობარდთა მეფედ გამოაცხადა, დაადასტურა პიპინის მიერ ასეთი ბოძება პაპისადმი. ასე შეიქმნა პაპის ოლქი და მიეცა დასაწყისი პაპების საერო ხელისუფლებას (იხ. თავი V).

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 14—30). — ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. — Энгельс, Марка, Соч., т. XV.

II. წყაროები. Аммиан Марцеллин, История, 3 вып., Киев 1906—1908. — Прокопий Кесарийский, Войны римлян с. вандалами, Спб. 1872. — Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. I, 1939. стр. 31—55.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. I, 1897, стр. 62—120. — Петрушевский, Очерки из истории средневекового общества и государства, разп. изд. — Тьерри Ам., Рассказы из римской истории V века, М. 1861. — Фюстель-де-Куланж, История общественного строя древней Франции, т. II, М. 1904. — Ешевский, Аполлинарий Сидоний, Соч., т. III М. 1870 и отд. изд. — Виноградов, Происхождение феодальных отношений в лангобардской Италии, гл. II, М. 1880. — Кудрявцев П., Судьбы Италии, М. 1889. — Вайнштейн О. Л., Этническая основа так называемых государств Одоакра и Теодориха, „Историк-марксист" № 6, 1938. — Кудрявцев А. Е., Испания в средние века, гл. I, Л 1937. — Бергер, Государство вестготов и падение Западной Римской империи, „Исторический журнал" № 3, 1940.

თავი IV

მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფო

ძველი ფრანკები. ფრანკები წარმოიშვნენ, როგორც სჩანს, უფრო ძველი ტომების — ბატავების, ხამავების, ხატების, სუგამბრების და სხვ. ნაშთებისაგან. ამ ტომების უმრავლესობა ისტვეონების ძველი ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა. უკვე III საუკუნეში იწყება მათი თავდასხმები რაინს იქითა მხარიდან გალიაზე. შესაძლოა, უკვე მაშინ იყოფოდნენ ისინი ორ ტოტად, სალიელ ფრანკებად, რომლებიც რაინის ქვემო წელში ცხოვრობდნენ, და რიპუარელ ფრანკებად, რომლებიც პირველთა სამხრეთით ცხოვრობდნენ. IV საუკუნის მეორე ნახევარში პირველნი იკავებენ ტოკსანდრიას (ახლანდელი ჩრდილო ბრაბანტი) და, იმპერატორ იულიანეს მიერ დამარცხებულნი, რჩებიან აქ იმპერიის ფედერატების მდგომარეობაში. აქედან ისინი თანდათანობით სახლდებიან სხვადასხვა ადგილას სამხრეთით და დასავლეთით, სომამდე, ხოლო ამ მხარის წინანდელ მცხოვრებთ—მორინებს, მენაპიებს და ნერვიებს, მათი ადგილებიდან ერეკებიან და ერთიან ფრანკთა მოსახლეობას ჰქმნიან. იმავე დროს რიპუარელი ფრანკები მაასსა და რაინს შუა სახლდებიან. ფრანკები რომს დამხმარე სამხედრო ძალებს აწვდიან, მათი ცალკეული წარმომადგენლები სხვადასხვა საკმაოდ მაღალ ადმინისტრატიულ თანამდებობებზე წინაურდებიან და იმპერატორებსაც კი უნათესავდებიან. 451 წელს ისინი დახმარებას უწევენ რომის ნაცვალს აეციუსს და მონაწილეობას იღებენ ატილას ჰუნების წინააღმდეგ კატალაუნის მინდვრებში წარმოებულ ბრძოლაში.

უფრო გვიან ერთ-ერთი მათი ბელადი ხილდერიკი, რომის ნაცვლის ედიგიუსის მოკავშირე იყო. ხილდერიკი, რომელიც წარმოშობით მეროვინგების ფრანკთა დიდ გვარეულობას ეკუთვნოდა, „მეფედ“ იყო ტურნეში.

ხლოდვიგის დაპყრობანი გალიაში და ფრანკთა სახელმწიფოს წარმოქმნა. ხილდერიკის შვილი ხლოდვიგი (481 — 511 წწ.) კამბერში მყოფ მეორე ფრანკთა მეფე რაგნახართან კავშირში 486 წელს შეუდგა რომის ტერიტორიის შემდგომ დაპყრობას. სუასონთან მან გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა რომის ნახევრადდამოუკიდებელ მმართველ და მსხვილ მაგნატ სიაგრიუსზე, ამასთან გამარჯვებულთ ხელთ ჩაუვარდათ უდიდესი სამხედრო დავლა. დაპყრობას აადვილებდა ფრანკთა მხარეზე გალებისა და რომაელთა გავლენიანი სამღვდელოების გადასვლა. ხლოდვიგმა თავისი ხელისუფლება განა-

მტკიცა ბურგუნდთა მეფის დისწულზე, კათოლიკე კლოტილდაზე დაქორწინებით, რაც მან ხელისშემშლელ გარემოებად არ მიიჩნია უფრო გვიან ბურგუნდებთან ბრძოლის დაწყებაში.

496 წელს მან სასტიკად დაამარცხა ალემანები, რომლებიც ნაწილობრივ განდევნილ იქნენ გალიიდან და თეოდორიხ ოსტგუთელის მფარველობაში მოექცნენ.

იმავე წელს ხლოდვიგმა ქრისტიანობა მიიღო, ამასთან — გუთებისა და ბურგუნდების არიანობისგან განსხვავებით—კათოლიკური ფორმით. ეკლესიას შეგნებული ჰქონდა, რომ შეტევაზე გადმოსული ფრანკებისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო, და უკვე დიდიხნიდან ისწრაფოდა შეეკრა კავშირი მათ მეფეებთან, რათა ამ გზით უზრუნველეყო თავის სიმდიდრეთა დაცვა. ხლოდვიგი ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე ამყღავნებდა ასეთი დაახლოებისადმი მიდრეკილებას, როცა მან ურთიერთობაც კი დაამყარა რეიმსის ეპისკოპოს რემიგიუსთან. ხლოდვიგის მონათვლა იყო პოლიტიკური აქტი, ერთგვარი განმტკიცება კავშირისა მასსა და გალიელ-რომაელ სამღვდელოების შორის. მასთან ერთად ქრისტიანობა მიიღო მისმა 3 ათასამდე მეომარმა. კათოლიკურ ეკლესიასთან დამყარებული მჭიდრო კავშირი ძალიან დაეხმარა ხლოდვიგს შემდეგში მის მიერ ვესტგუთებთან წარმოებულ ომში (507—510 წწ.), რომლის დროსაც მის მხარეზე იყო აქვიტანიის კათოლიკური სამღვდელოება; მას კარს უღებდა მრავალი ქალაქი. ფრანკების მხარეზე დგებოდნენ აგრეთვე ვესტგუთთა საზოგადოების ქვედა ფენები, მაშინ, როდესაც გალიელ-რომაელი დიდკაცობა თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა ფრანკებს. გადამწყვეტ ბრძოლაში პუატიეს თან, გრიგორი ტურელის სიტყვებით, მრავალი „დიდგვაროვანი სენატორი“ დაეცა, განსაკუთრებით ოვერნიდან. ფრანკთა დაპყრობას სამხრეთ გალიის გლეხობისათვის მოჰქონდა მისი მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება. როგორც სალიკური სამართლის პროლოგშია ნათქვამი, ფრანკები იყვნენ „მამაცი და ძლიერი ხალხი, რომელმაც დაამხო რომაელთა სასტიკი მონობის უღელი“. ამ დაპყრობათა შედეგად ხლოდვიგის ფრანკთა სახელმწიფოს საერთაშორისო მნიშვნელობა იმდენად განმტკიცდა, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა ანასტასიმ მას გამოუგზავნა დიპლომი კონსულის წოდებით და საკონსულო ღირსების ნიშნებით. გალიის სამხრეთი ნაწილი (პროვანსი, სეპტიმანია) მაინც ოსტგუთთა და ვესტგუთთა ხელში დარჩა.

ამ გამარჯვებებმა, რომელიც ხლოდვიგმა მოიპოვა ფრანკთა სხვა ბელადების — კამბრეზიელი რაგნახარის და მისი ძმების, კელნელი სიგიბერტას და სხვათა — სამხედრო დახმარებით, და ვებერთელა სამხედრო დავლამ წაიმოსწია და დააწინაურა იგი დანარჩენ მეფეთა შორის, ხოლო მის მიერ ქრისტიანობის მიღებამ უზრუნველჰყო მისთვის ეკლესიის ყოველმხრივი მხარდაჭერა. ცბიერებითა და ვერაგობით მოიცილა ხლოდვიგმა თავისი ყოფილი მოკავშირეები, ხელთ იგდო მთელი ძალაუფლება და ფრანკების ერთადერთი მბრძანებელი გახდა. მან მოისყიდა რაგნახართან დაახლოებული პირები, რომელთაც გასცეს თავისი მეფე, და საკუთარის ხელით მოჰკლა იგი. მან დაიყოლია კელნელი მეფის სიგიბერტას შვილი თავისი მამის მოკვლაზე, რის შემდეგ

თვითონ შვილიც მოკლულ იქნა. ფრანკთა სხვა მეფეებიც დახოცილ იქნენ. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ეკლესია ლოცავდა ხლოდვიგს ყოველ მის საქმეში, ვინაიდან იგი გულუხვად ასაჩუქრებდა მას მიწებით, აგებდა ტაძრებს, ხელს უწყობდა ქრისტიანობის გავრცელებას, იწვევდა ეპისკოპოსებს სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობისათვის და მართავდა მათთან თათბირს. „ღმერთმა მის წინაშე განართხო მტერნი მისნი", — ამბობს ეპისკოპოსი გრიგოლი ტურელი,—„რამეთუ იგი გულითა მართალით ვიდოდა წინაშე ღვთისა და აკეთებდა ყოველივეს, მის თვალთა მაამებელს".

ხლოდვიგის შვილების დროს დაპყრობილ იქნა ბურგუნდია (534 წ.) და ოსტგუთებმა დაუთმეს პროვანსი (536 წ.) ბიზანტიის წინააღმდეგ დახმარებისათვის. 539 წელს მეფე თეოდებერტი იტალიაშიც გამოჩნდა, თავს ესხმოდა ოსტგუთებსაც და ბიზანტიის ჯარებსაც და ამაოდ ცდილობდა დაემყარებია აქ ფრანკთა ბატონობა. იმავე დროს მოხდა ალამანების სრული დამორჩილება და ტიურინგიის დაპყრობა; ბავარებმა სცნეს ფრანკთა ხელისუფლება, თავისი ერთგვარი ნაწილობრივი დამოუკიდებლობისა და სატომო ჰერცოგების შენარჩუნებით; საქსებმა ვალად იდვეს ეხადათ ფრანკთა მეფეებისათვის ყოველწლიური ხარკი 500 ძროხის სახით.

ფრანკების საზოგადოებრივი წყობილება სალიკური სამართლის ეპოქაში. გვაროვნული წყობილება. ფრანკთა მიერ დაპყრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გალიის სოციალურ წყობილებაში. ფრანკთა თავისუფალი გლეხობა მეროვინგთა საზოგადოების საფუძველი შეიქნა, განსაკუთრებით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. როგორც ენგელსი ამბობს, „რომაელ კოლონსა და ახალ ყმა გლეხს შორის სდგას თავისუფალი ფრანკი გლეხი". ფრანკთა საზოგადოებრივი წყობილება დაპყრობათა შემდეგ პირველ ხანებში ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ ეგრეთწოდებული ს ა ლ ი კ უ რ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს, სალიელ ფრანკთა საკანონმდებლო ძეგლის მიხედვით, რომელიც შედგენილია VI საუკუნის დამდეგს, ჯერ კიდევ ხლოდვიგის სიცოცხლეში.

აქ ჩვენ ვამჩნევთ გვაროვნულ ურთიერთობათა დაშლის პროცესს, რომლებიც ჯერ კიდევ მაინც საკმაო მნიშვნელობას ინარჩუნებენ. ნათესავები კვლავ დიდ როლს ასრულებენ თავისუფალი ფრანკის ცხოვრებაში. ფრანკის მოკვლის შემთხვევაში ვ ე რ გ ე ლ დ ი ს (ჯარიმა მკვლელობისათვის) ნახევარს ღებულობენ მოკლულის შვილები, მეორე ნახევარს კი ერთმანეთს შორის იყოფენ უახლოესი ნათესავები როგორც მამის, ისე დედის მხრით (თავი XII). ყველა ეს უახლოესი ნათესავები მეექვსე მოდგმამდე ჰქმნიან თავისებურ მჭიდრო კავშირს, რომლის წევრებიც გარკვეული თანმიმდევრობით იღებენ მონაწილეობას თანანაფიცობაში (ე. ი. ფიცით გამოდიან სასამართლოში ნათესავის სასარგებლოდ) ანდა მემკვიდრეობაში გარდაცვლილი ნათესავის შემდეგ, ან ვერგელდის გადახდაში, ან მიღებაში ნათესავის მიერ უცხოელის მოკვლისათვის, ან პირიქით, ან სასყიდლის მიღებაში ქვრივის გათხოვების შემთხვევაში (reipus — საქმროს გადასახადი, achasius — თვითონ ქვრივის გადასახადი). ამასთან დამახასიათებელია, რომ ადგილმამულის დამემკვიდრების შემთხვევაში ქალი გამორიცხული უნდა ყოფილიყო მემკვიდრეები-

დან მაგრამ მთელი მიწა (terra salica) უნდა გადაცემოდა „მამრობით სქესს, ე. ი. ძმებს“ (სალიკური სამართალი, თავი LIV).

აი როგორ სურათოვნად აგვიწერს სალიკური სამართალი გვარის წევრთა ჩარევას ვერგელდის გადახდაში (თავი LVIII, De chrenecrude — მუჭა მიწის შესახებ):

„უკეთუ ვინმე ადამიანს სიცოცხლეს მოუსპობს, მთელ ქონებას გადაიგებს, მაგრამ ვერ შესძლებს კანონით კუთვნილის გადახდას, მან 12 თანანაფიცი უნდა წარმოადგინოს, რომ არც მიწაზე, არც მიწის ქვეშ მას არ მოეპოვება ქონება იმაზე მეტი, რაც უკვე გასცა. შემდეგ იგი უნდა შევიდეს თავის სახლში, დაიგროვოს მიწა მუჭაში ოთხივე კუთხიდან, დადგეს ზღურბლზე პირით სახლის შიგნით, და ეს მიწა მარცხენა ხელით მხრებზე გადავლებით შეაყაროს მას, ვისაც იგი სთვლის თავის უახლოეს ნათესავად. უკეთუ მამამ და ძმებმა უკვე გადაიხადეს, მაშინ მან იგივე მიწა უნდა შეაყაროს თავისიანებს, ე. ი. სამ უახლოეს ნათესავს დედისა და მამის მხრივ. შემდეგ (მარტოოდენ) პერანგისამარა უქამროდ, უფეხსაცმელოდ, მარგილით ხელში, იგი უნდა გადაახტეს წნულ ღობეს“, სამმა მისმა ნათესავმა კი თავ-თავის მხრით უნდა შეიტანონ ნახევარ-ნახევარი ვერგელდის დანაკლისი ნაწილისა. „უკეთუ რომელიმე მათგანი აღმოჩნდება მეტისმეტად ღარიბი და ვერ შესძლებს ხვედრის გადახდას, მან თავის მხრივ მუჭით მიწა უნდა შეაყაროს ვინმე უფრო შეძლებულთაგანს, რათა მან გადაიხადოს იგი კანონის მიხედვით“. სალიკური სამართალი ამბობს, რომ თუ არავინ იკისრებს ვერგელდის დარჩენილი წილის გადახდას, მაშინ დამნაშავემ „თავისი სიცოცხლით უნდა ზღოს ვერგელდი“.

ამგვარად, გვაროვნული ორგანიზაციის წევრთა შორის აქ ჩვენ ვხედავთ ერთგვარ ქონებრივ დიფერენციაციას, იმას, რომ არსებობენ ღარიბები და უფრო შეძლებულნი. ჩვენ ვამჩნევთ აგრეთვე მისწრაფებას ნათესავთა ამ კავშირიდან გამოსვლისადმი. განსაკუთრებულ თავში (LX) პირდაპირ ლაპარაკია „ნათესაობაზე ხელის აღების მსურველის შესახებ“. „იგი უნდა გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე ტუნგინის წინაშე და იქ თავზე გადაიმტვრიოს სამი ჯოხი ზომით ერთი წყრთა. და მან სასამართლო კრებაზე მიყარ-მოყაროს ისინი ოთხი მხრივ და განაცხადოს იქ, რომ იგი ხელს იღებს თანანაფიცობაზე, დამემკვიდრებაზე და მათთან რაიმე ანგარიშის გაწევაზე. უკეთუ შემდეგ რომელიმე მისი ნათესავთაგანი ან მოკლული იქნება ანდა მოკვდება, მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა არც დამემკვიდრებაში, არც ვერგელდში, ხოლო თვითონ მისი მემკვიდრეობა ხაზინას უნდა გადაეცეს.“

თემი — მარკა. სალიკური კანონდების ეპოქაში ცოცხლობდა კლასებამდელი საზოგადოების კიდევ ერთი გადანაშთი—თემური მიწათმფლობელობა. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ისახება ჩვენს წინაშე თემი — მარკა XLV თავში (De migrantibus — გადასახლებულთა შესახებ), რასაც სულ სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. მასში ჩვენ ვკითხულობთ: „უკეთუ ვინმე მოისურვებს

გადასახლდეს ვილაში სხვასთან და თუ ვილის ერთი ან რამდენიმე მცხოვრები ისურვებს მის მიღებას, მაგრამ აღმოჩნდება თუნდაც ერთი, რომელიც წინააღუდგება მის გადასახლებას, მას არ ექნება უფლება დასახლდეს იქ". შემდეგ აღნიშნულია, რომ თუ, მიუხედავად ერთი ან ორი პიროვნების პროტესტისა, მოსული მაინც დასახლდება ვილაში, მაშინ მათ მიერ, ვინც პროტესტი განაცხადა, სწარმოებს სასამართლო პროცესი, და საქმე ვილიდან მისი გაძევებით მთავრდება, მაგრამ აქვე ემატება: „ხოლო თუ გადასახლებულს 12 თვის განმავლობაში არავითარი პროტესტი არ წარედგინება, ის უნდა დარჩეს (ვილაში), ისე როგორც სხვა მეზობლები (vicini)". იმავე დროს წესდება, რომ „უკეთუ ვინმე მიიწვევს მეორეს გადასახლდეს სხვის ვილაში მანამ, სანამ მიღწეული იქნება ერთანადო შეთანხმება, მას მიეს ჯება 45 სოლიდის გადახდა".

აქ ჩვენს წინაშე საადგილმამულო კოლექტივია (მარკა), რომელსაც ეკუთვნის უზენაესი უფლება მიწების გამგებლობისა სოფლად — ვილაში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მეფე ხილპერიკის ედიქტი (561 — 584 წწ.), რომელიც აწესებს მიწის მემკვიდრეობით მიღების წესს ასეთ ვილაში ისეთი ადამიანის სიკვდილის შემდეგ, „რომელსაც ჰყავს მეზობლები" (vicinos habens), მაგრამ შვილები არ დარჩენია. სალიკური კანონდების სათანადო მუხლის შესაცვლელად ედიქტი აწესებს მიწის დამემკვიდრებას გარდაცვლილის ქალიშვილის ან ძმისა და დის მიერ, „და არა მეზობლების მიერ"; სჩანს, მანამდე, თუ გარდაცვლილს შვილი არ დარჩებოდა, მიწა იმავე სოფელში (villa) მცხოვრებ მეზობელთა ხელში გადადიოდა. თავდაპირველად ყველა გერმანელი ტომისათვის ეს მეზობლები იმავე დროს ნათესავებიც იყვნენ. ასეთ დამთხვევას მიუთითებს ალამანთა სამართალი, სადაც ლაპარაკია, „ორ გვაროვნულ კავშირს (genealogiae) შორის მიწების საზღვრის შესახებ ატეხილ დავაზე", რაც ორთა ბრძოლით სწყდებოდა (მუხლი 81).

თემური საადგილმამულო საკუთრების შესახებ, ლაპარაკია სალიკური სამართლის XXVI-I თავშიც, სადაც, ეჭვს გარეშეა, ნახსენებია სათემო ტყე, რომლითაც თემ-მარკის ყველა წევრი სარგებლობს, თვითეულისათვის საჭირო ხეებზე თავისი ნიშნების გაკეთებით; ამასთან ნათქვამია: „უკეთუ ვინმე გაბედავს და წაილებს ხეს, რომელსაც ერთი წლის წინათ დაადეს ნიშნები, ეს არავითარ დანაშაულს არ შეადგენს". მაშასადამე, ტყით სარგებლობდნენ ერთად, მაგრამ თემის მიერ დადგენილი წესების მიხედვით.

ამასთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია აგრეთვე სალიკურ სამართალში ნახსენები მოპარვა ხარისა, რომელიც მომსახურებას უწევს სამი მეზობელი სოფლის ძროხის ჯოგს (თავი III, § 5), რაც ცხადია, მოწმობს იმას, რომ მთელ რიგ მეზობელ სოფლებისათვის საერთო საძოვრები არსებობდა.

თემური მიწათსარგებლობის დროს მიწის დამუშავება ინდივიდუალურად წარმოებდა; როგორც სჩანს, კომლის კარმიდამო გამოყოფილი იყო კერძო საკუთრებად; დანარჩენი მიწა დაყოფილი იყო კომლობრივ, ნაკვეთებად, რომელთაც გარსშემოვლებული ჰქონდა მესერები; მათი გაფუჭებისათვის ჯარიმას ადებდნენ, ასეთი კომლობრივი სარგებლობის საგანს შეადგენდნენ სახნავი,

ვენახები, ზოგჯერ ველები და ტყეები. მიწათმოქმედებასთან ერთად ფრანკებს დიდად განვითარებული ჰქონდათ მესაქონლეობაც, განსაკუთრებით მეღორეობა. ზოგიერთი მკვლევარის სიტყვით, სალიკურ სამართალში ჩვენ ვხვდებით ნამდვილ „ღორულ ტერმინოლოგიას", — ისეთი მრავალფეროვანებაა იქ ტერმინებისა სხვადასხვა სახის და ასაკის ღორების აღსანიშნავად.

მიწაზე კერძო საკუთრებისა და კლასობრივი დიფერენციაციის წარმოშობა. ამრიგად, მიწა უკვე გამოიყოფა ინდივიდუალური საშვილიშვილო სარგებლობისათვის, მაგრამ სალიკურ სამართალში ჯერ კიდევ მიწის ყიდვა-გაყიდვის კვალიც არა სჩანს. მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ მხოლოდ რიპუარის კანონდება ლაპარაკობს, რომელიც სალიკურზე გვიანაა შედგენილი (VI საუკუნის დამლევი — VII საუკუნის დამდეგი). მაშასადამე, მხოლოდ ამ დროისათვის იქმნება ნამდვილი კერძო საადგილმამულო საკუთრება, ა ლ ო დ ი. მაგრამ, როგორც დავინახეთ, სალიკური სამართლის ეპოქაშიაც უკვე ისახება ქონებრივი დიფერენციაცია თავისუფალ ფრანკთა შორის, ჩნდებიან ღარიბნი და შეძლებულნი.

უკვე იმავე VI საუკუნის ფრანკთა მეფეების ბრძანებულებებში, რომლებიც გამოცემულია კანონდების შესავსებად და ახასიათებენ ფრანკთა საზოგადოების კლასობრივ ფენებად დაყოფის შემდგომ პროცესს, ლაპარაკია მცირე მიწიან ფრანკებზე (minoflidi), მსხვილ მიწათმფლობელებზე, რომლებიც სხვადასხვა ადგილას ფლობენ მიწას (meliores) და, დასასრულ, სრულიად გაკოტრებულ ადამიანებზე, რომელთაც უკვე აღარ ძალუძთ ჯარიმების გადახდა, დაძრწიან ტყეებში და ადგილობრივ ხელისუფალთა თვალში სახელგატეხილნი არიან. თავისუფალი გლეხობის გაკოტრების მიზეზებს წარმოადგენდა მძიმე სამხედრო სამსახური, რაც მას მეურნეობას აშორებდა, მძიმე გადასახადები, რაც VI საუკუნის განმავლობაში თავისუფალ ფრანკებზეც ვრცელდებოდა და მთელ რიგ მღელვარებებს და აჯანყებებს იწვევდა, დასასრულ, აუტანელი ჯარიმები უფლების სხვადასხვაგვარი დარღვევებისათვის, რაც ხშირი იყო ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მსხვრევისა და ახლის ჩამოყალიბების ეპოქაში.

მონობა. გაჭირვებაში ჩავარდნილი გაღატაკებული გლეხები ფულის გულისთვის კაბალაში ექცევიან, თავისუფლებას ჰკარგავენ და ნამდვილი მონობას განიცდიან. ვინაიდან შესაძლებელი იყო გადახდის საშუალებას მოკლებული დამნაშავის მონად გადაქცევა, შეძლებული ადამიანები, რომლებიც მუშა-ხელს საჭიროებდნენ, განსაკუთრებით ეკლესია, დაინტერესებული იყვნენ პატიმრებით; იმ დროის საპატიმროები, ამგვარად, მუშა-ხელის თავისებურ ბაზარს წარმოადგენდნენ. შუა საუკუნეების „წმინდათა" ცხოვრება ხშირად მოგვითხრობს, რომ ესა თუ ის პოპულარული „წმინდანი" ნახულობს საპატიმროებს და გამოისყიდის დამნაშავეთ. ასეთი „ღვთივეკურთხეული" გზით იძენდა მუშა-ხელს მზარდი საეკლესიო მიწათმფლობელობა.

მონობის სხვა წყაროს შეადგენდა ომში ნადავლის სახით, დაპყრობა. თავისთავად უკვე გალიის დაპყრობას უნდა უზრუნველეყო მსგავსი ნადავლით ფრანკები, განსაკუთრებით, მათი ბელადები; შემდგომი შინაბრძოლები და

ურთიერთ თავდასხმები კიდევ მეტად ზრდიდნენ მონების რიცხვს. უკვე თვითონ სალიკურ სამართალში მრავალ ადგილას აღნიშნულია ფრანკებს შორის მონათმფლობელობის მნიშვნელოვანი განვითარება. ასე, მაგალითად, სალიკურ სამართლისათვის ცნობილია მონების მრავალი სხვადასხვა პროფესია: კარის მსახურთა, მჭედელთა, ოქროს მჭედელთა, მეღორეთა, მევენახეთა, მეჯინიბეთა. ეს მოწმობს ფრანკებში სალიკური სამართლის ხანაში მსხვილ მეურნეობათა და მსხვილ მიწათმფლობელობის არსებობას. ახლად ჩამოყალიბებული მსხვილი მეურნეობა მრავალმხრივ არღვევდა ძველი თემური მიწათსარგებლობის ინტერესებს და მრავალრიცხოვან კონფლიქტებს იწვევდა. ეჭვს გარეშეა, ნაწილობრივ მისი ინტერესებით იყო გაპირობებული თვითონ შედგენა სალიკური სამართლისა, რომელსაც უნდა დაეცვა ეს ახალი საკუთრება ყოველგვარი ხელყოფისაგან.

გარდა მონებისა, სალიკური სამართლისთვის ცნობილია აგრეთვე ნახევრადთავისუფალი მოლალე — ლიტები — და ნამდვილი გააზატებულნი რომის სამართლის მიხედვით (ეგრეთწოდებულნი romani tributarii), რომლებიც ლალას უხდიდნენ მსხვილ მიწათმფლობელს.

მსახურეული არისტოკრატია. მსხვილი მესაკუთრეები პირველ რიგში იყვნენ მეფის დაახლოებული პირები, მისი რაზმელები — ა ნ ტ რ უ ს ტ ი ო ნ ე ბ ი, მისი მოხელეები გ რ ა ფ ე ბ ი, ს ა ც ე ბ ა რ ო ნ ე ბ ი; ისინი, უმთავრესად, მეფისაგან ღებულობდნენ მიწებს. სალიკური სამართალი მათ სამმაგი ვერგელდით (600 სოლიდის რაოდენობით) გამოჰყოფს ფრანკთა დანარჩენი მასიდან, განსაკუთრებით იცავს მათ სიცოცხლეს და ჰქმნის მათგან მსახურეული არისტოკრატიის პრივილეგიან წოდებას, რომელმაც ფრანკების ძველისძველი, გადაშენებული, გვაროვნული არისტოკრატიის ადგილი დაიკავა. ჩვეულებრივი ფრანკის მკვლელობისათვის იხდიდნენ 200 სოლიდს, ლიტის მკვლელობისათვის — 100 სოლიდს, ისე როგორც გააზატებულის მკვლელობისათვის (83 — 100 სოლიდი). იმავე ვერგელდს ახდევინებდნენ აგრეთვე თავისუფალ რომაელ მიწათმფლობელის (romanus possessor) მკვლელობისათვის. სხვისი მონის მკვლელობის ან მოპარვისათვის დაწესებული იყო ჯარიმა 30 — 36 სოლიდის რაოდენობით.

დაპყრობის შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა და გაფართოვდა ხამეფო მიწათმფლობელობა. მეფეების ხელში გადავიდა, პირველ ყოვლისა, რომის ფისკის მიწები და აგრეთვე საერთოდ ყველა ცარიელი მიწები. ამ ფონდს ავსებდა კიდევ „ჯანყებულთა“ მიწების კონფისკაციები და ბეითალმანი მიწები. სწორედ ამ ფონდის მიწებით ასაჩუქრებდნენ მეფეები ისევ ხელგაშლით და უხვად თავიანთ დაახლოებულ პირებს და ეკლესიას, რომლის მიწებიც სწრაფად იზრდება.

თავისუფალი გლეხობა. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი მიწათმფლობელობა უკვე განვითარების გზაზე იდგა, ფრანკთა საზოგადოების ძირითად მასას მაინც თავისუფალი გლეხი-მეომრები შეადგენდნენ, რომლებიც საადგილ-მამულო თემ-მარკებად ცხოვრობდნენ და ძველი გვაროვნული წყობილების ჯერ კიდევ მრავალრიცხოვან გადანაშთებს ინარჩუნებდნენ. ფრანკთა

სახელმწიფოს თვით წმინდა რომანულ ნაწილებში, სადაც მსხვილი მიწათ-მფლობელობა რომის პერიოდის დამლევს უკვე მნიშვნელოვნად განვითარებული იყო, დაპყრობას შედეგად მოჰყვა მიწათმფლობელობის დაწვრილება, მოსახლეობის შემადგენლობაში თავისუფალი წვრილი მიწათმფლობელობის ხვედრითი წონის გადიდება. და ეს იმის მეოხებით, რომ აქაც მოხდა თავისუფალ ფრანკთა ცალკეულ კუნძულებად დასახლება. ამ ოლქებში დარჩენილი გალთა და რომაელთა დიდკაცობა ერევა ახლად ჩამოყალიბებულ ფრანკთა მსახურეულ დიდკაცობას და შეადგენს მეფის ეგრეთწოდებულ მეინახეთა-პრივილეგირებულ ჯგუფს რომაელთაგან (conviva regis).

ალოდი. მაგრამ კერძო საადგილმამულო საკუთრების, ეგრეთწოდებული ალოდის წარმოქმნას შემდეგში აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მსხვილი მიწათმფლობელობის ფართოდ განვითარება.

„ალოდის მეოხებით, — ამბობს ენგელსი, — შეიქმნა არა მხოლოდ შესაძლებლობა, რომ მიწათმფლობელობის თავდაპირველი თანასწორობა მის წინააღმდეგობად გადაქცეულიყო, არამედ ამის აუცილებლობაც... იმ მომენტიდან, რაც წარმოიქმნა ალოდი, თავისუფლად გასასხვისებელი მიწის საკუთრება, მიწის საკუთრება, როგორც საქონელი, მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოშობა მხოლოდ დროის საკითხად იქცა“.[1]

მიწის მსხვილი საკუთრების წარმოშობა. ამ პროცესმა უკვე სალიკური სამართლის ხანაში იჩინა თავი. შემდეგში, VII და VIII საუკუნეებში, განსაკუთრებით ცენტრსა და სამხრეთში (ნეისტრია და აქვიტანია), მიწის მსხვილი, საერო და საეკლესიო, საკუთრების წარმოქმნა სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. ამ დროისათვის განსაკუთრებით ფართო გავრცელებას პოულობს ეგრეთწოდებული პ რ ე კ ა რ ი ე ბ ი ს პრაქტიკა, არა მხოლოდ უმიწაწყლოს მიერ მსხვილი მიწათმფლობელისაგან მიწის ნაკვეთის მეტნაწილად სიცოცხლეულად სარგებლობაში (precaria data) მიღების სახით, არამედ იმ სახითაც, რომ წვრილი მესაკუთრეები თავის მიწას გადასცემენ მსხვილ პრივილეგიან მიწათმფლობელს, განსაკუთრებით ეკლესიას, მისი უკანვე მიღებით (precaria oblata) სიცოცხლეულად სარგებლობაში, ხანდახან საშვილიშვილო სარგებლობაში, — ერთი-ორი თაობის მანძილზე. ძალიან ხშირად პრეკარისტი მონასტრისაგან, გარდა თავისი მიწისა, პრეკარიაში ღებულობდა აგრეთვე საეკლესიო მიწის ნაკვეთსაც — ეს იყო ეგრეთწოდებული „ამანაზღაურებელი პრეკარია“ („precaria remuneratoria“). ასეთ ღონისძიებას მიწების გადაცემა განსაკუთრებით ეკლესიის სასარგებლოდ უნდა წარემართნა. მაგრამ თუ უფრო მსხვილი პრეკარისტები, რომლებიც მცირე ღალას (ცენზს) იხდიდნენ, ჯერ კიდევ შედარებით კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, წვრილი პრეკარისტები, განსაკუთრებით ყოფილ უმიწაწყლოთა რიცხვიდან, ნამდვილი კოლონების მდგომარეობაში ეჭცეოდნენ და ვალდებული იყვნენ ეხადათ ღალა და საბატონო ბეგარა. გარდა პრეკარიებისა, მსხვილ მიწათმფლობელობაში

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. XVI, ნაწ. I, გვ. 392.

შემოღებული იყო — თუმც ჯერ კიდევ მეტად ზომიერ ფარგლებში — ბ ე ნ ე ფ ი ც ი უ მ ე ბ ი — მიწის პრივილეგიანი პყრობა, უმთავრესად სამხედრო ხასიათის, რასაც ურიგებდნენ მაგნატის სამხედრომსახურთ, მის კერძო რაზმელებს — გაზინდებს. ასეთი პყრობა გაპირობებული იყო მიწათმფლობელისადმი სამხედრო სამსახურით.

კერძო უფლების ზრდა. მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდასთან ერთად მსხვილი მესაკუთრის კერძო უფლების ზრდაც წარმოებდა. წვრილი და საშუალო მესაკუთრენი და სრულიად უმიწაწყლონიც უფრო ძლიერ ადამიანთა, საერო და სასულიერო მაგნატთა მფარველობაში (mundium) ექცეოდნენ, მათდამი კომენდირებული ხდებოდნენ, როგორც მაშინ ამბობდნენ (თვითონ აქტს კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა ეწოდებოდა); შედეგად მაგნატი მის მფარველობაში მყოფ ასეთი ადამიანის ს ე ნ ი ო რ ა დ ხდებოდა. კერძო უფლების განვითარების ამ პროცესს აძლიერებდა მანამდე თავის თანაწევრების დამცველ ძველისძველ გვაროვნულ კავშირთა დაშლა და თემის შიგნით მომხდარი ქონებრივი დიფერენციაცია. ხშირად საადგილმამულო და პირად დამოკიდებულებაში მოქცევა პრაქტიკაში ერთ აქტს შეადგენდა.

იმუნიტეტი. მსხვილ მაგნატთა კერძო უფლების წარმოქმნას სახელმწიფო ი მ უ ნ ი ტ ე ტ ი ს საშუალებით ამტკიცებდა. ამ ინსტიტუტის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მეფის აგენტებს, გრაფებს, ასისთავებს და მათ თანაშემწეებს აკრძალული ჰქონდათ იმ პირთა ტერიტორიაზე შესვლა, რომელთაც მეფისაგან ებოძათ იმუნიტეტის სიგელი, და იქ სასამართლო (ნაკლებ მნიშვნელოვან საქმეებზე), ადმინისტრატიულ, საპოლიციო, ფისკალურ ან სხვა რაიმე ფუნქციების შესრულება; ამით ასეთი ვალდებულებები იმ პირს ეკისრებოდა, რომელიც იმუნიტეტს ღებულობდა. სახელმწიფო აგენტების მაგიერ (iudices publici), ყველა აღნიშნულ ფუნქციას ახლა იმ მაგნატის კერძო აგენტები ასრულებენ, რომელმაც იმუნიტეტი მიიღო (iudices privati), და რომლის ჯერძო უფლებასაც მისგან დამოკიდებულ მის მიწაზე მცხოვრებ მოსახლეობის მიმართ ახალი ძალა ენიჭება.

მაგრამ იმუნიტეტის ბოძება ჩვეულებრივ როდი განისაზღვრებოდა სახელმწიფო აგენტებისათვის მარტოოდენ იმუნიტეტის ტეროტორიაზე შესვლის აკრძალვით. მეფის განსაკუთრებული წყალობა იმუნისტისადმი იმითაც გამოიხატებოდა, რომ ყოველგვარი შემოსავალი, რაც მანამდე მეფის ხელისუფლების სასარგებლოდ მიდიოდა (გადასახადები, სასამართლო ჯარიმები და სხვადასხვა ბეგარა), იმუნისტის სარგებლობაში გადადიოდა, და იგი მხოლოდ მოსახლეობასა და მეფეს შორის უბრალო შუამავლობის ფუნქციით არ განისაზღვრებოდა. ასეთი მაგნატი — მსხვილი მიწათმფლობელი — ახლა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლადაც გამოდიოდა თავის მიწაზე; იგი პირადად, ან თავისი აგენტების მეშვეობით, თავმჯდომარეობდა მისი ქვეშევრდომი მოსახლეობის სასამართლო კრებებზე. იგი იყო აგრეთვე სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელი, წინ უძღვოდა მისგან დამოკიდებული პირებისაგან შემდგარ ლაშქარს. მსხვილი მიწათმფლობელი თავისებურ მეუფეს წარმოადგენდა მის მიწებზე მცხოვრები მოსახლეობის მიმართ. მხოლოდ სისხლის

სამართლის მძიმე დანაშაულთა შემცველი საქმეების განხილვა რჩებოდა გრაფის სასამართლოს კომპეტენციაში.

სახელმწიფო და მეფის ხელისუფლება. მაგრამ თვით მეროვინგების ეპოქის ფრანკთა სახელმწიფოც მკვეთრად გამოსახულ კერძოუფლებრივ ურთიერთობათა დაღს ატარებს.

ფრანკთა გვაროვნულ წყობილებას, რომელიც გაბატონებული იყო გალიის დაპყრობამდე, იმის გამო, რომ უკვე ძლიერ შეირყა და რღვევის გზას დაადგა, ახლა აღარ შეეძლო ყოფილიყო დაპყრობილ ტერიტორიის მოსახლეობაზე ფრანკთა ბატონობის ორგანიზაციად. საჭირო იყო სახელმწიფო ხელისუფლების შექმნა. „მაგრამ დამპყრობი ხალხის უახლოესი წარმომადგენელი იყო სამხედრო ბელადი. დაპყრობილი ოლქის შიგნიდან და გარედან დაცვა მისი ძალა-უფლების გაძლიერებას მოითხოვდა. დადგა სამხედრო ბელადის ხელისუფლების მეფის ხელისუფლებად გადაქცევის მომენტი, და ასეთი გადაქცევაც მოხდა".[1]

სამეფო კარი. სახელმწიფო მართვაგამგეობის ცენტრად გახდა სამეფო კარი (palatium). მეფე, ყველაზე მსხვილი მესაკუთრე სახელმწიფოში, სათავეში ედგა ყველაზე მრავალრიცხოვან, პირადად მის ერთგულ რაზმს და კერძო მეპატრონის მსგავსად აქედან განაგებდა დაპყრობილ ტერიტორიას: ურიგებდა თავის დაახლოებულ პირთ კერძო საკუთრებად წინანდელი სახელმწიფო ფონდის მიწებს; სიკვდილის წინ თავის სახელმწიფოს, თითქოს ეს მისი კერძო მამული ყოფილიყოს, თავის შვილებს უყოფდა; სახელმწიფო შემოსავალს რომის ეპოქიდან გადარჩენილი გადასახადების, სასამართლო ჯარიმების ან საგაჭრო ბაჟების სახით, ისე უყურებდა, როგორც თავის კერძო ქონებას და აგრეთვე თვითნებურად განაგებდა; დაპყრობილი ტერიტორიის მთელ მოსახლეობას — შესდგებოდა იგი ფრანკებისაგან, თუ გალებისა და რომაელებისაგან, ანდა სხვა ტომობრივი წარმოშობის ხალხისაგან — მეფე უყურებდა, როგორც პირადად მისგან დამოკიდებულ „კაცებს" (homines, leudes), რომელნიც ვალდებული იყვნენ შეეფიცათ მისთვის. თვით სამართალიც კი პირად ხასიათს ატარებდა: ყოველ ადამიანს მისი სატომო სამართლის მიხედვით ასამართლებდნენ, იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორი იყო იმ ტერიტორიის მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობა, სადაც ჩაქნენილი იყო დანაშაული. ამისდა შესაბამისად, ფრანკთა სახელმწიფოში შემოღებული იყო სხვადასხვა ტომის სამართალი, დაწერილი და კოდიფიცირებული ეგრეთწოდებული „ბარბაროსთა სამართლის სახით: სალიკური, რიპუარული, ალამანური, ბავარული და სხვ. სამართლის სახით. რომის მოსახლეობას რომის სამართლის მიხედვით ასამართლებდნენ.

მეფის უახლოეს აგენტებს, მისი კარის მოსამსახურე პერსონალს, თავდაპირველად მისი პირადი მსახურნი (მინისტერიალები) წარმოადგენდნენ მისი მონების ან თავდახსნილთა რიცხვიდან, რასაც თვითონ მათი სახელწოდებანი მოწმობენ. ასე, მაგალითად, თავდაპირველად სასახლის მართვაგამგეობის სა-

[1] მარქსი და ენგელსი, თხზ., ტ. XVI, ნაწ. I, გვ. 128—129.

-თავეში მდგომ მოხელეს სენეშალი (senescalcus — უფროსი მონა) ანუ მაიორდომი (major domus — მმართველი) ეწოდებოდა; მეფის მეორე მოხელეს, თავდაპირველად აჩუხჩად ყოფილს, მარშალი (mariscalcus — მონა, ცხენების გამგე) ეწოდებოდა.

არსებობდნენ იმავე პირვანდელი წარმოშობის სხვა სასახლის მოხელეებიც: ხაზინადარი (thesaurarius, cubicularius), რეფერენდარიები (კანცელარიის მოხელეები), პფალცგრაფები, რომელნიც ასრულებდნენ სასამართლო ფუნქციებს სასახლის ტრიბუნალთან.

„მარტის მინდვრები" და დიდებულთა კრებები. ტაციტის დროინდელი ძველებური სახალხო კრებები ისპობა, ჰქრება. მათ სცვლიან ეგრეთწოდებული მარტის მინდვრები (campi Martii) — შეიარაღებული ხალხის სამხედრო დათვალიერება, რაც ყველაზე დიდხანს შემორჩა ფრანკთა სახელმწიფოს აღმოსავლეთ ნაწილში, ავსტრაზიაში. ასეთი დათვალიერება დაკავშირებული იყო სამხედრო ბეგარის სისტემასთან — საყოველთაო ლაშქრობასთან, რომელიც ჯერ კიდევ მეროვინგების ეპოქაში განაგრძობდა არსებობას.

სამხედრო დათვალიერებასთან ერთად სამეფოს მაგნატთა კრებებიც იმართებოდა, რაც იმ მსხვილი მიწათმფლობელობის ინტერესებს გამოხატავდა, რომელიც ახლად ყალიბდებოდა და პოლიტიკური ხელისუფლებისაკენ მიისწრაფოდა.

ადგილობრივი მმართველობა. მეროვინგთა სახელმწიფოში ადგილობრივი მმართველობა დამყარებული იყო სახელმწიფოს ოლქებად (gau, pagus, civitas), ხოლო უკანასკნელთა ასეულებად (centena) დაყოფაზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფრანკებში გალიის დაპყრობამდე. მაგრამ ახლა ტომის ასეთმა დანაყოფებმა დაჰკარგეს თავისი გვაროვნული ხასიათი და გადაიქცნენ წმინდა ტერიტორიულ ერთეულებად, რომელთაც სათავეში ედგნენ მეფის აგენტები: ოლქების მართვა ევალებოდა მეფის მიერ დანიშნულ გრაფებს, ასეულების მართვა კი — ასისთავებს, ანუ ტუნგინებს. გარდა ამისა, მეფე ადგილებზე გზავნიდა აგრეთვე ცალკეულ აგენტებს — საცებარონებს. წინანდელი თვითმართველობა თითქმის გაჰქრა; მხოლოდ ასეულებში ჯერ კიდევ შემონახული იყო ასეულის კრებები (mallus), სადაც გრაფის ან ტუნგინის თავმჯდომარეობით განიხილავდნენ ადგილობრივ სასამართლო საქმეებს. თუმცა, აქაც გამოირჩევა უკვე უფრო შეძლებულ და გავლენიან პირთა, ეგრეთწოდებულ რახიმბურგთა (rachinburgii), ანუ კეთილ ადამიანთა (boni homines) ჯგუფი, რომელთაც ეკუთვნით ხელმძღვანელი როლი კრებებში. მმართველობის დაბალ ერთეულად რჩებოდა სასოფლო თემი-მარკა, რომელიც თავის ყრილობებზე სწყვეტდა ადგილობრივ საქმეებს.

ზოგიერთი ტომი, მაგალითად, ბავარები, ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის განკერძოებულობას და თავის ცალკეულ ჰერცოგებს, რომლებიც თავის-თავზე მხოლოდ ფრანკთა მეფეების უზენაეს ხელისუფლებას სცნობდნენ.

გადასახადები. ადგილობრივი მმართველობის მთელი ამ სისტემის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენდა მეფისადმი კუთვნილი შემოსავლის შეკრება, როგორც გადასახადებისა და სასამართლო ჯარიმების სახით, ისე მისი საკუთარი, მთელ სახელმწიფოში გაფანტული წინანდელი ფისკის მამულებიდან და მიწებიდან უშუალოდ შემოსული პროდუქტების სახით. ამასთან სახელმწიფო აგენტები, გრაფები და ასისთავები, თავისი საკუთარი გამდიდრების ამოცანებსაც ისახავდნენ; გრაფები როდი კმაყოფილდებოდნენ მათდამი კუთვნილი სასამართლო ჯარიმების მესამედით და იმ შემოსავლით, რომელსაც ბენეფიციებიდან ღებულობდნენ; ისინი ყოველნაირად ამძიმებდნენ საგადასახადო ტვირთს, რითაც ხშირად აჯანყებებსაც კი იწვევდნენ.

ხალხის მასების აჯანყებანი. გადასახადთა აუტანელი სიმძიმით გამოწვეულ ასეთ აჯანყებებს მოგვითხრობენ ეპოქის თანამედროვე მატიანეები. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია 579 წლის აჯანყება ლიმოჟში, სადაც მეფე ხილპერიკის მიერ საადგილმამულო გადასახადის მომატებით აღშფოთებულმა ბრბომ დასწვა საგადასახადო სიები. ასეთივე აჯანყებები თანსდევდა ცდას— გაევრცელებინათ ჯერ კიდევ რომის ეპოქიდან შემონახული საგადასახადო სისტემა წმინდა ფრანკთა მოსახლეობაზე. ყოველივე ეს გასაგებად ხდის იმას, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლად აღმოცენებული მსხვილი მიწათმფლობელობისათვის იმუნიტეტის უფლებათა ბოძებას, რა მნიშვნელობა ჰქონდა მდაბიო ხალხისათვის ისეთი ძლიერი მაგნატის მფარველობაში მოქცევას, რომელიც თავისი ძალისა და გავლენის ზრდაში იქამდეც კი მიდიოდა, რომ ადგილობრივ ხელისუფალთ მეტოქეობას უწევდა.

განსაკუთრებით იზრდებოდა საეკლესიო მიწათმფლობელობა, ისე რომ ეკლესიის მაგნატებს — ეპისკოპოსებსა და დიდ მონასტრების აბატებს — შესაძლებლობა ჰქონდათ ხელისუფლებისა და ძლიერების მხრივ მეტოქეობა გაეწიათ საერო მაგნატებისა და მეფის გრაფებისათვის.

სახელმწიფოს დაქუცმაცება ხლოდვიგის მემკვიდრეების დროს. ხლოდვიგის შემდეგ (481—511 წწ.) ფრანკთა სახელმწიფო ნაწილდება საუფლისწულო მამულებად—თავდაპირველად ხლოდვიგის ოთხი შვილის შორის, შემდეგ მისი შვილიშვილების შორის და ა. შ., ამასთან ამ დაქუცმაცებას თანსდევს გააფთრებული შინა ბრძოლა. დაგრბერტის შემდეგ (629 — 639 წწ.), რომელმაც დროებით კვლავ გაერთიანა ფრანკთა სახელმწიფო, მოსდევს ეგრეთწოდებული „ზარმაცი" მეფეების პერიოდი, რომელთა დროსაც ფაქტიური ხელისუფლებით სახელმწიფოში მაიორდომები სარგებლობენ. მაიორდომთა წრიდან გამოირჩევა კაროლინგების გვარი, რომელთაც შესძლეს ახალი სამეფო დინასტიის დაარსება.

ამ ხნის განმავლობაში ისახება ფრანკთა სახელმწიფოს სამი ძირითადი ნაწილის განცალკევებულობა: ნ ე ი ს ტ რ ი ი ს (ჩრდილო-დასავლეთი გალიისა პარიზითურთ), უპირატესად გალო-რომანული მოსახლეობით, ა ვ ს ტ რ ა ზ ი ი ს (ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის, რომელიც დასახლებული იყო აღმოსავლეთელი ფრანკებით და მათ ხელქვეით გერმანელ ტომებით) და ბ უ რ გ უ ნ დ ი ი ს (ყოფილი დამოუკიდებელი სამეფოსი). უფრო გვიან აქვიტანიაც დამოუკიდებელი ხდება.

ფრანკთა სახელმწიფოს ზემოაღნიშნული სამი ძირითადი ნაწილიდან თვითეული თავისი სოციალური წყობილების თავისებურებებით ხასიათდებოდა. ნეისტრიაში ადრევე იქმნება მიწის მსხვილი საკუთრება — საერო და საეკლესიო, ამასთან უკანასკნელის ზრდა საშიშ ფარგლებს აღწევს: ვარაუდობენ, რომ ეკლესია მიწის მთელი ფართობის ერთ მესამედამდე ფლობდა. ნეისტრიის მეფეები მიწის მოხვეჭის საქმეში ეკლესიის მეტოქე საერო დიდკაცობას ეყრდნობოდნენ და ცდილობდნენ მიეღწიათ საეკლესიო მიწების სეკულარიზაციისათვის. უკვე ხლოტარ I (511—561 წწ.) ახდენს საეკლესიო მიწების მესამედის ჩამორთმევის ცდას, მაგრამ ეპისკოპოსთა მუქარით შეშინებული უკან იხევს. მისი შვილი ხილპერიკი აგრეთვე უჩივის საეკლესიო მიწათმფლობელობის ზრდას: „ჩვენი ხაზინა დაცარიბდა", — ამბობს ის, — „ეს ჩვენი სიმდიდრენი ეკლესიის ხელში გადავიდა. მარტოოდენ ეპისკოპოსები მეფობენ". ის იპყრობს საეკლესიო მიწებს, ვაჭრობს საეპისკოპოსო კათედრებით, ახალ დოგმატსაც კი უწესებს კათოლიკებს, ისეთ დოგმატს, რომელიც უარყოფს ქრისტიანული ღვთაების სამპიროვნებას. საეკლესიო მწერლები მას თავისი დროის ნერონს ანუ ირროდს უწოდებენ. ლათინურ ანბანში მას შეაქვს ახალი ოთხი ასო, თვითონ თხზავს ლათინურ პოემებს. სიმდიდრის დაგროვებისადმი სწრაფვაში ის ადიდებს გადასახადებს და სასტიკად ახშობს ამის საპასუხოდ ლიმოჟში წარმოშობილ აჯანყებას, აწარმოებს ომებს ძმებთან და ძმისწულებთან. თავისი პრესტიჟის ასამაღლებლად ხილპერიკი, თავისი ძმის სიგიბერტ ავსტრაზიელის მსგავსად, ქორწინდება ვესტგუთთა მეფის ქალიშვილზე გალესვინტაზე, მზითევის სახით ღებულობს მთელ რიგ ქალაქებს, მაგრამ ეყრება გალესვინტას, ჰკლავს მას და ცოლად ირთავს მოახლე ქალს ფრედეგონდას. იწყება მეროვინგების ისტორიაში ცნობილი გააფთრებული ბრძოლა ორ დედოფალს შორის, ფრედეგონდასა და მოკლული გალესვინტას დის — ბრუნჰილდა ავსტრაზიელს შორის, ბრძოლა, რომელიც აღნიშნულია ორივეს მხრით მრავალრიცხოვანი მკვლელობებითა და სისასტიკით.

ავსტრაზია, წინააღმდეგ ნეისტრიისა, ჯერ კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა თავის უფრო პრიმიტიულ საზოგადოებრივ წყობილებას. აქ თავის მნიშვნელობას ინარჩუნებდნენ თავისუფალი წვრილი და საშუალო მიწათმფლობელნი, რომელნიც კვლავ იკრიბებოდნენ მარტის მინდვრებზე და მეფის ხელისუფლების შეიარაღებულ დასაყრდენს შეადგენდნენ მის ბრძოლაში გაძლიერების გზაზე დამდგარ მსხვილი მამულების მეპატრონე მაგნატობასთან; საეკლესიო მიწათმფლობელობას აქ ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული ისეთი მნიშვნელობა, როგორც ნეისტრიაში. სწორედ ეს გარემოება წინასწარ განსაზღვრავდა ავსტრაზიელი მეფეების სოციალურ პოლიტიკას, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელიც იყო დედოფალი ბურჰილდა. თავის ბრძოლაში, რომელსაც ის ეწეოდა ნეისტრიის დიდკაცობასთან და მის ბელად ხილპერიკთან კავშირში მყოფ ავსტრაზიელ დიდკაცობის წინააღმდეგ, იგი ეყრდნობოდა „მდაბიო ხალხს", ე. ი. ავსტრაზიისა და ბურგუნდიის წვრილ მიწათმფლობელებს.

თავისი სოციალური წყობით ბურგუნდია ბევრ რამეში ემსგავსებოდა ავსტრაზიას; აქაც აგრეთვე დიდხანს იყო შემორჩენილი წვრილი და საშუალო მიწათმფლობელობა. თუმცა საეკლესიო მიწათმფლობელობამ აქ უკვე მნიშ-

ვნელოვან განვითარებას მიაღწია. ეკლესიას განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა მეფე გუნტრამნი, რომელსაც ენგელსი „ხუცების ფავორიტსა და ყურმოჭრილ ყმას“ უწოდებს. იმავე დროს გუნტრამნი არასოდეს არ მალავდა თავის მტრობას საერო მაგნატობისადმი. ამიტომ იგი ბუნებრივ მოკავშირეს წარმოადგენდა ბრუნჰილდისათვის, რომელიც თავისი შვილის — გუნტრამნის ძმისწულის ხილდებერტის მცირეწლოვანებისას განაგებდა ტახტს.

ანდელოტის ხელშეკრულება. 587 წელს ავსტრაზიელმა მაგნატებმა შეთქმულება მოაწყეს და ბრუნჰილდისა და ხილდებერტის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მაშინ ხილდებერტმა გუნტრამნთან ანდელოტის ხელშეკრულება დასდო. დამყარებულ იქნა სამუდამო მეგობრობა და ურთიერთ დამემკვიდრება ორთავე მეფის უშვილობის შემთხვევაში; დასდეს პირობა ურთიერთისთვის გაეცათ ურჩი რაზმელები (ლევდები) და უარი ეთქვათ უცხო ლევდების მიღებაზე. დამტკიცებულ იქნა ის, რაც ძველად მეფეების მიერ ებოძათ მათ მომხრეებსა და ეკლესიას, ხოლო რაც უკანონოდ ჩამოერთვათ — უკანვე დაუბრუნდათ; გამოირკვა ორთავე სამეფოს საზღვრები. ასეთი კავშირის შედეგად ხილდებერტმა სძლია და დაიმორჩილა ავსტრაზიის მაგნატობა, ხოლო მეფე გუნტრამნის სიკვდილის შემდეგ ავსტრაზია და ბურგუნდია თავის ხელში გააერთიანა.

ხილდებერტის შვილებისა და შვილიშვილების დროს გაერთიანებულ სამეფოებს ფაქტიურად ბრუნჰილდა მართავდა. იგი განაგრძობდა ბრძოლას საერო დიდკაცობასთან, მფარველობდა ეკლესიას, აწარმოებდა მიმოწერას პაპთან — გრიგოლ დიდთან, ყოველმხრივ ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას, ძველი რომის გზების შეკეთება-შენარჩუნებას და სხვ. მაგრამ თავის შეუპოვარ ბრძოლაში ნეისტრისთან, რომლის სათავეშიც იდგნენ ფრედეგონდა და მისი შვილი ხლოტარი II, იგი დამარცხებულ იქნა ბურგუნდიის დიდკაცობის ღალატის წყალობით; ოთხმოცი წლის დედოფალი, რომელსაც ბრალს სდებდნენ მეროვინგთა სამეფო სახლის ათი წევრის მკვლელობაში, შეიპყრეს, ცხენების ძუებზე გამოაბეს და ნაწილებად დაახლეჩინეს (613 წ.). ასე დამთავრდა ეს გააფთრებული ბრძოლა, რომელსაც ბურჟუაზიული ლიტერატურა ჩვეულებრივად გვიხატავს, როგორც „ორი დედოფლის მეტოქეობას“; მაგრამ სინამდვილეში კი ეს იყო მკვეთრი გამოხატულება იმ ბრძოლისა, რომელიც მეროვინგთა საზოგადოებაში გაბატონებული კლასის სხვადასხვა ფრაქციებს შორის სწარმოებდა.

ხლოტარ II და მსხვილი მიწათმფლობელი არისტოკრატიის გამარჯვება. გამარჯვება ნეისტრიის მეფე ხლოტარ II, რომელიც ბრუნჰილდას დაღუპვის შემდეგ ფრანკთა გაერთიანებული სამეფოს მეფედ გახდა (613 — 629 წწ.), იყო მსხვილი მიწათმფლობელი არისტოკრატიის გამარჯვება. 614 წელს ხლოტარმა გამოსცა ედიქტი, რომლითაც იგი საერო და სასულიერო მაგნატების მოთხოვნებს ასრულებდა და მათ სასარგებლოდ სერიოზულ დათმობებს აწესებდა. ამით მათ უმტკიცდებოდათ ყველა წინანდელი მეფეების მიერ ბოძებული მიწები. მეფე ვალდებულებას ღებულობდა გრაფები მხოლოდდამხოლოდ ადგილობრივ მიწათმფლობელთაგან დაენიშნა; ამგვარად, გრაფის თანამდებობა მთლიანად ადგილობრივ მაგნატთა ხელში ექცეოდა. ისპობოდა ახლად

შემოღებული „უსამართლო“ გადასახადები. მეფე ვალდებულებას კისრულობდა არ ჩაეგდო ხელში უანდერძოდ დატოვებული ქონება; ასეთი ქონება უნდა გადასულიყო მიცვალებულთა ნათესავების ხელში. დადასტურებულ იქნა ეპისკოპოსთა არჩევნების თავისუფლება. მეფემ ალუთქვა არ მიეღო თავის მფარველობაში კლირიკები ეპისკოპოსის ნებადაურთველად და არ დაერღვია ეპისკოპოსთა სასამართლო უფლებები მათ პატრონატობაში მყოფ თავდასხსნილთა მიმართ; იგი თავს ვალდებულად სთვლიდა აგრეთვე პატივისცემით მოპყრობოდა კერძო პირთა ანდერძს ეკლესიის სასარგებლოდ, ე. ი. არ მოეხდინა ამნაირად გადაცემული მიწების კონფისკაცია. მეორე ბრძანებულებაში ხლოტარი ვალდებულებას კისრულობდა არავინ დაესაჯა, თუ წინასწარ არ მოუსმენდა ბრალდებულს, თვითონ სასჯელი ყი დანაშაულისათვის შეეფარდებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ფრანკთა მთელი სამეფო გაერთიანებული იყო ხლოტარ II-ის ხელში, თვითეული მის სამ ნაწილთაგანი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა თავისი საკუთარი მაიორდომით სათავეში. ავსტრაზიის მაგნატებმა ისიც კი მოისურვეს, რომ თავისი საკუთარი მეფე ჰყოლოდათ მეფისწულ დაგობერტის სახით, რომლის სახელითაც მართავდნენ ავსტრაზიაში ორი ადგილობრივი მაგნატი, მაიორდომი პიპინი და მეცის ეპისკოპოსი არნულფი. ამ უკანასკნელის შვილმა ცოლად შეირთო პიპინის ქალიშვილი, და ამ ქორწინებიდან წარმოიშვა კაროლინგთა დინასტიის დამაარსებელ პიპინიდების, ანუ არნულფინგების ოჯახი.

დაგობერტი. ხლოტარ II-ის შვილმა დაგობერტმა (629 — 639 წწ.) დაარღვია 614 წლის ედიქტი: მის დროს ჩატარებულ იქნა ეკლესიისა და მაგნატებისათვის ბოძებული მეფის ფისკის მიწების აღწერა და ნაწილი ამ მიწებისა ჩამორთმეულ იქნა და უკანვე ხაზინას გადაეცა. ეკლესიისათვის ნაანდერძევი მრავალ კერძო პირთა მიწების კონფისკაციაც ჩატარდა. ასეთ მოქმედებას, როგორც სჩანს, მხარს უჭერდნენ საერო მაგნატები, ვინაიდან აქტიური საგარეო პოლიტიკა მეფის რესურსების გაძლიერებას მოითხოვდა. დაგობერტი ერეოდა ვესტგუთთა და ლანგობარდთა საშინაო საქმეებში. მან „სამუდამო ზავი“ დასდო ბიზანტიასთან, რათა მასთან ერთად ეწარმოებინა ბრძოლა დუნაისპირა ტომების წინააღმდეგ, გაილაშქრა ბოჰემიასა და მორავიაში მეფე სამოს მეთაურობით სლავთა ტომების გაერთიანების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა (იხ. თავი VIII).

მაიორდომები. მეფე დაგობერტის სიკვდილის შემდეგ მისი შვილები უკვე მაიორდომთა მეურვეობით მართავენ სამეფოს; იწყება „ზარმაცი“ მეფეების პერიოდი. აი როგორ ასწერდა ამ პერიოდს კარლოს დიდის ბიოგრაფი და თანამედროვე ეინჰარდი: „მეროვინგთა გვარს... უკვე დიდი ხანია აღარ გააჩნდა არც ძალა, არც ხელისუფლება — გარდა მეფის ცარიელი ტიტულისა. სამეფოს მთელი სიმდიდრე და მთელი ძალა იმყოფებოდა სასახლის უფროსთა ხელში, რომელნიც მაიორდომებად იწოდებოდნენ. მათ ეკუთვნოდა უზენაესი ხელისუფლება; მეფეს ისღა დარჩენოდა, რომ სამეფო ტიტულით კმაყოფილი, თავისი მორთულ-მოკაზმული თმებით, გრძელი წვერით, მჯდარიყო ტახტზე და ხელმწიფის გამოსახულებად ყოფილიყო: იგი მიიღებდა და მოუსმენდა ელ-

ჩებს, აძლევდა მათ, თითქოს თავისი უფლებით, პასუხს, რომელსაც მას უკარნახებდნენ და თავს ახვევდნენ კიდეც. მეფის უსარგებლო სახელისა და ფულის გარდა, რასაც მისი სურვილისამებრ აძლევდა მას მაიორდომი, მას არაფერი თავისი არ გააჩნდა, გარეშე ერთადერთი მცირე შემოსავლიანი ვილისა. იგი მასში ცხოვრობდა მსახურთა მცირე რიცხვით... თუ მას სადმე წასვლა დასჭირდებოდა, იგი ჯდებოდა ეტლში, რომელშიც, სოფლის ჩვეულებისამებრ, შებმული იყო ხარები; ამ უკანასკნელთ მეხრე ერეკებოდა. ასე მიდიოდა ის სასახლეში და სახალხო კრებაზე, რომელსაც ყოველწლიურად იწვევდნენ სამეფოს საჭიროებისათვის; ასე ბრუნდებოდა იგი თავის ბინაში. მაგრამ სამეფოს მთელ მართვაგამგეობას, საგარეო და საშინაო საქმეებს მაიორდომი აწარმოებდა".

ჩვეულებრივ სამი მაიორდომი იყო, ცალცალკე თითოეული სამეფოსათვის. ისინი წარმოადგენდნენ მაგნატთა აღიარებულ მეთაურებს, მათი პრივილეგიების დამცველებს, სამხედრო წინამძღოლებს. ამასთან ერთად გადასახადთა აკრეფასაც ისინი განაგებდნენ. ისინი ტახტზე სვამდნენ მათთვის საჭიროველ მეფეებს. ახლა უკვე არა მეფეები, არამედ მაიორდომები ეწევიან ურთიერთშორის ნამდვილ ომებს.

სახელმწიფოს გაერთიანება ავსტრაზიის მაიორდომების მიერ. მაიორდომთა ძლიერების ზრდას მოწმობს ის ფაქტი, რომ ერთი მათგანი, ავსტრაზიის მაიორდომი გრიმოალდი, 656 წელს ცდილობდა თავისი საკუთარი შვილი მეფედ გამოეცხადებინა. დაახლოებით იმავე ხანებში ნეისტრიის მაიორდომმა ებროინმა თავის ხელში გააერთიანა გალიის ყველა სამეფოს მაიორდომთა ფუნქციები, ამასთან მან ისეთი მტრობა გამოიჩინა დიდკაცობისადმი, რომ იგი თავის წინააღმდეგ აიმხედრა. ბურგუნდიაში ნამდვილი აჯანყება მოხდა მის წინააღმდეგ. ამ აჯანყებას ოტენის ეპისკოპოსი ლეოდეგარი ხელმძღვანელობდა. ებროინი გაიქცა. გამოიცა ბრძანებულება იმის შესახებ, რომ ებროინის მსგავსად არავის არ უნდა ჰქონოდა მისწრაფება ტირანიისადმი; მაიორდომთა სახით ერთმანეთს რიგრიგობით უნდა სცვლიდნენ ყველა მაგნატები; მეფის მოხელეები თითეულ სამეფოში ადგილობრივ მოსახლეობის წრიდან უნდა იყვნენ, თვითეულმა სამეფომ თავისი ადგილობრივი კანონები და ადათ-ჩვეულებანი უნდა შეინარჩუნოს. მაგრამ მალე ებროინი კვლავ უბრუნდება ხელისუფლებას და თავის მტრებს ამარცხებს. მისი სიკვდილის შემდეგ ავსტრაზიის მაიორდომი პიპინ გერისტალელი ტერტრისთან ბრძოლაში (687 წ.) ამარცხებს ნეისტრიის მაიორდომ ბერტერის და მთელი სამეფოს ერთადერთი მაიორდომი ხდება. ის წარმატებით აწარმოებს ომებს ფრიზებთან, ალამანებთან და ბავარებთან და იპყრობს მათ სამფლობელოებს. პიპინი ისწრაფვის დავისი სამხედრო წარმატებანი გერმანელთა ქრისტიანიზაციით განამტკიცოს და ამიტომ კათოლიკე მისიონერებს ყოველმხრივ მფარველობას უწევს და ეკლესიას თავისი ხელისუფლების გავრცელების იარაღად იყენებს.

რატომ მოხდა, რომ უმაღლესი ხელისუფლების გაერთიანება ფრანკთა სახელმწიფოში სწორედ ავსტრაზიის მაიორდომებმა შესძლეს?

ნეისტრიის მაიორდომები ბოლოსდაბოლოს მხოლოდ ბელადები იყვნენ იმ ქვეყნის მსხვილი მაგნატობისა, რომლის ფეოდალიზაციის პროცესმა უკვე

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია; მსხვილი მაგნატობა, როგორც ეს ჩვენ ლეოდეგარის პოლიტიკის მაგალითით ვნახეთ, ცენტრალური ხელისუფლების შეზღუდვას ცდილობდა და წარმატებით იბრძოდა მის წინააღმდეგ. ავსტრაზიის მაიორდომებს კი, სადაც ფეოდალიზაციის პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მსხვილი მაგნატები იყვნენ, შეეძლოთ დაყრდნობოდნენ აქ ჯერ კიდევ ფართოდ შემონახულ იმ თავისუფალ და საშუალო მიწათმფლობელთა ფენას, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებით — მაგნატობასთან ბრძოლისა და დასაყმევი გლეხობის დასამორჩილებლად. ამ ელემენტთა დახმარებით, რომლებიც სამხედრო ძალთა ძირითად ბირთვს შეადგენდნენ, ავსტრაზიის მაიორდომებმა პიპინიდთა, ანუ არნულფინგთა, გვარეულობიდან შესძლეს ფრანკთა სახელმწიფოს გაერთიანება და, მეროვინგთა დინასტიის ნაცვლად, ახალი დინასტიის წამოყენება.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. — Энгельс, Франкский период, Соч., т. XVI, ч. I. — Энгельс, Марка. Соч., т. XV.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. I, 1939, стр. 56 — 85. Социальная история средневековья, под ред. Косминского и Удальцова. т. I, 1927, стр. 103—207.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. I, 1897, стр. 122—170. — Петрушский, Очерки из истории средневекового общества и государства. разн. изд. — Тьерри О., Рассказы из времен Меровингов, Спб. 1892, или „Избранные сочинения", М. 1937 (частично). — Общая история европейской культуры, т. VII (Франция в ранее средневековье, 1913; Байе, Христианство в Галлии и утверждение варваров; Пфистер, Меровингский период). — Фюстель-де-Куланж, История общественного строя древней Франции, т. III—V, М. 1907—1910. — Удальцов, Свободная деревня в западной Нейстрии в эпоху Меровингов и Каролингов, Спб. 1912. — Лампрехт, История германского народа т. 1, М. 1894.

თავი V

კაროლინგების ფრანკთა სახელმწიფო

1. კაროლინგების ფრანკთა მონარქიის წარმოქმნა

გალია პიპინ გერისტალელის სიკვდილის შემდეგ. პიპინ გერისტალელის სიკვდილის შემდეგ ცალკეული მაგნატები, საერო და სასულიერო, თითქმის სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას აღწევენ; აქვიტანიაში იქმნება დამოუკიდებელი საჰერცოგო ოდონა (ედა); ცალკეულ გერმანელ ტომთა ჰერცოგებიც დამოუკიდებელი ხდებიან. რადგან ფრიზელი იპყრობს ფრიზიის ნაწილს, აძევებს იქიდან ქრისტიან ხუცებს, ფრანკთა მეფეების ამ აგენტებს, ანგრევს ეკლესიებს და აღადგენს წარმართობას, როგორც ფრიზიის დამოუკიდებლობის სიმბოლოს. საქსები იჭრებიან ფრანკთა რაინის ოლქებში, ავარები — ბავარიაში. დაბოლოს, ესპანეთში ფეხმოკიდებული ხრაბები სამხრეთიდან იწყებენ აქვიტანიის რბევა-განადგურებას, ამარცხებენ ოდონ აქვიტანელს და ლუარისაკენ მიიწევენ. კიდევ უფრო ადრე ნეისტრიელები მათ მიერ ახლად არჩეულ ცალკეულ მაიორდომ რაგანფრედის მეთაურობით, იმ მიზნით, რათა ხელახლად აღადგინონ ნეისტრიის წარსული ძლიერება და უპირატესობა, იჭრებიან ავსტრაზიაში, სადაც პიპინის შვილიშვილთა სახელით ძალაუფლება ხელთ იგდო მისმა ქვრივმა პლექტრუდამ. თვითონ პლექტრუდა საპყრობილეში სვამს პიპინის ქორწინების გარეშე შვილს კარლოსს, რომელსაც თავისი ხელისუფლებისათვის საშიშად მიიჩნევს.

ასეთი იყო ფრანკთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა ხელისუფლების სათავეში კარლოსის მოქცევისა და მისი ბრძანებლობის პირველ წლებში (715 — 721 წწ.), შემდეგში კარლოსს მარტელი ეწოდა (რაც ნიშნავს ურის). მისი ხელისუფლების დროს საბოლოოდ განმტკიცდა მაიორდომთა ძალაუფლება პიპინიდების გვარეულობიდან, რომელთაც უფრო გვიან ხელთ იგდეს თვით მეფის ხელისუფლებაც.

საპყრობილედან გაქცევისა და თავის გარშემო ავსტრაზიელ ლევდების გაერთიანების შემდეგ, კარლოს მარტელი ამარცხებს ფრიზებს და ნეისტრიელებს, მიუხედავად იმ დახმარებისა, რასაც მათ უწევს ოდონ აქვიტანელი. იგი უკვე მაიორდომია, როცა მას ტახტზე აპყავს ერთიმეორეზე მარიონეტები მეროვინგთა გადაგვარებული დინასტიიდან. 737 წლიდან იგი საჭიროდაც ალარ სთვლის მეფის დანიშვნას, იმდენად განმტკიცდა იმ დროისთვის მისი ხელისუფლება. კარლოსი რამდენჯერმე ილაშქრებს ბავარიის წინააღმდეგ,

ალადგენს ფრანკთა ხელისუფლებას ალამანიაში, არბევს ფრიზიას, ცეცხლში ნთქავს წარმართთა ტაძრებს, და კვლავ იმონებს საქსებს, მიჰყავს მათგან მძევლები და ადებს ხარკს. იმავე დროს კარლოსი ილაშქრებს უმსხვილესი მაგნატების ამ, ეინგარდის თქმით, „გალიის ტირანების“ წინააღმდეგ, რომელთაც შფოთიერ დროს მოიპოვეს დამოუკიდებლობა; ზოგს სპობს, ზოგს იმორჩილებს. თანდათანობით მთელ რიგ ლაშქრობათა შედეგად ხდება ჩამოშორებული აქვიტანიის დაპყრობა.

ბრძოლა არაბებთან. მაგრამ აქ, გალიის სამხრეთით, ფრანკებს ახალ მტერთან მოუხდათ შებმა, არაბებთან, რომლებმაც დაიპყრეს ესპანეთი და 720 წლიდან გალიაშიც იწყეს შემოსევა. აქეთკენ მათ იწვევდნენ ფრანკთა ბატონობით უკმაყოფილო ადგილობრივი მაგნატები; ერთ დროს არაბებს იწვევდა აგრეთვე ოდონ აქვიტანელი, რომელიც შემდეგში, მაინც, კარლოსის მხარეზე გადავიდა. არაბებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბურგუნდიის დიდკაცობასაც, რომელიც არაერთხელ მოუხმობდა მათ თავის ბრძოლაში კარლოსის წინააღმდეგ.

გადამწყვეტი ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ მოხდა პუატიესთან (732 წ.). არაბთა ცხენოსანმა ჯარმა ვერ შეარყია ფრანკთა ქვეითი ჯარის მწყობრი და უკან დაიხია. მაგრამ ბრძოლა არაბებთან და მათ მოკავშირე ბურგუნდელ მაგნატებთან, რომლებმაც არაბებს სამხრეთის მთელი რიგი ქალაქები გადაცეს და მრავალი აჯანყება შოაწყეს, თითქმის კარლოსის მეფობის დასასრულამდე არ სწყდება. კარლოს მარტელმა გაანადგურა აჯანყებული ბურგუნდელი დიდკაცობა და მოახდინა ფართო კონფისკაციები; ბურგუნდებს იგი „მოაჯანყე და მოღალატე ხალხს“ უწოდებდა. ერთ-ერთ თავის სიგელში იგი ვიღაც რიკულფის ქონებას უბოძებს სხვას, „ვინაიდან იგი, — წერია სიგელში, —გადაუდგა ფრანკთა სახელმწიფოს, შეუერთდა სარაცინებს და მონაწილეობა მიიღო მათ მძარცველობაში“. არაბთა შეტევა ბოლოსდაბოლოს სწყდება საშოქალაქო ომის გამო, რომელმაც იფეთქა მათ სამშობლოში.

კარლოს მარტელის სოციალური პოლიტიკა. გერმანელი ტომების — ფრიზების, ალამანების, ბავარების და სხვ. დამორჩილებასთან ერთად, კარლოს მარტელი მფარველობას უწევს მისიონერებს, რომლებიც თავისი მოღვაწეობით გერმანიაში ფრანკთა ბატონობას განამტკიცებენ; მათ შორის განსაკუთრებით გამოჩენილ როლს ასრულებდა პაპის ლეგატი ბონიფაციუსი, ყოფილი ანგლოსაქსონელი ბერი. მაგრამ თვითონ პაპს, მიუხედავად მისი ორჯერ თხოვნისა, კარლოსმა არ აღმოუჩინა დახმარება ლანგობარდების წინააღმდეგ, რომლებიც ცოტახნის წინათ მისი მოკავშირეები იყვნენ არაბებთან ბრძოლაში.

კარლოს მარტელის მეფობამ არა მარტო სამხედრო წარმატებებით განამტკიცა სამეფოში ცენტრალური ხელისუფლება. თვით ეს წარმატებები საგრძნობწილად მის მიერ წარმოებული სოციალური პოლიტიკის შედეგი იყო, იმ გადატრიალების შედეგი მიწათმფლობელობის ნიადაგზე შექმნილ ურთიერთობაში, რომელსაც ენგელსი კაროლინგების დინასტიის უმნიშვნელოვანეს საქმიანობად მიიჩნევს.[1]

---

[1] მარქსი და ენგელსი, თხზ., ტ. XVI, ნაწ. I, გვ. 394.

კარლოს მარტელამდე მეფის მიერ ადგილმამულის გაბოძებათა უპირატეს ფორმას მიწის სრულ კერძო საკუთრებად გასაჩუქრება წარმოადგენდა. ასეთი გასაჩუქრება სწრაფად ამცირებდა მეფის მიწების ფონდს და იმავე დროს არავითარ ახალ ურთიერთობას არ ამყარებდა მეფესა და დასაჩუქრებულ ქვეშევრდომებს შორის. კარლოსს შეუპოვარი ბრძოლის წარმოება მოუხდა მსხვილ მემამულე მაგნატებთან, რომლებიც სრული დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფოდნენ. როცა ერთნი დაიმორჩილა და მეორენი გადააყენა, კარლოსი შეუდგა ისეთი საშუალების გამოძებნას, რომლის მეოხებითაც უფრო მაგრად მიაჯაჭვავდა ტახტზე დამორჩილებულ მაგნატებს ანდა მათ მონაცვლეებს. ასეთ საშუალებას წარმოადგენდა მიწების საკუთრებად გასაჩუქრების ნაცვლად, მიწის პირობითი მფლობელობის, ბენეფიციუმების სისტემის შემოღება. ბენეფიციური სისტემის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა, ერთი მხრივ, ის ფართო კონფისკაციები, რომლებსაც კარლოსი მიჰმართავდა „მოჯანყეთა“ და „მოღალატეთა“ დამორჩილების დროს, ხოლო, მეორე მხრივ, მის მიერ ფართოდ გატარებული საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია.

ავსტრაზიელი მაიორდომების ხელისუფლების დასაყრდენი, მას შემდეგ, რაც ისინი ფრანკთა მთელი სამეფოს მაიორდომებად გადაიქცნენ, გარდა მათი, როგორც მსხვილ მიწათმფლობელთა, საკუთარი ძლიერებისა, იყო ავსტრაზიაში ჯერ კიდევ არსებულ წვრილ და საშუალო მიწათმფლობელთა მრავალრიცხოვანი ფენის მომხრეობა; ეს წვრილი და საშუალო მიწათმფლობელნი დარაზმული იყვნენ თავისი სამხედრო ბელადის გარშემო და მასთან ჰპოებდნენ მფარველობას და დაცვას მაგნატების თვითნებობის წინააღმდეგ.

საჭირო იყო ამ თავისუფალ მიწათმფლობელთა ფენის გაფართოება და განმტკიცება, რადგან ისინი საუცხოო მასალას იძლეოდნენ ფრანკთა მაიორდომების სამხედრო ძალებისათვის. არაბებთან ბრძოლამ ცხადჰყო ცხენოსანი ჯარის უპირატესობა ძველი ლაშქრობის ქვეითი ჯარის წინაშე, რომელსაც, უმთავრესად, თავისუფალი ფრანკი გლეხებისაგან ჰკრეფდნენ; ხოლო ეს უკანასკნელნი ვერ უძლებდნენ სამხედრო ბეგარის სიმძიმეს, განსაკუთრებით, ხანგრძლივი და ხშირი ლაშქრობის დროს, და მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. ამგვარად, საფუძვლად ცხენოსანი ჯარის სამხედრო სამსახურისათვის მაიორდომის ერთგულ საშუალო მიწათმფლობელთა ფენა უნდა ყოფილიყო. კონფისკაციებით შექმნილი მიწის ფონდი სწრაფად ილეოდა, და კარლოსს მოუხდა ფართოდ გამოეყენებინა საეკლესიო მიწების სამხედრო ბენეფიციუმებად დარიგების პრაქტიკა. ამის განხორციელება მით უფრო იოლი იყო, რომ თავის ბრძოლაში მოწინააღმდეგეებთან, რომელთა შორის სასულიერო მაგნატებიც მრავლად იყვნენ, საეპისკოპოსო კათედრაზე და სამონასტრო სააბატოებში კარლოსი მეტწილად თავის მომხრე ერთგულ ადამიანებს ნიშნავდა. ამათ შორის ცნობილია მისი დისწული ჰუგონი, რომელმაც სამი საეპისკოპოსო და სამი სააბატო მიიღო. კარლოსის უახლოესი თანამებრძოლი მილონი ტრირისა და რეიმსის ეპისკოპოსი იყო. მთელი რიგი საეპისკოპოსოები არავისგან დაკავებული არ იყო. „უმრავლეს ქალაქებში“, — სწერს ამ დროს პაპს ბონიფაციუსი, — „საეპისკოპოსოები გადაცემული აქვთ საერო პირებს, რომლებიც საეკლესიო ქონებას დახარბებული არიან...“

სწორედ ასეთ თავის მომხრეთა დახმარებით კარლოსმა ფართოდ განახორციელა საეკლესიო მიწების სამხედრო ბენეფიციუმებად დარიგების პრაქტიკა.

როგორც სჩანს, კარლოს მარტელის დროს ეკუთვნის ცენტრალური ხელისუფლების ის მოთხოვნაც, რომ საერო და საეკლესიო მაგნატები თვითონ გამოცხადებულიყვნენ მათგან დამოკიდებული ხალხისგან, შემდგარ ლაშქრითურთ და ყოფილიყვნენ პასუხისმგებელი მათ მიერ თავისი სახელმწიფო ვალდებულების შესრულებისათვის. ამით მაგნატები თავიანთი უფლებით გრაფებს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელთ უთანაბრდებოდნენ და თვითონაც ნაწილობრივ ამ უფლების მატარებელი ხდებოდნენ. სენიორისა და ვასალის კერძო უფლებრივი ურთიერთობანი, ამგვარად, თანდათან საჯაროუფლებრივ ხასიათს ღებულობენ. ეს ურთიერთობანი კიდევ უფრო მტკიცდება იმუნიტეტების პრაქტიკით, რომლებიც ახლა მანამდე რაიმე კერძო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ტერიტორიებზეც ვრცელდება. ამგვარად, გრაფების ფუნქციები მთელ რიგ შემთხვევებში მაგნატებზე გადააქვთ, საერო და საეკლესიერო მაგნატებზე, რომლებიც მანამდე თავისუფალი მოსახლეობის სენიორებად ხდებიან.

ასეთი იყო ის გადატრიალება, რომელიც კარლოს მარტელმა დაიწყო და მისმა შვილმა პიპინმა და შვილიშვილმა კარლოს დიდმა დაამთავრეს. ენგელსის მოსწრებული დახასიათებით, ეს „გადატრიალება იმით არის შესანიშნავი, რომ თუმცა იგი გამოყენებულ იქნა როგორც საშუალება სახელმწიფოს გაერთიანებისა, მაგნატების სამუდამოდ ტახტზე მიჯაჭვისა და ამ გზით მეფის ხელისუფლების გაძლიერებისა, მან, ბოლოსდაბოლოს, სავსებით დააუძლურა მეფის გვირგვინი, ხელი შეუწყო მაგნატების დამოუკიდებლობას და გამოიწვია. სახელმწიფოს დაშლა“.[1]

პიპინ მოკლე და კარლომანი. კარლოს მარტელის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლება ფრანკთა სახელმწიფოში კარლოსის ორმა შვილმა გაიყო: კარლომანმა, რომელმაც მიიღო ავსტრაზია ალამანიითა და ტიურინგიითურთ, და პიპინმა (მეტსახელად მოკლემ დაბალი ტანის გამო), რომელიც განაგებდა ნეისტრიას ბურგუნდიითა და პროვანსითურთ. მაშინვე ახალი მაიორდომების წინააღმდეგ მთელმა რიგმა აჯანყებებმა იფეთქა. აჯანყდა კარლოსის შვილი მეორე ცოლისაგან გრიპონი, რომელიც ძმებმა დაჩაგრეს წილის დადებისას. აჯანყდნენ აგრეთვე სატომო საჰერცოგოები — ალამანია, ბავარია, აქვიტანია. ძმებმა ეს აჯანყებები ჩაახშეს, მაგრამ თავისი ავტორიტეტის განსამტკიცებლად მაინც აუცილებელი საჭიროებად სცნეს მეფის დანიშვნა. 743 წელს სამეფო ტახტზე მათ მიერ აყვანილ იქნა ხილდერიკ III მეროვინგთა გვარეულობიდან

საეკლესიო რეფორმა. იმავე დროს ძმები შეეცადნენ მოეწესრიგებინათ აგრეთვე ეკლესიასა და მათ შორის არსებული ურთიერთობა, რომელიც გამწვავებული იყო საეკლესიო მიწების სეკულარიზაციით კარლოს მარტელის დროს. ეკლესიის მომხრეობაც აუცილებელი იყო მათთვის მათი ხელისუფლების განსამტკიცებლად.

---

[1] მარქსი და ენგელსი, თხზ., ტ. XVI, ნაწ. I, გვ. 394.

მათ დროს ხდება საეკლესიო კრებების მოწვევა, რომლებიც აწესებენ მკაცრ საეკლესიო ორგანიზაციას და იერარქიას; ეს უკანასკნელი კი მოგვაგონებს ფრანკთა სახელმწიფოს ადმინისტრატიულ ორგანიზაციას: ეწყობა საეკლესიო თანამდებობათა კიბე, მღვდლებისაგან აღმავალი, ეპისკოპოსების, გზით არქიეპისკოპოსებისაკენ, და ეკლესიის საოლქო ეპარქიალური ორგანიზაცია; ისე როგორც ცენტრალურ ხელისუფლებასთან რეგულარულად იწვევდნენ საერო მაგნატების საბჭოებს, საეკლესიო კრებებიც აგრეთვე ყოველწლიურად უნდა მოეწვიათ. ამასთან ერთად წესდება საეკლესიო დისციპლინაც; მონასტრებს უბრძანებენ მკაცრად დაიცვან ბენედიქტინელთა წესდება; ეკლესიის მსახურთ აკრძალული აქვთ იარაღის ტარება, ომში მონაწილეობა ან ნადირობა და საერო ტანსაცმელის ტარება. ღებულობენ ზომებს, რათა დაუბრუნონ ეკლესიას კარლოსის დროს გაცემული საეკლესიო მიწები. კარლომანი პირდაპირ აღუთქვამს კიდეც ასეთ დაბრუნებას. ბოლოსდაბოლოს კომპრომისზე ჩერდებიან: ყველა ბენეფიციუმებად გაცემული მიწები ეკლესიის ქონებად ითვლება, მაგრამ ისინი ბენეფიციუმების მპყრობელთა ხელში რჩება, როგორც პრეკარია და მათთვის ეკლესიას ორმაგად უხდიან ათისთავს. სამხედრო ბენეფიციუმების სისტემა უკვე იმდენად აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ფრანკთა სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციისათვის, რომ ძველი წესწყობილებისადმი დაბრუნება შეუძლებელი ხდება.

კარლომანისა და პიპინის მხარდაჭერით გატარებულმა რეფორმამ, მიუხედავად საკმაოდ ძლიერი ოპოზიციისა იმ პირთა მხრივ, რომელთაც ის შეეხო, ეკლესიისა და სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობა გამოიწვია; მან კიდევ უფრო განამტკიცა ფრანკთა მაიორდომების ძალაუფლება და ხელი შეუწყო შემდეგში პიპინის მიერ თვით მეფის ხელისუფლების დაპყრობას. მაგრამ რეფორმის, განსაკუთრებით, მისი ინიციატორის კარლომანის, წინააღმდეგ არსებული ოპოზიცია იმდენად ძლიერი იყო იმ დროს, რომ კარლომანი იძულებული შეიქნა ტახტიდან გადამდგარიყო (747 წ.) და დანარჩენი სიცოცხლე ბერობაში გაეტარებინა იტალიაში.

პირველ ხანებში დიდ სიძნელეებს განიცდიდა თვითონ პიპინიც, რომელიც ახლა ერთადერთი მაიორდომი შეიქნა სახელმწიფოში. სულ ახალ და ახალ აჯანყებებს აწყობს მის წინააღმდეგ გრიპონი, რომელსაც მხარს უჭერენ ხან ბავარები, ხან აქვიტანელები, ხან კი ბავარიის ხელში ჩაგდების დიდიხნის მოსურნე ლანგობარდები, სულ უფრო და უფრო იზრდება ლანგობართა საშიშროება, რაც აახლოვებს პიპინს პაპებთან, რადგან ეს უკანასკნელნიც ლანგობარდების მიერ შევიწროებული არიან.

მეფის ხელისუფლების დაპყრობა პიპინის მიერ. მეროვინგთა მეფის მოჩვენებითი ხელისუფლება ბევრს არაფერ დახმარებას უწევდა პიპინს ამ ბრძოლაში; პაპებთან დაახლოება სულ სხვა პერსპექტივებს უშლიდა მას წინ; შესაძლებელი ხდებოდა თვით მეფის ხელისუფლების დაპყრობა, რაც საეკლესიო ავტორიტეტით ლეგალიზებული იყო.

751 წელს „ყველა ფრანკების" სახელით, რომელთაც სათანადო გადაწყვეტილება მიიღეს საერთო კრებაზე, პაპს ზაქარიას საზეიმოდ გაეგზავნა ელ-

ჩები შეკითხვით: „მეფეთა შესახებ, რომლებიც იმ დროს ჰყავდათ ფრანკებს, ხოლო მეფის უფლებით არ იყვნენ მოსილნი: კარგია ეს?“

პაპმა უპასუხა: „უმჯობესია მეფე ეწოდებოდეს მას, ვისაც აქვს უფლება, ვიდრე მას, ვინც მეფის უფლებას მოკლებული იმყოფება.“

ასეთი კეთილსასურველი პასუხის მიღების შემდეგ პიპინმა იმავე წლის ნოემბერში მოიწვია სუასონში ფრანკთა დიდკაცობისა და თავისი ვასალების კრება, და აქ „ყველა ფრანკების მიერ არჩევით, ეპისკოპოსთა კურთხევით და დიდკაცობის „შეფიცვით“ პიპინი აყვანილ იქნა სამეფო ტახტზე. მეროვინგთა მეფე ხილდერიკი და მისი შვილი აღკვეცილ და წარგზავნილ იქნენ მონასტერში.

ეკლესიისადმი უზომოდ მადლიერმა პიპინმა უხვად დაასაჩუქრა მონასტრები; მაგრამ პაპი კიდევ უფრო მეტს მოითხოვდა მისგან თავისი სამსახურისათვის: — იგი მოითხოვდა დახმარებას ლანგობარდების წინააღმდეგ.

753 წელს პაპმა სტეფანე II საჩივრით მიმართა პიპინს ლანგობარდთა მეფე აისტულფზე, რომელიც ავიწროებდა რომს, ცოტახნის შემდეგ კი თვითონ პაპი გამოცხადდა ფრანკთა სახელმწიფოში. პიპინთან შეხვედრისას (754 წ.) პაპმა მუხლმოდრეკით შესთხოვა მას დახმარება და სათანადო დაპირებანი მიიღო პიპინისაგან. მაგრამ ლანგობარდებთან ომს თანაგრძნობით როდი შეხვდა ფრანკთა დიდკაცობა. რათა უფრო მეტი ავტორიტეტი შეექმნა პიპინისათვის, რომლის ახალი წოდება ისევ ოპოზიციას იწვევდა, პაპმა განმეორებით აკურთხა იგი მეფედ და შეასრულა მირონცხების წესი მასზე, დედოფალსა და მათ შვილებზე; ამასთან ერთად მან უბოძა მათ „რომაელი პატრიციების“ წოდება. მანამდე მირონცხება არ იყო ცნობილი გალიაში და არც მიმართავდნენ მას მეროვინგებისადმი. მირონცხება პიპინს ძველი დინასტიის წარმომადგენლებზე მაღლა აყენებდა. რომაელი პატრიციის წოდებაც, თავის მხრივ, ამაღლებდა პიპინს და რომის მფარველად, „ეკლესიის განმათავისუფლებლად და დამცველად“ ხდიდა მას.

ომი ლანგობარდებთან და პაპის ოლქის წარმოქმნა. მის წინააღმდეგ არსებული ძლიერი ოპოზიცია მაინც აიძულებდა პიპინს აუჩქარებლად ემოქმედა. მოხდენილ იქნა ცდა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით საქმის მოგვარებისა, მაგრამ ამ ცდამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. მაშინ 755 წლის შემოდგომაზე ფრანკთა არმიამ გადალახა ალპები და სასტიკად დაამარცხა ლანგობარდები. აისტულფმა, რომელმაც ფრანკთა დიდკაცობის შუამავლობით ზავი ითხოვა, დააბრუნა მძევლები, ვალად იდო ეხადა ხარკი და დაეთმო პიპინისათვის მის მიერ ბიზანტიისათვის წართმეული რავენის საეგზარქოსოს და რომის ოლქის ქალაქები. პიპინმა ეს ქალაქები პაპს გადასცა და მით დასაბამი მისცა პაპების საერო სახელმწიფოს.

პიპინის იტალიიდან წასვლის შემდეგ აისტულფმა კვლავ იწყო პაპის შეიწროება. საჭირო შეიქნა პიპინის ხელახალი ლაშქრობა (756 წ.), რომელიც აგრეთვე წარმატებით დაგვირგვინდა. ამჯერად ჩამორთმეული ქალაქები პიპინმა ფორმალური აქტით სამარადჟამოდ რომის ეკლესიას გადასცა, მიუხედავად ბიზანტიის პროტესტებისა და მუქარისა, რომელიც საეგზარქოსოს დაბრუნებას მოითხოვდა.

ამ დროს მიეკუთვნება იმის ცდა, რომ თეორიულად დასაბუთებული ყოფილიყო პაპის, როგორც პაპის ოლქის ხელმწიფის საერო ხელისუფლება და გაეფართოებინათ კიდეც იგი ამ სამფლობელოს საზღვრებს იქით. ჩნდება შესანიშნავი დოკუმენტი, რომელიც ცნობილია „კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს ს ა ჩ უ ქ რ ი ს“ სახელწოდებით. ამ ყალბ საბუთში, რომელიც, ალბათ, პაპის კანცელარიიდან გამოვიდა, ლაპარაკია, რომ იმპერატორმა კონსტანტინემ, პაპის სილვესტრის მიერ მონათლულმა, პაპს უბოძა საიმპერატორო ხელისუფლების ნიშნები—მეწამული ქლამიდა, ოქროს ჯიღა, „ქალაქი რომი, იტალიისა და მთელი დასავლეთის ქვეყნები და ქალაქები.“

პიპინის საგარეო პოლიტიკის წარმატებანი. შედეგად პიპინის ძალაუფლება და გავლენა გაფართოვდა და ფრანკთა სახელმწიფოს საზღვრებს გასცილდა. აისტულფის მემკვიდრე ლანგობარდთა ტახტზე დეზიდერიუსი, რომელიც „ფრანკთა მეფის თანხმობით და მაგნატების რჩევით იქნა მეფედ არჩეული“, თითქმის ვასალი იყო პიპინისა. ბიზანტიის იმპერატორი აწარმოებდა პიპინთან მოლაპარაკებას თავისი შვილის ფრანკთა მეფის ქალიშვილზე დაქორწინების შესახებ. ბაღდადის ხალიფა ცდილობდა მოკავშირედ გაეხადა იგი თავის ბრძოლაში ესპანეთის არაბთა წინააღმდეგ. პაპები ცდილობდნენ მიეღოთ პიპინის მფარველობა და ფრანკთა ეპისკოპოსების დახმარება, რათა მოეხდინათ რომის საეკლესიო ოლქის მმართველობის რეორგანიზაცია.

პიპინის მეფობის უკანასკნელი წლები სამხედრო წარმატებებით აღინიშნა სამხრეთ გალიაში. 759 წელს არაბებს ჩამოერთვათ ნარბონა სეპტიმანიითურთ და ხანგრძლივ ლაშქრობათა შედეგად (760—768წწ.) დაპყრობილ იქნა აქვიტანია. ეკლესია, რომელსაც პიპინი მფარველობდა, აქაც ხელს უწყობდა მას მის გეგმებში. დასასრულ, წარმატებითი ომებმა საქსებთან და ბავარებთან გერმანიაშიც განამტკიცა კაროლინგების ახალი მონარქიის გავლენა.

კარლოს დიდი და კარლომანი. პიპინმა სიკვდილის წინ დაუყო სამეფო თავის შვილებს კარლოსს და კარლომანს. უფროსს, კარლოსს წილად ხვდა სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილები (ავსტრაზია, ჩრდილოეთი ნეისტრია და აქვიტანიის მეტი ნაწილი), კარლომანს—სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები (სამხრეთი ნეისტრია, ბურგუნდია, პროვანსი, ელზასი და ალამანია, ტიურინგია, ჰესენი და ზოგიერთი სხვა ოლქები).

ძმებს შორის არ იყო თანხმობა, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში. 769 წელს აქვიტანიაში ვიღაც გუნალდის მეთაურობით აჯანყებამ იფეთქა. კარლომანმა ძმას დახმარებაზე უარი უთხრა იმ საბაბით, რომ აჯანყება არ შეხებია პირადად მისდამი კუთვნილ ოლქებს. კარლოსმა აჯანყება მარტოოდენ თავისი ძალებით ჩააქრო.

კარლომანის სასახლის კარზე ძლიერი იყო ლანგობარდთა პარტია, მაშინ როდესაც კარლოსი პაპის მხარეზე იხრებოდა. მაგრამ მათი დედის ბერტრადის გავლენისა და შუამავლობის მეოხებით, რომელიც თავისი წარმოშობით ფრანკთა დიდკაცობას ეკუთვნოდა და ლანგობარდებს თანაუგრძნობდა, კარლოსმა თვითონაც შეცვალა დროებით თავისი პოლიტიკა და ლანგობარდთა მეფის დეზიდერიუსის ქალიშვილი—დეზიდერატაც კი ცოლად შეირთო. მაგრამ მალე (771წ.) გარდაიცვალა კარლომანი, და მისი ვასალები კარლოსს

შეუერთდნენ, რის გამოც კარლომანის შვილებმა დაჰკარგეს ტახტის მემკვიდრეობა. კარლომანის ქვრივმა შვილებითურთ თავშესაფარი ჰპოვა ლანგობარდიაში დეზიდერიუსთან, რომელიც ცდილობდა აღედგინა სამემკვიდრეო ტახტზე კარლომანის შვილები. კარლოსმა მკვეთრად შესცვალა თავისი პოლიტიკა. ის ადრევე გაეყარა დეზიდერატას, ხოლო როცა პაპმა ადრიანე I მიმართა მას ლანგობარდთა წინააღმდეგ დახმარებისათვის, საკითხის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაჭრის ამაო ცდების შემდეგ, მან გაილაშქრა მათ წინააღმდეგ.

ომი ლანგობარდებთან. პავიის გარემოცვა, სადაც გამაგრებული იყო დეზიდერიუსი, გაჭიანურდა. კარლოსმა ისარგებლა თვით რომში თავისი გავლენის განმტკიცების შესაძლებლობით და 774 წლის გაზაფხულზე უეცრად გამოცხადდა რომში, სადაც დიდის პატივით იქნა პაპის მიერ მიღებული. და საზეიმოდ დაადასტურა პიპინის მიერ გაცემული ყველა წყალობანი. თავის მხრივ პაპმა დაამტკიცა პატრიცის წოდება კარლოსზე, რაც პაპს ფრანკთა მეფისგან დამოკიდებულ მდგომარეობაში აყენებდა.

ლანგობარდებთან ომი კარლოსის გამარჯვებით დამთავრდა. პავიის აღების შემდეგ დეზიდერიუსი ტახტიდან გადააყენეს და მოთავსებულ იქნა მონასტერში. კარლოსმა დაიდგა ლანგობარდიის რკინის სამეფო გვირგვინი და ფრანკთა და ლანგობარდთა მეფის ტიტული მიიღო.

მაგრამ ფრანკთა არმიის წასვლის შემდეგ, ლანგობარდთა ზოგიერთი ჰერცოგები დეზიდერიუსის შვილის ადალგიზის მეთაურობით აჯანყებას აწყობენ. კარლოსის წინააღმდეგ სდგება აგრეთვე კოალიცია—ბავარიის ჰერცოგ ტასილონის, ავარებისა და ბიზანტიის მონაწილეობით. ეს უკანასკნელი მხარს უჭერდა ადალგიზს და ცდილობდა დაებრუნებინა თავისი დაკარგული სამფლობელოები იტალიაში.

კარლოსი კვლავ გაჩნდა იტალიაში, დაამარცხა ლანგობარდელი ჰერცოგები, შემდეგ კი თავს დაატყდა ბავარიას. ტასილონი მსჯავრდადებულ იქნა როგორც მოჯანყე, და იგი მონასტერში მოათავსეს; ჰერცოგის წოდება გაუქმებულ იქნა ბავარიაში, მისი მართვა კი ერთ-ერთ გრაფს დაევალა.

ბოლო ლანგობარდთა სამეფოს თავისი საკუთარი მეფე დაუნიშნეს კარლოსის შვილის პიპინის სახით, რომელიც ტახტს თავისი მამის საერთო ხელმძღვანელობით მართავდა, თვითონ სამეფომ კი ფრანკთა სამეფოს მსგავსი ორგანიზაცია მიიღო. 787 წელს ლანგობარდის ერთ-ერთი საჰერცოგო-ბენევენტიც, რომელიც მანამდე დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, იძულებული იყო ეცნო კარლოსის ხელისუფლება.

საქსონიის დაპყრობა და მისი ფეოდალიზაცია. ფრანკთა სახელმწიფომ ქალთა უდიდესი დაძაბვის ფასად დაიპყრო საქსონია (772—804 წწ.). ყველა ომებიდან, რომლებიც ფრანკებს ოდესმე უწარმოებიათ, ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი, ყველაზე მძიმე და ყველაზე სასტიკი",—ამბობს ეინგარდი.

ფრანკთა სახელმწიფოს ასეთი გაფართოება აღმოსავლეთით, ელბისაკენ, ხოლო შემდეგ კიდევ იქით, სლავთა ოლქებში, გაპირობებული იყო მიწისა და მუშახელის მოთხოვნილება-საჭიროებით, რასაც განიცდიდა იმ წვრილ და საშუალო ფრანკ მიწათმფლობელთა ' ' '

კაროლინგთა სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის საფუძველს შეადგენდნენ. დასახლებული მიწები ფრანკთა სახელმწიფოს ძირითად ოლქებში უკვე გაცემული იყო, მეფის ვასალების ბენეფიციუმებად გადაქცეული საეკლესიო მიწების ფონდიც აგრეთვე ამოწურული იყო, და ბენეფიციუმების შემდგომი დარიგება უკვე სერიოზულად გაძნელდა პიპინის რეფორმების შემდეგ. მიწის კვლავ დარიგება და მის დასამუშავებლად საჭირო ხალხის შოვნა ახლა მხოლოდ დაპყრობათა გზით შეიძლებოდა.

საქსების ტომებს ეკავათ ტერიტორია რაინის ქვემო წელიდან ელბამდე აღმოსავლეთით და ეიდერამდე ჩრდილოეთით. ისინი იყოფოდნენ ოთხ ტომობრივ გაერთიანებად: დასავლეთის საქსებად, ანუ ვესტფალებად, ანგარიებად—ცენტრში, აღმოსავლეთის საქსებად, ანუ ოსტფალებად, და ჩრდილოეთის საქსებად, ანუ ნორდალბინგებად. ისინი ცხოვრობდნენ საგვარტომო წყობილების უკანასკნელ საფეხურზე, საიდანაც იწყება კლასების წარმოქმნის პროცესი. ცნობილი იყო სამი ძირითადი სოციალური ფენა: საგვარტომო დიდკაცობა—ე დ ე ლ ი ნ გ ე ბ ი, რომლებიც საქონლისა და მონების მფლობელობის უფრო ღიდი რაოდენობით განსხვავდებოდნენ; უბრალო თავისუფალნი, რომლებიც საქსების ძირითად მასას შეადგენდნენ,—ფ რ ი ლ ი ნ გ ე ბ ი, და, ბოლოს, არათავისუფალნი—ლ ა ს ე ბ ი. ცალკეული ოლქები თავის დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ და მათ ადგილობრივი ბელადები განაგებდნენ; მხოლოდ ომიანობის დროს ირჩევდნენ განსაკუთრებულ ჰერცოგებს. საქსები ინარჩუნებდნენ წარმართობას და, როგორც სჩანს, ყოველწლიურად იკრიბებოდნენ ყველა მათთვის საერთო რელიგიური კულტის შესასრულებლად. ტაციტის ეპოქის გერმანელების მსგავსად, ისინი ხშირად ესხმოდნენ თავს ფრანკთა სახელმწიფოს მოსაზღვრე ოლქებს, და შეტაკებანი საზღვარზე ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული.

კარლოსის პირველი სამხედრო მოქმედებანი საქსების წინააღმდეგ 772 წელს დაიწყო. ფრანკთა ჯარი დაიძრა ანგარიების წინააღმდეგ, აიღო მათი ციხე-სიმაგრე ერესბურგი, მოსპო მათი სალოცავი-წმიდა ხის ძელი, ეგრეთწოდებული ირმინსული, რომელზეც, საქსების წარმოდგენით, ცის თაღი იყო დაყრდნობილი. მძევლებითა და ღიდი ნადავლით ფრანკთა ჯარი უკანვე გაბრუნდა.

ამის საპასუხოდ 774 წელს საქსები ჰესენში შეიჭრნენ, გაძარცვეს იქ მონასტერი და აგრეთვე დეევენტერის საყდარი ფრიზების ტერიტორიაზე. ფრანკთა არმია განმეორებით იჭრება საქსონიაში, არბევს და ხანძრის ალში ჰხვევს მთელ ქვეყანას.

მხოლოდ 775 წლიდან იწყება საქსების ნამდვილი დაპყრობა. უზარმაზარი არმია იჭრება ვესტფალების, ანგარიებისა და ოსტფალების ოლქებში. რბევა-განადგურება იმდენად ღიდი იყო, რომ კარლოსთან გამოცხადდნენ ღიდგვარიანი საქსები და ზავი ითხოვეს. კარლოსმა მძევლები დაიტოვა და თავისი გარნიზონებით დაიკავა საქსების გამაგრებული პუნქტები—ერესბურგი, სიგიბურგი და ახლად აგებული კარლშტადტი. ამასთან ერთად მან საქსებს მოსთხოვა ქრისტიანობის მიღება. 777 წელს პადერბორნში შესდგა საერთო კრება, რომელზეც საქსონიის დიდკაცობამ ერთგულება შეჰფიცა კარლოსს და

ფრანკთა მეფისაგან საჩუქრად მიიღო საქსონიის ცალკეული საგრაფოები, თანაბრად კარლოსის ფრანკ ვასალებისა.

ეს კაპიტულაცია და ქრისტიანობის მიღება საქსონიის დიდკაცობისაგან წარმოსდგებოდა. ფრანკთა სახელმწიფოში იგი ჰხედავდა დასაყრდენს დანარჩენ მოსახლეობაზე თავისი მზარდი ბატონობისათვის. საქსების ქვეყნის ფეოდალიზაციის დაჩქარება მის ინტერესებს შეადგენდა.

მაგრამ საქსების ძირითადი მასა ფრანკთა მიერ დაპყრობაში მხოლოდ თავის დამონებას ჰხედავდა. მთელი ტომის წინააღმდეგობა ფრანკთა დაპყრობისადმი ნელის თანდათანობით გადადის კლასობრივ ბრძოლაში ფრანკ ფეოდალ-დამპყრობთა წინააღმდეგ და თავისი საკუთარი საქსონელი დიდკაცობის წინააღმდეგ, რომელიც ფეოდალურ დიდკაცობად იქცევა.

პირველ ხანებში დამპყრობთა მხარეზე საქსონიის მთელი დიდკაცობა არ გადადის. მთელ რიგ აჯანყებებს (778—785 წწ.) სათავეში უდგება დიდკაცობის ერთ-ერთი წარმომადგენელი—ვიდუკინდი. კარლოსი სასტიკად უსწორდება აჯანყებებს და გამოსცემს ეგრეთწოდებულ კაპიტულარიუმს საქსონიის საქმეთა შესახებ (Capitulatio de partibus Saxoniae), რომელსაც განსაკუთრებული რეჟიმი შემოჰქონდა ქვეყნად. საქსებს აკრძალული ჰქონდათ საერთო კრებებზე შეკრება, თუ ამის შესახებ მეფის ბრძანება არ იქნებოდა; ეკლესიისა და მეფის წინააღმდეგ მიმართულ სულ მცირე დანაშაულზე შემოღებული იყო სიკვდილით დასჯა. თითოეული ეკლესიის სასარგებლოდ მოხდენილ იქნა გარშემო მოსახლეობის მიწის კონფისკაცია ორი ნაკვეთის (მანსის) ოდენობით და ყოველი 100 კაციდან წაყვანილ იქნა თითო მონა-კაცი და მონა-ქალი. მოსახლეობას ეკლესიის სასარგებლოდ უნდა ეხადა ათისთავი. ყველა ეს ღონისძიება შემოღებული იყო იმისათვის, რომ ჩვეულებრივად აჯანყების მსვლელობაში ხდებოდა წარმართობის, როგორც დამოუკიდებლობის სიმბოლოს, აღდგენა, ხოლო ქვეყნად შეჭრილ მისიონერებს ხოცავდნენ ან აძევებდნენ. საქსებს შეუერთდა ფრიზების ერთი ნაწილი. ვერდენთან კარლოსმა საქსებს გამანადგურებელი დარტყმა დაატეხა თავს. ამასთან დახოცილ იქნა დაახლოებით 4.500 მძევალი. დასასრულ, კარლოსის მხარეზე გადავიდა ვიდუკინდი (785 წ.), რომელმაც ქრისტიანობა მიიღო. თვითონ კარლოსი იყო მისი ნათლია და მდიდრული საჩუქრები უბოძა მას. თავისი ღალატის ფასად მოიპოვა ვიდუკინდმა კარლოსის კეთილმოსურნეობა და ბრწყინვალე კარიერა თავისი შთამომავლობისათვის.

მაგრამ ვიდუკინდის ღალატის შემდეგაც საქსონია საბოლოოდ მაინც ვერ იქნა დაპყრობილი. ფრანკების გამარჯვება არა მარტო სამხედრო წარმატებათა, არამედ მარჯვე პოლიტიკის შედეგიც იყო, რომელმაც შესძლო წარმოშობილი კლასობრივი ანტოგონიზმების გამოყენება, საქსონიის დიდკაცობის თავის მხარეზე გადაბირება და მით ხალხის წინააღმდეგობის დაუძლურება. „პირველნი (ე. ი. სატომო დიდკაცობა),—ამბობს კარლოსის შესახებ ერთი უფრო მოგვიანო დროის პოეტი,—მან შეაცდინა საჩუქრებით, ყველა დანარჩენი ხელქვეითნი კი იარაღით დაიმორჩილა."

შემდგომი ბრძოლა, რომელიც ახლა, უმთავრესად, ნორდალბინგიით გა-

წისაზღვრებოდა, უკვე მთლიანად ისეთი მოძრაობის ხასიათს ატარებს, რომელიც მიმართულია როგორც ფრანკ დამპყრობთა, ისე ადგილობრივი დიდკაცობის წინააღმდეგაც. იგი კიდევ მთელი 12 წელიწადი გრძელდება (793—804 წწ.) და მას თან ახლავს კარლოსის მიერ მიღებული განსაკუთრებული ღონისძიებანი — საქსების მასობრივი გადასახლება მათი ქვეყნიდან. ისინი დასახლებულ იქნენ ფრანკთა სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილას, მათი მიწები კი დაურიგდათ ფრანკებს. და მათ მოკავშირე სლავებს ბოდრიჩების ტომიდან. ზოგიერთმა ოლქმა თავისი ძველი მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი დაჰკარგა. საქსონიის ასეთ „დაწყნარებას“ თან სდევდა განსაკუთრებული რეჟიმის შემსუბუქება. 797 წელს გამოცემული საქსონიის კაპიტულარიუმი, რომელიც გამომუშავებულ იქნა აახენში თათბირზე ვესტფალების, ოსტფალების და ანგარიების წარმომადგენლებთან ერთად, უკვე აუქმებდა სიკვდილით დასჯას იმ შემთხვევებში, რომლებშიც მას წინათ იყენებდნენ, და ჯარიმებით უცვლიდა მას.

ომი სლავებთან და ავარებთან. საქსონიის დაპყრობამ და ბავარიის შეერთებამ ფრანკები მრავალ სხვადასხვა ხალხთან ურთიერთობაში ჩააბა. ელბის ნაპირებზე და ამ მდინარის აღმოსავლეთით ამ ეპოქაში სლავთა ტომები ცხოვრობდნენ. მათგან ბოდრიჩები იმთავითვე მეზობლები და მტრები იყვნენ საქსების, დახმარებას უწევდნენ კარლოსს ამ უკანასკნელებთან ბრძოლაში. მაგრამ საქსონიის დაპყრობამ კარლოსი აიძულა მიეღო ზომები თავისი ახალი საზღვრის დასაცავად სლავთა თავდასხმისაგან. 789 წელს მან გაილაშქრა სლავთა ტომის — ლუჟიჩების წინააღმდეგ, მოსრა მათი ქვეყანა და აიძულა ისინი ეცნოთ მისი ხელისუფლება.

ახლანდელი უნგრეთის ველებში, პანონიაში, ცხოვრობდა ნახევრად აღგილმაცვალი ხალხი ავარები, რომელიც თავს ესხმოდა ფრანკთა სახელმწიფოს მეზობელ ოლქებს. ლანგობარდთა ომის დროს ავარები მონაწილეობდნენ კოალიციაში ფრანკთა წინააღმდეგ და რამოდენიმე ხნის განმავლობაში ეკავათ ფრიული. 791 წელს ერთდროულად ბავარიიდან და იტალიიდან დაწყებულ იქნა ლაშქრობა ავარების წინააღმდეგ. მაგრამ, ბუნებრივი პირობები ხელს უშლიდნენ ფრანკთა წარმატებით წინსვლას. სამხედრო მოქმედება განახლდა 795 და 796 წლებში, როცა ფრანკებმა ისარგებლეს ავარებს შორის წარმოებული საშინაო ბრძოლით, შეიჭრნენ ქვეყნის სიღრმეში, ხელთ იგდეს და დაანგრიეს ავარების ცენტრალური ბანაკი, ცხრა კონცენტრიული გალავნით გარემოცული, ეგრეთწოდებული რინგი. პანონიაში დაპყრობილი ტერიტორიებიდან შექმნილ იქნა პანონიის მარკა.

ბრძოლა არაბებთან. ბრძოლა არაბებთან, რომელიც ჯერ კიდევ კარლოს მარტელის დროს დაიწყო, დამთავრებული არ იყო, მაგრამ ახლა ფრანკები თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. ამ დროისათვის ესპანეთში წარმოებდა ბრძოლა ჩრდილოეთ ესპანეთის ცალკეული ოლქების ფეოდალურ მმართველთა და ომეიადთა გუვერეულობის ემირს შორის, რომელიც კორდოვაში იჯდა. კარლოსმა ისარგებლა ამ ბრძოლით და 778 წელს გადალახა პირინეები და აიღო მთელი რიგი ქალაქები, მაგრამ სარაგოსასთან დამარცხდა. უკან დახევის დროს ფრანკთა ჯარის არიერგარდს თავს დაესხნენ ბასკები. რონსევალის ველზე

და იგი მოსპობილ იქნა. წინამძღოლთა შორის მოკლულ იქნა აგრეთვე „ბრეტონის მარკის პრეფექტი“ როლანდი (Hruotland). ამ მოვლენამ შემდეგში თავისი გამოხატულება ჰპოვა შუა საუკუნეების ფრანგული ეპოსის განთქმულ ნაწარმოებში — „სიმღერა როლანდზე“ (იხ. თავი XXXII).

ამის შემდეგ არაბები თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. კორდოვის ემირმა 788 წელს „საღვთო ომი“ გამოაცხადა. არაბთა ჯარები შეიჭრნენ აქვიტანიაში, რომელიც იმ მიზნით, რომ უფრო წარმატებითი ბრძოლა ეწარმოებინა მათთან, გამოყოფილ იქნა განსაკუთრებულ სამეფოდ და გადაეცა კარლოსის უმცროს შვილს ლუდოვიკოს, მის მომავალ მემკვიდრეს. 796 წლიდან დაწყებულ ახალ შეტევას ესპანეთზე შედეგად მოჰყვა ესპანეთის ტერიტორიის დაპყრობა ებრომდე და ესპანეთის მარკის წარმოქმნა.

ფრანკთა მონარქია და პაპობა. ასეთი იყო ფრანკთა ექსპანსიის უდიდესი წარმატებები დასავლეთ ევროპაში. შედარებით მცირე ფრანკთა სახელმწიფოსაგან, როგორიც ის იყო კარლოს მარტელის დროს, VIII საუკუნის დამლევს წარმოიქმნა უზარმაზარი მონარქია, რომელიც თითქმის მთელი დასავლეთი ევროპის ქვეყნებს მოიცავდა. ფრანკთა მეფის კარზე ერცელდება შეხედულებები მასზე, როგორც დასავლეთ რომის იმპერატორების აღმადგენელზე და მემკვიდრეზე. მას უწოდებენ „სამყაროს მბრძანებელს“, „ყველაზე დიდებულს მეფეთა შორის, რომელიც კი ღმერთმა თავისი გამოუთქმელი წყალობით მისცა ხალხებს როგორც შემწე და მფარველი მამა“.

ამ დროს ბევრი სთვლიდა, რომ საიმპერატორო ტახტი თავისუფალი იყო, ვინაიდან ბიზანტიის დედოფალმა ირინემ, რომელიც თავისი შვილის კონსტანტინე VI სახელით მეფობდა, გადააგდო იგი ტახტიდან, თვალები დასთხარა და თვითონ დაიკავა მისი ადგილი.

მაგრამ პაპს როდი სურდა თავისი სიუზერენის მეტისმეტად განდიდება. როგორც დავინახეთ, პაპობა ჯერ კიდევ წინათ აცხადებდა მთელ დასავლეთ ევროპაზე თავისი ბატონობის უფლებას, როცა მან გამოაქვეყნა „კონსტანტინეს საჩუქრის“ ყალბი სიგელი. პაპი ადრიანე იმასაც კი ოცნებობდა, რომ განეხორციელებინა კონსტანტინე იმპერატორის ეს ვითომდა ნამდვილად გამოთქმული ნება-სურვილი და თვითონ გამხდარიყო დასავლეთ რომის იმპერატორების მემკვიდრე, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ბიზანტიის სამეფო კართან შეთანხმებით. მაგრამ ის მოკვდა ისე, რომ ვერ მოასწრო თავისი დაჩემებულის განხორციელება.

კარლოსის კურთხევა იმპერატორად. ახალი პაპი ლეონ III, რომელიც პაპის ტახტზე აყვანილ იქნა (795 წ.) რომის დიდკაცობის სურვილის წინააღმდეგ და თავის ამაღლებამდე პაპის სასახლის უმნიშვნელო მოხელე იყო, საფრანგეთის მეფის ძლიერ მხარდაჭერას საჭიროებდა. დაუყოვნებლივ თავის არჩევისთანავე ლეონ III რომის დროშა გაუგზავნა კარლოსს და ერთგულება შეჰფიცა. დიდკაცობის ხელმძღვანელობით რომში იფეთქა აჯანყებამ პაპის წინააღმდეგ; თვითონ პაპს თავს დაესხნენ და სასტიკად სცემეს რომის ქუჩებში. იგი გაიქცა კარლოსთან პადერბორნში და დახმარება სთხოვა. კარლოსი ლაეხმარა მას და იგი გაძლიერებული მცველი რაზმის თანხლებით დაბრუნდა. რომს, 800 წლის დამლევს კი თვითონ კარლოსმაც რომს მიაშურა. სამღვდელო-

ბის კრებაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ფრანკი და რომაელი დიდკაცობა, ლეონ III საზეიმო ფიცით განწმინდა ყველა იმ ბრალდებათაგან, რომელსაც მას უყენებდნენ. დახმარებისათვის მადლობის ნიშნად პაპმა 25 დეკემბერს საზეიმო მღვდელმსახურების დროს თავს დაადგა კარლოსს იმპერატორის გვირგვინი, მუხლთ მოიყარა მის წინაშე და ეამბორა, როგორც ეს მიღებული იყო წინათ, რომის იმპერიის ეპოქაში.

თავისი ახალი ტიტულის ცნობის მისაღებად კარლოსმა დაიწყო მოლაპარაკება ბიზანტიის კართან ,ამასთან მის გეგმებში დედოფალ ირინეზე დაქორწინებაც კი შედიოდა, რომელიც, თუმცა, მალე გადაგდებულ იქნა ტახტიდან. ᲑᲝᲚᲝᲚᲝᲓ კარლოსის სიკვდილის წინ ბიზანტიამ, სცნო მასზე „ბაზილევსის“ ტიტული, რომელსაც აღმოსავლეთის იმპერატორებიც ატარებდნენ. ხელშეკრულება საბოლოოდ დამტკიცებულ იქნა ლუდოვიკო კეთილმსახურის მეფობის დასაწყისში.

კარლოს დიდის იმპერიის საგარეო ძლიერება. ახალი იმპერატორი თავის იმპერიის ფარგლებს გარედაც დიდის გავლენით სარგებლობდა. ბაღდადის ხალიფა ჰარუნ-არ-რაშიდი ცდილობდა შეეკრა მასთან კავშირი, როგორც ბიზანტიის, ისე კორდოვის ომეიადთა წინააღმდეგ. მან წარგზავნა კარლოსთან ელჩები, ამასთან მის მიერ გაგზავნილ საჩუქრებში ფრანკებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სპილომ, რომელიც დიდის გაჭირვებით მიიყვანეს აახენში; ამ სპილოს სიკვდილი კაროლინგთა მატიანეებშიც კი არის აღნიშნული. გალისიისა და ასტურიის მეფე ალფონსი სტნობს კარლოსის უზენაესობას; შოტლანდიის მეფეებიც აგრეთვე თავის ბატონს უწოდებენ მას, თავის-თაეს კი — მის ქვეშევრდომს. იგი ერევა ინგლისის საქმეებში, მხარს უჭერს ნორტუმბრიის მეფის ირდულფის (808 წ.) ტახტზე აღდგენას და აგრეთვე ეხმარება მანამდე დიდხანს მის კარზე მცხოვრებ ეგბერტს უესექსში ტახტის დაკავებაში. ირლანდიის მცირე ტომობრივ სახელმწიფოთა ბელადები თავის მორჩილებას უცხადებენ კარლოსს. იმავე დროს იგი ცდილობს თავისი გავლენა ევროპის აღმოსავლეთზედაც გაავრცელოს და ამ მიზნით ილაშქრებს ჩეხებისა და სერბების წინააღმდეგ. კარლოსის უკანასკნელი ომი მიმართული იყო დანიელების წინააღმდეგ, რომლებმაც იწყეს თავდასხმები დასავლეთ ევროპის სანაპიროებზე. მიუხედავად ყველა ამ წარმატებისა, უკვე კარლოსის სიცოცხლეშივე არსებობდა მისი იმპერიის მერყეობის წინასწარმაუწყებელი ნიშნები.

კარლოს დიდის იმპერიის მერყეობა. 811 წელს კარლოსს მოახსენებდნენ: „შენს ელჩებს უკვე აღარავინ ემორჩილება, შენი ბრძანებანი საგრაფოებში აღარ სრულდება“. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების მიზეზს ადგილობრივი ფეოდალური მაგნატობის გაძლიერება წარმოადგენდა, რაც კაროლინგთა მთელი პოლიტიკის შედეგი იყო.

ასეთი იყო ის ისტორიული პროცესი, რომელსაც შედეგად მოჰყვა ძალაუფლების დაპყრობა კაროლინგთა ხელისუფლების მიერ და რომის იმპერიის აღდგენა. მაგრამ ეს ახალი იმპერია თავისი სოციალური არსით უკვე აღარ წარმოადგენდა ძველ ანტიკურ მონათმფლობელურ იმპერიას: ახალი იმპერია ფეოდალური სახელმწიფო იყო.

2. კაროლინგების მონარქიის ფეოდალური ორგანიზაცია

გადატრიალება საადგილმამულო ურთიერთობაში. კაროლინგების ეპოქაში ფრანკთა სახელმწიფოს ძირითად ოლქებში წარმოების ფეოდალური წესის განვითარებამ დიდი წინსვლა განიცადა. მხოლოდ რაინიდან აღმოსავლეთით, საკუთრივ გერმანიის ოლქებში, ფეოდალიზაციის პროცესი უფრო გვიან დამთავრდა.

მსხვილი მიწათმფლობელობა — ეს საფუძველი ფეოდალური საზოგადოებისა, წინადაც არსებობდა ფრანკთა სახელმწიფოში, ჯერ კიდევ მეროვინგების დროს, მაგრამ ის მაშინ მაინც ვერ აღწევდა გაბატონებულ როლს საზოგადოებაში. რომაელ კოლონსა და შუა საუკუნეების ყმა გლეხს შორის, ენგელსის თქმით, სდგას „თავისუფალი ფრანკი გლეხი". თავისუფალი ძველი მარკა ფრანკთა საზოგადოების ძირითად უჯრედს წარმოადგენს, განსაკუთრებით სალიკური სამართლის ეპოქაში.

მაგრამ კერძო საადგილმამულო საკუთრების, ეგრეთწოდებული ალოდის განვითარება გარდუვალად იწვევდა მსხვილი მიწათმფლობელობისა და ადგილობრივი წყობის ზრდას. თუ მეროვინგთა ეპოქაში ეს პროცესი ჯერ კიდევ შედარებით ნელა მიმდინარეობდა, VIII და განსაკუთრებით IX საუკუნეში უკვე ნამდვილ გადატრიალებაზე შეიძლება ლაპარაკი საადგილმამულო ურთიერთობათა დარგში. კვლავინდებურად, როგორც მოგვიანო რომის იმპერიის ხანაში, აგრარულ ურთიერთობათა უპირატეს ფორმად იქცევა მსხვილი მიწათმფლობელობა, მაგრამ უკვე არა მონათმფლობელური, არამედ ფეოდალური მამულის ფორმით.

ჩვენი წყაროები განსაკუთრებით მდიდარია იმის აღნიშვნით, თუ როგორ გადასცემდნენ წვრილი მესაკუთრენი თავის მიწას, ზოგჯერ კი თავის პიროვნებასაც მსხვილ მაგნატებს სწორედ კაროლინგების ეპოქაში, განსაკუთრებით IX საუკუნეში; ასეთი სიგელებით განსაკუთრებით მდიდარია საეკლესიო არქივები.

საეკლესიო მიწათმფლობელობის ზრდა. უკანასკნელი გარემოება, საეკლესიო არქივების დიდი დაცულობის გარდა, პირველ რიგში სწორედ ეკლესიის სასარგებლოდ განკუთვნილ წყალობათა მოზღვავებით აიხსნება. გარდა საერთო მიზეზებისა, რომლებიც იწვევდნენ წვრილ მესაკუთრეთა გაღატაკებას, — ხშირი ომებისა, მძიმე გადასახადებისა და ჯარიმებისა, პირდაპირი ძალმომრეობისა ძლიერი მაგნატების მხრივ, მოუსავლობისა და შიმშილისა, — აქ ეპოქის განსაკუთრებული პირობებიც დიდ როლს ასრულებდნენ. გავრცელებული იყო რწმენა, რომ ეკლესიის სასარგებლოდ გაღებული საჩუქრები ხელს უწყობენ ცოდვათა მიტევებას და განსაკუთრებულ მფარველობას იხვეჭენ რომელიმე „წმინდანის" მხრივ. ამა თუ იმ მონასტრისა ან ეკლესიისადმი განსაკუთრებული ავტორიტეტის მისანიჭებლად სამღვდელობა ცდილობდა შეეძინა რომელიმე „განთქმული სალოცავი, მაგალითად, წმინდათა ნაწილის სახით, და მით უზრუნ-

ველეყო შემოწირულებათა განუწყვეტელი ზრდა. ასე, მაგალითად, სუასონის წმ. მედარდის მონასტრის მოციქულებმა რომში დიდის ვაივაგლახით გამოითხოვეს წმ. სებასტიანეს გვამი და იმავე დროს მოიპარეს აგრეთვე წმ. გრიგოლის სხეულის ნაწილაკი; როცა ორთავეს ნეშტი მიტანილ იქნა მონასტერში, იმდენი ხალხი მოგროვდა ახალ „წმინდანების“ გარშემო, რომ ქალაქის მიდამოები დაფარულ იქნა ხალხით, „ვითარცა კალიით“; დაიწყო სასწაულებრივი განკურნება, ხოლო ბერები უანგარიშოდ ხვეტავდნენ ფულს. ეკლესიის სასარგებლოდ სიმდიდრის თაღლითურად ამოქაჩვისთვის მიმართავდნენ მოტყუებას, გაიძვერულ ხრიკებს, მიცვალებულთა გამოცხადებას. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ყალბი საბუთების გაკეთება. თუ რა გასაოცრად გაძლიერდა ეკლესია ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 560 მეროვინგული სიგელიდან, რომლებიც მოყვანილია Pardessus-ს კრებულში, დაახლოებით 130 უთუოდ ყალბია და მეტწილად კაროლინგთა ეპოქაში დამზადებული. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ რემიგიუსის ყალბად გაკეთებული ანდერძი რეიმსის არქიეპისკოპოსის გინკმარის მიერ გამოყენებულ იქნა იმისათვის, რათა მიეღო ეკლესიისათვის მთელი რიგი სამფლობელოები, რომელთა შესახებ ანდერძის დედანში არაფერია ნათქვამი, თუმცა იგი არასოდეს დაკარგული არ ყოფილა, რაც თვითონ გინკმარმა მშვენიერად იცოდა. თვითონ პაპები არ თაკილობდნენ სიყალბის ჩადენას; ასე, მაგალითად, პაპი იოანე VIII ცდილობდა შეეძინა სენ-დენის მონასტრის სამფლობელოები პარიზთან აშკარად ყალბი საბუთის საშუალებით. მეორე მაგალითს წარმოადგენს ეგრეთწოდებული „კონსტანტინეს საჩუქრის“ შედგენა, რომელიც წინათ მოვიხსენიეთ. ყოველი ასეთი გამოძალვა, მოტყუება, გაიძვერობა, სიყალბე და პირდაპირი ძალმომრეობაც კი იმდენად აშკარა ხასიათს ატარებდა, რომ თვითონ იმპერატორი კარლოს დიდი თავის ერთ-ერთ კაპიტულიარიუმში (811 წ.) ირონიით ეკითხება სამღვდელოებას, სთვლის თუ არა იგი ასეთ მოღვაწეობას „ამა სოფლის უარყოფად?“.

მეორე მომენტს, რომელიც ხელს უწყობდა ეკლესიის სასარგებლოდ მიწების უხვად გაჩუქებას, წარმოადგენდა პრეკარიების პრაქტიკა. ღარიბი გლეხი, რომელიც თავის მიწას ეკლესიის სასარგებლოდ გასცემდა, არამც თუ ღებულობდა მას უკანვე პრეკარიის საფუძველზე (precaria oblata) პირობით სარგებლობაში თავისთვის, ზოგჯერ კი თავის უახლოეს ნაშიერთათვის, არამედ ხშირად დამატებით ღებულობდა კიდევ ასევე პირად სარგებლობაში საეკლესიო მიწის ნაკვეთსაც (precaria remuneratoria). უკეთუ ამასთანავე გამჩუქებელი მიწას სთმობდა იმ პირობით, რომ იგი ეკლესიის განკარგულებაში გადაცემულიყო არა მისი სიკვდილის შემდეგ (post-obitum), არამედ დაუყოვნებლივ (a die praesente), მაშინ იგი ასეთ საეკლესიო მიწას უფრო მეტის ოდენობით ღებულობდა.

გლეხობის დაყმევა. მსხვილი მიწათმფლობელობისა და გლეხობის გაბოგანოების ზრდა. თავისუფალ წვრილ მიწათმფლობელთა დაყმევასთან პარალელურად მიმდინარეობდა. გაღატაკების გზაზე. დამდგარი წვრილი მესაკუთრე იძულებული იყო წამდაუწუმ ეძლია მაგნატისათვის არა მარტო თავისი მიწა, არამედ თავისი თავისუფლებაც. იურიდიული ფორმულების სიგელები და

კრებულები სავსეა მსგავსი მაგალითებით. აი ღატაკი, რომელსაც თავს დაატყდა „უკიდურესი სილარიბე და საზრუნავი“, არ იცის, რით იცხოვროს, რით ჩაიცვას და დაიხუროს; მას არ აქვს ვალის გადახდის შესაძლებლობა, ამიტომ იგი ისეთ უღელში ჰყოფს თავს, რომ უფლება აქვთ მოექცნენ მას ისე, როგორც ექცევიან ნამდვილ მონებს, ე. ი. გაყიდონ, გადასცვალონ, დასაჯონ (სანის ფორმულა № 4). მეორე ღატაკი, რომელიც „ცოდვამ შეიპყრო“ და აფიქრებინა მოეპარა სხვისი ნივთები, „სავსებით ნებაყოფლობით“ ებმება მონობაში და ამასთან განსაზღვრულ თანხასაც კი ღებულობს (ანჟერის ფორმულა № 2). მეორე ასეთივე შემთხვევა: ერთმა ღატაკმა ჩაიდინა ქურდობა, იგი აწამეს, გამოტყდა და სიკვდილით დასჯა მოელოდა, მაგრამ გამოსყიდულ იქნა და გადაიქცა მონად, რასაც მოწმობს გაყიდულობის სიგელი (ანჟერის ფორმულა № 3).

მაგრამ ღარიბ გლეხებს შეეძლოთ მსხვილი მაგნატის დამოკიდებულებაში მოქცევა უფრო თავისუფალ პირობებშიც. ჩვენს წინაშე ღარიბი გლეხია, რომელსაც არ გააჩნია საკმაო სახსარი, რომ თავი ირჩინოს, ჩაიცვას და დაიხუროს; იგი „თავს თავს გადასცემს და კომენდიტრებას ახდენს“ ძლიერი კაცის მფარველობაში, რომელიც სამსახურისა და სრული მორჩილებისათვის კისრულობს ვალდებულებას აღმოუჩინოს დახმარება დამოკიდებულობაში მყოფ ადამიანს საკვებითა და ტანსაცმელით (ტურის ფორმულა № 43). ჩვეულებრივ თავისუფალი გლეხის პრეკარისტად გადაქცევა მისი და მისი ჩამომავლობის დამოკიდებულ ადამიანებად გადაქცევას იწვევდა.

ბენეფიციუმი. მაგრამ დამოკიდებულების ასეთ ფორმებს გარდა, როგორც საადგილმამულო ანდა პირადი, რასაც გლეხი ბოლოსდაბოლოს დაყმევისაკენ მიჰყავდა, დამოკიდებულების უფრო კეთილშობილი ფორმებიც არსებობდა — ბენეფიციუმი და ვასალიტეტი.

ბენეფეციუმი შემდეგდროინდელი ლენის (ფეოდის) ჩანასახს წარმოადგენდა. თავის სპეციფიურ ფორმას, ბოძების სხვა ფორმებისაგან განსხვავებულს, და ფართო გავრცელებას ის ღებულობს კაროლინგების ეპოქაში, კარლოს მარტელის სამხედრო რეფორმის დროიდან.

ბენეფიციუმს ჩვეულებრივ უბოძებდნენ როგორც მიმღების, ისე გამბოძებელის სიკვდილამდე; ორივე შემთხვევაში საჭირო იყო მისი განახლება. მაგრამ შესაძლო იყო მისი ჩამორთმევა უკეთუ არ იქნებოდა შესრულებული მისი ბოძების პირობები: არ იქნებოდა გადახდილი ღალა (საეკლესიო ბენეფიციუმები), მეურნეობა დაქვეითდებოდა, და იმ სამსახურის შეუსრულებლობის გამო, რაც ბენეფიციუმს მოეთხოვებოდა. თანდათანობით ასეთი ბენეფიციუმის სამემკვიდრეოდ გადაქცევისა და მის მიერ სპეციფიურ სამხედრო ხასიათის მიღებისდა გამო, ის IX საუკუნის განმავლობაში ლ ე ნ ა დ, ანუ ფ ე ო დ ა დ იქცევა.

მაგრამ კიდევ უფრო ადრე ბენეფიციუმის მპყრობელები, ბენეფიციარები, ცდილობდნენ გადაექციათ ეს პირობითი, მიწათსარგებლობა კერძო საკუთრებად. კაროლინგთა კაპიტულიარები ებრძვიან ასეთ ცდებს.

ვასალიტეტი. ხშირად ბენეფიციუმები ვასალიტეტს უკავშირდებოდნენ. ჩვეულებრივ მიწას სიცოცხლის განმავლობაში სარგებლობისთვის უბოძებდნენ.

ვ ა ს ა ლ ს. ასე უწოდებდნენ თავისუფალ ადამიანებს, რომლებიც მაგნატთან კერძო დამოკიდებულებაში შედიოდნენ, მეტწილად მისი რაზმელების სახით. თვითონ აქტი ორივე მხარის „თავისუფალ შეთანხმებას“ წარმოადგენს; „კაცი“ (ვასალი) თავის-თავის კომენდირებას (გადაცემას) ახდენდა სხვისადმი, ეს სხვა კი (სენიორი) მისგან ერთგულების ფიცს ღებულობდა. მაგრამ სენიორიც აგრეთვე კისრულობდა მზრუნველობას ვასალზე, და ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა დაეტოვებინა თავისი სენიორი, უკეთუ ის მის მოკვლას განიზრახავდა, კეტით ან მახვილით მიიწევდა მასზე, შეეცდებოდა ვასალის ცოლის ან ქალიშვილის ნამუსის ახდას, წაართმევდა მას სამემკვიდრეო ქონებას, გადააქცევდა მას მონად ანდა, ბოლოს, ხელს აიღებდა მის დაცვაზე. სხვა შემთხვევებში ვასალს უფლება ჰქონდა დაეტოვებია თავისი სენიორი მხოლოდ მისი ნებართვით. ასეთი იყო ის წესები, რომლებიც წესრიგდებოდნენ ვასალიტეტის ურთიერთობას და მკვეთრად ახასიათებდნენ ამ ეპოქის ყოფაცხოვრებას.

თავდაპირველად ვასალიტეტი წარმოადგენდა პირად, თავისუფალ აქტს, მაგრამ შემდეგში სახელმწიფო იწყებს ვასალიტეტის ურთიერთობის მოწესრიგებას და აწესებს მისთვის გარკვეულ უფლებრივ ნორმებს. შემდგომ, კაროლინგთა ეპოქაში სამხედრო ვასალიტეტის კაროლინგთა საზოგადოების ძირითად ორგანიზაციად გადაქცევის კვალობაზე, ეს ვასალიტეტი სავალდებულო ხასიათს ღებულობს. კარლოს მელოტი (კარლოს დიდის შვილიშვილი) უკვე 847 წელს სავალდებულოდ ხდის, „რათა თითოეულმა თავისუფალმა ადამიანმა ჩვენს სამეფოში სცნოს თავის ზემდგომად ის სენიორი, რომელსაც ის ისურვებს, ჩვენის სახით ანდა ჩვენი ვასალების სახით“.

ასეთი სავალდებულო ვასალიტეტის შედეგად უკვე ისახება ფეოდალური იერარქია: მეფისგან დამოკიდებული არიან მისი უშუალო ვასალები, სამეფოს მაგნატები, მათგან—მათი ვასალები და აგრე შემდეგ, თვით საშუალო და მცირე ბენეფიციარებამდე, დაბალი ტიპის ვასალებამდე, რომელთა სასარგებლოდ მუშაობენ ყმა გლეხები, მათი მიწების მპყრობელნი. ასე წარმოიქმნება ფეოდალური კიბე, რომელიც წარმოადგენს გაბატონებული კლასის პოლიტიკურ ორგანიზაციას ყმად გადაქცეულ მოსახლეობაზე თავისი კოლექტიური ბატონობის უზრუნველსაყოფად (უფრო ვრცლად ფეოდალური იერარქიის შესახებ იხ. VIII თავში).

იმუნიტეტი. ამ ბატონობის განხორციელების უშუალო ფორმას ადგილებზე წარმოადგენდა კაროლინგთა იმუნიტეტი. უბრალო პრივილეგიიდან, რასაც მეროვინგთა სახელმწიფო უბოძებდა, კაროლინგთა იმუნიტეტი აგრეთვე სახელმწიფო მართვაგამგეობის ფორმადაც იქცევა. იმუნისტი თავისებურ სახელმწიფო მოხელედ იქცევა, რომელიც პასუხისმგებელია იმუნიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მაგიერ. ის კისრულობს ამ მოსახლეობის მოწვევას სასამართლო კრებებზე (privatae audientiae), რომლებიც წარმოადგენენ დაბალი ინსტანციის სასამართლოს; ის პირადად თავმჯდომარეობს ამ კრებებზე ანდა ავალებს ამას თავის თანამდებობრივ პირებს (iudices privati) ფოგტებს (advocati). ასეთი კერძო თანამდებობრივი პირები უკვე კარლოს დიდის ეპოქაში ინიშნებიან გრაფისა და

„ხალხის“ მონაწილეობით, ე. ი. მათ სთვლიან ერთგვარ სახელმწიფო მოხელეებად. მეორე მხრივ, საიმუნიტეტო ოლქის სენიორი პასუხისმგებელია მართლმსაჯულების შესრულებისათვის და უფრო მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენ პირთა გრაფის სამსჯავროზე წარდგენისათვის, და ამ საქმისადმი დაუდევარი მოპყრობისათვის მეფის შათირს (missus dominicus) თავისი ამალითურთ შეუძლია დასახლდეს და იცხოვროს იმუნისტის ხარჯზე იქამდე, სანამ უკანასკნელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

ამგვარად, იმუნისტის, მსხვილი მიწათმფლობელის პირად უფლებას სახელმწიფო ხასიათი ენიჭება, ხოლო მისი ადგილმამული ერთგვარ მამულ-სახელმწიფოდ, ფეოდალური საზოგადოების ძირითად უჯრედად იქცევა.

საწარმოო ძალთა განვითარება სოფლის მეურნეობაში. კაროლინგების ეპოქაში მსხვილი მიწათმფლობელობის გავრცელება საწარმოო ძალთა განვითარების საერთო დონის ამაღლების საფუძველზე ხდებოდა VIII და IX საუკუნეებში. ამ დროს მთელ რიგ ოლქებში უკვე ისახება სამმინდვრიანობის განვითარება, ნაცვლად ორმინდვრიანობისა და ნასვენისა, ამასთან გალიის ცენტრალურ ოლქებში და სამხრეთში ვრცელდება უფრო ფასიანი პურეულის, ხორბლისა და ასლის კულტურა, მაშინ როდესაც ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, გერმანიაში, ჯერ კიდევ ჭვავისა და ქერის დამუშავება სჭარბობს, ხშირდება ტყეების გაჩეხვა სახნავისათვის. სულ უფრო და უფრო ვრცელდება საბაღო და საბოსტნე კულტურები და აგრეთვე მევენახეობა. საცხენოსნო სამხედრო სამსახურის განვითარებასთან დაკავშირებით ფართოვდება მეცხენეობა, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს მემდელოების განვითარებას. ცალკეულ ოლქებში ფართოვდება მეცხვარეობაც, ხოლო ფრიზებში საგრძნობ განვითარებას ღებულობს მატყლის წარმოება (წმინდა მაუდი). სოფლის მეურნეობაში დაწყებული აღმავლობა თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე ანტიკურ აგროტექნიკურ ლიტერატურისადმი ინტერესის გაძლიერებაში; კაროლინგების ეპოქაში კვლავ იწყებენ კოლუმელას, პალადიუსის, პლინიუსის ტრაქტატების გადაწერას. დამახასიათებელია აგრეთვე ის, რომ სწორედ კაროლინგების ეპოქას მიეკუთვნება მამულების, უმთავრესად, სამონასტრო მამულების აღწერები; აგრეთვე ახლა ცალკეული სამეურნეო ინსტრუქციებიც იცემა, რომელთა ნიმუშებად შეიძლება გამოდგეს ეგრეთწოდებული კაპიტულიარი მამულების შესახებ (Capitulare de villis), რომელიც მიეწერება კარლოს დიდს, ანუ კორბის აბატის ადალარდის სტატუტები.

მსხვილი მიწათმფლობელობის ორგანიზაცია. ამ დროისათვის ჩამოყალიბებული მსხვილი მიწათმფლობელობა ერთგვაროვანი როდი იყო. მიწათმფლობელებს—მეფეს, საერო მაგნატებს და ეკლესიას—ხელთ ეპყრათ სულ სხვადასხვა მოცულობისა და ხარისხის მიწები. მათ შორის იყო მსხვილი მამულებიც, რომელთაც ეკავათ ერთიანი, საკმაოდ დიდი ტერიტორიები, და უფრო მცირე მამულები, რომლებიც შეადგენდნენ მხოლოდ ნაწილს რამდენიმე მემამულისადმი კუთვნილ მამულისას. ეს შეიძლება ყოფილიყო ცალკეული მამულები თვით სოფლებში ხან მცირე მამულების, ხან ცალკეული ყომლთა ან კიდევ უფრო წვრილი ნაკვეთების სახით, რომლებიც გაფანტუ-

ლი იყო ერთ თემ-მარკის სოფლის ტერიტორიაზე, სხვა მესაკუთრეთა, მათ შორის აგრეთვე თავისუფალ გლეხთა მამულების გვერდით. ერთის ხელში მოქცეულ ადგილმამულის ასეთი მრავალსახეობა გამოხატავდა სხვადასხვა სტადიას იმ პროცესისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მანამდე თავისუფალ სოფელში მსხვილი მესაკუთრის ჩასახლებასთან დაკავშირებით. ეს მსხვილი მესაკუთრე თავს უყრიდა სულ უფრო მეტის რაოდენობით წვრილ ნაკვეთებს, ჰქმნიდა მათგან მამულს, გადაცვლისა და შესყიდვის გზით აფართოებდა და ამრგვალებდა სამფლობელოს და, ბოლოს, მთელ სოფელს საბატონო სოფლად, თავისი ფეოდალური მამულის ნაწილად აქცევდა.

დასასრულ, მიწის მსხვილ კომპლექსებში, განსაკუთრებით მეფის მიწათმფლობელობის შემადგენლობაში, უკვე დამუშავებულ მიწებთან ერთად ტყეების მსხვილი მასივებიც შედიოდა, რომელთაც, უმთავრესად, ღორების საძოვრად იყენებდნენ, და რომლებიც იძლეოდნენ მეურნეობაში საჭირო ხეტყის მასალას, და ადგილ-ადგილ უკვე გაჩეხილი იყვნენ მრავალრიცხოვან ახოებად სხვადასხვა კულტურისათვის.

მამული. განვიხილოთ პირველ ყოვლისა მსხვილი მამულის აგებულება. კაროლინგების ეპოქიდან ჩვენამდე მოაღწია მამულების ცალკეულმა აღწერებმა, ეგრეთწოდებულმა პ ო ლ ი პ ტ ი კ ე ბ მ ა; მათგან ყველაზე უფრო ცნობილია სენ-ჟერმენის მონასტრის პოლიპტიკი. ეს მონასტერი მდებარეობდა შუა საუკუნეების პარიზის გარეუბანში. აღწერები გვიხატავენ მამულის აგებულების კონკრეტულ სურათს კაროლინგების ეპოქაში.

ამ ეპოქის მსხვილი მამული, მეროვინგთა მამულის მსგავსად, ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: საბატონო კარმიდამოსაგან საბატონო მიწით და საბატონო სოფლისაგან დამოკიდებული გლეხობის მიწის ნაკვეთებით.

საბატონო მიწა. კარმიდამოს საბატონო ნაწილი (mansus indominicatus, terra salica, terra dominica) შედგებოდა საბატონო კარმიდამოსაგან სახლით და სამეურნეო ნაგებობებით, რომელთა შორის იყო ადგილობრივ ხელოსანთა სახელოსნოები — კაცთა და ქალთა (გინეკეები), რომლებიც ბატონის კარზე ამუშავებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. ბატონის კარზე იყო დამოკიდებული ერთი ან რამდენიმე წისქვილი, და აგრეთვე ადგილობრივი ეკლესია, რომელიც მემამულის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. ბატონის ეზოს ეკვროდა ბაღი, ბოსტანი და ზოგჯერ ვენახიც. საბატონო ბაკებსა და საფრინველოებში ეწეოდნენ საქონლისა და ფრინველის მოშენებას

ბატონის ეზოსკენ შიიზიდებოდნენ საბატონო მიწის სხვადასხვა ნაკვეთები, რომლებიც ჩვეულებრივ გაფანტული იყო დამოკიდებულ მენაკვეთე გლეხობის ნაკვეთებს შორის, — სახნავი მიწები, ვენახები, ყორულები, და აგრეთვე ტყის და სხვა დაუმუშავებელი ადგილმამულის ერთიან მასივად მდებარე ფართობი, რასაც იყენებდნენ საბალახოებად და მამულის მთელი მოსახლეობის სხვადასხვა სამეურნეო საჭიროებისათვის. კულტურულ ადგილმამულთა ასეთი მიწადაქსაქსულობის პირობებში გაბატონებული იყო იძულებითი თესლბრუნვა საქონლის საძოვრით ნასვენ მიწაზე.

საბატონო მიწის დამუშავება ნაწილობრივ მოჯალაბე მონების შრომით ხდებოდა (provendarii, mancipia non casata), მაგრამ, უმთავრესად, თავისი ინვენტარით მომუშავე დამოკიდებული გლეხობის საბატონო ბეგარით. შემამულე ძალიან იშვიათად სარგებლობდა დაქირავებული შრომით.

გლეხთა მიწის ნაკვეთები. გლეხობის მიწა დაყოფილი იყო ნაკვეთებად— მ ა ნ ს ე ბ ა დ, ანუ ჰ უ ფ ე ბ ა დ, რომელთაგან თითოეული სასოფლო კომლისაგან შესდგებოდა, სახლითა და სამეურნეო ნაგებობებით (ზოგჯერ მას ეკუთვნოდა ბოსტანი ან ვენახი), და სახნავი მიწის ცალკეული ნაკვეთებისაგან, ვენახისა და მდელოსაგან, რომლებიც გაფანტული იყო მამულის ტერიტორიაზე ალაგ-ალაგ სხვა გლეხობისა და თვითონ მემამულის ნაკვეთებს შორის. გარდა ამისა, თითოეულ გლეხს უფლება ჰქონდა ესარგებლნა სათემო საძოვრებითა და ტყით. ამგვარად, თემი-მარკა იძულებითი თესლბრუნვით და მთელ რიგ ადგილმამულთა თემური გამოყენებით არ გამქრალა მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდასთან ერთად, არამედ იმ დამოკიდებულ გლეხთა ბატონყმურ თემად იქცა, რომლებიც სასოფლო ყრილობებზე სწყვეტდნენ თავის სამეურნეო საქმეებს, ამასთან იძულებითი თესლბრუნვის ბატონობის გამო ასეთი თემის სამეურნეო განწესს თვითონ მემამულეც უნდა დამორჩილებოდა.

გლეხთა ნაკვეთები თავისი სიდიდით მეტად მრავალფეროვანი იყო: დაწყებული ხნულის ან ვენახის მეტად მცირე ნაკვეთიდან, სადაც პატარა ქოხი იდგა, გათავებული დიდი საგლეხო ნაკვეთებით 15 ჰექტარი ფართობით. მრავალ შემთხვევაში თითოეული ასეთი დიდი ნაკვეთი რამდენიმე გლეხის ოჯახს ეკავა — ეს იყო შედეგი დიდი გლეხური ოჯახის დაშლისა, რომელიც წინათ სჭარბობდა ფრანკთა საზოგადოებაში და რომლის კვალიც აქა-იქ შერჩენილ იქნა საფრანგეთში თვით XVIII საუკუნემდე. მაგრამ ჩრდილოეთში, მკვიდრ ფრანკთა ოლქებში, გლეხთა ნაკვეთები, უფრო დიდი, ვიდრე სამხრეთში და საფრანგეთის ცენტრში, მუდმივი სიდიდისა იყო, ყოველ შემთხვევაში ცალკეული მამულის ფარგლებში. ასეთი ნაკვეთის ჩვეულებრივი სიდიდე ჩრდილოეთში დაახლოებით 15 ჰექტარს უდრიდა. როგორც სჩანს, აქ; ჩრდილოეთში, უფრო დიდხანს იყო შემონახული გლეხის დიდი ოჯახიც.

დამოკიდებული გლეხობის კატეგორიები. კაროლინგების ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო აგრეთვე მიწაზე მიმაგრებული დამოკიდებული გლეხობის უფლებრივი (წოდებრივი) მდგომარეობა. მისი ძირითადი ჯგუფები იყვნენ კ ო ლ ო ნ ე ბ ი (coloni, ingenui), ლ ი დ ე ბ ი (lidi) და ს ე რ ვ ე ბ ი (servi casati). მათ შორის ყმა გლეხობის მთავარ მასას კოლონები შეადგენდნენ. მაგალითად, სენ-ჟერმენის მონასტრის მიწებზე, რომლებიც უმთავრესად პარიზის მიდამოებში მდებარეობდა, დამოკიდებული გლეხობის 2788 ოჯახზე კოლონების 2080 ოჯახი მოდიოდა.

კოლონები, მონებისაგან განსხვავებით, თავისუფალ ადამიანებად ითვლებოდნენ, მაგრამ ისინი როდი იყვნენ დამოუკიდებელნი. კოლონს უფლება არ ჰქონდა თავისი ნაკვეთიდან წასულიყო; ამ შემთხვევაში მას სდევნიდნენ და უკანვე აბრუნებდნენ ძალით ანდა სასამართლოს განაჩენით. მაშასადამე, კო-

ლონი თავისი მემამულისაგან საადგილმამულო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, მისგან დაკავებული მიწა კი — კოლონის სამემკვიდრეო სარგებლობაში.

მონები, როგორც დავინახეთ, ორი კატეგორიის იყვნენ: მოჯალაბე მონები, რომლებიც სანოვაგეს ბატონის კარზე ღებულობდნენ და არ გააჩნდათ ნაკვეთები, და მონები, რომლებიც მიმაგრებული იყვნენ მიწაზე (servi casati). თუ პირველნი ჯერ ისევ საკუთრების საგანს წარმოადგენდნენ, მათ ყიდულობდნენ, გააჩუქებდნენ და მემკვიდრეობით უანდერძებდნენ, ხოლო მათ ქონებას (peculium) იხილავდნენ, როგორც ბატონის საკუთრებას, მიწაზე დაფუძნებული სერვები უკვე მიწაზე მიმაგრებულად ითვლებოდნენ და არ შეიძლებოდა განსხვისებულიყვნენ უმიწოდ, რადგან ისინი სამემკვიდრეო კავშირში იყვნენ მასთან.

ფრანკთა საზოგადოებაში უფლებრივად მეტად მრავალფეროვან მასას წარმოადგენდნენ გაზატებულნი. განთავისუფლებისას სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ ის თავდახსნილები, რომლებსაც უწოდებდნენ denariales და cives romani. მათგან პირველთ ანთავისუფლებდნენ მეფის (იმპერატორის) თანდასწრებით, ამასთან განთავისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა ბატონის მიერ ხელიდან ფულის (დენარის) გაგდებინება იმ მონისათვის, რომელსაც ანთავისუფლებდნენ; აქტს ამოწმებდნენ მეფის სიგელით. ასეთი გაზატებული შემდგომ განუსაზღვრელი თავისუფლებით სარგებლობდა. დაახლოებით ასეთი მდგომარეობა ეკავათ აგრეთვე cives romani (თავდაპირველად თავდახსნილებს რომის სამართლის მიხედვით), რომლებიც ღებულობდნენ მათი თავისუფლების დამადასტურებელ განსაკუთრებულ სიგელს.

გაზატებულთა დანარჩენი კატეგორიები ამათუიმ პირის, ერისკაცის ან სასულიერო პირის, პატრონატს ქვეშ იმყოფებოდნენ და შუათანა მდგომარეობა ეკავათ კოლონებსა და სერვებს შორის; ისინიც მათებრ ღებულობდნენ მიწის ნაკვეთებს სამემკვიდრეო სარგებლობისათვის.

ნაკვეთების მფლობელთა წოდებრივი მდგომარეობის შესაბამისად თვითონ ნაკვეთებსაც განსაკუთრებული სახელები ეწოდებოდათ: მანსები თავისუფალი კაცისა, ლიდებისა, მონებისა (mansi ingenuiles, mansi lidiles და mansi serviles), თუმცა დროთა განმავლობაში შესაძლო იყო ამ მანსების მქონებელთა მდგომარეობა შეცვლილიყო. სენ-ჟერმენის მონასტრის მიწებზე IX საუკუნეში ითვლებოდა 1430 თავისუფალი მანსი, 191 მონის და სულ 25 ლიდის მანსი. ამ ნაკვეთებს გარდა, რომელთაც მანსები ეწოდებოდა, არსებობდა კიდევ ნაკვეთების მცირერიცხოვანი კატეგორია, რომლებიც მეტწილად ძლიერ მცირე სიდიდისა იყვნენ, იწოდებოდნენ hospitia-დ და არ შედიოდნენ მანსების ძირითად სისტემაში; ამ ნაკვეთების მფლობელობას, როგორც სჩანს, არ ჰქონდათ მემკვიდრეობითი ხასიათი და ხშირად მაინ იკავებდნენ მოსული ადამიანები — ჰოსპიტები (hospites).

თვითონ მამულის ყმა-მოსახლეობის გარდა, მსხვილი მიწათმფლობელი იმუნისტის მიწები ხანდახან მისგან დამოუკიდებელ თავისუფალ ელემენტებ-

საც ეკავათ. მაგრამ მსხვილმფლობელთა მიწების მქონებელთა ძირითად მასას ყმები შეადგენდნენ.

დამოკიდებული გლეხობის ბეგარა. მემამულის მიწის ამღები ყველა ვალდებული იყო ეხადა სხვადასხვა სახის საბატონო ბეგარა და ეძლია ღალა.

განსაკუთრებით დიდი იყო სერვების საბატონო ბეგარა; ისინი მთელ რიგ შემთხვევაში ვალდებული იყვნენ ემუშავნათ მამულის საბატონოდ განკუთვნილ ნახევარზე კვირაში სამ დღეს (დანარჩენ დროს თავისთვის მუშაობდნენ), თუმცა სერვების მცირე ნაწილს აწყობდნენ მიწაზე კიდევ უფრო მძიმე პირობით — ემუშავნათ მემამულისთვის, „რამდენსაც მათ უბრძანებდნენ", ვადის განუსაზღვრელად. კოლონებიც აგრეთვე ვალდებული იყვნენ ემუშავნათ საბატონო ბეგარაზე ორი-სამი დღე კვირაში, მაგრამ საბატონო ბეგარის ჩვეულებრივ ფორმას კოლონებისათვის წარმოადგენდა ნაჭრობლივი ბეგარა—ვალდებულება დაემუშავებინათ მემამულის სასარგებლოდ ხნულის ან ვენახის განსაზღვრული ნაკვეთი და აეღოთ მისგან მოსავალი, შეესრულებინათ საურმე ბეგარა, მოეჭრათ ტყე და ა. შ.

გარდა საბატონო ბეგარისა, მემამულის მიწის მქონებელნი ვალდებული იყვნენ ეხადათ ღალა, მეტწილად ნატურალური ფორმით. ეს იყო მარცვლეულის ან ფქვილის, ღვინის, ლუდის, ქათმებისა და კვერცხის და ზოგჯერ გოჭების ან ცხვრების განსაზღვრული რაოდენობა. უფრო იშვიათად ღალას ფულადი ფორმით იხდიდნენ, თუმცა საყოველთაო ღალას (capaticum), რომელსაც პირადად დამოკიდებულ მოსახლეობას ახდევინებდნენ, ჩვეულებრივ ფულადი ფორმით ანგარიშობდნენ (4 ან 2 დინარი). მამულის ქალთა მოსახლეობაც აგრეთვე იხდიდა სპეციალურ ბეგარას მემამულისათვის ტილოს ან შალეული ნაწარმის დასამზადებლად. მამულის მოსახლეობა განსაკუთრებულ ღალას იხდიდა ბატონის ტყით ან საძოვრით სარგებლობისათვის.

ასეთი იყო მემამულეთა მიწების ბატონყმური ნაკვეთებით სარგებლობა. მაგრამ გარდა ამისა, მსხვილ მიწათმფლობელთა მიწების ნაწილს უფრო პრივილეგირებულ სარგებლობის პირობით გადასცემდნენ, პრეკარიუმებსა და ბენეფიციუმებში, რომელთა რიცხვიც ყველაზე ძლიერ მაგნატებთან ფრიად მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ მნიშვნელოვანი იყო ის მიწებიც, რომლებიც განკუთვნილი იყო ყმების სარგებლობისათვის. მაგალითად, კაროლინგების ეპოქაში მხოლოდ მცირე მონასტრები ფლობდნენ 200 — 300 გლეხურ მანსს, საშუალო სიდიდის მონასტრები — 1 — 2 ათასს, ხოლო ყველაზე დიდი მონასტრების ქონება 8 და მეტ ათას მანსს აღწევდა.

კაროლინგების ეპოქაში მთელი ამ საბატონო ანუ დამოკიდებული მასის საკმაოდ მძიმე ბეგარის მოწესრიგება უკვე ადათის მიხედვით ხდებოდა და ზშირად განსაკუთრებულ აღწერის დავთრებშიც კი (პოლიპტიკებში) შეჰქონდათ; ბეგარის ყოველგვარი გადიდება უკვე არაკანონიერად ითვლებოდა. მაგრამ სხვადასხვა ბეგარის ეს სტაბილიზაცია გაპირობებული იყო ნამდვილი კლასობრივი ბრძოლით, რომლის მხოლოდ ცალკეული ეპიზოდების შესახებ ჩარის დარჩენილი მწირი ცნობები სხვადასხვა წყაროებში.

გლეხთა აჯანყებები. პირველ ყოვლისა, კაროლინგების კაპიტულიარიები სავსეა ცნობებით გაქცეულების, მაწანწალების შესახებ, რომლებიც დაძრწიან ქვეყნად; კაპიტულიარები მოითხოვს, რათა გაქცეული ყმები დაუბრუნონ მათ ბატონებს. მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენ ვიცით ნამდვილი აჯანყებებიც. კარლოს დიდმა სასტიკად ჩაახშო ერთი ასეთი აჯანყება სოფელ სელტში, რომელიც რეიმსის ეკლესიას ეკუთვნოდა. ეს სოფელი წინათაც აჯანყებულა, ეპისკოპოს რემიგიუსის, მეფე ხლოდვიგის თანამედროვის დროს, და ამიტომ ჩვენი წყარო სოფელ სელტის მცხოვრებთ „ძველის-ძველ მოჯანყეებად და მეამბოხეებად“ იხსენიებს. აჯანყებულებმა მოჰკლეს მოურავი, მათაც სასტიკად გაუსწორდნენ: მოთავენი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო დანარჩენთ მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება. მაინცის საეპისკოპოსოს ყმების ასეთივე აჯანყებები ჩაქრობილ იქნა 848 და 866 წწ. ლუდოვიკო ღვთისნიერი 821 წლის კაპიტულარიუმში ლაპარაკობს უკანონო შეთქმულებათა და კავშირების შესახებ, რომელთაც ადგენდნენ ყმები ფლანდრიაში, და მათ ბატონებს პასუხისმგებლად ხდის მომავალში მშვიდობიანობის შესაძლო დარღვევისათვის. დასასრულ, ფართო ხასიათი მიიღო საქსონიაში 841 — 842 წწ. დამოკიდებული გლეხობის აჯანყებამ ლუდოვიკო ღვთისნიერის შვილების შინაბრძოლის დროს. მემამულეთა მიერ ფრანკთა ადმინისტრაციის შემწეობით დაყმეული საქსონიის გლეხობა აჯანყდა თავისი ბატონებისა და ფრანკთა ახალი ფეოდალური წესების წინააღმდეგ; გლეხებმა თავის-თავს „სტელინგი“ (ძველი გერმანული სიტყვა, რაც ნიშნავს საიდუმლო კავშირს) უწოდეს, განდევნეს ბატონები და „იწყეს ძველებურად ცხოვრება“. ეს აჯანყება ჩაქრობილ იქნა ლუდოვიკო გერმანელის მიერ. დაბოლოს, ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ პროტესტის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა გლეხების მხარდაჭერა ნორმანებისათვის, რომლებიც IX საუკუნის დასაწყისიდან არბევენ და ანადგურებენ ფრანკთა სახელმწიფოს ზღვისპირა ოლქებს. ქრონიკები ამისათვის სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ყმებს და „სიმართლისა და მშვიდობიანობის მოძულად“ მიიჩნევენ მათ. ქრონიკების სიტყვით, ნორმანებისაგან ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ ეკლესია-მონასტრების წინააღმდეგ ძალადობისაგან თავს იკავებდა. ამგვარად, ყმა მოსახლეობის ბეგარის ფიქსაცია კაროლინგების ეპოქაში, ეჭვს გარეშეა, ამ არათავისუფალი მასების საშიშარი ყოფაქცევით იყო გაპირობებული.

წარმოების ნატურალური ხასიათი. წარმოება კაროლინგების მამულში ნატურალურ ხასიათს ატარებდა: ბატონის კარის, ზოგჯერ მეტად ვრცელის და დიდის, როგორიც იყო მეფის კარი, გრაფის ან მონასტრის კარი, შენახვა წარმოების მთავარ ამოცანას შეადგენდა. დამახასიათებელია, რომ თვითონ კარლოს დიდი ერეოდა მეურნეობის მართვა-გამგეობის წვრილმანებში. მეფის კარი პერიოდულად ერთი მამულიდან მეორეში გადადიოდა და თითოეულში დამზადებულ მარაგს ხმარობდა. ხელობა ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი სოფლის მეურნეობიდან, და ხშირად თვითონ საყმო მანსების მოსახლეობა ეწეოდა მას; ზოგჯერ ბატონის კარზე იმყოფებოდნენ ცალკეული ხელოსნები, რომლებიც არა მხოლოდ მემამულეების მომსახურეობას ეწეოდნენ, არამედ მამულის დანარჩენი მოსახლეობის მოთხოვნილებებსაც აკმაყოფილებდნენ. გასაყიდად

ბაჰქონდათ წარმოების ნამეტი, რაც ბატონის კარზე გაუხმარებელი რჩებოდა. მაინც კაროლინგების ეპოქაში ვაჭრობას გამოცოცხლება ემჩნევა. ვითარდება ადგილობრივი ბაზრების ქსელი; პიპინის სიგელით 759 წელს არსდება წმ. დიონისეს ბაზრობა პარიზთან, რომელიც 4 კვირას გრძელდებოდა, „რათა მასზე მისვლისა და თავმოყრის საშუალება მისცემოდათ ესპანეთის, პროვანსის, ლომბარდიისა და სხვა ოლქების ვაჭრებს.“ გამოცოცხლებას იწყებს საგარეო ვაჭრობაც, რომლისთვისაც საზღვარზე საბაჟოების ქსელი არსდება; ვითარდება სავაჭრო ურთიერთობა ბრიტანეთთან და აღმოსავლეთთანაც კი. წესდება ზომაწონის რეგლამენტაცია, შემოაქვთ ფულის ახალი სისტემა: ნაცვლად ოქროს ფულისა, პიპინის დროიდან ხმარებაში შედის ვერცხლის ფული, და ფულის მოჭრა კვლავ მეფის მონოპოლიად იქცევა, რაც მეროვინგების დროს გაუქმებული იყო.

კაროლინგთა იმპერიის კლასობრივი საფუძვლები. კაროლინგთა უზარმაზარი იმპერია სრულიად სხვადასხვა ტომობრივ წარმოსახულებათა რთულ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომლებიც ერთმანეთისაგან თავისი საზოგადოებრივი განვითარების დონითაც განირჩეოდნენ. ყველა ისინი ფეოდალიზაციის პროცესის სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენდნენ. იმ დროს, როდესაც ნეისტრია ძველი ფეოდალიზებული ოლქი იყო, რომელშიაც მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარება სჭარბობდა და მამული იყო მთელი საზოგადოებრივი წყობის საფუძველი, ავსტრაზია ჩვენ გვევლინება, როგორც ფეოდალიზაციის თვალსაზრისით უფრო ახალგაზრდა ტერიტორია, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად შემონახული წვრილი და საშუალო მიწათმფლობელობით და თავისუფალი სოფელი-მარკით; დასასრულ, ისეთი ოლქები, როგორც საქსონია, ფეოდალიზაციის ამ პროცესის, ძველ საგვარტომო ურთიერთობათა დაშლის, კლასების წარმოქმნისა და ახლად ჩამოყალიბებულ ფეოდალ-მემამულეთა კლასის მიერ მანამდე თავისუფალი გლეხობის დაყმევის დასაწყის სტადიებს წარმოადგენდნენ.

კაროლინგთა იმპერიის წარმოქმნის პროცესი ფეოდალ-მემამულეთა ახლად ჩამოყალიბების პროცესში მყოფ კლასის სასარგებლოდ მიმდინარეობდა, და, პირველ ყოვლისა, ამ კლასის იმ ფენის, რომელიც კაროლინგების დინასტიის ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა, — წვრილ და საშუალო მიწათმფლობელთა, მეფის ვასალთა — ბენეფიციარიების ფენის სასარგებლოდ, რომლებიც ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას საჭიროებდნენ. ამ სოციალური ფენის მოთხოვნილება მიწისა და მუშა-ხელის მხრივ ფართო დაპყრობით პოლიტიკას უნდა დაეკმაყოფილებინა. ამიტომ იყო, რომ ფრანკთა მიერ დაპყრობას, მაგალითად, საქსონიაში, თან სდევდა მიწების დიდი კონფისკაციები და მათზე ფრანკ ვასალების მოთავსება. ეს დაკავშირებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი წაყვანასა და ფრანკთა სახელმწიფოს შიგნით განლაგებასთან. მეორე მხრივ, ფრანკთა მიერ დაპყრობა ჩვეულებრივ დამორჩილებულ ოლქებში ფრანკთა ადმინისტრატიული ორგანიზაციის შემოღებასა და ფრანკ ადმინისტრატორთა ნამდვილ ექსპორტს უკავშირებდნენ. ასე იყო, მაგალითად, 782 წელს იტალიაში მეფის შვილის პიპინის მთავრობის ორგანიზაციის დროს, როცა ფრანკ დიდებულთა მნიშვნელოვანი

რიცხვი გაგზავნილ იქნა იქ ადმინისტრატიულ თანამდებობათა შესანაცვლებლად და დასაკავებლად, ასე რომ მეფის კარზე ერთხანს საგრძნობი იყო მომზადებული ადამიანების ნაკლებობა.

ფრანკთა მიერ დაპყრობამ ხელი შეუწყო ფეოდალიზაციის პროცესის დაჩქარებას დაპყრობილ ოლქებში. ერთიანი ფრანკთა ადმინისტრაციის და ბენეფიციუმის ინსტიტუტების, ვასალიტეტისა და იმუნიტეტის შემოღების გარდა, ამას ხელი შეუწყო აგრეთვე მოსახლეობის ქრისტიანიზაციამ და ერთფეროვანი საეკლესიო ორგანიზაციის შემოღებამ. ადგილობრივი წარმართული კულტების ადგილს, რომლებიც ადგილობრივი ტომობრივი დამოუკიდებლობის სიმბოლოს წარმოადგენდნენ, ერთიან ფრანკთა იმპერიაში გაბატონებული ქრისტიანული კულტი და საეკლესიო ორგანიზაცია იკავებენ, რომელთა სათავეში, საერო ადმინისტრატიული ორგანიზაციის მსგავსად, იმპერატორის კარი იდგა. უნიფიკაციის ამ პროცესს არ ეწინააღმდეგებოდა ცალკეულ ოლქებში ტომური სამართლის შენარჩუნება, მისი კოდიფიკაციაც კი კაროლინგების ეპოქაში, რასაც ადგილი ჰქონდა საქსონიაში, ტიურინგიაში, ფრიზიაში, ნაწილობრივ ბავარიაში (საქსონიის, ტიურინგიის, ფრიზიის სამართალი ბავარიის კანონდების ახალი რედაქცია); ეს ტომური სამართალი უკვე გამოსახავდა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების საერთო პრროცესს ამ ოლქებში.

ფრანკთა მიერ დაპყრობის ასეთი ხასიათი განსაზღვრავდა დამორჩილებულ ოლქთა ცალკეული კლასების სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას ფრანკთა ბატონობისადმი. ლანგობარდების სამეფოსა და ბავარიაში ადგილობრივი დიდკაცობა ხშირ შემთხვევებში თანაუგრძნობდა ფრანკთა მიერ დაპყრობას, რამაც დააჩქარა როგორც მეფე დეზიდერიუსის, ისე ჰერცოგ ტასილონის დამარცხება. საქსონიაში ადგილობრივი დიდკაცობა ღალატობს მასებს, გადადის ფრანკთა მეფის მხარეზე და მონაწილეობას იღებს იმ ახალ ადმინისტრაციის ჩამოყალიბებაში, რომელიც აძლიერებს ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარი დიდკაცობის ძალაუფლებას. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ძველი პრივილეგიების დაკარგვის შიშით ადგილობრივი ტომური დიდკაცობაც იძულებულია მონაწილეობა მიიღოს აჯანყებებში, მაგალითად, 786 წელს ტიურინგიაში, სადაც მოწყობილ იქნა ნამდვილი შეთქმულობა კარლოსის წინააღმდეგ. იმავე დროს ფრანკთა მიერ დაპყრობა საქსონიის თავისუფალი გლეხობისთვის დაყმევას მოასწავებდა; ამით აიხსნება, რომ იგი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ფრანკთა დაპყრობას.

იმპერიის ფეოდალური ხასიათი. ამ გზით შექმნილი სახელმწიფო გაერთიანება იმპერიის სახელს ატარებს. ასეთი იმპერია არსებითად უკვე წმინდა ფეოდალური დაწესებულებაა. ამ მხრივ დამახასიათებელია ფიცი, რომელიც 802 წელს დადებულ იქნა კარლოსის, როგორც იმპერატორის, წინაშე; მასში მოცემულია დაპირება ერთგულებისა, „რის მოვალეც არის ადამიანი (homo) თავისი ბატონისადმი“, სხვა სიტყვებით, ქვეშევრდომის ერთგულება იმპერიისადმი ემსგავსება ვასალის ერთგულებას თავისი სენიორისადმი. ვასალისა და სენიორის ურთიერთობა ახლა იმდენად გავრცელებული და ტი-

პიური ხდება, რომ თვით სახელმწიფო ურთიერთობანი ვასალურ ურთიერთობათა სახით არის წარმოდგენილი. ამასთან ერთად ვასალიტეტის იძულებითი მხრივ განვითარება აწესებს ქვეშევრდომობის მხრივ ყოველი ადამიანის ორმაგ დამოკიდებულებას თავისი უშუალო სენიორისაგანაც და იმპერატორისგანაც, ამასთან ორთავეს წინაშე ფიცს სდებენ ერთგულებაში.

ამ ფეოდალურ რეალობასთან სრულ კონტრასტში იმყოფება კაროლინგთა ეპოქის იდეოლოგია, რომელიც აღდგენილი იმპერიის სახით ცდილობს სისავსით იხილოს მოგვიანო რომის ეპოქის ძველი სახელმწიფო მისი თეოკრატიული ხასიათით. იმპერატორი წარმოდგენილია არა მხოლოდ ეკლესიის მეთაურად, რომელიც ნიშნავს და ხსნის ეპისკოპოსებს და აბატებს როგორც თავის „ერთგულთ“ და „ვასალებს“, არამედ უმაღლეს შუამავლადაც ცაში ღმერთსა და მიწაზე მისი იმპერიის ქვეშევრდომთა შორის.

აი, როგორ გამოხატავს კარლოსის 802 წლის კაპიტულიარი იმპერატორისათვის მიცემული ფიცის მნიშვნელობას: „დეე ყველას ჩაენერგოს, თითოეულს მისი შეგნებისდა მიხედვით, რარიგ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფიცს და რა ვალდებულებებს აკისრებს იგი, — არა მხოლოდ, როგორც ბევრს დღემდე ჰგონია, ვალდებულებებს, რათა დაიცვან ერთგულება ხელმწიფე იმპერატორისადმი, არ დაუშვან არავითარი მტერი მის სამეფოში, არ დაეხმარონ არავის, ვინც დაარღვია ერთგულება, და ხელი არ დაუფარონ მას, არამედ, — დეე ეს ყველამ უწყოდეს, აი კიდევ რა მნიშვნელობა აქვს ამ ფიცს: ჯერერთი, თითოეული თავისთვის პირადად ვალდებულია ემსახუროს ღმერთს მისი ბრძანებისამებრ და თანახმად თავისი დაპირებისა, შეგნებისა და თავის ძალღონის მიხედვით, ვინაიდან ხელმწიფე იმპერატორს არ შეუძლია იზრუნოს თითოეულზე ცალცალკე და ასწავლოს და შეაგნებინოს მას... ნურავინ გაკადნიერდება შეურაცხყოს ეკლესიები ღვთისა, ქვრივ-ობლები ან უცხოელები და წაართვას მათ მათი ქონება ძალით ან მოტყუებით, რამეთუ თვითონ ხელმწიფე იმპერატორი მამა ღმერთისა და მის წმინდათა შემდეგ დანიშნულია მათ დამცველად და მფარველად.“

თუ იმპერატორის ამ დარიგების პირველ ნაწილში ფიცი წარმოდგენილია წმინდა ფეოდალურ ცნებებში („ერთგულება“), მეორე ნაწილში უკვე ისეთი ამოცანები ისმება, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ეწინააღმდეგებიან მზარდი ფეოდალიზმის ინტერესებს, რომელიც თავის წარმატებებს სწორედ საზოგადოების სუსტი ელემენტების დაყმევაზე, ძალმომრეობისა და მოტყუების ფართოდ გამოყენებაზე ამყარებს. ამიტომ არავითარი რეალური გავლენა არ შეუხდენიათ აგრეთვე კაპიტულარიებში მოცემულ ხშირ აკრძალვებს ღარიბთა (pauperes) ყოველგვარ შევიწროებათა შესახებ, რასაც ფართოდ მიმართავდნენ ფრანკთა სახელმწიფოს ძლიერი ადამიანები. და ეს შინაგანი წინააღმდეგობა კაროლინგთა მთელ პოლიტიკას ახასიათებს.

ცენტრალური ხელისუფლების დროებითი გაძლიერება და მისი პოლიტიკა. თავდაპირველად, როდესაც კაროლინგებმა ხელთ იგდეს სახელმწიფო ძალაუფლება, საშუალო და წვრილ მიწათმფლობელთა, ხშირ შემთხვევებში მეფის ბენეფიციარიუმების ინტერესთა • სასარგებლოდ, რომლე-

ბიც ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას იყვნენ მოწყურებულ-ნი, ადგილი ჰქონდა ამ ხელისუფლების გაძლიერებას, რომელმაც განახორციელა ფართო სამხედრო ექსპანსია. მეფის, შემდეგ იმპერატორის სასახლე კვლავ სახელმწიფო ცხოვრების ცენტრად იქცა, რომელმაც ის-ის იყო ადგილობრივ ცენტრებად იწყო დაქუცმაცება ადგილობრივი მაგნატობის ინტერესთა სასარგებლოდ. ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებით ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდა ეკლესია, რომლის წარმომადგენლებსაც ფართოდ ებამდნენ სახელმწიფოს მართვაგამგეობაში. ადგილებზე უშუალო კონტროლის განსახორციელებლად მოძრაობაში მოჰყავთ მეფის ანუ იმპერატორის წარგზავნილთა ინსტიტუტი (missi dominici), რომლებიც მეფის ბრძანებით ჩვეულებრივ ორ-ორი (სასულიერო და საერო მაგნატები) მიმოდიოდნენ ფრანკთა იმპერიის ცალკეულ ოლქებში. ძლიერდება მეფის ბრძანებულებათა, ეგრეთწოდებული კ ა პ ი ტ უ ლ ა რ ი ე ბ ი ს პრაქტიკა, რომლებიც თავისი მაორგანიზებელი ზემოქმედებით ცდილობდნენ მოეცვათ უზარმაზარი სახელმწიფოს ცხოვრების ყველა მხარე. ასეთი კაპიტულარიები იცემა ცენტრალური ხელისუფლების მიერ მაგნატობასთან შეთანხმებით, რომელიც წელიწადში ორჯერ იკრიბება იმპერატორის კარზე. ახლა სამხედრო დათვალიერება გადააქვთ მაისის თვეში (ეგრეთწოდებული „მაისის მინდვრები"). იმასთან დაკავშირებით, რომ ცხენოსანი ჯარის — ამ ახალი სამხედრო წყობის საფუძვლის — ინტერესები მოითხოვს სამხედრო შეკრებას იმ დროისათვის, როცა ბალახი საკმაოდ წამოიზრდება. ტარდება სამხედრო რეფორმა, რომლითაც სამხედრო სამსახურის ბაზა, რომელსაც საყოველთაო ლაშქარში რომ იწვევდნენ, გადადის წვრილ და საშუალო მიწათმფლობელებზე, რომელთაც „უკავიათ" არა ნაკლებ 3-4 მანსისა, მაშინ როდესაც ნაკლებ შეძლებულნი შეადგენენ ჯგუფებს, რომლებსაც საერთო ანგარიშით ერთი შეიარაღებული მებრძოლი გამოჰყავთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხდება აღდგენა ფულის მოჭრის სახელმწიფო მონოპოლიისა.

მაგრამ ეს დროებით გაძლიერებული ცენტრალური ხელისუფლება იძულებულია დაეყრდნოს სულ უფრო მზარდი ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარ ადგილობრივ მოსახლეობას. როდესაც იმპერატორის ხელისუფლება თავის ინტერესების სასარგებლოდ ცდილობდა გამოეყენებინა ვასალიტეტი და იმუნიტეტი და გადაექცია ისინი იმპერიის პოლიტიკური ორგანიზაციის ორგანოებად, ამით იგი მომავალში თავის საკუთარ დაუძლურებას განიმზადებდა.

იმპერიის ძირითად ადმინისტრატიულ ერთეულს, ისე როგორც მეროვინგთა ეპოქაში, წარმოადგენდა ს ა გ რ ა ფ ო, მეფის მიერ დანიშნულ გრაფით სათავეში, რომელიც განაგებდა სასამართლოს, ფინანსებს და სამხედრო საქმეს; გრაფი თავის სასარგებლოდ ღებულობდა სახელმწიფო შემოსავლის მესამედს და მას მისი სამსახურის განმავლობაში ჩვეულებრივ ასაჩუქრებდნენ კიდევ მიწის ბენეფიციუმებით, რისთვისაც იგი სპეციალურ ვასალურ ფიცს სდებდა მეფის წინაშე. საგრაფო თავის მხრივ იყოფოდა ა ს ე უ ლ ე ბ ა დ, გრაფების მიერ დანიშნულ ასისთავებით, ანუ ტუნგინებით, სათავეში.

იმპერიის განაპირა მხარეებში არსებობდნენ განსაკუთრებული სამხედრო ოლქები, ეგრეთწოდებული მ ა რ კ ე ბ ი, რომელთა სათავეში იდგნენ მარკგრა-

ფები (ესპანეთის, ბრეტონის, ფრიულის, პანონიის ანუ ბავარიის, დანიის და სორბიის ოლქები). დანარჩენ განაპირა ოლქებში, რომლებიც დიდი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, მაგალითად, ბრეტანსა და გასკონში და იტალიის ზოგიერთ ნაწილში, ჯერ კიდევ განაგრძობდნენ არსებობას აგრეთვე სატომო ჰერცოგები, ტომის სამხედრო წინამძღოლები.

ადგილობრივი მმართველობის ფეოდალიზაცია. ფეოდალიზაციის პროცესი ადგილობრივ მმართველობაში გამოიხატებოდა იმაში, რომ, ერთი მხრით, გრაფები, რომლებსაც ნიშნავდნენ მეროვინგთა ეპოქაში ზოგჯერ მეფის მონების რიცხვიდანაც კი, ადგილობრივი მსხვილი მიწათმფლობელები ხდებიან, რომელნიც ცდილობენ დაიმკვიდრონ სახელმწიფო მიწები (ბენეფიციუმები). ძალადობისა და ადგილობრივი მოსახლეობისაგან გამოძალვის გზით, თავისი მდგომარეობის გამოყენებით, ისინი ცდილობენ შეიძინონ მიწის მნიშვნელოვანი საკუთრება. გრაფები სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხდებიან ცენტრალური ხელისუფლებისაგან, რომელთან კავშირიც თანდათანობით უბრალო ვასალურ ურთიერთობათა ხასიათს ღებულობს. გრაფის თანამდებობის მემკვიდრეობით გადასვლის დაწესებამ, რაც დადასტურებულ იქნა კერსიის 877 წლის კაპიტულარით, კიდევ უფრო გააძლიერა გრაფის ფეოდალური დამოუკიდებლობა. წინათ ჩვენ დავინახეთ, რომ თავდაპირველად მსხვილ მიწათმფლობელ-იმუნისტის კერძო უფლებამ ,ახლა საჯარო-უფლებრივი ხასიათი მიიღო, მსგავსად იმისა, როგორადაც სენიორატიც აგრეთვე სავალდებულო შეიქნა და თითქოს საჯარო-უფლებრივი ხასიათის ორგანოდ იქცა; პირიქით, გრაფის როგორც სახელმწიფო აგენტის, არსებითად საჯარო-უფლებრივმა ხელისუფლებამ ახლა თვითონ მიიღო სენიორატის ხასიათი: გრაფი ხდება თავისი საგრაფო ოლქის სენიორად, საგრაფოს თავისუფალი მოსახლეობა კი— მის ვასალებად, ისე როგორც თვითონ ისიც იქცა მეფის ანუ იმპერატორის ვასალად, მისი თანამდებობა კი — ბენეფიციუმად, ან ფეოდად. და „თუ მეფის მრავალრიცხოვან ბენეფიციარიებში ჩვენ ვამჩნევდით მომავალი თავადაზნაურობის დასაწყისებს, აქ, — აღნიშნავს ენგელსი, — სჩანს იმ უგვიანეს მთავართა (Landesherren) ტერიტორიული სუვერენიტეტის ჩანასახი, რომლებიც ოლქების გრაფებისაგან წარმოიშვნენ".[1]

საგრაფო ოლქის ფეოდალიზაციის მეორე მომენტს წარმოადგენს საგრაფოთა და ასეულთა კრებებში სკაბინეების (შეფენების) ინსტიტუტის წარმოქმნა, რომლებმაც შესცვალეს მეროვინგთა რახიმბურგები. თუ უკანასკნელნი ყველაზე შეძლებული და გავლენიანი ადამიანები იყვნენ ოლქში და რახიმბურგთა კოლეგიის წევრების სახით უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საგრაფოს და ასეულის კრებებში, ახლა ასეთი ფუნქცია იქცევა თანამდებობად, რომელიც მემკვიდრეობითი ხდება; სკაბინები ახლა გრაფისა და „ხალხის" მონაწილეობით მეფის წარგზავნილებად ინიშნებიან ოლქის ყველაზე შეძლებულ მიწათმფლობელთა წრიდან.

ასე დამთავრდა კაროლინგთა იმპერიის ფეოდალიზაცია.

---

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. XVI, ნაწ. I, გვ. 409.

3. კაროლინგთა იმპერიის დაშლა

ლუდოვიკო ღვთისნიერი. კარლოსის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი ლუდოვიკო (814—840 წწ.), რომელსაც ეკლესიისადმი მფარველობის გამო მეტსახელად ღვთისნიერი უწოდეს.

მის დროს დამთავრდა ბრეტანის დაპყრობა. რამდენიმე ლაშქრობა მოეწყო სლავების წინააღმდეგ ულბის იქით და დანიის მოსახლეობაში გავრცელებულ იქნა ქრისტიანობა. ამან განამტკიცა ფრანკთა სახელმწიფოს გავლენა დანიელთა შორის.

ლუდოვიკო ღვთისნიერის მეფობის დასაწყისში ჩვენ ვამჩნევთ ცენტრალური ხელისუფლების ერთგვარ გაძლიერებას, რომელიც კარლოს დიდის მეფობის დასასრულს დაცემას განიცდიდა. გაძლიერდა მეფის წარგზავნილთა მნიშვნელობა. ამ დროს ისინი ძალიან ფართოდ იგზავნებოდნენ მთელ იმპერიაში. ჩახშობილ იქნა ზოგიერთი მაგნატების ცდა ჩამოეშორებინათ იტალია იმპერიისაგან. იმპერატორის დისწული ბერნარდი, რომელმაც მოაწყო აჯანყება იტალიაში, გაწვეულ იქნა ლუდოვიკოს კარზე, სადაც მას სასტიკად გაუსწორდნენ — თვალები დათხარეს, რის შედეგად გარდაიცვალა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ლუდოვიკო ღვთისნიერის მეფობის პირველ წლებში ცენტრალური ხელისუფლება დროებით გაძლიერდა, ფეოდალიზაციის პროცესი სულ უფრო და უფრო წარმატებით, მიმდინარეობდა; ცენტრალური ხელისუფლების საზიანოდ სულ უფრო ძლიერდებოდა ადგილობრივ სენიორთა ხელისუფლება. ფეოდალიზაციის წარმატებები გარდუვალს ხდიდნენ იმპერიის პოლიტიკურ დაქუცმაცებას. უკვე 817 წელს იმპერია მართვის მხრივ დანაწილებულ იქნა ლუდოვიკოს შვილებს შორის. პიპინმა მიიღო შუა და სამხრეთ გალიის აქვიტანიის მიწები. მეორე შვილს, ლუდოვიკოს (შემდეგში გერმანელს), ერგო ბავარია მასთან მომიჯნავე მარკებით (სამხედრო ოლქებით), ხოლო უფროსი შვილი ლოტარი ლუდოვიკო ღვთისნიერის მემკვიდრე და თანამმართველი შეიქნა. დანარჩენი ძმები მას უნდა დამორჩილებოდნენ.

817 წლის „გაყოფა“ არსებითად წარმოადგენდა იმპერიის მთლიანობის შენარჩუნების ცდას წინააღმდეგ სამხრეთ გალიისა და რაინს-გადაღმა ოლქების მაგნატთა სეპარატისტული მისწრაფებისა. ამ მთლიანობის გამოხატულება უნდა ყოფილიყო იმპერიის ამ ნაწილთა მმართველობის — უმცროსი ძმების — დამორჩილება ლუდოვიკო ღვთისნიერის უფროსი შვილის ლოტარისადმი. მაგრამ ასეთმა სისტემამ ადგილობრივი მაგნატების მხრივ უძლიერესი ოპოზიცია გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით 833 წელს მოხდენილ იქნა იმპერიის ხელახალი დაყოფა, ამასთან ლოტარს, მის სამფლობელოებს გარდა, დარჩა მხოლოდ ტიტული და არა უფლება იმ ნაწილებზე, რომლებიც მისი ძმების ხელში გადავიდნენ. ხელახალი დაყოფის საბაბი შეიქნა ის გარემოება, რომ ლუდოვიკოს კიდევ ერთი შვილი შეეძინა — კარლოსი (შემდეგში კარლოს მელოტი), რომლისთვისაც გამოყოფილ იქნა განსაკუთრებული ნაწილი ტერიტორიისა. მაშინ იმპერიის მთლიანობის მომხრე მაგნატებმა ლუდოვიკოს წინააღ-

მდეგ წამოაყენეს მისი შვილი ლოტარი, რომელმაც შეიარაღებული ძალის მეოხებით აიძულა მამა გადამდგარიყო ტახტიდან.

მართალია, მალე ლუდოვიკო აღდგენილ იქნა იმპერატორის ტახტზე, მაგრამ მას სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ბრძოლა თავის შვილებთან, უფრო სწორად, მათ ზურგში მდგომ პარტიებთან, რომელთაგან ზოგი იმპერიის მთლიანობის მომხრე იყო, ზოგი — წინააღმდეგი.

ეს ბრძოლა განსაკუთრებული სისასტიკით გაჩაღდა ლუდოვიკოს სიკვდილის შემდეგ იმპერატორის ტიტულის მემკვიდრეობით მიღების შემდეგ, ლოტარი ცდილობდა მორჩილებაში ჰყოლოდა თავისი ძმები — ლუდოვიკო გერმანელი და კარლოს მელოტი, მაგრამ იგი მათ გადამწყვეტ წინააღმდეგობას წააწყდა. აწარმოებდა რა ბრძოლას ლუდოვიკო გერმანელთან, ლოტარმა მხარი დაუჭირა თვით საქსონიის გლეხთა აჯანყებას („სტელინგს") იმ მიზნით, რათა დაესუსტებინა თავისი ძმა, მაგრამ დამარცხებულ იქნა ფონტენუასთან. მისი მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა, როდესაც ლუდოვიკო გერმანელი და კარლოს მელოტი შეერთდნენ და დასდეს ურთიერთშორის კავშირი (842 წ.), ამასთან ორთავემ ჯარების წინაშე წარმოსთქვეს ამ კავშირისადმი ერთგულების ფიცი: ლუდოვიკო გერმანელმა — რომანულ ენაზე, კარლოს მელოტმა — გერმანულ ენაზე. ამ „სტრასბურგის ფიცის" ტექსტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, რომანული ენის უძველეს ძეგლს წარმოადგენს, რომლიდანაც განვითარდა შემდეგში ფრანგული ენა.

ვერდენის ხელშეკრულება. მალე ლოტარსა და მის ძმებს შორის მოხდა შერიგება, და 843 წელს ვერდენის ხელშეკრულებით ჩატარებულ იქნა ფრანკთა სახელმწიფოს დაყოფა სამ ნაწილად. კარლოს მელოტმა მიიღო სამფლობელოები რაინის დასავლეთით; ამ მდინარის აღმოსავლეთით მდებარე ოლქები წილად ხვდა ლუდოვიკო გერმანელს, ხოლო იტალია და რაინის შესართავიდან რონის შესართავამდე გადაჭიმული მიწების მოგრძო ზოლი ერგო ლოტარს, უფროს ძმას, რომელმაც შეინარჩუნა მხოლოდ ტიტული იმპერატორისა და არა ბრძანებლობა მთელს იმპერიაზე. ამგვარად, ფრანკთა მონარქია სამ ძირითად სახელმწიფოდ დაიშალა: საფრანგეთად — მთელი დასავლეთი ნაწილი, გერმანიად — აღმოსავლეთი ნაწილი, და იტალიად, რომელიც ჯერჯერობით აგრეთვე რაინის მიწებთან იქნა შეერთებული.

მაგრამ ამ დაყოფას თანამედროვეთათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა იმპერიის დაყოფის მნიშვნელობა. მათ წარმოდგენაში ჯერ კიდევ ერთიანი იმპერია არსებობდა ერთიანი დინასტიით სათავეში. თვით სახელწოდება „გერმანია" ჯერ კიდევ არ იყო ხმარებაში შემოსული. ყველა ის ოლქები, რომელთაც შემდეგში გერმანია ეწოდათ, ჯერ კიდევ „აღმოსავლეთ საფრანგეთად" იწოდებიან, ე. ი. ფრანკთა აღმოსავლეთ მიწებად იმ დაყოფათა შედეგად, რომელიც ლოტარის სიკვდილს მოჰყვა, მისი ხვედრი ოლქის ჩრდილოეთი ნაწილი ერთ-ერთი მისი შვილის — აგრეთვე ლოტარის — ხელში გადავიდა. აქედან რაინის გასწვრივ მდებარე მიწებს ლოტარინგია ეწოდათ.

მსხვილი მიწათმფლობელობისა და ადგილობრივი მაგნატების ხელისუფლების ზრდამ დაასუსტა როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ისე ფრანკთა სახელმწიფოს სამხედრო თავდაცვა გარეშე მტრებისაგან. იმ დროს აღმოსავ-

ლეთით შეტევაზე გადმოდიან სლავები და უნგრელები. იმავე დროს იტალიის სამხრეთით და საფრანგეთის ხმელთაშუაზღვის სანაპიროებზე თავდასხმებს ახდენენ არაბები, ანდა, როგორც მათ დასავლეთში უწოდებდნენ, სარაცინები, აფრიკიდან და სიცილიიდან. გალიაში ამ დროს წარმოებს აკვანყება აქვიტანელებისა და ბრეტონელების, რომლებიც სულ მცირე ხნის შესული იყვნენ ფრანკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში. მაგრამ კიდევ უფრო ადრე, დაახლოებით 800 წელს, იწყება ნორმანების თავდასხმები სკანდინავიიდან.

ნორმანების თავდასხმები. ამ დროს სკანდინავიის მოსახლეობა გვაროვნული წყობილებიდან უკვე კლასობრივ საზოგადოებაში იწყებს გადასვლას. როგორც მამაცი მეზღვაურები, სკანდინავები ანუ ნორმანები, მეკობრეობას ეწეოდნენ და აგრეთვე ბალტიისა და ჩრდილოეთ ზღვაზე ხმელი თევზით, ბეწვეულით და სხვა პროდუქტებით ვაჭრობასაც აწარმოებდნენ. სკანდინავთა რაზმები, რომლებიც ერთი და იგივე დროს ვაჭრებიც იყვნენ და მეკობრეებიც, შორეულ თავდასხმებს ახდენდნენ და საფრანგეთამდე და ხმელთაშუაზღვის ნაპირებზე მდებარე სხვა ქვეყნებამდეც აღწევდნენ. ნორმანების გამანადგურებელი თავდასხმები არაჩვეულებრივ პანიკას ჰქმნიდა მოსახლეობაში, რომლის ძეგლსაც წარმოადგენს ჩვენამდე მოსული იმდროინდელი ლოცვა: „ღმერთო, გვაშორე ნორმანების გააფთრებას“ („a furore normannorum libera nos, domine“). ნორმანების თავდასხმები განსაკუთრებით IX საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში ძლიერდება. ნორმანები ერთ დროს პარიზსაც კი შემოერტყნენ; ალყა მოხსნეს მხოლოდ დიდი გამოსასყიდის მიღების შემდეგ.

გლეხები, რომლებიც ჩაგვრასა და სულ უფრო და უფრო მზარდი ექსპლოატაციის სიმძიმეს განიცდიდნენ, ხშირად მხარს უჭერდნენ ნორმანებს და ზოგჯერ მონაწილეობასაც კი ღებულობდნენ მათ თავდასხმებში. მაგრამ ფრანკთა დიდკაცობაც, რომელსაც ეშინოდა ნორმანებისა, მეტად უხალისოდ გამოდიოდა მათ წინააღმდეგ. 852 წელს კარლოს მელოტმა და იმპერატორმა ლოტარმა ნორმანთა ერთი რაზმის წინააღმდეგ გაილაშქრეს, მაგრამ მათმა ვასალებმა ნორმანთა წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი განაცხადეს და ორთავე ბელადი აიძულეს დაეწყოთ მათთან მოლაპარაკება.

ნორმანთა თავდასხმების სულ უფრო და უფრო გაძლიერების შედეგად 911 წელს დასავლეთ საფრანგეთის მეფემ კარლოს უბრალომ ნორმანთა წინაშძღოლს როლონს მდინარე სენის შესართავში დაუთმო ტერიტორია. ნორმანებმა ქრისტიანობა მიიღეს და ფრანკთა მეფეებისაგან ვასალური დამოკიდებულება აღიარეს. ასე წარმოიქმნა საჰერცოგო ნორმანდია.

უკანასკნელი კაროლინგები. — უკანასკნელი კაროლინგები ფაქტიურად თითქმის არავითარი ძალაუფლებით არ სარგებლობდნენ. მათი სისუსტე გაპირობებული იყო იმით, რომ ვასალურმა ურთიერთობამ, რომელიც ყველგან დამყარდა და ყველასთვის სავალდებულო შეიქნა, შეარყია ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელობა და განამტკიცა ადგილობრივ მაგნატთა ძლიერება.

წარმოებს კერძო პირთათვის მეფის ხელისუფლების მონოპოლიების ფართოდ დარიგება სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს მოსაწყობად, ფულის მოსაჭრელად.

ხდება ბენეფიციუმებისა და საგრაფო თანამდებობათა მემკვიდრეობის დაკანონება (კარლოს მელოტის 877 წლის კერსის კაპიტულიარში). რამდენადაც ბენეფიციუმი ახლა სამემკვიდრეო მქონებლობად იქცეოდა, იგი ბოლოს-დაბოლოს იქამდე მიდის, რომ ფეოდის ანუ ლენის სახელწოდებას ატარებს.

კაროლინგებიდან უკანასკნელი იყო კარლოს სქელი (880—887 წწ.), რომელმაც დროებით აღადგინა იმპერიის ერთიანობა. მაგრამ ეგი დიდგვარიანთა კრების მიერ გადაყენებულ იქნა. ბოლოსდაბოლოს ერთიან ფრანკთა სახელმწიფოს ალაგას წარმოიქმნა შვიდი სახელმწიფო არჩევითი სამეფო, ხელისუფლებით თითოეულ მათგანში: გერმანია, საფრანგეთი (ამასთან იმ დროს საფრანგეთი ეწოდებოდა თანამედროვე საფრანგეთის არა მთელ ტერიტორიას, არამედ მის მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილს), იტალია; ცალკე გამოიყო აგრეთვე პროვანსის სამეფო, შემდეგ ბურგუნდიის სამეფო (შემდეგში პროვანსის სამეფო და ბურგუნდიის სამეფო გაერთიანდნენ და შეჰქმნეს ეგრეთწოდებული არელატის სამეფო); დასასრულ, დამოუკიდებლობა მოიპოვეს ლოტარინგიამ და პირენეებს გადაღმა ნავარის სამეფომ.

ასე დაიშალა კაროლინგთა ერთიანი იმპერია. თვით საფრანგეთის ფარგლებში შესამჩნევი ხდება ამ დროს პარიზელ გრაფთა ძლიერების ზრდა. ერთი მათგანი, ედი, მეფედაც კი იქცა (888—896 წწ.), მას შემდეგ რაც თავი გამოიჩინა მან თავისი სამხედრო წარმატებებით ნორმანებთან ბრძოლაში. ამასთანავე მისმა უმცროსმა ძმამ რობერტმა მიიღო პარიზის საგრაფო და საჰერცოგო. მათი შთამომავალნი, რობერტინების გვარეულობა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იხვეჭენ ჩრდილოეთ საფრანგეთში. დაბოლოს, 987 წელს ჰუგო კაპეტი, რომელიც რობერტინების, პარიზის გრაფებისა და ჰერცოგების გვარეულობას ეკუთვნოდა, საფრანგეთის მეფედ იქნა არჩეული დიდგვარიანთა კრებაზე. ასეთი არჩევა მოასწავებდა ეკლესიისა და ფეოდალური არისტოკრატიის ზეიმს, რომელთაც საფრანგეთის ტახტზე თავისი წარმომადგენელი აიყვანეს.

კაროლინგები კაპეტინგების ახალმა დინასტიამ შესცვალა.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 29—40, 44—53).—Энгельс, Франкский период, Соч., т. XVI, ч. I.—Энгельс, Марка, Соч., т. XV.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. I, 1939, стр. 85—125.—Социальная история средневековья, под ред. Косминского и Удальцова, т. I, 1927, стр. 103—207.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. I, 1897, стр. 295—453.—Петрушевский, Очерки из истории средневекового общества и государства, разн. изд.—Фюстель-де-Кулаж, История общественного строя древней Франции, т. VI, 1916.—Удальцов, Из аграрной истории каролингской Фландрии, М. 1935.—Удальцов, Свободная деревня в западной

Нейстрии в эпоху Меровингов и Каролингов, Спб. 1912. — Общая история европейской культуры, т. VII (Франция в раннее средневековье. 1913: Кленклоз, Каролинги; Пфистер, Разложение империи Карла Великого и начало феодального строя). — Виноградов, Происхождение феодальных отношений в лангобардской Италии, гл. III—VII, М. 1880. — Кудрявцев, Судьбы Италии, М. 1889. — Лампрехт, История германского народа, т. I, М. 1894. — Дельбрюк, История военного искусства в рамках политической истории, т. III, гл. I, М. 1938. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. I, стр. 16—18.

თ ა ვ ი IV

ინგლისი და სკანდინავია ადრეულ შუა საუკუნეებში

1. ინგლისი ანგლო-საქსურ ეპოქაში

კელტური კულტურის აღორძინება. ეპოქა, რომელიც დაიწყო ბრიტანეთიდან რომაელთა ჯარების გაყვანით და გაგრძელდა მის ანგლო-საქსების მიერ დაპყრობამდე, ლიტერატურაში აღინიშნება, როგორც „კელტური აღორძინება“, როდესაც კუნძულზე თითქმის მთლიანად გაჰქრა რომაული კულტურა და ლათინური ენა, და ადგილი ჰქონდა კელტური კულტურის „აღორძინებას“. კელტიზაცია შეეხო აგრეთვე ქრისტიანობას, რომელიც იმ დროს ბრიტანეთში ვრცელდებოდა კელტური ირლანდიიდან, ეკლესია საწესჩვეულებო თავისებურებებით რომ განსხვავდებოდა რომაულ-კათოლიკური ეკლესიისაგან და რომის მეთაურობას არ სცნობდა.

კელტური კულტურის ეს აღორძინება დროის მიხედვით შოტლანდიიდან სკოტებისა და კონტინენტიდან გერმანელთა ტომების გახშირებულ თავდასხმებს დაემთხვა. კუნძულს დიდი სამხედრო რაზმებით ესხმიან თავს საქსები, ანგლები, იუტები და ფრიზები. ფრიზები ცხოვრობდნენ თანამედროვე ჰოლანდიაში, იუტები — დანიის ნახევარ კუნძულზე, რომელიც მათი სახელის მიხედვით იუტლანდიად იწოდებოდა, საქსებს ეკავათ შლეზვიგ-ჰოლშტეინი, ხოლო მათგან რამდენადმე ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ ანგლები. ეს ტომები არამცთუ ცალკეულ დროებით თავდასხმებს აწყობენ კუნძულზე, როგორც მეკობრეებს ჩვევიათ, არამედ ისინი კიდევაც დაიზამთრებენ ხოლმე იქ და თანდათანობით ერთი მეორეზე იკავებენ ბრიტანეთის ნაწილებს.

ლეგენდაში შემონახულია კელტთა ერთ-ერთი ბელადის სახელი, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა გერმანელთა თავდასხმას — ეს იყო სამხედრო ბელადი არტური. შემდეგში ამ ლეგენდის საფუძველზე შეიქმნა შუა საუკუნეების რაინდული რომანი მეფე არტურისა და მის „მრგვალი მაგიდის რაინდთა“ შესახებ.

ანგლო-საქსთა მიერ ბრიტანეთის დაპყრობა. გერმანელთა ტომების გადასახლება ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენდა, რომელიც საუკუნენახევარს გაგრძელდა. სახლდებოდნენ არა მხოლოდ ცალკეული საგვარეულო ჯგუფები და ცალკეული რაზმები, არამედ ხალხთა მასებიც მეომრების მეთაურობით, ცოლებით და ბავშვებით. კელტთა მოსახლეობას ნაწილობრივ სპობ-

დნენ, ნაწილობრივ მონებად აქცევდნენ; ბრიტების მცირე ნაწილი კონტინენტზე გადასახლდა, არმორიკაში (თანამედროვე ბრეტანი). რომაული ქალაქები და ვილებიც ცეცხლმა შთანთქა, ხოლო ვინაიდან რომაული კულტურის ჯერ კიდევ დარჩენილი ფენა სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებობდა, იმ ოლქში, რომელიც განსაკუთრებით განიცდიდა გერმანელ დამპყრობთა მხრივ რბევა-გაპარტახებას, რომაული კულტურა საბოლოოდ განადგურებულ იქნა. იმავე დროს დასავლეთ ევროპის კონტინენტზე, იმ ადგილებში, საიდანაც დაიწყო ეს გერმანული კოლონიზაცია, თანამედროვე მატიანე დიდ უკაცრიელობას აღნიშნავს.

საჭიროა აღინიშნოს რომის იმპერიის სხვადასხვა ნაწილის მოსახლეობის ფართო მასების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ბარბაროსების მიერ დაპყრობისადმი. კონტინენტზე, სადაც „რომანიზაცია“, ე. ი. მონათმფლობელობასა და მონათმფლობელური კულტურის განვითარება, სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა, სადაც მონური მეურნეობა კრიზისს განიცდიდა და გლეხობის დაუმევა და დაკაბალება გაძლიერებით წარმოებდა, ბარბაროსების მიერ დაპყრობას ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ხალხთა მასები — მონები და კოლონები. იქ კი, სადაც, როგორც ბრიტანეთში, „რომანიზაცია“, და მაშასადამე მონათმფლობელურ ურთიერთობის განვითარებაც, სუსტი იყო და სადაც შემონახული იყო ძველისძველი ტომური და გვაროვნული ურთიერთობა, მკვიდრი მოსახლეობა ჩვეულებრივ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა, კონტინენტიდან მოსულ ბარბაროსებს.

საბოლოოდ ბრიტანეთის ტერიტორიაზე შვიდი ძირითადი ბარბაროსთა სამეფო წარმოიქმნა: იუტების კენტი, რომელიც უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა; შემდეგ სამი საქსთა სამეფო — აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთის: უ ე ს ე ქ ს ი, ს ე ს ე ქ ს ი და ე ს ე ქ ს ი; დაბოლოს, ჩრდილოეთით წარმოიქმნა ანგლების სამეფოები, დასაწყისში — ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ინ გ ლ ი ს ი, შემდეგ, შემდგომი კოლონიზაციის გზით, — ნ ო რ თ უ მ ბ რ ი ა-ჩრდილოეთით და მ ე რ ს ი ა დასავლეთით. ამგვარად, წარმოიშვა სამი საქსური სამეფო, ორი ინგლისური, ერთი იუტური და ერთიც საკუთრივ ანგლო-საქსური. ისტორიაში ეპოქა, რომელშიც ეს შვიდი სამეფო არსებობდა, ჰ ე პ ტ ა რ ქ ი ი ს, ე. ი. შვიდმპყრობელობას სახელწოდებას ატარებს. თავდაპირველად ამ სამეფოთა შორის გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მათგან ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეს—ნორთუმბრიას (დაახლოებით VII საუკუნის მეორე ნახევარში), შემდეგ ჰეგემონია შუათანა სამეფოს — მერსიის ხელში გადავიდა (VIII საუკუნის განმავლობაში) და, ბოლოს (IX საუკუნიდან), უესექსის, დასავლეთ საქსების სამეფოს ხელში. ამ სახელმწიფოს მეფე, რომელიც ბოლოსდაბოლოს დანარჩენ ანგლო-საქსთა სახელმწიფოების სათავეში მოექცა, უზენაესი მეფის, ეგრეთწოდებულ ბ რ ე ტ ვ ა ლ დ ი ს უძველეს ტიტულს ატარებდა.

ანგლო-საქსების ქრისტიანიზაცია. ბრიტანეთის დაპყრობას თანსდევდა მისი დექრისტიანიზაცია, ვინაიდან ანგლების, საქსების, ფრიზების ტომები ჯერ კიდევ წარმართობას მისდევდნენ. მაგრამ VII საუკუნის განმავლობაში მათ შორის ვრცელდება ქრისტიანობა, უმთავრესად, რომაულ-კათოლიკური სამ-

ლვდელობის მეცადინეობით. თუ წინათ ბრიტანეთში გაბატონებული იყო ირლანდიის დამოუკიდებელი ეკლესია, ახლა ქრისტიანობის მიღებასთან ერთად, ანგლო-საქსები იმ საერთაშორისო კავშირურთიერთობაში მოექცნენ, რომლის სადავეები ხელთ ეპყრათ რომის პაპებს. ანგლოსაქსების ქრისტიანიზაციის ეპოქაში რომის ტახტზე იჯდა გამოჩენილი პაპი გრიგოლ I „დიდი" (590 — 604 წწ.). მაშინ პაპობა ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო, რომელიც მთელ დასავლეთ სამყაროს აერთიანებდა, ხოლო სამღვდელობა ერთადერთი განათლებული ფენა, რომელმაც შეინახა ანტიკური კულტურის ელემენტები. იმავე დროს ეკლესია, რომელიც ესწრაფოდა სიმდიდრეთა დაგროვებას, მათ შორის, მიწების მოხვეჭას, თავის ინტერესების სასარგებლოდ მხარს უჭერდა კერძო საკუთრების, განსაკუთრებით საადგილმამულო საკუთრების განვითარებას, რაც საჭირო იყო ევროპაში ფეოდალიზმის შემდგომი განვითარების პროცესისათვის. ამგვარად, ეკლესიის ინტერესები მეფეთა და მათ რაზმელთა ინტერესებს დაემთხვა, და ამიტომ კათოლიკური რელიგია, პირველ ყოვლისა, მეფეთა და ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარი საზოგადოების მაღალი ფენის რელიგიას წარმოადგენდა. მაინც, კათოლიციზმის გავრცელება ანგლო-საქსების მხრივ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, რასაც ირლანდიის ეკლესიაც მხარს უჭერდა. ამგვარად, ინგლისის ისტორიაში საინტერესო მოვლენამ იჩინა თავი. ერთმანეთს შეეჯახა ორი ეკლესია: რომაულ-კათოლიკური, რომელმაც ფეხი მოიდგა და განმტკიცდა ანგლო-საქსებში, და ირლანდური, რომელიც ჯერ კიდევ შემონახული იყო კელტურ უელსში, რომლის ტომებმაც შეინარჩუნეს თავისი დამოუკიდებლობა და იბრძოდნენ ანგლო-საქსების მიერ დაპყრობის წინააღმდეგ. ამიტომ, როდესაც მერსიის წარმართმა მეფემ პენდამ დაიწყო ომი ნორტუმბრიის წინააღმდეგ, რომელშიც იმ დროს ქრისტიანობა უკვე გავრცელებული იყო, მას მხარი დაუჭირეს უელსის ქრისტიანმა კელტებმა. 733 წელს პენდამ გაიმარჯვა ნორტუმბრიაზე და ანგლო-საქსების მეფეთა შორის ყველაზე ძლიერი შეიქნა.

მერსიის ბატონობა. პენდის სახით დროებით წარმართობამ გაიმარჯვა მაგრამ ნიადაგი შემდგომი ქრისტიანიზაციისათვის მზადდებოდა ფეოდალიზაციის პროცესით, რომელსაც იმ დროს ადგილი ჰქონდა ანგლო-საქსების ოლქში. ამგვარად, თვითონ მერსიაშიც, რომელიც VIII საუკუნის განმავლობაში ბატონობს ანგლო-საქსების სახელმწიფოებს შორის, ქრისტიანობა წარმატებით ვრცელდება. მერსია ბრძოლასაც კი აწარმოებს უესექსთან არქიეპისკოპოსის ტახტის ადგილსამყოფელისათვის. განსაკუთრებით ძლიერი შეიქნა მერსია მეფე ოფის, კარლოს დიდის თანამედროვეს, დროს (757 — 796 წწ.). ოფა ცდილობდა მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა კარლოს დიდთან და მასთან კავშირში ყოფილიყო. ამიტომ, როცა უკანასკნელმა დიდი გამარჯვება მოიპოვა ავარებზე, მან მეფე ოფას მდიდარი საჩუქრები გაუგზავნა ამ ომში მიღებული ნადავლიდან.

დანიელების თავდასხმა და უესექსის ჰეგემონია. მერსიის ბატონობა ხანმოკლე იყო; IX საუკუნის დამდეგიდან ძლიერდება უესექსი. ამ დროს ინგლისს თავს ესხმიან ნორმანები, უმთავრესად დანიელები. ნორმანები, ანუ დანიელები, თანდათანობით იპყრობენ ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებს

— ნორტუმბრიას, აღმოსავლეთ ინგლისს და მერსიას. ამგვარად, უესექსი ყველაზე მოშორებულ, ამ დანიელთა თავდასხმისაგან ყველაზე ნაკლებ დაზარალებულ, სამეფოდ გამოვიდა. ის გადაიქცა ცენტრად, რომლის გარშემო თავს იყრიან და ჯგუფდებიან დანარჩენი ანგლო-საქსთა სამეფოები, რომლებიც ინარჩუნებენ თავის დამოუკიდებლობას. სწორედ ეს იყო მიზეზი უესექსის გაძლიერებისა. ბოლოსდაბოლოს, დანიელებმა ხელთ იგდეს ბრიტანეთის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, მაშინ როდესაც სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უესექსს სამეფოს ჰეგემონის ქვეშ რჩებოდა.

ანგლო-საქსების საზოგადოებრივი წყობილება V — IX საუკუნეებში. იმ საზოგადოებრივი წყობილების შესასწავლად, რომელიც დამკვიდრდა ანგლო-საქსებში, უესექსის ბატონობის ქვეშ მათ გაერთიანებამდე არსებულ ეპოქაში, ჩვენ მოგვეპოება შემდეგი ძირითადი წყაროები. ეს, პირველ ყოვლისა, ანგლო-საქსების სამართალთა კრებულებია, რომლებსაც VII საუკუნიდან ადგენენ ანგლო-საქსურ ენაზე და შემდეგ ლათინურად სთარგმნიან, ასე რომ ჩვენამდე ორმა რედაქციამ მოაღწია—ანგლო-საქსურმა და ლატინურმა. შემდეგ მოდის ანგლო-საქსთა საგმირო თქმულებები, რომელთაგან ცნობილია საგა ბეოვულფის შესახებ: მასში მოთხრობილია ბეოვულფის საგმირო საქმეები, მისი ბრძოლა ურჩხულ გრენდელთან და საშინელ გველეშაპთან, რომლებიც ქვეყანას ანადგურებდნენ. დაბოლოს, მოიპოვება სხვადასხვა ანგლო-საქსური სიგელები, რომლებიც დამახასიათებელია აგრეთვე საადგილმამულო გარიგებათათვის. მნიშვნელოვანი ცნობები უძველესი ბრიტანეთის შესახებ დაცულია ბედა პატივმოსილის მიერ, რომელმაც VII საუკუნეში დაწერა „ინგლისის საეკლესიო ისტორია.“

ანგლებსა, საქსებსა, ფრიზებსა და იუტებში მათი ბრიტანეთში გადასახლების პერიოდში გვაროვნული წყობილება არსებობდა. ყველა ამ ტომებში კლასობრივ ურთიერთობათა საწყისები კიდევ უფრო სუსტად იყო განვითარებული, ვიდრე აღმოსავლეთელ გერმანელებში—ოსტგუთებსა, ვესტგუთებსა, და ბურგუნდებში. ამგვარად, ანგლო-საქსების ახლად წარმოქმნილ სამეფოებში გერმანული სატომო დაწესებულებანი და გვაროვნული ჩვეულებანი გაბატონებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, მით უმეტეს, რომ ბრიტანეთის კელტებში ამ დროისათვის რომაულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა თითქმის არავითარი კვალი არ დარჩენილა.

ანგლო-საქსთა საკანონმდებლო ძეგლებში ვერგელდი, ე. ი. ის ჯარიმა, რომელიც შეაქვთ თავისუფალის მკვლელობისათვის მოკლულის გვარის სასარგებლოდ მიდის, ამასთან ვერგელდის ორი მესამედი მამის გვარს ეძლევა, ხოლო ერთი მესამედი დედისას. სწორედ ასევე დამოკიდებული ადამიანის, ეგრეთწოდებული უილის, ე. ი. ანგლო-საქსისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში მყოფ კელტის, მკვლელობის შემთხვევაში ვერგელდი ეძლეოდა არა მხოლოდ ამ უილის ბატონს, ან ლორდს, არამედ გვაროვნულ კავშირსაც (VII საუკუნის დამლევის უესექსის მეფეს ინის კანონი). გარდა გვაროვნული კავშირებისა, რომლებიც დროთა განმავლობაში თავის მნიშვნელობას კარგავენ ანგლო-საქსთა ცხოვრებაში, არსებობდა კიდევ პირადად თავისუფალ ადამიანთა ახლად წარმოქმნილი კავშირები, რომლებსაც სდებდნენ საერთო

დაცვისათვის, ეგრეთწოდებული გ ი ლ დ ე ბ ი (gild, gesio). მკვლელობაში ბრალდების შემთხვევაში ბრალმდებელთა სახით ანგლო-საქსებში გამოდიან არა მხოლოდ მოკლულის ნათესავები, არამედ გილდის წევრებიც (congildones, consocii). დროთა ვითარებაში, გარდა ამისა სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა საზოგადოებრივი კავშირურთიერთობის იმ სახეობასაც, რომელსაც შეიძლება ეწოდოს პატრონატი, — ესაა ძლიერ მაგნატთა მფარველობა საქსონიის საზოგადოების გაღარიბებულ წევრებისადმი. ძალიან ხშირად გლეხები, რომელთაც წაერთვათ მიწა, იმ ძლიერ ადამიანთა მფარველობაში შედიოდნენ, რომლებიც ანგლო-საქსურ საზოგადოებაში გ ლ ა ფ ო რ დ ე ბ ა დ იწოდებიან (აქედან წარმოდგება თანამედროვე სახელწოდებაც „ლორდი"). გლაფორდები, ანუ ლორდები, პასუხისმგებელნი იყვნენ მათ მფარველობაში შესული წვრილი ხალხის ქცევა-მოქმედებისათვის.

კლასების ჩასახვა და მათი განვითარება. ადრინდელი დროის ანგლო-საქსურ საზოგადოებაში ოთხ ძირითად წოდებად დაყოფა არსებობდა. პირველ ადგილზე იდგა დიდგვარიან ადამიანთა — ე რ ლ ე ბ ი ს წოდება, რომლებიც გვაროვნულ დიდკაცობას შეადგენდნენ. ერლის მკვლელობისათვის 400 შილინგს იხდიდნენ, ე. ი. ორჯერ მეტს, ვიდრე უბრალო თავისუფალი ადამიანის მკვლელობისათვის. ეს იყო მსხვილ მიწათმფლობელთა და მონათმფლობელთა ფენა, რომელიც იმ დროისათვის ყალიბდებოდა. მეორე ადგილი ეკავათ თავისუფალ გლეხებს — კ ე რ ლ ე ბ ს. მათზე ვერგელდი შეადგენდა 200 შილინგს. თავისუფალი გლეხები სასოფლო თემებად ცხოვრობდნენ და საოჯახო ნაკვეთებს — ჰაიდებს ფლობდნენ სოფლებში.

მესამე წოდებას შეადგენდნენ ლეტები, ანუ უილები, — ნახევრადთავისუფალი წოდება. ვერგელდი მათზე შეადგენდა 40, 60 და 80 შილინგს, მათი სოციალური მდგომარეობისდა მიხედვით. ესენი იყვნენ დამოკიდებული ადამიანები, რომლებსაც სხვისი მიწა ეკავათ და უფრო ძლიერ ადამიანთა მფარველობაში იმყოფებოდნენ. ძირითადად ესენი იყვნენ კელტური წარმოშობის ადამიანები, ერლებისა და კერლებისაგან განსხვავებით, რომლებიც ანგლო-საქსებისაგან წარმოსდგებოდნენ.

მეოთხე წოდებას შეადგენდნენ მ ო ნ ე ბ ი (theow), რომლებზეც ვერგელდს არ იხდიდნენ; მათი მკვლელობისათვის, როგორც საქონლის მკვლელობისათვის, იხდიდნენ არა ვერგელდს, არამედ ჯარიმას-ბატონის სასარგებლოდ. დაპყრობის შემდეგ მონობა ანგლო-საქსებში საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო, და ალმოსავლეთელი ვაჭრები კონტინენტიდან ძალიან ხშირად შიდიოდნენ ინგლისში მონების საყიდლად. ეს იმით აიხსნება, რომ ბრძოლა კელტებსა და ანგლო-საქსებს შორის კვლავინდებურად გრძელდებოდა და ანგლო-საქსები დაპყრობისას კელტებს მასობრივად მონებად აქცევდნენ.

ასეთი იყო საზოგადოებრივი წყობილება დაპყრობის შემდეგ პირველ ხანებში. მაგრამ VII საუკუნის განმავლობაში იზრდება განსხვავება თავისუფალ უბრალო გლეხს-კერლსა და დიდგვარიან ერლს შორის. ამას ჩვენ ვამჩნევთ იმ ვერგელდის მიხედვით, რომელსაც აწესებენ კენტის მეფეები VII

საუკუნის დამლევისათვის. ამ დროისათვის ვერგელდი ერლზე აღწევს 600 შილინგამდე, ე. ი. სამჯერ მეტი ხდება, ვიდრე უბრალო თავისუფალი ადამიანის ვერგელდი.

მაგრამ თვითონ გვაროვნული დიდკაცობის ადგილს იკავებს ახალი ფენა— მეფის რაზმელები, ეგრეთწოდებული გ ე ზ ი ტ ე ბ ი, ანუ ტ ე ნ ე ბ ი, რომლებიც ახლა ახალ პრივილეგიან მსახურეულ, სამხედრო სამსახურის ვალდებულ წოდებას შეადგენენ. ვერგელდი მეფის ასეთ რაზმელებზე კიდევ უფრო მეტად იზრდება. უესექსში VII საუკუნის დამლევს მეფე ინის სამართალში მეფის რაზმელი, რომელიც მიწას ფლობს, შეფასებულია 1.200 შილინგად, ე. ი. 6-ჯერ მეტად, ვიდრე უბრალო თავისუფალი ადამიანი. მეფის რაზმელი, რომელსაც მიწა არ გააჩნია, ისე, როგორც არა მეფის რაზმელი, ფასდება 600 შილინგად, ე. ი. მაინც 3-ჯერ მეტად, ვიდრე უბრალო თავისუფალი გლეხი. ცხადია, თავისუფალ გლეხთა სამხედრო ლაშქარი, რომელიც თავდაპირველად ანგლო-საქსური საზოგადოების სამხედრო ორგანიზაციის საფუძველს შეადგენდა, ახლა უკვე აღარ აკმაყოფილებს ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარი საზოგადოების საჭიროება-მოთხოვნებს. სიმძიმის ცენტრი სამხედრო საქმეში პროფესიონალ მეომრებზე გადადის, რომლებსაც პირველ რიგში მეფის რაზმელები წარმოადგენენ. მაგრამ მაინც ანგლო-საქსურ საზოგადოებაში მოსახლეობის ძირითად მასას თავდაპირველად თავისუფალი გლეხები, კერლები შეადგენენ, რომლებიც სოფლებად, სასოფლო თემებად ცხოვრობენ. ეს თავისუფალი გლეხობა იკრიბება სასოფლო ყრილობებზე, სადაც სწყვეტს თავის საქმეებს, და აგრეთვე ოლქის-ასეულის კრებებზე, რომლებსაც ყოველთვიურად იწვევენ, და, ბოლოს, საგრაფოების კრებებზე, რომელთაც წელიწადში 2-ჯერ იწვევენ.

თითოეული თავისუფალი გლეხი ფლობდა განსაკუთრებულ საოჯახო სამემკვიდრეო მიწის ნაკვეთს, ჰ ა ი დ ს, რომელსაც ჩვეულებრივ 120 აკრად, ე. ი. დაახლოებით 50 ჰექტარამდე ანგარიშობდნენ. ეს საკმაოდ დიდი ნაკვეთები იყო; ალბათ, ისინი მთელი „დიდი ოჯახის“ განკარგულებაში იმყოფებოდნენ. სახნავი მიწის ასეთი ნაკვეთი, რომელიც საკომლო ნაკვეთს ეკუთვნოდა, შესაძლო იყო წლის განმავლობაში რვა ხარისაგან შემდგარ ერთი გუთნეულით დამუშავებულიყო. იმ ეპოქაში გუთანი არ წარმოადგენდა რომაული ტიპის მცირე გუთანს, რომელშიც ორი ხარი იყო შებმული; ეს იყო დიდი მძიმე გუთანი, რომელშიც ოთხ უღელ ხარს აბამდნენ. გარდა ამისა, სასოფლო კომლები სარგებლობდნენ ყორეულით, საძოვრით ნახირისათვის და აგრეთვე საზოგადო ტყეებით, წყლებით და სხვა ადგილ-მამულით. მთელი სამფლობელო ცალკეულ ზოლებად იყოფოდა, რომლებიც გაფანტული იყო სოფლის ტერიტორიაზე, სადაც იძულებითი თესლბრუნვა იყო გაბატონებული. თავდაპირველად ორმინდვრიანი სისტემა სჭარბობდა, რომლის დროსაც სახნავის მთელი ფართობი გაყოფილი იყო ორ მინდვრად: ერთი დასასვენებლად იყო გაშვებული, ხოლო მეორე ითესებოდა. მაგრამ უკვე ემჩნეოდა სამმინდვრიანობაზე გადასვლა.

მიწაზე კერძო საკუთრების განვითარება. დიდი ოჯახების განკარგულებაში არსებული მიწა, რომელსაც ანგლო-საქსები საადათო სახალხო სამართ-

ლის საფუძველზე ფლობდნენ, სახალხო მიწად — ფ ო ლ კ ლ ე ნ დ ა დ იწოდებოდა; იგი სამემკვიდრეო მიწას წარმოადგენდა და მისი გასხვისება მხოლოდ-დამხოლოდ გვაროვნული კავშირის ნებართვით შეიძლებოდა. ჩვეულებრივ ბრეტვალდის ტიტულის მატარებელ მეფეს ჰქონდა უფლება გაეცა ბოძებული სიგელები მიწაზე, რომელიც ასეთი ბოძების შედეგად სრულ კერძო საკუთრებაში ექცეოდა, პრივილეგირებული და თავისუფალი ხდებოდა მრავალი ისეთი ბეგარისაგან, რომლებიც მთელ დანარჩენ მიწაზე ვრცელდებოდა. ასეთ მიწას ეწოდებოდა ბ უ კ ლ ე ნ დ ი — სიგელით ბოძებული მიწა. ყოველი ადგილ-მამულისაგან, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნოდა იგი — ბუკლენდის თუ ფოლკლენდის, სამი ბეგარა (trinoda necessitas) სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა შესრულებულიყო: სამხედრო ბეგარა, ხიდებისა და გზების შეკეთების ვალდებულება და ვალდებულება ქვეყნად არსებული გამაგრებული პუნქტების წესრიგში შენახვა-დაცვის შესახებ.

სახალხო მიწის გვერდით მიწაზე სრული კერძო საკუთრების წარმოშობის შედეგად მსხვილი საადგილ-მამულო საკუთრების განვითარებაც წარმოებს, როგორც ეს კანონზომიერად ემჩნეოდა ფრანკთა საზოგადოებაშიც, სადაც ალოდის წარმოშობამ გარდუვალის აუცილებლობით მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნა მოგვიტანა. ანგლო-საქსებშიც განსაკუთრებით იზრდებოდა საეკლესიო მიწათმფლობელობა; ეკლესია ხშირად საკუთრებად ღებულობდა ნაკვეთებს მათზე მყოფ დამმუშავებლებითურთ.

სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ანგლო-საქსების სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც VI — IX საუკუნეებში ჩამოყალიბდა, ადგილობრივი თვითმართველობის ფართო განვითარებით ხასიათდება. ინგლისს ეს თავისებურება მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ახასიათებდა. პოლიტიკური ორგანიზაციის საფუძველს შეადგენს სოფელი, რომელიც სასოფლო თემს წარმოადგენდა. ამ სოფლის მოსახლეობა იკრიბება სასოფლო ყრილობებზე და ირჩევს სოფლის მამასახლისს (tungerefa). რამდენიმე სოფელი შეადგენს ა ს ე უ ლ ს (hundred). მოსახლეობა ყოველთვიურად თავს იყრის თავის საასეულო კრებებზე (hundred - moot), სადაც ირჩევენ მამასახლისს, რომელიც განაგებს ასეულის საქმეებს (hundred - man). მეფის ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად ასეულის მამასახლისი მეფის უბრალო მოხელედ, ადგილებზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლად იქცევა. თანდათანობით თავისუფალი კერლების საერთო მასიდან, რომლებიც თავს იყრიდნენ ამ ასეულთა კრებებზე და სწყვეტდნენ თავის საქმეებს, მთელ საზოგადოების ფეოდალიზაციასთან ერთად ასეულის ყველაზე მსხვილ მესაკუთრეთა რიცხვიდან გამოიყოფა გავლენიან ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფი — 12 უ ფ რ ო ს ი ტ ე ნ ი ს ს ა ბ ჭ ო.

რამდენიმე ასეული შეადგენს ს ა გ რ ა ფ ო ს (შაირი, shire). ზოგიერთი ამ საგრაფოთაგანი თავდაპირველად თვითონ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მაგალითად, კენტი, ესექსი. საგრაფოს სათავეში თავდაპირველად იდგა ე ლ დ ო რ მ ე ნ ი (ealdorman), რომელიც იყო მოსახლეობის წარმომადგენელი სამეფოებიდან წარმოქმნილ საგრაფოებში, და, ალბათ, ვასალური მეფის მემკვიდრე იყო. მეფის ხელისუფლების ზრდასთან

ერთად ელდორმენის ადგილს იკავებს მეფის მოხელე — შ ე რ ი ფ ი (scirgerefa). წელიწადში ორჯერ რეგულარულად იმართება საგრაფოს კრება, ანუ „სახალხო კრება“ (folkmoot), მაგრამ სინამდვილეში საგრაფოს ყველა მცხოვრები როდი მონაწილეობს მასში, არამედ მხოლოდ ყველაზე უფრო დიდგვაროიანნი, ყველაზე ძლიერი ადამიანები. საგრაფოს მოსახლეობიდანაც აგრეთვე გამოიყოფა გრაფთან არსებული 12 უფროსი ტენის განსაკუთრებული საბჭო.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება. ანგლო-საქსთა სამეფოების გაერთიანება დაკავშირებულია მეფის ხელისუფლების გაძლიერებასთან. როცა მეფეები იყვნენ ბრიტანეთის ტერიტორიაზე წარმოშობილ თითოეულ დამოუკიდებელ ტომურ სახელმწიფოში, ყოველი ასეთი მეფე თვითონ გარკვეულ სატომო-საგვაროვნო კავშირს ეკუთვნოდა; მეფის მკვლელობის შემთხვევაში ვერგელდს ღებულობდა მისი გვაროვნული კავშირი; თუმცა კი ეს ვერგელდი, მართალია, რამდენადმე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ერლის ვერგელდი, და ეპისკოპოსის ვერგელდს უდრიდა. შემდეგში სამეფოების გაერთიანებისას ერთ-ერთი მეფის ამაღლებას უზენაესი მეფის სახით შედეგად მოჰყვა ის, რომ სასჯელად მეფის მკვლელობისათვის კიდევ უფრო მაღალ ჯარიმას აწესებენ. მერსიაში მეფის მკვლელობა ისჯებოდა ჯარიმით 7.200 შილინგამდე, 36-ჯერ მეტით, ვიდრე უბრალო თავისუფალი კერლის მკვლელობა, ე. ი. ისეთივე დიდი ჯარიმით, როგორითაც ისჯებოდა არქიეპისკოპოსის მკვლელობა. IX საუკუნეში ეკლესიის გავლენით მეფეს უკვე მეორე ადგილს მიუჩენენ ღმერთის შემდეგ, და მის მკვლელობას განიხილავენ, როგორც მკრეხელობას, რაც სიკვდილით ისჯება.

მეფის ხელისუფლების გაძლიერება და ქვეყნის გაერთიანება სახალხო კრებების მნიშვნელობის შემცირების პარალელურად მიმდინარეობდა. სახალხო კრებები მხოლოდ ცალკეულ საგრაფოებში იკრიბებოდა. ანგლო-საქსების გაერთიანებულ სამეფოს უკვე აღარ ჰქონდა საერთო სახალხო კრება, მის ნაცვლად მეფესთან იწვევდნენ ეგრეთწოდებულ „ბრძენთა საბჭოს“, უ ი ტ ე ნ ა გ ე მ ო ტ ს. ამ საბჭოს თანხმობით წყდებოდა ყოველივე საქმე. „ბრძენ ადამიანთა“ უ ი ტ ა ნ თ ა საბჭოს შემადგენლობაში სამეფოს ყველაზე გავლენიანი მაგნატები შედიოდნენ.

სამხედრო წყობა იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, ისევდაისევ საყოველთაო ლაშქრობას ემყარებოდა. მაგრამ თანდათანობით სამხედრო ორგანიზაციის ცენტრი გლეხთა ლაშქრიდან პროფესიული მეომრებისგან შემდგარ განსაკუთრებულ სამხედრო რაზმებზე გადააქვთ.

მეფის შემოსავალი ძირითადად მისი კერძო შემოსავლისაგან სდგებოდა, რომელსაც ის ღებულობდა, როგორც მსხვილი მიწათმფლობელი. გარდა ამისა, ის აღჭურვილი იყო ეგრეთწოდებული „ფ ი რ მ ი ს“ უფლებით, ე. ი. უფლებით — მოეთხოვა მოსახლეობისაგან პროდუქტების მიწოდება, რაც ისეთსავე „კვებას“ წარმოადგენდა, როგორიც ცნობილია ჩვენთვის ძველ რუსეთის ისტორიიდან. შემდეგში, როდესაც თავდასხმები დანიელების მხრივ ხშირდება, აწესებენ განსაკუთრებულ ფულად გამოსაღებს მოსახლეობისაგან,

ეგრეთწოდებულ დანიურ ფულებს, რასაც ჰკრეფდნენ იმისთვის, რათა თავი დაეხსნათ დანიელთა თავდასხმებისაგან. ეს გამოსაღები თანდათანობით რეგულარულ ფულად გადასახადად იქცა.

დანიელთა დაპყრობანი. IX საუკუნის განმავლობაში სულ უფრო და უფრო ძლიერდება ზღვის მეკობრეთა — ნორმანების, დანიელების — თარეში, რომლებიც თანდათანობით იპყრობენ ანგლო-საქსების ტერიტორიის ნაწილს: ნორტუმბრიას, მერსიას და აღმოსავლეთ ინგლისს. იმ ოლქებს, რომლებიც დანიელთა მფლობელობაში მოექცნენ, შემდეგში „დანიის სამართლის ოლქები" ეწოდათ. ინგლისის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი კვლავ დამოუკიდებელი რჩებოდა უესექსის ჰეგემონიის ქვეშ, რომელიც გადაიქცა ანგლო საქსების გაერთიანების ცენტრად მათ ბრძოლაში დამპყრობთა წინააღმდეგ.

ალფრედ უესექსელი. ამ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებდა უესექსის მეფე ალფრედ დიდი (871—900 წწ.). თავდაპირველად იგი რამდენჯერმე დამარცხებულ იქნა ნორმანების მიერ და მხოლოდ ხარკის ფასად ჩამოეხსნენ მას ისინი, მაგრამ დანიელებზე ერთი დიდი გამარჯვების შემდეგ 879 წელს ალფრედმა მათ წინამძღოლ გუტრუმთან დასდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მთელი ქვეყანა გაყოფილ იქნა, დანიელებსა და ანგლო-საქსებს შორის. პირველთ შეინარჩუნეს ინგლისის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, მეორეთ — სამხრეთ-დასავლეთი.

ალფრედის მეფობა მრავალმხრივ მოგვაგონებს კარლოს დიდის მეფობას. ალფრედის დროს შეიქმნა საზღვაო ფლოტი 100 ხომალდის რაოდენობით იმისთვის, რათა თავი დაეცვათ ნორმანების თავდასხმისაგან. გაუმჯობესებულ იქნა სამხედრო საქმის ორგანიზაცია. მთელი ქვეყანა დაყოფილ იქნა რამდენიმე სამხედრო ოლქად, და თითოეულ ოლქს უნდა მიეწოდებინა შეიარაღებულ ძალთა გარკვეული რაოდენობა, ამასთან ყოველ 5 ნაკვეთს, ანუ ჰაიდს, უნდა უზრუნველეყო ერთი მეომრის შეიარაღება — შენახვა და მოემარაგებინა ყველაფრით, რაც მისთვის აუცილებელი იყო. ამგვარად, სამხედრო ორგანიზაციის სიმძიმის ცენტრი უკვე განსაკუთრებულ, უფრო მძიმე შეიარაღების მქონე მეომრებზე გადააქვთ, რომლებიც 5 ჰაიდ მიწას ფლობენ. ეს უკვე გლეხთა ლაშქარი როდია; ესაა პროფესიონალ მეომრებისაგან შემდგარი ჯარი. ამ სამხედრო რეფორმის შედეგად მთელი რიგი გამარჯვებები იქნა მოპოებული შემდეგში, როგორც ადგილობრივ დანიელებზე, რომლებიც უკვე დამკვიდრდნენ ინგლისში, ისე აგრეთვე იმათზე, რომლებიც თვით დანიიდან აწყობდნენ თავდასხმებს (დაახლოებით IX საუკუნის დამლევს).

დაახლოებით 890 წელს შედგენილ იქნა კანონთა კრებული — მეფე ალფრედის ძეგლიდება. ამ დრომდე ყოველ ცალკეულ ანგლო-საქსთა სამეფოს ჰქონდა თავისი განსაკუთრებული კანონები. არსებობდა კენტის, უესექსის, მერსიის და სხვ. მეფეთა კანონები. ალფრედის ძეგლისდება შეიცავდა უესექსის, მერსიისა და კენტის კანონებიდან ნასესხებ საკანონმდებლო ნორმებს. ამგვარად, ეს იყო საერთო ინგლისის სამართლის კოდექსი.

ალფრედი კარლოს დიდს მოგვაგონებდა აგრეთვე თავისი მფარველობით განათლების საქმისადმი. როგორც მისი ბიოგრაფი მოგვითხრობს, იგი თვითონ აგროვებდა ანგლო-საქსების ძველ მითოლოგიურ თქმულებებს, სიმღერებს და

ზღაპრებს, აარსებდა სკოლებს კარისკაცთა ბავშვებისათვის და კონტინენტიდან იწერდა მასწავლებლებს ამ სკოლებისათვის. ის ეწეოდა აგრეთვე მთარგმნელთა წახალისებას ლათინურიდან ანგლო-საქსურ ენაზე სხვადასხვა ნაწარმოების თარგმნის დარგში. მის დროს გადათარგმნილ იქნა საერთო ისტორიის იმ დროისათვის ერთადერთი ყველასთვის მისაწვდომი სახელმძღვანელო — ოროზიუსის ისტორიული კომპილაცია. შემდეგ ლათინურიდან ანგლო-საქსურ ენაზე გადათარგმნილ იქნა ბედა პატივდებულის „ანგლების საეკლესიო ისტორია", გადაითარგმნა პაპის გრიგოლის ცალკეული ნაწარმოებები. იწყება აგრეთვე შედგენა ქრონიკისა, სადაც აწერილია ალფრედ დიდის მეფობა.

ალფრედის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმის მეოხებით ანგლო-საქსების ჯარის ორგანიზაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, და ალფრედის სიკვდილის შემდეგ ანგლო-საქსები დანიელების წინააღმდეგ შეტევაზე გადადიან. X საუკუნის შუა ხანებში „დანიის სამართლის ოლქი" დაპყრობილ იქნა მეფე ედგარის მიერ (959—975 წწ.), რომელიც მთელი ინგლისის მეფედ ხდება და თავის ბრძანებლობის ქვეშ აერთიანებს როგორც ანგლო-საქსებს, ისე დანიელებს.

ამრიგად, კვლავ მოხდა ინგლისის გაერთიანება ერთ მთლიან სამეფოდ. მაგრამ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მხოლოდ X საუკუნის დამლევამდე, როდესაც კვლავ იწყება ნორმანების თავდასხმები.

ინგლისის ახალი დაპყრობა დანიელების მიერ. ამ ხანებში დანია მეფე ჰაროლდ ლურჯკბილიანის დროს (950 — 986 წწ.) ძლიერი სახელმწიფო ხდება; მის შემადგენლობაში შევიდნენ სკანდინავიის სამხრეთი, ლიტველთა ტომის პრუსიების ოლქი და ზღვისპირეთის სლავთა ოლქი, რომელმაც შემდეგში პომერანიის სახელწოდება მიიღო. ჰაროლდისა და მისი მემკვიდრეების მიერ ინგლისში წარმოებულ ლაშქრობათა შედეგად ეს ქვეყანა კვლავ დაპყრობილ იქნა დანიელების მიერ. დანიის მეფე კნუტის, ანუ კანუტის დროს (1017 — 1035 წწ.) წარმოიქმნა ძლიერი საზღვაო სახელმწიფო, რომელიც შეიცავდა ინგლისს, დანიას და შვეციისა და ნორვეგიის ნაწილებს. დამახასიათებელია, რომ კანუტი ინგლისში დანიიდან მოსულთ კი არ ეყრდნობოდა, არამედ ადგილობრივ მემამულე არისტოკრატიას. მის დროს გრძელდებოდა კანონმდებლობის გაერთიანება და გამოცემულ იქნა კანონთა კრებული, რომელსაც საფუძვლად დაედო როგორც ანგლო-საქსების, ისე დანიელთა კანონები. ახალი კანონმდებლობის საჭიროება გამოწვეული იყო ინგლისის საზოგადოებრივ წყობაში მომხდარი დიდი ცვლილებებით, მისი ფეოდალიზაციის პროცესით; კანუტის კანონმდებლობა ამ პროცესის მკვეთრად გამოსახულ ნიშნებს ატარებს. საინტერესოა, რომ დანიური ფული, ე. ი. მოსახლეობიდან შემოსული გამოსაღები, რომელსაც ჰკრეფდნენ დანიელებთან ბრძოლის დროს, თვითონ დანიელთა ბატონობის დროსაც არსებობდა, მხოლოდ ახლა ეს იყო მოსახლეობის მუდმივი გადასახადი მეფის სასარგებლოდ.

ედუარდ აღმსარებელი. კანუტის მემკვიდრის დროს დანიელთა გაბატონებული კლასის შინაბრძოლისა და ცალკეულ წარმომადგენელთა შორის შეხლა-შემოხლის შედეგად დანიელთა ბატონობა ძალზე შესუსტდა. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ანგლო-საქსები და ბოლოსდაბოლოს მათ შესძ-

ლეს სამეფო ტახტზე აეყვანათ ძველი ანგლო-საქსური დინასტიის წარმომადგენელი ედუარდი (1042 — 1066 წწ.), აღმსარებლად წოდებული. იმ დროს, როდესაც ინგლისში ჯერ კიდევ ძლიერი იყო დანიელთა ბატონობა, ედუარდი ნორმანდელ ჰერცოგთა კარზე ცხოვრობდა და კონტინენტიდან იგი დაბრუნდა იმ კარისკაცთა და მრჩეველთა თანხლებით, რომლებიც ნორმანდელ, ბურგუნდელ და ფლამანდელ დიდკაცობას ეკუთვნოდნენ. მთელი მისი მეფობა აღსავსეა ადგილობრივი ანგლო-საქსური დიდკაცობის ბრძოლით ამ კონტინენტიდან მოსულებთან. მისი სიკვდილის შემდეგ, 1066 წლის დამდეგს, ანგლო-საქსთა მაგნატებმა ტახტზე აიყვანეს თავისი წრის ადამიანი — ჰაროლდი. მაგრამ მისი მეფობა ერთ წელზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა.

იმავე 1066 წელს ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰელმმა, შემდეგში დამპყრობელად წოდებულმა, სრუტე გადალახა, სენლაკთან ბრძოლაში, ჰასტინგსთან ახლოს, დაამარცხა ჰაროლდი და ინგლისში ახალი სამეფო დინასტია დააარსა. ამ მოვლენით დამთავრდა ინგლისის ისტორიის ანგლო-საქსური პერიოდი და გადიშალა მისი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ახალი ფურცელი (იხ. თავი XXI).

დანიის ოლქების საზოგადოებრივი წყობილება. დანიელებთან ბრძოლის პერიოდში ანგლო-საქსთა საზოგადოებრივი წყობის განვითარებაში დიდი ცვლილებები მოხდა. პირველ ყოვლისა იმ ოლქებში, რომლებიც დაპყრობილი იყო დანიელების მიერ, თავისუფალი გლეხობის მნიშვნელობა გაძლიერდა. დანიელები ფეოდალიზმის განვითარების რამდენადმე უფრო ადრინდელ სტადიაში იმყოფებოდნენ, ვიდრე ანგლო-საქსები; ამიტომ მათში თავისუფალ გლეხობას თავისი დამოუკიდებლობა ბევრად უფრო მეტად ჰქონდა შენარჩუნებული. დამახასიათებელია, თუ როგორ აფასებდნენ თავისუფალი გლეხის მდგომარეობას დანიელებსა და ანგლო-საქსებში. იმ ხელშეკრულებათა მიხედვით, რომლებსაც ორივე მხარე სდებდა ურთიერთ შორის, თავისუფალი დანიელი გლეხის სიცოცხლე დაცული იყო ისეთივე ვერგელდით, როგორც ანგლო-საქსთა ტენის სიცოცხლე, ე. ი. ანგლო-საქსური საზოგადოების პრივილეგიანი ადამიანის სიცოცხლე. ცხადია, დანიელთა კლასობრივი დიფერენციაცია ჯერ კიდევ ისე შორს არ ყოფილა წასული და ფეოდალიზმი „დანიელების სამართლის ოლქში“ ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული.

ინგლისის ფეოდალიზაცია. ტენები და ერლები. სამაგიეროდ ინგლისის სხვა ოლქებში ფეოდალიზმი სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევს. წინა პერიოდის დამლევს ასეულებსა და საგრაფოებში განსაკუთრებით ძლიერდება უკვე მოხსენიებული 12 უფროსი ტენი. ამგვარად, ძალაუფლება ადგილობრივ თვითმართველობაში გადადის ყველაზე გავლენიან მიწათმფლობელთა მცირე ჯგუფის ხელში. ისინი სათავეში უდგებიან სამხედრო მსახურეულ დიდკაცობის ახალ ფენას — ტენებს და ძველ გვაროვნულ დიდკაცობას უკანა რიგში აქცევენ. ამ ახალი გაბატონებული ფენის შემადგენლობაში შესვლა შეეძლო ყველას, ვინც კი ჰფლობდა 5 ჰაიდ მიწას, და ყველა ვაჭარსაც კი, ვინც სამჯერ მოიარა ზღვის იქით მდებარე ქვეყნები. ეს მაჩვენებელია იმისი, თუ რა მნიშვნელობა მოიპოვა ამ დროისათვის ვაჭრობამ ინგლისში და რამდენად გაიზარდა ვაჭრის სოციალური მნიშვნელობა ანგლო-საქსთა საზოგადოებრივ

ცხოვრებაში. დამახასიათებელია, რომ ძველ გვაროვნულ დიდკაცობის სახელწოდება—ერლები ახლა გადააქვთ თითოეულ ადამიანზე, რომელიც ფლობს 40 და უფრო მეტ ჰაიდ მიწას. ამგვარად, თვით გაბატონებულ კლასში ფეხს იკიდებს ფენებად დაყოფა ქონებრივი ნიშნის მიხედვით; ხდება დაყოფა მცირე მამულიან ტენებად და მსხვილ მიწათმფლობელებად — ერლებად. ამ ორი ჯგუფის ბრძოლა, რომელიც ნორმანების მიერ დაპყრობის დროიდან მცირე მამულიანი რაინდობისა და მსხვილ მემამულე-ბარონების ბრძოლაში გადადის, ინგლისის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტად იქცევა ჯერ კიდევ ანგლო-საქსური პერიოდის დამლევიდან.

კერძო უფლების ზრდა. ანგლო-საქსურ პერიოდში იზრდება აგრეთვე მნიშვნელობა პატრონატისა, ე. ი. მაგნატების კერძო მფარველობისა მათგან დამოკიდებული მოსახლეობის მიმართ. მაგრამ წინა პერიოდისაგან განსხვავებით, როცა მსხვილი მაგნატის მფარველობაში მოქცევა კერძო გარიგების საგანს წარმოადგენდა, ახლა ასეთი მფარველობა სავალდებულო ხდება. მეფე ატელსტანის ძეგლისდება (დაახლოებით 930 წ.) პირდაპირ აწესებს, რათა თითოეულ ადამიანს თავისი ლორდი ჰყავდეს. კანონით ნაბრძანებია, რათა იმ კაცის ნათესავებმა, რომელსაც თავისი ლორდი არა ჰყავს, მოუნახონ მას ასეთი ლორდი. ამავე დროს ვითარდება იმუნიტეტი, რასაც ინგლისში ს ო კ ა-ს ან ს ო კ ა ს და ს ა კ ა ს უწოდებენ. ეს იყო იმ სასამართლო და ფისკალურ უფლებათა ერთობლიობა, რომლითაც აღჭურვილია მსხვილი მაგნატი მისგან დამოკიდებული მოსახლეობის მიმართ. მსხვილი მაგნატის ტერიტორიაზე მყოფი და ამ მაგნატისაგან დამოკიდებული ადამიანი, ეგრეთწოდებული ს ო კ მ ე ნ ი (ე. ი. „სოკის კაცი"), თავისუფალია, მას აქვს უფლება გაჰყიდოს თავისი მიწა და სოკის ტერიტორიიდანაც კი წავიდეს. მაგრამ იგი ლორდს სასამართლო უფლებაში იმყოფება. ამგვარად, ეს ნახევრად-დამოკიდებული მდგომარეობაა, რომელიც წარმოიშობა ან გაჩანაგების გზაზე დამდგარი გლეხების დიდგვარიანი მაგნატის მფარველობაში შესვლის შედეგად, ანდა მეფის წყალობათაგან, ამასთან მეფე ხშირად თავისუფალი ადამიანებით დასახლებულ მთელ ოლქებს გადასცემს ცალკეულ მაგნატთა კერძო უფლებაში, ან სოკაში.

ინგლისური მამული. ასე მიმდინარეობდა ინგლისში ფეოდალიზაციის პროცესი, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ ნორმანთა მიერ დაპყრობით დამთავრდა. ანგლო-საქსური საზოგადოების საფუძველად სულ უფრო და უფრო ხდება უკვე არა სოფელი თავისუფალ გლეხ-კერლებისა, არამედ მამული, ეგრეთწოდებული მ ა ნ ო რ ი, რომელიც, როგორც საფრანგეთში, საბატონო კარმიდამოსა და ბატონყმური სოფლისაგან შესდგება. XI საუკუნის დამდეგიდან ჩვენამდე მოაღწია წყარომ, რომელიც ასეთი მანორების აღწერებს წარმოადგენს — „Rectitudines singularum personarum". აქ აწერილია ტენების მიერ აღებული მიწები, რომლებიც, როგორც სჩანს, სამონასტრო მიწებს შეადგენს, და მათგან დამოკიდებულ გლეხთა სხვადასხვა ბეგარა. გლეხთა შორის არჩევენ სამ ძირითად ჯგუფს. ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან გ ე ნ ი ტ ე ბ ი, ანუ გენეტები. ესენი არიან წინანდელი თავისუფალი კერლები, რომლებიც მაგნატის დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ. ისინი მოვალენი არიან

თავისი ლორდის წინაშე, უმთავრესად, ფულადი და ნატურალური რენტით და აგრეთვე მცირეოდენი საბატონო ბეგარით, რაც გამოიხატება დროებით დაბრუნებაში ალოობის დროს. გაცილებით უფრო მძიმეა ყმა-მოსახლეობის დანარჩენი ორი ჯგუფის—გ ე ბ უ რ ე ბ ი ს ა და კ ო ს ე ტ ლ ე ბ ი ს მდგომარეობა. უკანასკნელი ჯგუფი — ეს ის გლეხები არიან, რომლებიც ფლობენ არა სრულ ნაკვეთებს, არამედ მიწის მცირე ნაკრებს მათში ჩადგმული ქოხით. ორთავე ეს ჯგუფი იხდის უფრო მკაცრ საბატონო ბეგარას; კვირაში ორ-სამ დღეს მუშაობს ბატონის მიწაზე.

ასე მიმდინარეობდა ანგლო-საქსურ საზოგადოებაში თავისუფალი კერლების თავისუფალი სასოფლო თემის თანდათანობითი გარდაქმნა ბატონყმურ თემად. ასეთი ბატონყმური თემი იმავე დროს პასუხისმგებელი ხდება სხვადასხვა ბეგარის მოხდისათვის იმ მოსახლეობის მიერ, რომელიც შედის ამ თემის შემადგენლობაში და, ამგვარად, ფისკალურ ხასიათს ღებულობს.

2. სკანდინავია ადრეულ შუა საუკუნეებში

უძველესი პერიოდი. სკანდინავიის ისტორიის უძველეს პერიოდზე ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით. იმ ტომებს შორის, რომლებიც ძველთაგანვე სკანდინავიაში ცხოვრობდნენ, ჩვენ ვიცნობთ გ უ თ ე ბ ს ანუ გ ა უ თ ე ბ ს, და ს ვ ი ო ნ ე ბ ს. გაუთები თანამედროვე შვეციის სამხრეთ ნაწილში მოსახლეობდნენ. ამ ნაწილმა დღემდე თავისი ძველი სახელწოდება — გოტალანდი შეინარჩუნა, რაც ნიშნავს გუთების მიწას. სვიონების ოლქი დიდხანს ატარებდა სვეალანდის, ე. ი. სვეების, ანუ შვედების მიწის სახელწოდებას. დამახასიათებელია, რომ ანტიკური მწერლები მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთელ სკანდინავებს იხსენიებენ, ე. ი. იმ ტომებს, რომლებიც სამხრეთ შვეციის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ, და თითქმის არაფერს ამბობენ ნორვეგიის მოსახლეობაზე. ეს იმას ამტკიცებს, რომ, როგორც ჯერ კიდევ ენგელსი აღნიშნავდა, სავაჭრო კავშირურთიერთობა და ნავოსნობა, უმთავრესად, ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ვითარდებოდა. თვითონ რომაელები ბალტიის ზღვაში არ შედიოდნენ, არამედ მათ ჰქონდათ კავშირი მხოლოდ ადგილობრივ ვაჭრებთან, რომლებიც დამოუკიდებელ ვაჭრობას ეწეოდნენ ამ ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ამის მაჩვენებელია აგრეთვე რომაული ნაწარმი და ფულის საგანძურები, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ნახულობენ სამხრეთ შვეციაში და დანიაში. აქ ნახული ფულები მიეკუთვნება განსაკუთრებით ჩვენი წელთაღრ. I და II საუკუნეებს. შემდეგ იწყება შეხანება V საუკუნემდე, „ხალხთა გადასახლების“ ეპოქამდე, როცა ჩრდილოეთით კვლავ ნახულობენ ფულის საგანძურებს. ცხადია, დროის ამ შუალედში, II-დან V საუკუნემდე, სავაჭრო ურთიერთობა სკანდინავიასა კონტინენტთან წყდებოდა. ჩვენ გვაქვს უფრო მოგვიანო ცნობები სკანდინავიაზე VI საუკუნეში ისტორიკოსების იორდანისა და პროკოფისაგან, რომლებიც გვაუწყებენ, რომ სკანდინავიაში მრავალი ხალხი ცხოვრობს, რომელთაგან თითოეულს თავისი მეფე ჰყავს.

ნორვეგია IX-XI საუკუნეებში. რომ უფრო ვრცლად გავეცნოთ სკანდინავთა საზოგადოებრივ წყობილებას, უნდა დავხატოთ იმ საზოგადოებრივი

წყობილების სურათი, რომელიც არსებობდა ნორვეგიაში IX-XI საუკუნეებში. თავის საზოგადოებრივ განვითარებაში ნორვეგია სკანდინავიის დანარჩენ ნაწილებს ჩამორჩებოდა, და ამიტომ იქ ბევრად უფრო მეტის რაოდენობით შემონახულ იქნა ძველისძველი დაწესებულებები და ადათები, რომლებიც აღვიდგენენ სკანდინავიის დანარჩენ ნაწილებში უფრო ადრე არსებულ წყობილებას.

ნორვეგიის სკანდინავები მრავალ წვრილ ტომებად — ფილკებად (fylke, გერმანული volk) იყოფოდნენ, რომლებიც გაფანტული იყვნენ ნახევარკუნძულში ღრმად შეკრილ ყურეებში (ეგრეთწოდებულ ფიორდებზე) და ურთიერთისაგან მაღალი მთებით იმიჯნებოდნენ. თითოეულ ტომს სათავეში თავისი ბელადი, ეგრეთწოდებული ი ა რ ლ ი ედგა.

რამდენიმე ფილკი უფრო დიდ სატომო კავშირებად ერთიანდებოდა და საერთო სახალხო კრებები (thing) ჰქონდა, სადაც მთელი თავისუფალი მოსახლეობა იყრიდა თავს. არსებობდა უხუცესთა საბჭოებიც. ცალკეულ სატომო გაერთიანებათა სათავეში მეფეებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე.

თითოეული ფილკი ასეულებად (herad) იყოფოდა და სათავეში ედგა ასისთავი (hersir). საზოგადოების საფუძველს შეადგენდნენ თავისუფალი გლეხები, რომლებსაც ბონდები (bonde) ეწოდებოდა. ისინი იკრიბებოდნენ სახალხო კრებებზე — ტ ი ნ გ ე ბ ზ ე — და თავის ადგილობრივ საქმეებს სწყვეტდნენ მათზე.

ნორვეგიის ტომების შემდგომ გაერთიანებას შედეგად ის მოსდევს, რომ აქ წარმოიქმნება ოთხი დიდი ოლქი, თითოეული თავისი დამოუკიდებელი ტინგით, თავისი განსაკუთრებული კანონით და განსაკუთრებული ადგილობრივი ადათებით. მათში ჩნდებიან მეფეები, რომლებსაც ტინგებზე ირჩევენ. უკეთუ მეფე მოსახლეობის მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს, უკმაყოფილონი დაატარებენ მთელ ქვეყანაში ისარს, რაც იმის ნიშანს წარმოადგენს, რომ მეფე ტახტიდან გადაგდებულ და მოკლულ უნდა იქნეს. ამგვარად, ამ ეპოქაში იწყება გვაროვნული საზოგადოების გახრწნა, წარმოიქმნება კლასები და სდგება სახელმწიფო, ამასთან, გარდა თავისუფალი გლეხების — ბონდების და გვაროვნული დიდკაცობის წარმომადგენლების — იარლებისა, არსებობენ აგრეთვე მონები. იარლების გარშემო იწყება რაზმების ჩამოყალიბება.

მოსახლეობა, უმთავრესად, ნადირობასა და მეთევზეობას მისდევს, ვინაიდან მიწათმოქმედება სკანდინავიაში ფართო მასშტაბით შეუძლებელი იყო ადგილობრივი გეოგრაფიული პირობების გამო. მეთევზეობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო დიდ განვითარებას აღწევს ზღვაოსნობა, ხოლო ამასთან დაკავშირებით მეკობრეობა და ვაჭრობა. ვაჭრობდნენ ხმელი თევზით, ბეწვეულით და სხვა ადგილობრივი პროდუქტებით.

გვაროვნულ ურთიერთობათა დაშლისა და უფრო მსხვილი სამეფოების წარმოქმნის ნიადაგზე დიდკაცობის ცალკეული წარმომადგენლები, რომელთაც არ სურდათ დამორჩილებოდნენ მეფის ხელისუფლებას, თავს უყრიან თავიანთ რაზმებს და აწყობენ ზღვისიქითურ ლაშქრობებს, რომლებშიაც აბამენ ჭარბ მოსახლეობას.

გვაროვნულ ურთიერთობათა დაშლა და კლასების წარმოქმნა ყველაზე უწინ შესამჩნევი ხდება შვედებსა, ანუ სვიონებს შორის. უკვე ტაციტის დროს არსებობდა აქ მეფის ძლიერი ხელისუფლება და ქონებრივი უთანასწორობა. როგორც ტაციტი ამბობს, მათში „სიმდიდრე დიდ პატივისცემაშია". სვიონებში ტაციტი მთელ რიგ წოდებებს არჩევს: დიდკაცობას, თავისუფალ გლეხებს, გააზატებულთ და მონებს.

გვაროვნული წყობილების დაშლის, კლასობრივი დიფერენციაციისა და მოსახლეობის სიჭარბის შედეგად განსაკუთრებით IX საუკუნიდან ფეხს იკიდებს და ძლიერდება ზღვაოსნობა და მეკობრეობა. IX-XI საუკუნეების პერიოდისათვის დამახასიათებელია ცალკეულ ბელადთა, ეგრეთწოდებულ ზღვის მეფეთა — ვ ი კ ი ნ გ ე ბ ი ს (სიტყვიდან „ვიკ", რაც ნიშნავს ყურეს, ნავსადგურს) ლაშქრობანი. ზღვის მეფეთა ეს რაზმები თავისი ხომალდებით, ეგრეთწოდებული „ზღვის მგლებით" ანუ „ზღვის ცხენებით", რომლებშიც 60 — 70 მეომარი თავსდებოდა, ზოგჯერ მეტად შორეულ თავდასხმებს აწყობდნენ. ამგვარად, მეკობრე, მხედარი და ვაჭარი სკანდინავებს ერთპიროვნად ჰყავთ წარმოდგენილი.

სკანდინავთა დაპყრობანი და მოგზაურობანი. სკანდინავები თავს ესხმიან ირლანდიას და უკვე IX საუკუნეში აარსებენ აქ, უმთავრესად, აღმოსავლეთ სანაპიროზე და სამხრეთში, მთელ რიგ მცირე სკანდინავურ (ნორმანულ) „სახელმწიფოებს". ამ სკანდინავურმა ახალშენებმა გასძლეს აქ IX საუკუნის დამლევამდე, როდესაც სკანდინავთა მიერ აღმოჩენილ იქნა ისლანდია (878 წ.), საითაც წარიმართა გადასახლებულთა მთავარი ნაკადი ნორვეგიიდან. აქეთკენ იწყეს გადასახლება, ერთი მხრივ, გლეხებმა, რომლებმაც სამშობლოში ვერ მოიპოვეს საკმაო მიწა მიწათმოქმედების საწარმოებლად, მეორე მხრივ, დიდკაცობის იმ უკმაყოფილო წარმომადგენლებმა, რომლებიც იდგნენ ოპოზიციაში მეფის ხელისუფლებისადმი, მაგრამ იძულებული იყვნენ ეცნოთ შემდგომი ბრძოლის უიმედობა. სკანდინავების მიერ დასახლებულ იქნა აგრეთვე დანარჩენი კუნძულები ინგლისის ჩრდილოეთით.

სკანდინავთა ახალშენები ირლანდიაში დიდად დაქვეითდნენ, ხოლო მათი მოსახლეობა მნიშვნელოვანწილად გადაგვარდა კულტურ ყაიდაზე. ისლანდიაში კი დიდხანს შემორჩა ძველისძველი ადათები, უფრო ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობა და ცხოვრების წესები, ვიდრე თვითონ სკანდინავიაში, და აგრეთვე ძველი სკანდინავური კულტურა. ისლანდიაში ჩაწერილ იქნა ძველი სკანდინავური საგმირო ამბები და ზღაპრები, რომლებსაც ინახავდნენ და გადასცემდნენ მრავალრიცხოვანი მოსიმღერეები, ანუ მოამბენი, ეგრეთწოდებული ს კ ა ლ დ ე ბ ი. ცნობილია ამ სახის ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოები — „ე დ ა", პროზული და გალექსილი, რომელიც მრავალ ძველისძველ ლეგენდას შეიცავს.

მაგრამ ისლანდიის აღმოჩენითა და მისი დასახლებით როდი დამთავრებულა სკანდინავთა გეოგრაფიული აღმოჩენები. X საუკუნეში მათთვის ცნობილი შეიქნა გრენლანდიის არსებობა. ამ ქვეყნის შესახებ არსებულ თქმულებებში აღნიშნულია, რომ ის დასახლებული იყო ქონდრისკაცებით (ესკიმოსე-

ბით). იქითკენ გაეშურნენ ახალმოსახლენი ისლანდიიდან. გრენლანდიაში ისლანდური ახალშენი XVI საუკუნემდე არსებობდა, შემდეგ კი გაჰქრა.

არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ დაახლოებით 1000 წ. ნორმანები ჩრდილოეთ ამერიკაშიც კი მოხვდნენ, სადაც მათ ახალშენიც კი დააარსეს, რომელმაც XIV საუკუნემდე იარსება. მაგრამ ყველა ამ აღმოჩენას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და არავითარი კვალი არ დაუტოვებია ევროპის ეკონომიურ და კულტურულ ისტორიაში.

სკანდინავთა მოგზაურობანი აღმოსავლეთში. ნორმანები ზოგჯერ აღმოსავლეთშიც და ჩრდილოეთშიც მოგზაურობდნენ. მათ თავიანთი დაპყრობები ნორვეგიის ჩრდილოეთით გაავრცელეს; ისინი იპყრობდნენ ფინების ტომებს და ხარკს ადებდნენ მათ. ანგლო-საქსურ წყაროებიდან ცნობილია ერთი მსხვილი მეპატრონე — ნორვეგიელის მეურნეობის აღწერილობა, რომელსაც სახელად ოტერი ერქვა და ნორვეგიის უკიდურეს ჩრდილოეთით ცხოვრობდა. „ოტერი ფლობდა ჩრდილოეთის ირმებს, ხარებს, ცხვრებს, ღორებს. ფინები მას ხარკს აძლევდნენ ცხვრის ან ვიდრის, დათვების ან ჩრდილოეთის ირმების ტყავების, ფრინველთა ფრთების, თოკების, ვეშაპის კბილის და სხვასახით“.

მოგზაურობას სავაჭრო მიზნით შორს ჩრდილოეთშიც აწყობდნენ. ნორმანები მიმოდაოდნენ თეთრ ზღვამდე და „ბიარმიის“ ქვეყნამდე აღწევდნენ, სადაც თეთრი ზღვით და მდინარე „დინეთი“ შედიოდნენ. ცხადია, ამ მდინარის სახით იგულისხმება ჩრდილოეთი დვინა, და, ამნაირად ბიარმიის მდებარეობა უნდა წარმოვიდგინოთ მდინარე დვინის აუზში, შესაძლოა, პერმის ტომით დასახლებულ ოლქში, რომლისგანაც შესაძლებელია, თვითონ ოლქმაც მიიღო სახელწოდება. შვეციაში ნახულია ამ პერიოდის მრავალი აღმოსავლური ვერცხლის ფული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ შვედები გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ აღმოსავლეთთან, სახელდობრ, საფიქრებელია, ვოლგით, ბულგართა სახელმწიფოს მეშვეობით. ისინი მოგზაურობას ეწეოდნენ აგრეთვე დიდი გზით „ვარიაგებიდან ბერძნებში“, ე. ი. ბიზანტიაში. ამ გზის გასწვრივ ცალკეულ პუნქტებში ბინავდებოდნენ ნორმანები სამხედრო რაზმების სახით.

სკანდინავები დასავლეთ ევროპაში. დასასრულ, ამ ეპოქაში ნორმანები ექსპედიციებს აწყობდნენ სამხრეთშიც. მათ, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, დაიპყრეს ინგლისის მნიშვნელოვანი ნაწილი, და იყო ისეთი მომენტიც, როცა ინგლისი სკანდინავიის ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს — დანიის შემადგენლობაში შედიოდა. ისინი საფრანგეთის სიღრმეშიც იჭრებოდნენ, მოგზაურობდნენ მდინარეებით სენითა და ლუარით. 886 წელს ნორმანებმა ალყა შემოარტყეს თვით ქალაქ პარიზს, ხოლო 911 წელს აარსებენ ნორმანდიის საჰერცოგოს თავისი წინამძღოლის როლონის მეთაურობით (იხ. თავი V, § 3).

აწყობდნენ რა თავდასხმებს, ნორმანები ხშირად ესპანეთსა და ხმელთაშუა ზღვას აღწევდნენ. 844 წელს ისინი თავს დაესხნენ ასტურიის სანაპიროებს (ესპანეთის ჩრდილოეთი სანაპირო), მაგრამ უკუქცეულ იქნენ. ისინი ძარცვავდნენ აგრეთვე არაბეთის ესპანეთის სანაპიროებს, აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროებს, ბალეარის კუნძულებს (მინორკას და მაიორკას); მათ

რაზმები თვით სამხრეთ იტალიამდე და სიცილიამდეც კი აღწევდნენ. XI საუკუნეში ესპანელები ასეთ რაზმებს ქირაობდნენ არაბებთან საბრძოლველად. სკანდინავები ხშირად მოგზაურობდნენ რელიგიური მიზნით პალესტინაში, ეგრეთწოდებულ „ქრისტეს საფლავისადმი". თაყვანსაცემად, ამასთან გზადაგზა ხანდახან მოსახლეობასაც ძარცვავდნენ. იტალიაში ისინი პირველად დაახლოებით IX საუკუნის შუა ხანებში ჩნდებიან. ხშირად სამხრეთ იტალიის ფეოდალები ნორმანებს მოჯამაგირეთა სახით იწვევდნენ. ასეთ ნორმანელ მოჯამაგირეთა ჯგუფებისა და მთელი რაზმების მიწაზე დამკვიდრების შედეგად XI საუკუნის 30-იან წლებში წარმოიქმნა ავერზას საგრაფო. 1042 წელს ნორმანთა დაქირავებული რაზმების ერთ-ერთი წინამძღოლის მიერ კამპანიაში ფეოდად მიღებულ იქნა ტერიტორია ქალაქ გაეტითურთ. 1043 წლისთვის მთელი დასავლეთი აპულია დაპყრობილ იქნა ნორმანთა რაზმის მეორე წინამძღოლის, გილიომ რკინის ხელის მიერ.

ნორმანებმა თავისი ძალაუფლება თანდათანობით მეზობლად მდებარე მიწებზე გაავრცელეს. გილიომ რკინის ხელი შეუდგა ბენევენტის დაპყრობას. ნორმანები ბრძოლას აწარმოებენ პაპებთან, რომლებიც თავდაპირველად იტალიაში მათ დამკვიდრებას თავისთვის საშიშრად მიიჩნევენ, მაგრამ შემდეგში იგივე პაპები ნორმანებს თავის ინტერესებისათვის იყენებენ.

ნორმანთა ერთ-ერთმა გამოჩენილმა ბელადმა რობერტ გიუისკარმა, 1059 წელს პაპისაგან აპულიისა და კალამბრიის ჰერცოგის ტიტული მიიღო. 1060 წლიდან რობერტი და მისი ძმა როგერი სიცილიის დაპყრობას შეუდგნენ, რომელიც მაშინ არაბებს ეკუთვნოდა, და 1071 წლისთვის მთელ კუნძულს იკავებენ. ბოლოსდაბოლოს (XII საუკუნეში) მოხდა იტალიის ნიადაგზე წარმოქმნილ ცალკეულ ნორმანულ სახელმწიფოთა გაერთიანება. იტალიის სამხრეთით სიცილიისა, კალამბრიისა და აპულიისაგან საკმაო დიდი და ძლიერი სამეფო წარმოიქმნა.

სკანდინავთა კულტურა და რელიგია. სკანდინავიის ნორმანები დიდხანს დარჩნენ წარმართებად. ნორმანელ ტომთა გაერთიანებას შედეგად ის მოჰყვა, რომ მათში წარმოიშვა რელიგიურ წარმოდგენათა მწყობრი სისტემა ღმერთების მთელი პანთეონით, რომლის სათავეშიც იდგა ღმერთი ოდინი თავისი ცოლით ფრეათი და შვილით ტორით. VIII საუკუნის დასაწყისიდან ქრისტიანობაც იწყებს გავრცელებას.

სკანდინავთა უზენაეს ღვთაებას წარმოადგენდა ცის ღმერთი ოდინი, ანუ ვოტანი. „ხალხთა დიდი გადასახლების" შემდგომ ეპოქაში ეს ღვთაება უმაღლესი კლასების ღვთაებად იქცევა, ახლად ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფეოდალების კლასისა და მათ გარშემო მყოფ რაზმების ღვთაებად. ხალხის მასები თავყანს სცემდნენ მეორე ღვთაებას — ტორს (ანუ გერმანელთა დონარს), ქუხილის ღვთაებას. ოდინი წარმოდგენილია, როგორც ყველა ღმერთების მამა. ჩვეულებრივ ის წარმოდგენილი ჰყავთ თეთრ ცხენზე მჯდომარედ შუბითა და მახვილით, ოქროს მუზარადით, რომელიც უნდა წარმოსახავდეს ზეზეს ლაჟვარდ ცაზე. მას წამოსხმული აქვს ცისფერი ანუ ლურჯი მოსახურავი, რომელიც ცის ფერის გამოსახულებაა. ზოგჯერ ოდინს ხატავენ, როგორც

ცალტვალას, იმიტომ რომ ცას მხოლოდ ერთი თვალი აქვს — მზე; მას თავზე ხურავს განიერფარფლებიანი ქუდი, რომელსაც ზოგჯერ თვალზე იფარებს. ამ დროს ცა ღრუბლებით იფარება. ის აგრეთვე ომის ღმერთს წარმოადგენს. ის ერთადერთი მეფობს ვალგალაში. ეს ის ადგილია, საითკენაც მიეშურებიან ბრძოლაში დაღუპული გმირები, მაშინ როდესაც ზსინი, ვინც ბრძოლაში არ მომკვდარა, მიწის ქვეშა სამეფოში მიდიან. მას გარს ეხვევიან მებრძოლი ვალკირიები. ოდინი ჰაერის ღმერთიც არის და თავისი ამალის თანხლებით, ქარის სახით დანავარდობს დედამიწაზე. შემდეგში, კულტურის, დამწერლობის, პოეზიის განვითარებასთან დაკავშირებით, იგივე ოდინი კულტურის ღვთაებად, პოეზიის ღმერთად, დამწერლობის გამომგონებლად და ყოველგვარი ჯადოქრობის ღმერთად იქცევა.

მეორე ღმერთს, ტორს, ჩვეულებრივ ხატავენ ელვასთან ერთად ,ვინაიდან ის წარმოსახავს ჭექა-ქუხილს. მას აქვს ქერა წვერი, ის მოგზაურობს ეტლით, რომელშიც თხებია შებმული. ტორი დაბალი კლასების — გლეხებისა და მონების მფარველია, რომლებიც სიკვდილს შემდეგ მიდიან არა ვალგალაში, არამედ ღმერთ ტორის სამეფოში.

სხვა ღმერთებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოდინის შვილი — ნათელი ღვთაება ბალდური, სინათლის ღმერთი. არსებობს თქმულება მისი სიკვდილის შესახებ, ყველა ღმერთები და მთელი სამყარო გლოვობდა. ბალდურს ნაწინასწარმეტყველევი ჰქონდა, რომ ის უნდა დაღუპულიყო. დედა მისი, ღმერთქალი ფრეია, ავედრებდა თავის შვილს მთელ ბუნებას. მაგრამ მას დაავიწყდა მიემართნა პატარა მცენარის — ომელასადმი. როდესაც ყველა ღმერთებმა სცადეს ბალდურის უვნებადობა, იგი ყოველთვის უვნებელი რჩებოდა, მაგრამ ბოროტი ღმერთის ლოკის შთაგონებით, მისმა ბრმა ძმამ შემოჰკრა ბალდურს ომელის შტო. ამან გამოიწვია ნათელი ღმერთის სიკვდილი, რომელიც, მიუხედავად ამისა, მაინც კვლავ უნდა აღსდგეს. აქ ჩვენ გვაქვს ზღაპარი, რომელიც დაკავშირებულია მზის ნათელი ღვთაების ყოველწლიური კვდომისა და აღორძინების წარმოდგენასთან.

სკანდინავიის ღვთაებათა პანთეონში ბოროტი ღვთაება — ლოკიც არსებობდა. ესაა ცეცხლის ღმერთი, მაგრამ ამასთანავე ღვთაება, რომელიც მტრულად განწყობილია ყველა ნათელი ღმერთებისადმი. ესაა მამა მსოფლიო გველისა, მამა მსოფლიო მგლებისა, მამა ჯოჯოხეთის ღმერთქალისა; მამა მსოფლიო ბოროტებისა. ყველა ბოროტი ღვთაება, ლოკის მეთაურობით, მომავალში უნდა აღსდგეს უზენაეს ნათელ ღმერთთა წინააღმდეგ, და მსოფლიო დაიღუპება, რასაც უნდა მოჰყვეს მსოფლიოს ახალი აღორძინება ახალ საწყისებზე.

სკანდინავთა ღმერთებს ისეთივე დაჯგუფებები აქვთ, რაც მიწაზეც არსებობენ: ისინიც აგრეთვე გვაროვნულ ჯგუფებად იყოფიან. არსებობდა ღმერთების ორი ჯგუფი, აზები და ვანები, რომელთა შორის გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა, მაგრამ შემდეგში მოხდა ამ ღვთაებათა შერიგება, ამასთან მათ გაცვალეს მძევლები.

ყველა ეს თქმულებანი იმის მაჩვენებელია, რომ სკანდინავთა რელიგია სხვადასხვა ტომური რელიგიის გაერთიანებას წარმოადგენდა.

დანიის სამეფოს წარმოქმნა. IX საუკუნის განმავლობაში სკანდინავიაში უფრო მსხვილი სახელმწიფო გაერთიანებანი იქმნება. ამ საუკუნის დასაწყისში არსდება დანიის სამეფო, რომელიც უდიდეს ძლიერებას აღწევს X საუკუნეში მეფე ჰაროლდ ლურჯკბილიანის დროს, რომელმაც აგრეთვე სამხრეთ სკანდინავიაც დაიპყრო, ეწეოდა ომს პრუსებთან და ზღვისპირეთის სლავებთან. განსაკუთრებულ ძლიერებას დანიამ კანუტ (კნუტ) დიდის მეფობის დროს მიაღწია, რომლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა ინგლისი და სკანდინავიის სამხრეთი ნაწილი.

შვეციის გაერთიანება. IX საუკუნეში ჩამოყალიბებას იწყებს შვეციის სახელმწიფოც. ერთიანდება ახლანდელი შვეციის ორი ძირითადი ოლქი — გოთია, ანუ გოტლანდი, და საკუთრივ შვეცია — სვეალანდი. თავდაპირველად წვრილ შვეციელ ტომებს ჰქონდათ ერთიანი რელიგიური ცენტრი უპსალში, სადაც იმყოფებოდა ეგრეთწოდებული „ღმერთების კარი“ და სადაც თავს იყრიდა მოსახლეობა რელიგიურ დღესასწაულებზე სხვადასხვა რელიგიური წესების შესასრულებლად. სწორედ ამ „ღმერთთა კარის“ გარშემო მოხდა შვეციელ ტომთა გაერთიანება, ისე რომ უპსალის მეფეები, რომლებიც ეკუთვნოდნენ სამეფო გვარეულობას — ინგვეს, მთელი შვეციის მეფეებად იქცნენ. შვეციის ამ მეფეებიდან აღვნიშნავთ კონუნგ ოლაფს; მის დროს XI საუკუნის დამდეგს შეიქმნა დიდი სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიაც ნორვეგიის ნაწილიც შედიოდა; მის დროსვე იწყება შვეციის ქრისტიანიზაციაც.

ნორვეგიის სამეფოს წარმოქმნა. ნორვეგიის სამეფოს წარმოქმნის დასაწყის თარიღად შეიძლება ჩაითვალოს 885 წელი, როდესაც ჰარალდ ჰარფაგრი (ლამაზთმიანი) შეუდგა ცალკეული ტომების გაერთიანებას და განდევნა ადგილობრივი იარლები, რომლებიც ცალკეულ დამოუკიდებელ ფილკების სათავეში იდგნენ. მისი შვილის შვილის ოლაფ II სქელის დროს (1015—1027 წწ.) მოხდა მთელი ნორვეგიის საბოლოო გაერთიანება, ამასთან იარლების წოდება სრულიად მოსპობილ იქნა.

ასე მოხდა სკანდინავიაში შვეციის, დანიისა და ნორვეგიის სახელმწიფოების წარმოქმნა.

ლიტერატურა

I. წყაროები. Хрестоматия по западноевропейской литературе. Средние века (IX—XV вв.), под ред. Шор, 1938, стр. 63—124, 501—519. — Ирландские саги, М. — Л. 1933. — „Сага о Волсунгах“, М. — Л. 1934. — „Эдда“, М. 1917.

II. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, 1897—1898, т. I, стр. 602—650; т. II, стр. 657—675. — Петрушевский, Очерки из истории английского государства и общества в средние века, разн. изд., гл. I. — Грин, История английского народа, т. I, М. 1891. — Виноградов, Исследования по социальной истории Англии в средние века, 1880. — Виноградов, Средневековое поместье в Англии, Спб. 1911. — Тьерри О., Завоевание Англии норманнами, т. I, 1900. — „Общественная жизнь Англии“, под ред. Трайля, т. I, 1897. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. II, ст. 20. — Тиандер, Поездки Скандинавов в Белое море, Спб. 1906.

თ ა ვ ი VII

გერმანია. იტალია და პაპობა IX—XI საუკუნეებში

გერმანიის გამოყოფა კარლოს დიდის სახელმწიფოდან. გერმანია რო-გორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ვერდენის 843 წლის ხელშეკრულებით, გამოიყო კარლოს დიდის მონარქიიდან. ამ ხელშეკრულებით კარლოს დიდის შვილიშვილს ლუდოვიკო გერმანელს წილად ხვდა ყველა რაინს იქითა მიწები და ბავარია. გარდა ამისა, გერმანიის შემადგენლობაში შევიდნენ თვითონ: რაინის დაყოლებით მდებარე მიწებიც, სახელდობრ. მაინცის, ვორმსისა და შპეიერის საარქიეპისკოპოსოები. ეს ტერიტორია საბოლოოდ გამოიყო ფრანკთა სახელმწიფოს შემადგენლობიდან IX საუკუნის დამლევს. მისი მცხოვრებნი უფრო გვიან (XI საუკუნიდან) თავის თავს ტევტონებს უწოდებდნენ. ეს ძველი სახელწოდება გერმანელებმა დღემდე შეინარჩუნეს (Teutschen, ანუ Deutschen). ფრანგები გერმანელებს უწოდებდნენ და დღესაც უწოდებენ ალემანებს (allemand), მათთან უახლოესი გერმანელი ტომის ალამანების სახელწოდების მიხედვით. სლავებმა გერმანიის მცხოვრებთ დაარქვეს „ნემცები", რითაც აღნიშნავდნენ, რომ მათ არ ძალუძთ გასაგებ ენაზე ლაპარაკი, და ისინი თითქოს მუნჯები არიან სლავის თვალსაზრისით.

საჰერცოგოები. გერმანია არც ეთნიურად, არც პოლიტიკურად მთლიანობას არ წარმოადგენდა. ის დაყოფილი იყო ოთხ ფაქტიურად დამოუკიდებელ ტომობრივ საჰერცოგოდ: შ ვ ა ბ ი ა დ (დუნაის ზემო წელში), ბ ა ვ ა რ ი ა დ (მდინარე ლეხას აღმოსავლეთით), ფ რ ა ნ კ ო ნ ი ა დ (რაინის შუა წელში და მაინის დაყოლებით) და ს ა ქ ს ო ნ ი ა დ ტ ი უ რ ი ნ გ ი ი თ უ რ თ (დაახლოებით ვეზერიდან ელბამდე); X საუკუნის პირველ ნახევარში მათ მიემატა კიდევ ლ ო ტ ა რ ი ნ გ ი ა — ტერიტორია, რომელიც მდებარეობს რაინისა და შელდის შესართავიდან თითქმის რაინის ზემო წელამდე, მასზე მყოფი შერეული რომანული და გერმანული მოსახლეობით. თითოეული ამ ტომობრივი საჰერცოგოს მცხოვრებთათვის სავსებით უცხო იყო ნაციონალური ერთობის შეგნება და ისინი ერთმანეთს ისე უყურებდნენ, როგორც უცხოელებს.

საქსონური დინასტია. 911 წლამდე გერმანიას კაროლინგები განაგებდნენ. უკანასკნელი მათგანის — ლუდოვიკო ყმაწვილის სიკვდილის შემდეგ და იმ შფოთიერი პერიოდის გავლის შემდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა კონრად ფრანკონელის დროს (911 — 919 წწ.), ქვეყნის მართვაგამგეობა დაიწყო საქსონურმა დინასტიამ (919 — 1024 წწ.), რომელსაც ეს სახელი იმიტომ ეწოდა, რომ მისი დამაარსებელი იყვნენ საქსონიის ჰერცოგები. ამ დინასტიის მთავარი

წარმომადგენლები არიან მეფეები ჰენრიხ I ფრინველთმჭერი (919—936 წწ.) და ოტონ I (936 — 973 წწ.). მათ დროს წარმოებს გერმანელთა მიერ მეზობელ დასავლეთსლავურ ტომების დაპყრობა და გერმანელთა ბრძოლა უნგრელებთან.

ბრძოლა ლაბისპირა სლავებთან. მდინარე სალის დაყოლებით, ელბის შუა და ქვემო წელში, და აგრეთვე ელბის აღმოსავლეთით ოდერამდე მდებარე ტერიტორია იმ დროს დაკავებული იყო სლავური პ ო ლ ა ბ ე ლ ი (ელბის ნაპირებზე მცხოვრები) ტომებით, რომლებიც სამ დიდ ჯგუფად იყოფოდნენ: სალასა და ელბას შორის და შემდეგ აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით ცხოვრობდა ლაბისპირა ტომების ს ე რ ბ ო ლ უ გ ე ლ თ ა ჯგუფი (რომლის შემადგენლობაშიც, სერბიელთა და ლუგელთა გარდა, შედიოდნენ აგრეთვე გლომაჩები, მილჩანები, დეჩანები); ელბის შუა წელში და შემდეგ აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ოდერამდე ცხოვრობდნენ ყველაზე გულადი პოლაბელი ტომები ვ ე ლ ც ე ბ ი ს ა, ანუ ლ უ ტ ი ჩ ე ბ ი ს (რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ, გარდა საკუთრივ ლუტიჩებისა, გავოლები, რედარიები, უკრაინები და სხვ.); დასასრულ, ჩრდილოეთით, ელბის ქვემოწელის აღმოსავლეთით, ცხოვრობდნენ ო ბ ო დ რ ი ტ ე ბ ი (რომლებსაც ეკუთვნოდნენ ვაგრები, პოლაბები, ვარნები და სხვ.). კარლოს დიდმა ხარკი დაადო ლაბისპირა სლავებს, მაგრამ იმპერატორის სიკვდილის შემდეგ ხარკს რეგულარულად აღარ იხდიდნენ, და სლავები გერმანელებთან მუდმივ სასაზღვრო ომებს აწარმოებდნენ, აგერიებდნენ მათ შემოტევას და თვითონ იჭრებოდნენ (უნგრელებთან და დანიელებთან ერთად) გერმანელთა მიწა-წყალზე. პირველ ყოვლისა, სლავებს შეხლა-შემოხლა უხდებოდათ თავის უშუალო მეზობლებთან— საქსებთან. ამიტომ ბუნებრივია, რომ საქსონიის ჰერცოგებმა, როცა ისინი გერმანიის მეფეები გახდნენ, საქსონიის დხდკაცობის ინტერესთა სასარგებლოდ გერმანელთა გაერთიანებული ძალები პოლიტიკურად დაქუცმაცებულ, ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილებით მცხოვრებ სლავიანობის წინააღმდეგ წარმართეს. ჰენრიხ ფრინველთმჭერმა ხელთ იგდო გლომაჩების დედა-ქალაქი ბანა და დაიმორჩილა სლავთა სერბოლუგელთა ჯგუფი; აიძულა იგი ეძლია გერმანელებისთვის ხარკი. იმავდროულად ლუტიჩთა მიწაზე მან დაიმორჩილა გავოლები, აიღო მათი ქალაქი ბრანიბორი (ბრანდენბურგი), და დაიპყრო აგრეთვე რედარიები და უკრაინები. ობოდრიტებმაც იწყეს ხარკის გადახდა მეფისადმი. ჰენრიხი ცდილობდა აგრეთვე გერმანელთა გავლენა იუტლანდიაზეც გაევრცელებინა და დაეპყრო შლეზვიგი; ამგვარად, მან სლავები და დანიელები ერთმანეთისაგან გათიშა. ყველგან სლავთა მიწა-წყალზე გერმანელები თავის გარნიზონებს აყენებდნენ, რომლებსაც ძველ და ახლად აგებულ სიმაგრეებში ათავსებდნენ. ერთ-ერთი ასეთი ახლად აგებული სიმაგრე იყო მეისენი ელბაზე, რომელიც შემდეგ მეისენის მარკის ცენტრად იქცა. ეს კია რომ სლავთა დაპყრობა მეტად არა მტკიცე. გამოდგა. ისინი კვლავ თავის წინანდელი თავადების მორჩილებაში იყვნენ და ძველი ადათწესების მიხედვით ცხოვრობდნენ, ამასთან ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს გერმანელთა წინააღმდეგ. ოტონ I ცდილობდა კიდევ მეტად განემტკიცებინა გერმანელთა ბატონობა ჯერ დაპყრობილ სლავთა ტერიტორიაზე ოდერამდე. ის გამალებით ნერგავ-

და და ავრცელებდა სლავთა შორის ქრისტიანობას, ასახლებდა სალასა დ-ელბას იქით გერმანულ კოლონისტებს; მან დააარსა სლავთა მიწა-წყალზე მოსაზღვრე მარკები (თავდაპირველად ორი, რომლებიც შემდგომ ექვსად იქნა-დაყოფილი); ის ავალდებულებდა მარკგრაფებს ჩაეხშოთ ყოველივე მისწრა-ფება სლავებისა დამოუკიდებლობისადმი და გაეძლიერებინათ მათზე გერმა-ნელთა გავლენა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს გერმანული გავლენა ძალიან მძიმედ იკი-დებდა ფეხს, რადგან დამპყრობლები ზიზღსა და სიძულვილის გრძნობას აღვი-ვებდნენ სლავებს შორის თავისი სისხლისმსმელი და გაუმაძღარი პოლიტიკით. სლავებთან ბრძოლას ისინი გაუგონარი სისასტიკით აწარმოებდნენ. ასე მაგა-ლითად, როდესაც ჰენრიხ ფრინველთმჭერმა ოცი დღის ალყის შემდეგ აიღო გლომაჩების ქალაქი განა, მან გასცა ბრძანება გაეძლიტათ ყველა მოზრდილი-კაცი და ქალი, განურჩევლად, ბავშვები კი ტყვედ წამოასხა და მონებად აქ-ცია. სლავებთან ბრძოლის დროს ოტონ I ხოცდა ასობით ტყვეებს ანდა მხე-ცურად ასახიჩრებდა მათ, ჰგლეჯდა ენას, თვალებს სთხრიდა და ა. შ. სისას-ტიკესთან ერთად დამპყრობთა თვისებას შეადგენდა ვერაგობა, რომლითაც სახელი გაითქვა ოტონ I ერთ-ერთმა მარკგრაფმა — მტაცებელმა გერონმა; ეგი ვილცების მიწა-წყალზე მოქმედებდა. ერთხელ მან თავისთან სტუმრად მიიწვია 30 სლავი თავადი და ლხინისა და შექცევის დროს ყველა ისინი მუხა-ნათურად ამოსწყვიტა. გერმანელებმა სწორედ მის დროს დაიბრუნეს თითქოს სამუდამოდ დაკარგული ქალაქი ბრანდენბურგი; ამისათვის მათ მოისყიდეს გაველების ერთ-ერთი თავადი, რომელმაც ქალაქი ხელში ჩაუგდო გერმანელ-თა ჯარს. ბუნებრივია, რომ სლავებს სძულდათ დამპყრობლები და არ სურ-დათ მიეღოთ გერმანელთა ადათ-წესები, მათ შორის ქრისტიანობა. ისინი მხო-ლოდ ხელსაყრელ შემთხვევას უცდიდნენ, რათა გასწორებოდნენ დაუპატიუე-ბელ სტუმრებს და დაემხოთ მათი ბატონობა.

ომები უნგრელებთან. საქსონიის დინასტიის პირველი მეფეებიც აგრეთვე აწარმოებდნენ ომებს უნგრელებთან. დიდი მორავიის სლავური სახელმწიფოს დაპყრობის შემდეგ უნგრელებმა დუნაის შუაწელიდან პირდაპირი გზა გაიკა-ფეს გერმანიისაკენ. X საუკუნის დამდეგიდან ისინი ორის მხრით აწარმოებ-დნენ გამანადგურებელ თავდასხმებს მის ტერიტორიაზე: ჩრდილოეთ-აღმო-სავლეთით ისინი ელბით საქსონიაში იჭრებოდნენ, ამასთან ისინი ლაბისპირა-სლავებთან ერთად მოქმედებდნენ, აღმოსავლეთით კი უშუალოდ იჭრებოდნენ ბავარიაში, ხოლო აქედან შვაბიასა, ლოტარინგიასა და დასავლეთ ფრანკონია-ში. გერმანელთა ტერიტორიაზე უნგრელები საშინელის სისასტიკით მოქმე-დებდნენ; სოფლებს და ქალაქებს ცეცხლს უკიდებდნენ, ასაკის განურჩევლად ყველა მამაკაცს ჰკლავდნენ, ქალებს კი ტყვედ მიერეკავდნენ. გერმანელთა ფეხოსან ლაშქარს არ შეეძლო გამკლავებოდა მრავალრიცხოვან და მოქნილ უნგრელთა ცხენოსან ჯარს. ამიტომ ჰენრიხ ფრინველთმჭერმა სამხედრო რე-ფორმა გაატარა და შეჰქმნა მრავალრიცხოვანი მძიმედ შეიარაღებული (შე-ჯავშნული) ცხენოსანი ჯარი; მხოლოდ მას თუ შეეძლო გამკლავებოდა უნგ-რელებს. ამასთან ერთად ის აგებდა (უმთავრესად საქსონიაში) ციხე-სიმაგრე-ებს, რომელთა გარემოცვა და ალება უნგრელებს არ შეეძლოთ. ეს ციხე-სი-

მაგრეები წარმოადგენდნენ საიმედო თავშესაფარს მტრებისაგან და იმავე დროს ბაზებს წინააღმდეგობის სასწრაფოდ მოწყობისათვის. ყველა ამ სამხედრო ხასიათის ღონისძიებამ მალე ფრიად საგრძნობი ნაყოფი გამოიღო: როდესაც 933 წელს უნგრულებმა თავისი ჯარები ძალებით მორიგი თავდასხმა მოახდინეს, გერმანელთა რეორგანიზებულმა ჯარმა დაამარცხა და უკუაგდო ისინი გერმანიიდან. კიდევ უფრო წარმატებით ებრძოდა უნგრელებს ოტონ I, რომელმაც გაანადგურა მათი ძალები მდინარე ლ ე ხ ე ზ ე გამართულ ბრძოლაში, აუგსბურგის მახლობლად (955 წ.). გერმანელებმა ხელთიგდეს უნგრელთა ბანაკი და მრავალი ტყვე; მათ რიცხვში იყო უნგრელთა სამი ბელადი, რომელთა შესახებ ოტონმა განკარგულება გასცა ჩამოეხრჩოთ. ასეთი გადამწყვეტი დამარცხების შემდეგ უნგრელებმა შეწყვიტეს თავდასხმები გერმანიაზე.

ფეოდალიზაციის პროცესი. ამ დროს გერმანიაში გრძელდებოდა ფეოდალიზაციის პროცესი. კაროლინგთა ყოფილი მონარქიის დანაჩენ ნაწილებთან შედარებით, ეს პროცესი უფრო ნელის ტემპით მიმდინარეობდა. ამ სინელის მიზეზი იყო ის, რომ გერმანიაში ძალიან დიდხანს არსებობდა მძლავრი გლეხური თემი-მარკა, რომელიც ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა მსხვილ მიწათმფლობელთა იერიშებს.

მარკის დაშლა და მამულის ზრდა. თანდათანობით აქაც მარკა დაშლის გზას დაადგა და თავისი პირვანდელი სტრუქტურა გამოიცვალა. თუ წინათ მარკის წევრებს არ გააჩნდათ მიწაზე კერძო საკუთრება, ახლა ეს საკუთრება თანდათანობით წარმოიშვა და თითოეული გლეხი თავისუფლად განაგებს თავის ნაკვეთს, ეგრეთწოდებულს გუფას. გუფა წარმოადგენდა კერძო საკუთრების ობიექტს და ამიტომ შესაძლებელი იყო მისი დაყოფა, გაყიდვა, გადაცემა და ა. შ. საადგილ-მამულო საკუთრების მობილიზაციასთან ერთად თავისუფალ მოსახლეობაში სულ უფრო და უფრო ღრმად მიმდინარეობს სოციალური დიფერენციაციის პროცესი: ზოგიერთი გუფი ნაწილ-ნაწილ იყოფა, ზოგი, პირიქით, იზრდება, ზოგიც ერთი მესაკუთრის ხელში ერთიანდება. ამასთან ერთად ძლიერი ბიძგი ეძლევა დიდკაცობის (გვაროვნულის და მსახურეულის, ჰერცოგების ჩათვლით) მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდას; ეს დიდკაცობა ძლიერთა უფლებით იხვეჭს ანდა მეფეებისაგან ღებულობს უზარმაზარ მიწებს. ამ საქმეში მათ საგრძნობ მეტოქეობას უწევენ სასულიერო კორპორაციები — საეპისკოპოსო ეკლესიები და მონასტრები, რომლებიც ყველგან გაჩნდნენ გერმანიაში უკვე პირველი კაროლინგების დროს.

ამნაირად მტკიცდება და ფართოვდება დიდი მამული მისი მაორგანიზებელი ცენტრით — ბატონის კარით და ამ კარისაგან დამოკიდებული ბატონუმური ნაკვეთებით. ვინაიდან დიდი მამული თავისი სამფლობელოებით შეჭრილი და გადახლართულია თავისუფალ სოფელთან, იგი სულ უფრო და უფრო ისწრაფის თავისი პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენის ორბიტში მოაქციოს წვრილი და საშუალო თავისუფალი საკუთრება. რიგითი თავისუფალ ადამიანთა მასის ქონებრივმა გალატაკებამ, იმ ადამიანთა მასისა, რომლებზეც გამანადგურებლად მოქმედებს მძიმე სასამართლო ჯარიმები და ათისთავი, რასაც ისინი ეკლესიის სასარგებლოდ იხდიან, და აგრეთვე სამხედრო სამსახური,

არაჩვეულებრივად შეუწყო ხელი სამამულო წყობილების განვითარება-განმტკიცებას.

წოდებრივი წყობილება. ბოლოსდაბოლოს ხდება საზოგადოების მკვეთრი დანაწილება ორ წოდებად — სამხედრო წოდებად, ე. ი. ფეოდალურ რაინდობად, და საბეგარო წოდებად-ფეოდალების მიერ ექსპლოატირებულ გლეხობად. ამ პროცესის საბოლოო ჩამოყალიბებას, რაც გაპირობებული იყო თავისუფალი მოსახლეობის ჭონებრივი დიფერენციაციით, ხელი შეუწყო ჰენრიხ ფრინველთმჭერის სამხედრო რეფორმამ.

ყველას, ვისაც შეუძლია ცხენ-და-ცხენ ბრძოლა, სამხედრო წოდებაში რიცხავენ. ხოლო, ვისაც არ ძალუძს ცხენოსნური სამსახური, ირიცხება საბეგარო წოდებაში. მაშასადამე, ნაწილი ყველაზე შეძლებულ თავისუფალ წვრილ მიწათმფლობელთა, რომელთა ხელშიც გაერთიანებული იყო რამდენიმე ნაკვეთი, გადადის რაინდთა წოდებაში, ხოლო ნაკლებ უზრუნველყოფილი ელემენტები საბეგარო წოდებაში ექცევიან და გლეხობის ფეოდალურად დამოკიდებულ ბატონყმურ მასაში ითქვიფებიან. ამ სამხედრო წოდების სტრუქტურაში ადგილი აქვს დიდ გრადაციას: აქ, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მსხვილი ფეოდალები, სასულიერო და საერო თავადები, უშუალოდ იმპერატორის ვასალები. შემდეგ არსებობს საშუალო და წვრილ რაინდთა მთელი რიგი სხვა კატეგორიები. განსაკუთრებით მრავლად იყო გერმანიაში წვრილი რაინდობა. ამ რაინდთა თანრიგში რიცხავდნენ არა მხოლოდ თავისუფალ, არამედ არათავისუფალ ადამიანებსაც, ეგრეთწოდებულ მ ი ნ ი ს ტ ე რ ი ა ლ ე ბ ს. თავდაპირველად ეს იყო მემამულის ჯალაბი. დროთა განმავლობაში, როცა საჭირო შეიქნა ცხენოსანი ჯარის ჩამოყალიბება, უნგრელთა მოსაგერიებლად, მინისტერიალებმა იწყეს სამსახური ცხენოსნობაში, და გადავიდნენ რაინდთა თანრიგში, სადაც ისევ არათავისუფალი დარჩნენ. ეს, ცხადია, მოწმობს იმას, თუ რამდენად მოძველებული შეიქნა წინანდელი სოციალური დაყოფა. ახლა კი ჩნდება ახალი დაყოფა, რომელიც ძველს არ ემთხვევა. არათავისუფალი ადამიანი რაინდთა თანრიგში ხვდება. ფაქტიურად ის არაფრით არ განსხვავდება თავისუფალი რაინდისაგან. სამსახურისათვის ის ღებულობს ლენს და თავის მიწებზე მას ჰყავს დამოკიდებული გლეხები.

ეგრეთწოდებული სამსახურებრივი ლენების მიმღებ მინისტერიალების თანრიგები შემდეგში ივსება თავისუფალ ადამიანებისაგან და მინისტერიალები საბოლოოდ უერთდებიან თავისუფალ რაინდებს.

რაც შეეხება საბეგარო წოდებას, პირველ, ყოვლისა, აქ უნდა აღინიშნოს თავისუფალი გლეხობა. ზოგ შემთხვევაში თავისუფალი გლეხები თავისი მიწის მესაკუთრეებს წარმოადგენენ. გერმანიაში გლეხური საკუთრება კიდევ დიდხანს განაგრძობდა თავის არსებობას, თუმცა არა საგრძნობი რაოდენობით. შემდეგ მოდის არა მესაკუთრე გლეხთა, არამედ მეჩინშე გლეხთა თანრიგი, ე. ი. ისეთი გლეხების, რომლებსაც უკავიათ სხვისი მიწა და იხდიან მისთვის ჩინშს, ე. ი. ხარკს (Hörige). შემდეგ მოდის ბატონყმური გლეხობის მასა და ნამდვილი არათავისუფალი მონები (Leibeigene). შინაყმები — ეს ის ხალხია, რომლებიც მომსახურებას უწევენ მემამულის მოთხოვნილება-საჭიროებას, ცხოვრობენ მის კარზე და შეადგენენ მის ჯალაბს.

უკვე ამ დროისთვის გერმანიაში ჩნდებიან მოქალაქენი, თუმცა XII საუკუნემდე ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს არ ასრულებენ. ესენი არიან ნაწილობრივ მიწის მესაკუთრენი, ნაწილობრივ კი ხელოსნები და ვაჭრები. ისინი ცხოვრობდნენ განსაკუთრებული საქალაქო სამართლის საფუძველზე და ზოგჯერ ავტონომიის ერთგვარი უფლებით სარგებლობდნენ. მათგან, ისე როგორც გლეხებისაგან, სახელმწიფო არავითარ სხვა სამსახურს არ მოითხოვდა, გარდა გადასახადებისა და ნატურალურ ბეგარისა. მაინც ისინი არ ირიცხებოდნენ „მობეგარეებად", იმიტომ რომ საბეგარო ტვირთი ქალაქს აწვა, როგორც კოლექტივს, ცალკეული მოქალაქენი კი ინდივიდუალურ დაბეგვრას არ ექვემდებარებოდნენ.

სახელმწიფო აპარატის ფეოდალიზაცია. საზოგადოების ფეოდალიზაცია, ცხადია, თავს იჩენს მის პოლიტიკურ სტრუქტურაზეც. სახელმწიფო აპარატი უკვე ახალ, ფეოდალურ საწყისებზე შენდება. უკვე საქსონიის დინასტიის მეფეების დროს თანდათანობით სულ უფრო და უფრო ჰქრებიან მოხელეთა შემწეობით მმართველობის ძველი პრინციპები და ცხოვრებაში ფეხს იკიდებენ ლენის მემკვიდრეობით მიმღებთა საშუალებით მმართველობის ახალი პრინციპები.

საქმე იქამდე მიდის, რომ მეფის ძველი მოხელე-გრაფი, რომელსაც წინათ მეფე ხსნიდა და ნიშნავდა, ახლა მემკვიდრეობით ლენის მიმღებად იქცევა. იგი თავის თანამდებობას ისე უყურებს, როგორც სამემკვიდრო ლენს, და ამასთან ერთად სამემკვიდრო ქონებად მიიჩნევს აგრეთვე ამ ლენთან დაკავშირებულ მთელ ტერიტორიას.

თანამდებობებისა და მათთან დაკავშირებული მიწების ასეთი ფეოდალიზაციის პარალელურად მიმდინარეობს საგრაფოების დანაწილება, და, ცხადია, გრაფები, ჰერცოგები და სხვა მსხვილი ფეოდალები ცენტრალური ხელისუფლებისაგან სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხდებიან.

საქსონიის დინასტიის დროს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იხვეჭენ ჰერცოგები. მეფეები მათთან განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებენ. მათ წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომებს ღებულობს ოტონ I, რომელიც საჰერცოგოებს ანაწილებს და ისე ურიგებს თავის ნათესავებს.

მეფე და სამღვდელოება. ოტონის ჩვეულებრივ იარაღს ჰერცოგებთან და საერთოდ მაღალი საზოგადოების მოჯანყე ფეოდალებთან ბრძოლაში სამღვდელოება წარმოადგენდა.

საქსონიის დინასტიის მეფეები ეკლესიის ფეოდალებს ეყრდნობოდნენ, და მათი ძლიერება მეტწილად იმით აიხსნება, რომ ისინი საეკლესიო მიწებს თავისუფლად განაგებდნენ. ამ მიწებზე მეფეს შემოღებული ჰქონდა პირდაპირი გადასახადი. ეგრეთწოდებული ბ ე დ ე-თი დაბეგვრა, ისე როგორც თავის საკუთარ მიწებზე. გარდა ამისა, როდესაც ეპისკოპოსის ან აბატის თანამდებობა ვაკანტური შეიქმნებოდა, სანამ არ დაინიშნებოდა გარდაცვლილი სასულიერო პირის მემკვიდრე, მთელ შემოსავალს სათანადო საეპისკოპოსოს ან საabატოს მიწებიდან მეფე ღებულობდა. ეს შეადგენდა მეფის შემოსავლის დიდ წყაროს, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა მეფეებს განემტკიცებინათ თავიანთი ხელისუფლება. მეფეები ხშირად არც კი აჩქარებდნენ საე-

კლესიო თანამდებობებზე მონაცვლე პირთა დანიშვნას; ისინი ამჯობინებდნენ შეტხანს ესარგებლნათ ვაკანტური კათედრების შემოხავლით. დასასრულ, მეფე სარგებლობდა სპოლიაციის (spolienrecht) უფლებით, რომელიც გამოიხატებოდა გარდაცვლილი სასულიერო პირის მთელი მოძრავი ქონების ჩამორთმევაში, რამდენადაც ეს ქონება საეკლესიო ლენის შემოსავლიდან წარმოსდგებოდა.

ერთი სიტყვით, საეკლესიო მიწები როგორც მთავრობის შემოსავლის წყარო, ბევრად არ განსხვავდებოდნენ მეფის მამულებისაგან. ამიტომ გასაგებია საქსონიის და შემდგომ ფრანკონიის დინასტიის მეფეების მისწრაფება — გაემრავლებინათ სასულიერო სამთავროთა რაოდენობა, ხოლო საეკლესიო მიწათმფლობელობისათვის, რომელიც გაფანტული იყო საერო ტერიტორიებზე, შეექმნათ დამოუკიდებელი (ეკზიმირებული) მდგომარეობა.

ოტონისეული პრივილეგიები. ეს უკანასკნელი საბოლოოდ მიღწეულ იქნა ეგრეთწოდებული ოტონისეული პრივილეგიებით, რომელთა არსიც საეკლესიო იმუნიტეტის ორმაგ გაფართოებაში მდგომარეობდა. ჯერ ერთი, იმუნიტეტი ფართოვდებოდა ტერიტორიულად; ის ვრცელდებოდა არა მარტო ჩვეულებრივ გაფანტულ საეკლესიო სამფლობელოების მოცემული კომპლექსის უშუალო ფართობზე, არამედ მთელ იმ მიდამოებზე, რომელშიც ეს სამფლობელოები იყვნენ. ამნაირად შეიქმნა განმარტოებული საეკლესიო საიმუნიტეტო ოლქები მათი განსაკუთრებული იურისდიქციით. მეორეც, იმუნიტეტი ფართოვდებოდა თვით თავისი არსის მიხედვით, ე. ი. ამ ცნებასთან დაკავშირებული პრივილეგიების ხასიათის მიხედვით: თავისი ოლქის ფარგლებში იმუნისტი ღებულობდა არა მხოლოდ დაბალი, არამედ უმაღლესი (სისხლის სამართლის) იუსტიციის უფლებასაც. ამასთან ერთად იმუნიტეტი დაყენებულ იქნა პირდაპირ კავშირში მეფის ხელისუფლებასთან და მისგან ღებულობდა იგი თავის ძალას. ამას აღწევდნენ იმით, რომ საიმუნიტეტო ოლქში სასამართლო ფუნქციებს გადასცემდნენ მეფის განსაკუთრებულ მოხელეს, საეკლესიო ფოგტს, რომელიც პირდაპირ დამოკიდებული იყო ცენტრალური მთავრობისაგან. ამნაირად, სამთავროების ტერიტორიების ფარგლებში გამოყოფილ იქნა დამოუკიდებელი საეკლესიო ოლქები, საგრაფოების გვერდით (რომლებადაც იყოფოდა საჰერცოგოები); და ისინი უშუალოდ დაკავშირებული იყვნენ ცენტრალურ მთავრობასთან.

გერმანელი მეფეების იტალიური პოლიტიკა. მას შემდეგ, რაც ოტონმა უზრუნველჰყო თავისი ბატონობა ეპისკოპოსებზე და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად დაიმორჩილა გერმანელი მთავრები, ის გაიტაცა იტალიის დაპყრობის გეგმებმა. ბავარიის ჰერცოგები ჯერ კიდევ წინათ ცდილობდნენ განემტკიცებიათ თავიანთი გავლენა იტალიაში. იტალია ადრევე დაადგა ვაჭრობის განვითარების გზას, და ჩრდილოეთ იტალიაში აღმოცენდა მდიდარი ქალაქები, რომელთა შემოსავლით სარგებლობაზედაც უარს არ იტყოდნენ გერმანელი ფეოდალები. ამასთან ერთად მათ სურდათ დამკვიდრებულიყვნენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და უშუალო მონაწილეობა მიეღოთ იმ სავაჭრო ურთიერთობაში, რომელიც ამ ზღვაზე ვითარდებოდა. დაბოლოს, ოტონის იტალიისკენ სწრაფვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოტივს შეადგენდა სურვილი —

კიდევ უფრო განემტკიცებია თავისი ბატონობა გერმანიის სასულიერო მთავრებზე. ამის მიღწევას ის ფიქრობდა მათი საეკლესიო მეთაურის — რომის პაპის დამორჩილებით.

ბრძოლა იტალიის ფეოდალებს შორის. იტალიაში იმპერატორ კარლოს სქელის დამხობის შემდეგ (888 წ.), რაც მოასწავებდა კაროლინგთა მონარქიის ერთიანობის საბოლოოდ ჩაშლას, მრავალი მცირე და დიდი სამთავროები შეიქმნა, რომლებიც მუდამ ურთიერთ მტრობაში იყვნენ. დიდი მთავრები — მარკგრაფები ივრეის და ფრიულის სპოლეტოს ჰერცოგები — ერთმანეთს მეტოქეობას უწევდნენ იტალიის სამეფო ტიტულისათვის და ამ თავის ბრძოლაში ბურგუნდიისა და პროვანსის ფეოდალებსაც ითრევდნენ. X საუკუნის პირველ ნახევარში იტალიის სამეფო ტახტი ლოტარ პროვანსელის ხელში გადავიდა, რომელმაც ცოლად შეირთო ადელჰეიდა ბურგუნდელი და ამგვარად შეარიგა ორი ურთიერთ მტრობაში მყოფი ფეოდალთა ფრაქცია. მაგრამ ის 950 წელს გარდაიცვალა, შესაძლოა, მოწამლულ იქნა თავისი მეტოქის ივრეის მარკგრაფ ბერენგარის მიერ, რომელსაც უნდოდა ლოტარის ქვრივი ცოლად შეერთო თავისი შვილისთვის, რათა ამ გზით უფრო საიმედო განემტკიცებია თავისი შთამომავლობისთვის უფლება იტალიის ტახტზე. მაგრამ ადელჰეიდამ ამაზე უარი განაცხადა და ბერენგარმა ის ციხეში ჩასვა. ადელჰეიდამ დახმარებისათვის თხოვნით მიმართა გერმანიის მეფეს ოტონ I, რომელმაც ამ საბაბით ისარგებლა და დიდი ჯარით შეიჭრა იტალიაში. მან დაიკავა პავია, მიიღო ლანგობადრთა მეფის ტიტული და დაქორწინდა ადელჰეიდაზე, მაგრამ მალე ისევ უკან უნდა გაბრუნებულიყო გერმანიაში იქ დაწყებული ფეოდალთა აჯანყების გამო. ყოველივე ეს მოხდა 951 წელს.

იმპერიის აღდგენა ოტონ I მიერ. ლომბარდიის დაპყრობა მხოლოდ დასაწყისი იყო იტალიაში გერმანიის მეფის ფართო გეგმების განხორციელებისა. ის ცდილობდა რომში შეჭრას, რათა თავის ხელში აეღო კონტროლი პაპის ტახტზე. საამისოდ მას ხელი შეუწყო თვითონ რომში ფეოდალთა შორის ჩამოვარდნილმა შუღლმა და განხეთქილებამ. 961 წელს პაპი სრულიად უძლური აღმოჩნდა გამკლავებოდა მოჯანყე ფეოდალ ბარონებს და დასახმარებლად მიიწვია ოტონი. ოტონი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ მოწოდებას, გამოცხადდა რომში და პაპმა აქ იგი იმპერატორის გვირგვინით აკურთხა.

ამნაირად იქნა აღდგენილი (962 წ.) დასავლეთში რომის იმპერია, რომელიც, თუმცა, უფრო მცირე იყო, ვიდრე კარლოს დიდის ძველი იმპერია: ძირსებითად მასში შედიოდა მხოლოდ გერმანია და იტალიის ნაწილი. ოტონ I კურთხევის დროიდან იწყება სახელგანთქმული „იტალიის ლაშქრობანი", რომელთა მეშვეობით გერმანიის იმპერატორები, უმთავრესად, წვრილ გერმანულ რაინდობაზე დაყრდნობით სისტემატურად ძარცვავენ მდიდარ იტალიას და მორჩილებაში ჰყავთ კათოლიკური სამღვდელოების მეთაური — პაპი.

მართალია, თეორიაში იმპერატორი და პაპი თანასწორუფლებიანი იყვნენ: ისინი ორთავენი წმიდა რომის იმპერიის სათავეში იდგნენ. მაგრამ იმის გამო, რომ პაპის ხელისუფლება უაღრესად დასუსტებული იყო ფეოდალიზაციის პროცესით, ფაქტიურად იმპერატორი მართავდა. პაპის ოლქი არსებითად გაძარცული იყო ფეოდალების მიერ, და საერო ხელმწიფის სახით პაპს არავითარი

უფლება მათზე არ ჰქონდა. ამასთან ერთად, როგორც ეკლესიის მეთაურიც პაპი ჰკარგავს წინანდელ მნიშვნელობას, ვინაიდან ყოველი ეპისკოპოსი და ყოველი აბატი იმას ცდილობდა, რომ მისგან დამოუკიდებელი გამხდარიყო. ეპვს გარეშეა იმპერატორი გაბატონებული იყო როგორც იმპერიაში, ისე ეკლესიაში, მით უმეტეს, რომ იმ დროის პაპები იყვნენ ბიწიერნი და არარანი. საკმაოა აღინიშნოს, რომ პაპი იოანე XII, რომელმაც ოტონი იმპერატორად გამოაცხადა, მსჯავრდადებულ იქნა 963 წლის საეკლესიო კრების მიერ; მას ბრალი ედებოდა მკვლელობასა, ფიცის გატეხასა, მკრეხელობასა და უზნეო ყოფაქცევაში და შემდეგ ჩამოგდებულ იქნა პაპის ტახტიდან.

ამ დროს ჩრდილოეთ იტალიაში ამ დროს გაბატონებული იყვნენ ბიზანტიელები, რომელთა სამფლობელოებიც ნეაპოლის ჩრდილოეთით ვრცელდებოდა. ოტონმა დააპირა კიდეც ბიზანტიის სამფლობელოების ხელში ჩაგდება, მაგრამ უკუქცეულ იქნა ბიზანტიელთა ჯარების მიერ და ფრთხილი დიპლომატიის გზით იწყო მოქმედება. მან მოახერხა და თავის შვილს — მომავალ ოტონ II — ცოლად შერთო ბიზანტიის სეფექალი ფეოფანო; ამ ქორწინებას შემდეგში ხელი უნდა შეეწყო საქსონიის გვარეულობის ახალ დაპყრობათათვის იტალიაში.

ოტონები II და III. ოტონ II, რომელიც ტახტზე ავიდა 973 წელს, პირველ ყოვლისა, ცდილობდა შეესრულებია ის, რაც მამა-მისმა ვერ შესძლო, ე. ი. დაეპყრო სამხრეთ ნახევარკუნძული. მაგრამ აქ მან სასტიკი დამარცხება იწვნია ბიზანტიის სამსახურში მყოფ არაბებისაგან და მოკვდა სამხრეთ იტალიისათვის ახალი ბრძოლის ენერგიული მზადების პერიოდში (983 წ.). იმპერატორი შეიქნა მისი სამი წლის შვილი ოტონ III. როდესაც სრულწლოვანი გახდა, მან იწყო ოცნება დიდ სახელმწიფოზე, რომელიც მთელ ქრისტიანულ დასავლეთს მოიცავდა, და სულ მუდამ ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქად დასახულ რომში ცხოვრობდა. მას ნაკლებად აინტერესებდა გერმანიის საქმეები. მან პაპად დანიშნა (სილვესტრ II სახელწოდებით) თავისი ფრანგი მასწავლებელი ჰერბერტი, იმ დროის ყველაზე განათლებულ კაცთაგანი.

ამავე დროს იმპერიის აღმოსავლეთ განაპირა მხარეში, რომელსაც იმპერატორები იტალიის ლაშქრობათა დაწყებიდანვე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, ოტონ III დროს დიდმნიშვნელოვანი ამბები მოხდა. 983 წელს, ოტონ II სიკვდილისთანავე, დანიელებმა დაამხეს გერმანელთა ბატონობა და უარი სთქვეს ქრისტიანობის მიღებაზე.

ლაბისპირელ სლავების აჯანყება. იმავე ხანებში გერმანელ-დამპყრობთა წინააღმდეგ აღსდგნენ სლავებიც. ნიშანი აჯანყებისათვის მიცემულ იქნა გულადი ლუტიჩების (ვილცების) მიერ. 983 წლის ივნისში მათ მოულოდნელად დაიკავეს გაველბერგი და ბრანიბორი და დიდი მასებით შეიჭრნენ ელბის იქით მდებარე გერმანიის ტერიტორიაზე. მხოლოდ დიდის გაჭირვებით მოიგერია საქსონიის დიდკაცობამ ეს თავდასხმა, მაგრამ ჰენრიხისა და ოტონის ბრძოლით მონაპოვარი სამფლობელოები ელბის შუაწელს იქით დაკარგულ იქნა. ვილცების შემდგომ აჯანყდნენ ობოდრიტებიც, რომელთაც ხელთ იგდეს და გაძარცვეს ჰამბურგი. ყველგან სლავთა მიწაწყალზე აჯანყებულნი ანადგურებდნენ გერმანელთა გარნიზონებს, არ ინდობდნენ გერმანელ კოლონისტ-

ტებს, გმობდნენ ქრისტიანობას და სპობდნენ გერმანელთა სამღვდელოებას. მხოლოდ სერბ-ლუგელთა ოლქებში თუ გადარჩა გერმანული გავლენა, და ქრისტიანობა, რადგან იქ გერმანელები უფრო მტკიცედ იყვნენ ფეხმოკიდებულნი. დანარჩენმა ლაბისპირელმა სლავებმა მთელი საუკუნენახევრით ბრძოლით მოიპოვეს თავიანთი დამოუკიდებლობა გერმანელებისაგან. ამავე ხანებში გაძლიერდა პოლონეთიც. ბოლესლავ მამაცმა გაანთავისუფლა თავისი სახელმწიფო გერმანელთა ეკლესიის ბატონობისაგან და მიაღწია იმას, რომ ოტონ III თანხმობა განაცხადა პოლონეთის დამოუკიდებელი გნეზნის საარქიეპისკოპოსოს დაარსებაზე.

ჰენრიხ II. ოტონ III, ისე როგორც მამა მისი, ახალგაზრდობის ასაკში გარდაიცვალა (1002 წ.) და მემკვიდრეობა მისმა ბიძაშვილმა ჰენრიხ II (1002 — 1024 წწ.) მიიღო. საქსონიის დინასტიის ეს უკანასკნელი წარმომადგენელი ნაკლებად იყო დაინტერესებული იტალიის საქმეებით; მორჩილ საეპისკოპოსოზე დაყრდნობით იგი ცდილობდა განემტკიცებია თავისი მდგომარეობა გერმანიაში. აღმოსავლეთით პოლონეთთან წარმოებულ ომებში მან მარცხი განიცადა და იმის შიშით, რომ ვილცები და ობოდრიტები ზურგიდან არ დასცემოდნენ, მან დააკანონა მათი დამოუკიდებელი არსებობა. სამაგიეროდ მათ გერმანელებისთვის უნდა ეძლიათ მცირე ხარკი (რასაც, უნდა ითქვას, არაწესიერად იხდიდნენ) და გერმანელთა ჯარის დამხმარე სამსახურში შესულიყვნენ.

ფრანკონიის დინასტია. ფრანკონიის დინასტიის იმპერატორება (1024 — 1125 წწ.) იმპერიის საზღვრების გაფართოებას განაგრძობენ. თავიანთი წინაპრების მსგავსად, ისინი ფართოდ სარგებლობენ ეკლესიის მატერიალური სახსრებით და ცდილობენ დაემყარებინათ გერმანიის ჰეგემონია ევროპაში. კონრად II დროს (1024 — 1039 წწ.) ბურგუნდია შეერთებულ იქნა იმპერიასთან, ჰენრიხ III დროს (1039 — 1056 წწ.) დაიწყო ეკლესიის რეფორმა, რომლის მეოხებითაც იმპერატორი იმედოვნებდა განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა იმპერიასა და მთელს ევროპაში. ჰენრიხ III სიკვდილის შემდეგ უკვე განმტკიცებული პაპობა თავს აღწევს იმპერატორის ხელისუფლების მეურვეობას და სასტიკ ბრძოლას უმართავს მას წმინდა რომის იმპერიაში მეთაურობისათვის.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс. Хронологические выписки, т. I («Архив Маркса и Энгельса», т. V, стр. 53—68). — Энгельс, Марка, Соч. т. XV.

II. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. I, 1897, стр. 550—600. — Лампрехт, История германского народа, т. I, М. 1894. — Тарле, История Италии в средние века, Спб. 1906. — Дельбрюк, История военного искусства в рамках политической истории, т. III, М. 1938.

თავი VIII

დასავლეთის სლავები VII—XI სს.

დასავლეთის სლავები. დასავლეთის სლავების შემადგენლობაში შედიოდა ტომების სამი ძირითადი ჯგუფი: პოლონეთის, ჩეხიის და ლაპისპირეთ—ბალტიის პირეთის. უკანასკნელი ჯგუფი შესდგებოდა მთელ რიგ ტომებისაგან, რომლებიც მდინარე ლაბის (ელბის) დაყოლებით ცხოვრობდნენ და სერბლუგელთა, ლიუტიჩთა და ბოდრიტთა კავშირები იყვნენ დაჯგუფებული (იხ. თავი VII), და აგრეთვე ბალტიისპირეთის სლავებისაგან, ანუ პომორიანებისაგან. ეს უკანასკნელნი იმ ადგილას ცხოვრობდნენ, რომელსაც შემდეგში გერმანელებმა პომერანია უწოდეს. ჩეხია-მორავიის ტომები ცხოვრობდნენ მდინარეების ზემო ელბის, ვლტავისა და მორავის აუზში, ხოლო პოლონელთა ტომები ვისლისა და ვარტის აუზში მოსახლეობდნენ.

თავდაპირველად დასავლეთის სლავებს გვაროვნული წყობილება ჰქონდათ: ისინი დასახლებული იყვნენ სოფლებად და კედლებივით გარს ერტყმოდნენ თავის გამაგრებულ პუნქტებს — გ რ ო დ ე ბ ს, ანუ გ რ ა დ ე ბ ს. სამეურნეო ერთეულს წარმომადგენდა დიდი ოჯახი — ო ჯ ო ლ ი ე, რომელიც ჰქმნიდა საოჯახო თემს მამასახლისით სათავეში. ასეთი დიდი ოჯახები ერთიანდებოდნენ გვარებად, რომელთა სათავეშიც ედგნენ გვარის მამასახლისები — მ ე უ ფ ე ნ ი, ბ ა ტ ო ნ ე ბ ი. გვარები ერთიანდებოდნენ ტომებად, მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ე ბ ი თ, ანუ ჟ უ პ ა ნ ე ბ ი თ სათავეში, რომლებიც სატომო ყრილობასთან ერთად სწყვეტდნენ ტომის საქმეებს. ჟუპანების წრიდან გამოიყოფოდა მ თ ა ვ ა რ ი, ტომის სამხედრო წინამძღოლი; მთავრის გარშემო თავს იყრიდა რაზმი. ტომების კავშირთა დაარსებისას ყველაზე ძლიერი ტომის მთავარი მთელი კავშირის მთავრად ხდებოდა.

ჩვენი წელთაღრიცხვის VII — IX საუკუნეებში დასავლეთის სლავებში მიმდინარეობს გვაროვნული წყობილების დაშლის პროცესი. გვაროვნული თემი სასოფლო თემად იქცევა, რომელშიც ნათესაურ კავშირს სცვლის ტერიტორიული კავშირურთიერთობა. ამ ხანებში საწარმოო ძალთა საერთო განვითარების საფუძველზე, განსაკუთრებით მიწათმოქმედებაში, დასავლეთის სლავებში ვითარდება მონობა, იწყება კლასების ჩამოყალიბება. მნიშვნელოვან განვითარებას განიცდის ვაჭრობა, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობა; ამის მაჩვენებელია ფულის დიდი საგანძურების პოვნა არქეოლოგიური გათხრების დროს. ბალტიისპირეთში, მაგალითად, აღმოჩენილ იქნა არაბული ფულის

დიდი საგანძურები VIII-IX საუკუნეებისა, რაც მაჩვენებელია ამ ხანების ბალტიისპირეთის სავაჭრო კავშირისა ვოლგასთან და — ვოლგის გზით — არაბეთის ქვეყნებთან. დასავლეთის სლავთა ფულის სახელწოდება — პენიაზი — იმის მაჩვენებელია, რომ მათში გავრცელებული იყო გერმანული ფული პფენიგი და რომ ისინი, მაშასადამე, აწარმოებდნენ ვაჭრობას გერმანიასთანაც და აგრეთვე დანიასა და სკანდინავიასთან. ვაჭრობის საგნებს წარმოადგენდნენ ბეწვეული, თაფლი, ცვილი და, ალბათ, მონები. რომ ბეწვეულით ვაჭრობამ დასავლეთულ სლავებში დიდ განვითარებას მიაღწია, ამის მაჩვენებელია, სხვათა შორის, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის სლავებში, ფულადი ერთეულის — კვერნის უზალთუნის (კვერნის ტყავისაგან) არსებობა.

მიწის კერძო საკუთრების განვითარების შედეგად ადგილი აქვს გვაროვნული დიდკაცობის წარმომადგენელთა უფრო მსხვილი მეურნეობების ჩამოყალიბებას, სადაც იყენებენ მონების შრომას, თუმცა მათ გვერდით კიდევ დიდხანს განაგრძობს თავის არსებობას სასოფლო თემი (პოლონეთსა და ჩეხიაში — XIII საუკუნემდე). მსხვილი მიწათმფლობელები თანდათანობით იწყებენ თემის თავისუფალ წევრების დაყმევებას. გვარის მამასახლისები, რომლებსაც თავდაპირველად ყრილობებზე ირჩევდნენ, თანდათანობით დიდკაცობად — ჟუპანებად ანუ პანებად, მბრძანებლებად და მთავრებად იქცევიან. ამ საგვარტომო დიდკაცობის ზრდისა და განმტკიცების კვალდაკვალ მიმდინარეობს ძველისძველი სახალხო ყრილობის დაცემა და გადაგვარება. ძალაუფლება დიდკაცობის წარმომადგენელთა საბჭოს ხელში გადადის. ასეთ დიდკაცობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ზღვის პირეთში. ამგვარად, თანდათანობით იქმნება გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველი სახელმწიფო.

ბოჰემიის სამთავრო სამო. ყველაზე უწინ ბოჰემიაში მცხოვრებ დასავლეთელ სლავებში იქმნება ძლიერი მთავრების ხელისუფლება. მათ დანარჩენ სლავებზე ადრე მოუხდათ ავარებთან ბრძოლის წარმოება. იტალიაში გადასახლებამდე პანონიაში მცხოვრებმა ლანგობარდებმა ავარები მოკავშირეთა სახით მოიწვიეს შავიზღვისპირეთის ველებიდან. ავარებმა, რომლებიც, როგორც სჩანს, თურქებს ეკუთვნოდნენ, ხელთ იგდეს დაკია — დუნაის ქვემოწელის ჩრდილოეთით მდებარე მიწები, და გადასახლდნენ პანონიაში იქიდან ლანგობარდების წასვლის შემდეგ. ავარები გაბატონდნენ მათ მეზობლად მყოფ სლავებზე და ბიზანტიის წინააღმდეგ გაერთიანებულ ლაშქრობას ხელმძღვანელობდნენ. რუსულ მატიანეებში დაცულია თქმულებები ამ ავარების (ობრები, ობრინები) შესახებ, რომლებიც ჩაგრავდნენ, „აწამებდნენ“ სლავებს. დარჩენილია თქმულება იმის შესახებ, თუ რარიგ სწრაფად გაჰქრა ამ „ობრების“ ძლიერება. მემატიანე ამბობს: „погибоша, аки обре“ [1].

სლავებმა დაამხეს ავარების ბატონობა და დაარსეს დამოუკიდებელი კავშირი, რომლის საფუძველიც შეადგინეს ბოჰემიაში მცხოვრებმა სლავთა ტომებმა (VII ს.). ფრანკების მატიანე მოგვითხრობს, თუ როგორ მოვიდა სლა-

[1] დაიღუპნენ, ვით ობრები. თარგმ. რედ.

ვებთან, რომლებიც იბრძოდნენ ავარების წინააღმდეგ, ფრანკი ვაჭარი, სახელად სამო, სხვა ვაჭრებთან ერთად, და დაეხმარა სლავებს ავარებზე გამარჯვების მოპოვებაში (დაახლოებით 623 წელს). ამის შემდეგ სლავებმა თავის მთავრად აირჩიეს სამო. ამნაირად ჩამოყალიბდა სამხრეთ-დასავლეთის ტომების საკმაოდ ცრცელი კავშირი ბოჰემიის სლავების მეთაურობით, რომლებსაც მიემხრნენ აგრეთვე მდინარეების — საავისა, და დრავის, დუნაის მარჯვენა შენაკადების სათავეების მცხოვრები ხორუტანებიც.

სამო განაგებდა ბოჰემიას 35 წლის განმავლობაში, და მთელ ამ დროის მანძილზე ბოჰემიის სატომო კავშირი, რომლის სათავეშიც ის იდგა, დიდ ძალას წარმოადგენდა. სამო ფრანკებთანაც კი აწარმოებდა ომებს. მან სასტიკად დაამარცხა ფრანკთა მეფის დაგობერტის დიდი ჯარი, რის შემდეგაც ამ კავშირს სერბიელებიც შეუერთდნენ. სამოს სიკვდილის შემდეგ კავშირი დაიშალა.

დიდი მორავიის სამთავრო. რაკი დაიშალა სამოს ბოჰემიის კავშირი, რომელიც აჩერებდა ფრანკების შეტევას აღმოსავლეთით, დუნაის აუზში, ფრანკებმა აქ დაპყრობას მიჰყვეს ხელი. 803 წელს კარლოს დიდმა გაანადგურა ავარები, რომლებიც უკუქცეულ იქნენ დუნაისა და ტისას იქით, და თავის ხელქვეითად გახადა სლავების დუნაისპირეთის ტომები, მათ რიცხვში ჩეხები და მორავები, რომლებმაც თავი სცნეს მის ვასალებად. გერმანიის სამღვდელოება ამ დროიდან იწყებს თავის მისიონერულ მოღვაწეობას მორავიაში და ცდილობს მოახდინოს მისი ქრისტიანიზაცია და გერმანიზაცია.

კარლოს დიდის სიკვდილის შემდეგ ბოჰემიაში იქმნება ძლიერი სამთავრო, რომელიც მთელ რიგ ტომებს აერთიანებდა კავშირში და ცნობილი იყო **დიდი მორავიის სახელმწიფოს** სახელით. მორავიის დანარჩენი ტომების მთავართაგან გამოირჩევა ყველაზე ძლიერი — მოიმირი, რომელიც თავის ბრძანებლობას ავრცელებს დანარჩენი მთავრების მიწაწყალზე. ზოგს თავის ვასალებად ხდის, ზოგს კი აძევებს წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში. უზარმაზარი სამთავრო, რომელიც ამ გზით წარმოიშვა მორავის აუზში და გავრცელდა აღმოსავლეთით, თანამედროვე სლოვაკიის ჩათვლით, წმინდა ნომინალურად დამოკიდებული იყო გერმანიისაგან. ერთ-ერთი გაძევებული მთავარი, პრიბინა, დახმარებისათვის გერმანიაში გაიქცა და საბატონოდ მიიღო ქვემო პანონია.

გერმანიის სამეფოსათვის მორავიის ძლიერი სამთავრო მუქარას წარმოადგენდა. გერმანიის ფეოდალებმა რამდენჯერმე გაილაშქრეს მორავიის სამთავროს წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის დროს (846 წ.) მოიმირი დამხობილ იქნა და გერმანელებმა მთავრად დასვეს მისი ძმისწული როსტისლავი. მაგრამ როსტისლავმა არ გაამართლა გერმანელ ფეოდალთა იმედები: ის ცდილობდა შეეკრა კავშირი ბულგარელებთან და ბიზანტიასთან გერმანიის წინააღმდეგ, ააგო საზღვარზე მრავალი ციხე-სიმაგრე და თავის ბატონობის ქვეშ გააერთიანა მთელი რიგი მეზობელ სლავთა ტომები — ჩეხები, სერბები და სხვა დაბისპირელი სლავები. მას შემდეგ, რაც ლუდოვიკო გერმანელის ლაშქრობა როსტისლავის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა, მორავიის სამთავრომ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ამ ხანებამდე დასავლეთელ სლავებს შორის ქრისტიანობა გერმანიიდან ვრცელდებოდა. დასავლეთიდან მოსული გერმანელთა სამღვდელოება მჭიდროდ დაკავშირებული იყო გერმანიის კათოლიკურ ეკლესიასთან. სხვადასხვა საქმეების განხილვისას, რომლებიც ეკლესიას შეეხებოდა, საბოლოო სანქცია გერმანელთა უმაღლეს სამღვდელოებას ეკუთვნოდა. ეკლესიის მხრივ დამოკიდებული მდგომარეობა პოლიტიკურად დამოკიდებულ მდგომარეობას ჰქმნიდა. ამიტომ, რათა შენარჩუნებული ყოფილიყო მოქალაქეების პოლიტიკური დამოუკიდებლობა, როსტისლავმა მიმართა ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ III თხოვნით — გამოეგზავნა მისთვის ქრისტიანი მქადაგებლები, ისეთნი, რომლებსაც ეცოდინებოდათ სლავური ენა. ამგვარად, ერთმანეთს შეეჯახა ორი მეტოქე საეკლესიო გავლენა: გერმანული-დასავლეთიდან და ბიზანტიური-აღმოსავლეთიდან. მორავები უპირატესობას აძლევდნენ შორეულ ბიზანტიასთან საეკლესიო კავშირს შედარებით იმ კავშირთან, რაც უკვე თითქმის დამყარებული იყო მახლობელ გერმანიასთან; ამ უკანასკნელთან კავშირი პოლიტიკურად საშიში ხდებოდა.

მისიონერთა სახით ბიზანტიიდან მორავიაში წარგზავნილ იქნა ორი ძმა— კირილე და მეთოდე.

როდესაც ისინი 863 წელს მორავიაში მივიდნენ, მათ მოუხდათ მძიმე ბრძოლის წარმოება გერმანელ ეპისკოპოსებთან, მათ რომშიაც კი მოუხდათ წასვლა, რათა პაპისგან გამოეთხოვათ განსაკუთრებული სლავური ეკლესიის აღიარება. პაპმა თავისი შემოსავლის გადიდების მიზნით მხარი დაუჭირა სლავთა მქადაგებლებს. მორავიასა და პანონიაში დაარსებულ იქნა ორი ახალი საეპისკოპო კათედრა, სადაც წირვა-ლოცვა სლავურ ენაზე წარმოებდა.

მაგრამ მალე როსტისლავის წინააღმდეგ მორავიაში აჯანყდა მისი ძმისწული სვიატოპოლკი, რომელმაც გაიმარჯვა. გერმანიის მეფემ პირველად მხარი დაუჭირა სვიატოპოლკს, მაგრამ შემდეგ ამ უკანასკნელმა თვითონ აღძრა ეჭვები იმ მხრივ, რომ იგი მორავიის სრული დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა და დატყვევებულ იქნა; მორავიის მმართველობა გერმანელ გრაფებს გადაეცა. ამან მორავიის სლავთა აჯანყება გამოიწვია. ტყვეობიდან განთავისუფლებულ სვიატოპოლკის მეთაურობით მათ წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი დამარცხდა, თვითონ სვიატოპოლკი აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა, და, ამგვარად, დიდი მორავიის სამთავროს დამოუკიდებლობა კვლავ აღდგენილ იქნა. მას შერეოდა ჩეხია და ლაბისპირელი სლავები, ასე რომ ახალმა გაერთიანებამ თითქმის დასავლეთის ყველა სლავები მოიცვა.

მაგრამ თავისი ხელისუფლების შემდგომი განმტკიცებისათვის სვიატოპოლკს უნდა მოეპოვებინა გერმანიის მეფის მხარდაჭერა და დაემყარებინა მასთან კავშირი, ამასთან დაკავშირებით კი, ნებსით თუ უნებლიედ, მას ხელი უნდა შეეწყო გერმანიის სამღვდელოების გავლენის გაძლიერებისათვის. ეს ასეც მოხდა. ბიზანტიის დახმარებით შექმნილი საეკლესიო ორგანიზაცია დაუძლურდა და ბოლოსდაბოლოს შეცვლილ იქნა გერმანულ-კათოლიკური საეკლესიო ორგანიზაციით.

სვიატოპოლკის შემდეგ მორავიის სატომო კავშირი დაიშალა. კავშირი განსაკუთრებით დაზარალდა უნგრელთა თავდასხმების შედეგად. 906 წელს

უნგრელებმა სასტიკი დამარცხება აგემეს მორავიას და ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი დაიპყრეს.

ჩეხიის სახელმწიფოს წარმოქმნა. სლავთა მეორე სატომო კავშირი IX საუკუნის დამლევიდან ყალიბდება მორავიის კავშირის გვერდით, რომლის შემადგენლობაშიც ის შედიოდა თავდაპირველად. ეს არის ჩეხიის სამხედრო კავშირი სხვადასხვა ტომების — ჩეხების, დულებების, ხორვატების და სხვ. შემადგენლობით, რომლებიც მდინარე ლაბისა და მისი შენაკადების მახლობლად ცხოვრობდნენ.

ეს ტომები გვაროვნული წყობილებით ცხოვრობდნენ, მათ მეთაურობდნენ მხედართმთავრები,[1] რომლებიც წარჩინებული გვარიდან, ანუ ლ ე ხ ე ბ ი-დ ა ნ წარმოდგებოდნენ. ცალკეული გვაროვნული ორგანიზაციების სათავეში, ისე როგორც ეს იყო ყველა დასავლეთელ სლავებში, იდგნენ მბრძანებელნი[2]. მთელი კავშირის სათავეში მდგომ ტომს ჰყავდა მ თ ა ვ ა რ ი, რომელიც იყო სამხედრო ბელადი და უმაღლესი მსაჯული მთელ სატომო კავშირში; ის იყო მსაჯული აგრეთვე ცალკეული ტომების შეხლა-შემოხლაში.

თავდაპირველად (X საუკუნემდე) აქ იყო მორავიის სამთავროსაგან დამოკიდებული ტომების ორი ასეთი კავშირი: ჩრდილო-დასავლეთ ბოჰემიაში კავშირი, რომლის სათავეში იდგნენ ჩ ე ხ ე ბ ი, და სამხრეთ-აღმოსავლეთ ბოჰემიაში — კავშირი ზ ლ ი ჩ ა ნ თ ა ტომის მეთაურობით. სვიატოპოლკ მორავიელის სიკვდილის შემდეგ (895 წ.) ორთავე კავშირის მთავრებმა სპიტიგნევ ჩეხელმა და ვიტისლავ ზლიჩელმა სცნეს გერმანიის მეფე არნულფის ხელისუფლება და იწყეს გერმანიისადმი ხარკის გადახდა. ასე, მაგალითად, სპიტიგნევის შვილის — ვაცლავის დროს ჩეხებს უნდა ეხადათ 500 უზალთუნი ფულად და 120 ხარი.

შემდეგში მოხდა ტომების ერთ მთლიან სამთავროდ გაერთიანება; ამასთან წარმოებდა განუწყვეტელი ბრძოლა ცალკეულ ტომთა სათავეში მდგომ მხედართმთავრებთან და ძველ გვაროვნულ დიდკაცობასთან (ლეხებთან). მხედართმთავრები განუწყვეტლივ ჯანყდებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ; ზოგჯერ ისინი უერთდებოდნენ გერმანელებს თავის თვისტომთა წინააღმდეგ. ცნობილია ასეთ წარჩინებულ გვართა — ლეხებისა და მთავრების დიდი აჯანყება X საუკუნის შუა ხანებში ბოლესლავ I დროს, რომელიც იძულებული იყო დროებით გერმანიაში გაქცეულიყო. ორჯერ იფეთქა აჯანყებამ, სანამ საბოლოოდ ბოლესლავმა არ გაიმარჯვა, რის შემდეგ ცალკეული წარჩინებული გვარების დამოუკიდებლობა შეირყა, მათი ნაწილი განდევნილ იქნა, ნაწილი კი შეუერთდა ამ დროისათვის წარმოქმნილ სამხედრო მსახურეულ არისტოკრატიას, რომელიც მეფის რაზმელთაგან შედგებოდა. ამასთან ერთად შეწყდა აგრეთვე ჩეხიის დაყოფა დამოუკიდებელ ტომებად ცალკეული მხედართმთავრებითურთ, დარჩა მხოლოდ დაყოფა ოლქებად, ანუ მ ხ ა რ ე ე ბ ა დ, რომელთა სათავეში იდგნენ მთავრის მოხელეები. მთელი ჩეხიის მოსახლეობის საოლქო ყრილობებზე და საერთო სეიმზე აგრეთვე ბატონდე-

---

[1] Воеводы.

[2] Владыка.

ში სამხედრო მსახურეული დიდკაცობა. ცენტრალური ხელისუფლებაც ამ დიდკაცობას ეყრდნობოდა და თავის პოზიციებს განუწყვეტლივ განამტკიცებდა. დასასრულ, მთავარი ბრატისლავ II პშემისლოვიჩების გვარეულობიდან ისეთ ძლიერებას იხვეჭს, რომ იმპერატორი ჰენრიხ IV სცნობს მასზე სამეფო ტიტულს (1086 წ.), უფრო გვიან კი (1158 წ.) თვითონ ჩეხიაც სამეფოდ იქცევა; ჯერ კიდევ ადრე მასთან შეერთებულ იქნა მორავია (1028 — 1029 წწ.).

გაძლიერების გზაზე დამდგარ სამთავრო, შემდეგ კი სამეფო, ხელისუფლების მატერიალურ დასაყრდენს მიწის მსხვილი სამფლობელოები შეადგენენ, რომლებიც თანდათანობით იყრიან თავს მთავრის ხელში. ასეთ მიწებს, პირველ, ყოვლისა, ეკუთვნოდა იმ წარჩინებული გვარის სამემკვიდრო მიწები, რომლიდანაც ჩეხიის მთავრები გამოვიდნენ. ეს მიწები მატულობდა და ფართოვდებოდა კონფისკაციაქმნილი და ბეითალმანი მამულების და აგრეთვე სხვადასხვაგვარი ცარიელი და დაუსახლებელი მიწების ხარჯზე, რომლებიც მთავრის საკუთრებად იქცეოდა. მის განკარგულებაში მყოფი მიწის უზარმაზარი ფონდები საშუალებას აძლევდა მას შეენახა დიდი რაზმი და სამხედრო მსახურნი და დაუმუშავებელი მიწები ებოძებინა მათთვის. ამ დროისათვის ხდება აგრეთვე ქვეშევრდომი მოსახლეობის ხარკით დაბეგვრის შემოღება. მთავრის ხაზინა ივსება აგრეთვე სასამართლო და სავაჭრო ბაჟების ხარჯზე. ცხადდება მონოპოლია ფულის მოჭრასა და სამთომადანთა დამუშავებაზე.

პოლონეთის სახელმწიფოს წარმოქმნა. პოლონეთის სატომო კავშირი შდინარე ვისლის აუზში X საუკუნის შუახანებში ყალიბდება. ამ დროისათვის ცნობილია პოლონელი მთავარი, სახელად მეშკო, რომელსაც უკვე მიღებული ჰქონდა ქრისტიანობა და ასეთი სატომო სამხედრო კავშირის სათავეში იდგა. ეს კავშირი შეიქმნა პ ო ლ ი ა ნ თ ა ცენტრალური ტომის მიერ სხვა ტომების — სერაძეანების, ლენჩანების, კუიავების, მაზურების, თეთრ და შავ ხორვატების დამორჩილების შედეგად. პოლიანთა ტომის მიერ სხვა ტომთა დამორჩილების დროს, ამ ტომების მთავრები მოცილებულ იქნენ, და, ამგვარად, ერთბაშად წარმოიშვა ტომების მსხვილი გაერთიანება ერთადერთი ცენტრალური მთავრითურთ. თავდაპირველად ასეთი ტომური გაერთიანება თავისთავს გერმანიის მეფეებისაგან დამოკიდებულად სცნობდა.

პოლონური მატიანეები გვაუწყებენ, რომ მთავარ მეშკოს ჰყავდა დიდი რაზმი — 3 ათასი შებრძოლი, რომელსაც ის ინახავდა თავის ხარჯზე, ნაწილობრივ კი მოსახლეობის ხარჯზე ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. მის მემკვიდრეს ბოლესლავ I მამაცს, რომელმაც გერმანიისაგან უკვე სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია, გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი რაზმი ჰყავდა — 20 ათასამდე მებრძოლი. ამგვარად, პოლონეთშიაც იწყება სამხედრო მსახურეული წოდების ჩამოყალიბება. ამ წოდებას მიეკუთვნებიან დიდგვარიანთა წარჩინებული წარმომადგენლები, ეგრეთწოდებული შლიახტა. მთავრის კარი ქვეყნის მართვის ცენტრი ხდება. ცალკეულ ოლქებში, რომლებიც პოვეტების სახელწოდებას ატარებენ, სხედან მთავრის ნაცვლები, კაშტელიანები. იწყება მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრა მთავრის სასარგებლოდ.

მთავრის ხელისუფლების გაძლიერებასთან დაკავშირებით სახალხო ყრილობა მნიშვნელობას კარგავს და მისი ფუნქციები გადადის უფროს რაზმელ-

თა და უმაღლეს მოხელეთა საბჭოს ხელში, რომელიც მეფესთან არსებობს. ამასთან ქრისტიანობის მიღების შემდეგ საბჭოს შემადგენლობაში უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლებიც შედიან. ზოგჯერ უფრო ფართო კრებებსაც იწვევენ, რომლებიც ყველა უმაღლეს მოხელეთაგან შესდგება და რომლებზეც რაზმელებსაც იწვევენ.

პოლონეთის სახელმწიფო სრულ დამოუკიდებლობას მეშკოს შვილის — ბოლესლავ I მამაცის დროს (992 — 1025 წწ.) ღებულობს. მის დროს პოლონეთის სახელმწიფოს შეუერთდა ზღვისპირეთი, სილეზია, იმიერკარპატის სლოვაკები, ლუჟიჩანები, ჩეხია და მორავია. წარმოიქმნა დიდი შუასლავური სახელმწიფო, რომელმაც დიდი გავლენა მოიპოვა ევროპაში. სიკვდილის წინ ბოლესლავ მამაცი პოლონეთის მეფედ ეკურთხა.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია იმ დროისათვის ფეოდალიზაციამ და გლეხთა მასების დაყმევამ. ამის საპასუხოდ იწყება ხალხთა მასების აჯანყებები მთავართა „ათისთავების“, ანუ მოხელეების წინააღმდეგ, რაინდობისა და სამღვდელოების წინააღმდეგ. დამახასიათებელია, რომ ამ აჯანყებების დროს ხალხთა მასები ცეცხლს უკიდებენ ქრისტიანთა ტაძრებს და წარმართობას აღადგენენ. ამგვარად, აქაც, პოლონეთშიაც ქრისტიანობა წარმოადგენდა ფეოდალური ელემენტების — თავადაზნაურობისა და პოლონეთის საზოგადოების ზედაფენის იდეოლოგიურ დასაყრდენს.

აჯანყებები ჩახშობილ იქნა მეფე კაზიმირის მიერ, რომელმაც აღადგინა ქრისტიანობა და მეტსახელად განმაახლებელი ეწოდა.

ლაბისპირელი და ბალტიისპირეთის სლავები IX-XI საუკუნეებში. ფეოდალური ტიპის მსხვილი სახელმწიფოები, პირველ ყოვლისა, ჩეხებთან და პოლონელებთან არსდება. დასავლეთის დანარჩენ სლავებს შორის დიდხანს, თვით X საუკუნემდე, ადგილი აქვს პოლიტიკურ დაქუცმაცებულობას. ეს გარემოება გერმანელ ფეოდალებს შესაძლებლობას უქმნის დაიმორჩილონ მთელი რიგი გაფანტული სლავთა ტომები (იხ. თავი VII).

დიდ პოლიტიკურ განვითარებასა და დამოუკიდებლობას მიაღწიეს ზღვისპირეთის სლავებმა. მათ უხდებოდათ ბრძოლა დანიისა და სკანდინავიის ბალტიისპირეთის ტომებთან, რომლებიც ცდილობდნენ ხელთ ჩაეგდოთ ბალტიის ზღვის სანაპირო. ამასთან დაკავშირებით მათში ვითარდება ზღვის მეკობრეობა, მაგრამ ამავე დროს ვითარდება აგრეთვე საზღვაო სავაჭრო კავშირი დანიელებთან, სკანდინავებთან, რუსეთთან და გერმანიასთან (ჰამბურგით). IX საუკუნეში ბალტიის ზღვისპირეთში არსდება მთელი რიგი სამხედრო-სავაჭრო ფაქტორიები (ვოლინი, შჩეტინი, რანა, გდანსკი და სხვ.), რომლებსაც გააქვთ და სცვლიან ნედლეულს იარაღზე და სხვადასხვა ლითონისა და სხვა სამრეწველო ნაწარმზე. სავაჭრო ბაჟების (მიტა) აკრეფით მნიშვნელოვანი მატერიალური სახსრები გროვდებოდა ზღვისპირეთის მთავრების ხელში, რაც განამტკიცებდა მათ პოლიტიკურ მნიშვნელობას. ამასთან ერთად ზღვისპირეთის სლავებში მთავრის მტკიცე ხელისუფლების გვერდით ძლიერი ადგილობრივი დიდკაცობაც ყალიბდება, რომელიც მთავართან ჰქმნის თავისებურ „ბარონების კურიას“ და ზოგჯერ ებრძვის კიდეც მთავრის ხელისუფლებას თავის ქვეყანაში გავლენის მოსაპოვებლად.

საყოველთაო აღმავლობის ნიადაგზე ზღვისპირეთის სლავებში XI საუკუნის დამლევს იქმნება ვ ე ნ დ ი ს ს ა მ ე ფ ო, რომელიც, მართალია, მოკლე ვადით, მაგრამ მაინც ერთ კავშირში აერთიანებს მთელ რიგ პოლაბელ ტომებს ბოდრიჩთა ტომის ჰეგემონიის ქვეშ. ვენდის სახელმწიფო გაერთიანებამ ისეთ მნიშვნელობას მიაღწია, რომ ბოდრიჩთა მთავარმა ჰენრიხმა მეფის სახელწოდებაც კი მოიპოვა. მაგრამ XII საუკუნის დამდეგს ეს კავშირი დაიშალა.

ზღვისპირეთის სლავების რელიგია ძველ სლავთა რწმენათა და რელიგიური კულტების შემდგომ განვითარებას წარმოადგენდა და წყაროების მიხედვით ის ჩვენთვის უკეთაა ცნობილი, ვიდრე დასავლეთის სლავების დანარჩენ ტომთა რელიგია.

ზღვისპირეთის სლავები უკვე აგებდნენ ტაძრებს. თავდაპირველად ეს იყო მხოლოდ გალავნები, რომლებსაც უნდა დაეცვათ წმინდა ადგილი. შემდეგ უკვე ნამდვილი ტაძრები, ანუ ბომონები ჩნდება, რომლებიც თავისი უმარტივესი სახით ოთხ ბოძზე გადაფარებულ სახურავს წარმოადგენენ. უფრო გვიან ამ ბოძებს შორის გადაჭიმავენ ქსოვილებს ანდა აგებენ კედლებს. ღვთაებათა კულტებს ასრულებენ განსაკუთრებული ქურუმები. ბალტიისპირეთის სლავებში იქმნება რელიგიური კულტების განსაკუთრებული ცენტრები. მაგალითად, კუნძულ რიუგენზე ბალტიის ზღვაში, მაღალ კონცხზე გაშენებული იყო წმინდა ქალაქი არკონა, რომელიც ხმელეთის მხრივ შემოზღუდული იყო მაღალი გალავნით. ჩვეულებრივ ამ წმინდა ქალაქში არავინ არ ცხოვრობდა, მაგრამ იგი აივსებოდა ხოლმე მრავალრიცხოვანი მლოცველებით, მას შემდეგ რაც სლავები დაამთავრებდნენ მინდვრის სამუშაოებს, როცა მოსავალი აღებული იყო. მაშინ ამ წმინდა ქალაქში მასობრივად იკრიბებოდა ხალხი ღვთაება სვიატოვიტის ტაძრის გარშემო. ტაძარი იყო ხისა და იგი გარშემორტყმული იყო ღობით. შიგნით იმყოფებოდა ტაძრის წმინდა ნაწილი — ბომონი, სადაც მოთავსებული იყო ოთხთავიანი კერპი. ცალ ხელში მას ეკავა ყანწი, რომელიც თაფლით ან ღვინით ივსებოდა. აქ იყო ღვთაება სვიატოვიტის წმინდა ალამი, რომელსაც გამარჯვება უნდა მოეტანა სლავებისათვის და რომელიც ლაშქრობის დროს ჯარს წინ მიუძღოდა. რელიგიურ დღესასწაულებზე უმაღლესი ქურუმი ტაძრის წმინდა ნაწილში შედიოდა, ილებდა ყანწს სვიატოვიტის ხელთაგან და ათვალიერებდა, იყო თუ არა იგი სავსე თაფლით თუ ღვინით. თუ ყანწი სავსე იყო, ეს მოასწავებდა კარგ მოსავალს, უკეთუ სავსე არ იყო, მაშინ ეს მოუსავლობას მოასწავებდა. შემდეგ ქურუმს მოჰქონდა ამისთვის სპეციალურად გამომცხვარი პური კაცის სიმაღლის შესაბამისი, დგამდა მას თავის წინაშე და ეკითხებოდა შეკრებილთ, სჩანს თუ არა იგი ამ პურს — იქიდან. თუ არ ჩანდა, ეს ნიშნავდა პროდუქტების სიუხვეს მომავალში. აქვე იყო აგრეთვე ღვთაება სვიატოვიტისადმი შეწირული თეთრი ცხენი. მას იყენებდნენ მკითხაობისათვის სწორედ მაშინ, როცა ლაშქრად წასვლას დააპირებდნენ. მაშინ შუბებისაგან აგებდნენ განსაკუთრებულ ჭიშკარს და აიძულებდნენ ცხენს გაევლო ამ ჭიშკარში. თუ იგი ჭიშკარში მარჯვენა ფეხს შეაბიჯებდა, ეს ითვლებოდა კეთილსაიმედო ნიშნად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სამხედრო ლაშქრობა გადიდებოდა.

ასეთივე ხასიათი ჰქონდა დანარჩენ ღვთაებათა — სვაროჟიჩის, ტრიგლავის, ანუ იაროვიტის ტაძრებსაც. ამ უკანასკნელ ღმერთს შვიდი სახე და ერთი თავი ჰქონდა; მას რვა ხელში ეჭირა რვა მახვილი, რაც, როგორც სჩანს, მზის სხივებს გამოსახავდა.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки, т. I («Архив Маркса и Энгельса». т. V, стр. 41, 60—61, 63—65, 74—77). — Маркс и Энгельс, Революционная борьба в Венгрии, Соч., т. VII.

II. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. I, 1897, стр. 718—740, 750—763. — Любавский, История западных славян, М. 1918. — Успенский Ф., Первые славянские монархии на северо-западе, 1872. — Первольф, Славяне, их взаимные отношения и связи, т. I, Варшава 1886. — Грот, Моравия и мадьяры с половины IX века до начала X века, Спб. 1881. — „Очерк истории Чехии", П. 1915. — Томек, История Чешского королевства, Спб. 1868. — Бобржинский, Очерк истории Польши, т. I, Спб. 1888. — Грабеньский, История польского народа, Спб. 1910. — Мархлевский, Очерки истории Польши, Соч., т. VI, 1931. — Фортинский, Титмар Мерзебургский и его хроника, Спб. 1872. — Гильфердинг, История балтийских славян, Соч., т. IV, Спб. 1874. — Панинский, Полабские славяне в борьбе с немцами в VIII—XII веках, Спб. 1871. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, т. II, ст. 25.

თ ა ვ ი IX

ფეოდალური საზოგადოება დასავლეთში X—XI საუკუნეებში

წარმოების ფეოდალური წესი. ფეოდალური სენიორია და ფეოდალური იერარქია. X-XI საუკუნეებში დასავლეთში საბოლოოდ მტკიცდება წარმოების ფეოდალური წესი, რომლის აუცილებელ პირობებსა და უმნიშვნელოვანეს ნიშნებს წარმოადგენს: უშუალო მწარმოებელთა წვრილი წარმოება მიწაზე მსხვილი საკუთრების ბატონობისას, წარმოების დაბალი ტექნიკა, შრომის სუსტი საზოგადოებრივი განაწილება, ნატურალური მეურნეობის ბატონობა, უშუალო მწარმოებელთა პირდაპირი კავშირი წარმოების საშუალებებთან, კერძოდ გლეხებისა მიწასთან, ნაკვეთებთან, და გლეხების მიერ ფეოდალური რენტის გადახდა, სენიორის მხრივ გარე — ეკონომიური იძულების შედეგად (იხ. შესავალი).

ფეოდალური საზოგადოების ძირითად უჯრედს იმ ეპოქაში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, წარმოადგენს ფეოდალური მამული, რომელიც თვითკმარია არა მხოლოდ ეკონომიურად, არამედ პოლიტიკურადაც, იმიტომ რომ ყოველი მამული იმავე დროს არის თავისებური სახელმწიფო — ს ე ნ ი ო რ ი ა.

სწორედ ასეთი თვითკმარი ერთეულებისაგან იქმნება პოლიტიკური ორგანიზაციები. X-XI საუკუნეებში ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ მამულ—სახელმწიფოების გაერთიანებებს — არამყარ პოლიტიკურ წარმონაქმნებს. ისინი ხან იქმნებიან, ხან იშლებიან და იფანტებიან, და მხოლოდ დროთა განმავლობაში მუშავდება ფეოდალური საზოგადოების თავისებური პოლიტიკური სტრუქტურა, როგორსაც ჩვენ ვპოულობთ XI საუკუნეში. სწორედ რომ ცალკეული სენიორების ერთიმეორისადმი იერარქიული მორჩილება იქმნება. ამასთან უფრო წვრილი სენიორები უფრო მსხვილ სენიორებს ემორჩილებიან. ყოველ ქვეყანაში, იქნება ეს საფრანგეთი, ინგლისი თუ გერმანია, ყველგან ჩვენ ვხედავთ ფეოდალური საზოგადოების უმაღლეს მეთაურს, უმაღლეს სიუზერენს — მეფეს ან იმპერატორს. ის თითქოს და მწვერვალს წარმოადგენს ფეოდალური საზოგადოებისას. მას ემორჩილებიან მსხვილი საერო და სასულიერო მთავრები; მისი უშუალო ვასალები. ამ მთავრების ხელთაა დიდი ტერიტორიები. იურიდიულად ისინი ფეოდალური საზოგადოების მეთაურს ემორჩილებიან, ფაქტიურად კი მისგან დამოუკიდებელი არიან. მათ უფლება აქვთ გამოაცხადონ ომი და დასდონ ზავი, მოსჭრან საკუთარი ფული, შეასრულონ მართლმსაჯულება, გამოსცენ კანონები თავის ტერიტორიაზე. უკე-

თეს შემთხვევაში ისინი ანგარიშს უწევენ მეფეს ან იმპერატორს, როგორც თანატოლს პერს, უარეს შემთხვევაში კი მათ შეუძლიათ ომიც კი წამოიწყონ თავისი სიუზერენის წინააღმდეგ. ფეოდალური ადათი ზოგ შემთხვევებში აკანონებს ასეთ მოვლენებს. ასეთ მსხვილ მთავრებს ემორჩილებიან უფრო წვრილი ფეოდალები, ბარონები, რომლებიც აგრეთვე მხოლოდ თეორიულად ემორჩილებიან მთავრებს, ფაქტიურად კი დამოუკიდებელი არიან. ისინიც აგრეთვე სრული ხელმწიფენი არიან თავის სამფლობელოებში. ამ ბარონებს ემორჩილებიან რაინდთა კიდევ უფრო წვრილი ლენები, და, ამნაირად ფეოდალური კიბე ეშვება ეგრეთწოდებულ „ცალფარიან რაინდთა" ლენებამდე. ეს რაინდები რომელიმე უფრო მსხვილი სენიორის ვასალები არიან, ხოლო თვითონ მათ კი უკვე აღარ ჰყავთ ვასალები.

მაგრამ, როგორც მარქსი და ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, ექსპლოატირებული გლეხობის ფართო მასები ფეოდალური იერარქიული კიბის გარეშე სდგანან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფეოდალური საზოგადოება მკვეთრად იყოფა ორ ანტაგონისტურ კლასად. ჩვენ ყოველ ქვეყანაში ვხედავთ, ერთი მხრივ, მსხვილ მიწათმფლობელთა კლასს, რომელიც ორ წოდებად იყოფა: სამხედრო — მსახურეულ დიდკაცობად და სამღვდელოებად, მეორე მხრივ კი, უმა ანუ ფეოდალურ დამოკიდებულ გლეხკაცობად.

ფეოდალური ეპოქის გლეხობა. IX—XI საუკუნეების გლეხობის შესახებ მეტად ღარიბი ცნობები მოგვეპოება, იმიტომ, რომ იმ დროის ქრონისტებს გლეხობა თითქმის სრულიად არ აინტერესებთ. ისინი გლეხობაზე ლაპარაკობენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გლეხთა ესა თუ ის აჯანყება იფეთქებს. მთელ თავის ყურადღებას ისინი რაინდთა საზოგადოების და სამღვდელოების ყოფაცხოვრებას უთმობენ.

გლეხთა მასების მატერიალური მდგომარეობა ყველგან ერთნაირი როდი იყო, და შეუძლებელია გლეხთა მასის როგორც რაღაც ერთიანი, ნიველირებული მასის, წარმოდგენა. აქ სხვადასხვა ქონებრივი ჯგუფები არსებობს.

სოფლის მეურნეობის ტექნიკა. რათა გასაგები იქნეს გლეხობის შიგნით მომხდარი ფენებად დაყოფა, უნდა დავიწყოთ იმ დროის სოფლის მეურნეობის ტექნიკის განხილვით. ამ ტექნიკას, პირველ ყოვლისა, ახასიათებს სამმინდვრიანობის ბატონობა, რომელსაც მთლიანად მაინც არ განუდევნია ორმინდვრიანობა და თვით გადანაცვლების სისტემაც კი.

მიწას ამუშავებენ მძიმე გუთნით, რომელშიც აბამენ რამდენიმე წყვილ ხარს. ხმარობენ მსუბუქ გუთანსაც, მაგრამ მძიმე გუთანი უფრო გავრცელებულია.

XI საუკუნისათვის შესამჩნევი ხდება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მიწის დამუშავებაში. ეს გაუმჯობესება იმაში გამოიხატება, რომ მიწას უკვე უფრო გულდასმით და უფრო ხშირად ხნავენ. მაგალითად, შემოდგომის ნათესისათვის წინათ მას ორჯერ ხნავდნენ, ახლა კი უკვე სამჯერ ხნავენ. გარდა ამისა, იწყებენ ბრძოლას სარეველებთან, უფრო მეტად ზრუნავენ დანაკელებაზე, ერთი სიტყვით, ტექნიკა აშკარად წინ მიდის, უმჯობესდება, თუმცა ძალიან ნელა; გლეხური მეურნეობის პროდუქცია მატულობს. XII საუკუნის ნახევრის ერთი ფრანგული ძეგლის მონაცემების მიხედვით ყველა საშემოდ-

ვომო და საგაზაფხულო პურეულისათვის კარგ მოსავლად ითვლებოდა მოსავალი ერთ — ექვსად. ამგვარად, პურეულის პოტენციალური მოსავლიანობა საკმაოდ მაღალი იყო. მაგრამ საქმე ისაა, რომ IX — XI საუკუნეებში ასეთი მოსავალი გამონაკლის მოვლენას წარმოადგენდა.. ხშირი იყო გვალვა, მოუსავლობა. მუდმივი ფეოდალური ომები ხელს უშლიდნენ სოფლის მეურნეობის სწორ წარმოებას, ვინაიდან ასეთ დროს, პირველ ყოვლისა, გლეხთა ნათესები ისპობოდა.

შიმშილობა. აი რატომ იყო, რომ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის საყოველთაო გადიდებასთან ერთად შიმშილობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამასთან მოუსავლობის ან სხვა რაიმე უბედურების შემთხვევაში მოსახლეობა ვერსაიდან დახმარებას ვერ მიიღებდა. სახმელეთო გზები ამ დროს თითქმის არ არსებობდა, ასე რომ ხმელეთით პურის მიზიდვა მეტად ძნელი იყო. რაც შეეხება წყალსავალი გზებით შიმოსვლას, მდინარის დაყოლებით პროდუქტები ადვილად მიჰქონდათ, მაგრამ მდინარის აყოლებით — დიდი გაჭირვებით. ცნობილია შემთხვევები, როცა, მაგალითად, მდინარის დაბლობში პურის სიუხვეს ჰქონდა ადგილი, მდინარის სათავეში კი შიმშილი მეფობდა.

ჩვენამდე მოაღწია შიმშილობის აღწერამ XI საუკუნეში, რომელიც იმ დროს კლიუნიში, ბურგუნდიაში მცხოვრებ ფრანგი ბერის რაულ გლაბერის კალამს ეკუთვნის. ის მოგვითხრობს, რომ შიმშილობის შედეგად, რაც ბურგუნდიას დაატყდა, ადამიანები მცენარის ფესვებით, ფოთლებით იკვებებოდნენ, ჭამდნენ ადამიანის ხორცს. ჰკლავდნენ ადამიანებს არა მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის, არამედ ვაჭრობისთვისაც: ადამიანის ხორცი ბაზარზე გაჰქონდათ. ადამიანის ხორცით მოვაჭრე პირებს იჭერდნენ და სწვავდნენ, მაგრამ ეს ღონისძიებაც ვერ სპობდა კაციჭამიობას. რაულ გლაბერი გვიამბობს, რომ მაკონის მახლობელ ტყეში წააწყდნენ ერთ ბოროტმომქმედს, რომელიც იტყუებდა მგზავრებს თავის ქოხში, ჰხოცავდა და იკვებებოდა მათი ხორცით. ქოხში მას აღმოუჩინეს ათობით ადამიანთა თავები მისგან შეჭმული გვამებისა.

გლეხობის ქონებრივი დაყოფა ფენებად. როგორც უკვე ნათქვამი იყო, გლეხობა მატერიალური მხრით ერთ მთლიან მასას არ წარმოადგენდა. შეძლებული გლეხობის ფენის გვერდით არსებობდა მრავალრიცხოვანი ღატაკი გლეხობა. ამ უკანასკნელის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას კიდევ უფრო აძლიერებდა იმ დროს არსებული მიწის დამუშავების მოუქნელი ტექნიკა. მიწას, უმთავრესად, მძიმე ხის გუთნებით ამუშავებდნენ, რომლებშიაც აბამდნენ რამდენიმე უღელ ხარს; იშვიათი იყო გლეხის ისეთი ოჯახი, რომ მას ჰყოლოდა პირუტყვის საკმაო რაოდენობა მძიმე გუთნის მოქმედებაში მოსაყვანად. ბევრი საერთო გუთნეულს იყენებდა, მაგრამ ზოგიერთი გლეხი საკუთარი ძალებული იყო გუთნის შემწეობით მიწის დამუშავების შესაძლებლობას. ასეთები იძულებული იყვნენ დასჯერებოდნენ ხელით — თოხით და ბარით—დამუშავებას. ამასთან მოსავალს იმდენად მცირეს იღებდნენ, რომ თავისი ზურგით მიჰქონდათ სახლში. მაგრამ იყვნენ აგრეთვე შეძლებული გლეხებიც: ერთ იმდროინდელ ქადაგებაში გამოთქმულია საყვედური ასეთი შეძლებული გლეხებისადმი იმის გამო, რომ ისინი ზღუდავენ თავიანთ მუშებს და თავთავების აკრეფას უკრძალავენ ღატაკ გლეხებს თავის ყანებში.

პირუტყვის არასაკმაო რაოდენობა იმდროინდელი სოფლის ერთ-ერთი დიდი უბედურებაა. ხშირად ხარების ნაკლებობის გამო ძროხებით ხნავდნენ, როგორც იმ დროის ზოგიერთ წყაროში ვკითხულობთ, ძროხებს, თხებსაც კი უბამდნენ. გლეხების ასეთი ცდა — მოეხნათ მიწა თხების საშუალებით, მათ სიღატაკეს მოწმობს. უნდა აღინიშნოს, რომ სენიორი თითოეულ სულ პირუტყვს განსაკუთრებული გადასახადით ბეგრავდა, ამასთან მუშა პირუტ-ყვის გადასახადით დაბეგვრის ოდენობა სხვა იყო, არამუშა პირუტყვისა — კიდევ სხვა. იმ დროის ერთ სიგელში წერია: „უკეთუ გუთანში შებმულ პირუტყვს შეუბამენ თხას, იგი ხარად იქნეს მიჩნეული", ე. ი. მისგან იმდენი-ვე გადასახადი იქნეს აღებული, რამდენიც ხარისაგან.

ფეოდალური რენტა. ამ ეპოქაში ფეოდალური რენტა, უმთავრესად, პროდუქტის რენტას, ნაწილობრივ კი ფულად რენტას წარმოადგენს.

თუ კაროლინგების ეპოქაში მსხვილი მიწათმფლობელები მიწის მნიშვნე-ლოვან ნაწილს თავის უშუალო გამგებლობაში სტოვებდნენ და მასზე საკუ-თარ ფართო მეურნეობას ეწეოდნენ, უმთავრესად, გლეხური საბატონო ბეგა-რის საშუალებით, X-XI საუკუნეებში ყველგან დასავლეთ ევროპის კონტი-ნენტზე საბატონო მეურნეობა ძლიერ შემცირდა და, პირიქით, გაიზარდა მა-მულის მეორე ნაწილი, რომელსაც ნაკვეთებად ჰყოფდნენ და აძლევდნენ გლეხებს. საბატონო ბეგარა ასეთ პირობებში ნაკლებ საჭირო ხდება. სენიორი პროდუქტის რენტის მიღებაზე გადადის, და ამასთან ერთად ეს რენტა ფულზე გადააქვთ. ნატურალური გადასახადების ასეთი გადაყვანა ფულად გადასახად-ზე უკვე XI საუკუნეში ხდება შესამჩნევი და განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება XII-XIII საუკუნეებში.

თავისი უფლებრივი მდგომარეობით გლეხები იყოფოდნენ ყმა გლეხებად და პირადად თავისუფალ გლეხებად. იმ დროინდელი გლეხის ტიპიურ მდგო-მარეობას ბატონყმური დამოკიდებულება წარმოადგენდა.

ყმა გლეხები. ადრეულ შუა საუკუნეების ყმას თავისი იურიდიული მდგომარეობით თითქოსდა საშუალო ადგილი ეკავა ძველ მონასა და თავისუ-ფალ ადამიანს შორის. მთელ რიგ შემთხვევებში იგი თითქოს შამულის ცოც-ხალ ინვენტარს წარმოადგენდა და შესაძლებელი იყო მისი გასხვისება. მაშა-სადამე, იგი ერთგვარად ძველი მონის მსგავსია. მაგრამ, ცხადია, თავისი, როგორ ეკონომიური, ისე უფლებრივი მდგომარეობით მონისაგან ის მკვეთრად განირჩევა, ვინაიდან უშუალოდ დაკავშირებულია მიწასთან, რომელსაც ის ამუშავებს, და თუ მოხდება მისი გასხვისება, — უთუოდ მიწასთან ერთად-მას უდავო უფლება აქვს თავის ნაკვეთზე, რომელსაც მემკვიდრეობით გადას-ცემს თავის შვილებს; თუმცა კი, ამასთან იგი გარკვეულ ბაჟს უხდის ფეო-დალს, რომელსაც ეკუთვნის მიწაზე უზენაესი მესაკუთრის უფლება.

ყმები (საფრანგეთში მათი ყველაზე გავრცელებული სახელწოდება იყო ს ე რ ვ ე ბ ი) თავისუფალი კაცისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ზოგიერთ ისეთ სპეციფიურ ბეგარას იხდიან სენიორის სასარგებლოდ, რომელსაც პირადად თავისუფალი გლეხები არ იხდიან. ერთ-ერთი, მათზე მოდის ეგრეთწოდებული „ქუდზე კაცის დაბეგვრა" (capitatio, შ ე ვ ა ტ ი). შემდეგ თავისუფალ

პირებზე ან სხვა მამულის ყმებზე დაქორწინების შემთხვევაში ისინი იხდიან განსაკუთრებულ ბაჟს, რომელსაც „საქორწინო“ ბაჟი ეწოდება (maritagium, ფ ო რ მ ა რ ი ა ჟ ი). შემდეგ, მიწის მემკვიდრეობით გადაცემისას, ისინი აგრეთვე განსაკუთრებულ ბაჟს უხდიან სენიორს. ამ ბეგარას ეწოდება „მკვდარი ხელი“ (manus mortua, მ ე ნ მ ო რ ტ ი). ამ ბეგარის სიმძიმეზე, რომელიც ჩვეულებრივ ერთი სული საუკეთესო პირუტყვის გადახდაში გამოიხატებოდა, ერთი მწერალი ამბობს: „მამა კვდება, სენიორი კი საბრალო ბავშვებს ართმევს მათ მარჩენალ ძროხას. ეს პირნი, რომელნიც მკვდარი ხელის უფლებით სარგებლობენ, — მკვლელები არიან, ვინაიდან ისინი შიმშილით სიკვდილს განუმზადებენ ობოლს, ისინი მატლებივით ნთქამენ გვამებს“. ბასასრულ, სენიორი თვითნებურად ბეგრავს გლეხებს, როცა კი მოეპრიანება და რა ოდენობითაც მოისურვებს. ამ გადასახადს, რომელიც ყველაზე საძულველია გლეხობისათვის, თ ვ ი თ ნ ე ბ უ რ ი ტ ა ლ ი ა ეწოდება.

თავისუფალი გლეხები. პირადად თავისუფალი გლეხები (საფრანგეთში მათ ვ ი ლ ა ნ ე ბ ი ეწოდება) სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მდგომარეობაში იმყოფებიან. ჩვეულებრივ ისინი არც ერთ ზემოჩამოთვლილ ბეგარას არ იხდიან. ვილანების ბეგარა და გადასახადები მათ მიწას ეხება, ესაა ბეგარა არა პირადი, არამედ რეალური ხასიათისა. იმდროინდელი ფეოდალური თეორიის მიხედვით მიჩნეულია, რომ ვილანები იმდენად იხდიან ამ ბეგარას, რამდენადაც ისინი მიწას ფლობენ. თუ ისინი უარს ამბობენ მიწაზე, თავიანთ ბეგარასაც აღარ იხდიან. თანახმად ერთი სიგელისა, ვილანს უფლება ჰქონდა თავისი ქონების განკარგულებისა, ანდერძით გადაცემისა, უფლება დაქორწინებისა, სასულიერო წოდებაში შესვლისა და სასამართლოში დამოუკიდებლად მოქმედებისა, არა მხოლოდ მოწმის სახით, არამედ მოდავე მხარის სახითაც. მაგრამ ფაქტიურად ვილანების დიდი უმრავლესობის მდგომარეობა გაცილებით ნაკლებ ხელსაყრელი იყო. ისინი მაინც ფეოდალურად დამოკიდებული იყვნენ. იმ განსხვავებით, რომ რამოდენადმე შემსუბუქებულ ფეოდალურ ექსპლოატაციას განიცდიდნენ.

საფრანგეთში გლეხთა განთავისუფლება იმაში გამოიხატება, რომ სერვები ვილანებად იქცევიან. ვილანები ბეგარას განსაზღვრული ოდენობით იხდიდნენ. ასე, მაგალითად, ვილანები, ისე როგორც სერვები იხდიდნენ ტალიას, მაგრამ ეს ტალია მათთვის „აბონირებული“ იყო (taille abonnée), ე. ი. მტკიცედ დაწესებული ოდენობით იყო განსაზღვრული.

აქა-იქ დარჩნენ მესაკუთრე გლეხები, ანუ ალოდის მფლობელნი, რომლებიც მხოლოდ სამართლებრივად იყვნენ დამოკიდებული სენიორისაგან, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლისგან. ალოდის მფლობელ გლეხთა მთელ სოფლები შემორჩნენ X-XI საუკუნეებში არა მხოლოდ გერმანულ, არამედ რომანულ ქვეყნებშიც.

მაგრამ საერთოდ, როგორც სჩანს, გლეხობის მთავარი მასა ბატონყმურ მასას წარმოადგენდა. ენგელსის სიტყვით, თვით რაინს იქითაც კი „X — XII საუკუნეებში თავადაზნაურობის და ეკლესიის ყოვლის შემძლეობა მძიმე

ლოდად აწვა გლეხებს და ყურმოჭრილი ყმების მდგომარეობამდე მიჰყავდა ისინი."[1].

ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერება და გლეხთა აჯანყებები. ფეოდალური სისტემის საბოლოო ჩამოყალიბებას თანსდევდა ფეოდალური რენტის გადიდება მის სხვადასხვა სახეობაში და გლეხობის სხვადასხვა კატეგორიის ექსპლოატაციის ზრდა. ძველ ვალდებულებებს სენიორთა სასარგებლოდ სულ ახალ-ახალი ემატებოდა. იმ გადასახადთა გამრავლების გარდა, რაც დაწესებული იყო სამკალზე, სათიბზე, მარცვლეულზე, პურზე, ღვინოზე, ოთხფეხზე, ფრინველზე, შემოღებულ იქნა ახალი სენიორული. უფლებები სადგომსა და სამასპინძლოზე, ბანალიტეტები, ე. ი. მემამულის მონოპოლიები მარცვლეულის დაფქვაზე, პურის გამოცხობაზე, ყურძნის დაწურვაზე და ა. შ. სენიორთა ძალმომრეობას არაერთხელ გამოუწვევია გლეხობის აჯანყებები, თუმცა მათ შესახებ მეტად ღარიბი ცნობები მოგვეპოება. ასეთ ადრინდელ აჯანყებათა ერთ-ერთ ცდას წარმოადგენს X საუკუნის დამლევის ნორმანდიელ გლეხთა შეთქმულება, რომელზეც არსებობს თანამედროვე ქრონისტის გილიომ ჟიუმიეჟელის მოკლე ცნობა.

ნორმანდიაში ჰერცოგ რიჩარდის (996 წლიდან) მმართველობის შესახებ მოთხრობაში გილიომ ჟიუმიეჟელი სხვათა შორის გვაუწყებს: „გლეხები ყველგან, ნორმანდიის ყველა საგრაფოში, მართავდნენ მრავალრიცხოვან ყრილობებს და გამოჰქონდათ დადგენილება თავის ნებაზე ცხოვრების შესახებ, რათა ტყისა და წყლის ყველა სიკეთით ესარგებლნათ თავიანთი კანონების მიხედვით და წინათ დაწესებული უფლების არავითარი აკრძალვით არ ყოფილიყვნენ შეზღუდული. და ამ გადაწყვეტილებათა დასამტკიცებლად აბორგებული ხალხის ყოველ კრებაზე მათ მიერ არჩეულ იქნა ორ-ორი რწმუნებული, რომლებსაც მათი დადგენილებები უნდა წარედგინათ ქვეყნის საერთო კრებაზე დასამტკიცებლად. როცა ეს გაიგო ჰერცოგმა, მან იმწამსვე წარგზავნა მათ წინააღმდეგ გრაფი რაული მრავალი რაინდითურთ, რათა მათ აელაგმათ სოფლური თავხედობა და ბოლო მოეღოთ გლეხთა საზოგადოებისათვის. და აი, მან დაუყოვნებლივ ანაჯდეულად შეიპყრო (გლეხობის) ყველა რწმუნებული ზოგიერთი სხვა პირებითურთ, დასჭრა მათ ხელები და ფეხები, და ასე დასახიჩრებული გაუგზავნა თანამოაზრეებს, რათა შეეკავებინათ ისინი ასეთ (წამოწყებათაგან) და თავისი მაგალითით ჩაეგონებიათ მათთვის, რომ კიდევ უარესი განსაცდელი არ დასტეხოდათ თავს. ამით შთაგონებულმა გლეხებმა მყისვე შესწყვიტეს ყოველგვარი თავმოყრა და თავიანთ გუთნებს დაუბრუნდნენ."

XI საუკუნის 30-იან წლებში ბრეტანში, ნორმანდიის საზღვარზე, ახალმა აჯანყებამ იფეთქა. ბატონების ჩაგვრით სასოწარკვეთილებამდე მისული გლეხები აჯანყდნენ „უბელადოდ და უიარაღოდ", მაგრამ თავადაზნაურობამ სისხლის მორევში ჩააბმო ეს აჯანყება. საფრანგეთის სოფელში მღელვარება 1095 წელშიაც ხდებოდა, ჯვაროსანთა ლაშქრობის წინ, როცა, ქრონისტის სიტყვით, სხვა და სხვა ადგილას „მრავალი ადამიანი იტანჯებოდა საჭმელის

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. XVI, გვ. 639.

ნაკლებობით, ლატაკები თავს ესხმოდნენ მდიდრებს და შურს იძიებდნენ ძარცვა-გლეჯით."

გლეხური თემი. გლეხები ჯანყდებოდნენ სენიორთა წინააღმდეგ და საერთოდ ასე თუ ისე იცავდნენ თავის უფლებებს; ისინი მთული „მსოფლიო-თი", მთელი თემით მოქმედებდნენ. საქმე ისაა, რომ მემამულის ხელქვეითი და სენიორიაში ჩაბმული გლეხები ყოველგან ინარჩუნებდნენ თავის ძველ სამარკო ორგანიზაციას: „ძველი თემი-მარკა, — ამბობს ენგელსი, — გახა-გრძობდა თავის არსებობას, თუნდაც ბატონის მეურვეობის ქვეშ."[1] ძალიან ბევრი გლეხური თემი ახლად დაარსდა კოლონიზაციის შედეგად.

ცნობილია, რომ XI-XII საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში ფართოდ მიმდინარეობდა შინაგანი კოლონიზაციის პროცესი. თავისი სენიორებისგან გაქცეული გლეხები იკავებდნენ დაუმუშავებელ მიწებს, ტიალ ადგილებს და ტყეებს, სადაც სწმენდდნენ ნიადაგს გაჩეხისა და ხეების ამოძირკვის ან მათი დაწვის გზით. აქ ისინი ახალ ყანებს იჩენდნენ და, ამნაირად, ახალ მო-სახლეობას აწყობდნენ. ამ უდაბური ადგილებისა და ტყეების მეპატრონე ფეოდალები, რომლებიც არავითარ შემოსავალს მათგან არ ღებულობდნენ, დიდის სიამოვნებით ულებდნენ კარს გამოქცეულ ყმა გლეხებს, ანიჭებდნენ მათ შეღავათებს და შედარებით ნაკლებ გადასახადებს უწესებდნენ ფულითა და პროდუქტებით. ასეთ გლეხებს უწოდებდნენ ჰოსპიტებს. თავისი იურიდიული მდგომარეობით ისინი ვილანებს უახლოვდებიან.

ყმა გლეხების ტყეებსა და ტიალ ადგილებში გაქცევით ფეოდალებს ბუშა-ხელი აკლდებოდათ და ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ შეემცირებინათ თავიანთი მოთხოვნები ადგილზე დარჩენილი გლეხებისადმი და გაეთავისუფ-ლებიათ კიდეც ისინი სერვაჟისაგან. XII და განსაკუთრებით XIII საუკუნეში გლეხური მეურნეობის საქონლიანობის ზრდასთან დაკავშირებით სერვაჟისა-გან განთავისუფლება მასობრივ ხასიათს ღებულობს. გლეხები ხშირად მთელი სოფლებით ვილანების მდგომარეობაში გადადიან; ისინი ცდილობენ მოიხსნან ყველაზე მძიმე ფეოდალური ვალდებულებანი ფულადი გამოსყიდვის გზით.

რაინდობა. რაინდთა ციხე-დარბაზები. X-XI საუკუნეების ძეგლებში გაცილებით მეტი ცნობებია შენახული რაინდთა საზოგადოების ყოფაცხოვრე-ბაზე, ვიდრე გლეხებზე.

რაინდი ციხე-დარბაზში ცხოვრობს. უკვე ეს ერთი სიტყვა „ციხე-დარბა-ზი" ლაპარაკობს დასავლეთ ევროპის ფეოდალურ საზოგადოებაზე, რომლის წარმოდგენაც შეუძლებელია, გარეშე ციხე-დარბაზებისა. პირველი ციხე-დარბაზები IX საუკუნეში გაჩნდა ნორმანების, არაბების, უნგრების თავდასხ-მების დროს, რომლებიც არბევდნენ და ანადგურებდნენ მაშინ დასავლეთ ევ-როპას. განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო იმ დროს ნორმანთა თავდასხ-მები (იხ. თავი V, § 3 და თავი VI, § 2).

ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და ფეოდალური დაქუცმაცებუ-ლობის გამო მოსახლეობას უხდებოდა გადამალვა მტრის შემოსევის დროს და ცდა, თუ როდის წავიდოდა მტერი, რომელმაც მოსრა და გაანადგურა მთელი

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. XV, გვ. 639.

შიდამო. მტრებისგან საიმედო თავშესაფარს სწორედ ციხე-დარბაზი წარმოადგენდა. ამ დროს უამრავ ციხე-დარბაზებს აგებენ. მაგრამ თუ ციხე-დარბაზი მტრებისგან თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა, იმავე დროს ის თავდასხმის საშუალებაც იყო. ციხე-დარბაზი შესაძლებლობას აძლევდა მის მფლობელს მორჩილებაში ჰყოლოდა მთელი ოლქი. ცენტრალური ხელისუფლება ჯერ კიდევ IX საუკუნეში ცდილობს აწარმოოს ბრძოლა ამ ციხე-დარბაზებთან, ცდილობს აკრძალოს მათი მშენებლობა. კარლოს მელოტის კაპიტულიარში, რომელიც გამოცემულ იქნა 864 წელს, არსებობს ასეთი დადგენილება: „ჩვენ გვსურს და დაჟინებით ვბრძანებთ, რათა ყველამ, ვინც უკანასკნელ ხანებში ჩვენი ნებადართვის გარეშე ააგო ციხე-დარბაზები, სიმაგრეები და ჭერგულები, სავსებით მოსპოს ისინი აგვისტოს კალენდებისათვის, ვინაიდან მეზობლები და გარემომცხოვრებნი მრავალ შეწუხებასა და ძარცვას განიცდიან მათგან“. უფრო გვიან ინგლისში ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე აგებულ ასეთ ციხე-დარბაზებს უკანონოდშობილს უწოდებდნენ და ისინი განკუთვნილი იყო დასანგრევად. რაც შეეხება ევროპის კონტინენტს, აქ არავინ მნიშვნელობას არ აძლევდა განკარგულებას ციხე-დარბაზების მოსპობის შესახებ და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის გამო მას არავინ ემორჩილებოდა.

პირველი ციხე-დარბაზები ძალიან პრიმიტიული იყო. ესენი არ წარმოადგენდნენ ქვის უზარმაზარ ნაგებობას, რომლებიც ფეოდალური საზოგადოების გაფურჩქვნის პერიოდში ჩნდებიან, XII-XIII საუკუნეებში. X საუკუნეში ისინი ხისა იყო. უმარტივესი ციხე-დარბაზი ჩვეულებრივ ორსართულიან ხის კოშკს წარმოადგენდა. ზემო სართულში სენიორი ცხოვრობდა, ქვემო სართულში კი იყო ყოველგვარი საწყობები — სურსათის, ინვენტარის, აქვე მოთავსებული იყო საჯინიბოები, სენიორის საქონელი. კოშკს ზოგჯერ მიწის ქვეშეთი ჰქონდა. აქ იყო ჭა, მაგრამ იმავე დროს მიწისქვეშეთი წარმოადგენდა საპყრობილეს ტყვეებისათვის. კოშკს, ეგრეთწოდებულ დონჟონს, ავლებდნენ თხრილს ზვინულით. ზვინულზე სდგამდნენ მესერს. თხრილზე აგებდნენ ხიდს, რომელსაც ალყის შემორტყმისას მაღლა სწევდნენ. ეს არის მთელი ციხე-დარბაზი. მართალია, მსხვილი ფეოდალები უფრო რთულ ციხე-დარბაზებს იშენებდნენ, რომლებსაც ჰქონდათ რამდენიმე რიგის სიმაგრეები, რამდენიმე ეზო და ამ სიმაგრის ცენტრში ამაღლებული იყო მთავარი კოშკი. მაგრამ ეს ციხე დარბაზებიც ხისა იყო, და ადვილი იყო მათი ცეცხლით მოსპობაც.

როდესაც ერთი ფეოდალი მეორის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა, ის ამასთან იმის ცდაში იყო, რომ დაეწვა მტრის ციხე-დარბაზი. ცეცხლისაგან თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად ჩვეულებრივ ალყის დაწყებისას ჰკლავდნენ პირუტყვს, ატყავებდნენ მას და აქედან მიღებულ ტყავებს აფარებდნენ კოშკს. ასეთ პირობებში კოშკის დაწვა უფრო ძნელი იყო.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში ხის ციხე-დარბაზის დაწვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე უფრო მოგვიანო ქვის. მაგრამ თუ მისი დაწვა ადვილი იყო ადვილი შესაძლებელი იყო აგრეთვე ფერფლისაგან მისი აღდგენაც. ციხე-დარბაზები ზოგჯერ უეცრად და ძალიან სწრაფად აღიმართებოდნენ ხოლშე სულ რამდენიმე დღეში, ზოგჯერ ერთი ღამის განმავლობაში. ასეთი ციხე-

დარბაზის საეკლესიო მამულთან ახლოს ანდა თვით ეკლესიის მამულში აგება დიდ შეშფოთებას იწვევდა ხოლმე ეკლესიის სენიორთა შორის. ჩვენ ხელთ გვაქვს წერილი ერთი ფრანგი ეპისკოპოსისა, რომელიც ჩივის, რომ მეზობელმა სენიორმა მეზობლად ორი ციხე-დარბაზი ააგო: ის სთხოვს მეფეს მოსპობილ იქნეს ეს ციხე-დარბაზები და იმუქრება, იმ შემთხვევაში თუ ისინი დანგრეული არ იქნება, ის შეწყვეტს წირვა-ლოცვას და წავა სხვაგან.

ქვის ციხე-დარბაზთა შენებას, პირველ ყოვლისა, იტალიასა და სამხრეთ საფრანგეთში იწყებენ. უკვე XI საუკუნეში ჩნდებიან უზარმაზარი ქვის ციხე-დარბაზები, მაგრამ მათი ნანგრევები არ შენახულა. გადარჩენილია ზოგიერთი უფრო მოგვიანო დროის ციხე-დარბაზები — XII და, უმთავრესად XIII საუკუნისა. ამ ციხე-დარბაზების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია შევიმუშაოთ წარმოდგენა უფრო ადრინდელი პერიოდის ციხე-დარბაზებზე. ასე, მაგალითად, საფრანგეთში დაცულია XIII საუკუნის დამდეგს აგებული ციხე-დარბაზის კუსის ნაშთები.

კუსის ციხე-დარბაზის ცენტრალური კოშკი რთულ ნაგებობას წარმოადგენდა. მისი სიმაღლე 64 მეტრს უდრიდა, სიგანე — 31 მეტრს. კედლების სისქე უდრიდა 7 მეტრს, ხოლო თხრილი, რომელიც ამ კოშკს გარსერტყმოდა, სიგანით 6 მეტრს აღემატებოდა. ცხადია, ასეთი ბუმბერაზის იერიშით ალება ყოვლად შეუძლებელი იყო. ან, მაგალითად, შემორჩენილია პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ XII საუკუნეში პალესტინაში აგებული რაინდული ციხე-დარბაზის ნანგრევები, — ესაა ციხე-დარბაზი კრაკი, რომელიც იმდროინდელი დასავლეთ ევროპის საციხოვნო მშენებლობის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. ციხე-დარბაზი აგებულია ვეება მკვრივი კედლებით, რომელთა ნაშთი დღემდე შემონახულია.

სენიორები და ვასალები. სენიორი ასეთ ციხე-დარბაზში მარტო როდი ცხოვრობდა, ის გარემოცული იყო თავისი თანაამხანაგებით — სხვა ფეოდალებით, რომლებიც მის გარშემო ერთგვარ რაზმს შეადგენდნენ. სენიორის გარშემო მყოფი ეს სამხედრო პირები, ისე, როგორც სხვა, მისგან დამოკიდებული ფეოდალები, ერთგულების ვასალური ფიცით იყვნენ მასთან დაკავშირებული. ვასალურ დამოკიდებულებაში მიღების ცერემონიას ომაჟი ეწოდებოდა (hommage). ომაჟს თანახლდა ვასალის მხრივ სენიორისადმი ერთგულების ფიცი. ერთგულების ამ ფიცს ფუა (foi) ეწოდებოდა.

ერთ-ერთ ფრანგულ ძეგლში ამგვარად არის გამოსახული ომაჟისა და ფუას ცერემონიალი:

„როცა ვინმე — კაცი თუ ქალი — სენიორისაგან ვასალურ დამოკიდებულებაში შედის, მან მის წინაშე უნდა დაიჩოქოს, თავისი ხელნი ერთმანეთს შეუერთოს, მოაქციოს ისინი სენიორის ხელთა შუა და უთხრას მას: „მეუფევ, აი მე ვხდები თქვენს მახლობელ ვასალად ამა და ამ ფეოდისთვის... და აი მე პირობას გაძლევთ, გაგიფრთხილდეთ და დაგიცვათ თქვენ ყველა ადამიანებისაგან, რომელნიც კი იცოცხლებენ და დაიხოცებიან.“ ხოლო სენიორმა პასუხად ამისა უნდა უთხრას: „გეებულობთ თქვენ ვასალურ დამოკიდებულებაში იმ პირობით, რომ დაიცვათ ერთგულება ღვთისადმი და ჩემდამი და არ დაარღვიოთ

უფლებანი ჩემნი.“ და ერთგულების ნიშნად მან უნდა ამბორჰყოს ბაგენი მისნი.

ფეოდები. ყველა ის პირი, ვინც ომაჟისა და ფუას შედეგად ამა თუ იმ სენიორის ვასალი ხდებოდა, მისგან ღებულობდა ფეოდს, ამასთან სენიორის მიერ ვასალისადმი ფეოდის გადაცემის ცერემონიას ინვესტიტურა ეწოდებოდა.

აუცილებელი არ იყო, რომ ფეოდი, ანუ ლენი ყოფილიყო მიწის ესა თუ ის ნაკვეთი, რასაც სენიორი აძლევდა ვასალს მის მიერ გაწეული სამსახურისათვის; ეს შეიძლებოდა ყოფილიყო აგრეთვე მოძრავი ქონება ან რაიმე შემოსავლის წყარო. მაგალითად, სენიორს ფეოდის სახით შეეძლო მიეცა თავისი ვასალისათვის უფლება რაიმე რენტის მიღებაზე.

ვასალების ვალდებულებანი. რაც შეეხება ვასალის ვალდებულებებს სენიორის მიმართ, ისინი მეტად მრავალფეროვანი იყვნენ, და, ყველა მათი შესრულება რომ აუცილებელი ყოფილიყო, ვასალის ცხოვრება მეტად სამძიმო იქნებოდა. აი როგორია ეს ვალდებულებანი: იმ დროის ძეგლთა მიხედვით ვასალს არც უნდა ელაპარაკნა, არც უნდა გაეკეთებინა ისეთი რამ, რაც მატერიალურად და მორალურად ავნებდა სენიორს; მას მატერიალურად და პირადად პასუხი უნდა ეგო თავისი სენიორის მაგიერ; იგი უნდა ყოფილიყო მისი თავდები და მძევლობაც კი უნდა გაეწია მისთვის ომიანობის დროს. ვასალი ვალდებული იყო სენიორის გაწვევით წასულიყო ომში, ამასთან ლაშქრად ყოფნა განისაზღვრებოდა დღეების გარკვეული რაოდენობით (ჩვეულებრივ ორმოცი დღით წლის განმავლობაში). შემდეგ, ვასალს სენიორის მოთხოვნით უნდა მოეწყო სათანადო თავდაცვა და ჰყოლოდა გარნიზონი ამა თუ იმ ციხეში. მშვიდობიან დროს მას მონაწილეობა უნდა მიეღო სენიორის სასამართლოსა და საბჭოში (კურია). გარკვეულ შემთხვევებში მას ფულადი დახმარება უნდა გაეწია სენიორისათვის, გარკვეულ შემთხვევებში თავის ხარჯზე უნდა შეენახა იგი. ერთი სიტყვით, ვალდებულებები მეტად რთული იყო, მაგრამ მეტწილად არ სრულდებოდა. ძნელი იყო ვასალის იძულება შეესრულებია ისინი. ჩვეულებრივ, თავის ვალდებულებათა დამრღვევ ვასალს იწვევდნენ სენიორის სასამართლოში, რომელიც შედგენილი იყო პერ ეგ ისაგან, თანასწორთაგან, ე. ი. ისეთივე ვასალებისაგან. ამ სასამართლოში თავმჯდომარეობას ეწეოდა სენიორი. უკეთუ პერების სასამართლო სცნობდა ვასალს სენიორისადმი თავის ვალდებულებათა დამრღვევად, მას ფეოდ — ჩამორთმეულად აცხადებდნენ, და ფეოდალურ ხელშეკრულებას დარღვეულად სთვლიდნენ. მაგრამ განაჩენის სისრულეში მოყვანა ძნელი იყო. ამის ერთადერთი საშუალება იყო ომი.

ფეოდალური ომები. ამიტომ იყო, რომ ფეოდალური ომები იმ დროს ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდნენ. ისინი დაკანონებულია ფეოდალური კონსტიტუციის, ფეოდალური ადათების მიერ. ომის წარმოებას აწესრიგებენ, ფეოდალური იურისტები ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება დაიწყოს ომი, როგორ უნდა მოხდეს ომში გაწვევა. ეს რეგლამენტიც აგრეთვე ძალიან ხშირად არ სრულდებოდა. ჩვეულებრივ ყოველი ფეოდალი მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური ადათებით მას აკრძალული ჰქონდა მოულოდ-

ნელად დასხმოდა თავს თავის მეზობელს, მაინც ყოველთვის იმას ცდილობდა, რომ ანაზდეულად ხელთ ეგდო სხვისი ციხე-სიმაგრე მთელი მისი ქონებით. თუ ასეთი თავდასხმა არ გაუმართლდებოდა, ომი განისაზღვრებოდა იმით, რომ ფეოდალი ანადგურებდა ყანებს, ერეკებოდა პირუტყვს; მოწინააღმდეგე ცდილობდა ამითვე გადაეხადა მისთვის. შედეგად ომისაგან დაზარალებული გამოდიოდნენ, უმთავრესად, გლეხები. ფეოდალურ ომს მუდმივი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ იმავე დროს წარმოადგენდა მეტად მცირე ომს, რომელიც მიზნად ისახავდა წვრიმალ დაპყრობებს, წვრიმალ ძარცვას.

დიდი ფეოდალური ბრძოლები, რომლებშიც მრავალი რაინდი მონაწილეობდა, აგრეთვე როდი იყო სისხლისმღვრელი. რაინდის მოკვლა და დაჭრაც იმ დროს ძნელი იყო, ვინაიდან მას ძალიან კარგად იფარავდა ყოველგვარი დარტყმისაგან მისი ჯავშანი. 1119 წელს დიდი ბრძოლა მოხდა ფრანგებსა და ინგლისელებს შორის. მასში 900 რაინდი მონაწილეობდა, ამასთან ბრძოლა მეტად გააფთრებული იყო. ბრძოლის შედეგები ასეთია: სამი იყო მოკლული და 140 კაცი ტყვედ წაყვანილი, მათგან გამოსასყიდის მისაღებად. სწორედ ამ გამოსასყიდის მისაღებად თითოეული რაინდი ცდილობდა ტყვედ ჩაეგდო მეორე.

რაინდის აღჭურვილობა. შეტევის დროს რაინდისათვის ტიპიურ იარაღს წარმოადგენდა მახვილი. ეს მახვილი შესდგებოდა ფოლადის ორლესულისაგან, ვადისა *) და განსაკუთრებული დისკოსებური ან მრგვალი დამსხვილებისაგან ვადის ბოლოში. ეს დამსხვილებული ბოლო ღრუ იყო, და მასში ჩვეულებრივ სდებდნენ რაიმე წმინდა ნაშთს, წმინდათა ნაწილს და ა. შ. ვადას მახვილისაგან ჰყოფდა ლითონის კადონი. მიწაში ჩარჭობილი მახვილი თავისებურ ჯვარად იქცეოდა, და ვინაიდან დამსხვილებულ ვადაში წმინდა ნაშთები იყო, რაინდს შეეძლო მის წინაშე ელოცნა. რაინდთა ყოფაცხოვრება ძალიან კარგად არის აწერილი სახელგანთქმულ „სიმღერაში როლანდზე“, რომელიც XI საუკუნეში წარმოიშვა. სიმღერიდან ჩვენ ვიცით, რომ როლანდი, რომელიც კვდება სარაცინთა მიერ მიყენებულ ჭრილობებისაგან, ცდილობს გადასტეხოს თავისი მახვილი, შეალუწოს იგი კლდეს, რათა ხელთ არ ჩაუვარდეს იგი „ურწმუნოებს.“

მახვილთან ერთად შემტევ იარაღს რაინდის ხელში წარმოადგენდა შუბი. შუბი წარმოადგენდა რომბული ფორმის ლითონის ბუნიკს, რომელიც წამოცმული იყო გრძელ ჯოხზე. ამ ბუნიკს ქვემოთ მიკრული ჰქონდა ბაირაღი, რომელიც ეშვებოდა ძირს და რამდენიმე ბაფთით თავდებოდა. როდესაც რაინდები ცხენებზე ისხდნენ, შუბები მათ ვერტიკალურად ეჭირათ, ბაფთები მუზარადებზე ეცემოდნენ.

გარდა ამისა, რაინდის იარაღს წარმოადგენდა ხელკეტი ან ნაჯახი. ხელკეტს ძველად ხმარობდნენ. თავდაპირველად ხელკეტი იყო ხისა, უფრო გვიან კი მას ლითონისაგან ამზადებდნენ. ეს იყო სახელგანთქმული რაინდული კვერთხი, სასულიერო ფეოდალთა, ეპისკოპოსებისა და აბატების საყვარელი იარაღი. მათაც აგრეთვე უნდა ჩაებათ რაზმები ბრძოლაში, მაგრამ ეკლე-

---

*) ანუ ტარისა, თარგმ. რედ.

სია უკრძალავდა მათ სისხლის დაღვრას, ამიტომ ისინი კვერთხებით იარაღ-დებოდნენ.

რაინდის თავდაცვითი იარაღი — პირველ ყოვლისა იყო ჯავშანი. ჯავ-შანმა შესცვალა ძველი ტყავის აბჯარი, რომელზედაც აკრავდნენ ლითონის ფინებს .XI საუკუნეში აბჯარი დიდ ხმარებაში იყო, მაგრამ ამ საუკუნის დამლევს მის ადგილს იკავებს ჯავშანი. ჯავშანი — რგოლოვანი ხალათია. ეს ხალათი უფრო მსუბუქია და მოძრაობის მეტ თავისუფლებას ანიჭებს რაინდს, ვიდრე აბჯარი. იგი ჰაერის გამტარია და ყოველმხრივ უმჯობესია ძველ დამცველ აღჭურვილობაზე. ხალათი მოგრძო იყო, მუხლებამდე ჩამოდიოდა, მას ჭრილი ჰქონდა წინ და უკან. ზემოდან მას ჰქონდა კაპიშონი, რომელიც ჰფარავდა კისერს. შემდეგ რაინდი იხურავდა მუზარადს, სადას, უზარადოდ. მუზარადს უკან ჰქონდა წაგრძელება და უერთდებოდა ჯავშნის კაპიშონს. წინიდან ცხვირი დაცული იყო განსაკუთრებული ლითონის ფირფიტით. გარ-და ამისა, რაინდს ჰქონდა ლითონის ხელთათმანები და ლითონის წინდები. უკვე ამ დროს (XI საუკუნის დამლევს) რაინდი წარმოადგენდა ნამდვილ მოძრავ ციხეს, რომლის დაზიანებაც ძნელი იყო. თუ რაინდს ცხენიდან ჩამო-აგდებდნენ, თვითონ მას, სხვის დაუხმარებლად, არ შეეძლო ფეხზე წამოდგო-მა, იმდენად მძიმე იყო მისი აღჭურვილობა. იგი გართხმული იყო მიწაზე მა-ნამდე, სანამ მას ტყვედ არ წაიყვანდნენ.

დასასრულ, დამცველი აღჭურვილობის სახით უნდა აღინიშნოს რაინდის ფარი, რომელიც თავდაპირველად მრგვალი იყო, შემდეგში გრძლად იქცა. ეს ფარი თითქმის მთელ რაინდს ჰფარავდა, როცა ის იბრძოდა.

რაინდთა ჯარებს უკვე XI საუკუნეში ჰქონდათ თავისებური მძიმე ქვე-მეხები, რომლებიც რაინდთა საზოგადოებამ წარსულიდან — ბერძნებისა და რომაელებისაგან — მემკვიდრეობად მიიღო. უმთავრესად, ორი სახის ასეთი ქვემეხი იყო ხმარებაში: ერთი მხრივ, სამხედრო მანქანები, რომლებიც შვილდის ყაიდაზე იყვნენ აგებული, შუბების ან დიდი ისრების სატყორცნე-ლად; მეორე მხრივ, სამხედრო მანქანები, შურდულის პრინციპზე აგებული, ყოველგვარი ქვების, ცეცხლგამჩენი ყუმბარების სასროლად და ა. შ.

გარდა ამისა, ხმარობდნენ ურნალებს, რომლებითაც ანგრევდნენ კედ-ლებს და ეგრეთწოდებულ მოსეირნე კოშკებს. ეს იყო ბორბლებზე დადგმული რამდენიმე სართულიანი კოშკები. კოშკში ისხდნენ მსროლელები. კოშკის ზედა სართული ზემოდან დაჰყურებდა ალყაშემორტყმული ციხის ან ქალაქის კედლებს. როდესაც კოშკი მიუახლოვდებოდა ალყაშემორტყმული ციხის კედლებს, მისი ზედა სართულიდან გადადებდნენ ხიდს, და ამ ხიდით რაინდ-თა და მსროლელთა მთელი მასა მიეშურებოდა ციხის კედლებისაკენ.

რაინდთა საზოგადოების ზნეჩვეულებანი. განუწყვეტელმა ფეოდალურმა ომებმა წარუშლელი დაღი დასვა რაინდ-ფეოდალის ხასიათს, ჩვევებს და მთელ ყოფა-ცხოვრებას. თუ წინათ ის თავისუფლად ცხოვრობდა გაშლილ ველზე თავის საბატონო კარმიდამოში და დაინტერესებული იყო სოფლის მე-ურნეობით, ახლა ის გადაიქცა მეომარ-რაინდად და გულმოდგინედ ჩაიკეტა თავის პატარა სიმაგრეში, ციხის შეხუთული და პირქუში დარბაზები გულის გამაწვრილებელ მოწყენილობას გვრიდა მასში მცხოვრებთ, ხოლო რაიმე გარ-

კეეული საქმიანობა კი, რომელიც გაჰფანტავდა ამ მოწყენილობას, არ არსებობდა. არ იყო აგრეთვე მჭიდრო ურთიერთობა სხვადასხვა ციხეს სენიორებს შორის, რადგან თვითეული თავის არწივისებურ ბუდეში იჯდა, თვითეულს საფუძველი ჰქონდა უნდობლად მოჰკიდებოდა დანარჩენ სენიორებს. ამიტომ იყო, რომ სენიორი რაც შეიძლებოდა ხშირად ეძებდა ხოლმე თავის ციხის იქით იმას, რაც მას აკლდა ციხეში, — საზოგადოებას, საქმიანობას. მისი ცხოვრება მიმდინარეობდა დიდ შარაგზებზე და აღსავსე იყო მრავალნაირი თავგადასავალით. თარეშობა და ომები მისთვის გართობას წარმოადგენდა, და ის ყოველგვარი საბაბით სარგებლობდა, რათა ჩაბმულიყო სახიფათო ავანტიურაში. განსაკუთრებულ დაუდგრომლობას იჩენდნენ წვრილი ფეოდალები, სხვებზე უფრო ხარბი და მოხერხებულნი. უმეტეს შემთხვევაში ისინი არავითარ უფლება-ვალდებულებას არ სცნობდნენ და მათთვის არაფერს არ ნიშნავდა ფიცის დარღვევა. ხშირად თვით მათი ოჯახის ფარგლებში წარმოებდა მუდმივი შინაბრძოლა ნათესავებს შორის.

ასეთ პირობებში ვითარდებოდა პრიმიტიული და ველური ზნეჩვეულებანი. ფეოდალური სენიორი გამოირჩეოდა მკაცრი და მგზნებარე ხასიათით, რაიმე მაღალი იდეების უქონლობით, სიხარბით, მას ჩვეულებად არ ჰქონდა შესულიყო ავისა და კარგის განსჯაში. და მის საქციელში პირველყოფილი უხეშობა იჩენდა თავს. პირველ ყოვლისა, ის აფასებდა ფიზიკურ ძალას და მისი ყოველგვარი გამოვლინებისას აღტაცებაში მოდიოდა. ჩვენ შეჩვეული ვართ ლაპარაკს რაინდობაზე, რაინდობის მცნებებზე. იმ დროს რაინდობა მისი „თავაზიანობით“ ჯერ კიდევ არ არსებობდა. ჩვენ საქმე გვაქვს X-XI საუკუნეებთან, როცა რაინდობა ჯერ კიდევ მეტად უხეში იყო. მართალია, რაინდად გახდომისათვის საჭირო იყო რაინდად კურთხევა. მაგრამ ეს კურთხევა უაღრესად პრიმიტიული იყო. რაინდს ჯერ მახვილს დაჰკიდებდნენ, შემდეგ ხელისგულით კეფაზე შემოჰკრავდნენ და წაულაპარაკებდნენ: „იყავ მხნე და შამაცი“ — ეს იყო და ეს. რაინდის მთელი მოვალეობა მხოლოდ ამ მცნების აღსრულებით ამოიწურებოდა. იმდროინდელ ფრანგულ რაინდულ „სიმღერებში გმირობის შესახებ“ (chansons de geste) გამოსახული იყო დაუდგრომელ რაინდთა ტიპები, რომლებიც უკიდურესი სისხლმოწყურებულობით განირჩეოდნენ.

არავითარი პატივისცემა ქალისადმი არ იყო. ეს გრძნობა შემდგომ დამკვიდრდა, აღმოსავლეთის გავლენის შედეგად. „სიმღერებში გმირობის შესახებ“ მოცემულია რჩევა-დარიგება რაინდებისადმი, თუ როგორ უნდა მოპყრობოდნენ ქალებს. ერთ-ერთ სიმღერაში ასეთი დარიგებაა: „უკეთუ ქალი გეურჩება ან სტყუის, ასწიე მუშტი და სცემე მას პირდაპირ თავში“. ერთ-ერთმა რაინდმა გაიზიარა ასეთი რჩევა. როცა ცოლმა დაუწყო მას საყვედურები ღალატის გამო, მან ისე მძლავრად შემოჰკრა მას ცხვირში, რომ, როგორც სიმღერაშია ნათქვამი, „ცხვირიდან მას ალისფერი სისხლი წასკდა.“

თვითონ იმ დროის ქალები, რომლებიც ფეოდალთა კლასს ეკუთვნოდნენ და ზოგჯერ დამოუკიდებელი მდგომარეობა ეკავათ საზოგადოებაში, არაფრით არ განსხვავდებოდნენ მამაკაცებისაგან, არ ჩამორჩებოდნენ მათ სისასტიკესა, სიმამაცესა და ველურობაში.

„საღვთო ზავი“ და „საღვთო დროებითი ზავი“. ფეოდალთა დამცემლობისაგან ხშირად ძალიან დაზარალებული გამოდიოდა სამღვდელოება, რომლის უზარმაზარი მიწების ხარჯზე ხელმოკლე საერო რაინდობა ყოველთვის მზად იყო ხელი მოეთბო. ამიტომ იყო, რომ სამღვდელოება (კერძოდ საფრანგეთში) უკვე X საუკუნის დამლევიდან ცდილობს მიაღწიოს ომის, თუ შეწყვეტას არა, შემცირებას მაინც, მის შეზღუდვას სივრცისა და დროის მიხედვით. საეკლესიო კრებებზე აცხადებენ ეგრეთწოდებულ „ს ა ღ ვ თ ო ზ ა ვ ს“, რომლის ძალით საომარი მოქმედების დროს ხელშეუხებლად ცხადდება ყველა სასულიერო პირი და ყველა გლეხი მათი ქონებით. „საღვთო ზავის“ დასაცავად სამღვდელოება თავისი მრევლისაგან აარსებს განსაკუთრებულ „ზ ა ვ ი ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ს“, რომლებსაც მოვალეობად ეთვლებათ აწარმოონ შეიარაღებული ხელით დევნა ამ ზავის დამრღვევთა მიმართ მანამდე, სანამ ამ უკანასკნელთა მიერ სავსებით დაკმაყოფილებული არ იქნებიან დაზარალებულნი. რამდენადმე უფრო გვიან (XI საუკუნის მეორე მეოთხედიდან) ეკლესიას „საღვთო ზავის“ დამატებით და მის გასაფართოებლად შემოაქვს ეგრეთწოდებული „ს ა ღ ვ თ ო დ რ ო ე ბ ი თ ი ზ ა ვ ი,“ რომლითაც ომი იზღუდება დროის მიხედვით. თავდაპირველად „დროებითი საღვთო ზავი“ კრძალავს ომს მხოლოდ კვირა დღეს, შემდეგ კი კვირის სხვა დღეებშიც: დაახლოებით XI საუკუნის ნახევრიდან საეკლესიო დადგენილებანი კრძალავენ ომს ოთხშაბათ-საღამოდან ორშაბათ-დილამდე. იმავდროულად შესამჩნევი ხდება ტენდენცია იქითკენ, რათა გავრცელებულ იქნეს „დროებითი საღვთო ზავის“ მოქმედება ქრისტიანეთა ყველა მარხვასა და უქმეზე. დასასრულ, ზოგიერთი ადგილი მუდმივი ზავის მფარველობაში ცხადდება. ასეთებია ეკლესია-მონასტრები, ასეთებია ვეება ჯვრები, რომლებსაც აგებდნენ გზა-ჯვარედინებზე იმ სპეციალური მიზნით, რომ მგზავრები დაეცვათ თავდასხმებისაგან. ასეთი ქვის ჯვრები, რომლებიც ჩაკირული იყვნენ მიწაში, ზოგ ადგილას ახლაც ფეოდალთა ყაჩაღური გმირობის პირქუშ ძეგლებად სდგანან დასავლეთის მინდვრებში და გზებზე.

ცხადია, „საღვთო ზავს“ და „საღვთო დროებით ზავს“ არ შეეძლო მოეტანა დიდი პრაქტიკული შედეგები, მით უმეტეს, რომ სამღვდელოებაში რიდი იყო ერთსულოვნება ამ „ზავის“ პოლიტიკის გატარებაში. ფეოდალური ანარქია თანდათანობით სწყდება მაშინ, როცა ფეოდალური უზენაესობის საფუძველზე გამტკიცებას პოულობს მეფის ხელისუფლება, რომელიც გადაიქცა „წესრიგის წარმომადგენლად არევ-დარევაში, წარმოქმნილი ნაციის წარმომადგენლად წინააღმდეგ მოჯანყე ვასალურ სახელმწიფოებად დაქუცმაცებისა“.[1] სამღვდელოებასა და ქალაქის მცხოვრებლებზე დაყრდნობით, „ყველა იმ რევოლუციური ელემენტების მიმხრობით, რომლებიც ფეოდალიზმის ქვედა ფენაში წარმოიქმნენ,“ მეფის ხელისუფლებამ თანდათანობით შესძლო იმ ადამიანთა მტაცებლობის ალაგმვა, რომლებიც მის მიმართ „განუწყვეტელ ჯანყის მდგომარეობაში“[2] იყვნენ.

---

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. XVI, ნაწ. I, გვ. 445.

[2] იქვე, გვ. 444.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Энгельс, Марка, Соч., т. XV.—Энгельс, Развитие социализма от утопии к науке, Соч., т. XV.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. I, 1939, стр. 126—170. — Средневековье в его памятниках, под ред. Егорова, отделы III. IV, X, XI, М. 1913.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Эпоха крестовых походов, т. I, гл. I, М. 1914.—Ковалевский, Экономический рост Европы, т. I, 1900.—„Агрикультура в памятниках западного средневековья", под. ред. Добиаш-Рождественской и Бурского, М. 1936. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, т. II, ст. 19, 22.

თავი X

დასავლეთ ევროპის კულტურა ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში (V—X საუკუნეებში)

ფეოდალური კულტურის წარმოქმნის ზოგადი პირობები. V საუკუნიდან იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ ახალი ფეოდალური კულტურა წარმოშვა. მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა თანდათანობით ისეთ თვისებებს ღებულობს, რომელნიც მკვეთრად განსხვავდებიან ანტიკური მონათმფლობელური კულტურის დამახასიათებელი თვისებებისაგან. ფეოდალთა კლასი, რომელმაც შესცვალა მონათმფლობელთა კლასი, იდეოლოგიის ისეთ ფორმებს ჰქმნიდა, რომელნიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდნენ მის ინტერესებს და განამტკიცებდნენ მის ბატონობას. „ყოველ ეპოქაში გაბატონებული კლასის აზრები გაბატონებული აზრებია, ე. ი. ის კლასი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების გაბატონებულ მატერიალურ ძალას, იმავე დროს მისი გაბატონებული სულიერი ძალაც არის."[1] თავისი წარმოშობის პროცესში ფეოდალთა კლასი ნაწილობრივ თავისი წრიდან გამოჰყოფდა, ნაწილობრივ კი საზოგადოების დაბალი ფენებიდან გამოსულთაგან ჰქმნიდა და აყალიბებდა ფეოდალური კულტურის მატარებელთ, გამავრცელებელთ და შემომქმედთ, თავისებურ ფეოდალურ ინტელიგენციას. თითქმის შუა საუკუნეების დასაწყისიდანვე ამ ინტელიგენციას მთლიანად სამღვდელოება წარმოადგენდა; თვითონ სიტყვა clericus, „კლირიკი" — ეკლესიის მსახური — განათლებული ან ჩვეულებრივ მცოდნე ადამიანის სინონიმად იქცევა.

და ეს სავსებით გასაგებია. „შუასაუკუნეობრიობა სრულიად პრიმიტიული მდგომარეობიდან წარმოსდგა. მან აღგავა პირისაგან მიწისა ძველი ცივილიზაცია, ძველი ფილოსოფია, პოლიტიკა და იურისპრუდენცია და ყველაფერი ხელახლა დაიწყო. ერთადერთი, რაც შუასაუკუნეობრიობამ ძველ დანთქმულ სამყაროდან აიღო, ეს იყო ქრისტიანობა და რამდენიმე ნახევრადდანგრეული ქალაქი, რომელთაც მთელი თავისი ძველი ცივილიზაცია დაკარგული ჰქონდათ. ამის შედეგი იყო ის, რომ, როგორც ეს ხდება განვითარების ადრეულ საფეხურებზე, მონოპოლია ინტელექტუალურ განვითარებაზე მიიღეს

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. IV, გვ. 36.

ხუცებმა და რომ თვითონ განათლებამ განსაკუთრებით ღვთისმეტყველობის ხასიათი მიიღო.“[1]

მართლაც, დასავლეთ ევროპის მთელმა შუსაუკუნეობრივმა კულტურამ საეკლესიო იერი მიიღო. ანტიკურობის წარმართული, საერო ფილოსოფია კათოლიკურმა თეოლოგიამ შესცვალა. ანტიკურობიდან გადარჩენილი მეცნიერების ელემენტები მხოლოდდამხოლოდ ღვთის მეტყველური განათლების დამხმარედ გადაიქცნენ, თანახმად ფორმულისა „ფილოსოფია — ღვთისმეტყველების მსახურია.“ მრავალი საუკუნის განმავლობაში მარტვილობა ლიტერატურული შემოქმედების ძირითად სახეობას წარმოადგენდა; სამონასტრო ქრონიკები — ისტორიულ ნაწარმოებთა ძირითად სახეობას; პოეზია და მუსიკა, ისე როგორც სახვითი ხელოვნების ყველა დარგი, თითქმის მთლიანად ეკლესიის სამსახურში მოექცა. იმ ქალაქების ნაცვლად, რომლებიც გაჰქრენ ან რომელთაც დაჰკარგეს თავიანთი მნიშვნელობა, ადრეული შუასაუკუნეობრიობის კულტურის ცენტრებად ხდებიან მონასტრები; ამ ეპოქის სკოლების ერთადერთი ტიპი — ესაა საეკლესიო — სამონასტრო სკოლები, ბიბლიოთეკების ერთადერთი ტიპი — სამონასტრო ბიბლიოთეკები.

შუასაუკუნეობრიობის ფეოდალურ-კათოლიკური კულტურა ერთბაშად არ აღმოცენებულა; მის წარმოშობას და მისი განვითარების პროცესს საუკუნეები მოუნდა და მთლიანად ფეოდალური საზოგადოების განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა.

ფეოდალური კულტურის წარმოშობას წინ უძღოდა ანტიკური ქვეყნის კულტურის კრიზისი და ნგრევა.

ანტიკური მონათმფლობელური კულტურის კრიზისი III—IV საუკუნეებში. ანტიკური კულტურის კრიზისმა, ისე როგორც ძველი ქვეყნის მთელი მონათმფლობელური სისტემის კრიზისმა, უდიდესი ძალით იწყო გამოვლინება III-IV საუკუნეებიდან. ძველი დროის უკანასკნელი ორიგინალური მოაზროვნე იყო ნეოპლატონიკოსი პლოტინი (204 — 270 წწ.). უკვე მის მოწაფეებში წარმართული ფილოსოფია რიტორიკად, მეცნიერმეტყველობის ხელოვნებაში უნაყოფო ვარჯიშად გადაგვარდა. ფილოსოფიასთან ერთად თითქმის ჰქრებიან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. „ბუნების ზუსტი გამოკვლევის ჩანასახები, — რომლებმაც, როგორც ენგელსი აღნიშნავს, — პირველად მხოლოდ ალექსანდრიის პერიოდის ბერძნებში იწყეს განვითარება,“[2] IV საუკუნისათვის საკვლევით გაჰქრნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქრისტიანების მიერ მოსპობილ იქნა წარმართული მეცნიერების ცენტრი ალექსანდრიაში, კერძოდ ეპისკოპოს თეოფილის მიერ ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკის განადგურების შემდეგ. იმავდროულად თავს იჩენს დაკნინება ისტორიისა და ლიტერატურის დარგში. IV საუკუნის ერთადერთი ისტორიკოსი, რომელიც ამ სახელის ღირსია,—ესაა ამიან მარცელინი (გარდაიცვალა დაახლოებით 400 წელს). პოეზია, რომელიც ერთ წერტილზე გაიყინა და უძველესი ნიმუშების მიბაძვით შემოი-

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. VIII, გვ. 128.
[2] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. XV, გვ. 521.

ფარგლა, თავისი მანერულობით და მაღალფარდოვანებით სრულ დეგრადაციამდე მივიდა. არქიტექტურამ, პლასტიკურმა და დეკორატიულმა ხელოვნებამ, რომელთაც უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში დაჰკარგეს ორიგინალობა, ვეღარ შესძლეს III-IV საუკუნეების ღრმა კრიზისის და ეკონომიური რეგრესის გადატანა. იმპერატორი კონსტანტინესი და მისი მემკვიდრეების ხანამ არამც თუ არ დასტოვა ხელოვნების ღირსშესანიშნავი ძეგლები, არამედ, პირიქით, ის უკვე არსებული ძეგლების ნგრევა-განადგურების დასაწყისად იქცა. ქრისტიანობის გამარჯვებას, მის სახელმწიფოებრივ რელიგიად გარდაქმნას შედეგად მოჰყვა წარმართული ფილოსოფიური აზრის საყოველთაო ლიკვიდაცია. ათენის უმაღლეს სკოლაში თავმოყრილი მისი უკანასკნელი წარმომადგენლები გარეკილ იქნენ იმპერატორ იუსტინიანეს მიერ 529 წელს.

ანტიკური ფილოსოფიისა და მეცნიერების სწრაფად გაქრობას ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოება, რომ თვით მონათმფლობელთა კლასშიც კი სულიერი კულტურის ეს უმაღლესი ელემენტები იმ პირთა შედარებით ვიწრო ჯგუფის კუთვნილებას წარმოადგენდნენ, რომლებიც ცოდნას ინდივიდუალური წესით იძენდნენ. სკოლა მთელი ანტიკურობის მანძილზე ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებდა; ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის საკითხებს მასში არავითარი ყურადღება არ ჰქონდა დათმობილი. მონათმფლობელური მეურნეობის დაბალი ტექნიკის პირობებში ეს ისევე ბუნებრივია, როგორც საერთოდ ზუსტ და გამოყენებით მეცნიერებათა უაღრესად სუსტი განვითარება.

ანტიკური კულტურა და ქრისტიანული ეკლესია IV-V საუკუნეებში. მაგრამ ანტიკური წარმართული კულტურა უკვალოდ როდი გაქრალა. ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელიც ასე ხელს უწყობდა მის დანგრევას, გადაარჩინა მისი ნანგრევები თავისი ინტერესებისათვის გამოყენების მიზნით. ეკლესიის წიაღში, მისი მოღვაწეების ხელით გადამუშავებულ იქნა ანტიკური კულტურის ელემენტები, რომლებმაც დასაბამი მისცეს შუასაუკუნეობრივ კულტურას. თვითონ ეს საეკლესიო მოღვაწენი მეტწილად მონათმფლობელთა კლასიდან გამოვიდნენ და წარმართულ ფილოსოფიასა და ლიტერატურაზე ადიზარდნენ, რომელთა გავლენისაგან ისინი უკვე ვეღარ განთავისუფლდნენ. ასეთი არიან იერონიმე, ამბროსი მილანელი, პრუდენციუსი და სხვა მრავალი. ამ პერიოდის საეკლესიო მწერლებს შორის ყველაზე ავტორიტეტული ავგუსტინე, ჰიპონიის ეპისკოპოსი (ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში), პირდაპირ მიუთითებდა წარმართული ლიტერატურისა და მეცნიერების შესწავლის საჭიროებაზე. დაბადებისა და „ეკლესიის მამების“ გასაგებად, წარმართობასთან და მწვალებლობასთან საბრძოლველად, წერდა ის, აუცილებელია რიტორიკის, გრამატიკის, დიალექტიკის, ისტორიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლა. მეცნიერებათა წარმართული წარმოშობა არ შეიძლება წარმოადგენდეს დაბრკოლებას ქრისტიანთა მიერ მათი შეთვისებისათვის. „არ უნდა გვძულდეს კარგი, თუნდაც იგი წარმართთა მიერ იყოს ნათქვამი“,— იმეორებდა ის. ეს უტილიტარული შეხედულება ანტიკური კულტურის მემკვიდრეობაზე ათვისებულ იქნა შუა საუკუნეთა ეკლესიის მიერ და არაერთხელ გამოსთქვამდნენ მას ყველაზე უფრო გამოჩენილი ღვთისმეტყველები.

„შვიდი თავისუფალი ხელოვნება.“ V საუკუნის დამდეგს მოხდენილ იქნა ცდა მოეცათ ერთ მთლიანობაში იმ სხვადასხვა ცოდნის მინიმუმი, რომლებსაც ეკლესია თავისი მიზნებისათვის აუცილებლად მიიჩნევდა. დაახლოებით 430 წელს აფრიკის მწერალმა მარტიან კაპელამ თავისი შრომის ცხრა წიგნში „ფილოლოგიისა და მერკურის ქორწინების შესახებ“ გადმოსცა ანტიკურობის მთელი ცოდნის არეს მიმოხილვა, რომელიც ცნობილი იყო „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“. სახელწოდებით („septem artes liberales“): გრამატიკის, რიტორიკის, დიალექტიკის, გეომეტრიის, არითმეტიკის, ასტრონომიისა და მუსიკის.

VI საუკუნეში ბოეციუსმა და კასიოდორმა ეს შვიდი „ხელოვნება“ ორ ჯგუფად დაჰყვეს: ტ რ ი ვ ი უ მ ი (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა) და კ ვ ა დ რ ი ვ ი უ მ ი (დანარჩენი ოთხი „ხელოვნება“). ასეთი სახით ეს არე ცოდნისა შუა საუკუნეთა ყველა სახელმძღვანელოსა და ენციკლოპედიაში შევიდა და XV-XVI საუკუნეებამდე უმაღლესი განათლების საფუძველს წარმოადგენდა.

გრამატიკა მდგომარეობდა ზოგიერთი კლასიკოს ავტორის კითხვაში კომენტარიებითურთ. რიტორიკა ასწავლიდა მჭევრმეტყველ ლაპარაკსა და წერას. დიალექტიკა ჩვენს მიერ ფორმალური ლოგიკის გაგებას შეესაბამებოდა, ე. ი. ასწავლიდა მოცემული წანამძღვრებიდან სწორი დასკვნების გამოყვანას. არითმეტიკით იგულისხმებოდა, უმთავრესად, „ანგარიში,“ ე. ი. ქრისტიანულ დღესასწაულთა დადგომის ვადების გამოთვლის უნარი. იმავე მიზანს ემსახურებოდა ასტრონომია — „მეცნიერება ცის მნათობთა მოძრაობის შესახებ,“ რომელიც საჭირო იყო მოძრავ დღესასწაულთა კალენდარის დასადგენად. გეომეტრია შეიცავდა ელემენტარულ ცნებებს ფიგურების შესახებ, რაც საჭირო იყო „ტაძრების ასაგებად,“ აგრეთვე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებს გეოგრაფიისა და კოსმოგრაფიის დარგიდან. მუსიკა დაყვანილი იყო საეკლესიო ფსალმუნთა გალობისა და წირვა-ლოცვის საგალობელთა შეთხზვის უნარის გამომუშავებამდე.

ნეტარი ავგუსტინე. IV-V საუკუნეებმა შუა საუკუნეებს უანდერძეს ანტიკური მეცნიერების არა მარტო ეს ელემენტები, რომლებიც შეხამებული იყო ეკლესიის მოთხოვნილება-საჭიროებასთან, არამედ ზოგადი მსოფლმხედველობაც, გაბატონებული თვით XI საუკუნემდე, ნაწილობრივ კი უფრო გვიანაც. ამ მსოფლმხედველობის მთავარი შემომქმედი იყო ავგუსტინე (354—430 წწ.) — ავტორი 22 წიგნად დაწერილი წიგნისა „სამეფოსათვის უფლისა“ („De Civitate dei“) და მთელ რიგ სხვა ნაწარმოებთა. საშუალო მიწათმფლობელთა კლასიდან გამოსული, ავგუსტინე 387 წელს ღებულობს ქრისტიანობას, რომელიც მთელი მიწათმფლობელური სისტემის დამხობის პერიოდში უფრო მეტად, ვიდრე წარმართული ფილოსოფია, შეესაბამებოდა გაბატონებული კლასის განწყობილებებს.

ავგუსტინესი და მის თანამოაზრეთა წარმოდგენაში მხოლოდ ქრისტიანთა ეკლესიას შეეძლო დაჰხმარებოდა ამ კლასს, რათა აეტანა რევოლუციური კრიზისი, რომელიც ბარყევდა იმპერიას, და გარდაქმნილიყო ახლად წარმოშო-

ბილ ურთიერთობათა შესაბამისად. ამიტომ ავგუსტინესი და მის მოწაფეთა მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ შეენარჩუნებიათ ეკლესიის ერთიანობა და ეწარმოებიათ ბრძოლა მის ძირგამომთხრელ მწვალებლობასთან, რომელიც ხშირად თავის შიგნით ატარებდა რევოლუციურ მოძღვრებათა ელემენტებს, ანდა ხელს უწყობდა რევოლუციური მოძრაობის განვითარებას. ასეთი მწვალებლობა იყო: დონატიზმი, რომელიც ცირკუმცელიონების აკრძალვების ნიშნად იქცა ჩრდილოეთ აფრიკაში (იხ. თავი III); მანიქეველობა, რომელიც უარჰყოფდა სახელმწიფოს, საკუთრებას, ოჯახს და მთელ მატერიალურ სამყაროს, როგორც ბოროტების ნაშობს; პელაგიანობა, რომელიც ეჭვებს უნერგავდა მასებს იმაში, რომ რწმენას ქრისტესადმი და კუთვნილებას ქრისტიანული ეკლესიისადმი თავისთავად შეუძლია მოგვცეს გარანტია საუკუნო ნეტარებისა.

თავის ნაწარმოებებში ავგუსტინე ყოველგვარი სოფისტური ფანდების დახმარებით ამართლებს ქონებრივ უთანასწორობას და მონობის არსებობას. „მონობა სასჯელია ცოდვებისათვის"; ამ სასჯელს კაცობრიობა უნდა იტანდეს, როგორც „ღვთის სამართლიანობის" გამოვლინებას; მონებს არა აქვთ უფლება მოითხოვონ განთავისუფლება: ისინი მოციქულის სიტყვით, ვალდებული არიან ემსახურონ თავიანთ ბატონებს არა შიშის ქვეშ, არამედ სინდისის ქვეშ, „სანამ არ გაჰქრება ბოროტება და ყოველგვარი ბატონობა, სანამ... ყველა არ ჰპოებს სიმშვიდეს ღმერთში," ე. ი. თვით მეორედ მოსვლამდე. ავგუსტინე იცავს აგრეთვე მიწიერ სახელმწიფოს. ისიც აგრეთვე არსებობს „ღვთის ნებით" და თავის ბუნებით იგი არის არა ბოროტება, არამედ სიკეთე. მაგრამ სახელმწიფო წარმოადგენს სიკეთეს მხოლოდ მაშინ, როცა იგი ემყარება სამართლიანობას, ე. ი. თავის ამოცანად ისახავს ბრძოლას წარმართობასთან და საზოგადოების ზნეობრივ ამაღლებას. მაშასადამე, რომის იმპერია იმპერატორების მიერ ქრისტიანობის მიღების შემდეგ არის სიკეთე. ამავე დროს, ავგუსტინე ერთგვარ წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც ანვითარებს აზრს ორი „ქალაქის", ანუ სახელმწიფოს შესახებ, — ღვთიურ სახელმწიფოსა და ამქვეყნიურ სახელმწიფოს შესახებ. პირველი არის ყველა „კეთილთა" ერთობლიობა: როგორც ქრისტიანთა ეკლესიის შემადგენლობაში შემავალთა, აგრეთვე ისეთ კეთილთა, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს მასში შესვლა; მეორე — იმათი სახელმწიფო, ვინც არ ფიქრობს ღმერთზე, ვინც ქედმაღლობითა და ამქვეყნიური ფიქრებით არის შეპყრობილი; ესაა იმ ადამიანთა საზოგადოება, რომელთაც „კაინის დაღი" აზისთ. ღვთიური სახელმწიფო, ფაქტიურად ეკლესიის თანაბარი, ქვეყნიერების დასასრულამდე იარსებებს და საუკუნო ნეტარებას ჰპოებს; მიწიერი სახელმწიფო, ფაქტიურად რომის იმპერიის წარმართული ელემენტების შემცველი, განწირულია დასალუპად.

ასეთია ძირითადი აზრები ავგუსტინეს უმნიშვნელოვანესი შრომისა: „ღვთიური სახელმწიფო", რომელიც დაწერილია 413 და 426 წლებში, ალარიხის მიერ რომის, გაძარცვისა და გალიისა და ესპანეთის პროვინციების ბარბაროსთა მიერ დაპყრობის შემდეგ. მისი ფილოსოფია წინააღმდეგობრივია, რაც შეპირობებულია მისწრაფებით იმისაკენ, რომ ფეოდალურ საზოგადოების მონობის კანონზომიერება მონათმფლობელური წყობილების დამხობის პერიოდში,

სახელმწიფოს სიმტკიცე მისი რღვევის პერიოდში და ჩაუნერგოს გაბატონებულ კლასს ოპტიმიზმი, მაშინ როდესაც მისი მდგომარეობა აშკარად უიმედოა. მაგრამ ის ისე მოხერხებულად სწყვეტს ქრისტიანული მორალისა და მაღალი კლასების მიერ დაბალი კლასების ექსპლოატაციის მორიგების პრობლემას, ქრისტიანული ეკლესიისა და მჩაგვრელი სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემას, რომ უგვიანეს ეპოქაშიც კი გაბატონებული კლასები მის მოძღვრებაში მტკიცებათა მთელ არსენალს ნახულობდნენ ფეოდალური ძალმომრეობის, ფეოდალური ექსპლოატაციისა და ამ საქმეში ეკლესიის მონაწილეობის დასასაბუთებლად. ამით აიხსნება ავგუსტინეს უდიდესი პოპულარობა შუა საუკუნეებში და მისი მოძღვრების მნიშვნელობა პაპობისათვის, რომელმაც მის „ღვთიური სახელმწიფოს" იდეაზე ააგო თავისი თეოკრატიული მოთხოვნები.

ბოეციუსი და კასიოდორი. უკანასკნელი წარმომადგენლები ანტიკური განათლებისა ქრისტიანული ეკლესიის წიაღში იყვნენ ბოეციუსი და კასიოდორი, რომლებიც რომის მიწათმფლობელური არისტოკრატიის მაღალ ფენას ეკუთვნოდნენ. ბოეციუსი მუშაობდა პლატონის შესწავლაზე და აკეთებდა არისტოტელიდან ვრცელ ამონაწერებს, რომელნიც XII საუკუნემდე მთავარ წყაროდ ითვლებოდა დასავლეთ ევროპაში ძველ ბერძენ ფილოსოფოსის გასაცნობად. იტალიაში ოსტგუთთა ბატონობის წინააღმდეგ რომის დიდკაცობის მიერ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ბოეციუსი ოსტგუთთა მეფემ თეოდორიხმა საპყრობილეში ჩააგდო, სადაც მან დასწერა მთელ შუა საუკუნეთა მანძილზე სახელგანთქმული თხზულება: „ფილოსოფიისგან ნუგეშის მიღების შესახებ". ამ ნაწარმოების პესიმისტურ დასკვნებში უკვე იგრძნობა მონათმფლობელური კლასისა და მთელი მისი კულტურის განწირულების შეგნება. 524 წელს ბოეციუსი, „უკანასკნელი რომაელი", სიკვდილით დასჯილ იქნა.

ცხადია, მხოლოდ ზოგიერთნი, ბოეციუსის მსგავსად, ცდილობდნენ თავისი მატერიალური ძლიერების დამხობის პირობებში მოეპოვებიათ ნუგეში რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებასა და ფიქრებში ყოველივე მიწიერის ამაოებაზე. უმრავლესობამ, სენატორ კასიოდორის მსგავსად, შესძლო შეპგუებოდა ბარბაროსული ხელისუფლების მიერ შექმნილ ახალ ვითარებას. კასიოდორმა თეოდორიხთან და მის მემკვიდრეებთან სამსახურში სხვადასხვა მაღალ თანამდებობასა და წოდებას მიაღწია და მით გაამრავლა თავისი სამფლობელოები. მაგრამ იტალიაშა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს ჯარების მიერ ოსტგუთთა ხელისუფლების მოსპობის შემდეგ მისი პოლიტიკური კარიერა დამთავრდა. ის განმარტოვდა თავის მამულში კალაბრიაში და აქ დაარსა მონასტერი ვივარიუმი, სადაც გარდაიცვალა უამრავ ლიტერატურულ სამუშაოებში გართული თითქმის ას წელიწადს მიღწეული მიხუცი (575 წ.).

კასიოდორს ეკუთვნის „გუთების ისტორია", რომელმაც ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ იორდანეს (VI საუკუნის შუახანების ავტორი) მიერ გადამუშავებული სახით, გუთების მეფეთა ედიქტების, განკარგულებათა, წერილებისა

და სხვა ოფიციალური დოკუმენტების კრებული, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა მის მიერ საერთო სახელწოდებით: „სხვადასხვა“ („Variae“) და მთელი რიგი სხვა შრომები. კასიოდორის ნაწარმოებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შუა საუკუნეობრიობის სქოლასტიკური მეცნიერების საფუძვლების შექმნაში. მაგრამ მის მოღვაწეობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მან პირველმა გაიგო მონასტრების მნიშვნელობა ანტიკური ლიტერატურის ნაშთების შენარჩუნების საქმეში. მის მიერ ბერებისათვის დაარსებულ მონასტერში წამახალისებელ პირობებს უქმნიდნენ ლიტერატურული მუშაობისა და როგორც საერო, ისე საღვთისმეტყველო ხასიათის ნაწარმოებთა გადაწერისათვის. ამგვარად დაისახა ის გზა, რომლითაც შემდეგში ვიდოდნენ მრავალი სხვა VII-VIII საუკუნეთა მონასტრები, რომლებიც კულტურის ერთადერთ კუნძულებად გადიქცნენ ბარბაროსობის ზღვით დაფარულ დასავლეთ ევროპაში.

მონასტრების წარმოშობა. ბენედიქტე ნურსიელი. მონასტრები პირველად აღმოსავლეთში — სირიასა და ეგვიპტეში — ჩნდებიან დაახლოებით IV საუკუნეში. ისინი წარმოადგენდნენ იმ ადამიანთა საერთო საცხოვრებლებს, რომელნიც ქალაქებიდან მიეშურებოდნენ შორს ამქვეყნიურ ცთუნებათაგან, „უდაბნოში“, სადაც უფრო შესაძლებელი იყო „სულის ცხონება“. „მონასტრები ანორმალური საზოგადოებრივი ორგანიზმები იყვნენ, რომელთა საფუძველს უქორწინებლობა წარმოადგენდა“.[1] საყოველთაო რღვევის ეპოქაში, როდესაც მოუსვენარი ცხოვრება ქვეყნად თავის მიმზიდველობას ჰკარგავდა თვით შეძლებული კლასების მრავალი წარმომადგენლისთვის, მონასტრები დიდი წარმატებით სარგებლობენ. მონასტრების ყველაზე ცნობილი დამაარსებლები აღმოსავლეთში და სამონასტრო წესდებათა პირველი შემქმნელები იყვნენ პახომი და ბასილ დიდი.

ეკლესიის ხელმძღვანელმა წრეებმა შეიგნეს მონასტრების მნიშვნელობა ეკლესიის მატერიალური ძლიერების განმტკიცებისა და მისი მორალური ავტორიტეტის ამაღლებისათვის. მკაცრი მონაზვნური დისციპლინა, რომელიც სავსებით ქმედითი იყო პირველ ხანებში, აყალიბებდა იმ ადამიანთა შემჭიდროებულ კოლექტივებს, რომელთაც არ ჰქონდათ სხვა ინტერესები, გარდა ეკლესიის ინტერესებისა, — „მებრძოლი ეკლესიის“ თავისებურ საბრძოლო რაზმებს. ტყუილად კი არ ეწოდებოდა ბერების გაერთიანებას „სქოლა“, ე. ი. სამხედრო რაზმი, მონასტერში ცხოვრება კი აღინიშნებოდა სამხედრო ტერმინით „militare“ (სამხედრო სამსახურში ყოფნა). სამონასტრო წესდებები მოითხოვდა გამგონობასა და თავმდაბლობას, ე. ი. მონაზონთა უსიტყვო მორჩილებას მათ უფროსთა ბრძანებებისადმი, უარის თქმას პირად საკუთრებაზე, რომელიც მონასტრის განკარგულებაში გადადიოდა, და უქორწინებლობის აღთქმას.

ბენედიქტე ნურსიელის (მონასტრების მთავარი დამაარსებლისა დასავლეთში) წესდება, რომელიც მიიღო ადრეული შუასაუკუნეობრიობის დასავლეთ ევროპის ყველა მონასტერმა, შეიცავდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან

---

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. XVI, ნაწ. I, გვ. 131.

პუნქტს, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მონასტრების ფეოდალური კულტურის კერებად გადაქცევისათვის. წესდების თანახმად, მონაზონთა ყოველდღიური მეცადინეობა, გარდა წირვა-ლოცვისა, უნდა ყოფილიყო ფიზიკური ან გონებრივი შრომა — ეს უკანასკნელი წიგნების კითხვისა და გადაწერის სახით. ამის მეოხებით მონასტრებმა, რომლებიც სრულიად არ ისახავდნენ ანტიკური ლიტერატურის ნაშთების შენარჩუნების ამოცანას, შესძლეს როგორღაც გაკვრით გადაეჭრათ ეს ამოცანა. უკვე თვითონ ბენედიქტეს მიერ დაარსებულ მონტე-კასინოს მონასტერში მალე შეიქმნა ბიბლიოთეკა მონაზონების მიერ გადაწერილი წიგნებისაგან, სადაც საეკლესიო ნაწარმოებთა გვერდით ანტიკური ავტორებიც მოიპოვებოდნენ.

ამრიგად IV—V საუკუნეებმა მომდევნო ეპოქას უანდერძეს არა მხოლოდ კულტურის ელემენტები, რომლებიც საჭირო იყო ფეოდალთა ახლადწარმოშობილ კლასისათვის მისი ბატონობის უზრუნველსაყოფად, არამედ ორგანიზაციული ფორმაც, რომელიც უზრუნველყოფდა ამ კულტურის შენარჩუნებასა და სათანადო გადამუშავებას. მონასტრების გაჩენა ამ ეპოქაში მით უფრო დროული იყო, რომ დამხობილი ანტიკური ქვეყნის კულტურულ ღირებულებათა მოსპობა, სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა.

კულტურის დაცემა VI—VII საუკუნეთა ბარბაროსულ სახელმწიფოებში. VI საუკუნის დამდეგისათვის რომის იმპერიის ნანგრევებზე საბოლოოდ მტკიცდება ბარბაროსული სამეფოები. იმპერიის ბიუროკრატიული და სამხედრო აპარატი ძირითადად დამსხვრეულ იქნა, რომის მონათმფლობელურმა არისტოკრატიამ დაკარგა თავისი პოლიტიკური ბატონობა და მატერიალური ძლიერება. ბარბაროსთა მიერ შემოტანილ თემურ-გვაროვნულ ურთიერთობათა და სამხედრო-სამწყობრო ორგანიზაციის საფუძველზე, ცხოვრების რომაული ფორმების უდიდესი გავლენით იქმნებიან ახალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობანი. ამ რევოლუციის ქარცეცხლში, მონობის ანტიკურ ფორმებთან, რომაელ სენატორთა ლატიფუნდიებთან, მონათმფლობელური იმპერიის ვებერთელა მექანიზმთან ერთად დაიღუპა და დაინთქა ანტიკური განათლებაც, რომელიც არისტოკრატიის ვიწრო ფენის კუთვნილებას წარმოადგენდა. ბარბაროსული სამხედრო — მიწათმფლობელური დიდკაცობა არ მალავდა თავის სიძულვილს განათლებისადმი. დოპშის ნაციონალისტური მონაჭორი ძველ გერმანელთა მაღალი კულტურული დონის შესახებ უარყოფილია ყველა ფაქტებით. თვით თეოდორიხ ოსტგუთელმა, რომელიც ქედს იხრიდა რომის კულტურის წინაშე, არ იცოდა თავისი სახელის და გვარის მოწერა, ხოლო როდესაც მის შვილიშვილს წერა-კითხვის სწავლა დააწყებინეს, გუთელმა დიდკაცობამ აშკარა გულისწყრომა გამოსთქვა და მიუთითა იმაზე, რომ თვითონ თეოდორიხმა აკრძალა გუთელ ბავშვთა სწავლება. გუთის საქმეა, ამბობდნენ ისინი, დაეუფლოს ხმალს და არა კალამს.

ყველა დანარჩენ ბარბაროს ტომთა მეფეები და დიდკაცობა აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ. ამ დიდკაცობაში ითქვიფებოდნენ რომის არისტოკრატიის ჩამომავალნი, რომლებიც გერმანულ სახელებთან ერთად თვისებდნენ სიძულვილს ყოველგვარი განათლებისადმი. კულტურული დო-

ნის მკვეთრი დაწევა თვით უმაღლეს სამღვდელოებასაც დაეტყო. ტურის ეპისკოპოსი გრიგოლ, რომელიც გამოსული იყო წარჩინებული გალურ-რომაული ოჯახიდან (გარდაიცვალა 594 წელს), გრამატიკის სუსტ ცოდნას უჩიოდა. „მეცნიერებათა შესწავლა ჩვენში იღუპება",—სწერს იგი თავის მეგობარს პოეტ ვენანციუს ფორტუნატს. „შვიდი თავისუფალი ხელოვნების" სწავლება გალიის სკოლებში სავსებით წყდება. ამ ეპოქაში თვითონ პაპობა ამჟღავნებდა თავის აშკარად მტრულ განწყობილებას საერო განათლებისადმი. პაპი გრიგოლ I (გარდაიცვალა 604 წელს) სწერდა ერთ-ერთ ეპისკოპოსს: „დაურცხვენლად არ შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ შენ ვიღაცას გრამატიკას ასწავლიცნობამ ასეთ საქციელზე, რომლისადმი ჩვენ დიდი სიძულვილი გვამოქმედებს, ჩვენზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. უკეთუ დაგვიმტკიცებთ, რომ თქვენ არ ეწევით უაზრო საერო მეცნიერებათა შესწავლას, მაშინ ჩვენ ვადიდებთ უფალს."

კულტურის ძლიერმა დაცემამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა იმ დროის ყველაზე მეტად გავრცელებულ ლიტერატურაში — წმიდანთა ცხოვრებაში. პაპის გრიგოლ I „დიალოგებმა" გასავალი მისცეს მრავალ უაზრო არაკებს და სასწაულებს, რომლების გულდასმით გადაწერას აწარმოებდნენ შემდეგში საყოფაცხოვრებო ლიტერატურის ავტორები.

ეკლესიის მიერ უხეშ ცრუმორწმუნეობათა დანერგვა-გავრცელებამ ხელი შეუწყო ნამდვილ კულტურულ ჩამორჩენილობა-გაველურებას. წარმართული კულტების განდევნა შეიცვალა წმიდანთა ნაწილებისადმი თაყვანისცემით, რაც უაღრესად უაზრო ფორმაში გამოიხატებოდა. იმ წყალს, რომელშიც წმიდანი ხელს დაიბანდა, ურჩევდნენ საფენის დასასველებლად და თვალებზე დასადებად, რაც თითქოს სიბრმავისაგან ჰკურნავდა; წმიდანის საფლავის ქვაზე მონაფხეკ მტვერს ხმარობდნენ, როგორც წამალს ყოველივე სენის განსაკურნავად. ბარბაროსული საზოგადოების სრულმა უვიცობამ, რასაც ხელს უწყობდა და აღრმავებდა თვით ეკლესია, საშუალება მისცა ამ უკანასკნელს შეექმნა თავისთვის პრივილეგიანი მდგომარეობა და მოექცია თავის ხელში უზარმაზარი სიმდიდრე.

შაგრამ თვით ამ ეპოქაშიც ეკლესიამ ვერ გამოიჩინა თანამიმდევრობა თავის უარყოფით დამოკიდებულებაში ანტიკური კულტურისადმი. როგორც ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარი საზოგადოების იდეოლოგიის მატარებელი, იგი საჭიროებდა ცოდნის ერთგვარ მარაგს, თავის წარმომადგენელთა თუნდაც ერთი ნაწილისათვის ინტელექტუალური მუშაობის ჩვევების განმტკიცებას და განვითარებას, სკოლის შექმნას თავისი კადრების მოსამზადებლად. ქრისტიანული კულტის შესრულება შეუძლებელი იყო სამღვდელოების მიერ წერა-კითხვის უცოდინარობის პირობებში, ბრძოლა მწვალებლურ მოძრაობასთან მოითხოვდა III—IV საუკუნეების ქრისტიანული და წარმართული ლიტერატურის ცოდნას. ეკლესია ცდილობდა ძლიერი შთაბეჭდილება დაეტოვებინა მორწმუნეებზე, განსაკუთრებით ,უხეშ ბარბაროს დიდკაცობაზე თავისი წირვა-ლოცვის სიდიადით და ტაძრების სიმშვენიერით, რისთვისაც მას არ შეეძლო არ გამოეყენებინა ანტიკური ხელოვნების ნაშთები. საკუთარ საჭი-

როებათა მომსახურებისათვის მას უხდებოდა თავისივე წრიდან ხუროთ-მოძღვრების, მოქანდაკეების, მხატვრების, ოქრომჭედლების გამოყოფა.

ამ ეპოქის ნაწარმოებებში მეღავნდება უხეში მიბაძვა ძველი ნიმუშებისადმი, რასაც ოსტატი აღწევს ისეთივე დაძაბული შრომით, როგორც ადრეული წმიდანთა ცხოვრების ავტორი ლათინური ენით მანევრირებას .მაგრამ ისე, როგორც ეს ავტორი, ხალხური ენის გავლენით მრავალ შეცდომებს უშვებს თავისი მოუქნელი ლათინური ენის ბრუნვებსა და ორთოგრაფიაში, და სწორედ ამით ხელს უწყობს ახალი, რომანული ენის ჩამოყალიბებას, ოსტატიც აგრეთვე ანტიკური ნიმუშების გაუბრალოებით და გაუხეშებით, ბარბაროსული ხელოვნების ელემენტების გამოყენებით, ამ უხეშ სინთეზში ახალ, შუასაუკუნოებრივი ხელოვნების დასაწყისს იძლევა.

ირლანდიის მონასტრები და ანტიკური განათლების ნაშთების შენარჩუნება. ანტიკური კულტურის ნაშთების შენარჩუნებაში თვალსაჩინო როლი შეასრულეს ირლანდიის VI—VII საუკუნეების მონასტრებმა.

ირლანდიას, რომელიც ბერძნულ-რომაული კულტურის სამყაროს უკიდურეს საზღვარზე იმყოფებოდა, არ შეხებია ბარბაროსთა შემოსევის ტალღები. V საუკუნეში გალიიდან აქ გამოიქცნენ ანტიკური განათლების უკანასკნელი წარმომადგენლები. ირლანდიაში ამ გზით იქნა შეტანილი რომაული და ბერძნული ლიტერატურის ნიმუშები. ირლანდიის იმ მონასტრების სწავლული ბერ-მონაზვნებისათვის, რომლებიც დაარსებულ იქნა „წმინდა პატრიკის“ მიერ V საუკუნეში, ცნობილი იყო უკვე დასავლეთში დიდი ხნის წინ დავიწყებული ბერძნული ენა. VI საუკუნეში ირლანდიის ერთი მონასტრიდან გამოვიდა სწავლული ბერი და მისიონერი კოლუმბანი, რომელიც თავისი მოწაფეებით ეწეოდა გალიის მოსახლეობის ქრისტიანობაში მოქცევას, შემდეგ კი გადვიდა ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც დაარსა განთქმული მონასტერი ბობბიო. მისმა მოწაფემ გალმა დააარსა საეკლესიო განათლების მატიანეებში არანაკლებ განთქმული სენგალენის მონასტერი, ბოდენის ტბასთან, შვეიცარიაში. ანტიკური ლიტერატურის მრავალმა ნაწარმოებმა ნაწილობრივ ან შთლიანად მოაღწია ჩვენამდე ირლანდიელ ბერების მოღვაწეობის მეოხებით.

VII საუკუნის დამლევიდან პაპის მისიონერების თეოდორეს და ადრიანეს მიერ (დაახლოებით 673 წელს) რეორგანიზებული ანგლო-საქსონური ეკლესია ირლანდიის ეკლესიის სერიოზულ კონკურენტად იქცევა. კენტერბერში, შემდეგ კი იორკსა, იაროუსა, მალმსბერში იქმნებიან სამონასტრო სკოლები, ჩნდებიან ისეთი მწერლები, როგორც ბედა პატივცემული (672 — 735 წწ.), „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორიის“ — ძველი ბრიტანეთის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროს ავტორი. VIII საუკუნეში ანგლო-საქსელი მისიონერები პაპებისა და ფრანკ მმართველების კარლოს მარტელის და პიპინ მოკლეს მხარდაჭერით ავრცელებენ ქრისტიანობას გერმანიაში, რითაც გზას უკაფავენ მასში ფრანკთა ბატონობის და ფეოდალურ ურთიერთობის დამყარებას. ამ მისიონერთაგან ყველაზე თვალსაჩინო იყო ბონიფაცი (ვინფრედი), „გერმანიის მოციქული“, რომელმაც 744 წელს ხეობაში, სადაც მდინარეები გიზელი და ფულდი ერთმანეთს ერთვიან, დააარსა ფულდის მონასტერი. ამ

გზით ანგლო-საქსების მეშვეობით ამ ბარბაროსულ უდაბურშიაც ქრისტიანობასთან ერთად შეიჭრა კულტურის ელემენტები.

მეცნიერული შეხედულებანი VI—VII საუკუნეებში. იმავე დროს ევროპის მეორე ნაწილში, ესპანეთში, ღებულობდნენ ზომებს მოეხდინათ ანტიკური მეცნიერებისა და ლიტერატურის ნაშთების სისტემატიზაცია და მოექციათ ისინი ერთ თავისებურ ენციკლოპედიაში. ამის ავტორი იყო ისიდორე, სევილიელი ეპისკოპოსი (570 — 636 წწ.), რომელმაც თავის შრომას უწოდა „ეტიმოლოგიები", ვინაიდან მასში თითოეული საგნის ახსნას წინ უძღვის — ზოგჯერ საკმაოდ ფანტასტიური — ამა თუ იმ სიტყვის ეტიმოლოგია. აქ მკითხველს შეეძლო გაეგო, რომ ყოველ ცხოველს სახელი პირველად ' ადამმა უწოდა ებრაულ ენაზე; რომ ქვებს აქვს სასწაულმომქმედი თვისებები; რომ რიცხვები იყოფა ლუწ და კენტ რიცხვებად, სრულყოფილ და ჭარბრიცხვებად და ა. შ. მრავალი საუკუნის განმავლობაში ისიდორეს ეტიმოლოგიები სიბრძნისა და ცოდნის წყაროს წარმოადგენდნენ ბოტანიკის, მინერალოგიის, ზოოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა დარგში.

ბუნების შესახებ მეცნიერების დაბალი დონის ყველაზე სამწუხარო ნიმუშს წარმოადგენს ბიზანტიელ კოზმა ინდიკოპლევის (VI-ს.) „ქრისტიანული ტოპოგრაფია", სადაც დადგენილია, რომ დედამიწას აქვს ყოველის მხრით ოკეანეთი გარშემორტყმულ ბრტყელი პარალელოგრამის ფორმა, ოკეანეს იქით — სამოთხეა, რომლის უკიდურეს საზღვრებიდან აღმართულია კედლები, რომლებიც თავს იყრიან ჩვენს თავზე და ჰქმნიან ცის კამარას. მზე და სხვა მნათობები ჩრდილოეთით მყოფ ვებერთელა მთის გარშემო იძვრიან: ზამთარში — მის ფუძესთან ახლოს, რის გამოც დღეები მოკლდება; ზაფხულში— მწვერვალთან ახლოს, რის გამოც დღეები გრძელდება. კოზმა გაცნობილი იყო ძველი დროის წარმოდგენას სამყაროზე; ეს წარმოდგენა უფრო ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან, მაგრამ ის ეწინააღმდეგებოდა დაბადებას და ამიტომ იგი უკუგდებული უნდა ყოფილიყო. აქ უკვე თავს იჩენს მოგვიანო შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკური მეცნიერების თავისებურებანი: სრული უგულებელყოფა დაკვირვებითა და ცდის მიერ მიღებულ მონაცემებისა, თაყვანისცემა „სამღვთო წერილის" ავტორიტეტისადმი — სხვა სიტყვებით, დაბრუნება აზროვნების დაწყებით მითოლოგიურ სტადიისადმი.

მაგრამ ინტელექტუალური მუშაობის თვით ეს ნიმუშები ცალკეულ და შემთხვევით მოვლენებს წარმოადგენდა VI—VII საუკუნეების ევროპაში. თუ დასავლეთ ევროპის პერიფერიაზე აქა-იქ შემორჩენილი იყო სულიერ ინტერესთა კვალი, მისი ძირითადი ტერიტორია, გალიისა და თვით იტალიის ჩათვლით, სრული სიბნელით იყო მოცული. საქმიანობის ერთგვარი გამოცოცხლება სკოლის, ლიტერატურის და ხელოვნების დარგში შესამჩნევი ხდება მხოლოდ VIII საუკუნის მეორე ნახევარსა და IX საუკუნის დასაწყისში. ეს გამოცოცხლება თითქმის მთლიანად დაკავშირებულია კარლოს დიდის სახელთან, და ამიტომ მან კ ა რ ო ლ ი ნ გ უ რ ი რ ე ნ ე ს ა ნ ს ი ს სახელწოდება მიიღო.

„კაროლინგური რენესანსი". VIII საუკუნის შუახანებიდან ფეოდალიზაციის პროცესი დასავლეთ ევროპაში უფრო სწრაფი ტემპებით წარიმართა. კარლოს მარტელის სამხედრო რეფორმას (იხ. თავი V) შედეგად მოჰყვა

ფეოდალთა კლასის სწრაფი ზრდა. მომდევნო კაროლინგელ მეფეთა საკანონმდებლო მოღვაწეობამ დააჩქარა წვრილ თავისუფალ მიწათმფლობელთა კლასის გაქრობა და გლეხთა მასის დამონება. უსაზღვროდ გაიზარდა საერო და სასულიერო მაგნატების ძლიერება. ფრანკთა ბარბაროსული სახელმწიფო კაროლინგების დროს იქცევა ფეოდალურ სახელმწიფოდ, თავდაპირველად ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ, სანამ საჭირო იყო ფეოდალთა გაერთიანებული ღონისძიებანი დამონებული მასების პროტესტის ჩასახშობად, შემდეგ კი, IX საუკუნის შუა ხანებიდან, ისეთ სახელმწიფოდ, რომელიც სულ უფრო მზარდ დაქუცმაცებას განიცდიდა.

ფეოდალური სახელმწიფოს შექმნაში და მის ექსპანსიაში განსაკუთრებით დიდი იყო კათოლიკური ეკლესიის როლი. გარდა შიშველი ძალმომრეობისა, ფეოდალები თავისი ბატონობის განსამტკიცებლად საჭიროებდნენ აგრეთვე განუწყვეტელ იდეოლოგიურ ზედმოქმედებას მასებზე, რასაც ეკლესია ანხორციელებდა, ამისათვის კი საჭირო იყო სამღვდელოების ავტორიტეტის კიდევ უფრო ამაღლება, ასეთი როლისათვის გამოსადეგი, შედარებით განათლებული, საეკლესიო კადრების შექმნა.

განათლებული სამღვდელოება წმინდა ტექნიკური მიზნებითაც საჭირო იყო კაროლინგთა მონარქიისათვის: კარლოს დიდის და მის მემკვიდრეთა კარზე სამღვდელოება უახლოეს მრჩეველთა დიპლომატიურ აგენტების, კანცელარიის თანამშრომლების, საამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელების და სხვ. როლს ასრულებდა. კაროლინგების მიერ შექმნილ დიდ სახელმწიფო ორგანიზმს არ შეეძლო ეწარმოებინა ნორმალური მოქმედება განათლებულ ან საერთოდ წ.-კითხვის მცოდნე ადამიანთა მონაწილეობის გარეშე, რომლებიც შესძლებდნენ ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებათა თუნდაც გაგებას და განმარტებას მასებისათვის.

კარლოს დიდის ზრუნვა განათლებაზე. უკვე თავის პირველ 769 წლის კაპიტულარში კარლოს დიდი იძლევა განკარგულებას დათხოვნილ იქნენ საეკლესიო სამსახურიდან წ.-კითხვის უცოდინარი მღვდლები, ხოლო შემდეგ წერილებში ეპისკოპოსებისადმი ის მოითხოვს, რათა ბოლო მოეღოს სამღვდელოების მიერ წ.-კითხვის უცოდინარობას. ამაზეევა ლაპარაკი 787 წელს ეპისკოპოსებისა და მონასტრებისათვის დაგზავნილ ცირკულარში. მაგრამ კარლოს დიდი ამით არ კმაყოფილდება და სპეციალურად იწერს იტალიიდან, ბრიტანეთიდან და ირლანდიიდან გრამატიკოსებს, რიტორებს, იწვევს თავის კარზე ყველა მისთვის ცნობილ სწავლულ ბერებს და უსახავს მათ ამოცანას— შეადგინონ სახელმძღვანელოები მონასტრებთან დაარსებულ სკოლებისათვის.

ალკუინი. კაროლინგების განათლების მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ანგლო-საქსელი ბერი ალკუინი, რომელსაც კარლოსი შეხვდა 781 წელს პარმაში (იტალია) და დაიყოლია გადასულიყო მასთან სამსახურში. ალკუინმა იმ სამსახურისათვის, რომელსაც მისგან მოელოდნენ, სამი ყველაზე დიდი საეპატოს შემოსავალი მიიღო. იგი დასახლდა კარლოს დიდის კარზე და შეიქნა იმპერატორის მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, და აგრეთვე თვითონ მისი და მისი ბავშვების მასწავლებელი.

ალკუინის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები გრამატიკის, რიტორიკის, ასტრონომიის და სხვ. დარგში წარმოადგენს კომპილაციებს მარტიან კაპელადან, ბოეციუსიდან და ისიდორე სევილიელიდან. ისინი დაწერილია მასწავლებელსა და მოწაფეს შორის გამართული დიალოგების ფორმით და მოწმობენ იმ სხვადასხვა ცოდნის დაბალ დონეს, რაც კი მოეპოებოდათ მაშინდელი განათლების თვით საუკეთესო წარმომადგენლებს. ამდენად ისინი წარმოადგენდნენ საუკეთესო ილუსტრაციას ენგელსის სიტყვებისას იმის შესახებ, რომ „შუასაუკუნეობრიობას ყველაფერში თავიდან დაწყება უხდებოდა".

„სასახლის აკადემია" და სკოლა კარლოს დიდის დროს. „თავიდან", ე. ი. უბრალო წ.-კითხვის მცოდნეობიდან და საბავშვო ამოცანების გადაწყვეტიდან მიმატებასა და გამოკლებაზე, მოუხდა დაწყება თვითონ კარლოს დიდს. მისი ბიოგრაფი ეჰინჰარდი გვამცნობს, თუ რა ძალას ატანდა თავს იმპერატორი, რათა სიბერის წლებში ესწავლა წერა. წერა-კითხვას იგი მძიმედ ითვისებდა; ღამით იგი ბალიშქვეშ იდებდა გასანთლულ ტაბულებს და, როცა მას უძილობა იპყრობდა, იღებდა იქიდან ამ ტაბულებს და იწყებდა მათზე ლათინური ასოების გამოყვანას, თავისი ცოდნის გასაფართოებლად და თავისი ოჯახის წევრებში გონებრივი ინტერესების დასანერგად, რასაც იგი ცდილობდა, კარლოსი დიდი სასახლის კარზე აარსებს ეგრეთწოდებულ „ს ა ს ა ხ ლ ი ს ა კ ა დ ე მ ი ა ს", რომლის შემადგენლობაშიც იმპერატორთან და მისი ოჯახის წევრებთან ერთად შედიოდნენ ყველაზე განათლებული ადამიანები მასთან დაახლოებული პირებიდან. აქ იხილავდნენ საკითხებს მთვარისა და მზის მოძრაობაზე, ამა თუ იმ ლათინური სიტყვების სხვადასხვაგვარ ახსნა-განმარტებაზე, კითხულობდნენ ძველი ავტორების, „ეკლესიის მამათა" ნაწარმოებებს და თვითონ „აკადემიის" წევრთა პოეტური ვარჯიშობის ნიმუშებს.

გარდა ალკუინისა, ამ სასახლის წრეში მოღვაწეობდნენ გუთი თეოდულფი, ორლეანელი ეპისკოპოსი, რომელიც თავის სატირულ ლექსებში დასცინის სასახლის მგოსნებს; სწავლული ლანგობარდი პავლე დიაკონი, ცნობილი თავისი „ლანგობარდების ისტორიით", მიწვეული სასახლის კარზე, როგორც გრამატიკის, ლათინური ავტორების და ბერძნული ენის მცოდნე, და მრავალი სხვა.

კარლოსის სასახლის კარზე არსებობდა აგრეთვე სკოლა, რომელშიც განათლებას ღებულობდნენ იმპერატორის გარშემო მყოფ დიდკაცთა შვილები. ეს სკოლა თან ახლდა სასახლის კარს ყოველთვის, ადგილის ყოველ გადაცვლების დროს, ასე რომ მასში შეუძლებელი იყო სისტემატური მეცადინეობა. მისი დამთავრების შემდეგ გზა ხსნილი იყო თანამდებობრივი კარიერისთვის, იქიდან და აგრეთვე ზოგიერთ საუკეთესოდ დაყენებულ სამონასტრო სკოლებიდან კარლოს მიჰყავდა ისეთი ადამიანები, რომლებიც გამოდგებოდნენ საპასუხისმგებლო დავალებათა და მაღალ თანამდებობათა შესრულებისათვის.

კაროლინგთა ლიტერატურის დამახასიათებელი თვისებები. სასახლის სკოლის ერთ-ერთი მოწაფე იყო ზემოხსენებული ეჰინჰარდი. მისი ნაწარმოები „კარლოს დიდის ცხოვრება", მიუხედავად ყველა მისი ღირსებისა, კარო-

ლინგთა ლიტერატურის მიმბაძველობას მოწმობს. ეპინჰარდმა ისარგებლა იმპერატორ ავგუსტუსის ცხოვრების აღწერილობით, რომელიც დაწერილი იყო სვეტონიუსის მიერ, და არა მარტო გადმოიღო რომის ისტორიკოსისგან ზოგადი დალაგების ასლი, არამედ მან მისგან მთელი რიგი გამოთქმები და ფრაზები ისესხა.

ორიგინალობის ასეთივე უქონლობა ახასიათებს კაროლინგთა დროის სხვა ნაწარმოებთაც. ყოველივე ეს წარმოადგენს ძველ წარმართ და ქრისტიან მწერლებისადმი მიბაძვას ,რაც ემსგავსება ხშირად მოწაფეთა ვარჯიშს მოცემულ თემაზე.

მაგრამ მაინც კულტურის შემდგომ განვითარებაში მცირე როლი როდი შეასრულა კაროლინგთა საზოგადოების ზედაფენებში გაღვიძებულმა ინტერესმა ლიტერატურული მეცადინეობისა, ძველი კლასიკური დროის ნაწარმოებთადმი. კარლოს დიდის დროს დაარსებულ სამონასტრო სკოლებიდან გამოვიდნენ. შუასაუკუნეობრივი სწავლულობის პირველი წარმომადგენლები. კაროლინგთა დროის ლიტერატურა .მაინც უფრო მაღლა იდგა წინა პერიოდის უსახო და უხეშ ლიტერატურაზე. მოგვიანო რომის იმპერიის გრამატიკოსებისა და რიტორების შესწავლამ ხელი შეუწყო ენისა და სტილის გაუმჯობესებას. განსაკუთრებით შესამჩნევია წარმატებები ანალისტიკის დარგში. ამინდის ცვალებადობის წინანდელ ღარიბ ჩანაწერების ნაცვლად ახლა მონასტრებში იქმნება დიდი მატიანესებური ნაწარმოებები, მაგალითად, ლორშის, ბერტინის, ფულდის, სენგალენის მონასტრების ანალები, რომლებიც უფრო ფართო მოცულობის ისტორიულ მასალებს იძლევიან.

კაროლინგთა ხელნაწერები. „სკრიპტორიუმები“. საგრძნობლად გაუმჯობესდა ხელნაწერთა გარეგნული გაფორმებაც .ძველი მწერლების უმსგავსო და გაურკვეველ ხელწერას სცვლის ლამაზი და გარკვეული ნაწერი კ ა რ ო ლ ი ნ გ თ ა მ ი ნ უ ს კ უ ლ ი, რომელიც აღორძინების ეპოქის ნაწერის საშუალებით საფუძვლად ედება თანამედროვე ლათინური ასოების მოხაზულობას. კაროლინგთა კოდექსებიც განსხვავდებიან აგრეთვე თავისი მოკაზმულობით: მინიატურებით, ასომთავრულებით და სხვ. ხელნაწერების გადაწერა, როგორც წინათ, მონასტრებში წარმოებდა. ყველაზე დიდ მონასტრებს ჰქონდათ მთელი სახელოსნოები, ეგრეთწოდებული ს კ რ ი პ ტ ო რ ი უ მ ე ბ ი, სადაც რამდენიმე ბერი ერთ-ერთი მათგანის კარნახით წერდა. კარლოს დიდის დროს ყველაზე უფრო სახელმოხვეჭილი იყო წმ. მარტინის ტურის მონასტრის სკრიპტორიუმი, რომლის აბატი იყო ალკუინი. ცნობილია აგრეთვე ლორშის, კორბიის, ბობიოს და ფლერის მონასტრების სკრიპტორიუმები. მონასტრებთან იქმნება ბიბლიოთეკები, რომელთაგან თითოეული 300-400 ხელნაწერს შეიცავს .ზოგიერთ უდიდეს მსოფლიო ბიბლიოთეკებში ახლაც ინახება კაროლინგთა სკრიპტორიუმებიდან გამოსულ ხელნაწერთა კოლექციები. ასე, მაგალითად, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში მოიპოვება კორბიის მონასტრის სკრიპტორიუმის მიერ გამოცემული მანუსკრიპტების ვრცელი კოლექცია.

მონასტრების სკრიპტორიუმებში წარმოებდა არა მხოლოდ რელიგიური, არამედ საერო შინაარსის წიგნების გადაწერაც, როგორც, მაგალითად,

ცეზარის, ტაციტის, სვეტონიუსის. სალუსტის, ლივიუსის, ციცერონის, პოეტების — ვერგილიუსის, იუვენალის, პერსეის, მარციალის და სხვ. ნაწარმოებების გადაწერა. ანტიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ კაროლინგთა გადამწერების მიერ იქნა შემონახული ჩვენთვის. რდგორც საბადინის გამოკვლევებით მტკიცდება, ალორძინების ეპოქის ჩვენამდე მოღწეულ ასლებს მეტწილად კაროლინგთა ხელნაწერები უდევთ საფუძვლად.

კაროლინგური რენესანსის ხელოვნება. ცენტრალური ხელისუფლების ხელში მატერიალური რესურსების გადიდებამ საშუალება მისცა კარლოსს და მის წრეს ყოველმხრივ წაეხალისებინათ აგრეთვე ხელოვნების განვითარება. მიიღო რა 800 წელს იმპერატორის ტიტული, რომელსაც კარლოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, იგი ცდილობდა გათანაბრებოდა ბიზანტიის იმპერატორებს ნაგებობათა სიდიადეში, სასახლის კარის ცხოვრების სიმშვენიერეში. აახენში, ინგელჰაიმსა, ნიმეგენსა, ვორმსსა და სხვა ადგილებში, სადაც ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში უხდებოდა გაჩერება კარლოსის ადგილმაცვალ კარს, აშენებდნენ სასახლეებს, აგებდნენ ეკლესიებს. ეს ნაგებობები მოითხოვდნენ ხუროთმოძღვრების, მხატვრების, მოქანდაკეთა, ხეზე და ძვალზე ამომჭრელთა, ლითონების დამმუშავებელ ოსტატთა თანამშრომლობას. კარლოსის მაგალითს გამოჩენილი მაგნატებიც მისდევდნენ.

მაგრამ კარლოს დიდის იმპერიის მატერიალური და ტექნიკური საშუალებანი ჯერ კიდევ იმდენად შეზღუდულია, რომ კაროლინგთა ეპოქას არ შეეძლო ისეთი მარტივი ამოცანის გადაწყვეტაც კი, როგორც ხიდის აგება რაინზე. ათი წლის განმავლობაში ააგეს ხის ხიდი მაინცთან, მაგრამ ის მალე დაიწვა, და კარლოსის სურვილი, აეგო მის ადგილას ქვის ხიდი, განუხორციელებელი დარჩა სახსრების ნაკლებობის გამო. ასევე შეუძლებელი შეიქნა კარლოსის მეორე განზრახვის რეალიზაცია: რაინისა და დუნაის შეერთება არხით. არხის გაყვანა დაწყებულ იქნა, მაგრამ ამ წამოწყებას თავი გაანებეს, როცა გამოირკვა, რომ მისი აშენება დიდ ხარჯებს მოითხოვდა, რის შეძლებაც არ ჰქონდათ. ამ საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათის ორი საამშენებლო ღონისძიების ჩაშლამ მკვეთრად გამოააშკარავა ახლად წარმოშობილი ფეოდალური რეჟიმის კლასობრივი არსი. თავისი განმტკიცებისათვის ის უფრო ეკლესიების მშენებლობას საჭიროებდა, ვიდრე ხიდებისა და არხების.

კარლოს დიდის სასახლეების და ეკლესია-მონასტრების მშენებლობა თავისი სიდიადით და გაქანებით განცვიფრებას იწვევდა თანამედროვეებში. ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, როცა ახდენდნენ შედარებას წინა პერიოდის უბადრუკ ნაგებობებთან. სინამდვილეში კარლოსის ეკლესიები და სასახლეები თავისი მასშტაბით, მასალებითა და ოსტატობით საკმაოდ ზომიერი იყვნენ. კაროლინგთა ნაგებობანი მეტწილად ხისგან შენდებოდა. ყველა ისინი, ცხადია, გაჰქრნენ; ნაწილობრივ შემორჩნენ მხოლოდ ცალკეული ქვის ეკლესიები. ასეთია აახენის კაპელა, რომლის აგებაც 805 წელს დამთავრდა. ამჟამად იგი აახენის ტაძრის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. კაროლინგთა ეს ძეგლი კაროლინგთა ხუროთმოძღვრების მიმბაძველობითს, ნაკლებ ორიგინალურ ხასიათს მოწმობს. აახენის კაპელა რავენის წმ. ვიტალის რვაკუთხიანი გუმბა-

ოოვანი ეკლესიის ასლს წარმოადგენს; იმ ეკლესიის, რომელიც უძველესია ბიზანტიის ხელოვნების ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებიდან (534 — 547 წწ.). ასევე კარლოს დიდის სასახლეც აახენში, აღწერილობის მიხედვით, რავენაში არსებულ თეოდორიხ ოსტგუთელის სასახლის ასლს წარმოადგენდა.

კაროლინგთა ეკლესიების მშენებლები გარეგნული ხედის, გეგმის და სხვ. ასლის გადაღებით როდი კმაყოფილდებოდნენ, მათ იტალიიდან გაჰქონდათ შენობების მთელი ნაწილები და მზა მორთულობანი — სვეტები, ფრიზები, კაპიტელიუმები. ანტიკური, ბიზანტიური და თვით აღმოსავლეთის ხელოვნების ძლიერი გავლენა შეიძლება ამოვიკითხოთ აგრეთვე ძვლის, ოქროს, ქვების სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმზე. ამგვარად, კაროლინგთა ეპოქამ ხელოვნების დარგშიაც ბევრი რამ ნაკლებ ორიგინალური მოგვცა; ის მხოლოდ სამზადისს და დამოუკიდებელ შუასაუკუნეობრივ ხელოვნებაზე გადასვლას წარმოადგენდა.

კაროლინგური რენესანსის მთავარი მნიშვნელობა მდგომარეობს IV-V საუკუნეების მიერ გადმოცემულ კულტურის ელემენტების დაცვასა და გადამუშავებაში, და აგრეთვე, კაროლინგური სკოლის საშუალებით, ამ კულტურის შედარებით უფრო ფართო წრეებში შეჭრასა და გავრცელებაში, სწორედ ამ საფუძველზე აღმოცენდა და განვითარდა მომდევნო საუკუნეების შუასაუკუნეობრივი კულტურა.

საეკლესიო რეაქცია და კულტურის დაცემა კარლოს დიდის შემდეგ. კარლოს დიდის შემდეგ საერო გავლენის ის ელემენტები ლიტერატურაში, პოეზიასა და ხელოვნებაში, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ, სულ უფრო ჰქრებიან, და კულტურაც სულ უფრო მკვეთრად გამოსახულ საეკლესიო, რელიგიურ იერს ღებულობს. კარლოსის მემკვიდრე ლუდოვიკო ღვთისნიერი უდიდესი სიძულვილით უყურებდა ანტიკურ ლიტერატურას და გაიძახოდა, რომ არც თვითონ სურს იკითხოს და არც ის უნდა, რომ სხვები კითხულობდნენ და შეისწავლიდნენ ჰორაციუსის, ვირგილიუსის, იუვენალის და სხვ. ნაწარმოებებს. ეკლესიის მსახურთა რეაქციული ჯგუფის მეთაური ბენედიქტე ანიანელი იმპერატორის უახლოესი მრჩეველი ხდება და ატარებს მონასტრებისა და სკოლების რეფორმას იმ მიზნით, რომ წაეშალა და აღეგავა მათში საერო ინტერესების ყოველგვარი კვალი. დარჩენილ სამონასტრო სკოლებს ამიერიდან ევალებოდათ მხოლოდ სამღვდელოების მომზადება. მათ უნდა დაეკეტათ კარი მათთვის, ვისაც განზრახვა არ ჰქონდა მღვდლად ან ბერად გამოსულიყო. ბენედიქტე ნურსიელის წესდება, რომელიც ხელს უწყობდა ბერების მეცადინეობას ლიტერატურის დარგში, გადამუშავებულ იქნა. მღვდელ მსახურება მონასტერში გახანგრძლივებულ იქნა იმ მიზნით, რომ დრო აღარ დარჩენოდათ სხვა სახის მეცადინეობისათვის. ახლა გონებრივ შრომას მონასტრებში უყურებდნენ, როგორც უქმ და უნაყოფო მეცადინეობას, ხოლო ფიზიკურმა შრომამ კიდევ უფრო ადრე დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ ბენედიქტელთა ორდენმა X საუკუნეში დაჰკარგა ის ხელმძღვანელი როლი კულტურულ ტრადიციების დაცვის საქმეში, რაც მას წინათ ეკუთვნოდა.

კულტურული დონის საერთო დაცემას ხელს უწყობდა X საუკუნის შუახანებიდან კაროლინგთა მონარქიაში შეცვლილი პოლიტიკური ვითარება. ლუდოვიკო ღვთისნიერის შვილების ბრძოლამ მამის წინააღმდეგ, შემდეგ კი თვით მათ შორის გაჩაღებულმა ბრძოლამ, ერთიანი სახელმწიფოს რამდენიმე ნაწილად დაქუცმაცებამ, ნორმანთა, სარაცინთა და უნგრელთა განუწყვეტელმა თავდასხმებმა, რასაც თან სდევდა ეკლესია-მონასტრების და მთელი ქალაქების გაძარცვა, რბევა-განადგურება და გადაწვა,—ყოველივე ამან უარყოფითი გავლენა იქონია ახლად წარმოშობილ კულტურაზე. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. გონებრივი ცხოვრება ჩაკვდა. ახლად შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა რაოდენობა მკვეთრად დაეცა. ადგილი ეძლევა წ.-კითხვის უცოდინარობის რეციდივს სამღვდელოებაში (თუ არას ვიტყვით საერო ფეოდალების შესახებ); კვლავ ყოველის მხრიდან ისმის ჩივილი მღვდლების აბსოლუტურ უმეცრებაზე. მაგრამ სამღვდელოების მაღალ ფენაში კიდევ დარჩნენ ადამიანები, რომელთაც მიიღეს სწავლა კაროლინგთა სკოლაში და ცოდნის მხრივ თავისი ეპოქის დონეზე იდგნენ. ამ ადამიანებს შორის აღნიშნულ უნდა იქნენ რაბან მავრი, ' ალკუინის მოწაფე, და იოანე სკოტი ერიგენა.

რაბან მავრი. ერიგენა. რაბან მავრი (784—856 წწ.) ერთხანს ფულდის მონასტრის აბატად იყო, შემდეგ კი მაინცის არქიეპისკოპოსად. ფულდის მონასტერი მას უნდა უმადლოდეს ბიბლიოთეკის შექმნას, კათოლიკური ეკლესია კი მთლიანად — მრავალრიცხოვან კომპილაციებისას, პროზით და ლექსად საღვთისმეტყველო თემებზე. მის ნაწარმოებთა ტექსტი მეტწილად პირდაპირ „სამღვთო წერილიდან“ და სხვადასხვა „ეკლესიის მამებიდან“ ამონაწერთა კრებულს წარმოადგენს.

ადრეულ შუა საუკუნეების ერთადერთი საეკლესიო მწერალი, რომელმაც თავის ნაწარმოებებში მოგვცა რაღაც უფრო მეტი, ვიდრე უბრალო კომპილაცია, იყო ირლანდიელი იოანე სკოტ ერიგენა (გარდაიცვალა დაახლოებით 886 წელს), რომელსაც „სპეკულატიური დოგმატიკის დამაარსებელს“, „სქოლასტიკის მამას“ უწოდებენ. დაახლოებით 845 წელს, ირლანდიაზე ნორმანების გაძლიერებული თავდასხმების პერიოდში, მან მიატოვა სამშობლო და შევიდა სამსახურში კარლოს დიდის შვილიშვილთან კარლოს მელოტთან, რომელთანაც ის ასრულებდა ალკუინის ანალოგიურ როლს.

იცოდა რა ბერძნული ენა, ერიგენას შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა ნეოპლატონიკოსთა მოძღვრებას, რომლის ყაიდაზედაც დაწერილია მისი მთავარი შრომა „ბუნების დაყოფის შესახებ“. იგი ერთ მთლიანობაში ათავსებდა ღვთაებასა და მის ქმნილებებს და რამოდენადმე მათ იგივეობას ამტკიცებდა, რის შედეგად ერიგენა არსებითად პანთეიზმამდე მიდის. ორთოდოქსალური ღვთისმეტყველებისთვის კიდევ უფრო საშიში იყო მისი მტკიცება გონების უპირატესობის შესახებ ავტორიტეტთან შედარებით. მსგავსი შეხედულებანი ძირს უთხრიდა ღვთისმეტყველების მთელ სისტემას, რომელიც დამყარებული იყო ავტორიტეტსა და რწმენაზე, და არავითარ შემთხვევაში გონებაზე. მაგრამ თანამედროვეებმა, პირდაპირ რომ ითქვას, ვერ გაიგეს ერიგენა, და ამან იხსნა იგი დევნისაგან. მისი წიგნი XIII საუკუნემდე მივიწყებული იყო,

და შემდეგ გამოიყენეს იგი მწვალებლებმა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. მხოლოდღა მაშინ პაპის ჰონორიუს III ბრძანებით იგი დასწვეს (1225 წ.).

განათლება ოტონ I კარზე. თუ IX საუკუნის მეორე ნახევარში კულტურის სხვადასხვა დარგში კვლავ თავს იჩენდა კაროლინგური რენესანსის გავლენა, X საუკუნეში ამ გავლენის ძალა თითქმის სავსებით ამოიწურა. რაბან მავრისა და ერიგენას ტიპის სწავლული ბერები და მწერლები გაჰქრნენ. კულტურული საქმიანობა ერთგვარად შესამჩნევი იყო საქსონიის დინასტიის გერმანელ მეფეთა კარზე, დაწყებული ოტონ I-დან. ოტონ I ცდილობდა აგრეთვე აღედგინა კარლოს დიდის პოლიტიკა განათლების დარგში, მაგრამ ამას ის ჩადიოდა მეტად მცირე სახსრებით და ნაკლები ეფექტით. კარლოსის მსგავსად მან დაარსა სასახლის სკოლა და უკვე სიბერის ჟამს თვითონ მიჰყო ხელი წ.-კითხვის შესწავლას, მაგრამ ძლივს ისწავლა კითხვა. კარლოსის მსგავსად, იგი ცდილობდა თავის სამსახურში მიეღო განათლებული ადამიანები, როგორიც იყო ლანგობარდი ლიუტპრანდი, ისტორიკოსი და დიპლომატი, რომელიც მან დანიშნა კრემონის ეპისკოპოსად; მაგრამ ეს ადამიანები თავისი ცოდნისა და საერთო კულტურული დონის მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ კარლოს დიდის თანამოღვაწეებს.

ჰერბერტი და მეცნიერების ფეოდალიზაცია. იტალიაში ყოფნისას ოტონ I სხვა განათლებულ ადამიანთა შორის თავის სასახლეში მიიწვია ბერი ჰერბერტი, რომელიც უკვე მაშინ, მიუხედავად ახალგაზრდობისა, თავისი სწავლით სახელგანთქმული იყო. წარმოშობით ჰერბერტი იყო ღარიბი აქვიტანელი (სამხრეთ საფრანგეთის) უაზნო ოჯახიდან. ერთხანობაზე იგი ესპანეთის მარკაში სწავლობდა, ე. ი. კორდოვის (არაბთა) ხალიფატის საზღვარზე, სადაც მაღალი არაბული კულტურის გავლენის მეოხებით, „კვადრივიუმის" შესწავლას ხელს უწყობდნენ. როგორც სჩანს, ჰერბერტმა აქ შეიძინა ცოდნა მათემატიკის დარგში, რითაც მან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე, რომ ხალხურმა ლეგენდამ იგი ჯადოქრულად გახადა. სწორედ არაბებისგან გადმოიღო მან თავისი „აბაკი", ე. ი. საანგარიშო დაფა დანაყოფებით, რომელიც აადვილებდა მარტივ არითმეტიკულ მოქმედებებს რიცხვებზე. ჰერბერტი უკვე არაბულ ციფრებს ხმარობდა რომაულის ნაცვლად, მხოლოდ ნული არ იყო მისთვის ცნობილი, და ამ ციფრის როლს ასრულებდა ცარიელი დანაყოფი მის საანგარიშო დაფაზე.

ჰერბერტმა რამოდენიმე ხანს დაჰყო ოტონ I-ის კარზე მისი შვილის მასწავლებლად, შემდეგ კი ის მოხვდა რეიმსში, სადაც მოექცა საეპისკოპოსო სკოლის სათავეში, რომელიც მრავალრიცხოვან მოწაფეობას იზიდავდა. ჰერბერტს განცვიფრებაში მოჰყავდა მოწაფეები იმ დროისათვის არაჩვეულებრივ სწავლების თვალსაჩინო მეთოდებით, არითმეტიკაში — „აბაკის" და ასტრონომიაში — ციური სფეროს გამოყენებით, და აგრეთვე „კვადრივიუმის" მეცნიერებათა ღრმა ცოდნით. სხვათა შორის, მას ეკუთვნის კომენტარიები ბოეციუსის ნაწარმოებებზე არითმეტიკისა და მუსიკის დარგში. ამ კომენტარიებიდან სჩანს, რომ არითმეტიკა ჰერბერტის ხელში ღებულობს კლასობრივ, ფეოდალურ იერს. აი, მაგალითად, რას წერს იგი რიცხვის შესახებ. არსებობს ორი კატეგორიის რიცხვები: 1) სხეულებრივი, რომელიც შეეხება გარე

სამყაროს კონკრეტულ საგნებს, და 2) უსხეულო, რომელიც წარმოადგენს შარადიულ, წარუვალ არსს. კონკრეტული რიცხვი ადამიანის ცხოვრებაში გამოხატავს ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში; „ასე, მაგალითად, მეფე არის დიდი რიცხვის გამოხატულება, მაშინ როდესაც არიან ადამიანები, რომელნიც თავისი მცირემნიშვნელობის გამო არ წარმოადგენენ რაიმე რიცხვის განსახიერებას.“ სხეულებრივი რიცხვი არ შეიძლება იზრდებოდეს დაუსრულებლივ, მაშინ როდესაც უსხეულო, სულიერი რიცხვი განუსაზღვრელად მზარდია. სხეულებრივი რიცხვი ადამიანს აჩვევს მორჩილებას, მიუჩენს მას უბრალო ადგილს სამყაროში, უსხეულო კი ხელს უწყობს ადამიანს მის ამაღლებაში ღვთაების ძლიერების გაგებამდე. არითმეტიკა ამ თვალსაზრისით ასწავლის იმას, რათა „უსხეულო ნივთები მიჩნეულ იქნეს უფრო მყარად, ვიდრე კონკრეტული ნივთები.“

ამრიგად, ჰერბერტის ხელში არითმეტიკა გადიქცა ფეოდალურ და საეკლესიო მეცნიერებად, მეცნიერებად მისტიკური რიცხვების შესახებ, რომელშიც მან შეიტანა ფეოდალიზმისათვის ჩვეული იერარქიული პრინციპი.

ჰერბერტმა დიდი კარიერა გაიკეთა. ოტონ II დანიშნა იგი იტალიის ერთ-ერთი უმდიდრესი მონასტრის — ბობიოს აბატად. რამოდენიმე ხანს იგი იყო რეიმსის არქიეპისკოპოსად. დაბოლოს, ოტონ III იგი რომის პაპად გახადა სილვესტრ II სახელწოდებით (999 — 1003 წწ.).

ფეოდალური მეცნიერების ზოგადი თვისებები XI საუკუნისათვის. VIII-X საუკუნეები ფეოდალური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მომზადებისა და საბოლოო ჩამოყალიბების პერიოდს წარმოადგენდნენ. ამ საუკუნეებში კულტურის დარგში შესამჩნევი ხდება სიტყვიერი ბრძოლების ფართო გავრცელება, რომლებშიც თანდათანობით რთულდებოდა და უმჯობესდებოდა ფეოდალური მეცნიერებისა და მისი „მძიმე არტილერიის“ — ღვთისმეტყველების იარაღი.

XI საუკუნისათვის ეს მეცნიერება ყველა თავის ძირითად თვისებებს იძენს. მკვიდრდება ლათინური ენა, როგორც აზრის გამოხატულების გაბატონებული ფორმა. თვითონ აზრი, რომელიც კაროლინგური რენესანსის სკოლაში მიმბაძველობას, ნიმუშების გადმოღებას და კომპილაციებს იყო მიჩვეული, მით უფრო ადვილად იქცევა ფეოდალური ეკლესიის ნებასურვილის თანახმად ავტორიტეტის მონად. ბიბლიისა და „ეკლესიის მამების“ ავტორიტეტის წინაშე ხმას იწყვეტს ყოველგვარი კრიტიკა; წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამოჩენის ოდნავი ცდა საეკლესიო განკიცხვის მუქარით იდევნება. პირადი ცდა, დაკვირვება, გონების მიერ მონაცემები როგორც ჭეშმარიტების აღმოჩენის მეთოდი ისევე მიუღებელია, როგორც VI-VII საუკუნეებში. „მეცნიერება“ თავის ყურადღებას მიაპყრობს „ღვთაებრივის“ შემეცნებას, და ამ ამოცანას უმორჩილებს ცოდნის ყველა დანარჩენ ინტერესებსა და დარგებს, და თვით რიცხვების შესახებ მეცნიერებასაც კი სალვთისმეტყველო მეცნიერებად აქცევს. „შვიდი თავისუფალი ხელოვნება“ „ღვთისმეტყველების მსახურად“ იქცევიან. ნივთებისა და განყენებული ცნებების მიმართ გამოყენებული იერარქიული პრინციპით, რომელიც ფეოდალური

საზოგადოების სტრუქტურას ასახავს, გამსჭვალულია მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა. სრული უმწეობა გარემომცველი ბუნების წინაშე, მის საიდუმლოებათა განკვრეტის უუნარობა იფარება მისტიკით, რიცხვებისა და ცნებების სიმბოლიკით, სიტყვიერი დახლართულობით, რაც ჰქმნის აზრის მოჩვენებითი სიღრმის შთაბეჭდილებას.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Энгельс, Развитие социализма от утопии к науке, თხზ., ტ. XV.

II. წყაროები. Хрестоматия по западноевропейской литературе. Средние века (IX—XV вв.), под ред. Шор, 1938. — Средневековье в его памятниках, под ред. Егорова, отдел XIII, М. 1913.

III. გამოკვლევები. დამხმარე სახელმძღვანელოები. Краткий очерк истории философии, под ред. Щеглова, М. 1940 — Эйкен, История и система средневекового миросозерцания, Спб. 1907. — Штекль, История средневековой философии, М. 1912 — Буассье, Падение язычества, М. 1892. — Бубнов, Сборник писем Герберта как исторический памятник, 2 т., Спб. 1888. — Корш и Кирпичников, Всеобщая история литературы, т. II, Спб. 1885. — Добиаш-Рождественская, История письма в средние века, Птг. 1923 — Общая история европейской культуры, т. VII, 1913 (Франция в раннее средневековье). — Петерсон и Балабанова, Западноевропейский эпос и средневековый роман, 3 т., Спб. 1896.

თ ა ვ ი XI

IV—XI სს. ბიზანტია და სამხრეთის სლავები

ბიზანტიის განვითარების თავისებურებანი. იმპერატორ თეოდოსეს სიკვდილის შემდეგ 395 წელს რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი მეტად აღარ შეერთებია დასავლეთ ნაწილს და თოთხმეტი წინანდელი დიოცეზიდან რვა დიოცეზის შემადგენლობით (ეგვიპტე, აზია, პონტო, სირია, აღმოსავლეთი, მაკედონია, საბერძნეთი და თრაკია) შემოიფარგლა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — ბ ი ზ ა ნ ტ ი ა დ.

თავისი სახელწოდება ამ სახელმწიფომ მიიღო საბერძნეთის ძველი კოლონიის სახელის ბიზანტის მიხედვით, რომელიც მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც შემდეგში აგებულ იქნა იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი. თვითონ ბიზანტიელები თავისთავს „რომეებს", ე. ი. რომაელებს უწოდებდნენ, თავის სახელმწიფოს კი — „რომეების იმპერიას." და მართლაც, თუმცა მოსახლეობა უპირატესად ბერძნებისა და აღმოსავლეთის ელინიზებულ ხალხთაგან შედგებოდა და გაბატონებული ენა იმთავითვე იყო არა ლათინური, არამედ ბერძნული ენა, რომელიც VII საუკუნიდან სახელმწიფო ენად გადაიქცა, ბიზანტია ძველი რომის იმპერიის პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენდა.

იმ დროს, როდესაც დასავლეთში იმპერია უკვე V საუკუნეში დაეცა ბარბაროსებისა და მონების რევოლუციის მოზღვავებით, აღმოსავლეთში იგი გადარჩა და თანდათანობით თავისებურ ფეოდალურ სახელმწიფოდ — ბიზანტიად გარდაიქმნა, და კიდევ ათას წელს განაგრძობდა თავის არსებობას (1453 წლამდე).

თუმცა აღმოსავლეთშიც ხდებოდა, როგორც ჩვენ დავინახეთ (იხ. თავი I), მონებისა და კოლონების მძლავრი აჯანყებები, ხოლო ბარბაროსთა შემოსევა არა ერთხელ დამუქრებია თვით იმპერიის არსებობას, მაინც ეს უკანასკნელი ახერხებდა ყველაზე მძიმე კრიზისებიდან გამოსვლას და ძირითადად შეურყევლად ინარჩუნებდა მსხვილ მიწათმფლობელთა კლასის ბატონობას, მმართველობის ცენტრალიზებულ ბიუროკრატიულ მექანიზმს, შედარებით მაღალ კულტურას, მეტწილად ანტიკურობიდან მემკვიდრეობით მიღებულს.

ბიზანტიის სიცოცხლის უნარიანობის საიდუმლოება, პირველ ყოვლისა, მის ეკონომიკაში იმალება. რევოლუციური კრიზისისა და ბარბაროსთა ყველაზე ძლიერი შემოსევის დროისათვის რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი უფრო ნაკლებ დაზარალებული იყო, ვიდრე დასავლეთი ნაწილი. მის შემად-

გენლობაში ბუნებით ისეთი უმდიდრესი ქვეყნები შედიოდნენ, როგორც ეგვიპტე, იმპერიის ბელელი; სირია, მისი მსხვილი სავაჭრო, სამრეწველო და კულტურული ცენტრებით — ანტიოქიით, ტირით, ბეირუთით და სხვ.; მცირე აზიის უზარმაზარი სივრცეები, რომელსაც შედარებით ნაკლებ შეეხო რომის მძარცველური პოლიტიკა; ეს უკანასკნელნი დიდის რაოდენობით აწარმოებდნენ მატყლს, ტყავეულობას და სხვადასხვა სახის ნედლეულს ქალაქის მრეწველობისათვის. ამ ოლქების ეკონომიური კავშირი ურთიერთ შორის და აღმოსავლეთის ქვეყნებთან არ შეწყვეტილა იმპერიისათვის ყველაზე მძიმე დროსაც კი; ისეთ ქალაქებში, როგორც ალექსანდრია ეგვიპტეში, ანტიოქია სირიაში, თესალონიკა და კონსტანტინეპოლი ევროპაში, მათი მრავალეროვანი მოსახლეობის ასეული ათასებით. ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა, და ერთი წუთითაც კი არ შემწყდარა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონსტანტინეპოლს, ამ, მარქსის გამოთქმით, „ოქროს ხიდს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის,"[1] ქალაქს, რომელიც ინდოეთში საზღვაო გზის აღმოჩენამდე, ვეებერთელა სავაჭრო ბაზრის როლს ასრულებდა.[2] საუკუნეთა განმავლობაში კონსტანტინეპოლით ტარდებოდა ევროპის მთელი ვაჭრობა შავი ზღვის ქვეყნებთან, და აგრეთვე ირანთან, ჩინეთთან, ინდოეთთან. აქ იყო თავმოყრილი მრავალრიცხოვანი სამრეწველო საწარმოებიც, რომლებიც აწარმოებდნენ შალისა და აბრეშუმის ძვირფას ქსოვილებს, საოქრომჭედლო ნაწარმს და ფუფუნების სხვადასხვა საგნებს.

ბიზანტიის ფართო საშუამავლო ვაჭრობა და მისი მრავალფეროვანი მრეწველობა საშუალებას აძლევდა იმპერატორებს თავის ხელში მოექციათ უზარმაზარი ფულადი სახსრები. იმპერატორმა ანასტასიმ V საუკუნეში თავის ხაზინაში დააგროვა თანხა, რომელიც ჩვენს ფულზე 130 — 140 მლნ. ოქროს მან. უდრიდა. ბიზანტიის მთავრობის შემოსავალი საუკუნეთა განმავლობაში რამდენიმე ათეულჯერ აღემატებოდა ევროპის ყველაზე დიდ ფეოდალურ სახელმწიფოთა შემოსავალს. ამით სხვათა შორის აიხსნება ისიც, რომ ბიზანტიის ოქროს მანეთიანს (ნომისმას, ბიზანტს) თითქმის მთელ მაშინდელ მსოფლიოში ჰქონდა გასავალი და იგი საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენდა. ბიზანტიის ფართო ფინანსიური რესურსები, რომლებიც იმ დროის მიხედვით ულეველად სჩანდა, მისი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენდა როგორც აგრესიის, ისე მრავალრიცხოვან მტერთაგან თავდაცვის პერიოდში.

ბიზანტიის სიცოცხლის უნარიანობისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მისი აგრარული წყობილების თავისებურებასაც. აქ გაცილებით მეტის რაოდენობით, ვიდრე დასავლეთში, შემორჩენილ იქნა თავისუფალი გლეხური მოსახლეობა და ძველი თემის ზოგიერთი ნაშთებიც კი. თავისუფალ გლეხთა დაყმევისა და მსხვილი მითაწმფლობელობის მიერ წვრილი საკუთრების შთანთქმის პროცესი აქ მრავალი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა და საგრძნობლად ჩამორჩა ანალოგიურ პროცესს დასავლეთში. ხოლო როდესაც ეს

---

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. IX, გვ. 441.
[2] იქვე, გვ. 382.

პროცესი აქაც გაღრმავდა, ბარბაროსული ელემენტების, განსაკუთრებით სლავების განუწყვეტელმა მოზღვავებამ მათი გვაროვნული ორგანიზაციით, ახალი სიცოცხლე შთაბერა თავისუფალ თემს და რამდენიმე საუკუნით კიდევ გადადო თავისუფალი გლეხობის დაღუპვა.

ასევე მნიშვნელოვნად უფრო მყარი, ბიზანტიის ზოგიერთ პროვინციებში მაინც, იყო მონათმფლობელობაც, თუმცა სოფლის მეურნეობაში მონური შრომა უკვე V საუკუნიდან აღარ ასრულებს ხელმძღვანელ როლს. თუ თავისუფალი გლეხობის შენარჩუნება, განსაკუთრებით მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ნახევრად ბარბაროს ტომებს შორის, საშუალებას აძლევდა ბიზანტიის ხელისუფლებას განუწყვეტლივ ეწარმოებინა თავისი სამხედრო ძალების შევსება და განახლება, ე. ი. უზრუნველჰყოფდა ბიზანტიის სიმტკიცეს გარედ, მონათმფლობელობის შენარჩუნებამ უზრუნველჰყო III-V საუკუნეების რევოლუციური კრიზისის უდიდესი გამწვავების პერიოდში მისი გაბატონებული კლასის სიმტკიცე შიგნით. მსხვილმა მონათმფლობელებმა შეინარჩუნეს აღმოსავლეთში თავისი ეკონომიური და სოციალური პოზიციები, შესძლეს უკუეგდოთ ძალები, რომლებიც ემუქრებოდნენ მათ ბატონობას, და ერთხანობაზე—თვითონ გადავიდნენ შეტევაზე დასავლეთში, გადააქციეს რა ბიზანტია რეაქციის სიმაგრედ მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზში. თუმცა მონათმფლობელური რესტავრაციის ცდა დასავლეთში საბოლოოდ მარცხით დამთავრდა (იხ. თავი III) და ბიზანტიას თავის მხრივ მოუხდა სოციალურ და ეკონომიურ ურთიერთობათა ფეოდალური გარდაქმნის გზაზე დადგომა, მაგრამ თვით ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარმა მსხვილმა მონათმფლობელებმა და მიწათმფლობელებმა შესძლეს მაინც ხელისუფლების ცენტრალიზებული აპარატის შენარჩუნება აღმოსავლეთის დესპოტიზმის სახით ძლიერ განვითარებული ბიუროკრატიით, და მით თავისი პოლიტიკური ბატონობის განმტკიცება.

დასასრულ, ბიზანტიის სიმტკიცისათვის მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა მისი დედაქალაქის შეუდარებელ სტრატეგიულ მდებარეობას. ნახევარკუნძულზე მდებარე, ორი მხრიდან გარშემომდინარე ზღვით, კონსტანტინეპოლი ხმელეთის მხრით დაცული იყო კედლების ორი წყებით, რომლებიც მაშინდელი სამხედრო ტექნიკის პირობებში მას სრულიად მიუვალს ჰხდიდა. არა ერთი უაღრესად საშიში მტრული შემოსევა დამსხვრეულა ბიზანტიის დედაქალაქის კედლებთან და მისი ფლოტის წინაშე, ხოლო სანამ ურყევად იდგა დედაქალაქი, თვითონ იმპერიაც ურყევი იყო.

ბიზანტიის ისტორიის ყველაზე არსებით თავისებურებას წარმოადგენს, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, ფეოდალიზაციის ძალზე გაჭიანურებული პროცესი. უკვე V-VI საუკუნეებში, იმპერიის დასავლეთ პროვინციებში ბარბაროსთა გამარჯვებებთან დაკავშირებით, სწარმოებს მსხვილ მიწათმფლობელთა (სენატორთა გვარების) ემიგრაცია აღმოსავლეთში, სადაც ისინი იმპერატორებისაგან საჩუქრად ღებულობენ ანდა ყიდულობენ მიწის უზარმაზარ ფართობებს, იჩენენ კერძო რაზმებს (ისავრებს და „ბუკელარიებს“)*, კერძო სასამართლოებს, საპყრობილეებს და ა. შ., და ამგვარად, თავისებურ

* გამხმარი პურის მჭამელები.

ფეოდალურ სენიორებად იქცევიან. იმავდროულად სწარმოებს კოლონების დაყმევა, მთელი თავისუფალი სოფლების დამორჩილება, პატროკინიუმის, მსხვილი მესაკუთრის პირადი ხელისუფლების შემოწმებით. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება მსხვილი საეკლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობა. მონასტრები, 'იმპერატორებისა და კერძო პირთა უხვი საჩუქრების წყალობით, ნამდვილ სამთავროებად იქცევიან. მარტო კონსტანტინეპოლში VI საუკუნეში მონასტრების რიცხვი 70 აღემატებოდა; ეგვიპტეში ამ დროისათვის 6 მილიონ მცხოვრებზე 500 ათასამდე ბერ-მონაზონი მოდიოდა. ეკლესიამ ადრევე მოიხვეჭა ბიზანტიაში იმ დიდი პოლიტიკური ძალის მნიშვნელობა, რომელიც ზოგჯერ მეტოქეობას უწევდა საერო მსხვილ მიწათმფლობელობას. მაგრამ გაბატონებული კლასის ორივე სექტორი — საეროც და სასულიეროც — ერთნაირად ზრდიდნენ თავის ძლიერებას გლეხთა ფართო მასების დამონებისა და გაჩანაგების გზით.

იმპერატორის ხელისუფლება დროდადრო ცდილობდა შებრძოლებოდა ფეოდალიზაციის ამ მოვლენებს, მაგრამ ასეთი ცდა უმრავლეს შემთხვევაში უნაყოფო იყო. ეს არ-არის გასაკვირველი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმპერატორები დაყენებული იყვნენ იმავე გაბატონებული კლასის მიერ და ძირითადად მხოლოდ მას ეყრდნობოდნენ. ეს კიდევ ცოტაა, იმპერიის უზარმაზარი ბიუროკრატიული მანქანა, რომელიც არასდროს არ სწყვეტდა ბიზანტიაში თავის მოქმედებას, მთელი თავისი სიმძიმით იმავე გაჩანაგებულ და დამონებულ გლეხობას აწვებოდა.

ამგვარად, თუ ფეოდალიზაციის პროცესს დასავლეთსა და აღმოსავლეთში ერთმანეთს დაუპირისპირებთ, შეიძლება შემდეგ დასკვნამდე მივიდეთ. დასავლეთში ბარბაროსთა თავდასხმების შედეგად ფეოდალიზაცია სწრაფად მიმდინარეობს, ამასთან ბარბაროს — დამპყრობლებმა თითქმის მთლიანად დაამსხვრიეს მონათმფლობელური სახელმწიფოს სამხედრო — ბიუროკრატიული აპარატი, საგადასახადო სისტემა თითქმის გაჰქრა, სახელმწიფო ხელისუფლების ჩაგვრამ რამოდენადმე იკლო, მშრომელთა მასების ექსპლოატაციამ შედარებით უფრო მსუბუქი ფორმები მოიპოვა და გარკვეულ ფარგლებში საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების შესაძლებლობა შეჰქმნა.

აღმოსავლეთში კი, ბიზანტიაში, ფეოდალიზაციის პროცესი ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების და მთელი სამხედრო — ბიუროკრატიული აპარატის შენარჩუნების პირობებში მიმდინარეობდა. ამიტომ აქ ეს პროცესი გაჭიანურდა, მაგრამ იმავე დროს იგი ფართო მასებისათვის უაღრესად მტკივნეულად მიმდინარეობდა. ფეოდალიზმზე გადასვლა აქ გამოიხატა არა მხოლოდ მონობის შერბილებასა და თავისუფალთა დაყმევაში, არამედ ცენტრალური ხელისუფლებისა და გაბატონებული კლასის საერთო ძალღონით გლეხობის მასობრივ გაღატაკებაშიც. იმ დროს, როდესაც დასავლეთში ფეოდალიზმზე გადასვლით გამოწვეული ხარჯები ნაწილობრივ თავს დაატყდა მსხვილ მონათმფლობელებს, რომლებმაც თავის მიწისა და მონების ნაწილი დამპყრობთა სასარგებლოდ დაჰკარგეს, აღმოსავლეთში ეს ხარჯები მთლიანად გლეხობას დაეკისრა.

იუსტინიანეს მმართველობა. იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობის დრო (527 — 565 წწ.) — ბიზანტიის ადრეული ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპოქა იყო. ამ დროს ბიზანტიის განვითარების ყველა თავისებურებანი გაიშალა და სავსებით თვალსაჩინო შეიქნა. იუსტინიანესა და უფრო ადრე მისი ბიძის იუსტინეს მეფობას წინ უძღოდა უჩვეულო გაძლიერება სენატორული მიწათმფლობელური არისტოკრატიისა, რომლის წარმომადგენელი ანასტასი აყვანილ იქნა იმპერატორის ტახტზე V საუკუნის დამლევს. ანასტასის დროს მძლავრად იჩინა თავი მსხვილი საერო და საეკლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობის ინტერესთა წინააღმდეგობამ. საერო არისტოკრატია, რომელსაც უზარმაზარი ლატიფუნდიები ჰქონდა ბიზანტიის აღმოსავლეთ მიწებზე — ეგვიპტეში, სირიასა და მცირე აზიაში, — მხარს უჭერდა ამ პროვინციათა სეპარატისტულ ტენდენციებს მ ო ნ ო ფ ი ზ ი ტ თ ა მწვალებლობის საფარ ქვეშ. მონოფიზიტები იმ მოძღვრების მიმდევარნი იყვნენ, რომლის თანახმად, ქრისტე ღმერთკაცი კი არა — ღმერთია, ე. ი. მხოლოდ ერთი — ღვთაებრივი ბუნება (μόνοφύσις) გააჩნია. ანასტასი, ისევე როგორც სენატორული დიდკაცობის უმრავლესობა, განწყობილი იყო მხარი დაეჭირა მონოფიზიტებისათვის, რათა განემტკიცებია თავისი პოზიციები აღმოსავლეთში. მაგრამ მას მოუხდა შეჯახება მართლმადიდებელი სამღვდელოების გაბოროტებულ წინააღმდეგობასთან. სამღვდელოებას კი მხარს უჭერდნენ დედაქალაქის მოსახლეობის, თრაკიის გალატაკებულ კოლონების მასები და არმიის ნაწილიც კი. თუმცა უკმაყოფილო ელემენტების აჯანყება, რომელსაც ვიტალიანე ხელმძღვანელობდა, ჩახშობილ იქნა (515 წ.), მაგრამ ანასტასის სიკვდილის შემდეგ გაბატონებული კლასის რიგებში ისეთი არევ-დარევა იყო, რომ ახალი იმპერატორი წამოყენებული იყო არა სენატის, არამედ არმიის მიერ. ეს იყო იუსტინე, წ.-კითხვის არ მცოდნე ილირიელი გლეხი, რომელიც სამხედრო სამსახურში დაწინაურდა. მისი ძმისწული იუსტინიანე, რომელმაც ბრწყინვალე გამოცდილება მიიღო, ფაქტიურად უკვე იუსტინეს დროს განაგებდა, ხოლო 527 წელს თვითონ იქცა იმპერატორად; იუსტინიანეს ცოლი თეოდორა ქორწინებამდე ცირკის მსახიობი იყო.

ახალი დინასტიის იმპერატორებმა მკვეთრად შესცვალეს საეკლესიო პოლიტიკის კურსი; მათ მიიღეს გავლენიანი მართლმადიდებელი სამღვდელოების ორიენტაცია, რომელსაც განსაკუთრებით მტკიცე პოზიციები ჰქონდა იმპერიის ევროპულ პროვინციებში. იუსტინიანემ ქვეყნის მართვა დაიწყო ბრძანებულებით ყველა მწვალებლობათა აღმოფხვრის შესახებ. ეს ეხებოდა მონოფიზიტებსაც; მართლმადიდებლობაზე მოსაქცევად ეძლეოდათ სამი თვის ვადა, რის შემდეგ იწყებოდა მათი შეზღუდვა ყველა სამოქალაქო უფლებებში და სასტიკი დევნა.

გარდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, ახალი იმპერატორი იმედოვნებდა შოენახა დასაყრდენი ბიუროკრატიაში, რომლის კადრებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა, და აგრეთვე არმიაში, რომელზედაც ვეებერთელა სახსრები იხარჯებოდა და რომლის მეთაურებმაც იუსტინიანეს აგრესიული საგარეო პოლიტიკის მეოხებით დიდი გავლენა მოიპოვეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

არმიისა და მრავალრიცხოვანი მოხელეობის შესანახმა ხარჯებმა, ომებმა და იუსტინიანეს უდიდესმა საამშენებლო საქმიანობამ — ყოველივე ამან სწრაფად ამოსწურა იმპერატორ ანასტასის დანაზოგი სახსრები და საჭირო გახადა გადასახადთა ტვირთის მნიშვნელოვანი გადიდება, რაც მთელი თავისი სიმძიმით გლეხობას და ქალაქის ხელოსანთა მოსახლეობას დააწვა. ბიუროკრატიის ძალმომრეობა, გამოძალვა და მტაცებლობა კიდევ უფრო აუარესებდა მასების მძიმე მდგომარეობას.

„აჯანყება ნიკა“. ყოველივე ამან, მთავრობის შეურიგებელ საეკლესიო პოლიტიკასთან ერთად, რამაც გააბოროტა მრავალრიცხოვანი „მწვალებლები“, გამოიწვია 532 წლის აჯანყება, რომელიც ცნობილია „ნიკას“ სახელწოდებით (ე. ი. „გაიმარჯვე!“ — აჯანყებულთა ლოზუნგი).

აჯანყებამ იფეთქა დედაქალაქში, სადაც თავი მოიყარეს ნახევრად მშიერი პლებსის მასებმა და ადმინისტრაციის თვითნებობის მსხვერპლად ქცეულმა მრავალრიცხოვანმა პროვინციელებმა, რომლებიც ამაოდ ეძიებდნენ კონსტანტინეპოლში სამართალს მოხელეების ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ. აჯანყების ცენტრად იქცა ცირკი, ანუ ჰიპოდრომი, რომელიც დედაქალაქის, და მასთან იმპერიის სხვა დიდი ქალაქების საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

დედაქალაქის მოსახლეობის პურით და ცირკის სანახაობით უზრუნველყოფა ჯერ კიდევ ძველი რომის იმპერატორთა დროიდან მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა. მაგრამ კონსტანტინეპოლის ჰიპოდრომი მიმზიდველი ცენტრი იყო მასებისათვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ სხვადასხვა სანახაობას აწყობდნენ, არამედ იმიტომაც, რომ იგი თავისებურ პოლიტიკურ კრებების ადგილს წარმოადგენდა. ჰიპოდრომზე მაყურებლებს შეეძლოთ სრულიად თავისუფლად იმპერატორისათვის, რომელიც ყოველთვის თავის ლოჟაში იმყოფებოდა, მიეცათ შეკითხვები, მთავრობის ღონისძიებებზე და წარედგინათ თავისი საჩივრები.

მაყურებლები ჩვეულებრივ ორ მოქიშპე პარტიად იყოფებოდნენ, რომლებიც ატარებდნენ მ წ ვ ა ნ ე თ ა და ც ი ს ფ ე რ თ ა სახელწოდებას იმ მეეტლეთა ტანსაცმელის ფერის მიხედვით, რომლებიც ჰიპოდრომზე გამოდიოდნენ. ამ პარტიების ბრძოლა გაპირობებული იყო არა იმდენად მხურვალე მონაწილეობით ეტლების შეჯიბრებაში, რამდენადაც უფრო მნიშვნელოვანი ინტერესებით: მწვანენი იყვნენ მონოფიზიტები, ცისფერნი — მართლმადიდებლები. იმპერატორები მხარს უჭერდნენ ერთ რომელიმე პარტიას, რათა მისი შემწეობით მეორე მორჩილებაში ჰყოლოდათ. ანასტასის დროს მფრავველობით სარგებლობდნენ მწვანენი, იუსტინიანეს, მწვალებელთა მჩაგვრელის, დროს — ცისფერნი.

ცირკის პარტიებად დაყოფა მჭიდროდ დაკავშირებული იყო დედაქალაქის ტერიტორიულ ეგრეთწოდებულ დიმებად ანუ კვარტალებად დაყოფასთან. დიმები არსებითად წარმოადგენდნენ მცხოვრებთა, ალბათ, სახლთმფლობელთა ორგანიზაციებს, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ გარკვეული სანიტარული, სამხედრო და საპოლიციო ფუნქციებით. შემადგენლობით ისინი

მცირერიცხოვანი იყვნენ, მაგრამ თითოეულ დიმს ზურგს უმაგრებდნენ მასე-ბი. ცისფერთა დიმი დედაქალაქის ყველაზე არისტოკრატიულ კვარტალებს მოიცავდა, მწვანეთა დიმს, პირიქით, დასაყრდენი ჰქონდა რაიონებში, რომ-ლებიც დასახლებული იყო მეზღვაურებით, მტვირთავებით, ღარიბებით.

აჯანყება მოახდინეს მწვანეებმა, მას შემდეგ რაც მათი საჩივრები ცის-ფერთა მიერ შევიწროებაზე იმპერატორმა არ შეიწყნარა. აჯანყების მსვლე-ლობაში მწვანეებს შეუერთდნენ ყველანი, ვინც უკმაყოფილო იყო იუსტი-ნიანეს რეჟიმით, და ცისფერთა ნაწილიც კი. აჯანყების მოულოდნელობით მთავრობა მეტად მძიმე მდგომარეობაში მოექცა. დედაქალაქი მეტნაწილად აჯანყებულთა ხელში გადავიდა; მათ ალყა შემოარტყეს იუსტინიანეს სასახ-ლეს და იმპერატორად ანასტასის ძმისწული — იპატი გამოაცხადეს. იუსტი-ნიანე გასაქცევად ემზადებოდა, მაგრამ თეოდორამ მოითხოვა გადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევა, თუნდაც ამას მოჰყოლოდა ტახტისა და სიცოცხლის გაწირვა. აჯანყებულთა რიგებში მოსყიდვის გზით შეტანილ იქნა უთანხმოე-ბა, მათ ჩამოაცილეს ცისფერნი, შემდეგ კი აჯანყების ჩასაქრობად ბრძოლაში ჩაბმულ იქნენ ყველაზე საიმედო სამხედრო ნაწილები ველიზარის, იმპერიის საუკეთესო მხედართმთავრის, მეთაურობით. 30 ათასამდე აჯანყებული ჰიპო-დრომზე მიიტყუეს, სადაც ყველა ისინი დახოცილ იქნენ ველიზარის მებრ-ძოლთა მიერ. შემდეგ დაიწყო სასტიკი რეპრესიები, მასობრივი დასჯა სიკვ-დილით და ქონების კონფისკაცია, რითაც დაზარალდა მოძრაობაში მონაწილე მრავალი არისტოკრატიც. არ დაზოგეს იპატიც.

სურდა თუ არა ეს იუსტინიანეს, მაინც მისმა რეპრესიებმა საგრძნობლად შეათხელა ძველი სენატორული დიდკაცობის რიგები და ძალიან შეასუსტა მისი ძლიერება. იმ დროიდან მოყოლებული მმართველ წრეებში უდიდეს გავლენას იხვეჭენ მღვდელ-მსახურნი და ბიუროკრატიის ზედაფენა, რომელიც ხშირად დაბალი წრიდან გამოსულთაგან ივსებოდა.

იუსტინიანეს საგარეო პოლიტიკა. როდესაც განამტკიცა თავისი ტახტი, იუსტინიანემ ხელი მიჰყო აგრესიულ მოქმედებას დასავლეთი იმპერიის ნია-დაგზე შექმნილ ბარბაროსულ სამეფოთა მიმართ. მის მიზანს შეადგენდა რომის იმპერიის აღდგენა მის წინანდელ საზღვრებში. შეუპოვარი და ხან-გრძლივი ბრძოლის შემდეგ მან შესძლო ვანდალებისა და ოსტგუთთა სახელ-მწიფოების დანგრევა და, ამგვარად, ჩრდილოეთი აფრიკისა და იტალიის იმ-პერიის ხელში დაბრუნება (იხ. თავი III). ვესტგუთებს მან წაართვა ესპანე-თის სამხრეთი ნაწილი. ეს დაპყრობა მიღწეულ იქნა უდიდესი მსხვერპლის ფასად იმპერიის მოსახლეობის მხრივ, მაგრამ შემოერთებული პროვინციებიც საშინლად აკლებული იყო, და მათი მოსახლეობა განიცდიდა აუტანელ გაჭირვებას, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა ბიზანტიის ადმინისტრაციის განუკითხავი ძარცვა. ამასთან იუსტინიანეს ტერიტორიული მონაპოვრები არამყარი გამოდგა. სულ მალე მისი სიკვდილის შემდეგ ლანგობარდებმა ხელთ იგდეს იტალიის უდიდესი ნაწილი; დაკარგულ იქნა სამხრეთი ესპანე-თიც, რომელიც ვესტგუთებმა დაიბრუნეს.

თუ დასავლეთში იუსტინიანე, თუნდაც თვითონ ბიზანტიის საზიანოდ, წარმატების წარმატებაზე აღწევდა, აღმოსავლეთში, სადაც მას ბრძოლა უნდა

ეწარმოებინა ისეთ მძლავრ მოწინააღმდეგესთან, როგორიც იყო ირანის მეფე სასანიდთა დინასტიიდან ხოსრო ნუშირვანი, სამხედრო მოქმედება ბიზანტიელებისთვის მეტწილად არახელსაყრელად მიმდინარეობდა. იუსტინიანეს არაერთხელ მოუხდა დროებითი ზავის ყიდვა დიდი ხარჯის გაღების ფასად. თვითონ ირანთან ბრძოლა, უმთავრესად, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროებისათვის წარმოებდა. საჭირო გახდა ძალთა უდიდესი დაძაბვა, რათა ირანელებს ხელთ არ ჩაეგდოთ გასავალი შავ ზღვაზე, სადაც ბიზანტიას ჰქონდა მნიშვნელოვანი სავაჭრო ინტერესები. გარდა ამისა, იუსტინიანემ შესძლო შედარებით მტკიცედ დაემყარებია ბიზანტიის ბატონობა ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე, ხერსონესში, ბოსფორსა და შავიზღვისპირეთის სხვა მსხვილ სავაჭრო პუნქტებში. ირანის საფრთხე მომდევნო იმპერატორების დროსაც დიდხანს ემუქრებოდა ბიზანტიას და მით აიძულებდა მას დაებანდებინა აღმოსავლეთის საზღვრებზე დიდი სამხედრო ძალები და აეგო მრავალრიცხოვანი ციხე-სიმაგრეები. ვერც იუსტინიანემ, ვერც მით უმეტეს მისმა მემკვიდრეებმა ვერ შესძლეს ეხსნათ მესოპოტამიის, სირიის, სომხეთის და სხვა მოსაზღვრე ოლქები ირანელთა რეგულარულ შემოსევისაგან და მასთან დაკავშირებულ რბევა-აწიოკებისაგან.

იუსტინიანეს დროს ბიზანტიას საშიში მოწინააღმდეგე გაუჩნდა დუნაის საზღვრებზედაც — სლავები. თავდაპირველად ჰუნებთან, ავარებთან და სხვა თურქულ ტომებთან ერთად, შემდეგ კი დამოუკიდებლად სლავები მტკიცე თანდათანობით სძლევენ ბიზანტიის სასაზღვრო ჯარების და ციხე-სიმაგრეების წინააღმდეგობას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, არბევენ მიზიას, თრაკიას, ილირიკს, იჭრებიან შუაგულ საბერძნეთშიაც. VI საუკუნის დამლევიდან იწყება სლავების მიერ ბალკანეთის ნახევარკუნძულის სისტემატური კოლონიზაციაც, რასაც VII-VIII საუკუნეებში შედეგად მოჰყვა დიდი ცვლილებები მისი მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში.

იუსტინიანეს საშინაო პოლიტიკა და მისი საკანონმდებლო მოღვაწეობა. ენერგიულ საგარეო პოლიტიკის გატარებასთან ერთად იუსტინიანე დიდ ყურადღებას უთმობდა ადმინისტრატიულ რეფორმებს, კანონმდებლობას და საამშენებლო საქმიანობას. მის დროს გაჰყავდათ გზები, აგებდნენ ხიდებს, ციხე-სიმაგრეებს, შენობებს; ხელახლა იქნა აშენებული ხოსროს მიერ დანგრეული ანტიოქია; კონსტანტინეპოლში აგებულ იქნა წმ. სოფიას ტაძარი, რომელიც თავისი დროის არქიტექტურის სასწაულად ითვლება. ყველა ეს ძვირფასი, მაგრამ მეტწილად უსარგებლო ნაგებობანი უდიდეს სახსრებს მოითხოვდა. ომების წარმოებისათვის, სასახლის ფუფუნებით ცხოვრებისათვის და შენობათა ასაგებად ფულის ნაკლებობა ყოველთვის საგრძნობი იყო, ამიტომ გადასახადთა ტვირთი და მასთან ერთად მოხელეთა ბოროტმოქმედება განუწყვეტლივ იზრდებოდა.

სულ ახალახალ ფინანსიურ სახსრების ძებნასთან და ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად იუსტინიანე ცდილობდა განეხორციელებინა მდელი რიგი ადმინისტრატიული რეფორმები. მაგრამ ეს რეფორმები ოდა ამსუბუქებდა მასების მდგომარეობას და მიზანი თითქმის ყოველთვის მიუღწეველი რჩებოდა. მისი მეფობის ყველაზე შესანიშნავი მოვლენა იყო რომის

სამართლის კოდიფიკაცია. იგი შეგროვილ და სისტემატიზებულ იქნა მონუმენტალურ „სამოქალაქო სამართლის კრებულში“ (Corpus juris civilis). ეს უზარმაზარი შრომა განხორციელებულ იქნა სწავლულ იურისტთა სპეციალურ კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა იმპერატორის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მოხელე — ტრიბონიანი. „სამოქალაქო სამართლის კრებული“ შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან 1) „იუსტინიანეს კოდექსი“, რომელსაც სისტემაში მოჰყავდა ყველა წინანდელი რომის იმპერატორთა კანონები და რომელმაც შეცვალა მოძველებული „თეოდოსის კოდექსი“ (V ს.); 2) „დიგესტები“, ანუ „პანდექტები“ — ავტორიტეტული რომაელი იურისტების მოსაზრებათა და სამართლის ახსნა-განმარტებათა ვრცელი კრებული; 3) „ნოველები“, ე. ი. კოდექსის გამოცემის შემდეგ იუსტინიანეს მიერ გამოქვეყნებული ახალი კანონები. ამ სამ ნაწილს წინ უძღოდა საერთო შესავალი, რომის სამართლის თავისებური სახელმძღვანელო, — „ინსტიტუციები“.

„სამოქალაქო სამართლის კრებულის“ მნიშვნელობა დიდია და იგი ბიზანტიის ისტორიის ფარგლებს სცილდება. ამ ძეგლს მეოხებით რომის სამართალი, — „რამდენადაც ჩვენ ვიცით, ყველაზე სრულყოფილი ფორმა სამართლისა, რომელიც ემყარება კერძო საკუთრებას“,[1] — ცნობილი ხდება დასავლეთ ევროპისათვის; XII საუკუნიდან იგი შესწავლის საგნად იქცევა შუა საუკუნეთა უნივერსიტეტებში და თანდათანობით აძევებს ან ახლეს უცვლის ყოველ სახელმწიფოსა და ყოველ ოლქში მომქმედ საადათო ანუ ფეოდალურ სამართალს (ამ მოვლენას ეწოდება რომის სამართლის რეცეპცია). ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფოს მომქმედ სამართალს დღესაც საფუძვლად უდევს რომის სამართალი იმ სახით, რომლითაც იგი დაცულია იუსტინიანეს „კრებულით“.

იუსტინიანეს მეფობის შეფასება. იუსტინიანეს მეფობა, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, უაღრესად მძიმე და გამანადგურებელი იყო ფართო მასებისათვის. იუსტინიანეს დიდმპყრობელური პოლიტიკა მოითხოვდა ძალთა უჩვეულო დაძაბულობას, რომლის დამღუპველმა შედეგებმა უკვე მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იჩინეს თავი. მისმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ოპოზიციის წარმოშობას არა მხოლოდ ხალხთა მასებში, რომლებიც ძალიან ხშირად აწყობდნენ აჯახყებებს იმპერიის სხვადასხვა ნაწილში, არამედ სენატორული არისტოკრატიის რიგებშიც, რომელიც იმპერატორის სიცოცხლეში ყრუდ და გაუბედავად აცხადებდა უკმაყოფილებას. ამ არისტოკრატიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, პროკოფი კესარიელმა, რომელიც იუსტინიანეს სამეფო კარის ისტორიოგრაფის როლს ასრულებდა, მთელ რიგ ისტორიულ ნაწარმოებებში — „ნაგებობანი“, „ომები სპარსელებთან“, „ომები ვანდალებთან და გუთებთან“ და სხვ. შეაქო და სახელი გაუთქვა მის მეფობას. მაგრამ თავისი ნამდვილი განწყობილება და გრძნობები მან მხოლოდ თავის „საიდუმლო ისტორიაში“ გადმოშალა, რომელიც XVII საუკუნემდე უცნობი იყო. ამ ნაწარმოებში ულმო-

[1] მარქსი და ენგელსი, ანტი-დიურინგი, თხზ., ტ. XIV, გვ. 104.

ბელად არის მხილებელი იუსტინიანეს რეჟიმის მთელი სიდამპლე—სასამართლოს და ადმინისტრაციის მოშლა, მოხელეთა ანგარება და მექრთამეობა, არმიის დეზორგანიზაცია, ხალხის გაჩანაგება და გაღატაკება; ავტორი გააფთრებით ესხმის თავს თვითონ იმპერატორს და მის ცოლს თეოდორას, რომლის პირად ცხოვრებაზე ყოვლად ბინძურ ანეკდოტებს მოუთხრობს. მიუხედავად სურათის ცალმხრივობისა, რომელსაც ხატავს პროკოფი, და მრავალი ანეკდოტის საეჭვო წარმოშობისა, რომლებსაც ასაზრდოებდა ძველი, გადაშენების გზაზე მდგარი არისტოკრატიის სიძულვილი ბიზანტიის ტახტზე „ამძვრალ მეტიჩარებისადმი", საიდუმლო ისტორია წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს და გვიჩვენებს გარეგნულად ბრწყინვალე მეფობის პირუკუმხარეს.

ბიზანტია VII საუკუნეში. იუსტინიანეს უახლოესმა მემკვიდრეებმა (იუსტინ II, ტიბერიუსმა, მავრიკემ) სამემკვიდროდ მიიღეს ცარიელი ხაზინა, დაუძლურებული სახელმწიფო და უდიდესი სიძნელეები საგარეო პოლიტიკის დარგში, რომელთა დაძლევასაც ისინი ცდილობდნენ არმიის გაძლიერებისა და მასში დისციპლინის განმტკიცების გზით. მაგრამ მავრიკეს მიერ ამ მიმართულებით მიღებულმა გადამწყვეტმა ღონისძიებებმა გამოიწვია ჯარისკაცთა აჯანყება, რომელთაც სულს უხუთავდა ჯოხის დისციპლინა, მით უმეტეს, რომ ამასთან მატერიალურადაც არ იყვნენ უზრუნველყოფილნი. დედაქალაქის პლებეურმა მასებმა მხარი დაუჭირეს აჯანყებულებს, და მათმა წინამძღოლმა—ცენტურიონმა ფოკამ — იმპერატორის ოჯახის მოსპობის შემდეგ თვითონ დაიკავა ბიზანტიის ტახტი (602 წ.). მაგრამ მისი მმართველობა, რომელმაც სენატისა და მაღალ მოხელეთა მხრივ გააფთრებული ოპოზიცია გამოიწვია, ხანმოკლე იყო. იმპერიის პროვინციებში დაიწყო სამოქალაქო ომი, რაც გამოწვეულ იქნა საზოგადოების მაღალი ფენებისა და არმიის ნაწილის უარით დამორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. გლეხებმა და ქალაქის მოსახლეობის დაბალმა ფენებმა თავდაპირველად ფოკას მხარეზე მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში, შემდეგ მის წინააღმდეგ, როცა გამოირკვა, რომ ახალ მთავრობას არავითარი დადებითი პროგრამა არ მოეპოვება. ფოკას შდგომარეობა გართულდა ირანთან ომის განახლებით. ხოსროს ჯარები შეიჭრნენ სირიაში, მესოპოტამიასა და მცირე აზიაში. მაშინ სენატის პარტიამ იმპერატორად წამოაყენა აფრიკის ეკზარხოსი (ნაცვალი) ჰერაკლე. ფოკა დამარცხებულ იქნა და იგი სიკვდილით დასაჯეს (610 წ.). მაგრამ ხალხის მღელვარება არ სცხრებოდა. ამან გაუადვილა ირანელებს სირიისა და ეგვიპტის უმნიშვნელოვანესი ცენტრების დაპყრობა. იმავდროულად ავარები და სლავები იმპერიას აცლიან უზარმაზარ ოლქებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ვესტგუთებმა განდევნეს ბიზანტიელები ესპანეთიდან, ლანგობარდებმა კი გაავრცელეს და გააფართოვეს თავისი დაპყრობები იტალიაში.

მაგრამ ჰერაკლემ ეკლესიისგან აღებული დიდი სესხის შემწეობით მოახერხა მოეხდინა არმიის რეორგანიზაცია, მიემხრო ამიერკავკასიის ეროვნებანი (სომხები, იბერები, ლაზები და ა. შ.) და იმპერიის ყველა ძალთა არნახული დაძაბვით უკუეგდო ავარებისა და ირანელების თავდასხმა კონსტანტინეპოლზე, შემდეგ კი თვითონ გადასულიყო შეტევაზე ირანის წინააღმდეგ. ხოსროს

სრული დამარცხება განიცადა 627 წელს; იგი ტახტიდან გადმოგდებულ და მოკლულ იქნა. ბიზანტიამ აღადგინა თავისი საზღვრები აღმოსავლეთში.

ეკლესიის მიმართ ვალის დასაფარავად ჰერაკლემ სულერთიანად გაძარცვა ირანელების მიერ დაბრუნებული ტერიტორიები; ეკლესიის დასაკმაყოფილებლად მან აგრეთვე განაახლა მწვალებელთა და ებრაელთა სასტიკი დევნა. ყოველივე ამან ჰერაკლეს მეფობა იმდენად საძულველი გახადა, რომ სირიის, პალესტინის, ეგვიპტის მოსახლეობა, როგორც მხსნელს, ისე შეეგება ბიზანტიის ახალ საშინელ მტერს—არაბებს. 634 წლიდან არაბები იპრებიან სირიაში; ქალაქები ერთიმეორეზე უღებენ მათ კარს. 636 წელს ბრძოლაში მდინარე იარმუკზე მათ გაანადგურეს ბიზანტიელთა ძირითადი სამხედრო ძალები. 642 წლისათვის მათ ხელში იყო უკვე მთელი სირია პალესტინითურთ და ეგვიპტე. ბიზანტია ჰკარგავს ყველა ახალ სამფლობელოს აგრეთვე ჰერაკლეს სიკვდილის შემდეგაც (641 წ.). მხოლოდ კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ არაბების მარცხით დამთავრებული საზღვაო ექსპედიციის შემდეგ 673 წელს მდგომარეობა აღმოსავლეთში რამდენადმე სტაბილიზებულ იქნა. მაგრამ საუკუნის დამლევს ბიზანტიამ საბოლოოდ დაჰკარგა სომხეთი, ლაზიკა და მთელი ჩრდილოეთი აფრიკა.

ბალკანეთის ნახევარკუნძულის სლავიანიზაცია. იმპერიის სამხედრო ძლიერების დაცემა VII საუკუნეში და ხალხთა მასების აჯანყებები, რაც არყევდა ცენტრალურ ხელისუფლებას, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა სლავებს სულ უფრო და უფრო ფართოდ შეეჭრისათვის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. უკვე VI საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან სლავების შემოსევა განუწყვეტლივ წარმოებს. თავდაპირველ სათარეშო თავდასხმებს, სცვლის სლავური კოლონიზაციის ტალღები, რითაც გამოიდევნა თრაკია-ილირიის მოსახლეობა ჯერ მეზიიდან, შემდეგ თრაკიიდან და მაკედონიიდან.

მეზია, თრაკია და მაკედონია მალე იმდენად დასახლებული აღმოჩნდნენ სლავებით, რომ ბიზანტიელი მწერლები ამ ოლქებს უკვე ს ლ ა ვ ი ნ ი ა დ იხსენიებენ. სლავთა ნაკადი სულ უფრო და უფრო სამხრეთისაკენ, პელოპონესისაკენ მიედინება, ნაწილობრივ ნთქავს, ნაწილობრივ ზღვისკენ მიერეკება ელინურ ელემენტებს. VII საუკუნის პირველ ნახევარში სლავების მიერ დასახლებული იქნა ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი ოლქებიც, რომლებიც მანამდე ავარებმა გაანადგურეს. აქ დამკვიდრდნენ ხორვატების და სერბების სახელწოდებით ცნობილი ტომები. პირველთ დაიკავეს ჩრდილო-დასავლეთი კუთხე მდინარე სავიდან ჩრდილოეთით; მეორენი დასახლდნენ უფრო აღმოსავლეთით, იმ ტერიტორიებზე, რომლებიც შემდეგში ცნობილ იქნენ, როგორც ბოსნია, ჰერცეგოვინა, ჩრდილოეთი ალბანია, ჩერნოგორია და საკუთრივ სერბია. ხორვატები და სერბები, მრავალი საუკუნის განმავლობაში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადასახლების შემდეგ, ცოტად თუ ბევრად განკერძოებულ ტომურ ერთეულებად ე უ პ ე ბ ა დ ცხოვრობდნენ. ითვლებოდნენ ბიზანტიის მოკავშირეებად, სცნობდნენ მის უზენაეს ხელისუფლებას, მაგრამ ფაქტიურად დამოუკიდებელი იყვნენ. IX საუკუნეში სერბთა ეუპების უმრავლესობა ბულგარეთს ემორჩილებოდა. მხოლოდ XII საუკუნის შუახანე-

ბიდან ხდება ამ ჟუპების გაერთიანება და სერბთა სახელმწიფოს წარმოშობა. ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქების სლავური ტომები კი, როგორც ჩვენ შემდეგში დავინახავთ, VII და VIII საუკუნის დამლევს გაერთიანებულ იქნენ ბულგართა თურქულ ტომთან, რომელიც სწრაფად გაითქვიფა სლავურ წრეში, და მათ მიერ შეიქმნა პირველი დიდი სამხრეთ სლავური სახელმწიფო — ბულგარეთი. რაც შეეხება პელოპონესისა და საბერძნეთის სხვა ოლქების სლავებს, ისინი, თავის სატომო მასას ჩამოცილებულნი, ბოლოს და ბოლოს ელინიზებული შეიქმნენ, ნაწილობრივ ამ მიმართულებით ბიზანტიის მთავრობის გეგმაშეზომილი მოღვაწეობის შედეგად.

იმპერიის სოციალური და სამხედრო წყობილების განახლება VII—VIII საუკუნეებში. მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო ბიზანტიის ტერიტორიაზე შეჭრილ სლავთა ტომების შემდგომი ხვედრი, მათ, დასავლეთში მყოფ გერმანელებისაგან განსხვავებით, იმპერია არ გაუნადგურებიათ.

პირიქით, როდესაც მათ ფეხი მოიდგეს მის ტერიტორიაზე მიწის მუშებისა და მესაქონლეების სახით, პირველ ხანებში ბიზანტიას ახალი სასიცოცხლო ძალები შთაბერეს, გაამრავლეს თავისუფალი გლეხობის კადრები და თემური ურთიერთობა დანერგეს. სლავთა მასებმა VII და, განსაკუთრებით, VIII საუკუნეში იმპერიას მისცეს გადასახადების გადამხდელთა და მებრძოლთა ახალი კონტინგენტები, რომლებმაც გარდაქმნეს ბიზანტიის არმია და საშუალება მისცეს ბიზანტიას წინანდელზე უფრო ძლიერი გამოსულიყო იმ ქარტეხილიდან, რასაც ადგილი ჰქონდა VII საუკუნეში. სლავური თემის მნიშვნელობას მოწმობს „სამიწათმოქმედო კანონი“ — ეს, ალბათ, VIII საუკუნის ძეგლი. აქ კოლონებისა და ყმა გლეხების ხსენებაც არ არის; გლეხებს თავისუფალი გადასვლის უფლება აქვთ; იმ მიწის მესაკუთრეს, რომელზედაც ისინი მეურნეობას ეწევიან, მოსავლის ნაწილს უხდიან. გლეხები მოწყობილი არიან თემებად, რომლებიც, მართალია, უზომო ექსპლოატაციას განიცდიან ბიზანტიელ ხელისუფალთა მხრივ, მაგრამ თავისუფლების მნიშვნელოვან ელემენტებს ინარჩუნებენ. წვრილ გლეხურ მეურნეობათა ამ ახალი მასის ბაზაზე ბიზანტიის მთავრობამ შესძლო შეექმნა ს ტ რ ა ტ ი ო ტ თ ა ძლიერი სამხედრო მსახურეული წოდება. სტრატიოტები, რომლებსაც დაურიგეს სხვადასხვა ღირებულების მიწის ნაკვეთები, ვალდებული იყვნენ ემსახურათ არმიაში ან ფლოტში, ამასთან მათ ანაწილებდნენ თანრიგებად იმის მიხედვით, თუ რამდენ მიწას ფლობდნენ ისინი. მათ ათავისუფლებდნენ სახელმწიფოსათვის ნატურალური გადასახადებისაგან, მაგრამ ყველას თანაბრად იხდიდნენ მიწის გადასახადს.

იმპერიის სოციალური წყობილების განახლებასთან ერთად იცვლება მისი ადმინისტრატიული ორგანიზაციაც. ადგილებზე მთავრობის ხელისუფლებას განამტკიცებენ სამხედრო-ადმინისტრატიული სისტემის მეოხებით, რომელსაც თ ე მ ი ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ეწოდა. დიოკლეტიანესა და კონსტანტინეს რეფორმებით შემოღებულ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთა დაყოფას ბოლო ეღება VII საუკუნეში დამყარებული ახალი წესით, რომლის დროსაც მთელი ძალაუფლება ოლქში სამხედრო უფროსის ხელში ექცევა, რომელიც არის თ ე მ ი ს, ე. ი. რაზმის, ანუ, უფრო ზუსტად, — ამა თუ იმ

ოლქში მდგომ სამხედრო რაზმის ბირთვის მეთაური. ამ ბირთვის გარშემო ირაზმებიან სამხედრო სამსახურში გაწვეული სტრატიოტები, რომლებსაც აქ თავისი ნაკვეთები აქვთ. ამიტომ თვითონ ოლქსაც, როგორც სამხედრო-ადმინისტრატიულ ერთეულს, თემს უწოდებენ. თემის სამხედრო ძალებს, ბუნებრივია, უპირატესად თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ისავრიელთა დინასტიის ეპოქა. ხატმებრძოლეობა. ეს რეფორმები შეუმჩნევლად ტარდებოდა და არ შეიძლება ისინი მიეწეროს რომელიმე გარკვეული იმპერატორის საკანონმდებლო მოღვაწეობას. მათმა დადებითმა მნიშვნელობამ განსაკუთრებულის ძალით იჩინა თავი VIII საუკუნეში, როცა ხელისუფლების სათავეში მოექცა ისავრიელთა დინასტია.

VII საუკუნის დასასრული და VIII საუკუნის დასაწყისი — ეს იყო განუწყვეტელი ანარქიისა და სასახლის გადატრიალებათა ხანა. 22 წლის განმავლობაში ექვსი იმპერატორი გამოიცვალა. სწორედ ამ დროს ფეხს იკიდებს და მტკიცდება ჩვეულება — რომ ჩამოგდებულ იმპერატორს მოსჭრან ცხვირი ანდა დასთხარონ თვალები, რათა შეუძლებელჰყონ მისი კვლავ ტახტზე დაბრუნება. ანარქიის პერიოდში არაჩვეულებრივად გაძლიერდა საფრთხე არაბების მხრივ. ბიზანტიას კვლავ დაღუპვა ემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში მოექცა ხელისუფლების სათავეში ლეონ III (717—741 წწ.), წარმოშობით ისავრიელი (მცირე აზია), რომელიც მცირე აზიის ერთ-ერთი თემის ახალმა სამხედრო მოსამსახურე დიდკაცობამ წამოაყენა, იმ თემის, სადაც იგი ს ტ რ ა ტ ე გ ა დ, ე. ი. სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის მეთაურად იყო.

ლეონ III თავისი მოღვაწეობის დაწყება მოუხდა არაბებისაგან კონსტანტინეპოლის დაცვით, რომელთაც დედაქალაქს ალყა შემოარტყეს, როგორც ხმელეთით, ისე ზღვით. ჯერ კიდევ არაბთა მიერ წინანდელი გარემოცვის დროს, 687 წელს, ალყაშემორტყმულთ არსებითი დახმარება გაუწია ბიზანტიაში გამოგონილმა თოფისწამლის შემადგენლობამ, ეგრეთწოდებულმა ბერძნულმა ცეცხლმა, რომელიც წყალზედაც იწვოდა. 717-718 წწ. ლეონ III შესძლო ბერძნული ცეცხლის შემწეობით არაბთა ფლოტის მნიშვნელოვანი ნაწილის დაწვა, შემდეგ კი მათი დანარჩენი ძალების განადგურება.

მაგრამ ის გარემოება, რომ ბიზანტია მრისხანე საფრთხეს გადაურჩა, სრულიადაც არ სპობდა ძირეული რეფორმების აუცილებლობას. ამ აუცილებლობას მშვენივრად გრძნობდნენ თვითონ მმართველი წრეები, რომლებიც დაშინებული იყვნენ მრავალი წლის ანარქიით და ტერიტორიული დანაკლისით, რაც ბიზანტიამ განიცადა. ისავრიელთა დინასტიის რეფორმატორული საქმიანობის წარმატება გაპირობებული იყო იმ არსებითი ცვლილებებითაც, რომლებიც მოხდა გაბატონებული კლასის შემადგენლობაში. VIII საუკუნეში ძველი ტიპის მსხვილი საერო მიწათმფლობელობა თითქმის სავსებით დაშლილი იყო. გლეხური თემიდან გამოიყოფიან ახალი მიწათმფლობელები — ძ ა ლ ო ვ ა ნ ნ ი, ანუ დ ი ნ ა ტ ე ბ ი, რომლებიც ფეოდალური ტიპის მტკიცე მეურნეობებს აყალიბებენ, ამრგვალებენ და აფართოებენ თავის სამფლობელოებს გლეხთა და სტრატიოტთა მიწის ნაკვეთების შეძენის გზით. ამ წრესთან მჭიდროდ დაკავშირებულია ახალი სამხედრო მოსამსახურე დიდკაცობაც. გაბატონებული კლასის ეს ახალი ელემენტები მტრულად უყურებდნენ უმალ-

ლეს სამღვდელოებას და ბერ-მონაზვნობას, რომელთაც შეინარჩუნეს და გაამრავლეს კიდევაც თავისი ადგილ-მამული. VII საუკუნეში დაახლოებით საუკეთესო მიწების ნახევარი მოქცეული იყო ეკლესიისა და მონასტრების ხელში. ამასთან სამონასტრო მიწათმფლობელობა პრივილეგიანი იყო. იმპერატორები უხვად აჯილდოებდნენ მონასტრებს სიგელებით, რაც მათ სხვადასხვა ბეგარისა და გადასახადებისგან ანდაგისუფლებდა (ეგრეთწოდებული ექსკუსია, რაც დასავლეთ ევროპის იმუნიტეტს უდრის). საეკლესიო სამონასტრო მიწათმფლობელობის უჩვეულო ზრდა სახელმწიფოს აუძლურებდა, ართმევდა მას მნიშვნელოვან ეკონომიურ რესურსებს და აიძულებდა გაეძლიერებინა საერო და კერძოდ სტრატიოტული მიწათმფლობელობის გადასახადებით დაბეგვრა.

ბუნებრივია, რომ ახალი დიდკაცობის მიერ დაყენებულმა ისავრიელმა იმპერატორებმა ეკლესიას მიაშურეს იმ სახსრების გამოსანახად, ურომლისოდ როგორც სამხედრო, ისე ადმინისტრატიული რეფორმა შეუძლებელი იყო. მთავრობის ბრძოლამ სამონასტრო მიწათმფლობელობისა და პრივილეგიების წინააღმდეგ მიიღო ხატისმებრძოლეობის ხატის თაყვანისმცემლობის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმა. მონასტრები ხატების წარმოების ცენტრები იყო და განსაკუთრებით დიდი შემოსავალი ჰქონდათ მლოცველთა მასებისგან, როდესაც ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საპატიო ხატების თაყვანისცემად მიდიოდნენ. ამგვარად, იმპერატორ ლეონის ედიქტი ხატისთაყვანისცემის წინააღმდეგ გამანადგურებელი ლახვარი იყო მონასტერთა შემოსავლისა და ძლიერებისათვის.

თავისი ხატისმებრძოლეობის პოლიტიკისათვის მთავრობას სხვა საფუძვლებიც ჰქონდა. ხალხთა მასებს შორის, განსაკუთრებით მცირე აზიაში, არსებული მჩაგრავი წყობილების ოპოზიციის ნიადაგზე ფართო გავრცელება ჰპოვა პავლიკიანელთა მწვალებლობამ, რომელიც სახეცვლილებას წარმოადგენდა მანიქეველთა დუალისტური მოძღვრებისა, ბოროტების ბატონობის შესახებ ნივთიერ სამყაროში. პავლიკიანები ეკლესიის კულტის, კერძოდ ხატისთაყვანისცემის, მოწინააღმდეგენი იყვნენ. ასევე არაბებიც, რომელთა სამხედრო წარმატებანი დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა მასებზე, ხატების კულტს ისე უყურებდნენ, როგორც კერპთთაყვანისმცემლობას. ამ კულტის ლიკვიდაციით ბიზანტიის მთავრობა სთვლიდა, რომ იგი სწმენდს ეკლესიას ცრუმორწმუნეობისაგან და მით განამტკიცებს მის პოზიციებს სხვადასხვა სახის მწვალებლობასთან და ისლამთან ბრძოლაში.

მაგრამ ბერები მთავრობის ამ ღონისძიებამ მეტისმეტად აღაშფოთა. მათ დაიწყეს გააფთრებული აგიტაცია ლეონ III წინააღმდეგ და თავისი გავლენა მასებზე ამ უკანასკნელთა ასამხედრებლად და აჯანყებათა მოსაწყობად გამოიყენეს. როდესაც მთავრობამ ეს აჯანყებები ჩაქრო, მან ხელი მიჰყო მონასტრების სისტემატურ მოსპობას: მონასტერთა შენობებს ყაზარმებად აქცევდნენ, თვითონ ბერებს თვალების დათხრის ან სიკვდილით დასჯის მუქარით აიძულებდნენ დაქორწინებულიყვნენ, სამონასტრო მიწებს კონფისკაციას უშვრებოდნენ. მონასტერთა სამფლობელოები და სხვა სიმდიდრენი ხელთ

იგდო სამხედრო მოსამსახურე დიდაცობამ, ნაწილობრივ კი მათგან სტრატიოტთა მიწის ახალი ნაკვეთები შეიქმნა.

ლეონ III და მისი შვილი და მემკვიდრე კონსტანტინე V (740—775 წწ.) შეუბრალებლად უსწორდებოდნენ ბერ-მონაზონთა ოპოზიციას აღმოსავლეთ პროვინციებში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მაგრამ მათ ვერ შესძლეს თავიდან აეცილებინათ რომისა და სხვა სამფლობელოებს ჩამოშორება იტალიაში, რომლებიც, თუმცა ნომინალურად, ემორჩილებოდნენ ბიზანტიას. რომის პაპმა მკაცრად გაილაშქრა ხატისმებრძოლობის წინააღმდეგ, შეაჩვენა ხატისმებრძოლები და ისარგებლა ამ საბაბით ბიზანტიის ადმინისტრაციის ლიკვიდაციისათვის რომის დუკატში.

ისავრიელ იმპერატორთა სხვა რეფორმები. ისავრიელ იმპერატორთა ცდა მიმართული იყო იქით, რათა მოეწესრიგებინათ ძველი კანონმდებლობა და უკეთ შეეფარდებინათ იგი ახალ სოციალურ ურთიერთობასთან. ამისათვის მათ გამოსცეს „კ ა ნ ო ნ თ ა ე კ ლ ო გ ა“, სამოქალაქო და სისხლის სამართლის მოკლე კრებული, რომელიც „იუსტინიანეს კოდექსის“ გადამუშავებასა და გამარტივებას წარმოადგენდა. სიკვდილით დასჯას ახალ სამართლის წიგნში, როგორც წესი, სცვლის სხეულის დასჯა და ასოთდაზიანება. ეკლოგა მიზნად ისახავს ოჯახის, განმტკიცებას, რისთვისაც დაბრკოლებებს უქმნის განქორწინებას და კრძალავს ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას. შემდეგ, რეფორმები შეეხო არმიას და ფლოტს, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ისავრების მიერ გამოქვეყნებულ „სამხედრო კანონსა“ და „საზღვაო კანონში“. თემური წყობილება საბოლოოდ ჩამოყალიბდა და გავრცელებულ იქნა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. პირიქით, ფლოტი, სადაც ძლიერი ოპოზიცია იყო ხატისმებრძოლობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რიცხობრივად შემცირებულ და დასუსტებულ იქნა. შემდეგში ამან გამოიწვია ტერიტორიების შემდგომი დაკარგვა დასავლეთში.

მაგრამ ბიზანტიის სამხედრო ძლიერება საერთოდ ძალიან გაიზარდა: მიღწეულ იქნა წარმატებები არაბებთან ბრძოლაში, რომლებიც განდევნილ იქნენ მცირე აზიიდან და ეგეოსის ზღვის კუნძულიდან; სიცილია და იტალიის სამხრეთი ნაწილი პაპის საეკლესიო მმართველობას ჩამოსცილდნენ და უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ ბიზანტიას; დიდი გამარჯვება იქნა მოპოვებული ბულგარებზე და ევროპის თემებში. მათი ახალი შემოსევის შესაძლებლობა ძლიერ გაძნელდა იმის გამო, რომ პავლიკიანელები მასობრივად გადასახლებულ იქნენ მცირე აზიიდან მოსაზღვრე ოლქ თრაკიაში, სადაც მათ მიიღეს სამხედრო ნაკვეთები.

თომა სლავის აჯანყება. VIII საუკუნეში ბიზანტია საერთოდ უფრო ძლიერ და ჯანსაღ პოლიტიკურ ორგანიზმად იქცა. მოსახლეობის კეთილდღეობამ იმატა. დედაქალაქსა და სხვა მსხვილ ცენტრებში ეაჭრობა-მრეწველობამ აყვავების მაღალ დონეს მიაღწია. IX საუკუნიდან შემორჩენილი ძეგ-

ლი „ეპარქის წიგნი“ (ეპარქი — დედაქალაქის უფროსის მაგვარი) გვიხატავს. ხელოსნური წარმოების ორგანიზაციას კონსტანტინეპოლში და მთავრობის ახირებულ კონტროლს ვაჭართა და ხელოსანთა საქმიანობაზე. ეპარქის ხელქვეითი განსაკუთრებული მოხელეები კონტროლს უწევენ საქონლის ფასსა და ხარისხიანობას, აწესრიგებენ შემოზიდვა-გაზიდვას, თვალყურს ადევნებენ მოსულ ვაჭრებს, ახდევინებენ ბაჟს, რაც ადიდებს ხაზინის შემოსავალს. ამ კონტროლს არ შეეძლო ხელი შეეშალა სახელმწიფოს საერთო განმტკიცების წყალობით ბიზანტიაში სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის დიდი გამოცოცხლებისათვის.

მაგრამ გლეხების მდგომარეობა რეფორმების შედეგად როდი გაუმჯობესდა. გადასახადთა ტვირთი, რომელიც მათ აწვა, რამდენადმე კიდეც გადიდდა. უფრო მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს სოციალური და ეკონომიური უფსკრულის გაღრმავება წვრილ გლეხებსა და დინატებს შორის. უკანასკნელები სულ უფრო და უფრო უქვემდებარებენ თავის გავლენას გლეხურ მეურნეობებს და აძლიერებენ გლეხთა ექსპლოატაციას; გლეხებს ამ ეპოქაში საკანონმდებლო და სხვა ძეგლებში დამახასიათებელ სახელს უწოდებენ — უ ბ ა დ რ უ კ ე ბ ს. განსაკუთრებით შევიწროებული იყვნენ სლავი ახალმოსახლენი. IX საუკუნის დამდეგს ისინი აჯანყდნენ პელოპონესზე. მაგრამ გლეხთა მასების მოძრაობა ყველაზე მეტად ვითარდება 821-823 წლებში, როდესაც ის მძლავრ აჯანყებად იქცევა თემმა სლავის მეთაურობით. თომამ, ერთ-ერთმა სამხედრო მეთაურმა მცირე აზიის თემში, თავის თავი იმპერატორად გამოაცხადა და, ბიზანტიელი მემატიანეს თქმით, „მონები აამხედრა ბატონების წინააღმდეგ, უბრალო მეომრები მათი უფროსების წინააღმდეგ.“ მცირე აზიის მრავალტომიანი მოსახლეობა, და სტრატიოტები მას მხარს უჭერდნენ, მით უმეტეს, რომ მან გააუქმა გადასახადები. როცა მაკედონიასა და თრაკიაში გადავიდა, თომამ სლავების მხრითაც ყოველმხრივი მხარდაჭერა ჰპოვა. მეთაურობდა რა გლეხებისა და სტრატიოტებისაგან შემდგარ მრავალრიცხოვან არმიას, თომას კონსტანტინეპოლი მთელი წლის განმავლობაში ალყა შემორტყმული ჰყავდა. მთავრობამ დიდის გაჭირვებით ჩააქრო ეს აჯანყება, ისიც ბულგართა შემწეობით. თომა ტყვედ იქნა წაყვანილი, და იგი სიკვდილით დასაჯეს (823 წ.), მისი მიმდევრები აქა-იქ კიდევ განაგრძობდნენ ბრძოლას 825 წლამდე, სანამ საბოლოოდ არ იქნენ გაფანტული ან დახოცილნი.

ხატისთაყვანისმცემლობის აღდგენა. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გლეხების მდგომარეობა უარესდება. წვრილ მეურნეობათა გაღატაკებისა და მსხვილ მიწათმფლობელობის ზრდის პროცესი კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. მაგრამ დაბალი ფენების მრისხანე აბობოქრებამ 821 — 825 წლებში მთავრობა ძლიერ დააშინა. მან, ერთი მხრივ, რამდენადმე შეამსუბუქა გადასახადთა ტვირთი, მეორე მხრივ — მოიწადინა მოეხდინა ლიკვიდაცია ეკლესიაში შექრილი განხეთქილებისა, რომელიც გამოწვეული იყო ხატისმებრძოლობის პოლიტიკით, და ამნაირად გაემაგრებინა გაბატონებული კლასის პოზიციები.

ხატისთაყვანისმცემლობის აღდგენის ცდებს წინათაც ჰქონდა ადგილი (მაგალითად, დედოფალ ირინეს დროს VIII ს. დამლევს), მაგრამ მობრუნებამ საეკლესიო პოლიტიკაში მხოლოდ მაშინ ჰპოვა მტკიცე ნიადაგი, როცა სამხედრო მსახურეულ დიდკაცობას სამონასტრო მიწათმფლობელობისა და პრივილეგიების პრობლემა უკვე აღარ აინტერესებდა. IX საუკუნეში, როცა ბერ-მონაზვნობის ეკონომიური და სოციალური ძლიერება უკვე შერყეული იყო, ხოლო მისი გავლენა და ადგილმამულის სიმდიდრე მეტწილად ახალ სამხედრო მსახურეულ დიდკაცობის ხელში გადავიდა, ხატის მებრძოლობა უკანასკნელისათვის არამც თუ ზედმეტი, საზიანოც კი შეიქნა, ვინაიდან ის მტრულ პარტიებად სთიშავდა გაბატონებულ კლასს. 843 წელს დედოფალმა თეოდორამ, რომელიც თავისი მცირეწლოვანი შვილის მიხეილ III მაგიერ მართავდა სახელმწიფოს (842 — 867 წწ.), სრულიად იოლად აღადგინა „მართლმადიდებლობა“ და ხატისთაყვანისმცემლობა. მთავრობისა და ერისკაცობის შერიგება ბერ-მონოზვნობასთან განმტკიცებულ იქნა პავლიკიანთა სასტიკი დევნით, რომელთა ჭნიშვნელოვანი ნაწილიც ფიზიკურად განადგურდა. მრავალმა პავლიკიანმა თავს უშველა გაქცევით და ბულგარებთან გადასვლით, რომელთა შორის ისინი შემდეგში ბოგომილების სახელით გამოდიან.

ბულგარეთის პირველი სამეფოს წარმოქმნა. ბულგართა გაქრისტიანება. ამ დროისათვის დუნაისა და ბალკანეთის მთებს შორის (ძველი მეზია) უკვე ჩამოყალიბდა პირველი სლავური სახელმწიფო ბალკანეთში — ბულგარეთი.

სლავურმა ტომებმა საბოლოოდ დაიკავეს ეს ტერიტორია უკვე VII საუკუნისათვის. თვითეული სატომო ერთეულის (ე უ პ ი ს) სათავეში იდგნენ ე უ პ ა ნ ე ბ ი, რომლებსაც გვაროვნული დიდკაცობა ნიშნავდა. სლავები მიწათმოქმედებას მისდევდნენ და კარგად იცნობდნენ სხვადასხვა ხელობას: ხეზე ამომჭრელობა, ხის არქიტექტურა, ლითონების დამუშავება — ასეთია სხვადასხვა სახე ხელობისა, რომელმაც სლავებს შორის უდიდესი განვითარება ჰპოვა.

მათგან ჩრდილოეთით, დუნაის იქით (ახლანდელი ბესარაბიის სამხრეთ კუთხეში), ცხოვრობდნენ ბულგარები — როგორც სჩანს, თურქულ-თათრული წარმოშობის ტომი. ესენი იყვნენ ადგილმაცვალი მესაქონლეები, რომლებიც თავისი ყოფაცხოვრებით ჰუნებს მოგვაგონებდნენ. მათი ბელადი, ისე რორგორც თურქულ-თათრული ენობრივი ჯგუფის ყველა ტომთა ბელადები, ხ ა კ ა ნ ა დ ანუ ხ ა ნ ა დ იწოდებოდა. ბელადს გარს ეხვია სამხედრო გვაროვნული არისტოკრატია (შემდეგში — ბ ო ი ა რ ე ბ ი), რომელიც, როგორც სჩანს, ექსპლოატაციას უწევდა, გარდა მონებისა, მისგან დამოკიდებულ ადამიანებს — მწყემსებს.

679 წელს ბულგართა ურდოს ყაენმა ასპარუხმა დაამარცხა ბიზანტიელები, რომელთა სამფლობელოებს ის ჯერ კიდევ წინათ არბევდა, და აიძულა ისინი დაეთმოთ მის ურდოსათვის მეზია მისი სლავური მოსახლეობით. ვინაიდან დამპყრობნი საგრძნობ უმცირესობას შეადგენდნენ და მასთან თავისი კულტურით გაცილებით დაბლა იდგნენ სლავებზე, ამიტომ ისინი ძალიან მალე გაითქვიფნენ უკანასკნელთა შორის. უკვე IX საუკუნის დამლევს მათ დაჰკარგეს თავისი ენა და ტომობრივი თავისებურებანი. ამას ხელს უწყობდა ის

გარემოებაც, რომ სლავი ჟუპანები ჩარიცხულ იქნენ ბულგართა დიდკაცობის ბოიართა შემადგენლობაში, რომლებთან ერთად მათ მიიღეს ვრცელი მიწები. ამ მიწების დამოკიდებული მშრომელი მოსახლეობა თანდათანობით ყმა-გლეხებად იქცევა, რასაც ბიზანტიური წესების გავლენამ საგრძნობლად შეუწყო ხელი. ასე წარმოიქმნა ნახევრად ბარბაროსული, ნახევრადფეოდალური სახელმწიფო, წმინდა სლავური თავისი მოსახლეობით, რომელმაც მხოლოდ თავის სახელწოდებაში — ბულგარეთი — შეინარჩუნა თავისი წარმოშობის ქვალი ბულგართა აღმოსავლეთის ტომის მიერ მიზიის დაპყრობის შედეგად.

ბულგართა სწრაფმა გასლავებამ გაუადვილა ბულგართა ყაენებს მეზობელ ტერიტორიების — თრაკიისა და მაკედონიის — შემოერთება. ბიზანტიის ამ პროვინციების სლავური მოსახლეობა IX-X საუკუნეების ომებში ბიზანტიელებსა და ბულგარებს შორის განუხრელად მხარს უჭერდა ამ უკანასკნელთ. უკვე IX საუკუნის დამდეგს ყაენმა კრუმმა ამის მეოხებით მთელი რიგი გამარჯვებანი მოიპოვა ბიზანტიელებზე და კონსტანტინეპოლამდე მიაღწია. ერთმა მისმა უახლოესმა მემკვიდრემ, ბორისმა (852 — 888), გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლას მაინც ამჯობინა ამ ქვეყანასთან მტკიცე კულტურული კავშირის დამყარება იქიდან ქრისტიანობის მიღების გზით. გაქრისტიანებას უნდა დაეჩქარებინა აგრეთვე გვაროვნულ ურთიერთობათა დაშლის პროცესი და მასთან ერთად გაცილებით მაღლა დაეყენებინა ყაენის ცენტრალური ხელისუფლება ბოიარობაზე.

ბორისი და ბულგართა მეტი ნაწილი მოინათლა 864 თუ 865 წელს და იმავდროულად ბორისმა მეფის ტიტული მიიღო. მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ბულგარეთს მოედვნენ ბერძენთა მღვდლები, რომლებიც ბიზანტიის პოლიტიკურ გავლენას ატარებდნენ ბულგარეთში და მასთან კონსტანტინეპოლის მთავრობის პირდაპირ აგენტებს წარმოადგენდნენ, ბორისი აიძულა კავშირი გაება რომის პაპთან, რომლისგანაც ის იმედოვნებდა მეტი დამოუკიდებლობა მოეპოვებინა ბულგარეთის ეკლესიისათვის.

ეს შეიქნა კონსტანტინეპოლის პატრიარქ ფოტიუსსა და პაპის ნიკოლოზ I შორის ურთიერთობის გამწვავების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მიზეზი. საქმე იქამდე მივიდა, რომ კავშირის დროებითი გაწყვეტაც კი მოხდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის (ბიზანტიის) ეკლესიებს შორის. თუმცა ფოტიუსი გადაყენებულ იქნა პატრიარქის ტახტიდან იმპერატორ ბასილ I მაკედონელის მიერ, მაინც ბიზანტიის ეკლესიამ, რომელიც მნიშვნელოვან დათმობაზე დაეთანხმა ბორისს, განამტკიცა თავისი პოზიციები ბულგარეთში: იქ დანიშნულ იქნა განსაკუთრებული მთავარეპისკოპოსი, რომელმაც კონსტანტინეპოლის პატრიარქის შემდეგ პირველი ადგილი დაიკავა ბიზანტიის სასულიერო იერარქიაში.

ქრისტიანობის გავრცელებამ ბულგარეთში წარმართული რეაქციის ცდა გამოიწვია ბოიარობის იმ ნაწილში, რომელიც თავის ძველ პრივილეგიებს იცავდა და მტრულად იყო განწყობილი ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. მეფე ბორისი სასტიკად გაუსწორდა მოჯანყე ბოიარებს: ყველა ისინი თავიანთი ცოლებითა და ბავშვებით სიკვდილით დასაჯა.

სიმონ მეფე. ბორისის შვილის სიმონის დროს (893 — 927) ბულგარეთის პირველი სამეფო აყვავების უმაღლეს დონეს აღწევს. კონსტანტინეპოლში აღზრდილი სიმონი დიდად აფასებდა ბიზანტიის კულტურას. მორავიიდან დევნილმა კირილესა და მეთოდეს მოწაფეებმა მის კარზე ჰპოვეს თავშესაფარი და მოღვაწეობის ფართო სარბიელი. მათი წყალობით ბულგარეთში იწყება ბერძნული წიგნების სლავურ ენაზე თარგმნა, ჯერ რელიგიურის, შემდეგ კი საერო შინაარსისაც. მთარგმნელის და ნაწილობრივ ავტორის სახით სიმონის დროს ცნობილია იოანე, ბულგარეთის ეკზარქოსი, რომელსაც, სხვათა შორის, ეკუთვნის შემდეგში ძველ რუსეთში ფრიად პოპულარული თხზულება „ექვს დღიური" — თავისებური ენციკლოპედია ნახევრადსაღვთისმეტყველო, ნახევრადსაერო ხასიათისა. სლავურ ენაზე თარგმნითა და ორიგინალური ლიტერატურის გამოჩენას ბულგარეთში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი რუსული ლიტერატურის განვითარებისათვის.

სიმონმა მთელი რიგი ომები აწარმოვა ბიზანტიასთან, ამასთან არაერთხელ მისულა ის კონსტანტინეპოლის კედლებთან. მაგრამ ყველა მისი ცდა აღო დედაქალაქი მარცხით დამთავრდა. ის აწარმოებდა მოლაპარაკებას არაბებთან იმპერიის დაყოფის შესახებ, მაგრამ მათ ამჯობინეს დასუსტებულ ბიზანტიასთან ჰქონოდათ საქმე, ვიდრე ძლიერ ბულგარეთთან. სერბები და ხორვატები, რომლებიც სიმონს ემორჩილებოდნენ, არაერთხელ აჯანყებულან მის წინააღმდეგ ზურგში. მიუხედავად ამისა, სიმონის ლაშქრობამ უზრუნველჰყო ბულგარეთის სრული დამოუკიდებლობა ბიზანტიისაგან და მნიშვნელოვნად გააფართოვა მისი ტერიტორია. 927 წლის საზავო ხელშეკრულებით, რომელიც დადებულ იქნა უკვე სიმონის შვილის პეტრეს დროს, ბიზანტიამ აღიარა ბულგარეთის „ყაენის" სამეფო ტიტული, ბულგარეთის ეკლესიის მეთაურისათვის კი — პატრიარქის სახელწოდების მიკუთვნება და მიიღო ვალდებულება ყოველწლიურად ეძლია ხარკი ბულგარეთისათვის. ბულგარეთის ფარგლებში, დუნაის დაყოლებით მდებარე მის ძირითად ოლქს გარდა, მოექცა აღმოსავლეთი რუმელია, თითქმის მთელი მაკედონია და ალბანეთი; სერბთა ეუპანები და ხორვატთა ბანები თავისთავს ბულგართა მეფის ვასალებად ცნობდნენ. მაგრამ ბულგარეთის ძლიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. ბიზანტიამ თავისი ოქროთი და თავისი დიპლომატიის შემწეობით შესძლო ჯერ დაესუსტებია თავისი მრისხანე მეტოქე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შემდეგ კი სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა მისთვის.

როგორც ბულგარეთის პირველი სამეფოს გაძლიერება, ისე მისი დაღუპვა ბიზანტიის ისტორიის იმ პერიოდს ემთხვევა, რომელმაც მმართველი დინასტიის სახელის მიხედვით, „მაკედონიის ეპოქის" სახელწოდება მიიღო.

მაკედონიის დინასტია. ამ დინასტიის დამაარსებელი იყო ბასილ I, მაკედონელ გლეხებიდან გამოსული, რომელმაც თავისი მფარველის მიხეილ III მკვლელობით გაიკვლია გზა ტახტისაკენ. მან გააუქმა ისავრიელ ხატისმებრძოლ — იმპერატორთა ყველა რეფორმა და აღადგინა იუსტინიანეს კანონები. პავლიკიანთა რევოლუციური სექტა საბოლოოდ განადგურებულ იქნა. ბერმონაზვნობა კვლავ წელში გასწორდა, გაძლიერდა და ადგილმამულის, ექსკუსიების ბოძებით და ათობით ახალი მონასტრების დაარსების სახით,

მან საზღაური მიიღო იმ მატერიალური და მორალური ზარალისათვის, რაც განიცადა. ბასილის მემკვიდრემ ლეონ VI (886 — 912 წწ.) მოსპო ქალაქის თვითმართველობის უკანასკნელი ნაშთები — მუნიციპალურ ხელისუფალთა არჩევნები, ქალაქის დიმების მნიშვნელობა. ისავრიელ იმპერატორთა მიერ გამოცემულ „ ე კ ლ ო გ ი ს“ ნაცვლად, რომელიც გაუქმებულ იქნა, გამოქვეყნდა ახალი საკანონმდებლო კრებული „ვ ა ს ი ლ ი კ ე ბ ი“. „ვასილიკებმა“ დააკანონეს ბატონყმობა და მისცეს დინატებს გლეხთა მიწების მითვისების და თავისუფალ გლეხთა პარიკებად გადაქცევის ფართო შესაძლებლობა. იმავე დროს უაღრესად გაძლიერებულ იქნა იმპერიის ბიუროკრატიული აპარატი, გადიდებულ იქნა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის მოხელეთა რიცხვი, რომლებიც ზუსტად განაწილებული იყვნენ ხარისხებისა და თანამდებობათა რანგების მიხედვით. მოხელეთა ამ იერარქიის სათავეში ყველაზე მაღლა მოსჩანდა სიმდიდრით მოსილი მეფის კარი. მთელი თავისი სიფაქიზითა და დახვეწილობით მუშავდება და იქმნება სასახლის კარის ცხოვრების რთული ცერემონიალი, რომელიც ფერადოვნად არის გამოსახული იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის (X ს.) ტრაქტატში „ცერემონიების შესახებ“. იმპერატორის გარშემო მყოფ კარისკაცთა და დიდებულთა კრებული დანარჩენ ხალხს უჩვენებს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა ზღმერთებდეს უზენაეს ხელისუფლებას: იმპერატორის წინაშე პირქვე ემხობიან, შუბლით მიწას ეხებიან, უკოცნიან მას ფეხებს და ა. შ. ხალხისა და უცხოელი ელჩების წარმოდგენაზე შთაბეჭდილების მოსახდენად იმპერატორის თითოეულ გამოსვლას უაღრესად საზეიმო და მდიდრულ სახეს აძლევენ, რაც თეატრალურ სანახაობას ანდა დიდ მშვენიერ საეკლესიო ცერემონიას მოგვაგონებს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შესამჩნევად მოუქნელი გახდა, ფორმალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა და საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში წესჩვეულება გამეფდა, ბიზანტია მაკედონელი იმპერატორების დროს კვლავ განაგრძობდა თავისი ეკონომიური პოზიციების შენარჩუნებას შუა საუკუნეებში. კონსტანტინეპოლი, როგორც უწინ, მსოფლიო ვაჭრობის ცენტრად, ზღაპრულ სიმდიდრეთა ქალაქად რჩება. მასთან ერთად თესალონიკა და ტრაპეზუნდი თავისი საერთაშორისო ბაზრობებით ხელს უწყობენ ბიზანტიის სავაჭრო ჰეგემონიას შავ და ხმელთაშუა ზღვებში. ბიზანტიელ ვაჭრების სავაჭრო ურთიერთობა ამ დროისათვის კიდეც ფართოვდება სავაჭრო ბრუნვაში სამხრეთის და აღმოსავლეთის სლავების ჩაბმის მეოხებით. მაგალითად, ბულგარეთისათვის ბიზანტიასთან ვაჭრობას იმდენად სასიცოცხლო მნიშვნელობა ეძლევა, რომ 893 წელს ბულგართა მეფე სიმონმა ომი წამოიწყო ბიზანტიასთან იმ დაბრკოლებათა გამო, რასაც კონსტანტინეპოლის მთავრობა უქმნიდა ბიზანტია-ბულგარეთის ვაჭრობას. დიდ მნიშვნელობას ღებულობს აგრეთვე სავაჭრო კავშირურთიერთობა რუსეთის სლავებთან, რაც ხორციელდებოდა დიდი წყალსავალი გზით „ვარიაგებიდან ბერძნებში“.

მაკედონელთა დინასტიის იმპერატორების საგარეო პოლიტიკა: ბიზანტია და კიევის რუსეთი. „რუსის“ ხალხთან, პატრიარქ ფოტიუსის მოწმობით, ბიზანტიამ პირველად ახლო ურთიერთობა გაიბა ჯერ კიდევ 860 წელს, როცა

„რუსები“ თავს დაესხნენ კონსტანტინეპოლს. X საუკუნეში რუსეთთან როგორც შტრულ, ისე სამშვიდობო ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ბიზანტიისათვის. ოლეგის (907 წ.) და იგორის (941 წ.) ლაშქრობებს კონსტანტინეპოლზე შედეგად მოჰყვა სავაჭრო ხელშეკრულებათა დადება, რომლებიც დაცულია რუსული მატიანეს მიერ. იმ სხვადასხვა სავაჭრო შეღავათებისათვის, რასაც რუს თავადებს ანიჭებდნენ, ეს უკანასკნელნი ვალდებულებას კისრულობდნენ აღმოეჩინათ იმპერატორისათვის სამხედრო დახმარება, რაშიც ბიზანტია მეტად დაინტერესებული იყო და რომლითაც, როგორც ვიცით, ძალიან ხშირად ფართოდ სარგებლობდა. მეორე მხრივ, ბიზანტიის გავლენა რუსეთზე X საუკუნის დამლევს იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ კიეველი თავადი ვლადიმერი ნათელღებულ იქნა ბიზანტიიდან, დაუმოყვრდა იმპერატორ ბასილ II და ნება დართო ბერძენთა სამღვდელოებას დაეარსებინა რუსეთის ეკლესია კიევის მიტროპოლიტით სათავეში, რომელიც ექვემდებარეობდა კონსტანტინეპოლის პატრიარქს (988 წ.). ბერძენთა სამღვდელოების მიერ რუსეთის გაქრისტიანებამ კიევის რუსეთი აზიარა მაღალ ბიზანტიურ კულტურას და გარკვეული დაღი დაასვა რუსეთის შემდგომ ისტორიას.

რუს თავადებთან კავშირი სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა ბიზანტიისათვის, პირველ ყოვლისა, ბულგარეთის სულ უფრო ზრდად ძლიერებასთან დასაპირისპირებლად. მართლაც, ამ კავშირის შემწეობით ბიზანტიამ შესძლო ძლიერი დარტყმა მოეხდინა ბულგარეთზე, რამაც მეტისმეტად გააადვილა შემდეგში ბულგარეთის პირველი სამეფოს საბოლოო სამხედრო განადგურება.

ბულგარეთის პირველი სამეფოს დაცემა. ეს განადგურება მომზადებულ იქნა, პირველ ყოვლისა, შინაბრძოლებით თვითონ ბულგარეთში, რომლებიც უკვე მეფე სიმონის შვილის პეტრეს დროს დაიწყო. მეფის ხელისუფლების მეტისმეტად გაძლიერებას, რასაც ადგილი ჰქონდა წინა ორი მეფობის დროს, შედეგად მოჰყვა ბოიართა პოლიტიკური როლის შესუსტება. რათა ალაგმული ჰყოლოდათ ფეოდალური არისტოკრატია, ბულგარეთის მეფეები როდი კმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ უკმაყოფილოთა სიკვდილით დასჯით, არამედ ისინი ცდილობდნენ დასაყრდენი თვით ხალხის მასებში ეპოვათ. კერძოდ ისინი მფარველობას უწევდნენ პავლიკიანებს და მათ საფუძველზე წარმოქმნილ ბ ო გ ო მ ი ლ ე ბ ი ს ხალხურ სექტას, რომლებიც ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ ფეოდალურ ექსპლოატაციას. ყოველივე ეს იწვევდა ბოიართა მხრივ ოპოზიციას მეფის ხელისუფლებისადმი. თავდაპირველად ეს ოპოზიცია ბოიართა „ნაციონალური“ პარტიის ბრძოლის დროშით გამოდიოდა ბიზანტიური ძალადობის წინააღმდეგ, სამეფო კარზე და ეკლესიაში.

ამ ოპოზიციის მეთაურმა ბოიარმა შიშმანმა მოაწყო აჯანყება მეფის წინააღმდეგ, რის შედეგად დასავლეთ ბულგარეთმა, აღმოსავლეთ სერბიამ და მაკედონიამ შეჰქმნეს დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფო (968 წ.). პეტრეს ხელქვეით დარჩა მხოლოდ დუნაის ბულგარეთი და თრაკია. ბულგარეთის პოლიტიკურ რღვევას ხელს უწყობდა და მასთან ერთად წარმოებდა

იმ ყმა გლეხთა აჯანყებანი, რომლებსაც აქაც ბიზანტიურ სახელს პარიკებს უწოდებდნენ.

ბულგარეთისათვის სწორედ ეს კრიტიკული მომენტი აირჩია იმპერატორმა ნიკიფორ ფოკამ, რათა კიეველ თავად სვიატოსლავის დახმარებით ჩაეცა მისთვის ლახვარი. ლაშქრობის მოსაწყობად სვიატოსლავს კონსტანტინეპოლიდან გაუგზავნეს იმ დროისათვის ვეებერთელა თანხა — 1.500 ლიტრი ოქრო (100 ათასი ჩერვონეცი). მაგრამ მის პირველ ლაშქრობას 968 წ. არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ცნობამ კიევზე პაჭანიგების თავდასხმის შესახებ რუსი თავადი აიძულა შინ დაბრუნებულიყო. 969 წელს, უკვე პეტრეს სიკვდილის შემდეგ, სვიატოსლავი აწყობს მეორე ლაშქრობას, ამჯერად უკვე ბიზანტიის არა მოქირავნის სახით, არამედ საკუთარი ინიციატივით, ბულგარეთის დაპყრობის მიზნით, სადაც მან გადაწყვიტა დამკვიდრებულიყო. ბულგართა დამარცხებისა და მათი მეფის ბორის II ტყვედ ჩაგდების შემდეგ სვიატოსლავმა გადაიარა ბალკანეთი, ხელთ იგდო ფილიპოპოლი და განაგრძო გზა იმპერიის დედაქალაქისაკენ.

ამ დროს ბიზანტიაში ხდება სასახლის მორიგი გადატრიალება. ბიზანტიის ერთ-ერთი არმიის სათავეში მდგომი იოანე ციმისხი ჰკლავს ნიკიფორ ფოკას და თავის-თავს იმპერატორად აცხადებს, შემდეგ ადრიანოპოლთან ის უკუაქცევს სვიატოსლავს, რომელიც იძულებული ხდება დაბრუნდეს აღმოსავლეთ ბულგარეთში, შემდეგ კი საკუთარი ძალებით მიატოვოს ბალკანეთის ნახევარკუნძული (971 წ.). ამის შემდეგ აღმოსავლეთი ბულგარეთი შეუერთდა იმპერიას.

დასავლეთ ბულგარეთი, რომელიც შიშმანისაგან მემკვიდრეობით მიიღო მისმა შვილმა სამუილმა (977 — 986 წწ.), ერთხანს კიდევ ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას. მაგრამ 996 წლიდან იმპერატორ ბასილ II, რომელსაც ბულგარებთან სასტიკი გასწორების გამო ბულგარეთმძლეტავის სახელი ეწოდა, განაახლა შეტევა ბულგარეთის სამეფოზე. 1018 წელს ბულგართა წინააღმდეგობა საკუთარი ძალებით ძლეულ იქნა; მათი ქვეყანა დაპყრობილ და დარბეულ იქნა; ათასობით ბულგარები გაასახლეს სომხეთში. დასავლეთ ბულგარეთის ხვედრი გაიზიარა სერბთა მიწა-წყალმაც.

ამის შემდეგ 170 წლის განმავლობაში (1018 — 1187 წწ.) ბულგარეთი ბიზანტიის კირთებას განიცდიდა. ქვეყანა მოფენილი იყო ბიზანტიელი მოხელეებით; ხალხთა მასების დაყმევისა და ძარცვის პროცესი სწრაფი ტემპებით წავიდა. მხოლოდ XII საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის დაცემამ შესაძლებელი გახადა ბულგარეთის აღორძინება და ბულგარეთის მეორე სამეფოს წარმოქმნა.

მაკედონელ იმპერატორთა სამხედრო წარმატებანი აღმოსავლეთში. მაკედონელთა დინასტიის ეპოქაში ბიზანტია აგრეთვე ენერგიულ შეტევას აწარმოებს არაბებზე. ბაღდადის ხალიფატის დასუსტებამ, რომელიც მთელ რიგ ფეოდალურ სამფლობელოებად — საემიროებად დაიშალა (იხ. თავი XII), — გააადვილა ბიზანტიის იარაღის გამარჯვება. თავდაპირველად მნიშვნელოვნად გადაწეულ იქნა ბიზანტიის საზღვრები აღმოსავლეთით მცირე აზიაში; შემდეგ, X საუკუნის მეორე ნახევარში, არაბებთან ბრძოლით მოპოვებულ იქნა მესოპოტამიის, სირიის, სომხეთის ნაწილი. განსაკუთრებით დიდ წარმატებებს

ჰქონდა ადგილი იმპერატორ ნიკიფორე ფოკას არაბებთან ბრძოლაში; მის ჯარებში მრავლად იყვნენ რუსები, სომხები, ქართველები, პაჭანიგები და ა. შ. მის ხელში გადავიდა კუნძული კვიპროსი, სირიის უმნიშვნელოვანესი ცენტრი ანტიოქია და მთელი რიგი სხვა ქალაქები .ნაკლებ სასურველად ეწყობოდა საქმე დასავლეთით, სადაც საბოლოოდ დაკარგულ იქნა სიცილია, არაბთა მიერ დაპყრობილი, და ზოგიერთი სამფლობელოები - სამხრეთ იტალიაში.

საერთოდ მაკედონელ იმპერატორთა საგარეო პოლიტიკა დიდი ძალისა და მიზანსწრაფულობის შთაბეჭდილებას სტოვებს. სასახლის გადატრიალებანი, იმპერატორთა მკვლელობანი, სამხედრო აჯანყებანი, ხალხთამასების ამბოხება, რომლებიც ხშირად ხდებოდა იმ დროს, ვერ აფერხებდა და ვერ სწყვეტდა ამ იმპერატორების შეუპოვარ და სისტემატურ ბრძოლას საზღვრების გაფართოებისა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის.

ფეოდალიზაციის პროცესის დამთავრება. მაგრამ წარმატებებისა და გარეგნული ძლიერების საფარველ ქვეშ ფეხს იკიდებდნენ და ძლიერდებოდნენ გახრწნისა და დაცემულობის ელემენტები. სწრაფად მიმდინარეობდა მსხვილი მიწათმფლობელობის მიერ წვრილის შთანთქმისა და თავისუფალი გლეხობის გაქრობის პროცესი.

ახლა ეს პროცესი შეეხო არა მარტო „ღატაკთა“ მეურნეობებს და თავისუფალ გლეხურ თემებს, რომლებიც აქა-იქ კიდევ შემორჩენილი იყო, არამედ სტრატიოტთა მიწის ნაკვეთებსაც. დინატები გლეხებს აიძულებდნენ მიეცათ მათთვის თავისი მიწის ნაკვეთები, აქცევდნენ კაბალაში და ბეგრავდნენ უმძიმესი ვალდებულებებით. ამას ისინი ჩადიოდნენ ყოველგვარი სიცრუითა და ორპირობით, სარგებლობდნენ რა მოხელეთა მიერ გლეხთა ქონების გაჩანაგებით, სტიქიური უბედურებით და სხვ.; ხშირად კი ამისათვის პირდაპირ ძალმომრეობასაც მიმართავდნენ. მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც იმავდროულად სტრატიოტთა სამხედრო უფროსებიც („არქონტები“) იყვნენ, სწორედ ასევე ჩაგრავდნენ და ღატაკებდნენ მათ და თავისადმი ბატონყმურ დამოკიდებულებაში აქცევდნენ. ასე წარმოიქმნა კომნენების, ანგელების, კანტაკუზინების და სხვა მსხვილ ფეოდალურ გვართა უზარმაზარი სამფლობელოები.

X-XI საუკუნეებში სწრაფად იზრდება აგრეთვე სამონასტრო მიწათმფლობელობა, მრავლდება სამონასტრო ეკლესიების რიცხვი, რომელთა საფარველ ქვეშ ბერები არამც თუ ძარცვავდნენ გლეხებს, არამედ უბაჟო ვაჭრობას და მევახშეობასაც კი ეწეოდნენ ხაზინისა და ვაჭართა კლასის საზიანოდ.

იმპერატორები არაერთხელ გამოსულან გლეხებისა და სტრატიოტების გაბოგანოებისა და დაყმევის წინააღმდეგ; ისინი აქვეყნებდნენ ბრძანებულებებს, რომლებშიც არ ერიდებოდნენ და სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ დინატებისა და მონასტრების მტაცებლობას. რომან ლეკაპენმა გასცა ბრძანება დაებრუნებინათ „ღატაკებისათვის“ შიმშილობის დროს მათგან შესყიდული მიწები; კონსტანტინე VII განუსხვისებლად გამოაცხადა სტრატიოტთა მიწის ნაკვეთები; ნიკიფორე ფოკა ცდილობდა შეეჩერებინა სამონასტრო მიწათმფლო-

ბელობის ზრდა და აკრძალა ახალი მონასტრების დაარსება; ბასილ II გამოსცა კანონი ალილუნგიის შესახებ, რომლის მიხედვით დინატებს უხდა ეხადათ გადასახადები „ღატაკთა“ მაგიერ ამ უკანასკნელთა ხელმოკლეობის შემთხვევაში. მაგრამ ყველა ეს კანონები და განკარგულებანი, რომლებიც გამოწვეული იყო ცენტრალური ხელისუფლების შიშით — არ დაეკარგა ძირითადი მოხარკენი და სამხედრო კონტინგენტები, ან არ სრულდებოდა, ანდა მათ თვითონ იმპერატორები აუქმებდნენ ეკლესიისა და საერო დიდკაცობის ზეგავლენით. არცერთმა კანონმა, იმპერატორების მიერ გამოცემულმა, არ გაამართლა თავისი მიზანდასმულობა და ვერ იხსნა წვრილ თავისუფალ მიწათმფლობელთა კლასი, რომელიც სულ უფრო სწრაფად მცირდებოდა და ჰქრებოდა.

ეს კიდევ ცოტაა, XI საუკუნეში თვითონ მთავრობა თითქოს ხელს უწყობს და ამთავრებს მთელი გლეხობის ფეოდალური დიდკაცობისადმი დამორჩილების პროცესს, როდესაც მას შემოაქვს პრონიების, დასავლეთ ევროპის ბენეფიციუმების მსგავსი მიწათ გაჩუქების სისტემა. ამასთან, როდესაც დინატი ღებულობდა მამულს — პრონიას, ამით სენიორის უფლებას ღებულობდა ამ მამულში მყოფ წინათ თავისუფალ გლეხებზე. პრონიაში შედიოდა ის მიწებიც, რომლებიც ეკუთვნოდნენ გლეხურ თემს, რომელიც ამასთან რამდენიმე ნაწილად იყოფოდა და, მაშასადამე, სწყვეტდა თავის არსებობას. პრონიების სისტემა, რომელმაც გაადიდა დინატების რიცხვი, დააჩქარა გლეხური მიწათმფლობელობის უკანასკნელი ნაშთების ლიკვიდაცია.

ბიზანტია XI საუკუნეში. მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთა ასეთი პოლიტიკის შედეგებმა მალე, იმავე XI საუკუნეში, იჩინა თავი. ბასილ II სიკვდილის შემდეგ (1025 წ.) იმპერია ყველა საზღვარზე იძულებული იყო შეტევიდან თავდაცვაზე გადასულიყო. ბულგარეთში ხდება ძლიერი აჯანყება, რომელიც დიდის გაჭირვებით იქნა ჩაქრობილი (1040 წ.). პაჭანიგები გადადიან დუნაიზე, არბევენ მთელ თრაკიას ადრიანოპოლამდე, ამარცხებენ იმპერატორ კონსტანტინე მონომახის ჯარებს და აიძულებენ ბიზანტიას ხარკისა და მიწების დათმობის ფასად მიაღწიოს მათთან ზავს (1043 წ.). აღმოსავლეთის საზღვრებზე ჩნდება ახალი საშიში მტერი — თურქ-სელჯუკები, რომლებიც 1055 წელს, ბაღდადის დაპყრობის შემდეგ, განაგრძობენ შეტევას ბიზანტიის სამფლობელოებზე სირიაში, მესოპოტამიასა, მცირე აზიასა და სომხეთში, სისტემატურად არბევენ, ხოლო შემდეგ იპყრობენ მათ და ბიზანტიელებს ზღვისკენ ერეკებიან. დასავლეთით ბიზანტიის მდგომარეობა გაუარესდა რომისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიებს შორის საბოლოო გახეთქილებასთან დაკავშირებით. პაპმა ლეონ IX და კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მიხეილ კერულარიმ ანათემა გამოუცხადეს ერთმანეთს და ორივემ მწვალებლებად გამოაცხადეს ყველა ისინი, ვინც სცნობდა მოწინააღმდეგის სასულიერო ხელისუფლებას. ეს მოვლენა ცნობილია ეკლესიების რომაულ-კათოლიკურ და ბერძნულ-მართლმადიდებლურ ეკლესიებად დაყოფის სახელწოდებით (1054 წ.). ეკლესიების დაყოფით ბიზანტიას მოაკლდა პაპის ტახტის მხარდაჭერა ნორმანებთან ბრძოლაში, რომლებიც სწორედ ამ დროს იპყრობენ იტალიის მთელ სამხრეთ ნაწილს, შემდეგ კი შეტევით მოქ-

მედებას ანვითარებენ აგრეთვე ბიზანტიის სამფლობელოების წინააღმდეგ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მათ თვით კონსტანტინეპოლს ემუქრებიან.

უკანასკნელი მაკედონელი იმპერატორები უნდობლად უყურებდნენ სამხედრო დიდკაცობას, რომელიც ხშირ აჯანყებებს აწყობდა მათ წინააღმდეგ. ისინი ცდილობდნენ დაემცირებინათ უმაღლეს სამხედრო წრეების მნიშვნელობა და ამასთან დაკავშირებით სისტემატურად ამცირებდნენ ბიზანტიის არმიის ოდენობას და მას შესანახ ხარჯებს. სახელმწიფოში დროებით გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვეს უმაღლესი მოხელეობის წარმომადგენლებმა. სამხედრო-ფეოდალურმა დიდკაცობამ, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო მცირე აზიის თემებში, ამ მოტრიალებას ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკაში 1057 წლის მძლავრი აჯანყებით უპასუხა. მთავრობის ჯარებზე გამარჯვების შემდეგ მან იმპერატორად გამოაცხადა მცირე აზიის ყველაზე მსხვილი ფეოდალი, ისააკ კომნენი. ამ აჯანყებამ დასაწყისი მისცა ანარქიის ახალ ტალღას, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა ბიზანტია სამხედრო ძლიერების მხრივ. 1071 წელს იმპერატორმა რომან IV დიოგენმა სასტიკი დამარცხება განიცადა თურქ-სელჯუკებისაგან მანციკერტთან და თვითონ ტყვედ ჩავარდა. იმავე წელს ნორმანებმა ხელთ იგდეს ბიზანტიელთა უკანასკნელი სიმაგრე სამხრეთ იტალიაში — ქალაქი ბარი. ანარქია ბიზანტიაში დამთავრდა მხოლოდ ალექსი კომნენის ტახტზე ასვლით (1987 წ.). ის იყო სამხედრო-ფეოდალური დიდკაცობის წარმომადგენელი და მან კომნენთა ახალი დინასტია დააარსა (1087 — 1185 წწ.), რომლის დროსაც ბიუროკრატიის გავლენა ხანგრძლივად იქნა აღკვეთილი.

კომნენების დროს ბისანტიის ისტორია მჭიდროდ გადაეწნა ჯვაროსანთა ლაშქრობის ისტორიას და იგი განხილულ იქნება მეორე ნაწილის სათანადო თავებში (იხ. თავები XV და XVI).

ბიზანტიური კულტურა. ბიზანტიის ტერიტორია დასახლებული იყო ოცზე მეტი სხვადასხვა ხალხით, რომელთაგან თითქმის თითოეულს თავისი ორიგინალური, უძველესი წარსულიდან მომდინარე, კულტურა ჰქონდა. ბერძნებთან ერთად ბიზანტიის კულტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებდნენ ეგვიპტელები, სირიელები, ამიერ-კავკასიის ხალხები, ყირიმის ხალხები და აგრეთვე იმპერიაში მრავალრიცხოვანი სლავები. ბიზანტიის იმპერატორები, მხედართმთავრები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, ხუროთმოძღვრები და საეკლესიო მოღვაწეები ბიზანტიის მოსახლეობის სულ სხვადასხვაგვარი ეთნიკური ჯგუფებიდან იყვნენ გამოსული.

რთული ხასიათი ბიზანტიის კულტურისა, რომელშიც თავს იყრიდა მრავალნაირი გავლენა, პირველ ყოვლისა, ემჩნევა ხელოვნებისა და მხატვრული ხელობის ნაწარმოებებს. ასე, მაგალითად, სოფიას ტაძარი, აგებული იუსტინიანეს დროს ორი მცირეაზიელი ხუროთმოძღვრის — ისიდორე მილეთელის და ანთიმოზ ტრალისელის გეგმების მიხედვით, — წარმოადგენს დასავლეთის ბაზილიკის გეგმის თავისებურ შეხამებას აღმოსავლეთის კონსტრუქციულ ტიპთან — გრანდიოზული გუმბათოვანი ვადახურვით. არშიებიან მაქმანურ ორნამენტში, სხვადასხვაფერ მოზაიკებში, რომლებითაც შემკულია ტაძრის

ზედა ნაწილები, აგრეთვე სჩანს აღმოსავლეთისა და ანტიკურ დასავლეთის მოტივების შერწყმა.

თუ ავიღებთ ბიზანტიურ ნაუშიან აბრეშუმის ქსოვილთა ნიმუშებს, ნაუშების მოტივებში ჩვენ აღმოვაჩენთ ირანულ, ინდურ და სხვა აღმოსავლურ გავლენებს (სტილიზებული სპილოები, ლომები, ჰერალდიკური ფრინველები), მაშინ როდესაც ტექნიკურის მხრივ აქ თავიდან ბოლომდე შესამჩნევია ანტიკური ტრადიციების პირდაპირი გაგრძელება. ბიზანტიური საოქრომჭედლო ნაკეთობანი, რომლებიც ხშირად დიდი მხატვრული გემოვნებით განირჩევიან, სწორედ ასევე ანტიკური ხელოვნების გავლენას გამოსახავენ, ჰქმნიან რა რელიგიურ-ქრისტიანული სიუჟეტების გვერდით აგრეთვე სცენებს ანტიკური მითოლოგიიდან.

თუ დაუკვირდებით ბიზანტიის სულიერ კულტურას, აქაც ვნახავთ, ერთი მხრივ, მრავალგვარ ერთმანეთში გადაწნულ გავლენას, მეორე მხრივ — განუწყვეტელ ანტიკურ ტრადიციას. დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით აქ არასოდეს არ სწყვეტდნენ ძველ ბერძენ მეცნიერთა, ფილოსოფოსთა, ისტორიკოსებისა და პოეტების ნაწარმოებთა კითხვას და შესწავლას. წარმართული ფილოსოფიური აზროვნების უკანასკნელი ცენტრი — ათენის უმაღლესი სკოლა — აქ არსებობდა 529 წლამდე, როცა ის დაკეტილ იქნა იუსტინიანეს მიერ, ე. ი. გაცილებით ხანგრძლივად, ვიდრე განათლების ცენტრები დასავლეთში. რომის სამართლის შესწავლა ხომ არასდროს არ შეწყვეტილა ალექსანდრიის, ბეირუთის, კონსტანტინეპოლის სკოლებში. ამ ქალაქებში იურიდიული და ფილოსოფიური განათლების ნიადაგზე ერთგვარი უნივერსიტეტები წარმოიქმნა, რომელთაგან ყველაზე მეტად ცნობილი იყო კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტი. შტატებით, რაც დაწესებულ იქნა მისთვის იმპერატორის 425 წლის ბრძანებულებით, აქ ირიცხებოდა 31 პროფესორი, რომლებიც ასწავლიდნენ რიტორიკას, გრამატიკას, ფილოსოფიას და იურიდიულ მეცნიერებებს.

VIII საუკუნეში ხატისმებრძოლობასთან და ისავრების რეფორმატორულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით საერთო მეცნიერული აზრი და საერო ლიტერატურა, საღვთისმეტყველო ნაწარმოებებთან შედარებით, უკანა რიგში დგება. ამ დროს ეკუთვნის ხატისთაყვანისმცემლობის ორი ბურჯის იოანე დამასკელის და თეოდორე სტუდიტის ლიტერატურული მოღვაწეობა. პირველმა მათგანმა თავის „ცოდნის წყაროში" სულ პირველად მოიყვანა სისტემაში ქრისტიანობის დოგმატები, მეორემ საღვთისმეტყველო შინაარსის მრავალი წერილი და ტრაქტატი დატოვა. IX საუკუნეში იღვიძებს და ძლიერდება ინტერესი საერო და განსაკუთრებით ანტიკური ლიტერატურისადმი. ყველაზე მკაფიო გამოხატულება ამ ინტერესმა პატრიარქ ფოტიუსის მოღვაწეობაში ჰპოვა, რომელიც არის ავტორი „მირიობიბლიონისა"—ამონაწერთა და წაკითხულ წიგნებზე შეხედულებათა ვრცელი კრებულისა. ეს ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო ნიმუშია ბიზანტიური ლიტერატურული კრიტიკისა, რომელიც რამდენიმე ასეულ, უმთავრესად, ძველ ნაწარმოებებზე ვრცელდება. ამავე დროს ფოტიუსის ნაწარმოები მოწმობს IX საუკუნის ბიზანტიური მეცნიერული აზრის კომპილატიურ, არაშემოქმედე-

ბით ხასიათს. ამავე თვისებით განირჩევა X საუკუნის ნაწარმოებებიც — უზარმაზარი სასოფლო-სამეურნეო და ისტორიული ენციკლოპედიები, რომლებიც შედგენილია კონსტანტინე VII პორფიროგენეტის დავალებით, ანტიკური მეცნიერული მემკვიდრეობის კომპილაციის გზით; ისტორიულ-ფილოლოგიური ლექსიკონი სვიდასი და მრავალი სხვა. თუმცა, თვითონ კონსტანტინე VII ეკუთვნის ტრაქტატები „სახელმწიფოს მართვის შესახებ“ და „ბიზანტიის კარის ცერემონიების შესახებ“, რომლებიც იძლევიან ძვირფას ცნობებს იმ ეპოქის ცხოვრების შესახებ და მთელ რიგ მნიშვნელოვან ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობებს, კერძოდ, რუსეთის მიწებზე.

XI საუკუნეში ბიზანტიური მეცნიერული აზრის ყველაზე მკვეთრად ჩამოყალიბებულ ფიგურას წარმოადგენს მ ი ხ ე ი ლ ფ ს ე ლ ო ს ი, იურისტი, ფილოსოფოსი, ფილოლოგი, ისტორიკოსი და პოეტი, რომელიც ფართო ენციკლოპედიურ განათლებასთან პირმოთნე კარის კაცისა და ინტრიგანის ნიჭსა და უნარს ათავსებდა.

თუ ბიზანტია ფილოსოფიური და მეცნიერული აზროვნების დარგში ანტიკური ქვეყნის მეცნიერული მემკვიდრეობას შეთვისებასა და კომენტირებას ვერ გასცილდა, მემატიანეობის დარგში მან მრავალი ორიგინალური ნაწარმოები მოგვცა. დაწყებული ზ ო ს ი მ ე დ ა ნ V საუკუნეში, პ რ ო კ ო ფ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი დ ა ნ და თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ო ს ს ი მ ო კ ა ტ ი დ ა ნ VI საუკუნეში, მთელ რიგ მომდევნო საუკუნეების მანძილზე გასდევს განუწყვეტელი ზოლი „ისტორიებისა“ და „ქრონიკებისა“, რომლებიც ეთმობა ან სხვადასხვა იმპერატორების მეფობას, ანდა მთელი ადამიანთა მოდგმის ისტორიული ხვედრის მოთხრობას „წარღვნიდან“ იმ დრომდე, როდესაც ცხოვრობდა თვითონ ავტორი. ზოგიერთმა, მაგალითად, ი ო ა ნ ე მ ა ლ ა ლ ა ს, გ ი ო რ გ ი ა მ ა რ ტ ო ლ ი ს და სხვა ქრონიკებმა, ძლიერი გავლენა მოახდინა რუსულ მატიანეთ დამწერლობაზეც

ბიზანტიური ლიტერატურული შემოქმედების თავისებურ ძეგლს წარმოადგენენ აგრეთვე უამრავი წმინდათა ცხოვრებანი, რომლებიც ძვირფასია თანამედროვე ისტორიკოსისათვის მათში გაფანტულ საყოფაცხოვრებო წვრილმანთა და ისტორიულ ცნობათა სიუხვით. ბიზანტიური წმინდათა ცხოვრების ლიტერატურა კიდევ უფრო ფართოდ შეიჭრა რუსეთში, ვიდრე საისტორიო დამწერლობა; იგი სანუკვარ საკითხავად გადაიქცა რუს მწიგნობართათვის და დიდი გავლენა იქონია ძველ რუსულ ლიტერატურაზე.

მხატვრულ ლიტერატურას შედარებით მცირე ადგილი უკავია ბიზანტიის კულტურულ მემკვიდრეობაში. თავისი თემატიკითა და ფორმით თავდაპირველად იგი დაკავშირებული იყო ანტიკურ ლიტერატურასთან, მაგრამ შემდეგ აქ საეკლესიო გავლენამ უფრო მძლავრად იჩინა თავი. ბიზანტიური საერო რომანის ყველაზე შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს „თ ქ მ უ ლ ე ბ ა დ ი გ ე ნ ი ს ა კ რ ი ტ ე ს შ ე ს ა ხ ე ბ“, რომელიც თავისი ხასიათით დასავლეთ ევროპის ფეოდალური ეპოსის ნაწარმოებთ მოგვაგონებს („სიმღერა როლანდზე“, „სიდი“ და ა. შ.). „თქმულება დიგენისზე“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთში, რასაც მოწმობს ამ ნაწარმოების მთელი რიგი რუსული ხელნაწერები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. ბიზანტიიდან რუსეთში მო-

დიოდა აგრეთვე ეკლესიის მთავრების თქმულებათა, ნაკვესებისა და წარმოთქმათა მრავალრიცხოვანი კრებულები, „ყვავილთა“, „ფუტკართა“ და სხვ. სახელწოდებით ცნობილი.

წინააღმდეგ ადრეულ დასავლეთის შუასაუკუნეობრივ ფეოდალური კულტურისა, ბიზანტიური კულტურა არასდროს არ ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო კულტურა. პირიქით, მასში ხშირად საერო ელემენტები სჭარბობდნენ. სწორედ ასევე ბიზანტიური სკოლა, და, მაშასადამე, საზოგადოების განათლებაც უფრო ნაკლებ დამოკიდებული იყო ეკლესიისაგან, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. ამიტომ იყო, რომ ბიზანტიის კულტურული გავლენა რუსეთზე თუმცა ქრისტიანობისა და საეკლესიო მშენებლობის დროშით ვრცელდებოდა, იგი თავის დროზე რუსული საერო კულტურის განვითარებისთვისაც ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. მარქსი, ქრონოლოგიური ამონაწერები, ტ. I („მარქსისა და ენგელსის არქივი“ ტ. V, გვ. 23—25, 36—38, 40—44, 79—83). — ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თხზ., ტ. XV, ნაწ. I, გვ. 41—42.

II. წყაროები. Прокопий Кесарийский, История войн римлян с персами. Спб. 1876—1880. — Прокопий Кесарийский, История войн римлян с вандалами, Спб. 1872. — Прокопий Кесарийский, Тайная история, „Вестник древней истории“ № 4, 1938. — Прокопий Кесарийский, О постройках, „Вестник древней истории“ № 4, 1939. — Константин Багрянородный, Об управлении государством и др., „Известия ГАИМК“, вып. 91, М. — Л. 1934. — Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. I, 1939, стр. 171—209.

III. გამოკვლევები. დამხმარე სახელმძღვანელოები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. I, 1897, стр. 175—217, 656—740, 750—768. — Левченко, История Византии, 1940. — Успенский К., Очерки по истории Византии, т. I, М. 1917. — Успенский К., Эксвкуссия-иммунитет Византийской империи, „Византийский временник“, XXIII, 1923. — Яковенко, К истории иммунитета Византии, Юрьев 1908. — Брентано, Народное хозяйство Византии, 1924. — Липшиц, Восстание Фомы Славянина и византийское крестьянство на грани VIII—IX вв., „Вестник древней истории“ № 1, 1939. — Диль, Византийские портреты, М. 1914. — Безобразов, Очерки византийской культуры, П. 1919. — Погодин, Из истории славянских передвижений, Спб. 1901. — Мишулин, Древние славяне и судьбы Восточно-римской империи, „Вестник древней истории“ № 1, 1939. — Горянов, Славянские поселения VI в. и их общественный строй, „Вестник древней истории“ № 1, 1939. — Горянов, Славяне и Византия в V—VI веках нашей эры, „Исторический журнал“ № 10, 1939. — Левченко, Византия и славяне в VI—VII вв., „Вестник древней истории“ № 4, 1938. — Погодин, История Сербии, Спб. 1909. — Погодин, История Болгарии, Спб. 1910. — Иречек, История болгар, Одесса 1888. — Приселков, Русско-византийские отношения в IX—XII вв., „Вестник древней истории“ № 3, 1939. — Делбрюк, История военного искусства в рамках политической истории, т. II, М. 1937. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд./ т. I, ст. 9, 12; т. II, ст. 26, 27.

თ ა ვ ი XI

არაბები (VI—XI სს.)

არაბეთის ბუნება. არაბთა თავდაპირველი დასახლების ძირითად ტერიტორიას წარმოადგენდა არაბეთის ნახევარკუნძული და მისი მოსაზღვრე მესოპოტამიის, სირიისა და აღმოსავლეთ ეგვიპტის ტრამალები და ნახევრად უდაბური ოლქები. ამ ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაპირებს გარს უვლის სპარსეთის ყურე, სამხრეთს — ინდოეთის ოკეანე, ხოლო დასავლეთს — მეწამული ზღვა; ჩრდილოეთით მას ეკვრის სირიის უდაბნო. ზომით არაბეთი ყველაზე დიდი ნახევარკუნძულია მსოფლიოს რუკაზე; იგი ევროპის ზედაპირის დაახლოებით ერთ მეოთხედს უდრის. ნახევარკუნძულის დასავლეთ ოლქზე — ჰიჯაზზე — გაჭიმულია მთაგრეხილი, რომელიც ჰყოფს ნახევარკუნძულის ცენტრალურ ტაფობს ნეჯდს ტიხამისაგან — მეწამული ზღვის ტაფჭალოვან სანაპიროსაგან.

უწყლო და ძნელადგასავლელ სივრცეებს უკავია არაუმეტეს არაბეთის ერთი მესამედისა. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოკვლეული უდაბნო რუბ-ელ-ხალი, რომელიც მდებარეობს ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. თვით აქლემთა ქარავნების ყველაზე მამაც და გამოცდილ გამძღოლებს ძალიან იშვიათად თუ გაუბედნიათ მის მოძრავი ქვიშით დაფარულ უწყლო სივრცეებში შეჭრა. უდაბნოებში დახნასა და ნეფუდში თავისუფლად შეიძლება გავლა და ნალექების დროს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში შესაძლებელია მათი საძოვრებად გამოყენება. მრავალ მომთაბარე მესაქონლე არაბის სანუკვარ ოცნებას შეადგენს ჰქონდეს ნეფუდში თუნდაც საძოვრისა ერთი ნაკვეთი.

არაბეთის ზედაპირი მეტნაწილად ბალახითა და ჯაგნარით დაფარულ ტრამალებს წარმოადგენს ნიადაგქვეშა წყლებით, რომელთა აღმოჩენაც არაბებს ძალიან ეხერხებათ. წყალს გაუჭირვებლად პოულობენ ჭების ამოღების გზით. მაგრამ არაბეთის ტრამალების მცენარეულით შემოსვა და დაფარვა დამოკიდებულია არა ნიადაგქვეშა წყლებზე, არამედ წვიმებზე, რომლებიც ტროპიკული თქეშების სახით მოდის ზამთრობით და გაზაფხულის დამდეგს. წვიმის მოუსვლელობის პერიოდებს, რომლებიც ხშირად 3-4 წელს გრძელდება გამმით, თან ახლავს სრული გამოფიტვა საძოვრებისა, და ისინი დიდ განსაცდელსა და გაჭირვებაში აგდებენ ადამიანებსაც და ცხოველებსაც. იქ, სადაც წვიმები გარკვეული პერიოდულობით მოდის (იემენში, ნაწილობრივ

ომანში), მოსახლეობა იმთავითვე მიწათმოქმედებას მისდევს .იმ ადგილებში, სადაც ნიადაგქვეშა წყლები ზედაპირზე ამოდის, იქმნება ოაზისები ფინიკური პალმების ჭალებით. მაგრამ არაბეთში არც მდინარეებია და არც მტკნარი ტბები. წვიმების პერიოდში წარმოშობილი მღელვარე და სწრაფი ნაკადულები ძალიან მალე შრება და არც ერთი მათგანი არ არის ნაოსნობისათვის გამოსადეგი.

არაბეთი მდებარეობს ტროპიკულ და სუბტროპიკულ კლიმატიურ ზონებში. ამავე დროს ზოგ ადგილას ზამთრობით ტემპერატურა ღამით 0°-მდე და უფრო დაბლა ეცემა; იემენში თითქმის ყოველწლიურად მოდის თოვლი. ისლამამდელ არაბეთის პოეზიაში შემონახულია იმ რაინდთა სახეები, რომლებიც თავიანთ შვილდისარს ცეცხლში ჰყრიან, რათა იგი არ ჩაქრეს და ამ გზით თავი დააღწიონ მტანჯავ სიცივეს.

არაბთა მეურნეობა და საზოგადოებრივი წყობილება. არაბეთის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ადგილმაცვალ მესაქონლეობას მისდევს. საძოვრების სწრაფი გამოფიტვა მესაქონლეებს იძულებულს ხდის ადგილიდან ადგილზე გადაინაცვლონ საქონლის საკვების ძებნაში და რაც შეიძლება ახლოს იყვნენ წყაროებთან და ოაზისებთან. საკვების მუდმივი ნაკლებობისა და ძლიერ ხშირად წყლის უქონლობის პირობებში ყველაზე მეტად გავრცელებულ პირუტყვს, რომელიც ტიპიურია არაბეთის ნახევრადუდაბნო ადგილებისათვის, აქლემი წარმოადგენს. ამ ღონიერ, უაღრესად ამტან და მეტად ულაზათო, მაგრამ იმავე დროს ტვირთმზიდავ და სწრაფლმავალ ცხოველს შეუძლია იკვებოს უდაბნოს ეკლიანი მცენარეებით და გაძლოს უწყლოდ 25 დღე ზამთარში და 5 დღე ზაფხულში; აქლემი წყურვილს იკლავს ჭუჭყიანი და მძაღე წყლით ,ხან კი პირდაპირ მყრალი ტალახით, რომელიც მას ამომშრალი ჭის ფსკერიდან ამოაქვს. აქლემი — განუყრელი თანამგზავრია ბედუინის, არაბეთის ადგილმაცვალ მესაქონლის, რომელსაც იგი აწვდის რძეს და ხორცს, რაც ფინიკთან ერთად არაბეთის მცხოვრების ძირითად საზრდოს წარმოადგენს; აქლემის ტყავს იყენებენ ფეხსაცმელის, აკაზმულობის დასამზადებელ მასალად, მატყლისაგან ამზადებენ ქსოვილებს და ქეჩას კარვებისთვის. გარდა აქლემისა, არაბები ეწევიან ცხვრების და ნაწილობრივ თხების, აგრეთვე ცხენების მოშენებას; მაგრამ ცხენს, აქლემთან შედარებით, იშვიათად ვხვდებით არაბეთში, ვინაიდან ყველგან როდი შეიძლება მისი გაზრდა და ყველას არ შეუძლიან ამ მეზეზიანი პირუტყვის შენახვა, რომელიც საკვებად საჭიროებს შერჩეულ ქერს და, რაც მთავარია, დღედაღამეში მას რამდენჯერმე უნდა ასვან სუფთა, გამჭვირვალე წყალი.

ბედუინ-მესაქონლეებთან ერთად, რომლებიც V—VI საუკუნეებში არაბეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ნახევარკუნძულის ყველა ოლქში იყვნენ დიდ და მცირე ოაზისთა ბინადარი და ნახევარბინადარი მიწის მუშები: ოაზისები გაფანტული იყო მთელ ნახევარკუნძულზე და მათგან თითქოს მოწინწკლული იყო ადგილმაცვალთ მიერ დაკავებული სივრცეები. არაბეთში იყო მთელი რიგი დიდი სამიწათმოქმედო ოლქები აყვავებული ქალაქებით, რომელთა მოსახლეობამ ჯერ კიდევ I ათასეულ საუ-

კუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე წარმოების მაღალ დონეს მიაღწია, ფეხი შედგა ცივილიზაციის სტადიაში და გაცხოველებული აღებმიცემობა დაამყარა მეზობელ ქვეყნებთან. ეს ითქმის, პირველ ყოვლისა, იემენზე, რომელიც ბერძნულ-რომაულ გეოგრაფიაში ცნობილი იყო „ბედნიერი არაბეთის" სახელწოდებით. სამხრეთ-დასავლეთ არაბეთის ამ მთიან ოლქში, ხელოვნური მორწყვის კარგად ორგანიზებული სისტემის საფუძველზე, დიდი ხნიდან განვითარდა მიწათმოქმედება და აღმოცენდა მდიდარი ქალაქები, რომელთა მოსახლეობა სარფიან ვაჭრობას აწარმოებდა ადგილობრივი კეთილსურნელოვანი ფისებით (საკმელი) და დიდ მოგებას ღებულობდა ინდოეთსა, აბისინიასა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს შორის საშუამავლო ვაჭრობიდან. მინეის, საბუის და ქიმიარიტული (ჰომერიტული) სამეფოები, რომლებიც თანმიმდევრობით სცვლიდნენ ერთიმეორეს სამხრეთ არაბეთის ტერიტორიაზე, ანტიკური ხალხების თვალში ზღაპრულად მდიდარ და მაღალკულტურულ სახელმწიფოების სახელით სარგებლობდნენ; მათი სავაჭრო ახალშენები, რომლებიც ჯერ კიდევ ორმა წარსულში აღმოცენდნენ სამხრეთ არაბეთის სირიასთან, პალესტინასა, ბაბილონსა და ეგვიპტესთან შემაერთებელ სავაჭრო გზებზე, გაფახტული იყვნენ დასავლეთ და ჩრდილოეთ არაბეთში. მაგრამ ჩვენი ერას IV—V საუკუნეებისთვის სამხრეთ არაბეთი უკვე სრულიად დაეცა: ქალაქები ნანგრევებად იქცა, სარწყავი ნაგებობანი ნგრევას განიცდიდა, ხოლო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩრდილოეთში გადასახლდა. სამხრეთ-არაბეთის წარწერები და სხვა წერილობითი ძეგლები, რომლებიც დაწერილი იყო განსაკუთრებული ასოებით, უკვე სავსებით გაუგებარი იყო V—VI საუკუნეების არაბებისათვის. მხოლოდ იემენი განაგრძობდა მიწათმოქმედების ქვეყნად ყოფნას პერიოდული წვიმების მეოხებით. მიწათმოქმედების მეორე ოლქი იემამა, რომელსაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა V—VI საუკუნეების არაბეთში, ნეჯდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. აქ ბინადარი მოსახლეობა მისდევდა მარცვლოვანთა და ფინიკური პალმების მოყვანა-გაშენებას, რწყავდა რა თავის მინდვრებს ჭების ამოთხრით მოპოვებული წყლით.

ამგვარად, VI საუკუნის არაბეთში წარმოების ორი ძირითადი დარგი განვითარდა: ადგილმაცვალი მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. ამას ჯერ კიდევ მარქსმა მიაქცია ყურადღება, რომელიც თავის წერილში ენგელსისადმი 1853 წლის 1 ივნისის თარიღით წერდა: „აღმოსავლეთის ყველა ხალხში შეიძლება... აღმოვაჩინოთ ს ა ე რ თ ო[1] ურთიერთ-მიმართება ამ ტომების ერთი ნაწილის ბინადრობასა და მეორე ნაწილის კვლავ არსებულ ადგილმაცვალობის შორის."[1]

არაბეთის, როგორც ადგილმაცვალი, ისე ბინადარი მოსახლეობა V—VI საუკუნეებში პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა; ისინი სისხლის ნათესაობის ნიშნით გვარებად და ტომებად ერთიანდებოდნენ. თითოეული ტომი მთელ რიგ გვარებად იყოფოდა და ეკავა ტერიტორია, რომელიც მიმაგრებული იყო მასზე გადმოცემით და ათასეულ

[1] მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. XXI, გვ. 486.

კვადრატულ კილომეტრებზე ვრცელდებოდა. აქ მას ჰქონდა თავისი სადგომები, საზამთრო კარვები და საზაფხულო საძოვრები. თითოეული ტომი (ზოგჯერ კი დიდი გვარიც ფართოდ დასახლებულ ტომისა) საკუთარ დამოუკიდებელ სისხლით მონათესავე ორგანიზაციას წარმოადგენდა. ერთი გვარისა და ტომის ყველა წევრები თავის-თავს საერთო წინაპრისაგან წარმომობილად სთვლიდნენ, ერთმანეთს ძმებს უწოდებდნენ და ყველანი ერთად თავის-თავს თავისი მითიური გვარის ფუძემდებლის შვილებად მიიჩნევდნენ; აქედან ისეთი სახელწოდებანი ტომებისა, როგორც, მაგალითად, ბენუ-ბეკრი (ბეკრის შვილები), ბენუ-ტაგლიბ და სხვ.; ზოგიერთი ტომი ქალის სახელწოდებას ატარებდა და თავის-თავს ამა თუ იმ ქალის შვილებად მიიჩნევდა, რაც მატრიარქატის ერთ-ერთ გადანაშთს წარმოადგენდა. ზოგჯერ ტომის სახელწოდება ტოტემური ცხოველის სახელიდან წარმოდგებოდა, როგორც, მაგალითად, ბენუ-ასადი — ლომის შვილები, ბენუ-სალიაბი — მელიის შვილები და სხვ.

ერთი გვარის ყველა წევრები ჩვეულებრივ ერთად ცხოვრობდნენ; თავის ქოხებს და კარვებს აქლემის ქეჩისგან აკეთებდნენ და დგამდნენ წყაროსთან ახლო ანდა ოაზისის მეზობლად. ყოველ კარავში ცხოვრობდა ოჯახი, რომლის უფროსიც იყო მამა, კარვის პატრონი. უფროსი შვილი დაქორწინებისას, როგორც წესი, იდგამდა თავის კარავს და ცალკე ოჯახის მეთაური ხდებოდა. არაბთა ოჯახი VI საუკუნეში პატრიარქალური იყო, თუმცა მატრიარქატის ნაშთები, ისე როგორც ჯგუფური ქორწინების ზოგიერთი გადანაშთებიც, ყველა ტომში შესამჩნევი იყო: სახელდობრ, იყო (თუმცა იშვიათად) ოჯახები, რომლებშიც მთავარი როლი და განქორწინების უფლება ეკუთვნოდა არა ქმარს, არამედ ცოლს; რიგ ტომებში არსებობდა პოლიანდრიის სავსებით გარკვეული ნიშნები. სისხლის აღების ინსტიტუტი გაბატონებული იყო როგორც ტრამალებში, ისე ოაზისებშიც, რამდენადაც სახელმწიფო ხელისუფლებისა და მისი დაწესებულებების არარსებობის პირობებში, გვარისა და ტომის წევრთა ურთიერთდაცვა ადამიანთა უშიშროებისა და ქონების ხელშეუხებლობის ერთადერთ გარანტიას წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის არაბთა საზოგადოება თავის არსში ატარებდა პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლის უკვე გაღრმავებული პროცესის გარკვეულ ნიშნებს. ქონებრივი და სოციალური თანასწორობა არაბთა ტომებში მხოლოდ საკმაოდ ბუნდოვან მოგონებათა სახით არსებობდა. ყოველ ტომში უკვე გამოიყო გვაროვნული არისტოკრატია, რომელიც ფლობდა საქონლის დიდ ჯოგებს და ცდილობდა ხელში ჩაეგდო ხაუკეთესო საძოვარი ადგილები. მაგრამ გვაროვნული კავშირის რღვევისა და პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლის ყველაზე მნიშვნელოვან და მკაფიო ნიშანს მონობისა და მასთან დაკავშირებული ექსპლოატაციის არსებობა წარმოადგენდა. მონათმფლობელები უპირატესად გვაროვნული არისტოკრატები იყვნენ, რომლებიც ეწეოდნენ უცხოელ (უპირატესად აფრიკელ) მონების შრომის ექსპლოატაციას მწყემსების სახით. გვაროვნულ არისტოკრატიას უდიდეს უპირატესობებს ანიჭებდა ის, რომ მას ჰყავდა მონები. იმავე დროს მონური

შრომის ექსპლოატაციის შესაძლებლობა აქეზებდა არისტოკრატიას გაედიდებინა თავისი ჯოგების სულადობა და ხელთეგდო უზარმაზარი საძოვრები. ეს კი იწვევდა წინააღმდეგობათა გაძლიერებას გვაროვნულ არისტოკრატიასა და მესაქონლეთა ძირითად მასას შორის, რომელთა წრეშიც იზრდება ხელმოკლეთა და უქონელთა რიცხვი. ეს უკანასკნელნი იწყებენ ბრძოლას მონათმფლობელი არისტოკრატიის წინააღმდეგ: იტაცებენ და მიერეკებიან მის ჯოგს, თავს ესხმიან წინამძღოლთა — ს ე ი ი დ თ ა, შ ე ი ხ თ ა კარვებს, მათი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, ზოგჯერ კი ჰხოცავენ მათ.

ამ ეკონომიურ და სოციალურ წინააღმდეგობებს განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდნენ არაბთა ტომები იმ მიზეზით, რომ არაბეთში VI საუკუნეში თავი იჩინა კრიზისმა. ის გამოწვეული იყო შედარებითი ჭარბი მოსახლეობით, რამდენადაც არაბებს არ შეეძლოთ საძოვარი სივრცეების გადიდება, რასაც მოითხოვდა ადამიანთა და საქონლის გამრავლება. არაბები იმის გამო, რომ შეზღუდული იყვნენ სამი მხრით ზღვით, ხოლო მეოთხე მხრით — ბიზანტიისა და ირანის საზღვრებით, მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ეკონომიური კრიზისი ვითარდებოდა და სოციალურ კრიზისშე გადადიოდა, რაც აჩქარებდა გვაროვნულ ურთიერთობის დაშლას და ამწვავებდა წინააღმდეგობებს თითოეული ტომის გვაროვნული არისტოკრატიასა და ადგილმაცვალ მასას შორის.

არა ჰქონდათ რა შესაძლებლობა თავისუფლად დასახლებულიყვნენ უფრო ვრცელ ტერიტორიაზე თავისი მშობლიური ნახევარკუნძულის საზღვრებს გარეშე, არაბები აღმოჩნდნენ აუცილებლობის წინაშე, ძალით გაერღვიათ ბიზანტიისა და ირანის საზღვრები, რათა ხელთ ეგდოთ ახალი ოლქები. კლასების წარმოშობის პროცესმა, რომელიც არაბეთში V — VI საუკუნეებში დაიწყო, არაბეთის სახელმწიფოს წარმოშობა გამოიწვია. დაიწყო ტომების კავშირთა დაარსება, რაც აუცილებელ წანამძღვარს წარმოადგენდა მთელი არაბეთის გაერთიანებისათვის. იდეოლოგიის დარგში არაბთა მისწრაფებამ გაერთიანებისადმი თავისი გამოხატულება ჰპოვა ხ ა ნ ი ფ თ ა მოძღვრებაში. ხანიფები, რომლებიც VI საუკუნეში გაჩნდნენ არაბთა მთელ რიგ ტომებში, ჯანყდებოდნენ ტომური და ადგილობრივი კულტების წინააღმდეგ, ქადაგებდნენ იუდეველ-ქრისტიანული ტიპის ერთი ღმერთის სარწმუნოებას. ხანიფიზმი ისლამის უშუალო წინამორბედი იყო.

ისლამის წარმოშობა. ისლამი წარმოიშვა სოციალურ წინააღმდეგობათა განვითარების შედეგად გაღრმავებული კრიზისის ფონზე და უშუალო გენეტიკურ კავშირში იყო ხანიფიზმთან. თავისი წარმოშობის პერიოდში ისლამი წარმოადგენდა არაბეთში კლასობრივი საზოგადოების განვითარებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესის ანარეკლს. „მხოლოდ იქ, სადაც ლაპარაკია სამი ჯერ ადრე არსებულ მსოფლიო რელიგიის შესახებ: ბუდიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის შესახებ, — წერს ენგელსი თავის ნაშრომში „ლუდვიგ ფეიერბახი", — შეიძლება ითქვას, რომ დიად ისტორიულ გარდატეხებს თ ა ნ ს დ ე ვ დ ა ცვლილებები რელიგიაში... მხოლოდ ამ ცოტად თუ ბევრად ხე-

ლოვნურად წარმოქმნილი მსოფლიო რელიგიების შესახებ, განსაკუთრებით, ქრისტიანობისა და ისლამის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ საერთო ისტორიული მოძრაობანი რელიგიურ ელფერს ღებულობენ.“ [1] მაშასადამე, ისლამიც, რომელიც წარმოიშვა არაბეთში VII საუკუნეში და მომდევნო ორი-სამი საუკუნის განმავლობაში ერთ-ერთ მსოფლიო რელიგიად განვითარდა, თანსდევდა დიად ისტორიულ მობრუნებას“ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ „მობრუნებაში“ ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ მხოლოდ ფეოდალური საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. სრულიად ბუნებრივია, რომ ისლამი აღმოცენდა არაბეთის იმ ოლქში, რომელშიც პირველყოფილ-თემურ ურთიერთობათა დაშლის პროცესმა VI-VII საუკუნეებში თავისი უდიდესი განვითარება ჰპოვა. ასეთი ოლქი იყო ჰიჯასი, სადაც გაცვლა-გამოცვლის განვითარება პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების ურთიერთობათა წარმოშობის დამაჩქარებელ ფაქტორს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ I ათეულ წელში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰიჯასზე გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზა, რომელიც ანტიკურ ხალხებში „ქეთილსურნელობათა გზის“ სახელწოდებით იყო ცნობილი და ინდოეთს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებს უკავშირდება (იემენით).

საერთაშორისო გაცვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი ამ გზაზე იყო მექა, რომელიც ახალშენის სახით წარმოიქმნა ტაძარ ქაბას გარშემო, წყარო ზემზემის ახლო. შემდეგში მექამ ფრიად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა მოიპოვა თავისი განსაკუთრებით ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით; იგი მდებარეობდა იმ გზების ჯვარედინზე, რომლებიც იემენიდან და აბისინიიდან სირიასა და ირაქში მიდიოდნენ. ისლამის წარმოშობის პერიოდში მექა ყველაზე დიდი სავაჭრო ქალაქი იყო დასავლეთ და ცენტრალურ არაბეთში, ქაბა კი სამლოცველო ადგილი იყო ბედუინთა მრავალი ტომისათვის. ხელმძღვანელ როლს მექას ეკონომიურ და რელიგიურ ცხოვრებაში VI საუკუნეში ამ ქალაქის მოსახლე კ უ რ ე ი შ თ ა ტომის მფლობელური გვაროვნული არისტოკრატია ასრულებდა. მონათმფლობელურმა ურთიერთობამ, რომელიც VI საუკუნეში არაბთა ტომებში მხოლოდ ისახებოდა, მექაში უკვე მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა. მექის გვაროვნული არისტოკრატები, რომლებიც გაბატონებულ ზედაფენს წარმოადგენდნენ მექაში, იყვნენ არა მხოლოდ მსხვილი ვაჭრები და მევახშეები, არამედ მონათმფლობელებიც, რომლებიც ექსპლოატაციას უწევდნენ მონებს, და დიდი ჯოგები და მიწები გააჩნდათ ჰიჯასის ოაზისებში და მათგან დამოკიდებულ ბედუინთა ტომების ტერიტორიებზე.

ვაჭრობას, რომელიც მექის მთელი მოსახლეობის ძირითად ხელობას შეადგენდა, მარტოოდენ სატრანზიტო ხასიათი როდი ჰქონდა. დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა მექის მცხოვრებთა მუდმივ გაცვლა-გამოცვლას ბედუინთა ტომებთან, რომლებიც, საქალაქო წარმოების პროდუქტების სანაცვლოდ, აწვდიდნენ საქონელს, მატყლს და ტყავეულს. საშინაო ვაჭრობის გვერ-

[1] მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. XIV, გვ. 656.

დით სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იხვეჭდა მევახშეობა. მექის მცხოვრებთა ემრავლესობა და მრავალი ბედუინი ჩაფლული იყო კაბალურ ვალებში. ამიტომ VI საუკუნეში ჩვენ ვამჩნევთ წინააღმდეგობათა ერთდროულ განვითარეპის და ბრძოლის გაძლიერებას როგორც კურეიშთა ტომის შიგნით, ისე ამ მექურ ტომსა და ჰიჯაზის ბედუინთა ტომებს შორის. ასეთ პირობებში მექის გვაროვნულ არისტოკრატებს თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად აბისინელ მონებისაგან შემდგარი მუდმივი შეიარაღებული ძალა უნდა ჰყოლოდათ. შემდეგ, მექის გვაროვნულმა არისტოკრატიამ თავის ხელში მოაქცია ქააბას კულტთან დაკავშირებული ქურუმთა ფუნქციები; იგი მომსახურებას უწევდა მლოცავებს. რომლებიც მიდიოდნენ მექაში ყოველწლიურად, „სამლვთო თვეებში", არა მხოლოდ რელიგიურ წესჩვეულებათა შესასრულებლად, არამედ სავაჭრო ალებმიცემობაში მონაწილეობის მისაღებადაც ბაზრობებზე, რომლებიც იმართებოდა მექის მიდამოებში მდებარე დაბებსა და ოაზისებში. ბედუინებთან ვაჭრობამ VI საუკუნის დამლევსა და VII საუკუნის დამდეგს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვა სატრანზიტო ვაჭრობის ძლიერი შემცირების გამო იემენთან, რომელიც 576 წელს დაპყრობილ იქნა სპარსელებისაგან. მექის გვაროვნული არისტოკრატია, რომელსაც საგარეო ვაჭრობის შემცირების გამო თავისუფალი სახსრები მოეპოვებოდა, ცდილობდა გაეფართოვებინა თავისი სავახშო საქმიანობა ბედუინთა შორის. ამან წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება გამოიწვია მექელებსა და ბედუინებს შორის. მარქსის განმარტებით, არაბეთის ქალაქებსა და ინდოეთს შორის (იემენით) ვაჭრობის დაცემამ „აგრეთვე ბიძგი მისცა"[1] ისლამის წარმოშობას.

ამრიგად, არაბეთის საყოველთაო კრიზისის განვითარების პირობებში მექაში, სადაც მონათმფლობელური წყობის არსებობისას სოციალურმა წინააღმდეგობებმა უდიდეს განვითარებას მიაღწია, წარმოიშვა ახალი რელიგია — ისლამი.

ამ რელიგიის „დამაარსებლის" მაჰმადის შესახებ დარჩენილია მცირე სარწმუნო ცნობები. თანახმად მუსლიმანთა ტრადიციისა, მაჰმადი თავისი წარმოშობითა და მდგომარეობით ეკუთვნოდა კურეიშთა ტომის გვაროვნულ დემოკრატიას, თავისი რწმენითა და შეხედულებით კი ის იყო ხანიფი: თავისი მოღვაწეობა რელიგიური საზოგადოების მქადაგებლისა და ორგანიზატორის სახით მან დაიწყო დაახლოებით 610 წელს. მაჰმადის მოძღვრება მოცემულია ყურანში, რომელიც დაყოფილია 114 თავად — სურად. აქ გატარებულია მკაცრი მონოთეიზმის იდეა, რწმენა ერთი ღმერთის — ალაჰისადმი, რომელიც ცის დესპოტის სახით გამოდის და მექის მსხვილ ვაჭრთა და მევახშეთა დამახასიათებელ თვისებათა მატარებელია. ადამიანების მიმართ ალაჰი ტიპიურ მონათმფლობელს წარმოადგენს, ხოლო ადამიანები — მისი უუფლებო და უბედნიერი მონები არიან. ისლამი ნიშნავს „მორჩილებას", ამ რელიგიის მიმდევრები კი მუსლიმანებად იწოდებიან. (დამახინჯებული არაბული სიტყვა „მუსლიმი" — მორჩილი).

---

[1] მარქსი და ენგელსი, თხზ., ტ. XXI, გვ. 488.

ერთი ღმერთის-ალაჰისა და მაჰმადის წინასწარმეტყველების შესახებ მოძღვრების გვერდით ყურანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეორედ მოსვლისა და საიქიოს ცხოვრების ასახვას. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ის რამდენიმე ადგილი, რომელთა მიხედვით საშუალება გვეძლევა ვიქონიოთ მსჯელობა მაჰმადის ქადაგებათა სოციალურ შინაარსზე. ამ მხრივ ფრიად მანიშნებელია მევახშეობის გადაჭრით აკრძალვა და მისგან მკვეთრი განსაზღვრა ვაჭრობისა, რომელიც ყურანში წარმოდგენილია, როგორც ალაჰისათვის სავსებით სასურველი მოსაქმეობა. თუ გავიხსენებთ, რომ მევახშეობა მტაცებლობის მსხვერპლი პირველ რიგში მექის გვაროვნული დემოკრატია იყო, მყის ნათელი გახდება, თუ ვის ინტერესებს იცავდა მაჰმადი. გარდა ამისა, მევახშეობის წინააღმდეგ ბრძოლას შეეძლო მექის გვაროვნული დემოკრატიის გაერთიანება ჰიჯაზის ბედუინებთან.

ჩაება რა მექის გაბატონებული ზედაფენის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაჰმადმა, — ბუნებრივია, ნაწილი მექელი მონებისა თავის ყველაზე ერთგულ მიმდევართა რიცხვში დაინახა. მაგრამ თვითონ მაჰმადი, როგორც ეს ყურანის უძველეს ნაწილებიდან ჩანს, მონობას სავსებით კანონიერ სოციალურ ინსტიტუტად სთვლიდა. კიდევ მეტი, ქონებრივი უთანასწორობა ყველა მისი შედეგებით ყურანში წარმოდგენილია, როგორც მოვლენა, რომელიც არავითარ ცვლილებებს არ ექვემდებარება. სრულიად თანმიმდევრობით ყურანში გატარებულია აზრი, რომ მჩაგვრელები დაისჯებიან მხოლოდ საიქიოს; იმავე საიქიოს როდია ნაგულისხმევი, რომ შეცვლილ იქნება განმტკიცებული ეკონომიური და სოციალური უთანასწორობა; მუსლიმანებს ნაბრძანები აქვთ იყვნენ მორჩილნი და მომთმენნი: მაშასადამე, მთელ რიგ ბურჟუაზიულ მეცნიერთა წარმოდგენა მაჰმადზე, როგორც სოციალურ რეფორმატორზე, უაზრობაა.

მექაში, სადაც ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატია დიდი გავლენით სარგებლობდა თავის თანამემამულეებზე, ისლამის მოძრაობა იმთავითვე უდღეური აღმოჩნდა. 622 წელს მოხდა ჰ ი ჯ რ ა, ე. ი. მაჰმადისა და მისი მიმდევრების გადასახლება საამიწათმოქმედო ოაზის იასრიბში, რომელიც უფრო ცნობილი შეიქნა მედინას სახელწოდებით. ისლამის „მედინის პერიოდის“ ყველაზე თვალსაჩინო ფაქტს მუსლიმანურ „მორწმუნეთა საზოგადოების“ ორგანიზაცია წარმოადგენს. როგორც ყურანის ამ დროისადმი დათმობილ თავებიდან ჩანს, ამ საზოგადოებას გვაროვნული ორგანიზაციებისაგან პრინციპიალური განმასხვავებელი ნიშნები ჰქონდა, ვინაიდან მასში ადამიანები ერთიანდებოდნენ არა სისხლის ნათესაობის საფუძველზე, არამედ ახალი რელიგიის — ისლამისადმი მიკუთვნების ნიშნით. ასეთი საზოგადოების შექმნა შესაძლებელი იყო მხოლოდ პირველყოფილ-თემური წყობილების უკვე ძირფესვიანად დაშლის შედეგად. ყურანი გარკვევით ასახავს გვაროვნულ კავშირურთიერთობათა დაშლას და აწესებს კერძო საკუთრებისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს მოქმედებისა და ყოფაქცევისათვის; სისხლის აღების ინსტიტუტი დაგმობილი და გაუქმებულია. ყურანის მედინას პერიოდის თავებში ფრიად დაწვრილებით არის განსაზღვრული მემკვიდრეთა უფლებები, ამასთან გათვალისწინებულია ნათესაობის ყველა საფეხური,

მედინაში დაწყებითი ისლამი არამცთუ ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა, არამედ მან მატერიალური ბაზისიც მოიპოვა. მედინიდან სამი „ებრაული ტომის“ (ალბათ, ესენი იყვნენ გაებრაელებული არაბები) თანდათანობით განდევნით და მათი მიწებისა და ქონების ხელში ჩაგდებით, მაჰმადმა შესძლო დაერიგებინა მიწები როგორც მასთან ერთად გადასახლებულ მექელებისათვის, ისე მედინის არაბთა ორი ტომისათვის. ამ ტომებისათვის, რომლებიც ძალიან შევიწროებული იყვნენ მიწის ნაკლებობით, ისლამის მიღება საკვებით რეალურ შედეგებს იძლეოდა. ამიტომ მედინის არაბთა ტომები თავგამოდებულ მუსლიმანებად იქცნენ. მაჰმადის საგარეო პოლიტიკა, რომელიც თავის მიზნად ისახავდა მექის დასუსტებას და ჰიჯასის ტომებზე გავლენის განმტკიცებას, აგრეთვე აძლევდა მედინელებს უშუალო ეკონომიურ სარგებლობას. მექელთა ქარავნებზე თავდასხმების მოწყობით მედინის მუსლიმანებს არევდარევა შეჰქონდათ მექის ეკონომიურ ცხოვრებაში. იმის ცდამ, რომ ხელში ჩაეგდოთ სირიიდან მომავალი მექელთა მდიდარი ქარავანი, 624 წელს გამოიწვია ბრძოლა ბედრასთან, სადაც მუსლიმანებმა დაამარცხეს მექელები. შემდეგში მედინელთა დამარცხებას ოხოდის მთასთან (მედინის ახლო) 625 წელს და მედინისთვის ალყის შემორტყმასაც კი მექელებისა და მათგან დამოკიდებულ ჰიჯასის ბედუინთა ტომების გაერთიანებული ძალების მიერ როდი მოჰყოლია ისლამის ლიკვიდაცია. პირიქით, მედინის უშედეგო გარემოცვის შემდეგ შესამჩნევი ხდება ჰიჯასის ბედუინებზე მედინის ისლამის გავლენის გაფართოება და გაღრმავება. 630 წელს მექა უბრძოლველად დანებდა მუსლიმანებს, რადგან მას უკვე აღარ ჰქონდა მხარდაჭერა მისი ყოფილი ბედუინელი მოკავშირეებისაგან, რომლებიც მაჰმადის მხარეზე გადავიდნენ. ამ დანებებას წინ უძღოდა მოლაპარაკება მაჰმადსა და მექის არისტოკრატიის წარმომადგენლებს შორის, რომელმაც ისლამის მიღებით უზრუნველჰყო თავისთვის სათანადო მდგომარეობა მუსლიმანთა საზოგადოების ხელმძღვანელობაში. ქაბა გადაიქცა მუსლიმანთა მთავარ სალოცავად, რის გამო ამ ტაძრის მნიშვნელობამ და შემოსავალმა ძლიერ იმატა. დაცულ იქნა თვით ადგილობრივი ფეტიშის — „შავი ქვის“ კულტიც კი. მლოცავთა რიცხვი მექაში, რომელიც მუსლიმანთა „წმინდა ქალაქად“ გადაიქცა, მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო, ხოლო მლოცავთა რიცხვის ზრდასთან ერთად ბლომავდებოდა სახსრები, რაც ვაჭრობის გაფართოების და გამოცოცხლების იმედს იძლეოდა.

ასე VII საუკუნის დამდეგს დასავლეთ არაბეთში, რომლის ცენტრი იყო მედინა, წარმოიშვა ზეტომობრივი ორგანიზაცია მუსლიმანთა საზოგადოების სახით, ახალი იდეოლოგიით, რომელიც ასახავდა კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნას არაბეთში. ეს ახალი ორგანიზაცია, რომლის სათავეშიც კურეიშიტები იდგნენ, არაბეთის სახელმწიფოს ბირთვი შეიქნა.

არაბთა დაპყრობანი და ხალიფატის წარმოშობა. მაჰმადის სიკვდილის შემდეგ (632 წ.) მუსლიმანთა საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ჯერ აბუ-ბეკრი (632 — 634 წწ.), შემდეგ ომარი (634 — 644 წწ.), რომელთაც ხ ა ლ ი ფ ა თ ა, ე. ი. მაჰმადის მემკვიდრეთა ტიტული მიიღეს. ამ პირველი ორი ხალიფის დროს დამთავრდა არაბეთის გაერთიანება და პირველი დიდი გამარჯვებანი იქნა მოპოვებული ირანთან და ბიზანტიასთან ბრძოლაში. მაშინ როდესაც

ჰაჰმადის დროს. მხოლოდ ჰიჯასისა და დასავლეთ ნეჯდის ტომებმა სცნეს ისლამის მეთაურის ხელისუფლება, პირველი ორი ხალიფის დროს დამორჩილებულ იქნა, მთელი არაბეთი. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა პირველ ხალიფთა გამაერთიანებელ პოლიტიკას ბინადარმა, მიწათმოქმედმა ტომებმა გაუწიეს, კერძოდ ბენუ-ხანიფის იემამის ტომმა, რომელშიც დიდ როლს ასრულებდა მისი წინასწარმეტყველი მუსეილიმა.

ჰიჯასელთა ჯარებმა სძლიეს იემამელთა წინააღმდეგობას და ჩრდილოაღმოსავლეთ არაბეთის ბედუინებთან ერთად შეიჭრნენ ერაყში. აქ მთელ რიგ ადგილობრივ გამარჯვება-დამარცხებათა შემდეგ 637 წელს დიდი დამარცხება დაატეხეს თავს ირანელთა ჯარებს კადისიასთან. 641 წელს არაბებს უკვე მტკიცედ ეპყრათ მთელი ირაქი და მათ ახალი გამარჯვება მოიპოვეს ირანელთა ჯარზე ნეხავენდასთან (ძველი ეკბატანის მახლობლად).

ირანის სამფლობელოების დაპყრობასთან ერთად არაბები იმარჯვებენ სირიასა და პალესტინაში. 636 წლის შემოდგომაზე მათ სასტიკად დაამარცხეს იმპერატორ ჰერაკლეს არმია მდინარე იარმუკზე; 638 წელს დანებდა იერუსალიმი, 640 წელს კი — ცეზარეა. 640 — 641 წწ. მოეწყო პირველი თავდასხმა ეგვიპტეზე, რომელიც საბოლოოდ დაპყრობილ იქნა 645 წელს.

არაბთა სამხედრო წარმატებების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ირანისა და ბიზანტიის საშინაო მდგომარეობა, რომლებიც დაუძლურებულ იქნენ მათში არაბთა შეჭრის წინ დამთავრებული მძიმე ომით (იხ. „თავი XI). ამ ომმა, რომელმაც გააჩანაგა სირია და ერაყი, ხელი წეუწყო სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავებას და კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებას, რის შედეგადაც მოსახლეობა არაბ-დამპყრობლებში ხედავდა თავის მხსნელებს ბიზანტიისა და ირანის ჩაგვრისაგან.

არაბების მიერ დაპყრობილი ბიზანტიისა და ირანის ოლქები შევიდნენ ხ ა ლ ი ფ ა ტ ი ს, როგორც შემდეგში დასავლეთ ევროპაში უწოდებდნენ, არაბთა სახელმწიფოს შემადგენლობაში. ხალიფატის შემქმნელად მუსლიმანთა ისტორიული ტრადიცია სთვლის ხალიფა ომარს, რომლის იდეალიზებური სახე განხილულ უნდა იქნეს როგორც სამხედრო დემოკრატიის წყობილების განსახიერება. ამ წყობილების დროს არაბი დამპყრობლები არ იღებდნენ მონაწილეობას დაპყრობილი ქვეყნების საზოგადოებრივ წარმოებაში. ომი ახალი ტერიტორიების დაპყრობისა და ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით და აგრეთვე ხარკის შიღება დაპყრობილი მოსახლეობიდან არაბთა ძირითად მოსაქმეობას წარმოადგენდა. დაპყრობილი მოსახლეობა ვალდებული იყო ეძლია ხაადგილმამულო გადასახადი — ხ ა რ ა ჯ ა — და — ჯ ი ზ ი ა — რაოდენობით 1-დან 4 დინარამდე (5 — 20 მანეთი) წელიწადში ფულად და მიეწოდებინა ხორბლის, ზეითუნის ზეთის და ძმრის განსაზღვრული რაოდენობა. არაბებმა გარკვეული ზომები მიიღეს, რათა არ შერგოდნენ დაპყრობილ მოსახლობას და არ გათქვეფილიყვნენ მის მასაში.

უკვე პირველ დაპყრობთა პერიოდში მუსლიმანთა საზოგადოების ხელმძღვანელ ფენაში, რომელიც ხალიფატის ერთგვარ მთავრობას წარმოადგენდა, ემჩნეოდა მეტოქეობისა და ბრძოლის ნიშნები, ერთი მხრივ, კურეიშიტთა გვაროვნულ არისტოკრატიასა და, მე-

ორე მხრივ, არაბთა ტომების დემოკრატიული მასების წარმომადგენელთა შორის. მესამე ხალიფამ ოსმანმა (644 — 656 წწ.), რომელიც ყველაზე ჩინებულ კურეიშიტთა გვარს ომეიას ეკუთვნოდა, ყველგან დაპყრობილ პროვინციებში მმართველების სახით თავისი ნათესავები დანიშნა. მექელ არისტოკრატთა ძალადური გავლენა, რომლებიც ხშირად მიმართავდნენ ძალმომრეობასა და გამოძალვას, პროტესტებსა და აღშფოთებას იწვევდა. 656 წელს დაპყრობილი ოლქების არაბებმა მედინის მოსახლეობის მხარდაჭერით დაამხეს და მოჰკლეს ოსმანი და ხალიფად მაჰმადის ბიძაშვილი და სიძე-ალი გამოაცხადეს. მაგრამ სირიის ნაცვალმა მუავიამ, მოკლული ოსმანის ნათესავმა, თავისი პროვინციის ტომებზე დაყრდნობით დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა ალის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას თანსდევდა წინააღმდეგობათა შემდგომი განვითარება არაბთა საზოგადოებაში და იგი ხარიჯიტთა სექტის წარმოქმნის ერთ-ერთ მიზეზად იქცა. ხარიჯიტები იყვნენ სამხედრო დემოკრატიის თავგადმოდებული დამცველები, რომლებმაც მუსლიმანთა საზოგადოების უზენაესობის პრინციპი გამოაცხადეს. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ისინი მხოლოდ საზოგადოებას სცნობდნენ უფლებამოსილად აერჩია და ჩამოეგდო ხალიფები, ამასთან საზოგადოების უმაღლეს რჩეულად შეეძლო ყოფილიყო ყოველ კეთილმსახურ მუსლიმანს. უზენაეს ხელისუფლებისათვის ორთავე მებრძოლ პრეტენდენტს ხალიფატში ისინი სთვლიდნენ უზურპატორებად, რომლებიც ძალით უნდა მოეცილებინათ. 661 წელს კუფაში ალი ერთ-ერთი ხარიჯიტის ხელით იქნა მოკლული. მუავიაზე თავდასხმა უშედეგოდ დამთავრდა. მან თავისი თავი ხალიფად გამოაცხადა და ომეიადთა დინასტია დააარსა. ალის მომხრეები და მიმდევრები, რომელთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა ყოველ ახალ თაობასთან ერთად, შიიტთა სახელწოდებით არიან ცნობილნი. მათ შეადგინეს აქტიური ოპოზიცია ომეიადთა წინააღმდეგ.

ომეიადთა ხალიფატი. ომეიადთა დინასტია (661 — 750 წწ.) თავის პირველ წარმომადგენელთა სახით VI—VII საუკუნეთა არაბეთის მონათმფლობელური წყობისათვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მატარებელი იყო. ამიტომ ხალიფატის ძირითად პროვინციად ამ დინასტიის დროს იქცა სირია, სადაც VI-VII საუკუნეებში უკვე ვითარდებოდა წარმოების ფეოდალური წესი, მაგრამ სადაც იმავე დროს ჯერ კიდევ მეტად ძლიერი იყო მონათმფლობელური ურთიერთობა. ირანი (ერაყის — ბაბილონის ჩართვით), სადაც ჯერ კიდევ სასანიდების დროს წარმოიქმნა ადრეულ-ფეოდალური საზოგადოება, სულ უფრო მზარდი ექსპლოატაციისა და ბრძოლის ასპარეზად იქცა. სირიაში, სადაც ომეიადთა ხალიფატის დედაქალაქი დამასკი იმყოფებოდა, შედარებით ზომიერი ექსპლოატაცია ტარდებოდა და შესამჩნევი იყო საწარმოო ძალთა მნიშვნელოვანი ზრდა. სამი უწყებიდან, რომლებიც, მარქსისა და ენგელსის განმარტებით, ჰქონდათ მთავრობებს აღმოსავლეთში,[1] ომეიადთა დროს მუდმივად მოქმედებდა მხოლოდ ორი—საფინანსო და სამხედრო, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევდნენ საკუთარი მოსახლეობის გაქურდვის საქმეს და ძარცვა-გლეჯას უცხოურ ქვეყნებში. მესამე უწყების — საზოგადოებრივ

[1] მარქსი და ენგელსი, თხზ., ტ. XXI, გვ. 494.

სამუშაოთა უწყების ფუნქციები კი, რომლის მოვალეობას შეადგენდა ზრუნვა აღდგენაზე, სავსებით დათმობილი ჰქონდა დაპყრობილ მოსახლეობას. დამასკის მთავრობის წარმომადგენლები ადგილობრივი მოსახლეობის საქმეებში ერეოდნენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ხდებოდა აჯანყებები ანდა მცირდებოდა გადასახადთა და გამოსაღებთა შეტანა. ომეიადთა პერიოდის პირველ ნახევარში, ისე როგორც პირველი ოთხი ხალიფის დროსაც, არაბები როდი ღებულობდნენ მონაწილეობას საზოგადოებრივ წარმოებაში; ისინი თითქმის მხოლოდდამხოლოდ ომებს, ტომებს შორის შეხლაშემოხლას და აჯანყებათა ჩაქრობას უნდებოდნენ და ეწეოდნენ.

მაგრამ ბარბაროს-დამპყრობლების უკვე უახლოესი ჩამომავალნი მოეკცნენ უფრო მაღალი ეკონომიკის და უფრო განვითარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გავლენის ქვეშ, რომლებიც გაბატონებული იყო არაბთა მიერ დაპყრობილ ფეოდალურ ქვეყნებში. ასეთი გავლენით შეიძლება აიხსნას არაბთა არისტოკრატიის მისწრაფება ხალიფატის გაბატონებულ კლასად კონსოლიდირებისა და სახელმწიფოს მართვაგამგეობის სათავეში მოქცევისაკენ. ასეთმა მისწრაფებამ თავისი ყველაზე სრული გამოხატულება ჰპოვა ხალიფების აბდელ-მელიქის (685 — 705 წწ.) და ველიდ I-ის (705 — 715 წწ.) ღონისძიებებში, ანდა „რეფორმებში". საქმისწარმოებასა და ანგარიშწარმოებაში, რომლებიც მანამდე მშობლიურ ენებზე წარმოებდა ადგილობრივ სპეციალისტთა მიერ, ახლა ნაბრძანები იყო შემოეღოთ არაბული ენა როგორც სავალდებულო სახელმწიფო ენა. ამავე დროს შემოღებულ იქნა ფულის ერთიანი სისტემა: ნაცვლად ბიზანტიური ოქროს და სასანიდური ვერცხლის ფულებისა, რომლებიც ხმარებაში იყო არაბული ფულის თანაბრად, ბრუნვაში დაშვებულ იქნა მხოლოდ არაბული ვერცხლის დირხემები (25 კაპიკი) და ოქროს დინარები (5 მანეთი). ამ რეფორმების დროს შესამჩნევი იყო ექსპლოატაციის გაძლიერება. ამ მხრივ ფრიად მანიშნებელია 700 წლის კანონი, რომლის მიხედვით ყველა არა-არაბ მუსლიმანებს, რომლებიც მანამდე თავისუფლდებოდნენ სულზე გადასახადისაგან, უნდა ეხადათ გადასახადები დანარჩენ არამუსლიმან მოხარკე მოსახლეობის თანაბრად. ამავე დროს ერაყის მბრძანებელი ხაჯაჯი, რომელიც ცნობილი იყო იმით, რომ სასტიკად უსწორდებოდა ხარეჯიტებს, მოითხოვდა, რომ შეეპყროთ და დაედაღათ გაქცეული გლეხები და დაებრუნებიათ ისინი თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე.

VII საუკუნის დამლევს და VIII საუკუნის პირველ მეოთხედში არაბებმა დაიპყრეს ახალი ტერიტორიები, რომლებმაც გასწვიეს ხალიფატის საზღვრები ატლანტის ოკეანეს ნაპირებამდე დასავლეთით და მდინარე სირ-დარიამდე და ინდამდე აღმოსავლეთით. ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების დაპყრობით და ბერბერების ადგილობრივი ტომების თავისი ხელისუფლებისადმი დამორჩილებით 709 წელს, არაბებმა ამ უკანასკნელთა დახმარებით 711 — 714 წლებში დაიპყრეს პირენეის ნახევარკუნძულის მეტი ნაწილი, რის შემდეგ შეიჭრნენ სამხრეთ გალიაში, მოაწყეს თავდასხმები რონის ხეობაში, შემდეგ კი დაარბიეს აქვიტანია. მხოლოდ 732 წელს ისინი ჭარლოს მარტელის ჯარების მიერ შეჩერებულ იქნენ ტურსა და პუატიეს შუა, სადაც დამარცხდნენ და უკან

დაიხიეს. დასავლეთით მოპოებულ გამარჯვებებთან ერთად არაბებმა VIII საუკუნის დამდეგს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ინდის ხეობაში, დაიპყრეს თურქესტანი თითქმის სირ-დარიამდე, მივიდნენ დარიალის ხეობამდე კავკასიაში და 716 — 717 წწ. მესამეჯერ შემოარტყეს ალყა კონსტანტინეპოლს (ბიზანტიის დედაქალაქის პირველი ორი გარემოცვა მოხდა მუავიას დროს და, როგორც ეს უკანასკნელიც, ისინიც მარცხით დამთავრდა არაბებისათვის).

VIII საუკუნის პირველ ნახევარში საშინაო ურთიერთობაში შესამჩნევი იყო დაპყრობილ ხალხთა ბრძოლის გაძლიერება არაბთა უღლის წინააღმდეგ. აჯანყებათა ჩაქრობა ერაყში, ირანსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც არაბთა წინააღმდეგ აღსდგნენ ბერბერთა ტომები, სირიისა და ეგვიპტის ძალთა დიდ დაძაბულობას მოითხოვდა. უკანასკნელ ომეიადთა დროს სირიამ დაჰკარგა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა, ვინაიდან დამასკის მთავრობა იძულებული იყო დიდი სახსრები ამოეღო სირიის მოსახლეობიდან ბიზანტიასთან ბრძოლის საწარმოებლად და ხალიფატის აღმოსავლეთ და დასავლეთ ოლქებში აჯანყებათა ჩასაქრობად.

საშინაო პოლიტიკის შეცვლის გამო სირიაში უკანასკნელ ომეიადელ ხალიფებს შეჯახება მოუხდათ სირიის გლეხობისა და ქალაქთა პლებეურ მოსახლეობის აჯანყებებთან. 700 წლის კანონით თავის პრივილეგიებს მოკლებული არა-არაბი მუსლიმანები აღარ წარმოადგენდნენ არაბთა ხელისუფლების დასაყრდენს. ძირითადად ომეიადები ყოველთვის უცხონი იყვნენ დაპყრობილი ხალხებისათვის და არაბთა გვაროვნული არისტოკრატიის ტიპიურ წარმომადგენლებად რჩებოდნენ, რის გამოც მათ არ შეეძლოთ შეექმნათ მტკიცე და ფართო ბაზისი თავისი ბატონობისათვის. ომეიადთა ბატონობას ბოლო მოუღო დარტყმამ ხორასანიდან, სადაც 747 წელს დაიწყო აჯანყება, რომელიც სწრაფად გავრცელდა მთელს ირანში, ხოლო ორი წლის შემდეგ ერაყსაც მოედო. გაჩანაგებულ და დაუძლურებულ სირიაში ომეიადთა უკანასკნელ ხალიფას მერვან II (744—750 წწ.) აღარ შეეძლო მოეკრიბა ძალები ომეიადთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ ამ ფართო სახალხო მოძრაობასთან საბრძოლველად.

ბაღდადის ხალიფატი. ამ მოძრაობის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოექცა აბუ-ლ-აბასი, რომელმაც დააარსა ახალი დინასტია—ა ბ ა ს ი დ ე ბ ი ს ა (750 — 1258 წწ.). ამ დინასტიის დროს მოხდა ხალიფატის ცენტრის ადგილგადანაცვლება დამასკოდან ბაღდადში, ხალიფა მანსურის მიერ მდინარე ტიგროსზე 762 წელს დაარსებულ ქალაქში. ამიტომ აბასიდთა სახელმწიფოს ბაღდადის ხალიფატს უწოდებენ.

უკვე პირველი აბასიდების დროს ფეოდალურმა ურთიერთობამ ჰპოვა თავისი შემდგომი განვითარება. პირველ ყოვლისა, ხალიფა მანსურის დროს (754 — 775 წწ.), რომელიც ბაღდადის ხალიფატის ნამდვილი ორგანიზატორი იყო, ფეოდალური რენტის გადახდევინება ფართო მასების ექსპლოატაციის ძირითად ფორმად იქცევა. შემდეგ, გაძლიერებულ მუშაობას იწყებს „საზოგადოებრივ სამუშაოთა უწყება“, რაც ხელს უწყობს საწარმოო ძალთა განვი-

თარებას. მიწათმოქმედებისა და სხვადასხვა ხელობის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვან გაცხოველებას პოულობს გაცვლა-გამოცვლა როგორც ხალიფატის შიგნით, ისე მეზობელ ქვეყნებთანაც, ხოლო ბაღდადის სახელმწიფოს შუალედი მდებარეობდა ჩინეთიდან და ინდოეთიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში მიმავალ გზებზე, ხელს უწყობდა სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებას.

ბაღდადის ხალიფატში არაბთა არისტოკრატიამ დაჰკარგა თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა; სამაგიეროდ უდიდეს როლს ასრულებდნენ ირანის ფეოდალები, რომელთა დახმარებითაც აბასიდები ხელისუფლების სათავეში მოექცნენ. ამასთან დაკავშირებით ხალიფატი პირველი აბასიდების დროს თავისი ადმინისტრატიულ-ფინანსიური სტრუქტურით და მრავალი თავისი წესებითა და დაწესებულებებით უკანასკნელ სასანიდთა სახელმწიფოს მოგვაგონებდა. სასანიდთა ფისკალური სისტემა მისაბაძ ნიმუშად ითვლებოდა აბასიდელ მოხელეთა თვალში, თუმცა მათ უხდებოდათ მოქმედება უკვე გაცილებით უფრო განვითარებულ ეკონომიურ და სოციალურ ურთიერთობათა ვითარებაში. სახელმწიფოს მართვაგამგეობის სათავეში იდგა ვ ე ზ ი რ ი (ვიზირი), რომელიც განაგებდა ადმინისტრაციას, ფინანსებს და ჯარს. ეს თანამდებობა რამდენიმე თაობის მანძილზე ეკავათ ბარმეკიდებს, მსხვილ ირანელ მიწათმფლობელებს, რომელნიც განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდნენ და, როგორც ირანელ ფეოდალთა კლასის წარმომადგენლები, მუდმივ კონტროლს ახორციელებდნენ არაბთა ხალიფაზე.

ყველაზე დიდ ფიგურებად ბაღდადის ტახტზე, გარდა მანსურისა, ჰარუნ-არ-რაშიდი (786 — 809 წწ.) და მამუნი (813 — 833 წწ.) ითვლებიან. ჰარუნის იდეალიზებული, ისტორიულად ყალბი სახე „1001 ღამის“ ზღაპრებში ვეხვდება; აქედან მომდინარეობს ამ ხალიფას სახელგანთქმულობა და პოპულარობა ევროპაში. მისი მეფობის დროს ხალიფატმა ეკონომიური და კულტურული აყვავების მაღალ დონეს მიაღწია. მაგრამ იმავე დროს უკვე თავი იჩინეს მისი დაკნინება-დაცემის პირველმა ნიშნებმა. ბაღდადის ხალიფატის ძლიერება და სიდიადე დამყარებული იყო იმ ექსპლოატაციაზე, რომელსაც განიცდიდნენ გლეხები, როგორც ძირითადი მწარმოებლები, ხოლო ამ უკანასკნელთა მდგომარეობა, ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, სულ უფრო მძიმე ხდებოდა. ხალიფატში ფეოდალურ რენტას საადგილმამულო გადასახადის სახით ახდევინებდნენ. თავდაპირველად ამ გადასახადის ოდენობა დამოკიდებული იყო მ ო ს ა ვ ლ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ზ ე: ის შეადგენდა მოსავლის ნახევრიდან ერთ მერვედამდე და მხოლოდ და მხოლოდ ნატურით შეჰქონდათ. მაგრამ უკვე ჰარუნის დროსვე იმატა გადასახადმა, რომელსაც ახდევინებდნენ ს ა თ ე ს ი ფ ა რ თ ო ბ ი ს ს ი დ ი დ ე ს მ ი ხ ე დ ვ ი თ და რომელიც ფულისა და ნატურის სახით შეჰქონდათ. გასაგებია, რომ ექსპლოატაციის ასეთი სახეცვლის პირობებში მოუსავლობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების საბაზრო მერყეობა მხოლოდ და მხოლოდ მიწის მუშებს აწვებოდა მხრებზე.

ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერება მასობრივ აჯანყებებს იწვევდა. IX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი ანტიფეოდალური მოძ-

რაობა იყო ბ ა ბ ე კ ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა აზერბაიჯანში. ეს მოძრაობა თავის ძირითად მიზნად ისახავდა ძველი თემური წყობილების აღდგენას, რომლის დროსაც შეუძლებელი იყო ფეოდალური ექსპლოატაციის არსებობა. ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ამ მოძრაობას უწოდებენ „კომუნისტურს“ მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ბაბეკის მიმდევრები, ცდილობდნენ რა დაბრუნებოდნენ თემურ წესებს, აწესებდნენ ქონების, ე. ი. მიწისა და ინვენტარის, საერთო საკუთრებას. მუსლიმანთა ფეოდალურმა ისტორიკოსებმა, რომლებიც ამჟღავნებდნენ თავიანთ სურვილს წარმოედგინათ ბაბეკის მიმდევრები გარყვნილ მძარცველთა ბ ა ნ დ ა დ, გაავრცელეს ლიტერატურაში. უსაფუძვლო მტკიცება იმისი, რომ აჯანყებულები აწესებდნენ აგრეთვე „ცოლების საერთო კუთვნილებას“. სინამდვილეში კი ქალები მამაკაცებთან ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას აჯანყებაში და დიდი დამოუკიდებლობით და თავისუფლებით სარგებლობდნენ წყვილადი ქორწინების პირობებში. ბაბეკის აჯანყებამ 20 წელზე მეტს გასტანა (815-დან 837 წლამდე); ერთხანს ის მთელ ჩრდილოდასავლეთ ირანს და ამიერ კავკასიის ნაწილსაც მოედო. მას მიემხრნენ მთელ რიგ ქალაქთა მოსახლეობის პლებეური ფენები და იგი ჩაქრობილ იქნა მხოლოდ ხალიფატის ყველა შეიარაღებულ ძალთა დაძაბვის შედეგად.

ფეოდალურ ურთიერთობათა სრულ განვითარებას ბაღდადის ხალიფატში მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნიდა ძლიერი მონათმფლობელური წყობის არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური ურთიერთობის განვითარებით საახელმწიფო გადასახადთა სიმძიმე მეტწილად გლეხობის მხრებზე გადადიოდა, საზოგადოებრივი შრომის ყველაზე მძიმე უბნებზე (როგორც, მაგალ., ხელოვნური მორწყვის სისტემაში, ბამბის პლანტაციებზე, მაღაროებში და ა. შ.) ისევ მონები განაგრძობდნენ მუშაობას. მეტწილად ესენი იყვნენ წარმოშობით აფრიკელი მონები, კუნძულ ზანზიბარიდან წამოყვანილნი, სადაც იყო უდიდესი ბაზარი აფრიკელი ტყვეებისა. არაბულად ამ კუნძულს ეწოდებოდა აზ-ზინჯი, იქიდან წამოყვანილ თითოეულ მონას კი-ზინჯი. განსაკუთრებით მრავლად იყვნენ ზინჯიები ერაყში და ნაწილობრივ დასავლეთ ირანში, სადაც ეს აფრიკელები არაჩვეულებრივ მძიმე პირობებში მუშაობდნენ ჭაობების ამოშრობაზე, მლაშობთა გაწმენდაზე, მარილისა და ლითონების მოპოვებაზე და ა. შ. 869 წელს დაიწყო ზ ი ნ ჯ ი ე ბ ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ბასრის მიდამოებში, სადაც ტყვეების დიდი ბაზარი იყო. ამ აჯანყებას, რომელმაც 14 წელს გასტანა და მთელი სამხრეთ ერაყი და ჰუზისტანი მოიცვა, აქტიურად მხარი დაუჭირეს გლეხობის მასებმა. 878 — 879 წწ. ზინჯიებმა, რომელთა სათავეში იდგა არაბ-შიიტი ალი-იბნ-მაჰმადი, უშუალო საფრთხე შეუქმნეს ბაღდადს. აჯანყების ჩაქრობის ხაქმე ხალიფას ჯარებს, რომლებიც მანამდე დიდ დამარცხებებს განიცდიდნენ ზინჯიებთან ბრძოლაში, გაუადვილა მხოლოდ გახრწნამ თვით ზინჯიების წრეში, რომელთა მეთაურმა 879 წელს თავისი თავი ხალიფად გამოაცხადა. მაგრამ ზინჯიების აჯანყების უშუალო გაგრძელებად შეიქმნა კ ა რ მ ა ტ ე ბ ი ს მძლავრი გლეხური ანტიფეოდალური მ ო ძ რ ა ო ბ ა, რომელმაც X საუკუნის განმავლობაში არაერთხელ შესძრა მთელი ერაყი და სირიასაც მისწვდა.

ბაღდადის ხალიფატის დაშლა. აბასიდთა სახელმწიფოს, ამ დინასტიის ბატონობის დასაწყისიდანვე, ომეიადთა ხალიფატთან შედარებით, უფრო მცირე ტერიტორია ეჭირა. პირენეის ნახევარკუნძულზე 756 წლიდან დამყარდა კორდოველ ომეიადთა ხელისუფლება. VIII საუკუნის დამლევს (788 წელს) მაროკო იდრისიდების შიიტთა დინასტიის ხელისუფლების ქვეშ მოექცა, ხოლო 800 წლიდან ჩრდილოეთ აფრიკაში (ე. ი. ეგვიპტის დასავლეთით მდებარე ქვეყნებში) აგლაბიდთა დინასტიის ხელისუფლება დამყარდა. ჰარუნ-არ-რაშიდის შვილის მამუნის დროს დაიწყო ირანის ჩამოშორების პროცესი, რაც დამთავრდა IX საუკუნის დამლევს, როცა მთელი ეს ქვეყანა რამდენიმე ირანული დინასტიის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა. X საუკუნის დასაწყისში ხალიფატს საბოლოოდ ჩამოსცილდა ეგვიპტე, სირია პალესტინითურთ და ჩრდილოეთ მესოპოტამია. X საუკუნის შუახანებში აბასიდთა ხალიფების ხელისუფლებას მხოლოდ ბაღდადსა და მის მიდამოებში სცნობდნენ. ბაღდადის უზარმაზარი ხალიფატის ასეთი დაშლა მოხდა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების და არაბთა ბატონობის წინააღმდეგ სხვადასხვა ხალხთა ბრძოლის შედეგად.

IX საუკუნის მეორე ნახევარში ბაღდადის ტახტზე ერთმანეთს ცვლიდნენ მთელი რიგი უმნიშვნელო და უბადრუკი ხალიფები, რომლებიც მთლიანად დამოკიდებული იყვნენ თურქთა გვარდიის უფროსებისაგან; გვარდიელები ტახტიდან აგდებდნენ და ტახტზე აჰყავდათ ხალიფები, აწამებდნენ და ჰკლავდნენ მათ, ანდა საპყრობილეში ჰყრიდნენ. მაგრამ აბასიდთა ხალიფები, რომლებმაც დაჰკარგეს თავისი სამფლობელოები და პოლიტიკური ძალაუფლება, გადიქცნენ მუსლიმან მღვდელმთავრებად, რომლებსაც ზოგჯერ რომის პაპებს ადარებენ. X საუკუნეში ხალიფებმა ისარგებლეს თავისი რელიგიური ავტორიტეტით, აძლევდნენ ინვესტიტურებს სხვადასხვა ფეოდალ მფლობელებს და ფეოდალური იერარქიის მწვერვალზე მდგომად ითვლებოდნენ. ამიტომ სხვადასხვა ფეოდალური მეფეები ცდილობდნენ დაემყარებინათ თავისი მუდმივი გავლენა ბაღდადის ხალიფებზე. ამის განხორციელება შესძლეს ბუიდებმა (ბუვეიხიდებმა), შიიტთა დინასტიამ, რომელიც ფლობდა დასავლეთ ირანს. ამ სპარს-შიიტებმა 945 წელს აიღეს ბაღდადი და საუკუნის განმავლობაში ახორციელებდნენ კონტროლს ბაღდადის ხალიფზე. მაგრამ ბაღდადის ხალიფას რელიგიური ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. როდესაც XI საუკუნის შუახანებში თურქ-სელჯუკებმა დაიპყრეს ირანი, დაამარცხეს ბუიდთა ჯარები და აიღეს ბაღდადი (1055 წ.), მათ სცნეს ბაღდადის ხალიფა როგორც თავისი სიუზერენი, და ხალიფა კაიმმა ტოგრულ-ბეკს, სელჯუკ-დამპყრობთა წინამძღოლს, ორრქიანი გვირგვინი დაადგა და ორი მახვილი დაჰკიდა ნიშნად მისთვის ბატონობის მინიჭებისა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე.

კორდოვისა და ქაიროს ხალიფატები. X საუკუნეში ბაღდადის ხალიფებთან ერთად კიდევ ორი დინასტიის წარმომადგენლები აცხადებდნენ პრეტენზიას უზენაეს ხელისუფლებაზე მუსლიმანთა სამყაროში. პირენეის ნახევარკუნძულზე ახალგაზრდა ომეიადი,—აბუ-ლ-აბასის მიერ ამ დინასტიის წარმომადგენელთა დახოცვის დროს გადარჩენილი, — აბდარახმან I, 756 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოს სათავეში მოექცა, რომელსაც ცენტრი კორდოვა-

ში ჰქონდა. ამ კორდოვის სახელმწიფომ (საამიროომ) თავის უდიდეს პოლიტიკურ ძლიერებას და დიდ კულტურულ განვითარებას მიაღწია X საუკუნეში აბდარახმან III დროს (912 — 961 წწ.), მისი შვილის ხანკამ II დროს (961—976 წწ.) და ხიშამ II დროს (976 — 1009 წწ.), რომლის დროსაც სამეფოს მართავდა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე მაჰმად-იბნ-აბუ-ამირი, ევროპელებში ალმანზორის სახელით ცნობილი. 929 წელს აბდარახმან III თავისი თავი ხალიფად გამოაცხადა. მაგრამ ცენტრიდანულ ფეოდალურ ძალთა გამარჯვების შედეგად კორდოვის ხალიფატი XI საუკუნის დამდეგს დაიშალა მთელ რიგ დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოებად და ქალაქებად, რომლებიც შინაომში ჩაებნენ, რამაც მოსახლეობას აურაცხელი ზიანი მიაყენა, შეარყია მუსლიმანური ესპანეთის ძლიერება და მით ხელი შეუწყო რეკონკისტის წარმატებებს (იხ. თავი XXVI). კორდოვის ომეიადთა დინასტია შეწყდა 1031 წელს.

ქაიროს ხალიფებად იყვნენ ფატიმიდთა დინასტიის მეფეები, რომლებიც თავისთავს მაჰმადის ქალიშვილისა და ალის ცოლის-ფატიმის ჩამომავლებად სთვლიდნენ. ფატიმიდები 909 წელს დამკვიდრდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში. 969 წელს მათ დაიპყრეს ეგვიპტე (იმავე წელს დაარსებულ იქნა ქაირო), შემდეგ ამ დინასტიის ხელისუფლება პალესტინასა და სირიაზე გავრცელდა, მაგრამ სამაგიეროდ ხელიდან გაშვებულ იქნა ჩრდილოეთი აფრიკა. ფატიმიდთა დინასტია ბატონობდა უპარატესად ეგვიპტეში 1171 წლამდე, როცა სალახედინმა (სალადინმა) დასაბამი დაუდვა ახალ-ეიუბიდთა დინასტიას (იხ. თავი XVI).

არაბთა კულტურა და მისი გავლენა ევროპაზე. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შუასაუკუნეობრივ კულტურას შეიძლება ეწოდოს „არაბული" მთელ რიგ შენიშვნების დართვით. ის არ ყოფილა მხოლოდ არაბთა მიერ შექმნილი კულტურა, თუმცა ისინი დიდ მონაწილეობას ღებულობდნენ მის შექმნაში. არაბთა კულტურა შეიქმნა ხალიფატის იმ მრავალი ცივილიზებული ხალხების აქტიურ ურთიერთმოქმედების შედეგად, რომლებმაც აითვისეს არაბული ენა როგორც კულტურული შემოქმედების იარაღი. ამრიგად, ტერმინი „არაბები" კულტურის მხრივ პირობითია და შეიცავს არა მხოლოდ არაბებს, არამედ სპარსებს, ბერძნებს, სირიელებს, ებრაელებს, კოპტებს, ბერბერებს და ვესტგუთებსაც, რომლებიც არაბულად წერდნენ და ლაპარაკობდნენ.

ხალიფატის ხალხთა კულტურული საქმიანობა ფრიად მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს მსოფლიო კულტურის განვითარების ისტორიულ ჯაჭვში. არაბებმა თვალსაჩინო საშუამავლო როლი შეასრულეს: მათ შეითვისეს ძველი ბერძნული კულტურა, შეავსეს იგი მთელ რიგ ფრიად დიდი მიღწევებით და გადასცეს ევროპას. VIII—IX საუკუნეებში სირიელი ფილოსოფოსები და მკურნალები პირველ შუამავლებად გამოვიდნენ არაბებსა და ძველ-ბერძნულ მეცნიერებას შორის. ხალიფა მამუნის დროს (813—833 წწ.) ფართოდ გაიშალა მუშაობა არაბულ ენაზე ძველ-ბერძნულ მეცნიერულ და ფილოსოფიურ ნაწარმოებთა თარგმნის დარგში. იმავე დროს, ბერძნულ-სირიულ გავლენასთან გადაჭდობით, მიმდინარეობდა ინდო-ირანული გავლენა. გადმო-

ცემა მანსურის დროს (754 — 775 წწ.) მიაკუთვნებს გალენის ჰიპოკრატის, პტოლომეს და ევკლიდის ძირითად ნაწარმოებთა თარგმანებს. IX — XI საუკუნეთა განმავლობაში ხალიფატის სწავლულთათვის კარგად ცნობილი შეიქნა არისტოტელეს, პლატონისა და ნეოპლატონიკოსთა შრომები. XI საუკუნისათვის არაბებმა არამცთუ სავსებით შეითვისეს, არამედ მნიშვნელოვნადაც გაფართოვეს და გაღრმავეს ბერძენთა მეცნიერული მიღწევები ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ზოოლოგიის, და აგრეთვე ასტრონომიისა და მათემატიკის დარგში; გეოგრაფიის დარგში არაბებმა ფართოდ დაამუშავეს ბერძენთა სწავლება კლიმატიური სარტყლების (ზონების) შესახებ და განსაკუთრებით კლიმატის გავლენის შესახებ ხალხთა კულტურულ განვითარებაზე. ეს სწავლება გადმოცემული აქვს გამოჩენილ გეოგრაფს იაკუტს (1179 — 1229 წწ.) და ღრმად დასაბუთებული აქვს იბნ-ხალდუნს (1322 — 1406 წწ.). არაბული კულტურის პირველ მჭიდრო კონტაქტს დასავლეთ ევროპულ კულტურასთან ადგილი ჰქონდა ჯვაროსნულ ლაშქრობათა პერიოდში, როდესაც არაბებმა ცხადჰყვეს თავისი უდავო კულტურული უპირატესობა.

მაგრამ არაბული კულტურის უფრო უშუალო და ხანგრძლივი გავლენა დასავლეთ ევროპაზე კორდოვის ხალიფატის მეოხებით ვრცელდებოდა. ამ სახელმწიფოს კულტურა ყველაზე მაღალი და მოწინავე კულტურა იყო დასავლეთ ევროპაში. მუსლიმანურ ესპანეთში ცოდნის შეძენის და კულტურის განვითარების მძლავრ კერებს წარმოადგენდნენ უნივერსიტეტები კორდოვაში, სევილიასა, მალაგასა და გრენადაში, რომლებშიც, გარდა ღვთისმეტყველებისა და სამართლის მცოდნეობისა, წარმატებით ასწავლიდნენ ასტრონომიას, მათემატიკას, ქიმიას და მედიცინას, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი ათასობით ითვლებოდა. გრენადის უნივერსიტეტს, რომელიც დაარსებულ იქნა XIV საუკუნის შუახანებში, მცირე რაოდენობით როდი უნახავს თავის კედლებში კასტილიელები, პროვანსელები, და სხვა ევროპელები. ხალიფის ბიბლიოთეკა კორდოვაში X საუკუნეში დაახლოებით 400 ათას ტომს ითვლიდა.

არაბებმა დაამუშავეს სწავლება დედამიწის სფერიულობის შესახებ. ეს სწავლება 1410 წელს ითარგმნა ლათინურ ენაზე და მან უშუალო გავლენა იქონია კოლუმბზე. ესპანელ არაბთა ასტრონომიული თხზულებანი საფუძვლად დაედო ევროპის ასტრონომიას. ასტრონომიული ცხრილები, რომლებსაც მიაწერენ ალფონს X-ს (XIII საუკუნეში), არაბთა დაკვირვება — გამოთვლის შედეგი იყო. ასტრონომი ზარკალი (1029—1087 წწ.) გამოჩენილი ასტრონომ-დამკვირვებელი იყო და მან გააუმჯობესა ასტროლიაბია. მისი თხზულებიდან ლათინურად თარგმნილი ციტატები მოჰყავდა კოპერნიკს. ვარსკვლავთა არაბული სახელწოდებანი თანამედროვე ასტრონომიაში მოწმობენ არაბთა დამსახურებას ამ მეცნიერებაში. ალგებრა, ტრიგონომეტრია და ანალიზური გეომეტრია არაბთა მიერ იქნა შექმნილი. არაბთა მათემატიკოსებმა ინდუსებისგან შეითვისეს, გააუმჯობესეს და გადასცეს ევროპელებს ციფრები, რომლებიც დღემდე „არაბული ციფრების“ სახელწოდებით არის ცნობილი; მათვე შემოიღეს ახალი ციფრი-ნოლი, რამაც შეჰქმნა შესაძლებლობა ყოველგვარი რიცხვის ციფრებით გამოსახვისა. არაბთა მკურნალები, რომელთა შორის ზუსტად იყო განსაზღვრული ოერაპევტის, ქირურგის და ოკულისტის სპეცია-

ლობანი, იქამდე მივიდნენ, რომ შეიმუშავეს წარმოდგენა ინფექციის, როგორც მრავალ სნეულებათა, მიზეზის შესახებ. არაბი ქირურგი ზახრავი (ვარდაიცვალა 1013 წელს) ვივისექციას სთვლიდა აუცილებელ პირობად მეცნიერული მედიცინის განვითარებისათვის. ქირურგიის დარგში მისი შრომების ლათინური თარგმნები XVIII საუკუნის დამლევამდე იცემოდა დასავლეთ ევროპაში და ისინი წარმოადგენდნენ სასწავლო სახელმძღვანელოს სტუდენტებისათვის, დამხმარე წიგნს—ექიმებისთვის. ადრეულ შუა საუკუნეთა ყველაზე გამოჩენილი ფილოსოფოსი იყო არაბი იბნ-რუშდი (1126 — 1198 წწ.), რომელსაც დასავლეთ ევროპაში ავეროესის სახელით იცნობდნენ. მისმა კომენტარიებმა არისტოტელისადმი უძლიერესი გავლენა იქონია დასავლეთ ევროპულ სქოლასტიკურ ფილოსოფიასა და მეცნიერებაზე (იხ. თავი XXXII). არაბთა კულტურულ ზეგავლენას ევროპაზე მოწმობს მთელი რიგი მეცნიერული ტერმინები ევროპულ ენებში არაბულიდან გადმოტანილი და საყოფაცხოვრებო სიტყვები: ალგებრა, ალქიმია, ალმანახი, ალკოჰოლი, ლოგარითმი, ციფრი, ზენიტი, ტარიფი, დივანი, ამულეტი და სხვ.

არაბეთის მეცნიერება, შუა საუკუნოების ევროპისაგან განსხვავებით, იმდენად სარწმუნოების და ეკლესიის ზეგავლენით არ ვითარდებოდა, რამდენადაც ხალიფებისა და მუსულმანი ფეოდალი მთავრების მოთხოვნილებების და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამგვარად, ეს მეცნიერება იყო უფრო საერო, და მის წარმომადგენლებს მეცნიერულ კვლევაში მეტი თავისუფლება ჰქონდათ, ვიდრე მათ თანამედროვე ევროპის მეცნიერებს. დიდი იყო აგრეთვე არაბულ ენაზე მოლაპარაკე ერების შენამატი მსოფლიო კულტურისა მხატვრულ ლიტერატურის, პოეზიის და მუსიკის დარგებში. გარდა უკვე დასახელებულ ზღაპრებისა „1001 ღამე", არაბულმა აღმოსავლეთმა შეჰქმნა მთელი რიგი სხვა ბელეტრისტული ნაწარმოები: სარაინდო რომანები, როგორც პოპულარული რომანი ანთარის შესახებ; ზნეობის მასწავლებელი მოთხრობები („ქილილა და დამანა" და სხვ.), რომელნიც ძველი რუსეთის წერაკითხვის მცოდნეთათვისაც კი კარგი ცნობილი იყო; იუმორისტული ნოველები (ეგ. წოდ. მაქამები) და, დასასრულ, ბედუინურ გვიანდელ სარაინდო პოეზია, რომელმაც პროვანსის XII-XIII ტრუბადურების შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა.

არაბებმა ჩინელებისაგან შეისწავლეს ქაღალდის და თოფის წამლის დამზადების ხერხები, რომელიც შემდეგ ევროპელებს გადასცეს, რასაც ალნიშნავს ენგელსი.[1]

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс и Энгельс. Переписка. 18 მაისისა, 2 ივნისის, 6 ივნისის, 14 ივნისისა 1853 წ., თხზ., ტ. XXI.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. XI, ნ. II, გვ. 412.

и Сказкина, т. I, 1939, стр. 210—225. — Происхождение ислама. Хрестоматия, сост Беляев, М. 1931.

III. გამოყენებული ლიტერატურა. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. I, 1897, стр. 458—515, 770—817. — Евг. Беляев, Ислам и арабский халифат VII—IX веков, „Исторический журнал“ № 7, 1938.—Бартольд, Ислам, 1918.— Бартольд, Мусульманский мир, 1922. — Бартольд, Культура мусульманства, 1918. — Мюллер, История ислама, 4 т., 1895. — Кратковский, Арабская культура в Испании, Л. 1937. — Нильсен, О древнеарабской культуре и религии, „Вестник древней истории“ № 3, 1938. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. I, ст. 13—15; т. III, ст. 57.

ნაწილი მეოთხე

დასავლეთი ევროპა IX—XV საუკუნეებში

თავი XIII

დასავლეთ ევროპის ეკონომიური განვითარება XI საუკუნის დამლევისათვის

ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან და ქალაქების წარმოშობა. XI საუკუნე მრავალმხრივ წარმოადგენს გარდატეხის ხანას დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორიაში. ამ საუკუნეში ძირითადად მთავრდება დასავლეთ ევროპის უმთავრესი ქვეყნების ფეოდალიზაციის პროცესი. იმ ქვეყნებშიაც კი, სადაც ეს პროცესი მიმდინარეობდა შენელებული ტემპით, როგორც, მაგალითად, ინგლისში ან გერმანიაში, XI საუკუნის დამლევისათვის გლეხობის ძირითადი მასა ყმებად იქცა. ფეოდალური მამული თავისი დამახასიათებელი თვისებებით ვრცელდება მთელს ევროპაში. სასოფლო თემი თავისუფალი გლეხობის ორგანიზაციისაგან სულ უფრო და უფრო იქცევა ბატონყმური სოფლის ორგანიზაციად, რომელიც ემორჩილება სამამულო ექსპლოატაციის ინტერესებს.

თუ პერიოდი შუა საუკუნეთა დამდეგიდან XI საუკუნემდის შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ფეოდალიზმის წარმოქმნის პერიოდი, ასევე ეპოქა XI და XV საუკუნეთა შორის არის ფეოდალიზმის სრულყოფის პერიოდი დასავლეთ ევროპაში.

მაგრამ ფეოდალიზმი უკვე ატარებდა თავის დაშლის ჩანასახს. ჩამოყალიბებული ფეოდალიზმის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ფეოდალური ქალაქის წარმოშობის დასაწყისი, ანუ უფრო სწორედ, ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან. შუასაუკუნეების ქალაქი, მიუხედავად იმისა, რომ იგი რჩებოდა დიდხანს ფეოდალურ წარმოების საფუძველზე, სულ უფრო და უფრო ანვითარებდა ევროპაში სასაქონლო-ფულად ურთიერთობას, რომელიც თანდათან უთხრიდა ძირს ფეოდალიზმის ეკონომიურ საფუძვლებს.

ადრინდელი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელია დაბალი დონე საწარმოო ძალთა განვითარებისა და ამასთან დაკავშირებული ნატურალური მეურნეობის ბატონობა. სამრეწველო საქმიანობა, როგორც წესი, ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი სასოფლო სამეურნეოსაგან, როგორც ეს დავინახეთ კაროლინგთა მამულის მაგალითიდან. სასოფლო შრომის შეერთებას სამრეწველოსთან მარქსი სთვლის ნატურალური მეურნეობის დამახასიათებელ თვისებად.[1]

---

[1] მარქსი, კაპიტალი, ტ. III, 1934 წ., 305—306.

ნატურალური მეურნეობა არსებითად წარმოადგენს მოხმარებით მეურნეობას. ენგელსის სიტყვებით „შუა საუკუნეების პირველ პერიოდში წარმოება უმთავრესად თვითმოხმარებას ემსახურებოდა. იგი, უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ მწარმოებლის და მისი ოჯახის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. ხოლო სადაც, როგორც, მაგალითად, სასოფლო მეურნეობაში, პირადი დამოკიდებულება არსებობდა, წარმოება აგრეთვე ფეოდალური მებატონის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა. მაშასადამე, აქ გაცვლა-გამოცვლა არ არსებობდა, ამიტომ პროდუქტები არც ღებულობდნენ საქონლის ხასიათს. გლეხის ოჯახი ყველაფერს აწარმოებდა, რაც მას სჭიროდა, როგორც ავეჯ-ჭურჭელსა და ტანსაცმელს, ისე საჭმელ-სასმელსაც."[1]

რასაკვირველია, ნატურალურ მეურნეობრივ ურთიერთობათა ბატონობის ადრეულ შუა საუკუნეების პერიოდში არ იყო გამორიცხული ვაჭრობა. ის, რაც მოხმარებას მორჩებოდა, შეიძლება გატანილიყო გასაყიდად. პროდუქტი მზადდებოდა არა როგორც საქონელი, არამედ როგორც მოხმარების საგანი, მაგრამ გაცვლა-გამოცვლის პროცესში მას შეეძლო საქონლად ქცევა. ჩვენ გვაქვს ადრეულ შუა საუკუნეთა ეპოქაში ვაჭრობის შესახებ მრავალი ცნობა, მაგრამ ისინი არ არღვევენ ამ პერიოდის ნატურალურმეურნეობრივ ურთიერთობათა საერთო სურათს.

ჩვენთვის ცნობილია პროდუქტთა წარმოება გაყიდვის მიზნით. უკვე კაროლინგთა პერიოდში ფულადი რენტის ჩანასახების არსებობა მოწმობს იმას, რომ ზოგიერთი გლეხური მეურნეობანიც თავიანთი პროდუქტის განსაზღვრულ ნაწილს აწარმოებდნენ გასაყიდად. მამულში უკვე ისახებოდა შრომის განსაზღვრული განაწილებაც. მაგრამ, როგორც წესი, ხელოსნური შრომა შეერთებულია სასოფლო-სამეურნეოსთან. გლეხებს მიჰქონდათ თავიანთი სენიორებისათვის არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, არამედ აგრეთვე ხელოსნობის ნაწარმებიც.

ვაჭრობა ადრეულ შუა საუკუნეების პერიოდში წარმოებდა უმთავრესად აღმოსავლეთთან. ამასთან ერთად აღმოსავლეთი აწვდიდა დასავლეთს ფუფუნების საგნებს, ხოლო იღებდა მისგან ნედლეულს და მონებს. ეს ვაჭრობა იმყოფებოდა აღმოსავლეთელი ვაჭრების ხელში. შემოტანილი საქონლის შომხმარებლებად იყვნენ მხოლოდ დიდკაცობა და უმაღლესი სამღვდელოება. შინაგანი ვაჭრობა, შემოფარგლული უმთავრესად იარმარკტებით, უმნიშვნელო იყო.

ვაჭრობა ხშირად იყო დაკავშირებული ომთან და ყაჩაღობასთან. ასეთი იყო ნორმანების ვაჭრობა, ასეთივე იყო იტალიის საგაჭრო ქალაქების ამალფის, ვენეციის, გენუას ვაჭრობა.

XI საუკუნიდან შეიძლება ლაპარაკი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების დასაწყისზე და შინაგანი ბაზრის განვითარებაზე ევროპაში. ევროპულ მეურნეობის მთელი ხასიათი იწყებს შეცვლას. ევროპის ისტორიის სცენაზე გამოდის ქალაქი.

---

1 ენგელსი, „ანტი-დიურინგი", თბ., 1933, გვ. 229.

რა გზით აღმოცენდებიან ქალაქები შუა საუკუნეების ევროპაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ ყოვლისა, საჭიროა ზუსტად განიმარტოს ის, თუ რას ვგულისხმობთ ქალაქის გაგებაში. ქალაქები როგორც სიმაგრეები, ადმინისტრატიული ცენტრები, ეპისკოპოსთა რეზიდენციები და სხვ. ამგვარი, რასაკვირველია არსებობდნენ ადრეულ შუა საუკუნეებშიაც. რომაული ქალაქები არ იყო საბოლოოდ დანგრეულნი ბარბაროსების მიერ. ისინი განაგრძობდნენ არსებობას ბარბაროსთა დაპყრობის შემდეგაც, და შუა საუკუნეების მთელი რიგი ქალაქები მათგან იწყებს თავის დასაბამს. თუ ჩვენ ავიღებთ იტალიის და სამხრეთ საფრანგეთის ქალაქების უმრავლესობას, რაინის სანაპირო ქალაქებს, ისეთებს, როგორიცაა კელნი, სტრასბურგი, მაინცი, ტრირი, ანდა დუნაის სანაპირო ქალაქებს, რომელნიც მდებარეობდნენ რომის საზღვარზე, როგორიცაა რეგენსბურგი, აუგსბურგი, ვენა, თუ ჩვენ ავიღებთ ლონდონს, პარიზს, ეს ქალაქები ღებულობენ თავიანთ საწყისს რომის ეპოქიდან.

მაგრამ ჩვენ განვიხილავთ ქალაქს, პირველ ყოვლისა, როგორც ეკონომიურ კატეგორიას, და ჩვენთვის ქალაქის წარმოშობის პრობლემა არის პრობლემა ქალაქის გამოყოფისა სოფლისაგან, ე. ი. სამრეწველო საქმიანობის გამოყოფისა სასოფლო-სამეურნეოსაგან. ეს ის პრობლემაა, რომელსაც შარქსი აძლევდა გადამწყვეტ მნიშვნელობას ევროპის ისტორიაში.

ქალაქის სოფლისაგან გამოყოფის პრობლემა არის ამავე დროს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ზრდის, გაცვლა-გამოცვლის და შინაგანი ბაზრის პრობლემა.

თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს ადრეულ შუა საუკუნეების ეპოქაში ქალაქის არსებობის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს განკარგულებაში მყოფი ცნობები არ გვაძლევს ნებას ვილაპარაკოთ ამ ეპოქაში რამდენადმე შესამჩნევ შრომის განაწილების არსებობაზე ქალაქსა და სოფელს შორის. რასაკვირველია, ქალაქები არ გაქრნენ ბარბაროსულ დაპყრობის შედეგად. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ქალაქების დაცემა იწყება ბარბაროსულ დაპყრობამდის, რომ უკვე გვიანდელ რომის იმპერიაში შესამჩნევი იყო ნატურალურ-მეურნეობრივი ფორმებისაკენ დაბრუნება და წარმოებდა ქალაქების დაცემის პროცესი. ჯერ კიდევ მაშინ ჩვენ ვხედავთ ქალაქების გაჩანაგებას, ქალაქის ხელოსნობის და ქალაქის ვაჭრობის დაცემას. ამგვარად, ადრეული შუა საუკუნეების ქალაქი არ წარმოადგენდა ქალაქს ეკონომიური კატეგორიის გაგებით, არამედ გამაგრებულ ადგილს, ხშირად აგრეთვე ადმინისტრატიულ ცენტრს, რომელშიაც ცხოვრობდა გრაფი. ამას გარდა, რომის ეპოქიდან დაწყებული, უმსხვილესი ქალაქები წარმოადგენდნენ ეპისკოპოსების რეზიდენციებს. ეკონომიურად კი ქალაქი არაფრით არ განირჩეოდა სოფლისაგან. ჯერ კიდევ დიდხანს შემდეგაც ბევრი ქალაქი ინარჩუნებდა თავის აგრარულ და ნახევრად აგრარულ ხასიათს.

მაშ რა საერთო პირობებმა გამოიწვიეს ქალაქების ზრდა დასავლეთ ევროპაში X საუკუნის დამლევს და XI საუკუნეში? პასუხი ამ კითხვაზე მდგომარეობს შემდეგში: ქალაქების აღმოცენება ხდება ამ ეპოქაში საწარმოო

ძალთა საერთო ზრდის შედეგად მოსახლეობის ზრდის და ტექნიკის განვითარების შედეგად, რომლისგანაც დამოკიდებულია შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან. ამ პროცესის ჩანასახი, როგორც უკვე იყო ზემოთ აღნიშნული, შეიძლება შემჩნეულ იქნას ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში შიგ ფეოდალური მამულის შიგნით. მრეწველობის სოფლის მეურნეობისაგან გამოყოფისა და სამრეწველო საქმიანობის ქალაქებში თავმოყრის შემდგომი პროცესი წარმოებს, განსაკუთრებით XI საუკუნეში ტექნიკის, უმთავრესად ლითონების დამმუშავებელი და საფეიქრო წარმოების ტექნიკის საერთო განვითარებასთან დაკავშირებით.

ხელოსნები როგორც ქალაქის მოსახლეობის საფუძველი. ბუნებრივია რომ ქალაქების, როგორც წარმოების ცენტრების, მოსახლეობის საფუძველს შეადგენდნენ ხელოსნები, რომელნიც ადრინდელ შუა საუკუნეებში არსებობდნენ ნაწილობრივ, როგორც არათავისუფალნი, ნაწილობრივ კი, როგორც თავისუფალი მოძრავი ხალხი. იმ ეპოქაში ჩვენ გვხვდება თავისებური ფიგურა მოგზაური ხელოსნისა, რომელიც ერთი მებატონის, ანდა გლეხის მეურნეობიდან გადადიოდა მეორეში და ავსებდა ამა თუ იმ ცალკეულ მეურნეობაში არსებულ კვალიფიციური მუშა ხელის ნაკლებობას. მაგრამ ქალაქის ხელოსნური მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენენ ყმა ხელოსნები, რომელნიც გამოქცევიან თავიანთ მებატონეებს ან დათხოვნიან მათ გამოსაღების გადახდის პირობით „შუა საუკუნეების ყმებიდან წარმოიშვნენ პირველი ქალაქთა მოქალაქენი“.[1]

ტექნიკის განვითარებასთან და შრომის საზოგადოებრივ განაწილებასთან ერთად იქმნება ბაზარი ხელოსნების ნაწარმთათვის, ხელოსნები იწყებენ მუშაობას უფრო ფართო ბაზრისათვის, შემკვეთისათვის ან მუშტრისათვის, ამასთანავე ერთად, ბუნებრივია, რომ ხელოსნები თავს იყრიან ისეთ ადგილებში, სადაც მათ შეუძლიათ ჰყავდეთ მუშტრები. ხელოსნებით დასახლებული ადგილებში შეიძლება აღმოცენებულიყვნენ მონასტრის კედლებთანაც რაინდის ციხე-კოშკის. გალავანთანაც, წინანდელი რომაული ქალაქების ნაადგილარზედაც, თუ ამისათვის არსებობდა შესაფერისი პირობები. ქალაქი შეიძლებოდა განვითარებულიყო ფეოდალური სოფლიდანაც, მასში მრეწველობის. ზრდასთან ერთად, ანდა, ბოლოს, თავისუფალი სოფლიდან, ან სავაჭრო გზაზე წარმოშობილი დასახლებული ადგილიდან.

ხელოსნობა ერთბაშად არ გამოეყოფა სოფლის მეურნეობას. ჯერ კიდევ დიდხანს ხელოსნები ინარჩუნებენ თავიანთი გლეხური წარმოშობის თვისებებს. „რაც შეეხება მოქალაქე ხელოსნებს, მათ, რასაკვირველია, იმთავითვე აღებ-მიცემობისთვის უნდა ეწარმოებინათ. მაგრამ ისინიც თავიანთი მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს საკუთარი ნაწარმოებით აკმაყოფილებდნენ; მათ ბაღები და პატარა ყანები ჰქონდათ, ისინი თავიანთ შინაურ პირუტყვს სათემო ტყეში აძოვებდნენ, საიდანაც საშენ და საწვავ მასალასაც ღებულობდნენ; დედაკა-

---

[1] მარქსი და ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, თავი I. კარლ მარქსი, „რჩეული ნაწერები“, I. თბილისი, 1935. გვ. 177. იხ. აგრეთვე სხვადასხვა გამოცემანი „კომუნისტური პარტიის მანიფესტისა“.

ცები სელსა, ბამბასა და სხვ. ართავდნენ. ამიტ მხოლოდ დასაბამს იღებდა წარმოების წარმოქმნა აღებმიცემობის მიზნით საქონლის წარმოება. ამით აიხსნებოდა აღებმიცემობის ვიწრო ფარგლები, ბაზრის ვიწრო ფარგლები, წარმოების წესის ურყევობა, კუთხური კარჩაკეტილობა, ადგილობრივი მეწარმთა დაკავშირება...“[1] და სოფელი ჯერ კიდევ დიდხანს იკმაყოფილებს ხელოსნურ ნაწარმთა თავის მოთხოვნილებების დიდ ნაწილს საკუთარი საშუალებებით. ეს შეეხება როგორც სენიორიალურ, ისევე გლეხურ მეურნეობასაც.

ვაჭრობა და ვაჭრები. ქალაქის აღმოცენების მთავარი პირობა იყო არა ვაჭრობა, არამედ სწორედ ხელოსნობა, ე. ი. შრომის განაწილება წარმოების დარგში. მაგრამ XI-XII საუკუნეებში მთელ რიგ ქალაქებში ჩნდებიან ვაჭრები როგორც დამოუკიდებელი პროფესია. პირველ ხანებში ისინი მცირეოდნად არიან დაკავშირებულნი ადგილობრივ წარმოებასთან და წარმოადგენენ მეტწილად მოგზაურ ვაჭრებს. მაგრამ შემდეგ, ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, ეს ვაჭრები იწყებენ დასახლებას ყველაზე უფრო გაცხოველებული აღებმიცემობის პუნქტებში. ეს გარდაქმნა არ ხდება ერთბაშად, ქალაქის ვაჭარი ჯერ კიდევ დიდხანს რჩება მოგზაურ ვაჭრად: იგი მიემგზავრება შორეულ ქვეყნებში თავისი საქონლით, ხშირად აერთიანებს საქალაქო ვაჭრობას მოსიარულე ვაჭრობასთან.

განსაზღვრულ პუნქტებში ქალაქების აღმოცენების ხელისშემწყობ პირობებს შორის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო კავშირს, სავაჭრო გზების მიმართულებას, თუმცა, ვიმეორებთ ვაჭრობა თავისთავად არ წარმოადგენს ქალაქების წარმოშობის ძირითად მიზეზს. ქალაქები, პირველ ყოვლისა, იწყებენ აღმოცენებას იმ რაიონებში, სადაც შენარჩუნებულ იქნა ვაჭრობა ანტიკური ეპოქიდან დაწყებული, როგორც, მაგ., იტალიაში ან სამხრეთ საფრანგეთში, ანდა იქ, სადაც იგი ყველაზე ადრე იწყებს განვითარებას უფრო მოგვიანებით პერიოდში—ნიდერლანდებში, დუნაიზე, რაინზე. სავაჭრო (ასევე პოლიტიკური) კავშირი ბიზანტიასთან და აღმოსავლეთთან წარმოადგენდა ვენეციის, ნეაპოლის, ამალფის ადრეული ამაღლების მიზეზს.

ვენეცია აღმოცენდა V საუკუნეში და ადრე იქცა სავაჭრო ქალაქად. უკვე X საუკუნეში ვაჭრობს იგი მარილით და თევზით, სცვლის მათ პურზე, ღვინოზე, ზეთზე, ხე-ტყეზე, ჩრდილო იტალიის მინერალებზე. ვენეციელები ეუფლებიან ვაჭრობას ადრიატიკაში, იგდებენ თავიანთ ხელში საშუამავლო ვაჭრობას იტალიის და ბალკანეთის ნახევარკუნძულს შორის, უკავშირდებიან ბიზანტიის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პუნქტებს — სირიას, ეგვიპტეს, სადაც მათ შეაქვთ ევროპული ნედლეული და შეჰყავთ მონები. ბრენერის გავლით ისინი იჭერენ კავშირს გერმანიასთან. ვენეციის გავლით ევროპაში შემოდის ძვირფასი აღმოსავლური საქონელი: სანელებლები (განსაკუთრებით პილპილი), ხილი, აბრეშუმი, მეწამული, საღებავი, ფერადი შალის ქსოვილები, საოქროქმედო ნაწარმი, ძვირფასი იარაღი. დაახლოვებით 1000 წელს ვენეციამ გაწმინდა ადრიატიკული ზღვა დალმა-

---

[1] ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, თბ., 1933, გვ. 230.

ციელ მეკობრეთაგან და იწყო მასზე ბატონობა. მან შექმნა დიდი ფლოტი. ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი კომნენმა (1081—1118 წწ.) უბოძა ვენეციას სავაჭრო პრივილეგიები იმპერიაში იმ დახმარებისათვის, რომელიც მას გაუწია ბიზანტიას არაბებთან და ნორმანებთან ბრძოლაში.

XI საუკუნეში ვენეციაში შენდება ლამაზი შენობები: აღმართეს წმ. მარკოზის ბიზანტიური სტილის ტაძარი.

XI საუკუნიდან იწყებს ამაღლებას გენუა ლიგურიის უბეში. იგი ვაჭრობს ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში. მისი გემები მიცურავენ სირიაში. XI საუკუნის დამლევს მას აქვს უკვე ძლიერი ფლოტი.

ვითარდება იტალიის სხვა ქალაქების ვაჭრობაც. ვაჭრობა მიიმართება მდ. პოს და მისი შენაკადების გაყოლებით. პავია წარმოადგენს მნიშვნელოვან პუნქტს, სადაც იყრებიან ალპიური გზები, მის გვერდით წინაურდებიან როგორც სავაჭრო პუნქტები, კრემონა, ბრეშია, პიაჩენცა, პარმა. ჩრდილოეთიდან რომისკენ მიიმართებოდა სავაჭრო მნიშვნელობის მქონე გზა, წოდებული „პილიგრიმების გზად“ ანუ „ფრანკთა გზად“. რომი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ცენტრს, სადაც იყრიდნენ თავს მლოცველები, რომელნიც მისდევდნენ ვაჭრობასაც. „ფრანკთა გზის“ შეჯვარედინება მდ. პოს გაყოლებით მიმდინარე სავაჭრო გზასთან ჰქმნიდა განსაკუთრებულ ხელისშემწყობ პირობებს ლომბარდიის ქალაქების ვაჭრობის განვითარებისათვის. იტალიის სანაპიროებზე უმთავრეს სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდენ ბარი, ბრინდიზიუმი, ნეაპოლი, გაეტა, ამალფი. ალპების გზებიდან უმნიშვნელოვანესი გადიოდნენ სენ-ბერნარის და ბრენერის გავლით. სამხრეთ საფრანგეთში მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდნენ მარსელი, არლი, ნარბონა, ესპანეთში — ბარსელონა.

ხმელთაშუა ზღვის რაიონის შემდეგ ნავთსადგურების განვითარების მხრივ მეორე ადგილი უჭირავს ნიდერლანდის რაიონს. ეს არის საფეიქრო მრეწველობის ძველი რაიონი, რომელიც მუშაობდა არა მარტო ადგილობრივი ბაზრისათვის, არამედ გასატანადაც. აქ თავს იყრიდა მრავალი სავაჭრო გზა — მიმავალი ატლანტიკის ოკეანით, ჩრდილოეთის ზღვით, მდინარეებით მაასით, რაინით, შელდათი. ნიდერლანდის ქვეყნების გავლით მიიმართებოდა გზა ინგლისიდან კონტინენტისაკენ. ფლანდრია უკვე XI საუკუნიდან აწარმოებს ვაჭრობას დანიასთან, ნორვეგიასთან; მისი გემები ხშირად ჩნდებიან ბალტიის ზღვაზე. განსაკუთრებით გაცხოველებული ურთიერთობა არსებობს ინგლისთან. ფლანდრიაში იმართებოდა დიდი ბაზრობები, რომელნიც მცირედი ხანდაზმით გრძელდებოდნენ მთელი ზაფხულის განმავლობაში და იზიდავდნენ მრავალ ვაჭრებს ფლანდრიიდან და იტალიიდან. ვაჭრობის განვითარება თავის მხრივ ახდენდა გავლენას ნიდერლანდიის ქვეყნების შალის უძველეს წარმოებაზე. შალის ქსოვილები იქცნენ სავაჭრო ბრუნვის ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს საგნად. უკვე XI საუკუნეში ფლანდრულ შალის მრეწველობას აღარ ჰყოფნის ადგილობრივი მატყლი, და მეზობელი ქვეყნების მიწათმფლობელები ასაღებენ იქ თავიანთი ცხვრის მატყლს. მაუდის მწარმოებელი გამოეყოფა ახლა დანარჩენ სოფლის მოსახლეობას და იწყებს გადასახლე-

ბას იმ პუნქტებში, სადაც მას იმედი აქვს ჰპოვოს ყველაზე უკეთესი პირობები თავისი საქონლის გასასაღებლად. ნიდერლანდები იფინება ქალაქთა ხშირი ქსელით, ასეთებია: ბრიუგე, იპრი, გენტი, ლილი, მეხელნი, არასი, მაასტრიხტი, ბრიუსელი, ლუვენი და ბევრი სხვა.

გერმანიაში იწყებენ აღორძინებას რაინზე მდებარე ქალაქები, სამხრეთით იტალიიდან ჩრდილოეთისაკენ-ფლანდრიისაკენ მიმავალ ამ დიდ გზაზე. ამ ქალაქების დიდი ნაწილი აღმოცენდა უძველეს რომაული ქალაქების ნაადგილარზე, როგორც, მაგ., კელნი, მაინცი, ვორმსი, სტრასბურგი. სამხრეთ გერმანიაში დაწინაურდნენ ის ქალაქები, რომელნიც ვაჭრობის მხრივ დაკავშირებული იყვნენ იტალიასთან და სლავურ ქვეყნებთან, დუნაის და მისი შენაკადების გაყოლებით. ამათგანაც მრავალი, როგორც, მაგალითად, რეგენსბურგი, და აუგსბურგი, აგრეთვე აღმოცენდა უძველესი რომაული ქალაქებიდან.

ქალაქი და სენიორი. მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო ქალაქის წარმოშობა, იგი იყო ფეოდალური ქალაქი. ქალაქს სათავეში ედგა ფეოდალური სენიორი, რომლის მიწაწყალზედაც მდებარეობდა ქალაქი.

ადრეულ ეპოქაში ქალაქის მოსახლეობა ჯერ კიდევ ძალიან სუსტადაა ორგანიზებული, შედგება მეტად მრავალფეროვანი ელემენტებისაგან. ქალაქს აქვს ჯერ კიდევ ნახევრად აგრარული ხასიათი. მისი მცხოვრებნი იხდიან სენიორის სასარგებლოდ აგრარული ხასიათის ვალდებულებებს. ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი—გლეხობაა. ქალაქს არა აქვს განსაკუთრებული საქალაქო მმართველობა. იგი იმყოფება სენიორის ან მისი მოურავის განმგებლობის ქვეშ, რომელიც ასამართლებს ქალაქის მოსახლეობას, ჰკრეფს მისგან სხვადასხვა ჯარიმებს და გადასახადებს. ამასთან ერთად ქალაქი ხშირად არ წარმოადგენს მთლიანობას სენიორალური მმართველობის მხრივაც კი. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ამიენი, რომელიც დანაწილებული იყო ოთხ სხვადასხვა სენიორს შორის. როგორც ფეოდალური საკუთრება, სენიორს შეეძლო ქალაქი ეანდერძებინა მემკვიდრეობით ისევე, როგორც სოფელი. მას შეეძლო დაეყო ქალაქი თავის მემკვიდრეებს შორის, შეეძლო მისი მთლიანად ან ნაწილობრივ გაყიდვა და დაგირავება.

ქალაქის ორგანიზაცია იქმნება სენიორთან ბრძოლის პროცესში, იმ ბრძოლისა, რომელმაც აუცილებლად გახადა სხვადასხვაგვარი ქალაქის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების გაერთიანება. ამასთან ერთად ძლიერდება და მწვავდება კლასთა ბრძოლა სოფლად. ამ ნიადაგზე XI საუკუნეში შესამჩნევი ხდება ფეოდალების მესწრაფება საკუთარი კლასობრივი ბატონობის განმტკიცებისაკენ სახელმწიფოს ფეოდალური ორგანიზაციის გაძლიერების გზით. პოლიტიკური დაქუცმაცების პროცესი იცვლება წვრილი ფეოდალური ერთეულების გაერთიანებისა და ფეოდალური სამყაროს შემუშიდროების ტენდენციით.

მთელ რიგ ქვეყნებში ეს ტენდენცია გამოიყენა თავის სასარგებლოდ სამეფო ხელისუფლებამ, რომლის გაძლიერებაში დაინტერესებული იყო აგრეთვე განვითარების გზაზე მყოფი საქალაქო მრეწველობა და ვაჭრობა.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. მარქსი, „კაპიტალი", ტ. III, თავი XX, XXXVI, XLVII. — მარქსი და ენგელსი, „Немецкая идеология", Соч., т. IV. — ენგელსი, „ანტი დიურინგი". — ენგელსი, „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ", თავი III. — ენგელსი, „მარკა" (დართული აქვს ამავე ავტორის თხზულებას „გლეხთა ომი გერმანიაში"). — Энгельс, „О разложении феодализма и развитии буржуазии", Соч., т. XVI, ч. I.

II. გამოკვლევანი. Маурер, Введение в историю общинного, подворного, сельского и городского устройства и общественной власти, М. 1880. — Белов, Городской строй и городская жизнь средневековой Германии, М. 1912. Вступительная статья Петрушевского.

თ ა ვ ი XIV

ფეოდალური ევროპის ქალაქების განვითარება XI—XV საუკუნეებში

ქალაქების ბრძოლა სენიორების წინააღმდეგ. ქალაქების ბრძოლა ფეოდალური სენიორების წინააღმდეგ იწყება ქალაქების განვითარების პირველივე ნაბიჯებიდან. ამ ბრძოლაში ყალიბდება საქალაქო წყობილება; ღებულობენ ორგანიზაციულობას და ერთიანდებიან ის განცალკევებული ელემენტები, რომელთაგანაც შედგება ქალაქი თავისი არსებობის დასაწყისში. ამ ბრძოლის შედეგებზე არის დამოკიდებული ის პოლიტიკური წყობილება, რომელსაც ღებულობს ქალაქი.

სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარება ქალაქებში ამწვავებს ბრძოლას ქალაქსა და ფეოდალს შორის, რომელიც ცდილობს ექსპროპრიაცია უყოს მზარდ საქალაქო დაგროვებას ფეოდალური რენტის გაზრდის გზით. სენიორის მოთხოვნილებები ქალაქის მიმართ სულ უფრო და უფრო იზრდება. ცდილობს რა გაზარდოს თავისი შემოსავალი ქალაქისაგან, სენიორი მიმართავს მოქალაქეების მიმართ პირდაპირი ძალადობის მეთოდებს. ამ ნიადაგზე ქალაქს და სენიორს შორის იწყება შეტაკებები, რომელნიც აიძულებენ მოქალაქეებს შექმნან განსაზღვრული ორგანიზაცია დამოუკიდებლობის მისაღწევად, ორგანიზაცია, რომელიც იმავე დროს არის ქალაქის თვითმართველობის საფუძველი.

ქალაქების ბრძოლა სენიორების წინააღმდეგ იწყება XI საუკუნიდან. ცალკეული შემთხვევები ამ ბრძოლისა გვხვდება უფრო ადრეც, იქ, სადაც ადრე დაიწყო საქალაქო ცხოვრება, — იტალიაში და ნიდერლანდებში. ამ ბრძოლაში იქმნება ახალი ფორმა საქალაქო ორგანიზაციისა, რომელმაც ჩრდილო საფრანგეთში მიიღო კ ო მ უ ნ ი ს სახელწოდება. ქალაქების სენიორების წინააღმდეგ ბრძოლის ნათელ სურათს იძლევა ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქების ისტორია. ბრძოლა დაიწყო ქალაქ კამბრემ, რომელმაც მოიპოვა კომუნა 1077 წ. ამის შემდეგ კომუნები დაარსებულ იქნა სენ-კანტენში, ბოვეში, ნუაიონში, ლანში.

ამ ეპოქის მემატიანეები, რომელნიც იდგნენ ფეოდალური თვალსაზრისის საფუძველზე (გვიბერტ ნოჟანელი), კომუნას „ახალ და საზიზღარ სიტყვას“ უწოდებენ. ფეოდალთათვის ეს „ახალი და საზიზღარი“ სიტყვა იყო ლოზუნგი, რომლითაც ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქები ჯანყდებოდნენ და იბრ-

ძოდნენ .თავიანთი სენიორების წინააღმდეგ. ხშირად სენიორები იძულებულ ბდებოდნენ წასულიყვნენ დათმობებზე და მიეცათ ქალაქებისათვის თვითმართველობის უფლებები. მაგრამ რა წამს სენიორი იგრძნობდა თავს საკმაოდ ძლიერად, მას უკან მიჰქონდა თავისი დათმობები, და ხელ-ახლად იწყებოდა ბრძოლა, რომელიც გრძელდებოდა ზოგჯერ მთელ საუკუნეების განმავლობაში.

ლიონის კომუნის ისტორია. ჩრდილოეთ საფრანგეთის კომუნების ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლის დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენს ქალაქ ლანის (Laon) ისტორია, რომელიც მდებარეობს პარიზის ჩრდილოაღმოსავლეთით. XI საუკუნის დამლევისათვის ლანი წარმოადგენდა ჩრდილოეთ საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქალაქთაგანს და აძლევდა თავის სენიორს დიდ შემოსავალს. ლანის სენიორად, როგორც ბევრი იმ დროინდელი ქალაქებისაც, იყო ეპისკოპოსი. ლანის ეპარქია ითვლებოდა ძალიან შემოსავლიანად და ეპისკოპოსები ხარჯავდნენ დიდ ფულს მის მისაღებად.

იმ დროის ეპისკოპოსი — თავისებური ფიგურაა. ხშირად მან ხეირიანად არც კი იცოდა წერა, ცუდად კითხულობდა ლათინურს, არ იცოდა საყდარში ღვთისმსახურება. ეს იყო მეომარი, მონადირე, ერთი სიტყვით იგივე საერო ფეოდალი, რომელსაც მხოლოდ სასულიერო წოდება ჰქონდა.

XII საუკუნისათვის ბრძოლა ეპისკოპოსებსა და ლანის მოქალაქეთა შორის მეტად გამწვავდა. ქალაქისაგან მეტი ფულის მისაღებად ეპისკოპოსები და მათი რაინდები არ ერიდებოდნენ არავითარ ძალადატანებას, ისინი აპატიმრებდნენ მდიდარ მოქალაქეებს, სხავდნენ მათ საპყრობილეში და მოითხოვდნენ გამოსასყიდს; ისინი განუწყვეტლივ ზრდიდნენ გადასახადებს, ხოლო მათ, ვინც არ იხდიდა, აძლევდნენ სასამართლო პასუხისგებაში და ანადგურებდნენ უშველებელი ჯარიმებით.

განსაკუთრებით გაძლიერდა შეტაკებანი, როდესაც ეპისკოპოსად შეიქმნა ნორმანდიელი გოდრი (1066 წ.). ქალაქმა გადაწყვიტა გამოესყიდა თავი სენიორისაგან, მისთვის მნიშვნელოვანი ფულადი თანხის გადახდით. ისარგებლა რა გოდრის ქალაქ გარეთყოფნით, ქალაქმა დადო ხელშეკრულება მის მოადგილეებთან. უჭირდა რა ფული, გოდრი დათანხმდა ამ ხელშეკრულებაზე. ლანში [1]) მოეწყო „კომუნა", რომელმაც მისცა საშუალება მოქალაქეებს განთავისუფლებულიყვნენ სენიორის ძალმომრეობათაგან, სამაგიეროდ ქალაქმა დადო პირობა ეხადა მისთვის ყოველწლიურად განსაზღვრული რენტა.

ქალაქმა მიიღო ეპისკოპოსისაგან თვითმართველობის უფლება, უფლება მოქალაქეთა დაბეგვრისა, და ბოლოს, უფლება თავისი საკუთარი სასამართლოსი, საეპისკოპოსო სასამართლოს გარეშე. ეპისკოპოსისათვის საჭირო თანხის გადახდაში მიიღო მონაწილეობა მთელმა მოსახლეობამ. მოქალაქეთა თხოვნით კომუნა დაამტკიცა მეფე ლუდოვიკ VI, რომელმაც მიიღო ამაში ძვირფასი საჩუქრები.

მაგრამ გოდრიმ მალე გაფლანგა ქალაქისგან მიღებული ფული და გადაწყვიტა კომუნის გაუქმება. მან დაპატიჟა ლანში მეფე და სთხოვა მას კო-

შუნის მოსპობა, რისთვისაც შეჰპირდა მნიშვნელოვანი თანხის მიცემას. გაიგეს რა ეს გარემოება, მოქალაქეებმა თავის მხრივ მისთავაზეს მეფეს 400 ლივრი, მაგრამ, ვინაიდან გოდრი მეტს აძლევდა, კომუნის ბედი გადაწყვეტილი იყო. კომუნალური ქარტია მოსპობილ იქნა (1112 წ.). გოდრის ცდამ, გამოერთმია მოქალაქეთათვის ის თანხა, რომელსაც იგი შეპირდა მეფეს კომუნის მოსპობაში, გამოიწვია აჯანყება. გაისმა ძახილი მოწოდებისა: „კომუნა! კომუნა!" მოქალაქენი შეიარაღდნენ და თავს დაესხნენ რაინდთა სახლებს. ბევრი რაინდი და მოხელე მოკლულ იქნენ. ბოლოს მოკლულ იქნა თვითონ ეპისკოპოსიც, და მისი, გვამი დიდხანს ეგდო ქუჩაზე.

ლუდოვიკ VI, რომელმაც კომუნის მოსპობის სანქცია მისცა და ჩრდილოეთ საფრანგეთის ფეოდალებმა გადაწყვიტეს ლანის დასჯა. მცხოვრებთა ნაწილმა, ჯერ კიდევ მეფის ჯარების მისვლამდის, დატოვა ქალაქი, რომელიც ალეზულ და გაძარცულ იქნა მეფის და ფეოდალთა მიერ. ბევრი მოქალაქე დახოცეს და აწამეს. კომუნა მოსპობილ იქნა. ქალაქს დაეპატრონა ახალი ეპისკოპოსი, რომელმაც უფრო ფრთხილ ფორმებში აღადგინა ის ბოროტმოქმედებანი, რომლებშიაც ბრალი მიუძღოდა გოდრის. გოდრის შემდგომი ეპისკოპოსების წინააღმდეგ მოეწყო რამდენიმე აჯანყება, სანამ ისინი არ დათანხმდნენ წასულიყვნენ დათმობებზე და ხელახლა მიეცათ მოქალაქეთათვის კომუნა. ხოლო, რათა ეპისკოპოსისათვის ამ არასასიამოვნო სიტყვისათვის თავი დაეღწიათ, მას დაარქვეს „მშვიდობიანობის დაწესებულება". ეს დათმობა დადასტურებულ იქნა მეფის მიერ (1128 წ.).

მეფის ხელისუფლების პოლიტიკა ლანის მიმართ არ იყო მყარი. მეფე გამოდიოდა არბიტრად ფეოდალებსა და ქალაქს შორის და იჭერდა იმის მხარეს, ვინც მას მეტ ფულს აძლევდა, რომლისგანაც მოელოდა იმ მომენტში მეტის გამორჩენას. ლანს ხან ართმევდნენ კომუნას, ხან ხელახლა აღუდგენდნენ და ეს ბრძოლა გრძელდებოდა XIV საუკუნემდის, როდესაც კომუნა საბოლოოდ მოსპობილ იქნა (1331 წ.). მაგრამ ლანის კომუნის საბოლოო მოსპობა მოასწავებდა არა ეპისკოპოსის ძალაუფლების აღდგენას ქალაქზე, არამედ ქალაქზე მეფის ხელისუფლების დამყარებას.

ქალაქის თვითმართველობის ტიპები. ლანის ისტორიის მაგალითზე შეიძლება შესწავლილ იქნას პროცესი სენიორსა და ქალაქს შორის წარმოებული ბრძოლისა, პროცესი, რომლის დროსაც ყალიბდება ქალაქის თვითმართველობა. მაგრამ ეს ბრძოლა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარეობდა სხვადასხვანაირად.

ქალაქებმა შედარებით ადვილად შეძლეს მიეღწიათ გამარჯვებისათვის თავიანთ სენიორებზე იტალიაში, სადაც ფეოდალიზმი უფრო სუსტად იყო განვითარებული, სადაც ქალაქები განიცდიდნენ ძალიან ადრეულ და ძლიერ აყვავებას, და სადაც რაინდობა, რომელიც ებრძოდა სენიორებს, მათ წინააღმდეგ ხშირად ერთიანდებოდა ქალაქებთან. ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებმა არა მარტო მიაღწიეს დამოუკიდებლობას, არამედ დაიმორჩილეს ახლოს მყოფი სასოფლო ოლქი. აქ შეიქნა იმის საწინაღმდეგო მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ დანარჩენი ევროპის უდიდეს ნაწილში, სადაც სოფელი,

ე. ი. ფეოდალთა კლასი, პოლიტიკურად ბატონობს ქალაქზე. იტალიაში იქმნება ქალაქი — სახელმწიფოები.

ევროპის სხვა ქვეყნებში ქალაქებსა და სენიორებს შორის წარმოებული ბრძოლის შედეგები სხვადასხვა იყო. ზოგ შემთხვევებში ქალაქები აღწევენ სრულ თვითმართველობას, კომუნის უფლებებს, ე. ი. უფლებებს საკუთარი მოხელეების ამორჩევისა, საკუთარი სასამართლოსი, საკუთარი ფინანსებისა, თვითდაბეგვრისა; მათი დამოკიდებულება სენორის მიმართ განისაზღვრება შედარებით დაბალი ფიქსაციაქმნილ რენტის გადახდით. ქალაქი კომუნა იპერს ადგილს ფეოდალურ კიბეზე. იგია — თავისებური კოლექტიური სენიორი. მას შეუძლია ომის გამოცხადება, ზავის შეკვრა, ფულის მოჭრა. მას ყავს საკუთარი ვასალები და ყმა გლეხები. თვითმართველობის იარაღით მოპოვებას ხშირად სცვლის მისი ფულით მოპოვება. ენგელსის სიტყვით, „ქალაქების მცხოვრებთ ჰქონდათ მძლავრი იარაღი ფეოდალიზმის წინააღმდეგ — „ფული".[1] სხვა შემთხვევებში ქალაქისადმი მიცემული უფლებები წარმოადგენენ არასრული თვითმართველობის უფლებებს. ასე, მაგალითად, პარიზი, სამეფო ქალაქი, არ სარგებლობდა კომუნის უფლებებით. აქ მმართველობა განაწილებული იყო ქალაქსა და სამეფო ხელისუფლების აგენტებს შორის. ქალაქებს, რომელნიც სარგებლობდნენ არასრული თვითმართველობით, საფრანგეთში უწოდებდნენ ბურჟუაზიის ქალაქებს (villes de bourgeoisie). ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა საფრანგეთის ბევრი ქალაქი, მაგალითად, ორლეანი, შარტრი, ტური, ნანტი, ლიონი, რუანი. და ბოლოს, ბევრმა ქალაქმა მიიღო განსაზღვრული პრივილეგიები თავიანთ აღმოცენებისთანავე. რადგანაც ქალაქები წარმოადგენდნენ შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს, ამიტომ ხშირად სენიორი მოსახლეობის მისაზიდად უბოძებდა ხოლმე მის მიწა-წყალზე მდებარე პატარა დაბა-ადგილებს, ქალაქის უფლებებს. ეს იყო ე. წ. ახალი ქალაქები (villes neuves). სენიორები უბოძებდნენ ხოლმე აგრეთვე ძველ ჩამორჩენილ ქალაქებს სხვადასხვა შეღავათებს, რათა მიეზიდნათ მათში მოსახლეობა და გაეცხოველებინათ მათი ეკონომიური საქმიანობა. ზოგიერთმა ქალაქმა ვერ შესძლო სენიორისაგან განთავისუფლება, განსაკუთრებით ეს ითქმის პატარა ქალაქებზე, რომელთაც არ ჰქონდათ საკმაოდ განვითარებული მრეწველობა და ვაჭრობა და არ შესწევდათ თავიანთ ფეოდალთან ბრძოლის ძალა, მათ უხდებოდათ ძველებურად შეესრულებინათ ფეოდალური ვალდებულებანი და ესარგებლათ თვითმართველობით მხოლოდ იმ ჩარჩოებში, რომლებშიაც ეს დაშვებული იყო სენიორის მიერ.

თვითმართველ ქალაქებს ჰქონდათ უფლება ამოერჩიათ ქალაქის საბჭო, ქალაქის მმართველობის უზენაესი ორგანო. საბჭო განაგებდა ქალაქის სამხედრო ძალებს, ქალაქის ფინანსებს, ზედამხედველობდა ხელოსნობას, სცემდა მოქალაქეთათვის სავალდებულო განკარგულებებს. საბჭოს სათავეში ედგა ამორჩეული პირი, რომელსაც გერმანიაში ეწოდებოდა ბურგომისტრი (Bürgermeister), საფრანგეთში და ინგლისში — მერი (mayor, maire),

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. XVI, ნ. I, გვ. 441.

იტალიაში ქალაქებს ჩვეულებრივ სათავეში ედგნენ კონსულები. სამოსამართლო ფუნქციებს ზოგჯერ ასრულებდა თვით საბჭო, ზოგჯერ კი განსაკუთრებული სამოსამართლო კოლეგია, რომლის წევრებსაც ეწოდებათ სკაბინები (შეფენები, ეშევენები).

თავის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ქალაქებმა მიაღწიეს ყველა მოქალაქის პირად განთავისუფლებას. ჩვეულებრივ ქალაქის ყველა მცხოვრები განთავისუფლებული იყო ბატონყმური დამოკიდებულებისაგან. ყმა გლეხიც კი, თუ იგი გაიქცეოდა ქალაქში და იცხოვრებდა მასში განსაზღვრულ ვადის განმავლობაში, ჩვეულებრივ ერთ წელიწადს და ერთ დღეს, ხდებოდა თავისუფალი, და მის სენიორს აღარ შეეძლო მისი დაბრუნება ბატონყმურ ურთიერთობის უღელ ქვეშ. გერმანული ანდაზა ღაღადებს: „Stadtluft macht frei", „ქალაქის ჰაერი კაცს თავისუფალს ხდის".

ქალაქის გარეგნობა შუა საუკუნეების ეპოქაში. ფეოდალური ქალაქი ნაკლებად ჰგავს თანამედროვეს. იგი ჩვეულებრივ გარშემოვლებულია გალავნით, რომელიც მისთვის აუცილებელი იყო გარეშე მტრებისგან თავის დასაცავად, მტრის შემოსევის დროს სოფლის მოსახლეობისათვის თავშესაფარის მისაცემად. ქალაქის მოსახლეობა ეწეოდა საგუშაგო და საგარნიზონო სამსახურს. ქალაქის ყოველმა მოსახლემ — ვაჭარმა და ხელოსანმა — იცოდა იარაღის ხმარება, საქალაქო ლაშქრებს არა ერთხელ დაუმარცხებიათ რაინდები. გალავანი, რომლის შიგნითაც იმყოფებოდა ქალაქი, არ აძლევდა ქალაქს გაფართოვების საშუალებას. თანდათან გალავნის ირგვლივ აღმოცენდებოდნენ ხოლმე გარეუბნები, რომელთაც აგრეთვე არტყავდნენ გალავანს. ამგვარად, ქალაქი ვითარდებოდა კონცენტრიული წრეების სახით. შუა საუკუნეების ქალაქი იყო პატარა და ვიწრო. შუა საუკუნეების ხანაში ქალაქებში ცხოვრობდა მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. 1086 წ. ინგლისში შეადგინეს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ამ აღწერის თანახმად, XI საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის მთელი მოსახლეობის არა უმეტეს 5%-სა ცხოვრობდა ქალაქებში. მაგრამ ეს მოქალაქეებიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ სავსებით იმათ, ვისაც ჩვენ ვთვლით ქალაქის მოსახლეობად. მათი ნაწილი ჯერ კიდევ მისდევდა სასოფლო მეურნეობას და ჰფლობდა მიწას ქალაქს გარეთ.

XIV საუკუნის ბოლოს ინგლისში მოახდინეს ახალი აღწერა დაბეგვრის მიზნით. ამ აღწერიდან ჩანს, რომ ამ დროს უკვე მოსახლეობის დაახლოვებით 12% ცხოვრობდა ქალაქებში. თუ ამ შედარებით ციფრებიდან გადავალთ ქალაქის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის საკითხზე, ჩვენ დავინახავთ, რომ XIV საუკუნეშიაც კი ქალაქები 20 ათასი მოსახლეობით ითვლებოდნენ დიდ ქალაქებად. საშუალოდ კი ქალაქებში ცხოვრობდა 4-5 ათასი მოსახლე. ლონდონი, რომელშიაც XIV საუკუნეში 40 ათასი მოსახლე იყო, ითვლებოდა ძალიან დიდ ქალაქად. ამასთან ერთად, როგორც უკვე იყო ნახსენები, ქალაქთა უმეტესობისათვის დამახასიათებელია ნახევრად აგრარული ხასიათი. არსებობდა ბევრი „ქალაქი" წმინდა აგრარული ტიპისა. მათში არსე-

ბობდა ხელოსნობაც, მაგრამ ჭარბობდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. ასეთი ქალაქები ძირითადად მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ სოფლებისაგან, რომ გარსშემოვლებული იყვნენ გალავნით და მმართველობაში ჰქოხდათ ზოგიერთი თავისებურება.

ქალაქის მცხოვრებთ, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ჰქონდათ თავიანთი ბოსტნები, ყანები, საძოვრები. ყოველ დილით ნალარის ხმაზე იღებოდა ქალაქის ყველა ჭიშკრები, ამ ჭიშკრებით მიერეკებოდნენ ნახირს სათემო საძოვრებზე, საღამოთი კი ნახირს ხელახლად ერეკებოდნენ ქალაქში. ქალაქებში ჰყავდათ უმთავრესად წვრილფეხა საქონელი— -თხები, ცხვრები, ღორები. ღორებს არ ერეკებოდნენ გალავანს გარეთ, ისინი თვით ქალაქში პოულობდნენ თავისთვის საკმაო საკვებს, ვინაიდან ყოველგვარი ნაგავი, საჭმელის ყველა ნარჩენები იყრებოდა იქვე ქუჩაზე. ამიტომ ქალაქში იყო აუტანელი ჭუჭყი და სიმყრალე, — შეუძლებელი იყო ტალახში გაუსვრელად გავლა შუა საუკუნეების ქალაქში. წვიმების დროს ქალაქის ქუჩები წარმოადგენდნენ ნამდვილ ჭაობს, რომელშიაც იფლობოდნენ ურმები და შეიძლებოდა დამხრჩვალიყო ცხენოსანი მხედარი. გვალვის დროს კი ქალაქში შეუძლებელი იყო სუნთქვა აყროლებული და შხამიანი მტვერის გამო. ასეთი პირობების გამო ქალაქებში არ წყდებოდა გადამდები სნეულებანი და დიდი ეპიდემიების დროს, რომელიც იფეთქებდა ხოლმე დროდადრო შუა საუკუნეებში, ყველაზე მეტად ზარალდებოდნენ ქალაქები. სიკვდილიანობა ქალაქებში იყო მეტად დიდი. ქალაქების ძოსახლეობა განუწყვეტლივ შემცირდებოდა, რომ სოფლებიდან ახალმოსული ხალხით არ შევსებულიყო.

ვინაიდან გალავანი ხელს უშლიდა ქალაქის გაფართოვებას, ქუჩები უკიდურესად ვიწროვდებოდა. რაც შეიძლება მეტ შენობების დასატევად, სახლები მიტყუპებული იყო ერთმანეთზე, ზედა სართულები უფრო წინ იყო წამოწეული ქვემოსთან შედარებით, და სახურავები იმ სახლებისა, რომელნიც მდებარეობდნენ ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე თითქმის ეხებოდნენ ერთმანეთს. ყოველ სახლს ჰქონდა მრავალი მინაშენი, შუშაბანდი, აივანი. ქალაქი იყო ვიწრო და მცხოვრებლებით სავსე, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობა მცირე იყო.

ქალაქს ჩვეულებრივ ჰქონდა მოედანი — ერთადერთი ცოტად თუ ბევრად ფართო ადგილი ქალაქში. საბაზრო დღეებში იგი ივსებოდა კარვებით და გლეხთა ურმებით, რომლებითაც მოჰქონდათ მეზობელი სოფლებიდან ყოველგვარი საქონელი.

ზოგჯერ ქალაქში არსებობდა რამდენიმე მოედანი, რომელთაგანაც თვითეულს ჰქონდა საკუთარი დანიშნულება: ერთ მოედანზე წარმოებდა პერით ვაჭრობა, მეორეზე — თივით და ასე შემდეგ.

საქალაქო ხელოსნობა. შუა საუკუნეების ქალაქის საწარმოო საფუძველს წარმოადგენდა ხელოსნობა. ქალაქის მოსახლეობის უმთავრეს ნაწილს შეადგენდნენ ხელოსნები. ხელოსნები აერთებდნენ თავიანთ სპეციალობას სასოფლო საქმიანობასთან. ხელოსანს ჩვეულებრივ ჰქონდა თავისი ბოსტანი, ჰყავდა საკუთარი შინაური პირუტყვი, ისე რომ თავისი საკვების განსაზღვ-

რულ ნაწილს იგი ღებულობდა სოფლის მეურნეობისაგან. მაგრამ მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ხელოსნობა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხელოსნური საქმიანობა არსებობდა სოფლადაც. ფეოდალურ მამულებში ჰყავდათ კარის ხელოსნები. გლეხები ამზადებდნენ ტანსაცმელისათვის აუცილებელ შინაურ ქსოვილებს, სასოფლო მეურნეობის მარტივ იარაღებს. ქალაქს შეეძლო დაეკმაყოფილებინა სოფლის სამრეწველო პროდუქციის მოთხოვნილებათა მხოლოდ ნაწილი. ფეოდალიზმისათვის სპეციფიური გაერთიანება მრეწველობისა სოფლის მეურნეობასთან დამახასიათებელ თვისებად რჩება მთელ შუა საუკუნეებისათვის. შრომის განაწილება ქალაქს და სოფელს შორის არ იყო სრული.

ყოველი ხელოსანი თვითონ ჰყიდდა თავისი წარმოების პროდუქტებს. ამიტომ საქალაქო ვაჭრობაში ვაჭარ-შუამავლები არ თამაშობდნენ შესამჩნევ როლს. საქალაქო ხელისუფლება სდევნიდა კიდეც შემსყიდველებს, რომელნიც თავიანთი სპეკულაციებით ზრდიდენ პროდუქტების ფასებს. ვაჭრები ვაჭრობდნენ უმთავრესად უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლით — სანელებლებით ან ფუფუნების საგნებით, რომელიც მოჰქონდათ აღმოსავლეთიდან, ქაშაყით, მარილით, ღვინით. ვაჭრობა დიდხანს შეინარჩუნა ძველებური მოგზაური ვაჭრის ხასიათი. მას თავისი საქონლისათვის ზოგჯერ უხდებოდა შორს გამგზავრება, მაგრამ შემოტანილ საქონლით ვაჭრობა აძლეოდა უფრო მეტ მოგებას და ჰქმნიდა უფრო სწრაფ დაგროვებას, ვიდრე წვრილი ხელოსნობა. განსაკუთრებით სწრაფად ხდებოდა სავაჭრო დაგროვება დიდ სავაჭრო ქალაქებში, რომელნიც აწარმოებდნენ მსხვილ საზღვაო ვაჭრობას.

საამქროები. შუა საუკუნეების ქალაქის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი ხელოსნური მოსახლეობა ორგანიზებული იყო განსაკუთრებულ კავშირებში — **ს ა ა მ ქ რ ო ე ბ შ ი, გ ი ლ დ ი ე ბ შ ი.**

საამქროები ჩნდება თითქმის ქალაქების აღმოცენებასთან ერთდროულად. იტალიაში საამქროები გვხვდება უკვე X საუკუნიდან, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში—XI-XII საუკუნეებიდან. საამქროები საბოლოო ფორმას (საამქრო წესდებები) ღებულობენ უფრო გვიან. თავდაპირველად საამქროები აღმოცენდა როგორც ქალაქებში გამოქცეული ყმა-გლეხების ორგანიზაციები და სასოფლო მარკების წყობილების განმეორებას წარმოადგენდა. მარქსი და ენგელსი ასე ჰმარტავენ იმ მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს ამგვარი კავშირების შექმნა: „გაერთიანებულ. ყაჩაღური თავად-აზნაურობის წინააღმდეგ გაერთიანების საჭიროებამ, ხაერთო საბაზრო შენობების მოთხოვნილებამ იმ ეპოქაში, როდესაც მრეწველი იგივე დროს იყო ვაჭარიც, კონკურენციის ზრდამ აყვავებულ ქალაქებში გამოქცეულა ყმა გლეხების მხრივ, მთელი ქვეყნის ფეოდალურმა წყობილებამ — ყველა ამან წარმოშვა ს ა ა მ ქ რ ო ე ბ ი“.[1]

შუა საუკუნეების ხელოსნური საამქროებისათვის დამახასიათებელია წვრილი წარმოება. საამქროს ყოველი წევრი — წვრილი მრეწველია, რომელიც თვითონ წარმოადგენს უშუალო მწარმოებელს. იგი მუშაობს თვითონ,

[1] Маркс и Энгельс, თხზ., ტ. IV, გვ. 14—15.

თავისი საკუთარი ხელსაწყოებით, თავის სახელოსნოში, რომელთანაც იგი დაკავშირებულია, მარქსის გამოთქმით, „როგორც ლოკოკინა დაკავშირებულია თავის ნიჟარასთან.“ ეს ხელოსანი ჩვეულებრივ მუშაობს სწორედ იმ სახელოსნოში, სადაც მუშაობდა მისი მამა-პაპა და სადაც იმუშავებენ მისი შვილები და შვილი-შვილები მზგავსივე ხელსაწყოების საშუალებით. იგი მუშაობს თავის ოჯახთან ერთად და ერთი ან ორი ქარგლის და შეგირდის დახმარებით. როგორც წესი, ყოველ შეგირდს, შეისწავლის რა იგი ხელობას, იმუშავებს რამდენიმე ხანს ქარგლად და შეაგროვებს ცოტა ფულს, შეუძლია საკუთარი სახელოსნოს გახსნა, რადგან წარმოების წვრილი ხასიათის დროს სახელოსნოს მოწყობისათვის და ნედლეულის შეძენისათვის საჭირო ხარჯები ძალიან უმნიშვნელო იყო. რასაკვირველია, იყვნენ ისეთი საამქროებიც, რომელთა მოსაწყობადაც საჭირო იყო დიდი ფული. მაგალითად, ოქრომჭედლების საამქროები, მაგრამ ასეთი საამქროები ძალიან ცოტა იყო.

ხელოსნის წვრილი წარმოება მიზნად ისახავდა არა მოგების მიღებას და გაფართოებულ წარმოქმნას, არამედ მხოლოდ არსებობის საშუალებათა მოპოებას. „მ ი ს ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ა კ ა დ რ ი ს ი ა რ ს ე ბ ო ბ ა, — და არა გაცვლითი ღირებულება როგორც ასეთი, არა გამდიდრება როგორც ასეთი,[1]“ — არის ხელოსნის შრომის მიზანი.

ყოველი საამქრო იყო კავშირი წვრილი ხელოსნებისა, რომელნიც ეკუთვნოდნენ ერთ და იგივე პროფესიას. წვრილ სახელოსნოში არ იყო გატარებული რამდენადმე ფართო შრომის განაწილება. ამიტომ, როდესაც ტექნიკის ზრდასთან და განვითარებასთან ერთად იწყო ზრდა შრომის ტექნიკურმა განაწილებამ, იგი წარმოებდა ცალკეულ სახელოსნოთა შორის. ამას შედეგად ჰქონდა პროფესიათა და საამქროთა რიცხვის ზრდა. ასე მაგალითად, ქსოვილთა დამზადების წარმოებაში მონაწილეობდნენ საამქროები მპენტავებისა, დამრთველებისა, ფეიქრებისა. მაგრამ მაუდის დამზადების ოპერაციები ამით არ ისაზღვრებოდა. მოქსოვის შემდეგ მას სთელავდნენ, რაც წარმოებდა განსაკუთრებულ სათელავ სახელოსნოებში — მაუდის სათელავებში. შემდეგ წარმოებდა მთელი რიგი სხვა ოპერაციები—კრეჭა, დახაოიანება, შეღებვა, და მხოლოდ ამის შემდეგ იგი მიჰქონდათ გასაყიდად. ყოველი ასეთი ოპერაცია წარმოადგენდა ცალკეულ საამქროს სპეციალობას. სწორედ ასევე ლითონის ნაწარმთა დამზადებას მისდევდნენ მედანეების საამქრო, მეიარაღეების საამქრო და ასე შემდეგ; მედანეების საამქრო თავისმხრივ გაიყო დანის პირის და ტარის დამამზადებლად; ტყავის წარმოება გაიყო ხარაზებას, მეთასმეების, მეჩანთეების საამქროებად და სხვა.

ამგვარად, ტექნიკის ზრდა და სპეციალიზაცია არ სცვლიდა ხელოსნობის წვრილ ხასიათს, არამედ იწვევდა სულ ახალი და ახალი საამქროების შექმნას, რომელთა რიცხვიც ყოველ ქალაქში უდრიდა ათეულებს, და ზოგიერთ ქალაქებში კი ასეულებს. მაგალითად, პარიზში XIX საუკუნის დამდეგს დაითვლებოდა ხელოსანთა 300 საამქროზე მეტი, რომლებიც აერთიანებდა 5,5 ათას ხელოსანს.

---

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. II (VII), стр. 111.

ქალაქთა უმრავლესობაში საამქროს წევრობა იყო აუცილებელი ყველა იმისათვის, ვისაც სურდა მოეკიდა ხელი ხელოსნობისათვის. ამ წესს გერმანიაში ეწოდებოდა Zunftzwang — საამქრო იძულება. ბაგრამ საამქრო ყველას არ უშვებდა თავის წრეში. იმისათვის რომ კაცი გამხდარიყო საამქროს წევრი, მას უნდა გაევლო განსაზღვრული სტაჟი, გაეტარებინა განსაზღვრული დრო შეგირდად, ქარგლად და მხოლოდ ამის შემდეგ მას დაუშვებდნენ სრულუფლებიან ოსტატთა წრეში, რომელთაც ჰქონდათ უფლება საკუთარი სახელოსნო ჰქონოდათ. ეს წესი საამქროს იძულებითი წევრობისა არ აძლევდა საშუალებას საამქროს გარეშე მყოფ ხელოსნებს კონკურენცია გაეწიათ საამქროში მყოფ ხელოსნებისათვის.

საამქრო აწესრიგებდა ხელოსნურ წარმოებას. საამქროს ყოველი წევრი ექვემდებარებოდა საამქროს ამორჩეული თანამდებობის პირთა ზედამხედველობას. ყოველი საამქროს ოსტატი მოვალე იყო გამოეშვა პროდუქცია განსაზღვრული ხარისხისა, ვინაიდან ცუდი პროდუქციის გამოშვება გაკლენას ახდენდა საამქროს ყველა წევრთა ინტერესებზე.

არსებობდა მკაცრი რეგლამენტაცია იმის შესახებ, თუ როგორი ხელსაწყოთი და როგორი მასალით უნდა ესარგებლათ. ზუსტად იყო განსაზღვრული, რა სიგანისა უნდა ყოფილიყო ფეიქრის მიერ დამზადებული ქსოვილი, რამდენი ძაფი უნდა ყოფილიყო ქსელში. მუშაობა უნდა წარმოებულიყო ყველას დასანახად.

საამქრო აწარმოებდა აგრეთვე იმ საათების რაოდენობის რეგლამენტაციასაც, რომელიც უნდა ემუშავა საამქროს ყოველ წევრს. იკრძალებოდა ღამის სამუშაო არა მარტო იმიტომ, რომ იგი აუარესებდა ნამუშევრის ხარისხს, არამედ იმიტომაც, რომ აღკვეთილიყო კონკურენცია საამქროს ცალკეულ წევრთა შორის. საამქრო — წვრილი წარმოების ორგანიზაციაა, და იგი ყოველმხრივ ადევნებდა თვალყურს იმას, რომ წარმოებას შენარჩუნებინა წვრილი ხასიათი, რომ არ ყოფილიყო შესაძლებლობა უფრო მსხვილი საწარმოთა შექმნისა. ამ მიზნით საამქრო ზღუდავდა იმ ქარგლების და შეგირდების რიცხვს, რომელნიც შეეძლო ჰყოლოდა ერთ ოსტატს. არსებობდა წესები, რომელიც არ აძლევდნენ ნებას ოსტატს შეეძინა იმაზე მეტი ნედლეული, რაც მას დასჭირდებოდა წარმოებისათვის. ხოლო თუ იგი იძენდა მეტს, ზედმეტი უნდა გაეყო თავის თანამოძმე — საამქროს წევრთა-თვისაც. ყოველ ოსტატს შეეძლო ჰქონოდა მხოლოდ ერთი სახელოსნო. განსაზღვრული იყო დაზგების ის რაოდენობა, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო სახელოსნოში. საამქრო წესდებები ჰკრძალავდა სარკმელებში საქონლის ზედმეტად თვალსაჩინოდ გამოფენას, აკრძალული იყო მუშტრის შეპატიჟებაც.

საამქრო განსაზღვრული დროის განმავლობაში ასრულებდა პროგრესიულ როლს ტექნიკის განვითარების საქმეში, საწარმოო დისციპლინის საქმეში, მაგრამ მისი ტენდენცია წვრილი წარმოების შენარჩუნებისა, ძალიან-მალე იწყებს ტექნიკური პროგრესის შეფერხებას. საამქრო მტრულად ეკიდებოდა ყველაფერს იმას, რასაც შეეძლო შეექმნა კონკურენცია, მათ შორის ყოველგვარ ტექნიკურ გაუმჯობესებათა შემოღებასაც. ამასთან დაკავშირებით ახალი გამოგონებები ძალიან ხშირად ისპობოდა და გამომგონებლებს ძვირად

უჯდებოდათ თავიანთი წამოწყება. ასე ამგვარად, ხაამქროები, რომელნიც განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე თამაშობდა პროგრესიულ როლს, შემდეგ იწყებს რეაქციული როლის თამაშს, და აფერხებს ტექნიკურ პროგრესს.

ზემოთ ნათქვამით არ ისაზღვრება საამქრო ორგანიზაციის ფუნქციები. საამქრო წარმოადგენდა აგრეთვე ურთიერთდახმარების ორგანიზაციას. საამქროს ყოველ წევრს უნდა გადაეხადა მისაღები გადასახადი, და შემდეგ ეხადა პერიოდული საწევრო გადასახადები. ამგვარად შეგროვილი თანხებიდან და შენაწირავებიდან უწევდნენ დახმარებას გაჭირვებულ წევრებს, ხარჯავდნენ ფულს საამქროს რომელიმე წევრის სიკვდილის შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, თუ ქვრივი ან ბავშვები არსებობის წყაროს მოკლებულნი რჩებოდნენ, მათ უწევდნენ დახმარებას საამქროს სალაროდან. საამქრო იყო აგრეთვე თავისებური რელიგიური კორპორაცია: მას ჰქონდა საკუთარი საყდარი ან და უკიდურეს შემთხვევაში თავისი ხამლოცველო ან ეკვედერი საყდარში. რელიგიურ პროცესიებში საამქროს წევრები მიდიოდნენ ყველა ერთად, სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილნი, თავიანთი საამქრო დროშით, რომელზედაც გამოსახული იყო საამქრო ღერბი, რომელიც ჩვეულებრივ გამოჰხატავდა ამ საამქროს საწარმოო იარაღს. როდესაც საამქროს რომელიმე წევრი კვდებოდა, მას მარხავდნენ საამქროს ყველა წევრები ერთად, და შემდეგ იხდიდნენ საწირავ თანხას, რომ მიცვალებულისათვის ეხადნათ პანაშვიდები.

დაბოლოს, საამქრო იყო სამხედრო ორგანიზაცია, იგი შეადგენდა რაზმს, რომელიც ეწეოდა საგარნიზონო სამსახურს და წარმოადგენდა ცალკეულ საბრძოლო ერთეულს.

საამქროს ჰყავდა თავისი ამორჩეული მეთაური, რომელიც ჩვეულებრივ ატარებდა „მაგისტრის“ სახელწოდებას. არსებობდნენ ზედამხედველები, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ იმას, რომ საამქროს წევრებს არ დაერღვიათ მუშაობის წესები. საამქროს ჰქონდა თავისი წესდება, რომელსაც ადგენდა და ღებულობდა ოსტატების საერთო კრება, ზოგჯერ ქარგლების მონაწილეობით. საამქროს ჰქონდა თავისი სასამართლო, რომელიც არჩევდა საამქრო წესების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებს. საამქრო პერიოდულად იკრიბებოდა საერთო ყრილობაზე, რომელზედაც წყდებოდა ყველა უმნიშვნელოვანესი საქმეები. ეს ყრილობები ხშირად მთავრდებოდა ქეიფებით (გერმანული სიტყვა Zeche, საამქრო, აღნიშნავს აგრეთვე ქეიფს).

ხელოსნობა და ბაზარი. წარმოების წვრილ ხასიათს შეესაბამებოდა ქალაქის ბაზრის ვიწრო ჩარჩოები. მეტ წილად თავისი ნაწარმოებით ქალაქს შეეძლო მხოლოდ მცირე სასოფლო ოლქის მომსახურება, რომლისგანაც იგი ღებულობდა უმთავრესად თავისთვის საჭირო ნედლეულსა და საკვებს. ამასთან ერთად თავის მოთხოვნილებათა მნიშვნელოვან ნაწილს სოფელი თვითონ იკმაყოფილებდა საკუთარი საშუალებებით.

მაგრამ ზოგიერთი ქალაქები, რომელნიც მდებარეობდნენ დიდ სავაჭრო-გზებზე, არ ატარებენ ისეთ წვრილ დასახლებულ ადგილების ხასიათს, რომელნიც იმყოფებიან გაცვლა-გამოცვლით ურთიერთობაში მხოლოდ მის გვერ-

დით მდებარე ოლქთან. ასეთებია, მაგალითად, ფლანდრიის ქალაქები: ფლანდრიული მაუდი, დამზადებული მატყლისაგან, რომლისთვისაც ვაჭრები მიდიოდნენ ინგლისში, იგზავნებოდა გასაყიდად მთელი ევროპის ბაზრობებზე. ასეთია ფლორენცია, თავისი განვითარებული საფეიქრო მრეწველობით — მაუდისა და შემდეგ აბრეშუმისა. იტალიაში — ვენეცია და გენუა, საფრანგეთში—პარიზი აწარმოებდნენ ვაჭრობას მრავალ ქვეყნებთან. ლონდონი ვაჭრობის მხრივ დაკავშირებული იყო კონტინენტთან. სწორედ ასევე დუნაიზე მდებარე გერმანულ ქალაქებს ჰქონდათ ფართო სავაჭრო ურთიერთობა უნგრეთთან, სლავურ ქვეყნებთან და ასე შემდეგ. პატარა ქალაქებიც კი ოოლად ვერ გადიოდნენ შორიდან შემოზიდული საქონლის გარეშე — როგორიცაა მარილი, ლითონები და სხვა.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ბევრი იყო აგრარული ტიპის ქალაქი, რომლებშიაც არ მზადდებოდა მკითვის აუცილებელი სამრეწველო პროდუქტები. თავიანთთვის საჭირო საგნები მათ უნდა ეყიდნათ სხვა ქალაქებში.

კლასობრივი დანაწილება ქალაქში. მთელი რიგი ბურჟუაზიული მკვლევარები ხატავენ შუა საუკუნეების ქალაქს როგორც თავისებურ სოციალურ იდილიას. ყოველი ადამიანი ცხოვრობს საკუთარი მარჯვენის შრომით, შედარებით დაკმაყოფილებული, აწარმოებს საკუთარ პატარა მეურნეობას, არ ზრუნავს მეტზე. არავინ არ უწევს არავის ექსპლოატაციას.

ფაქტები არ ადასტურებენ ამ იდილიურ სურათს. დავიწყოთ საკითხიდან შეგირდების შესახებ და ვნახოთ წარმოებდა თუ არა მათი ექსპლოატაცია. ჩვენ ვხედავთ შუა საუკუნეების ქალაქში შეგირდობის მეტად გრძელ სტაჟს, მაგალითად, ინგლისში 7 წელს. შუა საუკუნეების ხელოსნობანი მოითხოვდნენ ხანგრძლივ შესწავლას, რადგან აქ საჭირო იყო ხელის დიდი სიმარჯვე, მაგრამ შეგირდობის გრძელი ვადა სხვაგვარ მიზნებსაც ისახავდა. თავისი შეგირდობის უკანასკნელ წლებში შეგირდი ხდებოდა საკმაო კვალიფიკაციას მქონედ იმისათვის, რომ დამოუკიდებლად მოემზადებინა ის საქონელი, რომელსაც ამზადებდა მისი პატრონის სახელოსნო, და მოეტანა თავისი ოსტატისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობა.

ცნობილია ხშირი შემთხვევები ერთი ოსტატის მიერ მეორისათვის შეგირდის მიყიდვისა, ე. ი. შეგირდზე თავისი უფლებების დათმობისა. უეჭველია, ეს უფლებები იძლეოდა განსაზღვრულ სარგებლობას, თუ მათ ჰყიდიდნენ და ყიდულობდნენ. ყველაფერი ეს უდაოდ მოწმობს ოსტატების მიერ შეგირდების ექსპლოატაციის არსებობას.

იგივე შეიძლება ითქვას ოსტატის და ქარგლებს შორის არსებულ ურთიერთობათა შესახებ. ოსტატი საამქროში თავის მონოპოლიური მდგომარეობის წყალობით იძულებით იყენებდა და ექსპლოატაციას უწევდა ქარგლების შრომას, ქარგალს ბოლოს და ბოლოს შეეძლო ოსტატად გახდომა, მაგრამ სანამ იგი ემსახურებოდა ოსტატს, მას უნდა ეძლია ოსტატისათვის თავისი ზედმეტი შრომა. ქარგალი, სწორედ ისევე, როგორც შეგირდი, განიცდიდა გარეეკონომიურ იძულებას ოსტატის მხრივ. ოსტატები ადგენდნენ საამქრო წესდებებს, ოსტატებს ეკუთვნოდათ საამქრო სასამართლო, რომელშიაც ისიხი

ასამართლებდნენ ქარგლებს. ქარგლების სამუშაო დღე იყო ძალიან გრძელი, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც ისინი მუშაობდნენ ცისკრიდან ცისკრამდე.

ეს დიფერენციაცია საამქროში, პირველ ხანებში შედარებით სუსტი, იმდენად, რამდენადაც თითქმის ყოველ ქარგალს შეეძლო ოსტატად გახდომა, დროთა ვითარებაში ძლიერდება. დგება მომენტი, როდესაც ქარგალს აღარ შეუძლია ოსტატად გახდომა და იქცევა მუდმივ დაქირავებულ მუშად. ეს ხდებოდა განსაკუთრებით სწრაფად იმ ქალაქებში და იმ წამყვან მრეწველობის დარგებში (საფეიქროში, ლითონების დამმუშავებელში, ტყავის დამმუშავებელში), რომელნიც მუშაობდნენ არა მარტო მეზობლად მდებარე ოლქისათვის, არამედ შორეულ ბაზრებისათვისაც. ფართო ბაზართან კავშირი ჰქმნიდა წინასწარ პირობებს უფრო მსხვილი მასშტაბების წარმოებისათვის. ისეთ ქალაქებში, როგორიცაა მაგალითად, ფლორენცია, ზოგიერთი საამქროები ძალიან ადრე გასცილდა წვრილი წარმოების ჩარჩოებს. ეს შეეხება ოგრეთვე მთელ რიგ სხვა ქალაქებსაც, განსაკუთრებით იტალიისა და ფლანდრიისა. წარმოების გამსხვილებას შედეგად ჰქონდა ის, რომ წამყვანი როლი საამქროში იწყებს გადასვლას მსხვილ ოსტატების ხელში. ამ ნიადაგზე იწყება გაძლიერებული სოციალური დაყოფა. ძალიან ხშირად მსხვილი ოსტატი აძლევდა სამუშაოს წვრილ ოსტატებს, აძლევდა მათ ნედლეულს ან ნახევარფაბრიკატებს და ართმევდა დამზადებულ პროდუქტს. შიგ საამქროებში წარმოებს დიფერენციაცია; მათში გამოეყოფა საამქროს ზედაფენა და იქმნება ექსპლოატირებულთა მასა იმ ქარგლების და წვრილი ოსტატების სახით, რომელნიც ვარდებიან უფრო მსხვილი ოსტატების დამოკიდებულებაში.

- **პატრიციატი და საამქროები.** საქალაქო მმართველობა სრულიადაც არ იყო დემოკრატიული. ქალაქის ბრძოლა სენიორების წინააღმდეგ წარმოებდა სახალხო მასების ძალებით და, პირველ ყოვლისა, ხელოსნებისა, რომელნიც ცდილობდნენ თავისუფალ საქონლის მწარმოებლად გახდომას. მაგრამ სახალხო მასა ჩვეულებრივ არ იყო დაშვებული ქალაქის მმართველობის საქმეში, რომელიც იმყოფებოდა შედარებით მცირერიცხოვან მდიდარ მოქალაქეთა ხელში. ამ ქალაქის ზედა ფენას ეკუთვნოდნენ პირველ რიგში ვაჭრები და საქალაქო მიწების მფლობელები; დაბოლოს, განსაკუთრებით იტალიის ქალაქებში, ცხოვრობდნენ აგრეთვე რაინდებიც, რომელნიც ჰფლობდნენ მიწებს ქალაქის მახლობლად და გამაგრებულ სახლებს შიგ ქალაქში.

ქალაქის ზედა ფენა, შემდგარი მდიდარი ვაჭრებისაგან, სახლის პატრონებისაგან და საქალაქო მიწების პატრონებისაგან, ნაწილობრივ რაინდობისაგან, რომელიც არ ღებულობდა მონაწილეობას წარმოებაში, შეადგენდა პრივილეგიურ ჯგუფს, რომელმაც მიიღო პ ა ტ რ ი ც ი ა ტ ი ს სახელწოდება.

- ეს მემკვიდრეობითი არისტოკრატიული ჯგუფი არ უშვებდა თავის წრეში ახალ წევრებს ან და უშვებდა ძალიან ძნელად.

ქალაქის მიერ ბრძოლით შეძენილი პრივილეგიები ჩაუვარდა ხელში ქალაქის პატრიციატს. ქალაქის საბჭო ირჩეოდა მხოლოდ პატრიციატის წრიდან. მისი წრიდანვე ირჩეოდა ბურგომისტრი და ქალაქის დანარჩენი თანამდებობის პირები. პატრიციატის ხელში იმყოფებოდა მთელი საქალაქო მმართვე-

ლობა, საქალაქო ფინანსები და ქალაქის სასამართლო, რაც იძლეოდა სრულიად განსაზღვრული კლასობრივი პოლიტიკის გატარების საშუალებას, განსაკუთრებით საგადასახადო დაბეგვრის საქმეში. ქალაქის მმართველობა აძლევდა ყოველგვარ შეღავათებს პატრიციებს, სამაგიეროდ, მძიმედ ბეგრავდა ხელოსანთა მასას. პატრიციატის ხელში სასამართლო წარმოადგენდა კლასობრივი იუსტიციის ორგანოს. პატრიციატის ხელშივე იმყოფებოდნენ ქალაქის სამხედრო ძალები. ყველა ეს იწვევდა ბრძოლას საამქრო ხელოსნებსა და პატრიციატს შორის ქალაქში ძალა უფლებისათვის. ეს ბრძოლა წარმოებდა XIII-XIV საუკუნეებში შუა საუკუნეების ევროპის თითქმის ყველა ქალაქებში, მაგრამ იგი ყველგან ერთნაირად არ თავდებოდა. ზოგიერთ ქალაქებში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებშიაც ძლიერ განვითარდა მრეწველობა, საამქროებმა გაიმარჯვეს; ზოგიერთებში კი — საამქრო მოძრაობა დამთავრდა საამქროების დამარცხებით და პატრიციატის გამარჯვებით.

ადგილ-ადგილ საამქრო მოძრაობანი ბრკოლდებოდა იმით, რომ ისინი იწყებოდა მაშინ, როდესაც სენიორების და ქალაქებს შორის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულიყო. ამ შემთხვევაში ზოგჯერ სდგებოდა თავისებური კავშირი სენიორებისა და საამქროებს პატრიციატის წინააღმდეგ, ამასთან ერთად სენიორები იყენებდნენ საამქროებს, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ასე მოხდა, მაგალითად, ფლანდრიაში XIII საუკუნის დამლევს და XIV დასაწყისში, როდესაც საამქროებმა დაამყარეს კავშირი ფლანდრიის გრაფთან პატრიციების წინააღმდეგ. პატრიციები, თავის მხრივ ეძიებდნენ საფრანგეთის მეფის დახმარებას.

დიდი სიმძაფრით წარმოებდა საამქროების ბრძოლა პატრიციატის წინააღმდეგ რაინის სანაპიროს მდიდარ ქალაქ კელნში. კელნმა უკვე XI საუკუნეში დაიწყო ბრძოლა თავისი სენიორი-არქიეპისკოპოსის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგად, რომელიც გაგრძელდა XIV საუკუნემდის, კელნმა შესძლო, იძენდა რა ბრძოლით არქიეპისკოპოსისაგან ხან ერთ, ხან მეორე უფლებას, მიეღწია თვითმართველობისათვის. ქალაქის მმართველობა მოექცა პატრიციატის ხელში. კელნის პატრიციატი შედგებოდა მდიდარი ვაჭრებისაგან (უმთავრესად ღვინით და მაუდით მოვაჭრეებისაგან), მევახშეებისაგან, ქალაქის მიწების და სახლების მდიდარი პატრონებისაგან, საქალაქო გადასახადების მოიჯარავეებისაგან. პატრიციათაგან ზოგიერთი იძენდა მიწას ქალაქს გარედაც, ღებულობდა რაინდის წოდებას და ერწყმოდა ფეოდალურ არისტოკრატიას. პატრიციები იშენებდნენ ქალაქში გამაგრებულ კოშკების მაგვარ სახლებს, უნათესავდებოდნენ რაინდებს და ძლიერ ჩაგრავდნენ და ზიზღით ეექცეოდნენ ხელოსნებს. თავისი უფლებების აღსადგენად არქიეპისკოპოსი ცდილობდა გამოეყენებინა ის შუღლი, რომელიც ადრე დაიწყო პატრიციატსა და საამქროებს შორის. უკვე XIII საუკუნის ნახევარში ხელოსნებმა, რომელთაც მხარს უჭერდა არქიეპისკოპოსი, მიიღწიეს ქალაქის მმართველობის ორგანოებში მონაწილეობას, მაგრამ მალე პატრიციატმა შესძლო მათი იქიდან გაძევება და ძველი წმინდა პატრიციული მმართველობის აღდგენა. ამასთან ერთად საქმე მიდიოდა ქუჩის ბრძოლებამდის.

XIV საუკუნეში განახლდა ბრძოლა კელნის პატრიციებსა და საამქროებს შორის. ამ ბრძოლაში ხელოსანთა საამქროების მხარეზე გამოვიდა აგრეთვე ვაჭართა ის ნაწილი, რომელიც არ იყო დაშვებული პატრიციატის რიგებში და ქალაქის მმართველობაში. XIV საუკუნის მეორე ნახევარში ხელისუფლება რამდენჯერმე გადადის ხელიდან ხელში, სანამ, ბოლოს, 1396 წელში საამქროები არ ჩაიგდებენ თავიანთ ხელში ძალაუფლებას კელნში. ყველა საამქროები ორგანიზებულ იქნენ 22 კორპორაციად, რომელნიც აწარმოებდნენ „დიდი საბჭოს“ და ბურგომისტრის ამორჩევას. მაგრამ საამქროების გამარჯვება, მიღწეული ქალაქის დემოკრატიის ხელით, სრულიადაც არ იყო დემოკრატიის გამარჯვება. საბჭო, რომელსაც ირჩევდნენ ყველა საამქროები, იქცა კარჩაკეტილ კორპორაციად, და მის შემადგენლობაში დაშვებულ იქმნენ პატრიციებიც. წარმოიშვა ახალი არისტოკრატია, რომელიც შედგებოდა ნაწილობრივ ძველი პატრიციატისაგან, ნაწილობრივ კი კელნის იმ სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიისაგან, რომელიც წინათ არ შედიოდა პატრიციატში. ამ ახალმა არისტოკრატიამ დაიწყო ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომელიც ბევრად არ განსხვავდებოდა პატრიციატის პოლიტიკისაგან. მთელი მმართველობა მოექცა გვარების მცირეოდენი ჯგუფების ხელში. საგადასახადო სისტემის სიმძიმის ცენტრი სულ უფრო და უფრო გადატანილ იქნა კვების საგნების დაბეგვრაზე. ყველაფერი ეს იწვევდა კელნის დემოკრატიული მასების დიდ უკმაყოფილებას და ამან გამოიწვია მთელი რიგი აჯანყებებისა ქალაქის ოლიგარქიის წინააღმდეგ XV-XVI საუკუნეთა განმავლობაში.

ანალოგიურ სურათს ვხედავთ ფლორენციაში, იტალიის უმსხვილეს სამრეწველო ქალაქში. იქაც საამქროებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გამოჰგლიჯეს ძალაუფლება ქალაქის არისტოკრატიას; მაგრამ საამქროების გამარჯვება წარმოადგენს მხოლოდ ახალი არისტოკრატიის გაბატონებას „უფროსი საამქროების“ ანუ „მსუქანი ხალხის“ სახით.

კელნი და ფლორენცია იძლევიან საამქროების ძლევამოსილი აჯანყებების მაგალითს. მაგრამ ქალაქის ნაწილში გამარჯვება დარჩა პატრიციატს. ეს, პირველ ყოვლისა, შეეხება იმ ქალაქებს, რომლებშიაც მრეწველობა ვითარდებოდა შედარებით უფრო ნელა, ვიდრე ვაჭრობა, რომლებშიაც ყველაზე გავლენიან ჯგუფს ძველებურად ვაჭრები წარმოადგენდნენ და ხელოსანთა საამქროებმა ვერ მიაღწიეს ისეთივე სოციალურ მნიშვნელობას, როგორიც მათ ჰქონდათ სამრეწველო ქალაქებში. ასეთ უპირატესად სავაჭრო ქალაქებს, რომლებშიაც ძალაუფლება იმყოფებოდა ვაჭრების ხელში, წარმოადგენენ ვენეცია, გენუა და ჩრდილო გერმანიის ქალაქების მთელი რიგი (ჰამბურგი, ლუბეკი, ბრემენი და სხვანი), რომელნიც შედიოდნენ ე. წ. დიდ ჰანზის შემადგენლობაში (იხ. თავი XXIV).

მუდმივი ხელფასის მიმღები მუშების ფენის ჩამოყალიბება. ძალაუფლების ხელში ჩაგდება ახალი არისტოკრატიის მიერ, იწვევს ქალაქის დემოკრატიული ფენების წინააღმდეგობას, რომელთაც ეკუთვნოდნენ წვრილი ოსტატები და ქარგლები.

XIV და XV საუკუნეებში ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში იწყება საამქროების კარჩაკეტილობა. საამქროს ოსტატები ერთიანდებიან კარჩაკეტილ

კორპორაციებში, ამასთანავე ყოველმხრივ უძნელებენ ქარგლებს მათში შესვლას. წინათ ყოველ ქარგალს, რომელიც გაივლიდა განსაზღვრულ სტაჟს, შეეძლო ოსტატის წოდების მიღება და საკუთარი სახელოსნოს გახსნა. ახლა მდგომარეობა იცვლება. მხოლოდ ოსტატების შვილები და სიძეები ღებულობენ ოსტატის წოდებას შეუფერხებლად. დანარჩენ ქარგლებს შეეძლოთ ოსტატებად გახდომა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც წინასწარ გაიღებდნენ "დიდ ფულად ხარჯებს. მათ უნდა შეეტანათ საამქროს სალაროში დიდი მისაღები გადასახადები, ამის შემდეგ მათ უნდა დაემზადებინათ ე. წ. შ ე დ ე ვ რ ი ანუ Meisterstück, — სანიმუშო სამუშაო, რომელსაც უნდა ეჩვენებინა ქარგლის მომზადება. ეს თავისთავად კანონიერი მოთხოვნილება XIV საუკუნის ბოლოდან და XV საუკუნეში იქცა ახალ ხელის შემშლელ გარემოებად ოსტატებად გახდომისათვის. შედევრად საკუთარი ხარჯით უნდა დამზადებულიყო საგანი, რომელიც მოითხოვდა დიდ ხარჯებს. ამის შემდეგ იმას, ვისაც ღებულობდნენ ოსტატად, უნდა მოეწყო გულუხვი მასპინძლობა საამქროს წევრთათვის. ერთი სიტყვით, საამქროები ყოველმხრივ ცდილობენ მოაშოროს ახალი პირები საამქროში მონაწილეობას დემოკრატიული ორგანიზაციიდან, წვრილი ოსტატების ორგანიზაციიდან საამქრო იქცეოდა კარჩაკეტილ კორპორაციად, რომელიც იყენებს ძველ საამქრო მონოპოლიებს, იმისათვის რომ გამდიდრდეს ექსპლოატაციაქმნილ ქარგლების ხარჯზე. ქარგლები ახლა იქცევიან მუდმივ ხელფასიან მუშებად. ქარგლებს, როგორც წესი, უკვე აღარ შეეძლოთ ოსტატებად გახდომა. ამასთან ერთად სახელოსნოში შრომა კისერზე ძირითადად ქარგლებს აწვება. ოსტატი ინარჩუნებს უმთავრესად წარმოების ხელმძღვანელობას.

ახლა ქარგლები ჰქმნიან თავიანთ განსაკუთრებულ პროფესიულ ორგანიზაციებს, რომელნიც იცავენ მათ ინტერესებს. XIV-XV სს. დასავლეთ ევროპაში არსდება ქარგალთა კავშირები, რომელნიც მიზნად ისახავდნენ ოსტატებთან ბრძოლას, ცდილობდნენ სამუშაო ხელფასის მომატების და სამუშაო დღის შემცირებისათვის მიეღწიათ. ოსტატებს არ სურდათ ეცნოთ ამ კავშირების კანონიერება. ოსტატებთან ბრძოლის დროს ქარგლები მიმართავდნენ ისეთსავე საშუალებებს, როგორსაც მიმართავს შემდეგში მუშათა კლასი. ჯერ ერთი ეს არის გაფიცვები, რომლებშიაც მონაწილეობას ღებულობდა მთელი კავშირი, სანამ არ იქნებოდნენ დაკმაყოფილებული. გაფიცულთა ესა თუ ის მოთხოვნილებანი. ბრძოლის მეორე საშუალებას წარმოადგენდა იმ ოსტატების ბოიკოტი, რომელნიც არღვევდნენ ქარგლების ინტერესებს.

ამგვარად, XIV—XV საუკუნეებში ხელოსნობაში იწყეს გამოყოფა ქარგლებმა, როგორც მუდმივმა ხელფასიანმა მუშებმა. რასაკვირველია, ქარგლები ჯერ არ წარმოადგენენ მუშათა კლასს; ჩვენ აქ ვხედავთ მხოლოდ კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვას. წვრილმა ხელოსნებმა (რომელნიც სულ უფრო და უფრო ვარდებიან მსხვილი ოსტატების დამოკიდებულებაში, განიცდიან მათგან სასტიკ ექსპლოატაციას და განსხვავდებიან ხელფასიანი მუშებისგან მხოლოდ იმით, რომ მუშაობენ თავიანთ სახლში), ორგანიზაციის არმქონე მუშებმა და ღიღურმა მუშებმა, მუდმივ ხელფასიან მუშებად ქცეულმა

ქარგლებმა შეადგინეს ფენა, რომელსაც ჩვენ შეგვიძლიან უწოდოთ წ ი ნ ა-პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი.

საამქროს შიგნით წარმოებულ შრომის ექსპლოატაციის გვერდით ჩვენ ვხედავთ წვრილი მწარმოებლის ექსპლოატაციის განვითარებას საავჭრო კაპიტალის მიერ. კაპიტალი თავდაპირველად იქმნება ვაჭრობაში, სადაც ყველაზე ადრე შეიძლებოდა დაგროვება. საავჭრო კაპიტალი იწყებს უშუალოდ ხელოსნობის ექსპლოატაციას. ეს ხდება, მაგალითად, ფლანდრიის ქალაქებში. ვაჭარი აქ ადრე გამოდის წვრილი მწარმოებლების ექსპლოატატორად. ვაჭარი არა მარტო ჰყიდის იმ საქონელს, რომელიც მან შეიძინა ადგილობრივი ხელოსნებისაგან, ამასთანავე იგი ყიდულობს ნედლეულს და მიჰყიდის მას ხელოსნებს. ფლანდრიელ ხელოსნებს უძნელდებოდათ თვითონ მოეწყოთ ნედლეულის შემოზიდვა და მისი გაყიდვა, ამის გამო ისინი ვარდებიან დამოკიდებულებაში ვაჭრებისაგან, რომელნიც მიემგზავრებიან ინგლისში მატყლის საყიდლად და რომელთაც გააქვთ მაუდი ევროპის ბაზრებზე. ვაჭრები ხშირად ურიგებდნენ ხელოსნებს ნედლეულს ნისიად, ხვევდნენ მათ ვალების ქსელში, და უკარნახებდნენ მათ პროდუქციის ფასებს.

ასეთ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი არა მარტო ქალაქის ხელოსნობაში. ვაჭრები ხშირად უწევდნენ ექსპლოატაციას წვრილ მწარმოებლებს სოფლად, ურიგებდნენ რა შინამრეწველებს ნედლეულს და ღებულობდნენ მათგან დამზადებულ პროდუქტს. თავდაპირველად ისინი გამოდიან მხოლოდ იმ პროდუქტების შემსყიდველების და გამყიდველების როლში, რომლებსაც ამზადებენ შინამრეწველები. მაგრამ შემდეგ ისინი იქცევიან მათ კრედიტორებად, აძლევენ მათ ნედლეულს ვალად. ამგვარად, საავჭრო კაპიტალი, რომელიც არ კმაყოფილდება ქალაქით და საამქრო ხელოსნობით, ფართედ ავრცელებს თავის გავლენას სოფელზედაც.

ქალაქის წინაპროლეტარული ფენების ბრძოლა ოსტატების და ვაჭრების მიერ მათი ექსპლოატაციის წინააღმდეგ მალე ღებულობს პოლიტიკურ ხასიათს. წინაპროლეტარული ფენები მალე იწყებენ ბრძოლას ქალაქის მოსახლეობის ზედაფენასთან ხელისუფლებაში მონაწილეობისათვის. ამასთან ერთად მათ მხარს უჭერს ლუმპენპროლეტარიატი. ქალაქის მოსახლეობის ყველა ამ უკმაყოფილო ელემენტებმა შეადგინეს ის, რასაც ენგელსმა უფრო მოგვიანებითი პერიოდის შესაბამისად (XVI ს.) უწოდა „პლებეური ოპოზიცია". ფლორენციაში, კელნში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში ხდება ამ ფენების ამბოხებები ქალაქის არისტოკრატიის წინააღმდეგ. ამ ამბოხებებში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ცნობილი ჩომპის აჯანყება ფლორენციაში 1378 წელს (იხ. თავი XXV).

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია მოვხაზოთ კლასთა ბრძოლის სამი ძირითადი ეტაპი შუა საუკუნეების ქალაქში: 1) ქალაქების ბრძოლა მათი სენიორების წინააღმდეგ, 2) საამქროების ბრძოლა პატრიციატის წინააღმდეგ, 3) წინაპროლეტარიატის ბრძოლა მათი ექსპლოატატორი ოსტატების და ვაჭრების წინააღმდეგ.

ვაჭრობა XIII-XIV საუკუნეებში. ჯვაროსნულ ლაშქრობათა (იხ. თავი XV) შემდეგ ევროპულმა ვაჭრობამ განიცადა დიდი წინსვლა. ჩვენს მიერ

შესაბამ პერიოდში არსებობდა ამ ვაჭრობის ორი ძირითადი რაიონი. ერთი მათგანი, ხმელთაშუა ზღვა, აერთებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს აღმოსავლეთთან. აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ უმთავრესად ფუფუნების საგნები და სანელებლები, კერძოდ პილპილი, რომლებზეც არსებობდა დიდი მოთხოვნილება ევროპაში. ევროპელი ვაჭრები თავის მხრივ, მიემგზავრებოდნენ აღმოსავლეთისაკენ და თან მიჰქონდათ უკვე არა მარტო ნედლეული, არამედ აგრეთვე ევროპული ინდუსტრიის ზოგიერთი საგნები, კერძოდ, მაუდი. ამ ვაჭრობაში მთავარ როლს თამაშობდნენ ვენეციელები, გენუელები, პიზელები, აგრეთვე სამხრეთ საფრანგეთის და კატალონიის ვაჭრები.

ევროპელი ვაჭრობის მეორე ძირითადი რაიონი შეიცავდა ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვებს. აქ ცენტრს წარმოადგენდა ფლანდრია — ჩრდილოეთის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და სავაჭრო რაიონი, რომლის ქალაქებს შორის XIV საუკუნეში პირველი ადგილი დაიპირა ბრიუგემ.

ჩრდილოეთის ვაჭრობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა ქვეყნები, რომელნიც მდებარეობდნენ ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვების ირგვლივ, — ჩრდილოეთ-დასავლეთ. რუსეთი, სკანდინავია, დანია, ჩრდილოეთ გერმანია, ნიდერლანდები და ინგლისი. აქ ვაჭრობა ატარებდა უფრო სხვაგვარ ხასიათს, ვიდრე ხმელთაშუა ზღვაზე, და წარმოებდა უმთავრესად ფართო მოხმარების საგნებით, უპირველეს ყოვლისა, მარცვლეულით, თევზით, მარილით, ქერელით, ხე-ტყით, ფისით ,ყოველგვარი საქონლით, რომელიც საჭიროა გემთმშენებლობისათვის.

ამ ორ ძირითად საზღვაო რაიონს შორის მდებარეობდა მთელი რიგი შემაერთებელი გზები. უდიდესი მნიშვნელობა მიიღეს ალპების მთის გადასავლებმა, რომლების გავლითაც წარმოებდა იტალიის ვაჭრობა შუა ევროპასთან, ხოლო უკანასკნელის გავლით ჩრდილოეთ ევროპასთან. არსებობდა სამი მთავარი გადასავალი: დასავლეთის გასავლით, სენ-ბერნარით, გზა მიდიოდა რონას ველებზე და საფრანგეთის მისავალზე; აღმოსავლეთით ბრენერზე გზა მიდიოდა დუნაის სამდინარო სისტემისაკენ; ბრენერის მიმართულებით წარმოებდა უმთავრესად ვენეციის ვაჭრობა. XIII საუკუნიდან პირველი ადგილი დაიჭირა მესამე გადასავალმა, რომელიც მათ შორის მდებარეობდა—სენ-გოტარდმა და რომლითაც გზა მიდიოდა დასავლეთ ევროპის უმნიშვნელოვანეს სამდინარო არტერიისაკენ, რაინისაკენ. ამ ორ რაიონს აერთებდა აგრეთვე საზღვაო გზა. ვენეციელები და გენუელები მიემგზავრებოდნენ თავიანთი საქონლით ბრიუგეში გიბრალტარის გავლით. ამავე გზით უკავშირდებოდნენ ინგლისს, საიდანაც შემოჰქონდათ მატყლი ფლორენციის მრეწველობისათვის.

XII და XIII სს. ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს ცენტრს ევროპაში წარმოადგენდა შამპანის საგრაფო, რომელიც მდებარეობდა საფრანგეთში, მაგრამ თითქმის დამოუკიდებელი იყო საფრანგეთის მეფისაგან. ამ საგრაფოს ძალიან ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა — უმთავრესი სავაჭრო მაგისტრალების შეხვედრის ადგილას, რომელიც აერთიანებდა ერთმანეთთან ხმელთაშუა ზღვას და ჩრდილოეთ სავაჭრო რაიონებს, ფლანდრიასთან ახლოს, გერმანიასა და საფრანგეთს შორის, შამპანში იყრებოდნენ ვაჭრები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. იტალიელ ვაჭრებს მოჰქონდათ ამ ბაზრობებზე, აღმოსავლეთის სა-

ქონელი, ფუფუნების საგნები, ფლანდრიიდან და ბრაბანტიდან მოსულ ვაჭრებს შემოჰქონდათ მაუდი, გერმანელ ვაჭრებს შემოჰქონდათ გერმანიიდან სელის ნაწარმი, ქურქები, აქვე მოდიოდნენ აგრეთვე ვაჭრები ინგლისიდან და კატალონიიდან. შამპანის ბაზრობები განსხვავდებოდა სხვა ბაზრობებისაგან იმით, რომ ისინი გრძელდებოდა თითქმის მთელ წელიწადს. იქ წარმოებდა მსხვილი ოპერაციები და ვაჭრული ანგარიშიანობა საკრედიტო ვალდებულებების მისედვით. შამპანის საფრანგეთის მეფეების ხელში გადასვლის შემდეგ, შამპანის ბაზრობები ჰკარგავს წინანდებურ მნიშვნელობას. მათი დაცემა გამოწვეული იყო აგრეთვე ნაოსნობის განვითარებით, რომელიც აერთებდა ფლანდრიას დასავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან საზღვაო გზით. საბოლოო ლახვარი შამპანის ბაზრობებს ჩასცა ასწლიანმა ომმა საფრანგეთ-ინგლისს შორის (1337 — 1453 წწ.).

ვაჭრობა ევროპაში იმ დროს ჯერ კიდევ რთულ და სახიფათო საქმეს წარმოადგენდა. თავიანთი სავაჭრო მოგზაურობების დროს ვაჭრებს უხდებოდათ ყოველგვარი სიძნელეების გადალახვა ხმელეთზედაც და ზღვაზედაც. ზღვაზე მათ უდარაჯებდნენ მეკობრეები. სახმელეთო ვაჭრობა აგრეთვე ფერხდებოდა განუწყვეტელი ყაჩაღობებით და ამასთან ერთად უგზოობით, გზები იყო მეტ წილად ძველი გაყვანილი ჯერ კიდევ რომაელთა მიერ. არავინ არ ფიქრობდა მათ შეკეთებაზე და სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. გზებზე ვაჭრებს უდარაჯებდნენ ფეოდალები. ყოველი სენიორის სამფლობელოებს იცავდნენ საბაჟოებით, სადაც ბაჟების ამკრეფნი მოითხოვდნენ ვაჭრებისაგან სავაჭრო ბაჟების გადახდას. ყოველ ხიდზე ვაჭრებს ერთმეოდათ ახალ-ახალი ბაჟები. ზოგჯერ ფეოდალები აგებდნენ ხიდებს მშრალ ადგილას, რათა აეკრიფათ სახიდე ბაჟები, სჭიმავდნენ თოკებს მდინარის ერთი ნაპირიდან მეორემდის, და არ ატარებდნენ ვაჭრების გემებს ბაჟის გადაუხდელად.

ქალაქებიც უქმნიდნენ უცხოელ ვაჭრებს ყოველგვარ დაბრკოლებებს. გარდა იმისა, რომ მათ უნდა ეხადნათ დიდი ბაჟები, ისინი მოვალენი იყვნენ აუცილებლად გამოეფინათ გასაყიდად საქონელი, რომელიც მიჰქონდათ ქალაქზე გავლით. ამასთან ერთად მათ ნება ჰქონდათ მხოლოდ ბითუმად გაყიდვისა, ვინაიდან ცალობით ვაჭრობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ადგილობრივ ვაჭრებს.

ვაჭრები იძულებული იყვნენ გამგზავრებულიყვნენ თავიანთ სავაჭრო მოგზაურობაში დიდ ქარავნებად, შეიარაღებული მცველებით, რომელნიც იცავდნენ მათ ყოველგვარი საფრთხისაგან. სავაჭრო გემები შეიარაღებული იყო.

ფეოდალურ სენიორებთან ბრძოლა და შუა საუკუნეების ვაჭრობის პირობები აიძულებდნენ ვაჭრებს გაერთიანებულიყვნენ განსაკუთრებულ ორგანიზაციებში, გ ი ლ დ ი ე ბ შ ი, ანუ ჰ ა ნ ზ ე ბ შ ი. ზოგჯერ ცალკეული ქალაქების ჰანზები ერთიანდებოდნენ კავშირებად თავიანთი სავაჭრო პრივილეგიების დასაცავად. XIII საუკუნეში ფლანდრიის ქალაქების ვაჭრები ბრიუგელი ვაჭრების შეთაურობით, გაერთიანდნენ ჰანზაში ინგლისთან ვაჭრობისათვის. XIV საუკუნეში ჩამოყალიბდა ცნობილი ჩრდილოეთ-გერმანული ჰანზა.

ბანკები და კრედიტი. საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, მეტად შემაფერხებელი შუასაუკუნეობრივი ვაჭრობისათვის. არა მარტო ყოველი იმპერატორი ან მეფე სჭრიდა თავის ფულს, არამედ ამასვე ჩადიოდა ყოველ ცოტად თუ ბევრად მსხვილი ქალაქი, სენიორი, ეპისკოპოსი. ამის წყალობით შეიქმნა მონეტური სისტემების დიდი რაოდენობა. ამასთან ერთად ბევრი ფეოდალი, რომელთაც ჰქონდათ უფლება ფულის მოჭრისა, სჭრიდა მდარეხარისხის მონეტას (ფულს) მოგების მიზნით. იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ამ მონეტურ სისტემებში გარკვევა და მდარე ხარისხის მონეტის გარჩევა სრულფასიანისგან, შეიქმნა მეკერმეთა (ფულის მცვლელების) განსაკუთრებული პროფესია, რომელნიც აწარმოებდნენ ფულის გაცვლას და მის შეფასებას. ყოველი რამოდენადმე მსხვილი ფულადი გარიგება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ მათი შუამავლობით. მეკერმენი თანდათან იქცევიან ბანკირებად. ფულის ცვლის ოპერაციებთან ერთად, ისინი აწარმოებდნენ აგრეთვე ფულის გადაგზავნის ოპერაციებს. ვინაიდან იმ დროს ბრუნვაში იმყოფებოდა უმთავრესად ვერცხლის და სპილენძის ფული, ამიტომ ფულის გადაზიდვა წარმოადგენდა რთულ და სახიფათო საქმეს. იმისათვის, რომ იტალიელ ვაჭარს, გამგზავრებულს, მაგალითად, შამპანის ბაზრობაზე, შესძლებოდა საქონლის ყიდვა, მას უნდა გადაეზიდნა ალპებზე გავლით ფულის მთელი საპალნეები. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა განსაკუთრებული ოპერაცია-ფულის გადაგზავნისა, რომელსაც მისდევდნენ განსაკუთრებით იტალიელი მეკერმენი. მიიღებდნენ რა შამპანის, ბაზრობაზე გამგზავრებული ვაჭრისაგან განსაზღვრულ ფულის თანხას, ისინი ავალებდნენ ამ ბაზრობაზე მყოფ თავიანთ აგენტს გაეცა ვაჭრისათვის შესაფერისი თანხა ხელწერილის ან ქვითრის წარდგენისას. ასეთი ფულის გადაგზავნის ოპერაციები ერწყმოდნენ საკრედიტო ოპერაციებს. ასე იწყეს აღმოცენება ბანკებმა.

პროცენტების აღება აკრძალული იყო ეკლესიის მიერ, რომელიც სდევნიდა მევახშეებს, ვინაიდან იგი თვითონ იყო თავისი ეპოქის უმსხვილესი მევახშე. საეკლესიო დაწესებულებანი იყვნენ, შეიძლება ითქვას, პირველი ბანკირები ევროპის ისტორიაში. აძლევდა რა სესხს მეფეებს და სენიორებს თავისი მსხვილი დაგროვებათა წყალობით, — ეკლესია იმავე დროს არ თაკილობდა ფულის წვრილწვრილად გასესხებასაც. იგი არ ღებულობდა პროცენტებს, სამაგიეროდ ღებულობდა გირაოდ უმთავრესად მიწას. იმ შემთხვევაში, თუ მას არ გადაუხდიდნენ ვალს, ეკლესიას შეეძლო ამ მიწის ხელში ჩაგდება. პროცენტების გადახდევინების აკრძალვა წარმოადგენდა ეკლესიისათვის მხოლოდ საბაბს კონკურენტებთან ბრძოლისათვის — ბრძოლისათვის სხვა მევახშეებთან. სდევნიდა რა მათ როგორც კანონიკური უფლების დამრღვევთ, ეკლესია ცდილობდა მონოპოლიზაციაქმნილიყო კრედიტი თავის ხელში და დაუფლებოდა ამით მიწების მითვისების ამ უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ამასთანავე ერთად კანონიკური აკრძალვისათვის გვერდის ახვევა არ იყო ძნელი. იმ დოკუმენტში, რომელიც იწერებოდა ამა თუ იმ საკრედიტო გარიგებაზე, პროცენტები მაშინვე ეწერებოდა თავს.

საკრედიტო ოპერაციებში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა პაპის კურია, რომელშიაც თავს იყრიდა უშველებელი თანხები ევროპის ყველა ქვეყ-

ნებიდან. ყველა ამ ანაკრეფების რეალიზაციისათვის პაპის კურიას უნდა მიემართნა ჩრდილო იტალიელი ბანკირების დახმარებისათვის, რომელთაც ამის გამო მიიღეს „რომის პაპის ბანკირების და მეკერძეების“ სახელწოდება. მათ შეჰქონდათ პაპის კურიაში ერთბაშად ფულის დიდი თანხები, ისინი ღებულობდნენ უფლებას პაპის კუთვნილი შემოსავლის აკრეფისას, რომელიც პაპს უნდა მიეღო თავისი ხელქვეითი სამღვდელოებისაგან; ეს უკანასკნელიც თავის მხრივ ახდევინებდა ამ ფულს თავიანთი ეპარქიების მოსახლეობას. პაპის კურია იქცევა ამ დროს მსხვილი ფინანსიური ოპერაციების ცენტრად ევროპაში. ვინც არ იხდიდა წესიერად ვალს, მას მოელოდა ეკლესიისაგან განკვეთა.

XIII საუკუნეში დიდ როლს, როგორც მევახშეები, ასრულებდნენ სასულიერო-რაინდული ორდენები, განსაკუთრებით ტამპლიერების ორდენი. ამას შედეგად მოჰყვა ბოლოს და ბოლოს ორდენის დაღუპვა (იხ. თავი XIX).

ბანკირების და მევახშეების როლს XI და XIII საუკუნეებს შორის ხშირად ასრულებდნენ ებრაელები, რომელთაც სრულიად შეუზღუდავად ახდევინებდნენ ხვადასხვა გადასახადებს. ებრაელები წარმოადგენდნენ კარგი შემოსავლის წყაროს სენიორებისათვის და მეფეებისათვის. მომგებიან საქმეს წარმოადგენდა უფლება საკუთარ ქალაქში ებრაელი-მევახშეების ყოლისა, ეს უფლება ძალიან ფასობდა, მას უბოძებდნენ ხოლმე და ყიდდნენ. მისი საშუალებით მდიდრდებოდა ბევრი სასულიერო სენიორიც კი.

ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ საქმე ისე, თითქოს ყველა ებრაელები უკლებლივ იყვნენ მევახშეები. ლაპარაკია მხოლოდ ებრაელთა ზედა ფენაზე, რომელიც არ იყო დიდი და გამოირჩეოდა ებრაელ ღარიბ-ღატაკებისგან. ებრაელები ცხოვრობდნენ განსაკუთრებულ უბანში—გ ე ტ ო შ ი, რომლის გარეშე მათ არ ჰქონდათ დასახლების უფლება. მათ უნდა ეტარებინათ განსაკუთრებული ტანსაცმელი, რომლითაც შეიძლებოდა მათი ცნობა. ქალაქების ებრაული მოსახლეობის დიდი ნაწილი შედგებოდა ხელოსნებისაგან და წვრილი ვაჭრებისაგან. ებრაელები ცნობილი იყვნენ როგორც ოქრომჭედლები, მეაფთიაქეები, ექიმები. ებრაელი ექიმები სარგებლობდნენ განსაკუთრებული პოპულარობით, როგორც თავიანთი საქმის საუკეთესო ოსტატები.

ჯვაროსნულ ლაშქრობების ეპოქიდან იწყეს ებრაელთა წინააღმდეგ რელიგიური სიძულვილის გაჩაღება, რომელსაც სამღვდელოება და ხელისუფალნი ხშირად იყენებდნენ ებრაელთა პირდაპირი გაძარცვის მიზნით. XIII საუკუნეში ებრაელი მევახშეების დევნა ღებულობს უფრო სისტემატურ ხასიათს, ვინაიდან ჩნდებიან საკუთარი „ეროვნული“ მევახშეები, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილო იტალიაში. საავჭრო ოპერაციებს, აგრეთვე ფულის გადაცვლის და გადაგზავნის ოპერაციებს შედეგად მოსდევთ მთელი რიგი ბანკირული კანტორების დაარსება, განსაკუთრებით ჩრდილო იტალიის ქალაქებში — ლომბარდიაში. თვით სიტყვა „ლომბარდელი“ იყო მაშინ მევახშის სინონიმი. ბანკირები ჩნდებიან სხვა ქვეყნებშიაც — საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, და ამას შედეგად მოსდევს ებრაელების, როგორც კონკურენტების, გააფთრებული დევნა.

კრედიტი შუა საუკუნეებში მეტ ნაწილად ატარებდა მომხმარებლურ ხასიათს. იმასთან დაკავშირებით, რომ ფული იყო შედარებით ცოტა, სუსტი იყო

ვაჭრობა და ფულადი ბრუნვა, კრედიტს შედეგად სდევდა ან მოვალის, ან კრედიტორის გაკოტრება. კერძოდ კოტრდებიან და ჰკარგავენ თავიანთ მიწებს ბევრი ფეოდალები, მევახშეებისგან დავალიანებულნი. ეს შეეხება, უპირველეს ყოვლისა, საშუალო და წვრილ რაინდობას. მსხვილ ფეოდალებს და მეფეებს სრულიად დაუსჯელად შეეძლოთ არ გადაეხადნათ თავიანთი ვალი. მაგალითად, ინგლისის მეფე ედუარდ III, რომელმაც დაიწყო ომი საფრანგეთთან იტალიელი ბანკირებისგან ნასესხები ფულით, ემართა ფლორენციელი ფირმების ბარდის და პერუცის 1.365 ათასი ოქროს ფლორინი და მან უარი თქვა ვალის გადახდაზე (1346 წ.).

მევახშეთა მსხვერპლად ხშირად ხდებოდნენ გლეხები, რომელთაც იშვიათად შეეძლოთ ვალის გასტუმრება. ამგვარად, სავახშო კაპიტალი თანდათან ჩრწნიდა ფეოდალურ საზოგადოებას, აღატაკებდა რა რაინდობას და გლეხობას, იგი თვითონ არ ჰქმნიდა არავითარ ახალ წარმოების წესს, ამავე დროს, იგი ხელს უწყობდა ფეოდალური წყობილების დაშლას და ამით წმენდდა გზას კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებისათვის.

ცვლილებანი სოფლის სოციალურ წყობილებაში. ქალაქების განვითარებას შეესაბამებოდნენ ცვლილებები სოფლის მეურნეობაში და სოციალურ წყობილებაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარება სოფლად, თუმცა ეს განვითარება აქ მიმდინარეობდა უფრო შენელებული ტემპით, ვიდრე ქალაქად. სოფელი კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა თავის ნატურალურ-მეურნეობრივ ხასიათს იმის შემდეგაც, რაც დაიწყო ქალაქების და საქალაქო ბაზრის განვითარება.

ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა იმ დროინდელი ევროპის მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. თუ ქალაქი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მთელ რიგ აგრარულ თვისებებს, სოფელიც თვით რკმაყოფილებდა მნიშვნელოვან ნაწილში სამრეწველო საგნების საკუთარ მოთხოვნილებებს. სოფელი აძლევდა ქალაქს თავისი პროდუქციის შედარებით მცირედ ნაწილს, რომლის ძირითად მასას იგი ამზადებდა საკუთარი მოხმარებისათვის. მაგრამ იმ ნაწილს, რომელსაც იგი აძლევდა და რომელიც იქცეოდა ფულად, მისი წარმოების სასაქონლო ნაწილი, ღებულობდა სულ უფრო და უფრო დიდ ეკონომიურ და სოციალურ მნიშვნელობას. ერთი მხრივ, გლეხის ქცევა საქონლის მწარმოებლად და, მეორე მხრივ,—სენიორიალური ვაჭრობის განვითარება, ზოგიერთ ქვეყნებში მაინც, — არეს ის ძირითადი მომენტები, რომელნიც უნდა იქნენ აღნიშნულნი, როდესაც ვლაპარაკობთ იმ შედეგებზე, რომელნიც გამოიწვია სოფლად ქალაქების გამოყოფის პროცესმა.

VIII-XIV საუკუნეებში იწყება ნატურალური ვალდებულებების ფულადით შეცვალა. ფეოდალებს ერჩიათ მიეღოთ უშუალოდ გლეხებისგან ფული და ამგვარად გაეწიათ ექსპლოატაცია გლეხის ბაზართან ახლად დაწყებულ კავშირისათვის. იყო შემთხვევები, როდესაც ფულის მოთხოვნა სენიორის მიერ აიძულებდა გლეხებს გაეყიდნათ ბაზარზე არამც თუ ზედმეტი, არამედ ნაწილი აუცილებელი პროდუქტისა. ამგვარად ფულადი რენტა სრულიადაც არ ამსუბუქებდა საშუალო გლეხის მდგომარეობას. იგი ხელსაყრელი შეიძლებო-

და ყოფილიყო მხოლოდ გლეხობის ზედა ფენისათვის. საშუალო გლეხისათვის იგი ხშირად მოასწავებდა გაღატაკებას ან და დავალიანებას. ფულადი რენტის განვითარების საფუძველზე ხდება გლეხობის ზედა ფენის გამოყოფა. ჰფლობდა რა მარაგებს, მას შეეძლო ხელსაყრელი ფასების მოცდა და ვაჭრობით გამდიდრება. იგი ასესხებს გლეხებს ფულს და პურს და ეწევა რა ამით სპეკულაციას, შეისყიდის მათგან მიწებს. იგი აიძულებს ხშირად თავის მოვალეებს აანაზღაურონ ვალი მათ მიწებზე მუშაობით. აქის შედეგად გლეხი ხშირად იძულებული ხდება მემამულისათვის მუშაობის გარდა, ფეოდალური რენტის გარდა, უხადოს კიდევ ბობოლა გლეხს ან ქალაქია მევახშეს ფული ან შრომით უნაზღაუროს. არსებობდნენ აგრეთვე ქალაქია მიერ სოფლის ექსპლოატაციის სხვა საშუალებებიც. მარქსი ამბობს: „ოუ საშუალო საუკუნეებში სოფელი ქალაქს ექსპლოატაციას უკეთებს პოლიტიკურად ყველგან იქ, სადაც ფეოდალიზმი არაა მოტეხილი ქალაქების არაჩვეულებრივი განვითარებით, როგორც, მაგალითად, იტალიაში, მაშინ ქალაქი ყველგან და გამონაკლისის გარეშე ექსპლოატაციას უკეთებს სოფელს ეკონომიურად თავისი მონოპოლიური ფასებითა, თავისი საგადასახადო სისტემითა, თავისი საამქრო წყობილებითა, თავისი უშუალო ვაჭრული მოტყუებათა და თავისი მევახშეობით“.[1]

XII-XIII საუკუნეებიდან სწრაფად იზრდება სახელმწიფოებრივი დაბეგვრა, რომლის მთელი სიმძიმე აწვება კისერზე, პირველ ყოვლისა, გლეხობას. სახელმწიფო გადასახადები ჰმატებენ ახალ ტვირთს იმას, რასაც უხდის გლეხი სენიორს და მევახშეს. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ გლეხი იხდიდა დიდ გადასახადებს ეკლესიის სასარგებლოდ. მეათედი, რომელსაც იხდიდნენ საერთო გადასახადიდან, როდი იყო მცირედი ტვირთი გლეხისათვის. მას იხდიდნენ ნატურით. ეს იყო გადასახადის მეტად მძიმე ფორმა, რომელიც იძლეოდა საბაბს გაუთავებელი დავისათვის და ახალი მოთხოვნილებებისათვის. ამას გარდა, ეკლესია ჰკრეფდა მთელ რიგ სხვა გადასახადებსაც — წმინდა პეტრეს დინარს, გასამრჯელოს კურთხევებში, შესაწირავებს და სხვ.

სასაქონლო ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს გლეხობის ქონებრივი დანაწილება. სასაქონლო-ფულადი მეურნეობის ზრდას შედეგად სდევს მცირე მიწის მქონე გლეხობის მნიშვნელოვანი ფენის შექმნა. მარქსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არაფრის მქონე მოჯამაგირეების კლასის განვითარება არამც თუ თან სდევს ფულადი რენტის განვითარებას, არამედ წინ უსწრებს მას. ფულადი რენტის გადიდება ზრდის გლეხობის ნაწილის გაღატაკებას, აფართოებს სოფლის ნახევარ-პროლეტარიატის ფენას. სოფელში ჩნდება მცირედი მიწის მქონე გლეხების მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელნიც განიცდიან ექსპლოატაციას როგორც დაქირავებული მუშები. მემამულე, რომელიც სცვლის საბატონო ბეგარას ფულადი რენტით, ჰკარგავს გლეხების იძულებით სამუშაოს, მაგრამ მას შეუძლია აწარმოოს მეურნეობა დაქირავებული მუშების საშუალებით, რომელთაც იგი პოულობს პირველ ყოვლისა, თავისივე სოფლის მცირე მიწის მქონე გლეხობის შორის.

---

[1] მარქსი, „კაპიტალი“, ტომი III, ნაწილი II, 1934 წ., გვ. 319.

აქ იწყებს უკვე წარმოშობას ექსპლოატაციის ახალი წესი. რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია უწოდოთ მემამულის მიწაზე მომუშავე, მცირე მიწის მქონე გლეხებს, მუშები ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. ისინი ჯერ კიდევ დაკავშირებულნი არიან თავიანთ წვრილ მიწის მონაკვეთებთან, რომელნიც უჭირავთ მათ მემამულისაგან. ხშირად ისინი წარმოადგენენ თავისუფლებას მოკლებულ გლეხებს, რომელნიც ვალდებულნი არიან უხადონ მემამულეს ფეოდალური რენტა. მაგრამ, ამის გარდა, ისინი უქირავდებიან ზოგჯერ თავიანთ მებატონეს, ზოგჯერ კი მიდიან ქირაზე სხვა მამულებში, სადაც ისინი მუშაობენ საბატონო მიწაზე, ზოგჯერ კი შეძლებული გლეხების მიწაზე. ჩნდებიან ისეთი მუშებიც, რომელთაც დაკარგეს კავშირი თავიანთ მიწასთან. ისინი უქირავდებიან სეზონობრივ ან და მთელი წლით მემამულეს ან მდიდარ გლეხს, მოჯამაგირეობენ მთელ სიცოცხლეს.

გლეხობის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა ფეოდალთა იერიშმა სათემო მიწებზე. სენიორები ცდილობდნენ ჩაეგდოთ ისინი თავიანთ განსაკუთრებულ მფლობელობაში, რათა ეწარმოებინათ მათზე საკუთარი მეურნეობა, უფრო ხშირად კი იმისთვის, რომ გაეცათ ისინი იჯარით გლეხებისათვის. ეს წარმოადგენდა რენტის გაზრდის საშუალებას. ხშირად სენიორები ღობავდნენ სათემო ტყეს სანადიროდ, აშენებდნენ მასში ნადირს. ამ მითვისებათა ნიადაგზე ხდებოდა გამუდმებული შეტაკებები გლეხებთან, რომელნიც ძველებურად ერეკებოდნენ თავის საქონელს მებატონის მიერ შემოღობილ საძოვარზე და აძოვებდნენ იქ.

სოფლად სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებით გამოწვეულ ექსპლოატაციის ზრდასთან ერთად, იზრდება გლეხების წინააღმდეგობა. XIV—XVI საუკუნეებში ხდება გლეხთა უდიდესი აჯანყებები.

ამგვარად, ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან და სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარება ხრწნის ფეოდალურ წარმოებას და ჰქმნის წინაპირობებს ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობათათვის, რომელნიც ისახებიან ევროპის ცალკეულ ნაწილებში (უპირველეს ყოვლისა, იტალიაში) უკვე XIV საუკუნეში, და XVI საუკუნიდან იწყებენ გავრცელებას მთელ ევროპაში.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Капитал, т. III, гл. XX. (Соч., т. XIX, ч. I), XXXVII. — Маркс, Письмо к Энгельсу от 27 июня 1854 г., Соч., т. XXII. — Маркс и Энгельс, Немецкая идеология, Соч., т. IV. — Энгельс, Анти-Дюринг, Соч., т. XIV. — Энгельс, Дополнение к III тому „Капитала", Соч., т. XVI, ч. II. — Энгельс, О разложении феодализма и развитии буржуазии, Соч., т. XVI, ч. 1.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Скелкина, т. I, 1939, стр. 311 — 355. — Средневековье в его памятниках, под ред. Егорова, отд. VII—VIII, М. 1913. — Немецкий город XIV — XV веков, сб. материалов под ред. Стокланцкой-Терешкович, 1936.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Эпоха крестовых походов, т. I, гл. VIII, М 1914. — Кулишер, История экономического быта Западной

Европы, т. I, изд. 7-е, М. 1926. — Дживелегов, Торговля на Западе в средние века, Спб. 1904. — Дживелегов, Средневековые города Западной Европы, Спб, 1908. — Лозинский, Классовая борьба в средневековом городе, 1925. — Тьерри О., Избранные сочинения, под ред. Вайнштейна, М. 1937. — Тьерри О., Городская коммуна во Франции, 1901. — Грацианский, Парижские ремесленные цехи, Казань, 1911. — Вязигин, Происхождение городской свободы на Западе, 1908. — Белов, Городской строй и городская жизнь средневековой Германии. 1912. — Стокацкая-Терешкович, Очерки по социальной истории немецкого города в XIV—XV веках, М. 1936. — Оловянишникова, Западная Европа в средние века (XII—XIV вв.), М. — Л. 1926. — Иванов, Средневековый город и его обитатели, Спб. 1895. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. II, ст. 24, 31; т. III, ст. 61, 62; т. IV, ст. 87.

თავი XV

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა

ჯვაროსნულ ლაშქრობათა საერთო მიზეზები. ის ცვლილებები, დასავლეთ-ევროპის სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობებში XII და XIII საუკუნეთა განმავლობაში რომ ხდება, წარმოებდა აღმოსავლეთისაკენ მიმართულ გრანდიოზულ მოძრაობის გავლენის ქვეშ, რომელიც ცნობილია ჯვაროსნულ ლაშქრობათა სახელწოდებით. ჯვაროსნული ლაშქრობების საერთო სახელწოდებით აღნიშნავენ ევროპის ხალხების სამხედრო-კოლონიზაციურ წამოწყებებს აღმოსავლეთში, რომელიც ხვდება 1096 და 1270 წლებს შუა.

რა საერთო მიზეზები ჰქონდა ამ მოძრაობას, რომელიც გრძელდებოდა შესვენებებით თითქმის ორ საუკუნეს?

ჯვაროსნული ლაშქრობები შეიძლება განხილულ იქნენ როგორც ნაწილი იმ ფართო კოლონიზაციური მოძრაობისა, რომელმაც მოიცვა XI საუკუნიდან დასავლეთი ევროპა. თუ ქალაქების და სოფლების დაარსება, ცარიელი ადგილების და ტყის მასივების ათვისება წარმოადგენდა შინაგანი კოლონიზაციის მოვლენებს, ასევე ჰქონდა ადგილი გარეგანი ხასიათის კოლონიზაციურ წამოწყებებსაც, ამასთანავე ერთად ზოგიერთ მათგანში უკვე გაისმის ჯვაროსნული ლოზუნგები. ნორმანებმა დაიპყრეს სამხრეთი იტალია და წაართვეს მაჰმადიან არაბებს სიცილია. მათი შემდგომი გეგმები მიმართული იყო ბიზანტიასა და მაჰმადიანური აღმოსავლეთის წინააღმდეგ. იტალიის ქალაქები ცდილობდნენ აღმოსავლეთში ფეხის მოკიდებას. XI საუკუნის 80-იან წლებში ადგილი ჰქონდა დაპყრობათა ცდებს ტუნისში. ესპანეთში მიმდინარეობდა რეკონკისტა და გამძვინვარებული ბრძოლა მაჰმადიანებთან, რომელშიაც დიდ მონაწილეობას ღებულობდა ფრანგი რაინდობაც. უშუალოდ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წინ საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეებიდან მომავალმა მთელმა რიგმა რაინდთა რაზმებმა გადიარეს პირენეები ალმორავიდების შეტევასთან საბრძოლველად (იხ. თავი XXVI).

მაგრამ ყველა ეს წამოწყებები და დაპყრობები წარმოადგენენ მხოლოდ მეორეხარისხოვან ეპიზოდებს იმ უშველებელ მოძრაობასთან შედარებით, რომელმაც მოიცვა XI საუკუნის ბოლოს ევროპული საზოგადოების სხვადასხვა კლასები და გადასტყორცნა ისინი ბედის საძიებლად მაჰმადიანურ აღმოსავლეთში.

ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობას ღებულობდნენ სულ სხვადასხვა

საზოგადოებრივი კლასები, და, რასაკვირველია, სულ სხვადასხვაგვარი იყო ის მიზეზები, რომლებიც მიერეკებოდა მათ აღმოსავლეთისაკენ.

ამ მოძრაობაში დიდ როლს ასრულებდნენ, ჯერ ერთი, ფეოდალები. ამ ლაშქრობებში მიმავალი წვრილი რაინდობა ისწრაფოდა მიწების და ყმა-გლეხების ხელში ჩაგდებას. სამშობლოში თავისუფალი მიწების მეტი ნაწილი უკვე იყო დახნულ-დამუშავებული, ხოლო რაც შეეხება ტყეების მასიების ქცევას დასამუშავებელ მიწად, ეს იყო ნელი და ხანგრძლივი პროცესი. ამავე დროს წვრილი ფეოდალების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა; რაინდული ოჯახები მეტად მრავალშვილიანები იყვნენ. იმისათვის, რომ არ მომხდარიყო ფეოდის დაქუცმაცება მემკვიდრეებს შორის, იცავდნენ ერთმემკვიდრეობის წესს: ფეოდი გადაეცემოდა ხოლმე მხოლოდ უფროს შვილს. უმცროსი შვილები რჩებოდნენ უმიწაწყლოდ. ამის შედეგად იქმნებოდა თავისებური ზედმეტი რაინდული მოსახლეობა, რომელიც ისწრაფოდა ახალი მიწების დაპყრობისაკენ. ამას უერთდებოდა ვარაუდი აღმოსავლეთის ზღაპრული სიმდიდრეების პირდაპირი გაძარცვისა, რომელთა შესახებ რაინდებს ჰქონდათ გაზვიადებული წარმოდგენა. და ბოლოს, მრავალი რაინდი ვალებში ჩაიფლო. აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობა წარმოადგენდა მათთვის ხელსაყრელ საბაბს, რათა ღაეღწიათ თავი თავიანთი კრედიტორებისაგან.

მსხვილ ფეოდალებს — მეფეებს, ჰერცოგებს, გრაფებს — ასეთი საჩის დაპყრობები აღმოსავლეთში უქადდნენ მათი სამფლობელოების გაფართოებას, მათი პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას, შემოსავლის ზრდას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი ერთბაშად არ შეუერთდნენ ამ მოძრაობას. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ადგილიდან არ დაძრულა არც ერთი მეფე, ხოლო რაც შეეხება მსხვილ ფეოდალებს, მონაწილეობა მიიღეს ლაშქრობაში მხოლოდ იმ ბედუკეთილმართებმა, რომელნიც რაიმე მიზეზით ვერ მოეწყვნენ კარგად საკუთარ სახლში. სწორედ ასევე არ მონაწილეობდნენ უმსხვილესი ფეოდალები მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობაშიაც. სამოგიეროდ ყველა დანარჩენ ლაშქრობათა სათავეში იდგნენ მეფეები და იმპერატორები.

მაგრამ არა მარტო ფეოდალები მიისწრაფოდნენ აღმოსავლეთისაკენ. ამ მოძრაობაში თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ ქალაქები, განსაკუთრებით იტალიისა, — გენუა, პიზა, ვენეცია. მათთვის ექსპედიციას აღმოსავლეთში დიდი სავაჭრო ინტერესი ჰქონდა. ვინაიდან თურქთა დაპყრობებმა დაარღვიეს და შეასუსტეს სავაჭრო კავშირი აღმოსავლეთთან, ამიტომ ტერიტორიების პირდაპირ დაპყრობას წინა აზიაში უნდა ეემაღლებინა იტალიის ქალაქების როლი, როგორც შუამავლებისა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობაში. ამას გარდა, მათ ჰყავდათ მუდმივი მოჭიშპე—ბიზანტია, რომელიც, მართალია, შესუსტდა XI საუკუნის დამლევისათვის, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა სავაჭრო პირველობას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. სავაჭრო ქალაქები ცდილობდნენ გაეძეკებინათ ეს კონკურენტი და დაეარსებინათ თავიანთი ფაქტორიები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რაც იმ პირობებში შესაძლებელი იყო მხოლოდ შეიარაღებული ძალით.

ყველა ეს აქეზებდა იტალიის ქალაქებს ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობაზე და მათი როლი ამ ლაშქრობებში იყო მართლაც დაუფასებელი.

პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ მოეწყოთ ჯვაროსნების იარაღით და საკვებით მომარაგება და ეკისრათ გადაყვანა იმ ლაშქართა, რომელნიც მიიმართებოდნენ დასავლეთიდან ზღვით.

მაგრამ ჯვაროსნული ლაშქრობები დაიწყო გლეხობის მასობრივი მოძრაობით. ეს ადვილი გასაგებია, თუ მოვიგონებთ გლეხობის მდგომარეობას, რომლის დიდი უმრავლესობა დაყმევებულ იქნა XI საუკუნეში და განიცდიდა გაძლიერებულ ექსპლოატაციას. სოფლის მოსახლეობა ძალიან იტანჯებოდა აგრეთვე ფეოდალური შინა-ომებისაგანაც. გლეხები მიდიოდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, რათა დაეღწიათ თავი ფეოდალთა ჩაგვრისაგან, იმ იმედით, რომ ახალ მიწებზე, ახალ პირობებში მიაღწევდნენ თავისუფლებას, რომელსაც მოკლებული იყვნენ სამშობლოში.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ხელს უწყობდა ფართო მასების მონაწილეობას ლაშქრობებში, — ეს იყო შიმშილიანობა და ეპიდემიები, რომელნიც წარმოადგენდნენ მუდმივ მოვლენას დასავლეთ ევროპაში, და ალბათ განსაკუთრებით მძვინვარებდნენ XI საუკუნეში. 970 და 1040 წლებს შორის ადგილი ჰქონდა 48, ე. ი. ნახევარზე მეტ შიმშილიანობის წელიწადს. დაწყებული 1089 წლიდან თითქმის ჯვაროსნულ ლაშქრობის დასაწყისამდე მიიმართება განუწყვეტელი ჯაჭვი მძიმე წელიწადებისა, რომელნიც სავსე არიან შიმშილიანობით და ეპიდემიებით (ჭირი და სხვა ავადმყოფობანი). ჯერ კიდევ ჯვაროსნულ ლაშქრობებამდე შიმშილიანობა ხშირად იწვევდა გლეხობის მასობრივ გადასახლებას მოუსავლიანობით დაზიანებული ადგილებიდან.. ახლა კი ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა მისცეს გამოსავალი და მიმართულება ამგვარ სტიქიურ მოძრაობებს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ეკლესიის როლი ჯვაროსნულ ლაშქრობებში. ეკლესია და, კერძოდ, პაპობა გარკვეული მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებს და აძლევდნენ მათ იდეოლოგიურ მიმართულებას. პაპობა ამ დროს იმაგრებდა თავის ავტორიტეტს (იხ. თავი XVII). ჯვაროსნული ლაშქრობები გამოცხადებულ იქნენ ღვთისთვის სასურველ საქმედ. პაპობას სურდა გამოეყენებინა ისინი, რათა გაევრცელებინა თავისი ბატონობა მთელ ქრისტიანულ სამყაროზე. იგი ოცნებობდა აგრეთვე მაჰმადიანთა ქრისტიანულად მოქცევაზე და აღმოსავლეთში ახალი ქრისტიანული სამფლობელოების შექმნაზე, რომელნიც დაემორჩილებოდნენ პაპის ტახტს.

ჯვაროსნული ლაშქრობები ხელს უწყობდნენ აგრეთვე საეკლესიო შემოსავლის გაზრდას. ეკლესია, აწარმოებდა ფულის შეკრეფას ჯვაროსნული ლაშქრობებისთვის. ეს შენაკრეფები ზოგჯერ წარმოადგენდნენ დასავლეთის ყველა ქვეყნებში ეკლესიის წარმომადგენლების და განსაკუთრებით ბერების მიერ შეკრეფილ ნებაყოფლობით შეწირულებას, მაგრამ ხშირად ღებულობდნენ იძულებითი გადასახადების ხასიათსაც. მაშინაც კი, როდესაც ჯვაროსნული ლაშქრობები დამთავრდა, მათთვის შეწირულების აკრეფა არ შეწყვეტილა. ამ გზით ეკლესიის ხელში ვარდებოდა უშველებელი ფულადი ფონდები, რომელთაც იგი ხშირად იყენებდა არა პირდაპირი დანიშნულებით, არამედ სხვა მიზნებისათვის.

სალოცავად მოგზაურობანი აღმოსავლეთში. გზა აღმოსავლეთისაკენ გაკაფული იყო წინათაც, უკვე დიდი ხნიდან ამ მიმართულებით მიდიოდნენ მლოცველთა ჯგუფები. ამასთან ერთად რელიგიური მიზნები ხშირად ერწყმოდნენ სავაჭროს, ეაჭრული მოგზაურობანი კი ღებულობდნენ რელიგიურ მგზავრობის ხასიათს. სწორედ ისევე, როგორც მაჰმადიანები უკავშირებდნენ სავაჭრო მიზნებს მექაში მოგზაურობას, ქრისტიანი მლოცველებიც, ანუ პილიგრიმები, მიემართებოდნენ ლევანტში—ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სირიაში და პალესტინაში — „წმინდა ადგილების" თაყვანისაცემლადაც და ვაჭრობისათვისაც. სალოცავად მოგზაურობის დროს დასავლეთის პილიგრიმები მოძრაობდნენ მთელ ქარავნებად. ეს იყო ძნელი, რთული მოგზაურობანი, რომელთა მიზნით იკრიბებოდა ხალხი სხვადასხვა ქვეყნებიდან. არსებობდნენ ზოგიერთი გამორჩეული ცენტრები, რომლებშიაც იყრიდნენ თავს მლოცველები და საიდანაც ისინი მიემგზავრებოდნენ შემდეგ დიდ რაზმებად, ჩერდებოდნენ რა გზად მხოლოდ ყველაზე უფრო თაყვანსაცემ პუნქტებში — რომში ან და რაინის და დუნაის სანაპირო ქალაქებში, საიდანაც მიიმართებოდა კარგად ცნობილი გზა უნგრეთის გავლით, კონსტანტინეპოლისაკენ.

მლოცველებს და ვაჭრებს, რომელნიც იყენებდნენ ამ კეთილმსახურ მოგზაურობებს სავაჭრო მიზნებისათვის, უერთდებოდნენ აგრეთვე ბედის მაძიებელი რაინდებიც. მსხვილი ფეოდალები, ზოგჯერ შეიარაღებული რაინდების მთელი ასეულების თანხლებით, მიდიოდნენ აღმოსავლეთის „წმინდა ადგილების" თაყვანისსაცემლად.

ეს ვაჭრული — კეთილმსახური მოგზაურობანი, რომლებიც ყოველთვის არ ატარებდა მშვიდობიანი მოგზაურობების ხასიათს, თამაშობდა ძალიან თვალსაჩინო როლს დასავლეთისათვის აღმოსავლეთის გაცნობაში. მათ დასახეს ის გზები, რომლებითაც შემდეგ დაიძრნენ ჯვაროსნები, და დაანახვეს აღმოსავლეთში გამგზავრებულ დასავლეთელ რაინდებს და ვაჭრებს აღმოსავლეთის ქვეყნების სიმდიდრენი. და მართლაც, წარმოვიდგინოთ მაშინდელი ქალაქის ან რაინდული კოშკის ცხოვრების პირობები. ქალაქი ხუთი ათას მოსახლით მაშინდელი მასშტაბით არ იყო პატარა ქალაქი. იგი იყო გარშემორტყმული და შეზღუდული გალავნით, იყო ვიწრო, მოუხერხებელი, ჭუჭყიანი. რაინდის ციხე-დარბაზი XI საუკუნემდე იყო ჩვეულებრივ ხისა, მხოლოდ ამ საუკუნეში ხის დარბაზებს ცვლის ქვის კოშკები. ეს ქვის ციხე-დარბაზები შედგებოდა კოშკისაგან და საცხოვრებელი შენობებისაგან, რომლებიც ბნელი იყო და ცუდად თბებოდა. რაინდები იმოსებოდნენ უმთავრესად სახლში დამზადებული ქსოვილებით.

! რა ხვდებოდათ გზაში იმ რაინდებს, რომელნიც მიემგზავრებოდნენ აღმოსავლეთში? მათ უხდებოდათ ყოფნა ქალაქებში, რომელნიც მოითვლიდნენ არა ხუთს, არამედ რამდენიმე ათი ათას მოსახლეს, რომლებშიაც ზოგიერთი უბანიც კი სჭარბობდა სიდიდით დიდ ევროპულ ქალაქს. ისინი ხედავდნენ თავისი თვალით აღმოსავლეთური ქალაქების მშვენიერ ტაძრებს და სასახლეებს, ხედავდნენ ფუფუნებას, რომელშიაც ცხოვრობდნენ ბიზანტიელი და არაბი მდიდარნი. აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ ვაჭრებს ფუფუნების საგნები და

სანელებლები, რომელნიც ბადებდნენ დასავლეთ-ევროპელ რაინდებში წარმოდგენას აღმოსავლეთზე, როგორც ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანაზე.

მდგომარეობა აღმოსავლეთში. აღმოსავლეთში შექმნილი პირობები თითქოს იძლეოდა ადვილი წარმატების იმედს. ორი აღმოსავლეთური სახალიფოდან (ეგვიპტური—ფატიმიდებისა და ბაღდადური—აბასიდების) მეორე 1055 წ. დაპყრობილ იქნა თურქ-სელჯუკების მიერ, რომელთაც ამის შემდეგ წაართვეს ფატიმიდებს სირია და პალესტინა. 1071 წელს თურქებმა დაამარცხეს ბიზანტიის ჯარები მანციკერტთან, ტყვედ იგდეს იმპერატორი რომან დიოგენი და დაიპყრეს მცირე აზიის უდიდესი ნაწილი. სელჯუკიანთა სახელმწიფო დაიშალა მთელ რიგ სამთავროებად — მოსული, დამასკო, ანტიოქია, ტრიპოლი, ალეპო და სხვ. მცირე აზიაში წარმოიშვა იკონიის სასულთნო. მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში შენარჩუნებულ იქნა დამოუკიდებელი სამთავრო მცირე სომხეთი. სელჯუკიანელ სამთავროებს მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში; მათში ხდებოდა მკვიდრი გლეხობის მღელვარებანი. ეგვიპტელი ფატიმიდები ცდილობდნენ დაებრუნებინათ დაკარგული სირია და პალესტინა.

დიდ სიძნელეებს განიცდიდა ამ დროს ბიზანტია, რომელმაც ის იყო გადაიტანა საშინელი შარცხი თურქ-სელჯუკთაგან (იხ. თავი XI). დასავლეთიდან იმპერიას ავიწროვებდნენ ნორმანები, რომელთაც ამაზე ცოტათი უფრო ადრე დაამთავრეს ბიზანტიის სამხრეთ-იტალიის სამფლობელოების დაპყრობა; შართალია, ვენეციელების დახმარებით, რომელთაც ეშინოდათ ნორმანების გაძლიერებისა ადრიატიკულ ზღვაზე, ბიზანტიამ შესძლო მათი შეტევის შეჩერება. ამის საბადლოდ ვენეციამ მიიღო არნახული სავაჭრო შელავათები იმპერიის ფარგლებში და მთელი უბანი კონსტანტინეპოლში.

მეორე საშიშროება მოიმართებოდა ჩრდილოეთიდან. პაჭანიკები, რომელთაც ჰპოვეს დახმარება ბიზანტიის მიერ ჩაგრულ ბალკანეთის ნახევარკუნძულის სლავებში, 1091 წ. მიადგნენ თვით კონსტანტინეპოლის კედლებს. ბიზანტიამ მოახერხა ამ საშიშროების თავიდან აშორებაც, ყივჩაყებთან კავშირის შეკვრით, რომელთაც დაამარცხეს პაჭანიკები.

ამგვარად, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროისათვის ბიზანტიამ მოითქვა სული გარეშე თავდასხმებისგან და ემზადებოდა თურქებთან საბრძოლველად. მაგრამ ამაზე უფრო ადრე, თავიანთი სახელმწიფოსათვის კრიტიკულ მომენტებში, ბიზანტიის იმპერატორებს არა ერთხელ მიუმართავთ დახმარების თხოვნით დასავლეთისათვის — პაპისათვის, იმპერატორისათვის, ზოგიერთი ფეოდალი მთავრებისათვისაც კი (მიუმართავთ მათ რუსეთისათვისაც). ეს ჰბადებდა აღმოსავლეთის საქმეებში ჩარევის საბაბს და დასავლეთში გაზვიადებულ წარმოდგენას შინაგანი ბრძოლებით დაგლეჯილი აღმოსავლეთის დაპყრობის სიადვილის შესახებ.

ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგება. უკვე პაპი გრიგოლ VII მოუწოდებდა თურქების წინააღმდეგ ლაშქრობისაკენ და თვითონვე სურდა ჩასდგომოდა მას სათავეში, მაგრამ ამაში მას შეუშალა ხელი ჰენრიხ IV ბრძოლამ (იხ. თავი XVII). მისი სიკვდილის შემდეგ მალე პაპმა ურბან II განაახლა

წმინდა ომის ქადაგება. 1095 წელს კლერმონში, შუა საფრანგეთში, მიმდინარეობდა საეკლესიო კრება. კრების საქმიანი ნაწილის დამთავრების შემდეგ პაპი გამოვიდა საჯაროდ კლერმონში ყოველმხრიდან თავმოყრილ დიდ ხალხთა მასების წინაშე. იგი მოუწოდებდა, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობაში გამგზავრებულიყვნენ „ღვთის საფლავის გასანთავისუფლებლად“, მაგრამ მას არ დაავიწყდა აგრეთვე მოეხსენებინა ის მდიდარი ნადავლიც, რომელიც მოელოდათ აღმოსავლეთში „განმანთავისუფლებელთ“. მისმა მოწოდებამ გამოიწვია საყოველთაო ენთუზიაზმი. შეკრებილნი შეხვდნენ პაპის სიტყვას ძახილით: „ღმერთს ასე სურს!“ და მიიღეს ჯვარი, ე. ი. იწყეს თავიანთ ტანსაცმელზე წითელი ქსოვილის ჯვრის დაკერება, ამგვარად ისინი სდებდნენ სალაშქროდ გამგზავრების პირობას.

ეკლესია აძლევდა ჯვაროსნებს მთელ რიგ მნიშვნელოვან შეღავათებს. მათი ქონება და ოჯახი იმყოფებოდა ეკლესიის მფარველობის ქვეშ, სანამ ისინი ლაშქრობაში იყვნენ. ამას გარდა, პიროვნება, რომელმაც მიიღო ჯვარი, თავის ჯვაროსნულ ლაშქრობაში ყოფნის განმავლობაში თავისუფლდებოდა ვალების გადახდისგან. ბევრი ღებულობდა ჯვარს მხოლოდ იმისათვის, რათა არ ეხადნა ვალები, ამასთან ერთად განუსაზღვრელი დროით გადასდებდა ხოლმე თვით მონაწილეობას ლაშქრობაში. ყმა გლეხები, რომლებიც მიემგზავრებოდნენ სალაშქროდ, თავისუფლდებოდნენ თავიანთი ბატონების ძალაუფლებისაგან.

პაპის ინიციატივით დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნებში დაიგზავნენ ჯვაროსნული ლაშქრობის მქადაგებლები. ისინი ყველგან აღვიძებდნენ ისეთსავე ენთუზიაზმს, როგორიც გამოიწვია ურბან II-ის წინადადებამ კლერმონის კრებაზე. და უკვე შემდეგ (1096) წელს ჯვაროსნული მოლაშქრები გაუდგნენ გზას.

პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო ორმა სხვადასხვა სოციალურმა ჯგუფმა და ამიტომაც იგი უნდა დაიყოს ორ ნაწილად.

ღარიბ-ღატაკთა ლაშქრობა. პირველ ყოვლისა, სტიქიურად დაიძრა სალაშქროდ ღარიბ-ღატაკი გლეხობა. ეკლესიის მიერ დაგზავნილი ჯვაროსნული ლაშქრობის ოფიციალური მქადაგებლების გარდა, ბევრი იყო სახალხო მქადაგებლებიც, რომელთათვისაც ამ წამოწყების რელიგიური მიზანი გადახლართული იყო რაღაც ბუნდოვან წარმოდგენებთან განთავისუფლების შესახებ, ჯვაროსნულ ლაშქრობაში გამგზავრებული გლეხობის ხვედრის გაუმჯობესების შესახებ. ისეთმა მქადაგებლებმა, როგორიც იყო პეტრე ამიენელი (მარქსის სიტყვით „ვირივით სულელი განდეგილი“[1]), რომელიც ქადაგებდა ჯვაროსნულ ლაშქრობას ჩრდილო და შუა საფრანგეთში, ჰპოვეს მრავალი მიმდევარი შიმშილით და სენიორიალური ექსპლოატაციით სასოწარკვეთილებამდის მიყვანილ გლეხობის შორის. 1096 წ. გლეხთა მასები, უმთავრესად შუა და ჩრდილო საფრანგეთში და დასავლეთ გერმანიაში დაიძრნენ თავ-თავიანთი ადგილებიდან. ეს იყო უაზრო, დამღუპველი წამოწყება. გლეხები სრულიად მოუმზადებელი იყვნენ ამგვარი ლაშქრობისათვის

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. V, стр. 122.

და მათ ცუდად ჰქონდათ წარმოდგენილი მისი ყველა სიძნელეები. ბევრი მათგანი სრულიადაც არ იყო შეიარაღებული, ან და შეიარაღდა იმით, რაც ხელთ მოხვდა. არ არსებობდა ამ გლეხური არმიის შესაფერისი მომარაგება. მას ხშირად უხდებოდა საკვების ძალით წართმევა იმ ოლქების მოსახლეობისათვის, რომლების გავლითაც მიდიოდნენ გლეხები. გლეხთა ლაშქრობას შეუერთდნენ ყოველგვარი საეჭვო ელემენტები, ხშირად დამნაშავენიც, რომელნიც ოცნებობდნენ ამ მოძრაობის გამოყენებას მხოლოდ დაუსჯელი ძარცვა-გლეჯისათვის.

ღარიბ-ღატაკნი მიიმართებოდნენ რამდენიმე რაზმად პილიგრიმების ერთ-ერთი ძველი გზით — რაინის და დუნაის გაყოლებით კონსტანტინეპოლის მიმართულებით. იმავე გზით გერმანიიდან დაიძრნენ ნახევრად მშიერი ბანდიტი — რაინდების ბრბოები, რომელნიც ფიქრობდნენ მხოლოდ ძარცვაზე და ხადავლზე. მათი აქტიური მონაწილეობით ლოტარინგიის ქალაქებში, რაინზე, პრაგაში მოეწყო შუა საუკუნეების ევროპის ისტორიაში პირველი ებრაელთა დარბევანი.

ყველა ამ ლაშქრებს მოუხდათ ჯერ უნგრელების სამფლობელოების გავლა, შემდეგ ბულგარელებისა. უნგრელებიც და ბულგარელებიც ესხმოდნენ თავს ამ მოულოდნელ სტუმრებს, რომელნიც გზა და გზა ყველაფერს ძარცვავდნენ. ამ შეტაკებების შედეგად ლაშქრების ნაწილი დაიღუპა ან დაიქსაქსა აქეთ-იქით. ღარიბ-ღატაკთა ლაშქარმა, რომელსაც სათავეში ედგა პეტრე ამიენელი, კონსტანტინეპოლს ძნიშვნელოვნად შეთხელებულმა მიაღწია.

რასაკვირველია, სულ სხვაგვარ დახმარებას მოელოდა დასავლეთისაგან ბიზანტიის იმპერატორი. მან შესთავაზა პეტრეს მოეცადნა ჯვაროსანთა მთავარი ძალების მოსვლამდე, მაგრამ პეტრესთან ერთად მოსული ლაშქარი დაჩქარდა მცირე აზიაში გადასვლას, სადაც იგი გაანადგურეს თურქებმა. განადგურებას გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ათასი კაცი, რომელნიც შიშისზარდაცემულნი გაიქცნენ უკან კონსტანტინეპოლში. მათთან ერთად პეტრე ამიენელმა დაუწყო ცდა მთავარი ძალების მოსვლას.

ფეოდალთა ლაშქრობა. 1096 წლის ბოლოს დაიძრნენ აღმოსავლეთისაკენ ფეოდალთა რაზმები. ისინი უკეთ შეემზადნენ ლაშქრობისათვის — გლეხებზე უკეთ იყვნენ შეიარაღებული და მოახერხეს ფულით მომარაგება, დაჰყიდეს რა თავიანთი მიწების ნაწილი. ბევრი მათგანი დაიძრა სალაშქროდ მთელი თავისი მოძრავი ქონებით და ოჯახებით.

ფეოდალთა მთავარი მასა შეიკრიბა ლოტარინგიაში. ამ ლაშქარს სათავეში ედგნენ გოტფრიდ ბულონელი და მისი ძმა ბალდუინი.

ჩრდილოეთ საფრანგეთის, უმთავრესად ნორმანდიის, რაინდებისგან შესდგა ლაშქარი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ნორმანდიის ჰერცოგი რობერტი.

სამხრეთ საფრანგეთის რაინდობის მეთაური იყო გრაფი რაიმუნდ ტულუზელი.

სამხრეთ იტალიელი ნორმანების ლაშქრის სათავეში იდგა ბოჰემუნდ

ტარენტელი, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ბელადებს შორის ყველაზე ჭკვიანი და ნიჭით დაჯილდოვებული და მისი ძმისწული ტანკრედი.

რაინდთა რაზმებს უკან სდევდნენ გლეხების უშველებელი მასები, რომელნიც ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი, ნაწილობრივ კი სრულიად უიარაღონი. ლაშქარს უკან სდევდა დიდი ალალი.

ყოველი ამ რაზმთაგანი წარმოადგენდა სრულიად დამოუკიდებელ ერთეულს. ისინი არ იყვნენ ორგანულად დაკავშირებული ერთმანეთთან, და ყოველ მათგანშიაც ყოველი ცალკეული სენიორი მიდიოდა თავისი მსახურებით, თავისი რაზმით და ცუდად ემორჩილებოდა საერთო სარდლობას.

ლაშქრები დაიძრნენ სხვადასხვა გზით. ზოგი მიდიოდა რაინ-დუნაის გზით, ზოგი ადრიატიკული ზღვის სანაპიროთი, ზოგიც იტალიის გავლით, საიდანაც ისინი ზღვით გადასხდნენ ბალკანეთს ნახევარკუნძულზე.

1097 წლის გაზაფხულზე ყველა ამ რაზმებმა მოიყარეს თავი კონსტანტინეპოლში. აქ დაიწყო შეტაკებები ბერძნებსა და ჯვაროსნებს შორის. ჯვაროსნებს ეშინოდათ თავი ამპარტავნად და უხეშად. ბიზანტიური საზოგადოების გაფაქიზებულ ზედა ფენას დასავლეთელი რაინდები ეჩვენებოდა ბარბაროსებად, და ისინი მართლაც სჩადიოდნენ ყველაფერს ამ რეპუტაციის გასამართლებლად. მეფე ალექსის ასული ანა კომნენი, რომელმაც აღწერა თავისი მამის მეფობის ისტორია („ალექსიადა"), ზიზღით ლაპარაკობს ამ უხეშ და ტუტუც, უვიც ბარბაროსებზე, უშვებს რა გამონაკლისს მხოლოდ ძალიან მცირედთათვის. ჯვაროსნები ძარცვავდნენ ქალაქის მიდამოებში მცხოვრებთ, ართმევდნენ მათ პროდუქტებს თავიანთი არმიის გამოსაკვებად. იმპერატორმა ალექსიმ დაჩქარა მათი გადაყვანა მცირე აზიაში, ამასთან ერთად წინდაწინ დაადებინა მათ ვასალური ფიცი და დაავალა დაებრუნებინათ ბიზანტიისათვის ის მისი წინანდელი სამფლობელოები აღმოსავლეთში, რომლებსაც კი წაართმევდნენ თურქებს.

მცირე აზიაში თურქები განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ჯვაროსანთა რაზმებს. ისინი საშინლად აოხრებდნენ ქვეყანას, ისე რომ რაინდებს უხდებოდათ შიმშილის ატანა. ჯვაროსნები სრულიად მოუმზადებელი იყვნენ საშინელ სიცხე-პაპანაქებაში მოგზაურობისათვის. მათი მძიმე რკინის შეიარაღება აქ საშინლად ხურდებოდა. ხალხი და ცხენები ცვიოდნენ მზის გავარვარებული სხივებისაგან გულწასულნი.

ჯვაროსნებმა გადასჭრეს მცირე აზია და მეგობრულად იქნენ მიღებული მცირე-სომხეთის სამეფოში, კილიკიაში. მაშინვე, გოტფრიდ ბულონელის ძმამ ბალდუინმა, დაიპყრო მესოპოტამიიდან სირიაში მიმავალ გზაზე მდებარე სომხეთის ქალაქი ედესა, მეტად მნიშვნელოვანი თავისი სტრატეგიული მდებარეობით და დააარსა ედესის საგრაფო. ამის შემდეგ ერთ წელიწადზე მეტი დაკარგეს ანტიოქიის გარემოცვაზე. ეს მსხვილი ცენტრი აღებულ იქნა მხოლოდ ერთ-ერთი სიმაგრის უფროსის ღალატის წყალობით. ანტიოქიის აღებას შედეგად მოჰყვა მაჰმადიანთა საშინელი ხოცვა-ჟლეტა. აქ დაარსებულ იქნა ჯვაროსანთა მეორე სამფლობელო — ანტიოქიის სამთავრო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბოჰემუნდ ტარენტელი. ჯვაროსანთა ბელადები, გართულნი ძარცვა-გლე-

ჯით და დაპყრობებით, არ ჩქარობდნენ მათ მიერ დასახული მიზნისკენ — იერუსალიმისაკენ. მხოლოდ 1099 წ. გაზაფხულზე ჯვაროსანთა მნიშვნელოვნად ნეთხელებულმა ლაშქარმა მიაღწია იერუსალიმს და აიღო იგი გააფთრებული იერიშის შემდეგ. ამას შედეგად მოჰყვა ხოცვა-ჟლეტა, რომელთანაც შედარებით არაფერია ანტიოქიაში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა. არქიეპისკოპოსმა ვილჰელმ ტიროსელმა, რომელმაც XII საუკუნის დამლევს დაწერა იერუსალიმის სამეფოს ისტორია ჯერ კიდევ მოუძველებელი გადმოცემების და თქმულებების საფუძველზე, მოგვცა შემაძრწუნებელი აღწერა ჯვაროსნების მსეცობისა და სიხარბისა იერუსალიმის აღების დროს. თვით აეტორი სრული თანაგრძნობით არის განწყობილი ჯვაროსანთა მოქმედებების მიმართ, რადგანაც მათ მიერ იერუსალიმის აღებაში ღვთიურ ჯილდოს ჰხედავს მათი ღვაწლისათვის. ჯვაროსნები ჰხოცავდნენ ყველას, მამაკაცებს და ქალებს, არ ინდობდნენ ბავშვებსაც, რომელთაც უჩეჩქვამდნენ თავებს ქვებზე დანარცხებით. მაჰმადიანებს, რომელნიც ეძებდნენ თავშესაფარს მეჩეთებში, ჰხოცავდნენ ამ ტაძრებში. საზარელ ხოცვა-ჟლეტას სცვლიდა რელიგიური ცერემონიები, რის შემდეგაც ხოცვა-ჟლეტა ახლდებოდა. ჯვაროსნებმა ხელთ იგდეს აურაცხელი ნადავლი. ჯვაროსანთა მოქმედებამ იერუსალიმში „გამოიწვია აღმოსავლეთის მთელი მაჰმადიანური მოსახლეობის გააფთრება“.[1]

ჯვაროსანთა სახელმწიფოები აღმოსავლეთში. იერუსალიმის აღების შემდეგ, ჯვაროსნებმა თანდათან ხელთ იგდეს ხმელთაშუა ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო. ვენეციელების, გენუელების და პიზელების დახმარებით დაპყრობილ იქნა რამდენიმე სანავსადგურო ქალაქი.

ასე ამგვარად აღმოცენდა მთელი რიგი ჯვაროსნული, სახელმწიფოებისა აღმოსავლეთში. მათ შორის ყველაზე მსხვილი იყო იერუსალიმის სამეფო, რომელიც შეიცავდა პალესტინას და სირიის სამხრეთ ნაწილს. იერუსალიმის სამეფოს პირველი მეფე იყო გოტფრიდ ბულონელი. იერუსალიმის სამეფოსაგან ნომინალურად იყვნენ დამოკიდებულნი სამი ვასალური სახელმწიფო: ტრიპოლის საგრაფო, ანტიოქიის სამთავრო და ედესის საგრაფო. სინამდვილეში კი ისინი იყვნენ სრულიად დამოუკიდებელნი.

სამეფოში და სამთავროებში ჯვაროსნებმა ზედმიწევნით აღადგინეს ის ფეოდალური სისტემა, რომელიც ბატონობდა დასავლეთში, განსაკუთრებით საფრანგეთში. იერუსალიმის სამეფოს კანონები, ანუ „ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს ა ს ი ზ ე ბ ი“, ცნობილნი არიან ჩვენთვის მხოლოდ მოგვიანებით შეცვლილი რედაქციით, რომელიც ჩაწერილი იყო XIII საუკუნეში კიპროსზე, სადაც დიდ ხანს იქნა შენარჩუნებული იერუსალიმის სამეფოს პოლიტიკურ-იურიდიული ადათ-ჩვეულებები.

ენგელსი სთვლიდა, რომ ფეოდალიზმმა ჰპოვა თავისი ყველაზე შეურყვნელი გამოსახულება იერუსალიმის სამეფოს წყობილებაში. „...იგი (ფეოდალიზმი — რედ.) ყველაზე უფრო დაუახლოვდა თავის იდეას ეფემერულ იერუსალი-

---

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. V, стр. 125.

ბის სამეფოში, რომელმაც დასტოვა თავის სამემკვიდრეოდ იერუსალიმის ასიზებში ფეოდალური წყობილების კლასიკური გამოსახულება."[1]

„იერუსალიმის ასიზებში" ჩამოთვლილი იყო თუ რა და რა შემთხვევებში აქვს უფლება მეფეს მოითხოვოს სამსახური თავისი ვასალებისაგან, ისინი გულდასმით ზრუნავდნენ იმაზე, რომ სამეფო ხელისუფლებას არ წამოეყენებინა ზედმეტი მოთხოვნილებები უკანასკნელთათვის. მეფის ხელისუფლება შეზღუდული იყო „უმაღლესი პალატით"—მსხვილი ფეოდალების კრებით, ურომლისოდაც მეფეს არ შეეძლო არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. იმ შემთხვევაში, თუ მეფე დაარღვევდა რომელიმე ფეოდალის უფლებას, ყველა ფეოდალს ჰქონდა უფლება უარი ეთქვა მეფისათვის სამსახურზე.

ჯვაროსანთა სახელმწიფოებში ბატონობდა ფეოდალური იერარქია იმ სახით, როგორითაც არსებობდა იგი დასავლეთ ევროპაში. მთელი ტერიტორია დაყოფილი იყო რაინდულ ფეოდებად, რომელთაც ევალებოდათ სამხედრო სამსახური. ზოგიერთმა გლეხებმა, რომელნიც თან მოჰყვნენ რაინდებს, მიიღეს რაინდის წოდება და ფეოდები. ამას მოითხოვდა დაპყრობილი ქვეყნის დაცვა და ის გარემოება, რომ ჯვაროსანთა რიგები შეთხელდა. მაგრამ მეტწილად გლეხები იძულებული იყვნენ აეღოთ მიწა იჯარით რაინდებისაგან და ეხადნათ ამაში მოსავლის ნაწილი. ეკლესიამ ხელთ იგდო მრავალი მიწის სამფლობელო, იგი თავისუფალი იყო გადასახადებისაგან და სამხედრო სამსახურისაგან.

მშრომელთა ძირითად მასას ჯვაროსნულ სახელმწიფოებში შეადგენდა ყმა-გლეხობა, უმთავრესად მაჰმადიანი — არაბებისა, ბერძენ და სირიელ ქრისტიანებისგან, რომელნიც განიცდიდნენ ახალი ბატონების მკაცრ ექსპლოატაციას. ყმა-გლეხებს უნდა ეხადნათ გამოსაღები, ბეგარა და სახელმწიფოებრივი ვალდებულებანი. მათ უნდა ეძლიათ თავიანთი ახალი ბატონებისათვის მოსავლის ნაწილი და ყოველგვარი სამრეწველო ნაწარმი. ვალდებულებანი არ იყო ფიქსაციაქმნილი ადათით და დამოკიდებული იყვნენ მებატონეთა ნება-სურვილზე. ადგილობრივ გლეხებს სძულდათ დასავლეთელი ფეოდალები, რომელნიც ზიზღით ეპყრობოდნენ მათ, როგორც სხვა რჯულის ხალხს, და არა ერთხელ გაუწევიათ მათთვის წინააღმდეგობა. გლეხები უარს აცხადებდნენ მოსავლის აღებაზე; ისინი თავს ესხმოდნენ ფეოდალებს და ჰხოცავდნენ მათ. 1125 წ. იფეთქა გლეხთა დიდმა აჯანყებამ ბეირუტში.

იტალიური ვაჭრობა აღმოსავლეთში. ჯვაროსნების მიერ დაარსებულ სახელმწიფოებში შესამჩნევად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ვაჭრობა და ამ ვაჭრობაში პირველი ადგილი ეჭირათ იტალიის ქალაქებს — პიზას, გენუას, ვენეციას. იტალიელმა ვაჭრებმა მიიღეს მთელი რიგი პრივილეგიები. სანავსადგურო ქალაქებში მათ ჰქონდათ მიკუთვნებული განსაკუთრებული უბნები, რომლებშიაც ისინი ცხოვრობდნენ და სარგებლობდნენ სრული დამოუკიდებლობითა და თავისუფლებით. მათ მმართველად ჰყავდათ საკუთარი კონსულები,

[1] Маркс и Энгельс, Письма, Соцэкгиз, 1932, стр. 414 (Энгельс, Письмо к К. Шмидту, 12 марта, 1895 г.).

რომელთაც ნიშნავდნენ იტალიის ქალაქების ხელისუფალნი, რომელთა წინაშეც ისინი პასუხს აგებდნენ. იტალიელი ვაჭრები იყენებდნენ თავიანთ პრივილეგიურ მდგომარეობას, რათა განევითარებინათ ფართო ვაჭრობა აღმოსავლეთთან, ბიზანტიისათვის გვერდის ავლით.

იტალიის ქალაქებიდან იგზავნებოდა აღმოსავლეთში ხომალდების ქარავნები, რომელთაც მიჰქონდათ დასავლეთის საქონელი — თავდაპირველად იარაღი, ცხენები, მონები, პური, რომელიც არ იყო საკმარისი ჯვაროსნულ სახელმწიფოებში, შემდეგ — შალის და სელის ქსოვილები. ქარავნები რჩებოდა აღმოსავლეთის ნავთსადგურებში რამდენიმე თვეს, შემდეგ ბრუნდებოდა უკან, და თან მიჰქონდათ აღმოსავლეთის საქონელი — სანელებლები, შაქარი, ხილი, ღვინო, ბამბა, მატყლი ,სურნელობანი, საღებავები, ძვირფასი ქვები, შუშა, აბრეშუმი. იტალიელი ვაჭრები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ საშუამავლო ვაჭრობით, მათ ჰქონდათ მიწები და ჰყავდათ ყმა-გლეხები, რომელნიც იხდიდნენ გამოსაღებს ბამბით, შაქრის ლერწმით, ფორთოხლით, ნუშით და სხვა სამხრეთული პროდუქტებით. იტალიელ ვაჭრებს დაუმორჩილეს ქალაქის ხელოსნები, რომელნიც იხდიდნენ აგრეთვე გამოსაღებს თავიანთი ნაწარმით (განსაკუთრებით საფეიქრო და შუშის საქონლით). ეს საქონელიც ევროპაში იგზავნებოდა. მთელ ვაჭრობას აღმოსავლეთთან აწესრიგებდნენ იტალიის სავაჭრო რესპუბლიკების ხელისუფალნი. იტალიელ ვაჭრებს შორის წარმოებდა განუწყვეტელი ჭიშპობა, არა ერთხელ მისული შეიარაღებულ შეტაკებამდის. არა იტალიის ქალაქებიდან მხოლოდ მარსელს ჰქონდა უბანი იერუსალიმში. აღმოსავლეთში სავაჭროდ დაიარებოდნენ აგრეთვე ვაჭრები ბარსელონადან და მონპელიედან.

ჯვაროსანთა დაპყრობების მერყეობა. ჯვაროსანთა დაპყრობები ხანმოკლე აღმოჩნდა. ყველაზე დიდ გაქანებას მათ მიაღწიეს დაახ. 1130 წ., შემდეგ სწრაფად დაიწყეს კლება. ერთ-ერთი მიზეზი ამისა მდგომარეობდა თვით სუსტი ცენტრალური ხელისუფლების მქონე ჯვაროსნული სახელმწიფოს მერყეობაში. ცალკეული ფეოდალური სენიორები საკუთარი ძალის ამარა იყვნენ მიტოვებული. ჯვაროსანთა სამფლობელოებს ეჭირათ სირიის და პალესტინის მხოლოდ ვიწრო სანაპირო ზოლი, რომელიც მარტო ადგილ-ადგილ იჭრებოდა ქვეყნის სიღრმეში. ამასთან ერთად ჯვაროსნები თავს იყრიდნენ უმთავრესად სანაპირო ქალაქებში და დიდ გამაგრებულ ციხე-კოშკებში. მათი სამფლობელოების აღმოსავლეთით იწყებოდა სირიის უდაბნო. ამ მხრიდან ჯვაროსნული სამფლობელოები იმყოფებოდა მუდმივი თავდასხმების შიშში. 1.200 კილომეტრზე გაჭიმული საზღვარი გამაგრებული იყო ციხე-კოშკების მწკრივით, რომელთაც მაინც არ შეეძლოთ ჯვაროსნული სახელმწიფოების დაცვა თურქთა რაზმების განუწყვეტელი თარეშებისაგან. ამასთანავე ერთად ევროპული დამპყრობლები აღმოსავლეთში განუწყვეტლივ მტრობდნენ ერთმანეთს და არ ერიდებოდნენ კავშირების შეკვრას მაჰმადიან თავადებთან თავიანთ თანამორწმუნეთა წინააღმდეგ. თავდაცვის სწორ ორგანიზაციას ხელს უშლიდა აგრეთვე ჯვაროსნული მოსახლეობის დენადობა. ყველა კოლონისტმა ვერ შესძლო შეგუება მეურნეობის ახალ პირობებთან აღმოსავლეთში. ძალიან ბევრი დაბრუნდა ევროპაში დატვირთული რაც შეეძლო

-დიდ ნადავლით. „მლოცველთა“ ახალი პარტიები განუწყვეტლივ მოდიოდნენ დასავლეთ ევროპიდან, ერთნი აქ სახლდებოდნენ, მეორენი უკან ბრუნდებოდნენ.

გაბატონებულ კლასს იერუსალიმის სამეფოში და ჯვაროსანთა სხვა სახელმწიფოებში შეადგენდნენ რაინდები, მეტნაწილად ფრანგები, სწორედ ამიტომაც ევროპელებს აღმოსავლეთში დაერქვათ ფრანკები. ისინი შეადგენდნენ სულ რამდენიმე ათასს. ეს პრივილეგიური ზედა ფენა შეადგენდა თავისებურ სამხედრო ბანაკს, მის მიმართ დიდი სიძულვილით განწყობილი მკვიდრი მოსახლეობის შორის. ჯვაროსნული სამფლობელოების მუდმივი თავდაცვისათვის არ იყო საკმარისი რაინდი-მემამულეების სამხედრო სამსახური. ამ მიზნისთვის შეიქმნა მუდმივი სამხედრო ორგანიზაციები — სასულიერო-რაინდული ორდენები.

სასულიერო-რაინდული ორდენები. პირველ ასეთ სასულიერო-რაინდულ ორდენს წარმოადგენდა ტამპლიერების ანუ ტაძრის რაინდების ორდენი, რომელსაც ასე დაერქვა იმიტომ, რომ მისი პირველი ადგილსამყოფელი შენობა იმყოფებოდა იმ ადგილის გვერდით, სადაც, თქმულების თანახმად, იდგა იერუსალიმის ტაძარი. ორდენი დაარსებულ იქნა 1119 წ. მისი მიბაძვით დაარსდა მეორე ორდენი — იოანიტებისა, ანუ ჰოსპიტალიერებისა, რეორგანიზებული უკვე დიდი ხნიდან არსებული საქველმოქმედო ძმობიდან (ამ ძმობის სახელი წარმოშობილია მის მიერ იერუსალიმში დაარსებული წმ. იოანეს სახელობის ჰოსპიტალიდან). ამის შემდეგ უკვე XII საუკუნის დამლევისათვის აღმოცენდა მესამე ორდენი—ტევტონური, რომელიც წარმოადგენდა გერმანელი რაინდების გაერთიანებას.

ამ ორდენების წევრებს ნაკისრი ჰქონდათ მონაზონური აღთქმები; მათ არ შეეძლოთ ოჯახის ყოლა, მოვალენი იყვნენ დამორჩილებოდნენ ორდენის წესდებას და მის მეთაურს, გროსმაისტერს, ანუ დიდ მაგისტრს. ეს ორდენები ჰფლობდნენ მნიშვნელოვან მიწის სამფლობელოებს აღმოსავლეთში და დასავლეთ ევროპაში, სადაც მათ მიიღეს დიდი წყალობები მეფეებისგან.

ორდენები უშუალოდ დამოკიდებული იყვნენ პაპისგან და არ ექვემდებარებოდნენ იმ ბრძანებელთა ძალაუფლებას, სადაც იმყოფებოდა მათი სამფლობელოები. მათი მიწები განთავისუფლებული იყო დაბეგვრისაგან. სასულიერო-რაინდული ორდენები იყვნენ მთავარი შემკრებნი რაინდებისა აღმოსავლეთში გადასახლების მიზნით.

ისინი წარმოადგენდნენ ჯვაროსნული სახელმწიფოების ყველაზე უფრო ორგანიზებულ ძალას. მათ ეკუთვნოდათ მთელი რიგი ციხე-სიმაგრეებისა აღმოსავლეთის საზღვარზე. როდესაც იწყეს ჯვაროსნების გაძევება აღმოსავლეთიდან, რაინდულმა ორდენებმა დაიხიეს იქიდან ყველაზე ბოლოს.

აღმოსავლეთში თავიანთი სამფლობელოების დაკარგვის შემდეგ, სასულიერო-რაინდულმა ორდენებმა გააჩაღეს თავიანთი მოქმედება დასავლეთში.

მათ არ აკმაყოფილებდათ მიწების შეძენა, ჰოსპიტალიერები და ტამპლიერები, განსაკუთრებით უკანასკნელნი იყენებდნენ აღ...სავლეთში ძარ...ით

მოპოვებულ სიმდიდრეს შევახშეობისათვის დაიქცნენ ყველაზე უპირველეს ბანკირებად ევროპაში.

ტევტონურმა ორდენმა კი მიმართა თავისი მოღვაწეობა ბალტიის ზღვის სანაპიროებისაკენ, სადაც მან დაარსა თავისი სახელმწიფო მახეულობებთან ერთად, რომელთაც XIII საუკუნის დასაწყისში ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია ტევტონელთა მიბაძვით (იხ. თავი XXIV).

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки. т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 109—132).— Энгельс, Письмо к К. Шмидту от 12 марта 1895 г. — Маркс и Энгельс, Письма, 1931. стр. 414.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина. т. I, 1939. стр. 236—264. — Стасюлевич, История средних веков, т. III. 1907.

III. ამოკლებანი. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Эпоха крестовых походов, т. I, гл. IV, М. 1914. — Куглер, История крестовых походов, 1895. — Успенский Ф. История крестовых походов. Спб. 1901. — Егоров, Крестовые походы, 2 вып., М. 1914—1915. — Добиаш-Рождественская, Западные паломничества в средние века, Л. 1924. — Додю, История монархических учреждений в Иерусалимском королевстве. 1897. — Васильев, Византия и крестоносцы, 1923. — Дельбрюк, История военного искусства в рамках политической истории, т. III, М. 1938. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. II, ст. 34—36.

თავი XVI

შემდგომი ჯვაროსნული ლაშქრობანი

ედესის დაკარგვა და მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა. ჯვაროსნული სახელმწიფოების შინაგანი სისუსტის და XII საუკუნიდან დაწყებული მაამადიანური სამთავროების შემჭიდროების შედეგად, ჯვაროსნები ზედი-ზედ ჰკარგავენ თავიანთ სამფლობელოებს. ჯერ კიდევ არ გაევლო 50 წელიწადს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, რომ 1144 წ. დაკარგულ იქნა მოსულის ემირის მიერ აღებული ედესა — ჯვაროსანთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამთავრო, რომელიც იცავდა მათ სამფლობელოებს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ედესის აღების საპასუხოდ მოეწყო მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც 1147 წ. დაიწყო.

მეორე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს გვირგვინოსანმა პიროვნებებმა—საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ VII და გერმანიის იმპერატორმა კონრად III. მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგების პირველ შედეგს წარმოადგენდა ებრაელთა დარბევის ახალი ტალღა რაინის სანაპირო ოლქებში.

ამ ლაშქრობაშიაც, რაინდთა გარდა, მონაწილეობა მიიღო გლეხთა მასამ შიმშილით ღაზარალებული რაიონებიდან. რაინდები უყურებდნენ მათ, როგორც ზედმეტ ბარგს, რომლისგანაც უკეთესი იყო თავის დაღწევა. როდესაც გამოირკვა, რომ სახმელეთო გზა მცირე აზიის გავლით მეტად ძნელი და სახიფათო იყო, რაინდები ჩასხდნენ გემებში და დასტოვეს გლეხები მათი ბედის ანაბარა. თითქმის ყველა გლეხი დაიღუპა.

ამ დიდი ძალების დახარჯვით მოწყობილი ექსპედიციის შედეგები მეტად სავალალო იყო. თავიანთი ძარცვა-გლეჯით ჯვაროსნებმა აიმხედრეს თავიანთ წინააღმდეგ ბიზანტია. მეფემ და იმპერატორმა დაკარგეს გზაზე თავიანთი ლაშქრის მეტი ნაწილი, და ამაოდ შეეცადნენ დამასკოს აღებას. იერუსალიმის სამეფოს ბარონები, რომელთათვის უფრო ხელსაყრელი იყო მშვიდობიან ურთიერთობაში ყოფნა დამასკოსთან, არამც თუ არ შველოდნენ მათ, არამედ ყოველმხრივ ჰფუშავდნენ მათ გეგმებს. ლუდოვიკ VII და კონრად III, რომელთაც ვერაფერს ვერ მიაღწიეს, სახელგატეხილნი დაბრუნდნენ ევროპაში.

ნალადინის სახელმწიფო. ამ დროისათვის აღმოსავლეთში მოხდა შეტად თვალსაჩინო ცვლილებები, ფრიად საზიანო ჯვაროსანთათვის, რომელნიც შინაური უთანხმოებას ვერ ასდიოდნენ. ჯვაროსანთა წარმატებანი აიხსნებოდა

მნიშვნელოვნად იმით, რომ მათ უხდებოდათ ბრძოლა ცალკეული მაჰმადიანური მბრძანებლების დაქსაქსულ ძალებთან. მაგრამ XII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთში მოხდა ეგვიპტის, სირიის ნაწილის და მესოპოტამიის ნაწილის გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ. ამ სახელმწიფოს, რომლის ცენტრს წარმოადგენდა ეგვიპტე, სათავეში ჩაუდგა სულთანი სალადინი (უფრო სწორედ — სალახ-ად-დინი), წარმოშობით ქურთი.

ახლა კი ჯვაროსნებს დაუპირისპირდა არა ცალკეული თურქთა ემირების განცალკევებული ძალა, არამედ დიდი სახელმწიფო სალადინისა, რომელშაც დაისახა მიზნად ჯვაროსნების გაძევება სირიიდან და პალესტინიდან.

1187 წელს სალადინმა საშინლად დაამარცხა ჯვაროსნები ტიბერიადის ტბასთან. ჯვაროსანთა მთავარი ძალები განადგურებულ იქნა. ამის შემდეგ მაჰმადიანებმა რამოდენიმე კვირის განმავლობაში აიღეს აკრა, იაფა, სიდონი, ბეირუტი, ასკალონი და იერუსალიმი, ჯვაროსანთა ეს მთავარი დასაყრდენი აღმოსავლეთში. გამოსასყიდის მიცემის პირობით იერუსალიმის მოსახლეობას ნება მიეცა გასულიყო ქალაქიდან, მხოლოდ უცხენოდ და უიარაღოდ. ამის შედეგად თითქმის ყველა ის, ვინც დასტოვა ქალაქი, დაიღუპა შიმშილისგან. ვინც ვერ შეძლო თავის გამოსყიდვა, გაყიდულ იქნა მონად.

მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა. იერუსალიმის დაკარგვამ მისცა ბიძგი მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობას (დაიწყო იგი 1189 წ.), რომელშიაც მონაწილეობდა სამი ხელმწიფე. ამ ჯვაროსნულ ლაშქრობას სათავეში ედგნენ: გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა, საფრანგეთის მეფე ფილიპე II ავგუსტუსი, საფრანგეთში ძლიერი მონარქიის ერთ-ერთი დამაარსებელთა-თავანი, და ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული, რომელიც ითვლებოდა ყველა რაინდულ საკეთის და გულადობის განსახიერებად, უგულადეს და უძლიერეს რაინდად ევროპაში, მაგრამ არსებითად იყო გულქვა და თავშეუკავებელი მოძალადე. პალესტინისაკენ გამგზავრების დროს, გზად, სულ უბრალო საბაბით, მან ააოხრა ქალაქი მესინა. სირიაში მისი ბრძანებით დახოცეს ტყვეები, რომელთა გამოსაყიდი თანხაც დროზე არ იყო გადახდილი.

მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობას არ ჰქონია თვალსაჩინო შედეგები. ჯვაროსნებს მოუხდათ ბრძოლა არა მარტო სალადინთან, არამედ ბიზანტიასთანაც. ფრიდრიხ ბარბაროსა, რომელმაც გადაიარა მცირე აზია, დაიღრჩო ერთ-ერთ მთის მდინარეში, და გერმანელთა ლაშქარი, რომელმაც არ ინდომა ლაშქრობის გაგრძელება, ნაწილობრივ დაბრუნდა სამშობლოში, ნაწილობრივ დაიღუპა სირიაში ეპიდემიისაგან. გერმანული არმიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთები შეუერთდნენ ფრანგებს და ინგლისელებს. ფილიპე II ავგუსტუსი და რიჩარდ ლომგული განუწყვეტლივ კინკლაობდნენ ერთმანეთში. მიღწეულ იქნა ზოგიერთი სამხედრო წარმატებანი, როგორც, მაგალითად, ქალაქი აკრას (აკონის) აღება, რომელიც ახლა იქცა წინანდელი იერუსალიმის სამეფოს სატახტო ქალაქად. მალე ამის შემდეგ ფილიპე II დაბრუნდა საფრანგეთში. რიჩარდი კიდევ ერთ ხანს განაგრძობდა ომს. მან აიძულა სალადინი წასულიყო ზოგიერთ უმნიშვნელო დათმობაზე. ჯვაროსნებს შერჩათ სანაპიროს ვიწრო ზოლი და ანტიოქიის სამთავრო, რომელიც ახლა შეუერთდა ტრიპოლის. დასავლეთის მლოცველებს და ვაჭრებს ნება და[illegible] ეს იერუსალიმში მიმო[illegible]ლისა.

რიჩარდ ლომგულმა წაართვა ბიზანტიელებს კუნძული კიპროსი. აქ დაარსდა კიპროსის სამეფო, რომელმაც იარსება დაახლოვებით 250 წელიწადს.

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა საინტერესოა იმით, რომ აქ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამომჟღავნდა ჯვაროსნების ჭეშმარიტი მიზნები, რომლებიც არ იყო შენიღბული არავითარი რელიგიური ლოზუნგებით.

თავისი პონტიფიკატის დასაწყისიდანვე (1198 — 1216 წწ.) სახელგანთქმულმა პაპმა ინოკენტი III (იხ. თავი XVII) დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგება ეკლესიის მნიშვნელობის ამაღლების და პაპობის გავლენის განმტკიცების მიზნით. სხვადასხვა ქვეყნებში დაიგზავნენ მქადაგებლები, იერიბებოდა გადასახადები, რაც იწვევდა მოსახლეობის უკმაყოფილებას.

ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყეს იტალიელმა და ფრანგმა რაინდებმა, მათ განზრახული ჰქონდათ მიეტანათ იერიში აღმოსავლეთის მთავარი სახელმწიფოს—ეგვიპტის წინააღმდეგ, რომელიც ჰფლობდა იერუსალიმს. ვინაიდან მათ არ გააჩნდათ არც ფული, არც ფლოტი, ეგვიპტეში გასამგზავრებლად, მათ დახმარებისათვის მიმართეს მდიდარ ვენეციას. ვენეციელმა დოჟმა ენრიკო დანდოლომ გადაწყვიტა, მარქსის გამოთქმით, „გაეკეთებინა ჯვაროსნული სისულელისაგან საკუთარი ოპერაცია"[1]. ენრიკო დანდოლო წარმოადგენს ყველაზე თვალსაჩინო და კოლორიტულ ფიგურას ვენეციის ისტორიაში. მიუხედავად თავისი 90 წლისა მოხუცებულობისა, ეს იყო განუსაზღვრელი ენერგიის და გამბედაობის მქონე ადამიანი. თითქმის ბრმა, იგი, მიუხედავად ამისა, თანამეზროვეთა სიტყვებით, სჭვრეტდა ყველაფერს. დიპლომატიურ სიმახვილეში და მანქანებაში მას არ ჰყავდა ტოლი. დანდოლომ მიიღო ჯვაროსანთა წინადადება, მაგრამ მოსთხოვა მათ ვენეციელთა მომსახურების საფასურად უშველებელი თანხა — 85 ათასი ვერცხლის მარკა. ჯვაროსნები დასთანხმდნენ ამ პირობაზე; მაგრამ, როდესაც მცირე ლაშქარი შეიკრიბა ვენეციაში, გამოირკვა, რომ მათ არ შეეძლოთ დაპირებული თანხის შეგროვება. მაშინ დანდოლომ, რათა ხელი შეეწყო ეგვიპტეზე ლაშქრობისათვის, რომელთანაც ვენეციელებს ჰქონდათ გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობანი, კომპენსაციის სახით მოსთხოვა ჯვაროსნებს დაეხმარებოდნენ ვენეციელებს დალმაციის სანაპიროზე მდებარე ზარას აღებაში. როდესაც ქალაქი აღებულ იქნა, მიუხედავად პაპის აკრძალვისა, მაშინ დანდოლომ შესთავაზა ჯვაროსნებს ახალი წამოწყება, რომელმაც მათ საბოლოოდ აუსრულა გეერდი თავდაპირველად დასახული განზრახვებისათვის. 1195 წ. კონსტანტინეპოლში ტახტიდან იქნა ჩამოგდებული იმპერატორი ისაკ II ანგელოსი. ჩამოგდებული იმპერატორის შვილი უფლისწული ალექსი ანგელოსი გაიქცა დასავლეთს და შეეცადა ეპოვნა იქ დახმარება. მან მიმართა ჯვაროსნებს, თან შეპირდა მათ მდიდრულ ჯილდოს, თუ მის მამას ტახტს დაუბრუნებდნენ. დანდოლოს წაქეზებით, რომელსაც სურდა ამგვარად ვენეციის მთავარი სავაჭრო კონკურენტის დამხობა, ჯვაროსნები დაიძრნენ კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ.

---

[1] „Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 194.

შევიდნენ რა კონსტანტინეპოლში, ჯვაროსნებმა და ვენეციელებმა ალაგინეს ტახტზე ისაკ ანგელოსი. მაგრამ მოსახლეობამ უარი განაცხადა გადაეხადნა ალექსის მიერ შეპირებული თანხები და აჯანყდა. მაშინ ჯვაროსნებმა იერიშით აიღეს კონსტანტინეპოლი (1204 წ.). კონსტანტინეპოლის დაცემას მოჰყვა ქალაქის საშინელი აოხრება. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მოხაწილის და მისი ისტორიკოს ვილარდუენის სიტყვით „ასეთ მდიდრულ ძარცვაცარასდროს არ ჰქონია ადგილი.“ მთელი უბნები გადამწვარ იქნენ ჯვაროსანთა მიერ, რომელნიც სულაც არ უფრთხილდებოდნენ ანტიკური- და ბიზანტიური ხელოვნების ძეგლებს. ბრინჯაოს ქანდაკებებს ჯვაროსნები იყენებდნენ ფულის მოსაჭრელად. ნოვგოროდის მატიანე, მნახველის სიტყვებით, იძლევა იმ დარბევის აღწერას, რომელიც მოუხდენიათ დასავლეთელ რაინდებს კონსტანტინეპოლში, და მკაცრად ძრახავს მათ იმისათვის, რომ „შეიყვარეს ოქრო და ვერცხლი“. სატახტო ქალაქის დაცემას მოჰყვა ბიზანტიის იმპერიის დიდი ნაწილის დაპყრობა. ჯვაროსნებმა სავსებით მიატოვეს ეგვიპტეზე ვალაშქრების გეგმა და დაარსეს თავიანთი სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ბერძნული, ბიზანტიის იმპერიისგან განსასხვავებლად ამ ახალ სახელმწიფოს დაერქვა ლათინთა იმპერია.

ლათინთა იმპერია. იმპერატორად არჩეულ იქნა ლაშქრობის ერთ-ერთი ბელადი, ბალდუინი ფლანდრიელი, თუმცა კი იგი არ სარგებლობდა თითქმის არავითარი ძალაუფლებით. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეიქმნა ოთხი უმნიშვნელოვანესი „ლათინთა“ სახელმწიფო: ლათინთა იმპერია — სატახტო ქალაქი კონსტანტინეპოლით, თესალონიკის სამეფო, აქეის სამთავრო (პელოპონესში) და ათენა-თებეს საჰერცოგო. ყოველი მათგანი თავის მხრივ იყოფოდა მთელ რიგ სავრაფოებად და სენიორიებად. ბრაბალი, თავისი სავაჭრო სიძლიერისათვის მეტად მნიშვნელოვანი, ტერიტორიალური შენაძენები გაიკეთა ვენეციამ. ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლის იერიშით აღებამდის დადებულ იქნა „ახალი ხელშეკრულება ვენეციელებისა ჯვაროსან რეგვენებთან, რომლებიც ეპირიდან მოატყუეს, და რომელნიც თავიანთ გაუთლელ ხეპრე მთავრებთან ერთად წარმოადგენდნენ ყოველთვის მხოლოდ იარაღს ამ ვაჭრეკების ხელში.“[1] დანდოლომ შეძლო განემტკიცებინა ვენეციის უფლებები ბიზანტიის იმპერიის სამ მერვედ ნაწილზე; მან მიიღო კონსტანტინეპოლის ნაწილი, მთელი რიგი კუნძულები — იონიური, კიკლადების და სპორადების ნაწილი, — და აგრეთვე პელოპონესის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ჰალიპოლი და ზოგიერთი მიწები ალბანეთში. მალე ვენეციელებმა შეიძინეს აგრეთვე კრიტოსი (კრეტა).

ჯვაროსანთა ბატონობამ მეტად გაამწვავა კლასთა ბრძოლა ბიზანტიის წინანდელ სამფლობელოებში. მკვიდრი მოსახლეობა, ძირითადად დაყმეკებული, იტანჯებოდა ჯვაროსნების ჩაგვრისაგან უფრო მეტად, ვიდრე ბიზანტიელი მეგატონეებისაგან. ლათინთა რაინდები მოურიდებლად ძარცავდნენ მდიდრებსაც და ღარიბებსაც, მათ არ ჩამორჩებოდნენ ამაში ბერძენი ფეოდალებიც, რომელთაც შეინარჩუნეს ძალაუფლება ნახევარ-კუნძულის დასავლეთ

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. V, стр. 197.

ნაწილში. ჯვაროსნებს მოუხდათ ეწარმოებინათ განუწყვეტელი ბრძოლა მეზობლებთან — XII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენებულ მეორე ბულგარულ სამეფოსთან და მცირე აზიაში აღმოცენებულ ორ ბერძნულ სახელმწიფოსთან — ნიკეის და ტრაპიზონის „იმპერიებთან“.

ბოლოს, ვენეციის უმთავრესი მოქიშპეების ,ენუელების დახმარებით, რომელნიც უწევდნენ ბერძნებს დახმარებას ფულით და ფლოტით, ნიკეის იმპერატორმა მიხეილ პალეოლოგმა აიღო კონსტანტინეპოლი (1261 წ.), და ბიზანტიის იმპერია აღდგენილ იქნა. ლათინთა რაინდებს შერჩათ მხოლოდ რამდენიმე სამფლობელო შუა და სამხრეთ საბერძნეთში. კონსტანტინეპოლის ტახტი დაიჭირა პალეოლოგების დინასტიამ. მაგრამ ბიზანტიის იმპერია ველარასდროს ვერ გამობრუნდა იმ ზიანისგან ,რომელიც მიაყენა მას მეოთხე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ. აღდგენილი ბიზანტიის იმპერია, წარმოადგენდა წინანდელი ძლევამოსილების და სიმდიდრის მხოლოდ აჩრდილს.

ჯვაროსნული მოძრაობის დაცემა. შემდგომმა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა თითქმის ვერავითარი ცვლილებები ვერ შეიტანა შექმნილ მდგომარეობაში. XIII საუკუნიდან ჯვაროსნული ლაშქრობების პროპაგანდა აღარ ჰპოულობდა ისეთსავე გამოძახილს, როგორიც წინათ. პირველ და მეორე ჯვაროსნულ ლაშქრობებს შეუერთდა მრავალი გლეხობა ნაშიმშილები რაიონებიდან. ფართო სახალხო მოძრაობა გამოიწვია აგრეთვე მეოთხე ლაშქრობამ, რომელსაც შეუერთდა ბევრი ღატაკი გლეხი. მაგრამ შემდეგი ჯვაროსნული ლაშქრობები აღარ ატარებს სტიქიური მოძრაობის ხასიათს. მოსახლეობა, რომელიც წინათ მასობრივად მიისწრაფოდა აღმოსავლეთისაკენ, უნდობლად შეიქმნა განწყობილი ახალი ლაშქრობების ქადაგების მიმართ. რაინდებს უკვე აღარ ჰქონდათ იმედი რამდენადმე მკვიდრ დაპყრობებისა აღმოსავლეთში. გლეხები არაფერს არ ჰხედავდნენ ლაშქრობებში, გარდა აუცილებელი დაღუპვისა.

მხოლოდ საშინელი სახალხო გასაჭირის ნიადაგზე ხდება გასაგები ,ეერეოწოდებული ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობები. გავრცელდა უაზრო იდეა, რომ მხოლოდ უცოდველ ბავშვებს ძალუძთ სასწაულით იმის მოხდენა, რაც ვერ შესძლეს მოზრდილმა ცოდვილებმაო. 1212 წ. საფრანგეთში ბავშვებში დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგება ერთმა მწყეტსმა-ბიჭმა სტეფანემ (ეტიენმა), რომელმაც გამოაცხადა თავი ღვთის ელჩად, წარმოგზავნილად იერუსალიმის გასანთავისუფლებლად. მის მოწოდებას გამოეხმაურა მრავალი ბავშვი. ამ ქადაგების წარმატებას, უეჭველია, შეუწყო ხელი ბავშვთა მასობრივმა უპატრონობამ, რომელიც გამოწვეული იყო საფრანგეთის ზოგიერთ ადგილებში XIII საუკუნის დასაწყისის ომებით. ბავშვებს შეუერთდა არა ერთი მოზრდილი, განსაკუთრებით ომებით აოხრებული რაიონებიდან.

დაახლოვებით 30 ათასი ბავშვი და მოზრდილი, თითქმის სრულიად უიარაღონი, შეუდგნენ ლაშქრობას ზებუნებრივი (განგების) დახმარების იმედით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ლაშქრობა აკრძალა მეფემ, რომელსაც ესმოდა ამ წამოწყების სრული უაზრობა. ისინი დაიძრნენ სამხრეთის მიმართულებით მარსელისაკენ. მარსელში გემების პატრონებმა ,ეასრეს მათი მიყვანა პალეს-

ტინაში. გემების ნაწილი დაამსხვრია ქარიშხალმა მოგზაურობის დროს, ხოლო ლაშქრობის დანარჩენი მონაწილენი გემის პატრონებმა მიიყვანეს ეგვიპტეში და იქ დაჰყიდეს ისინი მონებად.

ამასთან ერთდროულად ასეთსავე პროპაგანდას აწარმოებდა გერმანიაში ბიჭი ნიკოლოზი, რომელიც ჯერ 10 წლისა არც კი იყო, და რომელსაც ხელმძღვანელობდა მამა მისი, მონებით მოვაჭრე. ნიკოლოზს გაჰყვა დაახლოვებით 20 ათასი ბავშვი. ამ ბავშვებმა მიაღწიეს სამხრეთ იტალიამდის, სადაც ადგილობრივ ხელისუფალთ შეაჩერეს ლაშქრობა და აიძულეს ბავშვები სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. მათი უმრავლესობა დაიღუპა უკან დაბრუნებისას.

არსებითად შეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობით მთავრდება დიდი სამხედრო-საკოლონიზაციო მოძრაობა აღმოსავლეთში. რითი აიხსნება შეფერხება და საბოლოო მარცხი მთელი ამ მოძრაობისა, რომელმაც ათამძრავა აურაცხელი მასები და რომელიც აუწერელ მსხვერპლად დაუჯდა დასავლეთ ევროპას? რასაკვირველია, ამაში დიდი როლი ითამაშა აღმოსავლეთის პოლიტიკურმა ვაერთიანებამ ეგვიპტის სულთანთა ძალაუფლების ქვეშ და გაზრდილმა წინააღმდეგობამ ჯვაროსნების მიმართ.

მაგრამ მაინც მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ ევროპის ცხოვრებაში. XIII საუკუნისათვის ევროპაში ყველგან შეიმჩნევა საწარმოო ძალთა მნიშვნელოვანი ზრდა. გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის ტექნიკა, ორმინდვრიანი სისტემიდან იწყეს გადასელა სამმინდვრიანზე, იწყეს მიწის განოყიერება. პატივით და ტკბილით, ფართოდ სტეხდნენ ტყეებს და სწმენდნენ ნიადაგს სახნავისათვის, ამუშავებდნენ ტიალი დაუმუშავებელი მიწების ნაწილს. ფეოდალები იწყებენ ფიქრს იმაზე, თუ როგორ გამოაღებინონ მიწას მეტი შემოსავალი. მეურნეობის ხერხების გაუმჯობესების და შრომის გაძლიერებული ექსპლოატაციის გზით. გლეხობა ნაწილობრივ იწყებს გადასვლას ფულად რენტაზე, რაც იყო უკვე ნაბიჯი ფეოდალური რენტის დაშლის გზაზე. ფულადმა რენტამ შეუქმნა შესაძლებლობა — უკიდურეს შემთხვევაში გლეხობის ერთ ნაწილს მაინც — მათი მეურნეობის ნაყოფიერების გაზრდისა და განსაზღვრული დაგროვებისა. შიმშილობანი, რომელნიც წარმოადგენდნენ საზარელ უბედურებას ჯერ კიდევ XII საუკუნეში, მნიშვნელოვნად შემცირდნენ XIII საუკუნეში. ფეოდალების მიერ ჩაგრულმა გლეხობის ნაწილმა თავს მზარდ ქალაქებში გაქცევით უშველა.

შრომის განაწილება ქალაქსა და სოფელს შორის და საქალაქო ხელოსნობის ზრდა წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს მომენტს საწარმოო ძალთა განვითარებაში. ამგვარად, ევროპას შეეძლო ახლა გამოეკვება გაცილებით უფრო მეტი მოსახლეობა და სტიქიური კატასტროფების გავლენა მნიშვნელოვნად შერბილდა.

რასაკვირველია, გლეხობის ჩაგვრა არ დამთავრებულა. მაგრამ გლეხი უკვე აღარ გაურბოდა მას ზღვის გადაღმა „აღთქმულ ქვეყანაში", — იგი ეშზადებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლისათვის საკუთარი მიწისა და საკუთარი შრომის გულისთვის. ამ ბრძოლის მოახლოვება შესამჩნევი იყო უკვე ჯვაროსნულ ლაშქრობების დროს.

ამავე დროს მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ევროპის პოლიტიკურ წყობილებაში. გამაგრდა სამეფო ხელისუფლება, იხშობოდა ფეოდალური თვითნებობა, მცირდებოდა ფეოდალური შინა ომები, რომლებიც აღატაკებდა გლეხებს. ფეოდალები შეიქმნენ გაცილებით უფრო ბინადარნი. მშიერი რაინდობისათვის იარაღებოდა ახალი ოლქების კოლონიზაციის შესაძლებლობა, პირველ ყოვლისა, ბალტიის პირეთისა. ინოკენტი III ჰქადაგებდა ჯვაროსნულ ლაშქრობებს ბალტიის პირას მცხოვრებ წარმართთა წინააღმდეგ. გაღატაკებული რაინდები პოულობდნენ სხვა გამოყენებასაც — სამსახურს მეფეების დაქირავებულ ჯარებში.

დაბოლოს, ვენეციელებმა, გენუელებმა, პროვანსალელმა და კატალონელმა ვაჭრებმა დადეს ხელსაყრელი ხელშეკრულებები მაჰმადიან მბრძანებლებთან და აღარ საჭიროებდნენ უკვე ჯვაროსანთა დახმარებას.

ერთი სიტყვით, ყველა იმ საზოგადოებრივ კლასებში, რომელნიც ღებულობდნენ მონაწილეობას პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, ამ დროისათვის შემცირდა ინტერესი ამ სახიფათო შორეული წამოწყებების მიმართ. იმ მსხვერპლს, რომელსაც მოითხოვდა ამ კოლონიების შენარჩუნება, არ ანაზღაურებდა მათ მიერ მოტანილი სარგებლობა.

უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობები. ჩვენ მხოლოდ ძალიან ზერელედ შევეხებით უკანასკნელ ჯვაროსნულ ლაშქრობებს.

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა (1217 წ.) თავდაპირველად მიმართული იყო სირიისაკენ, მაგრამ შემდეგ მიიმართა ეგვიპტის წინააღმდეგ, რომლის სულთანს ეპყრა პალესტინაც. ჯვაროსნებმა, ხანგრძლივი გარეშოცვის შემდეგ, შესძლეს მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი დამიეტას აღება. მაგრამ შინაგანმა განხეთქილებებმა და უხეირო სარდლობამ გამოიწვია შემდეგ სამხედრო მარცხები, რომელთაც აიძულეს ჯვაროსნები დაეცალათ ეგვიპტე (1221 წ.).

1229 წ. დაიწყო მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობა. პაპმა გრიგოლ IX აკრძალა იგი, ვინაიდან მის სათავეში იდგა იმპერატორი ფრიდრიხ II, რომელიც აწარმოებდა ბრძოლას პაპობასთან და განკვეთილი იყო ეკლესიისაგან. ფრიდრიხ II მოქმედებდა უფრო მეტად დიპლომატიური გზით, ვიდრე იარაღით და იყენებდა სირიისათვის ბრძოლას დამასკოს ემირსა და ეგვიპტის სულთანს შორის, მან მიაღწია იმას, რომ ეგვიპტის სულთანმა დასთმო მისთვის იერუსალიმი და მთელი რიგი სხვა პუნქტები პალესტინაში. თუმცა მართალია სამაგიეროდ იგი შეჰპირდა არ გაეწია არავითარი დახმარება სირიელი ქრისტიანებისათვის ეგვიპტის წინააღმდეგ. მაგრამ ფრდრიხის წასვლის შემდეგ, ჯვაროსნებს შორის დაიწყო გაუთავებელი უთანხმოება და ომები, რომელთაც ის შედეგი გამოიღეს, რომ 1244 წ. მაჰმადიანები ხელახლა ღაეუფლნენ, და ახლა კი საბოლოოდ, იერუსალიმს.

მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობა (1248 — 1254 წწ.), რომლის სათავეში იდგა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ IX, მიმართული იყო ეგვიპტის წინააღმდეგ, რამდენიმე ნაწილობრივი წარმატებების შემდეგ იგი დამთავრდა სამხედრო კატასტროფით, რომლის შედეგადაც ტყვედ ჩავარდა თვით მეფე, შემდეგ განთავისუფლებული ძალიან დიდი გამოსასყიდით.

ამ ლაშქრობაშიაც დაიძრა ხალხის მასა, მაგრამ იგი თავს დაესხა არა „უსჯულოებს“, არამედ საკუთარ კლასობრივ მტრებს-ფეოდალებს და ეკლესიას. 1251 წ. ლუდოვიკ IX ამბართა საფრანგეთს დახმარებისათვის. ფეოდალები არ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას, მაგრამ მან ჰპოვა გამოძახილი ჩაგრულ ხალხთა მასაში, რომელთა შორის გაჩნდა სახალხო მქადაგებელი, ვინმე მოხუცი იაკობი უნგრეთიდან. იგი ჰქადაგებდა, რომ იერუსალიმი უნდა დაიხსნან არა ამპარტავანმა რაინდებმა, არამედ ყველას მიერ აბუჩად აგდებულმა ღარიბ-ლატაკებმა. იგი მკაცრად ილაშქრებდა კათოლიკური მღვდლების და ბერების წინააღმდეგ. გლეხების უშველებელი მასები დაიძრნენ ჩრდილოეთ საფრანგეთიდან სამხრეთისაკენ, ამიენზე, ორლეანზე, ბურჟზე გავლით. გზადაგზა ისინი არბევდნენ მდიდრებს, მღვდლებს და ბერებს. მათ ყველგან უერთდებოდა ხალხი. ლაშქრობის მონაწილენი მიდიოდნენ რამდენიმე რაზმად, აქეთ-იქით იქსაფსებოდნენ, ისე რომ თავდაპირველად დაბნეულმა ფეოდალებმა და მთავრობამ შემდეგ ჯალე გაანადგურეს ისინი. მათი ნაწილი გაიქცა-გამოიქცა, ნაწილი დახოცეს ანდა დაატყვევეს. და შემდეგ დასაჯეს სიკვდილით.

იგივე ლუდოვიკ IX ჩაუდგა სათავეში მერვე და უკანასკნელ ჯვაროსნულ ლაშქრობას (1270 წ.), მასში მონაწილეობის მსურველი ისე ცოტა იყო, რომ მეფეს უხდებოდა რაინდების ფულით დაქირავება. ჯვაროსნებმა გაილაშქრეს თავდაპირველად ტუნისის სულთანის წინააღმდეგ. ტუნისში მათში გაჩნდა ჭირი, რომელმაც გადაიტანა თან ჯვაროსანთა ნაწილი, მათ შორის თვით ლუდოვიკ IX; ვინც გადარჩა, დაბრუნდა უკან.

პაპები მოუწოდებდნენ ქრისტიან ხელმწიფეებს ახალი ჯვაროსნული ლაშქრობებისაკენ, აწარმოებდნენ შემოწირულებებს. ზოგიერთმა მეფეებმა მიიღეს ჯვარი, მაგრამ აღარც ერთი ლაშქრობა აღარ შემდგარა.

ჯვაროსნულ კოლონიებს სირიაში, რომელნიც აღარ ღებულობდნენ დახმარებას დასავლეთიდან, აღარ შეეძლოთ საკუთარი ძალებით გამკლავება. ეგვიპტის სულთნები ართმევდნენ მათ ზედი-ზედ ქალაქებს. 1268 წ. აღებულ იქნა ანტიოქია, 1289 წ. — ტრიპოლი, 1291 წ. — ჯვაროსანთა უკანასკნელი დასაყრდენი აღმოსავლეთში — აკრა.

ჯვაროსნები გამაგრდნენ მხოლოდ კიპროსის სამეფოში. კიპროსის მთავარი ნავთსადგური ფამაგუსტა წარმოადგენდა ერთ დროს უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პუნქტს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. კიპროსის მეფე ატარებდა იერუსალიმის მეფის ტიტულს. კიპროსზე მოქმედებდნენ „იერუსალიმის ასიზები“. XV საუკუნეში ეს კუნძული შეუერთეს თავიანთ სამფლობელოებს ვენეციელებმა.

ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგები. თუ ჯვაროსნული ლაშქრობების უშუალო მიზნად ჩავთვლით ახალი ტერიტორიების შეძენას აღმოსავლეთში, ამ მხრივ ისინი დამთავრდა მარცხით, მაგრამ ამის მიუხედავად, მათი შედეგები ევროპისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ბოლო მოუღო ბიზანტიელების და არაბების სავაჭრო ბატონობას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. მიუხედავად ჯვაროსნების გაძევებისა სირიიდან და პალესტინიდან, ვენეციე-

ლები და ჯენუელები გააგრძელეს ბატონობას ხმელთაშუა ზღვაზე ვაჭრობაში. ჯენუამ მოიკალათა ბიზანტიის სამფლობელოებში, შექმნა მთელი რიგი სავაჭრო ფაქტორიებისა შავი ზღვის სანაპიროზე. ვენეციამ დაამყარა მჭიდრო ურთიერთობა ეგვიპტესთან.

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა გააცნეს დასავლეთ ევროპას აღმოსავლეთის ტექნიკა და კულტურა; მაგრამ ყოველთვის არ არის შესაძლებელი იმის გამორკვევა, თუ რომელი გზით მოიმართებოდა აღმოსავლეთის გავლენა დასავლეთზე. ჯვაროსნული ლაშქრობები აღმოსავლეთთან ურთიერთობის ერთადერთ გზას არ წარმოადგენდა. არაბებმა ბევრი რამ გადასცეს დასავლეთს თავისი სამფლობელოების გზით სიცილიაში და განსაკუთრებით კორდოვის სახალიფოს გზით. ბიზანტიის იმპერია წარმოადგენდა შუამავალს არა მარტო ვაჭრობაში, არამედ კულტურის და ტექნიკის მონაპოვართა გადაცემაშიც. სავაჭრო ურთიერთობანი აღმოსავლეთთან ჯვაროსნულ ლაშქრობების გარეშეც საშუალებას აძლევდა ევროპიელებს ბევრი რამ გადაეღოთ აღმოსავლეთის ხალხებისაგან. ამიტომ იბადება დიდი ეჭვი იმის განსაზღვრის დროს, თუ რით არის დავალებული ევროპა ჯვაროსნული მოძრაობის წინაშე. ყოველ შემთხვევაში ამ დროს მდიდრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურა. ევროპაში ინერგება ახალი კულტურები — უგრეხელი, ბრინჯი, გუნჯუთი, გარგარი, სიმინდი, საზამთრო, ლიმონი, ფუსტული. ვრცელდება შაქრის ლერწმისგან მოპოვებული შაქრის მოხმარება. ფიქრობენ, რომ სირიიდან გადაიღეს ქარის წისქვილი.

უეჭველია, რომ არა მცირედი გავლენა მოუხდენია აღმოსავლეთურ ტექნიკას საფეიქრო მრეწველობაზე და ლითონების დამუშავებაზე. მთელი რიგი ქსოვილები, რომელთა დამზადებას იწყებენ დასავლეთში, ატარებენ აღმოსავლეთურ სახელწოდებებს (დამასკო, მუსლინი და სხ.). დასავლეთის საფეიქრო მრეწველობა ბევრ რამეში იყო დამოკიდებული აღმოსავლეთიდან შემოტანილ საქონლისგან. იქიდან მოდიოდა აბრეშუმი, ბამბა, მთელი რიგი საღებავი ნივთიერებები, შაბი, რომელიც იხმარებოდა საღებავების სიმკვიდრისათვის.

გადაიღეს ზოგი რამ სამხედრო საქმეშიც, მაგალითად, არბალეტი, ბუკი და ნაღარა, დაფდაფი. ევროპაში გავრცელდა აგრეთვე ზოგიერთი აღმოსავლეთური ჩვეულება: ხელის ბანა ჭამის წინ, წვერის მოშვება, ცხელი აბანო, ფარებზე ლერბების ტარების ჩვეულება და სხ.

კიდევ უფრო რთულია საკითხი ჯვაროსნული ლაშქრობების გავლენის შესახებ დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ წყობილებაზე. შეცდომა იქნებოდა ამ ლაშქრობებით აგვეხსნა ცვლილებები გლეხების მდგომარეობაში, რაინდობის, როგორც სპეციფიკური დაწესებულების განვითარება, რაინდული ლიტერატურის განვითარება. ყველა ეს მოვლენები ვითარდებოდა ევროპულ ფეოდალურ საზოგადოებაში ჯვაროსნული ლაშქრობების გარეშეც. მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა მოახდინა ამაზე დიდი გავლენა.

აღმოსავლეთში ნამყოფმა რაინდებმა შეიძინეს უფრო განაზებული და ფაქიზი მოთხოვნილებები, ვიდრე ეს მათ ჰქონდათ წინათ. ისინი უკვე აღარ კმაყოფილდებოდნენ უხეში, სახლში მოქსოვილი ჩასაცმელით და უხეირო ღვინოთი, რომელიც მოყვანილი იყო მათ ვენახებში, აღარ კმაყოფილდებოდნენ

თავიანთი ვიწრო და მყუდროობას მოკლებული ციხე-კოშკებით. მათი მოთ-ხოვნილებანი ახლა გაფართოვდა, და ამასთან ერთად გაფართოვდნენ მათი დაკმაყოფილების საშუალებანიც საქონლის ბრუნვის ზრდის წყალობით აღმოსავლეთთან, საიდანაც შემოჰქონდათ ფუფუნების საგნები, ძვირფასი და იშვიათი ღვინოები, აგრეთვე სანელებლები, რომლებზედაც არსებობდა დიდი მოთხოვნილება ევროპული საზოგადოების უმაღლეს კლასებში.

რა გზით პოულობდა დაკმაყოფილებას რაინდული კლასის მოთხოვნილებათა ზრდა, ვის ხარჯზე იწყო ფეოდალმა უკეთ ჩაცმა-დახურვა, კვება და სხ.? ცხადია, რომ თავისი შემოსავლის უმთავრესი წყაროს ხარჯზე — გლეხის ხარჯზე. იმ დროის საოფლო-სამეურნეო ტექნიკის შედარებით უმნიშვნელო ზრდის გამო, სენიორის შემოსავალი შეიძლებოდა გაზრდილიყო, უმთავრესად, გლეხობის ექსპლოატაციის გაძლიერების ხარჯზე. მართალია, პირველ ხანებში ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა მოუტანეს გლეხობას, მათი მდგომარეობის განსაზღვრული შემსუბუქება. საქმე იმაშია, რომ სალაშქროდ გამგზავრებულ მემამულე-ფეოდალებს უქირდათ ფული და ამიტომ ისინი ხშირად ანთავისუფლებდნენ გლეხებს გამოსყიდვის საშუალებით. გლეხები თავიანთთვის ხელსაყრელ პირობებში აწარმოებდნენ თავის გამოსყიდვას მემამულეებისაგან, ან და იმსუბუქებდნენ თავიანთ ვალდებულებებს. გლეხები სარგებლობდნენ ფეოდალების უცხოეთში ყოფნით თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი გაუმჯობესება, რომელსაც ჩვეულებრივ მოჰყვებოდა ხოლმე გლეხების ექსპლოატაციის გაძლიერება. უეჭველია, რომ შეძენილი ჩვეულებანი ფუფუნებითი ცხოვრებისა ხელს უწყობდა რაინდობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკებას, დავალიანებას და ამით ხელს უწყობდა ფეოდალური წყობილების დაშლას, მაგრამ ყველა ამ მოვლენების საფუძველი მდებარეობს თვით ევროპის ეკონომიკის განვითარებაში. ჯვაროსნულ ლაშქრობებს შეეძლოთ მხოლოდ ამ პროცესის გაძლიერება და გამწვავება, მაგრამ ისინი არაგზით არ წარმოადგენდა მის მიზეზს.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები: Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 161—174, 184—186, 194—215, 230—232).

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. 1, 1939, стр. 264—278. — Стасюлевич, История средних веков, т. III, 1907.

III. გამოკვლევები დამხმარე წყაროები. Лависс и Рамбо, История крестовых походов, т. I, гл. IV, 1914. — Куглер, История крестовых походов, 1895. — Успенский Ф., История крестовых походов, Спб. 1901. — Егоров, Крестовые походы, 2 изд., М. 1914—1915. — Васильев, Византия и крестоносцы, 1923. — Васильев, Латинское владычество на Востоке, 1923. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. II, ст. 37—38.

თავი XVII

გერმანია და ჰაპსბურგ XI—XIII საუკუნეებში

გერმანიის ეკონომიური განვითარება. XI—XIII საუკუნეებში გერმანიამ გადადგა შესამჩნევი ნაბიჯები სამეურნეო განვითარების გზაზე. ქვეყნის საწარმოო ძალები, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა. მატულობდა დამუშავებული მიწების ფართობი, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა სამდინარო ველებიდან ტყიანი მთების მასივებში. განსაკუთრებით გულდასმით აწარმოებდნენ მიწის გატეხას მონასტრები, რომელნიც ხშირად ღებულობდნენ შენაწირავის სახით დაუმუშავებელ მიწებს და ცდილობდნენ ექციათ ისინი შემოსავლის მომცემად. ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობებში წარმოებდა მედგარი ბრძოლა ჭაობების წინააღმდეგ. წარმოებდა საყოველთაოდ გადასვლა სამმინდვრიან სისტემაზე. ვითარდებოდა მებაღეობა და მებოსტნეობა. XIII საუკუნეში ფართოდ ვრცელდება მევენახეობა, ჯერ რაინის და მისი შენაკადების გაყოლებით, შემდეგ სულ უფრო და უფრო აღმოსავლეთისაკენ გადანაცვლებით. ვრცელდება ტექნიკური კულტურები — ხელი, კანაფი, ვაიდა. საწარმოო ძალთა ზრდის საფუძველზე სულ უფრო და უფრო აჩქარებული ტემპით წარმოებს ქალაქის სოფლისაგან გამოყოფის პროცესი, ხელოსნობისა და ვაჭრობის გამოყოფა, როგორც ეკონომიური მოღვაწეობის განსაკუთრებული დარგებისა. მნიშვნელოვნად იზრდება რაოდენობა მოსახლეობისა, განსაკუთრებით, ქალაქის მოსახლეობისა.

ამავე პერიოდში სრულდება უფრო ადრე დაწყებული გერმანელი გლეხობის დაყმევების პროცესი. ფეოდალიზაციის პროცესი ვითარდებოდა გერმანიაში უფრო ნელი ტემპით, ვიდრე, მაგალითად, საფრანგეთში. მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით საქსონიაში, ჯერ კიდევ X-XI საუკუნეებში ცხოვრობდა მრავალი თავისუფალი გლეხი. თავისუფალი გლეხობის ნაშთები შენარჩუნებულ იქნენ ფრიზების ქვეყანაში XIII საუკუნემდის. მაგრამ უკვე XI საუკუნის დამლევისათვის გლეხთა დიდი უმრავლესობა დაყმევებული იყო. გერმანიაში ყალიბდება ტიპიური ბატონყმური და საბატონო ბეგარის მომცემი მამული. მაგრამ ფეოდალური ექსპლოატაციის დროსაც გერმანული სოფელი ინარჩუნებს თემი-მარკის თვისებებს. ყოველი გლეხური ოჯახი ჰფლობდა თავის სახნავ მიწის ნაკვეთს—ჰ უ ფ ა ს (საშუალოდ დაახლოვებით 10 ჰექტარი) და სარგებლობდა განსაზღვრული უფლებებით სათემო მიწებზე-ა ლ მ ე ნ დ ა ზ ე-საძოვრებზე, ტყეებზე, ჭაობებზე და სხ. თემი ინარჩუნებდა განსაზღვრულ

თვითმართველობას, სწყვეტდა საკუთარ სამეურნეო საქმეებს სასოფლო ყრილობებზე, ადგილობრივი ადათ-ჩვეულებების საფუძველზე. მაგრამ იგი უკვე იქცა ბატონყმურ თემად. ფეოდალი იყენებდა მას საბატონო ბეგარის და სხვა ბატონყმური ვალდებულებების შესრულების ორგანიზაციისათვის.

XI საუკუნიდან, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ და დასავლეთ ოლქებში იწყებენ აღორძინებას ქალაქები. XII-XIII საუკუნეებში ისინი ხშირი ქსელივით ჰფარავენ ქვეყნის დიდ ნაწილს. რაინის და დუნაის გაყოლებით იქმნება მთელი რიგი ქალაქები, რომელთა ხელოსნობა ნავარაუდევია არა მარტო ადგილობრივი ბაზრისათვის, არამედ გასატანადაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საფეიქრო წარმოება და იარაღის დამზადება.

მეტი წილი ყველაზე მსხვილი ქალაქებისა, განსაკუთრებით რაინის გაყოლებით („ხუცესთა გზა"), იმყოფებოდა ფეოდალურ დამოკიდებულებაში ეპისკოპოსთაგან, რომელთაც მიღებული ჰქონდათ ოტონების დროს უმნიშვნელოვანესი საიმუნიტეტო უფლებები. უკვე XI საუკუნის დამლევისათვის იწყება რაინის სანაპირო მზარდი ხელოსნური და ვაჭრული მოსახლეობის შეტაკებანი თავიანთ სენიორ-ეპისკოპოსებთან და ხდება მთელი რიგი აჯანყებები.

მაგრამ გერმანიის ცალკეული ოლქები ძალიან სუსტად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. გერმანიაში ვერ შეიქმნა იმგვარი ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი, რომ მას შესძლებოდა ქვეყნის გაერთიანება. საიმპერატორო ძალაუფლება მხოლოდ ზერელედ აკავშირებდა ერთმანეთთან ცალკეულ დამოუკიდებელ ოლქებს.

ფრანკონული დინასტია. 1024 წ. გერმანიის და საღვთო რომის იმპერიის ტახტზე საქსონური დინასტია შეცვალა ფრანკონულმა ,ანუ სალიკურმა. ამ დინასტიის პირველი წარმომადგენელი იყო კონრად II (1024 — 1039 წწ.). თავის ბრძოლაში ჰერცოგების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ საქსონური დინასტია ეყრდნობოდა უმთავრესად მსხვილ საეკლესიო ფეოდალებს (იხ. თავი VII), რომელნიც ღებულობდნენ მეფეებისაგან მიწებს და საიმუნიტეტო უფლებებს („ოტონის პრივილეგიები"). მაგრამ ამით იმპერატორები ზრდიდნენ საეკლესიო ფეოდალების ძალას და გავლენას, რითიც უმზადებდნენ ახალ საფრთხეს საკუთარ ძალაუფლებას. ამიტომ კონრადი, რომელიც არ სტოვებს ოტონების ძველ პოლიტიკას, ეძებს ახალ დასაყრდენს და პოულობს მას წვრილ ფეოდალებში, რაინდობაში. კონრადი ცდილობდა არ დაეშვა საჰერცოგოების მემკვიდრეობით გადაცემა, სამაგიეროდ მის დროს წესად იქცა წვრილი ლენების მემკვიდრეობა. მან იწყო სამხედრო სამსახურის მოთხოვნა იმ რაინდებისაგან, რომელნიც არ იყვნენ მისი უშუალო ვასალები. იტალიაში იგი მხარს უჭერდა წვრილ ფეოდალებს — ვ ა ლ ვ ა ს ო რ ე ბ ს — მსხვილი ფეოდალების — კ ა პ ი ტ ა ნ ე ბ ი ს — წინააღმდეგ. წვრილი ფეოდალები საჭიროებდნენ ძლიერ ხელისუფლებას კლეხობის საბოლოო დამორჩილებისათვის და დაყმევებისათვის, და ჰხედავდნენ რა იმპერატორში დამცველს, ძლიერი სენიორების შევიწროებათა წინააღმდეგ, მხარს უჭერდნენ კონრადს გერმანიაში და იტალიაში.

ამის მეფობას ხშირად ჰხატავენ როგორც იმპერატორის ძალაუფლების უმაღლესი აყვავების ხანას. იგი ახერხებდა ჰერცოგების მორჩილებაში ყოლას. მის დროს იმპერიამ შეიერთა ბურგუნდიის სამეფო (1032 წ.).

კლუნიური მოძრაობა. ამ დროისათვის კათოლიკურ ევროპაში თვალსაჩინო როლის თამაში დაიწყო ჯერ კიდევ X საუკუნეში განვითარებულმა საეკლესიო მოძრაობამ, რომელმაც მიიღო თავისი სახელწოდება კლუნის მონასტრისაგან საფრანგეთის ბურგუნდიაში, სადაც მას ჩაეყარა პირველი საფუძველი. კათოლიკურ ეკლესიაში გაბატონებული დაქსაქსულობის და მისი სულ უფრო და უფრო საერო ორგანიზაციად გადაქცევის დასაპირისპირებლად, კლუნიელები ცდილობდნენ საეკლესიო დისციპლინის გაძლიერებას და პაპის მეთაურობით ცენტრალიზებულ საეკლესიო ორგანიზაციის შექმნას. ამ რეფორმის უმთავრეს მატარებლებს წარმოადგენდნენ მონასტრები. არსებობდა მთელი რიგი მიზეზები, რომელნიც აიძულებდნენ მონასტრებს ჰქონოდათ მისწრაფება ეკლესიის მთლიანობის და ორგანიზებულობის გამაგრებისადმი. მონასტერთა სამფლობელოები ძლიერ ზიანდებოდა ფეოდალური არეულობებისგან და დაპყრობებისგან. მონასტრები იყვნენ თავის დროის „საუკეთესო მეურნენი". მათ შესწევდათ უნარი თავიანთი მიწებისგან და ყმა-ხალხისაგან რაც შეიძლება მეტ შემოსავლის გამოქაჩვისა — გლეხობის დაყმევა არსად არ მიმდინარეობდა ისე ენერგიულად, როგორც სამონასტრო მიწებზე. ამიტომ მონასტრები საჭიროებდნენ ძლიერ ორგანიზაციას, გლეხობის წინააღმდეგობის გასასრესად. მონასტრები ძალიან ადრე იწყებენ კავშირის დაჭერას ბაზართან. ისინი არა შარტო მფარველობდნენ ვაჭრობას, არამედ თვითონაც ჰგზავნიდნენ გასაყიდად საკუთარი წარმოების მონარჩენებს (ნამეტებს) და სხვა მიწათმფლობელებზე ადრე იწყებენ გადასვლას სასაქონლო მეურნეობის გზაზე. ამიტომ ისინი დაინტერესებული იყვნენ სავაჭრო გზების დაცვაში და ასალი უფლებრივი ნორმების შემუშავებაში, რომელნიც შესაბამისი შეიქმნებოდა სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებისა. კლუნიელებსვე ეკუთვნით ცდები ფეოდალური შინა ომების შერბილებისა, ეგრეთწოდებული „ღვთის ზავის" და „ღვთის დროებითი ზავის" შემოღების საშუალებით (იხ. თავი IX).

კლუნიელი რეფორმატორები ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც შესძლებდა გამხდარიყო გადამწყვეტ ძალად დაქსაქსულ ფეოდალურ ევროპაში. ამისათვის, პირველ ყოვლისა საჭიროდ სთვლიდნენ ეკლესიის მორალური პრესტიჟის ამაღლებას; ეს უკანასკნელი დაცემული იყო იმის წყალობით, რომ ბევრი ეპისკოპოსი და აბატი არსებითად საერო სენიორად იქცა, ფიქრობდა მხოლოდ ომზე, ნადირობაზე, გართობაზე და საკუთარი შემოსავლის გაზრდაზე ყოველგვარი საშუალებებით. ეკლესიის ავტორიტეტი ილახებოდა აგრეთვე სამღვდელოების, განსაკუთრებით ბერების, აღვირახსნილი ცხოვრებით და მისი დიდი უვიცობით, ხშირად წერაკითხვის სრული უცოდინარობით. ამიტომ კლუნიელებმა წამოაყენეს საეკლესიო დისციპლინის ამაღლების პროგრამა. მათ შემოიღეს მკაცრი სამონასტრო წესდება, დაფუძნებული მორჩილებაზე და ასკეტიზმზე. ისინი ცდილობდნენ აემაღლებინათ საეკლესიო განათლება სამღვდელოების შორის სამონასტრო სკოლების დაარსებით. ამავე ზომებით კლუნიელები ცდილობდნენ აგრეთვე კარ-

გად მომზადებული და მორჩილი კადრების შექმნას, რომელნიც მზად იქნებოდნენ ექადაგნათ და გაეტარებინათ ცხოვრებაში რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს კ ლ უ ნ ი ო ს ი პ რ ო გ რ ა მ ა. მათ სურდათ წინააღმდეგობა გაეწიათ „ეკლესიის საეროდ ქცევისათვის", მისი საერო ხელისუფლებისადმი და საერო ინტერესებისადმი დამორჩილებისათვის. ამ მიზნით ისინი მოითხოვდნენ სამღვდელოების უცოლობის—ც ე ლ ი ბ ა ტ ი ს—შესახებ საეკლესიო წესების მკაცრად გატარებას ცხოვრებაში, ვინაიდან ცოლ-შვილიანი სამღვდელოება სამემკვიდრეოდ უტოვებდა თავის თანამდებობებს და სამფლობელოებს, და მათი დაკარგვის შიშით, იძულებული იყო თვალ-წარბში ეცქირა საერო ხელისუფლებისათვის. კლუნიელებს სურდათ, რომ ოჯახზე ზრუნვას არ ჩამოეშორებინა მღვდლები ეკლესიის სამსახურისათვის. კლუნიელები ხედავდნენ უმთავრეს საშიშროებას ეკლესიისათვის იმაში, რომ ეპისკოპოსები ემორჩილებოდნენ საერო მბრძანებლებს, როდესაც მეფეები და იმპერატორები ფაქტიურად ნიშნავდნენ ეპისკოპოსებს და აბატებს და ხშირად პირდაპირ მიჰყიდიდნენ ხოლმე მათ საეკლესიო თანამდებობებს. ეპისკოპოსის ხელთდასხმას თან ახლდა ეგრეთწოდებული ი ნ ვ ე ს ტ ი ტ ი ტ უ რ ა. საერთოდ ინვესტიტურას უწოდებდნენ სენიორის მიერ თავის ვასალისათვის ფეოდის გადაცემის აქტს. მაგრამ ეპისკოპოსებთან შეფარდებით ინვესტიტურა წარმოადგენდა არა მარტო მიწის სამფლობელოების გადაცემას, არამედ აგრეთვე სასულიერო წოდებაში დამტკიცებასაც, რის ნიშნად ეპისკოპოსი ღებულობდა ბეჭედს და კვერთხს. ინვესტიტურის უფლება არსებითად წარმოადგენდა ეპისკოპოსის თანამდებობებზე დანიშვნის უფლებას. დაწყებული ოტონიდან იმპერატორები მტკიცედ მისდევდნენ ამ წესს, ხედავდნენ რა მასში თავიანთი ძალაუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დასაყრდენთაგანს. კლუნიელებმა გაილაშქრეს იმპერატორის მიერ ეპისკოპოსებს ასეთი დამორჩილების წინააღმდეგ. საეკლესიო თანამდებობით ვაჭრობას მათ უწოდეს ს ი მ ო ნ ი ა (სიმონ-მოგვის სახელით, რომელმაც, ლეგენდის თანახმად, სთხოვა მოციქულებს მიეყიდნათ მისთვის სასწაულების მოხდენის უნარი). სიმონიის ცნებას ისინი ინვესტიტურასაც უქვემდებარებდნენ, ვინაიდან მის დროს ეპისკოპოსებს ახდევინებდნენ ფულს. მაგრამ ბევრი კლუნიელი ფიქრობდა, რომ ეკლესია დაინტერესებული უნდა ყოფილიყო საერო მბრძანებელთა ძალაუფლების გამაგრებაში და მათთვის მხარის დაჭერაში. ისინი იმედოვნებდნენ დასაყრდენის პოვნას მეფის ძლიერ ხელისუფლებაში, რომელსაც შეეძლებოდა ეკლესიის დაცვა ფეოდალთა ძალმომრეობისაგან და გლეხთა ოჯანყებებისაგან. ისინი ხედავდნენ, რომ ძლიერი მეფეების დროს ეკლესია ღებულობს წყალობად დიდ სამფლობელოებს, ხოლო სუსტი ხელისუფლების დაცემის დროს კი საეკლესიო სამფლობელოები იძარცვებოდნენ. ამგვარ კავშირს სასულიერო და საერო ხელისუფლების შორის ჰქადაგებდა კლუნიური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე პეტრე დამიანე. თავის მხრივ მრავალი მეფე უჭერდა მხარს კლუნიელებს, ხედავდა რა ეკლესიის გამაგრებაში საკუთარი ძალაუფლების გაძლიერების ერთ-ერთ საშუალებას. ამასთან ერთად კლუნიური მოძრაობა მათ ეჩვენებოდათ საეკლესიო მთავრების დამოუკიდებლობისადმი დაპირისპირებად.

ჰენრიხ III. ამ იდეათა ნიადაგზე იდგა კონრად II-ს შვილი და მემკვიდ-

რე ჰენრიხ III შავი (1039 — 1056 წწ.). იგი ჩაერია პაპობის საქმეებში, რომელიც ამ დროისათვის იქცა სათამაშოდ პაპის ოლქის ურთიერთ მოქიშპე ფეოდალთა ხელში; ისინი სვამდნენ პაპის ტახტზე, მთელი კათოლიკური სამყაროს საცთუნებლად, ყველაზე შეუფერებელ პირებს. ერთ დროს ამ ტახტისათვის იბრძოდა სამი პაპი, რომელთაგანაც ერთი არჩეული იყო პაპად 10 წლის ჰასაკში. ჰენრიხმა გაილაშქრა იტალიაში, ჩამოაგდებინა ტახტიდან სამივე პაპი და დანიშნა პაპად გერმანელი ეპისკოპოსი. ამის შემდეგაც იგი ნიშნავდა პაპის თანამდებობაზე გერმანელ სამღვდელო პირებს. ამგვარად მან გაანთავისუფლა პაპის ტახტი იტალიელი ფეოდალების მიმართ მორჩილებისაგან და დაუმორჩილა იგი იმპერატორის ძალაუფლებას. ამასთანავე ერთად იგი ცდილობდა პაპების ავტორიტეტის ამაღლებას, და საკმარისად არ უწევდა ანგარიშს იმას, რომ ამით იგი უმზადებდა ახალ საფრთხეს იმპერიას. მის მიერ დანიშნული პაპი ლეონ IX იყო კლუნიური რეფორმის გულმოდგინე მიმდევარი. პაპის კარზე სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას იხვეჭენ უკიდურესი მინდინარეობის მომხრენი კლუნიელთა შორის, რომელნიც ჰქადაგებდნენ, რომ სასულიერო ხელისუფლება უფრო მაღლა სდგას საეროზე, რომ პაპი უნდა შეიქმნეს არა მარტო ეპისკოპოსთა და აბატთა, არამედ მეფეების და იმპერატორების მბრძანებლადაც. ისინი ამბობდნენ, რომ ეკლესიამ უნდა იბატონოს საერო მბრძანებლებზე, „ისევე როგორც სულმა სხეულზე". საერო ხელისუფლების ყოველგვარ ჩარევას ეპისკოპოსთა დანიშვნის საქმეში ისინი სიმონიას უწოდებდნენ.

XI საუკუნის ნახევარში შეიქმნა კლუნიელთათვის ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება. ჰენრიხ III სიკვდილის შემდეგ, მისი მემკვიდრის ჰენრიხ IV (1056 — 1065 წწ.) მცირეწლოვანობის დროს, იმპერატორის ხელისუფლება განიცდიდა სრულ დაცემას. საერო და საეკლესიო მთავრები ამ დროს აღწევენ სრულ დამოუკიდებლობას. ერთ ხანად კელნის არქიეპისკოპოსმა განონმა ტყვედაც კი ჩაიგდო ახალგაზრდა მეფე და იწყო სახელმწიფოს მართვა მისი სახელით. პაპობას ახლა შეეძლო ემოქმედნა, და არ ჰქონოდა იმის შიში, რომ იმპერატორი შეუშლიდა მას ხელს. პაპების არჩევნები წარმოებს გერმანიის სამეფო კარის ჩაურევლად. პაპობა იყენებს შექმნილ მდგომარეობას და იწყებს მთელ რიგ მნიშვნელოვანი ორგანიზაციული, კლუნიური პროგრამის შესაბამისი რეფორმების ჩატარებას.

გრიგოლ VII (ჰილდებრანდი). ამ რეფორმების სული და გული იყო ჰილდებრანდი, რომელიც ჰმართავდა ფაქტიურად პაპის ტახტის საქმეებს და ხელმძღვანელობდა მის პოლიტიკას რამოდენიმე პაპის დროს. თვით ჰილდებრანდმა გაიარა მონაზონური ასკეტიზმის მკაცრი სკოლა კლუნიში და განიმსჭვალა მისი იდეოლოგიით ამ უკანასკნელის ყველაზე უფრო უკიდურეს ფორმაში. ლატერანის საეკლესიო კრებამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჰილდებრანდი, 1059 წ. პაპის ამორჩევის საქმის რეორგანიზაცია მოახდინა. არჩევნები უნდა ეწარმოებინათ კარდინალებს — დიდ საეკლესიო მოხელეებს, რომელნიც ღებულობდნენ თავიანთ ტიტულს პაპისაგან. „რომაელ ერს" და სამღვდელოებას მხოლოდ ატყობინებდნენ არჩევნების შედეგებს. რომის დიდებულობა სრულიად მოკლებული იყო საშუალებას რამენაირად ჩარეულიყო

არჩევნების საქმეში. იმპერატორს დაუტოვეა დამტკიცების ძოჩვენებითი უფლება. ლატერანის კრებაზე დადასტურებულ იქნა დადგენილებები სამღვდელოების უცოლობის შესახებ. კრებამ გადაჭრით გაილაშქრა საერო ხელისუფლების მიერ ეპისკოპოსების ინვესტიტურის წინააღმდეგ.

საეკლესიო კრების დადგენილებებმა გამოიწვიეს ოპოზიცია სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილისა. განსაკუთრებით არა პოპულარული იყო სამღვდელოების უცოლობის სავალდებულობა. ბევრ საეკლესიო მთავარს, რომელსაც მიღებული ჰქონდა თავისი სამფლობელოები „სიმონიის“ და ინვესტიტურის გზით, სრულიადაც არ სურდა პაპის ხელისუფლების გაძლიერება.

ჰილდებრანდი არ შედრკა ამ წინააღმდეგობით და განაგრძობდა დაჟინებით თავისი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას. მან გამოიჩინა მსხვილი დიპლომატის ნიჭი, მოხერხებულად იყენებდა შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. საიმპერატორო ხელისუფლების საწინააღმდეგო დასაყრდენის მოსაპოვებლად, მან შეკრა კავშირი სამხრეთ იტალიელ ნორმანებთან. ნორმანების ბელადმა რობერტ გვისკარმა მიიღო პაპისაგან აპულიისა და კალაბრიის ჰერცოგის ტიტული და სამავიეროდ სცნო პაპის სიუზერენიტეტი და იკისრა მისი დაცვა მტერთაგან. ჰილდებრანდმა შექმნა აგრეთვე პაპის კავშირი ძლიერ ტოსკანის სამარკიზოსთან. ერთ-ერთი თავისი მთავარი მოწინააღმდეგე იტალიაში — მილანის არქიეპისკოპოსი—მან აიძულა მას დაჰმორჩილებოდა, მილანში დაწყებული ხელოსნების და ქალაქის ღარიბ-ღატაკთა მოძრაობის—პ ა ტ ა რ ი ი ს, დემაგოგიური მხარის დაჭერით, ამ მოძრაობას შეუერთდნენ აგრეთვე წვრილი რაინდები, რომელნიც მტრობდნენ თავიანთ სენიორს — არქიეპისკოპოსს.

1073 წ. ჰილდებრანდი შეიქმნა პაპად გრიგოლ VII სახელწოდებით. მისი საეკლესიო-პოლიტიკური პროგრამა გადმოცემული იყო მის მიერ „პ ა პ ი ს დ ი ქ ტ ა ტ შ ი“. მასში გრიგოლი ამტკიცებს, რომ მხოლოდ პაპს ეკუთვნის ეპისკოპოსების დანიშვნისა და გადაყენების უფლება, პაპი არის სენიორი ყველა მეუფეთა, რომელნიც უნდა წარმოადგენდნენ მის ვასალებს და მისგან უნდა ღებულობდნენ თავიანთ ძალაუფლებას, როგორც ლენს; პაპს აქვს უფლება მეფეების გასამართლებისა და დასჯისა, მათი ქვეშევრდომების განთავისუფლებისა მათდამი მორჩილებისაგან, პაპის გასამართლება კი არავის არ შეუძლიან, მეფეებმა უნდა მას ფეხები უკოცნონ. მისთვის დამახასიათებელი ფანატიკური ენერგიით, გრიგოლმა იწყო თავისი პროგრამის ცხოვრებაში გატარება. მისი მმართველობის პირველსავე ნაბიჯებმა მიიყვანეს იგი მკვეთრ განხეთქილებამდის იმპერატორთან. 1074 წ. გრიგოლ VII გადააყენა რამდენიმე გერმანელი ეპისკოპოსი, რომელნიც, მისი აზრით, უკანონოდ იყვნენ დანიშნული, ვინაიდან მათ იყიდეს თავიანთი თანამდებობები. მან გამოაცხადა მკვეთრი პროტესტი იმპერატორის ეპისკოპოსების არჩევნებში ჩარევის წინააღმდეგ. მაგრამ იგი შეეტაკა მეფე ჰენრიხ IV მედგარ წინააღმდეგობას.

გრიგოლ VII ბრძოლა ჰენრიხ IV. 1065 წლიდან ჰენრიხ IV თვითონ დაიწყო სახელმწიფო საქმეების მართვა. ახალგაზრდა მეფეში გრიგოლმა ჰპოვა ღირსეული მოწინააღმდეგე. ჰენრიხ IV კარგ განათლებას უერთდებოდა სარდლის და პოლიტიკოსის ნიჭი. იგი იყო ამაყი, ფიცხი, თავმოყვა-

რე, მაგრამ როდესაც ამას მოითხოვდა საჭიროება, მას შეეძლო დამორჩილება და საიდუმლოდ ახალი იერიშების მზადება. როგორც კონრად II, ესეც ეძებდა დასაყრდენს წვრილ რაინდობაში, რათა მისი დახმარებით დაემხო მთავრების და ეპისკოპოსების დამოუკიდებლობა და შეექმნა გერმანიაში ძლიერი სამეფო ხელისუფლება.

განსაკუთრებით გაბედულად ატარებდა იგი ამ პოლიტიკას საქსონიაში, სადაც ფეოდალებს მეფის მიმართ დამოუკიდებლად და მტრულადაც კი ეჭირათ თავი. მან დაიწყო საქსონიაში სასულიერო და საერო ფეოდალთაგან მათ მიერ მითვისებული სამეფო მიწების ჩამორთმევა და ციხე-სიმაგრეების შენება. ამან გამოიწვია საქსონელი სასულიერო და საერო დიდკაცობის აჯანყება, რომელთაც მალე შეუერთდა გლეხობაც, გაბრაზებული იმით, რომ ჩამორთმეულ სამეფო მიწებზე ჰენრიხმა დაიწყო გადიდებული ბეგარების მოთხოვნა.

ამგვარად დაწყებულმა საგლეხო მოძრაობამ მალე ფეოდალთა საწინააღმდეგო საერთო ამბოხებაში გადაზრდა დაიწყო. ამავე დროს რაინზე დაიწყო ქალაქების მოძრაობა სენიორთა წინააღმდეგ. ყველა ამან აიძულა საქსონური დიდკაცობის ნაწილი შერიგებოდა მეფეს. ამის წყალობით ჰენრიხ IV შესძლო დაემარცხებინა დიდკაცობის დანარჩენი ნაწილი (1075 წ.) და ბოლო მოეღო ფეოდალთა აჯანყებისათვის თავისთვის ხელსაყრელ პირობებში. მაგრამ ამ დროს დაიწყო მისი ბრძოლა გრიგოლ VII. პაპის მოთხოვნილებების საპასუხოდ ჰენრიხ IV საკუთარი ძალაუფლებით დანიშნა ვაკანტურ ადგილებზე მთელი რიგი ეპისკოპოსები. ამაზე გრიგოლ VII უპასუხა მეფეს მუქარით საგსე ეპისტოლეთი (1075 წ. დეკემბერი). მაშინ ჰენრიხ IV 1076 წ. იანვარში მოიწვია ვორმსში საეკლესიო კრება, რომელმაც გამოაცხადა გრიგოლი VII გადაყენებულად. მან გაუგზავნა გრიგოლს რომში შეურაცხმყოფელი წერილი, მიმართული „ჰილდებრანდის ახლა უკვე არა პაპის, არამედ ცრუ მონაზონისადმი და დამთავრებული ასე: „ჩვენ, ჰენრიხი, მეფე ღვთის წყალობითა, ყველა ჩვენ ეპისკოპოსებთან ერთად გეუბნებით შენ — დაიკარგე დაიკარგე!“ მაგრამ ჰენრიხმა ჯეროვანად ვერ შეაფასა პაპობის ბალა. გრიგოლი სრულიადაც არ შეაშინა მისმა მუქარამ. თავის საეკლესიო კრებაზე მან გამოაცხადა ჰენრიხი ძალაუფლება ჩამორთმეულად, განკვეთა იგი ეკლესიისგან და გაანთავისუფლა მისი ქვეშევრდომები ერთგულების ფიცისაგან. ეს იქცა ჰენრიხის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ფეოდალების ახალი გამოსვლის ნიშნად. ტრიბურში მოწყობილ (1076 წ. ოქტომბერში) მთავრების და პრელატების ყრილობაზე დადგენილ იქნა, რომ ჰენრიხ IV დროებით უარი უნდა სთქვას ძალაუფლებაზე და უნდა გამოუცხადოს მორჩილება პაპს, რომლისგანაც დამოკიდებული იქნება მისი შემდგომი ბედ-იღბალი. ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ჰენრიხ IV გადაწყვიტა მოსაჩვენებლად მაინც შერიგებოდა პაპს. 1077 წ. იანვარში იგი ვაემართა იტალიაში ულაშქროდ, პაპთან შეხვედრის მიზნით. პაპმა, რომელსაც ეშინოდა მტრული მოქმედებისა ჰენრიხის მხრივ, შეაფარა თავი თავისი მოკავშირის, ტოსკანის მარკგრაფი ქალის მატილდას ციხე-კოშკს — კანოსას. ჰენრიხს მოუხდა თავის დამდაბლება. მონანიე ცოდვილის ტანსაცმელში გამოწყობილი იგი იძულებული იყო 3 დღე ეცადნა, სანამ პაპმა არ მიიღო იგი და არ შეუნდო მის წინაშე

დაჩოქილ მეფეს. ამ მომენტში ყველაზე საშიშ მტერთან შერიგებამ, ჰენრიხს ხელები გაუხსნა გერმანიაში. იგი საჩქაროდ დაბრუნდა გერმანიაში, სადაც მთავრებმა გამოაცხადეს იგი ტახტიდან გადაყენებულად და, მის ნაცვლად, აირჩიეს ახალი მეფე. ბრძოლა გერმანიაში გაგრძელდა რამდენიმე წელიწადს. 1080 წ. ჰენრიხ IV, რომლის საქმეები გერმანიაში გაუმჯობესდა, დანიშნა ახალი პაპი, ანუ, უფრო სწორედ, ანტიპაპი, კლიმენტ III და გაილაშქრა რომზე, რათა კურთხეულიყო იქ იმპერატორის გვირგვინით (1084 წ.), მან შესძლო ქალაქის ნაწილის ხელში ჩაგდება, ხოლო გრიგოლ VII გამაგრდა წმ. ანგელოზის ციხეში. რომის ქუჩებში წარმოებდა სისხლის ღვრა. პაპის მდგომარეობა იყო მეტად სახიფათო, და იგი დაიხსნა მხოლოდ ნორმანების ჩარევამ.

რობერტ გვისკარი, რომელსაც აშინებდა თავისი სამფლობელოების ბედიღბალი იმ შემთხვევაში, თუ იმპერატორი დამკვიდრდებოდა რომში და იტალიაში, დაიძრა თავისი ჯარით რომისკენ და გააძევა იქიდან გერმანელები. მაგრამ თვითონ ნორმანებმა სრულიად გაძარცვეს რომი, მრავალი ხალხი წაიყვანეს ტყვეობაში და დაჰყიდეს მონებად. რომის გამძარცველ ნორმანდიელ ჯარებს შორის ბევრი იყო სამხრეთ იტალიელი და სიცილიელი მაჰმადიანი.

ვორმსის კონკორდატი. მას შემდეგ რაც მისმა მოკავშირეებმა აიკლეს ქალაქი, გრიგოლს აღარ შეეძლო რომში დარჩენა. იგი გაჰყვა თან ნორმანებს ამალფში, სადაც გარდაიცვალა (1085 წ.). მაგრამ ბრძოლა ამით არ დასრულებულა. გრიგოლ VII მემკვიდრეები, განსაკუთრებით მისი მომდევნო პაპი, ურბანი II, განაგრძობდნენ გამწვავებულ ბრძოლას ინვესტიტურისათვის იმავე ჰენრიხ IV, უჯანყებდნენ მას ჰერცოგებს და საკუთარ შვილებსაც კი. 1106 წ. ჰენრიხ IV გარდაიცვალა. მისმა შვილმა ჰენრიხ V (1106—1125 წწ.), რომელიც მამის სიცოცხლის დროს იცავდა პაპის პოზიციებს, შეიქმნა რა მეფედ, განაგრძო პაპთან ბრძოლა. ბრძოლა დასრულდა 1122 წ. ეგრეთწოდებულ ვ ო რ მ ს ი ს კ ო ნ კ ო რ დ ა ტ ი თ, რომელიც წარმოადგენდა იმპერატორის და პაპის შორის კომპრომისის ცდას. ვორმსის კონკორდატმა შემოიღო ახალი წესი ეპისკოპოსის თანამდებობაზე დანიშვნისა. ეპისკოპოსს ირჩევდა სამღვდელოება. ამასთან ერთად გერმანიაში ეს არჩევნები წარმოებდა იმპერატორის ან მისი დელეგატის თანდასწრებით, რომელთაც აქვთ ჩარევის უფლება აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში. „საერო ინვენსტიტურას“ — კვერთხის გადაცემას, რომელიც სიმბოლიურად გამოხატავდა საეპისკოპოსო მიწების მფლობელობას, — აწარმოებდა იმპერატორი. ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა „სასულიერო ინვესტიტურას“—ბეჭდის და სამღვდელმთავრო კვერთხის გადაცემას, რომელიც სიმბოლიურად გამოხატავდა ეპისკოპოსის საეკლესიო ძალაუფლებას. ამას ასრულებდნენ სასულიერო ხელისუფალნი. იტალიაში იმპერატორი არ უნდა ჩარეულიყო არჩევნებში, და სასულიერო ინვესტიტურა წინ უსწრებდა საეროს. კონკორდატი საერთოდ წამოადგენდა ორპოფულ გადაწყვეტილებას, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა ვერც ერთს და ვერც მეორე მხარეს.

იმპერატორის ხელისუფლების შეჯახებამ პაპის ძალაუფლებასთან მისცა ბიძგი შუა საუკუნეების პოლიტიკურ აზროვნებას. ბრძოლა წარმოებდა არა

მარტო იარაღით, არამედ პოლიტიკური პამფლეტებითაც. გრიგოლ VII და მისი მომხრენი ასაბუთებდნენ პაპების ზემდგომობას იმპერატორებზე სამღვთო წერილით და წმინდა მამებზე მითითებით, და აგრეთვე ისტორიული მაგალითებით. იმპერატორის მომხრენი თავის მხრივ უთითებდნენ ისტორიაზე და ამტკიცებდნენ, რომ პაპების მოთხოვნილებები წარმოადგენენ ახალს და გაუგონარ რასმე. ისინი იმის დამტკიცებას ცდილობდნენ, რომ ძალაუფლება სამეფოებზე ეკუთვნის ღმერთს, და არა პაპს. ამასთან ერთად ისმებოდა თვით იმპერატორის ხელისუფლების წარმოშობის საკითხი. იმპერატორის მომხრენი სთვლიდნენ, რომ იგი ღვთაებრივი წარმოშობისაა. პაპის მომხრეებმა წამოაყენეს მეუფესა და ხალხს შორის დადებული ხელშეკრულების თეორია. და ამტკიცებდნენ, რომ ხალხს აქვს უფლება ცუდი მეფეების გადაყენებისა. ეს პამფლეტები გადაწერის საშუალებით ფართოდ ეცცელდებოდა.

მთავრების ძალაუფლების გაძლიერება. იმპერატორების და პაპების შორის წარმოებული ბრძოლის მნიშვნელოვან პოლიტიკურ შედეგს წარმოადგენდა იმპერატორის ძალაუფლების შესუსტება გერმანიაში. ამიერიდან მთავრების ყრილობებისაგან, ეგრეთწოდებული რ ა ი ხ ს ტ ა გ ე ბ ი ს ა გ ა ნ, ანუ ს ა ი მ პ ე რ ი ო ს ე ი მ ე ბ ი ს ა გ ა ნ, შეიქმნა დამოკიდებული იმპერატორის მიერ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. მოგვიანებით მთავრებს შეუერთეს იმ ქალაქების დელეგატები, რომელნიც უშუალოდ იყვნენ იმპერატორისგან დამოკიდებულნი, მაგრამ ისინი ცხადდებოდნენ რაიხსტაგზე მხოლოდ იმ საქმეების განხილვის დროს, რომელნიც ეხებოდა უშუალოდ მათ.

ფრიდრიხ I ბარბაროსა. 1125 წ. ჰენრიხ V. სიკვდილით. მოისპო ფრანკონული დინასტია. დაიწყო ტახტისათვის ბრძოლა. სამეფო გვირგვინის ყველაზე ძლიერ პრეტენდენტებს წარმოადგენდნენ შტაუფენები, ანუ ჰოჰენშტაუფენები, — შვაბიის და ფრანკონიის ჰერცოგები, ველფები — ბავარიის ჰერცოგები; და ბოლოს, საქსონიის ჰერცოგები. მცირედი ხნით ტახტი ჩაიგდო ხელში საქსონურმა დინასტიამ, მაგრამ შემდეგ ერთ საუკუნეზე მეტი ხნით იგი ხვდა წილად ჰოჰენშტაუფენების დინასტიას (1137 — 1254 წწ.). ამ დინასტიის პირველი მეფე იყო კონრად III, მეორე — მისი ძმისწული, სახელგანთქმული ფრიდრიხ ბარბაროსა.

ფრიდრიხ I ბარბაროსა (1152 — 1190 წწ.) იყო გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე უდიდეს იმპერატორთაგანი. შესანიშნავი სარდალი, შორსმხედველი და საქმიანი პოლიტიკოსი; იგი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა თანამედროვეებზე, რომელნიც აღნიშნავენ მის განსაცვიფრებელ გულადობას, მაგრამ ამავე დროს განუსაზღვრელ პატივმოყვარეობას, რომელიც ხშირად ჩაადენინებდა ხოლმე მას გულქვა საქციელს.

პაპების მსოფლიო ბატონობის პრეტენზიებისთვის დასაპირისპირებლად ფრიდრიხ I აყენებდა ასეთივე მოთხოვნილებებს იმპერატორის მხრივ. იგი მოითხოვდა მორჩილებას არა მარტო გერმანიის და იტალიის სასულიერო და საერო მთავრებისაგან, არამედ აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა მეფეებისაგანაც, რომელთაც იგი სთვლიდა იმპერატორის ვასალებად. მაგრამ პოლიტიკური სი-

ტუაცია წმინდა რომის იმპერიაში სულაც არ უწყობდა ხელს ამ მედიდური გეგმების ცხოვრებაში გატარებას. პირველ ყოვლისა, ფრიდრიხი წააწყდა სიძნელეებს გერმანიაში. იმპერატორს საქმე ჰქონდა მთავრების გაძლიერებულ ხელისუფლებასთან; ამ მთავართაგან ყველაზე ძლიერნი XII საუკუნის ნახევარში იყვნენ ველფები.

ამას გარდა, მეტად გართულდა გერმანიის მეფეების მდგომარეობა იტალიაში. საქმის გართულება დაიწყო ჯერ კიდევ ჰენრიხ IV დროს, მაგრამ ახლა მან მიიღო უფრო მწვავე გამოსახულება. ერთ-ერთ ამათგანს წარმოადგენდა პაპის ძალაუფლების გაძლიერება, რომელიც დაიწყო გრიგოლ VII დროიდან.

მეორე უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს ჩრდილო იტალიის (ლომბარდიის) ქალაქების ეკონომიური ძლიერების ზრდა. ამ ქალაქების ზრდას ძალიან შეუწყეს ხელი ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა. იტალიის პოლიტიკურ დაქსაქსულობას, ცალკეული მსხვილი ფეოდალების შედარებით სისუსტეს, წვრილი ფეოდალების კავშირს ქალაქებთან მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ — ყველაფერს ამას ის შედეგი ჰქონდა, რომ იტალიის ქალაქებმა შედარებით ნაადრევად მიაღწიეს დამოუკიდებლობას. ქალაქებმა მიიღეს თვითმართველობის, საკუთარი ფულის მოჭრის, თვით დაბეგვრის უფლებები, ვაჭრობისათვის სრული კონტროლის გაწევის უფლება საკუთარი მოხელეების მიერ. მართალია, ლომბარდიის და ტოსკანის ქალაქები ითვლებოდნენ იმპერატორისგან დამოკიდებულად, ვინაიდან ჩრდილო და შუა იტალია შედიოდნენ რომის საღვთო იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ ეს დამოკიდებულება იყო ნომინალური. იგი ისაზღვრებოდა იმით, რომ ქალაქები ზოგიერთ შემთხვევაში აძლევდნენ იმპერატორს ფულად სუბსიდიებს და დამხმარე რაზმებს. რაც შეეხება იტალიის სამხრეთ ნაწილს და სიცილიას, იქ მოხდა ნორმანული სამთავროების გაერთიანება ერთ ძლიერ ნორმანულ სამეფოდ (1130 წ.) როჟერ II სიცილიელის ძალაუფლების ქვეშ. ამ სამეფომ მიიღო სიცილიის, ანუ ორივე სიცილიის სამეფოს სახელწოდება. თავისი გაძლიერებით მან გამოიწვია ბიზანტიის, ვენეციის, პაპის და გერმანიის იმპერატორის შეშფოთება. როჟერმა დაიპყრო ჩრდილო აფრიკის სანაპიროს ნაწილი და აწარმოებდა ბიზანტიასთან წარმატებით ბრძოლას.

ასეთი იყო ის ახალი ფაქტორები, რომლებიც ახდენდა გადამწყვეტ გავლენას გერმანიის და იტალიის ურთიერთობაზე XII საუკუნეში. ამ გართულებულ პირობებში უხდებოდა მოქმედება ფრიდრიხ I.

გერმანიაში ენერგიულმა ჰოჰენშტაუფენმა შედარებით მალე მიაღწია თავისი ხელისუფლების განმტკიცებას. ძლევამოსილი ველფები მან შეირიგა, უბოძა რა მათ ტერიტორიული კომპენსაციები, მეამბოხე დიდკაცობას ფრიდრიხ I მკაცრად გაუსწორდა. დიდკაცობისაგან ჩამორთმეულ მიწებზე ფრიდრიხი ასახლებდა წვრილ რაინდობას, რომელიც დამოკიდებული იყო უშუალოდ იმპერატორისაგან და წარმოადგენდა მისი ძალაუფლების დასაყრდენს.

მაგრამ ასევე ბედნიერად და კეთილად ვერ მოეწყო ბარბაროსასათვის იტალიის საქმეები. იგი ფიქრობდა გამოეყენებინა ლომბარდიის მდიდარი ქა-

ლაქების რესურსები თავის ხელისუფლების გასამაგრებლად გერმანიაში და იტალიაში. ამიტომ მან მთავარი იერიში ჩრდილო იტალიის ქალაქების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიიტანა.

ფრიდრიხ I იტალიაში პირველი ლაშქრობის უშუალო მიზანს წარმოადგენდა რომში იმპერატორის გვირგვინით დაგვირგვინება. ამ დროს პაპი არ იყო რომის მფლობელი. 1143 წ. რომის ვაჭრები და ხელოსნები გაერთიანდნენ წვრილ რაინდებთან, ჩაიგდეს ხელში ქალაქის ძალაუფლება და დაამყარეს რესპუბლიკა, რომლის სათავეში ჩააყენეს 56 კაცისაგან შემდგარი ამორჩეული სენატი.ახალი რესპუბლიკა სთვლიდა თავის თავს ანტიკური რომის ტრადიციების და სიდიადის მატარებლად. რომის რესპუბლიკაში განსაკუთრებულ გავლენით სარგებლობდა იმ დროის ეროი ყველაზე გამოჩენილი პოლიტიკური მოაზროვნე და მოღვაწე არნოლდ ბრეშიელი. იგი ილაშქრებდა პაპის საერო ხელისუფლების წინააღმდეგ, მოითხოვდა რომ ეკლესიას უარი ეთქვა მიწების სამფლობელოებზე და დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ თავისი სასულიერო როლით. როდესაც ფრიდრიხი უახლოვდებოდა რომს, რომის რესპუბლიკის ელჩებმა, იმის იმედით, რომ პაპის წინააღმდეგ იმპერატორი მათ დაბმარებას გაუწევდა, მისთავაზეს მას გვირგვინი სენატის სახელით. ფრიდრიხმა ზიზღით უარი განაცხადა გვირგვინის მიღებაზე რომის რესპუბლიკისაგან და რომში შესვლის შემდეგ მიიღო გვირგვინი პაპისგან. მაგრამ მან ვერ შესძლო რომში დამკვიდრება. გერმანელი მეომრების მოძალადეობამ გამოიწვია რომის მოსახლეობის აჯანყება, და გაწბილებულ ფრიდრიხს მოუხდა წასვლა იტალიიდან. მაგრამ ფრიდრიხმა მოასწრო არნოლდ ბრეშიელის დაპატიმრება და მისი გადაცემა პაპისათვის სიკვდილით დასასჯელად. შესანიშნავი მოაზროვნე დაახრჩეს და მისი გვამი დასწვეს კოცონზე. მაგრამ მშვიდობიანი ურთიერთობანი იმპერატორს და პაპს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. გარდა იმისა, რომ ფრიდრიხ I მოურიდებლად არღვევდა ვორმსის კონკორდატის პირობებს გერმანიაში, ეპისკოპოსების თავისი ნებით დანიშვნით და გადაყენებით, პაპი ჰხედავდა სერიოზულ შექარას იმ გეგმებშიც, რომლებიც ჰქონდა ფრიდრიხს იტალიის შესახებ. მათ შორის შეტაკება გარდაუვალი იყო და მალეც მოხდა იგი.

1157 წ. ბეზანსონში მოწვეულ იქნა რაიხსტაგი. აქ მოხდა მკვეთრი შეტაკება იმპერატორთან დაახლოებულ ხალხსა და პაპის ლეგატს როლანდს შორის. როლანდმა წაიკითხა პაპის წერილი, რომლის ერთი ფრაზა შეიძლებოდა გაეგოთ ისე, ვითომც იმპერატორი ღებულობს თავის ძალაუფლებას პაპისაგან. ამით აღშფოთებული ბავარიის პფალცგრაფი ოტო ვიტელსბახი ეკვეთა პაპის ლეგატს ამოღებული მახვილით. იმპერატორმა დაიფარა პაპის ლეგატი, მაგრამ უბრძანა რომის ელჩებს დაეტოვებინათ რაიხსტაგი. აქ დაიწყო ანხეთქილება ფრიდრიხსა და პაპის ხელისუფლებას შორის.

ბეზანსონის რაიხსტაგზე გადაწყდა შემდეგი გალაშაქრება იტალიაში, რომელიც შედგა 1158 წ. ამა წლის ნოემბერში, რონკალის ველზე, პიაჩენცას მახლობლად, მოწვეულ იქნა ყრილობა, რომელზედაც მიიწვიეს ჩრდილო იტალიის ქალაქთა წარმომადგენლები. ამას გარდა მიწვეულ იქნენ ბოლონიიდან რომის სამართალში განსწავლული იურისტები, რომელთაც უნდა მიეცათ თეორიული დასაბუთება მონარქის შეუზღუდავი ძალაუფლებისათვის.

ამ იურიდიული კოლეგიის თანადაყრებით გულდასმით იქნა გადასინჯული ქალაქების თვითმართველობის უფლებები. სცნეს მხოლოდ ის უფლებები, რომელნიც ემყარებოდა იმპერატორის მიერ ბოძებულ სიგელებს. ყოველ ქალაქს მოუხდა თავისი „რეგალიების“ დასაბუთება. ყველა უფლებები, რომელნიც არ იყვნენ დადასტურებულნი იმპერატორის სიგელებით, ცნობილ იქნენ უზურპაციად. იმპერატორმა დაიტოვა უფლება ეგრეთწოდებული, პ ო დ ე ს ტ ა ს, ე. ი. საკუთარი მოხელეების დანიშვნისა, რომელნიც უნდა ქცეულიყვნენ უზენაეს მაგისტრატებად ქალაქებში. ამგვარად ქალაქები ჩააგდეს სრულ დამოკიდებულებაში იმპერატორისაგან.

ამ საფრთხის წინაშე, მუდამ ერთმანეთის წინააღმდეგ მოქიშპე იტალიის ქალაქებმა, თავდაპირველად ვერ შესძლეს ერთსულოვნად გალაშქრება. იმ დროს, როდესაც ზოგიერთმა მათგანმა, მათ შორის ლომბარდიის უძლიერესმა ქალაქმა მილანმა, უარი განაცხადა იმპერატორისადმი მორჩილებაზე, დანარჩენებმა, პირიქით, იმპერატორის მხარე დაიჭირეს.

რათა დაესაჯა მილანი წინააღმდეგობისათვის, ფრიდრიხ გარემოიცვა ქალაქი თავისი ჯარებით და ორი წლის გარემოცვის შემდეგ აიძულა იგი დაჰნებებოდა (1162 წ.). მილანის მცხოვრებნი იძულებული იყვნენ ყელზე თოკმობმული ქალაქიდან გამოსულიყვნენ და იმპერატორს შევედრებოდნენ შეწყალებას. მილანი გაასამართლეს და სასამართლოს დადგენილებით ქალაქი დაანგრიეს. ქალაქის ნაადგილარზე გაატარეს გუთნის ხნული, ნიშნად იმისა, რომ იგი აღარ უნდა აღდგენილიყო. ქალაქის მთელი მოსახლეობა დაასახლეს რამდენიმე სოფელში და მძიმედ დაბეგრეს იმპერატორის სასარგებლოდ. მილანის საუკეთესო მიწები მიითვისა იმპერატორმა.

ამ საშინელმა სასჯელმა, რომელმაც თავდაპირველად აიძულა იტალიის ქალაქები დამორჩილებოდნენ, გამოიწვია ვამოძახილი მთელს იტალიაში. ამაზე უფრო ადრე (1159 წ.) პაპის ტახტზე ავიდა ალექსანდრე III სახელით სწორედ ის როლანდი, რომელიც იყო პაპის ლეგატად ბეზანსონის რაიხსტაგზე. ალექსანდრე III დაიწყო იტალიის ძალების შემოკრება იმპერატორის წინააღმდეგ. პაპის მიერ ორგანიზებულ კოალიციაში შევიდნენ სიცილიის სამეფო და ვენეცია. მაგრამ ამ კავშირის მთავარ ძალას შეადგენდნენ ლომბარდიის ქალაქები, რომლებშიაც ფრიდრიხის მიერ დანიშნული მოხელეების პარპაშმა უკვე გამოიწვია საერთო აღშფოთება. 1167 წ. დაარსებულ იქნა ლ ო მ ბ ა რ დ ი ი ს ლ ი გ ა. ამ ლიგას შეუერთდა ლომბარდიის ქალაქთა უმრავლესობა, დავიწყებულ იქნა რა ჩვეულებრივი ქიშპობა, მათ შორის ლიგის დახმარებით აღდგენილი მილანიც. ლიგამ დაარსა ძლიერი სიმაგრე ვერჩელის მახლობლად და უწოდა მას პაპის სახელი ალექსანდრია.

1174 წ. ფრიდრიხმა ხელახლა გადალახა ალპები 8 ათასი კაცისგან შემდგარი მცირერიცხოვანი არმიით, რომლითაც მას არ შეეძლო მიეღწია მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის ლიგის წინააღმდეგ. ალექსანდრიის გარემოცვა დამთავრდა მარცხით. ფრიდრიხი ამარად მოითხოვდა დახმარებას გერმანელი მთავრებისაგან, რომელნიც სრულიადაც არ ცდილობდნენ იმპერატორისათვის დასაყრდენის შექმნას იტალიაში. კერძოდ არ გაუწია მას დახმარება უძლიერესმა გერმანელმა მთავარმა ჰენრიხ ლომმა, ველფების დინასტიიდან, ბავა-

რიის და საქსონიის ჰერცოგმა, რომელსაც ეკუთვნოდა გერმანიის ტერიტორიის ორი მეხუთედი.

1176 წ. მილანის მახლობლად, ქალაქ ლენიანოსთან, მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ფრიდრიხსა და ჩრდილო იტალიის ქალაქების ლაშქარს შორის, რომელიც დასრულდა გერმანელთა განადგურებით. თვით იმპერატორი ჩამოაგდეს ცხენიდან და მან ძლივს მოასწრო გადარჩენა, მისი ლაშქარი დაიქსაქსა. ფრიდრიხი ახლა არსაიდან არ ელოდა დახმარებას, ამიტომ იგი იძულებულ იქნა წასულიყო კაპიტულაციაზე ლიგის წინაშე. 1177 წ. ვენეციაში მოწვეულ იქნა კონგრესი, რომელზედაც გამოცხადნენ ჩრდილო იტალიის ქალაქების წარმომადგენელნი, პაპი და იმპერატორი, ამასთანავე ერთად უკანასკნელმა მოიხარა მუხლი ალექსანდრე III წინაშე, ეამბორა მის ქოშს. ამ კონგრესზე ფრიდრიხი დაეზავა პაპს, დაუბრუნა მას ყველა წართმეული მიწები. შეიკრა დროებითი ზავი 6 წლის ვადით იმპერატორსა და ლომბარდიის ლიგის შორის, რომელიც 6 წლის შემდეგ იქცა მუდმივ ხელშეკრულებად. 1183 წ. კონსტანცის ტრაქტატით იმპერატორმა უარი გაბაცხადა თავისი მოხელეების დანიშვნაზე ქალაქებში, და ქალაქებმა მიიღეს უფლება საკუთარი კონსულების ამორჩევისა, რომელნიც იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა. იმპერატორის იტალიაში გალაშქრების შემთხვევაში ქალაქები მოვალენი იყვნენ ეძლიათ მისთვის მაშველი ჯარები.

გერმანიაში დაბრუნების შემდეგ 1178 წელს ფრიდრიხმა გაუსწორა ანგარიში ჰენრიხ ლომს. გერმანიის უმსხვილესი მთავარი, ჰენრიხი მეტად არაპოპულარული იყო გერმანელ ფეოდალებს შორის. მათ შურდათ მისი მდგომარეობა და მზად იყვნენ სიხარულით მიეღოთ გამორჩენა მისი უშველებელი სამფლობელოებიდან. ამიტომ ფრიდრიხმა ადვილად აამხედრა მის წინააღმდეგ ფეოდალთა უმრავლესობა. ჰენრიხ ლომს მიუსაჯეს გაძევება (ექსორია). მისი საქსონური სამფლობელოები დაყვეს რამდენიმე ცალკეულ სამფლობელოდ და დაურიგეს ფეოდალებს. ბავარია გადასცეს ოტო ვიტელსბახს. მისი წინანდელი უშველებელი სამთავროდან ჰენრიხ ლომს შერჩა მხოლოდ უმნიშვნელო სამფლობელო. ჰოჰენშტაუფენების ბრძოლამ ველფების წინააღმდეგ (რომელიც გრძელდებოდა შემდეგაც) მოიცა საბაბი ეწოდებინათ ჰოჰენშტაუფენების და საერთოდ იმპერატორის ძალაუფლების მოწინააღმდეგებისათვის ვ ე ლ ფ ე ბ ი ანუ, იტალიური გამოთქმით, გ ვ ე ლ ფ ე ბ ი. იმპერატორის მომხრეებს უწოდებდნენ გ ი ბ ე ლ ი ნ ე ბ ს. ეს სახელწოდება წარმოსდგა ვ ა ი ბ ლ ი ნ გ ვ ნ ი ს ა გ ან, ჰოჰენშტაუფენების მეორენაირი სახელიდან.

თავისი დინასტიის პოზიციების გასამაგრებლად იტალიაში ფრიდრიხ I შერთო თავის შვილს და მემკვიდრეს ჰენრიხს სიცილიის ტახტის მემკვიდრე კონსტანცია. ეს იყო იმპერატორის დიდი წარმატება. ამიერიდან ორივე სიცილიის ნორმალური სამეფო, წინათ პაპის მოკავშირე, ჩაუვარდა ხელში ჰოჰენშტაუფენებს.

ჰენრიხ VI. მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ბარბაროსას დაღუპვის შემდეგ მისი ძე და მემკვიდრე ჰენრიხ VI შეიქნა ერთდაიმავე დროს იმპერატორად, გერმანიის მეფედ და ორივე სიცილიის მეფედ (1190 — 1197 წწ.).

იტალიის სამფლობელოებში მან დაამყარა თავისი ხელისუფლება მძვინვარე სიკვდილის სასჯელებით. პაპი ინოკენტი III სიტყვით არ იყო ისეთი ოჯახი, რომ „არ გამხდარიყო ამ ტირანის მსხვერპლად“. მრავალი ხალხი, ჰენრიხის ბრძანებით დახრილ თვალებით და დაჭრილ ყურებით კიდევ დიდ ხანს მოაგონებდნენ იტალიელებს ამ მეფის დროს. ჰენრიხმა დაუყოვნებლივ ბრძანა სიცილიის სახელმწიფოში დაგროვილი ოქროს მარაგის გადაზიდვა გერმანიაში. იგი ოცნებობდა აღმოსავლეთის დაპყრობების გეგმებზე, მას განზრახული ჰქონდა ბიზანტიის დაპყრობა, მისი რესურსების გამოყენება, და შემდეგ იერუსალიმზე გალაშქრება. მაგრამ ამ გეგმებიდან ვერაფერი ვერ განხორციელდა. შვიდი წლის მეფობის შემდეგ იმპერატორი მოკვდა და მას დარჩა მცირეწლოვანი ვაჟიშვილი ფრიდრიხი.

ამას მოყვა იმპერატორის ძალაუფლების ხანგრძლივი შესუსტება. დაიწყო ტახტისათვის ბრძოლა, და ამ ბრძოლაში ჩაერია პაპი, რომელიც მებრძოლ მხარეთა შორის არბიტრის როლში გამოვიდა.

გერმანიაში ერთდროულად ამორჩეულ იქნენ ორი იმპერატორი: ოტონ IV, ჰენრიხ ლომის შვილი, ველფების გვარიდან, და ფილიპე შვაბელი, ჰენრიხ VI ძმა, ჰოჰენშტაუფენების გვარიდან. გერმანიაში ორმა ურთიერთმოქიშპე მონარქის არსებობამ მისცა საშუალება პაპს დაეჭირა განსაკუთრებით ხელსაყრელი პოზიცია საიმპერატორო ხელისუფლების მიმართ და გაენთავისუფლებინა იტალია გერმანელთა ბატონობისაგან.

ინოკენტი III. ამ დროს პაპის ტახტზე ავიდა სახელგანთქმული ინოკენტი III (1198 — 1216 წწ.). ინოკენტი III მიიღო იმ დროის კვალობაზე ბრწყინვალე განათლება, შეისწავლა პარიზის უნივერსიტეტში ღვთისმეტყველება, ხოლო ბოლონიასში — რომის სამართალი. მან შეიმუშავა თავისთვის ჰწყობრი მსოფლმხედველობა, რომელიც წარმოადგენდა გრიგოლ VII თეოკრატიული შეხედულებების შემდგომ განვითარებას. იგი უყურებდა პაპის ძალაუფლებას, როგორც უზენაეს ძალაუფლებას მთელს ქვეყანაზე. პაპი, როგორც პეტრე მოციქულის მემკვიდრე და ქრისტეს მოადგილე — ყველა ხელმწიფეზე მაღლა სდგას. იმპერატორი და ყველა მეფეები არიან მხოლოდ პაპის ვასალები, ღებულობენ რა მისგან თავიანთ ძალაუფლებას. ინოკენტი III უყვარდა საეკლესიო და საერო ხელისუფლების შედარება მზესთან და მთვარესთან. როგორც მთვარე ღებულობს თავის ბრწყინვალებას მზისგან, სწორედ ასევე იმპერატორიც ღებულობს თავის ძალაუფლებას პაპისგან.

ევროპაში შექმნილი პოლიტიკური პირობები ხელს უწყობდნენ ამ თეოკრატიული დოქტრინის გატარებას. ინოკენტის არ მოუხდა ენერგიის დახარჯვა იმპერატორთან ბრძოლაში, რომელიც მანამდის ჰბორკავდა პაპების მოქმედებას: იგი ავიდა ტახტზე იმ დროს, როდესაც საიმპერატორო გვირგვინის ბედი დამოკიდებული იყო პაპის გადაწყვეტილებაზე. ინოკენტიმ მარჯვედ გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა. მის მიზანს შეადგენდა, გერმანიაში შინაომების გაჩაღებით იტალიიდან გერმანელთა გაძევება. მას აშინებდა ჰოჰენშტაუფენების ძლიერება, ამიტომ მან დაიჭირა ველფების მხარე და სცნო გერმანიის მეფედ ოტონ IV. იტალიაში ინოკენტი III გაამაგრა პაპობის პოზიციები

იმით, რომ აღადგინა საკუთარი ძალაუფლება მთელ პაპის ოლქში და წაართვა იტალიელ და გერმანელ ფეოდალებს ის მიწები, რომელნიც მათ ეაიტაცეს მისი სუსტი წინამორბედების დროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი წარმატებანი სამხრეთ იტალიაში. აქ კონსტანციის სიკვდილის შემდეგ როგორც მეურვე მისი მცირეწლოვანი შვილის ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენისა, იგი თავისი აგენტების საშუალებით ფაქტიურად ჰმართავდა მთელ სიცილიის სამეფოს.

ინოკენტიმ შემოიღო მკაცრი წესრიგი პაპის სასამართლოს და პაპის ფინანსების ორგანიზაციაში. მის დროს მთელ კათოლიკურ სამყაროში ძალიან გაიზარდა პაპის კურიის მნიშვნელობა, როგორც უზენაესი სამოსამართლო ინსტანციისა. პაპი ერეოდა ევროპის ყოველი კუთხის საეკლესიო საქმეებში. მისი უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა არა მარტო ყველა მნიშვნელოვანი საეკლესიო საქმეები, არამედ სკოლის სწავლების და საეკლესიო წესების ყოველგვარი წვრილმანებიც. იგი აწარმოებდა ფართო მიწერ-მოწერას კათოლიკური სამყაროს ყველა ქვეყნებთან.

პაპი სწყვეტდა არა მარტო რელიგიური საყოფაცხოვრებო, არამედ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებსაც. იგი ერეოდა ინგლისის და საფრანგეთის მეფეებს შორის წარმოებულ ბრძოლაში, მან მარჯვედ გამოიყენა ბარონების აჯანყება ინგლისის მეფის იოანე უმიწაწყლოს წინააღმდეგ, იმისათვის, რომ იძულებული გაეხადა იოანე დაედო ვასალური ერთგულების ფიცი პაპის წინაშე. ვასალური დამოკიდებულება პაპისგან სცნეს მთელმა რიგმა სხვა მეფეებმაც — მეფეებმა არაგონისა და პორტუგალიისა, ბულგარეთისა, შვედეთისა, დანიისა, პოლონეთისა, შორეულმა სომხეთმაც კი სცნო თავი პაპის ვასალურ სამფლობელოდ.

ინოკენტი იყო ინიციატორი ისეთი მსხვილი წამოწყებისა, როგორიცაა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელმაც, თუმცა, მართალია, არ მიიღო ის მიმართულება, რომელსაც პაპი მოელოდა, და დასრულდა ბიზანტიის იმპერიის დაპყრობით. ინოკენტი III მოაწყო ჯვაროსნული ლაშქრობები სამხრეთ საფრანგეთის „მწვალებელ-ალბიგოელთა", ბალტიისპირა „წარმართთა" (იხ. თავები XVIII და XXIV), და ესპანეთის მავრების წინააღმდეგ. ინოკენტი III მოხერხებულად იყენებდა ეკლესიის ძალას დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ნაწილებში, აგრეთვე შეტაკებებს მეფეებს შორის და კონფლიქტებს სახელმწიფოების შიგნით, და მართლაც შეეძლო ჩაეთვალა თავისი თავი მთელი ევროპის არბიტრად, რომლის გადაწყვეტილებაზეც დამოკიდებული იყო მთელ სამეფოთა ბედ-ილბალი.

ძალიან გაიზარდა აგრეთვე პაპის ტახტის ფინანსიური ძლიერებაც. პაპის კურია იქცა ევროპის უმსხვილეს ფინანსიურ ცენტრად. პაპის კარზე გროვდებოდა უშველებელი თანხები კათოლიკური სამყაროს ყველა ქვეყნებიდან. ამ დროისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ანაკრები ჯვაროსნული ლაშქრობებისათვის. ასე თავისებურად დასრულებულმა მეოთხე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ შექმნა საბაბი ახალი ფულადი ანაკრეფებისათვის პაპის ტახტის სასარგებლოდ. ინოკენტი ჰკრეფდა ხარკს მთელი რიგი ქვეყნებიდან. ინგლისმა

იკისრა ეხადნა მისთვის ყოველწლიურად ერთი ათასი გირვანქა სტერლინგი. სიცილიის სამეფოც უხდიდა პაპს ყოველწლიურად ხარკს ერთი ათასი ოქროს ფულის რაოდენობით. დანარჩენ გადასახადებს ჰკრეფდნენ სამღვდელოებისაგან.

ზოგიერთი სახელმწიფოები (ინგლისი, პოლონეთი, სკანდინავიის ქვეყნები) უხდიდნენ პაპს ეგრეთწოდებულ წმ. პეტრეს დინარს. ინოკენტი III დროს ფართო მასშტაბით იწყებენ ვაჭრობას ინდულგენციებით — პაპის სიგელებით, რომელნიც იძლეოდნენ ცოდვების შენდობას. ეს ვაჭრობა დიდ შემოსავალს აძლევდა პაპის კურიას. ყველა ამის წყალობით XIII საუკუნის დამდეგს პაპის კურიას თავის განკარგულებაში ჰქონდა ისეთი დიდი თანხები, რამდენიც არ ჰქონია მაშინდელი მსოფლიოს არც ერთ მბრძანებელს. ეს იყო პაპობის პოლიტიკური ძლევამოსილების ერთ-ერთი საფუძველი.

ინოკენტი III დროს ახალი მნიშვნელობა მიიღო ამაზე უფრო ადრე აღმოცენებულმა ინკვიზიციამ — საიდუმლო საეკლესიო სამსჯავრომ მწვალებლობათა საქმეების შესახებ. პაპის ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს იარაღად იქცნენ აგრეთვე ინოკენტი III დროს დაარსებული ეგრეთწოდებული მათხოვრული ორდენები (იხ. თავი XXXI).

ინოკენტი III პონტიფიკატი წარმოადგენს პაპის ძალაუფლების უმაღლესი ძლიერების ხანას. ინოკენტი III შესძლო თითქმის სრულიად ლიკვიდაცია ექნა გერმანიის გავლენისათვის იტალიაში. თვით გერმანიაში მისი საქმეები ღებულობდა მისთვის ხელსაყრელ მიმართულებას იმიტომ, რომ ოტონ IV, რომელმაც მიიღო ტახტი პაპის დახმარებით, სავსებით მისგან იყო დამოკიდებული. მაგრამ აქ თანხმობა ვერ აღმოჩნდა ხანგრძლივი.

განამტკიცა თუ არა თავისი მდგომარეობა გერმანიაში, ოტონ IV ძირფესვიანად შესცვალა თავისი პოლიტიკა და თავისი წინამორბედების მიბაძვით შეუდგა დაპყრობით პოლიტიკას იტალიაში, რის შედეგადაც მოხდა მისი შეტაკება პაპთან. პაპმა განკვეთა ოტონ IV ეკლესიისაგან და მის დასაპირისპირებლად წინ წამოსწია ბარბაროსას შვილიშვილი, სიცილიის ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრე ფრიდრიხი.

ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი. ფრიდრიხ II (1212 — 1250 წწ.) წარმოადგენს მეტად საინტერესო ისტორიულ ფიგურას. მას ძალიან ცოტა რამ აკავშირებდა გერმანიასთან. იგი აღიზარდა სიცილიაში, სადაც ჯვარედინდებოდნენ სხვადასხვა კულტურული გავლენანი: დასავლეთ კათოლიკური, ბიზანტიური და არაბული. ფრიდრიხი იყო უდაოდ თავისი დროის ყველაზე განათლებული ხელმწიფე. იგი კარგად იცნობდა არაბ და ბერძენ მწერლებს და კითხულობდა მათ თხზულებებს დედნებში. მას გარს ერტყნენ ბიზანტიელი, არაბი და ებრაელი სწავლულნი. ფრიდრიხი თვითონაც იყო მწერალი, მან დასწერა ტრაქტატი შაჯარდნის ნადირობაზე. იგი წერდა ლექსებს იტალიურად და წარმოადგენს იტალიური პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებელთაგანს. ფრიდრიხმა დაარსა უნივერსიტეტი ნეაპოლში და დახმარებას უწევდა სამედიცინო სკოლას სალერნოში. ფრიდრიხი ტრიალებდა სხვადასხვა რწმენის მქონე ხალხს შორის და თვითონაც სრულიად გულგრილად იყო განწყობილი რელიგიური

ტაკითხების მიმართ, და შემწყნარებლურად ეპყრობოდა ყოველგვარ რჯულს. მას ჰქონდა ძალიან კაოგი ურთიერთობა მაჰმადიან მეფეებთან, რომელნიც სთვლიდნენ მას თითქმის თავისიანად. ამის წყალობით მან შესძლო მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს დიპლომატიური გზით იერუსალიმის დაბრუნება (იხ. თავი XVI). ლუდოვიკ IX მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მზადების დროს მან აცნობა ეგვიპტის სულთანს მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ფრიდრიხი იყო ნამდვილი მაჰმადიანი თავის კერძო ცხოვრებაში. მას ჰქონდა ჰარამხანა საჭურისების ზედამხედველობის ქვეშ. პაპებმა არა ერთხელ განკვეთეს ფრიდრიხი ეკლესიისაგან, მაგრამ იგი არ აქცევდა ამას არავითარ ყურადღებას.

ფრიდრიხ II პოლიტიკური ინტერესების სიმძიმის ცენტრი მდებარეობდა არა გერმანიაში, არამედ მის იტალიურ სამფლობელოებში. ამის შესაბამისად იგი ატარებდა სხვადასხვანაირ პოლიტიკას გერმანიაში და იტალიაში. იმისთვის, რომ მიეღო უკანასკნელში მოქმედების სრული თავისუფლება, იგი მიდიოდა სხვადასხვა დათმობებზე გერმანელი სასულიერო და საერო მთავრების წინაშე, მისცა მათ თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლება მათ სამფლობელოებში. მთავრებმა მიიღეს ფულის მოჭრის უფლება. მეფემ უარი სთქვა მთავრების საზიანოდ ციხეების და ქალაქების აგებაზე. მსხვილი ფეოდალების გულის მოსაგებად, ფრიდრიხ II აუკრძალა ქალაქებს ერთმანეთთან კავშირის შეკვრა მთავრების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, გერმანიაში ფრიდრიხ II პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა მთავრების ძალაუფლების გაძლიერება და იმპერატორის ძალაუფლების შესუსტება.

სულ სხვაგვარი ხასიათი ჰქონდა მის პოლიტიკას იტალიაში და, პირველ ყოვლისა, მის სიცილიის სამეფოში. თავის მმართველობის დასაწყისშივე ფრიდრიხ II დიდი ჯაფა დაადგა, რომ ბოლო მოეღო მისი მცირეწლოვანობის დროს სამეფოში გაბატონებული ანარქიისათვის. მან მოათვინიერა სამხრეთ იტალიის ფეოდალები, აიკლო იქაური სენიორების ციხე-კოშკები და მმართველობა სრულიად ახალ საფუძველზე მოაწყო. მის მიერ 1231 წ. გამოცემულმა „სიცილიის სამეფოს კონსტიტუციამ“ დაამყარა ბიუროკრატიული მონარქია. ფეოდალური დიდკაცობის — საეროსი და სასულიეროსიც — უფლებები ძლიერ შეიკვეცა. შეზღუდულ იქნა ქალაქების თავისუფლებანი, მათ დაკარგეს თვითმართველობის უფლებები. მეფის ხელისუფლება შეიქმნა შეუზღუდავი. მისი მოხელეები განაგებდნენ სასამართლოს, ადმინისტრაციას, ფინანსებს.

გაადიდეს გადასახადები და სავაჭრო ბაჟები. ფრიდრიხ II ყოველმხრივ უწყობდა ხელს ვაჭრობის განვითარებას; თავისი შემოსავლის გაზრდის მიზნით მან დადო მთელი რიგი ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულებები აღმოსავლეთში. ამას გარდა, იგი ხელს უწყობდა ადგილობრივი მიწათმოქმედების და მრეწველობის განვითარებას. მის ფინანსიურ პოლიტიკაში, ბიზანტიის და არაბთა მიბაძვით, თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ მონოპოლიები.

ფრიდრიხ II უკვე XIII საუკუნის დამდეგს შექმნა ისეთი სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებმა მიაღწიეს გაცი-

ლებით უფრო გვიან. რაკიანაც ის არ ენდობოდა ფეოდალურ ლაშქარს ან დაქირავებულ ჯარებს, მოაწყო მუდმივი ჯარი. ამ არმიას ის ჰკრებდა უმთავრესად სიცილიის და სამხრეთ იტალიის მაჰმადიან ქვეშევრდომთაგან. მაჰმადიანურ ჯარებს იყენებდა იგი ფეოდალთა ამბოხებების და ჩაგრული ხალხთა მასების მღელვარებათა ჩასაქრობად, ისევე გარეშე მტერთან, კერძოდ პაპთან, ბრძოლისათვის. ფრიდრიხ II შექმნა აგრეთვე ძლიერი ფლოტი. ყველა ამის წყალობით, სიცილიის სამეფო იქცა მძლავრ სამხედრო სახელმწიფოდ.

თავისებური იყო ფრიდრიხ II რელიგიური პოლიტიკა. იჩენდა რა სრულ შეწყნარებლობას სხვა სჯულის ხალხის მიმართ, ამავე დროს იგი ყველგან სდევნიდა მწვალებელ-ქრისტიანებს. მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა, რასაკვირველია, არა კათოლიკური მოძღვრების სიწმინდეს, არამედ მწვალებლობათა სოციალურ და პოლიტიკურ მხარეს, და მწვალებელთა დევნა წარმოადგენდა ფრიდრიხ II პოლიტიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს. მეორე მოტივს, რომლითაც ხელმძღვანელობდა ფრიდრიხ II მწვალებელთა დევნის დროს, წარმოადგენდა სურვილი ხაზინის შევსებისა მწვალებელთა ქონების კონფისკაციის გზით (იხ. თავი XXXI).

ფრიდრიხ II იტალიურმა პოლიტიკამ გამოიწვია ჩრდილო იტალიის ქალაქების და პაპის დიდი შეშფოთება. ფრიდრიხ II იწყო ლომბარდიის ქალაქების უფლებების შეზღუდვა, იგი ცდილობდა იქ ისეთივე რეჟიმის დამყარებას, როგორსაც ატარებდა სიცილიაში. ამავე დროს ფრიდრიხის ძალაუფლების გაძლიერება ჩრდილო იტალიაში ამწყვდევდა პაპის ოლქს მის სამფლობელოთა შორის და აუცილებლად ხდიდა პაპის დამორჩილებას ფრიდრიხისადმი.

ამას, ბუნებრივია, შედეგად მოჰყვა პაპის შეკავშირება ჩრდილო იტალიის ქალაქებთან იმპერატორის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით აღდგენილ იქნა ლომბარდიის ლიგა, დაშლილი ფრიდრიხ I მოპოვებული გამარჯვების შემდეგ.

ჰოჰენშტაუფენთა აღსასრული და საიმპერატორო ძალაუფლების დაცემა. იმპერატორის ბრძოლა პაპებთან და ველფების პარტიასთან, რომელმაც მიაღწია უკიდურეს გამწვავებას გრიგოლ IX და ინოკენტი IV პაპობის დროს, მიმდინარეობდა ცვალებადი წარმატებით თვით ფრიდრიხ II სიკვდილამდე (1250 წ.). საერთოდ იგი ღებულობდა ჰიბელინების საიმპერატორო პარტიისათვის არახელსაყრელ მიმდინარეობას. პაპმა მიიხმო იტალიაში საფრანგეთის მეფის ლუდოვიკ IX ძმა, კარლოს ანჟუელი, და დაეხმარა მას სიცილიის სამეფოს დაუფლებაში. ფრიდრიხ II შვილმა და ჰიბელინური პარტიის მეთაურმა იტალიაში მანფრედმა განიცადა დამარცხება ბენევენტთან და მოკლულ იქნა (1266 წ.). ამაზე კიდევ უფრო ადრე დაკარგეს ჰოჰენშტაუფენებმა ტახტი გერმანიაშიც (1254 წ.), ხოლო დინასტიის უკანასკნელი შთამომავალი, კონრადინი, რომელიც მიიხმეს იტალიაში ჰიბელინებმა, ჩაუვარდა ხელში კარლოს ანჟუელს და სიკვდილით იქნა დასჯილი (1268 წ.).

ამგვარად, ჰოჰენშტაუფენების ცდამ იმპერიის გამაგრებისა მდიდარი იტალიის რესურსების ხელში ჩაგდებით, განიცადა სრული მარცხი. იმპერიის და

პაპობის შორის ხანგრძლივი ომიდან იტალია გამოვიდა პოლიტიკურად კიდევ უფრო დაქსაქსული; იმპერატორის ძალაუფლებამ დაკარგა აქ ყველა თავისი პოზიციები. ბრძოლა იტალიის ნიადაგზე გართულდა ქალაქებს შორის ურთიერთ შეტაკებებით, რომელთაგანაც ერთნი ეძებდნენ პაპის, ხოლო მეორენი — იმპერატორის დახმარებას, აგრეთვე პარტიების ბრძოლით ცალკეულ ქალაქებში; ამასთან ერთად ერთ პარტიას ეჭირა პაპის მხარი (გველფები), მეორეს — იმპერატორისა (ჰიბელინები). ჰიბელინები იყვნენ უმთავრესად, ფეოდალები, რომელნიც იმედოვნებდნენ ფეოდალური გერმანიის დახმარებას, გველფები — ვაჭრები და ხელოსნები იმ ქალაქებისა, რომელნიც განიცდიდნენ შევიწროვებას იმპერატორებისაგან. მაგრამ ამ სახელწოდებათა ქვეშ ხშირად იმალებოდნენ სულ სხვადასხვაგვარი ინტერესები (იხ. თავი XXV).

გერმანიაში ჰოჰენშტაუფენების დინასტიის მოსპობის შემდეგ 1254 და 1273 წწ. შორის, იმპერატორის ძალაუფლება ფაქტიურად ისპობა. ამ დროის განმავლობაში რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი იმპერატორის ამორჩევის ცდას. ტახტზე ჩნდებიან უცხოელი პრინცების შემთხვევითი ფიგურები, რომელთაც არ შეეძლოთ მოეხდინათ რაიმე გავლენა იმპერიის საქმეებზე. ამიტომ არ არის უსაფუძვლო, რომ 1254 — 1273 წწ. პერიოდს ეწოდება უმეფობის ხანა. გერმანია ამ დროს დაიშალა რამდენიმე ცალკეულ დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოდ. მაგრამ მათში ამაო იქნებოდა გვეძებნა ის საჰერცოგოები, რომელთა შესახებ გვქონდა ლაპარაკი გერმანიის ისტორიის გადმოცემის დასაწყისში, — საქსონიის, ლოტარინგიის, ფრანკონიის, შვაბიის საჰერცოგოები. როგორც უკვე იყო მითითებული, საქსონიის საჰერცოგო დააქუცმაცეს ფრიდრიხ I ჰენრიხ ლომზე გამარჯვების შემდეგ, ფრანკონია და შვაბია XIII. საუკუნეში დაიშალა რამდენიმე წვრილ ფეოდალურ სამფლობელოდ. ლოტარინგიის საჰერცოგო დაიყო ზემო და ქვემო ლოტარინგიად, ამასთან ერთად თითოეული მათგანი იშლებოდა მრავალ ცალკეულ სენიორიად.

XI — XIII საუკუნეთა განმავლობაში იმპერია ტერიტორიალურად მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მას შეუერთდა ბურგუნდია, მის შემადგენლობაში შევიდა ჩეხია. გერმანიის უმსხვილესი სამფლობელოები ახლა მოექცნენ აღმოსავლეთში. ისინი წარმოიშვნენ ნაწილობრივ იმ მარკებისაგან, რომლებიც შეიქმნა სლავების მიწებზე. დიდი ბრანდენბურგის მარკა მდებარეობდა ელბას და ოდერს შორის, მის სამხრეთით მდებარეობდა ლუეიჩთა მარკა, შემდეგ მეისენის მარკა, შუა დუნაიზე — ავსტრიის მარკა, რომელიც შემდეგ საჰერცოგოდ იქცა.

XIII საუკუნეში გერმანელები იჭერენ ბალტიისპირეთის ხალხების—ლატიშების, ესტების, ლიტველების, პრუსების მიწა-წყალს. ჩვენ დაუბრუნდებით ამ საკითხს XXIV თავში .

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 68—78, 83—109, 132—149, 168—170, 174—178, 241—258, 274—287).

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. I, 1939, стр. 279—310; т. II, ч. 1, 1938, стр. 130—138. — Средневековье в его памятниках, под ред. Егорова, отд. VI, М. 1913. — Стасюлевич, История средних веков, т. II, отдел III, изд. 4-е, 1915. —Хрестоматия по западноевропейской литературе. Средние века (IX—XV вв.), под ред. Шор, 1938, стр. 311 — 390.

III. ვამოყენებული დამხმარე წყაროები. Лависс и Рамбо, История крестовых походов, т. I, гл. II—IV, М. 1914. — Лампрехт, История германского народа, т. I—II, М. 1894—1895. — Брайс, Священная Римская империя, 1891. — Тарле, История Италии в средние века, Спб. 1906. — Корелин, Важнейшие моменты истории средневекового папства, Спб. 1901. — Лозинский, История папства, 1924.—Эйкен, История и система средневекового миросозерцания, Спб. 1907. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. II, ст. 30—33.

თავი XVIII

საფრანგეთი XI—XIII საუკუნეებში

კაპეტინგების დინასტიის დასაწყისი. 987 წ., საფრანგეთის სასულიერო და საერო სენიორთა ყრილობაზე, მეფედ იქნა არჩეული ჰუგო კაპეტი. კაროლინგთა დინასტია შეცვალა კაპეტინგების დინასტიამ.

ჰუგო კაპეტის პირადი სამფლობელოები, რომელნიც შეადგენდნენ მის „დომენს“, არ იყო დიდი. მას ეკუთვნოდა მიწები სენას და ლუარას გაყოლებით ქალაქებითურთ: პარიზით და ორლეანით. საფრანგეთის მეფე არ იყო მბრძანებელი საკუთარ დომენშიაც კი, ვინაიდან აქ მას ჰყავდა მთელი რიგი ვასალებისა, რომელნიც მხოლოდ ფორმალურად სცნობდნენ მას სიუზერენად. რომ გაეარნა თავისი სამფლობელოების ერთი ბოლოდან მეორემდის, მეფე უნდა გამგზავრებულიყო შეიარალებული ამალით. გზა პარიზიდან ორლეანისაკენ მიიმართებოდა ვასალების სამფლობელოებზე, რომელთა მფლობელებს აეგოთ გზებზე ყაჩაღური ციხე-კოშკები, ძარცვავდნენ ვაჭრებს და ემუქრებოდნენ თვით მეფეს.

საფრანგეთის პოლიტიკური დაქსაქსულობა. საფრანგეთი ოდნავადაც კი არ წარმოადგენდა იმ დროს მთლიან ერთეულს. იმ დროს არ შეიძლება ლაპარაკი არც საფრანგეთის ეროვნულ მთლიანობაზე, არც ფრანგების ერთიან ენაზე. საფრანგეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში ლაპარაკობდნენ სხვადასხვანაირ დიალექტებზე. საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი ლაპარაკობდა ენაზე, რომელსაც ეწოდებოდა — langue d'oc, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი ენაზე, რომელსაც ეწოდებოდა langue d'oil (სიტყვები „oc“ და „oil“ ნიშნავენ „ჰო“-ს). ამას გარდა საფრანგეთში არსებობდა მთელი რიგი ადგილობრივი კილოკავები.

პოლიტიკურად, კულტურულად და ეთნიურად საფრანგეთი, განსაკუთრებით, პირველი კაპეტინგების ეპოქაში X და XI საუკუნეებში, წარმოადგენდა უკიდურესად დაქუცმაცებულ ქვეყანას. იგი გაყოფილი იყო მთელ რიგ, მეფისაგან მხოლოდ ნომინალურ დამოკიდებულებაში მყოფ, საჰერცოგოებად და საგრაფოებად. მაგრამ რომელი მათგანიც არ უნდა ავიღოთ, ჩვენ დავინახავთ, რომ ყოველ მათგანში ჰერცოგის და გრაფის ძალაუფლება იყო უმნიშვნელო. ყოველი ცალკეული სენიორი ისწრაფოდა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ, ჰერცოგებს და გრაფებს ისევე ცოტა იმეღი უნდა ჰქონოდათ მათი ვასალების მორჩილებისა, როგორც მეფეს. ერთგვარ გამონაკლისს შეადგენდა

საჰერცოგო ნორმანდია. არ შეიძლება ითქვას, რომ აქაც არ წარმოებდა ფეოდალური შინა ომები, ცალკეული სენიორების ცდა ჰერცოგისაგან დამოუკიდებლობის მიღწევისა, მაგრამ ძირითადად ნორმანდიის ჰერცოგებმა შესძლეს ძლიერი ხელისუფლების დამყარება. ნორმანდიაში ბატონობდა შედარებითი შინაგანი წესრიგი, რის წყალობითაც ვაჭრობას შეეძლო თავისუფლად განვითარება. მაგრამ, მეორე მხრივ, იმავე ნორმანდიაში ჩვენ ვხედავთ მშრომელი მასების უსასტიკეს ექსპლოატაციას ფეოდალების მიერ. სოციალური ბრძოლა აქ წარმოებდა უფრო მწვავე ფორმებში, ვიდრე საფრანგეთის სხვა რომელიმე ნაწილში. აქ ყველაზე უფრო ადრე დაიწყო გლეხთა დიდი აჯანყებები. 1066 წლიდან ნორმანდია პოლიტიკურად გაერთიანდა ინგლისთან.

ნორმანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა ფლანდრიის საგრაფო, რომელსაც ჰქონდა ბრწყინვალე სამეურნეო მომავალი. უკვე X საუკუნის დამლევს და XI საუკუნეში ფლანდრია წარმოადგენდა ევროპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო და სავაჭრო ოლქთაგანს. აქ დაიწყო განვითარება შალის მრეწველობამ, აქ იყრებოდნენ უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები, ფლანდრიას გავლით მიიმართებოდა სავაჭრო საქონელი ევროპის სხვადასხვა ოლქებში. ფლანდრიაში, ჩრდილოეთ ევროპის სხვა ნაწილებზე უფრო ადრე, დაიწყო ჩასახვა საქალაქო ცხოვრებამ.

შემდეგ უნდა აღინიშნოს საჰერცოგო ბრეტანი. ეს იყო საფრანგეთის თავისებური კუთხე, ძლიერ მცირედ დაკავშირებული სამეფო ხელისუფლებასთან. ისევე, როგორც ფლანდრიის გრაფი და ნორმანდიის ჰერცოგი, ბრეტანის ჰერცოგიც მხოლოდ სახელით წარმოადგენდა საფრანგეთის მეფის ვასალს. ბრეტანი V საუკუნის დამლევს და VI საუკუნეში იყო დასახლებული ბრიტების მიერ, რომელნიც, გამოექცნენ რა მათ ქვეყანაში შეჭრილ ანგლო-საქსებს, გადმოვიდნენ ამ ნახევარ-კუნძულზე, რომელსაც მანამდის ეწოდებოდა არმორიკუმი, ახლა კი მიიღო ბრეტანის სახელწოდება. მისი მოსახლეობა ლაპარაკობდა კელტურ ენაზე. ადათ-ჩვეულებებით იგი მკვეთრად განირჩეოდა დანარჩენი საფრანგეთის მოსახლეობისაგან. ნორმანებიც განსხვავდებოდნენ მკვიდრი-ფრანგებისაგან, მაგრამ, ადგილობრივ მოსახლეობის შორის დასახლების შემდეგ მოხდა მათი ასიმილაცია მკვიდრ მოსახლეობასთან. ბრეტანში კი კელტური ენა შენარჩუნებულ იქნა ძალიან დიდხანს. მხოლოდ XVI საუკუნეში ბრეტანი საბოლოოდ შეუერთეს საფრანგეთის სამეფოს (1532 წ.).

შემდეგ აღსანიშნავია ლუარაზე საგრაფოები ანჟუ, ტურენი, უფრო ჩრდილოეთით—მენი.

ლუარას სამხრეთით მდებარეობდა საგრაფო პუატუ, ხოლო უფრო სამხრეთით — დიდი საჰერცოგო აქვიტანია, რომელიც უფრო სახელით წარმოადგენდა საჰერცოგოს. ფაქტიურად იგი დაყოფილი იყო მთელ რიგ შემადგენელ ნაწილებად. აქვიტანიის სამხრეთით, პირენეებამდის, მდებარეობდა გასკონი (რაც ნიშნავს „ბასკების მხარე"). XI საუკუნის პირველ მესამედში გასკონი შევიდა აქვიტანიის შემადგენლობაში.

აქვიტანიის აღმოსავლეთით მდებარეობდა ტულუზის საგრაფო, ანუ სხვანაირად ლანგედოკი. ლანგედოკი წარმოადგენდა, უფრო ცალ-

კული სამფლობელოების მთელ რიგს, რომელთა შორის უმსხვილესი იყო ტულუზის საგრაფო. ეს იყო საფრანგეთის ეკონომიურად და კულტურულად ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოწინავე ნაწილი.

საფრანგეთის აღმოსავლეთ ნაწილში აღსანიშნავია ბურგუნდიის საჰერცოგო.

მის ჩრდილოეთით მდებარეობდა საგრაფო შამპანი, განთქმული XII-XIII საუკუნეებში თავისი იარმარკტებით, რომელთა დასაბამი უნდა ვეძიოთ ჯერ კიდევ კაროლინგების ეპოქაში. ამას გარდა, არსებობდა კიდევ მთელი რიგი სამფლობელოები, რომელნიც ფორმალურად გაერთიანებული იყვნენ ცოტად თუ ბევრად მსხვილ ერთეულებად, მაგრამ ფაქტიურად წარმოადგენდნენ განცალკევებულ წვრილ ფეოდალურ სენიორებს.

ცხადია, რომ ასეთ ფეოდალური დაქსაქსულობის პირობებში მდგომარეობა ახალი დინასტიისა, რომელიც შედარებით უმნიშვნელო სამფლობელოებიან პატრონი იყო და ამის შესაბამისად რესურსებიც მცირე ჰქონდა, ეყო მეტად მძიმე. ის სახსრები, რომლებიც გააჩნდათ კაპეტინგებს, შესდგებოდა უმთავრესად მათ საკუთარ მამულების შემოსავლისაგან, ე. ი., უმთავრესად, ამ მიწებზე მცხოვრები ყმების სენიორიალური ექსპლოატაციისაგან.

პირველი კაპეტინგების პოლიტიკა. ბუნებრივია, რომ პირველ კაპეტინგებს მოუხდათ ძალიან პატარა მასშტაბის პოლიტიკის წარმოება, ისინი უნდებოდნენ წვრილ დაგროვებას და ურჩ ვასალებთან ბრძოლას საკუთარ დომენში. ზოგჯერ მეფეები მთელ თავიანთ სიცოცხლეს ანდომებდნენ იმას, რომ დაემორჩილებინათ რომელიმე ურჩი ვასალი და დაესგრიათ მისი ციხე-კოშკი. პირველი მეფეები კაპეტინგთა დინასტიიდან მოგვაგონებენ მსხვილ მემამულეებს. ისინი ატარებდნენ ადგილმაცვალ ცხოვრებას, გადადიოდნენ თავიანთი ამალით ერთი მამულიდან მეორეში, ცხოვრობდნენ აქ დაგროვილი მარაგებით. მეფის ისეთი გასართობიც კი, როგორიც არის ნადირობა, კაპეტინგებისათვის უფრო მეტად წარმოადგენდა საშოვარის მოპოების წყაროს, თავისი თავის და თავისი ამალის გამოსაკვებად. თავისი შემოსავლის გასაზრდელად ზოგიერთი მათგანი არ თაკილობდა ფრიად მდარე საშუალებებსაც. როგორც, მაგალითად, ფილიპე I (1060—1108 წწ.), რომელიც არ ერიდებოდა ჩვეულებრივ ყაჩაღობას და ერთხელ კიდეც გაძარცვა მეფის დომენზე მიმავალი იტალიელი ვაჭრები. პირველ კაპეტინგებს ახასიათებს ერთი და იგივე თვისებები. ის პირობები, რომლებშიაც უხდებოდათ მათ ცხოვრება და მოღვაწეობა, ასვამდა მათ დავაჭრობის, წვრილ დამპყრობლობის, ხელმოჭერილობის დალს. არსებითად მეფე XI საუკუნის დამლევამდის, XII საუკუნის დამდეგამდისაც კი არ წარმოადგენდა ყველაზე ძლიერ ფეოდალს საფრანგეთში. მეფეებს ჰყავდათ სახიფათო ძლიერი მეზობლები, და მხოლოდ სხვადასხვა მანევრირების დახმარებით შესძლეს მათ სამეფო დომენის მთლიანობის დაცვა მათგან.

ზემოხსენებული ფილიპე I იყო ჯერ კიდევ წვრილი მასშტაბის მეფე, მაგრამ მან შეიძლო სამეფო დომენის რამდენადმე გაფართოვება და მომრგვალება. მის მეფობაში შესამჩნევი შეიქნენ ზოგიერთი ცვლილებები, რომელთაც განსაზღვრეს სამეფო ძალაუფლების შემდგომი განვითარება საფრანგეთში. ეს იყო, პირველ ყოვლისა, XI საუკუნეში დაწყებული ქალაქების

ზრდა და ამასთან დაკავშირებული საკომუნო, მოძრაობა, ქალაქებსა და მათ სენიორებს შორის ბრძოლის დასაწყისი. ფილიპე I, რომლის დროს მოხდა პირველი საქალაქო აჯანყებები, ვერ მიხვდა ამ მოძრაობის მნიშვნელობას და უდგებოდა აღმოცენებულ ქალაქის კომუნებს მხოლოდ უშუალო სარგებლობის თვალსაზრისით. მისმა მემკვიდრეებმაც, ქალაქების ბრძოლის მიმართ მათი სენიორების წინააღმდეგ, ერთბაშად არ დაიჭირეს განსაზღვრული და ურყევი პოზიცია. ისინი მხარს უჭერდნენ ხან ქალაქებს, მათ ბრძოლაში კომუნალური ქარტიებისათვის, ხან კი ეხმარებოდნენ სენიორებს ქალაქების დამოუკიდებლობის მოსპობაში, თან ღებულობდნენ ორივე მხრიდან შესაფერის ჯილდოს.

მაგრამ XII საუკუნის დამლევისათვის ისახება მკაფიო პოლიტიკა მეფეების მიერ ქალაქების გამოყენებისა საფრანგეთში ფეოდალურ დაქსაქსულობასთან ბრძოლისათვის. როგორც ამბობს ენგელსი: „მეფის ხელისუფლების კავშირს ბურჟუაზიასთან აქვს თავისი დასაწყისი X საუკუნიდან; არაერთხელ დარღვეულა იგი კონფლიქტების შედეგად; მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საქმე სულაც არ მიმდინარეობდა ყოველთვის გაერთიანების ამ გზით, მაგრამ მაინც ეს კავშირი ახლდებოდა სულ უფრო და უფრო მკვიდრად, სულ უფრო ძლევამოსილად, სანამ, ბოლოს, მან არ შეუწყო ხელი სამეფო ხელისუფლებას საბოლოო გამარჯვების მოპოვებაში“.[1]

ახლა გამომჟღავნდა საფრანგეთის მეფეების სამფლობელოების გეოგრაფიული მდებარეობის ხელსაყრელობა. მეფეს ეკუთვნოდა პარიზი სენაზე და ორლეანი ლუარაზე, მის ხელში იყოფებოდა საფრანგეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზების ორი გასაღები. სწრაფად იზრდება პარიზის და ორლეანის ვაჭრობა. ამით იზრდება მეფის შემოსავალიც.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერება. ლუდოვიკ VI. XII საუკ. დასაწყისი წარმოადგენს გარდატეხის მომენტს სამეფო ხელისუფლების გაძლიერების პროცესში. იგი ძლიერდება, პირველ ყოვლისა, თვით კაპეტინგების დომენში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფილიპე I შვილის, ლუდოვიკ VI სქელის მეფობას (1108—1137 წწ.).

ლუდოვიკ VI დაიწყო წარმატებითი ბრძოლა ფეოდალებთან საკუთარ დომენში. მან ბოლო მოუღო ამ წვრილი სენიორების თავნებობას, ანგრევდა მათ ციხე-კოშკებს, ან და აყენებდა შიგ თავის მეციხოვნეებს. ამან ჩაითრია ის ბრძოლაში ზოგიერთ მსხვილ ფეოდალთან, რომელთა მფარველობაც ჰპოვეს მისმა ვასალებმა. სამეფო ძალაუფლების ძვირფას მოკავშირედ ამ ბრძოლაში იქცევა ეკლესია. ეკლესია იყო საფრანგეთის უმსხვილესი მიწათმფლობელთაგანი. იმ ეროს გაბატონებული ფეოდალური ანარქია, მუდმივი ომები სენიორთა შორის, წარმოადგენდნენ მუდმივ საფრთხეს ეკლესიის ინტერესებისათვის. ეკლესია იყო მეფის მოკავშირე არა მარტო მის საკუთარ სამფლობელოებში, არამედ საფრანგეთის სხვა ნაწილებშიაც, მის დომენს გარეშე. საფრანგეთის სხვა ნაწილებში მდებარე მთელ რიგ მონასტრების მეშვეობით, საერთოდ საეკლესიო ორგანიზაციის საშუალებით, მეფე გავლენას ახდენდა ფეოდალურ მფლობელებზე, იმითი, რომ სულ უფრო და უფრო ეროდა მათ

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, стр. 445.

საქმეებში. ეკლესია აძლევდა სამეფო ხელისუფლებას გამოჩენილ მრჩეველებს. ლუდოვიკ VI და მისი მემკვიდრის დროს დიდ პოლიტიკურ როლს თამაშობდა აბატი სუგერიუსი, რომელსაც მარქსი უწოდებს „მეფის ძალაუფლების აღმდგენელს“.[1]

ლუდოვიკ VII და პლანტაგენეტების სახელმწიფო. უფრო ფართო გაქანება მიიღო მეფის პოლიტიკამ ლუდოვიკ VII დროს (1137—1180 წწ.), რომელსაც ცოლად ჰყავდა ალიენორა, აქვიტანიის ჰერცოგის ასული და მემკვიდრე. იგი იყო მონაწილე მეორე ჯვაროსნული ლაშქრობისა, რომელიც, როგორც ვიცით, დამთავრდა მარცხით. ლუდოვიკის აღმოსავლეთში ყოფნის დროს ყველა სახელმწიფო საქმეების მართვა ფაქტიურად გადავიდა აბატი სუგერიუსის ხელში, რომლის მოღვაწეობას მარქსი აძლევს შემდეგ შეფასებას: „სუგერიუსმა იძულებულ ჰყო ეცნოთ სამეფო უფლებები იქ, სადაც ისინი არ იყვნენ მანამდის ცნობილნი: ჯვაროსნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით მან გამოიყენა წოდებათა დავალიანება სამეფო სამფლობელოების და უფლებების გასაფართოებლად, იგი იყო (დახელოვნებული) ფინანსისტი... დაფარა ლუდოვიკის დანახარჯები ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, დააგროვა ფული სახელმწიფო ხაზინაში საჯარიმო ფულის და ლენების საყიდელი გადასახადების შეკრეფით.“[2] აღმოსავლეთიდან დაბრუნების შემდეგ ლუდოვიკმა დაუშვა მსხვილი პოლიტიკური შეცდომა—გაეყარა თავის ცოლს ალიენორას, რომელზედაც ამის შემდეგ მალე იქორწინა ანჟუს ძლიერმა გრაფმა ჰენრიხ პლანტაგენეტმა. ამგვარად აქვიტანია საფრანგეთის მეფის ხელიდან გადავიდა ჰენრიხის ხელში. ხოლო, როდესაც ანჟუს გრაფი შეიქნა ინგლისის მეფედ (1154 წ.), აქვიტანია აღმოჩნდა ინგლისთან გაერთიანებული.

ანჟუელთა დინასტიის ინგლისის მეფეებს ეკუთვნოდათ საფრანგეთში მთელი რიგი მიწები: ანჟუ, მენი, ნორმანდია, ჰუატუ, აქვიტანია. მათი სამფლობელოები საფრანგეთში შეადგენდნენ მასივს, რომელიც რამდენჯერმე სჭარბობდა საფრანგეთის მეფის დომენს და, ამას გარდა, უსწორდა კაპეტინგებს ზღვისკენ გასავალს. ამას არ შეეძლო არ გამოეწვია გამწვავებული ბრძოლა მათსა და პლანტაგენეტებს შორის. წამოიჭრა საკითხი, თუ როგორ რწარიმართება ამიერიდან საფრანგეთის პოლიტიკური განვითარება: საფრანგეთის მეფის ხელში გაერთიანების გზას დაადგება თუ ინგლისის მეფეს ხელში. უკანასკნელნი იყვნენ გაცილებით უფრო ძლიერნი. მაგრამ მთელმა რიგმა პირობებმა ბოლოს და ბოლოს უპირატესობა მიანიჭა საფრანგეთის მეფეებს. განსაკუთრებით არსებითი იყო ის, რომ თვით პლანტაგენეტთა სამფლობელოების სიდიდე საფრანგეთში წარმოადგენდა მათი ძალაუფლების ფრიად სუსტ მხარეს. ისინი იძულებული იყვნენ თავიანთი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხარჯათ თავიანთ ფრანგ ვასალებთან ბრძოლაზე. და საფრანგეთის მეფეები მარჯვედ იყენებდნენ ამ სიტუაციას.

ფილიპე II ავგუსტუსი. საფრანგეთის და ინგლისის მეფეებს შორის წარმოებული ბრძოლა შევიდა ახალ ფაზაში ფილიპე II ავგუსტუსის დროს

---

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. V, გვ. 150.

[2] იქვე, გვ. 152.

(1180 — 1222 წწ.). ფილიპე 15 წლის ჭაბუკი იყო, როცა ავიდა ტახტზე. მან ძალიან მალე გამოიჩინა დახელოვნებული პოლიტიკოსის და დიპლომატის ბრწყინვალე თვისებები. მას განსაკუთრებით შესწევდა უნარი თავისი მტრების გათიშვისა და საკუთარი გულქვაობის, ცბიერობის და ვერაგობის დაფარვისა გარეგნულ გულუბრიყვილობის ნიღაბ ქვეშ; მან იცოდა მოთმინებით მოცდა სანამ დაუდგებოდა თავისი ჟამი და დაოსტატებული იყო მარჯვე თავდასხმის მოწყობაში. მისი საგარეო პოლიტიკის ძირითად ხაზს წარმოადგენდა პლანტაგენეტებთან ბრძოლა, ამასთან ერთად ყველაზე უფრო დიდ წარმატებებს მან მიაღწია ინგლისის მეფე იოანე უმიწაწყლოსთან ბრძოლაში (იხ. თავი XXII).

ფილიპე II შეეცადა გამოეყენებინა იოანეს უაღრესი არაპოპულარობა ინგლისში და საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარე მის სამფლობელოებში. 1202 წ. მან გამოაცხადა იოანეს ყველა სამფლობელოები საფრანგეთში კონფისკაციაქმნილად და თავს დაესხა ნორმანდიას, რომელიც შედარებით მალე დაიპყრო (1202 — 1204 წწ.), ვინაიდან იოანეს მოძალადეობით დამტაცებლობით აღშფოთებულმა ნორმანდელმა ბარონებმა და ქალაქებმა არ გაუწიეს ძლიერი წინააღმდეგობა საფრანგეთის მეფეს.

ნორმანდიის დაპყრობას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა საფრანგეთის სამეფოსათვის, ვინაიდან ეს გარემოება უზრუნველჰყოფდა პარიზის უშიშროებას, რომელიც მდებარეობდა თითქმის ნორმანდიის საზღვართან, და ამას გარდა, საფრანგეთის მეფეებმა ხელთ იგდეს სენას ქვემო წელი, და სამეფო სამფლობელოებს გაეხსნათ გასავალი ზღვისკენ.

ფილიპემ დაიპყრო ინგლისის მეფეების სხვა სამფლობელოებიც საფრანგეთში — ანჟუ, მენი და ტურენი, პუატუს ნაწილი ქალაქი პუატიეთი. ამგვარად ლუარას ჩრდილოეთით და ნაწილობრივ მის სამხრეთითაც მდებარე ინგლისის კუთვნილი ყველა ოლქები გადავიღნენ საფრანგეთის მეფის ხელში. პლანტაგენეტებს შერჩათ მხოლოდ პუატუს ნაწილი და აქვიტანიის საჰერცოგო.

დაკარგული საფლობელოების დაბრუნების მიზნით, იოანემ ვადიბირა თავის მხარეზე გერმანიის იმპერატორი ოტონ IV, იმის გარდა, ფლანდრიის გრაფი, რომელსაც ეშინოდა საფრანგეთის მეფის გაძლიერებისა, და კიდევ რამოდენიმე მსხვილი ფეოდალი. მაგრამ 1214 წ. ფრანგებმა გაანადგურეს ინგლისელები და მათი მოკავშირენი ლაროშ — ო — მუანთან და ბუვინესთან ბრძოლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ბუვინესთან ბრძოლაში ფილიპეს მხარეზე პირველად იბრძოდნენ რაინდებთან ერთად ქალაქების ლაშქრები, რომელთაც გამოამჟღავნეს თავიანთი უპირატესობანი მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსან ჯარის წინაშე. ამგვარად ფილიპემ შესძლო თავისი მონაპოვრების დამკვიდრება.

ფილიპემ თავის წინაპრებზე უკეთესად შეიგნო, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ სამეფო ხელისუფლებისათვის ქალაქებს ფეოდალურ დაქსაქსულობასთან ბრძოლაში. ამას მოწმობენ ის მრავალრიცხოვანი საკომუნო სიგელები, რომელიც მან უბოძა მთელ რიგ ქალაქებს. ქალაქებისათვის საკომუნო სიგელების ბოძების დროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან

წამაქეზებელ მოტივს წარმოადგენდა ქალაქების სამხედრო ძალის, ქალაქების ლაშქრების გამოყენების სურვილი და ქალაქებიც ხალისიანად კისრულობდნენ ვალდებულებას, გაეწიათ მეფისათვის, როდესაც მას დასჭირდებოდა, დახმარება.

მეფე მფარველობდა იმ ქალაქებსაც, რომელნიც მდებარეობდნენ სამეფო დომენს გარეთ. ამასთან ერთად ფილიპეს ჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენდა ქალაქების, დაბების და სოფლების აყვანა მეფის მფარველობის ქვეშ, ე. წ. პ ა რ ი ა ჟ ი. ეს ხელშეკრულებები დაცვის შესახებ ხელსაყრელი იყო ორივე მხარესათვის.

სამეფო ხელისუფლების ინტერესებისავე სასარგებლოდ ფილიპე აარსებდა „ახალ ქალაქებს" („villes neuves") და აგებდა ამ ფართო პრივილეგიებით.

სენის ზღვის შესართავის დაპყრობის შემდეგ სწრაფად მდიდრდება პარიზი, რომელიც საბოლოოდ იქცევა საფრანგეთის სატახტო ქალაქად. უკვე XII საუკუნეში პარიზი შეიქმნა სქოლასტიური სწავლულობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრთაგანად ევროპაში. მასში აღმოცენდა შუა საუკუნეების ისტორიაში განოქმული უნივერსიტეტი. პარიზში ვითარდება ხელოსნობის დარგები, სწრაფად იზრდება საამქროთა რიცხვი. პარიზის საამქროთა წესდებები შეკრებილ იქნენ XIII საუკუნის ნახევარში ეტიენ ბუალოს მიერ ეგრეთწოდებულ „ხელოსნობათა წიგნში" („Livre des métiers"). ამ კრებულში შეტანილია დაახლოვებით 100 საამქრო წესდება, მაგრამ პარიზის საამქროთა რიცხვი იყო გაცილებით უფრო დიდი. XIV საუკუნის დამდეგს საამქროთა რიცხვი პარიზში სჭარბობდა 300-ს. იზრდებოდა პარიზის ვაჭრობაც, განსაკუთრებით ვაჭრობა სენაზე, რომელიც იმყოფებოდა ეგრეთწოდებული „მდინარის ვაჭართა" გილდიის ხელში.

ფილიპე II სამხედრო წარმატებების წყალობით, საფრანგეთის მეფის დომენი დაახლოვებით ოთხჯერ გაიზარდა, მნიშვნელოვნად იმატა მეფის შემოსავალმაც.

სამეფო დომენის მართვა-გამგებლობა. ახლა ფილიპეს წინაშე წამოიჭრა ახალი მნიშვნელოვანი ამოცანა — სამეფო დომენის შინაგანი მოწყობა. ეს ვრცელი ტერიტორია საჭიროებდა ახლად მოწყობას. ფილიპე II დროიდან დაწყებული, საფრანგეთის მეფეების მიერ ჩატარებული რეფორმები მდგომარეობდნენ, ჯერ ეს ერთი, ცენტრალური მმართველობის — ცენტრალურ სამეფო საბჭოს შექმნაში, შემდეგ, საჭირო იყო ადგილობრივი მმართველობის აპარატის დაწესება და გამაგრება. ამასთანავე ერთად საფრანგეთის მეფეებს მოუხდათ დაძლევა ფეოდალთა წინააღმდეგობისა, რომელნიც სთვლიდნენ თავიანთ თავს საკუთარ სამფლობელოებში შეუზღუდავ მბრძანებლებად.

ბიუროკრატიული აპარატი, რომელმაც ნაწილობრივ შესცვალა მეფესთან მყოფი ფეოდალთა საბჭო, აღმოცენდა მეფის სასახლის ადმინისტრაციიდან. მის სათავეში წინათ იდგა დ ი დ ი ს ე ნ ე შ ა ლ ი, რომლის ხელში გაიერთიანა ხოლმე მეფის კუთვნილი ყოველგვარი შემოსავალი. ამავე დროს იგი იყო ჯარების სარდალი. ეს ანიჭებდა სენეშალს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამე-

ფო კარზე. ჩვეულებრივ, სენეშალი ინიშნებოდა მსხვილი ფეოდალების რიცხვიდან. ფილიპე II გააუქმა ეს თანამდებობა. დიდი სენეშალის, როგორც ჯარების სარდლის, ადგილს ამ დროიდან იკერს მეორე თანამდებობის პირი — კ ო ნ ე ტ ა ბ ლ ი.

მნიშვნელოვან თანამდებობის პირს მეფის კარზე წარმოადგენდა მისი კ ა ნ ც ე ლ ა რ ი უ ს ი, ანუ კ ა ნ ც ლ ე რ ი, რომელიც ზედამხედველობდა სამეფო კანცელარიას და ასრულებდა სამოსამართლო ფუნქციებს. შემდეგ აღსანიშნავი არიან კ ა მ ე რ ა რ ი უ ს ი, მეფის საახლის და მისი პირადი ხაზინის გამგე; ბ უ ტ ი კ უ ლ ა რ ი უ ს ი, რომელიც წარმოადგენდა ფინანსთა მინისტრისდაგვარ თანამდებობის პირს, იმის შემდეგ, რაც გაუქმდა სენეშალის თანამდებობა.

ახლა ყველა ეს თანამდებობის პირები შედიოდნენ ს ა მ ე ფ ო ს ა ბ ჭ ო შ ი. ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. ეს აღარ იყო წინანდელი ფეოლალური საბჭო, რომელზედაც არარეგულარულად იყრებოდნენ მეფის ვასალები ამა თუ იმ საკითხების გადასაწყვეტად, არამედ მეფესთან მყოფი მუდმივი დაწესებულება შედგენილი მისთვის სასურველი პირებისაგან. მართალია, იგი მათ ხშირად ფეოდალთა წრეებიდან ნიშნავდა, მაგრამ ისეთთაგან, რომელნიც იყვნენ მისი მორჩილნი. ამას გარდა ამ სამეფო საბჭოში, ანუ სამეფო კურიაში შეიყვანეს იურისტები, რომელნიც გამოდიოდნენ ნაწილობრივ წვრილ და საშუალო რაინდების, ნაწილობრივ სამღვდელოების რიგებიდან. ეს იყო მეტ ნაწილად განათლებული ხალხი, რომელთაც გავლილი ჰქონდათ პრაკტიკული სტაჟი სამოსამართლო და ფინანსიურ საქმეებში.

ასეთი იყო მმართველობის სისტემა ცენტრში. რაც შეეხება ადგილობრივ მმართველობას, იგი განვითარდა სამეფო მამულების მმართველობის დაწესებულებებისაგან. ცალკეულ ოლქებს, რომლებზედაც დაყოფილი იყო სამეფო დომენი, სათავეში ჩაუდგნენ ეგრეთწოდებული პ რ ე ვ ო. პრევო თავდაპირველად იყო სამეფო მამულების მოურავი (მმართველი) განსაზღვრულ ოლქში. მეფის ძალაუფლების გამაგრებასთან ერთად მას დაეკისრა მთელი რიგი სხვა ფუნქციებისა. მისი პოლიციური და სამოსამართლო ძალაუფლება, რომელიც ვრცელდებოდა მამულის ფარგლებში, ახლა გავრცელდა მთელ ოლქზე. ამას გარდა, პრევო წარმოადგენდა ოლქში ლაშქრის სამხედრო მეთაურს.

როდესაც XII საუკუნეში სამეფო დომენი გაიზარდა, იწყეს ცალკეული ოლქების გაერთიანება უფრო მსხვილ ერთეულებად, ეგრეთწოდებულ ბ ა ლ ი ა ჟ ე ბ ა დ, რომელნიც შედგებოდნენ რამდენიმე საპრევოტოსაგან. ბალიაჟის სათავეში იდგა მეფის მოხელე — ბ ა ლ ი ი. ბალიის დანიშვნა და გადაყენება ხდებოდა მეფის ნებასურვილის თანახმად და იგი წარმოადგენდა ადგილობრივ სამეფო ხელისუფლების გაძლიერების გამტარებელს. მთელი ბალიაჟის პ რ ე ვ ო მას ემორჩილებოდა.

როდესაც ფილიპე II. დროს სამეფო დომენს შეუერთეს ახალი მსხვილი სამფლობელოები, მათი მართვა-გამგებლობისათვის იწყეს დანიშვნა განსაკუთრებული სამეფო მოხელეებისა, რომელთაც ჰქონდათ ს ე ნ ე შ ა ლ ე ბ ი ს სახელწოდება. ამ სენეშალებს, როგორც წესი, მეფე ნიშნავდა ადგილობრივ მსხვილ ფეოდალთა რიგებიდან, მათი თავის მხარეზე მიმხრობის მიზნით.

ფილიპე II მემკვიდრეების დროს სამეფო სამფლობელოებში მოითვლებოდა დაახლოებით 20 ბალიაჟი და 5 სასენეშალო.

მეფე და მსხვილი ფეოდალები. სამეფო ძალაუფლების ზრდა ფილიპე II მმართველობაში არ ამოიწურება მხოლოდ სამეფო დომენის გაფართოებით და მისი ორგანიზაციული რეფორმებით. სამეფო ძალაუფლების მნიშვნელობა ძლიერ გაიზარდა საფრანგეთის იმ ნაწილებშიაც, რომელნიც ჯერ კიდევ არ შესულიყვნენ სამეფო დომენის შემადგენლობაში. მეფე არ უშვებდა ხელიდან მარჯვე შემთხვევას მსხვილი ფეოდალური სამფლობელოების შინაგან საქმეებში ჩარევისა. იგი მოითხოვდა მათგან ვასალური ვალდებულებების შესრულებას, კერძოდ სამხედრო სამსახურს. ყოველ ვასალურ სამთავროთაგანში, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო შესული სამეფო დომენის შემადგენლობაში, მეფეს ჰყავდა მოკავშირენი — ქალაქები, ეკლესია, წვრილი რაინდობა. სამეფო ხელისუფლება იყენებდა თავის ინტერესებისათვის მეორეხარისხოვანი სენიორების შეტაკებებს მთავრებთან — ჰერცოგებთან, ან გრაფებთან. ამ ნიადაგზე განვითარდა თავისებური მოვლენა, რომელმაც მიიღო **იმედიატიზაციის** სახელწოდება (წარმოსდგა ლათინური სიტყვა immedius'-ისაგან, რაც ნიშნავს — უშუალოს). ამ სიტყვაში ჰგულისხმობდნენ უშუალო ვასალური ურთიერთობის დამყარებას მეფის ვასალის ვასალებსა და თვით მეფის შორის. ასე, მაგალითად, ფლანდრიის გრაფის ვასალებმა, როდესაც შეუტაკნენ თავიანთ სენიორს, დაიწყეს საფრანგეთის მეფისადმი მიმართვა და სდებდნენ მის წინაშე უშუალო ვასალურ ერთგულების ფიცს. ამგვარად დაიწყო დარღვევა ძველმა წესმა, რომ „ჩემი ვასალის ვასალი არ არის ჩემი ვასალი"-ო. მეფის გავლენა ახლა იმდენად გაიზარდა, რომ მისი მსხვილი ვასალებიდან შედარებით ცოტა ვისმეს-ღა შეეძლო ეფიქრა პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე. ფილიპე II მეფობის დასასრულს ცოტა-ღა-იყო ისეთი საფეოდალო სამთავრო, რომელნიც თითქმის სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ მეფისაგან. დამოუკიდებლობა შეინარჩუნა ფლანდრიის გრაფმა, აგრეთვე ბრეტანის ჰერცოგმა, შაგრამ ბურგუნდია და შამპანი უკვე იმყოფებოდნენ სამეფო ხელისუფლების ძლიერი გავლენის ქვეშ. იგივე შეიძლება ითქვას შუა საფრანგეთზე. მეფისგან დამოუკიდებელი იყვნენ ინგლისის სამფლობელოები აქვიტანიაში, მაგრამ მეფე ყოველმხრივ ცდილობდა ეშოვნა საბაბი მათ შინაგან საქმეებში ჩარევისათვის და გაეძევებინა იქიდან ინგლისის მეფის ძალაუფლება.

ტულუზის საგრაფო და მისი შეერთება სამეფო დომენთან. დაბოლოს, არსებობდა კიდევ ერთი მსხვილი სამთავრო, რომელიც დიდ ხანს ინარჩუნებდა თითქმის სრულ დამოუკიდებლობას მეფისაგან. ეს იყო — ტულუზის საგრაფო, ანუ ლანგედოკი. იგი მდებარეობდა უშუალოდ ხმელთაშუა ზღვასთან და დაკავშირებული იყო გარონასთან და ატლანტიკის ოკეანესთან; ამის წყალობით იგი იმყოფებოდა დიდ სავაჭრო გზა-ჯვარედინზე, რომელიც აერთიანებდა ორ ზღვას. ჯერ კიდევ რომის ეპოქაში ეს ოლქი წარმოადგენდა რომაული კოლონიზაციის და კულტურის ერთ-ერთ ცენტრთაგანს გალიაში. უფრო მოგვიანებითაც ჩვენ ვხვდებით იქ რომაული სამართლის და რომაული წესების მნიშვნელოვან ნაშთებს. ეს ოლქი იყო გაცილებით უფრო მდიდარი და

კულტურული საფრანგეთის სხვა რაიონებთან შედარებით. ლანგედოკში არ არსებობდა მკვეთრი წინააღმდეგობა ფეოდალებსა და ქალაქებს შორის და რაინდობა მნიშვნელოვნად ჩაბმული იყო საქალაქო ცხოვრებაში. რაინდებს ჰქონდათ თავიანთი რეზიდენციები ქალაქებში, რომელნიც წარმოადგენდნენ რომაული ეპოქის ქალაქების პირდაპირ შემკვიდრეებს. მოქალაქეებს შეეძლოთ რაინდული წოდების მიღება.

აქ შემუშავდა სპეციფიკური რაინდულ-საქალაქო კულტურა, მკვეთრად განსხვავებული დანარჩენი საფრანგეთის კულტურისაგან. აქ მდიდრულად გაიფურჩქნა პოეზია პროვანსულ ენაზე. ეს იყო უმთავრესად სატრფიალო პოეზია, რომელსაც სთხზავდნენ და მღეროდნენ ტ რ უ ბ ა დ უ რ ე ბ ი. მაგრამ ლირიკული პოეზიის გარდა, აქ დიდად გავრცელებული იყო აგრეთვე პოლიტიკური სატირული სიმღერები, ეგრეთწოდებული ს ი რ ვ ე ნ ტ ე ბ ი. ის, რაც ჩვენ მოვიხსენიეთ ტულუზის საგრაფოს შესახებ, შეეხება აგრეთვე წინანდელი ბურგუნდიის სამეფოს ანუ არელატის სამხრეთ ნაწილსაც, რომელიც შედიოდა ახლა რომის საღმრთო იმპერიის შემადგენლობაში. წინანდელი არელატის ეს სამხრეთი ნაწილი — პროვანსი — წარმოადგენდა ეკონომიკის და კულტურის მხრივ ტულუზის საგრაფოს გაგრძელებას. თავისებური ეკონომიკის და კულტურის ნიადაგზე ამ ოლქებში აღმოცენდა სპეციფიკური რელიგიური იდეოლოგია, რომელიც ოპოზიციაში ჩაუდგა ფეოდალურ-კათოლიკურ ეკლესიას. როგორც წერს მარქსი, „მ წ ვ ა ლ ე ბ ლ ო ბ ა დაკავშირებული იყო აქ გაბატონებულ მაღალ განვითარებულ განათლებასთან.“[1] XII საუკუნეში აქ დაიწყო ვალდენსების პროპაგანდა. ამავე დროს საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში, განსაკუთრებით ტულუზის საგრაფოში, ფართო გავრცელება ჰპოვა კატარების მწვალებლობამ. ვალდენსებს და კატარებს აქ ეწოდებოდათ ა ლ ბ ი გ ო ე ლ ე ბ ი (იხ. თავი XXXI).

ალბიგოელთა ძირითადი კადრები გამოდიოდნენ ქალაქური პლებეური მასების წრიდან, მაგრამ მწვალებლობის მიმდევრები მოიძებნებოდნენ შეძლებულ მოქალაქეთა, რაინდობის და ადგილობრივი დიდკაცობის შორისაც, რომელიც მუშტრის თვალით შესცქეროდა ეკლესიის სიმდიდრეს. უეჭველია, ამავე მოტივებით იყო გამოწვეული ის მფარველობა, რომელსაც უწევდა ალბიგოელებს ტულუზის გრაფი რაიმუნდ VI. XIII საუკუნის დამდეგისათვის მწვალებლობის წარმატებანი სამხრეთ საფრანგეთში იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამან შეაშფოთა პაპი ინოკენტი III, რომელმაც გაგზავნა ტულუზის საგრაფოში ალბიგოელთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის თავისი ლეგატი, ფრანგი ბერი კ ა ს ტ ე ლ ნ ო.

მაგრამ, კასტელნოს მისიამ უნაყოფოდ ჩაიარა. ალბიგოელები გრძნობდნენ, რომ მათ უმაგრებდათ ზურგს რაიმუნდი, განკვეთილი ეკლესიისაგან კასტელნოს მიერ. კონფლიქტის გასამწვავებლად პაპის მომხრეებმა პროვოკაციულად გამოიწვიეს კასტინოს მოკვლა (1208 წ.). ამან მისცა პაპს საბაბი ალბიგოელთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობისა. ჩრდილოეთ საფრანგეთის რაინდები ხალისიანად გამოეხმაურნენ პაპის მოწოდებას მწვა-

[1] „Архив Маркса и Энгельса“, ტ. V, გვ. 232.

ლებულთა გასანადგურებლად და გასალაშქრებლად, რადგანაც იმედი ჰქონდათ საფრანგეთის მდიდარი ქალაქებიდან ნადავლის ხელში ჩაგდებისა.

რაინლენის დიდი ლაშქარი („არამზადების ყაჩაღური ბრბო"[1] — მარქსის ვამოთქმით) გაემართა სამხრეთ საფრანგეთის დასაპყრობად (1209 წ.). რაინდული ლაშქრის ბელადად იყო მკაცრი ფანატიკოსი სიმონ დე მონფორი.

სამხრეთმა მამაცური წინააღმდეგობა გაუწია ამ ჯვაროსნულ ლაშქარს, მაგრამ ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლის შედეგად, ერთიან პოლიტიკურ ორგანიზაციას მოკლებული, იგი დამარცხდა. ჯვაროსნებმა მოიპოვეს გადამწყვეტი გამარჯვება მიურესთან (1213 წ.). მოეწყო ალბიგოელთა საშინელი ხოცვა-ყლეტა. ჯვაროსნებს თან მისდევდნენ ბერების დიდი ჯგუფები, რომელნიც ყოველი გამარჯვების შემდეგ სწვავდნენ კოცონებზე „მწვალებლებს".

ამგვარად, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი განადგურებულ იქნა. რაიმუნდ VI მოინანია ცოდვები და მორჩილება გამოაცხადა, მაგრამ გაძევებულ იქნა და ჩამოერთვა საკუთარი სამფლობელოები, რომელთა მხოლოდ ნაწილი დაუტოვეს მის შვილს რაიმუნდ VII. მისთვის ჩამორთმეული მიწები ერგო სიმონ დე მონფორს, რომელმაც ასე ამგვარად შეიძინა მსხვილი სამთავრო. მაგრამ ახალი მმართველის ძალაუფლება დაპყრობილ ქვეყანაში ვერ იყო მტკიცე.

1218 წ. ლანგედოკში იფეთქა აჯანყებამ, რომლის დროს სიმონ დე მონფორი მოკლულ იქნა. მაშინ ჩრდილოეთ საფრანგეთიდან მოეწყო ახალი ლაშქრობა. მიუხედავად სამხრეთის ხელახალი აოხრებისა, ბრძოლა იქ გაგრძელდა კიდევ რამდენიმე წელიწადს და არსებითად დასრულდა მხოლოდ ლუდოვიკ VIII დროს (1223 — 1226 წწ.), რომელმაც ჩაუყარა „ამ ძარცვა-გლეჯით ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ი ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო ს ს ი დ ი ა დ ე ს."[2] ტულუზის საგრაფო შეუერთეს საშეფო დომენს, რომელიც ამიერიდან იშლებოდა საფრანგეთის ჩრდილოეთიდან მის სამხრეთამდის, ლამანშიდან ხმელთაშუა ზღვამდის.

ლუდოვიკ IX წმინდა. ლუდოვიკ VIII ხანმოკლე მმართველობის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვანი ვაჟი-შვილი ლუდოვიკ IX (1226—1270 წწ.), რომელიც შემდეგ პოლიტიკური მოსაზრებებით პაპობამ ჩარიცხა წმინდანებში, ე. ი. „მოახდინა მისი კანონიზაცია. რეგენტობა მიანდეს მის დედას ბლანკა კასტილიელს. გამოიყენეს რა მეფის მცირეწლოვანობა და რეგენტი ქალის უცხოური წარმოშობა, მსხვილმა ფეოდალებმა მოაწყეს კოალიცია სამეფო ძალაუფლების შესასუსტებლად. დახმარების თხოვნით მათ ინგლისის მეფე ჰენრიხ III კი მიმართეს, მაგრამ რეგენტი ქალი ეკლესიაზე, ნოქალაქეებზე და ერთგულად დარჩენილი ფეოდალთა ნაწილზე დაყრდნობით, შედარებით ადვილად გაუსწორდა კოალიციას. ბლანკას რეგენტობის დროს ინგლისელებისაგან დაპყრობით მოპოვებული სამფლობელოები განმტკიცებულ და გაფართოებულ იქნენ.

წმინდა ლუდოვიკის მეფობაში მეფის ძალაუფლების ძლევამოსილი მდგომარეობა, მოპოვებული წინამორბედ მეფობაში, განმტკიცებულ იქმნა მთელი

---

[1] „Архив Маркса и Энгельса", т. V, ст. 236.

[2] იქვე, ст. 240.

რიგი მნიშვნელოვანი რეფორმებით. მათ შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს სასამართლოს რეფორმას. ლუდოვიკ IX დროს აკრძალულ იქნა სამოსამართლო ორთა ბრძოლა სამეფო დომენის ოლქებში. მოჩივარი, მხარეებისათვის იქმნება შესაძლებლობა საქმის განსაჩივრებისა სამეფო სასამართლოში. შესაძლებელი შეიქნა ყოველი ფეოდალური სასამართლოს განაჩენის აპელაციით განსაჩივრება სამეფო სასამართლოში. ამის წყალობით სამეფო სასამართლო იქცა მთელი სამეფოს სამოსამართლო საქმეების უზენაეს ინსტანციად. მეფეს მიეცა საშუალება ჩარეულიყო ყოველი ფეოდალური სასამართლოს საქმეებში. უკვე ნათქვამს უნდა დაემატოს აგრეთვე ეგრეთწოდებული „სამეფო საქმეების" წრის გაფართოვება. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სისხლის სამართლის საქმეების გარჩევის უფლება ჩამოერთვათ საერთოდ ფეოდალურ სასამართლოებს და ისინი შეიქმნენ მხოლოდ სამეფო სასამართლოს გარჩევის საგნად.

ლუდოვიკ IX დროს განაგრძობდა განვითარებას ცენტრალური მმართველობა. მის დროს სამეფო კურიას გამოეყო განსაკუთრებული სამოსამართლო პალატა, ანუ პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი. ჯერ კიდევ XII საუკუნეში, ფილიპე II დროს, სამეფო კურიაში იწვევდნენ არა მსხვილ ფეოდალებს, არამედ უფრო წვრილ ხალხს — რაინდებს, უფრო ხშირად კი სასულიერო პირებს, როგორც იმ დროინდელი ფრანგული საზოგადოების ყველაზე უფრო განათლებულ ხალხს. ლუდოვიკ IX დროს გამოიყო განსაკუთრებული ფენა ლ ე გ ი ს ტ ე ბ ი ს — კანონის მცოდნეებისა. ლეგისტები წარმოადგენდნენ სპეციალისტებს რომის სამართლის სფეროში, რომლის იდეებსაც, განსაკუთრებით მეფის შეუზღუდავი ძალაუფლების შესახებ დოქტრინას, ისინი დაეინებით ატარებდნენ ცხოვრებაში.

დაბოლოს, ცენტრალური მთავრობის ადგილობრივ ხელისუფლებებთან დასაკავშირებლად, შემოღებულ იქნა სამეფო რევიზორების თანამდებობა, რომელთაც კონტროლი უნდა გაეწიათ ადგილობრივი ადმინისტრაციის მოქმედებისათვის და მოეხსენებინათ მეფისათვის ყველა ბოროტმოქმედების შესახებ.

ლუდოვიკ წმინდამ აკრძალა სამეფო დომენში ფეოდალებს შორის კერძო ომები, ხოლო იმ სამფლობელოებში, რომელნიც ჯერ კიდევ არ იყვნენ შეერთებული დომენთან, შემოიღო ეგრეთწოდებული „მეფის ორმოცი დღე", ე. ი. ვადა, რომლის განმავლობაში ომში გამოწვეულ მხარეს შეეძლო მიემართა მეფისადმი. ამან შეასუსტა ფეოდალური შინა-ომები.

იმ რეფორმათა შორის, რომელთაც გაამაგრეს სამეფო ხელისუფლების მდგომარეობა, აღსანიშნავია აგრეთვე სამონეტო რეფორმა. სამონეტო სისტემათა სხვადასხვაობა საფრანგეთში მეტად აძნელებდა სავაჭრო ბრუნვას. ლუდოვიკ IX დროს მთელ სამეფო დომენში შემოღებულ იქნა ერთიანი სამონეტო სისტემა. მეფე არ დაკმაყოფილდა ამით, და დაადგინა, რომ სხვა ოლქებშიაც ადგილობრივ მონეტებთან ერთად ბრუნვაში უნდა იმყოფებოდეს მეფის მონეტაც. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო საფრანგეთის ეკონომიურ შემჭიდროებას, ვინაიდან ამიერიდან ყოველ ოლქს მიეცა საშუალება ეწარმოები-

ნა ანგარიში მეფის მონეტით. უკანასკნელმა, როგორც უფრო სრულფასიანმა, იწყო ბრუნვიდან გაძევება სხვა ფულებისა, ვინაიდან ვაჭრები ღებულობდნენ უმთავრესად მეფის მონეტას (ფულს) ან და მოითხოვდნენ მხოლოდ მას.

ლუდოვიკის ბევრმა ღონისძიებამ გამოიწვია საყვედურები ფეოდალების მხრივ, ისინი ჩიოდნენ მეფეზე, რომელიც ვითომდა მფარველობდა უბრალო ხალხს და ცდილობდა უმაღლესი კლასის პრივილეგიური მდგომარეობის მოსპობას საფრანგეთში. სინამდვილეში კი „წმინდა“ მეფის პოლიტიკა ატარებდა გარკვეულ კლასობრივ ხასიათს. ცალკეული მსხვილი ფეოდალების პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლამ არ უნდა დაჩრდილოს კლასობრივი არსი მეფის ხელისუფლების მისწრაფებისა შეექმნა ცენტრალიზაციაქმნილი სახელმწიფო, რომელიც კლასთა ბრძოლის განვითარების პირობებში იქცეოდა მთლიანი ფეოდალური კლასის სანდო დასაყრდენად.

გლეხობის მდგომარეობა. რაც შეეხება გლეხობას, როგორც საერთო ტენდენცია XIII საუკუნისა, უნდა აღინიშნოს მისი მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესება. მაგრამ ეს არ ითქმის მთელი გლეხთა მასაზე, არამედ, უმთავრესად გლეხობის ზედა-ფენაზე. ამ დროისათვის საფრანგეთში დაიწყო ნატურალური გადასახადების ფულადით შეცვლის პროცესი. მამულის კავშირი ბაზართან განსაკუთრებით შინაგან საქალაქო ბაზართან, რომელიც მაშინ სპარბობდა, ხორციელდებოდა საფრანგეთში უმთავრესად გლეხური მეურნეობის მიერ. ფეოდალები ვაჭრობასთან შედარებით მცირეოდნად იყვნენ დაკავშირებული და მაინც და მაინც არ იყვნენ დიდად დაინტერესებულნი სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებაში. გაცილებით უფრო მეტად ამაში დაინტერესებული იყო გლეხობა, რომელიც აწოდებდა ქალაქს სამრეწველო ნედლეულს და საკვებს. აქედან გამომდინარეობდა შეძლებული გლეხური მეურნეობის საქონლიანობის ზრდა, აქედანვე გამომდინარეობდა ფულადი რენტის განვითარება, რომელიც აღრმავებდა გლეხობის დიფერენციაციას შეძლებულ ზედა-ფენად და მცირე მიწის მქონე მასად. სწორედ პირველი ჯგუფი ყველაზე უფრო ფართოდ იყენებს ფულადი სახსრების დაგროვებას თავისუფლების გამოსყიდვისათვის. თავდახსნილი გლეხები ყმა-გლეხებისაგან — სერვებისაგან განსასხვავებლად, იწოდებოდნენ ვილანებად.

ვილანების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა XIII საუკუნეში იმის წყალობით, რომ ფეოდალები, რომელთაც მუდამ უჭირდათ ფული, ადვილად თანხმდებოდნენ გამოსყიდვაზე, ზოგჯერ კი თვითონ აიძულებდნენ გლეხებს გამოესყიდათ თავი. მაგრამ გლეხობის მდგომარეობა პირადი თავისუფლების მიღების შემდეგ, იცვლებოდა. მცირეოდნად. ვილანს შეეძლო წასვლა, სადაც მოესურვებოდა, მაგრამ თუ იგი რჩებოდა თავის მიწის მონაკვეთზე, მას უნდა ეხადნა თითქმის ყველა წინანდებური ვალდებულებები, რომელნიც ახლა აწვნენ არა მის პიროვნებას, არამედ მის მიწას.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის ქრესტომათიები. Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса, т. V, стр. 56—57, 149—154, 170, 178—184, 232—241, 308—310).— Маркс и Энгельс, Прения по польскому вопросу во Франкфурте, Соч. т. VI.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. II, ч. I, 1938, стр. 20—28. — Французская деревня XII—XIV веков и Жакерия, сб. материалов под ред. Грацианского, 1935. — Оловяпишникова, Западная Европа в средние века (XII—XIV вв.), М. — Л. 1926. — Хрестоматия по западноевропейской литературе. Средние века (IX—XV вв.), под ред. Шор, 1938, стр. 145—310.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. II, 1898, стр. 327—378. — Пти-Дютайи, Феодальная монархия в Англии и Франции X—XIII вв, 1938. — Грановский, Аббат Сугерий, Соч., М. 1900, или отд. изд. М. 1849.—Тьерри О., Городские коммуны во Франции, 1901.—Лясковский, Филипп-Август в его отношениях к городам, Киев 1902. — Смирнов, Коммуна средневековой Франции, Казань 1873. — Грацианский, Бургундская деревня в X—XII столетиях, М. — Л. 1935. — Осокин, История альбигойцев, 2 т., Казань 1869—1872.— Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. II, ст. 24; т. III, ст. 53.

თავი XIX

გენერალური შტაბები. ეტიენ მარსელის აჯანყება და ქაქერია

ფილიპე IV. საფრანგეთში სამეფო ძალაუფლების განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს წმინდა ლუდოვიკის შვილიშვილის ფილიპე IV ლაამაზის მეფობა (1285—1314 წწ.).

ჯერ კიდევ 1284 წ., როდესაც ფილიპე IV ტახტის მემკვიდრე იყო, მისი ქორწინების წყალობით ნავარის სამეფოსა და შამპანის საგრაფოს მემკვიდრე ქალზე, ეს ორივე სამფლობელო შეუერთეს სამეფო დომენს. სამეფო დომენის შემდგომი გაზრდა სცადეს ფლანდრიის საგრაფოს ანგარიშზე, რომელიც იმ დროს წარმოადგენდა რთული კლასთა ბრძოლის ასპარეზს. და ეს გარემოება სურდა გამოეყენებინა თავისი მიზნებისათვის ფილიპე IV.

ფლანდრიის სწრაფმა სამრეწველო განვითარებამ XII-XIII საუკუნეებში გამოიწვია ქალაქების სწრაფი ზრდა. მათ შესძლეს მიეღწიათ მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ, როგორც ყველგან ევროპაში, ქალაქების გამარჯვება სენიორებზე სასარგებლო აღმოჩნდა მხოლოდ პატრიციატის მცირე რიცხოვანი ჯგუფისათვის, რომელმაც ჩაიგდო ხელში მთელი მართვა-გამგებლობა.

ამავე დროს მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია დიფერენციაცია ხელოსნობის შიგნით, საამქრო ზედა-ფენის გამოყოფა, რომელმაც იწყო წვრილი ოსტატების ფართო მასების ექსპლოატაცია. მრეწველობაში იკრება სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალი.

XIII საუკუნის დამლევისათვის გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა საამქროებსა და პატრიციატის შორის, რომელმაც ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება და იქცა ჩამომავლობის კასტად.

პატრიციატთან ბრძოლის დროს საამქროთა ზედა ფენა ფართო სახალხო მასების უკმაყოფილებას ეყრდნობოდა, რომელნიც შესდგებოდნენ წვრილი ხელოსნებისაგან, ქარგლებისაგან და ნაწილობრივ საამქროებს გარეშე მყოფი მუშებისაგან. ამათი რიცხვი ქალაქში ბევრი იყო. ფლანდრიის ქალაქების ქუჩებზე იმართებოდა ნამდვილი ბრძოლები საამქროებს და პატრიციატს შორის. პატრიციულმა ზედაფენამ, რომელიც განიცდიდა შევიწროვებას საამქროებისაგან და ჯერ კიდევ ებრძოდა თავის სენიორს, ფლანდრიის გრაფს, მიმართა დახმარებისათვის საფრანგეთის მეფეს. თავის მხრივ საამქროებმა

შეჰკრეს კავშირი ფლანდრიის გრაფთან. ფილიპე IV შეეცადა ესარგებლა აღ-
რთული ურთიერთობათა გადახლართვით ფლანდრიის დაპყრობის მიზნით.

თავდაპირველად მან შესძლო ფლანდრიის შინაგანი წინააღმდეგობის
გამოყენებით ფაქტიურად დაემყარებინა თავისი ძალაუფლება ამ ქვეყანაზე,
მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო ფლანდრიის საამქროების მოძრაობა ფრანგთა
ბატონობის წინააღმდეგ. ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლა საამქროთათვის
წარმოადგენდა პატრიციატის წინააღმდეგ ბრძოლას.

1302 წ. მაისში ბრიუგეში მოეწყო საფრანგეთის მეცხრამეტე ჯარის საში-
ნელი ხოცვა-ჟლეტა, ეგრეთწოდებული „ბ რ ი უ გ ე ლ ი ც ი ს კ ა რ ი". ამოჟ-
ლეტილ იქნა სამი ათასამდის ფრანგი. ეს იქცა ნიშნად. აღსდგა მთელი
ფლანდრია და დაამხო საფრანგეთის მეფის ბატონობა.

ფილიპე IV დასძრა ფლანდრიის წინააღმდეგ თავისი რაინდებისაგან
შემდგარი ჯარები. მათ შეეგებნენ ფლანდრიის ქალაქების საამქროთა ლაშქრე-
ბი. 1302 წ. კურტრესთან მოხდა ცნობილი ბრძოლა ეგრეთწოდებული
„დეზების ბრძოლა", მასში ფეიქრებმა, რომელნიც შეადგენდნენ ფლანდრიის
ჯარის მთავარ მასას, აწვნიეს საშინელი დამარცხება ფრანგებს. ამოხოცილ
იქნა რამდენიმე ათასი რაინდი. მათ დახსნეს შეოქრული დეზები, რომელნიც
შეადგენდნენ რაინდული წოდების განმასხვავებელ თვისებას. ეს დეზები
დაჰკიდეს საყდარში ამ ბრძოლის სამახსოვროდ.

კურტრესთან ბრძოლას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა სამხედრო ხელო-
ვნების ისტორიაში. მან გამოაშკარავა ორგანიზებული ფეხოსანი ჯარის უპი-
რატესობა რაინდულ ცხენოსან ჯარზე. მთელი ფლანდრია გაწმენდილ იქნა
ფრანგთაგან.

მაგრამ შემდგომი სამხედრო მოქმედებათა და დიპლომატიურ მოლაპარა-
კებათა შედეგად, ფილიპე IV შეძლო მთელი რიგი ფლანდრიის ქალაქების
შენარჩუნება და ფლანდრიაზე დიდი კონტრიბუციის დადება.

ფლანდრიასთან ბრძოლის გარდა, ფილიპე IV მოუხდა აგრეთვე შეტა-
კებები ინგლისთან აქვიტანიისათვის (ანუ, ფრანგულად, გიენისათვის). ეს ომი
დამთავრდა ზავით, რომლითაც გიენი შეინარჩუნა ინგლისმა, ამასთანავე
ერთად ინგლისის მეფის ედუარდ I ვაჟიშვილმა, მომავალმა ედუარდ II
ცოლად შეირთო ფილიპე ლამაზის ასული იზაბელა.

საგადასახადო პოლიტიკა. ფილიპეს სამხედრო წამოწყებანი მოითხოვ-
დნენ ფულს და აიძულებდნენ მას ეძებნა შემოსავლის ახალი სახსრები. ამას-
თან დაკავშირებით ფილიპე IV მიმართა სესხებს, რომელნიც / მის დროს
ატარებდნენ ერთობ თავისებურ ხასიათს: სესხულობდა რა ფულს ქალაქებისა-
გან, მეფე ჩვეულებრივ აღარ უბრუნებდა მას. პირიქით, იგი მოითხოვდა ახალ-
ახალ თანხებს, იმ საფუძვლით, რომ მან ერთხელ უკვე მიიღო. ამგვარად, ეს
ფულადი სესხები იქცეოდნენ ხოლმე მუდმივ გადასახადებად.

ფილიპე IV, ისევე, როგორც მისი წინაპრებისათვის, შემოსავლის
ერთ-ერთ მუდმივ წყაროთაგანს წარმოადგენდა ის გადასახადები, რომლებსაც
ახდევინებდნენ მევახშე ებრაელებს. მაგრამ 1306 წ. ფილიპე IV უჭირდა
რა ფული, მიმართა განსაკუთრებულ ზომას. მისი ბრძანებით მოეწყო ებრა-

ელთა ქონების საყოველთაო კონფისკაცია, ებრაელები გაძევებულ იქნენ საფრანგეთიდან. მაგრამ, ვინაიდან ებრაელთაგან ჩამორთმეული ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიტაცეს მეფის მოხელეებმა, ხოლო მათი გაძევებით შემცირდა მეფის შემოსავალი, ამიტომ მათ მიცეს ნება ხელახლა დაბრუნებულიყვნენ. ებრაელთა განდევნა და უკან დაბრუნება ფილიპე IV და მისი მემკვიდრეების დროს მეორდება რამდენჯერმე.

არსებობდა სამეფო ხაზინის შევსების სხვა საშუალებაც — ფულის ნიშნის (მონეტის) გაფუჭება. „ამაში, როგორც აღნიშნავს მარქსი, ფ ი ლ ი პ ე ლ ა მ ა ზ ი ოსტატია“.[1] გაფუჭებული ფულის ნიშანი სწრაფად კარგავდა ფასს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეფე მაინც ასწრებდა მისი მოჭრით თავისთვის მნიშვნელოვან სარგებლობის მიღებას. ეს სისტემა იწვევდა, პირველ ყოვლისა, ვაჭრული წრეების უკმაყოფილებას. არასრულფასიანი ფულის ნიშნის გამოშვების საფუძველზე ხდებოდა მღელვარება ვაჭართა შორის პარიზში. მაგრამ ეს აჩერებდა ფილიპე IV. როგორც ირონიულად აღნიშნავს მარქსი, „რასაც ფილიპემ მიაღწია და რისკენაც იგი პირდაპირ ი ს წ რ ა ფ ო დ ა ფ უ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ უ დ მ ი ვ ი შ ე ც ვ ლ ი ს საშუალებით, იყო ის, რომ აღარავის — არც ე პ ი ს კ ო პ ო ს ებ ს, არც ვ ა ს ა ლ ებ ს, არც ქ ა ლ ა ქ ებ ს, რ ო მ ლ ებ ს ა ც ჰ ქ ო ნ დ ა თ უ ფ ლ ებ ა ფ უ ლ ი ს მ ო ჭ რ ი ს ა, — გაუკოტრებლად აღარ შეეძლოთ მისი მოჭრა. ამგვარად, მან მიაღწია დროებით ფულის ნიშნის ერთიანობას“.[2]

ფილიპე IV-ის ფინანსიური პოლიტიკა ქალაქების მიმართ, რომელთაგანაც იგი მუდამ სესხულობდა ფულს და ამ სესხს აქცევდა შემდეგ მუდმივ გადასახადად, ისახავდა პოლიტიკურ მიზანსაც. ეს იყო ბრძოლა ქალაქების კომუნების პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რომელნიც ახლა, როდესაც სამეფო დომენი შეიცავდა თითქმის მთელ საფრანგეთს, მოექცნენ სამეფო მიწაზე. ქალაქის კომუნების საქმეებში ფინანსიური ჩარევის პოლიტიკა საშუალებას აძლევდა მეფეს შეეგიწროვებინა საქალაქო თვითმართველობა. ფილიპე IV-ის მიერ კომუნების გამუდმებული ფულადი ყვლეფა მძიმე ტვირთად აწვებოდა კისერზე მათ და იწვევდა მათი ფინანსების მოშლას. კომუნებს არ შეეძლოთ იმ ვალდებულებების შესრულება, რომელნიც დააკისრა მათ მეფემ, და მაშინ უკანასკნელი, ქალაქების მოშლილი ფინანსების მოწესრიგების საბაბით, ართმევდა მათ დამოუკიდებლობას. ამგვარად, XIV საუკუნეში, საფრანგეთის ქალაქების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საჭელოვანი ისტორია დამთავრდა კომუნების მეფის ხელისუფლებისადმი თანდათანობითი დამორჩილებით.

ფეოდალური სენიორების მიმართ ფილიპე IV განაგრძობდა ლუდოვიკ IX-ის პოლიტიკას, რომელიც ცდილობდა ფეოდალური შინაომების შეწყვეტას და მსხვილი ფეოდალების თავისი იურისდიკციისათვის დამორჩილებას.

ამას გარდა, ფილიპე IV უფრო გაბედულად და თანმიმდევრობით ჩაატარა ვიერ კიდევ ლუდოვიკ IX-ის დროს დაწყებული რეფორმა, რომლის თანა-

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. V, стр. 320.
[2] Там же, стр. 320—321.

ხმად რაინდებს ნება ეძლეოდათ გამოესყიდათ თავი სამხედრო სამსახურისაგან განსაზღვრული ფულადი გადასახადების საშუალებით, ამით მეფეს შეეძლო ჯარის დაქირავება. ფილიპე IV-ის მიერ შემოღებული წესის თანახმად, რაინდს შეეძლო თავის გამოსყიდვა სამხედრო სამსახურისაგან განსაზღვრული ფულადი თანხის მიცემით, მაგრამ ეს თანხა უნდა დაედგინათ მეფის მოხელეებს რაინდის შემოსავლის შეფასების მიხედვით. ამგვარად დაიწყო მეფის მოხელეთა ჩარევა ფეოდალების ფინანსიურ საქმეებში.

თუმცა ეს ჩარევა არ იზღუდებოდა მხოლოდ ფეოდალებით. ფილიპე IV-ის დროს იწყეს გადასახადების აკრეფა ყოველი მოძრავი ქონებიდან და ყოველი შემოსავლიდან. ეს მოითხოვდა ქონების შეფასებას, რომელსაც ახდენდნენ მეფის მოხელეები მეზობელთა ჩვენებების საშუალებით.

ასე ამგვარად ფილიპე IV-ის ფინანსიური სისტემა ვრცელდება საფრანგეთის მთელ მოსახლეობაზე. არ დარჩა თითქმის ისეთი კუთხე, რომ იქ ფინანსების მოხელეს არ ჰქონოდა ღია კარი. შემოიღეს ახალი გადასახადები, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ ვაჭრობის განვითარებასთან. გადასახადი საგაჭრო მორიგებებზე, ეგრეთწოდებული მ ა ლ ტ ო ტ ი, წარმოადგენდა ყოველი საგაჭრო მორიგებისაგან განსაზღვრული პროცენტის აკრეფას. ამას გარდა, ფართო მასშტაბით იყენებდნენ სახელმწიფო სესხებს უცხოელი (ლომბარდიელი) ბანკირებისგან.

ფილიპე IV შეტაკება ბონიფაცი VIII. თუმცა ეკლესიის შემოსავალი პრინციპულად თავისუფლად ითვლებოდა ყოველგვარი გადასახადებისაგან, მაგრამ უკვე ლუდოვიკ IX მიმართავდა ხოლმე საეკლესიო ქონების დაბეგვრას გადასახადებით. ფილიპე IV კიდევ უფრო ფართოდ სარგებლობდა შემოსავლის ამ წყაროთი. ამ ნიადაგზე მოხდა მკვეთრი შეტაკება ფილიპე IV და პაპს შორის, რომელიც თვლიდა საეკლესიო ქონების გადასახადით დაბეგვრას საკუთარ პრივილეგიად.

პაპის ტახტზე იმ დროს იმყოფებოდა ენერგიული და მბრძანებლობის მოყვარული ბონიფაცი VIII (1294 — 1303 წწ.). თავისი ძალაუფლების წყურვილით, აბეზარი მეომრულობით და აგზნებულ ინტრიგანობით, ეს იყო უფრო მეტად საერო მბრძანებელი, ვიდრე სასულიერო მეუფე. მისი ენერგია იყო დაუშრეტელი, ხოლო მისი მედიდურობა და ჯიუტობა — განუსაზღვრელი. დიდმა ხნოვანებამ ვერ მოათვინიერა. მისი ფიცხი ზნე. თავისი მისწრაფება პრეტენზიებით — მოთხოვნილებებით — ბონიფაცი VIII მოგვაგონებდა ინოკენტი III.

ფილიპე IV და ბონიფაცი VIII შორის განხეთქილება დაიწყო 1296 წ. ფილიპე IV მიერ სამღვდელოებაზე გაწერილ ახალ გადასახადებთან დაკავშირებით. პაპმა გამოსცა ბულა „Clericis laicos", რომელშიაც იგი განკვეთის მუქარით უკრძალავდა მეფეებს თვითნებურად ეკლესიის დაბეგვრას, ხოლო სამღვდელოებას უკრძალავდა საერო ხელისუფალთათვის გადასახადების გადახდას სასულიერო შემოსავლიდან რომის ნებადაურთველად. ფილიპე IV ამ ბულაზე უპასუხა იმავ წელს საფრანგეთიდან იქრო-ვერცხლის გატანის აკრძალვით, რამაც საგრძნობლად დააზიანა პაპის ფინანსები,

რადგან პაპს აღარ შეეძლო ახლა მიეღო ის შემოსავალი, რომელიც წინათ მიდიოდა საფრანგეთიდან. მაშინ ბონიფაცი VIII წავიდა დათმობებზე და საფრანგეთის მთავრობის და რომის კურიის შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება. მაგრამ 1301 წ. უთანხმოებამ იფეთქა კიდევ უფრო ძლიერად. ბონიფაცი VIII გამოცა მთელი რიგი ბულებისა, რომლებშიაც ბრალსა სდებდა ფილიპე IV ქვეშევრდომთა ჩაგვრაში, ფულის გაფუჭებაში, საეკლესიო ქონების მითვისებაში და სხვ. ცნობილ ბულაში „Unam sanctam" იგი ასვითარებს თეზისს პაპის ზემდგომობის შესახებ მეფეებზე. „ღმერთმა, — განაცხადა პაპმა,—დაგვაკისრა რა ჩვენ ვალდებულებანი სამოციქულო საპასახურისა, დაგვაყენა ჩვენ მეფეებზე და იმპერატორებზე მაღლა". ამის საპასუხოდ გამოცემულ იქნა მეფის მრჩეველების მიერ შედგენილი ყალბი დოკუმენტები—პაპის მოგონილი ბულები და მათზე მეფის მოგონილივე პასუხები. ფილიპე IV ოსტატურად გამოიყენა სახელმწიფოში შექმნილი განწყობილება და საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის თავისკენ მიმხრობისათვის, 1302 წ. მან მოიწვია, პირველად საფრანგეთის ისტორიაში, გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი შ ტ ა ტ ე ბ ი. ამ გენერალურ შტატებში წარმოდგენილი იყო სამი წოდება — ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ე ბ ა, თ ა ვ ა დ-ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა და ეგრეთწოდებული მ ე ს ა მ ე წ ო დ ე ბ ა, ე. ი. ქალაქები.

პაპის მოთხოვნილებათა მიმართ სამღვდელოებამ დაიჭირა გაურკვეული პოზიცია. რაც შეეხება თავად-აზნაურობას და მესამე წოდებას, მათ ყველაფერში დაუჭირეს მხარი მეფეს. პაპმა გაგზავნა საფრანგეთში თავისი ლეგატი. რათა გამოეცხადებინა ფილიპეს განკვეთა, თუ იგი არ დაემორჩილებოდა პაპის მოთხოვნილებებს, მაგრამ ეს ლეგატი დააპატიმრეს და ჩასვეს საპყრობილეში. თავის მხრივ, ფილიპემ მოაწყო პრელატების და ბარონების კრება, რომელზედაც გამოჩენილი ლეგისტი გილიომ ნოგარე გამოვიდა მკვეთრი ბრალდებებით ბონიფაცის წინააღმდეგ და სდებდა მას ბრალს მწვალებლობაში და სხვა დანაშაულებაში. იმისთვის, რომ მოეწყო პაპის ტახტიდან ჩამოგდება, იგი მალე გაემგზავრა იტალიაში.

იტალიაში საფრანგეთის აგენტები ნოგარეს მეთაურობით უხვად აბნევდნენ ფულს და მოაწყვეს ნამდვილი შეთქმულება პაპის წინააღმდეგ; რომელშიაც ჩააბეს მისი ყველაზე გავლენიანი მტრები. პაპი იმყოფებოდა მაშინ ბატარა ქალაქ ანანიში, აპენინებში. ნოგარე და შეთქმულების მონაწილენი ერთად შეცვივდნენ პაპის სასახლეში და მიაყენეს პაპს მძიმე შეურაცხყოფა. ამ ელდით მოტეხილი პაპი მალე მოკვდა.

ამის შემდეგ პაპად არჩეულ იქნა ბორდოს არქიეპისკოპოსი კლიმენტი V სახელწოდებით (1305 წ.). ახალმა პაპმა გადაიტანა თავისი კარი ქალაქ ავინიონში. რონაზე. ეს ეგრეთწოდებული პაპების „ა ვ ი ნ ი ო ნ ი ს ტ ყ ვ ე ო ბ ა" გაგრძელდა 70 წელიწადს (1308 — 1378 წწ.). მართალია, ავინიონი არ შედიოდა სამეფო სამფლობელოთა შემადგენლობაში, მაგრამ ფაქტიურად პაპის კურია ახლა მოექცა მთლიანად საფრანგეთის მეფეების გავლენის ქვეშ. ამგვარად, XIV საუკუნის დამდეგს სამეფო ძალაუფლებამ საფრანგეთში მიაღწია გადამწყვეტ გამარჯვებას პაპობაზე.

ტამპლიერების პროცესი. ფილიპე IV ფინანსური პოლიტიკის მეორე დამახასიათებელ ეპიზოდს წარმოადგენდა ტამპლიერების ორდენის ლიკვიდაცია. ფილიპე IV კრედიტორებს შორის ეს თავის დროის ყველაზე მსხვილი ევროპული ბანკარიც იყო, რომლისაც მეფეს ემართა უშველებელი თანხები. ამ ვალის თავიდან მოსაშორებლად, ფილიპემ გადაწყვიტა კრედიტორის მოსპობა. 1307 წ. ყველა ტამპლიერები დააპატიმრეს და მოახდინეს მათი ქონების კონფისკაცია. ტამპლიერებს ბრალი დასდეს ყოველგვარ დანაშაულებაში — მწყალებლობაში, საიდუმლო მაგიური წესების შესრულებაში, მავნე სულისადმი სამსახურში, რომელსაც ისინი ვითომდა ასრულებდნენ თავიანთ კრებებზე. ყველა ეს ბრალდებები იყვნენ ალბათ მოგონილნი განგებ, თუმცა შეიძლება ტამპლიერებმა ვადმოიტანეს აღმოსავლეთიდან რაიმე თავისებური წესების დაცვა. ვერ იპოვეს ვერავითარი საბუთი ბრალდებისათვის, გარდა იმისა, რომ დიდი საიდუმლოებით იყო მოცული ტამპლიერების წესდება. კრებები და წესები. ამან შექმნა მათ შესახებ ყოველგვარი ლეგენდები.

ტამპლიერების წინააღმდეგ წამოყენებულმა ბრალდებებმა ჰპოვეს მით უფრო დიდი ნდობა, რომ ორდენი იყო მეტად არაპოპულარული როგორც თავისი მევახშური ოპერაციებით, ისევე ძისი წევრების თავდაუპერელი ცხოვრებით .ორდენის წინააღმდეგ მოიხმარეს ინკვიზიციური საქმის წარმოება. ორდენის წევრები, წამების შედეგად, გამოტყდნენ ყოველგვარ დანაშაულებაში. ტამპლიერების ნაწილი დაწვეს, მეორე ნაწილი დაამწყვდიეს საპყრობილეებში, ნაწილიც გააძევეს საფრანგეთიდან. მეფემ მიაღწია იმას, რომ 1312 წ. პაპმა გამოაცხადა ორდენი დაშლილად. ამის წყალობით მეფემ არა მარტო დააღწია თავი ტამპლიერების ვალს, არამედ მას ხელში ჩაუვარდა მათი მოძრავი ქონება, მათი ოქრო-ვერცხლის მთელი მარაგი. რაც შეეხება ორდენის მიწის სამფლობელოებს, მეფემ არ მიისაკუთრა ისინი, არამედ პაპის მოთხოვნით დაუთმო ისინი ჰოსპიტალიერების ორდენს. მაგრამ ფილიპემ ისეთნაირად მოაწყო ეს საჩუქარი, რომ ჰოსპიტალიერელებმა აღარ იცოდნენ როგორ დაეღწიათ მისთვის თავი. სხვადასხვა საბაბით ისინი იძულებული შეიქნენ გადაეხადნათ ამ მიწებში აურაცხელი ფულის თანხები. ტამპლიერთა სიმდიდრის სხვა ქვეყნებშიაც დაეუფლნენ მეფეები და ფეოდალები.

ლეგისტები. ფილიპე IV ყველა სახელმწიფოებრივ საქმეებში თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ. განათლებული მოხელეები, ჩვეულებრივ უაზნონი. ესენი იყვნენ ის კანონის მცოდნენი — ლეგისტები, რომელნიც ჩნდებიან ჯერ კიდევ ფილიპე II ავგუსტუსის და ლუდოვიკ IX დროს, მაგრამ რომელთაც მხოლოდ ფილიპე IV დროს განავითარეს საკუთარი მოღვაწეობა, გაავრცელეს რა იგი მმართველობის ყველა დარგებზე — ადმინისტრაციულზე, სამოსამართლოზე, ფინანსიურზე, ისინი დაეფუძნებით ატარებდნენ ყველგან შეუზღუდავი სამეფო ძალაუფლების პრინციპს. მათ რიცხვს ეკუთვნოდნენ აგრეთვე მეფის უახლოესი მრჩეველები, ისეთები, როგორიც იყვნენ დახელოვნებული და მჭერმეტყველი იურისტი პიერ ფლოტი, ან და უკვე მოხსენიებული გილიომ ნოგარე.

ფეოდალური ოპოზიცია. ფილიპე IV მიერ გატარებულმა სამეფო ხელისუფლების გაძლიერების პოლიტიკამ, გამოიწვია ფეოდალთა ოპოზიცია. ფილიპე IV მეფობის უკანასკნელ წლებისათვის შესამჩნევი ხდება ფეოდალური დიდკაცობის უკმაყოფილების მნიშვნელოვანი ზრდა, იგი გაბრაზებული იყო სამეფო ხელისუფლების გამუდმებული ჩარევით სენიორების საქმეებში, ფეოდალთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის შემცირებით, განსაკუთრებით სამოსამართლო დარგში და სამხედრო სამსახურის განუწყვეტელი მოთხოვნებით, რომლებსაც უყენებდა მათ მეფე.

ფეოდალთა უკმაყოფილება პოულობდა დასაყრდენს აგრეთვე ქალაქების ოპოზიციაშიც, რომელთა შორის აუტანელმა საგადასახადო ტვირთმა და მათი დამოუკიდებლობის პირდაპირმა ჩახრჩობის პოლიტიკამ გამოიწვია ფართო მოძრაობა. საფრანგეთში ჩნდებიან ლიგები, ანუ ფეოდალთა კავშირები, რომელთაც უერთდებიან მოქალაქეებიც. ასეთი ლიგები აღმოცენდნენ ნორმანდიაში, შამპანში, ბურგუნდიაში. მათ დაამყარეს ურთიერთობანი ერთმანეთში და მზად იყვნენ შეიარაღებული ძალის მოხმარებაზე თავიანთი მოთხოვნილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

ამ გაჩაღებული ბრძოლის დროს ფილიპე IV გარდაიცვალა. მის პოლიტიკაზე პასუხისგებაწილად ხედა მის შვილს ლუდოვიკ X, რომელიც იძულებული შეიქნა წასულიყო მთელ რიგ დათმობებზე ლიგების წინაშე. მათ ებოძათ ქარტიები, შემცველნი ფეოდალთა პრივილეგიების დადასტურებისა, რომელნიც სხვა უფლებებს შორის იცავდნენ მათ სამოსამართლო უფლებებს და ყოველი ფეოდალის უფლებას ეწარმოებინა ომი ვისთანაც სურდა. მეფემ ალუთქვა არ დაებეგრა ფეოდალთა მიწები ახალი გადასახადებით და არ მოეთხოვნა მათგან სამხედრო დახმარება მათი წინასწარი თანხმობის გარეშე.

ლიგების გამარჯვება წარმოადგენდა ფეოდალური რეაქციის გამომჟღავნებას. მაგრამ ეს გამარჯვება ვერ აღმოჩნდა მკვიდრი, ვინაიდან სამეფო ხელისუფლებამ შეძლო მალე მნიშვნელოვნად შეეზღუდა დაშვებული დათმობები.

გლეხთა მოძრაობანი. უკმაყოფილებამ, გამოწვეულმა ფილიპე IV პოლიტიკით, რომელსაც განაგრძობდნენ მისი ძენი, გამოიწვია მოძრაობა გლეხობაშიაც. ამასთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია 1315 წ. „ორდონანსი", გამოცემული ლუდოვიკ X მიერ.

ამ ცნობილ ორდონანსში დიდი ხნის განმავლობაში ხედავდნენ საფრანგეთში გლეხობის განთავისუფლების აქტს ან და უკიდურეს შემთხვევაში სამეფო დომენის გლეხობის განთავისუფლებას. ნამდვილად კი ეს ორდონანსიც კი არ არის, არამედ წერილი მეფისა ორი ბალიაჟის აგენტებისადმი მიწერილი. იგი იწყება დიდი ამედების აღმთქმელი განცხადებით იმის შესახებ, რომ ყოველი ადამიანი იბადება თავისუფალი. ეს გაისმის ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დეკლარაცია. შემდეგ მასში ნათქვამია, რომ ფრანკთა სამეფოში (სიტყვა-სიტყვით „ფრანკი" ნიშნავს თავისუფალს) არ უნდა იყვნენ მონები, ამიტომ წინადადება ეძლევათ გაანთავისუფლონ გლეხები მთელ რიგ სამეფო მამულებში.

მაგრამ ეს დოკუმენტი შეეხება მხოლოდ ზოგიერთ სამეფო მამულს, და არა მთელ სამეფო დომენს. ამასთანავე ერთად გლეხებს რატომღაც არ სურ-

დათ განთავისუფლება, და მათი იძულებით განთავისუფლება უნდებოდათ. საქმე იმაშია, რომ ეს ეგრეთწოდებული განთავისუფლება გლეხობისა, წარმოადგენდა წმინდა ფინანსიურ ზომას: გლეხებს უნდა გამოესყიდათ თავი დიდი თანხის მიცემით, რომლის გადახდაც მათ ხშირად არ შეეძლოთ. სწორედ ამით აიხსნება გლეხების წინააღმდეგობა განთავისუფლების მიმართ და მეფის ბრძანება, გაენთავისუფლებინათ ისინი მათი სურვილის წინააღმდეგაც კი.

მეფე გამოსთქვამდა იმედს, რომ დანარჩენი სენიორებიც მიჰბაძავდნენ მას. მისმა მოწოდებამ ჰპოვა გამოძახილი, მაგრამ ამ ორდონანსის გამოცემიდან ხუთი წლის შემდეგ (1320 წ.) მოხდა გლეხების აჯანყება, მიმართული არა მარტო ფეოდალთა, არამედ ქალაქების და ქალაქელი მევახშეების წინააღმდეგაც. თავის გამოსყიდვასთან დაკავშირებით გლეხებს დაედოთ მევახშეების ვალი, რადგან ისინი უნდა გასწორებოდნენ მეფეს და სხვა სენიორებს, რომელნიც მოითხოვდნენ მაღალ გამოსასყიდ თანხებს.

კიდევ უფრო ძლიერი გლეხთა მღელვარება მოხდა დასავლეთ ფლანდრიაში 1323 წ. ეს ხანგრძლივი აჯანყება, დაწყებული მეტისმეტი საგადასახადო დაბეგვრის ნიადაგზე, მალე იქცა საყოველთაო მოძრაობად ფეოდალთა და ეკლესიის წინააღმდეგ. გლეხები უარს აცხადებდნენ მეათედის გადახდაზე და მოითხოვდნენ, რომ მონასტრების კუთვნილი პური ღაერიგებინათ ღარიბთათვის. ისინი ძარცავდნენ და სწვავდნენ აზნაურთა ციხე-კოშკებს, ჰკლავდნენ იმ ფეოდალებს, რომლებსაც კი მოიხელთებდნენ, არბევდნენ საბატონოებს და საყდრებს. ამ მოძრაობის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ მას შეუერთდნენ ისეთი მსხვილი ქალაქები, როგორებიცაა ბრიუგე და იპრი,— თავდაპირველად მხოლოდ ქალაქების ღარიბ-ღატაკნი, შემდეგ ქალაქების მმართველი ჯგუფებიც. ფლანდრიის გრაფი იძულებული იყო მიემართნა დახმარების თხოვნით საფრანგეთის მეფისათვის, რომელმაც გაანადგურა მეამბოხეთა რაზმები კასელთან ბრძოლის დროს (1328 წ.). აჯანყების გასრესას თან სდევდა კონფისკაციები ღა მასობრივი სიკვდილით სასჯელები. აჯანყების მონაწილე ქალაქებს ჩამოართვეს მათი პრივილეგიები.

გენერალური შტატები. ფილიპე IV-ის და მისი შვილების მეფობის ხანაში საფრანგეთში ყალიბდება წოდებრივი წარმომადგენლობის ორგანო — **გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი შ ტ ა ტ ე ბ ი.** ეს ორგანო ჩამოყალიბდა თანდათანობით: მის წინამორბედს წარმოადგენდა მეფის ფეოდალური საბჭო, რომელსაც იწვევდნენ იმ შემთხვევებში, როდესაც მეფე თვითონ არ კისრულობდა რაიმე მნიშვნელოვანი დადგენილების მიღებას, თუ არ ექნებოდა თანხმობა მიღებული სამეფოს გავლენიანი პირებისაგან — მსხვილი საერო და სასულიერო ფეოდალებისაგან. მეფის საბჭოს არ გააჩნდა არც განსაზღვრული კომპეტენცია, არც განსაზღვრული შემადგენლობა. ჯერ კიდევ XIII და XII საუკუნეებშიც კი მეფეები თავიანთ საბჭოში იწვევდნენ ზოგჯერ უმსხვილესი სასულიერო და საერო ფეოდალების გვერდით ამა თუ იმ ქალაქების წარმომადგენლებს. მაგრამ მხოლოდ 1302 წლიდან შეგვიძლიან ვილაპარაკოთ საბოლოოდ ჩამოყალიბებულ შტატებზე, თუმცა ახლაც არ იყო განსაზღვრული რაიმე კონსტიტუციური აქტებით შტატების შემადგენლობა და მათი შეკრების ვადა. მეფე მიმართავდა ხოლმე მათ, როდესაც განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა ფულის ნაკლებო-

ბას. მეფე მიმართავდა გენერალური შტატების მხარის დაჭერას აგრეთვე ზოგიერთი ექსტრა-ორდინარული (არაჩვეულებრივი) ზომების გატარებისათვის, როდესაც მას სურდა წოდებათა წარმომადგენლების ავტორიტეტზე დაყრდნობა. გენერალური შტატები წარმოადგენდნენ უმაღლესი სამღვდელოების, თავადაზნაურობის და ქალაქების, ზედა-ფენის წარმომადგენლობას; მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სრულიად არ იყო იქ წარმოდგენილი.

1302 წ. გენერალური შტატები, როგორც უკვე ვიცით, მოწვეულ იქნენ მეფის შეტაკების გამო პაპი ბონიფაცი VIII. 1308 წ. ისინი შეიკრიბნენ ტამპლიერების საკითხის გამო. შემდეგ ისინი მოიწვიეს 1314 წ. იმ ახალი სახსრების გამო, რომელნიც უნდა გამონახული ყოფილიყო საომარი მიზნებისათვის.

ფილიპეს მემკვიდრეების დროსაც გენერალური შტატები აგრეთვე არაერთხელ შეკრებილან, უმთავრესად წოდებათა თანხმობის მისაღებად გადასახადების აკრეფაზე. ამგვარად, გენერალური შტატები იწყებენ საფრანგეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკაში შესვლას.

ყოველი სამ წოდებათაგანი წარმოადგენდა ერთგვარ განსაკუთრებულ პალატას, რომელიც ცალკე სწყვეტდა თავის საქმეებს. ისინი ერთიანდებოდნენ მხოლოდ მეფისათვის პასუხის შესამუშავებლად, მაგრამ აქაც არ იყვნენ მოვალენი საერთო დადგენილება გამოეტანათ.

ამასთანავე ერთად, დაწყებული XIV საუკუნიდან, წოდებები სულ უფრო და უფრო ეთიშებიან ერთმანეთს. თავად-აზნაურობა იქცევა კარჩაკეტილ შთამომავლობით წოდებად, რომელიც სარგებლობს მთელი რიგი პრივილეგიებით, პირველ ყოვლისა, გადასახადების უმრავლესობისაგან განთავისუფლებით, და ყოველგვარი საპატიო უფლებებით. მდაბიოსათვის მეტად გაძნელდა აზნაურის წოდების მიღება. „მესამე წოდებას", ე. ი. მოქალაქეებს, აზნაურები უცქერიან, როგორც უმდაბლეს, გადასახადებით დაბეგრილ წოდებას. თავად-აზნაურობის ინტერესები, რომელიც ცხოვრობდა ფეოდალური რენტით და რომლისთვისაც უცხო იყო ვაჭრობა და მრეწველობა, მკვეთრად იყვნენ დაშორებული ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესებისაგან. უმაღლესი სამღვდელოების შემადგენლობაც ივსებოდა აზნაურებით. მეორე მომენტს, რომელიც ასუსტებდა გენერალურ შტატებს, წარმოადგენდა სუსტი კავშირი საფრანგეთის ცალკეულ ოლქებს შორის, სამეფო დომენის ცალკეულ პროვინციებს შორის. გენერალური შტატების გვერდით მეფე იწვევდა პ რ ო ვ ი ნ ც ი ა ლ უ რ შ ტ ა ტ ებ ს ცალკეულ ოლქებში, რათა მიეღწია მათთან შეთანხმებისათვის საგადასახადო საკითხებში. ჩვეულებრივ ჩრდილოეთ და სამხრეთ საფრანგეთისათვის შტატები ცალცალკე იკრიბებოდნენ. შტატები langue d'oc-ისათვის და შტატები langue d'oil-ისათვის. დაბოლოს, მეფეს შეეძლო არ მოეწვია ერთად ყველა წოდებები, არამედ ცალცალკე თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და მოქალაქენი. წოდებათა ურთიერთ გათიშვით და საფრანგეთის ტერიტორიული დაქსაქსულობით აიხსნება ის გარემოება, თუ რატომ არ იქცნენ გენერალური შტატები პოლიტიკურად მძლავრ საკანონმდებლო, მეფის ხელისუფლებისათვის კონტროლის გამწევ ორგანოდ. მაგრამ გენერა-

ლური შტატები ცდილობდნენ თავიანთი კომპეტენციის გაფართოვებას. ისინი ჩვეულებრივ თავიანთ თანხმობას გადასახადების დაწესებაზე უკავშირებდნენ ხოლმე საჩივრებს მეფის მოხელეების ყოველგვარ შეცდომებზე, მძიმე გადასახადებზე და სხვ. უკვე ფილიპე IV-ის დროს გაისმის ასეთი სახის ჩივილი.

ლუდოვიკ X-ის ხანმოკლე მეფობის შემდეგ (1314—1316 წწ.) ტახტზე ავიდა მისი ძმა ფილიპე V (1316 — 1322 წწ.). მის შემდეგ კი მეორე ძმა, კარლოს IV (1322 — 1328 წწ.), რომლის სიკვდილით მთისპო კაპეტინგების პირდაპირი ხაზი. ტახტი გადავიდა ვალუას ხელში, რომელნიც იყვნენ კაპეტინგების არაპირდაპირი მემკვიდრეები.

ვალუას დინასტია. ახალი დინასტიის პირველი მეფე იყო ფილიპე VI (1328 — 1350 წწ.). მის დროს მოხდა სამეფო დომენის რამდენადმე გაზრდა საფრანგეთის სამეფოს ფარგლებს გარეთ. 1343 წ. ფულით შეძენილ იქნა დოფინეს ოლქი, რომელიც ოდესღაც შედიოდა ბურგუნდიის სამეფოს ფარგლებში, ხოლო შემდეგ წარმოადგენდა საღვთო რომის იმპერიის ნაწილს. ამიერიდან **დ ო ფ ი ნ ი** იქცა ტახტის მემკვიდრის ტიტულად, ვინაიდან დოფინე ითვლებოდა მის საუფლისწულად, **ა პ ა ნ ა ჟ ა დ**. მაგრამ სამეფო დომენის ამ ზრდას ვერ შეეძლო აენაზღაურებინა ის დანაკარგები, რომელნიც მოუვიდა საფრანგეთს ამის შემდეგ ინგლისთან ხანგრძლივ ომში, რომელმაც მიიღო ისტორიაში სახელწოდება ასწლიანი ომისა (1337 — 1453 წწ.).

ასწლიანი ომის დასაწყისი. მტრული ურთიერთობანი ინგლის-საფრანგეთს შორის დაიწყო დიდი ხნის წინ. მტრობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა საფრანგეთის მეფეების მისწრაფება განედევნათ საფრანგეთიდან საშაში მეზობლები, და ჩაეგდოთ ხელში გიენის (აქვიტანიის) ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ ინგლისელების ხელში იმყოფებოდა. მეორე მიზეზს წარმოადგენდა პრეტენზიები საფრანგეთის სამეფო გვირგვინზე ინგლისის მეფის ედუარდ III, რომელიც ფილიპე IV შვილიშვილი იყო, თავისი დედის იზაბელას მხრივ. მაგრამ მტრული დამოკიდებულების მთავარ კვანძს წარმოადგენდა ფლანდრია, ინგლისური მატყლის მთავარი მომხმარებელი. მატყლის გატანა თამაშობდა უდიდეს როლს ინგლისის ეკონომიკაში და ფინანსებში. მაგრამ ფლანდრიას ემუქრებოდა დაპყრობა საფრანგეთის მეფის მხრივ. გამწვავებული შინაგანი ბრძოლა, რომელიც გამუდმებით წარმოებდა ფლანდრიაში, აძლევდა საფრანგეთის მეფეს განუწყვეტელ საბაბს, ჩარეულიყო ფლანდრიის საქმეებში. როგორც ვიცით, 1326 წ. ფლანდრიის გრაფმა მიმართა დახმარებისათვის საფრანგეთის ახალ მეფეს აჯანყებული გლეხების და ქალაქების წინააღმდეგ. ფილიპე VI ვალუამ გაუწია მას ეს დახმარება და საფრანგეთის რაინდობამ კასელთან ბრძოლაში გაანადგურა ფლანდრიის ლაშქარი.

საფრანგეთის ჩარევას ფლანდრიის საქმეებში შედეგად მოჰყვა ქალაქების თავისუფლებათა დაკნინება, რამაც გამოიწვია ფლანდრიის კომუნების უდიდესი აღშფოთება როგორც თავიანთი გრაფის, ისევე ფრანგების წინააღმდეგ. საქალაქო მრეწველობის წარმომადგენელნი იწყებენ მოკავშირის ძებნას ინგლისში, რომელთანაც ისინი მრავალგზით იყვნენ ეკონომიურად დაკავშირებულნი.

1336 წ. ფლანდრიის გრაფმა, საფრანგეთის გავლენით ბრძანება გასცა ფლანდრიაში მყოფი ინგლისელი ვაჭრების დაპატიმრების შესახებ. ამან გამოიწვია დაუყოვნებლივ საპასუხო რეპრესიები ინგლისის მეფის ედუარდ III-ის მხრივ, რომელმაც გასცა ბრძანება ფლანდრიელი ვაჭრების დაპატიმრების შესახებ ინგლისში და აკრძალა მატყლის გატანა ინგლისიდან ფლანდრიაში. ამ ზომას შედეგად მოჰყვა ფლანდრიაში მთელი რიგი სახელოსნოების დაკეტვა, მრავალი მაუდის ოსტატის გაკოტრება და ქარგლების ფართო მასების უმუშევრობა, რომელნიც ახლა იძულებული იყვნენ ეხეტიალათ აქეთ-იქით და ემათხოვრათ. მაშინ ფლანდრიელი მრეწველები მსხვილი გენტელი მემაუდის იაკობ არტეველდეს მეთაურობით დაჩქარდნენ შეთანხმების მიღწევას ინგლისელებთან (1338 წ.).

ამ დროისათვის უკვე გამოცხადებული იყო ომი საფრანგეთს და ინგლისს შორის (1337 წ. ნოემბერი). ამას წინ უსწრებდა რთული დიპლომატიური სამზადისი. ედუარდ III გაშალა კავშირების მთელი სისტემა. ოქროს შემწეობით მან გადიბირა თავისკენ გერმანიის იმპერატორი და რამოდენიმე გერმანელი მთავარი. მაშინ ფილიპე VI გამოაცხადა გიენი კონფისკაციაქმნილად. ამის საპასუხოდ ინგლისის მეფემ წარადგინა თავისი უფლებები საფრანგეთის სამეფო გვირგვინზე და გამოიწვია ბრძოლაში ფილიპე. ამის შემდეგ დაწყებულმა საბრძოლო მოქმედებებმა ნათლად გახადეს ის გარემოება, რომ ედუარდს უკეთ მოესწრო მომზადება ომისათვის, ვიდრე ფილიპე VI. კავშირმა მდიდარ ფლანდრიის ქალაქებთან უზრუნველჰყო ედუარდ III დიდი მატერიალური სახსრებით. მან ჩაატარა ინგლისის ჯარის რეორგანიზაცია. ინგლისის არმიის მთავარ ძალოვად იქცა დაქირავებული ქვეითი ჯარი, რომლის დისციპლინიანობა უზრუნველჰყოფდა მის უპირატესობას უწესრიგო, საერთო მწყობრში ბრძოლას უჩვევ ფრანგ რაინდების ჯგუფებზე. ედუარდ III შექმნა შვილდოსნების კორპუსი, რომელნიც ითვლებოდნენ საუკეთესო შვილდოსნებად მთელს ევროპაში, მათი შვილდები სტყორცნიდნენ ისარს 350 მეტრის მანძილზე.

1340 წ. ინგლისელებმა მოიპოვეს დიდი საზღვაო გამარჯვება სლეისთან (ეკლიუზთან), შელდას შესართავთან მდებარე ქალაქთან. ამ გამარჯვების შედეგად ინგლისელები ბატონდებიან ზღვაზე. რაც შეეხება საომარ ოპერაციებს ხმელეთზე, რომელნიც ახლა გადატანილ იქნენ საფრანგეთის ტერიტორიაზე, პირველ წლებში ისინი დუნედ წარმოებდნენ, და მათ არ ჰქონდათ რაიმე გადამწყვეტი შედეგები. მაგრამ შემდეგ ბედის სასწორი მთლიანად გადიხარა ინგლისელების მხარეს.

უდიდეს სახმელეთო ბრძოლებიდან დავასახელოთ ინგლისელთა გამარჯვებანი კრესიასთან 1346 წ. და 10 წლის შემდეგ — 1356 წ. — პუატიესთან. ამ ორი ბრძოლის შორის აღსანიშნავია აგრეთვე ხანგრძლივი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად ინგლისელთა მიერ კალეს აღება (1347 წ. აგვისტოში). ამ პორტის ხელში ჩაგდებამ მისცა ინგლისელებს მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი საფრანგეთში. კალე შეინარჩუნეს ინგლისელებმა 1558 წლამდის.

კრესისთან და პუატიესთან ბრძოლებში გამომჟღავნდა ინგლისური ჯარის ზემოთ აღნიშნული უპირატესობანი.

პუატიესთან დამარცხებამ საფრანგეთი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. მეფედ იმ დროს იყო ფილიპე VI-ის შვილი იოანე, კეთილად წოდებული (1350 — 1364 წწ.). იგი მრავალ რაინდებთან ერთად ტყვედ ჩაიგდეს ინგლისელებმა, რომელთაც მოითხოვეს მეფისა და სხვა ფეოდალების გამოსასყიდად უშველებელი თანხა. ამავე დროს ქვეყანა იყო საშინლად გაჩანაგებული როგორც ინგლისელების, ისევე ფრანგების დაქირავებული ჯარების მიერ. მრეწველობას და ვაჭრობას დიდი ზიანი მიაყენა საომარმა მოქმედებებმა. ქალაქის ხელოსნებსა და ქარგლებს შორის დაიწყო უმუშევრობა. ყველა ამან გამოიწვია უდიდესი აღშფოთება ქალაქებში.

მასების ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას ხელი შეუწყო გაზრდილმა საგადასახადო ტვირთმა. ომის წარმოებისათვის საჭირო სახსრების მოსაპოებლად სამეფო ხელისუფლება იგონებდა სულ ახალ და ახალ გადასახადებს: გადასახადებს სავაჭრო გარიგებებზე, ერთდროულ შესატანებს, საკომლო გადასახადს და სხვ.

პარიზის აჯანყება 1356 — 1358 წწ. პუატიესთან ბრძოლა წარმოადგენდა უკანასკნელ წვეთს, რომელმაც აავსო ხალხის მოთმინების ფიალა. გაუგონარმა დამარცხებამ დასცა ფეოდალთა ავტორიტეტი ფართო მასების თვალში. გლეხობაში და ქალაქის მოსახლეობაში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ საფრანგეთში, მეტად გაძლიერდა აღშფოთება მთავრობის წინააღმდეგ. როდესაც მეფე ჩავარდა ტყვეობაში და მართვა-გამგებლობა გადავიდა მისი შვილის დოფინი კარლოსის (მომავალი კარლოს V) ხელში, იგი იძულებული შეიქნა საჩქაროდ მოეწვია პარიზში გენერალური შტატები, რათა გამოენახა სახსრები მეფის ტყვეობიდან გამოსასყიდლად და აგრეთვე ომის გასაგრძელებლად (1356 წ. ოქტომბერი).

გენერალური შტატები შეიკრიბნენ რამოდენადმე არაჩვეულებრივ შემადგენლობით — მესამე წოდების წარმომადგენლების დიდი სიჭარბით. ესენი შეადგენდნენ შეკრებულთა ნახევარს (400 დეპუტატს 800-დან). ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ფეოდალები იყვნენ განადგურებულნი, დემორალიზებულნი და ნაწილობრივ დახოცილნი ან ტყვედ წაყვანილნი.

იმის ნაცვლად, რომ მიეცათ მთავრობისათვის ახალი სახსრები, გენერალურმა შტატებმა მიჰყვეს ხელი მისი პოლიტიკის მკაცრ კრიტიკას. ჩაატარეს რა მმართველობის რევიზია და აღმოაჩინეს რა უშველებელი გაფლანგვები, ჩადენილი მეფის დაახლოებული პირების მიერ, შტატებმა მოითხოვეს უკანასკნელთა დასჯა და ახალი მრჩეველების დანიშვნა იმ პირთაგან, რომლებზედაც მიუთითებდნენ შტატები. მაშინ დოფინმა დაშალა შტატები და შეეცადა საჭირო სახსრების სხვა გზით მიღებას, მაგრამ აქაც მიზანს ვერ მიაღწია და იძულებული შეიქნა ხელახლად მოეწვია შტატები (1357 წ. თებერვალი). ახალმა შტატებმა, რომლებზედაც გამოცხადდნენ, უმთავრესად, მესამე წოდების წარმომადგენელნი, შეიმუშავეს რეფორმების ფართო პროგრამა, რომელიც გამოაქვეყნეს იმავე წლის მარტში „მ ა რ ტ ი ს დ ი დ ი ო რ დ ო ნ ა ნ ს ი ს“ სახელწოდებით. მათ მისცეს სუბსიდია მეფეს, და მოითხოვეს, რომ მისი აკრეფა, ხარჯვა და კონტროლი ეწარმოებინათ შტატებს, რის გამოც ისინი უხდ-

შეკრებილიყვნენ წელიწადში სამჯერ, მეფის მოწვევის გარეშეც კი. უნდა მოწყობილიყო მთელი უძაღლესი სახელმწიფოებრივი აპარატის წმენდა. შეცვლილ უნდა ყოფილიყო სამეფო საბჭოს და მმართველობის ყველა უზენაესი ორგანოების პირადი შემადგენლობა გენერალური შტატების მითითებათა საფუძველზე. დაბოლოს, გენერალური შტატები მოითხოვდნენ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას ფეოდალთა კერძო ომების წინააღმდეგ და მოქალაქეთა შეიარაღებას ინგლისელთა და ფრანგ სამხედრო დაქირავებულ ჯარების ძალმომრეობასთან საბრძოლველად.

ამ თავიანთ მოთხოვნილებებში გენერალური შტატები ეყრდნობოდნენ ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქების უკიდურეს უკმაყოფილებას და იქ დაწყებულ აჯანყებას, განსაკუთრებით აჯანყებას პარიზში. პარიზელმა მოქალაქეებმა იწყეს შეიარაღება, რათა მხარი დაეჭირათ გენერალური შტატების მოთხოვნილებისათვის. მთელ ამ მოძრაობაში ხელმძღვანელი როლის თამაში დაიწყო მდიდარმა, მაუდით მოვაჭრემ ეტიენ მარსელმა, რომელსაც ეჭირა ვაჭართა მამასახლისის თანამდებობა. ამგვარად მოეწყო სახელმწიფოებრივი გადატრიალება, რომლის შედეგად ძალაუფლება გადავიდა ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქების, განსაკუთრებით პარიზის, მოქალაქეთა ზედა ფენის ხელში.

მაგრამ ამ ჯგუფების ვიწრო კლასობრივმა პოლიტიკამ მალე გამოიწვია მასების უკმაყოფილება პარიზში და სხვა ქალაქებში. ეს გამოაშკარავდა, პირველ ყოვლისა, ისეთ მწვავე საკითხში, როგორიც იყო საგადასახადო. გადასახადები გააწერეს ისეთნაირად, რომ ისინი მთელი თავისი სიმძიმით კისერზე დააწვნენ ხალხის ქვედა ფენას, განსაკუთრებით ხელოსანთა მასას. ამას გარდა, პარიზის ხელმძღვანელმა როლმა გამოიწვია სხვა ქალაქების გაღიზიანება. დოფინი შეეცადა ესარგებლა ამ გარემოებით, მან დაითხოვა ის მრჩეველები, რომელნიც დაუნიშნეს მას გენერალურმა შტატებმა. ამის საპასუხოდ 1358 წ. თებერვალში დაიწყო ხელახალი მღელვარება, რომელსაც ხელმძღვანელობდა უშუალოდ ეტიენ მარსელი. მეამბოხეები შეცვივდნენ მეფის სასახლეში. დოფინის ორი დაახლოებული პირთაგანი მოკლულ იქნენ მის თვალწინ, დოფინი იხსნა სიკვდილისაგან პირადად ეტიენ მარსელმა, რომელმაც დახურა მას თავისი ქუდი რევოლუციური პარიზის ფერებით — ლურჯით და წითლით შემკული.

მაგრამ დოფინმა მოახერხა პარიზიდან გაქცევა და დაიწყო სამზადისი მეამბოხეებთან შეიარაღებული ბრძოლისათვის. მაისში მან მოიწვია კომპიენში შტატები, რომელთაგანაც მიიღო მნიშვნელოვანი სახსრები. ეტიენ მარსელმაც, თავის მხრივ, დაიწყო პარიზის გამაგრება, ჯარების დაქირავება, მოკავშირეთა ძებნა. იგი შეეცადა დაჰყრდნობოდა ერთ-ერთ უმსხვილეს ფრანგ ფეოდალთაგანს, ნავარის მეფე კარლოს ბოროტს. კარლოს ბოროტი, ლუდოვიკ X-ის შვილიშვილი დედის მხრივ, პრეტენზიას აცხადებდა საფრანგეთის სამეფო გვირგვინზე. ეს იყო მეტად მარჯვე და გაიძვერა ინტრიგანი, დაზელოვნებული და მჭერმეტყველი დემაგოგი, რომელსაც ჰქონდა ნავარის პატარა სამეფოს გარდა, დიდი სამფლობელოები ნორმანდიაში, სადაც მან შეიძინა მრავალი მომხრე ადგილობრივი უკმაყოფილო თავად-აზნაურობის შორის. მაგრამ ამ დროს ბრძოლაში შეერია ახალი ფაქტორი.

ჟაკერია. 1358 წ. მაისის დამლევს საფრანგეთში იფეთქა უდიდესმა გლეხთა აჯანყებამ — განთქმულმა ჟ ა კ ე რ ი ა მ. აჯანყების უშუალო საბაბად იქცა საფრანგეთის გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობა, დაკავშირებული ასწლიან ომთან. მოსახლეობის ყველა კლასებიდან, რომელნიც იტანჯებოდნენ ომით, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა გლეხობა. ქრონიკის სიტყვით „მინდვრებს არავინ ხნავდა და სთესდა; ხარებსა და ცხვრებს აღარ მიერეკებოდნენ საძოვარზე; საყდრები და სახლები... წარმოადგენდნენ მწუხარების გამომწვევ გადამწვარი ნანგრევების გროვას“. მტრის ჯარების შემოსევის დროს სოფლები, გამაგრებული ქალაქებისგან და ციხე-კოშკებისგან განსხვავებით, იყვნენ სრულიად უმწეონი და ეძლეოდნენ გასაძარცვად დაქირავებულ ჯარისკაცებს. ხოლო, როდესაც საომარი მოქმედება წყდებოდა და დაქირავებულ ჯარებს შლიდნენ, გლეხობის გაჩანაგება არამც თუ არ წყდებოდა, არამედ, პირიქით, უფრო მატულობდა. უჯამაგიროდ დარჩენილი დაქირავებული ჯარისკაცები ინაზღაურებდნენ დანაკლისს გლეხობის აწიოკების და გაძარცვის ხარჯზე. აზნაურებს და მოქალაქეთ შეეძლოთ შეეფარებინათ თავი ამ მძარცველთა ბრბოებისაგან თავიანთი ციხე-კოშკებისათვის და ქალაქებისათვის, გლეხობას კი არსად შეეძლო თავის შეფარება. მათ ერთადერთ თავშესაფარს წარმოადგენდნენ საყდრები. როგორც აგვიწერს იგივე ქრონიკა „...მრავალმა გამაგრებისუქონელმა სოფელმა აქცია თავისი საყდარი ნამდვილ ციხე-სიმაგრეებად, შემოავლო მას ხვრელები, კოშკებზე და სამრეკლოებზე დაადგა სამხედრო მანქანები, ქვები და ბალისტები“.

გლეხებს ძარცავდნენ არა მარტო მტრის ჯარები, არამედ თავისიანებიც. ყველა ამას კიდევ უერთდებოდა გაძლიერებული ჩაგვრა ფეოდალების მხრივ, რომელნიც ომთან დაკავშირებით, განიცდიდნენ გაჭირვებას და უსახსრობას. მათ უხდებოდა თანხების ხდა თავისი თავის ან ნათესავების გამოსასყიდად, თავიანთი ციხე-კოშკების გამაგრება და მათი მომარაგება საკვებით და საჭურველით. ამიტომ სენიორები ცდილობდნენ გამოერთმიათ გლეხებისათვის უკანასკნელი, რაც კი მათ გააჩნდათ. გამოსაღებების აკრეფა წარმოებდა უფრო დიდი შეუბრალებლობით, ვიდრე წინათ, ხშირად ხდებოდა დიდი ხნის წინ გაუქმებული ვალდებულებების აღდგენა.

ყველა ამ გარემოებებს უნდა დაემატოს ჭირი, რომელმაც გადიარა საფრანგეთზე, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებზე, 1349 წ. და გააჩანაგა მრავალი გლეხური მეურნეობა.

აჯანყებამ იფეთქა ბოვეზიში, პარიზის ჩრდილოეთით, შემდეგ იგი სწრაფად გავრცელდა ჩრდილოეთ საფრანგეთის მნიშვნელოვან ნაწილზე — ილ-დე-ფრანსში, პიკარდიაში და შამპანში. აჯანყების დროს შემდგარმა ცალკეულმა გლეხთა რაზმებმა მალე იწყეს გაერთიანება.

აჯანყებას შეუერთდნენ სოფლელი ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, ღარიბი მღვდლებიც კი. მასში მონაწილეობდნენ აგრეთვე ქალაქებიდან გამოქცეული წვრილი ოსტატები, ქალაქის ღარიბ-ღატაკნი. ზოგიერთმა ქალაქებმა გაუხსნეს თავიანთი ჭიშკრები მეამბოხეებს.

მეამბოხეებს სათავეში ედგათ გილიომ კალი, ანუ კარლოსი. ის ჯარში ნამსახური იყო, როგორც სჩანს, საომარ საქმეში გამოცდილება ჰქონდა და

ჯარგი ორგანიზატორიც იყო. მაგრამ მეამბოხეთა წინაშე წამოჭრილი ამოცანები მეტად ძნელად გადასაჭრელი იყო. შეუძლებელი იყო გლეხობის უწესრიგო მასების გაერთიანება ერთ მთლიან საბრძოლო ძალად. ამასთანავე ერთად შეამბოხეებს არ წამოუყენებიათ განსაზღვრული პროგრამა, თუ არ ჩავთვლით მოთხოვნილებას ყველა დიდკაცის ამოწყვეტისას დიდიან-პატარიანად.

გილიომ კალისათვის ცხადი იყო, რომ აუცილებელი იყო კავშირის დაჭერა ქალაქებთან, განსაკუთრებით პარიზთან. თავის მხრივ ეტიენ მარსელიც ცდილობდა გამოეყენებინა აჯანყებული გლეხობა დოფენის წინააღმდეგ, რომელიც ჰკრებდა ჯარს, რათა დაძრულიყო პარიზის წინააღმდეგ, და ცდილობდა ქალაქის დამშევას გარემოცვის საშუალებით. ეტიენ მარსელმა დაუსახა გლეხებს ამოცანად ზოგიერთი ციხე-სიმაგრეების დანგრევა, რომელნიც ხელს უშლიდნენ პარიზში საკვების შეზიდვას, გლეხებმა ეს შეასრულეს. მაგრამ ამ დროისათვის ფეოდალები, რომელთაც თავდაპირველად თავ-გზა დაებნათ, ახლა უკვე გონს მოვიდნენ.

ჟაკერიის და პარიზის აჯანყების ჩაქრობა. როდესაც გაიარა პირველმა შეძრწუნებამ, გამოწვეულმა გლეხების მოქმედებით, რომელნიც იკლებდნენ და სწვავდნენ ციხე-კოშკებს, სპობდნენ დოკუმენტებს, რომლებშიაც ჩაწერილი იყო მათი ვალდებულებანი, ჟლეტდნენ ფეოდალებს, უკანასკნელნი დაჩქარდნენ გაერთიანებულიყვნენ ამბოხების ჩასაქრობად. ამასთანავე ერთად საინტერესოდ გამომჟღავნდა კლასობრივი სოლიდარობა; სახელდობრ—იმ დროს საფრანგეთის ტერიტორიაზე მყოფი ინგლისელი ფეოდალები დახმარებას უწევდნენ თავიანთ ფრანგ თანამოძმეებს გლეხობასთან ბრძოლაში. ფეოდალებს სათავეში ედგათ კარლოს ბოროტი.

ივნისის ათს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა გილიომ კალის ხელმძღვანელობით მომქმედ გლეხურ რაზმებს და კარლოს ბოროტის ფეოდალური ლაშქრის შორის. გლეხობამ განიცადა დამარცხება, გილიომ კალი ვერაგულად დაატყვევეს და სიკვდილით დასაჯეს. ეტიენ მარსელმა, შეიტყო თუ არა ის ამბავი, რომ კარლოს ბოროტი გამოსულა გლეხების წინააღმდეგ, არამც თუ არ გაუწია მათ არავითარი დახმარება, არამედ უკან გაიხმო თავისი რაზმები. ამბოხების ჩაქრობის შემდეგ დაიწყო მძვინვარე რეპრესიები. ორ პირველსავე კვირის განმავლობაში ამოჟლიტეს 20 ათასი კაცი. გლეხობის მიმართ ანგარიშის გასწორება წარმოებდა ორი თვის განმავლობაში,, სანამ აგვისტოში არ გამოვიდა ბრძანება საერთო ამნისტიის შესახებ, გამოწვეული ქვეყნის საბოლოო გაჩანაგების შიშით.

ამის შემდეგ გაწერილმა უზარმაზარმა ჯარიმებმა და კონტრიბუციებმა საბოლოოდ დაცალეს სისხლისგან ისედაც გაჩანაგებული სოფელი. მაგრამ, თუმცა გლეხთა აჯანყება გასრესილ იქნა, მას მაინც არ ჩაუვლია უკვალოდ, ვინაიდან იმის შემდეგ სენიორები დიდ ხანს ვეღარ ბედავდნენ გლეხობის ექსპლოატაციის გაძლიერებას. გლეხობის განთავისუფლების პროცესი, წარმოებული ჯერ კიდევ ჟაკერიამდის, ვითარდება დაჩქარებული ტემპით. ჟაკერიამ განიცადა დამარცხება, ისევე, როგორც მთელმა რიგმა სხვა გლეხთა ამბოხებისა შუა საუკუნეებში. „შუა საუკუნეების დროის ყველა მსხვილი ამბოხე-

ბები გამომდინარეობდნენ სოფლიდან, — წერენ მარქსი და ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში“, — მაგრამ ისინი, გლეხობის დაქსაქსულობის და მასთან დაკავშირებული უაღრესი ჩამორჩენილობის გამო, რჩებიან სრულიად უშედეგოდ“.[1] გლეხობის ამავე დაქსაქსულობაზე, როგორც გლეხთა აჯანყებების დამარცხების უმნიშვნელოვანეს მიზეზზე, მიუთითებს ენგელსი თავის თხზულებაში „გლეხთა ომი გერმანიაში“.

ვერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბრის დროს ამხანაგმა სტალინმა თქვა: „გლეხობის ცალკე აჯანყებანი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი არ არიან ისეთი ყაჩაღური და დაურაზმავი, როგორიც იყო სტენკა რაზინის გამოსვლები, ვერავითარ სერიოზულ შედეგს ვერ მიაღწევენ. გლეხთა აჯანყებანი შეიძლება წარმატებით დამთავრდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაკავშირებული არიან მუშათა აჯანყებებთან და თუ მუშები ხელმძღვანელობას უწევენ გლეხურ აჯანყებებს“.[2] ევროპაში, ისევე როგორც შუა საუკუნეების დანარჩენ გლეხთა აჯანყებებში, მუშათა კლასს არ შეეძლო მოძრაობის მეთაურის როლში გამოსვლა, ვინაიდან დაქირავებული შრომა მხოლოდ ისახებოდა და მუშები ჯერ კიდევ არ იყვნენ ცალკე კლასად ჩამოყალიბებული. რაც შეეხება ქალაქის ბურჟუაზიას, მას არ შეეძლო გლეხების ანტიფეოდალური მოძრაობის სათავეში ჩადგომა, ვინაიდან თავისი განვითარების იმ ეტაპზე იგი ჯერ არ ილაშქრებდა მთელი ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ. მას სურდა მხოლოდ გლეხთა მოძრაობის გამოყენება თავისი უახლოესი მიზნების განსახორციელებლად და დაუყოვნებლივ უღალატა გლეხობას, როდესაც მასთან შეთანხმება აღარ იყო ხელსაყრელი.

მაგრამ გლეხთა ამბოხებები, მიმართულნი წარმოების ფეოდალური წესის საფუძვლების წინააღმდეგ, წარმოადგენდნენ პროგრესიულ მოვლენას. გლეხობის განთავისუფლება ფეოდალურ ჩაგვრისგან სწმენდდა გზას სოფელში ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობათა განვითარებისათვის.

ევროპის განადგურების დროისათვის უკვე გადაწყვეტილი იყო პარიზის აჯანყების ბედ-იღბალიც. ბურჟუაზიის ბატონობამ პარიზში არაფერი შესძინა ღარიბ-ღატაკთ, გარდა გადასახადების ზრდისა, და პარიზის მოსახლეობის ქვედა ფენები გულგრილად უყურებენ მას. შიმშილმა, გამოწვეულმა პარიზის გარემოცვით და შინაგანმა განხეთქილებამ პარიზის ბურჟუაზიაში, აიძულეს უკანასკნელი გაეღო დოფინისათვის ქალაქის ჭიშკარი. ჯერ კიდევ მანამ პარიზი დანებდებოდა, ეტიენ მარსელი მოკლულ იქნა. დოფინის შესვლას სატახტო ქალაქში მოჰყვა შედეგად ეტიენ მარსელის მომხრეებთან ანგარიშის გასწორება.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс; Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса“, т. V, стр. 310—312, 314—324) и т. II („Архив Маркса и Энгельса“, т. VI, стр. 43—49, 51—58). — Маркс и Энгельс, Прения по польскому вопросу

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. IV, стр. 42.

[2] ი. სტალინი, „საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან“, 1939, გვ. 10—11.

во Франкфурте. Соч., т. VI. — Энгельс, о разложении феодализма и развитии буржуазии. Соч., т. XVI, ч. I. — სტალინი, „საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან". 1939.

II. წყაროები. Социальная история средневековья, под ред. Косминского и Удальцова, т. II, 1927, стр. 11—53, 227—346. — Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. II, ч. I, 1938, стр. 20—50. — Французская деревня XII—XIV веков и Жакерия, сб. материалов, под ред. Грацианского, 1935. — Оловянишникова. Западная Европа в средние века (XII—XIV вв.), М — Л., 1926.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. III, 1897, стр. 1—103. — Тьерри О., Опыт истории происхождения и успехов третьего сословия, гл. II, Избранные сочинения, под ред. Вайнштейна, 1937. — Пиренн, Средневековые города Бельгии, 1938. — Грацианский, Крестьянские и рабочие движения в средние века, М. 1924.

თავი XX

საფრანგეთი XIV—XV საუკუნეებში

საფრანგეთის გაძლიერება კარლოს V-ის დროს. 1360 წ. საფრანგეთი იძულებული იყო შეეკრა ინგლისთან ზავი ბრეტინიში და ეკისრა მეტად მძიმე პირობები. ინგლისმა მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი სამფლობელოები სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში; გიენის გარდა, მან შეიძინა პუატუ და კიდევ მთელი რიგი სხვა სამფლობელოები. ამას გარდა, ჩრდილოეთით ინგლისელებს შერჩათ კალე. ეს ქალაქი თავისი ოლქით წარმოადგენდა ინგლისელთათვის უდიდეს განძს. იგი ყველაზე უფრო ახლოს იყო ინგლისთან და მდებარეობდა ინგლისის ერთ-ერთ უმთავრეს პორტის — დუვრის პირდაპირ. კალე იქცა უძნიშვნელოვანეს სავაჭრო პუნქტად ინგლისისათვის, საწყობ ადგილად იმ ინგლისური საქონლისათვის, რომელიც მოდიოდა ევროპაში. ამას გარდა, კალე წარმოადგენდა მნიშვნელოვან სიმაგრეს და ინგლისის ჯარების კონტინენტზე გადმოსხმის ყველაზე ხელსაყრელ ადგილს.

ბრეტინიის ზავმა მისცა საფრანგეთს შესვენების საშუალება. დოფინმა კარლოსმა, რომელიც თავისი მამის იოანეს ინგლისელთა ტყვეობაში სიკვდილის შემდეგ 1364 წ., შეიქნა საფრანგეთის მეფედ და იმეფა 1380 წლამდის კარლოს V სახელწოდებით. ჩაატარა მთელ რიგი მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელთაც შეცვალეს ომის შემდგომი მსვლელობა. ფეოდალები, რომელთაც განიცადეს საშინელი ზარალი ინგლისთან ომში და შემდეგ დაშინებული იყვნენ ეაკერიით, შემჭიდროვდნენ ახლა მეფის ირგვლივ. ქალაქის ზედა ფენასაც, ესოდენ მტრულად განწყობილს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ 1356 და შემდგომ წლებში, ახლა მოძრაობის გასრესის შემდეგ, აშინებდა ქალაქის ქვედა ფენების გამოსვლა და, რამდენადაც კი შეეძლო, მხარს უჭერდა მეფეს და მის ღონისძიებებს.

ამგვარად კარლოს V შეექმნა მტკიცე ბაზა სამეფო ძალაუფლების ავტორიტეტის აღსადგენად და ინგლისელთა წინააღმდეგ ძალის მოსაკრებად.

პირველ ყოვლისა, გაატარეს რეფორმა საგადასახადო სისტემისა, რომელიც იწვევდა მოქალაქეების და გლეხობის განსაკუთრებულ ძლიერ აღშფოთებას. გადასახადების აკრეფა ახლა დააკისრეს მოხელეებს, რომლებიც დაუქვემდებარეს სპეციალურ კონტროლს. საგადასახადო სისტემის მოწესრიგების დროს მეფე ცდილობდა რაც შეიძლება ნაკლებ მიემართნა გენერალური შტატების მოწვევისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საჭიროებდა თავად-

აზნაურობის, სამღვდელოების და ბურჟუაზიის თანხმობას ამა თუ იმ გადასახადის დაწესებისათვის, იგი იწვევდა არა გენერალურ შტატებს, არამედ განსაკუთრებული სახის სათათბიროებს, რომელნიც შემდეგ შემოვიდნენ ხმარებაში — ნოტაბლების კრებებს, ე. ი. იმ პირებისას, რომელთაც იწვევდა თვითონ მეფე სამეფოს ყველაზე გამოჩენილ ხალხთა რიცხვიდან. მათზე იწვევდნენ სამეფო საგვარეულოს წევრებს, მსხვილ ფეოდალებს, უმაღლეს სასულიერო თანამდებობის პირებს, პარიზის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, და აგრეთვე საქალაქო წოდების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებს.

მოწესრიგებულ იქნა ჯარების დაქირავების სისტემა. ფეოდალური ლაშქარი სულ უფრო და უფრო მეორეხარისხოვან ადგილს იკერს, გაუმჯობესებულ იქნა არტილერია, რომელმაც შეასრულა თვალსაჩინო როლი საომარ მოქმედებათა განახლებისას. და ბოლოს, კარლოს V შექმნა ძლიერი სამხედრო ფლოტი, რომელმაც მიანიჭა მას შემდეგში ზღვაზე უპირატესობა ინგლისელებთან შედარებით.

ყველა ამ ღონისძიებებმა მისცეს საშუალება საფრანგეთს 1369 წ. გადასულიყო შეტევაზე. ფრანგები თავს არიდებდნენ მსხვილ ბრძოლებს და იყენებდნენ წვრილ-წვრილი თავდასხმების ტაქტიკას, ამითი ისინი თანდათანობით ჰფიტავდნენ ინგლისელთა ძალებს. მათმა გაძლიერებულმა ფლოტმა ინგლისელების ფლოტი რამოდენჯერმე დაამარცხა და არა ერთხელ მოახდინა ინგლისის სანაპიროების აოხრება. საომარ მოქმედებათა შედეგად ფრანგებმა შეძლეს ინგლისელთათვის წაერთმიათ მეტი წილი მათ ხელში მყოფი სამფლობელოებისა საფრანგეთში. კარლოს V-ის სარდალმა ბერტრან დიუგეკლენმა წაართვა ინგლისელებს საფრანგეთის თითქმის მთელი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. XIV საუკუნის 70-იანი წლების ნახევარში ინგლისელებს შერჩათ მხოლოდ ზღვის რამდენიმე სანაპირო პუნქტი მათი ოლქებით, მათ შორის კალე, ბორდო და ბაიონა.

კარლოს VI და ფეოდალური შინაომი. კარლოს V-ის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა კარლოს VI (1380 — 1422 წწ.). თორმეტი წლის მეფესთან დააწესეს რეგენტობა, შედგენილი კარლოს V-ის ძმებისგან — ბურგუნდიის და ანჟუის ჰერცოგებისგან და .სხვ., რომელნიც ეიშპობდნენ ერთმანეთში ძალაუფლებისათვის. სრულწლოვანად გახდომისთანავე, კარლოს VI თვითონ დაიწყო სახელმწიფო საქმეების მართვა, მაგრამ ეს იყო უნიჭო და სუსტი მეფე, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარდა გართობა. ამასთანავე ერთად იგი მალე ჭკუაზე შეირყა, ისე რომ ძალაუფლება ფაქტიურად ჩაუვარდათ ხელში მეფის სისხლის პრინცებს, რომელნიც სათავეში ედგნენ სხვადასხვა ფეოდალურ დაჯგუფებებს და აწარმოებდნენ ერთმანეთთან სასტიკ ბრძოლას გავლენის მოპოებისათვის.

დაიწყო საფრანგეთის ხელახალი დაშლა საუფლისწულოებად. კაპეტინგების გვარის მეფეები წინადაც აქუცმაცებდნენ თავიანთ დომენს, გამოუყოფდნენ რა თავიანთ შვილებს საუფლისწულოებს. მაგრამ ძლიერი სამეფო ხელისუფლების დროს ასეთი საუფლისწულოები არ წარმოადგენდნენ დიდ საში-

შროებას. კარლოს VI-ის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა საუფლისწულოთა მფლობელების დამოუკიდებლობა, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ „პრინცების ფეოდალიზმს". ამავე დროს საფრანგეთში დაიწყო გამწვავებული შიხაომი ორ ფეოდალური დაჯგუფების შორის. ერთი მათგანის სათავეში იდგნენ ბურგუნდიის ჰერცოგები, მეორისაში — ორლეანის ჰერცოგები და მათი ნათესავები არმანიაკის გრაფები, რომელთა სახელით მეორე დაჯგუფებამ მიიღო „არმანიაკების" სახელწოდება, მათ შორის წარმოებული შინაომი ცნობილია ისტორიაში როგორც ომი ბურგუნდიელებსა და არმანიაკებს შორის.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ბურგუნდიის საჰერცოგო შედარებით მცირე სამფლობელოდან იქცა მძლავრ სამთავროდ. ბურგუნდიის ჰერცოგები დაეუფლნენ ბურგუნდიის საგრაფოს (საღვთო რომის იმპერიაში), შემდეგ შეუერთეს თავიანთ მიწებს უდიდესი ნაწილი ნიდერლანდებისა. ბურგუნდიის საჰერცოგო იქცა უძლიერეს ფეოდალურ სამფლობელოდ საფრანგეთში.

იმ ქიშპობის შედეგად, რომელიც წარმოებდა ბურგუნდიელთა და არმანიაკთა შორის, რომელნიც ფიქრობდნენ მხოლოდ პირად გამდიდრებაზე და ხაზინის გაძარცვაზე, ქვეყნის შინაგანი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. მართალია, ინგლისელებთან ომი ამ დროს წარმოებდა დუნედ და მოითხოვდა უფრო ნაკლებ ხარჯებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადასახადები სულ უფრო და უფრო მატულობდნენ, რითაც მდიდრდებოდნენ ხარბი ფეოდალური მტაცებლები.

ამბოხებები ქალაქად და სოფლად. კარლოს V სიკვდილის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს, რომ 1380 წ. პარიზში იფეთქა აჯანყებამ, რომელიც გამოწვეული იყო ახალი საგადასახადო ტვირთით. პრინცები-რეგენტები თავდაპირველად წავიდნენ დათმობებზე, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ხელახლა აღადგინეს ეს გადასახადები, რამაც გამოიწვია 1382 წ. ხელახალი ამბოხება პარიზში. აჯანყდნენ წვრილი ოსტატები და ქარგლები.

ამ მოძრაობამ მიიღო ისტორიაში მეუროების (maillotins) აჯანყების სახელწოდება, ვინაიდან მეამბოხეებმა ხელთ იგდეს არსენალში საომარი უროები და ამით შეიარაღდნენ. მეამბოხეებმა იწყეს გადასახადის ამკრეფთა ხოცვა, მეფის მოხელეების გარეკვა, გაანთავისუფლეს საპყრობილეებიდან ტუსაღები. ამ მოძრაობის გამოძახილი ეჩხნევა მთელ რიგ პროვინციალურ ქალაქებსაც. აქა-იქ აჯანყდნენ გლეხებიც (მოძრაობა ეგრეთწოდებული tuchins — ღატაკებისა).

ფეოდალებმა შეძლეს ყველა ამ აჯანყებების გამკლავება. ფეოდალებს გამარჯვება მნიშვნელოვნად გაუადვილა იმ გარემოებამ, რომ ბურჟუაზიას ეშინოდა ხალხის ქვედა ფენების მოძრაობისა, ქარგლების და წვრილი ოსტატების მოძრაობისა და აგრეთვე ახალი გლეხთა აჯანყების შესაძლებლობისა.

1413 წ. მოწვეულ იქნენ გენერალური შტატები. ისინი გამოვიდნენ სხვადასხვა საჩივრებით ფეოდალურ დაჯგუფების ხელში მყოფი სამეფო მმართველობის აუტანელ ბოროტმოქმედებებზე. მათ წამოაყენეს ამ ბოროტმოქმე-

დებებთან ბრძოლის მთელი პროგრამა. პარიზის ბურჟუაზია მხარს უჭერდა გენერალური შტატების მოთხოვნილებებს. მათი მხარი დაიჭირა აგრეთვე ბურგუნდიის ჰერცოგმაც, რომელსაც ხურდა ეპოვა ფინანსაურდენი მოქალაქეებში.

მაგრამ გენერალურ შტატებს ძალა არ შესწევდათ თავიანთი გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გასატარებლად. მაგრამ პარიზელმა ხელოსნებმა და წვრილმა ვაჭრებმა, საგადასახადო სიმძიმით და გენერალური შტატების უძლურებით აღშფოთებულებმა, მოაწყეს აჯანყება ყაბაჩა კაბოშის მეთაურობით, რომლის სახელითაც ამ მოძრაობას დაარქვა კაბოშინური აჯანყება. მეამბოხეებმა ხელთ იგდეს ამაზე ცოტათი უფრო ადრე აგებული სიმაგრე ბასტილია. მათი მოთხოვნით გამოცემულ იქნა ორდონანსი (ეგრეთწოდებული კაბოშინური), რომელშიაც დასახული იყო ადმინისტრატიული, ფინანსიური და სამოსამართლო რეფორმების ლიბერალური გეგმა, გამომუშავებული პარიზის უნივერსიტეტის მონაწილეობით. მეამბოხეებმა სიკვდილით დასაჯეს მთელი რიგი იმ პირებისა, რომლებსაც ისინი თვლიდნენ ხალხის გაჭირვების მიზეზად, მოძრაობამ იწყო გადაზრდა პარიზის ექსპლოატაციაქმნილ ღარიბლატაკთა ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებაში. შეშინებული ბურჟუაზია დაჩქარდა შეეშვა ქალაქში არმანიაკების ფანრები. ბურგუნდიის ჰერცოგმა მიატოვა მეამბოხენი მათი ბედის ამარა. არმანიაკები საშინლად გაუსწორდნენ მეამბოხეებს. კაბოშინური ორდონანსი გაუქმეს.

ასწლიანი ომის განახლება. ამასობაში ინგლისელები ცდილობდნენ ესარგებლათ იმ არეულობით და უთანხმოებით, რომელიც წარმოებდა ამ დროს საფრანგეთში, გადამწყვეტ მოქმედებებზე გადასვლისათვის. ამ დროს ინგლისის ტახტზე მყოფი ლანკასტერთა დინასტია მიისწრაფოდა აქტიურ საგარეო პოლიტიკისადმი. ბურგუნდიის ჰერცოგმა შეკრა კავშირი ინგლისელებთან. ანგარად, ინგლისელებს შეექმნათ მეტად ხელსაყრელი პირობები ომის განახლებისათვის. 1415 წ. აზენკურთან ბრძოლაში ფრანგებმა ვანიცადეს საშინელი დამარცხება. ბურგუნდიელების დახმარებით ინგლისელებმა ძალიან მალე შეძლეს საფრანგეთის მთელი ჩრდილოეთი ნაწილის ხელში ჩაგდება პარიზიანად. 1420 წ. ინგლისის მეფემ ჰენრიხ V შეკრა ზავი კარლოს VI, რომელიც ტყვეობაში ჰყავდათ ბურგუნდიელებს. საზავო ხელშეკრულების ძალით ჰენრიხ V უნდა გამხდარიყო საფრანგეთის რეგენტად, ხოლო კარლოს VI-ის სიკვდილის შემდეგ კი — მეფედ.

1422 წ. ჰენრიხ V მოკვდა, მას დარჩა ათი თვის ვაჟიშვილი ჰენრიხ VI. რამდენიმე თვის შემდეგ მოკვდა კარლოს VI. მისი შვილი კარლოს VII, რომელსაც ხელშეკრულების ძალით წაერთვა საფრანგეთის ტახტი, გადასულდა სამხრეთში ლუარას გაღმა, სადაც მიიღო მეფის ტიტული. ამგვარად, საფრანგეთში ერთდროულად აღმოჩნდა ორი მეფე: ჩრდილოეთით ჰენრიხ VI, ხოლო სამხრეთით კარლოს VII. ბრძოლა ფრანგებსა და ინგლისელებს შორის გრძელდებოდა ცვალებადი წარმატებით. 1428 წ. ინგლისელებმა მნიშვნელოვანი ძალებით დაიწყეს ახალი შეტევა და ამავე წლის ოქტომბერში გარემოიცვეს ორლეანი, რომელიც წარმოადგენდა სამხრეთ საფრანგეთის გასაღებს. ორლეანის ირგვლივ გაჩაღდა მედგარი ბრძოლა.

ჟანა დარკი. ამ დროს ისტორიულ სცენაზე გამოდის სახელგანთქმული ჟანა დარკი. ჟანა დარკის შესახებ წარმოიშვა მრავალი ლეგენდა. მის მოღვაწეობას ხან აიდეალებდნენ, როგორც ამას სჩადიოდა საეკლესიო-მონარქიული ტრადიცია, ხან კი ჰხატავდნენ სატირული სახით, კათოლიკური ლეგენდისათვის შარავანდედის მოცლის მიზნით, როგორც ამას სჩადიოდა ვოლტერი. მაგრამ ამჟამად იმ ეპოქის წყაროები იმდენად კარგად არის შესწავლილნი, რომ ჩვენ შეგვიძლიან ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ ვინ იყო იგი, და როგორ ისტორიულ როლს თამაშობდა.

ჟანა დარკი იყო გლეხის ასული ჩრდილო საფრანგეთიდან, სოფელ დომრემიდან, რომელიც მდებარეობდა შამპანის და ლოტარინგიის შორის საზღვარზე. მისი პოლიტიკური გამოსვლა წარმოადგენდა იმ დროს ფრანგ გლეხობის შორის გაბატონებული კანწყოპილების სიმპტომს. გლეხობისა, რომელიც მეტად გაჩანაგდა ინგლისელთა დაქირავებული ჯარისკაცების ძარცვა-გლეჯისაგან, აგრეთვე ფრანგი ფეოდალური დაჯგუფებების ურთიერთ ბრძოლისაგან. და, კერძოდ, ბურგუნდიელთა მოქმედებისაგან. გლეხები ახლა ამყარებდნენ თავიანთ იმედებს სამეფო ხელისუფლებაზე, რომელსაც უნდა გაეძევებინა ინგლისელები და მოესპო არეულობანი საფრანგეთის შიგნით.

ჟანა დარკი დარწმუნებული იყო, რომ მისი მოწოდება მდგომარეობდა იმაში, რომ ორლეანისაგან გარემოცვა მოეხსნა და კარლოს VII დაეგვირგვინებინა რეიმსში. ამაში ჰხედავდა იგი ღვთის ნებასურვილის აღსრულებას. მას სწამდა, რომ თვით ღმერთი და მისი წმინდანები მიუთითებდნენ მას ამ მისიაზე. ჟანა დარკმა მოახერხა კარლო VII-ის წინაშე წარდგომა და ამ გაუბედავი და სუსტი ადამიანის დაყოლიება ენერგიულ მოქმედებებზე (1429 წ.).

მას მისცეს შესაძლებლობა სათავეში ჩადგომოდა ჯარებს, ანუ, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, შეერთებოდა ჯარებს, რომელნიც მიდიოდნენ ორლეანის დასახსნელად. მართალია, მასთან იმყოფებოდნენ გამოცდილი სარდლები, მაგრამ იგი ღებულობდა ბრძოლებში უშუალო მონაწილეობას. იგი შეიმოსა რაინდის აბჯარ-მუზარადით, და მისმა გამოჩენამ ჯარის სათავეში ძლიერ აღაფრთოვანა მებრძოლნი. მან შესძლო ორლეანისათვის გარემოცვის მოხსნა. ჟანა დარკს ნაწილობრივ ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ამ დროისათვის ინგლისელთა მდგომარეობა საფრანგეთში გაუარესდა.

ორლეანის განთავისუფლების და ინგლისელთა მთელ რიგ ქალაქებიდან გაძევების შემდეგ, ჟანა გაემართა მეფესთან ერთად რეიმსში, სადაც მოხდა მეფის საზეიმო გვირგვინკურთხევა. ამის შემდეგ ჟანა დარკმა ჩათვალა თავისი მისია შესრულებულად, როგორც ამბობს მარქსი, „იგი... დაეცა მუხლებზე პირუტყვ კარლოს VII-ის წინაშე, ითხოვა დათხოვნა... მაგრამ მან არ გაუშვა იგი, რაცა შემდეგაც გამრეყენებინა“.[1] ამასობაში ჯარისკაცები, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ „უბრალო გლეხის ასულის“ გავლენის ზრდით, დაჩქარდნენ თავი დაეღწიათ მისგან. კომპიენთან ბრძოლის დროს, სადაც ჟანა დარკი თავის რაზმთან ერთად იძულებული იყო დაეხია ქალაქის ბჭისკენ,

---

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. VI, стр. 327.

ჭიშკარი აღმოჩნდა ჩაკეტილი მის ცხვირ წინ. ბურგუნდიელებმა ტყვედ ოგდენ ივი და მიპყიდეს ინგლისელებს (1430 წ.).

ინგლისელებმა მოაწყეს მასზე საეკლესიო სასამართლო, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა საფრანგეთის, მეტწილად პარიზის, სამღვდელოება. სასამართლო წარმოებდა რუანში, ნორმანდიის მთავარ ქალაქში. სასამართლოს თავმჯდომარეობდა ეპისკოპოსი კოშონი (Cauchon) — ასევე გამოიყენის ფრანგული სიტყვა cochon, რომელიც აღნიშნავს ღორს. ანიტოლიაც ნარკვევში უწოდებს სასამართლოს თავმჯდომარეს „ეშმაკრიტად ღორს".[1] ჟანას ბრალი დასდეს კუდიანობაში და ცრუ წინასწარმეტყველებაში. შესაძლებელია, რომ იგი აწამეს კიდეც. მას მიუსაჯეს სიკვდილით სასჯელი და დაწვეს რუანში (1431 წ.).

მაგრამ ამ სიკვდილით დასჯამ არაფითარი სარგებლობა არ მოუტანა ინგლისელებს. მათი საქმე საფრანგეთში წაგებული იყო.

ასწლიანი ომის დასასრული. საყოველთაო საბალხო აღფრთოვანებამ, რომელიც ესოდენ ნათლად გამოხეოლავნდა ჟანა დარკის მოღვაწეობაში, დარაზმა კარლოს VII-ის ირგვლივ გლეხობაც, თავად-აზნაურობაც და ბურჟუაზიაც. ბურგუნდიის ჰერცოგმა, რომელთანაც კავშირმა ძალიან შეუწყო ხელი ინგლისელთა პირველ წარმატებებს, საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ინგლისთან და დაიჭირა კარლოს VII-ის მხარე, ვინაიდან ინგლისის ზრახვას შეადგენდა ნიდერლანდების ხელში ჩაგდება. ინგლისელები ზედი-ზედ განიცდიდნენ დამარცხებებს. შიგ ინგლისში სამეფო ძალაუფლება განიცდიდა სრულ დაცემას; ტასტისათვის წარმოებდა ბრძოლა ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის. 1453 წ. დამთავრდა ასწლიანი ომი ინგლისელთა საფრანგეთიდან განდევნით, მათ შეინარჩუნეს მხოლოდ ქალაქი კალე.

მეფის ხელისუფლების გამაგრება კარლოს VII-ის დროს. კარლოს VII-ის დროს (1422 — 1461 წწ.) მოხდა სამეფო ხელისუფლების ხელახალი გაძლიერება, რაც განმტკიცებულ იქნა მთელ რიგ მნიშვნელოვანი რეფორმებით.

1439 წ. მოწვეულმა გენერალურმა შტატებმა ერთხელ და სამუდამოდ ნება დართეს მეფეს პირდაპირი გადასახადის, ეგრეთწოდებული ტ ა ლ ი ი ს აკრეფისა, 1, 2 მილიონი ლივრის რაოდენობით, მუდმივი ჯარის შესანახად. მუდმივი ჯარის შემოღება წარმოადგენდა მნიშვნელოვან რეფორმას. სამხედრო სისტემა საფრანგეთში თავდაპირველად დაფუძნებული იყო ფეოდალურ ლაშქარზე, შემდეგ დაქირავებულ ჯარზე. კარლოს V გადაიტანა სიმძიმის ცენტრი დაქირავებულ ჯარზე. მაგრამ უკანასკნელსაც ახლდა მთელი რიგი დაბრკოლებებისა. იგი არ წარმოადგენდა მუდმივ ჯარს, მას ჰქირაობდნენ მხოლოდ ომის შემოხვევაში და ომის დამთავრებისთანავე შლიდნენ. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ჰყვლეფავდა იგი მოსახლეობას.

კარლოს VII არ დაუნებებია საკუთარი თავი დაქირავების სისტემისათვის. დაქირავებული ჯარებით მის დროს განაგრძობენ სარგებლობას, მაგრამ ძირითადად იგი გადადის მუდმივი ჯარების სისტემაზე. უკანასკნელნი იყო-

[1] „Архив Маркса и Энгельса", т. VI, стр. 326.

ფოდნენ ორ ნაწილად. ერთ მათგანს წარმოადგენდნენ ეგრეთწოდებული მეფის ბრძანების რაზმები, განლაგებულნი გარნიზონების (მეციხოვნეთა) სახით ქალაქებში, რომელთა ხარჯზეც ინახავდნენ მათ. ისინი იყოფებოდნენ მცირე რაზმებად — „შუბებად". ყოველ „შუბში" მონაწილეობდნენ ცხენოსნები და ქვეითი ჯარი—შვილდოსნები და შუბოსნები. მეფის ბრძანების ჯარებში, განსაკუთრებით კავალერიაში, ხალისით შედიოდნენ წვრილ რაინდები, რომელთაც არ ჰყოფნიდათ შემოსავალი მათი დაქუცმაცებული მამულებიდან, ვინაიდან ეს სამსახური კარგად ნაზღაურდებოდა. ჯარების მეორე ნაწილს შეადგენდნენ თავისუფალი შვილდოსნები (franes archers). ეს სახელი მათ ეწოდათ იმის გამო, რომ ისინი განთავისუფლებული იყვნენ გადასახადებისაგან. ისინი კომპლექტდებოდნენ თითო შვილდოსანის ვარაუდით ყოველი 50 კომლისგან. თავისუფალი შვილდოსნები დრო და დრო უნდა შეკრებილიყვნენ სამხედრო სწავლებისათვის და წარმოადგენდნენ მუდმივ რეზერვს, საიდანაც შეიძლებოდა სამხედრო ძალების მოკრება. ამას გარდა, კარლოს VII დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ არტილერიას, რომელიც თამაშობდა მნიშვნელოვან როლს გარემოცვითი ოპერაციების დროს. მაშინ ეს ოპერაციები შეადგენდნენ სამხედრო მოქმედებათა არსებით ნაწილს. მაგრამ გადაწყვეტი ცვლილებები საარტილერიო საქმემ განიცადა შემდეგ, ლუდოვიკ XI დროს, როდესაც საფრანგეთში შეიქმნა მძლავრი არტილერია, ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი ევროპაში.

მუდმივი გადასახადები და მუდმივი ჯარი. ხდიდნენ მეფეს ფეოდალურ ლაშქრისაგან და გენერალური შტატებისაგან დამოუკიდებლად. და ამით აძლევდნენ მას ხელთ უძლიერეს პოლიტიკურ იარაღს.

ბანკირები ფინანსიურ მმართველობაში. კარლოს VII მეფობაში უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი არსებითი მომენტი — სულ უფრო და უფრო მეტი გამოყენება ბურჟუაზიის ფულადი დაგროვებებისა სამეფო ძალაუფლების გამაგრების მიზნით. მეფე გამუდმებით განიცდიდა ფულის ნაკლებობას, განსაკუთრებით სამხედრო მიზნების განსახორციელებლად. მარტო ტალია არ აღმოჩნდა საკმარისი; ამიტომ იძულებულნი შეიქმნენ მიემართათ სესხებისათვის. სესხებს მეფეები მიმართავდნენ ხოლმე უკვე XIV საუკუნიდან დაწყებული. ასწლიანი ომის ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს, სწორედ ასეთი გზით მიღებული ფულით ისტუმრებდნენ. მეფეს უხდებოდა ფულის სესხება სამხრეთ საფრანგეთის ბანკირებისაგან, რომელთაც განდევნეს იტალიელები. მაგრამ ვინაიდან ძალიან ძნელი იყო ვალის გასტუმრება, მეფე აძლევდა თავის კრედიტორებს შესაფერი ამა თუ იმ შემოსავალს (არაპირდაპირი გადასახადების აკრეფა, მარილის გადასახადი და სხვ.). ამას შედეგად ჰქონდა ის გარემოება. რომ ბურჟუაზიის წარმომადგენლები შეყვანილ იქნენ სამეფო მმართველობის სისტემაში და მათ დაიჭირეს საპასუხისაგებო თანამდებობანი სამეფო საბჭოში (ჟან ბიურო, ჟაკ კერი და სხვ.). განსაკუთრებით საინტერესოა კარიერა ჟაკ კერისა, რომელიც მაშინდელ საფრანგეთში ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო და რომელმაც მიიღო მეფისგან აზნაურის ტიტული. იგი გამდიდრდა, უმთავრესად, აღმოსავლეთთან ვაჭრობით. მისი კანტორები მონპელიეში და

მარსელში აწარმოებდნენ ვაჭრობას სანელებლებით, აბრეშუმის ქსოვილებით და მონებით, რომელნიც შემოჰყავდათ აღმოსავლეთიდან. იმავე დროს ეაკ კერი მისდევდა მადნების დამუშავებას შიგ საფრანგეთში. იმის წყალობით, რომ მისი სიმდიდრე იზრდება, კერმა მალე მოიხვეჭა დიდი პოლიტიკური გავლენა, მას ეჭირა მთელი რიგი დიდი თანამდებობებისა სახელმწიფო მართვა-გამგებლობაში და სამეფო საბჭოს წევრადაც კი შეიქმნა. მაგრამ კერის მოღვაწეობა სამწუხაროდ დაბოლოვდა: 1451 წ. მისი მრავალრიცხოვანი მტრების (ხრიკების და ინების) წყალობით, იგი დააპატიმრეს, ჩამოართვეს მთელი ქონება, და იძულებული გახადეს გაეტარებინა თავისი სიცოცხლის დასასრული უცხო მხარეში.

სამეფო ძალაუფლების შემდგომი გაძლიერება, მისი საბოლოო გამაგრება და გამარჯვება ფეოდალურ დაქსაქსულობაზე ხდება ლუდოვიკ XI-ის მეფობის ხანაში (1461—1483 წწ.).

ლუდოვიკ XI და საფრანგეთის გაერთიანება. ლუდოვიკ XI წარმოადგენს მეტად საინტერესო და ყურადღების ღირს ფიგურას საფრანგეთის სამეფო ტახტზე. ეს გამხდარი, წელში მოხრილი ადამიანი, ულამაზო, ახალგაზრდობიდანვე ბებრულ სახეზე ამოშვერილი უგვანოდ გრძელი, მოღუნული ცხვირით. წვნიანი, ავადმყოფობით დამახინჯებული ფეხებით, იყო თავისი დროის სახელგანთქმული პოლიტიკოსი. ბევრი თანამედროვე აყვედრიდა ლუდოვიკს იმას, რომ მას სურდა ყველაფრის კეთება პირადად, რომ იგი ერთპიროვნულად ამართავდა ყველა საქმეებს, რომ იგი, როგორც ამბობდნენ, „ატარებდა ყველა მრჩეველებს თავისი ცხენის ზურგით". სურდა რა ყოფილიყო ყველაფრის კურსში, რაც კი ხდებოდა, ლუდოვიკმა შექმნა ნამდვილი პოლიცია, მისი აგენტების ერთ ნაწილს ყური უნდა ეგდო მეორისათვის. თანაშემწეების ამორჩევის დროს, იგი წინასწარ აღებული აზრის გარეშე იყვანდა განურჩევლად ყველა იმას, ვინც ვამოაშკარავა მეფისადმი კეთილი სამსახურის სურვილი: მართალია, მას არ უყვარდა მსხვილი სენიორები და დიდკაცები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი მაინც იმყოფებოდა მის სამსახურში. ის ამჯობინებდა „ახალ ადამიანებს", რომელნიც დავალებული იყვნენ მის წინაშე საკუთარი კეთილდღეობით, და რომელნიც მას შეეძლო გამოეყენებინა თავისი ნება-სურვილის მიხედვით. იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ შეიძლებოდა ყოველი ადამიანის მოსყიდვა. არავის ჰქონია ამ საქმეში ისეთი წარმატება, როგორც მას, რომელსაც მარქსის სიტყვით „ყველგან ჰყავდა თავისი ჯაშუშები და რომელიც მოსყიდვით (იგი იცნობდა დიდკაცობის სინიღისგარეცხილობას) იძენდა თავის მომხრეებს".[1]

ლუდოვიკი იყო დახელოვნებული დიპლომატი. მას არ უყვარდა ომი და დასცინოდა რაინდულ სამხედრო დიდების და სახელის მოხვეჭის სურვილს. მას ერჩია საკამათო საკითხების გადაჭრა დიპლომატიური გზით, მოლაპარაკებების, ხელშეკრულებების საშუალებით, ვინაიდან ასეთი სახის გარიგების დროს მას ოსტატურად შეეძლო თავისი მოწინააღმდეგეების მოტყუება. ეს, ქრონისტის

[1] „Архив Маркса и Энгельса", т. VI, стр. 357.

გამოთქმით, „მსოფლიო ომობა“ განუწყვეტლივ ქსოვდა სულ ახალ-ახალი ინტრიგების ქსელს, რომლებშიაც იგი აბამდა თავის მტრებს. მას ოსტატურად შეეძლო თავის მოკავშირეობა და უანდერძა თავის შვილს დაეხსომებინა, რომ „ვინც არ იცის თავის მოკავშირეობა, მას არ ძალუძს მმართველობა“.

ლუდოვიკ XI-ის მმართველობის პირველ წლებში შეიქმნა სამეფო ძალაუფლებისათვის არახელსაყრელი მდგომარეობა. მეფის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა ძველის შთამომავლობის პრინცების და მსხვილი ფეოდალების კოალიცია კარლოს თამამის მეთაურობით, ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი კეთილდღეობის ლიგა. მხოლოდ ფრთხილი გაძრომ-გამოძრომის და ოსტატური ინტრიგების წყალობით, ფეოდალთა შორის არსებული ქიშპობის გამოყენების გზით, მძლავრი ბურგუნდიის ჰერცოგის წინააღმდეგ მისი მეზობლების ჩუმჩუმი წაქეზების საშუალებით, შესძლო ლუდოვიკმა თავის მტრების კოალიციის ჩაშლა და მათგან თავის გამოსყიდვა სხვადასხვა დათმობებით და უხვი პენსიებით.

ლუდოვიკ XI ყველაზე სახიფათო მტერს წარმოადგენდა ბურგუნდიის ჰერცოგი კარლოს თამამი. კარლოს თამამის სამფლობელოები არსებითად წარმოადგენდნენ ორ ერთმანეთთან გაუერთიანებელ ტერიტორიას — ნიდერლანდებს და ბურგუნდიას. კარლოს თამამის პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ გაეერთიანებინა ეს ორი განცალკევებული სამფლობელო, შეექმნა მთლიანი ტერიტორია, და იქცია იგი სამეფოდ. ამ ნიადაგზე მას უხდებოდა მწვავე შეტაკებანი ლუდოვიკ XI. კარლოს თამამი განუწყვეტლივ ეომებოდა ლოტარინგიის ჰერცოგებს და შვეიცარელებს, რომელთაც ლუდოვიკ XI ყოველმხრივ აქეზებდა, უწევდა რა მათ ფინანსიურ დახმარებას. შვეიცარელებთან და ლოტარინგიელებთან ბრძოლის დროს ნანსისთან (1477 წ.) კარლოს თამამი დაიღუპა.

1477 წელი წარმოადგენს ბურგუნდიის სახლის ძლიერების დანგრევის წელიწადს. ლუდოვიკ XI დაიპყრო ბურგუნდიის საჰერცოგო. კარლოს თამამის სამფლობელოთა დანარჩენი ნაწილი წილად ხვდა მის ერთადერთ ასულს მარიამ ბურგუნდიელს, რომელიც ცოლად მისთხოვდა იმპერატორი ფრიდრიხ III-ის ვაჟიშვილს მაქსიმილიანე ჰაბსბურგს.

ბურგუნდიის მიწების შემოერთების შემდეგ თითქმის დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს საფრანგეთის გაერთიანება.

ამავე ხანებში შეიერთეს პროვანსიც, რომელიც მდებარეობდა საღვთო რომის იმპერიის ფარგლებში. პროვანსის შეერთებას სამეფო დომენის ტერიტორიალური გაზრდის გარდა, ჰქონდა აგრეთვე დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც. პროვანსი წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვაზე ვაჭრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რაიონთაგანს. აქ მდებარეობდა ქალაქი მარსელი, რომელიც ხმელთაშუა ზღვაზე ვაჭრობაში ასრულებდა თითქმის ისეთსავე როლს, როგორსაც—ჩრდილო იტალიის დიდი საპორტო ქალაქები. ამაზე უფრო ადრე ლუდოვიკ XI, რომელიც ჩაერია არაგონის მეფის იოანე II-ის და კატალონიის შო-

რის მომხდარ განხეთქილებაში, არაგონისათვის აღმოჩენილი დახმარებისათვის მიიღო რუსილიონი.

მისი მეფობის დამლეკისათვის საფრანგეთში არსებობდა მხოლოდ ორი ტერიტორია, რომელიც არ შედიოდა სამეფო დომენში. ეს იყო პირველ ყოვლისა ქალაქი კალე თავისი ოლქით, ინგლისელთა ხელში მყოფი და შემდეგ ბრეტანის საჰერცოგო, რომელიც 1491 წლიდან(ხოლო შემდეგ საბოლოოდ 1532 წლიდან) შევიდა სამეფო დომენის შემადგენლობაში. ბრეტანიის შემოერთების წელი შეიძლება ჩაითვალოს საფრანგეთის ტერიტორიის საბოლოო გაერთიანების თარიღად.

ლუდოვიკ XI-ის მრავალი ომები მოითხოვდნენ საგადასახადო ტვირთის გადიდებას. პირდაპირი გადასახადების ზრდასთან ერთად (ლუდოვიკ XI-ის დროს ტალია გაიზარდა 3-4 ჯერ) შესამჩნევია აგრეთვე ბურჟუაზიისაგან ფულის სესხების სისტემის გაძლიერება და სწრაფი ზრდა არაპირდაპირი გადასახადებისა.

ლუდოვიკ XI „ხედავდა საფრანგეთის ვაჭრობის და მრეწველობის ზრდაში სამეფო ხაზინის გამდიდრების უმნიშვნელოვანეს პირობას. მრეწველობის განვითარების წყალობით სახელმწიფოს ეძლეოდა საშუალება უცხოეთის საქონლის შემოტანის მნიშვნელოვნად შემცირებისა, საკუთარი საქონლის საზღვარგარეთ გატანის გაზრდისა და ამგვარად საფრანგეთში ძვირფასი ლითონების დიდი რაოდენობის მიზიდვისა. ლუდოვიკ XI-ის დროს ჩვენ უკვე ვხედავთ მ ე რ კ ა ნ ტ ი ლ ი ზ მ ი ს სისტემის ჩანასახს, რომელიც პირველ რიგში დაფუძნებულია დადებით საგაჭრო ბალანსზე. ამასთანავე ერთად სამეფო ხელისუფლება ასრულებდა თავისებურ როლს. შემოსავლის ახალი წყაროების გამოსანახად ლუდოვიკ XI ცდილობდა წაექეზებინა ბურჟუაზია ახალ წამოწყებებზე; იგი აღშფოთებული იყო იმით, რომ ბურჟუაზია საფრანგეთში იყო მეტად უმოქმედო, ეშინოდა ახალ-ახალი წამოწყებებისა.

ლუდოვიკ XI აიძულა ლიონელი მრეწველნი მოეკიდათ ხელი აბრეშუმის ქსოვილების დამზადებისათვის. როდესაც მათ იწყეს ამ წამოწყებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მეფე დაემუქრა ლიონს, რომ წაართმევდა მას ყველა საგაჭრო პრივილეგიებს. ლიონშივე მეფის დახმარებით მოაწყეს იარმარკტები (ბაზრობანი), რომელთაც მალე დაჩრდილეს ჟენევის იარმარკტები.

ასე ამგვარად, სამეფო ხელისუფლება აქეზებდა ბურჟუაზიული სიმდიდრის ზრდას და იყენებდა მას თავის საკუთარ ინტერესებისათვის.

ლუდოვიკ XI-ის საკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვანი შვილი კარლოს VIII. მის დროს შექმნილი იყო რეკენტობა, რომელიც ძირითადად განაგრძობდა ლუდოვიკ XI-ის პოლიტიკას.

1484 წ. მოწვეულ იქნენ გენერალური შტატები ტურში. ამ შტატებზე დეპუტატები გამოცხადდნენ თავიანთი ამომრჩეველების განაწესებით. ეს განაწესები მოითხოვდნენ გადასახადების შემცირებას, აგრეთვე მეფის ხელისუფლების შეზღუდვას გენერალური შტატების მიერ. დეპუტატებმა მძაფრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ლუდოვიკ XI-ის თვითნებური პოლიტიკა და მოითხოვეს შტატების რეგულარულად მოწვევა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

ნაგრამ მეფის ხელისუფლება უკვე მნიშვნელოვნად იყო განმტკიცებული კარლოს VII-ის და ლუდოვიკ XI-ის პოლიტიკით და არ ეშინოდა ასეთი სახის მოთხოვნილებებისა. გენერალურმა შტატებმა მიიღეს ზოგიერთი ნაწილობრივი დათმობები, მისცეს მთავრობას სუბსიდია, რომელსაც მათგან მოითხოვდნენ და დათხოვნილ იქნენ. ამის შემდეგ ისინი აღარ შეკრებილან 75 წლის განმავლობაში.

XV საუკუნის დამლევისათვის საფრანგეთში იწყებს უკვე ჩამოყალიბებას ეროვნული სახელწიფო. მრავალი ცალკეული ოლქი, ფეოდალური სამფლობელო და ქალაქი, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი საკუთარი, განცალკევებული არსებობა ,ახლა გაერთიანდნენ ერთ ტერიტორიად. ადგილობრივი ენების ხვერდით დაიწყო გამომუშავება მთელი ქვეყნისათვის საერთო ფრანგული ენისა (ჩრდილოეთ საფრანგეთის ენის საფუძველზე) და ჩამოყალიბება საერთო კულტურისა. წინათ ფრანგებს ჩვეულებრივ უწოდებდნენ ხოლმე მხოლოდ ჩრდილოეთ საფრანგეთის მცხოვრებთ: ბურგუნდიელები, პროვანსალელები, ბრეტონელები, გასკონელები არ სთვლიდნენ თავიანთ თავს ფრანგებად. ახლა იწყებს განვითარებას ფრანგი ერი, როგორც „ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა ენისა, ტერიტორიისა ,ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქიური წყობისა, რომელიც კულტურის ერთობაში იხატება“.[1]

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки, т. II („Архив Маркса и Энгельса“, т. VI, стр. 57—68, 73—75, 303—304, 309—331, 333—361, 377—398) и т. III („Архив Маркса и Энгельса“, т. VII, стр. 8—9, 52—70). — Маркс и Энгельс, Прения по польскому вопросу во Франкфурте, Соч., т. VI. — Энгельс, О разложении феодализма и развитии буржуазии, Соч., т. XVI, ч. I. — Энгельс, Армия, Соч., т. XI, ч. II, стр. 537—590.

II. ავტორები. ლამბარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. III, 1897, стр. 104—316. — Тьерри О., Опыт истории происхождения и успехов третьего сословия, Избр. Соч., гл. III—IV. 1937. — Мишле, Жанна Д'Арк, 1920. — Франс А., жизнь Жанны Д'Арк, 1928. — Дельбрюк, История военного искусства в рамках политической истории, т. III, М. 1938. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. III, стр. 55, 56.

---

[1] სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი, თბ., 1934, გვ. 10.

თ ა ვ ი XXI

ინგლისი XI—XII საუკუნეებში

ინგლისის დაპყრობა ნორმანდიელების მიერ. 1066 წ. სექტემბერში ნორმანდიის ჰერცოგი ვილჰელმი გადავიდა ინგლისში ჯარით, რომელიც შესდგებოდა ნორმანდიელი რაინდებისაგან და მრავალი ფლანდრიელი, ბრეტონელი და პიკარდიელი ავანტიურისტებისაგან. ეს არ იყო უბრალო თარეში. ვილჰელმმა გამოაცხადა თავი ედუარდ აღმსარებლის (გარდაცვლილის 1066 წ. იანვარში) კანონიერ მემკვიდრედ და სურდა წაერთმია სამეფო გვირგვინი უიტენაგემოტის მიერ არჩეულ მეფის ჰაროლდისათვის. ჰაროლდის ჯარმა განიცადა დამარცხება ჰასტინგსთან, თვითონ ჰაროლდი მოკლულ იქნა. ლონდონმა გაუღო პიშკარი დამპყრობელს. 1066 წ. დეკემბრის 25-ს ვესტმინტერის საობატოში ვილჰელმი ეკურთხა ინგლისის მეფედ.

უახლოესი წლების განმავლობაში ვილჰელმა დაიმორჩილა მთელი ინგლისი. მაგრამ 1069 წ. ინგლისის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი აუჯანყდა ახალ მეფეს. ამ აჯანყებაში მთავარი როლი ითამაშა ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისში მრავლად მცხოვრებმა გლეხობამ, რომელსაც მოელოდათ დაყმევების საშიშროება ნორმანდიელი ფეოდალებისაგან. ვილჰელმი მძვინვარედ გაუსწორდა გლეხობას. იორკის ველი, აჯანყების ცენტრი, უდაბნოდ იქნა ქცეული. შიშის ზარმა მოიცვა მთელი ქვეყანა. ინგლისი იმყოფებოდა დამპყრობელის ფეხქვეშ.

ახლა ვილჰელმს და მის თანამოღვაწეებს შეეძლოთ თავისი გამარჯვების ნაყოფით სარგებლობა. მიწების კონფისკაციებმა, რომელიც დაიწყო ვილჰელმის პირველივე წარმატებების შემდეგ, ახლა, ქვეყნის საბოლოო დამორჩილების შემდეგ, მიიღო ეს ფართო ხასიათი. თითქმის მთელ ანგლო-საქსონელ დიდკაცობას ჩამოერთოა მათი სამფლობელოები. დატაცებული მიწები ვილჰელმა დაურიგა თავის ნათესავებს, სამხედრო თანამოღვაწეებს და სამღვდელოებას. უმაღლეს სასულიერო თანამდებობებზედაც ანგლო-საქსები შეცვალა ვილჰელმის მიერ დაყენებულმა ხალხმა.

„საშინელი სამსჯავროს წიგნი“. მეფის და ნორმანდიელ ფეოდალებს შორის მიწების განაწილების ძეგლს წარმოადგენს ცნობილი „ს ა შ ი ნ ე ლ ი ს ა მ ს ჯ ა ვ რ ო ს წ ი გ ნ ი“, შედგენილი 1086 წ. მოსახლეობიდან არჩეული ხალხის დაკითხვის საფუძველზე. ამ წიგნში დაწვრილებით იყო ჩაწერილი ყოველ საგრაფოში რა და რა მამულები ეკუთვნოდა მეფეს, რა და რა მამულები

— სასულიერო და საერო სენიორებს, რამდენი იყო ყოველ მამულში (მანორში) საგუთნე ულელი (კარუკი), რამდენი იყო მასში ვილანი (სრული მიწის ნაკვეთიანი გლეხი), ბორდარი და კოტარი (წვრილი გლეხი), სერვი (მონა), რამდენი იყო თავისუფალი. მითითებული იყო აგრეთვე მამულის დაახლოებითი ფულადი შემოსავალი. მეფეს სურდა ზუსტად ცოდნოდა თავისი ყოველი ვასალის რესურსები და შემოსავალი, იმისათვის, რათა ამის შესაბამისად მოეთხოვა მათგან ფეოდალური სამსახური და დაებეგრა ისინი გადასახადებით. „საშინელი სამსჯავროს წიგნი" წარმოადგენს ფეოდალური ევროპის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროთაგანს. არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ყოფილა ასეთი ადრინდელი საადგილ-მამულო აღწერა. „საშინელი სამსჯავროს წიგნი" წარმოადგენს არა მარტო დამპყრობელთა შორის მიწების განაწილების, არამედ აგრეთვე გლეხთა მასების დაყმევების ძეგლს. ბევრი თავისუფალი, ან ნახევრად თავისუფალი გლეხი შეტანილ იქნა „საშინელ სამსჯავროს წიგნში" ვილანების კატეგორიაში. XI საუკუნეში ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი, მალე იქცა ყმა-გლეხობის აღმნიშვნელად. ნორმანდიელმა დამპყრობლებმა გააძლიერეს დამოკიდებული გლეხობის ექსპლოატაცია და გააუარესეს მისი უფლებრივი მდგომარეობა. ნორმანდიის მიერ დაპყრობა უმნიშვნელოვანესი ეტაპია ინგლისის ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებაში.

სამეფო ხელისუფლების განმტკიცება. ვილჰელმი მართავდა რკინის ხელით. ყველას შიშის ზარს სცემდა და იმორჩილებდა ეს დაღვრემილი, მოღუშული და მიუკარებელი, რისხვაში დაუნდობელი ბუმბერაზი. იგი აქრობდა ყოველგვარ წინააღმდეგობას, ვისგანაც არ უნდა წარმომდგარიყო ეს უკანასკნელი და თანმიმდევრობით ამაგრებდა სამეფო ხელისუფლებას. ძველი ინგლისელი დიდკაცობა აღგვილ იქნა.

საგრაფოებს, რომლებადაც იყოფოდა ინგლისი, სათავეში ჩაუყენეს შ ე რ ი ფ ე ბ ი—მეფის მიერ დანიშნული მოხელენი. ყველა მსხვილმა ფეოდალებმა მიიღეს ახლა თავისი მიწები უშუალოდ მეფისგან და შეიქმნენ მისი ვასალები. მიწები ურიგდებოდათ ფეოდალებს ნაწილ-ნაწილ, ისინი დაფანტული იყვნენ სხვადასხვა საგრაფოებში. ამგვარად, ინგლისში არ აღმოცენდნენ დიდი სამთავროები, რომელიც შეიძლებოდა სახიფათონი გამხდარიყვნენ სამეფო ძალაუფლებისათვის. მეფემ თავისთვის დაიტოვა დაახლოებით ერთი მეშვიდედი ყველა მიწებისა. ეს ნაწილი გაზრდილ იქნა შემდგომი კონფისკაციებით. ვილჰელმმა გააძლიერა თავისი ძალაუფლება სხვაფრივაც. „საშინელი სამსჯავროს წიგნის" შედგენის შემდეგ მალე, ქრონიკის სიტყვით, მან „უბრძანა არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს, აბატებს, გრაფებს, ბარონებს, შერიფებს მათი რაინდებითურთ აგვისტოს პირველისათვის თავი მოეყარათ მასთან სოლზბერიშში. და როდესაც ყველა შეიკრიბა, მან აიძულა რაინდები მიეცათ მისთვის ერთგულების ფიცი ყველა ხალხის წინააღმდეგ". ამგვარად, ვილჰელმმა დაამყარა პირდაპირი ფეოდალური კავშირი თავისი ვასალების ვასალებთან, აიძულა რა ისინი მიეცათ ფიცი უშუალოდ მეფისათვის. რაინდობის ყველა სამხედრო ძალები ინგლისში მოექცნენ მის განკარგულებაში.

ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციაში მეფე ცდილობდა დაჰყრდნობოდა ანგლო-საქსების ფეოდალიზმის წინა დროის დაწესებულებებს. იგი

ეყენებდა ასეულების და საგრაფოების ძველებურ კრებებს საკუთარ ფისკალურ მიზნებისათვის, გადასახადების განაწილებისათვის, სასამართლოსათვის, მთავრობის მიერ წარმოებული გამოძიებებისათვის, კერძოდ „საშინელი სამსჯავროს წიგნის“ შედგენისათვის. სამხედრო სამსახურის ფეოდალური სისტემის გვერდით მან დატოვა თავისუფალი გლეხობის ძველებური ლაშქრობა.

ამგვარად, მეფის ხელში მოექცა ძლიერი და მორჩილი ადმინისტრატიული სისტემა, მსხვილი სამხედრო და ფინანსიური რესურსები. მან არა თუ დატოვა ყველა გადასახადები, შემოღებული ანგლო-საქსონურ ეპოქაში, არამედ კიდევ უფრო მეტად გაამაგრა ისინი.

ვილჰელმმა გააფართოვა საკუთარი სამფლობელოები ახალი სანადირო შეკრული ტყეების შექმნით. ინ რაიონებში, რომელნიც მხოლოდ მეფის ნადირობისათვის იყვნენ განკუთვნილი, ანგრევდნენ მთელ სოფლებს და მცხოვრებთ ერეკებოდნენ იქიდან. ყოველ მათგანს, ვინც გაბედავდა ნებადაურთველად ნადირობას სამეფო ტყეში, სხვრიდნენ თვალებს. ვილჰელმის ყველა ღონისძიებათაგან „სატყეო კანონები“ იყვნენ, ვგონებ, ყველაზე არაპოპულარულნი. ვილჰელმის ორი შვილი და მისი შვილიშვილი მოკლულ იქნენ „ახალ ტყეში“, მის საყვარელ სანადირო ადგილას, ვინჩესტერის მახლობლად.

მეფე და ეკლესია. ვილჰელმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დასაყრდენთაგანს წარმოადგენდა ეკლესია. მან შეცვალა თითქმის მთელი უმაღლესი სამღვდელოება ინგლისში და მის ადგილას დააყენა თავისი ხალხი. მისი ერთგული ეპისკოპოსები და აბატები ბჭობდნენ სამეფო საბჭოში. მეფეს ესმოდა ეკლესიასთან კავშირის პოლიტიკური მნიშვნელობა, და არ იშურებდა წყალობებს. ვილჰელმმა უბოძა ეკლესიას მთელი რიგი პრივილეგიები კერძოდ, მან გამოჰყო საეკლესიო სასამართლოები საეროთაგან. ამიერიდან ყველა საქმეები, რომელნიც შეეხებოდნენ ეკლესიას, უნდა გარჩეულიყვნენ არა ასეულებში, არამედ სპეციალურ საეკლესიო სასამართლოებში ძველ საეკლესიო და ან „საეპისკოპოსის კანონების“ საფუძველზე. ვილჰელმი ჰფარავდა ეკლესიის უფლებებს და ქონებას საერო ფეოდალთა ტაციობისაგან. მაგრამ ეკლესიის, როგორც საკუთარი პოლიტიკური იარაღის გაძლიერებით, მას სრულიადაც არ სურდა ინგლისში პაპის ხელისუფლების გაძლიერება. ამ დროს პაპის ტახტზე იჯდა სახელგანთქმული გრიგოლ VII (1073—1085 წწ.). ქრონიკა აღნიშნავს, რომ ვილჰელმი არა რთავდა ნებას პაპის ცნობისას, სხვაფრივ, თუ არ მეფის ბრძანებით, და პაპის ყოველ განკარგულებას შეეძლო მიეღო კანონის ძალა ინგლისში, მხოლოდ მეფის მიერ მისი მოწონების და დადასტურების შემდეგ. აწორედ ასევე ეპისკოპოსთა კრებების დადგენილებები ინგლისში დადასტურებულ უნდა ყოფილიყვნენ მეფის მიერ. არავინ მეფის ვასალთაგანი, ან მრჩეველთაგანი არ შეიძლებოდა განკვეთილ ყოფილიყო ეკლესიისგან, ან საეკლესიო სამსჯავროში გასამართლებული სხვაფრივ, თუ არ მეფის ნებართვით. ვილჰელმი ნიშნავდა ეპისკოპოსებს და აძლევდა მათ ინვესტიტურას, კვერთხის და ბეჭდის გადაცემით. გრიგოლ VII, რომელიც გააფთრებით ებრძოდა ინვესტიტურისათვის იმპერატორს, ვერ გაბედა ინგლისის მეფის გადამტერება, მისი სახით თავისთვის ახალი ძლიერი მტრის გაჩენა და არ უწევდა წინააღმდეგობას მის საეკლესიო პოლიტიკას.

ბევრ უძლიერეს „ბარონთაგანს“ (ასე უწოდებენ ახლა მსხვილ ფეოდალებს) არაფრად ეკუბინიკებოდათ მეფის შეუზღუდავი ძლიერება და ისინი ოცნებობდნენ ინგლისში ისეთივე წესწყობილების დამყარებაზე, როგორიც იყო საფრანგეთში. ისინი არა ერთხელ ამხედრებულან მეფის წინააღმდეგ ვილჰელმის და მისი მემკვიდრეების დროს.

სამეფო ხელისუფლება და ქალაქები. წვრილი და საშუალო შეძლების ფეოდალები-რაინდები, დამოუკიდებლად თავიანთი ანგლო-საქსონური ან ნორმანდიული წარმოშობისაგან, — მხარს უჭერდნენ ვილჰელმს და მის მემკვიდრეებს მსხვილ ბარონებთან ბრძოლაში. მეფეს განუწყვეტლივ უჭერდნენ მხარს აგრეთვე უხვ წყალობა-ბოძებული და მორჩილი ეკლესია და ქალაქის ვაჭრები, რომელთაც მოიგეს ნორმანდიელთა მიერ დაპყრობით. ვილჰელმის მიერ ფეოდალურ აღვირახსნილობის ალაგმვამ, ძარცვა-გლეჯის და მკვლელობათა მკაცრმა დეუნამ, რომლებშიაც ძალიან ხშირად ჰპოულობდა გამოხატულებას პროტესტი ჩაგრული კლასებისა, შექმნეს ინგლისში სავაჭრო გზების უშიშროება. ერთი ქრონიკის სიტყვით, ვილჰელმმა შემოიღო ინგლისში ისეთი წესრიგი, რომ ყველას შეეძლო უშიშრად მთელი სამეფოს გავლა ოქროთი სავსე ტომარა აკიდებულს. მაგრამ დაპყრობა ხელსაყრელი აღმოჩნდა ინგლისელი ვაჭრებისათვის სხვა მხრივაც: მან პოლიტიკურად გააერთიანა ინგლისი ვილჰელმის სამფლობელოებთან საფრანგეთში — ნორმანდიასთან და ბენთან. ჯერ კიდევ დაპყრობამდის ინგლისი იმყოფებოდა სავაჭრო ურთიერთობაში ნორმანდიასთან და ფლანდრიასთან. ახლა ეს კავშირი მნიშვნელოვნად განმტკიცდა. ვილჰელმს მიჰყვნენ ინგლისში არა მარტო სამხედრო ავანტიურისტები, არამედ ამ ქვეყნების ვაჭრებიც. ვილჰელმმა იქორწინა ფლანდრიის გრაფ ქალზე და უწევდა განსაკუთრებულ მფარველობას ვაჭრობას ფლანდრიასთან. ეს კავშირი ხელსაყრელი იყო ინკლისის, განსაკუთრებით ლონდონის, ვაჭრებისათვის. ლონდონი წარმოადგენდა უმთავრეს სავაჭრო მუამავალს ინგლისს და კონტინენტის ქვეყნებს შორის.

„საშინელი სამსჯავროს წიგნი“ მოითვლის ინგლისში 80 ქალაქამდის. ინგლისის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 5% ცხოვრობდა ქალაქებში. მაგრამ მეტ წილს ინგლისის ქალაქებისას ჰქონდა იმ დროს (და კიდევ დიდხანს შემდეგ) ნახევრად აგრარული ხასიათი. მოსახლეობის უმრავლესობა მათში ირჩენდა თავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით — მიწათმოქმედებით და შესაქონლეობით. ქალაქები ჰფლობდნენ ფართო სახნავებს და საძოვრებს. სოფლებისაგან ისინი განირჩეოდნენ უმთავრესად სიმაგრეებით. შემდეგ (XII) საუკუნეში ჩვენ ვამჩნევთ ინგლისში ქალაქების და ვაჭრობის სწრაფ ზრდას. ქალაქენი იქცევიან მეფის მნიშვნელოვან დასაყრდენად ბარონებთან ბრძოლაში.

სამეფო ხელისუფლება და თავისუფალი გლეხობა. მეფის მხარე ეჭირა აგრეთვე თავისუფალი გლეხობის ზედა-ფენას, რომელიც არ მოისპო ინგლისში ნორმანდიელთა მიერ დაპყრობის შედეგად, თუმცა რიცხობრივად შემცირდა და მისი უფლებრივი მდგომარეობა გაუარესდა. ინგლისში ჩვენ ყველას ვხედავთ „თავისუფალ“ გლეხებს — იშვიათი იყო ისეთი მამული, რომელშიაც

ყმა-გლეხთა მასის გვერდით არ შერჩენილიყო რამდენიმე თავისუფალი. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანნი იყვნენ ისინი ჩრდილო-აღმოსავლეთში, უძველესი დანიელი მოსახლეობის ოლქებში. მაგრამ, „თავისუფალი“ გლეხი, სრულიადაც არ იყო სავსებით თავისუფალი. იგი არ იყო თავისი მიწის სრული მესაკუთრე—უზენაესი უფლებები მის მიწაზე ეკუთვნოდა მამულის მებატონეს („მანორის ლორდს“), გლეხი მოვალე იყო ეხადნა ლორდისათვის ფეოდალური რენტა. იგი ემორჩილებოდა ლორდის იურისდიქციას, მაგრამ ითვლებოდა პირადად თავისუფლად და შეეძლო მამულიდან წასვლა. ფეოდალები ცდილობდნენ თავისუფალი გლეხების ყმებად ქცევას. თავისუფალი გლეხობის ზედაფენა ჰხედავდა მეფეში თავის მფარველს ფეოდალთა წინააღმდეგ. ამიტომ იგი იჭერს მეფის მხარეს. უკანასკნელის ბრძოლაში ურჩ ბარონებთან.

ვილჰელმ II წითური. სამეფო ძალაუფლების სიმძიმე გაიზარდა ვილჰელმ დამპყრობელის მემკვიდრის, ვილჰელმ II წითურის დროს (1087 — 1100 წწ.). ვილჰელმ II და მის მთავარ მრჩეველს („იუსტიციარის“) რანულ ფლამბარდს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მათ შეიმუშავეს ფეოდალური გადასახადების მთელი სისტემა, რომლებითაც ჰბეგრავდნენ მეფის უშუალო ვასალებს. ვილჰელმი და რანულფი ცდილობდნენ რაც შეიძლება ფართოდ გამოეყენებინათ მეფის ფეოდალური უფლებები. მათ აბრალებდნენ „ყოველი, როგორც სასულიერო, ისევე საერო პირის მემკვიდრედ“ გახდომის სურვილს. ისინი აჩანაგებდნენ მიწებს, რომელნიც უვარდებოდათ ხელში სამეურვეოდ, ისინი მოითხოვდნენ ფეოდების მემკვიდრეებისაგან უშველებელ გამოსასყიდ თანხებს—რელიეფებს. მეფე ყოველმხრივ ზღუდავდა ფეოდალთა სამოსამართლო უფლებებს და აფართოვებდა მეფის უფლებებს.

ვილჰელმ II შესძულდა არა მარტო ბარონებს, არამედ მოსახლეობის იმ ფენებსაც, რომლებსაც ჩვეულებრივ ეყრდნობოდა სამეფო ხელისუფლება. იგი მოძალებით და უხეშად ჰმართავდა ეკლესიას, მთელი წლობით არა ნიშნავდა არავის ვაკანტურ საეპისკოპოსო და საბატო ადგილებზე და ამ დროის განმავლობაში თვითონ სარგებლობდა შემოსავლით საეპისკოპოსოებისგან და მონასტრებისგან.

მეფე და რანულფი დახელოვნებული იყვნენ მოსახლეობისაგან ფულების გამოქაჩვაში. მატიანე მოგვითხრობს, რომ 1094 წ. ვილჰელმმა მოითხოვა, გაეგზავნა მასთან ნორმანდიაში 20 ათასი ფეზოსანი ჯარისკაცისა... რანულფმა გასცა განკარგულება, რათა ჰასტინგსში შეკრებილიყო სახალხო ლაშქრობა, მაგრამ იქ მან წაართვა მოლაშქრეებს მთელი ფული, რომელიც კი მათ გააჩნდათ, და უბრძანა მათ თავ-თავის სახლებში წასულიყვნენ. მეფის მრჩეველები საშინლად სჩაგრავდნენ ხალხს. „არ არსებობდა პატივისცემა არც ღარიბთა სიღატაკისადმი და არც შეძლებულთა სიმდიდრისადმი“. როდესაც მეფე თავისი ამალით მიემგზავრებოდა სადმე, ხალხი გარბოდა ტყეებში, თავის შესაფარებლად, როგორც მტრის შემოსევის დროს.

ჰენრიხ I. „ახალ ტყეში“ იხრით განგმირული ვილჰელმ II დაღუპვის შემდეგ, სამეფო ტახტი ჩაიგდო ხელში მისმა უმცროსმა ძმამ ჰენრიხმა, ვინაიდან უფროსს — რობერტს — მეტი უფლებები ჰქონდა ტახტზე და მას მხარს

უპერდნენ ბევრი ბარონთაგანი, ამიტომ ჰენრიხი, ტახტის შემომტკიცებისათვის, იძულებული იყო წასულიყო მთელ რიგ დათმობებზე ბარონების წინაშე, და ებრძვიან მათთვის „ქარტია“, პირველი ინგლისური თავისუფლებათა ქარტია. მასში მან დადო პირობა მოესპო ფეოდალური უფლებების ბოროტად გამოყენებანი, რომელთაც სჩადიოდენ მისი წინამორბედნი ბარონების და ეკლესიის მიმართ.

ქარტიამ დააკმაყოფილა ბარონები, და როდესაც 1102 წ. ჰენრიხის წინააღმდეგ მოეწყო ფეოდალთა აჯანყება ინგლისის დასავლეთ ნაწილში, ბარონების უმრავლესობამ, რაინდებთან და გლეხობის ზედა-ფენასთან ერთად დაიჭირა მეფის მხარე. აჯანყებულ ბარონებისგან კონფისკაციაქმნილ მიწებს, ჰენრიხი ურიგებდა წვრილ რაინდებს, რითაც აძლიერებდა თავისი ძალაუფლების სოციალურ ბაზას. ამის შემდეგ ჰენრიხის სიკვდილამდის ინგლისში აღარ მომხდარა ხელახალი ამბოხება ბარონებისა.

ქალაქების ზრდა. ჰენრიხის მეფობაში ინგლისში სწრაფად ვითარდება ვაჭრობა და ხელოსნობა, ხდება ქალაქების აღორძინება. ისტორია ინგლისის ქალაქებისა ბევრით განსხვავდება კონტინენტის ქალაქების ისტორიისგან. ფეოდალური ქალაქების ბრძოლა სენიორებთან აქ მიმდინარეობდა თავისებურად. ამის ძირითადი მიზეზი იყო ადრეული და ძლიერი განვითარება სამეფო ძალაუფლებისა, რამაც აღკვეთა შესაძლებლობა იმ სისხლისმღვრელი შეტაკებებისა, რითაც ხასიათდება ქალაქების სენიორებთან ბრძოლა კონტინენტზე. მეორე მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ ქალაქთა უმრავლესობა მდებარეობდა სამეფო მიწა-წყალზე, რომ მათი სენიორი იყო მეფე. ეს იყო მეტად მძლავრი სენიორი და მასთან ბრძოლას უნდა მიეღო განსაკუთრებული ფორმები. ჩვეულებრივ საქმე თავდებოდა იმით, რომ ქალაქები ყიდულობდნენ მეფისაგან (ან სხვა სენიორებისაგან) ამა თუ იმ უფლებებს (უფლება თვითმართველობისა, თვითდაბეგვრისა, საკუთარი სასამართლოსი) განსაზღვრული ფულის თანხით ან ყოველწლიური გადასახადებით. ძალიან ფართო პრივილეგიები მიიღო ჰენრიხ I-სგან ლონდონმა. ჰენრიხისგან ბოძებული სიგელით ლონდონმა მიიღო უფლებები თვითმართველობისა და უბაჟოდ ვაჭრობისა მთელ ინგლისში. ლონდონის მოქალაქეებს ებოძათ უფლება, რომ მათი გასამართლება ხდებოდეს მხოლოდ ლონდონში. ისინი განთავისუფლებული იყვნენ სამხედრო ბეგარისაგან და მეფის ამალის შენახვის მოვალეობისაგან მისი ქალაქში ყოფნის დროს.

მხოლოდ მას შეეძლო ესარგებლნა ქარტიით ბოძებული პრივილეგიებით, ვინც მონაწილეობდა სენიორისათვის ქარტიით გათვალისწინებულ გადასახადების გამოღებაში. ამგვარად, ქალაქში ყველა არ სარგებლობდა საქალაქო პრივილეგიებით, მით არ სარგებლობდნენ, მაგალითად, ღარიბ-ღატაკნი. პრივილეგიანი მოქალაქენი ხშირად შეადგენდნენ ეგრეთწოდებულ „სავაჭრო გილდიას“. მასში შედიოდნენ არა მარტო ვაჭრები, არამედ ხელოსნებიც და საერთოდ ქალაქის ყველა მოსახლე, რომელიც კი მონაწილეობდა სენიორისათვის (ან მეფისათვის) რენტის გადახდაში და სარგებლობდა ამასთან დაკავშირებული უფლებებით.

მატყლით ვაჭრობა. XII საუკ. ინგლისი იწყებს ფართო ვაჭრობას მატყლით, უმთავრესად ფლანდრიასთან. პირველი ხელშეკრულებები ინგლისისა ფლანდრიელ ვაჭრებთან დადებულ იქნა 1101 და 1103 წწ. ბევრი ფეოდალი იწყებს მათთვის თავის მატყლის მიყიდვას. სოფლად ჩნდება მატყლის შემსყიდველი შუამავალი, რომელიც იძენს მატყლს წვრილ-წვრილი პარტიებით გლეხებისგან. მაგრამ გასაყიდი მატყლის მწარმოებელთა შორის პირველი ადგილი ეჭირათ მონასტრებს. ისინი მიწის დიდ ფართობებს საძოვრებად აქცევდნენ ხოლმე ცხვრისათვის. მატყლით ვაჭრობა წარმოებდა, უმთავრესად, ბაზრობებზე, რომელნიც იწყებენ აღმოცენებას უკვე XI საუკუნეში. დიდ ბაზრობებზე მიემგზავრებოდნენ უცხოელნი. უმთავრესად ფლანდრიელი ვაჭრები. მატყლის გარდა, ინგლისიდან გაჰქონდათ იმ დროს კალა, ტყვია და რკინა. ბაჟები მატყლის და სხვა საქონლის გატანაზე იქცნენ სამეფო ხაზინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემოსავლად.

მართვა გამგეობის სისტემა. ჰენრიხ I შეუმჩნეველად ამაგრებდა სამეფო ხელისუფლებას, ადმინისტრაციის, სასამართლოს და ფინანსების ორგანიზაციის და შოწესრიგების საშუალებით. მის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამეფო კურია (Curia regis).

ფეოდალური „დიდი საბჭოსაგან“ („Magnum Consilium“) განსხვავებით, რომელიც შესდგებოდა სასულიერო და საერო ბარონებისაგან და მოიწვევოდა მეფის მიერ დრო და დრო უმნიშვნელოვანესი თათბირებისათვის, სამეფო კურიაში შედიოდნენ წევრებად მუდმივი მრჩეველები მეფისა, რომელთაც ევალებოდათ მმართველობის, სასამართლოს და ფინანსების მიმდინარე საქმეების წარმოება. მეფე ხშირად ჰპატიჟობდა თავის კურიაში დაბალი წარმოშობის პირებს, სამღვდელოებას, რაინდებს. სამეფო კურია თანდათან აფართოვებდა იმ საქმეების რაოდენობას, რომელნიც ექვემდებარებოდნენ სამეფო სასამართლოს, გადაქონდა რა თავისთან გასარჩევად ფეოდალური კურიებიდან ყველა ის პროცესი, რომლებშიაც კი დაინტერესებული იყო ასე თუ ისე სამეფო ხელისუფლება. სამეფო კურიის წევრები თათბირობდნენ აგრეთვე ეგრეთწოდებულ — ჰადრაკის დაფის პალატაში (მას ეს სახელი დაერქვა უჯრედოვანი ჰადრაკის დაფისდაგვარი მაუდის სუფრის გამო, რომელიც ეფარა მაგიდას სათათბირო დარბაზში). აქ ისინი ღებულობდნენ ფულად ანგარიშებს შერიფებისაგან, კონტროლს უწევდნენ ხაზინის შემოსავალ-გასავალს. სამეფო კურია გზავნიდა თავის წარმომადგენლებს (მოგზაურ მსაჯულებს) საგრაფოებში სამოსამართლო გამოძიებებისათვის, საგადასახადო დაბეგვრისათვის და საგრაფოებში მოხელეთა მოქმედებების კონტროლისათვის. ასე ძლიერდებოდა სამეფო მმართველობის სისტემა ცენტრში და ადგილებზე.

ფეოდალური შინაომები. ჰენრიხ I არ დარჩენია ვაჟიშვილი. მან უანდერძა ტახტი თავის ასულს მატილდას. მაგრამ, როდესაც 1135 წ. ჰენრიხ I გარდაიცვალა, მისი ძმისწული სტეფანე ბლუასელი სასწრაფოდ გამოცხადდა ლონდონში და გამოაცხადა თავი მეფედ. ბარონების ნაწილმა ისარგებლა ამით, რომ მიეცა შემთხვევა მეფის ძალაუფლების დამდაბლებისა და დაიპირა მატილდას მხარე. ასე დაიწყო საყოველთაო ბარონთა შინაომი. ბარონების ნაწილი იდგა მატილდას მხარეზე, მეორე ნაწილი სტეფანეს მხარეზე, მაგრამ სინამდ-

ვილეში ყოველი მათგანი ფიქრობდა მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების გაძლიერებაზე, მეზობლისათვის ციხე-კოშკის წართმევაზე, ძარცვაზე და რაც შეიძლება მეტი ნადავლის მოპოვებაზე. ქრონიკები აღწერენ იმ დროს ქვეყნის საშინელ აოხრებას. არც სტეფანეს და არც მატილდას არ შესწევდათ ძალა, რომ თავიანთივე საკუთარი მომხრეები მორჩილებაში ჰყოლოდათ. პირიქით, მათ განუწყვეტლივ უხდებოდათ ბარონთა გულის მოგება მიწების და ფულის გულუხვი დარიგებით. ზოგიერთი ბარონი რამდენჯერმე გადადიოდა ერთი ბანაკიდან მეორეში და ღებულობდა ყოველი ღალატის დროს ახალ-ახალ დიდ წყალობებს. ბარონები აგებდნენ ყველგან თავიანთ ციხე-სიმაგრეებს. ყოველი მათგანი სჭრიდა საკუთარ ფულს. ისინი ბეგრავდნენ ქალაქებს კონტრიბუციებით, და გადაუხდელობის შემთხვევაში სჯიდნენ მათ ცეცხლით და მახვილით. ისინი იტაცებდნენ ტყვედ შეძლებულ მოქალაქეებს და აიძულებდნენ მათ გადაეხადნათ დიდი გამოსასყიდი, წინააღმდეგ შემთხვევაში საშინლად აწამებდნენ მათ. სახნავი მიწები რჩებოდა დაუმუშავებელნი. ხალხი ათასობით იხოცებოდა შიმშილისგან.

ბოლოს, უმაღლესი სამღვდელოების ინიციატივით ბარონებმა გადაწყვიტეს შეთანხმება. 1153 წ. სტეფანეს და მატილდას ვაჟიშვილის, ანჟუს გრაფის ჰენრიხის შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მეფედ ცნობილ იქნა სტეფანე, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ტახტი უნდა რგებოდა ჰენრიხს. მეფეს უნდა დაჰბრუნებოდა ყველა დარიგებული მიწები, სამოქალაქო ომის დროს აგებული ციხე-კოშკები დანგრეულ უნდა ყოფილიყო. ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ სტეფანე მალე მოკვდა (1154 წ.) და სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის აღდგენა ცხრამეტწლიანი ანარქიის შემდეგ წილად ხვდა ახალ მეფეს — ჰენრიხ II ანჟუელს, დამაარსებელს ანჟუს ანუ პლანტაგენეტების დინასტიისა.

ჰენრიხ IIპლანტაგენეტი. ჯერ კიდევ ინგლისის სამეფო ტახტზე ასვლამდისაც გრაფი ჰენრიხ ანჟუელი იყო ერთ-ერთი ყველაზე უძლიერესი, ფეოდალურ მფლობელთაგანი საფრანგეთში. მას ეკუთვნოდა არა მარტო ანჟუს, საგრაფო, არამედ აგრეთვე საგრაფოები პუატუსი, მენისა, ტიურენისა. მან ისარგებლა არეულობებით ინგლისში და შეუერთა თავის სამფლობელოებს ნორმანდია. და ბოლოს, ინგლისის სამეფო ტახტზე ასვლის წინა ხანებში მან მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი სამფლობელოები აქვიტანიის ჰერცოგ ქალზე ალიენორაზე ქორწინების საშუალებით. ინგლისი წარმოადგენდა მხოლოდ ნაწილს პლანტაგენეტების დიდი სახელმწიფოსას. ჰენრიხ II მეფობაში ინგლისმა დაამყარა უმჭიდროესი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირი კონტინენტთან, და, პირველ ყოვლისა, საფრანგეთთან. ჰენრიხის პოლიტიკის ძირითად მიზანს ინგლისში შეადგენდა სამოქალაქო ომის დროს შერყეული სამეფო ძალაუფლების გამაგრება. მან დაიწყო მართვა იმ ფეოდალთა მოთვინიერებით, რომელთაც არა სურდათ წინა წლების არეულობების შეწყვეტა: ჯერ კიდევ სტეფანეს სიცოცხლის დროს მან დაიწყო, მოშლა შინაომების დროს აღმოცენებული „უკანონოდ შობილი ციხე-სიმაგრეებისა". ახლა მან დაამთავრა მათი ნგრევა. ყველა დანარჩენი ციხე-კოშკები გამოცხა-

დებულ იქნენ სამეფოდ და მათში ჩააყენეს სამეფო გარნიზონები (მეციხოვნენი).

ჰენრიხ II რეფორმები. ჰენრიხ II თანმიმდევრობით ატარებდა ფეოდალური სამსჯავროების ხარჯზე სამეფო კურიის სამოსამართლო კომპეტენციის გაფართოების პოლიტიკას. ამაში ახალი იყო სისხლის-სამართლის და სამოქალაქო პროცესების შეცვლა. ჰენრიხის რეფორმებამდის პროცესი რჩებოდა არსებითად საკრალური ხასიათისა. ბრალდებული უნდა გამართლებულიყო და გაწმენდილიყო ბრალდებისაგან თანანაფიცებთან ერთად წარმოთქმული ფიცით ან და ორდალიით. ნორმანდიელების მიერ დაპყრობამ შეიტანა პროცესში სამოსამართლო ორთა ბრძოლა (დუელი). მაგრამ სამეფო ხელისუფლება იმ საქმეების გამოძიების დროს, რომელნიც შეეხებოდა სამეფო ინტერესებს, უძველესი დროიდან იყენებდა სხვა, გაცილებით უფრო დამაჯერებელ საშუალებებს: იგი იძიებდა საქმეს მოსახლეობის დაკითხვის საშუალებით. ამისათვის ჩვეულებრივ გამოიყოფოდა 12 კაცი ადგილობრივ მცხოვრებთა წრეებიდან. ისინი მოვალენი იყვნენ დაედოთ ფიცი. ეს ნ ა ფ ი ც ნ ი (ჩვეულებრივ წვრილი რაინდები ან შეძლებული თავისუფალი გლეხები) მოვალენი იყვნენ გამოეძიათ საქმე და მიეცათ ჩვენება მეფის მსაჯულთათვის. ახლა ეს წესი გამოძიებისა გაავრცელეს სხვა, როგორც სისხლის-სამართლის, ისევე სამოქალაქო საქმეებზედაც. ყოველ თავისუფალ ქვეშევრდომს მეფისას, რომელსაც სურდა სამოსამართლო წესით თავისი ქონებრივი უფლებების დაცვა, შეეძლო მიემართნა მეფის კურიისათვის და ეთხოვნა განკარგულება, რომლის ძალითაც მისი საქმე უნდა გარჩეულიყო სამეფო სასამართლოს მიერ ნაფიცთა საშუალებით. ეს განკარგულება ფასიანი იყო. ამგვარად, საქმე ერთმეოდა ფეოდალურ კურიას, და მოდავე თავისუფლდებოდა ორდალის, ან სამოსამართლო ორთა-ბრძოლის (დუელის) ხიფათისაგან. ეს პრაქტიკა ძალიან უწყობდა ხელს სამეფო სასამართლოების კომპეტენციის გაფართოებას. ამავე დროს იგი იფარავდა წვრილი რაინდობის და შეძლებული თავისუფალი გლეხობის ქონებრივ ინტერესებს მსხვილი ფეოდალების ტაციაობისაგან. ღარიბთათვის სამეფო სასამართლო მიუწვდომელი იყო თავისი ფასიანობის გამო. მართალია, ახალმა სასამართლოებმა დიდი სამსახური გაუწიეს რაინდებს და გლეხობის ზედაფენას, მაგრამ მათ იმავე დროს გააღრმავეს უფსკრული თავისუფალთა და ყმა გლეხებს შორის და ამით ხელი შეუწყეს უკანასკნელთა იურიდიული მდგომარეობის გაუარესობას. სამეფო სასამართლოები არ ღებულობდნენ ვილანების საჩივრებს მათი ლორდების წინააღმდეგ; ვილანების გასამართლება ხდებოდა მხოლოდ მემამულის სასამართლოში — მ ა ნ ო რ ი ა ლ უ რ კ უ რ ი ა შ ი, რომელშიაც მსაჯულად იყო ლორდი ან მისი მოურავი.

ჰენრიხ II მეფობაში სამეფო კურიის მნიშვნელობა იზრდება, მისი პერსონალი მატულობს. მისი ფუნქციების გართულება, გასარჩევი საქმეების რაცხვის ზრდასთან ერთად, მოითხოვდა სპეციალურად მომზადებულ ხალხს, სამოსამართლო და ფინანსიურ საქმეების სპეციალისტებს. ინგლისში (ისევე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში) იწყებს ჩამოყალიბებას სამოსამართლო, ადმინისტრატიული და ფინანსიური ბიუროკრატია, მოსაქმე ხალხის ფენა, რომელიც მთლიანად დაკავშირებული იყო სამეფო მმართველობასთან, იყო ერთ-

გული სამეფო ხელისუფლებისა, მტკიცედ ატარებდა სამეფო პოლიტიკას. სამეფო სასამართლოების პრაქტიკა იწყებს ინგლისში ერთიანი „საჯარო" უფლების—სამეფო უფლების გამომუშავებას,—რომელიც უპირისპირდება „სადათო უფლებას" — ჩაუწერელ სამოსამართლო ადათ-ჩვეულებებს; ეს უკანასკნელნი ბატონობდენ ფეოდალურ კურიებში, ასეულების და საგრაფოების ყრილობებზე. უკვე ჰენრიხ II მეფობის ბოლო ხანებში ჩვენ ვხედავთ სამეფო სასამართლოების მიერ დაგროვილი გამოცდილების სისტემატიზაციის ცდას: გამოიცა „ტრაქტატი ინგლისის კანონების შესახებ", შესანიშნავი თხზულება, რომელიც მიეწერება რანულფ გლენვილს, ჰენრიხ II უმთავრეს იუსტიციარს. XIII საუკუნეში გამოვიდა ახალი ტრაქტატი ინგლისის კანონების შესახებ, რომელიც ეკუთვნის ცნობილი იურისტი ბრაკტონის კალამს. რომის სამართლის შემსწავლელი ბრაკტონი ინგლისელ ვილანს რომაელ მონას უთანაბრებს. ამით ნათლად გამომეღავნდა სამეფო იუსტიციის კლასობრივი ბუნება. სამეფო სასამართლოები აყენებდნენ ვილანს „საჯარო სამართლის" მფარველობის გარეშე. ბატონი პასუხს აგებდა მხოლოდ მის მიერ ვილანის მოკვლის, ანუ უკანასკნელის მძიმედ დასახიჩრების შემთხვევაში, მაგრამ მას შეეძლო დაუსჯელად დაერბია ვილანი, წაერთმია მისთვის მიწა, დაებეგრა იგი როგორითაც უნდოდა გადასახადებით. სამეფო სასამართლოები განკარგულებას აძლევდნენ შერიფებს, რათა მათ იძულებულ ეყოთ ვილანები ეხადნათ ყველა ის ვალდებულებანი, რომელსაც მოითხოვდა მათგან ლორდი. კანონი შეუწყნარებლად სდევნიდა და სჯიდა ვილანის ყოველგვარ ცდას ძალით დაეცვა თავის უფლებები. სამეფო ადმინისტრაციის და სამეფო სასამართლოს მრისხანე მანქანა იდგა ფეოდალური წარმოების წესის სადარაჯოზე.

სამეფო კურიის სამოსამართლო ფუნქციების გაფართოება ისახავდა აგრეთვე ფისკალურ მიზნებსაც. სასამართლოების შემოსავალი წარმოადგენდა სამეფო ხაზინის შენამატს. მოსახლეობა უჩიოდა იმ მძიმე ჯარიმებს, რომლებსაც ახდევინებდნენ ხოლმე სამეფო სასამართლოები. ამავე დროს გაიზარდა გადასახადების სიმძიმე, მკაცრად ადევნებდნენ თვალყურს მათ აკრეფას. ფინანსიური უწყება გაიზარდა, გართულდა მისი საქმის წარმოება.

ჰენრიხ II მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივ მმართველობას, ცდილობდა აქაც შეესუსტებინა ფეოდალური დიდკაცობის გავლენა. ჰენრიხის მეფობის დასაწყისში შერიფები — უმთავრესი ! მეფის მოხელენი საგრაფოებში — ინიშნებოდნენ მსხვილ მიწათმფლობელების წრიდან. 1170 წ. ჰენრიხ II გასცა ბრძანება მოეხდინათ დაწვრილებითი გამოძიება მათი მოღვაწეობისა, რის შედეგადაც 20 მათგანი გადააყენეს და შეცვალეს უფრო ნაკლებ წარჩინებული ხალხით. ამის შემდეგ წესად იქცა, რომ შერიფების ადგილზე აღარ დაენიშნათ მსხვილი ფეოდალები.

ჰენრიხს მოუხდა თავისი თვალუწვდენელი სამფლობელოების დაცვა საფრანგეთში, და ხშირი ომების წარმოება საფრანგეთის მეფესთან, რომლის ძალა და გავლენა მტკიცდება XII საუკ. კონტინენტზე ომებისათვის იმდენად გამოსადეგი აღარ იყო ფეოდალური ლაშქრობა. ბარონებს ევალებოდათ მეფის სამსახური თავიანთი რაინდებითურთ და საკუთარი ხარჯით წელიწადში მხოლოდ 40 დღეს.

ამასთანავე ერთად ბარონთა დიდი სამხედრო ძალების შეკრება არ იყო ყოველთვის უხიფათო. ამიტომ ჰენრიხი იწყებს ფეოდალთა სამხედრო სამსახურის შეცვლას ფულადი გადასახადით, ეგრეთწოდებული ს ა ფ ა რ ო გადასახადით (scutagium). ამ ფულით იგი ქირაობდა ჯარისკაცებს თავისი ომებისათვის საფრანგეთში. ეს ზომა, გარდა წმინდა სამხედრო მიზნებისა, ისახავდა აგრეთვე პოლიტიკურსაც, ვინაიდან იგი ამცირებდა მეფის დამოკიდებულებას ფეოდალთა სამხედრო ძალებისგან და ასუსტებდა მათ სამხედრო ორგანიზაციას.

ეკლესიასთან შეტაკება. სამეფო ხელისუფლების გაძლიერების პოლიტიკის გატარების დროს, ჰენრიხს მოუხდა შეტაკება ეკლესიასთან, რომელიც XII საუკუნეში ევროპაში უდიდეს ძალად იქცა. 1164 წ. დიდმა საბჭომ, მეფის წინადადებით, შეადგინა ეგრეთწოდებული „კლარენდონის კონსტიტუციები", რომელთაც შეზღუდეს საეკლესიო სასამართლოების კომპეტენცია. სამეფო კურიას უნდა გადაეწყვიტა, თუ რა საქმეები ექვემდებარებოდნენ სასულიერო იურისდიქციას და რა საქმეები—საეროსას. საეკლესიო სასამართლოებს უნდა დასწრებოდა მეფის მოხელე, თვალყურის სადევნებლად რათა სასამართლოს არ მიეთვისებინა ზედმეტი უფლებები. სასულიერო პირი, გამტყუნებული საეკლესიო სასამართლოს შიერ, საერო ხელისუფალთ უნდა ეადასცემოდა დასაჯელად (რადგან ეკლესია ჩვეულებრივ ძალიან რბილად სჯიდა თავის წევრებს დანაშაულების ჩადენისათვის). სამეფო კურიას უფლება ჰქონდა საეკლესიო სასამართლოების განაჩენების კასაციისა. აკრძალული იყო ყოველგვარი აპელაციები პაპის მიმართ.

„კლარენდონის კონსტიტუციების" წინააღმდეგ მკვეთრად გაილაშქრა ინგლისის ეკლესიის პრიმასმა, კენტერბერის არქიეპისკოპოსმა თომას ბეკეტმა. მან უარი განაცხადა თანხმობა მიეცა ეკლესიის სამოსამართლო უფლებების შეზღუდვაზე. ამან გამოიწვია ჰენრიხის გააფთრება. ბეკეტი გამოცხადებულ იქნა მოღალატედ და იძულებული იყო გაქცეულიყო ინგლისიდან. მაგრამ ბეკეტთან განხეთქილება ჰენრიხისათვის მეტად შეუფერებელ დროს მოხდა. ამ დროს ბარონებთან კონფლიქტი მზადდებოდა, და მეფემ დაკარგა ჩვეულებრივი მხარის დაჭერა ეკლესიის მხრივ. ჰენრიხ II მთავრობასთან გაბედულმა ბრძოლამ მოუპოვა თომას ბეკეტს დიდი პოპულარობა ხალხში, რომელიც უკმაყოფილო იყო გადასახადების და სამოსამართლო ჯარიმების ზრდით. 1170 წ. ჰენრიხმა ნება დართო ბეკეტს ინგლისში დაბრუნებისა, მაგრამ არქიეპისკოპოსმა არ შეწყვიტა მკვეთრი ოპოზიცია მეფის მიმართ. ერთ-ერთი განრისხების დროს ჰენრიხმა გაუფრთხილებლად გამოსთქვა თავისი სურვილი, რათა ვისმე მოეშორებინა მისთვის თავიდან ეს მოუსვენარი ხუცესი. რამოდენიმე მეფის კარის კაცი რაინდი დაუყოვნებლივ გაეშურა კენტერბერში და მათ საყდარში მოკლეს ბეკეტი. ეს იყო დიდი პოლიტიკური შეცდომა. არქიეპისკოპოსის მკვლელობამ გამოიწვია დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი უკმაყოფილების აღმოხეთქვა. დაიწყო მღელვარება ბარონებისა ჰენრიხის საფრანგეთის სამფლობელოებში, ამის შემდეგ აჯანყდნენ ბარონები ჩრდილოეთ ინგლისში. ხალხი მასობრივად მოდიოდა და იყრიდა თავს ბეკეტის აკლდამასთან, ვინაიდან მან დაუ-

ჩახურებლად შოიპოვა ხალხის მოსარჩლის რეპუტაცია. რომელმაც მიიღო ჯოწამის სიკვდილი. ეკლესიამ გამოაცხადა თომას ბეკეტი წმინდანად და დაჩქარდა გამოეყენებინა ეს მომენტი საკუთარ ინტერესებისათვის. ჰენრიხს მოელოდა ეკლესიისაგან განკვეთა. მან მოინანია ცოდვები არქიეპისკოპოსის აკლდამის წინაშე და მიიღო საჯარო გვემა. იგი იძულებული იყო უარი ეთქვა ეკლესიო სასამართლოების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებზე.

ირლანდიის დაპყრობის დასაწყისი. ამავე დროს იწყება ირლანდიის დაპყრობა. დასავლეთ ინგლისის ზოგიერთი ბარონთაგანი ჩაერია ირლანდიელ კლანების ბრძოლაში და დაიწყო მიწების დაპყრობა კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. ბარონები მეტად ავიწროებდნენ მათ ეიერ დაპყრობილი ოლქების მოსახლეობას. 1170 წ. ირლანდიელებმა მოაწყეს საერთო ამბოხება დამპყრობელთა წინააღმდეგ. ბარონების დაპყრობები სახიფათონი იყვნენ ჰენრიხის პოლიტიკისათვის, ვინაიდან ამით იქმნებოდა ახალი კერა ბარონთა დამოუკიდებლობისა. 1171 წ. იგი გაემგზავრა ირლანდიაში, დაამყარა კავშირი ირლანდიის სამღვდელოებასთან და ზოგიერთი კლანების მეთაურებთან, მაგრამ საეკლესიო საქმეებმა და ბარონთა მღელვარებამ ინგლისში და საფრანგეთის სამფლობელოებში აიძულეს. იგი წასულიყო ირლანდიიდან: ინგლისის სამფლობელოები ირლანდიაში დარჩნენ საბარონო კოლონიად, რომელიც სუსტად იყო დაკავშირებული მეტროპოლიასთან.

ჰენრიხი თავისი მეფობის ბოლო ხანებში მოუნდა ბრძოლას საფრანგეთის მეფე ფილიპე II ავგუსტუსთან, რომელმაც აუმხედრა მოხუც მეფეს მისი საკუთარი შვილები.

რიჩარდი I. ჰენრიხ II სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი რიჩარდი. რიჩარდ ლომ-გულის სახელი უფრო ეკუთვნის ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიას, ვიდრე ინგლისისას. ინგლისისათვის იგი იყო უცხო ადამიანი. თავის გამეფებამდის იგი ინგლისში მხოლოდ ორჯერ იყო ნამყოფი. მაგრამ ინგლისის მეფედ გახდომის შემდეგაც, მან მთელი მეფობა გაატარა ან აღმოსავლეთში, ან საფრანგეთში თავის სამფლობელოებში. ინგლისი მისთვის წარმოადგენდა, უმთავრესად, შემოსავლის წყაროს. ჯერ კიდევ ჰენრიხ II მეფობის ბოლო წლებში ინგლისში შემოღებულ იქნა ეგრეთწოდებული „სალადინის მეათედი“—გადასახადი მოძრავ ქონებაზე ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. მეფედ გახდომის შემდეგ, რიჩარდი ყოველგვარ ზომებს ხმარობდა ფულის მოსაპოებლად თავისი წამოწყებებისათვის. გადასახადების ზრდა და განსაკუთრებით მათი უსამართლოდ განაწილება იწვევდნენ უკმაყოფილებას ხალხში. 1196 წ. ლონდონში ხალხი პროტესტს გამოსთქვამდა გადასახადების წინააღმდეგ. უკმაყოფილოთ სათავეში ედგათ ვილიამ ფიც-ოსბერტი, ანუ ვილიამ წვერიანი. იგი გამოდიოდა საბრალდებლო სიტყვებით მდიდართა წინააღმდეგ და მოუწოდებდა ხალხს გაბედულ მოქმედებებისაკენ. იუსტიციარის ბრძანებით იგი მოკლულ იქნა 1199 წ. რიჩარდი მოკვდა ჭრილობისაგან, რომელიც მან მიიღო საფრანგეთში ერთ-ერთი ციხე-კოშკის გარემოცვის დროს. მეფედ გახდა მისი ძმა იოანე უმიწაწყლო.

ლიტერატურა

I. მარქსისეული ქრონიკებები. Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 154—161, 170—179).

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. II, ч. I, 1938, стр. 59—70. — Памятники истории Англии XI — XIII веков, сб. материалов под ред. Петрушевского, 1936.

III. გამოყენებული ლიტერატურა. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. II. 1897, стр. 515—577. — Грин, История английского народа, т. I, М. 1891. — Пти-Дютайи, Феодальная монархия в Англии и Франции X — XIII веков, 1938. — Тьерри О., Завоевание Англии норманнами, т. I—III, 1901. — Виноградов Средневековое поместье в Англии, Спб. 1911. — Петрушевский, Очерки из истории английского государства и общества в средние века, разн. изд. — Кеннингом. Рост английской промышленности и торговли, 1904. — Общественная жизнь Англии, под ред. Трайля, т. 1, 1897. — Книга для чтения по истории средних веков, под ред Виноградова, разн. изд. т. III, ст. 50.

თავი XXII

თავისუფლებათა დიდი ქარტია და პარლამენტის დასაწყისი

იოანე უმიწაწყლო. პლანტაგენეტთა დანაკარგები საფრანგეთში. კონტინენტალური სამფლობელოები ყოველთვის უჩენდნენ პლანტაგენეტებს ბევრ საზრუნავს და წარმოადგენდნენ უფრო მეტად მათი სისუსტის, ვიდრე ძლიერების წყაროს. ამ სამფლობელოებში მცხოვრები ფეოდალები საკმაოდ არ ემორჩილებოდნენ თავიანთ ინგლისელ სიუზერენს, კონტინენტალური სახელმწიფოს ცალკეულ ნაწილებს შორის არ არსებობდა კავშირი. მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა იოანე უმიწაწყლოს დროს.

იოანე უმიწაწყლოში (1199 — 1216 წწ.) ამპარტავან და ვერაგ ტირანის თვისებებს უერთდებოდა ზნეობრივი უწონასწორობა. უზომო პატივმოყვარეობას მიჰყავდა იგი თავხედურ საქციელამდის, მაგრამ მას არ შეეძლო არაფრის მიყვანა ბოლომდის. მარცხის დროს იგი სწრაფად ეცემოდა სულიერად. ერთ რამეში ჰქონდა მას უდაო ნიჭი — ეს იყო უნარი ადამიანთა შეურაცხყოფისა და თავისთვის მტრების შეძენისა. სწორედ ამ უნიჭო და პოპულარობას მოკლებულ მეფეს მოუხდა შეტაკება ისეთ მოპირდაპირეებთან, როგორიც იყვნენ ფილიპე II ავგუსტუსი და ინოკენტი III. გაუთავებელმა გადასახადებმა, რომლის აკრეფაც ამასთანავე ერთად ყოველგვარი შევიწროვებებით და შეურაცხყოფებით წარმოებდა, და მარცხიანმა პოლიტიკამ საფრანგეთში, შეაძულეს იოანე მის ქვეშევრდომებს ლამანშის ორივე მხარეს. საფრანგეთის მეფე ფილიპე II ავგუსტუსმა ოსტატურად გამოიყენა იოანეს შეტაკებები მის ფრანგ ბარონებთან. როგორც ინგლისის მეფის სიუზერენმა (იმ სამფლობელოების მხრივ, რომელიც საფრანგეთში ჰქონდა), მან გამოაცხადა იოანეს ყველა სამფლობელოები საფრანგეთში კონფისკაციაქმნილად და შეიჭრა ნორმანდიაში. იოანეთი უკმაყოფილო ნორმანდიელმა ბარონებმა თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს ფილიპეს. 1204 წ. არა მარტო ნორმანდია, არამედ მენიც, ანჟუც, ტურენიც და პუატუს ნაწილიც მოექცნენ საფრანგეთის მეფის ხელში.

ამ მარცხებს, რასაკვირველია, არ აუმაღლებიათ იოანეს ავტორიტეტი ინგლისში. უაღრესი უკმაყოფილება გამოიწვიეს ახალმა მძიმე გადასახადებმა. ყველაფერ ამას დაემატა შეტაკება ეკლესიასთან. პაპი ინოკენტი III ჩაერია კენტერბერის არქიეპისკოპოსის არჩევნებში, განასაჩივრა მეფის კანდიტატის არჩევა და დანიშნა არქიეპისკოპოსად სტეფანე ლენგტონი. ეს იყო ინგლისის

ეკლესიაში შექმნილი წესების დარღვევა. იოანემ გამოაცხადა მკაცრი პროტესტი, ამის საპასუხოდ პაპმა ინოკენტი III დაადო ინგლისს ინტერდიქტი (1208 წ.). იოანე პოპულარობას იმდენად მოკლებული იყო, რომ პაპის გადაწყვეტილებას არ გამოუწვევია არავითარი პროტესტი ინგლისში. ინგლისის სამღვდელოების უმრავლესობამ კანონიერად სცნო ინტერდიქტი. მაშინ იოანემ კონფისკაცია უყო მთელ იმ სამღვდელოების ქონებას, რომელმაც სცნო ინტერდიქტი. ამის საპასუხოდ პაპმა განკვეთა იოანე ეკლესიისაგან. იოანეთი უკმაყოფილო ბარონები, რომელნიც მან გააბეზრა დიდი გადასახადებით და ჯარიმებით, აშკარად გამოსთქვამდნენ თავიანთ აღშფოთებას. 1212 წ. პაპმა გამოაცხადა იოანე ტახტიდან გადაყენებულად და გადასცა უფლებები ინგლისის სამეფო გვირგვინზე ფილიპე II. ბარონებმა და სამღვდელოებამ მხარი დაუჭირეს პაპის გეგმას. ფილიპემ დაიწყო ჯარების შეკრება, რათა სისრულეში მოეყვანა პაპის გადაწყვეტილება. მაშინ იოანემ მკვეთრად შეცვალა თავისი პოლიტიკა, მან გადაწყვიტა კაპიტულაცია პაპის წინაშე, რათა გახსნოდა ხელები დანარჩენ მტრებთან საბრძოლველად. მან პირობა დადო, რომ სცნობდა ლენგტონს არქიეპისკოპოსად და დაუბრუნებდა ეკლესიას ყველა წართმეულ სამფლობელოებს და ქონებას. იოანე დაეცა მუხლებზე პაპის ლეგატის წინაშე, სცნო თავი პაპის ვასალად და დადო მის მიმართ ფეოდალური ფიცი. ნიშნად თავისი სამეფოს ვასალური დამოკიდებულებისა, მან პირობა დადო ეძლია პაპისათვის ყოველწლიურად ათასი გირვანქა სტერლინგი. უზრუნველჰყო რა თავისთვის ამ გზით პაპის მხარის დაჭერა, იოანე დაჩქარდა დაეწყო სამხედრო მოქმედებანი ფილიპე II წინააღმდეგ, რათა უკან დაებრუნებინა საფრანგეთში დაკარგული მიწები. მაგრამ ბევრმა ბარონთაგანმა უარი გამოაცხადა მის გაყოლაზე. იოანემ შეკრა კავშირი გერმანიის იმპერატორ ოტონ IV და ფლანდრიის გრაფთან, მაგრამ ფრანგებმა დაამარცხეს ჯერ ინგლისელები და შემდეგ გერმანელების და ფლანდრიელების გაერთიანებული ძალები (1214 წ.). დამარცხების შემდეგ, რომელმაც საბოლოოდ შემოუმტკიცა საფრანგეთის მეფეს მის დანაპყრობი, იოანე დაბრუნდა ინგლისში, იგი ემზადებოდა გასწორებოდა ურჩ ბარონებს. მან მოიყვანა თან უცხოელთაგან შედგენილი დაქირავებული ჯარები. პაპი, რომელიც ახლა შეიქმნა მეფის სიუზერენი და მფარველი, ემუქრებოდა ბარონებს განკვეთით. მაგრამ ახლა ბარონებს მიემხრნენ მოსახლეობის ის ჯგუფებიც ,რომელნიც აქამდის მუდამ მხარს უჭერდნენ მეფეს, — სამღვდელოება, რაინდობა, ქალაქები. ბარონებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედებანი მეფის წინააღმდეგ, და მათი ჯარი, რომელთაც მათ უწოდეს „ღვთისა და წმინდა ეკლესიის ლაშქარი", სწრაფად იზრდებოდა. ლონდონი შეუერთდა მეამბოხეებს და გაუღო ჭიშკარი ბარონებს. იოანემ სცნო წინააღმდეგობის სრული შეუძლებლობა და დათანხმდა ბარონების მიერ წამოყენებულ ყველა მოთხოვნილებებზე. 1215 წლის ივნისის 15-ს, მან ხელი მოაწერა სახელგანთქმულ დოკუმენტს, რომელმაც მიიღო სახელწოდება თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა დ ი დ ი ქ ა რ ტ ი ი ს ა (Magna Charta Libertatum).

თავისუფლებათა დიდი ქარტია. ამ დოკუმენტში მეფე სდებდა მტკიცე პირობას, რომ, პირველ ყოვლისა, არ დაერღვია ინგლისის ეკლესიის უფ-

ლებები და კერძოდ საეკლესიო არჩევნების თავისუფლება; მეორეც ის, რომ არ გამოერთმია ბარონებისათვის იმაზე მეტი გადასახადები, რაც შემოღებული იყო ადათით. იმ პირებს, რომელთაც დაევალებოდათ ფეოდის არასრულწლოვანი მემკვიდრეების მეურვეობა, უნდა აეღოთ ამ ფეოდებიდან ზომიერი შემოსავალი და არ უნდა გაეჩანაგებინათ ისინი. ფეოდის მემკვიდრე ასულთა გათხოვება არ შეიძლებოდა მათი ან მათი მახლობელ ნათესავების სურვილის წინააღმდეგ.

ყველა ეს დადგენილებები მიზნად ისახავდნენ ბარონების დაცვას მეფის, როგორც უზენაესი ფეოდალური სენიორის მიერ, უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან. მე-12 პარაგრაფი ადგენს, რომ ფეოდალური „დახმარება" („auxilium") შეიძლება მოეთხოვოს მეფის ვასალებს მხოლოდ სამ შემთხვევაში: მეფის ტყვეობიდან გამოსასყიდად, მეფის უფროსი ვაჟის რაინდად კურთხევის და მისი უფროსი ასულის გათხოვების დროს. ყოველგვარი სხვა auxilium-ი და აგრეთვე საფარო გადასახადი ((scutagium) შეიძლება აკრეფილ იქნას მხოლოდ „სამეფოს საერთო საბჭოს" ნებართვით. მე-14 პარაგრაფი მარტავს ამ სამეფოს საერთო საბჭოს შემადგენლობას. მაში უნდა შესულიყვნენ ყველა უშუალო ვასალები მეფისა, სასულიერო და საერო, როგორც ბარონები, ისევე რაინდებიც. თავისუფლებათა დიდი ქარტიის მთელი რიგი პუნქტებისა ზღუდავდა მეფის სამოსამართლო უფლებებს. მეფემ პირობა დადო არ გაეჩანაგებინა ხალხი სამოსამართლო ჯარიმებით. გრაფების და ბარონების გასამართლება შეეძლოთ მხოლოდ წოდებრივად, მათ თანატოლ ხალხს (პერები, pares). მეფემ აღუთქვა არავინ არ ჩაესვა სატუსაღოში, არავისთვის არ წაერთმია ქონება, არავინ არ გამოეცხადებინა კანონს გარეშე და არ გადაესახლებინა სახელმწიფოდან სხვაფრივ თუ არ პერების კანონიერი განაჩენით, სახელმწიფოს კანონების თანახმად (პარაგრაფი 39). ამ პარაგრაფით ბარონებს და რაინდებს სურდათ თავის დაცვა მეფის შურისძიებისაგან. მთელი რიგი პუნქტებისა მიმართული იყო მეფის მოხელეთა ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ.

ცალკე იყო უზრუნველყოფილი უფლებები მოსახლეობის იმ ჯგუფებისა, რომელნიც გამოვიდნენ ბარონების მოკავშირედ მათს ბრძოლაში მეფესთან. მე-16 პარაგრაფი ჰკრძალავდა რაინდული ფეოდისაგან დაწესებულზე მეტ სამსახურის მოთხოვნას. მე-15 პარაგრაფი ნებას რთავდა ბარონებს გამოერთმიათ „დახმარება" თავიანთი რაინდებისათვის და მიწის თავისუფალი მპყრობელთათვის მხოლოდ იმისთანავე შემთხვევებში, როგორშიც მეფესაც შეეძლო მოეთხოვა დახმარება თავისი ვასალებისაგან: მთელი რიგი დაპირებებისა მიეცა ლონდონს და სხვა ქალაქებს. პარაგრაფი 41 ნებას რთავდა უცხოელ ვაჭრებს ინგლისში თავისუფალი შესვლისას და ყოფნისას. ამაში დაინტერესებულნი იყვნენ, როგორც ლონდონელი ვაჭრები, რომელნიც წარმოადგენდნენ მთავარ შუამავლებს უცხოელებთან ვაჭრობაში, ისევე ბარონებიც. რაინდები და ეკლესიაც, როგორც მატყლის, ამ უმთავრესი საექსპორტო საქონლის მწარმოებელნი. პარაგრაფი 35 აწესებდა ინგლისში საერთო ზომა-წონის ერთეულებს. მეფემ პირობა დადო მკაცრად სატყეო კანონების შერბილ-

ლებისა და იმ შეკრულ ტყეებში ნადირობის ნებადართვისა, რომლებშიაც ნადირობა აიკრძალა მის მეფობაში. დაბოლოს, მან აღუთქვა უცხოელთ დაქირავებული ჯარისკაცთა გაყვანა ინგლისიდან. იმ მიზნით, რომ იძულებელეყოთ მეფე შეესრულებინა მის მიერ თავისუფლებათა დიდ ქარტიაში ,მოცემული ყველა დაპირებანი, არჩეულ იქნა 25 ბარონი, მათ შორის ლონდონის მერი. მეფის მიერ თავისუფლებათა დიდი ქარტიის რომელიმე მუხლის დარღვევის შემთხვევაში 25 ბარონს უნდა მიეთითებინა მისთვის ამაზე. იმ შემთხვევაში, თუ მეფე არ გამოასწორებდა მის მიერ დაშვებულ დარღვევას, მათ უნდა დაეწყოთ მის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებანი, ხელთ ეგდოთ მისი მიწები და ციხე-კოშკები.

ასეთი იყო თავისუფლებათა დიდი ქარტიის შინაარსი. იგი იცავდა უმთავრესად მსხვილი ფეოდალების ინტერესებს გაძლიერებული სამეფო ხელისუფლებისაგან. განსაზღვრული გარანტიები მიეცათ საშუალო შეძლების და წვრილ ფეოდალებს. რაინდები, სამეფოს ტახტის უშუალო ვასალები დაშვებულ იქნენ სამეფოს საერთო საბჭოში და მიიღეს ხმა საგადასახადო დაბეგვრის საკითხების გადაწყვეტის დროს. ბარონთა ვასალმა რაინდებმა მიიღეს გარანტია, რომ მათ არ მოეთხოვებოდათ იმაზე მეტი სამსახური და ვალდებულებანი, რასაც ისინი ასრულებდნენ ადათით. იგივე ითქმის თავისუფალ გლეხებზედაც. მათ მიეცათ პირობა, რომ მათ აღარ დაჩაგრავდნენ აუტანელი გადასახადებით, არ გაანაგებდნენ ჯარიმებით. მაგრამ მათ შესახებ ყველაფერი ნათქვამი იყო ყრუდ. XIII საუკ. დამდეგისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილ და გაძლიერებულ ქალაქებს პირობა მიეცათ, რომ ყველა ის „თავისუფლებანი", რომელნიც ნაბოძები ჰქონდათ მათ მეფისაგან მტკიცედ იქნებოდა დაცული, მიღებულ იქნა ზომები სავაჭრო ურთიერთობათა გასაადვილებლად ქვეყნის შიგნით და გარეშე ბაზართან. მოსახლეობის ყველა ეს ჯგუფები დაინტერესებული იყვნენ, რომ მათი ინტერესები დაეცვა ძლიერ სახელმწიფო ხელისუფლებას, მაგრამ ისინი არა ნაკლებ იყვნენ დაინტერესებულნი იმაშიაც, რომ ამ ძლიერ ხელისუფლებას არ შეეფერხებინა მათი სამეურნეო საქმიანობა და დაგროვება ახალი და მოულოდნელი გადასახადებ რეკვიზიციებით და მეფის მოხელეების მიერ კანონს გარეშე დაბეგვრით. საერთოდ თავისუფლებათა დიდი ქარტია წარმოადგენს წმინდა ფეოდალურ დოკუმენტს. მას უნდა შეექმნა თავისებური ფეოდალური კონსტიტუცია, უნდა შემოეღო შეზღუდული მონარქია. ეს მიზანი მის მიერ განხორიციელებულ იქნა ცუდად, ან და უფრო სწორედ რომ ითქვას, სრულიად ვერ იქნა განხორციელებული. სამეფოს საერთო საბჭო წარმოადგენდა მეტად დიდ და მოუხერხებელ დაწესებულებას და ფაქტიურად არას დროს არც შეკრებილა. მისი კომპეტენცია, რომელზედაც მითითებული იყო ქარტიაში, უაღრესად შეზღუდულ იქნა. ის პარაგრაფები, რომელნიც შეეხებოდნენ სამეფოს საერთო საბჭოს, საერთოდ მალე ამოგდებულ იქნენ თავისუფლებათა დიდი ქარტიიდან. კიდევ უფრო ნაკლებ მოსახერხებელი იყო თავისუფლებათა დიდი ქარტიის შესრულების გარანტია მეფის წინააღმდეგ ფეოდალური ომის დაკანონების საშუალებით. საჭირო შეიქნა ჯერ კიდევ ხანგრძლივი და რთული გზის განვლა, სანამ ინგლისში გამოიკვეთებოდა ცოტად თუ ხელრად მყარი ფეოდალური კონსტიტუცია.

მართალია, იოანემ თანხმობა განაცხადა თავისუფლებათა დიდ ქარტიაზე, მაგრამ იგი სრულიადაც არ აპირებდა მის შესრულებას. იგი ელოდა მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს, რათა განეახლებინა ომი ბარონებთან. მას არც უფიქრია ინგლისიდან დაქირავებული ჯარების გაყვანა, და პირიქით, გაგზავნა ხალხი ახალი ძალების მოსაკრებად. პაპმა ბარონები გამოაცხადა მეამბოხეებად და გაანთავისუფლა იოანე თავისუფლებათა დიდი ქარტიის შესრულების მოვალეობისაგან. ომი განახლდა. პაპმა ხელახლა დაადო ინგლისს ინტერდიქტი— მხოლოდ ამ შემთხვევაში უკვე თავისი ვასალი იოანეს დასახმარებლად, მაგრამ ახლა ამას აღარავინ არ მიაქცია ყურადღება. ომში ჩაერია ფილიპე II შვილი ლუი, რომელმაც წამოაყენა თავისი უფლებები ინგლისის ტახტზე. გაჩაღებულ სამხედრო მოქმედებების დროს იოანე მოკვდა (1216 წ.).

ჰენრიხ III. მცირეწლოვანი მეფის ჰენრიხ III (1216 — 1272 წწ.) მეურვეებმა ბარონებთან ერთად გაიალაშქრეს ფრანგი პრეტენდენტის წინააღმდეგ, რომელიც იძულებული შეიქნა ღაბრუნებულიყო საფრანგეთში და ხელი აეღო პრეტენზიებზე. 1227 წ. ჰენრიხი შეიქნა სრულწლოვანი და თავი დააღწია მეურვეობას. მაგრამ მაინც იგი მუდამ იმყოფებოდა ვისიმე გავლენის ქვეშ. უნებისყოფობა და მერყეობა წარმოადგენდა განმასხვავებელ თვისებებს ამ უჭკუო და ზარმაცი მეფისას. ქარაფშუტული ამპარტავნობიდან იგი უმაღ ვარდებოდა დაბნეულობაში. იგი ადვილად იძლეოდა დაპირებებს და იშვიათად ასრულებდა მათ. მის კარზე იკვებებოდა მრავალი მისი ფრანგი ნათესავი. 1236 წ. მან იქორწინა ალიენორაზე, პროვანსის გრაფის ასულზე. უკანასკნელს მოჰყვა ინგლისში მრავალი პროვანსალელი. მათ შეუერთდნენ კიდევ პუატუელები, სამეფო სახლის ნათესავები. ჰენრიხი ხელგაშლილად ურიგებდა მათ მიწებს და თანამდებობებს. მან გამოიწვია ამით აღშფოთება ინგლისელ ბარონებისა, რომელნიც სიძულვილით შეჰყურებდნენ მეტიჩარა უცხოელებს.

ჰენრიხს ჰყავდა მფარველი, რომელიც იწვევდა ინგლისში არანაკლებ აღშფოთებას,— პაპი. პაპის მფარველობა ძალიან ძვირად უჯდებოდა ინგლისს. პაპის ლეგატები ჰკრეფდნენ აუარებელ ფულს ინგლისის სამღვდელეობისაგან (ამის ნაწილი უვარდება ხელში მეფეს). ეს ფული იხარჯებოდა პაპების ჰოენშტაუფენებთან ბრძოლაზე, რომელთანაც ინგლისს არაფერი ჰქონდა საერთო. ჰენრიხი ურიგებდა ყველაზე შემოსავლიან საეკლესიო ბენეფიციუმებს პაპისათვის სასურველ პირებს.

ბარონების, რაინდებისა და ქალაქების ავჯანყება. პაპმა ინოკენტი IV ჩაითრია ჰენრიხ III იტალიაში წარმოებულ აქტიურ ბრძოლაში, მან შესთავაზა მის შვილს ედმუნდს სიცილიის სამეფო გვირგვინი და ამ საბაბით გაუთავებლად ჰქაჩავდა ფულს ინგლისს 1258 წ. გაზაფხულზე, მიუხედავად გასული წლის ცუდი მოსავლისა და შიმშილიანობისა, მეფემ მოთხოვა ბარონებს მთელი სახელმწიფოს შემოსავლის მესამედი. ამან გამოიწვია დაგროვილი უკმაყოფილების აღმოხეთქვა. ბარონები გამოცხადნენ ვესტმინსტერში კრებაზე შეიარაღებულნი, მოითხოვეს მეფისაგან ყველა უცხოელის გაძევება და 24 კაცისაგან შემდგარი საგანგებო კომისიის შექმნა საყოველთაო პოლიტიკური რეფორმის ჩასატარებლად. მეფემ, რომელმაც იგრძნო თავი ბარონების ტყვედ

ძალულებული იყო დაეთმო. იმავ წელს ოქსფორდში შეიკრიბა დიდი საბჭო, რომელმაც შემდეგ „ოფიციალის“ სახელწოდება მიიღო. აქ შეიკრიბნენ არა მარტო სასულიერო და საერო ბარონები, არამედ აგრეთვე მრავალი რაინდი. „24-ის კომისიამ“ წარმოადგინა ახალი კონსტიტუციის პროექტი, ეგრეთწოდებული „ოქსფორდული პროვიზიები“, რომელთაც დაამყარეს ინგლისში ბარონთა ოლიგარქია. მთელი ხელისუფლება გადაეცა 15 ბარონის კოლეგიას, რომლის ნებადურთველად მეფეს არ შეეძლო რაიმე გადაწყვეტილების მიღება. „24-ის კომისიამ“ დანიშნა ბარონთა პარტიის მომხრენი ყველა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო თანამდებობებზე. სრულიად მოსპობილ იქნა დიდი საბჭო და, მის ნაცვლად, შემოღებულ იქნა მცირე საბჭო 12 პირისაგან შემდგარი, რომელთაც ირჩევდნენ ბარონები. ეს საბჭო უნდა შეკრებილიყო წელიწადში სამჯერ და ეთათბირა სახელმწიფო საქმეებზე „15-ის კოლეგიასთან“ ერთად.

ახალი მთავრობის პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა ყველა უცხოელი ფეოდალის გაძევება ინგლისიდან. ეს იყო პოპულარული ღონისძიება. მაგრამ შემდეგ მთელ ინგლისს საშუალება მიეცა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ბარონული ოლიგარქია ზრუნავდა მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე. დაიწყო რაინდების დრტვინვა. რაინდები გამოვიდნენ ბარონების წინააღმდეგ ბრალდებით, რომ მათ „არაფერი არ გაუკეთებიათ სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ, როგორც პირდებოდნენ, არამედ მხოლოდ თავიანთ სასარგებლოდ“. ბარონთა პარტიაში არა სუფევდა ერთსულოვნობა. მისი ერთი ნაწილი, გლოსტერის გრაფის ხელმძღვანელობით, მხარს უჭერდა წმინდა ოლიგარქიულ პროგრამას; მეორე ნაწილი, რომელსაც სათავეში ედგა სიმონ მონფორი, გრაფი ლეისტერისა, ფიქრობდა, რომ მხოლოდ რაინდობასთან და ქალაქებთან კავშირის დამყარების საშუალებით შეძლებენ ბარონები გამარჯვებას მეფეზე. ჰენრიხი შეეცადა გამოეყენებინა მტრებს შორის არსებული უთანხმოებანი, თავისი ძალაუფლების აღსადგენად. 1263 წ. დაიწყო აშკარა ომი მეფესა და ბარონებს შორის. გლოსტერის გრაფის სიკვდილის შემდეგ ბარონთა პარტიის ყველას მიერ ცნობილ ბელადად შეიქნა სიმონ მონფორი, რომელიც შეეცადა მიემხრო ბარონთა პარტიისათვის რაინდები და მოქალაქენი. 1264 წ. მაისის 14-ს მონფორმა დაამარცხა მეფის ჯარები ლუისთან. მან ტყვედ ჩაიგდო ჰენრიხი და მისი უფროსი ვაჟი ედუარდი. მონფორი იქცა ინგლისის ფაქტიურ დიქტატორად.

პარლამენტის დასაწყისი. 1265 წ. სიმონ მონფორმა შეკრიბა საბჭო, რომელზედაც მიიწვია თავისი მომხრე ბარონები, ეპისკოპოსები და აბატები და აგრეთვე ორ-ორი რაინდი ყოველი საგრაფოდან და ორ-ორი მოქალაქე მთელ რიგ ქალაქებიდან. ინგლისის პარლამენტის, როგორც წარმომადგენლობითი დაწესებულების, ისტორიას ჩვეულებრივ იწყებენ ამ მოწვევიდან. მაგრამ მონფორის პოლიტიკამ გამოიწვია უკმაყოფილება ბარონთა ოლიგარქიის მომხრეთა შორის. ეს უკმაყოფილება გაიზარდა განსაკუთრებით იმიტომ, რომ მეფის საწინააღმდეგო აჯანყებამ იწყო სწრაფი ზრდა, იგი მოედო არა მარტო რაინდებს და მოქალაქეებს, არამედ გლეხობის ფართო მასებსაც. გლეხებმა დაიწყეს მეფის მომხრეთა მამულების აკლება და მათი ქონების დატაცება.

შეიქმნა საშიშროება ამ მოძრაობის ფეოდალთა საწინააღმდეგო საყოველთაო აჯანყებად ქცევისა. ყველაფერმა ამან აიძულა ბევრი ბარონი წასულიყო მეფესთან შეთანხმებაზე. ჰენრიხ III შვილმა პრინცმა ედუარდმა მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა. ბარონებმა იწყეს სიმონ მონფორის მიტოვება და ედუარდის მხარეზე გადასვლა. ივზემთან მონფორმა განიცადა დამარცხება და მოკლულ იქნა.

მაგრამ ჰენრიხი იძულებული შეიქნა წასულიყო კომპრომისზე ბარონებთან, რაინდებთან და ქალაქებთან. ეს კომპრომისი უეჭველია გამოწვეული იყო მონფორის დროს დაწყებული გლეხთა მოძრაობის შიშით.

კომპრომისის უმნიშვნელოვანეს შედეგთაგანს წარმოადგენდა პარლამენტის შემადგენლობის დაკანონება. მასში, ისევე როგორც 1265 წლის სიმონ მონფორის პარლამენტში, იწყეს მიწვევა რაინდობის და ქალაქების წარმომადგენლებისა. მეფე ახლა რეგულარულად მიმართავს პარლამენტს, რომლის კომპეტენცია სულ უფრო და უფრო გარკვეული ხდება და ფართოვდება. პარლამენტის განვითარება ხდება უკვე შემდეგ მეფის ედუარდ I მეფობის ხანაში (1272 — 1309 წწ.).

ცვლილებანი გლეხობის მდგომარეობაში. XIII საუკუნეში სწრაფად მატულობს ლორდების მიერ სათემო მიწების დატაცება. ჯერ კიდევ 1235 წ. გლეხობის წინააღმდეგობამ ამ დატაცების მიმართ, აიძულა ჰენრიხ III მთავრობა გამოეცა „დადგენილება — მერტონის სტატუტი, — რომელიც ნებას რთავდა ლორდებს ბეითალმანი სათემო მიწების შემოლობვისას იმ პირობით, თუ თავისუფალ გლეხებს ამის შემდეგ დარჩებოდათ საკმაო რაოდენობის სათემო მიწა. ყმა გლეხები სულაც არ იყვნენ ნახსენებნი. შემოლობვები იწვევდნენ გლეხობის მხრივ გააფთრებულ წინააღმდეგობას.

ფულადი რენტის სწრაფ ზრდას XIII საუკ. არ გაუუმჯობესებია ყმაგლეხობის მდგომარეობა. მან შეუწყო ხელი მხოლოდ მათ ქონებრივ დანაწილებას, მცირერიცხოვანი შეძლებული ფენის გამოყოფას და მრავალრიცხოვანი მცირე მიწის მფლობელი გლეხობის შექმნას, რომელიც ახლა განიცდიდა ექსპლოატაციას არა მარტო როგორც ყმა გლეხობა, არამედ, როგორც მოჯამაგირენიც. ფულადი რენტის განვითარების გვერდით შესამჩნევია საბატონო ბეგარის შენარჩუნება და გაძლიერებაც კი საეკლესიო მიწებში და ზოგიერთი მსხვილი სენიორების მამულებში. გლეხობის სათემო ორგანიზაციას, სამამულო ყრილობას და სამამულო ადათ-ჩვეულებას, შეეძლო მხოლოდ ძალიან მცირეოდენი წინააღმდეგობა გაეწია ყმა გლეხობის მასების მდგომარეობის გაუარესებისათვის. საქალაქო ხელოსნობის ზრდასთან ერთად და ქალაქის სოფლისაგან გამოყოფის სულ უფრო და უფრო მზარდ პროცესთან ერთად იზრდება შინა ბაზარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის. „საშინელი სამსჯავროს წიგნის“ ეპოქაში ინგლისში დაითვლებოდა 80-მდე ქალაქი. ედუარდ I კი იწვევდა პარლამენტში წარმომადგენლებს უკვე 165 ქალაქიდან.

საეკლესიო მიწათმფლობელობის ზრდასთან ბრძოლა. სამეფო ხელისუფლება არამც თუ არ გამოდიოდა ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ,

არამედ, პირიქით, იცავდა მას და მფარველობდა სენიორთა უფლებებს. მაგრამ ამავე დროს ედუარდი ცდილობდა მსხვილი ფეოდალების, და პირველ რიგში სასულიერეროთა, ეკონომიური და პოლიტიკური გავლენის ზრდის შეფერხებას. ამ მხრივ მის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენდა სტატუტი „საეკლესიო პირთა", ანუ „მკვდარი ხელის" შესახებ (1279 წ.). ამ სტატუტს უნდა ბოლო მოეღო საეკლესიო მიწათმფლობელობის ზრდისათვის. XII — XIII საუკუნეები წარმოადგენდნენ საეკლესიო მიწათმფლობელობის უდიდესი ზრდის ეპოქას. იზრდებიან და მრავლდებიან ძველი ბენედიქტინური მონასტრების სამფლობელოები. ამას გარდა, ინგლისში ჩნდებიან მრავალი ახალი მონაზონური ორდენები, რომელნიც იძენენ ახალ-ახალ მიწებს. უშველებელი სამფლობელოები შეიძინეს ტამპლიერებისა და ჰოსპიტალიერების სასულიერო — რაინდულმა ორდენებმა. ჰენრიხ III მეფობაში ინგლისში ჩნდებიან მათხოვრული ორდენები, დომინიკანები და ფრანცისკანები. ეკლესია არ თაკილობდა არავითარ ზომებს თავისი მიწების და შემოსავლის გასაზრდელად. ყალბი სიგელების შედგენა, შეძლებული ხალხის (განსაკუთრებით ქალების) დაშინება ჯოჯოხეთის წამებით, ყალბი სასწაულები, მევახშეობა — აი ის ჩვეულებრივი გზები, რომლებსაც მიმართავდა ხოლმე სამღვდელობა და განსაკუთრებით მონაზვნები. მათ მიერ, შეძენილი მიწები იქცეოდენ „მკვდარ ხელად", არ შეიძლებოდა მათი განსხვისება, და ისინი საუდამოდ რჩებოდნენ მისი შემძენი საეკლესიო დაწესებულების ხელში. ამას გარდა, ისინი ჩვეულებრივ თავისუფალი იყვნენ ყოველგვარი ვალდებულებებისაგან. სტატუტი „მკვდარი ხელის" შესახებ უკრძალავდა ყველა საეკლესიო დაწესებულებებს ამიერიდან მიწის სამფლობელოების შეძენას მეფის საგანგებო ნებართვის გარეშე. ამით ედუარდი აფერხებდა ეკლესიის სიმდიდრის და გავლენის ზრდას და ამავე დროს ხელს უწყობდა სამეფო შემოსავლის ზრდას.

ვაჭრობისა და მევახშეობის განვითარება. მეფისათვის დიდი შემოსავლის მომცემ ზღვის გადაღმა ქვეყნებთან ვაჭრობის განსავითარებლად, ედუარდ I გამოცა ვაჭართა „ქარტია" (1303 წ.). ეს ქარტია უმტკიცებდა უცხოელ ვაჭრებს ინგლისში თავისუფალი შესვლის, საქონლის შემოტანის და გატანის უფლებას და აწესებდა მათთვის განსაზღვრულ შემოსაზიდ და გასაზიდ ბაჟებს. ეს ბაჟები სჭარბობდნენ სიდიდით იმას, რასაც იხდიდნენ ინგლისელი ვაჭრები. განსაკუთრებული აქტით იყო დაწესებული ვალების გადახდევინების წესი. ეს აქტი დამახასიათებელია საკრედიტო საქმის განვითარებისათვის ინგლისში. ინგლისში მოისწრაფის სავაჭრო კაპიტალი იტალიიდან და სამხრეთ საფრანგეთიდან. ვითარდება ადგილობრივი მევახშეობაც. ყველა ამის ერთ-ერთ შედეგთაგანს წარმოადგენდა ებრაელთა გაძევება ინგლისიდან, რასაც თან სდევდა საშინელი ძალმომრეობა.

ებრაელებს ძარცვავდნენ, ხოცავდნენ, აღრჩობდნენ ზღვაში. იმ 16 ათასი ებრაელისაგან, რომელნიც გაძევებულ იქნენ ინგლისიდან, მხოლოდ მცირეოდენთ შესძლეს საფრანგეთის სანაპირომდის მიეღწიათ.

ედუარდ I დაპყრობანი. ედუარდი აწარმოებდა დაპყრობითი პოლიტიკას, მიმართულს, პირველ ყოვლისა, უახლესი მეზობლების — უელსისა და

შოტლანდიის—წინააღმდეგ. უელსელი მთიელი ტომები წარმატებით უწევდნენ წინააღმდეგობას ანგლო-საქსების და ნორმანდიელების მიერ დაპყრობებს. 1282 წ. ედუარდი დიდი ჯარით დაიძრა უელსის დასაპყრობად. მძიმე და სახიფათო კამპანიის შედეგად უელსელების ბელადი ლეველინი მოკლულ იქნა, დანარჩენი უელსელი მთავრები იძულებული იქნენ დამორჩილებოდნენ ინგლისელებს. ინგლისელების საწინააღმდეგო ომში. მონაწილე „მეამბოხეთა“ ბიწეების კონფისკაცია მოახდინეს, უელსში დაასახლეს ინგლისელი ბარონები და აგეს ციხე-სიმაგრეები. უელსის დაპყრობის შემდეგ ინგლისის ტახტის მემკვიდრემ მიიღო ტიტული „უელსის პრინცისა“.

ედუარდმა ისარგებლა შოტლანდიის მეფის ალექსანდრე III სიკვდილით (1285 წ.), — რომელსაც არ დაუტოვებია ტახტის მემკვიდრე, — და იმ ბრძოლით, რომელიც დაიწყო ტახტისათვის არისტოკრატიულ გვარებს შორის და დაიმორჩილა შოტლანდია. ბევრმა შოტლანდიელმა ფეოდალმა მხარი დაუჭირა ინგლისის მეფის ხელისუფლებას, ვინაიდან ხედავდა მასში დასაყრდენს, შოტლანდიელი გლეხობის საბოლოო დამორჩილებისათვის გამოსადეგს. მაგრამ ინგლისელი მეფის ნაცვალთა და შოტლანდიელი ფეოდალთაგან ჩაგვრის წინააღმდეგ აჯანყდა გლეხობა. გლეხთა აჯანყებას შეუერთდნენ ქალაქები, ეკლესია და რაინდობის ნაწილი. „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ სახელწოდებით ცნობილი აჯანყება დამთავრდა ინგლისელთა დამარცხებით და შოტლანდიის დამოუკიდებლობის აღდგენით (1314 წ.). გამარჯვების ნაყოფი გამოიყენა მხოლოდ შოტლანდიის თავად-აზნაურობამ. ექსპლოატაცია გლეხობისა, რომელმაც თავისი ზურგით ზიდა ამბოხების მთელი სიმძიმის ტვირთი, მხოლოდ გაიზარდა. შოტლანდიელებს ინგლიხის წინააღმდეგ ეხმარებოდა საფრანგეთის მეფე ფილიპე IV.

პარლამენტის შემადგენლობა და მისი უფლებების განმტკიცება. ედუარდ I ომები მოითხოვდნენ დიდ თანხებს და მას ხშირად უხდებოდა პარლამენტისათვის მიმართვა. მაგრამ პარლამენტის მიერ ნებადართული სუბსიდიები არ იყო საკმარისი. მეფე ცდილობდა გამოენახა შემოსავლის ყოველგვარი წყაროები იმ თანხების გარდა, რომელსაც მას აძლევდა პარლამენტი. ყველაზე მეტს გამოელოდა იგი მატყლის ვაჭრებისაგან და მდიდარი სამღვდელოებისაგან. ედუარდმა ზ-ჯერ გაზარდა შემოსაზიდი ბაჟები მატყლზე; ზოგჯერ იგი ახდენდა მატყლის მარაგის პირდაპირ რეკვიზიციას. სამღვდელოებას უნდა ეძლია მეფისათვის უშველებელი გადასახადები. 1297 წ. მეფემ ძლივს დააღწია თავი ბარონებთან შეტაკებას. იგი იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. იგი დათანხმდა გამოეცა სტატუტი „De tallagio non concedendo“ („გადასახადის ნებადაურთველობის შესახებ“). ამ სტატუტში მეფემ პირობა დადო არ შემოეღო სამეფოში ერთავითარი გადასახადები პარლამენტის თანხმობის გარეშე და არ ეწარმოებინა იძულებითი რეკვიზიციები. ამგვარად, XIII საუკ. დამლეგისათვის შემოღებულ იქნა პარლამენტის უმთავრესი უფლება — უფლება გადასახადებზე ნებართვის მიცემისა.

XIV საუკ. ნახევრისათვის პარლამენტი იყოფა ორ პალატად — ზემო, ანუ ლ ო რ დ თ ა პ ა ლ ა ტ ა დ და ქვემო, ანუ თ ე მ თ ა პ ა ლ ა ტ ა დ. ზემო პალა-

ტაში ბჭობდა ფეოდალური საზოგადოების ზედა—ფენა — არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, დიდი მონასტრების აბატები და უმსხვილესი ბარონები. ზედა პალატა წარმოადგენს XI — XII საუკუნეთა დიდი საბჭოს პირდაპირ მემკვიდრეს. ქვედა პალატაში იკრიბებოდნენ რაინდები და მოქალაქენი. რაინდები ირჩეოდნენ საგრაფოების ყრილობებზე (ორ-ორი რაინდი საგრაფოდან) ღია კენჭის ყრით. ინგლისის საგრაფოები გზავნიდნენ პარლამენტში 74 რაინდს. ედუარდ I იწვევდა პარლამენტში ორ-ორ წარმომადგენელს ინგლისის 165 ქალაქიდან. ყოველ ქალაქს ეძლეოდა უფლება თვითონ განესაზღვრა არჩევნების წესი. უმეტეს შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობდა მხოლოდ მცირერიცხოვანი პრივილეგიის მქონე ზედა-ფენა.

საფრანგეთის გენერალური შტატებისაგან განსხვავებით, სადაც სამივე წოდება ცალ-ცალკე იკრიბებოდა და ბჭობდა, ინგლისის პარლამენტში რაინდები იკრიბებოდნენ ბურჟუაზიასთან ერთ პალატაში. ამგვარად, რაინდობის და ბურჟუაზიის შორის ინგლისში არ არსებობდა ისეთივე გადაუვალი უფსკრული, როგორც საფრანგეთში. ამის მიზეზი მდგომარეობს სასაქონლო-ფულად მეურნეობის ადრეულ განვითარებაში ინგლისის სოფლად. ინგლისელი ფეოდალი ეწეოდა ვაჭრობას და არ მიაჩნდა ეს საქმიანობა სათაკილოდ. ინგლისელი ფეოდალები, განსაკუთრებით რაინდები, ექსპლოატაციას უწევდნენ არა მარტო ყმა-გლეხების შრომას, არამედ მოჯამაგირეების დაქირავებულ შრომასაც. ამავე დროს ფრანგი ფეოდალი ცხოვრობდა მხოლოდ და მხოლოდ ფეოდალური რენტით. მის წარმოდგენაში კაცობრიობა იყოფოდა კეთილშობილ — ფეოდალური რენტის მიმღებ ბატონებად, და მის გადამხდელ უბრალო ხალხად. უკანასკნელთა კატეგორიას, მისი აზრით, ეკუთვნოდნენ მოქალაქენიც. ინგლისში არ წარმოებდა ის მძაფრი ბრძოლა ფეოდალთა და მოქალაქეთა შორის, რომელიც მკვეთრად ანცალკევებდა ერთი მეორისაგან წოდებებს კონტინენტზე. თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ ფეოდალური კლასის რიცხვობრივად მცირე ზედა ფენას, ინგლისში ვერ ჩამოყალიბდა საფრანგეთისდაგვარი კარდახშული და მემკვიდრეობითი აზნაურელი კასტა. ყოველ თავისუფალ მიწის მესაკუთრეს, მიუხედავად მისი წარმოშობისა, უფლება ჰქონდა და ვალდებულიც იყო გამხდარიყო რაინდად, თუ მისი წლიური შემოსავალი შეადგენდა 20 გირვანქა სტერლინგს. ამის წყალობით ინგლისის თავადაზნაურობა ივსებოდა სხვა წოდებათაგან გამოსული ხალხით. ამავე დროს გაღატაკებული აზნაური, რომელმაც დაკარგა თავისი მიწის სამფლობელოები, ამის წყალობით რჩებოდა აზნაურთა შემადგენლობის გარეშე. ინგლისის თავად-აზნაურობა ისრუტავდა თავისში ყველაზე ძლიერ ელემენტებს დანარჩენი წოდებებისაგან და აძევებდა თავისი წრიდან ყველა შესუსტებულს. ამით აიხსნება მისი განსაკუთერებული სიცოცხლის უნარიანობა და შემგუებლობა. რაინდები ხშირად ქორწინდებოდნენ ვაჭართა ქალებზე. რაინდთა უმცროსი ვაჟიშვილები ზოგჯერ ირჩევდნენ სავაჭრო ასპარეზს. მკვეთრი ზღვარის და შეურიგებელი მტრობის არ არსებობა რაინდებსა და მოქალაქეთა შორის განასხვავებს ინგლისის პარლამენტს საფრანგეთის გენერალური შტატებისაგან და გვიხსნის მათი ბედ-იღბალის სხვადასხვაობას, პარლამენტის გაცილებით უფრო მეტ პოლიტიკურ როლს და სიცოცხლის უნარიანობას.

XIV საუკ. იზრდება პარლამენტის გავლენა და ფართოვდება მისი კომპეტენცია. პარლამენტმა განიმტკიცა როგორც პირდაპირი, ისევე არაპირდაპირი გადასახადების დამტკიცების უფლება. XIV საუკ. დამლევს პარლამენტმა ხელთ იგდო კონტროლი გადასახადებისგან მიღებული თანხების ხარჯვისა. იზრდება პარლამენტის საკანონმდებლო უფლებაც. სტატუტების (კანონების) გამოცემა მეფის და ზედა პალატის მიერ ზოგჯერ თემთა პალატის პეტიციით წარმოებს. XV საუკუნეში სავალდებულო შეიქნა ორივე პალატის თანხმობა სტატუტის გამოცემაზე.

მომრიგებელი მოსამართლენი. XIV საუკ. განმავლობაში თანდათან ჰქრებიან თავისუფალი ხალხის ფეოდალური კურიები. რჩებიან მხოლოდ ვილანების სამამულო კურიები. ასეულების და საგრაფოების სამოსამართლო კრებებიც კარგავენ ყოველგვარ მნიშვნელობას. ამ დაწესებულებათა ფუნქციები გადავიდა საზოგადო სამართლის სამეფო სასამართლოების, ნაწილობრივ კი მომრიგებელ მოსამართლეების ხელში. მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი ფეხს იკიდეს ინგლისში XIV საუკუნეში. მათ ნიშნავდა მეფე საგრაფოს გავლენიან მიწათმფლობელთა რიცხვიდან. მათ უმთავრეს ფუნქციებს წარმოადგენდა მშვიდობიანობის დაცვა, ამბოხებათა ჩაქრობა და დამნაშავეთა დაპატიმრება, ანუ ადგილობრივ სამოსამართლო — პოლიტიკური დაცვა გაბატონებული კლასის ინტერესებისა.

ასწლიანი ომი. ედუარდ I შვილიშვილის ედუარდ III მეფობაში (1327 — 1377 წწ.) დაიწყო ინგლისსა და საფრანგეთს შორის ხანგრძლივი ომი, რომელმაც მიიღო სახელწოდება ასწლიანისა (1337 — 1453 წწ.). მისგამომწვევ მიზეზებზე უკვე ნათქვამი იყო XIX თავში.

გარდა ფლანდრიის ქალაქებთან შეკრულ კავშირისა, რომელმაც დიდად გააძლიერა ედუარდ III მატერიალური რესურსები, მან შეძლო მიემხრო გერმანიის იმპერატორი და საფრანგეთის მოსაზღვრე რამდენიმე მთავარი რომის საღვთო იმპერიისა. მათი მიმხრობა ედუარდ III იყიდა დიდ ფულად, რომელიც მან ისესხა უმთავრესად იტალიელი ბანკირებისგან, რისთვისაც მას დაჭირდა სამეფო ძვირფასი ნივთების დაგირავებაც კი. თუმცა კი, შემდეგ მან თავი დააღწია ვალების უმრავლესობას სახელმწიფო ბანკროტობის გამოცხადებით. ომი დაიწყო მისთვის წარმატებით. საზღვაო გამარჯვებამ სლეისთან (1340 წ.), ფრანგი რაინდების დამარცხებამ კრესისთან (1346 წ.), კალეს აღებამ (1347 წ.), ჩრდილოეთ ინგლისში შეჭრილი შოტლანდიელების დამარცხებამ, მიანიჭეს დიდი უპირატესობა ინგლისელებს. საფრანგეთიდან მათ გაიტანეს აუარებელი ნაძარცვი დავლა.

ლიტერატურა

I. **მარქსიზმის კლასიკოსები** Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 179—183, 301—308, 312—314, 324—328) и т. II („Архив Маркса и Энгельса", т. VI, стр. 43—49). — Маркс, Капитал, т. III, гл 47.

II. **წყაროები.** Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Скавинка, т. II, ч. I, 1938, стр. 70—88.— Социальная история средневековья, под ред.

Косминского и Удальцова, т. II, 1927, стр. 57—223. — Памятники истории Англии XI—XVII веков, сб. материалов под ред. Петрушевского, 1936. — Английская деревня XIII—XIV веков, сб. материалов под ред. Косминского и Петрушевского, 1935.

III. ზოგადისტორიები. ფეოდალური ეპოქები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, 1897, т. II, стр. 577—601; т. III, стр. 367—398. — Грин, История английского народа, т. I, 1891. — Пти-Дютайи, Феодальная монархия в Англии и Франции X—XIII веков, 1938. — Петрушевский, Великая харта вольностей и конституционная борьба в английском обществе во второй половине XIII века, 1915. — Петрушевский, Очерки из истории английского государства и общества в средние века, разн. изд. — Косминский, Английская деревня XIII века, 1935. — Кеннингем, Рост английской промышленности и торговли, 1904. — Эшли, Экономическая история Англии, 1897. — Роджерс, История труда и заработной платы в Англии с XIII по XIX век, Спб. 1899. — Бондаренко, Английский город в средние века. Одесса 1905. — Общественная жизнь Англии, под ред. Трайля, т. I—II, 1897. — Книга для чтения по Истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. III, ст. 51.

თ ა ვ ი XXIII

უფრ ჯაილერების აჯანყება. ლანკასტერები და იორკები

„შავი სიკვდილი.“ 1348 წ. ინგლისს თავს დაატყდა აღმოსავლეთიდან შემოსული შავი ჭირი, რომელიც ჩარჩა ხალხის მეხსიერებაში „შავი სიკვდილის“ სახელწოდებით. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი ხალხი დაიღუპა ამ ჭირიანობის დროს. ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ამოწყდა ინგლისის მთელი მოსახლეობის მესამედი, ზოგიც ანგარიშობს ნახევარს, ზოგი ამ ციფრს ზრდის ორ მესამედამდის. საკამათოა საკითხიც, რამდენად ღრმა იყო ის ცვლილებები, რომელნიც გამოიწვია „შავმა სიკვდილმა“ ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებაში. საფიქრებელია, რომ „შავმა სიკვდილმა“ გადაიარა ინგლისზე უთანაბროდ: ზოგან მოახლინა ხალხის საშინელი განადგურება, ხოლო ზოგ ადგილს კი შეეხო ნაკლებ. საერთოდ „შავმა სიკვდილმა“, მართალია ვერ შეაბრუნა ახალ გზაზე ინგლისის სოფლის განვითარება, მაგრამ მან გაამწვავა ინგლისში ის პროცესი, რომელიც ვითარდებოდა ჯერ კიდევ მის წინა ხანებში. „შავმა სიკვდილმა“ მუსრი გაავლო ქალაქის და სოფლის მუშური მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. ამის შემდეგ ძალიან გაიზარდა მოთხოვნილება მუშა ხელზე, და ამასთან ერთად გაიზარდა მუშის ხელფასი. ხელფასის ზრდა აიხსნება იმითაც, რომ ჭირს მოჰყვა ეპიზოოტიები და მოუსავლიანობანი. პურის და ყველა საკვების ფასებმა მოიმატეს.

ამ დროისათვის ფულადი რენტა შეიქნა ფეოდალური რენტის გაბატონებულ ფორმად ინგლისში, განსაკუთრებით წვრილ რაინდულ მამულებში. საბატონო მიწის დამუშავება იქ წარმოებდა მეტ ნაწილად დაქირავებული მუშა ხელით. მაგრამ იმ მსხვილ, უმთავრესად სამონასტრო მამულებშიაც, სადაც შენარჩუნებულ იქნა საბატონო ბეგარა და დაქირავებული შრომა თამაშობდა მხოლოდ დამხმარე მეორეხარისხოვან როლს, უკანასკნელს მიეცა დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან დაიხოცა მრავალი მობეგრე ვილანი და ცოცხლად დარჩენილთ არ შეეძლოთ დახოცილთა სამუშაოს გაძღოლა (თუმცა ლორდები ცდილობდნენ იძულებულეყოთ ისინი აეღოთ დახოცილ მეზობელთა ნაკვეთები და ეხადნათ მათი ვალდებულებანი).

ინგლისის მემამულეთა წინაშე წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ სად ეშოვნათ მუშები და როგორ იძულებულეყოთ ისინი ემუშავნათ დაბალი ხელფასით. იგივე საკითხი წამოიჭრა დამქირავებელთა წინაშე მრეწველობაშიც. ამის პასუხს წარმოადგენდა „მუშათა კანონმდებლობა“.

„მუშათა კანონმდებლობა. 1349 წ. სამეფო ორდონანსი[1] მოითხოვდა, რომ ყოველი მოზრდილი მამაკაცი და ღედაკაცი, 60 წელზე უმცროსი, საკუთარი მიწის ან სხვა საარსებო სახსარის არმქონე, უნდა დაქირავებოდა მას, ვინც კი მოისურვებდა მათ აყვანას, და ამასთანავე ერთად იმ ხელფასით, რომელიც ჩვეულებრივი იყო ჭირიანობამდე. ამასთანავე ერთად სენიორებს უფლება აქვთ დაიჭირონ თავისთან ყმა-გლეხები, მაგრამ იმაზე მეტი რაოდენობით კი არა, რომელიც საჭიროა. ვინც გაბედავდა აღნიშნული პირობებით დაქირავებაზე უარის თქმას, დამქირავებელისგან წასვლის ვადის ამოწურკამდის, მას მოელოდა საპყრობილე. ჯარიმდებოდა ის, ვინც გაბედავდა იმაზე მეტი ხელფასის აღებას, ვიდრე ეს იყო ჭირიანობამდეს, და ისიც ვინც მიცემდა ამაზე მეტს.

1351 წ. თემთა პალატამ მიმართა მეფეს საჩივრით იმაზე, რომ ცხოვრებაში არ ტარდებოდა ორდონანსი სამუშაო ხელფასის შესახებ. მისი თხოვნით გამოიცა „სტატუტი მუშების შესახებ". სტატუტმა უფრო დაწვრილებით განიმეორა 1349 წ. ორდონანსის ძირითადი დებულებანი და გააძლიერა მათი დარღვევისათვის დაწესებული სასჯელები. მაგრამ თუ კანონის დამრღვევ დამქირავებლებს სჯიდნენ ჯარიმით, მუშებს ადებდნენ ბორკილებს და სხვადნენ საპყრობილეში. მაგრამ სტატუტმაც ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები, და თემთა პალატას კიდევ არა ერთხელ მიუმართნია მეფისათვის, რათა მას მიეღო ზომები მის დამრღვევთა წინააღმდეგ. ახალი კანონები სულ უფრო და უფრო ზრდიან სასჯელის სიმკაცრეს სტატუტის დამრღვევთათვის. დამქირავებლებისგან წასულ მუშებს სდევნიან, მათ აცხაღებენ კანონს გარეშე, დაღავენ გავარვარებული რკინით (1361 წ. „სტატუტი მუშების შესახებ"). დევნას განიცდიდნენ ყოველგვარი კავშირები, რომელთაც ჰკრავდნენ ერთმანეთში მუშები ხელფასისათვის ბრძოლის მიზნით. მუშათა კანონმდებლობის შესახებ საქმეების გარჩევა გადავიდა მომრიგებელ მოსამართლეთა ხელში, რომელნიც წარმოადგენდნენ კლასობრივი იუსტიციის უმთავრეს ორგანოებს ადგილებზე. მარქსი აძლევს მკაფიო დახასიათებას ამ კანონმდებლობის ძირითად ტენდენციას: „კანონმდებლობა დაქირავებული შრომის შესახებ, რომელიც თავიდანვე მუშის ექსპლოატაციას ისახავდა მიზნად და შემდეგაც მუდამ მტრულად იყო განწყობილი მუშათა კლასის მიმართ, ინგლისში ე დ უ ა რ დ III მ უ შ ა თ ა ს ტ ა ტ უ ტ ი თ (statute of Labourers) იწყება".[1] „1349 წლის სტატუტის და ყველა შემდეგ გამოცემული მუშათა კანონების სული იმაში გამოსჭვივის, რომ სახელმწიფოს მიერ ნაკარნახევია შ რ ო მ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ი ს მ ა ქ ს ი მ უ მ ი; მაგრამ არავითარ შემთხვევებში — მისი მინიმუმი".[2]

მუშათა კანონმდებლობის ნიადაგზე ხდებოდა შეტაკებები თვით ფეოდალური კლასის შიგნით. მსხვილი ფეოდალის ბიუჯეტში, რომელიც ცხოვრობ-

---

[1] ორდონანსი ეწოდებოდა მეფის ბრძანებას, სტატუტი — კანონს, მეფის მიერ პარლამენტის წინადადებით დამტკიცებულს.

[1] მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი". ტ. I. 1930, გვ. 681 (კურსივი რედ.).

[2] ი ქ ვ ე (კურსივი რედ.).

და უმთავრესად ფეოდალური რენტით, ხარჯები სამუშაო ხელფასზე თამაშობდნენ მეორე ხარისხოვან როლს. წვრილი მემამულე რაინდისათვის, რომელიც ამუშავებდა თავის საბატონო მიწას უმთავრესად მოჯამაგირეთა ხელით, ისევე როგორც ქალაქის მრეწველისათვისაც, საკითხი სამუშაო ხელფასის შესახებ იდგა გაცილებით უფრო მწვავედ. მსხვილი ფეოდალები მუშა ხელის ძებნის დროს ხშირად არღვევენ სტატუტს, იძლევიან უფრო მაღალ სამუშაო ხელფასს და მიმართავენ მეზობელთაგან მუშების თავისთან გადაბირებას. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ მაგნატები აწყობდნენ ნამდვილ შეიარაღებულ თავდასხმებს მეზობლებზე, სტაცებდნენ და მიჰყავდათ მათგან მუშები. გასაგებია, რომ მუშების საწინააღმდეგო ყველა ახალი კანონების გამოცემისა და ამ კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ სხვა ზომების მიღების დროს, ინიციატივა ეკუთვნოდა თემთა პალატას. ქვემო პალატის სოლიდარობა ნაოლად გამომჟღავნდა ედუარდ III და მისი მემკვიდრე რიჩარდ II „მუშათა კანონმდებლობაში". მუშათა კანონმდებლობა წარმოადგენდა მიწათმფლობელთა იმ ნაწილის კლასობრივი პოლიტიკის იარაღს, რომელიც თანდათან შორდებოდა ფეოდალურ წარმოებას, და აგრეთვე მრეწველობის დარჯის წინააღმდეგ.

ფეოდალური რეაქცია. მსხვილი ფეოდალური ლორდების, განსაკუთრებით სასულიერო ლორდების მამულებში, ჯერ კიდევ სავსებით სუარობდა ფეოდალური ექსპლოატაცია, და დაქირავებული შრომა თამაშობდა მხოლოდ მეორეხარისხოვან, დამხმარე როლს. მსხვილი ფეოდალის შემოსავლის უმთავრეს წყაროდ რჩებოდა ფეოდალური რენტა. ამიტომ მისი მეცადინეობა მიმართული იყო არა იმდენად სამუშაო ხელფასის შემცირებისაკენ, რამდენადაც ფეოდალური რენტის გაზრდისაკენ. ლორდები სულ უფრო და უფრო მეტად აჭერენ ფეხს გლეხობას, მათგან სულ უფრო და უფრო მეტ გადასახადებსა დაშრომით ბეგარას მოითხოვენ. ზოგჯერ ისინი ფულადი რენტებიდან უბრუნდებიან უკან—შრომითს, რათა ამით აენაზღაურებინათ მუშახელის დანაკლისი საბატონო მეურნეობაში. ეს ეაძლიერება ფეოდალური რენტისა და დაბრუნება მის ყველაზე მძიმე ფორმებისადმი, ეს ფეოდალური რეაქცია, — იყო „ძავი სიკვდილის" ერთ-ერთი შედეგთაგანი. ფეოდალური რეაქცია წარმოადგენდა იმ საშუალებას, რომლითაც ფეოდალური წარმოების ნიადაგზე მყოფი ლორდები ცდილობდნენ აენაზღაურებინათ თავისთვის მუშახელის და ფეოდალური რენტის დანაკლისი.

ასწლიანი ომის მსვლელობა. ამავე დროს ასწლიან ომს მოჰქონდა ახალი წარმატებანი ინგლისელთათვის. 1356 წ. ინგლისელებმა საშინლად დაამარცხეს ფრანგები პუატიესთან. 1360 წ. დადებულ იქნა ბრეტანიაში ზავი, რომლის ძალით ედუარდმა მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი სამფლობელოები აქვიტანიაში და მიიღო კალე თავისი ოლქით (იხ. თავი XIX).

1369 წ. განახლდა საბრძოლო მოქმედებანი. მაგრამ ამ დროისათვის საფრანგეთში, სამხედრო დამარცხებით და კიდევ უფრო მეტად გლეხობის და ქალაქის ღარიბ-ღატაკთა რევოლუციური მოძრაობით დაშინებულმა, თავადაზნაურობამ და ქალაქის მოსახლეობის ზედა-ფენამ, მჭიდროდ მოიყარეს თავი მეფის ხელისუფლების ირგვლივ. ახალმა მეფემ კარლოს V გაატარა.

მთელი რიგი ფინანსიური და სამხედრო რეფორმები. ინგლისელები ზედიზედ მარცხდებოდნენ. აქვიტანია აუჯანყდა ინგლისელებს, რომელთა ბატონობაჰ არაფერი შეძინა მას, გარდა გადასახადებისა და ომით გამოწვეული აკლებისა. 1375 წ. შეკრულ იქნა დროებითი ზავი, რომლის ძალითაც ინგლისელებს შერჩათ მხოლოდ რამოდენიმე ზღვის სანაპირო ქალაქი.

ეკლესია და მთავრობა. საფრანგეთთან ომმა გადაამტერა ინგლისი პაპის ტახტს, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა ავინიონში და მხარს უჭერდა საფრანგეთის მეფეებს. სამეფო ხელისუფლებას ინგლისში უმძიმდა პაპების ეამოკიდებულებაში ყოფნა, რომელიც გაიზარდა იოანეს და ჰენრიხ III დროს, და მან იწყო მთელი რიგი ზომების გატარება ამ დამოკიდებულებისაგან გასანთავისუფლებლად. 1353 წ. გამოცემულ იქნა სტატუტი, რომელიც ჰკრძალავდა ინგლისის ქვეშევრდომთა საქმეების გადატანას პაპის სასამართლოში. ედუარდ III უარი განაცხადა ეხადნა პაპისათვის იოანე უმიწაწყლოს დროს შემოღებული I ათასი გირვანქა სტერლინგიანი ხარკი. ინგლისში იწყება ზრდას მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს ეკლესიის ფართო რეფორმას. საეკლესიო რეფორმის საკითხთან დაკავშირებული იყო მრავალი სხვადასხვაგვარი ინტერესი. სამეფო ხელისუფლება ისწრაფოდა ინგლისის ეკლესიის განთავისუფლებისადმი პაპების გავლენისგან და მის დაქვემდებარებას მეფისადმი. სამეფო ხელისუფლება და პარლამენტი უკმაყოფილობით შეჰყურებდნენ იმას, რომ აურაცხელი სიმდიდრის მქონე ეკლესია ყოველი საშუალებით არიდებდა თავს გადასახადებს, რომელნიც მძიმედ აწვებოდნენ კისერზე მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს ასწლიანი ომის დროს. მეფე ცდილობდა ხელთ ეგდო ეკლესიის მიწის სამფლობელოები. უმაღლესი სამღვდელოების პოლიტიკური გავლენა აბრაზებდა მეფის დაახლოებულ პირებს.

ვიკლეფი. სამეფო ხელისუფლების ამ ტენდენციას მიემხრნენ რაინდობის და ბურჟუაზიის წრეები, რომელნიც მტრულად შეჰყურებდნენ მდიდარ ფეოდალურ ეკლესიას და ცდილობდნენ მისი რეფორმის გატარებას. ამ რეფორმაციული მიმდინარეობათა წარმომადგენელი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ვიკლეფი. ვიკლეფმა გაილაშქრა პაპის პრეტენზიების წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა, რომ პაპს არა ჰქონდა უფლება მოეთხოვნა ინგლისისაგან არავითარი გადასახადი, რომ ეკლესიას აქვს მეტად დიდი ქონება და რომ მეფეს აქვს უფლება ჩამოართვას მას მისი მდიდარი სამფლობელოები.

პაპმა მოითხოვა ვიკლეფის გასამართლება, მაგრამ მთავრობამ მიიღო იგი თავისი შფარველობის ქვეშ. მისი მხარე დაიჭირა ლონდონის ბურჟუაზიამ. ქალაქის ღარიბ-ღატაკთა შორის, რომელთაც სძულდათ ეკლესია მის მიერ წარმოებული ჩაგვრისა და ყვლეფის გამო, ვიკლეფის სახელი შეიქნა პოპულარული. როდესაც პაპის ბრძანების შემსრულებელმა ეპისკოპოსებმა დაიწყეს ვიკლეფის გასამართლება, ლონდონის მოქალაქენი შეცვივდნენ სასამართლო დარბაზში და აიძულეს შეეწყვიტნათ გასამართლება.

ახლა ვიკლეფი გამოვიდა უფრო გაბედულად. გამოჰხატავდა რა ბურჟუაზიის მისწრაფებებს, იგი იწყებს ეკლესიის საფუძვლიანი რეფორმის მოთხოვნას. იგი გამოვიდა კათოლიკური ეკლესიის ძირითადი დოგმატების კრიტიკით,

უარჰყოფდა მღვდლობას, ბევრ საეკლესიო წესებს, ინდულგენციებს, საიდუმლო აღსარებას, წმინდათა თაყვანისცემას, გარდაქმნის საიდუმლოებას. მან გამოაცხადა საღვთო წერილი სარწმუნოების ერთადერთ წყაროდ. რათა ის ბურჟუაზიისათვის მისაწვდომი გამხდარიყო, მან ხელი შეუწყო ბიბლიის თარგმანს ლათინური ენიდან, ინგლისურად. ვიკლეფის იდეები შემდეგ ორი საუკუნის განმავლობაში ახდენენ უძლიერეს გავლენას ეკლესიის ყველა ბურჟუაზიული რეფორმატორების მოძღვრებებზე.

ლოლარდები. მთავრობისა და ბურჟუაზიის რეფორმაციული გეგმების გვერდით, იზრდებოდა ღრმა უკმაყოფილება ეკლესიის მოსახლეობის ფართო მასებში და განსაკუთრებით გლეხობაში. გლეხისათვის ეკლესია წარმოადგენდა ერთ-ერთ უმკაცრეს ექსპლოატატორთაგანს. არსად ფეოდალური ვალდებულებანი არ იყვნენ ისე მკაცრნი და არსად მათ არ ახდევინებდნენ ისეთი სიმკაცრით, როგორც იმ დროის „სანიმუშო მეურნეობის" — მონასტრების და საეპისკოპოსო კათედრების — მამულებში. საეკლესიო სენიორები მტკიცედ უბღაუჭებოდნენ ბატონ-ყმობას და საბატონო ბეგარას. ეკლესია თავს აბეზრებდა გლეხს თავისი მეათედებით და სხვა გადასახადებით. ბურჟუაზიული რეფორმაცია ვიკლეფის სახით ცდილობდა გამოეყენებინა ეს ხალხის უკმაყოფილება კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ფართო მოძრაობის გასაჩაღებლად. ამ მოძრაობას მხარს უჭერს დაბალი სამღვდელოებაც, რომლის ბევრ წარმომადგენელთაგანს უხდებოდა ნახევრად მათხოვრულად ცხოვრება: ძულდა მდიდარი ეკლესია და ესმოდა ხალხის გასაჭირი.

ვიკლეფი გზავნიდა ყველგან თავის მოწაფეებს და შიმდევრებს. ეს ღ ა რ ი ბ ი მ ღ ვ დ ლ ე ბ ი, ანუ ლ ო ლ ა რ დ ე ბ ი, გამოწყობილნი ხამი შალის ანაფორებში, ყველგან ჰქადაგებდნენ ვიკლეფის მოძღვრებას და ილაშქრებოდნენ მდიდარ და მოძალე ეკლესიის წინააღმდეგ. მაგრამ მათ მოძღვრებაში მალე ერევა სხვა მოტივებიც. ლოლარდები ჰქადაგებდნენ გლეხობაში და ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ მისი მისწრაფებანი. ამიტომ ისინი იწყებენ ქადაგებას ხალხის მჩაგვრელი ფეოდალების და მეფის მოხელეთა ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. ისინი ამათრახებდნენ იმ წყობილების უსამართლობას, რომლის დროს ერთნი უნდა მთელ სიცოცხლეს შრომობდნენ მეორეთათვის. ისინი ამბობდნენ, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანები თანასწორნი. „როდესაც ადამი ხნავდა და ევა კი ართავდა, ვინ იყო მაშინ აზნაური?".

სახალხო მქადაგებელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი ნიჭითა და დამაჯერებლობით ჯონ ბოლი. იგი მოითხოვდა საეკლესიო მეათედის გაუქმებას და ეკლესიისათვის მისი უშველებელი ქონების ჩამორთმევას. საეკლესიო ხელისუფალთ ეჯავრებოდათ იგი და სდევნიდნენ მას, მაგრამ ხალხი მას ჰფარავდა. ბოლოს, იგი შეიპყრეს და ჩაამწყვდიეს კენტერბერის არქიეპისკოპოსის სატუსალოში.

რიჩარდ II საყოველთაო გადასახადი. ედუარდ III მემკვიდრის რიჩარდ II დროს (1377 — 1399 წწ.) ომი საფრანგეთთან განახლდა და ინგლისის საქმე ცუდად წავიდა. საფრანგეთის ხომალდები აოხრებდნენ ინგლისის სანაპიროებს. ინგლისელების მიერ გაგზავნილ ექსპედიციებს არა ჰქონდა შედეგი. ომი ძვი-

რად ჯდებოდა. 1377 წ. პარლამენტმა შემოიღო საყოველთაო გადასახადი. ყოველ ინგლისელს უნდა გადაეხადნა I გროტი (4 პენსი). 1379 წ. გადასახადი ხელახლა გადაახდევინეს. 1380 წ. შემოღებული ახალი საყოველთაო გადასახადი გაასამკეცეს (I შილინგამდე).

საყოველთაო გადასახადი, და კიდევ უფრო მეტად, ყოველგვარი ბოროტმოქმედებანი მისი შეგროვების დროს, აქცენ უკანასკნელ წვეთად, რომელმაც გაავსო გლეხობის მოთმინების ფიალა. გლეხობა იჩაგრებოდა ფეოდალური რენტის ზრდით, სათემო მიწების დატაცებით, საბატონო ბეგარის აღდგენით და ამიტომ იგი დიდი ხანია რაც ყრუდ ღელავდა. ლოლარდების ქადაგება გამოხატავდა მათ უკმაყოფილებას. არ არსებობდა არც ერთი ფენა ინგლისელი ვილანებისა, რომელიც გაბოროტებული არა ყოფილიყო ფეოდალთა და მთავრობის წინააღმდეგ, ვინაიდან უკანასკნელი ჩაგრავდა გლეხებს ახალ-ახალი გადასახადებით. ყმა გლეხობის ზედა ფენა, რომელიც გამდიდრდა პურით, საქონლით, მატყლით, ვაჭრობით და ყიდულობდა მიწებს,—სიძულვილით იყო განწყობილი ბატონ-ყმობის მიმართ. საშუალო შეძლების გლეხობა, ყმა-გლეხური მოსახლეობის ეს ძირითადი მასა, ყველაზე მეტად დაზარალდა ფეოდალური რენტის ზრდით და საბატონო ბეგარის აღდგენით. ღარიბ-ღატაკი გლეხობა, რომელიც ცხოვრობდა უმთავრესად საკუთარი სამუშაო ძალის გაქირავებით, იჩაგრებოდა მუშათა კანონმდებლობისგან და ლორდების მიერ სათემო მიწების დატაცების გამო. ყველა წყეულიდა მთავრობას — მეფეს მრჩეველებს, რომელნიც აწერდნენ ხალხს მძიმე გადასახადებს.

გლეხთა ამბოხების დასაწყისი. 1381 წ. აღმოსავლეთ ინგლისში იფეთქა ამბოხებამ. გლეხებმა გარეკეს გადასახადების ამკრეფნი და მეფის მოხელეები. ზოგიერთი მათგანი დახოცეს. აჯანყებულთ უერთებოდნენ გლეხობის ახალ-ახალი რაზმები, შეიარაღებულნი მშვილდებით, კეტებით, ცულებით, ცელებით და ფიწლებით. ამბოხება დაიწყო როგორც პროტესტი მძიმე გადასახადების წინააღმდეგ, მაგრამ მალე იგი მიმართული შეიქნა ხალხის ყველა მჩაგვრელისა და ყველაზე მეტად კი ფეოდალთა წინააღმდეგ. განსაკუთრებულ სიძულვილს იწვევდნენ გლეხებში საეკლესიო ფეოდალები — უპისკოპოსები და აბატები.

აღმოსავლეთ ინგლისის ბევრ ოლქში შედგა გლეხთა რაზმები: ისინი იკლებდნენ მემამულეთა კარ-მიდამოებს და მონასტრებს, მიერეკებოდნენ პარუტყვს, მიჰქონდათ ქონება და წვავდნენ იმ დოკუმენტებს, რომლებშიაც ჩაწერილი იყო გლეხთა ვალდებულებანი. გლეხებს ხშირად მხარს უჭერდნენ ქალაქის ღარიბ-ღატაკნი.

ყველაზე დიდი ორგანიზაციულობით გამოირჩეოდა აჯანყება ლონდონის მეზობელ საგრაფოებში — ესექსში და კენტში. კენტელმა გლეხებმა გაანთავისუფლეს საპყრობილედან ჯონ ბოლი და გახადეს იგი თავის ერთ-ერთ ბელადად. ჯონი ქადაგებდა შეურიგებელ კლასობრივ სიძულვილს ხალხის მჩაგვრელთა წინააღმდეგ. იგი მოუწოდებდა ყველა სენიორების და მათი დამქაშების— მეფის მსაჯულთა—დახოცვისაკენ. იგი ამბობდა, რომ ინგლისის საქმეები მხოლოდ მაშინ წავა კარგად, როდესაც მთელი ქონება გახდება საერთო, როდე-

საც აღარ იქნებიან არც ვილანები, არც აზნაურები და ყველა იქნება თანა-
სწორუფლებიანნი. ამბოხების მთავარი ბელადი იყო ხელოსანი, მესახურავე
უოტ ტაილერი. მისი სახელით 1361 წ. აჯანყებას ჩვეულებრივ უწოდებენ
„უოტ ტაილერის აჯანყებას“.

ამბოხებული გლეხები ლონდონში. ორ დიდ რაზმად ესექსის და კენტის
გლეხობა მიადგა ლონდონს. ლონდონის მერმა ბრძანება გასცა ქალაქის ჭიშ-
კრების ჩაკეტის შესახებ, მაგრამ ქალაქის ღარიბ-ღატაკთ არ მისცეს ამის ნე-
ბა. ლონდონის მამასახლისთა შორისაც, რომელთაც ირჩევდნენ მდიდარ ვაჭარ-
თაგან, იყვნენ უკმაყოფილონი მეფის და მისი მრჩეველების პოლიტიკით. ბურ-
ჟუაზიის უკმაყოფილება გამოწვეული იყო იმით, რომ ომს ცუდად აწარმოებ-
დნენ, რამაც სრულიად გააჩანაგა ინგლისის საგარეო ვაჭრობა. ზოგიერთმა მა-
მასახლისთაგანმაც უბრძანა გუშაგებს შემოეშვათ გლეხები, ფიქრობდნენ რა
გამოეყენებინათ გლეხთა ამბოხება მეფის და მისი მრჩეველების დასაშინებ-
ლად. გაშლილი დროშებით, შეუფერხებლად, გლეხები შევიდნენ ქალაქში. მათ
გადაწვეს და დაანგრიეს სახლები ხალხისათვის ყველაზე საძულველი პირება-
ა. რომელთაც სთვლიდნენ ხალხის ჩაგვრის მიზეზად. გლეხები ამტვრევდნენ
ციხეებს და ანთავისუფლებდნენ პატიმრებს.

ამბოხებულმა გლეხებმა ალყა შემოარტყეს ლონდონის ციხე-სიმაგრეს
ტაუერს, რომელშიაც იმ დროს იმყოფებოდა მეფე რიჩარდ II, და მოითხო-
ვეს რომ იგი გამოსულიყო მათთან მოსალაპარაკებლად. როგორც კი მეფე გა-
მოვიდა ტაუერიდან, გლეხები შეიჭრნენ მასში. და დახოცეს რამოდენიმე იქ
მყოფი დიდკაცი, მათ შორის კენტერბერის არქიეპისკოპოსიც.

გლეხთა მოთხოვნილებანი. მეფესთან შეხვედრა შედგა მაილ-ენდში. გლე-
ხებმა წაუყენეს მეფეს თავიანთი მოთხოვნილებანი, რომელთაც მიიღეს მ ა ი ლ-
ე ნ დ ი ს პ რ ო გ რ ა მ ი ს სახელწოდება. მაილ-ენდის პროგრამა მოითხოვდა
ბატონ-ყმური მდგომარეობის გაუქმებას, საბატონო ბეგარის მოსპობას და
ერთგვარი დაბალი ფულადი რენტის (4 პენსი აკრიდან) შემოღებას, თავისუ-
ფალ ვაჭრობას ინგლისის ყველა ქალაქებში და დაბებში, და ამნისტიას ამბო-
ხებულთათვის. მეფე იძულებული იყო დათანხმებულიყო გლეხების ყველა
მოთხოვნებზე. მათმა ნაწილმა დაუჯერა მეფის დაპირებებს, დასტოვა ლონ-
დონი და დაიშალა თავ-თავის სახლებში. მაგრამ ბევრი მეამბოხეთაგანი, გან-
საკუთრებით ღარიბ-ღატაკნი, უკმაყოფილონი იყვნენ. მათ ჭირდებოდათ მიწა
და მუშების საწინააღმდეგო მკაცრი კანონების გაუქმება. არაფერი ამგვარი
არ იყო აღნიშნული მეფის დაპირებებში. გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი
უოტ ტაილერთან და ჯონ ბოლთან ერთად დარჩა ლონდონში. მათ მოითხო-
ვეს ხელახალი შეხვედრა მეფესთან. ამავე დროს ქალაქის ღარიბ-ღატაკთ იწ-
ყეს ანგარიშის გასწორება თავის მჩაგვრელებთან. თავდაპირველად ხალხის
რისხვა დაატყდათ თავზე უცხოელებს — ფლანდრიელებს და იტალიელებს.
ფლანდრიელები ლონდონში ეკუთვნოდნენ მეტ ნაწილად. ასწლიანი ომის
დროს ინგლისში ჩასულ მდიდარ მემამულეების რიცხვს. ისინი აწყობდნენ
ინგლისში დიდი საწარმოებს, სადაც ექსპლოატაციას განიცდიდნენ მუშები და
წვრილი ოსტატები. იტალიელები იყვნენ მეტ ნაწილად მევახშეები. მაგრამ

[illegible] ვავრცელდა ინგლისელ ვაჭრებზედაც. ლონდონელი მდიდარნი [illegible]ფიოთასენ. შეშინდნენ და დაიწყეს ძალ-ღონის მოკრეფა ამბოხებული გლეხობის და ქალაქის ღარიბ-ღატაკთა წინააღმდეგ.

მეფე იძულებული იყო ხელმეორედ გამოცხადებულიყო გლეხებთან შესაბჭედრად. იმ რაზმში, რომელსაც შეხვდა მეფე სმიტფილდში, ჰყარბობდნენ კენტელები. კენტიკი განირჩეოდა დანარჩენ აღმოსავლეთ საგრაფოებისაგან იმით, რომ მასში თითქმის არ იყვნენ ყმები, მაგრამ ამ საგრაფოს თავისუფალი გლეხობა ძალიან იტანჯებოდა მცირემიწიანობის გამო. კენტური რაზმი წარმოადგენდა უმთავრესად ღარიბ-ღატაკი გლეხობის ინტერესებს.

ს მ ი ტ ფ ი ლ დ ი ს მოთხოვნილებანი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ მაილ-ენდის მოთხოვნილებათაგან. გლეხები მოითხოვდნენ გაუქმებას ყველა კანონებისას, გარდა ვინჩესტერის კანონისა (კანონი გამოცემული ედუარდ I დროს, რომელიც აწესებდა პირადი და ქონებრივი უშიშროების გარანტიებს), მიწების ჩამორთმევას ეპისკოპოსთათვის, მონასტერთათვის და მღვდელთათვის და მათ დანაწილებას მრევლის შორის. ისინი მოითხოვდნენ სენიორთა ყველა პრივილეგიების მოსპობას და წოდებათა გათანასწორებას; აყენებდნენ სენიორების მიერ მითვისებული სათემო მიწების გლეხებისათვის დაბრუნების მოთხოვნილებას. მათ მოთხოვნილებათა შორის არის აგრეთვე ბატონ-ყმობის გაუქმება. ეს არის ერთადერთი პუნქტი, რომელშიაც მათ განიმეორეს მაილ-ენდის პროგრამა.

მაგრამ ლონდონის ბურჟუაზიამ და ფეოდალებმა მოასწრეს უკვე წინააღმდეგობის გასაწევად მოზზადება. მეფის გლეხებთან მოლაპარაკების დროს ლონდონის ვერმა ვერაგულად მოკლა უოტ ტაილერი. რაინდებისა და მდიდარ მოქალაქეთაგან შემდგარი დიდი შეიარაღებული რაზმი ჭენებით გაეშურა მეფის დასახმარებლად. უბელადოდ დარჩენილმა გლეხებმა ვერ გაბედეს შებრძოლება. მათთვის არ დაინანეს არავითარი დაპირებანი, დაჰპირდნენ, რომ მათ დევნას არ დაუწყებდნენ ამბოხებაში მონაწილეობისათვის და დაუჯერეს დაშლილიყვნენ თავ-თავიანთ სახლებში.

ამბოხების ჩაქრობა. გლეხები დაიშალნენ იმ რწმენით, რომ ყველა მათი მოთხოვნილებანი მიღებულია. მათ გადაწყვიტეს აღარ ეხადნათ საბატონო ბეგარა და სთვლიდნენ თავიანთ თავს თავისუფალ ხალხად. მაგრამ ამავე დროს მეფის სახელით საგრაფოებში დაეგზავნა ბრძანებები რაინდებს — რათა შეგროვილიყვნენ ლონდონში. რაინდთა რაზმები დაედევნენ კვალ და კვალ გლეხებს, რომელნიც ნაწილობრივ უკვე დაშალნენ თავ-თავიანთ სახლებში, და ადვილად გაანადგურეს ისინი. ამის შემდეგ აჯანყების ყველა რაიონებში გავგზავნენ მეფის მსაჯულები და სასტიკად გაუსწორდნენ გლეხებს. მრავალი გლეხი ჩამოახრჩეს. მემატიანეს სიტყვით, ყველგან აღმართული იყო სახრჩობელები, მაგრამ ძლივს ყოფნიდა მსჯავრდადებულთათვის. ხალხი მასობრივად გარბოდა სოფლებიდან, სადაც კი შოუხდებოდა. ლონდონში საბაზრო მოედანზე იდო კუნძი, რომელზედაც სჭრიდნენ თავებს ამბოხებაში მონაწილე ღარიბ-ღატაკთ. საშინელი წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს ამბოხების ბელადები, მათ შორის ჯონ ბოლი. მეფემ დაგზავნა ბრძანება, რომლის ძალით გლეხები უსი-

ტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ სენიორებს და უნდა შეესრულებინათ ყველა ის ვალდებულებანი, რომელთაც ისინი იხდიდნენ ამბოხებამდის.

ასე იქნა ჩასრჩობილი გლეხთა ამბოხება. იგი მიმართული იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ და ისწრაფოდა ბატონ-ყმობის მოსპობას. გლეხებს სურდათ თავისუფალ მიწის მესაკუთრეებად ვახდომა და სარგებლობის მიღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობისაგან. მათ განიცადეს დამარცხება. გლეხობის დამარცხების საერთო მიზეზებზე შუა საუკუნეებში უკვე ნათქვამი იყო ჟაკერიასთან დაკავშირებით (იხ. თავი XIX). გლეხები მთელ თავის ქვეყნის ტერიტორიაზე გაფანტულად ცხოვრობდნენ და დაკავშირებულთ მხოლოდ ვიწრო ადგილობრივი ინტერესებით, ვერ შესძლეს გაერთიანება და ორგანიზაციულად მოქმედება. მეამბოხეთა უმრავლესობას არ მიუღია მონაწილეობა ლონდონზე გალაშქრებაში, და დაკმაყოფილდა სენიორებთან ბრძოლით თავიანთ საგრაფოებში. ამას გარდა, თვით გლეხობაში დაიწყო უკვე ფენებად დანაწილება. შეძლებული გლეხობის და ღარიბ-ღატაკთა ინტერესები არ ემთხვეოდენ ერთმანეთს. ამიტომ ლონდონშიაც გლეხები ვერ მოქმედებდნენ ერთსულოვნად. მათმა ნაწილმა მეფესთან პირველივე შეხვედრის შემდეგ დატოვა სატახტო ქალაქი და მიატოვა ღარიბ-ღატაკნი. გლეხობის კლასობრივი თვითშეგნება ჯერ კიდევ სუსტი იყო. მათ სძულდათ ფეოდალება, აგრეთვე მეფის მრჩეველნი, რომელთაც სთვლიდნენ მძიმე გადასახადების მიზეზად. მაგრამ მათ სჯეროდათ, რომ მეფე გამოესარჩლებოდა მათ და ნდობით მოეპყრნენ მის ფლიდ დაპირებებს. ყველა ამას შედეგად მოჰყვა გლეხთა მოძრაობის განადგურება.

მაგრამ უოტ ტაილერის აჯანყებამ მაინც ძლიერი ლახვარი ჩასცა ფეოდალიზმს. მემამულეებს ამიერიდან ეშინოდათ გლეხებისგან საბატონო ბეგარის მოთხოვნისა და მათი ვალდებულებების გადიდებისა. XV საუკ. განმავლობაში თითქმის ყველა გლეხები გადაყვანილ იქნენ ფულად გადასახადებზე. ამასთანავე ერთად ბევრი მათგანი გამოსყიდვას აწარმოებდა საკუთარ თავისუფლებისას, ისე რომ XV საუკ. დამლევისათვის ინგლისში ცოტაღა დარჩა ყმა-გლეხობა.

ხოფელი და ქალაქი XIV საუკუნის დამლევიდან. გამოსყიდვით გაანთავისუფლებული ყმა გლეხი ხდებოდა პირადად თავისუფალიდა თუ სურდა, შეეძლო თავისი ლორდისგან წასვლა. მაგრამ თავისი მიწის მონაკვეთზე უნდა ეხადნა ლორდისათვის ვალდებულებანი. ახლა ჭარბობს ფულადი რენტა, მაგრამ აქა-იქ გვხვდება ბეგარა და რენტა პროდუქტებით. უფლებებს წინანდელ საყმო მონაკვეთზე არ იცავდნენ სამეფო სასამართლოები. ისევე როგორც წინანდელ ყმას, ასეთი მონაკვეთის მფლობელსაც, არ შეეძლო ჩივილი სასამართლოში, იმ შემთხვევაში თუ ლორდი იტაცებდა მის მიწას ან და ადიდებდა მის ვალდებულებებს. ასეთ გლეხებს, წინანდელი ვილანების ჩამომავლებს, უწოდებდნენ კ ო პ ი ჰ ო ლ დ ე რ ე ბ ს, ანუ მიწის მფლობელებს ასლით (მფლობელობის დოკუმენტს მათთვის წარმოადგენდა ამონაწერი, ანუ „კოპიო", სამამულო სასამართლოს ოქმებიდან).

სასამართლოები მკვეთრად ანსხვავებენ ერთმანეთისგან კოპიჰოლდერებს და ფ რ ი ჰ ო ლ დ ე რ ე ბ ს (თავისუფალ მფლობელებს). ფრიჰოლდერები ფა-

ქტიურად წარმოადგენდნენ თავიანთ მიწების მესაკუთრეებს და მხოლოდ უხდიდნენ ლორდს მცირე ფეოდად გადასახადებს. შეძლებული ფრიჰოლდერები სარგებლობდნენ პარლამენტში არჩევნებში მონაწილეობის უფლებით. კოპიჰოლდერები მოკლებული იყვნენ ამ უფლებას.

ამ დროის განმავლობაში დიდი ცვლილებები ხდება ინგლისია მრეწველობაში და ვაჭრობაში. XIV საუკუნიდან დაწყებული დიდ წარმატებას აღწევს შალის მრეწველობა. ფლანდრიიდან გადმოსახლებულმა მრეწველებმა დაარსეს ლონდონში და სხვა ქალაქებში დიდი საბელოსნოები, რომლებშიაც მზადდებოდა ნაზი ხარისხის მაუდი. მაგრამ გაცილებით უფრო გავრცელდა სოფლური შეუღებავი მაუდის დამზადება. მასზე დიდი მოთხოვნილება იყო ფლანდრიაში და ფლორენციაში. იქ ყიდულობდნენ შეუღებავ ინგლისურ მაუდს და აწარმოებდნენ მის შეღებვას და გამოყვანას.

შეუღებავი მაუდის დამზადება წარმოებდა ინგლისში შინა-მრეწველობის გზით. ამაში ჩაბმული იყო უმთავრესად ღარიბ-ღატაკი გლეხობა. შინა-მრეწველი გლეხები მუშაობდნენ ვაჭრებისათვის, რომელნიც ყიდულობდნენ მათგან მაუდს. გლეხებს იშვიათად გააჩნდათ ფული მატყლის საყიდლად, და ვაჭარ შემსყიდველები ურიგებდნენ მათ ნედლეულს და ფულს ვალად. ამის შედეგად შინა-მრეწველები ვარდებოდნენ ვაჭრებისგან სრულ დამოკიდებულებაში. XIV საუკუნიდან დაწყებული ინგლისიდან გამოაქვთ სულ უფრო და უფრო ნაკლები მატყლი; გამოტანის უმთავრეს საგნად იქცევა შეუღებავი მაუდი.

დიდი ცვლილებები მოხდა ვაჭრობაში. წინათ სხვა ქვეყნების ვაჭრები მოდიოდნენ ინგლისში მატყლისათვის. ახლა ინგლისში არსდება ვაჭართა კომპანიები მაუდის გასაზიდად. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო XV საუკ. დამდეგს წარმოშობილი „ვაჭარ-ავანტიურისტების“ კომპანია. XV საუკუნეში ინგლისური სავაჭრო გემები ჩნდებიან დასავლეთ-ევროპის ყველა ზღვებში.

დაიწყო შეცვლა ინგლისის მთელი საზოგადოებრივ წყობილებისა. უმთავრეს ადგილს ინგლისის მეურნეობაში თანდათან იპყრობენ მეცხვარეობა, მაუდის წარმოება, საზღვაო ვაჭრობა. ყველაფერი ეს ანგრევდა ძველ ფეოდალურ წესწყობილებას. XIV-XV საუკუნეებში სწრაფად მცირდება ბატონ-ყმობა, სოფლად და ქალაქად სულ უფრო და უფრო ვრცელდება დაქირავებული შრომა. ინგლისში იწყებს ჩამოყალიბებას ა ხ ა ლ ი თ ა ვ ა დ-ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა. ეს ახალი თავად-აზნაურობა არ წააგავს ძველს, ფეოდალურს. იგი ცხოვრობს არა იმდენად ყმა გლეხობის ფეოდალური ექსპლოატაციით, რამდენადაც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით და თავისი პროდუქტების გაყიდვით. ვაჭრობა, ფასები მატყლზე და პურზე, დაბალი სამუშაო ხელფასი — აი ის საკითხები, რომლებითაც ყველაზე უფრო დაინტერესებულია ახალი თავად-აზნაურობა. ამ ახალი თავად-აზნაურობის რიგებს უერთდებიან ვაჭრები, რომელთაც შეისყიდეს მიწის სამფლობელოები, და აგრეთვე გამდიდრებული გლეხები. ახალ თავად-აზნაურობას ესაჭიროებოდა ძლიერი სამეფო ხელისუფლება, რომელიც შესძლებდა დაეცვა ინგლისის ვაჭრობის ინტერესები და მორჩილებაში ჰყოლოდა მუშები.

ინგლისის ეროვნების შექმნა. XIV საუკუნემდის ჯერ კიდევ არ შეიძლება ლაპარაკი ინგლისის ერთიან ეროვნებაზე, საერთო ენისა და კულტურის

ოვალსაზრისით. დიდკაცობა შესდგებოდა ნორმამდიელებისგან და ფრანგებისგან. ისინი არ ერწყმოდნენ ანგლო-საქსებს, ლაპარაკობდნენ ფრანგულად და თავისი კულტურით უფრო ახლოს იყვნენ ფრანგებთან, ვიდრე ანგლო-საქსებთან. ინგლისის დამპყრობლები თვითონ უწოდებდნენ თავიანთ თავს „ფრანკებს". მემატიანეები ჯერ კიდევ დიდხანს უპირისპირებენ „ნორმანებს" „ანგლებს". სამეფო კურიის საქმეები წარმოებდა ფრანგულ ან ლათინურ ენაზე. ასევე იწერებოდა კანონები, სდგებოდა მატიანეები. ფრანგული რაინდული სიმღერა და რომანი შეადგენდნენ დიდკაცობის გასართობს. მაგრამ დაახლოებით XIV საუკუნიდან დამპყრობლები და დაპყრობილნი იწყებენ ერთმანეთში შერწყმას ერთ ერად — ინგლისურ ერად.

უმთავრეს როლს ინგლისური ეროვნების შექმნაში თამაშობდა ქვეყნის შინაგანი გაერთიანება, მასში სასაქონლო წარმოების და სავაჭრო ურთიერთობათა ზრდა და სახელმწიფოებრივი მთლიანობის განმტკიცება. ახალი ეროვნული კულტურის უმთავრესი მატარებელნი არიან ქალაქის ბურჟუაზია და რაინდობა. ეს ჯგუფები, ყველაზე მეტად, დაკავშირებულნი სასაქონლო-ფულადი მეურნეობის ზრდასთან, ცდილობდნენ ეროვნული მთლიანობის განმტკიცებას. მათ წრეში ყალიბდება საერთო ინგლისური ლიტერატურული ენა. იგი ჩამოყალიბდა ანგლო-საქსურ გრამატიკულ საფუძველზე ფრანგული და ლათინური ენების მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ბურჟუაზიამ და რაინდებმა, რომელთა მშობლიურ ენას შეადგენდა ანგლო-საქსური, შეითვისეს მაღალი კლასის, ლიტერატურისა და საეკლესიო ენებისაგან ბევრი ისეთი გამოთქმები, რომელნიც აკლდა სახალხო ენას. XV საუკუნეში. ჩნდებიან მთელი რიგი პროზაიკოსები და პოეტები, რომელნიც წერდნენ ინგლისურ ენაზე; საღმრთო წერილი გადაითარგმნა ინგლისურად. XIV საუკ. წერს ინგლისურად ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი პოეტთაგანი ჯოფრი ჩოსერი.

ჩოსერი და ვიკლეფი არიან ახალი ბურჟუაზიული კულტურის წარმომადგენელნი. თითოეული მათგანი თავ-თავის დარგში აწარმოებს ბრძოლას ფეოდალურ იდეოლოგიასთან. თუ ვიკლეფმა ჩაუყარა საფუძველი ბურჟუაზიულ ეკლესიას, სამაგიეროდ ჩოსერი იყო ლიტერატურაში ბურჟუაზიული რეალიზმის ერთ-ერთი მამამთავართაგანი. ისინი ორივენი ასახავენ ახლად წარმოშობილი ინგლისური ბურჟუაზიის ეროვნული შეგნების ზრდას.

ინგლისური ენა მხოლოდ თანდათანობით აძევებს ლათინურ და ფრანგულ ენებს სასამართლოდან და პარლამენტიდან. XV საუკ. ბოლომდის პარლამენტის აქტები იწერებოდა ფრანგულად. ლათინური რჩება ეკლესიის და მეცნიერების ენად. მაგრამ საზოგადოების ყველა კლასების სალაპარაკო ენად და ლიტერატურის ენად ხდება ინგლისური.

ახალი და ძველი თავად-აზნაურობა. ახალი თავად-აზნაურობა ყალიბდება, უმთავრესად, იმ ფენაში, რომელსაც წინათ აღნიშნავდნენ როგორც „რაინდობას". ეს ფენა დიდი ხნიდან, ჯერ კიდევ ჰენრიხ II დროიდან, თანდათანობით ჰკარგავს თავის სამხედრო ხასიათს. იგი შედგება მემამულეებისა და სოფლის მეურნეებისაგან. ყველა მათგანი როდი ღებულობს რაინდულ წოდებას. ჩვეულებრივ მათ უწოდებენ „ჯენტლმენებს" (კეთილშობილთ); შემკრებილობაში

სახელწოდება საშუალო შეძლების და წვრილი მემამულეების მთელი ფენისა იყო — ჯ ე ნ ტ რ ი. ზოგჯერ მათ უწოდებენ ავრეთვე „ესკვაირებს“ ანუ „სკვაირებს“ (რომლის პირდაპირი მნიშვნელობაა „იარაღთმტვირთველი“); ასევ უწოდებდნენ ისეთ პირს, რომელსაც უფლება ჰქონდა რაინდთა წოდებისა, მაგრამ ჯერ არ მიეღო იგი. სწორედ მათ წრეში წარმოებდა ყველაზე უფრო სწრაფად ძველ ფეოდალურ ურთიერთობათა გახრწნა და ახლის, კაპიტალისტურის შექმნა. მაგრამ XIV საუკ. დამლევს „ახალი თავად-აზნაურობა“ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მსხვილ პოლიტიკურ ძალად. „ბარონები“, ფეოდალური მაგნატები, ინარჩუნებენ ხელმძღვანელ მდგომარეობას ინგლისის სახელმწიფო ცხოვრებაში. ჩვენ შეგვიძლიან კიდევაც ვილაპარაკოთ „ფეოდალურ რეაქციაზე“ ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში; რეაქციაზე, რომელიც დაიწყო XIV საუკ. დამლევიდან. ფეოდალიზმის თანდათანობით მოსპობის, ინგლისის მრეწველობის ზრდის, ახალი თავად-აზნაურობის მოსპობის გვერდით, ინგლისის პოლიტიკური ცხოვრება თითქოს ღებულობს იმ თვისებებს, რომელნიც მოგვაგონებენ XII საუკუნეს, სტეფანეს და მატილდას ეპოქას. ვაუთავებელი ფეოდალური შინა-ომები და არეულობანი, ტახტისათვის ბრძოლა ფეოდალურ ხროვებს შორის — აი რა ახასიათებს პოლიტიკურ ცხოვრებას ინგლისში XIV საუკ. დამლევიდან XV საუკ. ბოლომდე.

ფეოდალთა ძალმომრეობა XIV საუკ. დასასრულიდან. ფეოდალური მაგნატები გარს ირტყავენ დაქირავებული ხალხის დიდ ამალებს. მათ ისინი ქირაობენ მეტ ნაწილად გაღატაკებული აზნაურების წრიდან. მათ ეძლევათ ფორმის ჩასაცმელი („ლივრეა“) ბარონის ღერბით — აქედან წარმოდგა ამ სამხედრო ამალების სახელწოდება — „ლივრეები“. ინგლისში იწყებენ პარპაშს ერთმანეთთან ნათესაობრივი ურთიერთობით დაკავშირებული ფეოდალთა ჯგუფები — მთელი ფეოდალური კლანები. დიდ ფეოდალებს გარს არტყიან მათგან დამოკიდებული წვრილი ნათესაობა და მეზობლობა. ფეოდალს თავისი „ლივრეით“, თავისი ნათესაობითურთ და კლიენტებით არ ეშინიან არც მეფისა, არც მისი სამსჯავროებისა, არც მოხელეებისა. იგი აწყობს თარეშს მეზობლებზე, სტაცებს მათ მიწებს, ზოგჯერ მისი ამალა ყაჩაღობს შარაგზებზე, და უმართავს ნამდვილ ბრძოლას ხელისუფალთ და მეფის ჯარებს. საპარლამენტო არჩევნები წარმოებდა ამ ბანდების პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ, რომელნიც ხმას აძლევდნენ თავიანთ ლორდის მითითებით და აშინებდნენ ყველა დანარჩენ ამომრჩევლებს. ქვემო პალატა გადადის ბარონებისათვის სასურველი ხალხის ხელში. ბარონები ცხადდებოდნენ პარლამენტში შეიარაღებული ამალებით. როდესაც აიკრძალა პარლამენტში იარაღით შესვლა, ისინი მოდიოდნენ კეტებით. 1426 წ. პარლამენტმა მიიღო „ჯოხის პარლამენტის“ სახელწოდება. როდესაც კეტებიც აკრძალეს, ისინი მალავდნენ თავიანთ წამოსასხამების ქვეშ ქვებს და ტყვიის საწონებს.

ფეოდალური ანარქიის ეს აღორძინება დაკავშირებულია ფეოდალური მეურნეობის დაცემასთან. იმ დროს, როდესაც ახალი თავად-აზნაურობა ეგუებოდა წარმოების ახალ პირობებს და სულ უფრო და უფრო მეტად ადგებოდა კაპიტალისტური ექსპლოატაციის გზას, მეტ ნაწილად ფეოდალური რენტით მცხოვრები მსხვილი ფეოდალების მეურნეობა განიცდიდა მწვავე კრიზისს. ფეო-

დალთა ცდას, გაეზარდნათ ფეოდალური რენტა და განსაკუთრებით ბეგარა, არ ჰქონია საბოლოო შედეგი. მან უაღრესად გააბოროტა გლეხობა და იქცა 1381 წ. აჯანყების ერთ-ერთ მიზეზად. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყება ჩაქრეს, მისი ხსოვნა დიდხანს არ გამქრალა, და ლორდები ვერა ბედავდნენ თავიანთი ცდების განახლებას. მომეტებულ შემთხვევაში ისინი თავს ანებებდნენ საკუთარი საბატონო მეურნეობის წარმოებას და აძლევდნენ საბატონო მიწას იჯარით. საბატონო მიწის მოიჯარეებად იყვნენ უმთავრესად გამდიდრებული გლეხები. საბატონო მეურნეობის ლიკვიდაციამ მისცა მნიშვნელოვანი ბიძგი გლეხობის ქონებრივ დანაწილებას და მასში შეძლებული ზედა ფენის ზრდას. მაგრამ ამავე დროს მას ჰქონდა მეტად მნიშვნელოვანი შედეგები ფეოდალთათვისაც.

საკუთარი საბატონო მეურნეობის ლიკვიდაციის წყალობით ფეოდალი სწყვეტდა ყოველგვარ კავშირს ბაზართან და კარგავდა ვაჭრობიდან სარგებლობის ნახვის შესაძლებლობას. ამავე დროს წარმოებს გლეხების რენტების ფიქსაცია. ფეოდალი იქცევა რენტის უბრალო მიმღებად, მაგრამ ამ გზით მისი შესაძლებლობანი მეტად შეზღუდულია. და აი, ფეოდალი მიმართავს თავის გულის ყურს იქითკენ, რომ პარაზიტული ექსპლოატაცია გაუწიოს სახელმწიფო აპარატს, როგორც თავისი შემოსავლის გაზრდის საშუალებას. ბრძოლა ძალა-უფლებისათვის, ბრძოლა სამეფო გვირგვინის დაუფლებისათვის, ან და გავლენის მოხვეჭისათვის სამეფო კარზე, სახელმწიფო ქონების გაძარცვის მიზნით, იქცევა ფეოდალური ხროვების მოავარ მიზნად. შემოსავლის მეორე წყაროს წარმოადგენს სამხედრო დარბევა, ნადავლი ან და პირდაპირი ყაჩაღობა შარა-გზაზე. ინგლისის სამეურნეო ცხოვრების საერთო აღმავლობის ეპოქაში ფეოდალები ხელახლა იქცნენ საშიშარ მტაცებლებად, ისინი გაველურდნენ ნადავლის მოპოვებისთვის სისხლისმღვრელი ბრძოლის წყალობით, აყენებდნენ უდიდეს ზარალს იმ კლასების ინტერესებს, რომელნიც ახლა სულ უფრო და უფრო იჭერენ პირველ ადგილს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში.

ლანკასტერთა დინასტია. 1399 წ. ჩრდილოელი ბარონების ინიციატივით ტახტიდან ჩამოგდებულ იქნა რიჩარდ II. ამასთანავე ერთად ბარონებმა გამოიყენეს ის უკიდურესი უკმაყოფილება ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა ფენებისა, რომელიც გამოწვეული იყო რიჩარდ II უხეირო მმართველობით. სამეფო ტახტზე მათ დასვეს ჰენრიხ ლანკასტერი, ჰენრიხ IV სახელწოდებით.

ასწლიანი ომი შენელდა რიჩარდ II დროიდან. სამხედრო მრეწველობანი ახალი ენერგიით განახლდა ლანკასტერთა დინასტიის მეორე მეფის, ჰენრიხ V დროს (1413 — 1422 წწ.). ფეოდალთა პარპაშს, მძიმე გადასახადებს, ბწვალებელთა დევნას, რაც წარმოადგენდა ანტი-ფეოდალურ მოძრაობათა გასრესის საშუალებას,—შედეგად მოჰყვა ჰენრიხ V მმართველობის დასაწყისში ღრმა სახალხო მღელვარებანი, რომელთაც მოიცვეს მთელი ინგლისი.

იმ მიზნით, რომ შეეჩერებინა შინაგანი სახალხო არეულობანი, ჰქონოდა კანონიერი საბაბი ახალი ფინანსიური მოთხოვნისა და დაეკმაყოფილებინა ომისა და ნადავლის მოსურნე ფეოდალები, ჰენრიხმა დაიჩქარა ომის განახლება საფრანგეთთან. მდგომარეობამ მას ხელი შეუწყო. ბრძოლამ ბურგუნდიე-

ლებს და არმანიაკებს შორის მიაღწია უაღრეს გაბოლოებას; ბურგუნდიის ჰერცოგმა შეკრა კავშირი ინგლისელებთან. ჰენრიხ V გამოიჩინა ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი. 1415 წ. იგი გადავიდა საფრანგეთის სანაპიროზე და მცირე ძალებით გაანადგურა ფრანგთა ლაშქარი აზენკურთან. მალე მან დაიპყრო საფრანგეთის მთელი ჩრდილოეთ ნაწილი და დაეუფლა პარიზს (იხ. თავი XX). ასეთი დიდი წარმატებების დროს ჰენრიხი მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა (1422 წ.).

ჰენრიხ VI. სამეფო გვირგვინი ერგო მის ვაჟს ჰენრიხ VI (1422—1461 წწ.), რომელიც იმ დროს ერთი წლისა არც კი იყო. ღაიწყო ტახტისათვის, გავლენისათვის და ძალაუფლებისათვის ბრძოლა ინგლისის უმსხვილეს ფეოდალებს შორის. ამავე ღროს საფრანგეთში ბრწყინვალედ დაწყებული ომი ღებულობდა ინგლისელთათვის სულ უფრო და უფრო არა სასურველ მიმდინარეობას. საშინელმა აოხრებამ, რომელსაც აყენებდნენ ინგლისელები უბედურ ქვეყანას, გამოიწვია საყოველთაო აღშფოთება დამპყრობელთა წინააღმდეგ. თავადაზნაურობა, ბურჟუაზია, გლეხობა შემჭიდროვდნენ კარლოს VII ირგვლივ. ბურგუნდიის ჰერცოგმა, რომელთანაც კავშირმა ესოდენ გაუადვილა ინგლისელებს მათი პირველი წარმატებანი, ახლა იმის გამო, რომ ინგლისელები შეეცადნენ ნიდერლანდების ხელში ჩაგდებას, გაწყვიტა კავშირი ინგლისთან და შეკრა კავშირი კარლოს VII. ინგლისელები დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდნენ. ფეოდალური ხროვების ბრძოლამ მეფის კარზე კიდევ უფრო გააუარესა საქმე. ინგლისელებმა თანდათანობით დაკარგეს ყველა თავიანთი დანაპყრობი საფრანგეთში. ასწლიანი ომის დამთავრებისას (1453 წ.) მათ შერჩათ ხელთ მხოლოდ კალე.

თუ ჰენრიხ V სამხედრო წარმატებანი დროებით იოკებდენ სახალხო უკმაყოფილებას, სამაგიეროდ ფეოდალთა მოურიდებელმა პარპაშმა, გადასახადების უზომო ზრდამ, ხაზინის გაძარცვამ და სამარცხვინო მარცხებმა საფრანგეთში მისი მემკვიდრის დროს, გამოიწვიეს სულ უფრო და უფრო მზარდი უკმაყოფილება: რაინდობა, ბურჟუაზია, გლეხობის ზედა ფენა იყენენ მოსურნენი ძლიერი ხელისუფლებისა, რომ მას შესძლებოდა ფეოდალური ანარქიისათვის ბოლოს მოღება.

ლანკასტერთა დინასტიის საწინააღმდეგოდ, რომლის დროსაც აშკარად ბატონობდნენ ფეოდალები, რაინდობამ და მოქალაქეთ იწყეს მხარის დაჭერა იორკების დინასტიისათვის, რომელნიც წარმოადგენდნენ ინგლისის უმსხვილეს მიწათმფლობელებს. სამეფო გვარეულობის შორეული ნათესავი ჰერცოგი რიჩარდ იორკელი იყო პოპულარული როგორც ნიჭიერი სარდალი, რომელმაც ერთხანს შესძლო ინგლისელთა საქმეების გამოსწორება საფრანგეთში. ინგლისელთა ფართო წრეები ყველა სამხედრო მარცხებს იმითი ხსნიდნენ, რომ მეფის კარზე მისი მტრების ინტრიგების წყალობით, იგი გამოწვეულ იქნა საფრანგეთიდან. საერთო უკმაყოფილებას მოჰყვა აჯანყება, რომელმაც მოიცვა ინგლისის სამხრეთი ნაწილი. მის ცენტრად შეიქნა კენტის საგრაფო.

ჯეკ კედის ამბოხება. აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჯეკ კედი, გამოცდილი ჯარისკაცი, მიიღო ორგანიზაციული ხასიათი. სამრეველები გზა-

ვნიდნენ შეიარაღებულ რაზმებს; ზოგან ხელისუფალნი ჰკრებდნენ სახალხო ლაშქრებს ფორმალური ბრძანებებით. ამბოხებულთა უმთავრეს მასას შეადგენდა გლეხობა, მაგრამ მათ შეუერთდა მრავალი რაინდი. მათ მომხრეთა შორის იყო რამოდენიმე ბარონიც კი. 20 ათასიანი ლაშქრით ჯეკ კედი დაიძრა ლონდონისაკენ. კედმა გამოსცა მანიფესტი, რომელიც შეიცავდა საჩივრების და მოთხოვნილებების მთელ რიგს. კედის მანიფესტი წარმოადგენდა პროტესტს მძიმე გადასახადების და ჯარიმების წინააღმდეგ, მიმართული იყო მეფის მოხელეთა მძარცველობის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი ჩადიოდნენ განსაკუთრებით გადასახადების კრეფის დროს, არჩევნებზე უკანონო ზეგავლენის მოხდენის და მთელ რიგ დანარჩენ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ და აგრეთვე საფრანგეთში ომის უხეიროდ წარმოების წინააღმდეგ. მანიფესტი მოითხოვდა ყველა ამ ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრას, ფეოდალთა მიერ დატაცებული სამეფო მამულების დაბრუნებას მეფისათვის, უვარგისი მრჩეველების მოშორებას და ხელისუფლების გადაცემას იორკის ჰერცოგისათვის. ეს იყო პოლიტიკური მოთხოვნა. მხოლოდ ერთი მოთხოვნა იყო სოციალური ხასიათისა — „მუშათა კანონმდებლობის“ გაუქმების მოთხოვნა. პოლიტიკურ მოთხოვნათა სიჭარბე, აგრეთვე მათი ზომიერი ხასიათი მოწმობენ იმას, რომ მოძრაობის ამ სტადიაზე ხელმძღვანელობა ჩაიგდო ხელში ამბოხებულთა სოციალურმა ზედა ფენამ—რაინდობამ და იგი შეეცადა წამოეყენებინა პროგრამა, რომელზედაც შეეძლოთ ასე თუ ისე შეთანხმება ამბოხებაში მონაწილე ყველა სოციალურ ფენებს. გლეხობის ძირითად მასას და, განსაკუთრებით, გლეხობის ზედა-ფენას შეეძლო პირველ ხანებში დაკმაყოფილება ამ პროგრამით, ვინაიდან იმ დროს ფეოდალური ექსპლოატაცია გამოიხატებოდა არა იმდენად უშუალოდ ფეოდალური რენტის ზრდაში, რამდენადაც ფეოდალურ დაჯგუფებათა მიერ სახელმწიფოებრივი საგადასახადო აპარატის გამოყენებაში ხალხის საყვლეფად, ამიტომ გლეხობასაც პოლიტიკური რეფორმა ყველაზე მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა. მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებას თავდაპირველად ჰქონდა მნიშვნელოვანი წარმატება. მთავრობის სამხედრო ძალები ვერ აღმოჩნდნენ სანდონი; მეამბოხეებმა მიაღწიეს დედაქალაქს, რომელმაც გაუღო მათ თავისი ჭიშკარი. ჯეკ კედმა მისცა სამართალში და სიკვდილით დაასჯევინა ხალხისათვის ყველაზე საძულველი მეფის მრჩეველნი, რომელნიც კი ხელთ იგდეს ლონდონში. მაგრამ თანხმობა და კარგი ურთიერთობა ლონდონის ბურჟუაზიასთან დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ისევე როგორც უოტ ტაილერის ამბოხების დროს, ლონდონის ღარიბ-ღატაკნი აჯანყდნენ თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ და გლეხებთან ერთად იწყეს მდიდარი ვაჭრების და ქალაქის ხელისუფალთა სახლებისა და მაღაზიების ძარცვა. მაშინ ლონდონის ბურჟუაზიამ მერის მეთაურობით ხელი მოჰკიდა იარაღს და ტაუერის გარნიზონის დახმარებით გააძევა ამბოხებულნი ქალაქიდან. კედის ცდა ლონდონში ძალით დაბრუნებისა მარცხით დამთავრდა. შეამბოხენი იდგნენ სატანტო ქალაქის წინ და ყოყმანებდნენ. მაშინ კენტერბერის არქიეპისკოპოსი და ეკლესიის სხვა პრელატები გამოვიდნენ შუამავალთა როლში. მეფის და მისი საბჭოს სახელით ისინი შეჰპირდნენ ხრულ ამნისტიას მეამბოხეთ, თუ ისინი დაუყოვნებლივ დაიშლებოდნენ. დაინახა რა

თავის მომხრეთა მერყეობა, კედმა დაშალა თავისი რაზმები, რის შემდეგაც მთავრობამ დაუყოვნებლივ გააუქმა ამნისტია. კედი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს, მთელი ქენტი მოფენილი იყო სახრჩობელებით. დანარჩენ საგრაფოებში ამბოხების განცალკევებული ცდები სწრაფად ჩააქრეს.

ალისფერი და თეთრი ვარდების ომი. კედის ამბოხების ჩაქრობამ და იმ ამბოხების დროს წარმოშობილმა კლასობრივ წინააღმდეგობათა შეტაკებამ ბურჟუაზიას და ახალ თავად-აზნაურობას იმედი მოუსპო ფართო ხალხთა მოძრაობის გამოყენებისა, როგორც ფეოდალთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებისა. ახლა ისინი მთელ თავის იმედს ამყარებენ იორკის ჰერცოგზე და დინასტიის შეცვლაზე. ამას გარდა, ჰერცოგი ეყრდნობოდა ფეოდალებს, რომლებთანაც დაკავშირებული იყო ნათესაობრივად და იმ ფეოდალურ ჯგუფებს, რომელნიც მოკლებული იყვნენ ძალა-უფლებას და ეავლენას სამეფო კარზე. ორივე მხარემ დაიწყო მზადება შეიარაღებული ბრძოლისათვის. 1455 წ. მოხდა პირველი საბრძოლო შეტაკება იორკის მომხრეთა და იმ ფეოდალებს შორის, რომელთაც ხელთ ეპყრათ ძალა-უფლება ჰენრიხ VI ლანკასტერის დროს. ეს შეიქნა დასაწყისად ხანგრძლივი სამოქალაქო ომისა, რომელმაც მიიღო ისტორიაში „ალისფერი და თეთრი ვარდების ომის" სახელწოდება: ლანკასტერების ღერბზე გამოსახული იყო ალისფერი ვარდი, ხოლო იორკთა ღერბზე — თეთრი ვარდი. ლანკასტერების მხარე დაიჭირა მსხვილ ფეოდალთა უმრავლესობამ, განსაკუთრებით კი მიეცხრნენ მას პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ნაჩვევი, და დიდი სამხედრო ძალების მქონე ჩრდილოეთელი ფეოდალები. იორკების მხარე ეჭირათ ეკონომიურად უფრო განვითარებულ სამხრეთ ინგლისის მსხვილ ფეოდალთა ნაწილს და აგრეთვე მომეტებულ ნაწილს „ახალი თავად-აზნაურობისას" და ბურჟუაზიისას, რომელნიც ისწრაფოდნენ ძლიერი სამეფო ხელისუფლების დამყარებისაკენ. ეს კი უნდა ითქვას, რომ ბევრი ფეოდალისათვის ეს ომი წარმოადგენდა მხოლოდ ძარცვა-გლეჯისა და საკუთარი პოლიტიკური დამოუკიდებლობის გაძლიერების საბაბს. ისინი გადადიოდნენ ერთის მხარიდან მეორე მხარეს მოსალოდნელი სარგებლობის ფილების, პირადი კავშირების ან და წყენის მიხედვით. ასწლიანი ომის დამთავრებამ გაზარდა ფეოდალთა სამხედრო რაზმები უქმად დარჩენილი დაქირავებული ჯარისკაცებით. ვარდების ომი წარმოადგენდა ფეოდალური თვითნებობის და უკანონობათა უუდიდესი მძვინვარების ეპოქას.

ჰერცოგ რიჩარდ იორკელს მოჰკვეთეს თავი უეკფილდთან დამარცხების შემდეგ. იორკისტებს სათავეში ჩაუდგა მისი ძე ედუარდი, ცხრამეტი წლის ჭაბუკი, რომელმაც გამოიჩინა საუკეთესო სარდლის ნიჭი. 1461 წ. იგი დაეუფლა ლონდონს. მასთან ერთად ლორდებმა გამოაცხადეს იგი მეფედ. მოქალაქეებმა სიხარულით დაუჭირეს მხარი ამ არჩევანს. სამხრეთ ინგლისის რაინდობისა და შეძლებული გლეხობის დახმარებით ედუარდმა მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება ლანკასტერებზე, რაც დასრულდა დამარცხებულთა საშინელი ხოცვა-ჟლეტით. ედუარდი აკურთხეს მეფედ ვესტმინსტერში.

იორკების დინასტია. ედუარდ IV გამეფებამ (1461 — 1483 წწ.) ვერ მოუღო ბოლო ვარდების ომს. სამხედრო მოქმედებანი განახლდნენ. ლანკასტერელებმა ხელახლა განიცადეს დამარცხება, მრავალი ლანკასტერელი ბარონი და-

ილუპა ეშაფოტზე, კონფისკაცია უყვეს მათი მამულებს. მაგრამ ედუარდი არ ეხდობოდა არც ბარონებს — იორკისტებს და ცდილობდა ახალი არისტოკრატიის შექმნას, იაბლოვებდა ხალხს საშუალო შეძლების რაინდობიდან, ურიგებდა მათ ტიტულებს და სამფლობელოებს.

ედუარდ IV მეფობის მეორე ნახევარმა ჩაიარა ახალ ფეოდალურ არეულობათა გარეშე. მაგრამ ფეოდალთა ძლიერება ჯერ კიდევ არ იყო სრულიად მოტეხილი. ედუარდი უნდობლად ექცეოდა პარლამენტს, რომლის წევრების აბჩევნები წარმოებდა ჯერ კიდევ ფეოდალური არისტოკრატიის გავლენის ქვეშ. იგი ცდილობდა შეძლებისდაგვარად გვერდი აეხვია პარლამენტისთვის და განსაკუთრებით არ სურდა მისგან დამოკიდებული ყოფილიყო ფინანსების მხრივ. მას ერჩია მიემართნა „ნებაყოფლობითი საჩუქრებისათვის", ეგრეთწოდებული „ბენევოლენციებისათვის". მათი ნებაყოფლობა იყო ფრიად საეჭვო, მაგრამ მდიდარი ბურჟუაზია უარს არ ეუბნებოდა მეფეს, რომლის ძლიერ ხელისუფლებაში ხედავდა ფეოდალური ანარქიის დაუბრუნებლობის საწინდარს. ედუარდი მიმართავდა აგრეთვე იძულებით სესხებს. მეფის ხელში იმყოფებოდა ისეთი მნიშვნელოვანი რესურსი, როგორიც იყო ფეოდალებისგან ჩამორთმეული მიწები, ამას გარდა, მან აიძულა პარლამენტი გადაეცა მისთვის სიკვდილამდის უფლება ბაჟების აკრეფისა. მეფე არ თაკილობდა პირად მონაწილეობასაც საეჭვო საქმეებში. მეფის ხომალდებს მიჰქონდათ ხმელთაშუაზღვის ნავსადგურებში კალა, მატყლი და ტილო. 1475 წ. ედუარდი თავს დაესხა საფრანგეთს, მაგრამ ლუდოვიკ XI გამოისყიდა თავი დიდი ერთდროული თანხით და ინგლისის მეფისათვის დიდი ყოველწლიური პენსიის დანიშვნით. ამას გარდა, ედუარდმა ხელი მიჰყო ფულის გაფუჭებას, რასაც მანამდის ერიდებოდნენ ინგლისის მეფეები. ყველაფერი ეს სძენდა ედუარდს მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროებს, ზედმეტად ხდიდა პარლამენტის მოწვევას და უხსნიდა ხელებს მეფეს მმართველობის და კანონმდებლობის საკითხებში. ედუარდ IV მეფობა უკვე ამზადებს ნიადაგს ინგლისში აბსოლუტიზმის ხანისათვის.

ედუარდ IV სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი თორმეტი წლის ვაჟი ედუარდ V. მის რეგენტად, ანუ „პროტექტორად", შეიქნა მისი ბიძა ჰერცოგი რიჩარდ გლოსტერელი. რიჩარდმა ჩაამწყვდია ტაუერში მცირეწლოვანი მეფე მისი ძმითურთ და გამოაცხადა თავისი თავი მეფედ. რიჩარდ III სახელწოდებით. მალე ბავშვები დახოცეს ბიძის ბრძანებით. ბარონებმა გამოიყენეს ეს სასახლის გადატრიალება ახალი აჯანყებისათვის. მათ წამოსწიეს თავიანთი კანდიდატი სამეფო ტახტზე — ჰენრიხ ტიუდორი, ლანკასტერთა საგვარეულოს მემკვიდრე. მისი მხარე ეჭირათ როგორც ლანკასტერელებს, ისევე ბევრ იორკისტ ბარონთაგანს, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ რიჩარდ III მკაცრი პოლიტიკით. 1485 წ. აგვისტოს 22 რიჩარდის და ჰენრიხის ჯარებს შორის მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ბოსვორტთან, რომელიც დამთავრდა მეფის სრული დამარცხებით და მისი დაღუპვით. ჰენრიხ ტიუდორი გამოცხადებულ იქნა ინგლისის მეფედ. მალე მან იქორწინა იორკების საგვარეულოს მემკვიდრეზე, ედუარდ IV ასულ ელისაბედზე. თავის ღერბში მან გააერთიანა ალისფერი და თეთრი ვარდები.

ჰენრიხ ტიუდორი, ფეოდალმფლობელი ახალი — ტიუდორთა — დინასტიისა, ტახტზე იქნა აყვანილი ლანკასტერების და ნაწილობრივ იორკის პარტიის ბარონების მიერ. მაგრამ იგი განაგრძობდა იმ პოლიტიკას, რომლის წარმომადგენელიც იყო ედუარდ IV, — ბარონების პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ თანმიმდევრობითი ბრძოლისა და სამეფო ხელისუფლების განმტკიცების პოლიტიკას. მისთვის მით უფრო აღვილი იყო ამ პოლიტიკის წარმატებით გატარება, რომ ვარდების ომს შედეგად მოჰყვა ფეოდალური არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაღუპვა-განადგურება და მისი ეკონომიური ძლიერების მოტეხვა.

ინგლისის ეკონომიური განვითარება XV საუკუნეში. მიუხედავად ყველა პოლიტიკური შეხლა-შემოხლის და სამხედრო მარცხებისა, ინგლისის ეკონომიური განვითარება XV საუკუნეში სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. რასაკვირველია, ფეოდალურ არეულობებს მძიმე შედეგი ჰქონდათ სახალხო მეურნეობისათვის, ხოლო სამხედრო დამარცხებებმა უარყოფითი გავლენა იქონიეს ინგლისის მრეწველობაზე და ვაჭრობაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, XV საუკუნეში ინგლისში შესამჩნევია საწარმოო ძალთა ზრდა და ღრმა საზოგადოებრივი ცვლილებები.

XV საუკ. მეორე ნახევრისათვის სოფლის მეურნეობაში თითქმის სრულიად ქრება საბატონო ბეგარა. კოპიჰოლდერი იხდის ფულად რენტას, რაინდი და შეძლებული გლეხი აწარმოებენ თავიანთ მეურნეობის დაქირავებული შუშა ხელის დახმარებით. ვლეხობის დიფერენციაცია და სასოფლო ნახევარ-პროლეტარიატის გამოყოფა ცალკე ფენად მიმდინარეობს სწრაფი ტემპით.

XV საუკუნეში სასოფლო მეურნეობაში სულ უფრო და უფრო დიდი როლის თამაშს იწყებს იჯარა. დომენის ლიკვიდაციამ მსხვილი ფეოდალების შიწებზე შექმნა იჯარისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები. ინგლისის სოფლის მეორე დამახასიათებელ მოვლენად ხდება აზნაურობის რიგებში გადასვლა გამდიდრებული გლეხობის ნაწილისა, რომელმაც ეისყიდა მიწის მნიშვნელოვანი ფართობები. მიწას ხშირად ყიდულობდნენ ვაჭრები, მევახშეები, მრეწველები; ისინი ცდილობდნენ არა მარტო თავიანთ ფულის ხელსაყრელად მოთავსებას, არამედ პოლიტიკური გავლენის მოპოვებასაც, რაც დაკავშირებული იყო მიწათმფლობელობასთან. ფეოდალური არისტოკრატიის განადგურებამ ვარდთა ომში გააძლიერა პროცესი მიწების შეძენისა ბურჟუაზიის მიერ. „ახალი თავად-აზნაურობის“ რიგები სწრაფად იზრდებიან XV საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში. მიწის ყიდვა-გაყიდვა იწვევს შუამავალთა გაჩენას და მიწით სპეკულაციას. ფასები მიწაზე იზრდება. ახალი მიწათმფლობელები ხარჯავენენ მიწის შეძენაზე ფულის მნიშვნელოვან თანხებს, ამიტომ ისინი ცდილობდნენ მიეღოთ მისგან რაც შეიძლება მეტი მოგება. ამის ერთ-ერთ შემაფერხებელ მოვლენას წარმოადგენდა ძველი ფეოდალური გლეხობა — კოპიჰოლდერები, რომელნიც იხდიდენ ფიქსირებულ ფულად რენტებს. „ახალი თავად-აზნაურობა“ ცდილობს თავიდან მოიშოროს გლეხი — კოპიჰოლდერი, რათა შეცვალოს იგი ფერმერით, რომლის საიჯარო ქირა შეიძლებოდა გაზრდილიყო სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობასთან დაკავშირებით. ხშირად გლეხთა მონაკვეთებს აქცევენ ფართო საძოვ-

რებად ცხვრისათვის. იორკების დინასტიის დროს უკვე იწყება „შემოღობვათა“ მოძრაობა.

თავად-აზნაურობა, რომელსაც თავისი მეურნეობა ახალ გზაზე გადაყავდა, ახალი მიწათმფლობელნი, შეძლებული გლეხობის ზედა-ფენა, დაინტერესებული იყვნენ ძლიერ სამეფო ხელისუფლების არსებობაში.

დიდი ძვრები ხდება მრეწველობის დარგში. XIV-XV საუკუნეებში ინგლისში — ეს არის ეპოქა დიდი ცვლილებებისა ქალაქის საამქროებში. განსაკუთრებით XV საუკ. შესამჩნევია მკვეთრი ქონებრივი დანაწილება საამქროში, ოსტატად გახდომის გაძნელება, ქარგლების ქცევა მუდმივ დაქირავებულ მუშებად. ამასთანავე ერთად იწყებენ აღმოცენებას ქარგალთა კავშირები. მთელი რიგი წვრილი საამქრო ოსტატებისა ფაქტიურად კარგავს თავის დამოუკიდებლობას და იძულებულია იმუშაოს მსხვილი ოსტატებისათვის ან ვაჭრებისათვის. საქალაქო მრეწველობაში სულ უფრო და უფრო მწვავდება კლასთა ბრძოლა. საქალაქო მმართველობა იხშობა, იგი უვარდება ხელში საამქრო ოსტატების ზედა ფენას. წინაპროლეტარიატის მოსათვინიერებლად და დასამორჩილებლად წარმოებული ბრძოლისათვის ჯერ კიდევ სუსტი საქალაქო ბურჟუაზია ავრეთვე საჭიროებდა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დახმარებას.

მაგრამ ინგლისის მრეწველობის განვითარების მთავარი გზა ქალაქებს სცილდებოდა. სამრეწველო ორგანიზაციის ახალი ფორმა — მანუფაქტურა — ყალიბდება სოფლად. ქალაქი თავისი საამქრო შეზღუდვებით და მონოპოლიებით წარმოადგენს მისი განვითარებისათვის შეუფერებელ ნიადაგს. შინა-მრეწველობა მასა სულ უფრო და უფრო ვარდება მდიდარი ვაჭარი მანუფაქტურისტების დამოკიდებულებაში. აქ ისახება თავდაპირველი ფორმები კაპიტალისტური ექსპლოატაციისა, რომელიც მოითხოვს ენერგიულ მხარის დაჭერას სახელმწიფოს მხრივ.

ედუარდ IV მეფობაში მიღებულ იქნა მთელი რიგი ზომებისა ინგლისური შალის მრეწველობის დასახმარებლად. იკრძალება მატყლის გატანა, სწრაფად იზრდება მაუდის გატანა. 1422 წ. ჰანზელმა ვაჭრებმა გაიტანეს ლონდონიდან 4464 ნაჭერი (თოფი) მაუდი, ხოლო 1500 წ. — უკვე 21.289. ამას გარდა მაუდის გაზიდვას იწყებენ ინგლისელი ვაჭრებიც. ზემოთ ნახსენები იყო ვაჭარ-ავანტიურისტების კომპანიის აღმოცენების შესახებ. ინგლისი სულ უფრო და უფრო მეტად გადადის აქტიურ ვაჭრობაზე, ახალი ბაზრების დაპყრობაზე. XV საუკ. ინგლისელ ვაჭრებში გამომუშავდა მტკიცე რწმენა იმის შესახებ, რომ ინგლისის ძლიერება მდებარეობს ზღვაზე. 1436 წ. გამოვიდა „პამფლეტი ინგლისური პოლიტიკის შესახებ“, რომელშიაც ტარდება ის აზრი, რომ თვით ბუნების მიერ არის ინგლისი განკუთვნილი საზღვაო ვაჭრობისათვის და ზღვაზე ბატონობისათვის; ინგლისის სიძლიერე და ინგლისის ვაჭრობა დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან.

ინგლისის საავჭრო ფლოტის აღმოცენება და შექმნა მოდის ედუარდ III ხანაზე. უკვე იმ დროს გამოიცა პირველი „ნავიგაციო აქტი“ (1369 წ.), რომელიც უბრძანებდა ინგლისელ ვაჭრებს ესარგებლნად თავიანთ-

საქონლის გადასაზიდად ინგლისური და არა უცხოური გემებით. ასეთივე კანონები იცემოდა ედუარდ IV დროს.

ინგლისის საგარეო პოლიტიკა ახლა მნიშვნელოვნად განისაზღვრებოდა ინგლისის ვაჭრობის ინტერესებით. ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, მტკიცე პოლიტიკის გატარების შემძლე, ახლა ბაზრების დამპყრობელ ინგლისელ ვაჭარს ესაჭიროება.

ასე მზადდებოდა ახალი პერიოდი ინგლისის ისტორიისა—პერიოდი აბსოლუტიზმისა, რომლის აყვავების ხანა მოდის ტიუდორების დინასტიის ეპოქაზე (1485 — 1603 წწ.).

ლიტერატურა

I. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки, т. II („Архив Маркса и Энгельса", т. VI, стр. 49—62, 68—73, 304—309, 316—345, 401—407) и т. III („Архив Маркса и Энгельса", т. VII, стр. 3—15). — Маркс, Капитал, т. I, гл. VIII, XXIII, XXIV, Соч., т. XVII. — Маркс, Капитал, т. III. гл. XLVII.—Энгельс, О разложении феодализма и развитии буржуазии, Соч., т. XVI, ч. 1. — Энгельс, Армия, Соч., т. XI, ч. 2, стр. 387—390. — სტალინი, „საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან", 1939, გვ. 10—11.

II. წყაროები. Социальная история средневековья, под ред. Косминского и Удальцова, т. II, 1927, стр. 57—223. — Английская деревня XIII и XIV веков, сборник материалов под ред. Косминского и Петрушевского, 1935. — Хрестоматия по западноевропейской литературе. Средние века (IX—XV вв.), под ред. Шор, 1938, стр. 519—554.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. III, 1897, стр. 393—424. — Грин, История английского народа, т. I, 1891. — Петрушевский, Восстание Уота Тайлера, разн. изд. — Оман, Великое крестьянское восстание в Англии, М. 1907 — Кеннингем, Рост английской промышленности и торговли, 1904. — Эшли, Экономическая история Англии, М. 1897. — Роджерс, История труда и заработной платы в Англии с XIII по XIX век, Спб. 1899. — Общественная жизнь Англии, под ред. Трайля, т. II, 1897. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. III, ст. 52; т. IV, ст. 73, 78.

თავი XXIV

გერმანია XIII—XV საუკუნეებში

აღმოსავლეთით მდებარე მიწების დაპყრობა და კოლონიზაცია

ელბას გაღმა მდებარე და ბალტიისპირეთის მიწების გერმანული კოლონიზაცია. XII — XIII საუკუნეები წარმოადგენენ ხანას გერმანული დამპყრობლების გაძლიერებული მოძრაობისას აღმოსავლეთისკენ, დასავლეთ სლავების — ლატიშების, ესტების, პრუსების, ლიტველების — მიწა-წყალში.

გერმანიის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყლის დაპყრობანი გამოწვეული იყვნენ, პირველ ყოვლისა, მთავრების ინტერესებით, რომელთაც სურდათ შეძენა ახალი ტერიტორიებისა, როგორც შემოსავლის წყაროსი. ისინი გამოწვეული იყვნენ აგრეთვე გაღატაკებული რაინდობის ინტერესებით, რომელიც თავდაპირველად მონაწილეობას იღებდა ჯვაროსნულ ლაშქრობებში, ხოლო მაჰმადიანურ აღმოსავლეთში მარცხის შემდეგ ეძებდა დაპყრობებს და ნადავლს აღმოსავლეთ ევროპაში; ისინი გაპირობებული იყვნენ აგრეთვე გერმანული ეკლესიის ინტერესებით, რომელიც დაინტერესებული იყო მეათედის, მამულების და ყმა-გლეხობის შეძენაში და რომელიც „წარმართთა“ მოქცევას უყურებდა როგორც მეტად სარგებლიანობის მომტან საქმიანობას. დაპყრობებში მონაწილეობდნენ ქალაქებიც, მოსურნენი ნედლეულის და გასაყიდი საქონლის ბაზრების შეძენისა. დაბოლოს, დაპყრობილ მიწებში მიიმართებოდა კლეზური კოლონიზაცია.

გერმანელებმა შეძლეს დიდი სამფლობელოების დაპყრობა. მხოლოდ იქ, სადაც მათ უხდებოდათ პოლიტიკურად სუსტი და დაქსაქსული ტომების დაძლევა. იქ, სადაც მათ პირისპირ იდგნენ უფრო მსხვილი და შემჭიდროვებული პოლიტიკური კავშირები, როგორც, მაგალითად, პოლონეთში და ჩეხიაში, მათ უხდებოდათ კოლონიზაციის უფრო „მშვიდობიანი“ მეთოდებისათვის მიმართვა (იხ. თავები XXVIII და XXIX).

ობოდრიჩების და ლუტიჩების მიწების დაპყრობა. გერმანელთა ძლიერი შეტევა ლაბისპირის სლავებზე ჰენრიხ I და ოტონ I ხანაში შეფერხდა X საუკუნეს დამლევისათვის. 983 წ. მოეწყო ლაბისპირის სლავების საყოველთაო აჯანყება გერმანელთა ბატონობის წინააღმდეგ. ამასთან ერთად განადგურება განიცადა აგრეთვე ძალდატანებით დანერგილმა ქრისტიანულ-გერმანულმა ეკლესიამ, საკუთარი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა სლავებმა აღდგი-

ნეს წინანდელი რელიგია. XII საუკუნის დამდეგს ლაბისპირის და ზღვისპირის სლავებს შორის ჯერ კიდევ ბატონობდა წარმართობა. XII საუკ. დაიწყო ახალი შეტევა სლავების მიწა-წყალზე. ახალი დაპყრობების ინიციატორები იყვნენ არა იმპერატორები, გართულნი ლაშქრობებით იტალიაში, ბრძენ ცალკეული მთავრები. მათ შორის პირველი ადგილი ეჭირა ფრიდრიხ ბარბაროსას მოქიშპე — ჰენრიხ ლომს, ჰერცოგს საქსონიისას და ბავარიისას. ნაწილობრივ ძალით, ნაწილობრივ ვერაგობით ჰენრიხ ლომმა ხელთ იგდო ბოდრიჩების მიწების უმეტესი ნაწილი და მათ სათავეში ჩააყენა გრაფები. რომლებმაც დააკისრეს სლავურ მოსახლეობას მძიმე ხარკები და საეკლესიო გადასახადები. სლავებისაგან წართმეულ მიწებზე ისინი ასახლებდნენ კოლონისტებს, გამოსულთ ჩრდილო-გერმანიის ქვეყნებიდან. ბოდრიჩთა მიწა-წყლის უმეტესი ნაწილისგან ჰენრიხ ლომმა შექმნა მეკლენბურგის საჰერცოგო; ბოდრიჩთა მიწების დანარჩენი ნაწილი დანაწილებულ იქნა გერმანელ გრაფებს შორის. ყველგან ამ საგრაფოებში ხდებოდა იძულებითი ქრისტიანიზაცია და სლავთა განადგურება. ზოგიერთ ოლქებში წარმოებდა სლავთა საყოველთაო შემუსრვა. მათზე ნადირობდნენ, როგორც გარეულ პირუტყვზე, ახრჩობდნენ ხეებზე; ცოცხლად დარჩენილთ ერეკებოდნენ მათი მიწებიდან, ტოვებდნენ მათ განკარგულებაში მხოლოდ მდინარეებს და ტბებს, სადაც მათ შეეძლოთ მოეკიდნათ ხელი მეთევზეობისათვის.

დაახლოვებით ამავე დროს გერმანელებმა დაიპყრეს ლუტიჩების მიწა-წყალი. ალბრეხტ დათვმა მიიღო იმპერატორისაგან ლენად ლუტიჩების მიწების პირდაპირ ელბას შარცხენა სანაპიროზე ზღებარე ჩრდილოეთის მარკა. ალბრეხტი ოსტატურად ერეოდა ლუტიჩების თავადების ერთ-ერთ განხეთქილებაში და შეუერთდა თავის სამფლობელოებს ლუტიჩების მიწა-წყალი. ჰენრიხ ლომი და ალბრეხტ დათვი განუწყვეტლივ მტრულ განწყობილებაში იყვნენ ერთმანეთთან და აწარმოებდნენ გაუთავებელ ომებს დაპყრობილი ტერიტორიებისათვის. ალბრეხტის შვილმა მიიღო კარგა მოზრდილი წაწილი ჰენრიხ ლომისაგან ჩამორთმეული სამფლობელოებიდან (იხ. თავი XVII). ალბრეხტის შვილმა და შვილიშვილმა შეიერთეს აგრეთვე მთელი რიგი სამფლობელოებისა, მათ შორის შპრეზე მცხოვრებთა მიწა-წყალი, სადაც აღმოცენდა ქალაქ ბერლინი. ამ მიწებისგან შეიქმნა ბრანდენბურგის სამარკგრაფო. გერმანელ მთავრებთან ერთად სლავურ მიწებში ცხადდებოდნენ რაინდები, რომელნიც ღებულობდნენ მთავრებისაგან როგორც ცარიელ, დაუსახლებელ, ისევე სლავებით დასახლებულ მიწებს. ასეთსავე წყალობას ღებულობდნენ ეპისკოპოსები და მონასტრები. ადგილობრივი მოსახლეობის შეუბრალებელი განადგურება, რომელიც ატარებდა სისტემატურ ხასიათს, იწვევდა ახალ მოსახლეების—მეათედის და ფეოდალური რენტის მხდელთა—დასახლების საჭიროებას. გერმანელი ფეოდალები როგორც სასულიერონი, ისევე საერონიც ცდილობდნენ შეეზიდნათ თავიანთ მიწებზე გლეხები ჩრდილოეთ გერმანიიდან, მათთვის ყოველგვარი შეღავათების ბოძებით.

გერმანელი კოლონისტების მოწყობა. ჩვეულებრივ გადასახლების მოსურნე ახალ მოსახლეთა შეკრებას აწარმოებდა იჯარადარი, რომელსაც ლათინურად ერქვა ლ ო კ ა ტ ო რ ი, ხოლო გერმანულად-კი შ უ ლ ც ი. დასასახლებ-

ლად მათ ეძლეოდათ ან დაუსახლებელი, დაუმუშავებელი ადგილი, ანდა დაცარიელებული სლავური სოფელი. მთელი მიწა ნაწილდებოდა საკმაოდ მსხვილ საგლეხო მონაკვეთებად, დიდ ჰუფებად, რომელნიც ჩვეულებრივის სიდიდისას ჭარბობდნენ ორჯერ. შულცი თავისი გარჯისათვის ღებულობდა უფრო დიდ მონაკვეთს, ჩვეულებრივ ორ-სამ ჰუფს; მღვდელი ღებულობდა ორ ჰუფს; გლეხები—თითოს. არსებობდნენ შერეული ტიპის სოფლებიც, სადაც სახლობდნენ გერმანელი კოლონისტებიც და სლავებიც. ამასთანავე ერთად უკანასკნელთ ეძლეოდათ ნაკლები ღირსების მიწები. სლავთა მიწებზე დამსახლებელი გერმანელი კოლონისტები სარგებლობდნენ განსაზღვრული შეღავათებით. რამოდენიმე წლის განმავლობაში ისინი თავისუფლდებოდნენ ვალდებულებათაგან; ხოლო შემდეგ მათ უნდა ეხადნათ შედარებით იოლი ვალდებულებანი ნატურით და აგრეთვე ფულით, ეგრეთწოდებული ჩინში. ამას გარდა, მათ უნდა ეხადნათ საეკლესიო მეათედი. კოლონისტები სარგებლობდნენ თვითმართველობით. მამასახლისად ხდებოდა ჩვეულებრივ შულცი. კოლონისტები ირჩევდნენ თავიანთ შ ე ფ ე ნ ებ ს — თემის წარმომადგენლებს, რომელნიც ასამართლებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მაგრამ გერმანელმა კოლონისტებმა შესძლეს თავიანთი თავისუფლების შენარჩუნება შედარებით მცირე ხანს. XIV საუკუნიდან, ხოლო ზოგან უფრო ადრეც, იწყება მათი დაყმევება. აქ წარმოებს პროცესი ახალი ფეოდალიზაციისა, რომელიც ღებულობს განსაკუთრებით ფართო ხასიათს XV—XVI საუკუნეებში. რაინდები, რომელთაც მიიღეს დიდი მიწები მათ მიერ დაპყრობილ სლავურ სამთავროებში, თანდათან იმორჩილებენ თავისუფალ გერმანელ გლეხობასაც.

სლავებიხ გაგერმანელება. სლავების განადგურებას, მათ გადაყვანას უარეს მიწებზე და გერმანელი კოლონისტებით მათ შეცვლას, შედეგად ჰქონდა გერმანელების მიერ დაპყრობილი მიწების თანდათანობითი გერმანიზაცია. დამარცხებულნი და დაქსაქსულნი, საკუთარი კულტურული ცენტრების და დამწერლობის უქონელი სლავები ჰკარგავდნენ თავიანთ ენას და ეროვნებას. ქალაქებში (ზოგიერთი მათგანი წინადაც არსებობდა სლავთა მიწებში, დანარჩენნი დაარსეს გერმანელებმა) სლავები სრულიად დაიჩრდილნენ გერმანელი ვაჭრების და ხელოსნების მიერ. სლავებს ეკრძალებოდათ სამქროების წევრებად გახდომა, ხელობისათვის და ვაჭრობისათვის ხელის მოკიდება. მათ ეკრძალებოდათ ქალაქის უკეთეს უბნებში ცხოვრება, ეძლეოდათ დასახლების უფლება მხოლოდ ღატაკურ უბნებში და გარე-უბნებში. გერმანულ (ან გაგერმანელებულ) ქალაქებში, როგორნიც იყვნენ ლუბეკი, ბრანდენბურგი (ყოფ. ბრანიბორი), ბერლინი, ფრანკფურტი ოდერზე, მათ შეეძლოთ თავის გამოკვება ხზოლოდ როგორც შავ მუშებს. მათ ხვედრს შეადგენდა სიღატაკე და თანდათანობითი ამოწყვეტა.

იმ სამთავროებშიაც-კი, სადაც შენარჩუნებულ იქნენ სლავური თავადური დინასტიები და სლავური დიდკაცობა, მიმდინარეობს გაგერმანელების პროცესი. სლავი თავადები უნათესავდებოდნენ გერმანელ თავადებს, მათი კარი ივსებოდა გერმანიიდან გამოსული ხალხით, რომელნიც ღებულობდნენ მიწის წყალობას და უერთდებოდნენ ადგილობრივი არისტოკრატიის შემადგენლობას. ეს უკანასკნელი განიცდიდა მათ გავლენას, ცდილობდა მიებაძნა მათთვის ენა-

ში და ადათ-ჩვეულებებში. ბევრი სლავი თავადი და დიდკაცი, გერმანელთა მიბაძვით, ეპატიჟება ცარიელ დაუმუშავებელ მიწებზე გერმანელ კოლონისტებს. მაგრამ მთავარ გერმანიზატორს წარმოადგენდა გერმანულ-ქრისტიანული ეკლესია, რომელმაც მიიღო თვალუწვდენელი ცარიელ-უკაცრიელი ტერიტორიები და დაასახლა მათზე გერმანელი კოლონისტები.

აღმოსავლეთი ბალტიისპირეთის კოლონიზაცია. თითქმის ერთდროულად ამასთან, დაიწყო აღმოსავლეთი ბალტიისპირეთის კოლონიზაცია. გერმანელი ვაჭრები უკვე დიდი ხნიდან მონაწილეობდნენ ვაჭრობაში ბალტიის ზღვაზე. ისინი მიდიოდნენ თავიანთი გემებით შვეციის სანაპიროებთან, ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებთან, აწარმოებდნენ ვაჭრობას ნოვგოროდთან და სხვა რუსულ ქალაქებთან. მნიშვნელოვან მომენტს ამაში წარმოადგენს საქსონიის ჰერცოგის მიერ ლუბეკის დაარსება (1143 წ.), პირველი გერმანული ქალაქისა ბალტიის ზღვაზე. XII საუკ. მეორე ნახევარში გერმანელმა ვაჭრებმა იწყეს ფაქტორიების დაარსება ესტების და ლივების მიწა-წყალზე. გაჩნდნენ გერმანელი მისიონერებიც, რომელნიც ცდილობდნენ ქრისტიანობის დანერგვას და მეათედის შემოღებას ყოველგვარი საშუალებებით და არ ერიდებოდნენ ამ მიზნის მისაღწევად ძალადობას და მოტყუილებასაც-კი. 1201 წ. გერმანელებმა დაარსეს მდინარე დასავლეთ დვინას ზღვის შესართავთან ქალაქი რიგა, რომელიც იქცა გერმანული კოლონიზაციის უმნიშვნელოვანეს ცენტრად. რიგის ეპისკოპოსები გულმოდგინედ აწარმოებდნენ ქრისტიანობის გავრცელებას. პაპი ინოკენტი III ენერგიულად ეხმარებოდა მათ, ვინაიდან წარმართთა ქრისტიანიზაცია ნიშნავდა პაპებისათვის შემოსავლის ახალი წყაროების მიღებას. პაპმა დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგება ლივების წინააღმდეგ. დაარსებულ იქნა სპეციალური სასულიერო-რაინდული ორდენი, იმ ორდენების მიბაძვით, რომელნიც აღმოცენდნენ პალესტინაში მაჰმადიანებთან ბრძოლისათვის—ეს იყო მ ა ხ ვ ი ლ ო ს ა ნ თ ა ო რ დ ე ნ ი. ეპისკოპოსებმა და ორდენმა გაინაწილეს ერთმანეთში დაპყრობილი მიწები. ბალტიისპირეთში მოეშურებიან აუარებელი სხვადასხვაგვარი რაინდული ბრბოები, რომელთაც სწყურიოდათ ახალი მიწების დაპყრობა და იოლად გამდიდრება. ამ რაინდებმა მალე დაიპყრეს ეხლანდელი ლატვიის მიდამო. დაიწყო ნაძალადევი სისხლისღვრით სავსე პროცესი, ადგილობრივი მოსახლეობის გაქრისტიანებისა. ჩვეულებისამებრ იყენებდნენ მტრულ ურთიერთობას ცალკეულ ტომებს შორის, რომელთაც ვერ შესძლეს გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ. გერმანელები ცდილობდნენ მიესიათ ერთი ტომი მეორისათვის.

აღმოსავლეთ ბალტიისპირეთში, გერმანიისგან სიშორის გამო, გერმანულ კოლონიზაციას არ სდევდა თან გერმანელი გლეხების—კოლონისტების გადმოსახლეობა. აქ არ წარმოებდა დაპყრობილი მიწების სამეურნეო ექსპლოატაცია, ადგილი ჰქონდა მხოლოდ ძარცვას. მხოლოდ XIV საუკუნიდან დამპყრობლებმა დაიწყეს მამულების მოწყობა და დამორჩილებული მოსახლეობის ყმებად ქცევა. ყველა ამის წყალობით, აღმოსავლეთ ბალტიისპირეთის მოსახლეობამ შეინარჩუნა თავისი ენა, საკუთარი ადათ-ჩვეულებანი, მხოლოდ ნაწილობრივ შემოსილნი ქრისტიანული სამოსელით, და არ განიცადა ისეთივე გერმანელება და გადაგვარება, როგორც ელბას გაღმა მცხოვრებმა და ზღვის-

პირელმა სლავებმა. გერმანელთა მიერ ლიეების ქვეყნის დაპყრობასთან თითქმის ერთდროულად დანიელებმა დაიწყეს ესტების მიწა-წყლის დაპყრობა.

ტევტონური ორდენი და პრუსიის კოლონიზაცია. ბალტიისპირეთში გერმანული კოლონიზაციის მეორე უმნიშვნელოვანეს რაიონს წარმოადგენდა ქვემო ვისლას აღმოსავლეთით მცხოვრები პრუსების მიწა-წყალი. აქ გერმანული კოლონიზაცია იყო შედეგი პოლონელი თავადების პოლიტიკური სიბეცისა, რომელთაც მოიხმეს გერმანელები დახმარებისათვის პრუსებთან ბრძოლაში. ამგვარად, პოლონელებმა თვითონ საკუთარი ხელით შეიქმნეს საშიში მტერი თავიანთ საზღვართან. იმავე ინოკენტი III მოაწყო ჯვაროსნული ლაშქრობები წარმართი-პრუსების წინააღმდეგ, რომელნიც ეკუთვნოდნენ ლიტვურ ტომს. მალე აქ გადმოსახლდა ტევტონური ორდენი, რომელიც ცნობილია ჩვენთვის იერუსალიმის სამეფოს ისტორიიდან.

ამას გარდა, პრუსების მიწებისკენ მიეშურებიან გერმანელი მოქალაქენი, რომელნიც აარსებენ იქ მთელ რიგ ქალაქებს. იქითკენვე მიეშურებიან კოლონისტი-გლეხები. პრუსები უწევდნენ გერმანელებს გააფთრებულ წინააღმდეგობას, მაგრამ დამარცხებულ იქნენ ტევტონური ორდენის ჭარბი ძალების მიერ. ის, ვინც ეწინააღმდეგებოდა გერმანელთაგან დაპყრობას, მთლიანად შემუსრულ იქნა. დამორჩილებულთ სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ, მაგრამ აქცევდნენ ყმებად. მოღალატეები, რომელნიც ეხმარებოდნენ ტევტონელ რაინდებს, ჰყავდათ რაინდის წოდებაში და მათ ყოველმხრივ მფარველობას უწევდნენ.

პაპები ქადაგებდნენ სულ ახალ და ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობებს, რომელნიც მოუწოდებდნენ პრუსიაში, მარქსის გამოთქმით „გერმანელი მძარცველების და კოლონისტების ახალ-ახალ ნაკადებს“. პრუსები უპასუხებდნენ ჩაგვრაზე აჯანყებებით. მრავალწლოვანი ბრძოლა დასრულდა პრუსების დამორჩილებით, ამასთან ერთად აყვავებული ოლქები იქცნენ უდაბნოებად. ძლევამოსილი ტევტონური ორდენისაგან დახმარების მიღებას ეძიებდნენ მახვილოსანთა ორდენის რაინდები, რომელთაც განიცადეს დამარცხება ლიტველების და რუსების გაერთიანებული ძალებისაგან. 1237 წ. პაპის შუამდგომლობით მოხდა ორივე ორდენის გაერთიანება. მათი უზარმაზარი სამფლობელოები შეიცავდნენ ბალტიის ზღვის თითქმის მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროს. ამგვარად, აქ ჩამოყალიბდა ტევტონური ორდენის დიდი სამთავრო. ორდენი ისწრაფოდა თავისი სამფლობელოების გაფართოებისადმი, მის აღმოსავლეთით მდებარე რუსული სამთავროების და აგრეთვე ლიტვის დიდი სამთავროს დაპყრობისადმი. აქ წარმოებდა მედგარი ბრძოლა, რომელსაც მოჰყვა 1242 წ. შეტაკება ტევტონური ორდენის რაინდებსა და ნოვგოროდის მთავარ ალექსანდრე ნეველს შორის. ეს ცნობილი ყინულზე ბრძოლა გაყინულ ჩუდის ტბაზე დასრულდა გერმანელების საშინელი განადგურებით. როგორც წერს მარქსი, „არამზადები საბოლოოდ გაყარეს რუსთა საზღვრებიდან“. შემდეგი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა განუწყვეტელი სასტიკი ბრძოლა ლიტველებსა და გერმანელებს შორის. 1346 წ. ორდენმა შეიძინა ესტონეთის მიწა-წყალი, რომელიც წინათ ეკუთვნოდა დანიას. ორდენმა გააფართოვა თავისი სამფლობელოები დასავლეთითაც, პომორიის ოლქში, აქ მან

დაიპყრო გდანსკი (1308 წ.) და ამით ჩაუკეტა პოლონეთს გასავალი ბალტიის ზღვისკენ. დაიწყო ომები ორდენსა და პოლონეთს შორის, რომელთა განმავლობაში წვავდნენ პოლონურ ქალაქებს და სოფლებს, ხოცავდნენ მოსახლეობას. ორდენი განაგრძობდა პოლონეთის და ლიტვის შევიწროვებას მთელი XIV საუკუნის განმავლობაში. ბოლოს, 1410 წ. პოლონელებმა, ლიტველებთან და რუსებთან ერთად, თავს დაატეხეს ორდენს საშინელი დამარცხება გრიუნვალდთან, რის შემდეგაც ორდენმა ვეღარასდროს ვეღარ შეიძლო წელში გასწორება. 1466 წ. ორდენი იძულებული იყო ეცნო თავისი ვასალური დამოკიდებულება პოლონეთისაგან (იხ. თავი XXIX).

ავსტრია. გერმანელთა იმ მოძრაობის გვერდით, რომელიც მიიმართებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ელბისპირის და ბალტიისპირეთის სლავების, ლიტველების და სხვა ტომების ოლქებში, შესამჩნევია აგრეთვე მეორე საკოლონიზაციო ნაკადი, მიმართული დუნაის სანაპირო ქვეყნებისაკენ. ეს მოძრაობა დაიწყო ჯერ კიდევ კარლოს დიდის ეპოქაში, რომელმაც მოაწყო ლაშქრობა ავართა წინააღმდეგ და დაარსა აღმოსავლეთის მარკა შუა დუნაიზე. მოგვიანებით აღმოსავლეთის მარკა ააოხრეს ჰუნგრებმა, და შუა დუნაის მიდამოების მიწა-წყალი დიდი ხნით გაუკაცრიელდა. X საუკუნეში წარმოებს ამ ოლქების ხელახალი კოლონიზაცია შვაბიიდან, ბავარიიდან და სამხრეთ გერმანულ საჰერცოგოებიდან. X საუკ. დამლევს აქ დაარსდა ავსტრიის მარკა. XII საუკუნეში ამ მარკას ეწოდება უკვე ავსტრიის საჰერცოგო. ავსტრიის ჰერცოგები თანდათანობით აფართოვებენ თავიანთ სამფლობელოებს სამხრეთისაკენ, და იერთებენ მეზობლად მყოფ ოლქებს — შტირიას, კარინტიას, კრაინას. ამ მიწებმა შეადგინეს იმ სახელმწიფოს ბირთვი, რომელსაც შემდეგ დაერქვა ავსტრია.

ფრიზების დამონება. ბალტიისპირეთში წარმოებულ დაპყრობებთან ერთდროულად ხდება თავისუფალი გლეხობის განადგურება თვით გერმანიაში — ფრიზების მიწა-წყალში.

XIII საუკუნეში ფრიზების მიწა-წყალი წარმოადგენდა გერმანიის ერთ-ერთ იმ მცირერიცხოვან კუთხეთაგანს, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულ იქნა თავისუფალი გლეხობა. ფრიზები იყოფოდნენ მთელ რიგ დამოუკიდებელ — ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებულ ტომებად. XII საუკუნიდან რაინდები ჩრდილოეთ გერმანიიდან იწყებენ მათ მიწა-წყალზე დასახლებას და თავიანთ ციხე-კოშკების აგებას. მათი ცდები ფრიზული ტომის შტედინგების თავისუფალი გლეხობის დამორჩილებისა შეეჩეხნენ ენერგიულ წინააღმდეგობას. XIII საუკ. დამდეგს შტედინგებმა შემუსრეს მათთან შეჭრილი გერმანელი რაინდები და მოსპეს მათი ციხე-კოშკები. ასევე აკკანყდნენ ისინი ფეოდალური ეკლესიის წინააღმდეგ და გარეკეს გერმანელი მღვდლები. ამიტომ ბრემენის არქიეპისკოპოსმა და, მარქსის ენერგიული გამოთქმით, მისმა „აზნაურულმა ნაძირალებმა“[1] გამოაცხადეს ისინი მწვალებლებად. ბრემენის არქიეპისკოპოსმა და სხვა მეზობელმა გერმანელმა ფეოდალებმა წამოიწყეს მათ

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. V, зд. 278.

წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა, მაგრამ განიცადეს სრული დამარცხება. მაშინ პაპმა გრიგოლ IX უბრძანა ჩრდილო-გერმანელ არქიეპისკოპოსთ ყველგან ექადაგნათ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა შტედინგების წინააღმდეგ. შტედინგები გულადად იცავდნენ თავიანთ თავს. მაგრამ მათ წინააღმდეგ დაიძრა რაინდთა უშველებელი ლაშქარი, რომელიც რამოდენიმეჯერ ჭარბობდა მათ რიცხვობრივად. შტედინგებმა განიცადეს დამარცხება, ნახევარზე მეტი დაიხოცა ბრძოლის დროს. მათი ქვეყანა ერგო ბრემენის არქიეპისკოპოსს.

გლეხობის მდგომარეობა. თავისუფალი გლეხობა შენარჩუნებულ იქნა გერმანიის მხოლოდ ზოგიერთ რაიონებში, მაგალითად, დიტმარშენში (დასავლეთ ჰოლშტაინში). მაგრამ გერმანიის ყმა გლეხობის მდგომარეობა იწყებს გაუმჯობესებას XIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის. ეს ნაწილობრივ შემზადებული იყო ჯვაროსნული ლაშქრობებით. ახალი მიწების გატეხვას, რაშიაც ბევრი ფეოდალი, განსაკუთრებით მონასტრები, ხედავდა თავიანთი შემოსავლის გაზრდის უმთავრეს გზას, შედეგად სდევდა ახალმოსახლეთათვის განსაკუთრებული შეღავათების მიცემა, სულერთია სხვაადგილიდან მოსულნი იყვნენ ისინი, თუ საკუთარი ყმები. სამამულ მეურნეობის დაფანტული ხასიათი დაკავშირებული ახალი მიწების გატეხვასთან, უვარგისად ხდიდა საბეგრო სისტემას. ამასთან დაკავშირებით შესამჩნევია ყველგან შრომითი რენტიდან გადასვლა საპროდუქტო რენტაზე და ფულადზედაც კი, რაც ასუსტებდა გლეხობის კავშირს საბატონო მეურნეობასთან. ბევრი გლეხი განთავისუფლდა ბატონყმურ დამოკიდებულებისაგან. ფეოდალები ხშირად ლიკვიდაციას უშვრებოდნენ თავის საბატონო სახნავს და აძლევდნენ მიწებს იჯარით. ხშირად საბატონო მიწის მოიჯარადრეებად იყვნენ ყოფილი მემამულის მოურავები — მ ა ი ე რ ე ბ ი, როგორც ყველაზე შეძლებულნი გლეხთა შორის. გერმანულ სოფელში ვრცელდება მსხვილი იჯარა, რომელსაც აქვს მაიერულის სახელწოდება. ამავე დროს ხდება ცალკე ფენად გამოყოფა მცირე მიწის მქონე გლეხობისაც. ნაწილობრივ იგი პოულობდა გამოსავალს აღმოსავლეთით მდებარე მიწების კოლონიზაციაში. შეძლებული გლეხობა ხედავდა საარგებლობას ქალაქებთან ვაჭრობაში. მაგრამ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება ვერ აღმოჩნდა ხანგრძლივი. XIV საუკ. მეორე ნახევრიდან დაიწყო ფეოდალთა მიერ გლეხობის ჩაგვრის გაძლიერება.

„უმეფობის ხანა“. XII — XIV საუკუნეებში წარმოებს გერმანელთა მიერ დაპყრობილი ოლქების მნიშვნელოვანი გაფართოვება. ამავე დროს თვით გერმანიაში ძლიერდება ცალკეული ტერიტორიების დამოუკიდებლობა. მათი გაერთიანების და იმპერატორის ძალაუფლების გაძლიერების ყველა ცდებმა ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღეს.

ეგრეთწოდებული უმეფობის ხანა, ე. ი. ის ოცწლეული, რომელიც მოჰყვა ჰოჰენშტაუფენების დინასტიის მოსპობას (1254 წ.), წარმოადგენს ხანას განუწყვეტელი შინაომებისას ცალკეულ სამთავროებს, ქალაქებს და რაინდებს შორის. გერმანიის ზოგიერთ ოლქებში მთავრის ხელისუფლება ან სრულიად მოისპო, ანდა ძლიერ შესუსტდა, ეს ითქმის, განსაკუთრებით, შვაბიაზე და ფრანკონიაზე. ეს წინანდელი საჰერცოგოები დაიშალა მთელ რიგ წვრილ-

ფვრილ სამფლობელოებად. ამას გარდა, აქ არსებობდა მრავალი საიმპერიო რაინდობა, რომელთაც ეჭირათ თავიანთი სამფლობელოები უშუალოდ იმპერატორისაგან. განსაკუთრებით მრავლად იყვნენ ისინი რაინზე, სადაც მათ ნერგავდნენ ჰოჰენშტაუფენები. საიმპერატორო ხელისუფლების დაცემასთან ერთად იმპერიის რაინდები შეიქნენ დამოუკიდებელნი. ეს იყო გერმანული საზოგადოების ყველაზე უფრო მშფოთარი და უდისციპლინო ელემენტი.

ზოგიერთი ქალაქები ცდილობდნენ გაერთიანებას, რათა გაერთიანებული ძალებით დაეცვათ თავი ფეოდალური შინაომებისაგან და ძარცვა-გლეჯისაგან. XIII საუკ. 50-იან წლებში შეიკრა რაინის სანაპირო ქალაქთა კავშირი, რომელშიაც შეეიდნენ მაინცი, კელნი, ვორმსი და კიდევ მთელი რიგი სხვა ქალაქებისა. კავშირს შეუერთდნენ აგრეთვე ჰამბურგი და ლუბეკი, ჩრდილოეთ გერმანიის უმნიშვნელოვანესი საეკლესიო ცენტრები და ზოგიერთი მთავარიც კი, მაგრამ კავშირის წევრთა შორის არ სუფევდა ერთსულოვნობა და XIII საუკ. 60-იანი წლებისათვის იგი დაიშალა.

რუდოლფ ჰაბსბურგის არჩევა. 1273 წ. იმპერატორად არჩეულ იქნა რუდოლფ ჰაბსბურგი, გერმანიის ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი მთავართაგანი. მანამდის გერმანიის ტახტზე ირჩევდნენ ხოლმე მსხვილ მთავრებს. საქსონურ და ფრანკონულ დინასტიებს, აგრეთვე ჰოჰენშტაუფენების დინასტიასაც შეეძლოთ დაყრდნობოდნენ დიდ სამფლობელოებს გერმანიაში, ჰაბსბურგებს კი ეკუთვნოდათ შედარებით მცირე სიდიდის მიწის სამფლობელოები ელზასში და შვეიცარიაში. ჰაბსბურგთა გრაფები გერმანელმა მთავრებმა დასვეს ტახტზე სწორედ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ სუსტნი. მთავრები იმედოვნებდნენ, რომ ჰაბსბურგები ვერაგზით ვერ შეძლებდნენ მათ პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ბრძოლას.

მაგრამ რუდოლფი არ გამოდგა ისეთი უწყინარი, როგორადაც თვლიდნენ მას მისი ამომრჩეველი მთავრები. მან შეიგნო, რომ აღარ იყო დრო პოლიტიკური ხასიათის მსხვილი წამოწყებებისა. ახლა საზრუნავი შეიქნა არა იმდენად საერთოდ საიმპერატორო ძალაუფლების გამაგრება, რამდენადაც საკუთარი საგვარეულო სამფლობელოების გაზრდა. ამ მხრივ მიმართა მან გუგმაშეწონილ პოლიტიკას და ცდილობდა ჩაეგდო ხელში რაც შეიძლება მეტი მიწები. მისი დამპყრობლური ზრახვები მიმართულ იქნენ ავსტრიის საჰერცოგოსაკენ, რომელიც გაერთიანებული იყო ერთ სახელმწიფოდ ჩეხიასთან პშემისლ II ძალა-უფლების ქვეშ. მან ისარგებლა ჰუნგრეთის დახმარებით და აგრეთვე პშემისლ II უკმაყოფილო ჩეხიის რაინდების აჯანყებით და ჩამოგლიჯა ჩეხიას ავსტრია, შტირია, კარინთია და კრაინა (იხ. თავი XXVIII). ავსტრიის საჰერცოგო იქცა ამიერიდან ჰაბსბურგთა სამფლობელოების ბირთვად.

რუდოლფ ჰაბსბურგის მეფობაში (1273 — 1291 წწ.) გერმანიაში გრძელდებოდა ფეოდალური ანარქია. იმპერატორს შინაგან საქმეებზე მეტად სუსტი გავლენა ჰქონდა. მთავრები ძველებურად მტრობდნენ ერთმანეთს. ცალკეული რაინდები, განსაკუთრებით იმპერიისა, აღვირახსნილობდნენ, ძარცვავდნენ ვაჭრებს, ჰკრეფდნენ ბაჟებს ქალაქებისაგან. ეწყობა მთელი რიგი გლეხთა აჯანყებებისა, განსაკუთრებით რაინზე. ხალხში ვრცელდება ლეგენდა „იმპერატორ

ფრიდრიხზე", რომელიც უნდა მოსულიყო, ჩადგომოდა სათავეში ხალხს და-
დაესაჯა მისი მჩაგვრელნი. გლეხთა ამბოხებების ბელადები ხშირად ირქმევდნენ
ფრიდრიხის სახელს. ერთმა ამ ამბოხებათაგანმა, ფრიდრიხის ფეხსაცმელიანის
მეთაურობით, მოიცვა დიდი ტერიტორია. მას მიემხრო აგრეთვე ქალაქების
მოსახლეობა, რომელიც მან გაანთავისუფლა რუდოლფ ჰაბსბურგის მიერ გა-
წერილი ნძიმე გადასახადებისაგან და ფრიზი გლეხობა, ჩაგრული ბრემენის
არქიეპისკოპოსისაგან და. ფეოდალთაგან. ფრიდრიხ ხისფეხსაცმელიანმა გა-
მოაცხადა თავი იმპერატორად. რუდოლფმა დაიწყო მის წინააღმდეგ სამხედრო
მოქმედება, ტყვედ იგდო იგი და დაწვა (1285 წ.). ფეოდალურ აღვირახსნილო-
ბასთან ბრძოლაში ახალმა იმპერატორმა გამოიჩინა გაცილებით უფრო ნაკ-
ლები უნარი და ვერ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. იგი შეეცადა დაემ-
ყარებინა გერმანიაში „საერო ზავი": ცალკეულ მთავრებს უფლება ეძლეო-
დათ ომის წარმოებისა მხოლოდ განსაზღვრული პირობების დაცვით. მაგრამ
ამან, ისევე როგორც მშფოთარე რაინდობის დაშოშმინების და უმეფობის ხა-
ნაში აღმოცენებულ მრავალი საბაჟო კედლების მოსპობის ცდამ, ვერ გამო-
იღო სასურველი ნაყოფი. ძალაუფლება სულ უფრო და უფრო იწყებს თავ-
მოყრას უძლიერეს მთავართა ხელში, რომელთაგანაც თანდათანობით იქმნება
განსაკუთრებული დაწესებულება — ეგრეთწოდებული კ ურ ფ ი უ რ ს ტ ე ბ ი ს
(„ამომრჩეველი მთავრების") კოლეგია. მათ უვარდებათ ხელში იმპერატო-
რის ამორჩევის საქმე. ისინი სწყვეტდნენ ყველა უმნიშვნელოვანეს საქმეებს.

ამ კურფიურსტების კოლეგიის გარდა ძველებურად იკრიბებიან რ ა ი ხ ს-
ტ ა გ ე ბ ი (საიმპერიო სეიმები). მათზე ახლა მთავრებთან ერთად იკრიბებიან
აგრეთვე საიმპერატორო ქალაქების წარმომადგენელნი, — თუმცა მართალია,
მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ისმება ისეთი რაიმე საკითხი, რომელიც
ეხება მათ ინტერესებს. მაგრამ არც რაიხსტაგს და არც იმპერატორს არ გა-
აჩნდათ არავითარი აღმასრულებელი აპარატი. იმპერატორი მხოლოდ იმდენად
სარგებლობდა ავტორიტეტით და ძალით, რამდენადაც იგი თვითონაც იყო
ერთ-ერთი მთავართაგანი. იმპერატორს არ ჰყავდა საიმპერიო ჯარი, გარდა
საკუთარი ლაშქრისა, რომელიც მას ჰყავდა როგორც ერთ-ერთ მთავართაგანს.
გერმანიაში არ არსებობდა ერთიანი კანონმდებლობა, საერთო საიმპერიო სასა-
მართლო, საერთო საიმპერიო ფინანსები.

მაგრამ ცალკეულ სამთავროებში იწყებენ ჩამოყალიბებას დაწესებულე-
ბები, რომელნიც ნაწილობრივ მოგვაგონებენ პარლამენტს ან და გენერალურ
შტატებს. ეს ეგრეთწოდებული ლ ა ნ დ ტ ა გ ე ბ ი, ანუ საერობო წოდებანი,
თავად-აზნაურობის, სამღვდელოების და მოქალაქეთა წოდებრივი წარმომად-
გენლობა, რომელთაც ადგილობრივი მთავარი იწვევს უმთავრესად იმისათვის,
რომ მიიღოს ფულადი სუბსიდია. გერმანელი მთავრები ცდილობდნენ გამოუ-
ყენებინათ ქალაქებსა და ფეოდალებს შორის წარმოებული ბრძოლა. თავის
სამფლობელოებში, რათა დაემორჩილებინათ სამივე წოდება.

ამგვარად, განსახილველ პერიოდში ძლიერდება იმპერიის დაშლა მთელ
რიგ დამოუკიდებელ სამფლობელოებად. იმპერიის პოლიტიკური დაშლის
ერთ-ერთ მომენტთაგანს წარმოადგენს შვეიცარიის კავშირის შექმნა.

შვეიცარიული კავშირის შექმნა. ალპებში ჰაბსბურგებს ეკუთვნოდათ სამეულობელოები, რომელთა გაფართოვებას და გამაგრებას ცდილობდნენ ისინი. აქ ადგილ-ადგილ შენარჩუნებულ იქნა თავისუფალი გლეხობა. მთიან ხეობებში, სადაც არ არსებობდა ფართო მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი ფართობები, სადაც აქა-იქ დაფანტული მოსახლეობა ცხოვრობდა, უმთავრესად, საძოვრო მეურნეობით, თვით ადგილობრივი პირობები უწყობდნენ ხელს ფეოდალთა ძალმომრეობათაგან თავდაცვას და გვაროვნულ წყობილების მნიშვნელოვანი ნაშთების შენარჩუნებას. მთიან ხეობებში მზარდ მოსახლეობას უძნელდებოდა თავის გამოკვება და ეს იწვევდა მოსახლეობის სიჭარბეს, რაც შედეგად ჰქონდა განუწყვეტელი ემიგრაცია. ალპების მეომრული მოსახლეობა წარმოადგენდა მშვენიერ ქვეითა ჯარისკაცებს, რომელთაც შემდეგ ძალიან მაღლა აყენებდნენ, როგორც დაქირავებულ ჯარს სხვა ქვეყნებში.

უკვე XIII საუკუნეში დაიწყო შეტაკებები, გამოწვეული იმით, რომ ჰაბსბურგები ცდილობდნენ გაეძლიერებინათ თავიანთი ძალაუფლება მთიელებზე. ჰაბსბურგებს ამაზე აქეზებდა საქონლის ბრუნვის ზრდა იტალიის და გერმანიის შორის სენ-გოტარდის უღელტეხილის აღმოჩენის შემდეგ. ეს უღელტეხილი მდებარეობდა სამი „ტყიანი თემის" — შვიცის, ურის და უნტერვალდენის მახლობლად. ისინი სარგებლობდნენ იმით, რომ მათზე გადიოდა სენ-გოტარდისკენ მიმავალი გზა. მთიელები ჰკრეფდნენ ბაჟებს ვაჭრებისაგან, ემსახურებოდნენ მათ როგორც გამცილებლები. ჰაბსბურგები უკვე XIII საუკ. 40-იან წლებში შეეცადნენ ამ ოლქების, და, პირველ ყოვლისა, შვიცის, ხელში ჩაგდებას. ამან აიძულა ური და უნტერვალდენი შეეკრათ კავშირი შვიცთან დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა XIII საუკ. დამლევისათვის, როდესაც ჰაბსბურგები შეიქნენ იმპერატორებად და ავსტრიის ჰერცოგებად. 1291 წ. შვიცის, ურის და უნტერვალდენის შორის შეიკრა „მუდმივი" კავშირი ჰაბსბურგებთან საბრძოლველად. როდესაც ჰაბსბურგებმა სცადეს „ტყიანი თემების" ძალით დამორჩილება, უკანასკნელთა ჯარებმა მორგარტენთან ბრძოლაში (1315 წ.), სრულიად გაანადგურეს ჰაბსბურგთა ლაშქარი და ამგვარად შეინარჩუნეს საკუთარი დამოუკიდებლობა.

ვინაიდან ეს „ტყიანი თემები" კონტროლს უწევდნენ ევროპის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზას და ჰფლობდნენ დიდ სამხედრო ძალას, ამიტომ ქალაქებმა: ლუცერნმა, ციურიხმა, ბერნმა, რომელთა ეკონომიკა დაკავშირებული იყო ამ სავაჭრო გზასთან და რომელნიც საჭიროებდნენ სამხედრო თავდაცვას, იწყეს შესვლა შვეიცარიულ კავშირში (რომელმაც მიიღო თავისი სახელწოდება შვიცისაგან). XIV საუკ. დამლევისათვის შეიქმნა უკვე რვა შვეიცარიული თემის კავშირი. მთელ რიგ ომებში ნაწილობრივ ჰაბსბურგთა, ნაწილობრივ ბურგუნდიის ჰერცოგთა წინააღმდეგ, მათ შეინარჩუნეს თავიანთი დამოუკიდებლობა. შვეიცარიული კავშირის შექმნა მაჩვენებელია იმპერიის დიდი დაშლისა. მაგრამ ეს დაშლა კიდევ უფრო მატულობს.

ლუქსემბურგთა დინასტია. ჰაბსბურგთა გაძლიერებამ შეაშფოთა მთავრები. ავსტრიის დაპყრობამ მათ აფიქრებინა, რომ ახალ იმპერატორებს შეეძლოთ შემდეგ გაბედული, მთავრების წინააღმდეგ მიმართული, პოლიტიკის

წარმოება. ამიტომ ჰაბსბურგთა დინასტიამ დაჰყო ტახტზე შედარებით მცირე ხანს.

1308 წ. იგი შეცვალა ლუქსემბურგელი გრაფების დინასტიამ, რომელნიც წარმოადგენდნენ მეორეხარისხოვან მთავრებს და ჰფლობდნენ ნახევრად ფრანგთა სამთავროს იმპერიის დასავლეთ ნაწილში. ლუქსემბურგები ჰაბსბურგებსავით იყენებდნენ საიმპერატორო წოდებას გერმანიაში თავისი, როგორც მთავრის, მდგომარეობის განსამტკიცებლად. ჰაბსბურგები გადაყენებული იქნენ იმპერატორობისაგან, მაგრამ მათ შერჩათ ავსტრია, როგორც საგვარეულო სამფლობელო. ლუქსემბურგებმა შეიქმნეს ასეთივე სამფლობელო ჩეხიაში. ჰენრიხ VII ლუქსემბურგელმა (1308 — 1313 წწ.) თავისი ძის იოანე ჩეხიის ტახტის შემკვიდრე ქალზე ქორწინების საშუალებით შეძინა ლუქსემბურგთა სამფლობელოებს ჩეხია.

ჰენრიხ VII განაახლა გერმანიის იმპერატორების ცდები საკუთარი ძალაუფლების გავრცელებისა იტალიაზე. მარქსის გამოთქმით, ეს „ჩერჩეტი — ბარბაროსი“[1] ფიქრობდა ამოექაჩა იტალიიდან რაც შეიძლება მეტი ფული. 1310 წ. მან გადალახა ალპები. ციბელინები, რომელნიც განიცდიდნენ განუწყვეტლივ მარცხებს ჩრდილო იტალიის სოციალურ ბრძოლაში, დიდის ამბით დახვდნენ მას, როგორც მხსნელს და „მშვიდობისმყოფელს“. ეს განწყობილება განსაკუთრებით აშკარად გამოხატა დანტემ თავის პოლიტიკურ ტრაქტატში „მონარქიის შესახებ“. მაგრამ ხალხის მასებმა გაუწიეს ჰენრიხ VII გააფთრებული წინააღმდეგობა, მის წინააღმდეგ გაილაშქრა. აგრეთვე ნეაპოლის მეფემ. გახურებულ საომარ მოქმედებათა დროს ჰენრიხი მოკვდა და ლაშქრობა დამთავრდა მარცხით. „არასდროს არ მოწყობილა ამ რომაულ ლაშქრობაზე. უფრო უაზრო ლაშქრობა“, — ამ სიტყვებით ამთავრებს მარქსი ნაამბობს მასზე თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“.[2]

ლუდვიგ ბავარელი. ახალი იმპერატორის ამორჩევისას კურფიურსტები გაიყვნენ და ტახტზე არჩეულ იქნენ ერთდროულად ფრიდრიხ ჰაბსბურგი და ლუდვიგი, ბავარიის ჰერცოგი (1314 წ.). მათ შორის დიდი ხნის განმავლობაში წარმოებდა ბრძოლა, რომელიც აოხრებდა ქვეყანას და ჰფიტავდა ორივე პრეტენდენტის ფინანსებს. ბოლოს გაიმარჯვა ლუდვიგ ბავარელმა. როგორც წინა იმპერატორები, ლუდვიგიც (1314 — 1347 წწ.), პირველ ყოვლისა, ზრუნავდა თავისი საგვარეულოს სამემკვიდრო სამფლობელოების გაზრდაზე. მიგრამ ისიც, შეეცადა იტალიის საქმეებში ჩარევას. ამ ნიადაგზე მას შოუხდა შეტაკება პაპი იოანე XXII, რომელმაც განკვეთა იგი ეკლესიისაგან, გერმანიას დაუდო ინტერდიქტი. მაგრამ ამას არ მოუხდენია განსაკუთრებული შთაბეჭდილება ლუდვიგზე. ამ ცბიერმა ინტრიგანმა თავი მოუყარა, თავის კარზე, პაპის ყველა მტრებს, რომელთა შორის, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცნობილი იტალიელი პოლიტიკური მწერალი მარსელიუს პადუელი. თავის თხზულებაში „Defensor pacis“ („მშვიდობიანობის დამცველი“), მარსელიუსი აყენებდა საერო ხელისუფლებას საეკლესიოზე მაღლა, აცხადებდა, რომ პაპი უნდა ემორ-

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. VI, стр. 8.
[2] „Архив“, стр. 14.

ჩილებოდეს იმპერატორს და ქადაგებდა რელიგიის და სამღვდელოების არჩევნების სრულ თავისუფლებას. ლუდვიგმა მოახერხა რომის დაპყრობა, პაპის მიმართ მტრულად განწყობილი რომაელ არისტოკრატიასთან კავშირის დაჭერის წყალობით. თანახმად ძველი ფორმულისა, „სენატმა და რომაელმა ხალხმა“ გამოაცხადეს ლუდვიგი იმპერატორად, და მან დაიდგა თავზე კვირგვინი. ამის შემდეგ იმპერატორმა გამოაცხადა იოანე XXII გადაყენებულად და დანიშნა ახალი პაპი (ნიკოლოზ V). მაგრამ გერმანელებმა ვერ მოიკიდეს ფეხი რომში და იტალიაში. დაიწყო სახალხო მღელვარებანი. მიუხედავად საშინელი ძარცვისა, იმპერატორს მაინც არ ჰყოფნიდა ფული თავის დაქირავებული ჯარების ჯამაგირის გადასახდელად, და იგი იძულებული იყო დაეტოვებინა რომი (1328 წ.). ორი წლის შემდეგ იმპერატორის მიერ დანიშნული პაპიც გამოცხადდა ავინიონში და დამორჩილდა იოანე XXII. ცდამ იტალიაში ჰოჰენშტაუფენების პოლიტიკის განახლებისა განიცადა სამარცხვინო მარცხი.

ლუდვიგის მისწრაფებამ, ყოველგვარი გზებით და საშუალებით ბავარიული (ვიტელსბახთა) გვარის სამფლობელოების გაფართოვებისა, გამოიწვია მისი შეტაკება მთავრებთან, რომელთაც აირჩიეს ახალი მეფე ლუქსემბურგთა დინასტიიდან — კარლოს IV (1346 წ.). შემდეგ წელს ლუდვიგ ბავარელი მოკვდა.

კარლოს IV და ოქროს ბულა. კარლოს IV (1346 — 1378 წწ.). იყო არა იმდენად რომის სალვთო იმპერიის იმპერატორი, რამდენადაც ჩეხიის მეფე (მის მოღვაწეობაზე ჩეხიაში იხ. თავი XXVIII). გერმანიაში კი მან მხოლოდ შეუწყო ხელი პოლიტიკური დაქსაქსულობის განმტკიცებას.

კარლოს IV 1356 წ. იძულებული იყო გამოეცა ეგრეთწოდებული ოქროს ბულა, „ეს — მარქსის გამოთქმით — გერმანული მრავალხელისუფლებიანობის ძირითადი კანონი“.[1] ამ აქტით იმპერატორმა სცნო კურფიურსტების სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა და უარი სთქვა მთავრების შინაგან საქმეებში სამნაირად ჩარევაზე. ბულა უმტკიცებდა მაინც იმპერატორის ამორჩევის უფლებას. იგი აწესრიგებდა კურფიურსტთა კოლეგიის შემადგენლობას, რომელშიაც შედიოდა სამი სასულიერო მთავარი — არქიეპისკოპოსები კელნისა, მაინცისა და ტრირისა — და ოთხი საერო — მეფე ჩეხეთისა, ჰერცოგი საქსონიისა, მარკგრაფი ბრანდენბურგისა და პფალცგრაფი რაინისა. იმპერატორის არჩევნები წარმოებდნენ უბრალო ხმის უმეტესობით. ოქროს ბულამ სცნო კანონიერება კერძო ომებისა, მხოლოდ შემოღებული იყო წესი, რომ ვასალს არ შეეძლო ომის წარმოება თავისი სენიორის წინააღმდეგ.

ოქროს ბულას ტენდენცია სამთავროების დამოუკიდებლობის განმტკიცებისა, მეღავნდება აგრეთვე მის დადგენილებებში ქალაქების შესახებ. ოქროს ბულა ჰკრძალავდა კავშირებს ქალაქთა შორის. ეს მთავრების ინტერესების დამცველი პუნქტი გამოწვეული იყო გერმანიის ქალაქების მისწრაფებით, დამოუკიდებელი, მთავართა ძალაუფლების გავლენისგან თავისუფალი პოლიტიკური როლის თამაშისა. ძველი ქალაქები ელბას დასავლეთით, ახალი ქალაქე-

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. VI, ss. 82.

ბი, აღმოცენებულნი სლავთა მიწების და პრუსების მიწა-წყლის კოლონიზაციის პროცესში, — ყველა ისინი იწყებენ საკუთარი პოლიტიკური მოთხოვნილებების წამოყენებას და ურთიერთშორის კავშირების შეკვრას, მთავართა ძალაუფლებისა ზრდისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ჩრდილოგერმანული ჰანზა. უმსხვილეს საქალაქო კავშირთაგანს წარმოადგენდა ჩრდილოგერმანული ჰანზა. ჩვენთვის ძნელია ჰანზის აღმოცენების მომენტის განსაზღვრა. თავდაპირველად აღგილი ჰქონდა შეთანხმებებს რამოდენიმე ცალკეულ ქალაქსა ან და ქალაქთა ჯგუფებს შორის, და მხოლოდ XIV საუკ. ნახევარში ჰანზაში გაერთიანდა თითქმის ყველა ჩრდილო გერმანიის ზღვის სანაპიროსთან მდებარე ქალაქი, და ამათ გარდა, მთელი რიგი ქალაქებისა, რომელნიც დაშორებული იყვნენ ზღვის სანაპიროსაგან, მაგრამ დაკავშირებულნი ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვებზე წარმოებული ვაჭრობასთან. ჰამბურგი, ლუბეკი და ბრემენი შეადგენდნენ ჰანზის ბირთვს. მასში შედიოდნენ აგრეთვე ქალაქები რაინზე (მაგალითად, კელნი), ვეზერზე, ოდერზე და მთელი რიგი იმ ქალაქებისა, რომელნიც დაარსებული იქნენ გერმანელთა მიერ კოლონიზაციაქმნილ მიწებში, როგორც, მაგალითად, პრუსიაში — დანციგი, ტორნი, კენიგსბერგი, ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე — რიგა, რეველი, დერპტი. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქი ვისბი კუნძულ გოტლანდზე, სამხრეთ სკანდინავიასთან ვაჭრობის ცენტრი, კალმარი და ნიდერლანდიის ზოგიერთი ქალაქი. ჰანზას ჰქონდა ფაქტორიები (კანტორები) ბრიუგეში, ლონდონში, ნოვგოროდში, ბერგენში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში. ამ კანტორებს ჰქონდათ თავისებური ორგანიზაცია. ისინი წარმოადგენდნენ დიდ უბნებს, სადაც იყო მოთავსებული ჰანზის ქარვასლები და საწყობები. მათ გარს შემოვლებულნი ჰქონდათ ღობე და იცავდნენ შეიარაღებული გუშაგები. მათში შემოღებულ იქნა მკაცრი წესდება, რომელსაც ემორჩილებოდა ყოველი ჰანზის ქარვასლაში მცხოვრები. ქალები საერთოდ არ იყვნენ დაშვებულნი ჰანზის კარზე.

ჰანზის ვაჭრობის მთავარ საგნებს შეადგენდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნების, რუსეთის, სკანდინავიის პროდუქტები — პური, ბეწვეული, ტყავეული, მარილი, თევზი, ქონი, თაფლი, ცვილი, სპილენძის და რკინის მადანი, ხე-ტყე და სატყეო მეურნეობის ყოველგვარი პროდუქტები — ფისი, კუპრი, და სხვ. ამ ნედლეულის სანაცვლოდ შემოდიოდა დასავლეთის ინდუსტრიის საქონელი — მაუდი, ლითონის ნაწარმი, ღვინო და აგრეთვე — ფლანდრიის ქალაქების გავლით — ის საქონელი, რომელსაც ნიდერლანდები ღებულობდნენ სამხრეთიდან, — ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროთაგან გამოზიდული ფუფუნების საგნები და სანელებლები. არსებობდა მუდმივი სავაჭრო გზა ბრიუგედან ნოვგოროდამდის. ჰანზური ვაჭრობა ვრცელდებოდა ბალტიის და ჩრდილოეთ ზღვებზე: ამას გარდა, ჰანზელი ვაჭრები მოგზაურობდნენ ევროპის დასავლეთი სანაპიროების გაყოლებით გიბრალტარის სრუტემდის. ჩრდილოეთით ვაჭრობა მიიმართებოდა ნორვეგიის სანაპირობი.

ჰანზის, როგორც ცოტად თუ ბევრად განსაზღვრული ორგანიზაციის, ისტორიის დაწყება შეიძლება დაახლოებით 1356 წლიდან, როდესაც ჰანზელი

ვაჭრები გამოვიდნენ გაერთიანებულად თავიანთი საერთო ინტერესების დაცვისათვის. ამ წელს ჩრდილოეთ გერმანიის ვაჭართა პრივილეგიები ფლანდრიის გრაფმა დაარღვია, რამაც გამოიწვია მთელი კავშირის საერთო მოქმედება, კერძოდ ფლანდრიის სავაჭრო ბლოკადა, რამაც აიძულა გრაფი წასულიყო დათმობებზე. ამ დროს ჩნდება პირველად ტერმინი გერმანული ჰანზა. ჰანზელები ცდილობდნენ ყველა დანარჩენი ვაჭრების გაძევებას ჰანზის მოქმედების რაიონების ვაჭრობიდან. ისინი ჰკვეცდნენ ჰანზის ქალაქებში ჩასული ვაჭრების სავაჭრო უფლებებს. სხვაგნიდან ჩამოსულ ვაჭრებს ნება ეძლეოდათ მხოლოდ ზღვის სანაპირო ქალაქებში ვაჭრობისა, ქვეყნის შიგნით შესვლის გარეშე. ამასთანავე ერთად უცხოელებს ეკრძალებოდათ სამ თვეზე მეტ ხანს საპორტო ქალაქებში დარჩენა.

XIV საუკ. მეორე ნახევრიდან ჰანზის კავშირი ყალიბდება და ღებულობს განსაზღვრულ ორგანიზაციას, რომლის საფუძველს შეადგენდნენ ყველა მასში შემავალი ქალაქების — ჰანზის წევრების — წარმომადგენლების ყრილობები. ამ ყრილობებზე გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ ხმის უმრავლესობით, ამასთანავე ერთად ის ქალაქები, რომელნიც შეადგენდნენ უმცირესობას ან და არ გზავნიდნენ თავის წარმომადგენლებს ყრილობაზე, მოვალენი იყვნენ დამორჩილებოდნენ უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

1367 წ. ჰანზის კავშირს მოუხდა ხელახლად გამოსვლა მსხვილ პოლიტიკურ წამოწყებაში — დანიასთან ომში, რომელიც გამოიწვია უკანასკნელის ცდამ, რომ ჰანზის სავაჭრო მნიშვნელობისათვის ძირი გამოეთხარა. ამ წელს კელნში შეკრებილმა 60 ქალაქის ყრილობამ დაადგინა დანიისათვის ომის გამოცხადება. ჰანზას მიემხრნენ დანიის დანარჩენი მტრები (რევეცია, ჰოლშტაინი, მეკლენბურგი). ჰანზის ქალაქთა საკავშირო ფლოტმა მოახდინა დანიის სანაპიროების ბლოკადა და მის მიერ კოპენჰაგენის აღების შემდეგ, დანია იძულებული იყო ხელი მოეწერა მისთვის სამარცხვინო შტრალზუნდის ზავს (1370 წ.). ამ ზავით დადასტურებულ იქნა ჰანზის ყველა პრივილეგიები; ჰანზამ მიიღო რამოდენიმე სიმაგრე სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში; დანიის მეფის არჩევნებისას საჭირო იყო ჰანზის თანხმობა (იხ. თავი XXVII).

ამის შემდეგ ლაპარაკი შეიძლება ჰანზის არა მარტო სავაჭრო, არამედ პოლიტიკურ უპირატესობაზედაც ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვებზე. ჰანზა იქცა ახლა მსხვილ პოლიტიკურ ძალად, რომელიც თავის ნებასურვილს თავზე ახვევდა სხვა სახელმწიფოებს. მან მიიღო მეტად მნიშვნელოვანი სავაჭრო შეღავათები (პრივილეგიები) ინგლისში.

ჰანზას არ ჰქონია მტკიცე პოლიტიკური წყობილება. მას არ გააჩნდა არავითარი საერთო მუდმივი მმართველი ორგანო, არ ჰქონდა არც საერთო ხაზინა, არ ჰქონდა მას აგრეთვე საერთო ფლოტიც, არსებობდა მხოლოდ ცალკეული ქალაქების ფლოტი, და იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო იყო ჰანზის რაიმე დადგენილების სისრულეში მოყვანა, იგი ხორციელდებოდა იმ ქალაქების ძალით, რომელთაც ეს დაეკალებოდათ სპეციალურად. ჰანზის ქალაქებს შორის სუფევდა განუწყვეტელი ქიშპობა. მთავარ როლს თამაშობდნენ მსხვილი

საეკლესიო ქალაქები, რომელთაც შეესწევდათ იმისი ძალა, რომ მოებვიათ თავზე თავიანთი ნებისურვილი დანარჩენ, უფრო წვრილ ქალაქთათვის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა შეტაკებანი ჰანზის შიგნით. სხვადასხვა რაიონების ქალაქთა ინტერესები ყოველთვის ვერ ემთხვეოდნენ ერთმანეთს, რასაც აგრეთვე თან სდევდა შინაგანი წინააღმდეგობათა გამწვავება.

საეკლესიო მიზნებთან ერთად, ჰანზა ისახავდა აგრეთვე განსაზღვრულ სოციალურ მიზნებსაც. ჰანზის ქალაქებში ძალაუფლება იმყოფებოდა პატრიციატის, ვაჭართა ზედა-ფენის, ხელში. ხელოსანთა მასა ჩამოშორებული იყო საქალაქო მართვა-გამგებლობაში მონაწილეობის უფლებას. ჰანზის ქალაქებში, ისევე როგორც იმ დროის ევროპის სხვა ქალაქებშიაც, შესამჩნევია მნიშვნელოვანი სოციალური მღელვარებანი. ლუბეკში, ჰამბურგში, როსტოვში და სხვა ჰანზურ ქალაქებში ჩვენ ვხედავთ საამქროთა ცდებს ძალაუფლების ხელში ჩაგდებისას, მაგრამ აქ საამქრო მოძრაობა მუდამ მარცხს განიცდის. ჰანზის ქალაქების წესდებაში შეტანილ იქნა პუნქტი, რომელიც სჯის კავშირიდან გაძევებით იმ ქალაქს, სადაც აღგილი ექნება რაიმე ცვლილებებს ჰანზის არსებულ პოლიტიკურ წყობილებაში. ჰანზის დიდმა სტატუტმა, გამოცემულმა მთელი კავშირისათვის, სხვა ლონისძიებებთან ერთად შეიმუშავა ქალაქებს შიგნით რევოლუციონურ მოძრაობასთან ბრძოლის ღონისძიებანი.

XV საუკუნის ნახევრიდგან იწყება ჰანზის კავშირის დაცემა. ამაში თვალსაჩინო როლი ითამაშეს ზემოხსენებულმა სოციალურმა მოძრაობებმაც, და კავშირის ცალკეული ნაწილების შორის არსებულმა ეკონომიურმა ქიშპობამაც, მაგრამ უმთავრესად კი სხვა ქვეყნების კონკურენციამ ვაჭრობის დარგში. ამ დროს იწყება აღორძინება ინგლისის ვაჭრობისა. წინათ ინგლისურ ვაჭრობას ჰქონდა პასიური ხასიათი, და ჰანზელები ამბობდნენ, რომ ისინი ყიდულობდნენ ინგლისელთაგან მელიას გროშად, და მელიის კუდს კი მიჰყიდიდნენ ხოლმე მათ ტალერად; მაგრამ XV საუკუნიდან ინგლისელი ვაჭრები თავიანთი გემებითურთ ჩნდებიან დასავლეთ ევროპის ყველა ზღვაზე. იზრდება ნიდერლანდების სატრანზიტო ვაჭრობა. ეს კონკურენცია თანდათან უთხრიდა ძირს ჰანზის კავშირის ძლიერებას. ჰანზა არ ეყრდნობოდა ძლიერ სახელმწიფოს. მას აძევებენ ის ქვეყნები, რომელნიც ყალიბდებიან ძლიერ პოლიტიკურ ერთეულებად. XV საუკ. დამლეგს მოსკოვის მეფემ ივანე III აიღო ნოვგოროდი და გარეკა იქიდან ჰანზელი ვაჭრები. დანიამ ხელახლა დაიწყო ჰანზის შევიწროვება. ჰანზამ საბოლოოდ დაკარგა თავისი უპირატესობა მაშინ, როდესაც აღმოჩენილ იქნენ ახალი საზღვაო გზები, რომელნიც აკავშირებდნენ ევროპას კოლონიალურ ქვეყნებთან — ამერიკასთან და ინდოეთთან.

შვაბიის და რაინის კავშირები. ჰანზის კავშირი არ წარმოადგენდა გერმანული ქალაქების ერთადერთ გაერთიანებას. XIV საუკ. მეორე ნახევარში აღმოცენდნენ საქალაქო კავშირები დასავლეთ გერმანიაში. დიდ სარაინო გზაზე მდებარე ქალაქები, როგორც მაინცი, სტრასბურგი, ულმი, შპაიერი, ვორმსი, ანვითარებენ თავის საზღვრებში მსხვილ ვაჭრობას, და ამასთან ერთად შალის და სელის ქსოვილების, ლითონების მნიშვნელოვან წარმოებას.

ამ ქალაქებში წარმოებს გამწვავებული ბრძოლა პატრიციატსა და საამქროთა შორის. ჩვენ დავინახეთ, რომ საამქროების მიერ ძალაუფლების

ხელში ჩაგდება სრულიადაც არ ნიშნავდა საქალაქო დემოკრატიის გაბატონებას, არამედ წარმოადგენდა ძველი პატრიციული არისტოკრატიის შეცვლას, ახალი სავაჭრო და სამრეწველო არისტოკრატიით, რომელიც ატარებდა თავის საკუთარ კლასობრივ პოლიტიკას. ქალაქის დემოკრატიულ მასების და კერძოდ ხელოსანთა მდგომარეობა სრულიად არ გაუმჯობესებულა. სახალხო მასები არ იყვნენ დაშვებულნი მმართველობაში და განიცდიდნენ ჩაგვრას გადასახადებისაგან, განსაკუთრებით არაპირდაპირისაგან. ეს ქმნიდა ხელახალი შეტაკებებისათვის ნიადაგს.

შინაგანი სოციალური კონფლიქტებისგან აფორიაქებული ქალაქები ამავე დროს იძულებული იყვნენ ეწარმოებინათ ბრძოლა მთავრებთან, რომელნიც ცდილობდნენ მათ დამორჩილებას. მაგრამ ქალაქებს ჰყავდათ კიდევ ერთი საშიში მტერი — რაინდობა, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთი გერმანიის იმპერიის რაინდობა, რომელიც XIII საუკუნიდან საბოლოოდ იქცეა საზოგადოების პარაზიტულ კლასად. რაინდები, უშუალოდ დამოკიდებულნი იმპერატორისაგან, საიმპერატორო ხელისუფლების შესუსტებასთან ერთად, აღმოჩენენ სრულ დამოუკიდებლობას. მათი სამხედრო ძალა აღარაფის ესაჭიროებოდა, ვინაიდან ომები წარმოებდნენ დაქირავებული ჯარებით. რაინდები იქცევიან წვრილ მტაცებლებად, რადგან მათი ფამულები ჭუჭმაცდებიან, ისინი ღატაკდებიან და ცდილობენ თავის გამოკვებას და გამდიდრებას არეულობებში მონაწილეობის საშუალებით, უქირავდებიან ხან ერთ და ხან მეორე მთავარს, ან და პირდაპირ ყაჩაღობენ. ამისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ ობიექტებს წარმოადგენდნენ ქალაქები. რაინდები ძარცვავდნენ ვაჭრებს, ძირს უთხრიდნენ საქალაქო ვაჭრობას.

ამ მტრებთან ბრძოლისათვის ქალაქებს უხდებოდათ გაერთიანება კავშირებად. XIV საუკ. 70-იან წლებში აღმოცენდა შ ვ ა ბ ი ი ს ქ ა ლ ა ქ თ ა კ ა ვ შ ი რ ი, რომელსაც შეუერთდნენ აგრეთვე ფრანკონიის ქალაქებიც. ეს კავშირი აერთიანებდა 89 ქალაქს. უფრო მოგვიანებით რაინის სანაპირო ქალაქები გაერთიანდნენ ერთ საერთო ორგანიზაციად — რ ა ი ნ ი ს კ ა ვ შ ი რ ა დ. ეაუთიებელმა რაინდულმა ანარქიამ, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ — მთავრებთან ბრძოლამ — ყველა ამან გამოიწვია ამ ორი კავშირის გაერთიანება, რასაც ჰქონდა ადგილი 1381 წ.

ქალაქების გაერთიანების საპასუხოდ მოხდა რაინდების ვაერთიანება, მიმართული ქალაქების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ხელსაყრელი იყო მთავართათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქებმა წარმატებით მოიგერიეს რაინდთა თავდასხმა და ხელი მიჰყვეს რაინდული ანარქიის ლიკვიდაციას დასავლეთ გერმანიაში, საბოლოო ანგარიშში მოიგეს მთავრებმა, რომელნიც ჩაერიენენ ბრძოლაში და დააშარცხენ ქალაქთა კავშირი (1388 წ.). ჰანზა არ დახმარებია მას. მისი ინტერესები მდებარეობდნენ ჩრდილოეთში და იგი სრულიად გულგრილად უყურებდა დანარჩენ იმპერიის შედეგებს.

ეს შაგალითი ჰანზის დამოკიდებულებისა დასავლეთის ქალაქის მოძრაობისადმი კიდევ ერთხელ მოწმობს გერმანიის ეკონომიურ დაქსაქსულობას და იმას, რომ ცალკეულ რაიონებს შორის არ არსებობდა ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი.

იმპერია XIV საუკუნის დამლევს და XV საუკუნის დამდეგს. კარლოს IV ლუქსემბურგელის შემდეგ, რომელმაც შეუერთა ლუქსემბურგთა საგვარეულო მიწებს ბრანდენბურგი, ტახტი ერგო მის ვაჟიშვილს ვენცესლავს, ანუ ვაცლავს, 1400 წ. გადაყენებულს მთავრების მიერ. მის შემდეგ არჩეულ იქნა რაინის პფალცგრაფი რუპრეხტი, რომელმაც მოაწყო უჯაროდ და უფულოდ უაზრო ლაშქრობა იტალიაში, რომელიც დამთავრდა სამარცხვინო მარცხით. მისი სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა ვაცლავის უმცროსი ძმა სიგიზმუნდი (1411 — 1437 წწ.), რომლის დროს წარმოებს „ეროვნულ-ჩეხური რელიგიური ხასიათის გლეხთა ომი მიმართული გერმანული თავად-აზნაურობის და გერმანიის იმპერატორის უზენაესი ხელისუფლების წინააღმდეგ".[1] (იხ. თავი XXVIII).

1437 წ., სიგიზმუნდის სიკვდილის შემდეგ, საიმპერატორო გვირგვინი ხელახლად გადავიდა ლუქსემბურგთა ხელიდან ჰაბსბურგთა ხელში. იმათ ხელში იგი იმყოფებოდა რომის საღვთო იმპერიის მოსპობამდის 1806 წ.

სუსტი და სულელი ფრიდრიხ III ხანგრძლივი მეფობა (1440—1493 წწ.) ხასიათდება იმპერიის შემდგომი დაშლით, იმპერია კარგავს მთელ რიგ მნიშვნელოვან სამფლობელოებს. იმავე დროს მიმდინარეობს მისი შინაგანი დაცემის პროცესი. მთავრები სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევენ იმპერატორს. ფრიდრიხ III არც ცდილობს თავისი ავტორიტეტის აღდგენას, მას ამისათვის არ გააჩნდა არც ფული, არც ჯარი. თავისი მეფობის დასასრულს ფრიდრიხ III დაკარგა თავისი უმთავრესი საგვარეულო სამფლობელო — ავსტრიაც კი, რომელიც შტირიასთან და კარინტიასთან ერთად დაიპყრო უნგრეთმა.

XV საუკ. ბოლოს იმპერიას დაუბრუნეს ზოგიერთი დაკარგული ოლქები. ავსტრიამ შედარებით მცირე ხანს დაჰყო უნგრეთის სახელმწიფოს ფარგლებში. უნგრეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტების ურთიერთ ბრძოლამ საშუალება მისცა ჰაბსბურგებს ავსტრიის დაბრუნებისა. ამას გარდა, ლოტარინგიელებთან და შვეიცარიელებთან ბრძოლაში ნანსისთან 1477 წ. ბურგუნდიის ჰერცოგის კარლოს თამამის დაღუპვამ გამოიწვია ბურგუნდიის საჰერცოგოს დაშლა. ბურგუნდიის ჰერცოგის სამფლობელოთა ერთ ნაწილს დაეუფლა ლუდოვიკ XI, ხოლო მეორე ნაწილი — ნიდერლანდები და ფრანშკონტე, კარლოს თამამის ასულ მარიამ ბურგუნდიელის ხელთან ერთად ერგო ფრიდრიხ III ძეს მაქსიმილიანეს, რომელიც 1493 წლიდან შეიქნა იმპერატორად. ამგვარად, ნიდერლანდები მოექცნენ ჰაბსბურგთა გვარის ძალაუფლების ქვეშ.

მაგრამ, ჰაბსბურგთა ამ წარმატებებმა ვერ შეძლეს იმ დიდი დანაკარგების კომპენსაცია, რომელიც განიცადა იმპერიამ. XV საუკ. განმავლობაში იმპერია პოლიტიკურად იშლება და არსებითად იქცევა თითქმის ფიქციად. იმპერატორი სრულიად უძლურია; რაინსტაგები არაფერს არ აკეთებენ იმპერიის გაერთიანებისათვის და განმტკიცებისათვის; ყოველი მთავარი ისწრაფოდა მხოლოდ საკუთარი სამთავროს გაძლიერებისადმი და სრულიად არ ფიქრობდა მთლიან იმპერიაზე.

[1] Маркс и Энгельс. Соч., VII, зд. 275.

გერმანიის პოლიტიკური დაქსაქსულობით, მისი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების სპეციფიკით, რომელიც მიმართული იყო ცალკეულ სამთავროების გაძლიერებისაკენ ცენტრალური საიმპერატორო ძალაუფლების ხარჯზე, აიხსნება მისი პოლიტიკური სისუსტე. ამ დროს ხდება უმნიშვნელოვანესი ცვლილებები გერმანიის სოციალურ წყობილებაში, განსაკუთრებით, გლეხობის მდგომარეობაში. ეს საკითხი განხილულ იქნება კურსის შემდგომ ნაწილში, გერმანიაში დიდი გლეხთა ომის წინა ისტორიასთან დაკავშირებით.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 137, 146—148, 214, 274—279. 287—300, 340—315, 350—352), т. II („Архив Маркса и Энгельса", т. VI, стр., 3—5, 7—34, 75—83, 141—153, 155—169, 209—259, 361—380, 389—401) и т. III („Архив Маркса и Энгельса", т. VII, стр. 52—68). — Маркс и Энгельс, Переписка, Письма от 14 и 25 марта 1868 г., 15, 16 и 22 декабря 1882 г., Соч., т. XXIV. — Маркс и Энгельс, Прения по польскому вопросу во Франкфурте, Соч., т. VI. — Маркс и Энгельс, Революционная борьба в Венгрии, Соч., т. VII. — Энгельс „Революция и контрреволюция в Германии, Соч., т. VI, — ენგელსი, „მარკა" (არის ამავე ავტორის თხზულებაში „გლეხთა ომი გერმანიაში"). — ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში", 1932 წ. — Энгельс, Гражданская война в Швейцарии, Соч., т. V. — Энгельс, Горная война прежде и теперь, Соч., т. XI, ч. 1.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. II, ч. I, 1938, стр. 88—117. — Социальная истории средневековья, под ред. Косминского и Удальцова, т. II, 1927, стр. 349—439. — Немецкий город XIV—XV веков, сб. материалов под ред. Стоклицкой-Терешкович, 1936. — Генрих Латвийский. Хроника Ливонии, М. — Л. 1938.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. III, 1897, стр. 618—667. — Лампрехт, История германского народа, т. II, 1895. — Ковалевский, Экономический рост Европы, т. II, 1900. — Белов, Городской строй и городская жизнь средневековой Германии, М. 1912. — Стоклицкая-Терешкович, Очерки по социальной истории немецкого города в XIV—XV веках, 1936. — Ван-Мюйден, История швейцарского народа, т. I, Спб. 1898. — Любавский, История западных славян, 1918. — Гильфердинг, История балтийских славян, Соч., т. IV, Спб. 1874. — Гильфердинг, Борьба славян с немецами на славянском Поморье в средние века, Соч., т. IV, Спб. 1874. — Павинский, Балтийские славяне в борьбе с немцами, 1871. — Первольф, Германизация балтийских славян, Спб. 1876. — Егоров, Колонизация Мекленбурга в XIII в., 2 т., 1915. — Лависс, Очерки по истории Пруссии, 1915. — Дельбрюк, История военного искусства в рамках политической истории, т. III, 1938. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. III, ст. 59—62, 64.

თავი XXV

იტალია და პაპობა XIII—XV საუკუნეებში

იტალიის უმთავრესი სახელმწიფოები. ჰოჰენშტაუფენების დაცემის შემდეგ იტალია შეიქნა ფაქტიურად დამოუკიდებელი რომის საღვთო იმპერიისაგან. მიუხედავად არაერთხელ მოწყობილი ახალი გალაშკრებისა, გერმანიის იმპერატორებმა ვერ შესძლეს იტალიის დამორჩილება. მაგრამ იტალიაც ამ ბრძოლიდან კიდევ უფრო დაქსაქსული გამოვიდა.

იტალიაში შეიძლება განხილულ იქნას ცალ-ცალკე სამი ძირითადი ნაწილი — სამხრეთი, შუა და ჩრდილოეთი. სამხრეთი იტალია სიცილიითურთ წარმოადგენდა ორივე სიცილიის სამეფოს. 1268 წ. იგი გადავიდა ჰოჰენშტაუფენთა ხელიდან საფრანგეთის მეფის, ლუდოვიკ IX ძის, კარლოს ანჟუელის ხელში.

შუა იტალიის უდიდესი ნაწილი ეჭირა პაპის ოლქს; მის სამხრეთით მდებარეობდა ტოსკანია, წინანდელი ეტრურია, დანაწილებული მთელ რიგ ქალაქ-რესპუბლიკებად, რომელთა შორის უმთავრესნი იყვნენ ფლორენცია, პიზა, სიენა. ჩრდილო-იტალია, რომლის უდიდესი ნაწილი უჭირავს მდინარე პოს აუზს (ეგრეთწოდებული ლომბარდია), იყო უაღრესად დაქსაქსული პოლიტიკურად. იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა თრი ძლიერი ვაჭრული რესპუბლიკა — ვენეცია და გენუა, მდიდარი სამრეწველო მილანი და მთელი რიგი დანარჩენი ქალაქ-სახელმწიფოებისა — ვერონა, პადუა, პიაჩენცა, პარმა და სხვ. იტალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა რამოდენიმე ფეოდალური სამფლობელო — სავოის სამეფოს, საბერიოგო, მარკიზატები მონფერატისა და სალუცოსი.

სამხრეთი იტალია. კარლოს ანჟუელის ბამეფება აღინიშნა ადგილობრივი დიდკაცობის გაძეგებით და ნაწილობრივი ამოწყვეტით. დაპყრობილი მიწები კარლოსმა დაურიგა თავის მიმდევრებს. კათოლიკური მართლ-მორწმუნეობის სახელით კარლოსმა გაანადგურა არაბთა მოსახლეობანი, რომელთაც ეყრდნობოდა ფრიდრიხ II თავის სამხედრო სისტემაში. გადიდებულ იქნენ გადასახადები, რომელთაც გადააჭარბეს ჯერ კიდევ ფრიდრიხის დროს შემოღებული გადასახადების და ბაეების სისტემას. მოსპობილ იქნა საქალაქო თვითმართველობის ნაშთები. ამის შედეგს წარმოადგენდა სიცილიის დაკარგვა. 1282 წ. იფეთქა აჯანყებამ, ეგრეთწოდებულმა სიცილიურმა მწუხრმა, რომელსაც მისცა ბიძგი კარლოს ანჟუელის დაქირავებული ჯარისკაცების

ბაშინელმა მძარცველობამ და თავხედობამ. ამბოხებულებმა დახოცეს სიცილიაში თითქმის მთელი საოუკუპაციო ჯარი — დაახლოებით 4 ათასი ჯარისკაცი.

სიცილიელმა ფეოდალებმა კარლოსის წინააღმდეგ მიიხმეს დასახმარებლად არაგონიის მეფე პედრო III, რომელმაც ორჯერ დაამარცხა კარლოსის ფლოტი და ჩაუფუშა ცდა სიცილიის დაბრუნებისა.

სიცილიის ჩამოშორების შედეგად კარლოს ანჟუელის სამფლობელოები იტალიაში შემოიფარგლნენ მხოლოდ ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილით და ისინი ცნობილნი არიან ამ დროიდან ნეაპოლის სამეფოს სახელწოდებით. ანჟუელთა დინასტიის ბატონობას სამხრეთ იტალიაში, ანჟუელი მეფეების ხანგრძლივ ომებს არაგონის სამეფო გვართან, შედეგად მოჰყვა ამ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების დაქვეითება და მისი პოლიტიკური მნიშვნელობის შესამჩნევი დაცემა. ანჟუელთა დინასტიის მეფეები იძულებული შეიქმნენ ბევრ რამეში წასულიყვნენ დათმობებზე ფეოდალთა წინაშე. აქ დაიწყო ხანგრძლივი ფეოდალური რეაქცია, დაკავშირებული დაყმევებული გლეხობის უძლიერეს ექსპლოატაციასთან. გლეხები გაურბოდნენ თავიანთ მებატონეებს მთებში. იქ ეწყობა მთელი რაზმები, რომელნიც თავს ესხმიან ფეოდალებს და ქალაქებს. 1442 წ. ნეაპოლის სამეფო გადავიდა არაგონული დინასტიის ხელში.

პაპის ოლქი. რაც შეეხება პაპის ოლქს, აქ XIV საუკუნეში მძვინვარებს ფეოდალური რეაქცია. პაპის ოლქის ქალაქებში ფეოდალებმა დააარსეს მთელი რიგი წვრილი ტირანიებისა. პაპებს უხდებოდათ განუწყვეტელი ბრძოლა მათ პოლიტიკურ პრეტენზიებთან. ფეოდალთა ბატონობას რომში ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ აქ სუსტად იყო განვითარებული ვაჭრობა—მრეწველობა. ვაჭრები და ხელოსნები არ წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას. ფეოდალური გვარები, რომელთა შორის უმსხვილესნი იყვნენ ორსინი და კოლონა, აგებდნენ რომში სახლ-სიმაგრეებს და აწარმოებდნენ ნამდვილ ომებს ქალაქის ქუჩებში. პაპმა ბონიფაცი VIII (1294 — 1303 წწ.) შეძლო ფეოდალთა დროებით დამორჩილება. მან დაამყარა რომში ტირანიისდაგვარი მმართველობა. ყველა უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე იგი ნიშნავდა თავის ნათესავებს. მაგრამ ბონიფაცის მარცხმა საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ბრძოლაში და პაპის საბრძანებელის გადატანამ ავინიონში, გამოიწვია ფეოდალთა ხელახალი გაძლიერება.

პაპები ავინიონში. ავინიონში გადასახლების შემდეგ პაპობა მალე ჰკარგავს იმ პოლიტიკურ ავტორიტეტს, რომელიც მან მოიპოვა XIII საუკ. პაპები დაუმორჩილნენ საფრანგეთის მეფეების პოლიტიკას და აღარ ცდილობდენ ინოკენტი III და ბონიფაცი VIII-ის თეოკრატიული პოლიტიკის აღდგენას. სამაგიეროდ ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ განმტკიცებინათ თავიანთი ძალაუფლება ეკლესიაზე და გაეზარდნათ თავიანთი შემოსავალი. სწრაფად იზრდება გადასახადთა რაოდენობა, რომელთაც ახდევინებდნენ სამღვდელოებას. პაპის კურიის სასარგებლოდ, წინანდელი გადასახადები მატულობენ, შემთხვევითიდან ისინი იქცევიან შეუდრეკად. მათ შორის უმნიშვნელოვანეს წარმოადგენდნენ: გადასახადი პ ა ლ ი ი ს ა თ ვ ი ს (შესამოსლის ნაწილია), რომელიც

უნდა შეეტანათ არქიეპისკოპოსებს, სერვიციები — გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ თანამდებობის მიღებისას ეპისკოპოსები და აბატები, ანატები — წლიურ შემოსავლისოდენი გადასახადი საეკლესიო ბენეფიციუმის დამტკიცებისათვის. ყოველგვარი ხრიკებით პაპები არ უშვებენ ეპისკოპოსების და აბატების არჩევნებს სამღვდელოების მიერ და თვითონ იგდებენ ხელთ მათი დანიშვნის საქმეს, რათა ახდევინონ ამაში ახალ-ახალი ბაჟები. პაპის სამოსამართლო ხელისუფლებაც წარმოადგენდა დაუსრულებელ გადასახადების წყაროს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯვაროსნული ლაშქრობები აღარ ეწყობა, პაპები განაგრძობენ ჯვაროსნული შეათედის აკრეფას, რომელიც ხმარდებოდა პაპის კურიის სხვადასხვა საჭიროებებს. ფართო მასშტაბით წარმოებს ინდულგენციების გაყიდვა.

ფინანსიური მმართველობისათვის შეიქმნა უშველებელი ბიუროკრატიული აპარატი როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ. განსაკუთრებულ „კოლექტორებს“ უნდა ეწარმოებინათ პაპის ცუთვნილი თანხების აკრეფა, მათი გადაგზავნა ჯერ რამოდენიმე ცენტრალურ პუნქტში და იქიდან კი პაპის კურიაში. კურია სარგებლობს ამ საქმისათვის იტალიელი განსაკუთრებით ფლორენციელ ბანკირების მომსახურეობით, რომელნიც დიდ მოგებას იღებდნენ გადასახადის უწესო მხდელთათვის ფულის სესხებით და გადასაგზავნი თამასუქებით.

პაპის კარი ავინიონში ღებულობდა ყველა ამ წყაროებიდან ძალიან დიდ თანხებს, რომელიც იხარჯებოდა მხიარულ და ფუფუნებით ცხოვრებაზე და დროს ტარებაზე, და იწვევდნენ ხალხის მასებისა და მომჭირნე მოქალაქეების უღრმეს აღშფოთებას. არა ნაკლებ აღშფოთებას იწვევდა ნეპოტიზმი — პაპების მიერ თავისი ნათესავებისათვის ხელსაყრელი ადგილების და შემოსავლების დარიგება საეკლესიო მმართველობაში.

კოლა დი რიენცი. პაპების „ავინიონის ტყვეობის“ ხანაში მეტად გაძლიერდა პაპის ოლქში ფეოდალთა ბატონობა და ძალმომრეობა. ისინი აწერდნენ რომის და პაპის ოლქის სხვა ქალაქების მოსახლეობას მძიმე გადასახადებს და ბაჟებს, ყაჩაღობდნენ შარა-გზებზე. რომის ხელოსნებმა და ვაჭრებმა სცადეს ფეოდალთა ბატონობის დამხობა. მათ ეს შეძლეს 1347 წ., და რომში დაამყარეს რესპუბლიკა, თუმცა მისმა არსებობამ ძალიან მცირე ხანს გასტანა. მას სათავეში ჩაუყენეს კოლა დი რიენცი, ჰუმანისტი და პეტრარკას მეგობარი (იხ. თავი XXXIII), გატაცებული ოცნებებით რომის ძველი სიდიადის აღდგენის შესახებ. კოლა გამოაცხადეს სახალხო ტრიბუნად. მან მოაწყო საქალაქო მილიცია, რომლის დახმარებით, შეიძლო ფეოდალთა ალაგმვა და აიძულა ისინი დაედოთ ფიცი რესპუბლიკისადმი ერთგულების შესახებ. ფეოდალები იძულებული იყვნენ ჩაებარებინათ თავიანთი ციხე-კოშკები და გამაგრებული სახლები. კოლამ მოაწესრიგა გადასახადები, გააუქმა მძიმე, ვაჭრობის შემავიწროვებელი ბაჟები. მკაცრი სამოსამართლო განაჩენებით მან შეძლო ფეოდალთა ძალმომრეობისა და ყაჩაღობის აღკვეთა. კოლა დი რიენცი ოცნებობდა მთელ იტალიის გაერთიანებაზე რომის ხელმძღვანელობით და მიმართა იტალიის ქალაქებს გაერთიანებისადმი მოწოდებით. მაგრამ ამან გამოიწვია ქალა-

ქების უნდობლობა, რომელთაც აშინებდათ საკუთარი დამოუკიდებლობის დაკარგვა. რიენცომ აიმხედრა პაპი, რომელმაც დაკარგა საერო ხელისუფლება ტრიბუნის მოღვაწეობის პერიოდში რომში და პაპის ოლქში. ფეოდალებთან განახლებული ბრძოლა მოითხოვდა დიდ ხარჯებს, და რიენცი იძულებულ შეიქნა ხელახლა გაედიდებინა ის გადასახადები, რომელნიც მან თავდაპირველად შეამცირა. ამან ძირი გამოუთხარა მის პოპულარობას რომის მოსახლეობის ფართო მასებში. პაპმა გამოაცხადა იგი შეამპოხედ და განკვეთა ეკლესიისაგან. რაკი ვერ ჰპოვა დასაყრდენი ვერც რომის ხალხში და ვერც იტალიის ქალაქებში, რიენცი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო რომიდან. ბარონებმა ხელახლა ჩაიგდეს ძალაუფლება რომში და განახლდა წინანდებური ანარქია.

კოლა დი რიენცომ ახლა თავისი იმედები დაამყარა იმპერატორზე, რომელსაც, როგორც მას ეგონა, შეეძლო მოელო ბოლო იტალიაში ანარქიისათვის და დაემყარებინა სოციალური სამართლიანობა. იგი გამოეცხადა თავისი ფანტასტიური გეგმებით იმპერატორ კარლოს IV, მაგრამ კარლოსმა შეიპყრო იგი და გადასცა პაპი კლიმენტი VI, რომელმაც ჩასვა სატუსაღოში. კლიმენტის შემდგომმა პაპმა ინოკენტი VI, რომელიც აპირებდა პაპის ძალაუფლების აღდგენას პაპის ოლქში, გადაწყვიტა გამოეყენებინა კოლა დი რიენცი თავისი მიზნების განსახორციელებლად და გაგზავნა იგი რომში. ფეოდალთა მოძალადეობით დატანჯული მოსახლეობა აღტაცებით შეეგება რიენცის, და მან მიიღო რომში ძალაუფლება სენატორის ტიტულით (1354 წ.). მაგრამ ფეოდალებთან ბრძოლამ მოითხოვა დიდი ხარჯები დაქირავებული ჯარების შესანახად. რიენცი იძულებული იყო გაედიდებინა გადასახადები, რითაც ხელახლა აიმხედრა ხალხის მასები. იფეთქა აჯანყებამ, რომელშიაც არ შეიძლება არ რეულიყო ფეოდალთა ხელი. მის დროს კოლა დი რიენცი მოკლულ იქნა. რომში და პაპის ოლქში ხელახლა დაიწყო ფეოდალთა ბატონობა.

„დიდი გათიშვა“. რომში და მთელ პაპის ოლქში ხელახლად გაიმარჯვეს ფეოდალებმა. პაპებმა იწყეს მათ წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლა. 1377 წ. გრიგოლ XI გადაიტანა პაპის რეზიდენცია ავინიონიდან ისევ რომში. ავინიონის „ტყვეობა“ დამთავრდა, მაგრამ თითქმის დაუყოვნებლივ ამის შემდეგ დაიწყო ეგრეთწოდებული დიდი გათიშვა კათოლიკური ეკლესიისა. 1378 წ. მოკვდა გრიგოლ XI. მის ადგილზე პრეტენზია გამოაცხადა ერთბაშად ორმა პაპმა — რომში ამორჩეულმა იტალიელმა ურბან VI და ავინიონში ამორჩეულმა ფრანგმა კლიმენტი VII. ორივემ შეაჩვენეს და განკვეთეს ერთმანეთი ეკლესიისგან, და უწოდეს ერთმანეთს ანტიქრისტე. სახელმწიფოთა ერთმა ნაწილმა სცნო პაპად — კლიმენტი; მეორემ — ურბანი. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა ამ ორი პაპის საკვდილის შემდეგაც: რამოდენიმე წელიწადს ეკლესიას სათავეში ედგა ორი პაპი, რომელნიც ებრძოდნენ ერთმანეთს. ამ მდგომარეობისათვის ბოლოს მოსაღებად უმაღლესმა სამღვდელოებამ გადაწყვიტა საეკლესიო კრების მოწვევა, რომელსაც უნდა მოესპო გათიშვა.

საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა პიზაში 1409 წ., მაგრამ „მასაც არ ჰქონია არავითარი შედეგი, ვინაიდან ამ ვირებმა აირჩიეს დამატებით კიდევ

მესამე პაპიც"[1]. ამგვარად, კათოლიკური ეკლესიის სათავეში მოექცა სამი პაპი. ევროპის უმნიშვნელოვანესი ქვეყნების უმაღლესი სამღვდელოება მოითხოვდა ახალი კრების მოწვევას კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტის დახსნისათვის. საეკლესიო კრება ესაჭიროებოდა ეკლესიას აგრეთვე ბრძოლისათვის იმ „მწვალებლურ" მოძღვრებებთან, რომელთაც მოიცვეს ქალაქების ბურჟუაზია და ხალხთა მასები, უკმაყოფილონი ფეოდალური ეკლესიის პარპაშით, რომელმაც ძალიან დასცა ძირს თავისი მორალური პრესტიჟი. მწვალებლურმა მოძრაობამ მიაღწია განსაკუთრებულ სიძლიერეს ჩეხიაში. პრაგის უნივერსიტეტი, სადაც ჰქადაგებდა უდიდესი ჩეხი პატრიოტი იან ჰუსი, იქცა ანტიკათოლიკური მოძრაობის ცენტრად (იხ. თავი XXVII).

კონსტანცის საეკლესიო კრება. ახალი საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა კონსტანცში (1414 — 1418 წწ.). მას ესწრებოდა ათასზე მეტი არქიეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, აბატი, კარდინალი, მონაზონი, ღვთისმეტყველების პროფესორი, მთავარი და ელჩი. ესწრებოდა იმპერატორი სიგიზმუნდიც. კრების წინაშე იდგა გადასაჭრელად სამი საკითხი: 1) ეკლესიის მთლიანობის აღდგენა, 2) ბრძოლა მწვალებლობასთან და 3) ეკლესიის რეფორმა — reformatio generalis ecclesiae in carite et in membris. თუმცა უმაღლესი სამღვდელოება ცდილობდა შეძლებისამებრ გვერდი აეხვია ამ უკანასკნელი საკითხის გადაწყვეტისათვის. საეკლესიო კრებამ გამოიძახა დასაკითხად იან ჰუსი და მიუსაჯა კოცონზე დაწვა მას და მის თანამოაზრეს იერონიმ პრაგელს. შემდეგ კრებამ გადააყენა სამივე პაპი და მათ ადგილას აირჩია ახალი, მარტინ V. დაბოლოს, საეკლესიო კრებამ შეკვეცა პაპის შემოსავალი და მოითხოვა, რომ პაპს ამიერიდან პერიოდულად მოეწვია კრებები, რომელნიც ახლა აღიარებულ იქნენ ეკლესიის უზენაეს, პაპზე მაღლა მდგომ ორგანოდ.

ბაზელის საეკლესიო კრება. პაპმა მარტინ V გვერდი აუხვია ახალ კრებების მოწვევას, რომელთაც შეეძლო პაპის ძალაუფლების შეზღუდვა. მაგრამ მწვალებლობის წარმატებებმა, ჩეხიის ჰუსიტების გამარჯვებებმა გერმანულ-კათოლიკურ „ჯვაროსნულ ლაშქრობებზე", ფართო პროპაგანდამ ევროპის მშრომელ მასებში ჰუსიტების მემარცხენე ფრთის იდეებისა, რომელიც ისწრაფოდა საზოგადოების საფუძვლიანი გარდაქმნისადმი („მოქალაქეობრივი თანასწორუფლებიანობა და ქონებრივი თანასწორობაც კი".[2] ყველა ამან აიძულა კათოლიკური სამღვდელოება მოეწვია ახალი კრება ბაზელში (1431—1447 წწ.). ბაზელის კრება დარწმუნდა იმაში, რომ პირდაპირ ბრძოლას ჰუსიტებთან ვერ მოჰქონდა საჭირველი ნაყოფი, ამიტომ მან მოახდინა შეთანხმება ჰუსიტების მემარჯვენე ფრთასთან, ეგრეთწოდებულ „მეგარძიმეებთან", მათ წინაშე ზოგიერთ დათმობებზე წასვლით. ბაზელის საეკლესიო კრებამ ხელახლად დაამტკიცა კონსტანცის კრების დადგენილება იმის შესახებ, რომ საეკლესიო კრება უფრო მაღლა დგას პაპზე, მან ჩამოართვა პაპს ნაწილი იმ შემოსავლისა, რომელსაც იგი ჰკრეფდა სამღვდელოებისაგან, შეზღუდა პაპების ჩარევა ეპის-

---

[1] „Архив Маркса и Энгельса", т. VI, зз. 169.
[2] Маркс и Энгельс, Соч., т. VIII, зз. 130.

კოპოსთა არჩევნებში და მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო რეფორმებისა.

ფლორენციის საეკლესიო კრება. პაპმა ევგენი IV (პაპად გახდა მარტინ V შემდეგ, რომელიც კრების გახსნის შემდეგ მალე გარდაიცვალა) შეაჩერა ბაზელის კრება და მოიწვია ფერარში საეკლესიო კრება, რომელიც მალე გადატანილ იქნა ფლორენციაში. ბაზელის კრებამ გადააყენა პაპობიდან ევგენი IV და აირჩია ახალი პაპი — ფელიქს V. ამგვარად, კათოლიკურ ეკლესიაში ერთდროულად აღმოჩნდა ორი პაპი და ორი საეკლესიო კრება.

პაპის ევგენი IV მიერ მოწვეულმა ფლორენციის საეკლესიო კრებამ მიაღწია ეფექტიურ, მაგრამ არსებითად უმნიშვნელო წარმატებას. 1439 წ. მან გამოაცხადა დასავლეთის ეკლესიის უნია აღმოსავლეთის ეკლესიასთან, უკანასკნელის დამორჩილებით პაპისადმი. „მთელი ეს „თვალთმაქცობა" ხელსაყრელი იყო ევგენისათვის, მან გამოიწვია ქრისტიანული ევროპის სიხარული და აღფრთოვანება და მიანიჭა მას უპირატესობა ბაზელის კრებაზე".[1] ევგენი IV მიაღწია იმას, რომ ბაზელის კრება დაშლილ იქნა და პაპმა ფელიქს V უარი განაცხადა პაპის ტახტზე. გარეგნულად აღდგენილ იქნა კათოლიკური ეკლესიის მთლიანობა. მაგრამ საეკლესიო კრებებმა ვერ მოუტანეს პაპობას განახლება. პაპობა წინანდებურად განიცდიდა უდიდესი დაცემის ხანას. პაპები ჰკარგავენ ყოველგვარ ავტორიტეტს და იფლობიან წვრილმპყრობელურ პოლიტიკაში, ყოველგვარი საშუალებით ზრდიან თავის სამფლობელოებს, ამდიდრებენ თავის ნათესავებს და ერევიან იტალიის წვრილ სახელმწიფოთა საქმეთა ინტრიგებში.

ჩრდილო იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები. პოლიტიკურად ყველაზე მეტად დაქსაქსული იყვნენ ჩრდილო იტალია და ტოსკანა. მეტი ნაწილი ქალაქებისა, მტრობდნენ ერთმანეთს. ვერც ერთ მათგანს ვერ შეეძლო გახდომა ცენტრად, რომლის ირგვლივაც შესაძლებელი იქნებოდა დანარჩენთა გაერთიანება. ქიშპობა საგარეო ვაჭრობაში იწვევდა მათ შორის განუწყვეტელ შეტაკებებს. ამასთანავე ერთად მეზობელ ქალაქ-სახელმწიფოთა შორის წარმოებდა განუწყვეტელი ბრძოლა საზღვრებისათვის. ზოგიერთი მსხვილი ქალაქი, როგორც, მაგალითად, მილანი, ცდილობდა სხვა უფრო წვრილი ქალაქების დამორჩილებას. გენუა ცდილობდა მოეტეხა თავისი უმნიშვნელოვანესი საკაჭრო კონკურენტის პიზას ძლიერება და XIII საუკ. დამლევს შეესძლო მისი საზღვაო ძლიერების დამხობა. წარმოებდა განუწყვეტელი ბრძოლა აღმოსავლეთის ბაზრებისათვის გენუას და ვენეციას შორის.

გენუა. ჩვენ უკვე ვახსენეთ ამ ქალაქების როლი ჯვაროსნულ ლაშქრობებში, რომელთაც აამაღლეს და გაზარდეს მათი საკაჭრო მნიშვნელობა, როგორც შუამავლებისა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. განსაკუთრებით დიდ მოგებაში დარჩა ვენეცია მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად. მან შეიძლო თავისი მოქიშპე გენუას გაძევება საბერძნეთიდან და სირიიდან.

მაგრამ 1261 წ. ბიზანტიის იმპერიის აღდგენასთან ერთად, გენუელებს, ბიზანტიისათვის აღმოჩენილ დახმარების ნაცვლად, გადაეცათ ის პრივილე-

---

[1] „Архив Маркса и Энгельса", т. VI, стр. 251.

გენები, რომლებითაც წინათ სარგებლობდნენ ვენეციელები. გენუელი ვაჭრები განთავისუფლებულ იქნენ ყოველგვარი ბაჟების გადახდისაგან ბიზანტიის ნავსადგურებში. მათ მიიღეს კონსტანტინეპოლის გარე-უბნები — პერა და გალატა, ხელთ იგდეს მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტებისა კუნძულებზე, ჩრდილო აფრიკაში, მცირე აზიაში. გენუას მიერ დაარსებულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სავაჭრო ფაქტორიებისა, შავი ზღვის სანაპიროებზე. პირველი ადგილი ეჭირათ კაფას (ახლანდელ თეოდოსიას), ბალაკლავას და სოლდაიას (ახლანდელ სუდაკს). გენუელთა ეს ფაქტორიები იქცნენ გენუელთა ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებად. კაფაზე და სოლდაიაზე გავლით წარმოებდა ვაჭრობა რუსეთთან, ირანთან, ცენტრალურ აზიასთან, ჩინეთთან. გენუა იქცა უმსხვილეს კოლონიურ სახელმწიფოდ, რასაკვირველია, თავის დროის კვალობაზე. გენუელთა მიერ, თავის მთავარი სავაჭრო პოზიციებიდან გაძევებული ვენეცია იწყებს თავისი ვაჭრობისათვის ახალი დასაყრდენი პუნქტების ძებნას და ჰპოვებს მათ ეგვიპტეში. ეგვიპტის სულთანთან დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ვენეციამ მიიღო მნიშვნელოვანი სავაჭრო პრივილეგიები ალექსანდრიაში. XIII საუკ. დამლევისათვის ქიშპობა ვენეციის და გენუას შორის მიმდინარეობდა გენუას უპირატესობით. 1298 წ. გენუელებმა გაანადგურეს ვენეციური ფლოტი კურცოლასთან.

გენუელთა ვაჭრობა იყო მოქცეული ვაჭრული პატრიციატის შედარებით მცირე რიცხოვან ჯგუფის ხელში, რომელსაც წილად ხვდებოდა მთელი მოგება და სარფა გენუას კოლონიური დაპყრობებისაგან. ამ მოგებებისათვის და სარფისათვის წარმოებდა განუწყვეტელი ქიშპობა და ბრძოლა პატრიციულ გვარებს შორის. პატრიციული ოლიგარქიის ბატონობა იწვევდა ხალხის ფართო მასების უკმაყოფილებას. ვაჭართა ამ ნაწილმა, რომელიც გაძევებული იყო სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგებლობიდან, გამოიყენა ეს უკმაყოფილება და მოახდინა 1339 წ. სახელმწიფოებრივი გადატრიალება. მაგრამ ამ უკანასკნელის შედეგად მართვა-გამგებლობას მოექცა სათავეში ახალი ოლიგარქია, რომელიც ხალხის მასებისათვის, არაფრით არ აღმოჩნდა წინანდელზე უკეთესი. ამ ახალი ოლიგარქიის წრიდან ირჩევდნენ დოჟს, რომელიც სიკვდილამდე რჩებოდა ამ თანამდებობაზე და მასთან არსებულ საბჭოს. ახალმა ვაჭართა გვარებმა დაიჭირეს გაძევებულთა ადგილი, და მათი პოლიტიკა არაფრით არ განირჩეოდა იმ პოლიტიკისაგან, რომელიც წინათ ტარდებოდა. XIV საუკ. ცალკეულ ვაჭართა გვარებს შორის (რომელნიც გაიყვნენ გველფებად და გიბელინებად) წარმოებულმა ბრძოლამ საქალაქო ხელისუფლებისათვის და კოლონიალური მოგებებისათვის გამოიწვია გენუას შესუსტება. ვენეციამ მიაღწია გადამწყვეტ უპირატესობას თავის მოქიშპეზე; 1380 წ. ვენეციურმა ფლოტმა გაანადგურა გენუელთა ფლოტი კიოჯოსთან. ამის შემდეგ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ბატონდება ვენეცია. ყირიმში და კავკასიაში გენუელთა ფაქტორიების გარდა, აღმოცენდნენ ვენეციური ფაქტორიებიც. ვენეციურმა ფაქტორიამ ტანამ (ახლანდელი აზოვის მახლობლად) მიიღო თითქმის ისეთივე მნიშვნელობა, რაც კაფამ.

ვენეცია. ვენეციის ვაჭრობა როდი იფარგლებოდა ხმელთაშუა და შავი ზღვების ჩარჩოებით. ვენეციური ხომალდები ცურავდნენ გიბრალტარის სრუ-

ტის გაღმა და თან დაჰქონდათ სამხრეთული საქონელი. ისინი აკეთებდნენ წესიერ რეისებს ბრიუგეში და რაინის ზღვის შესართავთან. ვენეციამ განვითარა აგრეთვე საკუთარი მრეწველობა; იგი აწარმოებდა ფუფუნების საგნებს, რომელიც გაჰქონდათ ევროპის სხვა ქვეყნებში. დიდი სახელით სარგებლობდნენ ვენეციური აბრეშუმის ქსოვილები, შუშის ნაწარმი და იარაღი. ვენეციამ დაიცვა თავი უცხოური კონკურენციისაგან მკაცრი საბაჟო პოლიტიკით. დიდ მოგებას სძენდა რესპუბლიკას მარილის მონოპოლია.

უკვე XII საუკ. მთელი ძალაუფლება ვენეციაში მოქცეული იყო მცირერიცხოვანი კარჩაკეტილი ვაჭრულ-პატრიციული ჯგუფის ხელში. სრულიად ეცემა საქალაქო სახალხო ყრილობის მნიშვნელობა. უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ორგანოდ იქცევა ამორჩეული დიდი საბჭო, თავდაპირველად შემდგარი 480 წევრისაგან, რომელნიც ეკუთვნოდნენ დიდგვაროვნიან პატრიციულ გვარებს. მის გვერდით შექმნეს მცირე საბჭო, ანუ სენიორია, და სხვა დაწესებულებანი, რომელნიც უაღრესად ზღუდავდნენ ამორჩეულ დოჟის ძალაუფლებას. XIII საუკ. დოჟის არჩევნები საბოლოოდ ჩაიგდო ხელში პატრიციატმა. მთელი ხელისუფლების მოქცევა პატრიციული ოლიგარქიის ხელში დაგვირგვინდა 1297 წ. რეფორმით, რომელმაც მიიღო დიდი საბჭოს დახურვის სახელწოდება. ეს რეფორმა იმაში მდგომარეობდა, რომ ვენეციის ამ უმთავრეს საკანონმდებლო ორგანოში მონაწილეობის უფლება მიეცათ მხოლოდ უმსხვილეს ვაჭართა გვარებს. მოგვიანებით ეს გვარები შეტანილ იქნენ „ოქროს წიგნში“, იგი შეიცავდა იმ პირთა სიას, რომელთა წინაპარნიც მონაწილეობდნენ დიდი საბჭოს სხდომებში.

1310 წ. ადგილი ჰქონდა ოლიგარქიის დამხობის ცდას, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ვაჭართა იმ ელემენტებმა, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ დიდ საბჭოში მონაწილეობის უფლებას. ეს შეთქმულება დასრულდა მარცხით, მაგრამ მას მოჰყვა შედეგად მთელი რიგი შემდგომი ცვლილებებისა ვენეციის მმართველობის სისტემაში.

მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო ათის საბჭოს დაარსება. ეს საბჭო ირჩეოდა ერთი წლით და არ ჰქონდა უფლება გადარჩეული ყოფილიყო შემდეგ წელს. ათის საბჭოს დავალებული ჰქონდა საიდუმლო მეთვალყურეობა და დაზვერვა მმართველობის ყველა ორგანოებისა, დოჟით და დიდი საბჭოთი დაწყებული. საიდუმლო მეთვალყურეობა და დაზვერვა ვრცელდებოდა ვენეციის ყოველი მოქალაქის მთელ ცხოვრებაზე. დაბეზღებათა სისტემამ მიიღო მეტად დიდი გავრცელება. ათის საბჭოს საიდუმლოდ ამოწმებდა ამ დაბეზღებებს და გამოჰქონდა განაჩენები. ბრალდებულთა დასჯა ხდებოდა აგრეთვე საიდუმლოდ.

ადამიანს, რომელზედაც მიიტანა ეჭვი ათის საბჭომ, მოელოდა ან სიკვდილი დაჭირავებული მკვლელის ხელით, ან მოტაცება და ჩამწყვდევა ვენეციის საშინელ „ტყვეთის საპყრობილეებში“, რომელთაც მიიღეს თავის სახელწოდება ტყვეთის სახურავის გამო; ეს სახურავი ზაფხულობით საშინლად ხურდებოდა და იწვევდა ტუსაღების აუწერელ ტანჯვას. ჩვეულებრივ ტუსაღები მალე იღუპებოდნენ ამ საპყრობილეებში. XIV საუკ. ნახევრისათვის ათის საბჭო იქცა რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ორგანოდ.

ვენეციამ დაიპყრო დიდი ტერიტორიები იტალიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე. XV საუკ. იგი ფლობდა ვერონას, პადუას, ბრეშიას, რავენას.

ვენეციამ, რომელსაც უხდებოდა ფართო კავშირის დაჭერა უცხოეთის ქვეყნებთან და ვაჭრობის წარმოება მთელ ევროპასთან, ევროპის ყველა დანარჩენ სახელმწიფოებზე ადრე შემოიღო მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა. XV საუკ. დამლევიდან მას ჰყავდა ელჩები აკრედიტებული ევროპის ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფოთა მთავრობებთან. ეს ელჩები უგზავნიდნენ თავიანთ მთავრობას დაწვრილებით მოხსენებებს, რომელნიც წარმოადგენდნენ უძვირფასეს ისტორიულ წყაროს.

ვენეციაში და გენუაში განმტკიცდა ვაჭრული ოლიგარქია. იტალიის დანარჩენ ქალაქ-რესპუბლიკებში შეუპოვარ კლასთა ბრძოლასთან სდევდა ხელისუფლების ხშირი ცვლა. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ იტალიის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ქალაქის — ფლორენციის ისტორია.

ფლორენცია. ბანკები. ფლორენციის ამაღლების საფუძველს საშუამავლო ვაჭრობა კი არ შეადგენდა, როგორც ვენეციისათვის და გენუასათვის, არამედ მრეწველობა და საბანკო საქმე.

ჯერ კიდევ XII საუკ. ფლორენცია აწარმოებდა სავაჭრო ოპერაციებს, ღებულობდა მონაწილეობას რომის კურიის ფინანსიურ საქმეებში. ფლორენციელი ბანკირები ასრულებდნენ პაპის შემოსავლების შემფასებელთა და შემკრებთა როლს. ამგვარად, ფლორენციის სავაჭრო კაპიტალის განვითარება-მეჩიდროდ იყო დაკავშირებული პაპის ტახტთან. XIV საუკ. ეს კაპიტალი იყო მეტად მნიშვნელოვანი. ეს ჩანს თუნდაც იმ ურთიერთობიდან, რომელიც დამყარდა ზოგიერთ ფლორენციულ ფირმებსა და სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოებს შორის. იმ დროის ცნობილი ფლორენციულ ბანკირთა გვარების — ბარდისა და პერუცის — ფულით მოემზადა ედუარდ III ასწლიანი ომისათვის. 1346 წ. ედუარდ III გამოაცხადა სახელმწიფო ბანკროტი (გაკოტრება) და უარი განაცხადა გადაეხადნა ამ ფირმებისათვის, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი კანტორები ლონდონში, იმ დროის კვალობაზე უშველებელი თანხა — 1,3 მილიონ ოქროს ფლორინზე მეტი. თუმცა ამ ბანკროტმა მნიშვნელოვნად შეარყია ფლორენციის ფულადი მეურნეობა, მაგრამ მან მაინც ვერ დასცა ფლორენციის მნიშვნელობა, როგორც საბანკო საქმის ცენტრისა.

მრეწველობის ორგანიზაცია. მაგრამ მარტო მევახშურ ოპერაციებს არ შეუქმნია ფლორენციის ძლიერება. ფლორენცია წარმოადგენდა იტალიის უმსხვილეს სამრეწველო ცენტრს. აქ ადრე ვითარდება შალის, ხოლო შემდეგ აბრეშუმის მრეწველობა. ფლორენციის შალის მრეწველობა მუშაობდა უმთავრესად შემოტანილი ინგლისური და ესპანური მატყლით. ამას გარდა, ფლორენცია აწარმოებდა ხამი, ნახევრად გამოუყვანელ მაუდის ქსოვილების შეძენას, მათ გადაამუშავებდნენ ხოლმე ფლორენციის მანუფაქტურებში, ღებავდნენ და შემდეგ გზავნიდნენ ევროპისა და აღმოსავლეთის ბაზრობებზე.

XIII — XIV საუკუნეებიდან ფლორენციული მრეწველობა, დანარჩენ ევროპისაგან განსასხვავებლად, სადაც ჯერ კიდევ ბატონობდა წვრილი საამქ-

რო წარმოება, იწყებს გარდაქმნას კაპიტალისტურ ყაიდაზე. ამ კაპიტალისტურ გზაზე დამდგარ მრეწველობაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ ეგრეთწოდებული უფროსი საამქროები. ისინი წარმოადგენდნენ მსხვილ მეწარმეთა კავშირებს. ისინი ფართო მასშტაბით უწევდნენ ექსპლოატაციას წვრილ ოსტატებს, რომელნიც მუშაობდნენ თავ-თავიანთ საკუთარ სახელოსნოებში, მაგრამ მეწარმეთაგან მიღებული მასალით. ამასთანავე ერთად წვრილი ოსტატების ექსპლოატაციის გვერდით წარმოებს მუშების დიდი მასების გაერთიანება ერთ ჭერქვეშ. ჩვენ ვხედავთ აქ კაპიტალისტური მანუფაქტურის ჩასახვას. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ექსპლოატირებული წვრილი ოსტატებისა და მუშების მასა არ არის გაერთიანებული არავითარ საამქრო ორგანიზაციებში. პირიქით, უფროსი საამქროები გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ იმას, რომ მათ არ დაეჭირათ ერთმანეთთან არავითარი კავშირი. უფრო დაბლა „უფროს“ საამქროებზე, რომელნიც აერთიანებდნენ ბანკირებს, მსხვილ მეწარმეებს და ვაჭრებს, ინტელიგენტური პროფესიების წარმომადგენლებს (ექიმებს, მეაფთიაქეებს, ნოტარიუსებს) და შეადგენდნენ „მსუქან ხალხს“ („popolo grasso“), —იდგნენ საშუალო და უმცროსი საამქროები; ისინი შეადგებოდნენ სხვადასხვა ხელოსნური პროფესიებისაგან — მქედლებისაგან, კალატოზებისაგან, ხარაზებისაგან და სხვ., რომელნიც ცნობილნი არიან „წვრილმანი ხალხის“ („popolo minuto“) სახელწოდებით.

დაბოლოს, ყველაზე დაბლა იდგა უორგანიზაციო წვრილი შინა-მრეწველობისა და მუშების მასა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მატყლის მპენტავი და მჩეჩავი მუშები, რომელნიც განიცდიდნენ მატყლის საამქროს ექსპლოატაციას. ამ პროფესიების შრომის ანაზღაურება ყველაზე დაბლა იდგა და ისინი ითვლებოდნენ ყველაზე დაბლა მდგომებად. ამ დარგების მუშებს ფლორენციაში უწოდებდნენ ჩ ო მ პ ი ს, ეს სახელწოდება შემდეგში დიდად ცნობილი შეიქნა.

კლასთა ბრძოლა ფლორენციაში XIII საუკუნეში. XIII საუკ. ნახევრამდის ფლორენციაში ძალაუფლება ეკუთვნოდა პატრიციატს — გ რ ა ნ დ ე ბ ს, ანუ მ ა გ ნ ა ტ ე ბ ს. ფლორენციის პატრიციატი შეადგებოდა რაინდებისაგან, რომელნიც ცხოვრობდნენ ქალაქში, კოშკებიან და გამაგრებულ სახლებში. მაგნატთა ნაწილი ღებულობდა მონაწილეობას ვაჭრობაში და საბანკო საქმეებში, იგი დაახლოებული იყო ვაჭრებთან და ბანკირებთან და შეადგენდა გველფების პარტიას. მაგნატთა წმინდა ფეოდალური ნაწილი, რომელიც ცხოვრობდა სოფლის მოსახლეობის ექსპლოატაციით, ემხრობოდა გიბელინების პარტიას. გველფებს და გიბელინებს შორის წარმოებდა გამწვავებული ბრძოლა, ამასთანავე ერთად ისინი გამოდიოდნენ იტალიის დანარჩენი ქალაქებისა და ოლქების გველფებთან და გიბელინებთან კავშირში. ეს ბრძოლა ძირს უთხრიდა მაგნატების სიძლიერეს.

XIII საუკ. უფროსი საამქროები („მსუქანი ხალხი“), სახალხო მასაზე დაყრდნობით, აწარმოებდნენ შეუპოვარ ბრძოლას ძალაუფლებისათვის. ამასთანავე ერთად ისინი სარგებლობდნენ შეტაკებებით გველფებსა და გიბელინებს შორის. „მსუქნები“ შევიდნენ გველფების ორგანიზაციაში.

1293 წ. მაგნატთა ძალაუფლება საბოლოოდ იქნა მოტეხილი. შემოღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, წოდებული „ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს წ ე ს ე ბ ა დ“ („Ordinamenti di Giustizia“).

„წესების თანახმად მხოლოდ საამქროთა წევრები სარგებლობდნენ პოლიტიკური უფლებებით. საამქრონი არ იყვნენ თანასწორუფლებიანი. მმართველობის უზენაეს ორგანოში, ეგრეთწოდებულ სინიორიაში 9 წევრისგან შემდგარ საბჭოში — 7 წევრს ირჩევდნენ უფროსი საამქროებიდან. დანარჩენი საამქროები კი, თუმც გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანნი, ირჩევდნენ მხოლოდ2 წარმომადგენელს. ხოლო რაც შეეხება საამქროებში გაუერთიანებელ მასას, იგი საერთოდ მოკლებული იყო ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს. ახალი წყობილების დაცვა დაევალა ს ა ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს გ ო ნ ფ ა ლ ო ნ ი ე რ ს (მ ე დ რ ო შ ე ს). იგი იყო სინიორიის მეთაური. მის განკარგულებაში იმყოფებოდა მოქალაქეთაგან შედგენილი ლაშქარი. სახალხო მასებს გარდა, პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული იყვნენ აგრეთვე ფეოდალური გვარები, მაგნატები. ისინი შებორკეს თავისებური ურთიერთ თავდებობით. იმ დანაშაულისათვის, რომელსაც ჩაიდენდა ვინმე დიდკაცთაგანი, პასუხი უნდა ეგო ყველა მის ნათესავს. ყოველგვარ ჯარიმებს, თუ ჯარიმდებოდნენ მაგნატური გვარის წარმომადგენელნი, ანდევინებდნენ გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით. მაგნატთა წოდებაში ვისმე გადაყვანას მიმართავდნენ ხოლმე როგორც სასჯელს.

ახალმა კონსტიტუციამ მოუტანა სარგებლობა მხოლოდ „მსუქნებს“. უკვე ერთი წლის შემდეგ დაიწყო მღელვარებანი უმცროს საამქროთა და ქალაქის ღარიბ-ლატაკთა შორის. ეს მღელვარებანი გამოიყენეს მაგნატებმა უფროს საამქროებთან ბრძოლის განახლებისათვის. „მსუქნები“ წავიდნენ დათმობებზე მაგნატების წინაშე, მაგრამ სასტიკად ჩააქრეს სახალხო მასების მოძრაობა.

ფლორენციის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახლა გადამწყვეტი როლის თამაში იწყო გველფების პარტიამ, რომელშიაც გაერთიანებული იყვნენ „მსუქნები“ — ბანკირები, ვაჭრები, მსხვილი მრეწველები — მაგნატთა ნაწილთან. გველფების პარტიის სათავეში იდგა 9 ამორჩეული კ ა პ ი ტ ა ნ ი, რომელთაც ჰქონდათ უფლება თანამდებობის პირთა დანიშვნისა და გადაყენებისა. მაგრამ შიგ გველფების პარტიაშიც არ იყო ერთსულოვნობა. დაიწყო შეტაკებები შეურიგებელ გველფებს („შავი გველფები“) და იმ ჯგუფებს შორის, რომელნიც სახალხო მოძრაობის შიშით ცდილობდნენ გიბელინებთან დაახლოვებას („თეთრი გველფები“). ამ ბრძოლაში განსაზღვრულ როლს ასრულებდა აგრეთვე დიდკაცური გვარების ურთიერთ ქიშპობა. „შავებს“ სათავეში ედგათ დონატის გვარი. „თეთრებს“ — ჩერკისა. საქმე მიდიოდა შეიარაღებულ შეტაკებებამდის. ფლორენციის ქუჩებზე და ხიდებზე. პაპის ბონიფაცი VIII. დახმარებით 1302 წ. „შავებმა“ მოიპოვეს გამარჯვება „თეთრებზე“, „თეთრების“ სახლები დაანგრიეს, მათ ქონებას უყვეს კონფისკაცია, მათი უმრავლესობა გააძევეს ფლორენციიდან. ამ გადატრიალების დროს ფლორენციიდან გაძევებულ იქნა უდიდესი იტალიელი პოეტი დანტეც.

ბრძოლა განსაკუთრებით მწვავდებოდა ისეთ მომენტებში, როგორიცაა

არჩევნები სინიორიის საბჭოში, როდესაც საშუალო და უმცროსი საამქროები განსაკუთრებით მტკივნეულად გრძნობდნენ თავიანთ უუფლებობას და უორგანიზაციო მუშებზე დაყრდნობით, ახდენდნენ გადატრიალების ცდებს.

ჩომპის აჯანყება. „მსუქანი ხალხის" ბატონობამ და მუშათა და წვრილ ხელოსანთა სასტიკმა ექსპლოატაციამ არა ერთხელ აიძულა „წვრილმანი ხალხი" აჯანყებულიყო. 1378 წ. ივლისში ჩომპიმ და მათ გაერთიანებულმა უორგანიზაციო წვრილმა ხელოსნებმა შეუპოვრად შეუტიეს სინიორიას, ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება და მოახდინეს ახალი არჩევნები. ახალ სინიორიაში შეიდნენ მუშათა წარმომადგენლები. მატყლის მჩეჩავი მიქელე ლანდო გამოცხადებულ იქნა სამართლიანობის გონფალონიერად. დაარსებულ იქნა სამი ახალი საამქრო: ორი წვრილი ოსტატისათვის და ერთიც ჩომპისათვის. მაგრამ ახალი სინიორია მოქმედებდა მეტად გაუბედავად. მიღებულ იქნა ზოგიერთი ზომები გადასახადთა გადასანაწილებლად. ფლორენციის სამრეწველო დაწესებულებებს წაუყენეს მოთხოვნილებები, რათა მათ უზრუნველყოთ სამუშაოთი ფლორენციაში მყოფი ყოველი მუშა. მიქელე ლანდო გამოდგა მოღალატე. ფლორენციის ბურჟუაზიამ მოისყიდა იგი და გამოიყენა ჩომპისთან საბრძოლველად. გაბატონებული კლასები გადავიდნენ საბოტაჟის პოლიტიკაზე. მსხვილმა მეწარმეებმა იწყეს თავიანთ საწარმოთა დაკეტვა და ფლორენციიდან გასვლა. ქალაქში დაიწყო უმუშევრობა, ქალაქის სურსათით მომარაგების საკითხი ვერ იქნა მოგვარებული და მოსახლეობაში დაიწყო შიმშილი. ჩომპის მასა, უკმაყოფილო ახალი მთავრობის ვაუბედავი მოქმედებით „მსუქანი ხალხის" წინააღმდეგ, კიდევ ერთხელ გამოვიდა და აჯანყდა იმავ 1378 წ. აგვისტოში, მაგრამ განიცადა სრული მარცხი. წვრილმა ხელოსნებმა არ დაუჭირეს მხარი ჩომპის გამოსვლას. ჩომპის განადგურებაში დიდი მონაწილეობა მიიღო მიქელე ლანდომ. ის საამქრო, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ჩომპი, დაშალეს, მათი შემდგომი ორგანიზაცია აკრძალეს. ამას მოჰყვა ჩომპის დევნა, ბევრი მათგანი იძულებული იყო გაქცეულიყო ფლორენციიდან. მალე დახურეს ის ორი საამქროც, რომელნიც დაარსებულ იქნენ ჩომპის აჯანყების დროს წვრილი ხელოსნებისათვის. ხელისუფლებას დაუბრუნდა „მსუქანი ხალხი".

ჩომპის აჯანყება წარმოადგენს იმ სოციალური ბრძოლის ნაყოფს, რომელიც წარმოებდა იმ დროს იტალიის ქალაქებში და მოწმობს კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდის დასაწყისს. ჩომპის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდამ განიცადა მარცხი, ვინაიდან ხელოსნური პროლეტარიატი იყო ჯერ კიდევ მოუმწიფებელი, უორგანიზაციო და ნაწილობრივ შედგებოდა ექსპლოატირებული წვრილი ოსტატებისაგან, რომლებთანაც ჩომპიმ ვერ შესძლო საკმაოდ მტკიცე კავშირის დამყარება და რომელთაც ულალატეს მას უკანასკნელ მომენტში.

მედიჩთა ტირანობა. ბურჟუაზიის შიშს სახალხო მოძრაობათა წინაშე ჰქონდა ის შედეგი, რომ ფლორენციის პოლიტიკური წყობილება დაწყებული XIV საუკ. ბოლოდან და განსაკუთრებით XV საუკ., ღებულობს სულ უფრო და უფრო მონარქიულ ხასიათს. ფლორენციაში ხანდათან მყარდება მედიჩის გვარის ტირანია.

მედიჩები წარმოადგენდნენ ფლორენციის უმსხვილეს ბანკირებს. მათ ჰქონდათ კანტორები ევროპის უუდიდეს ქალაქებში, ისინი წარმოადგენდნენ მთელ რიგ ევროპულ სახელმწიფოთა კრედიტორებს. მედიჩის გვარი აბდენდა უდიდეს გავლენას ფლორენციის პოლიტიკის მიმართულებაზე. XV საუკ. დამდეგს მედიჩის გვარს მოუხდა დიდი ბრძოლა სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენლებთან, რომელნიც ოცნებობდნენ დიდ დაპყრობებზე, ტერიტორიალურ შენაძენებზე და ახალი ბაზრების ხელში ჩაგდებაზე. მედიჩები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი ექსპანსიაში, ვინაიდან მათმა საბანკო კაპიტალმა უამისოდაც დაიპყრო ევროპის მთელი რიგი ქვეყნები და სახელმწიფოები, ისინი აწარმოებდნენ ამ წრეებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, ამასთანავე ერთად მიმართავდნენ დემაგოგიურ პოლიტიკას და სახალხო მასების უკმაყოფილების გაღვივებას.

XV საუკ. 30-იან წლების დასაწყისში ერთ-ერთ მედიჩთაგანს, კოზიმოს, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა, მოუხდა ფლორენციის დატოვება, სადაც გამარჯვება მოიპოვა მისმა მოქიშპე ალბიციის გვარმა, მაგრამ კოზიმო მედიჩის წასვლა ძალიან ცოტა რითიმე ჰგავდა გაძევებას. ეს იყო ტრიუმფალური მოგზაურობა ევროპაში, სადაც მას ხვდებოდნენ, როგორც გვირგვინოსან პირს. 1434 წ. მან შეიძლო ალბიციის ბატონობის დამხობა და ფლორენციის ფაქტიურ მეთაურად გახდომა. თუმცა, ამასთანავე, მედიჩები არ ღებულობდნენ თავისთვის არავითარ განსაზღვრულ პოლიტიკურ თანამდებობებს, ისინი არ უწოდებდნენ თავიანთ თავს ჰერცოგებს, როგორც იქცეოდა ბევრი ტირანთაგანი, სამაგიეროდ ყველა თანამდებობებზე ისინი ნიშნავდნენ თავის ნათესავებს ან მახლობელ ხალხს და არსებითად ეჭირათ თავის ხელში მმართველობის მთელი სისტემა. მედიჩების მიერ წარმოებული დემაგოგიური პოლიტიკა, პირველ ყოვლისა, მდგომარეობდა იმაში, რომ მათ მნიშვნელოვნად შეუმსუბუქეს ფლორენციის მოსახლეობის მასებს საგადასახადო ტვირთი. საყოველთაო გადასახადის ნაცვლად, მათ შემოიღეს საშემოსავალო, რომლითაც იბეგრებოდნენ განსაკუთრებით მდიდარნი. ამგვარად მათ მიაღწიეს ერთბაშად ორ მიზანს — შეიძინეს პოპულარობა და შეასუსტეს თავიანთი კონკურენტები.

მედიჩებმა, დანარჩენ იტალიელ ტირანებსავით, განავითარეს ფლორენციაში დიდი მშენებლობა, რომელიც აძლევდა სამუშაოს და შემოსავალს ხალხის მასებს. მათ მდიდრულად მოიწყეს სახლკარი და გამოდიოდნენ ხელოვნებათა მფარველობის როლში. მათ დროს ფლორენცია იქცევა იტალიის მხატვრობის, მოქანდაკეობის, ხუროთმოძღვრების და ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრად. აქ იყრიან თავს საუკეთესო ხუროთმოძღვრები, სახელგანთქმული მხატვრები, უდიდესი მწერლები. ფლორენცია იქცევა ფუფუნების ცენტრად, სადაც ხელოსანთა მასები პოულობენ მუდმივ შემოსავალს. ამაზე იყო აგებული მედიჩთა პოპულარობა. ისინი აწყობდნენ ბრწყინვალე სახალხო დღესასწაულებს, სახალხო გამასპინძლებებს (წვეულებებს). ამასთანავე ერთად, მედიჩის ხალხში თავი უბრალოდ ეჭირათ, ერეოდნენ მათში, ღებულობდნენ მონაწილეობას სახალხო გასართობებში.

ფლორენციის ბურჟუაზიის ფართო წრეები, დამოკიდებულნი მედიჩთაგან ან დაკავშირებულნი მათთან ეკონომიური ინტერესებით, მხარს უჭერდნენ მათ მმართველობას. ამას გარდა, ბურჟუაზია შეჰყურებს მედიჩთ როგორც „წესრიგის“ დამცველთ სოციალური რყევისაგან.

ფლორენციაში თანდათანობით დამყარდა ფაქტიურად მონარქიული წყობილება. მედიჩნი იქცნენ ფლორენციის უგვირგვინო მბრძანებლებად. ეს განსაკუთრებით ითქმის კოზიმის შვილიშვილ ლორენცო მშვენიერზე (1469 — 1492 წწ.). ეს იყო ფლორენციის უუდიდესი სიძლიერის ეპოქა. ლორენცოს ჰქონდა საბანკირო კანტორები ევროპისა და იტალიის ყველა უმნიშვნელოვანეს ქალაქებში: მილანში, ვენეციაში, ჟენევაში, ბრიუგეში, ლონდონში და სხვ. ამის წყალობით მას შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პოლიტიკურ ცხოვრებაზე ევროპის თითქმის ყველა ქვეყნებში. მისი მმართველობის ხანაზე მოდის ფლორენციის კულტურის აყვავების უმაღლესი მწვერვალი.

ტირანია იტალიის ქალაქებში. მედიჩთა ბატონობა ფლორენციაში წარმოადგენს იტალიის ქალაქებში ტირანული ძალაუფლების დამყარების მხოლოდ ერთ-ერთ დამახასიათებელ მაგალითს. მათში წარმოებული ვაჭრობებული სოციალური ბრძოლის შედეგად ფეოდალებსა და ბურჟუაზიას შორის და მშრომელთა მასების, ხელოსანთა ქვედა-ფენების, შინა-მრეწველების და მუშების გამოსვლების გამო, მთელ რიგ იტალიის ქალაქებში დამყარდა დიქტატურა; ამასთანავე ერთად ხშირად ქალაქებს სათავეში ეჭცევინ ფეოდალური გვარები, ამავე დროს ტირანები ჩვეულებრივ აწარმოებდნენ დემაგოგიურ პოლიტიკას, ცდილობდნენ ხალხის მასების მიმხრობას. მილანში XIII საუკ. დამლევს ძალაუფლება გადავიდა ფეოდალური დინასტიის კისკონტის ხელში. ფერარაში ჩვენ ვხედავთ დ'ესტეს გვარს, ვერონაში — სკალგიერის გვარს და სხვ.

ზოგჯერ ძალაუფლებას ქალაქებში ეუფლებოდნენ ეგრეთწოდებული კონდოტიერები, დაქირავებული ჯარების მეთაურები. კონდოტიერი ღებულობდა ქალაქისგან განსაზღვრულ თანხას სამხედრო საქმის ორგანიზაციისათვის და ჰკრებდა დაქირავებულ ჯარებს. დამქირავებლისაგან მოლებულ გასამრჯელოს გარდა, იგი ღებულობდა სამხედრო ნადავლის ნაწილს. ზოგჯერ მის მსხვერპლად ხდებოდა მისივე დამქირავებელი ქალაქი. კონდოტიერები წარმოადგენდნენ დიდ უბედურებას ქვეყნისათვის. „ბანდების მეთაურები, რომელნიც ფულის გულისათვის განუწყვეტლივ გადადიოდნენ ერთი მხარედან მეორეზე, სწყვეტდნენ იტალიის ყველა სახელმწიფოთა ბედ-იღბალს“.[1] ხშირად კონდოტიერებად იყვნენ უცხოელები — ესპანელები, ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, უცხო ადამიანები იტალიისათვის, რომელსაც ისინი საშინლად ძარცვავდნენ და აჩანაგებდნენ. ერთი ამ დაქირავებული ბანდის მეთაურთაგანი თვითონ უწოდებდა თავის თავს „ღვთის, შებრალების და თანაგრძნობის მტერს“. თუმცა იტალიელ—კონდოტიერებიც არ იყვნენ მათზე უკეთესნი.

---

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. VI, зд. 88.

1450 წ. ძალაუფლება მილანში ჩაიგდო ხელში კონდოტიერმა ფრანჩესკო სფორცამ, რომელიც მანამდის ემსახურებოდა ჯერ პაპს, შემდეგ ვენეციის რესპუბლიკას და, ბოლოს, მილანის ვისკონტის გვარის ტირანებს.

პატრიციატის წრეები, ტირანიის მიერ ხელისუფლებას ჩამოშორებულნი, განუწყვეტლივ აწარმოებდნენ მის წინააღმდეგ ინტრიგებს, კრავდნენ ამ მიზნით კავშირებს, ისე რომ XIII—XV საუკუნეები იტალიისათვის ცალკეულ საქალაქო ჯგუფებს შორის, რთული ბრძოლის ეპოქას წარმოადგენენ, ბრძოლისას ყოველი ჯგუფს შიგნით, ტირანების ბრძოლისას ძალაუფლებისათვის თავიანთ კონკურენტებთან. ეს ეპოქა ხასიათდება უალრესი პოლიტიკური მერყეობით, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა იტალიის შემდგომი ბედიღბალი. თავის აყვავების ეპოქაშიაც იტალია დარჩა პოლიტიკურად გაუერთიანებელი, მან ვერ მიაღწია პოლიტიკურ წონასწორობას.

იტალიელი გლეხობის ბედიღბალი. დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, იტალიაში ჩვენ ვხედავთ ფეოდალიზმის უფრო სუსტ განვითარებას. ამას ხელი შეუწყო მიზეზების მთელმა რიგმა: პირველ ყოვლისა, იმ გარემოებამ, რომ იტალიაში არ წარმოებდა ისეთივე მასშტაბით, როგორც დანარჩენ ევროპაში, ნატურალური მეურნეობისაკენ დაბრუნება. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი შენარჩუნებულ იქნა იტალიაში ასე თუ ისე შუა საუკუნეთა პირველ პერიოდში, და მათ ძალიან ადრე, ჯერ კიდევ IX საუკ., იწყეს დიდი როლის თამაში, არამარტო ქალაქების, არამედ სოფლის ცხოვრებაშიაც. იტალიის მომეტებულ ნაწილში გლეხობის ფეოდალურ ექსპლოატაციას არ მიუღია სავსებით ისეთივე ბატონყმური ფორმები, როგორიც იყო მისთვის დამახასიათებელი ალპების ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში. იტალიის ნახევრად ყმა გლეხები უხდიდნენ ერთობ მნიშვნელოვან ვალდებულებებს და გადასახადებს მემამულეებს, მაგრამ ეს გადასახადები იყო ფიქსაციაქმნილი და არ შეიძლებოდა მათი შეცვლა. ამგვარად, გლეხობის მდგომარეობა იტალიაში იყო უფრო მსუბუქი, ვიდრე დანარჩენ ევროპაში. ძალიან ადრე იწყება გლეხობის განთავისუფლებაც. იტალიის ისტორიის სპეციფიურმა საქალაქო ხასიათმა შეასრულა ამაში მეტად მნიშვნელოვანი როლი.

გლეხობის განთავისუფლება წარმოებს თანდათანობით. თავდაპირველად თავისუფლდებოდნენ ის გლეხები, რომელნიც გარბოდნენ ქალაქებში. ეს ხდებოდა უკვე XII საუკუნეში. XII საუკუნეში მთელმა რიგმა ქალაქებმა (ბოლონი, ფლორენცია, ჟენუა, ვენეცია, მილანი) ჩაატარა გლეხობის განთავისუფლება ფეოდალური დამოკიდებულებისაგან, ამასთანავე ერთად ისინი ისახავდნენ მიზნად თავისუფალი მუშა ხელის შექმნას. მეორე მხრივ, გლეხობის განთავისუფლება აძლევდა ქალაქს დახმარებას მის ბრძოლაში ფეოდალებთან. ნეუპოვარ ბრძოლას ქალაქებსა და სენიორებს შორის, ფეოდალური ციხეკოშკების დანგრევას შოქალაქეთა მიერ, ფეოდალურ გვარების გაძევებას, სასოფლო ოლქების ქალაქის ძალაუფლებისათვის დამორჩილებას და, პირველ ყოვლისა, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სწრაფ ზრდას, შედეგად ჰქონდა მეურნეობის წმინდა ფეოდალური ფორმების სწრაფი დაშლა. ამავე მიმართულებით მოქმედებდა ფეოდალთა გალატაკებაც ქალაქის საგანმო კაპიტალის მიერ. ფულადი რენტის სწრაფი ზრდა ხელს უწყობდა უმიწოდაც

სუსტად განვითარებული სამატონო-სამეგრო მეურნეობის მოსპობას. სამატონო მიწა ურიგდებოდათ იჯარით გლეხებს. ფულადი რენტა, ფიქსირებული ერთხელ და სამუდამოდ, მცირდებოდა ფულის ღირებულების დაცემასთან ერთად. ფეოდალებს არ გააჩნდათ იმოდენა ძალა, რომ იძულებული გაეხდინათ გლეხები, რათა უკანასკნელთ ეხადნათ გაზრდილი რენტები. გლეხობა უწევდა დიდ წინააღმდეგობას ასეთ ცდებს. ყველაფერს ამას შედეგად მოსდევდა ფეოდალურ მიწათმფლობელობის გაღატაკება და მათი დავალიანების ზრდა. ბევრი მიწათმფლობელი ჰყიდდა თავის სამფლობელოებს ან და უთმობდა მათ ვალში ქალაქელ კრედიტორებს. ყველა ამის შედეგად სწრაფად ეღება ბოლო ძველებურ ნახევრად ბატონ-ყმურ ურთიერთობას. მართალია, სამოლოო ანგარიშში განთავისუფლებამ ძალიან ცოტა რამ შესძინა გლეხობას, ვინაიდან ქალაქებმა, როგორც კი გამოიყენეს გლეხობა თავის მიზნებისათვის, შემდეგ დაიწყეს თავისუფალი გლეხთა თემების ექსპლოატაცია. შეიზღუდა ამ თემების თვითმართველობის უფლებები. ქალაქები ექსპლოატაციას უწევდნენ მათ იძულებითი ფასების სისტემით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მეტად დაბალი ფასების დაწესებით. ბურჟუაზიამ დაიწყო მიწების შესყიდვა სოფლებში, და თანდათანობით ყალიბდება ახალი მსხვილი მიწათმფლობელობა ქალაქელ მდიდრებისა; მაგალითად, მიწის უმსხვილეს შემსყიდველს წარმოადგენდნენ მედიჩები. გლეხებს კი სულ უფრო და უფრო უხდებოდათ სხვის მიწაზე მომუშავე წვრილ მოიჯარეების მდგომარეობაზე გადასვლა. წვრილ იჯარას, რომელიც ვითარდებოდა სოფლად, ჰქონდა ნახევრად ფეოდალური ხასიათი. ამგვარად წარმოებდა მიწების შემძენი ბურჟუაზიული ელემენტების თავისებური ფეოდალიზაცია.

მაგრამ ფეოდალური წყობილების დაშლა იტალიაში ყველგან ერთნაირი სისწრაფით არ ხდებოდა.

სამხრეთ ნაწილში ფეოდალური ურთიერთობა მეტად მტკიცე იყო. გლეხობის ფეოდალური ექსპლოატაცია გრძელდებოდა კიდევ რამოდენიმე საუკუნეს. მაგრამ ჩრდილოეთითაც არსებობდა ოლქები, სადაც ურყევი იყო ფეოდალური წეს-წყობილება. ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიის მთელ რიგ ქალაქებში (ვერონა, ფერარა, მოდენა, პარმა, რავენა, ურბინო და სხვ.) დამყარდა ფეოდალური გვარების ტირანიები, რომელნიც აფერხებდნენ გლეხობის განთავისუფლებას. კიდევ უფრო ძლიერი იყო ფეოდალური ურთიერთობანი ჩრდილო-დასავლეთით, სადაც შენარჩუნებულ იქნენ მსხვილი ფეოდალური სამფლობელოები მონფერანტის მარკიზებისა და საგოის ჰერცოგებისა და სადაც XIII — XIV საუკუნეთა განმავლობაში ბატონ-ყმობა დაცული იყო თითქმის უცვლელი ფორმებით. სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ზრდამ აქ კიდევაც გამოიწვია გლეხობის ფეოდალური ექსპლოატაციის ზრდა. ამ ნიადაგზე XIV საუკ. დამდეგს მოხდა გლეხთა ამბოხება, ცნობილი დოლჩინოს ამბოხების სახელწოდებით. ამბოხებას ხელმძღვანელობდა რელიგიური სექტა, რომელსაც ჰქონდა „მოციქულთა ძმების“ სახელწოდება.

დოლჩინოს ამბოხება, გაბწყვავებულ კლასთა ბრძოლასთან დაკავშირებით, ჩრდილოეთ იტალიაში ფართოდ გავრცელდა მწვალებლობანი: პატარენთა

მოძრაობა არ შენელებულა ორი საუკუნის განმავლობაში; დიდი გავრცელება მოიპოვა ვალდენსების მოძრაობამ. ამ მწვალებლურ მოძრაობათა მიერ წამოყენებული სოციალური რეფორმების გეგმები ლებულობდენ სულ უფრო და უფრო რადიკალურ ხასიათს.

„მოციქულთა ძმების“ სექტაში სოციალურმა მომენტებმა მიიღო გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს სექტა დაარსა ხელოსანმა სეგარელიმ (დაახ. 1260 წ.) პარმის ოლქში. „მოციქულთა ძმებს“ არ ჰქონდათ კერძო საკუთრება, ისინი აძლევდნენ მთელ საკუთარ ქონებას თავიანთ თემს, უწოდებდნენ ერთმანეთს ძმებს და დებს. მათ გაუჩნდათ მრავალი მომხრე იტალიაში და მის გარეთ. თავდაპირველად ეკლესია არ აქცევდა ყურადღებას „მოციქულთა ძმების“ ქადაგებას. მაგრამ შემდეგ, როდესაც სექტას ემხრობა ხალხის ფართო მასები, ეკლესია დაფაცურდა. სეგარელი დაპატიმრებულ იქნა პარმის ეპისკოპოსის მიერ და „მოციქულთა ძმების“ ორგანიზაცია აიკრძალა პაპის მიერ. სეგარელი გააძევეს პარმიდან, მაგრამ ახლა მან დაიწყო თავისი მოძღვრების ქადაგება მთელ ჩრდილო იტალიაში, იგი ყველგან პოულობდა მიმდევრებს უღარიბეს კლასებს შორის. იგი შეიპყრეს და დაწვეს პარმაში (დაახ. 1300 წ.). მისი ადგილი დაიჭირა დოლჩინომ, მონასტრიდან გამოქცეულმა ფრანციისკელმა ბერმა თავის მეგობარ ქალ მარგარიტასთან ერთად, რომელიც მასავით ყოფილი მონაზონი იყო, იგი აწარმოებდა დიდ აგიტაციას. იგი ქადაგებდა, რომ საკუთრება და სიმდიდრე წარმოადგენს საფუძველს ყოველგვარი ბოროტებისას. ქონება უნდა გახდეს საერთო. კათოლიკური ეკლესია წაირყვნა მის შემდეგ, რაც შეიქნა სიმდიდრის მფლობელი. იგი ქადაგებდა ღვთის ათასი წლიანი მეფობის დადგომის ჟამის მოახლოებას, რაც მოასწავებდა იმავე დროს სოციალური სამართლიანობის გამეფებას, როდესაც ყველა დოვლათით სარგებლობა გახდება საერთო. დოლჩინო ფიქრობდა, რომ სამართლიანობის გამეფება უნდა მოხდეს ეკლესიისა და მდიდართა დათრგუნვის გზით, მთელი სამღვდელოების განადგურების გზით. მას გაუმტყუნდა იმედები თავისი იდეალების საერო ხელისუფლების დახმარებით განხორციელებისა, ამიტომ მან დაამყარა თავისი იმედები ჩაგრულთა შეიარაღებულ ამბოხებაზე. თავისი მომხრეთა რაზმით დოლჩინო გაჩნდა პიემონტის ალპებში. მას უერთდებიან მასობრივად გლეხები, ჩაგრულნი ფეოდალური ვალდებულებებით. შეიკრიბა დიდი ჯარი, რომელშიაც ოჯანყების მომხრე გლეხმა ქალებმა შეადგინეს ცალკე ქალთა რაზმი. ეს რაზმი მარგარიტას მეთაურობით იბრძოდა განსაცვიფრებელი გულადობით.

ამბოხებულ გლეხების წინააღმდეგ გაგზავნილმა ვერჩელის და ნოვარის ეპისკოპოსთა ჯარებმა განიცადეს დამარცხება. მეამბოხეებმა იწყეს მამულებისა და მონასტრების დარბევა და განადგურება. ამან აიძულა ფეოდალები წასულიყვნენ ზოგიერთ უმნიშვნელო, ტაქტიკურ ხასიათის დათმობებზე გლეხობის წინაშე. ამან ჩამოაშორა დოლჩინოს მისი რაზმის განსაზღვრული ნაწილი. პაპმა კლიმენტი V გამოაცხადა ჯვაროსნული ლაშქრობა ამბოხებულ გლეხების წინააღმდეგ. გლეხები მოიმწყვდიეს მთებში და გარს შემოარტყეს სიმაგრეთა რკალი, მაგრამ მათი დაძლევა შესძლეს მხოლოდ შიმშილით. მო-

ომობა გაურეცილ იქნა (1307 წ.) მეამბოხეთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხოცა, დანარჩენები აწამეს და სიკვდილით დასაჯეს. დოლჩინო და მარგარიტა დასაჯეს სიკვდილით საშინელი წამების შემდეგ.

ეს ამბოხება წარმოადგენს ერთ-ერთ უპირველეს ამბოხებათაგან გლეხთა ომების იმ მწკრივში, რომელიც გრძელდება საფრანგეთში ჟაკერიით, ხალხ ინგლისში უოტ ტაილერის ამბოხებით.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки. т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 258—274). т. II („Архив Маркса и Энгельса". т. VI, стр. 5—11, 15—27, 34—43, 84—91, 126—141, 153—169, 259—275, 288—302) и т. III („Архив Маркса и Энгельса", т. VII, стр. 33—52). — Маркс, Сицилия и сицилийцы, Соч., т. XII, ч. 2. — ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში".

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина. т. II, ч. I, 1938, стр. 130—185. — Хрестоматия по западноевропейской литературе. Средние века (IX—XV вв.), под ред. Шор, 1938, стр. 123—499.

III. გამოკვლევები. დამხმარე წყაროები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. III, 1897, стр. 521—555. — Тарле, История Италии в средние века. Спб. 1906. — Вайнштейн, Италия, Исторический очерк. Средние века. БСЭ, т. 28. — Королин, Важнейшие моменты в истории средневекового папства, Спб. 1901. — Грацианский, Крестьянские и рабочие движения в средние века, М. 1924. — „Зарница" („Флорентийские чтения"), т. I, 1914. — Книга для чтения по истории средних веков под ред. Виноградова, разн. изд., т. III, ст. 56.

თ ა ვ ი XXVI

ესპანეთი და პორტუგალია XI—XV საუკუნეებში

რეკონკისტა. პირენეის ნახევარკუნძულის სახელმწიფოთა ისტორიის თავისებურობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი აღმოცენდნენ არაბთაგან, ანუ უფრო სწორედ, მავრებისაგან (ვინაიდან დამპყრობელთა უმრავლესობას შეადგენდნენ არა ნამდვილი არაბები, არამედ გაარაბებული ჩრდილო აფრიკელი ბერძნები, ანუ მავრები) მიწა-წყლის უკან წართმევის (ესპანურად რ ე კ ო ნ კ ი ს ტ ა) პროცესში. რეკონკისტამ განსაზღვრა ამ სახელმწიფოების სოციალური და პოლიტიკური წყობილების თავისებურებანი. მარქსი წერს: „ესპანეთის ადგილობრივი ცხოვრება, დამოუკიდებლობა მისი პროვინციებისა და კომუნებისა, სხვადასხვაობა საზოგადოებრივ მდგომარეობაში, თავდაპირველად განისაზღვრებოდნენ ქვეყნის გეოგრაფიული თვისებებით, ხოლო შემდეგ განვითარდნენ ისტორიულად იმ თავისებური გზების წყალობით, რომლებითაც სხვადასხვა პროვინციები თავისუფლდებოდნენ მავრების ბატონობისაგან...“[1]

რეკონკისტა მიმდინარეობდა ნაწილობრივ ასტურიიდან, ამ ერთადერთი სამფლობელოდან, რომელმაც შეინარჩუნა დამოუკიდებლობა არაბთა დაპყრობის შემდეგ, ნაწილობრივ კი ესპანური მარკიდან, რომელიც დააარსა კარლოს დიდმა VIII საუკ. დამლევს და IX საუკ. დამდეგს ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. რეკონკისტას ხელი შეუწყო იმ განუწყვეტელმა ბრძოლამ, რომელიც წარმოებდა კორდოვის სახელმწიფოში ფეოდალებსა და ხალიფებს შორის. არაბი მებატონეების წინააღმდეგ არა ერთხელ აჯანყებულა ესპანურ-ვესტგოთური გლეხობა და ქალაქების ხელოსნური მოსახლეობა, როგორც გამაჰმადიანებული რ ე ნ ე ჰ ა დ ო ს ი, ანუ მ უ ვ ა ლ ა დ ე ბ ი, ისევე ქრისტიანობაში დარჩენილი მ ო ს ა რ ა ბ ე ბ ი. XI საუკ. კორდოვის სახალიფო ფაქტიურად დაიშალა რამოდენიმე ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ფეოდალურ სამთავროდ. XI საუკ. მეორე ნახევრისათვის უკვე არსებობდა ოცდა სამი ასეთი სამთავრო.

მავრებისათვის მიწა-წყლის უკან წართმევის პროცესი, დაწყებული ჯერ კიდევ VIII საუკ., განსაკუთრებით დაჩქარდა X-XI საუკუნეებში. 1085 წ. ესპანელებმა ხელთ იგდეს ტოლედო. თუმცა რეკონკისტა შეაჩერეს ჯერ XI საუკ. დამლევიდან ა ლ მ ო რ ა ვ ი დ ე ბ მ ა, ხოლო XII საუკ. ა ლ მ ო ხ ა დ ე ბ-

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. X, зд. 271—272.

მ ა, ნაბეკრად ველურმა ბერბერულმა ტომებმა, ისლამის ფანატიკურმა მიმ-დევრებმა, რომელნიც შემოიჭრნენ ჩრდილო აფრიკიდან. მაგრამ XIII საუკ. დამდეგისათვის მოხდა გარდატეხა. 1212 წ. ესპანეთის სამეფოების გაერთიანებულმა ძალებმა, რომელთაც შეუერთდნენ ევროპის სხვა ქვეყნებიდან მოსული ჯვაროსნები, თავს დაატეხეს მავრებს სამინელი დამარცხება (ლას ნავას დე ტოლოსასთან), რომლის შედეგადაც უკანასკნელთ ვეღარ შეიძლეს წელში გასწორება.

ახლა დაპყრობა სწრაფად მიიწევს წინ. 1236 წ. აღებულ იქნა კორდოვა — კორდოვის სახალიფოს ცენტრი. XIII საუკ. დამლეგისათვის არაბებს შერჩათ მხოლოდ უმნიშვნელო სამფლობელოები ესპანეთის სამხრეთ ნაწილში — გრანადის საემირო დედა-ქალაქ გრანადით. ეს იყო ესპანეთის ყველაზე მდიდარი ოლქი, მაღალ სამიწათმოქმედო კულტურის მქონე, იგი აწარმოებდა ფართო ვაჭრობას. აქ განვითარებული იყო ინტენსიური მეგაღლობა, ზეთის ხილის გაშენება, იხმარებოდა ხელოვნური მორწყვა. გრანადის სამთავრო ტერიტორია არაბებმა შეინარჩუნეს ძალიან დიდხანს — 1492 წლამდის.

რეკონკისტა მდგომარეობდა არა მარტო დაპყრობაში, არამედ აგრეთვე დაპყრობილი ტერიტორიების შემომტკიცებაშიც, ომით დაცარიელებულ და გაველრანებული ადგილების დასახლებაში, საზღვრების დაცვაში მუდმივი თავდასხმებისაგან. საზღვრებზე არაოდეს არ წყდებოდა წვრილ-წვრილი ომები. რეკონკისტაში მთავარ როლს თამაშობდნენ გლეხობა, რომელიც სახლდებოდა სასაზღვრო ოლქებში, გამაგრებული ქალაქების მოსახლეობა, წვრილი რაინდობა, რომელიც მუდამ შეიარაღებული მზად იყო მტრების თავდასხმისათვის პასუხის გასაცემად, მაგრამ რეკონკისტით ყველაზე მეტად მოიგეს მსხვილმა ფეოდალურმა მიწათმფლობელებმა, რომელთაც მოაწყეს თავისათვის დაპყრობილ მიწებზე ვეებერთელა სამფლობელოები. განსაკუთრებით დიდი მიწის ფართობები შეიძინეს სასულიერო — რაინდულმა ორდენებმა. ძველი ორდენების, ტამპლიერების და ჰოსპიტალერების გარდა, ესპანეთში შეიქმნა მთელი რიგი ახალი სასულიერო — რაინდული ორდენებისა — ს ა ნ ტ ი ა გ ო (წმ. ი ა კ ო ბ ი), ა ლ კ ა ნ ტ ა რ ა და კ ა ლ ა ტ რ ა ვ ა. რეკონკისტის პროცესში ყველა ისინი იქცნენ უმსხვილეს მიწათმფლობელებად. დიდი მიწები მიიღო აგრეთვე ეკლესიამ, რომელიც თამაშობდა ესპანეთში გაცილებით უფრო დიდ როლს, ვიდრე ევროპის დანარჩენ ქვეყნებში. მართალია, არაბებთან ბრძოლაში რელიგიური მომენტი თავდაპირველად, უკიდურეს შემთხვევაში XII საუკუნემდის არ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს, ესპანელი ხალხი მშვიდობიანად ცხოვრობდა მაჰმადიანთა გვერდით დაპყრობილ ოლქებში, მაგრამ ეკლესიას სურდა ექცია „ურჯულოებთან“ ბრძოლა თავისებურ იდეოლოგიურ დროშად და ყოველმხრივ ცდილობდა რელიგიური ფანატიზმის გაღვივებას.

თავის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ესპანელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის გმირული ბრძოლის ძეგლს წარმოადგენს პოემა სიდზე, ღატაკ აზნაურზე, რომელიც აწარმოებდა ძლევამოსილ ომს მავრებთან, ჩენდა ზღაპრულ სიმამაცეს და სულგრძელობას. პოემაში სიდი — გაიდეალებული ფი-

გურაა, ფრიად შორს მყოფი თავისი ისტორიულ პროტოტიპისაგან, როდრიგო დიასისაგან, რომელიც მარქსის სიტყვით, წარმოადგენდა „სინამდვილეში უაჩაღების ბელადს“ და „სინიდისგაყიდულ ბანდის მეთაურს“.[1] როდრიგო დიასი ეომებოდა მავრებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელნი შეესთავაზებდნენ ხელსაყრელ პირობებს, იგი იწყებდა ომს თავისივე ეროვნების ხალხის წინააღმდეგ. იგი ცხოვრობდა XI საუკუნეში. პოემამ, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა XII საუკ. დამდეგს, გააიდეალა იგი და შეამკო ეროვნული გმირის თვისებებით.

არაგონი. რეკონკისტას პროცესში XIII საუკ. ესპანეთში წარმოიშვა სამი მთავარი სამეფო: არაგონი, კასტილია და პორტუგალია.

არაგონის სამეფო შესდგა სამი ძირითადი ნაწილისაგან: საკუთრივ არაგონისაგან, რომელიც შეადგენდა სამეფოს, დასავლეთ, კონტინენტალურ ნაწილს და ზღვის სანაპირო ოლქებისაგან — კატალონიისაგან და ვალენსიისაგან. ეს ნაწილები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან თავიანთი სოციალური წყობილებით. საკუთრივ არაგონი წარმოადგენდა ესპანეთის ერთ-ერთ ეკონომიურად ყველაზე ჩამორჩენილ ოლქს, კატალონია კი — ერთ-ერთ ყველაზე მოწინავეს, მაგრამ პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი იმყოფებოდა არაგონში. არაგონი იყო ტიპიური ფეოდალური ოლქი, სადაც გლეხობა სავსებით დაბეჩავებული და დამორჩილებული ჰყავდათ მებატონეებს. ფეოდალებს ჰქონდათ უფლება გლეხების მოკვლისა და დასახჩრობისა. გლეხები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ სამოსამართლო დაცვას მათი ძალმომრეობისაგან. არაგონში და კატალონიაში, ჩვეულებრივი ბატონყმური ვალდებულებების გარდა, გლეხებს უნდა ეხადნათ სხვაგვარი ვალდებულებანიც, ეგრეთწოდებული „ცუდი ადათები („malos usos“). სენიორი ეუფლებოდა უშვილოდ გარდაცვლილი გლეხის მთელ ქონებას, და მისი მემკვიდრეობის უდიდეს ნაწილს, თუ მიცვალებულს რჩებოდენ ბავშვები. გლეხებს ახდევინებდნენ განსაკუთრებულ ჯარიმებს, სიმრუშისათვის, სენიორის სამფლობელოებში მომხდარი ხანძრის შემთხვევაში და სხვ. „ცუდ ადათებს“ ეკუთვნის აგრეთვე პირველი ღამის უფლება, ძიძების იძულებით მოყვანა და მთელი რიგი სხვა ვალდებულებებისა. ფეოდალები გამოირჩეოდნენ მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობით და მათ ჰქონდათ უდიდესი გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობილებაზე. ისინი კრავდნენ ერთმანეთთან კავშირებს, შეეძლოთ მეფისათვის ომის გამოცხადება, თვითონ ირჩევდნენ მეფეს და შეეძლოთ მისი ტახტიდან ჩამოგდება. ისინი თავისუფალი იყვნენ ყოველგვარი გადასახადებისაგან. ჩვენ აქ ვხედავთ ფეოდალთა სრულ ბატონობას, რომელთა შორის ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ მსხვილნი — რიკოს ჰომბრეს, საშუალონი და წვრილნი — ჰიდალგო. თავად-აზნაურობის დაბალი ფენა იმყოფებოდა სრულ დამოკიდებულებაში უმაღლესისაგან. თვით არაგონში ქალაქები იყვნენ ეკონომიურად სუსტნი და ისინი არ სარგებლობდნენ პოლიტიკური გავლენით.

კატალონია და ვალენსია დაკავშირებული იყვნენ სახმელთაშუაზღვაო ვაჭრობასთან და ჰქონდათ გაცხოველებული ურთიერთობანი იტალიასთან და

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. VI, 83-92.

სამხრეთ საფრანგეთთან. კატალონიის ზღვის სანაპირო ქალაქებს შორის პირველი ადგილი ეჭირა ბარსელონას. კატალონიის წყალობით არაგონი სულ უფრო და უფრო იქცევა საზღვაოსნო სახელმწიფოდ. კატალონიის ქალაქები არა მარტო წარმოადგენდნენ სავაჭრო ცენტრებს, მათში ჰყვაოდა მრეწველობა. აქ განვითარდა მეტალურგიული და ტყავის მრეწველობა, გემთა მშენებლობა და სხვ. კატალონიის ქალაქებში შემუშავებული საზღვაო სამართალი იქცა ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურების უმეტესი ნაწილის სამართლად. კატალონიაში ქალაქები სარგებლობდნენ გაცილებით უფრო დიდი პოლიტიკური გავლენით, ვიდრე არაგონში.

არაგონმა შეიერთა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტებისა ხმელთაშუა ზღვაზე. XIII საუკ. არაგონის სამეფოს შემადგენლობაში შეიყვანეს ბალეარის კუნძულები. უკვე ნახსენები იყო არაგონული სამეფო გვარის მიერ სიცილიის შეძენა (იხ. თავი XXV). შემდეგ შეიერთეს სარდინია (1324 წ.). 1442 წ. შემოიერთეს ნეაპოლის სამეფო. XV საუკ. ნახევარისათვის არაგონი გადაიქცა უმსხვილეს საზღვაოსნო სახელმწიფოდ. თუმცა არაგონის სამეფოს ძლიერების ზრდაში გადამწყვეტი როლი ითამაშა კატალონიის სავაჭრო და საზღვაოსნო ინტერესებმა, მაგრამ ამ დაპყრობებით ყველაზე მეტ მოგებაში დარჩნენ არაგონული რაინდები, რომელნიც დაეუფლნენ სიცილიაში და სამხრეთ იტალიაში ფართო ტერიტორიებს და იწყეს ამ ოლქების გლეხობის ისეთივე ექსპლოატაცია, როგორც არაგონში. სიცილიის და სამხრეთ იტალიის დაპყრობას შედეგად მოჰყვა ფეოდალური ჩაგვრის ზრდა ამ ოლქებში.

კასტილია. თავისებური ხასიათი ჰქონდა ესპანეთის ცენტრალურ ნაწილს — კასტილიას, რომელსაც ეჭირა მთელი ნახევარკუნძულის სამი მეხუთედი ნაწილი. მან შეასრულა მთავარი როლი რეკონკისტაში.

კასტილიაში, ისევე როგორც პირენეის ნახევარკუნძულის დანარჩენ სახელმწიფოებში, უდიდეს როლს ასრულებდა დაპყრობის პროცესში შექმნილი ძლიერი და დამოუკიდებელი მსხვილი მიწათმფლობელობა ეკლესიისა, სასულიერო-რაინდული ორდენებისა და მსხვილი საერო ფეოდალებისა, რომელნიც აქაც ატარებდნენ რიკოს ომბრეს სახელწოდებას. ამის გვერდით ჩვენ ვხედავთ წვრილი აზნაურული მიწათმფლობელობის მნიშვნელოვან განვითარებას. აქ განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყვნენ რაინდი-ჰიდალგოები, რომელნიც დიდ მონაწილეობას ღებულობდნენ რეკონკისტას პროცესში. ისინი გამოირჩეოდნენ აულაგმავი ბრძოლის სურვილით და მშვიდობიანი შრომის შიმართ ზიზღით. მათი უმრავლესობა ცხოვრობდა ძალიან ღარიბულად.

კასტილია—ალნიშნავს ქალაქების ანუ ციხე სიმაგრეების (ლათინურად castellum) ქვეყანას. ეს სახელწოდება მას ტყუილად კი არ მიუღია: აქ არსებობდა თავისებური სტრუქტურის მქონე მრავალი ქალაქი. ისინი წარმოადგენდნენ, პირველ ყოვლისა, ციხე-სიმაგრეებს, რომელთა დანიშნულებასაც შეადგენდა თავდაცვა და მტრის მოგერიება. ისინი წარმოადგენდნენ დასაყრდენ პუნქტებს სამხრეთისაკენ შემდგომი მოძრაობისათვის. ამ ქალაქების მოსახლეობას, პირველ ყოვლისა, უნდა ეხადნა სამხედრო სამსახური, იგი შეადგენდა ქვეით და ცხენოსანთა სამხედრო რაზმებს, ამასთანავე ერთად ხელმძღვანე-

ლი როლი ეკუთვნოდა რაინდთა კავალერიას. ქალაქებს უხდებოდათ ხშირად საომარი ოპერაციების წარმოება სხვის დაუხმარებლად. ეს სძენდა მათ მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას. ყოველ ქალაქს ჰქონდა საკუთარი უფლებები, ადათები და პრივილეგიები — ფუეროსი. ქალაქები გაფაციცებით იცავდნენ თავიანთ პრივილეგიებს და ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ მათი მოსპობის ყოველგვარ ცდას. ქალაქები კრავდნენ ერთმანეთთან კავშირებს — ჰერმანდადებს (ე. ი. ძმობებს), რომელთა მიზანს შეადგენდა სამხედრო მოქმედებანი გაერთიანებული ძალით და აგრეთვე საკუთარი უფლებების და ინტერესების დაცვა. თავისი უფლებებისათვის წარმოებული ბრძოლის დროს ქალაქები არა ერთხელ ილაშქრებდნენ გლეხურ თემებთან ერთად, მათთან კავშირში მყოფნი. ეს სამხედრო ხასიათის მატარებელი ქალაქები წარმოადგენდნენ უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ცენტრებს, მაგრამ მათში თანდათანობით ვითარდება ვაჭრობა-მრეწველობა, იწყება აღმოცენება საამქრო ორგანიზაციებისა. არაბებისათვის წართმეულ ქალაქებში ვაჭრობა-მრეწველობა იმყოფებოდა მეტნაწილად არაბ და ებრაელ მოსახლეობის ხელში, რომელიც რჩებოდა თავ-თავის ადგილებზე და არ განიცდიდა დევნას. ქრისტიანობა, მაჰმადიანობა და იუდეველობა დიდი ხნის განმავლობაში მშვიდობიანად არსებობდნენ ერთმანეთის გვერდით. ზოგჯერ ერთი და იგივე შენობა ასრულებდა ხან საყდრის და ხან მეჩეთის როლს.

რაც შეეხება გლეხობას, კასტილიის უძველეს ოლქებში იგი იყო დაყმეებული და იმყოფებოდა ძალიან მძიმე მდგომარეობაში. აქ ადრე იწყებენ აღმოცენებას გლეხთა ამბოხებები, გახშირებულნი XI საუკ. სხვაგვარი იყო გლეხთა მდგომარეობა მავრებისაგან დანაპყრობ პროვინციებში. კასტილიის ფართო გაერანებულ ტერიტორიაზე, მათი დასახლების და დაცვის მიზნით, იწვევდნენ ახალ მოსახლეებს, და მათ ეძლეოდათ ყოველგვარი შეღავათები და პრივილეგიები, პირველ ყოვლისა, პირადი თავისუფლება. ამ მოსახლეებმა შეადგინეს მრავალრიცხოვანი ფენა თავისუფალ გლეხებისა, რომელნიც ცხოვრობდნენ თემებად—ბ ე ჰ ე ტ რ ი ე ბ ა დ. თავისუფალი გლეხობის მნიშვნელოვანი ფენის არსებობას არ შეეძლო არ მოეხდინა გავლენა ყმა-გლეხობის მდგომარეობაზედაც. ყმები, გაქცეულნი თავისუფალ თემში (ან ქალაქში), იძენდნენ თავისუფლებას.

ზღვის მახლობლად მდებარე კატალონიასთან და პორტუგალიასთან შედარებით კასტილია წარმოადგენს კონტინენტალურ ქვეყანას, შედარებით სუსტად განვითარებული ვაჭრობით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამხრეთის ზღვის სანაპირო როლს. ქალაქებიც კი უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ერთეულებს წარმოადგენდნენ. ამასთანავე ერთად სოფლის მეურნეობას კასტილიაში თავისებური ხასიათი ჰქონდა. კასტილიის ვრცელი, ძნელად და ცუდად სარწყავი, ქვიანი ზეგნები ნაკლებად იყვნენ გამოსადეგნი მიწათმოქმედებისათვის, მაგრამ ძალიან ვარგისნი იყვნენ მეცხვარეობისათვის. სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარება კასტილიაში დაკავშირებულია მეცხვარეობის ზრდასთან. მსხვილი მიწათმფლობელები, განსაკუთრებით სასულიერო-რაინდული ორდენები, მფლობელნი ვრცელი ტერიტორიისა, აშენებდნენ ცხვრის უშველებელ ფარებს, რომელსაც ისინი ერეკებოდნენ კასტილიის ზეგ-

ნებზე ერთი საძოვრიდან მეორეზე. უკვე XIII საუკუნის დამლევს აღმოცენდა კავშირი კასტილიელი მეცხვარეებისა, ეგრეთწოდებული „მესტა“, სასაჭოო საქმის მოწესრიგებისათვის. ამ ორგანიზაციას ებოძა მეფეთაგან მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრივილეგიებისა, მას ჰქონდა საკუთარი ხაზინა, ადმინისტრაცია და სასამართლო.

ესპანური მატყლი კარგად საღდებოდა იტალიაში, კერძოდ ფლორენციაში, სადაც იგი პოულობდა ფართო გამოყენებას საფეიქრო მრეწველობაში.

პორტუგალია. პირენეის ნახევარკუნძულის მესამე სამეფოს წარმოადგენდა პორტუგალია.

XII საუკ. ნახევარში პორტუგალიის მეფეები განთავისუფლდნენ კასტილიის სიუზერენიტეტისგან, პაპის ტახტის მიმართ თავიანთი ვასალური დამოკიდებულების ცნობით, და ამან განსაზღვრა ეკლესიის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პორტუგალიაში უდიდეს როლს თამაშობდნენ სასულიერო-რაინდული ორდენები, რომელთაც ეკუთვნოდათ მნიშვნელოვანი ნაწილი მიწებისა. მავრებისაგან დანაპყრობ მიწების კოლონიზაციაში მონაწილეობდა თავისუფალი გლეხობაც. ამიტომ პორტუგალიაში, ისევე როგორც კასტილიაში, ყმა გლეხებით დასახლებული ფეოდალთა, ეკლესიის და სასულიერო რაინდული ორდენების სამფლობელოების გვერდით, არსებობდა აგრეთვე არა ერთი თავისუფალი გლეხთა თემი, განსაკუთრებით სამეფოს სამხრეთ ნაწილებში. პორტუგალიის მცირერიცხოვან ზღვის სანაპირო ქალაქებს შორის უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა ლისაბონმა, რომელიც იქცა ევროპის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პუნქტად. ლისაბონი მდებარეობს საზღვაო გზაზე, რომელიც მიიმართებოდა ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტიის ოკეანესაკენ. იგი აწარმოებდა ვაჭრობას ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან, ინგლისთან, საფრანგეთთან და ნიდერლანდებთან. პორტუგალიაში განვითარებული იყო გემთმშენებლობა. აქ შეიქმნა დიდი ფლოტი, რის წყალობითაც XV საუკ. დამდეგს დაპყრობილ იქნა ჩრდილო აფრიკაში სეუტა, რომელიც იქცა პორტუგალელთათვის, მათი აფრიკის ირგვლივ ცურვის საწყის პუნქტად.

სამეფო ხელისუფლება და კორტესები. თუ დავაკვირდებით პირენეის ნახევარკუნძულზე აღმოცენებულ ყველა სამეფოთა პოლიტიკურ წყობილებას, ჩვენ დავინახავთ მათში ბევრ საერთო თვისებებს. ყველგან არსებობდა სამეფო ხელისუფლება, მაგრამ ძლიერ შეზღუდული წოდებათა წარმომადგენლობით — კ ო რ ტ ე ს ე ბ ი თ, რომელნიც მოგვაგონებენ საფრანგეთის გენერალურ შტატებს. მაგრამ კორტესები თამაშობდნენ გაცილებით უფრო დიდ როლს, ვიდრე საფრანგეთის გენერალური შტატები. ისინი შედგებოდნენ თავად-აზნაურობის, სამღვდელოების და ქალაქების წარმომადგენელთაგან, თუმცა ხვედრითი წონა ყველა ამ სამი ჯგუფთაგანისა არ იყო ერთნაირი პირენეის ნახევარკუნძულის ყველა ქვეყნებში. არაგონში კორტესები შედგებოდნენ ოთხი პალატისაგან, იმიტომ, რომ მსხვილი ფეოდალები წარმოდგენილი იყვნენ განცალკევებულად საშუალო შეძლების და წვრილი აზნაურობისაგან; კასტილიაში კი თავად-აზნაურობა გაერთიანებული იყო ერთ პალატად, მაგრამ მესამე პალატაში ქალაქების წარმომადგენელთა გვერდით ისხდნენ თავისუფალი

გლეხური თემების წარმომადგენლებიც. მესამე პალატა, შემდგარი მომეტებულად მოქალაქეთაგან, სარგებლობდა კასტილიაში ძალიან დიდი გავლენით ქალაქების ძლიერების და ორგანიზაციულობის გამო. წოდებათა წარმომადგენელნი ცხადდებოდნენ სხდომებზე შეიარაღებული რაზმების თანხლებით.

მარქსი ასე ხსნის XIII-XIV საუკუნეებში ესპანეთში სამეფო ძალაუფლების შეზღუდვის მიზეზებს: „ესპანეთის სამეფოს ჩამოყალიბებისას იყო პირობები, მეტად ხელსაყრელი სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისათვის. ერთი მხრივ, არაბებთან ხანგრძლივი ომების განმავლობაში დაპყრობილ იქნენ ტერიტორიის ნაწილები და ისინი იქცნენ ცალკეულ სამეფოებად. ამ ომებში აღმოცენდნენ სახალხო კანონები და ადათები. თანდათანობითმა დაპყრობამ, რომელიც მოახდინა უმთავრესად დიდკაცობამ, მეტად გააძლიერა იგი და ამავე დროს დააკნინა მეფის ძალაუფლება. მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით დასახლებულმა პუნქტებმა და ქალაქებმა მოიპოვეს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან მათში მცხოვრები მოსახლეობა იძულებული იყო დასახლებულიყო ერთად გამაგრებულ ადგილებში და ეძებნა უშიშროება და თავდაცვა მავრების განუწყვეტელ შემოსევებისაგან; ამავე დროს ესპანეთის ნახევარკუნძულობრივმა ფორმამ და მუდმივმა ურთიერთობამ პროვანსთან და იტალიასთან წარმოშვეს პირველხარისხოვანი საზღვაო ქალაქები სანაპიროზე. უკვე XIV საუკუნეში ქალაქები წარმოადგენდნენ კორტესების ყველაზე დიდი სიძლიერის მქონე ნაწილს, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ მათი წარმომადგენლები სამღვდელოების და დიდკაცობის წარმომადგენლებთან ერთად. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ არაბთა ბატონობისაგან ნელი ტემპით განთავისუფლებას, თითქმის რვა საუკუნიანი შეუპოვარი ბრძოლის პროცესში, შედეგად მოჰყვა ის, რომ ნახევარკუნძულმა, სრული განთავისუფლების შემდეგ მიიღო ხასიათი, რომელიც მას სრულიად ანსხვავებდა მაშინდელ ევროპისაგან. ევროპის აღორძინების ხანაში თავისი ყოფაცხოვრებით ესპანეთის ჩრდილოეთი ნაწილი იყო გუთური და ვანდალური, ხოლო სამხრეთი კი არაბული“.[1]

კლასთა ბრძოლის გამწვავება. სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებას შედეგად მოჰყვა ესპანეთში ყმაგლეხობის გაძლიერებული ექსპლოატაცია. თავისუფალ გლეხობისათვისაც უფრო შესამჩნევი გახდა სენიორთა ძალაუფლება. მეცხვარეობის მსხვილი მასშტაბით განვითარებამ გამოიწვია გლეხობის გაძევება მიწებიდან, საგლეხო მიწების ქცევა საძოვრებად. ყველა ამან გაამწვავა კლასთა ბრძოლა. სოფლად, იმის გარდა რომ ადგილი ჰქონდა კონფლიქტებს ფეოდალებსა და ქალაქებს შორის.

კლასთა ბრძოლის გამწვავება რთულდებოდა ფეოდალურ დაჯგუფებათა ურთიერთი ბრძოლით. XIV საუკ. დამლევიდან ჩვენ ვამჩნევთ ესპანეთში კიდევ უფრო დიდ პოლიტიკურ არეულობებს, ვიდრე იმ დროინდელ ინგლისში და საფრანგეთში. ფეოდალური დაჯგუფებები იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის და გავლენისათვის სამეფო კარზე. დიდკაცები აწარმოებდნენ უაჩალურ თარეშებს სოფლებზე და ქალაქებზე. ამავე დროს ესპანეთში, განსაკუთრებით, კატალონიაში, იწყება მთელი რიგი გლეხთა აჯანყებებისა.

---

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. X, зд. 719.

კატალონელი ყმაგლეხების მოძრაობა დაიწყო ჯერ კიდევ XV საუკ. დამდეგს. ისინი მოითხოვდნენ ბატონ-ყმობის და ეგრეთწოდებული „ცუდი ადათების“ მოსპობას. 1462 წ. ამბოხებამ განსაკუთრებული ძალით იფეთქა კატალონიის ჩრდილოეთ ნაწილში. აჯანყებულ ყმა-გლეხებს მიემხრნენ აგრეთვე თავისუფალი გლეხებიც, განსაკუთრებით კი მცირე მიწის მქონენი და უადგილმამულონი, რომელნიც მოითხოვდნენ მიწის თანასწორ გადანაწილებას. გლეხთა ამბოხებამ მიიღო ორგანიზაციული ხასიათი. მეამბოხეები დაყოფილი იყვნენ სამხედრო რაზმებად, კრეფდნენ შეწირულებას სამხედრო საჭიროებისათვის. ამბოხებულ გლეხებს სათავეში ჩაუდგათ წვრილი ჰიდალგო ვერნტალატი. გლეხები აწარმოებდნენ ქალაქების, გამაგრებული ციხე-კოშკების და მონასტრების გარემოცვას.

ეს ამბოხება გამოიყენა არაგონის მეფე ხუან II, რომელიც ბრძოლობდა კატალონიელ დიდკაცებს და ქალაქებს. ვერნტალატის და გლეხთა ჯარების დახმარებით ხუან II განამტკიცა თავისი ძალაუფლება კატალონიაზე. ვერნტალატს ებოძა მიწის დიდი სამფლობელოები და ვიკონტის ტიტული, გლეხთა ვალდებულებანი კი რამდენადმე შეარბილეს; თუმცა ეს უმნიშვნელო დათმობებიც კი მალე გააუქმა კორტესებმა ეკლესიის და ფეოდალების მოთხოვნით.

გლეხთა ამბოხებები ხდებოდა აგრეთვე ბალეარის კუნძულებზე (ჯერ კიდევ XIV საუკ. დამლევს, მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერით 1462 წ. კატალონიაში მომხდარი ამბოხების ზეგავლენით) და კასტილიაშიც.

1484 წ. კატალონიაში იფეთქა ახალმა გლეხთა ამბოხებამ გლეხის პედრო ხუან სალას მეთაურობით. მთავრობის ჯარები ვერ მოქმედებდნენ წარმატებით მეამბოხეთა წინააღმდეგ, რადგან ჯარისკაცები უხალისოდ გამოდიოდნენ გლეხების წინააღმდეგ. სალას დატყვევებამ და მისმა სიკვდილით დასჯამ ვერ შეაფერხა ამბოხება. 1486 წ. მთავრობა იძულებული შეიქნა წასულიყო მეამბოხეებთან შეთანხმებაზე და გაეუქმებინა ბატონ-ყმობა კატალონიაში.

„ცუდი ადათები“ უქმდებოდა, მაგრამ გამოსასყიდით (მხოლოდ მცირეოდენნი გამოუსყიდლად). გლეხები შეიქნენ პირადად თავისუფალნი და მათ შეეძლოთ მიწითგან წასვლა, მაგრამ მათი მონაკვეთები ძველებურად შეადგენდნენ სენიორთა საკუთრებას და მათზე ახდევინებდნენ ფეოდალურ რენტას. სავსებით შენარჩუნებულ იქნენ საეკლესიო გადასახადები.

ბატონ-ყმობის გაუქმებას შედეგად მოჰყვა გლეხობის დიფერენციაცია და მისი ნაწილის უადგილმამულოდ დარჩენა, განსაკუთრებით, მსხვილი ხასიათის მეცხვარეობის განვითარებასთან დაკავშირებით.

კლასთა ბრძოლის გამწვავება მოითხოვდა კლასობრივი ბატონობის უფრო ძლიერ ორგანოს და მან გამოიწვია სამეფო ხელისუფლების განმტკიცება.

კასტილიისა და არაგონის გაერთიანება. სამეფო ხელისუფლების გაძლიერების ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტთაგანს წარმოადგენდა არაგონიის და კასტილიის გაერთიანება. 1479 წ. ეს სამეფოები გაერთიანეს თავიანთი ძალაუფლების ქვეშ ცოლ-ქმარმა—ფერდინანდმა, მეფემ არაგონიისა და იზაბელამ, დედოფალმა კასტილიისა. ამ გაერთიანების შედეგად ესპანეთი იქცა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ ევროპაში. იგი შეიცავდა

პირენეის ნახევარკუნძულის უდიდეს ნაწილს, ბალეარის კუნძულებს, სარდინიას, სიცილიას და სამხრეთ იტალიას. ეყრდნობოდა რა კავშირს ეკლესიასთან, ქალაქებთან და წვრილ აზნაურებთან და ჰფლობდა რა მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროებს საზღვაო ვაჭრობისგან, სამეფო ხელისუფლებამ დაიწყო გადამწყვეტი შეტევა მსხვილ ფეოდალთა წინააღმდეგ და მოაკლო მათ მნიშვნელოვანი ნაწილი წინანდებური პოლიტიკური დამოუკიდებლობისა. ფეოდალებს წაერთვათ უფლებები ფულის მოჭრისა, კერძო ომების წარმოებისა, მათ ჩამოერთვათ ბევრი მიწა. ანგრევდნენ მათ მაგარ ციხე-კოშკებს, მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობის დასაყრდენს. მეფე დაეუფლა აგრეთვე სასულიერო-რაინდული ორდენების მიწებს.

ფეოდალთა ძლიერების მოტეხვაში სამეფო ხელისუფლებას დახმარებას უწევდნენ ქალაქები. 1480 წ. კასტილიის ქალაქებმა შეკრეს ერთმანეთთან საერთო კავშირი, ეგრეთწოდებული წმინდა ჰერმანდადა, რომელიც აწარმოებდა ბრძოლას ფეოდალებთან. წმინდა ჰერმანდადამ მიზნად დაისახა ფეოდალური კერძო ომების მოსპობა, ყველა გზებზე მოგზაურობის უშიშროების დამყარება, საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დამრღვევებთან ბრძოლა. ესპანეთის შინაგანი წესრიგის დასაცავად წმინდა ჰერმანდადამ დაარსა მილიცია, ყოველთვის მზად მყოფი მისი გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანისათვის. მაგრამ თუ სამეფო ხელისუფლება იყენებდა ქალაქთა სამხედრო ძალებს ფეოდალთა ასალაგმავად, იგი მეორე მხრივ თანდათანობით ჰკვეცდა თვით ქალაქების დამოუკიდებლობას.

სამეფო ხელისუფლებას დიდ დახმარებას უწევდა აგრეთვე ეკლესია და განსაკუთრებით ინკვიზიცია, შემოღებული ესპანეთში 1480 წ. ინკვიზიცია ებრძოდა ყოველგვარ „მწვალებლობებს“, რომელთაც შეეძლოთ გამოეთხარათ ძირი ეკლესიის ბატონობისათვის, იგი სწორედ ამით სდევნიდა ყოველგვარ სოციალურ და პოლიტიკურ ოპოზიციას არსებული წყობილების მიმართ. ყოველგვარი სოციალური და პოლიტიკური აზრები, რომელნიც ასე თუ ისე არ ეთანხმებოდნენ არსებულ წყობილებას, ითვლებოდნენ არა მარტო მეფის, არამედ ეკლესიის საწინააღმდეგო გალაშქრებადაც, და ინკვიზიცია თავისი წამებებით და კოცონებით წარმოადგენდა მუდმივ მოკავშირეს სამეფო აბსოლუტიზმისას, რომელიც თავის მხრივაც ყოველგვარ დახმარებას უწევდა ეკლესიას. მარქსის სიტყვით „სამღვდელოება ჯერ კიდევ ფერდინანდ კათოლიკეს დროიდან დადგა ინკვიზიციის დროშის ქვეშ და დიდი ხანია რაც აღარ აიგივებდა საკუთარ ინტერესებს და ფეოდალური ესპანეთის ინტერესებს, პირიქით, ინკვიზიციის წყალობით ეკლესია იქცა აბსოლუტიზმის უსაშინელეს იარაღად“.[1] ინკვიზიციის პირველ მეთაურად შეიქმნა მძვინვარე ტორკვემადა, რომლის სახელი იქცა საზოგადო სახელწოდებად ფანატიკური სისასტიკის გამო, რომელსაც იჩენდა მწვალებელთა დევნის დროს.

შინაგანი განმტკიცების შემდეგ, სამეფო ხელისუფლებამ ხელი მიჰყო ტერიტორიალური გაფართოვების პოლიტიკას.

---

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. X, зд. 720.

პირველი შეტევა მიმართულ იქნა ესპანეთში. არაბთა უკანასკნელ სამფლობელოს, გრანადის საემიროს წინააღმდეგ. 1481 წ. მოაწყეს ლაშქრობა გრანადაზე. მას მისცეს ჯვაროსნული ლაშქრობის ხასიათი ურჯულოთა წინააღმდეგ. ომი არაბებთან გაგრძელდა 11 წელიწადს და მხოლოდ 1492 წ. იქნა გრანადა აღებული ესპანელების მიერ. გრანადის დაპყრობით თითქმის მთელი პირენეის ნახევარკუნძული, გარდა პორტუგალიისა, აღმოჩნდა გაერთიანებული ესპანეთის მეფის ხელში.

გრანადის აღებამ მოითხოვა დიდი ძალების დაკიმვა, მავრები დანებდნენ მაჰმადიანური კულტის თავისუფალი შესრულების უფლების და მაჰმადიანთა საკუთრების ხელუხლებლობის პირობით. ეს პირობები ვრცელდებოდა ებრაელებზეც. მაგრამ ყველა ეს დაპირებანი შემდეგ დარღვეულ იქნა. მავრებს და ებრაელებს აიძულებდნენ ქრისტიანობა მიეღოთ. ამის საპასუხოდ მაჰმადიანებმა მოაწყეს რამდენიმე აჯანყება, რომელნიც ძლივს-ძლიობით ჩაიკრეს. მათ წინადადება მისცეს ან დაეტოვებინათ ესპანეთი, ან და მონათლულიყვნენ (1502 წ.). მაჰმადიანთა და ებრაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლდა აფრიკაში, და, ამგვარად, ესპანეთს დაეკარგა მრავალი ეკონომიურად ძვირფასი ელემენტი. მათი ემიგრაციის შედეგად დაირღვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სავაჭრო კავშირებისა, რომლებიც ჰქონდა დამყარებული გრანადის საემიროს ჩრდილო აფრიკასთან და აღმოსავლეთთან. გადასახლებას თან სდევდა მიწების მსხვილი კონფისკაციები.

ესპანეთში დარჩენილი და გაქრისტიანებული მავრები, ეგრეთწოდებული მ ო რ ი ს კ ე ბ ი წარმოადგენდნენ ეკლესიის განუწყვეტელი დევნის საგანს. მორისკთა ცხოვრება ექვემდებარებოდა უსასტიკეს საეკლესიო კონტროლს. საკმარისი იყო ცოტაოდენი დაბეზღება, რომ მათ მწვალებლობის ბრალი დასდებოდათ, რასაც თან სდევდა კოცონზე აკიკვდილი ან სამუდამო საპყრობილე. ასეთსავე მუდმივ დევნას განიცდიდნენ ებრაელები. 1492 წელს — ამ გრანადის აღების და კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის წელიწადს ყველა ებრაელი, გარდა იმათი, ვინც მიიღო ქრისტიანობა, გაძევეს ესპანეთიდან და მათ ქონებას უყვეს კონფისკაცია. გაქრისტიანებული ებრაელები, ეგრეთწოდებული მ ა რ ა ნ ე ბ ი, მორისკებსავით განიცდიდნენ მუდმივ სასულიერო-პოლიტიკურ თვალ-ყურის დევნებას და დაზვერვას და ხდებოდნენ საინკვიზიციო ტერორის მსხვერპლად.

ფერდინანდის და იზაბელას ხანაში ესპანეთში იწყებს ჩამოყალიბებას აბსოლუტური მონარქია. მსხვილმა ფეოდალებმა დაკარგეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, და, ამის სანაცვლოდ, მიიღეს სამეფო კარზე საპატიო მდგომარეობა. კორტესები ჰკარგავენ წინანდებურ მნიშვნელობას და მათი მოწვევა სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდება. მართვა-გამგებლობა ღებულობს ბიუროკრატიულ ხასიათს, იგი ცენტრში სამეფო საბჭოების, ხოლო ადგილობრივად — მეფის მოხელეების, კ ო რ ე ხ ი დ ო რ ე ბ ი ს, ხელში ექცევა. მაგრამ ბიუროკრატიული აპარატი გამოირჩეოდა სიდიდით და მოუხეშაობით, ვინაიდან იგი შედგებოდა უძველეს ფეოდალურ დაწესებულებათაგან, რომელნიც შეუგუეს სამეფო აბსოლუტიზმის მიზნებს და მათ გვერდით შექმნილ ახალ ორგანოებს. საუკუნოებრივად შექმნილმა პროვინციალურმა და წოდებრივმა გან-

ცალკეულობამ ესპანეთისა, ჰპოვა თავისი ანარეკლი მმართველობის მეტად რთულ და მოუწყობელ, მოუგვარებელ აპარატში.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის პოლიტიკური წყობილება გარეგნულად წააგავდა მაშინდელი ევროპის დანარჩენ მონარქიულ სახელმწიფოთა წყობილებას, იგი გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი თავისებურობებით; ეს თავისებურობანი აიხსნება ესპანეთის მთელი ისტორიული განვითარებით, რომელიც ამ ეპოქას წინ უძღოდა. მარქსი ასე ახასიათებს მას: „აბსოლუტური მონარქია ესპანეთში, რომელსაც წმინდა გარეგნული მსგავსება ჰქონდა ევროპის აბსოლუტურ მონარქიებთან, საერთოდ უნდა გაუთანაბრდეს მმართველობის აზიურ ფორმებს“.[1]

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки, т. II („Архив Маркса и Энгельса“, т. VI, стр. 92—126, 275—283) и т. III („Архив Маркса и Энгельса“, т. VII, стр. 18—33, 80—83). — Маркс, Революционная Испания, очерк I, Соч., т. X. — Энгельс, О разложении феодализма и развитии буржуазии, Соч., т. XVI, ч. I.

II. წყაროები. Хрестоматия по западноевропейской литературе. Средние века (IX—XV вв.), под ред. Шор, 1938, стр. 391—423.

III. გამოყენებული დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, 1897, т. II, стр. 605—655; т. III, стр. 477—519. — Пискорский, История Испании и Португалии, Спб. 1909. — Пискорский, Вопрос о значении и происхождении шести „дурных обычаев“ в Каталонии, Киев 1899. — Пискорский, Крепостное право в Каталонии в средние века, Киев 1901. — Кудрявцев А., Испания в средние века, Л. 1937. — Ковалевский, Экономический рост Европы, т. II, 1900, стр. 317—372, 480—525.

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. X, 33, 722.

თ ა ვ ი XXVII

სკანდინავიის ქვეყნები XI—XV საუკუნეებში

1

სკანდინავიის სამი ქვეყნის — დანიის, შვეციის და ნორვეგიის — განვითარებას სხვავებელ თავისებურობას წარმოადგენს მათში ფეოდალიზმის გვიანი გახკითარება. IX — XI საუკუნეებში, იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ფეოდალიზაციის პროცესი სრულდება, სკანდინავიის ქვეყნებში იგი მხოლოდ იწყება. სკანდინავიის ქვეყნებში გაცილებით უფრო დიდხანს, ვიდრე სხვაგან სადმე, შენარჩუნებულ იქნა თავისუფალი გლეხობა, აქ იგი სარგებლობს გაცილებით უფრო დიდი პოლიტიკური გავლენით, ვიდრე ევროპის დანარჩენ ქვეყნებში. ყველაზე ადრე დაიწყო და წარმატებით წარიმართა ფეოდალიზაციის პროცესი დანიაში.

I. დანია

ფეოდალიზმის განვითარება დანიაში. კანუტ დიდის სახელმწიფო (იხ. თავი VI), რომელმაც გააერთიანა თავისი ძალაუფლების ქვეშ დანია, ნორვეგია და ინგლისი, მისი სიკვდილის შემდეგ (1035 წ.) მალე დაიშალა. შვიდი წლის შემდეგ სამეფო ხელისუფლება დანიაში წილად ხვდა ახალ ესტრიდსონების დინასტიას, რომელმაც დაჰყო დანიის სამეფო ტახტზე 300 წელიწადზე მეტ ხანს. XI საუკ. ფეოდალიზმის განვითარებამ დანიაში წინ დიდი ნაბიჯები წარსდგა. ამის მაჩვენებელია მასში ქრისტიანობის განმტკიცება. დანია დაყოფილ იქნა რამდენიმე საეპისკოპოსოდ. XII საუკ. დამდეგს დაარსეს საარქიეპისკოპოსო ლუნდში. ისევე როგორც ყველგან ევროპაში, დანიაშიც ეკლესია წარმოადგენდა მსხვილ მიწათმფლობელს და ყველა თავისი ინტერესებით უკავშირდებოდა ახლად წარმოშობილ ფეოდალურ დიდკაცობას. ისევე, როგორც დიდკაცობა, მეფეებიც მფარველობდნენ ეკლესიას და უხვად ასაჩუქრებდნენ მას მიწებით. XI საუკ. დამლეგს მეფეებმა შემოიღეს სავალდებულო მეათედი ეკლესიის სასარგებლოდ. ამან გამოიწვია დანიის გლეხობის საყოველთაო ამბოხება, რომლის დროს მოკლულ იქნა მეფე კანუტი (1086 წ.), რომელმაც ეკლესიისაგან წმინდანის სახელი მიიღო. XII საუკ. დამდეგს ადგილი აქვს ახალ-ახალ გლეხთა მღელვარებებს, რომელთა მიზეზს წარმოადგენს იგივე საეკლესიო გადასახადები. გლეხობა თანდათანობით ვარდება მსხვილ საეკლესიო და საერო მიწათმფლობელების დამოკიდებულებაში. მსხვილი მიწათ-

ნოფლობელობის განვითარებას და კლასთა წარმოქმნის პროცესს დანიაში ხელი შეუწყო მონათა არსებობამ, რომელნიც მეტ ნაწილად მიწაზე დასახლებულნ იყვნენ. მონებად აქცევდნენ ხოლმე სამხედრო ტყვეებს, ვალის ვერ გადამხდელთ; ზოგჯერ მონებს ყიდულობდნენ.

ვრცელი თავისუფალი ფართობების არსებობა აფერხებდა ფეოდალიზაციას, ვინაიდან ივი საშუალებას აძლევდა ყმა გლეხებს უპატრონო მიწებზე გადასულიყვნენ. მაგრამ სამეფო ხელისუფლებამ გამოაცხადა ყველა დაუსახლებელი მიწები სამეფო საკუთრებად და გლეხობაც, მასზე რომ სახლდებოდა — სამეფო გლეხებად, რომელთაც უნდა ეხადნათ ვალდებულებები მეფის, როგორც მიწის მესაკუთრის სასარგებლოდ. დანარჩენი გლეხობაც დაბეგრეს გადასახადებით და ვალდებულებებით მეფის სასარგებლოდ. დიდკაცობა და საძღვდელობა მათგან განთავისუფლებული იყო.

XII-XIII საუკუნეებში მეფეებმა ხელი მიჰყვეს მიწების ფეოდებად დარიგებას რაინდებისათვის. სამხედრო საქმე, წინათ დაფუძნებული უმთავრესად თავისუფალი გლეხობის სამხედრო სამსახურზე, ახლა სულ უფრო და უფრო ეჭცევა მსხვილ რაინდობის ხელში. გლეხობა, სამხედრო სამსახურის ნაცვლად, დაიბეგრა ნატურალური გადასახადებით და ვალდებულებებით.

დანიის დანაპყრობები XII-XIII საუკუნეებში. ვიკინგთა ეპოქისათვის დამახასიათებელი გაერთიანება ვაჭრობისა და მეკობრობისა არ წყდება სკანდინავიის ქვეყნებში შემდგომ საუკუნეებშიაც. დანია ნაწილობრივ აწარმოებდა ვაჭრობას თავის მეზობლებთან — ჩრდილო გერმანულ და სლავურ ქვეყნებთან, ნაწილობრივ კი ძარცვავდა მათ. XI-XII საუკუნეებმა განვლო დანიელების გამძვინვარებულ ბრძოლაში ბალტიის სლავებთან. მაგრამ ამავე დროს დამყარდა მტკიცე სავაჭრო კავშირი ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვების სანაპიროებთან. დანია ამარაგებდა ჩრდილოეთ გერმანიას თევზით და ნაწილობრივ ასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით — ხორცით, პურით. დანიიდან გამოზიდულმა პროდუქტებმა იწყეს თვალსაჩინო როლის თამაში ჩრდილოეთის ვაჭრობაში (იხ. თავი XIV). XII საუკ. დამლევიდან დანიაში იწყებენ აღორძინებას ქალაქები.

დანიელი ფეოდალების ვაჭრულ-მეკობრული ინტერესები აგულიანებდნენ მათ დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებაზე, განსაკუთრებით XII საუკ. მეორე ნახევრიდან, როდესაც ფეოდალიზმის განვითარებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი წადგა წინ. დანიელები ექიშპებიან გერმანელებს ბალტიისპირეთის დაპყრობა და გაძარცვაში. მათი დაპყრობები დაიწყო ვალდემარ I მეფობის ხანიდან (1157 — 1182 წწ.) და მიმდინარეობდა წარმართთა საწინააღმდეგო „ჯვაროსნული ლაშქრობების" ნიღაბ ქვეშ. 1166 წ. დანიელებმა აიღეს სლავური ქალაქი არკონა კუნძულ რუაზე (რიუგენზე), დაანგრიეს და გაძარცვეს სვიატოვიტის ტაძარი. რუის თავადები იჭცნენ დანიის ვასალებად.

ვალდემარ I მემკვიდრემ კანუტ VI (1182 — 1202 წწ.) ისარგებლა იმპერიის უძლურებით, სადაც იმ დროს წარმოებდა ბრძოლა ორ იმპერატორს შორის (ფილიპე შვაბელსა და ოტონ IV შორის), და დაიპყრო პომორიის უდიდესი ნაწილი, ჰოლშტაინი, მეკლენბურგი, ლუბეკი, ჰამბურგი. კანუტ VI მი-

იღო ტიტული „დანიელთა და სლავთა მეფისა“ („Rex Danorum et slavorum“).

კანუტის ძმამ და მემკვიდრემ ვალდემარ II (1202 — 1241 წწ.) გაავრცელა დანიელების მიერ დაწყებული დაპყრობანი ალმოსავლეთისაკენ. მან დაპყრო კუნძული ეზელი. რიგის ეპისკოპოსის მიპატიჟებით მან მოაწყო „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ესტების წინააღმდეგ, დაიპყრო მათი ქვეყანა და აგებარსა ქალაქი რეველი (ტალინი).

დანიის ბატონობის გავრცელებას ბალტიის ზღვაზე მოჰყვა დანიის შეტაკება გერმანელ ფეოდალებთან. ვალდემარ II დატყვევებულ იქნა და იძულებული შეიქნა უარი ეთქვა დანიელთა ყველა დანაპყრობზე ბალტიის ზღვის სამხრეთ ნაწილში, — გარდა რუისა, — და აგრეთვე ესტონეთზე (თუმცა მან იგი მალე უკანვე დაიბრუნა).

ფეოდალური შინაომები. XIII საუკუნე ხასიათდება დანიაში სამეფო ხელისუფლების დაცემით, ფეოდალთა დამოუკიდებლობის ზრდით, განუწყვეტელი ფეოდალური არეულობებით. ამ არეულობებს ხელს უწყობდნენ გერმანელები, დაინტერესებულნი დანიის პოლიტიკური მნიშვნელობის დაცემაში, განსაკუთრებით ჰოლშტაინის გრაფები და ჩრდილო გერმანიის ქალაქები. პირველ ყოვლისა, ლუბეკი. დანიის მეფეები ჰყოფდნენ სახელმწიფოს თავიანთი შვილებს შორის, ყოველი მათგანი ცდილობდა შემდეგ თავის საუფლისწულოს სამემკვიდრეო სამფლობელოდ ქცევას. ეს არეულობები ღებულობდა მეტად გამძვინვარებულ ხასიათს. იმ საუკუნის განმავლობაში, რომელიც მდებარეობს 1240 და 1341 წწ. შორის, ბევრი არ მოიპოვება დანიის მეფეთა შორის ისეთი, რომ ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყოს. დანიის საერთაშორისო მნიშვნელობა ამ დროის განმავლობაში ძლიერ დაეცა.

ეს მდგომარეობა გამოიყენეს ჩრდილო გერმანიის ქალაქებმა, რომელნიც XIV საუკ. გაერთიანდნენ ჰანზაში. მათ განიმტკიცეს თავიანთი სავაჭრო პოზიციები დანიაში და მიიღეს მნიშვნელოვანი პრივილეგიები; ამაში მთავარი როლი ეკუთვნოდა ლუბეკს. დანიის ქალაქების უმრავლეს ნაწილში ლუბეკს ჰქონდა თავისი კანტორები, მას ეკუთვნოდა ზოგჯერ მთელი უბნები. ლუბეკელი მეთევზენი უბაოდ იჭერდნენ თევზს დანიის წყლებში. ეს პრივილეგიები შემდეგ გაავრცელეს ჰანზის დანარჩენ ქალაქებზედაც. ჰანზელი ვაჭრები დიდ მოგებაში რჩებოდნენ დანიელთათვის უვარგისი საქონლის მიყიდვით, დანიაში საქონლის შესყიდვის დროს უსინდისო მოტყუებით დანიელთა სპირტიანი სასმელებით გამოთრობით. ჰანზის კონკურენცია აფერხებდა დანიის ქალაქების ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას.

სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა. დანიელმა ფეოდალებმა გამოიყენეს სამეფო ხელისუფლების სისუსტე საკუთარი პოლიტიკური ბატონობის განსამტკიცებლად. სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლის დამწყებნი იყვნენ საეკლესიო ფეოდალები, უშველებელი მიწის სამფლობელოების მეპატრონენი. ლუნდის არქიეპისკოპოსმა იაკობ ერლანდსონმა მოითხოვა ეკლესიის სრული დაშოუკიდებლობა სამოსამართლო საქმეებში, ბრძოლა გაგრძელდა მრავალი წლის განმავლობაში. საბოლოოდ ეკლესიამ მიაღწია ყველა თავისი მოთხოვნი-

ლებების დაკმაყოფილებას. სასულიეროებს შემდეგ გამოილაშქრეს საერო ფეოდალებმა. 1282 წ. საერო და სასულიერო ფეოდალთა მოთხოვნით მეფე ერიკ გლიპინგო იძულებული შეიქნა გამოეცა ნიუბორგში ქარტია, რომლითაც ნებადმ აღუთქვა ყოველწლიურად მოეწვია სახალხო კრება (parliamentum quod hoff dicitur: XIV საუკ. მას დაერქვა Danehof), ეს იყო უძველესი სახალხო კრილობა არა მარტო დიდკაცობისა, არამედ მოქალაქეთა და თავისუფალი გლეხობის წარმომადგენელთა მონაწილეობითაც. მაგრამ ამ დროისათვის მთელი ძალაუფლება მასში მოქცეული იყო სასულიერო და საერო მაგნატების ხელში. მეფემ პირობა დადო არავინ არ ჩაესვა საპყრობილეში კანონიერი სამოსამართლო განაჩენის გარეშე.

ერიკის ცდას „გვერდი აუხვია ამ დაპირებების შესრულებისათვის, მოჰყვა დიდკაცობის შეთქმულება. მეფე მოკლულ იქნა (1286 წ.). მის მკვლელებს მხარს უჭერდა სამღვდელოება, რომელმაც ჰპოვა მოსარჩლე პაპი ბონიფაცი VIII მხრით. მეფე კრისტოფ II (1320—1332 წ.) ამორჩევის დროს, ჩამოართვეს წერილობითი ვალდებულება (პირობა) იმისა, რომ იგი არ დაარღვევდა დიდკაცობის და ეკლესიის პრივილეგიებს: არ გამოიხმობდა სასულიერო პირებს სამეფო სასამართლოში, არ გააწერდა ეკლესიაზე არავითარ „გადასახადებს, არ დაუშვებდა თავის საბჭოში უცხოელებს, არ უბოძებდა მათ ფეოდებს, არ დაიწყებდა არავითარ ომს დიდკაცობის უკითხავად. თავად-აზნაურობამ თავ-თავიანთი ლენები აქცია სრულ სამემკვიდრეო საკუთრებად, რომელიც განთავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადებისაგან. ბევრმა თავისუფალმა გლეხმა დაკარგა ამ დროს თავისი მიწები და იძულებული იყო მიემართნა მსხვილ მიწათმფლობელთა „მფარველობისათვის“ და გადასულიყო ყმების მდგომარეობაში.

კრისტოფ II სიკვდილის შემდეგ 8 წლის განმავლობაში არავინ ასულა სამეფო ტახტზე. ამ დროის განმავლობაში თითქმის მთელი დანია დაიპყრეს ნაწილობრივ შვედებმა, ნაწილობრივ ჰანზამ, ნაწილობრივ შლეზვიგის ჰერცოგებმა, ნაწილობრივაც ჰოლშტაინის გრაფებმა.

ვალდემარ IV ატერდაგი. უმეფობის ხანის შემდეგ მეფედ აირჩიეს კრისტოფ II ძე ვალდემარ IV ატერდაგი (1340 — 1375 წწ.). იგი თავდაპირველად ფლობდა მხოლოდ ჩრდილოეთ იუტლანდიას. მაგრამ მან შეიძლო თანდათანობით თავი მოეყარა თავის ხელში დანიის ყველა ოლქებისათვის და ხელახლად ექცია იგი მსხვილ ძალად ბალტიის ზღვაზე. თავისი პოლიტიკის გატარების დროს, მას შესაძლებლობა ჰქონდა დაპყრდნობოდა რაინდობას და თავისუფალ გლეხობას, თუმც შესუსტებულს, მაგრამ ჯერ კიდევ გავლენიანს (XV საუკ. დამდეგს თავისუფალ გლეხობას ეკუთვნის 15% მთელი მიწის საკუთრებისა). ეს ჯგუფები სულ უფრო და უფრო ემბრძოლენ საბაზრო ურთიერთობაში და იტანჯებოდნენ ფეოდალური არევ-დარევისაგან, ფეოდალთა ძალმომრეობისაგან, ჰანზის მონოპოლიური მდგომარეობისაგან და ხედავდნენ თავიანთ დაბაყრდენს ძლიერ სამეფო ხელისუფლებაში. მათი დახმარებით ვალდემარ IV შეძლო დანიის წინანდელი სამფლობელოების ხელახალი დაპყრობა. მართალია, 1346 წ. მან მიჰყიდა შორეული ესტონეთი ტევტონურ ორდენს 19 ათას

ვერცხლის მარკად, მაგრამ სამაგიეროდ ამ ფულით მან შეძლო დაგირავებულ და გაყიდულ სამეფო დომენთა მნიშვნელოვანი ნაწილის გამოსყიდვა. ის გამოსალები, რომელსაც იხდიდნენ ამ დომენებზე მცხოვრები გლეხები, იქცნენ სამეფო შემოსავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ. უკვე 1349 წ. იგი ფლობდა ოთოქმის მთელ დანიას ზუნდის დასავლეთით. 1357 წ. მან დაამარცხა ჰოლშტაინის გრაფები, 1366 წ. დაიბრუნა შვედების მიერ დაპყრობილი დანიის სამფლობელოები, რომელნიც სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში მდებარეობდნენ. ამის წყალობით მის ხელში მოექცა ზუნდი თავისი სახელგანთქმული ქაშაყის საჭერებით. თანამედროვეს სიტყვით, აქ ყოველი წლის სექტემბერში და ოქტომბერში თავს იყრიდა 40 ათასი ბომალდი 300 ათასი მეთევზითურთ. ის ბაჟები, რომელთაც ღებულობდნენ ამ თევზის საჭერებისაგან, წარმოადგენდნენ სამეფო შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს.

ვალდემარ IV მოახდინა სამხედრო საქმის რეორგანიზაცია, ფეოდალურ ლაშქარს გარდა, იგი მოითხოვდა ჯარისკაცებს და გემებს ქალაქებისგან, აკრებდა ქვეითა ჯარს — შვილდოსნებს — გლეხობისგან. იგი აგებდა ციხეკოშკებს, გლეხობის იძულებითი სამუშაოს გამოყენებით და ურიგებდა თავიანთი ოლქებითურთ ლენად თავის მომხრეებს. სამეფო ხელისუფლების გაძლიერებით უკმაყოფილო ფეოდალების აჯანყებებმა, მისცეს მას საბაბი მოეხდინა კონფისკაციები, რითაც გაზრდილ იქნა სამეფო დომენი. მას ჩაუვარდა აგრეთვე ხელში მთელი რიგი ბეითალმანი ფეოდებისა „შავი სიკვდილის" დროს, რომელმაც გააუკაცრიელა დანია 1349 — 1350 წწ.

გააძლიერა რა ამგვარად სამეფო ძალაუფლება და მისი სახსრები, ვალდემარ IV გადაწყვიტა მიეტანა იერიში ჩრდილო გერმანულ ჰანზაზე, რომელიც ამ დროისათვის ჩამოყალიბდა ძლიერ კავშირად. 1361 წ. მან აიღო ვისბი გოტლანდზე, ჰანზური ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი სკანდინავიაში, და ხელთ იგდო იქ უდიდესი ნადავლი. მან შესძლო ჰანზელთა ფლოტის დამარცხება, მაგრამ ამან გამოიწვია 60 ჰანზური ქალაქის, შვეციის, მეკლენბურგისა და ჰოლშტაინის გაერთიანება დანიის დამხობის მიზნით. მათ დაუჭირეს მხარი აგრეთვე დანიელმა დიდკაცებმა, რომელნიც აუჯანყდნენ იუტლანდიაში ვალდემარს. ჰანზამ და მისმა მოკავშირეებმა მოიპოვეს ვალდემარზე სრული გამარჯვება. 1370 წ. დანია იძულებული იყო შეეკრა ზავი შტრალზუნდში თავისათვის მეტად არახელსაყრელი პირობებით: მან აცნო ჰანზელთა ყველა პრივილეგიები, დაუთმო ჰანზას მთელი რიგი გამაგრებული პუნქტებისა და მისცა შას უფლება დანიის მეფის არჩევნებში ჩარევისა (იხ. თავი XXIV).

მარგარიტა დანიელი და კალმარის უნია. ვალდემარ IV პოლიტიკას განაგრძობდა მისი ასული მარგარიტა, ნორვეგიის მეფე ჰაკონ VI მეუღლე. ვალდემარის სიკვდილის შემდეგ, მან მიაღწია იმას, რომ დანიის მეფედ არჩეულ იქნა მისი მცირეწლოვანი შვილი ოლაფი, რომელსაც მემკვიდრეობით დარჩა 1380 წ. ნორვეგიის ტახტიც. ორივე სახელმწიფოს მართავდა რეგენტის წოდებით მარგარიტა. ოლაფი გარდაიცვალა 1387 წ. და მარგარიტა გახდა დედოფალი. მან ისარგებლა შვეციაში წარმოებული შინაგანი ბრძოლით და ხელთ იგდო შვეციის სამეფო გვირგვინიც (1389 წ.). იგი ახლა სათავეში უდგა ევრო-

პის უმსხვილეს სახელმწიფოს. მარგარიტა ცდილობდა ჩრდილოეთის სამი სამეფოს კაერთიანების განმტკიცებას, თავის დინასტიისათვის მათ უზრუნველყოფას და ამავე დროს ამ გაერთიანებაში დანიის პოლიტიკური უპირატესობის შექმნას. მარგარიტას გავლენით მისი დის შვილიშვილი ერიკ პომერანელი არჩეულ იქნა ჯერ ნორვეგიის, შემდეგ კი დანიისა და შვეციის მეფედ. 1397 წ. კალმარში სამივე სამეფოს სასულიერო და საერო დიდკაცობის ყრილობაზე, ერიკი დიდის ზეიმით ეკურთხა დანიის, შვეციის და ნორვეგიის მეფედ. ამ სამი ქვეყნის გაერთიანების პირობები არ იყო ფორმალურად დაფიქსირებული, მაგრამ საერთოდ კალმარის უნია მთლიანად ხელსაყრელი იყო მხოლოდ დანიისათვის.

მარგარიტა განაგრძობდა კალმარის უნიის ქვეყნების მართვას თავის სიკვდილამდის (1412 წ.). „დანიის მთელი დიდკაცობა მოიცვა შიშმა ამ ქალის სიბრძნისა და ძლიერების წინაშე", — ამბობს თანამედროვე ქრონიკა. მარგარიტა აწარმოებდა მბრძანებლურ პოლიტიკას, ცდილობდა დაემორჩილებინა ფეოდალები ყველა თავის სამფლობელოებში. თავის დაახლოებულ პირებს იგი უხვად ურიგებდა ფეოდებს და საეპისკოპოსო თანამდებობებს, როგორც დანიაში, ისევე შვეციაში და ნორვეგიაშიც.

კალმარის უნიის დაშლა. დანიის მეფეთა პოლიტიკა იწვევდა დიდ უკმაყოფილებას შვეციაში. 1434 წ. იქ დაიწყო აჯანყება დანიელთა ბატონობის წინააღმდეგ. 1435 წ. შვეციის წოდებათა წარმომადგენლების კრებაზე ერიკი გამოცხადებულ იქნა ტახტიდან გადაყენებულად. მალე ამის შემდეგ დანიის დიდკაცობამ მიიღწია მის გაძევებას დანიიდან. მიუხედავად მთელი რიგი ცდებისა განეახლებინათ კალმარის უნია, მან ფაქტიურად შეწყვიტა თავისი არსებობა (ფორმალურად მისი გაუქმება მოხდა მხოლოდ 1523 წ.). შვეციას ჩამოთავდნენ საკუთარი „რეგენტები", ანუ, უფრო სწორედ, საკუთარი დიდკაცობა. მაგრამ ნორვეგია დარჩა დანიის მეფის ძალაუფლების ქვეშ. ნორვეგიასთან უნიამ იარსება 1814 წლამდის.

1459 წ., ისარგებლეს რა გერმანიის დასუსტებით (იხ. თავი XXIV), დანიის მეფეებმა შეუერთეს თავიანთ სამფლობელოებს შლეზვიგი და ჰოლშტაინი, ამასთანავე ერთად, დანიის მეფეებმა დაადასტურეს ადგილობრივი დიდკაცობის პრივილეგიები. მაგრამ მათ ვერ შეესძლეს დასავლეთ ჰოლშტაინში (დიტმარშენში) მცხოვრებ გლეხობის დამორჩილება, რომელიც იცავდა თავის დამოუკიდებლობას ჰოლშტაინის გრაფების იერიშების წინააღმდეგ. როდესაც დანიელი და გერმანელი რაინდები შეეცადნენ მათ დამორჩილებას, დიტმარშენის გლეხურმა ლაშქარმა დაამარცხა ისინი ჰემინგშტადთან (1500 წ.).

გლეხობის მდგომარეობა დანიაში XV საუკ. ამავე დროს თვით დანიაში გლეხობის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა და მძიმდებოდა. XV საუკ. დანია იქცა გერმანიისათვის საქონლის (განსაკუთრებით ცხენების და ხარების) და აგრეთვე პურის, კარაქის, ქონის, ტყავეულის უმთავრეს მიმწოდებლად. როგორც აზნაურებმა, ისევე ფავისუფალი გლეხობის ზედაფენამ, ხელა მიჰყვეს საქონლის გატანაზე ნავარაუდევ მეურნეობას. ზოგჯერ აზნაურები თვითონ ამზადებდნენ საგზავროდ საავარო გემებს. დანიელმა აზ-

ნაურებმა მოიპოვეს უფლება ქალაქებში პურის უბაჟოდ შეტანისა და იქიდან უბაჟოდ ყოველგვარი საქონლის გამოტანისა. კომერციულ სასოფლო-მეურნეობაზე გადასვლის ნიადაგზე მემამულეები ცდილობდნენ თავიანთი სახნავების ფართობების გაზრდას, თავისუფალი გლეხობის მიწებს მითვისებით და ყმა გლეხობის მონაკვეთების შემცირებით. XV — XVIII საუკ. დანიაში ფართო მასშტაბით წარმოებს გადასვლა საგამოსაღებო მეურნეობიდან საბატონო-საბეგაროზე და თავისუფალი გლეხობის ფენის დაყმევება. გლეხობა ამაზე უპასუხებდა მთელ რიგ ამბოხებებით, რომელთაც დიდკაცობა და სამეფო ხელისუფლება სასტიკად აქრობდნენ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ზრდამ ნაწილობრივ გააძლიერა დანიის ქალაქებიც, რომელნიც შუამავლობდნენ ამ ვაჭრობაში. XV საუკ. დამლევიდან დაწყებულმა ჰანზის შესუსტებამ შეუქმნა ხელსაყრელი პირობები ვაჭრობის განვითარებისათვის დანიის ზღვის სანაპირო ქალაქებს, რომელთა შორის პირველ ადგილს იკავებს კოპენჰაგენი. მეფე ჰანსის დროს (1481 — 1513 წწ.) იწყება წარმატებითი ბრძოლა ჰანზასთან, რომელსაც დანია ცდილობს ჩამოართვას პრივილეგიები. ჰანსმა ააგო სამხედრო ფლოტი ჰანზასთან საბრძოლველად, გაადიდა სავაჭრო ბაჟები, რომელთაც ჰკრეფდნენ ზუნდში. მაგრამ მაინც დანიის ექსპორტის განვითარებით პირველ რიგში მოგებაში რჩებოდა მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობა, რომლის ხელშიაც XV საუკ. განმავლობაში გადავიდა მთელი პოლიტიკური ძალაუფლება.

მსხვილი ფეოდალების პოლიტიკური ძალაუფლება. XIV საუკ. დამლევიდან აღარ იწვევენ ეგრეთწოდებულ Danehof—წოდებათა წარმომადგენლობას, მოქალაქეთა და თავისუფალ გლეხთა ჩათვლით. ძალაუფლება სულ უფრო და უფრო ექცევა მუდმივი სამმართველო ორგანოს — სახელმწიფო საბჭოს (Rigsraad) ხელში, რომელიც შესდგება დიდკაცობისაგან. მასში იკრიბებოდნენ და ბჭობდნენ დანიის ყველა შვიდივე ეპისკოპოსი, ლუნდის არქიეპისკოპოსის მეთაურობით და დაახლოვებით ოცამდის საერო დიდკაცი. ამ საბჭომ სავსებით დაიმორჩილა სამეფო ხელისუფლება. „კაპიტულაციები", გაცემული მეფეთა მიერ, მათი ტახტზე ასვლის დროს, სულ უფრო და უფრო აფართოებდნენ და ზრდიდნენ სახელმწიფო საბჭოს პრივილეგიებს და კომპეტენციას. მეფე ქრისტიანე I „კაპიტულაციამ" (XV საუკ. ნახევარში) საბოლოოდ დაუმორჩილა სამეფო ხელისუფლება სახელმწიფო საბჭოს. გამოცხადებულ იქნა ამომრჩევლობითი მონარქია, საბჭოს უკითხავად მეფეს არამც თუ არ შეეძლო ლენების დარიგება, გადასახადების გადახდევინება და ომის გამოცხადება, არამედ საკუთარი დომენების მართვა-გამგებლობაც-კი. ჰანსის „კაპიტულაცია" ემუქრებოდა სახელმწიფო საბჭოდან სამარცხვინო გაძევებით ყოველ მის იმ წევრთაგანს, რომელიც გამოვიდოდა თავისი ამხანაგების წინააღმდეგ და შეეცდებოდა მეფის გულის მოგებას. მისი მემკვიდრე ქრისტიანე II „კაპიტულაცია" შეიცავდა ვალდებულებას სახელმწიფოს საუკეთესო ლენების დარიგებისას მხოლოდ სახელმწიფო საბჭოს წევრთათვის. დიდკაცობამ მიაღწია იმას, რომ მის ხელში გადავიდა იურისდიქციის უფლება სიკვდილით სასჯე-

ლამდის, მის საამებლად შემოღებულ იქნა თავისუფალი გლეხობის სამემკვიდრო უფლებების შეზღუდვები. XVI საუკ. დანია წარმოადგენს ფეოდალურ-ბატონყმურ სახელმწიფოს, რომელსაც ჰმართავს სასულიერო და საერო მაგნატების ოლიგარქია.

2. შვეცია

ფეოდალიზაციის შენელებული ტემპი. შვეციაში ფეოდალიზაციის პროცესი ვითარდებოდა კიდევ უფრო ნელა, ვიდრე დანიაში. აქ ძალიან მკვიდრი იყო ძველებური საგვარეულო ურთიერთობანი. მოსახლეობის შედარებით ხაკლებობა, ვრცელი, მცირედ დასახლებული, მთიანი და ტყიანი ფართობები, სადაც შეეძლო გახიზნვა გლეხობას, სუსტი კავშირი ფეოდალურ ევროპასთან, — ჰქმნიდნენ აქ განსაკუთრებით ხელსაყრელ ნიადაგს თავისუფალი გლეხობის შენარჩუნებისათვის. მაგრამ შვედებთან შედარებით, ადრე ჩნდება მსხვილი მიწათმფლობელობა, ნაწილობრივ დაკავშირებული პატრიარქალურ მონათმფლობელობასთან. შედარებით უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა ფეოდალიზაცია სამხრეთ ნაწილში, უფრო მეტად დასახლებულში და მჭიდროდ დაკავშირებულში დანიასთან და გერმანიასთან.

ფეოდალიზაციის პროცესის ნელ განვითარებასთან დაკავშირებით, შენელებული ტემპებით ვრცელდებოდა შვეციაში ქრისტიანობაც, რომელსაც შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ საგვარეულო წყობილება და მისი უძველესი რელიგია. ოლაფი იყო პირველი მეფე, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა (დაახ. 1000 წ.), მაგრამ ქრისტიანობამ საბოლოო გამარჯვება მოიპოვა შვეციაში მხოლოდ XIII საუკ. მეფეთა ცდები ქრისტიანობის ძალდატანებით დანერგვისა, რომელშიაც ისინი ხედავდნენ თავიანთი ძალაუფლების უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს, იწვევდნენ ხალხში დიდ წინააღმდეგობას. საქმე მიდიოდა ნამდვილ ომებამდის მეფეთა და ხალხს შორის; ხალხი ილაშქრებდა ძველი წარმართული სარწმუნოების გამოსასარჩლებლად, რომელშიაც სიმბოლიურ გამოხატულებას პოულობდა მისი უძველესი თავისუფლება.

ფინეთის დაპყრობა. ქრისტიანობის დროშის ქვეშ მეფეები აწარმოებდნენ არამარტო შვეციის გლეხობის დამორჩილების პოლიტიკას, არამედ აგრეთვე გარეშე დაპყრობების პოლიტიკასაც. XII საუკ. ნახევრიდან შვედები მონაწილეობდნენ ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების დაპყრობაში, ეჭიშჭებიან ამაში გერმანელებს. შვედების იერიშები მიმართული იყო უფრო ჩრდილოეთით — ფინეთზე და ნევაზე, ფინეთის ზღვის შესართავის დაპყრობასაც ცდილობდნენ ისინი, რათა ხელში ჩაეგდოთ ბალტიკის საშუალებით რუსეთთან წარმოებული ვაჭრობა. XII საუკ. ნახევრიდან იწყება შვეციის მეფეთა „ჯვაროსნული ლაშქრობები“ ფინეთის წინააღმდეგ. ფინური ტომები დამარცხებულ იქნენ და იძულებული გახდნენ მონათლულიყვნენ. XII საუკუნიდანვე იწყება ლაშქრობები ნევაზე. მაგრამ შვედების დამპყრობლურ მისწრაფებებს წინ გადაეღობა კარელთა და რუსთა დიდი წინააღმდეგობა. 1240 წ. შვედებმა განიცადეს სასტიკი დამარცხება ნევაზე ნოვგოროდის თავადი ალექსანდრესაგან, რომელმაც ამის გამო მიიღო ნეველის სახელწოდება. ამ ბრძოლაში ალექ-

სანდრემ სახეში დასჭრა შვედთა მეთაური იარლი ბირგერი ფოლკუნგების გვარისა, რომელიც იყო შვეციის ფაქტიური მმართველი თავისი სუსტი ცოლის-ძმის მეფე ერიკის დროს. ერიკის სიკვდილის შემდეგ მეფედ არჩეულ იქნა ბირგერის შვილი ვალდემარი, მაგრამ ფაქტიურად ძალაუფლება შეინარჩუნა ბირგერმა. მის მმართველობაში შვეციამ დაამყარა უფრო მჭიდრო კავშირი დანიასთან და გერმანიასთან, შვეციაში გადასახლებულმა გერმანელებმა ხელი შეუწყეს შვეციაში სამთომადნო საქმის განვითარებას (იქ დიდი ხნიდან პოულობდნენ სპილენძს და რკინას). ბირგერმა დადო სავაჭრო ხელშეკრულება ლუბეკთან.

ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცება. ბირგერის შთამომავლობის — ფოლკუნგების დინასტიის მეფობის დროს (1250 — 1384 წწ.) — ფეოდალურმა ურთიერთობამ წადგა დიდი ნაბიჯი წინ. გლეხობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაკარგა მიწის საკუთრება და ჩავარდა მსხვილ, როგორც სასულიერო, ისე-ვე საერო მიწათმფლობელთა, დამოკიდებულებაში. ეს დამოკიდებულება ძლიერდებოდა მეფეების მიერ საიმუნიტეტო უფლებების გულუხვად დარიგების შედეგად. სამხედრო სამსახური სულ უფრო და უფრო იქცევა რაინდთა ვალდებულებად; გლეხობა კი მოვალე იყო ეხადნა მეფისათვის მთელი რიგი ნატურალური გადასახადებისა და ვალდებულებებისა. ფეოდალურ წეს-წყობილებისა და დაწესებულებათა გავრცელება შვეციაში ნაწილობრივ დაკავშირებული იყო გერმანიის გავლენასთან, რომელიც განსაკუთრებით ძლიერდება მეფე მაგნუს ლადულოსის დროს (1275 — 1290 წწ.), ეს მეფე დაუნათესავდა ჰოლშტაინის საგვარეულოს. 1280 წ. მაგნუსმა გამოსცა დადგენილება, რომ ყველა ის, ვინც იხდის სამხედრო სამსახურს, როგორც ცხენოსანი, თავისუფლდება პირად და საადგილმამულო გადასახადებისაგან; გადასახადებისაგან განთავისუფლებული იყო ეკლესიაც, ისე რომ ისინი მთელი თავისი სიმშიშით აწვებოდნენ კისერზე გლეხობას.

XIII საუკ. შვეციაში იწყეს აღმოცენება ქალაქებმა. ვაჭრობა იწყებს სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო როლის თამაშს ქვეყნის ცხოვრებაში. მაგრამ ვაჭრობა იმყოფებოდა მომეტებულად გერმანელთა და დანიელთა ხელში, რომელთაგან შედგებოდა აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის ზედა-ფენის უდიდესი ნაწილიც. შვეცია წარმოადგენდა წმინდა აგრარულ ქვეყანას, და ქალაქები არ თამაშობდნენ მასში თვალსაჩინო როლს.

ისევე როგორც დანიაში, შვეციაშიც XIV—XV საუკუნეებში ძლიერდება ფეოდალური არისტოკრატია, სწორედ ის მართავს ფაქტიურად სახელმწიფოს და ავიწროებს სამეფო ხელისუფლებას. უკანასკნელი ცდილობდა დაჰყრდნობოდა თავად-აზნაურობის ქვედა-ფენას, მოქალაქეებს, თავისუფალ გლეხობას.

ასეთ პოლიტიკას ატარებდა მეფე მაგნუს ერიკსონი (1319 — 1363 წწ.), მაგრამ წარუმატებლად. ფეოდალური არისტოკრატიის გავლენა განაგრძობდა ზრდას. ძალაუფლება სულ უფრო და უფრო გადადიოდა სახელმწიფო საბჭოს ხელში, რომელიც შესდგებოდა უმაღლესი დიდკაცობის წარმომადგენელთაგან.

მაგნუსის საგარეო პოლიტიკამ, მიმართულმა ნოვგოროდის წინააღმდეგ,

ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი და არაფერი შესძინა მას, გარდა ვალებისა. იგი სესხულობდა ფულს პაპებისგანაც კი და ვალის გადაუხდელობის გამო, განკვეთილ იქნა ეკლესიისაგან. ამ მეფით უკმაყოფილო დიდკაცობა არაერთხელ ამხედრდა მის წინააღმდეგ და ბოლოს, 1363 წ. ჩამოაგდო იგი ტახტიდან. მეფედ არჩეულ იქნა მეკლენბურგის ჰერცოგის ვაჟიშვილი ალბრეხტი. დიდკაცობამ გამოიყენა მისი არჩევა ახალი პრივილეგიების მისაღებად. მის დროს სახელმწიფო საბჭომ მიითვისა მთელი რიგი ფართო პოლიტიკური უფლებებისა: საბჭოს მიეცა უფლება თავისი შევსებისა ახალი წევრებით, მხოლოდ საბჭოს მიეცა განსაკუთრებული უფლება მიწის წყალობათა დარიგებებისა. ამ უფლებას საბჭოს წევრები, ისევე როგორც დანიაში, ფართოდ იყენებდნენ პირადი გამდიდრებისათვის. შვეციელი ფეოდალები და ალბრეხტთან ერთად ჩამოსული გერმანელები ძალიან ჩაგრავდნენ შვეციელ გლეხობას, გერმანელებმა გაავსეს შვეციის ქალაქები და ჩაიგდეს ხელში მთელი ძალაუფლება. ფეოდალები დაუსჯელად პარპაშობდნენ ყველგან, ეწეოდნენ მძარცველობასა და ხალხის ხოცვას.

შვეცია კალმარის უნიის ხანაში. ბოლოს ალბრეხტის წინააღმდეგ გაერთიანდა წვრილი აზნაურობა, შვედი-მოქალაქეები და მსხვილი ფეოდალების ნაწილიც კი, უკმაყოფილო გერმანელთა მოძალადეობით. მათ მიმართეს დახმარებისათვის მარგარიტა დანიელს. დანიელების, ნორვეგიელების და შვედების გაერთიანებულმა ძალებმა შესძლეს ალბრეხტის დაქირავებული გერმანული ჯარების დამარცხება (1389 წ.). მხოლოდ სტოკჰოლმი კიდევ 8 წელიწადს შერჩათ ხელთ გერმანელ დაქირავებულ ჯარისკაცებს, რომელნიც მეკობრობდნენ ბალტიის ზღვაზე.

შვეციის დიდკაცობა იძულებული იყო შეეკრა უნია დანიასთან, მაგრამ უკანასკნელის პოლიტიკა მიმართული იყო შვეციის ფეოდალების ინტერესების წინააღმდეგ. დიდკაცობის უფლებათა შეზღუდვამ, მის მიერ მითვისებული სამეფო მიწების ჩამორთმევამ, ფეოდების დარიგებამ შვეციაში დანიელთათვის, ფეოდალთა ციხე-კოშკების დანგრევამ — ყველა ამან გამოიწვია შვეციის დიდკაცობის ღრმა უკმაყოფილება. დანიის საგარეო პოლიტიკაც, მიმართული ჰანზის და ჰოლშტაინის წინააღმდეგ, ეწინააღმდეგებოდა შვეციის ინტერესებს, რომელსაც სურდა დაემყარებინა გერმანიასთან უშუალო სავაჭრო კავშირი. უაღრეს უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სამთო მაღაროების მეპატრონენი, მჭიდროდ დაკავშირებულნი ჰანზასთან, სადაც ჰყიდდენ რკინასა და სპილენძს. დანიელი მოხელეები ყოველნაირად ავიწროებდნენ მოსახლეობას. დანიის ბატონობას თან სდევდა ფეოდალური ჩაგვრის ზრდა. ის დანიელ ფეოდალები, რომელთაც მიიღეს მიწის სამფლობელოები შვეციაში, აყმევებდნენ, ჩაგრავდნენ და ავიწროვებდნენ გლეხობას.

ენგელბრეკტის აჯანყება. 1434 წ. დალეკარლიაში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ წვრილი აზნაურის ენგელბრეკტი ენგელბრეკტსონის მეთაურობით. მან მალე მოიცვა მთელი შვეცია. ენგელბრეკტის მიერ ორგანიზებული გლეხური ჯარი წარმატებით მოქმედებდა დანიელთა წინააღმდეგ. ამბოხებას მიემხრხენ ყველანი, ვინც კი უკმაყოფილო იყვნენ დანიელთა ბატონობით, და არც კი გაუვლია 4 თვეს, რომ შვეცია განთავისუფლდა დანიელთა ბატონობისაგან

(გარდა რამოდენიმე გამაგრებული პუნქტისა). 1435 წ. ენგელბრეკტმა მოიწვია წოდებათა წარმომადგენლების კრება — რიკსდაგი, — რომელზედაც დიდკაცობასთან და სამღვდელოებასთან ერთად მოწვეულ იქნენ ქალაქების და თავისუფალი გლეხობის წარმომადგენლებიც. ამ კრებამ გამოაცხადა მეფე ერიკ პომერანელი ტახტიდან გადაყენებულად და სამეფოს რეგენტად აირჩია ენგელბრეკტი. მაგრამ გლეხობა ცდილობდა არა მარტო დანიელთა ბატონობისაგან განთავისუფლებას. მისი მოძრაობა ღებულობს შვეციის ფეოდალების საწინააღმდეგო მიმართულებას. გლეხობაში ვრცელდება მოძღვრება საყოველთაო თანასწორობაზე.

უნიის აღდგენა. ფეოდალები შეშინდნენ. განსაკუთრებით შეშფოთდა სამღვდელოება, დაინახა რა გლეხურ მოძრაობაში ჰუსიზმის აჩრდილი, რომელიც შიშის ზარსა სცემდა იმ დროს მთელი ევროპის კათოლიკურ სამღვდელოებას, ამიტომ დიდკაცობა და სამღვდელოება თანახმა შეიქნენ აღედგინათ ტახტზე ერიკ პომერანელი, მაგრამ ამავე დროს დანიშნეს შვეციის მმართველად თავიანთი რეგენტი, დიდგვარიანი აზნაური კარლოს კნუტსონი. ენგელბრეკტი მოიშორეს თავიდან ვერაგული მკვლელობის გზით. ერიკი იძულებული იყო დაედო პირობა, რომ შვეციის უმაღლეს თანამდებობებზე დაინიშნებოდნენ ამიერიდან მხოლოდ შვეციის დიდკაცები და ომების გამოცხადება შეაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სამივე სამეფოს დიდკაცობის თანხმობის შემდეგ. ამგვარად, კალმარის უნია შენარჩუნებულ იქნა, თუმცა არსებითად მხოლოდ ფორმალურად. შვეციასა და დანიას შორის წარმოებდა ხანგრძლივი ბრძოლა, რომელსაც უკავშირდებოდა შინა-ბრძოლა შვეციაში. მსხვილი ფეოდალები და განსაკუთრებით ეკლესია შეადგენდნენ დანიურ პარტიას, რომელიც ცდილობდა დანიელთა დახმარებით ბოლომდის მიეყვანა შვეციის საზოგადოების ფეოდალიზაცია და დაემორჩილებინა გლეხობა. ამ მხრივ მიმართული ცდები აიძულებდნენ გლეხებს მიმხრობოდნენ „ეროვნულ“ პარტიას, რომელიც შესდგებოდა წვრილ აზნაურებისაგან და მოქალაქეთაგან და ისწრაფოდა შვეციის სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობისადმი.

სტენ სტიურე. 1470 წ. „ეროვნულმა“ პარტიამ წამოაყენა რეგენტად სტენ გუსტავსონი სტიურე (1470-1503 წწ.). სტიურემ დაამარცხა დანიელები სტოკჰოლმის მახლობლად (1471 წ.). მაგრამ შვეციის დიდკაცობამ აიძულა იგი ეცნო დანიის მეფეების ზემდგომობა, თუმცა წმინდა ნომინალურად. სტიურე წარმოადგენდა თავისი დროის ერთ-ერთ უგანათლებულეს ადამიანთაგანს. მან დაარსა უნივერსიტეტი უპსალაში (1477 წ.; ორი წლის შემდეგ დაარსებულ იქნა პირველი დანიური უნივერსიტეტიც კოპენჰაგენში) და შემოიღო შვეციაში წიგნის ბეჭდვა. სტიურე ეყრდნობოდა თავისუფალ გლეხობას და ცდილობდა მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამით მან აიმხედრა დიდკაცობა და სამღვდელოება, რომელნიც მძულვარებით უყურებდნენ მას, და ყოველმხრივ ცდილობდნენ მისი მოღვაწეობისათვის ხელის შეშლას და ეძიებდნენ დანიის დახმარებას. სამღვდელოებამ არაერთხელ განკვეთა იგი ეკლესიისაგან. როდესაც იგი გარდაიცვალა, ხალხი დარწმუნებული იყო, რომ იგი მოწამლეს. მისი სიკვდილის შემდეგ მალე ხელახლად უპირატესობა მიიღო დიდკაცობამ, რომელმაც მოიბმო დანიის მეფე.

მიუხედავად თავისუფალი გლეხობის მნიშვნელოვანი ფენის არსებობისა, შვეციაში მთავარ ძალად მაინც იქცა, ისევე როგორც დანიაშიც, მსხვილი ფეოდალური დიდკაცობა. აქ ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში რამოდენიმე დიდკაცის გვარეულობამ და უმაღლესმა სამღვდელოებამ.

3. ნორვეგია

ნორვეგიის სოციალური წყობილების თავისებურებანი. მნიშვნელოვანი თავისებურობით გამოირჩევა ჩრდილოეთის მესამე სამეფოს, ნორვეგიის ისტორია. ნორვეგიის საზოგადოებაში ფეოდალიზმი განვითარდა ძალიან სუსტად. თავისუფალი მესაკუთრე-გლეხები შეადგენდნენ ნორვეგიის სოციალური წყობილების საფუძველს მთელ შუასაუკუნეთა განმავლობაში. ნორვეგიული არისტოკრატიის ძლიერება დაფუძნებული იყო არა გლეხობის ექსპლოატაციაზე, არამედ მონურ შრომაზე, ზღვის მეკობრობაზე, ნაწილობრივ ვაჭრობაზე.

ნორვეგიის სოციალური წყობილების თავისებურებანი განსაზღვრული იყო მისი ბუნებრივი პირობებით. მოსახლეობა ამ მთიანი და ტყიანი ქვეყნისა, რომელსაც აქვს გრძელი, ფიორდებით ღრმად შეჭრილ-შემოჭრილი სანაპირო, ახლაც კი მეტად მცირერიცხვოვანია; იგი გაცილებით უფრო იშვიათი და მცირერიცხვოვანი იყო შუასაუკუნეებში. დასამუშავებლად გამოსადეგი მიწა ძალიან ცოტა იყო, იგი მდებარეობდა მცირე მონაკვეთებად შიგა და შიგ მთებსა და ტყეებს შორის. მოსახლეობის ნაწილი ცხოვრობდა ფიორდებთან, ეწეოდა შეთევზეობას და ზღვაოსნობას. ამ წრიდან გამოდიოდნენ ვიკინგთა ეპოქის გულადი მეზღვაურნი და მეკობრენი. ნორვეგიელთა უმრავლესობა მისდევდა მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ნორვეგიის ლანდშაფტის თავისებურობამ განსაზღვრა მისი აგრარული წყობილების თავისებურებანიც. მასში შენარჩუნებულ იქნა უეჭველი კვალი თავდაპირველი სათემო წყობილებისა, განსაკუთრებით ტყეებით სარგებლობაში. მაგრამ ამავე დროს დასამუშავებლად გამოსადეგი მონაკვეთების იშვიათობა და დაფანტულობა შეუძლებლად ხდიდა სოფლებად დასახლებას. ნორვეგიელი გლეხები (მცირე გამონაკლისის გარდა) სახლდებოდნენ ინდივიდუალურ კომლებად, რომელნიც ხშირად დაფანტული იყვნენ ერთმანეთისაგან ერგა დაშორებულ მანძილზე, ამასთანავე ერთად ერთი და იგივე ყარმიდამოს მიწები იშვიათად თუ მდებარეობდნენ ერთად, არამედ ჩვეულებრივ შედგებოდნენ სხვადასხვა აქეთ-იქით დაფანტული მონაკვეთებისაგან. ასეთი პირობები ძალიან აფერხებდნენ მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარებას და სამამულო მეურნეობის ორგანიზაციას. მკაცრი ბუნების პირობებთან ბრძოლა ამაგრებდა და ხდიდა გამძლედ ნორვეგიელ მეთევზეს და გლეხს, ანვითარებდა მათში დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოყვარულობას და ნებისყოფას წინააღმდეგობა გაეწიათ მათთვის დამოუკიდებლობის წართმევით ყოველგვარი ცდებისათვის.

ნორვეგიის მწირი ნიადაგი იძლეოდა ცოტა პურს. ეს ხდიდა ნორვეგიას დამოკიდებულად ამ ქვეყნებისაგან, საიდანაც შემოჰქონდათ მასში პური, და, პირველ ყოვლისა, დანიისაგან. ნორვეგიაში განუწყვეტლივ იქმნებოდა ზედმეტი მოსახლეობა, რომელსაც არ შეეძლო თავისი ქვეყნის ფარგლებში

გამოკვება. ამ ნიადაგზე ვითარდება მეკობრეობა, დაქირავებულ ჯარებში სამსახური, მიწების დაპყრობა ზღვის გაღმა კოლონიზაციისათვის, მოგვიანებით— სავაჭრო ზღვაოსნობა.

ფეოდალიზმის ჩანასახები. ჩვენ აღვნიშნეთ ნორვეგიაში სოციალური დიფერენციაციის დასაწყისი, საგვარეულო დიდკაცობის გამოყოფა, ფეოდალური რაზმების შექმნა, სამეფო ხელისუფლების აღმოცენება (იხ. თავი VI). საგვარეულო არისტოკრატიის შექმნას ხელი შეუწყო ნორვეგიელებში პატრიარქალური მონათმფლობელობის არსებობამ. ნორვეგიაში შესამჩნევია ფეოდალიზმის ისეთივე პირველი ნაბიჯები, რომელნიც ჩვენთვის ცნობილნი არიან სხვა ქვეყნების ისტორიიდან. მაგრამ ზემოჩამოთვლილი პირობები აფერხებდნენ ნორვეგიაში ფეოდალიზაციის პროცესს. X—XI საუკუნეებში ხდება ნორვეგიის ქრისტიანიზაცია, რომელსაც ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა ხალხი. იგი დაასრულა მეფე ოლაფ სქელმა, ანუ წმინდანმა (1015—1030 წწ.). ეკლესიამ გამოიყენა თავის სასარგებლოდ XI—XII საუკუნეებში პრეტენდენტებს შორის ტახტისათვის წარმოებული ბრძოლა, თავისი სამფლობელოების და გავლენის გასაზრდელად. ეკლესიამ დაუმორჩილა თავის გავლენას მეფის არჩევნები, იწყო მეათედის აღება მთელი მოსახლეობისაგან, მიაღწია სამეფო ხელისუფლებისაგან სრულ დამოუკიდებლობას საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნის საკითხში. დიდკაცობასთან ერთად და მასთან კავშირში მყოფი, იგი ცდილობდა თავისადმი გლეხობის დამორჩილებას.

თავისუფალი გლეხობის ბრძოლა სამღვდელოებასთან და დიდკაცობასთან. ნორვეგიაში წმინდა ფეოდალური წესწყობილების დამყარების მოსურნე უმაღლესი სამღვდელოების და დიდკაცობის ძალმომრეობამ გამოიწვია წვრილი აზნაურების და გლეხების ამბოხება (ეგრეთწოდებულმა ბ ი რ კ ე ბ ა ი ნ ე რ ე ბ მ ა), დაამარცხეს დიდკაცობა, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელს აღმოუჩინეს დახმარება დანიელებმა. მეფე მაგნუსი, რომელიც სათავეში უდგა დიდკაცობას, მოკლულ იქნა, ამბოხების ბელადი სვერე აირჩიეს მეფედ (1184წ.). გაუქმებულ იქნა ყველა საეკლესიო პრივილეგიები, ეპისკოპოსები იძულებული შეიქნენ წასულიყვნენ ნორვეგიიდან. ინოკენტი III დაადო ნორვეგიას ინტერდიქტი და განკვეთა სვერე ეკლესიისაგან, მაგრამ ამან ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი.

ბრძოლა გლეხობასა და დიდკაცობას შორის ამით არ დამთავრებულა. ეკლესიამ მოახერხა ზოგიერთი თავისი წინანდელი პრივილეგიის დაბრუნება (საეკლესიო სამფლობელოების განთავისუფლება ჯარისკაცთა გაგზავნის მოვალეობისაგან, საეკლესიო არჩევნების თავისუფლება, საეკლესიო სასამართლოს დამოუკიდებლობა), მაგრამ მან უკვე ვეღარ შესძლო წინანდებური პოლიტიკური გავლენის დაბრუნება. წვრილ აზნაურობაზე და თავისუფალ გლეხობაზე დაყრდნობით, სამეფო ხელისუფლება თანდათანობით კვეცავდა დიდკაცობის პრივილეგიებს, და, საბოლოოდ, მოსპო დიდკაცობის წოდება (იარლებისა და ლენდერმენდებისა). ამას შეუწყო ხელი იმ ეკონომიური საფუძვლების დაქვეითებამ, რომელთაც ეყრდნობოდა არისტოკრატია ნორვეგიაში: მონათმფლობელობისა, საზღვაო მეკობრეობისა და საზღვაო ვაჭრობისა. ზღვის მე-

კობრეობა და ხალხის მოტაცება და მონად ქცევა სულ უფრო და უფრო წარსულის ხვედრად გადაიქცა, ვაჭრობას კი ხელთ იგდებენ ჩრდილო გერმანიის ქალაქები.

მეფე მაგნუს კანონთა შემსწორებლის მეფობაში (1263—1280 წწ.) დიდკაცობაზე გამარჯვება განმტკიცებულ იქნა ქვეყნის საადათო სამართლის კოდიფიკაციით. სამეფო საბჭო სდგება მეფის მიერ დანიშნულ მოხელეებისაგან, უმნიშვნელოვანესი საქმეები წყდება სახალხო კრებებზე — ტ ი ნ გ ა ხ ე ბ ზ ე— ინ ოთხ ოლქში, რომლებადაც იყოფოდა ნორვეგია. ამას გარდა, იწვეოდა ა ლ ტ ი ნ გ ი (საერთო ყრილობა) ბერგენში. ნორვეგია საბოლოოდ იქცევა წვრილ თავისუფალ მიწათმფლობელობის ქვეყნად.

ნორვეგია შვეციასთან და დანიასთან უნიაში. მაგრამ ნორვეგიას მოელოდა საშიშროება სხვა მხრიდან. გარსშემორტყმული მასზე უფრო ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოებით, რომელთაგანაც იგი ამასთანავე დამოკიდებული იყო პურის მიწოდებისა გამო,—ნორვეგია იძულებული იყო დამორჩილებოდა ხან ერთს და ხან მეორეს. ეს დამორჩილება თავდაპირველად ღებულობს პირადული უნიის სახეს, შემდეგ კი ძლიერდება და მატულობს. შვეციის მეფე მაგნუს ერიკსონმა მიიღო მემკვიდრეობით თავის პაპის, ნორვეგიის მეფის ჰაკონ V ნორვეგიის სამეფო გვირგვინი. შვეციის და ნორვეგიის უნია გაგრძელდა XIV საუკ. მომეტებულ ნაწილს (1319—1317 წწ.), მაგრამ მას არ მოუხდენია რაიმე შესამჩნევი გავლენა ნორვეგიის წყობილებაზე, რომელმაც შეინარჩუნა თავისი ძველებური სამართალი და პოლიტიკური ორგანიზაცია. გაცილებით უფრო სახიფათო აღმოჩნდა უნია დანიასთან, დადებული კალმარაში 1397 წ. როგორც დავინახეთ, ეს უნია ხელსაყრელი იყო მხოლოდ დანიისათვის, რომელიც ცდილობდა გამოეყენებინა ორი. დანარჩენი სკანდინავური ქვეყნის სახსრები თავის სასარგებლოდ. დანიის მთავრობამ გადიბირა თავისკენ უმაღლესი სამღვდელოება ნორვეგიაში, აავსო ნორვეგიის სახელმწიფო საბჭო დანიელებით, შემოიღო მთელი რიგი ახალი გადასახადებისა, მოითხოვდა ფულს და ხალხს ომებისათვის, რომლებშიაც ნორვეგია სრულიადაც არ იყო დაინტერესებული. ნორვეგიის ექსპლოატაციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა გაფუჭება მონეტისა, რომლის მიღებასაც დანიის მთავრობა აიძულებდა ნომინალური ფასით, ხოლო თვითონ კი მოითხოვდა გადასახადებს სრულფასიანი მონეტით. ნორვეგიის ტერიტორიის ნაწილი (შეტლანდის და ორკადის კუნძულები) დანიამ მეჯყიდა შოტლანდიის მეფეს. ნორვეგიაში მოხდა არა ერთი ამბოხება დანიელთა მიერ შემოღებული რეჟიმის წინააღმდეგ; ნორვეგია მხარს უჭერდა ამბოხებებს შვეციაში და ცდილობდა ეპოვნა დასაყრდენი შვეციის მეფეებში მათთან უნიის შეკვრით .მაგრამ დანია ახერხებდა სამხედრო ძალის შემწეობით .ამ ამბოხებათა ჩაჭრობას და ნორვეგიასთან უნიის აღდგენას. განსაკუთრებით შეუპოვრად იფეთქა აჯანყებამ 1501 წ., რომლის დროსაც ნორვეგიელმა გლეხებმა კნუტ ალფსენის მეთაურობით სასტიკი დამარცხება აწვნიეს დანიის ჯარებს. მაგრამ საბოლოოდ დანიელებმა ეშმაკობით, ცბიერებით და ძალით მოახერხეს ნორვეგიელთა დამორჩილება და ტეროორის გზით ნორვეგიაში დანიის ბატონობის განმტკიცება.

ამგვარად, მიუხედავად თავისი სოციალური წყობილების ყველა თავისებურებებისა, ნორვეგიამ ვერ დააღწია თავი ფეოდალურ ექსპლოატაციას, რომელიც დამახასიათებელია მთელი შუასაუკუნოებრივი ევროპისათვის. მაგრამ ნორვეგიაში ფეოდალურმა ექსპლოატაციამ მიიღო თავისებური ფორმა გლეხობის პოლიტიკური დამოკიდებულებისა, რომელმაც შეინარჩუნა თავისუფლება და საკუთრება, ვინაიდან დანიის ფეოდალური არისტოკრატია ექსპლოატაციას უწევდა ნორვეგიას გადასახადების და სამხედრო ბეგარების საშუალებით.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 328—340). — Энгельс, Гражданская война в Швейцарии, Соч., т. V. — Энгельс, Ответ г. Паулю Эрнсту, Соч., т. XVI, ч. 2.

II. გამოკვლევანი. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, т. III, 1897, стр. 745—765. — Шаскольский. Борьба шведских крестоносцев против Финляндии (XII—XIV века), „Исторический журнал" № 4—5, 1940. — Шаскольский, Борьба Новгорода со Швецией перед Невской битвой, „Военно-исторический журнал" № 7, 1940. — Тихомиров, Сражение на Неве, „Военно-исторический журнал" № 7, 1940.

თ ა ვ ი XXVIII

ჩეხია XI—XV საუკუნეებში

ჩეხია და გერმანია. ჩეხია შედიოდა რომის საღვთო იმპერიის შემადგენლობაში. იქაური თავადების პშემისლოვიჩების საგვარეულოში XI—XII საუკუნეების განმავლობაში წარმოებდა განუწყვეტელი შინაომები და ბრძოლა ტახტისათვის, რაც საბაბს აძლევდა გერმანიას ჩეხიის საქმეებში ჩარეულიყო. ამგვარად სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ჩეხიის დამოკიდებულება იმპერიისაგან. გერმანიის გავლენის ზრდა ჩეხიაში დაკავშირებული იყო ფეოდალიზმის და არისტოკრატიის სოციალური ხვედრითი წონის გაძლიერებასთან. გლეხობის დამორჩილების ცდაში ჩეხიის არისტოკრატიას მხარს უჭერდნენ გერმანელი ფეოდალები. სწორედ ასევე ჩეხიის მთავრებიც, ძალაუფლებისათვის ბრძოლის დროს, მიმართავდნენ ხოლმე თავიანთი უფლებების დამტკიცებისათვის იმპერატორს. მაგრამ გერმანიის მეფეებიც თავისი პოლიტიკის გატარების დროს, განსაკუთრებით იტალიაში ლაშქრობებისათვის, საჭიროებდნენ ჩეხიის მთავრების დახმარებას და მიდიოდნენ მათ მიმართ ზოგიერთ დათმობებზე. 1086 წ. მთავარმა ვრატისლავმა მიიღო იმპერატორ ჰენრიხ IV მეფის ტიტული. მართალია, ამ ტიტულს ჰქონდა ჯერ კიდევ პირადული ხასიათი, თავადს არა ჰქონდა უფლება გადაეცა იგი მემკვიდრეებისათვის, მაგრამ უკვე 1158 წ. თავადმა ვლადისლავმა მიიღო ფრიდრიხ ბარბაროსასაგან სამემკვიდრეო ტიტული, იმ დახმარების სამაგიეროდ, რომელიც მან აღმოუჩინა იმპერატორს იტალიაში ლაშქრობის ჟამს.

ჩეხიის სამეფო ტახტისათვის პრეტედენტებს შორის წარმოებულ ბრძოლაში ჩარევით, იმპერატორები ცდილობდნენ ჩეხიაში თავისი გავლენის განმტკიცებას. ისინი ცდილობდნენ ჩეხიაში დამოუკიდებელი ფეოდალური ოლქების შექმნას, რათა ხელი შეეშალათ მისი პოლიტიკური გაერთიანებისათვის.

ფრიდრიხ ბარბაროსამ უბოძა პრაგის ეპისკოპოსს თავადის უფლებები და მიანიჭა საიმპერიო სამთავროს (სამარკგრაფოს) ხარისხი ჩეხიის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილს — მორავიას. ჩეხიის შიგნით საიმპერიო სამთავროების შექმნა წარმოადგენდა იმპერატორთათვის ამ ქვეყნის დამორჩილების ერთ-ერთ საშუალებას.

ჩეხიის პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება. მაგრამ თვით გერმანიაში შექმნილი პირობები სულაც არ უწყობდნენ ხელს იმპერატორის ძალაუფლების განმტკიცებას ჩეხიაში. ფრიდრიხ ბარბაროსას სიკვდილის შემ-

დეგ დაწყებულმა ბრძოლამ ჰოჰენშტაუფენებსა და ველფებს შორის, გამოიყენა ჩეხიის მეფე პშემისლ I, რომელმაც მოიპოვა ორივე ურთიერთ მებრძოლი მხარისაგან სხვადასხვა პრივილეგიები. ჩეხია და მორავია ხელახლად გაერთიანდნენ ერთ მთლიან სამფლობელოდ. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ პრივილეგიას, ბოძებულს ჩეხიასათვის ფრიდრიხ II მიერ 1212 წ., რომლის საფუძველზედაც განისაზღვრა ურთიერთობა ჩეხიის სამეფოსა და იმპერიის შორის. მისი ძალით ჩეხია იქცა სავსებით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ჩეხიის მბრძანებელს დაუმტკიცდა მეფის ტიტული, სამეფო ხელისუფლება ცნობილ იქნა სამემკვიდრეოდ, ხოლო ტახტის მემკვიდრეთა არჩევნის შემთხვევაში, მეფეს ირჩევდა ს ე ი მ ი, ე. ი. ჩეხიის ფეოდალების ყრილობა, იმპერატორს კი შერჩა მისი დამტკიცების მხოლოდ ნომინალური უფლება. ჩეხიის ვასალური დამოკიდებულება იმპერიისაგან გამოიხატებოდა იმაში, რომ იმპერატორის რომზე გალაშქრების დროს ჩეხიის მეფე მოვალე იყო მიეცა მისთვის მაშველი რაზმი, შედგენილი 300 შეიარაღებული მხედრისაგან, ან და, ამის სანაცვლოდ, გადაეხადნა ფულადი კომპენსაცია 300 გრივნა ვერცხლის რაოდენობით. საიმპერიო ყრილობებში, რაიხსტაგებში, ჩეხიის მეფეები მოვალენი იყვნენ მიეღოთ მონაწილეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიხსტაგი იკრიბებოდა ჩეხიის საზღვრის მახლობელ ერთ-ერთ ქალაქში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩეხიის მეფეებს უფლება ჰქონდათ არც კი გამოცხადებულიყვნენ საიმპერიო ყრილობებზე. მოგვიანებით ჩეხიის მეფემ მიიღო მეტად მნიშვნელოვანი უფლება, ექვს დანარჩენ კურფიურსტთან ერთად იმპერატორის ამორჩევისა.

გერმანული კოლონიზაცია. მაგრამ, თუ ამ მხრივ და ამ გზით ჩეხიის მეფეებმა მიაღწიეს ჩეხიის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, სამაგიეროდ მეორენაირის გზით მათ დაუშვეს გერმანული გავლენის გავრცელება ჩეხიაში. ჩეხია გახდა გერმანული კოლონიზაციის ასპარეზი, ისევე როგორც ყველა დანარჩენი დასავლეთ სლავური ქვეყნები. მართალია, აქ გერმანულ კოლონიზაციას არ შეეძლო ჰქონოდა ისეთივე ხასიათი, როგორც მას ჰქონდა ბოდრიჩების ან ლუტიჩების მიწა-წყალზე, რომელთაც იმორჩილებდნენ და მუსრავდნენ გერმანელები. ჩეხიაში გერმანელებს საქმის დაპერა მოუხდათ ძლიერ სახელმწიფოსთან და ისინი აწარმოებდნენ მასში დასახლებას სხვაგვარი გზებით.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საეკლესიო და განსაკუთრებით სამონასტრო იმიგრაცია გერმანელებისა. ჩეხიამ მიიღო ქრისტიანობა გერმანელებისაგან და აქ დაარსებული მონასტრებიც მეტ ნაწილად იყო გერმანული. XII—XIII საუკუნეებში ამ მონასტერთა რიცხვი სწრაფად იზრდება. ამ მონასტრებში მონაზონებად ღებულობდნენ თითქმის მხოლოდ გერმანელებს. მონასტრები ღებულობდნენ დიდ დაუმუშავებელ უპატრონო მიწის ფართობებს და ეპატიჟებოდნენ მათზე გლეხებს — კოლონისტებს გერმანიიდან. ამგვარად, აღმოცენდნენ დიდი გერმანული სამონასტრო ბუდეები. მონასტრები ცდილობდნენ გაეყვანათ უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე ჩეხიაში გერმანელი ეპისკოპოსები და აბატები. ამის შედეგად ეკლესია ჩეხიაში შეიქნა გაგერმანე-

ლებული, უმაღლესი სამღვდელოება მეტ ნაწილად შედგებოდა გერმანელთაგან.

გერმანულ გავლენას ავრცელებდნენ აგრეთვე სასულიერო-რაინდული ორდენები ჰოსპიტალიერებისა და ტამპლიერებისა, რომელნიც ღებულობდნენ ჩეხიის მეფეთაგან მიწის დიდ ფართობებს. იწვევდნენ აგრეთვე სხვა გერმანელ რაინდებსაც, რომლებშიაც ჩეხიის მეფეები ცდილობდნენ ეპოვნათ დასაყრდენი ადგილობრივ დიდკაცობასთან ბრძოლის დროს. მათხოვრული ბერები ფრანცისკანულ და დომინიკანური ორდენებისა, რომელთაც აავსეს ჩეხია დაწყებული XIII საუკ., გამოდიოდენ აგრეთვე, მომეტებულად, იმავე გერმანელთა წრიდან.

ქალაქთა ზრდა ჩეხიაში დაიწყო რამოდენადმე უფრო გვიან, ვიდრე გერმანიაში, — XII საუკ. დამლევიდან. ჩეხიის მეფეები აარსებდნენ ქალაქებს, ცდილობდნენ მიეზიდათ მათში გერმანელი ხელოსნები და ვაჭრები, რომელნიც აარსებდნენ თავიანთ საამქროებს და გილდიებს. ამ ქალაქებს ეძლეოდათ ყოველგვარი პრივილეგიები და საგადასახადო ხასიათის შეღავათები. ქალაქებს მართავდნენ გერმანულ სამართლის საფუძველზე, რომელიც აგებული იყო მეტნაწილად ნიურენბერგის ან მაგდებურგის საქალაქო სამართალზე. ყველა ამას, ჩადიოდნენ იმიტომ, რომ ქალაქები წარმოადგენდნენ მეფისათვის შემოსავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროთაგანს. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას აფასებდნენ სამეფო ხაზინის გამდიდრების თვალსაზრისით. დროთა ვითარებაში ქალაქებში გაჩნდა ჩეხური ხელოსნური და ვაჭრული მოსახლეობა, მაგრამ პატრიციატი თითქმის მთლიანად შედგებოდა გერმანელთაგან.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ჩეხიის მადნები, განსაკუთრებით ვერცხლისა, წარმოადგენდნენ უმდიდრეს მადნებს იმპერიაში. მათ დასამუშავებლად იწვევდნენ გერმანელ მემალაროებს, უფრო გამოცდილთ ამ საქმეში. თავდაპირველად ესენი იყვნენ წვრილი მოხალისეები, რომელნიც ჰქმნიდნენ სამთომადნო მუშების კომპანიებს, ამასთანავე ერთად მეფე ღებულობდა ეგრეთწოდებულ რეგალიებს, ე. ი. ნიადაგიდან ამოღებულ ვერცხლის ნაწილს, და აგრეთვე სხვადასხვა ბაჟებს და გადასახადებს. ვერცხლის და სხვა ლითონების მოპოვების წყალობით ჩეხიის სამეფო გახდა უუმდიდრესი იმპერიაში. იმპერიის ვერც ერთი მთავარი ვერ შეედრებოდა სიმდიდრით ჩეხიის მეფეს.

თანდათანობით შეიცვალა სამთომადნო მაღაროების დამუშავების საქმე. მაღაროების დამუშავება სულ უფრო და უფრო ექცევა მსხვილ მეწარმეთა ხელში, ვინაიდან მათ შეეძლოთ დაებანდებინათ საქმეში მნიშვნელოვანი თანხები. მუშათა კადრებს მზარდი რაოდენობით იძლეოდა ადგილობრივი უმიწაწყლო ჩეხური მოსახლეობა, და ამავე დროს სამთომადნო მაღაროთა მეპატრონეებად იყვნენ გერმანელები.

ასე წარმოებდა გერმანელი ელემენტების ჩანერგვა ჩეხიაში. გერმანელები შეადგენდნენ უმთავრესად უმაღლეს კლასს. ესენი იყვნენ მსხვილი მიწათმფლობელები, სასულიერო დიდკაცები, ქალაქების პატრიციატი და სამთომადნო მაღაროების პატრონები.

ჩეხიის საზოგადოების ფეოდალიზაციას შედეგად ჰქონდა ფეოდალური ზნეჩვეულებების განვითარება. დასავლეთ ევროპაში განვითარებულმა რაინდულმა კულტურამ XII—XIII საუკუნეებში დაიწყო გავრცელება ჩეხიაში, უმთავრესად გერმანიიდან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, გერმანიის გზით, და მას შედეგად მოჰყვა მეფის კარისკაცებისა და ჩეხიის საზოგადოების უმაღლესი ფენების განსაზღვრული გერმანიზაცია. ჩეხიის არისტოკრატია იწყებს გერმანელებისათვის მიბაძვას ჩაცმა-დახურვაში, ადათ-ჩვეულებებში, ენაშიც კი. მან დაიწყო თავისი გვარების გადაკეთება გერმანულ ყაიდაზე, არისტოკრატები ითვისებდნენ დასავლეთული რაინდების ადათებს, აწყობდნენ რაინდულ ტურნირებს და სხვ. მეფე ვაცლავ I, ძე პშემისლ I, ლაპარაკობდა მხოლოდ გერმანულად და ამ ენაზე სიმღერეებსაც კი თხზავდა მინეზინგერების სტილით.

გლეხობა და ფეოდალები. ფეოდალიზაციის პროცესი ჩეხიაში დასრულდა ძირითადად XII საუკ. უმთავრესი მასა გლეხობისა ამ დროისათვის შეიქნა დაყმევებული. მართალია, არსებობდა ჯერ კიდევ განსაზღვრული ფენა თავისუფალი მესაკუთრე-გლეხებისა, მაგრამ იგი იმყოფებოდა თანდათანობითი მოსპობის პროცესში. გლეხობის ძირითად მასას შეადგენდნენ ნახევრადყმები, ლათინურად წოდებულნი ვ ი ლ ა ნ ე ბ ა დ, ხოლო ჩეხურად ს ე დ ლ ი ა კ ე ბ ა დ. ისინი აძლევდნენ ფეოდალებს გამოსაღებს, ინხდიდნენ საბატონო ბეგარას და სახელმწიფო ვალდებულებებს, მაგრამ მათ შერჩათ თავისუფალი მდგომარეობის ზოგიერთი განსაზღვრული ნაშთები ადგილიდან გადასვლის უფლების სახით; მაგრამ ეს ადგილიდან გადასვლის უფლებაც სულ უფრო და უფრო იზღუდებოდა. სედლიაკს რომ გადასახადების უფლება ჰქონოდა, მას არა მარტო უნდა დაებრუნებინა მებატონისათვის თავისი მიწა, არამედ აგრეთვე ბაჟი უნდა მიეცა წასვლაში. ასე წარმოებდა გლეხობის მთელი მასის თანდათანობითი დაყმევება.

XI—XII საუკუნეებში ჩეხიაში მრავლად იყვნენ მონები — ოტროკები. მათ უმრავლესობას სხავდნენ მიწაზე და XIII საუკუნიდან ისინი შეერწყვნენ ერთ მთლიან კლასად დაყმევებულ სედლიაკებს. უფრო უკეთესი იყო მდგომარეობა გერმანელი კოლონისტი-გლეხებისა, რომელთა ვალდებულებანი ზუსტად იყო განსაზღვრული.

ფეოდალური კლასი — შ ლ ი ა ხ ტ ა (nobiles) — იყოფოდა ორ ჯგუფად: ფეოდალური საზოგადოების ზედაფენს შეადგენდნენ ეგრეთწოდებული პ ა ნ ე ბ ი (domini). მათ მოსდევდათ საშუალო შეძლებისა და წვრილი რაინდობა, რომელთაც უწოდებდნენ ვ ლ ა დ ი კ ე ბ ს. იმ დროს, როდესაც პანები განიცდიდნენ გერმანიიდან მომავალი ფეოდალური ადათ-ჩვეულებისა და ფეოდალური კულტურის ძლიერ გავლენას, წვრილი რაინდობა ნაკლებად განიცდიდა ამ გავლენას და ინარჩუნებდა ეროვნულ ხასიათს.

ჩეხიის გაძლიერება. პშემისლ II. XIII საუკუნეში ჩეხიას სამეფომ დიდი როლის თამაში დაიწყო რომის საღვთო იმპერიაში. ეს განსაკუთრებით ითქმის ფეოდალური ანარქიის პერიოდზე, რომელიც გაბატონდა გერმანიაში ჰოჰენშტაუფენების დაცემის შემდეგ, როდესაც ეგრეთწოდებული „უმეფობის“ ხა-

ნაში (1254—1273 წწ.) საიმპერატორო ძალაუფლება ნომინალური გახდა და ყოველი მთავართაგანი ცდილობდა საკუთარი დამოუკიდებლობის გაზრდას. ამ პერიოდში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ ჩეხიის მეფეები, იმპერიის ყველა მთავართა შორის უუმდიდრესნი და უუძლიერესნი. განსაკუთრებით ნათელი შეიქნა ჩეხიის მეფეების ეს გაძლიერება პშემისლ II მეფობაში (1253—1278 წწ.), რომელსაც გერმანელებმა დაარქვეს ოტოკარ II. ყიდვის, ქორწინების, მოსყიდვების და დაპყრობების საშუალებით პშემისლ II შეიძინა მთელი რიგი მსხვილი სამფლობელოებისა: საჰერცოგო ავსტრია, შტირია, კარინტია და კრაინა. ამგვარად, პშემისლის სამფლობელოები აღწევდა ადრიატიკულ ზღვამდის. პშემისლ II წამოაყენა თავისი კანდიდატურა საიმპერატორო ტახტზე, მაგრამ გერმანელ მთავრებს არაფრად ეჭაშნიკებოდათ იმპერატორად ასეთი ძლიერი მეუფის ყოლა და ამოირჩიეს რუდოლფ ჰაბსბურგი.

პშემისლმა ვერ შეძლო თავისი ტერიტორიალური შენაძენების შენარჩუნება. ჩეხიაში წარმოებდა განუწყვეტელი ბრძოლა მეფესა და ადგილობრივი დიდკაცობას შორის. თუმცა უკანასკნელმა შეითვისა გერმანული ადათ-ჩვეულებები, მაგრამ იგი მაინც უაღრესად მტრულად იყო განწყობილი იმ გერმანელების მიმართ, რომელთაც მეფე ეპატიჟებოდა გერმანიიდან და რომელთაც იგი ურიგებდა მიწებს და ყმა-გლეხებს. ამ ნიადაგზე ჩეხელ პანებსა და მეფეს შორის წარმოებდა განუწყვეტელი გაუგებრობანი და შეტაკებანი. ეს შუღლი პანებსა და მეფეს შორის ოსტატურად გამოიყენა რუდოლფ ჰაბსბურგმა, რომელმაც 1276 წ. დაუწყო პშემისლს ომი, დამთავრებული უკანასკნელის სრული დამარცხებით. პშემისლი იძულებული შეიქნა უარი ეთქვა ავსტრიაზე, შტირიაზე, კარინტიაზე და კრაინაზე, რომელნიც ამიერიდან იქცნენ ჰაბსბურგთა სამემკვიდრეო სამფლობელოებად (იხ. თავი XXIV). პშემისლ II ძემ ვაცლავ II გააერთიანა თავის ხელში სამეფო ძალაუფლება ჩეხიისა და პოლონეთისა, ხოლო მისი ძე ვაცლავ III შეიქმნა უნგრეთის მეფედ. ამგვარად ეს საშივე სამეფო დროებით გაერთიანდა პშევმისლოვიჩთა დინასტიის ძალაუფლების ქვეშ.

ლუქსემბურგთა დინასტია. 1306 წ. მოისპო პშემისლოვიჩების დინასტია, და დაიწყო ბრძოლა ჩეხიის სამეფო ტახტისათვის რამოდენიმე გერმანული დინასტიის შორის. საბოლოოდ ჩეხიის სამეფო გვირგვინი ნაწილობრივ პანების, ნაწილობრივ ქალაქების გერმანულ პატრიციატის მხარის დაჭერის წყალობით წილად ხვდა 1310 წ. გერმანიის იმპერატორის ჰენრიხ VII შვილს იოანე ლუქსემბურგელს. ჩეხიის ახალი მეფე იძულებული იყო ებოძებინა ფეოდალთათვის — პანებისათვის და სამღვდელოებისათვის — მთელი რიგი პრივილეგიებისა. მან აღუთქვა აღარ მოეწვია ჩეხიაში უცხოელები, აღარ მიეცა მათთვის თანამდებობები და მიწები, აღარ მოეთხოვნა აზნაურთაგან არავითარი სამსახური სამეფოს ფარგლებს გარეთ და არც არავითარი მონაწილეობა სამხედრო ლაშქრობებში თვითონ თავად-აზნაურობის თანხმობის გარეშე. ამ დროიდან ჩეხიაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იხვეჭს წოდებათა წარმომადგენლობა. სეიმი, ანუ ჩეხურად ს ნ ე მ ი, რომელიც წინათ ეშვიათად იკრიბებოდა, ახლა იწყებს შეკრებას რეგულარულად და სწყვეტს ახალი გადასახადების დაწესებისა და ამა თუ იმ საკანონმდებლო ღონისძიებების საკით-

ებს. მაგრამ ეს სეიმი არ წააგავდა იმ წოდებათა წარმომადგენლობას, რომელიც არსებობდა ინგლისში და საფრანგეთში. მართალია, ქალაქებმა დიდი ნაბიჯი წარსდგეს წინ XII—XIII საუკუნეებში, მაგრამ მათი პოლიტიკური გავლენა დარჩა უმნიშვნელო და მათ წარმომადგენლობას არ ჰქონდა მუდმივი ხასიათი. სეიმებზე ჩვეულებრივ ცხადდებოდნენ მხოლოდ სასულიერო და საერო ფეოდალები, დიდგვარიანნი—პირადად, წვრილნი კი—თავიანთი წარმომადგენელთა სახით, და მხოლოდ ზოგჯერ მათში მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქების წარმომადგენლები, ეს იმ შემთხვევაში, თუ საკითხი შეეხებოდა უშუალოდ მათ. ჩვეულებრივ მეფეს ერჩია მოლაპარაკებოდა ყოველ წრდებას ცალ-ცალკე.

ლუქსემბურგთა ასვლა ჩეხიის სამეფო ტახტზე მოასწავებდა მსხვილი ფეოდალებისა და სამღვდელოების გაძლიერებას. იოანე ლუქსემბურგელმა მიანდო ჩეხიის მართვაგამგებლობა თავის ნაცვალთ, რომელთაც უნდა ეხადნათ მისთვის გამოსასყიდი, მეფე აგირავებდა სამეფო მიწებს, აწარმოებდა ფულის ნიშნის გაფუჭებას. მაგრამ ეს „ბოში“, როგორც მას უწოდებს მარქსი, უყურებდა ჩეხიას როგორც მისი დიდი პოლიტიკისათვის აუცილებელი სახსრების წყაროს. მან ხელში ჩაიგდო მთელი რიგი ტერიტორიებისა, როგორც „იმპერიის ვიკარიუსმა“. მან გადალახა ალპები, დაიპყრო რამოდენიმე ქალაქი ჩრდილო იტალიაში. მაგრამ იმ ძარცვა-გლეჯას, რომელსაც იგი აწარმოებდა ამ ქალაქებში, შედეგად მოჰყვა ის, რომ იგი მალე გააგდეს იტალიიდან.

ეს ავანტიურისტული პოლიტიკა სრულიადაც არ შეესაბამებოდა ჩეხიის ინტერესებს, ჩეხია მხოლოდ ზიანდებოდა ფინანსიური დაძაბულობისაგან, რომელიც გამოწვეული იყო მეფის არაფრის მაქნისი წამოწყებებით, დაგირავებულ სამეფო მამულებს დაეუფლნენ პანები.

კარლოს IV. უუდიდეს გავლენას იმპერიაში ჩეხიამ მიაღწია იოანე ლუქსემბურგელის შვილის კარლოსის მეფობაში. 1346 წ. კარლოსი არჩეულ იქნა გერმანიის იმპერატორად. როგორც იმპერატორი იგი ცნობილია კარლოს IV სახელით. მის დროს ჩეხია გადაიქცა იმპერიის ცენტრად.

მარქსი აძლევს კარლოს IV პიროვნებას შეტად მკაცრ დახასიათებას თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“: „...ბაიძვერა... ფლიდი, ვერაგი, დიპლომატი და არამზადა... მშიშარა, გერმანელ მღვდელებსავით პედანტი, ოზუიტი; ფიქრობს მხოლოდ იმაზე, რომ რამენაირად გაისქელოს ჯიბე და გააფართოვოს იმპერიის ხარჯზე თავისი სამემკვიდრო სამფლობელოები და საგვარეულო მამულები“.[1] მთელი მისი პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩეხია, საკუთარი სამემკვიდრეო ქონება, ექცია იმპერიის უუძლიერეს სამთავროდ და გაეფართოვებინა საკუთარი სამფლობელოები ახალი შენაძენებით. სეიმის შიერ გაცემული ფულით იგი აწარმოებდა თავისი მამა იოანეს მიერ დაგირავებულ სამეფო მამულების გამოსყიდვას. შესყიდვით მან შეიძინა მთელი რიგი ახალი მიწებისა, რომელნიც გაფანტული იყვნენ მთელ იმპერიაში. ეს ახალი მიწის სამფლობელოები შეძენილ იქნენ ჩეხიის ფულით, მაგრამ არა ჩეხიისათვის, არამედ ლუქსემბურგთა გვარეულობისათვის. მან იყიდა ისეთი მსხვილი

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. VI, გვ. 76.

სამფლობელო, როგორც იყო ბრანდენბურგის სამარკგრაფო, იმპერიის ერთ-ერთი საკურფიურსტოთაგანი, მასში მისცა 500 ათასი ოქროს გულდენი, რომელიც მოიპოვა ჩეხიის მოსახლეობისაგან გამოქაჩვით.

თავისი სამფლობელოების საზღვრების გაფართოებასთან ერთად კარლოს IV ცდილობდა ამავე დროს სამეფო ძალაუფლების გაძლიერებას ჩეხიაში. ამ მიზნით 1355 წ. მან მოიწვია გენერალური სეიმი ჩეხიის ყველა ოლქების წარმომადგენლებისაგან. ამ სეიმზე ჩეხიის სამეფო ტახტი აღიარებულ იქნა სამემკვიდრეოდ ლუქსემბურგთა საგვარეულოში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოისპობოდა დინასტია, ჩეხიასა და მასთან შეერთებული ოლქების წარმომადგენლებს უფლება ეძლეოდათ თავისთვის მეფის არჩევისა. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხიის იმპერიასთან ურთიერთობის ფიქსაციას, მოხდენილს კარლოსის მიერ „ოქროს ბულაში" 1356 წ. (იხ. თავი XXIV). მის საფუძველზე ჩეხია ჩაყენებულ იქნა განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაში. ჩეხიის მეფემ დაიჭირა პირველი ადგილი იმპერიის საერო კურფიურისტებს შორის.

ადგილობრივ ფეოდალებთან ბრძოლის დროს კარლოს IV ცდილობდა გერმანელ კოლონისტებზე დაყრდნობას. იგი ურიგებდა მათ უპატრონო მიწებს, პატიჟობდა მათ სამთო მაღაროების დასამუშავებლად, ამავე დროს იგი ხელს უწყობდა ქალაქების ზრდას; მის დროს პრაგა შეიქმნა ევროპულ ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს პუნქტად. კარლოსს სურდა ექცია პრაგა იმპერიის საატახტო ქალაქად და ბევრს ზრუნავდა მის გამშვენიერებაზე და გამაგრებაზე. 1348 წ. დაარსებულ იქნა პრაგის უნივერსიტეტი. ეს იყო პირველი უნივერსიტეტი იმპერიაში. იგი მალე იქცა ევროპაში ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს გონებრივ ცენტრად. პრაგის უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები ორგანიზებული იყვნენ ოთხ „ეროვნებად" („ნაციად"): ჩეხების, საქსონების, ბავარების და პოლონების. ამგვარად აქ დასაბამიდანვე გამოაშკარავდა გერმანელთა ძალოვნობა, რომელთა ხელშიც იმყოფებოდა სამი „ეროვნება", ვინაიდან პოლონურ „ეროვნებაშიაც" ისინი შეადგენდნენ უმრავლესობას.

კარლოს IV შემდეგ ჩეხიის სამეფო ტახტზე ავიდა ვაცლავ IV (1378—1419 წწ.).

სოციალური და ეროვნული ბრძოლა. XV საუკუნისათვის ჩეხიაში მომწიფდა დიდი სოციალური ცვლილებები, რომელთაც იმავე დროს შედეგად ჰქონდათ ეროვნული ბრძოლის გამწვავება. იზრდება ჩეხიის ბიურგერობა, უკვე იყო ნათქვამი, რომ ქალაქების პატრიციატი შედგებოდა მეტ ნაწილად გერმანელებისაგან, მაგრამ XIV საუკ. განმავლობაში ქალაქებში წარმოიშვა მნიშვნელოვანი ფენა ჩეხური შეძლებული მოსახლეობისა. ვაჭრობა-მრეწველობით გამდიდრებული ჩეხელი ბიურგერები ისწრაფოდნენ პოლიტიკური გავლენის მოპოვებისადმი, მაგრამ მათ ამაში წინ ეღობებოდა გერმანული პატრიცული გვარების წინააღმდეგობა. თავის ბრძოლაში პატრიციატის წინააღმდეგ ისინი იყენებდნენ ქალაქის მშრომელი მასების უკმაყოფილებას. უკმაყოფილების ფართო ასპარეზს წარმოადგენდა ხელოსნობა, რომელიც ახალ ნიადაგზე ეწყობოდა. საამქროებში ხდებოდა მუშათა მასების, ქარგლების ცალკე ფენად

გამოყოფა, წვრილი ოსტატების გაღატაკება და ექსპლოატაცია. ფეოდალურ-საამქრო ხელოსნობის დაშლას და ჩეხური ვაჭრობა მრეწველობას ზრდას შედეგად მოჰყვა არა მარტო სოციალური ბრძოლის გამწვავება, არამედ აგრეთვე ეროვნულისაც, ვინაიდან ქარგლები, წვრილი ოსტატები, მაღაროს მუშები იყვნენ მეტ ნაწილად ჩეხები, ხოლო ქალაქებში და სამთომადნო მაღაროებში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ გერმანელებს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ დროისათვის ჩეხიაში შეიქნა მნიშვნელოვანი ფენა გაღატაკებული წვრილი რაინდებისა, რომელნიც გამოუვალად გაბმულნი იყვნენ ქალაქის მევახშეების ქსელში. ისინი ებრძოდნენ მსხვილ ფეოდალებს თავის ეკონომიური და პოლიტიკური არსებობისათვის. ეს წვრილი ჩეხელი რაინდობა აგრეთვე იქცევა ეროვნული ოპოზიციის მატარებლად გერმანული სამონასტრო მიწათმფლობელობის, გერმანელი და გაგერმანელებულ დიდკაცობის მიწათმფლობელობის ბატონობის წინააღმდეგ.

გერმანული ეკლესიის ვეებერთელა სამფლობელოები თავად-აზნაურობაში ბადებს სურვილს საეკლესიო მიწების სეკულარიზაციისას და მათი გადახაწილებისას. ჩეხელი ფეოდალების ზედა ფენაშიაც კი საეკლესიო მიწები ბადებდენ ასეთ სურვილს. განსაკუთრებით კი შესამჩნევია წვრილი აზნაურობისათვის, რომელიც იმდენად ღარიბი იყო, რომ იძულებული იყო ემსახურა დაქირავებულ მეომრებად უცხო ქვეყნებში. წვრილი რაინდობისაგან გამოსულ ჩეხელ დაქირავებულ მეომრებს ჩვენ ვხვდებით ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

გლეხთა მოძრაობა. მაგრამ მომწიფებული რევოლუციური მოძრაობის მთავარ სოციალურ ძალას წარმოადგენდა გლეხობა, რომელიც ისწრაფოდა ფეოდალიზმის და ბატონყმური ექსპლოატაციის მოსპობისადმი. ჩეხიელ გლეხობაში ფართო გავრცელებას პოულობენ სექტანტების მოძღვრებანი, რომელნიც მოითხოვდნენ არა მარტო საერთო საეკლესიო რეფორმას, არამედ სოციალური სამართლიანობის დამყარებასაც. ექსპლოატაციაქმნილი გლეხობის ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ არის ძირითადი შინაარსი იმ დიადი სოციალური მოძრაობისა, რომელმაც მოიცვა იმ დროს ჩეხია და შემდეგ გავრცელდა სხვა ქვეყნებშიაც.

გლეხობაშიაც იზრდებოდა ანტიგერმანული განწყობილება. გლეხური მოსახლეობა მომეტებულად ჩეხური იყო. მართალია, იყვნენ გერმანელი კოლონისტებიც, მაგრამ ეს გერმანელი გლეხები უკვე მნიშვნელოვნად შერწყმულნი იყვნენ ამ დროისათვის ჩეხებთან და მათთან ერთად შეადგენდნენ ყმა-გლეხობის, ან ნახევრად ყმა-გლეხობის, ან და მემამულის მიწაზე მჯდომარე უმიწაწყლო მოიჯარეთა მასას. გლეხობა სთვლიდა თავის მტრად მსხვილ მიწათმფლობელს, გაგერმანებულ ჩეხს ან გერმანელს, რომელსაც ეჭირა საუკეთესო მიწები.

ამგვარად, სოციალურ ბრძოლას ჩეხიაში ძალაუნებურად უნდა მიეღო ეროვნული ხასიათი, ამასთანავე რელიგიური მოტივებით გართულებული, ვინაიდან კათოლიკური ეკლესია, მეტწილად გერმანელთა ხელში მყოფი, მტრად ეჩვენებოდათ ჩეხიელ თავად-აზნაურობას, ბიურგერობას, ხელოსნებს და გლეხებს.

მიზეზთა ამ რთული კომპლექსის და პირველ ყოვლისა ფეოდალური ექსპლოატაციის საწინააღმდეგოდ გლეხობის პროტესტის შედეგად, წარმოიშვა მძლავრი სოციალური მოძრაობა, რომელმაც მიიღო ეროვნულ-რელიგიური ელფერი და ისტორიაში შევიდა ჰუსიტური მოძრაობის სახელწოდებით; ეს სახელწოდება მან მიიღო თავისი ერთ-ერთი პირველი ბელადთაგანის, დიადი ჩეხი პატრიოტის, ჩეხიის ეროვნული გმირის იან ჰუსისაგან.

იან ჰუსი. იან ჰუსი (1369—1415 წწ.) იყო პრაგის უნივერსიტეტის პროფესორი, თავისი მოღვაწეობის დაწყებისას იგი ასახავდა ჩეხიელ ბიურგერთა, ქალაქების საშუალო ჩეხური ფენების ინტერესებს. იგი იმყოფებოდა XIV საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ბურჟუაზიული რეფორმატორის ვიკლეფის ძლიერი გავლენის ქვეშ, რომლის აზრებსაც იგი ქადაგებდა თავის ლექციებში. ვიკლეფი ილაშქრებდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, მის მსხვილ მიწათმფლობელობის, კათოლიკური წესების ზედმეტი საზეიმო ხასიათის წინააღმდეგ, იგი მოითხოვდა სიმარტივეს და ეკლესიის ხალხის მასებისათვის მისაწვდომად გახდომას, მოითხოვდა ქადაგებას და სამღვთო წერილის გავრცელებას ეროვნულ მშობლიურ ენაზე. ვიკლეფის მოძღვრების ყველა ამ მხარეებმა ჰპოვეს კარგი ნიადაგი ჩეხიაში. პრაგის უნივერსიტეტი იმყოფებოდა გამუდმებულ ურთიერთობაში ოქსფორდის უნივერსიტეტთან, რომელშიაც ასწავლიდა ვიკლეფი: პრაგის უნივერსიტეტის ბევრი მასწავლებელი მიდიოდა ცოდნის გასაღრმავებლად პარიზში და ოქსფორდში. ოქსფორდში სწავლობდა ჰუსის მეგობარი იერონიმ პრაგელი.

ჰუსის ქადაგებანი, წარმოთქმულნი ჩეხურ ენაზე, იზიდავდნენ ქალაქის მოსახლეობის უშველებელ მასებს. იგი ილაშქრებდა სამღვდელოების ბატონობის წინააღმდეგ, მისი სიხარბისა და საეკლესიო გადასახადების წინააღმდეგ. ჰუსს სურდა განეხორციელებინა ეკლესიაში „სახარებისებური სიღარიბის“ იდეალი. ვიკლეფისავით, ჰუსიც მოითხოვდა საეკლესიო მიწების სეკულარიზაციას და ილაშქრებდა პაპის ძალაუფლების წინააღმდეგ, სცნობდა ავტორიტეტად მხოლოდ „სამღვთო წერილს“. იგი მკვეთრად ჰგმობდა ინდულგენციებით ვაჭრობას. მის ირგვლივ იწყეს გაერთიანება ჩეხიის ხალხის სხვადასხვა ფენებმა. მას თანაუგრძნობდნენ ზოგიერთი პანებიც კი, რომელნიც მიიზიდა საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის პერსპექტივმა.

პაპმა განკვეთა ჰუსი ეკლესიისაგან, მაგრამ ამან ვერ შეაფერხა მისი მოღვაწეობა. მიუხედავად საეკლესიო დევნისა, იგი ამ დროს აწარმოებდა ბიბლიის თარგმანს ჩეხურ ენაზე, ჰქმნიდა ჩეხურ სალიტერატურო ენას. ჰუსს ჰქონდა ვრცელი მიწერ-მოწერა, იგი ავრცელებდა თავის აზრებს. სამხრეთ ჩეხიაში, სადაც იგი იძულებული იყო შეეფარებინა თავი, იგი სარგებლობდა ძალიან დიდი გავლენით გლეხობაში, ქალაქის ღარიბ-ღატაკთა და შემაღაროე მუშებს შორის. ასახავდა რა ფართო მასების განწყობილებას, მისი მოძღვრება ღებულობდა სულ უფრო და უფრო რადიკალურ ხასიათს. იგი უწოდებდა პაპს ანტიქრისტეს, ხოლო მოძღვრებას პაპების უცოდველობის შესახებ — ღვთის გმობას.

1414 წ. შეიყარა ცნობილი კონსტანცის საეკლესიო კრება, მის მიზანს შეადგენდა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლება, რომელიც შერ-

ყეული იყო ეგრეთწოდებული „დიდი გათიშვით“, როდესაც ეკლესიას სათავეში მოექცნენ თავდაპირველად ორი, ხოლო შემდეგ სამი პაპი (იხ. თავი XXV).

საეკლესიო კრებაზე გამოიხმეს იან ჰუსი. იმპერატორმა სიგიზმუნდმა უზრუნველჰყო მისი პიროვნების ხელშეუხებლობა და უბოძა მას შესაფერისი დაცვის სიგელი. ჰუსი დარწმუნებული იყო იმაში, რომ თუ მას მისცემდნენ საშუალებას თავისი აზრების განვითარებისას, იგი შეძლებდა მათ დაცვას საეკლესიო კრების წინაშე. მაგრამ მას არც კი მოუსმენეს. იგი ჩააგდეს საპყრობილეში და შემდეგ მიუსაჯეს კოცონზე დაწვა. სიგიზმუნდმა „ამ საბრალო პარაზიტმა, ზარმაცმა, მათხოვარმა, მოქეიფემ, ლოთმა, ლაჩარმა და მასხარამ“,[1] არაფერი მოიმოქმედა ჰუსის გამოსასარჩლებლად. 1415 წ. ივლისის 6 ჰუსი დაწვეს. ერთი წლის შემდეგ ასეთივე გზით დაიღუპა ჰუსის მეგობარი და მოწაფე იერონიმე პრაგელი. კონსტანცის საეკლესიო კრებამ მიიღო საგანგებო ზომები ჩეხიაში ჰუსიტური „მწვალებლობის“ აღმოსაფხვრელად.

ჰუსიტები. ჰუსის სიკვდილი ეროვნული სოციალური მოძრაობის დასაწყისის ბიძგად გახდა ჩეხიაში. მან გამოიწვია პროტესტთა ტალღა. ჩეხიის პანების ყრილობამ შეკრა კავშირი ჰუსიტობის დასაცავად, გაუგზავნა კონსტანცის საეკლესიო კრებას პროტესტი ჰუსის სიკვდილით დასჯის გამო, და გამოაცხადა უზენაეს მსაჯულად რელიგიურ საკითხებში პრაგის უნივერსიტეტი. ჰუსიტების დამპირისპირებლად ჩეხიაში შეიქნა კათოლიკე ბარონების კავშირი (როგორც გერმანელებისა, ისევე ჩეხებისაც). მას მიემხრო მეფე ვაცლავიც, თავდაპირველად კარგად განწყობილი ჰუსიტების მიმართ.

პრაგაში დაიწყეს კათოლიკე-მდევლების გარეკვა და მათი შეცვლა ჰუსიტებით, ახალი საეკლესიო წესების შემოღება, როგორიც იყო მაგალითად ზიარება ბარძიმით, სასტიკად აკრძალული კონსტანცის საეკლესიო კრების მიერ. კათოლიკური მოძღვრებით ბარძიმით ზიარება შეეძლო მხოლოდ სამღვდელოებას, განსაკუთრებული „მადლით“ დაჯილდოვებულს; ერის კაცები კი უნდა ზიარებულიყვნენ მხოლოდ პურით. რადგანაც ეს სიმბოლიურად გამოხატავდა სამღვდელოების განსაკუთრებულ უფლებრივ მდგომარეობას, ამიტომ ბევრი „მწვალებლური“ სწავლება ილაშქრებდა ზიარების ამგვარი წესის წინააღმდეგ და მოითხოვდა ზიარებას ერისკაცთათვისაც ორივე სახით, ე. ი. პურითა და ღვინით.

მეგბარძიმეები და ტაბორიტები. პრაგა იქცა ზომიერ ჰუსიტობის ცენტრად, რომელიც დაინტერესებული იყო უმთავრესად საეკლესიო სამფლობელოების და ქონების სეკულარიზაციაში და ეროვნულ-საეკლესიო რეფორმაში, და ეყრდნობოდა შეძლებულ მოქალაქეებს და თავად-აზნაურობას. ამ მიმართულების მომხრეებს უწოდებდნენ მ ე ბ ა რ ძ ი მ ე ე ბ ს ანუ პ ო დ ო ბ ი ე ბ ს, ვინაიდან ერთ-ერთ მოთხოვნილებად ისინი აყენებდნენ ორივე სახის ზიარებას ერისკაცთათვის (ლათინურად მათ უწოდებდნენ უტრაქვისტებს).

სამხრეთ ჩეხიაში დაიწყო მოძრაობა, რომელიც აყენებდა უმთავრესად სოციალურ მოთხოვნილებებს. მან მოიცვა სოფლისა და ქალაქის მშრომელი

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. VI, გვ. 218.

კლასები — გლეხობა, ხელოსნები, მაღაროს მუშები. ამ მიმართულების სექტანტებმა ხელი მიჰყვეს ჩაგრულ მასათა ორგანიზაციას. უკიდურეს ჰუსიტთა ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი ტაბორი, ამიტომაც ჰუსიტობის ამ ფრთამ მიიღო სახელწოდება ტ ა ბ ო რ ი ტ ე ბ ი ს ა. ტაბორიტები აყენებდნენ გაცილებით უფრო რადიკალურ მოთხოვნილებებს როგორც საეკლესიო გარდაქმნის, ისევე სოციალურ რეფორმების საკითხში. ისინი უარჰყოფდნენ წმინდანთა ნაწილებისა და ხატების თაყვანისცემას, „საიდუმლოებებს", წმინდანთა თაყვანისცემას. ამავე დროს ტაბორიტთა მქადაგებლები ამბობდნენ, რომ ცოდვას წარმოადგენდა ეკლესიის მიერ ბეგარისა და გამოსაღების მოთხოვნა. ტაბორში გარბოდნენ პანების გლეხები. ტაბორიტებს შეუერთდა აგრეთვე ზოგიერთი გაღატაკებული წვრილი რაინდი, გამოცდილი სამხედრო საქმეში, ვინაიდან ბევრი მათგანი მსახურობდა დაქირავებულ ჯარებში.

ტაბორში დაიწყო სახალხო მასების შეიარაღება გადამწყვეტ ბრძოლისათვის თავიანთი ინტერესების დასაცავად. ამან გამოიწვია შეშფოთება პანებში, რომელნიც თავდაპირველად თანაუგრძნობდნენ რეფორმას, რომელიც მათ საეკლესიო მიწების ხელში ჩაგდების იმედს აძლევდა, და მათ დაიწყეს გადასვლა გერმანელთა მხარეზე.

1419 წ. ზაფხულში საქმე მივიდა აშკარა რევოლუციურ გამოსვლებამდე. პრაგაში დაიწყო ხელოსანთა ამბოხება, რომელმაც მიიღო ხატების შემმუსვრელობის ხასიათი. დაიწყეს ეკლესიათა და მონასტერთა აკლება, კათოლიკური კულტის საგნების განადგურება. პრაგის ქალაქის საბჭო, მტრულად განწყობილი ჰუსიტური მოძრაობის მიმართ, ჩაიკეტა ქალაქის საბჭოს სასახლეში, რომელიც აღებულ იქნა ხალხის ტალღის მიერ; რატმანები გადმოყარეს ფანჯრებიდან. მოძრაობამ მალე მოიცვა ჩეხიის ქალაქების უმრავლესობა. ქალაქის საბჭოებს, რომელნიც მეტ ნაწილად შედგებოდნენ შეძლებულ კათოლიკე-გერმანელთაგან, რეკავდნენ და სცვლიდნენ ჰუსიტური შემადგენლობით. დაიწყო მონასტერთა დარბევა და ბერების გაძევება. კათოლიკე მღვდლებს ერეკებოდნენ სამრევლოებიდან და ხელი მიჰყვეს ღვთისმსახურების შემოღებას ეროვნულ ენაზე.

ამავე წელს მოკვდა მეფე ვაცლავი და ჩეხიის სამეფო ტახტი უნდა რგებოდა მის ძმას, იმპერატორ სიგიზმუნდს. მაგრამ ჩეხიის მოსახლეობის უმრავლესობამ უარი განაცხადა მეფედ ეცნო იგი, როგორც ჰუსის მტერი და მკვლელი. მისი ბრალი ეჭირათ კათოლიკურ გერმანულ ეკლესიას, ჩეხელ მსხვილ მიწათმფლობელთა ნაწილს, მეტ წილად გაგერმანელებულს, ჩეხიის ქალაქების პატრიციატს, აგრეთვე მომეტებულ ნაწილად გერმანულს, და მაღაროების მეპატრონეებს.

კათოლიკურ გერმანულ პარტიას უპირისპირდებოდა ჰუსიტური პარტია, რომლის ორივე ფრთაც, მზარდ რევოლუციური მოძრაობის პროცესში სულ უფრო და უფრო ითიშებოდა ერთი მეორისაგან. ესენი იყვნენ, ერთი მხრივ, მებარძიმეები, რომელნიც აერთიანებდნენ იმას, რასაც გერმანიაში გლეხთა ომთან შეფარდებით ენგელსი უწოდებდა „ბიურგერულ ოპოზიციას", ე. ი. ქალაქების საშუალო შეძლების მქონე ფენებს, საშუალო შეძლების ვაჭრებს,

შეძლებულ ხელოსნებს. მასვე ეხმარებოდა თავად-აზნაურობის ნაწილი და პრაგის უნივერსიტეტი. ეს წრეები აყენებდნენ ეროვნული ეკლესიის შექმნის მოთხოვნილებას, შეგუებულს ბურჟუაზიის რელიგიურ ცნებებთან; ისინი, ეხგელსის გამოთქმით, ცდილობდნენ იაფი ეკლესიის შექმნას; მათ ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნილებათაგანს წარმოადგენდა საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია.

ჰუსიტების მეორე რევოლუციური ფრთა, ტაბორიტებისა, შედგებოდა წვრილი ხელოსნებისაგან, ყმა გლეხებისაგან და წვრილ მოიჯარეებისაგან, რომელნიც განიცდიდნენ გერმანელ და ჩეხიელ მემამულეთაგან მკაცრ ექსპლოატაციას. ამ მოძრაობას მიემხრნენ ქალაქის ღარიბ-ღატაკნიც, მაღაროს მუშები და ბოლოს, წვრილი აზნაურთა ნაწილი. გლეხობის ფართო მონაწილეობისა და თავისი ანტიფეოდალური მოთხოვნილებების გამო ტაბორიტების მოძრაობა უნდა ჩაყენებულ იქნას ერთ მწკრივში დიდ გლეხთა ომებთან — ჟაკერიასთან და უოტ ტაილერის ამბოხებასთან.

მაგრამ ტაბორიტები წარმოადგენდნენ სხვადასხვა ჯერელ სოციალურ ჯგუფებს, და მათ შორის არ იყო ერთსულოვნობა. წვრილი აზნაურთა ინტერესები მიმართული იყო მსხვილი საეკლესიო სამფლობელოების დაპყრობისაკენ. გლეხები მოითხოვდნენ, პირველ ყოვლისა, ბატონყმობის და საბატონო ვალდებულებათა გაუქმებას. სოფლის ღარიბ-ღატაკთა, მაღაროს მუშებსა და ქალაქის ღარიბ-ღატაკთა შორის ფართოდ გავრცელდა მოთხოვნილება კერძო საკუთრების გაუქმებისა და ქონების საერთო საკუთრების შემოღებისა.

ტაბორიტების მემარჯვენე ფრთის ბელადი იყო სახელგანთქმული სარდალი იან ჟიჟკა, გრიუნვალდთან და აზენკურთან მომხდარი ბრძოლების მონაწილე. იგი სასტიკად სდევნიდა კომუნისტურ მიმდინარეობებს ტაბორიტებს შორის. 1421 წ., მისი ბრძანებით, დაწვეს კომუნისტური ფრთის ყველაზე ცნობილი ბელადი მარტინ გუსკა. ჟიჟკამ გაანადგურა სექსტა ადამიტებისა, უკიდურესი სექტანტებისა, რომელნიც უარყოფდნენ ყველა დოგმატებს, საეკლესიო „საიდუმლოებებს“ და წესებს და ქადაგებდნენ, რომ ადამიანი ერთი არსია ღმერთთან და რომ ყველა ადამიანური მისწრაფებანი ცოდვილნი კი არ არიან, როგორც ამას ქადაგებდა ეკლესია, არამედ თავისი ბუნებით არიან ღვთაებრივნი. ტაბორიტობაში ამ ყველაზე უფრო რევოლუციურად განწყობილი ელემენტების განადგურებით, მემარჯვენე ტაბორიტები ასუსტებდნენ მოძრაობას და ავიწროვებდნენ მის სოციალურ ბაზას.

ჰუსიტური ომები. 1420 წ. პაპმა მარტინ V გამოაცხადა ჯვაროსნული ლაშქრობა ჰუსიტების წინააღმდეგ. ამ ჯვაროსნულ ლაშქრობას მიემხრო უმთავრესად გერმანული რაინდობა, მაგრამ მის რიგებში დგებიან აგრეთვე სხვა ქვეყნებიდან მოსული რაინდები, დაწყებული ესპანეთით და გათავებული პოლონეთით. ასეთი მშვენივრად შეიარაღებული და მრავალრიცხოვანი ლაშქრობა უკვე დიდი ხანი აღარ ენახა ევროპას: იმპერატორ სიგიზმუნდის მეთაურობით აქეთკენ დაიძრა მრავალი საეკლესიო ფეოდალი, ყველა კურფიურსტი თავიანთი ჯარებით. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, მათ განიცადეს და-

მარცხება პრაგასთან. ამის შემდეგ სცადეს შერიგება, ამასთანავე მებარძიმეების მიერ წამოყენებულ იქნა პროგრამა, ეგრეთწოდებული „ოთხი პრაგული მუხლი“, რომელიც შეიცავდა შემდეგ მოთხოვნილებებს: ჯერ ერთი, ქადაგების თავისუფლება სახალხო ენაზე, მეორე — ზიარება ორივე სახით, მესამე— საეკლესიო ქონებათა სეკულარიზაცია, მეოთხე —კონტროლის დაწესება მორწმუნეთა ზნეობრივ ყოფა-ქცევაზე.

მაგრამ სიგიზმუნდმა უარჰყო შეთანხმება, და საომარი მოქმედება განახლდა. გერმანელები ხელახლა დამარცხდნენ, რის შემდეგაც მათი ცალკეული რაზმები დაიქსაქსნენ ჩეხიაში, ძარცვავდნენ და აოხრებდნენ ამ მხარეს. გერმანელები აწიოკებდნენ უმთავრესად უმწეო და დაუცავ ჩეხურ სოფლებს, ხოლო ბრძოლის ველზე კი ყოველთვის განიცდიდნენ მარცხს. ამის საპასუხოდ ჰუსიტები ანგრევდნენ კათოლიკურ ტაძრებს და მონასტრებს, იჭერდნენ მათ მიწებს და აგრეთვე მეფის და კათოლიკე ფეოდალთა მიწებსაც.

1420 წლიდან 1431 წლამდე პაპმა და იმპერატორმა მოაწყეს ზედი-ზედ ხუთი ლაშქრობა ჩეხების წინააღმდეგ, მაგრამ ყველამ მათ განიცადეს მარცხი ჰუსიტური ჯარების უპირატესობის წყალობით. ჩეხიაში შეიქმნა მძლავრი რევოლუციური ჯარები. ჩეხებმა დაიწყეს ომის ახალი მეთოდების გამოყენება. გამოცდილმა მეომარმა ჟიჟკამ მშვენივრად მოაწყო ქვეითი ჯარი, რომელიც მოძრაობდა ურმებით, და ნაცვლად მძიმე არტილერიისა, რომელსაც იყენებდნენ მხოლოდ ციხე-სიმაგრეების გარემოცვის დროს, შემოიღო მსუბუქი, ურმებით მოძრავი ზარბაზნები. მან შემოიღო აგრეთვე რაინდული ცხენოსანი ჯარისაგან აქტიური თავდაცვის განსაკუთრებული ხერხი ღობურების საშუალებით, რომელთაც აწყობდნენ საალალო ურმებისაგან. ურმებს ამაგრებდნენ ერთმანეთთან ჯაჭვებით, ხოლო მანძილი მათ შორის ივსებოდა ფიცრებით, და ამ სახით ისინი წარმოადგენდნენ სიმაგრეს, მიუდგომელს გერმანელი რაინდებისათვის. მათ დაცვაში დიდ მონაწილეობას ღებულობდნენ ქალებიც. ამ მარტივ ნაგებობებს ჰუსიტები აწყობდნენ სწრაფად და ყველგან. საერთოდ მოძრაობის უნარიანობა იყო ჰუსიტური ჯარის ერთ-ერთი დაუფასებელი ღირსებათაგანი. ზოგჯერ, როგორც მოგვითხრობენ თანამედროვენი, გერმანული ჯარები გარბოდნენ, ჰუსიტური ურმების ჭრიჭინის გაგონებისთანავე. ჟიჟკას ჯარში, რომელიც იკრიბებოდა საყოველთაო სამხედრო ვალდებულების საფუძველზე, ბატონობდა მკაცრი დისციპლინა და რელიგიური აღფრთოვანება. მან შემოიღო თავისი ჯარებისათვის განსაკუთრებული სამხედრო წესდება. თავის სიცოცხლის ბოლო წლებში ჟიჟკა დაბრმავდა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს სამხედრო მოქმედებათა ხელმძღვანელობაში. იგი გარდაიცვალა 1424 წ. მისი მონაცვლედ შეიქნა პროკოპი დიდი, ნიჭიერი სარდალი, რომლის ხელმძღვანელობით ჩეხები თავდაცვიდან გადავიდნენ შეტევაზე. თავიანთ თავდასხმებში ჰუსიტები არ კმაყოფილდებოდნენ ჩეხიის ფარგლებით და იჭრებოდნენ გერმანულ ოლქებში, აღწევდნენ ბალტიის ზღვამდისაც კი. ტაბორიტები, რომელნიც თამაშობდნენ მთავარ როლს მოძრაობაში, ყველგან ავრცელებდნენ თავიანთი მოძღვრების პროპაგანდას. გერმანიის ქალაქების და სოფლების ჩაგრულ ღარიბ-ღატაკთ შორის ფართოდ გავრცელდა ეს „ბოჰემური საწამლავი“, როგორც უწოდებდნენ გერმანელები ჰუსიტების მოძღვრებას. ქა-

ლაქების და სოფლების ღარიბ-ღატაკნი ითვისებდნენ ტაბორიტთა იდეებს, რომელთაც იჩინეს თავი შემდეგ თვით გერმანიის სოციალურ მოძრაობაში.

მებარძიმეთა ღალატი. მაგრამ უცხოელთა იარაღისაგან დაუძლეველი ჰუსიტური მოძრაობა სუსტდებოდა შიგნიდან ჰუსიტების ჭრელ სოციალური შემადგენლობის წყალობით. ჰუსიტების მემარჯვენე ფრთას, მებარძიმეებს, ეშინოდათ ტაბორიტებისა უფრო მეტად, ვიდრე გერმანელებისა. კათოლიკურ-გერმანულმა რეაქციამ მოხერხებულად გამოიყენა ეს შინაგანი წინააღმდეგობანი ჰუსიტურ ბანაკში.

1431 წ. შეიყარა ბაზელის საეკლესიო კრება, რომელმაც დაიწყო მოლაპარაკება მებარძიმეებთან. ამ მოლაპარაკებათა საფუძველზე გამომუშავებულ იქნა 1433 წ. შეთანხმება, ეგრეთწოდებული პ რ ა გ უ ლ ი კ ო მ პ ა ქ ტ ა ტ ე ბ ი, რომელიც აწესებდა ორივე სახის ზიარებას, ამყარებდა ქადაგებას ეროვნულ ენაზე და ამტკიცებდა საეკლესიო ქონებათა სეკულარიზაციას, ჩატარებულს ამ ხნის განმავლობაში. პრაგაში კომპაქტატები არ იქნენ შიღებული ტაბორიტების მიერ, რომელნიც მათში ხედავდნენ ჰუსიტობის ღალატს.

ტაბორიტების განადგურება. ამას შედეგად მოჰყვა საბოლოო გათიშვა ჰუსიტებს შორის. დაიწყო ომი, მაგრამ ახლა უკვე არა ჩეხებსა და გერმანელებს შორის, არამედ თვით ჩეხთა შორის. უტრაქვისტები მუხანათურად დაესხნენ თავს ტაბორიტებს და 1434 წ. სასტიკად დაამარცხეს ისინი ლიპანთან. ამის შემდეგ მებარძიმეებმა მიაღწიეს შერიგებას სიგიზმუნდთან, რომელმაც სცნო კომპაქტატები და ნება დართო ჰუსიტებს საკუთარი არქიეპისკოპოსის არჩევისა. ამით მან სცნო ჩეხურ-ჰუსიტური ეკლესიის ავტონომია.

ჰუსიტურმა ომებმა შეასრულა ჩეხიის ისტორიაში დადებითი როლი, ამ ქვეყანაში ძლიერი ეროვნული მოძრაობის გამოწვევით, რამაც ხელი შეუწყო ეროვნული ენის და ეროვნული კულტურის განვითარებას.

მაგრამ როგორც გლეხთა ომმა, ამ მოძრაობამაც, ისევე როგორც თავის დროს დოლჩინოს აჯანყებამ, ჟაკერიამ, უოტ ტაილერის აჯანყებამ, განიცადა მარცხი, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოძრაობა იყო გაცილებით უფრო ორგანიზებული და შეუპოვარი, ვიდრე ზემოჩამოთვლილი გლეხთა ამბოხებები. დამარცხების ძირითადი მიზეზი იგივეა, რაც დანარჩენი გლეხთა ომების დამარცხებისა—არ არსებობა ჰეგემონი-კლასისა, რომ მას შეძლებოდა გლეხობის წაყვანა გამარჯვების გზით. ჭრელ და დაქსაქსულ ქალაქების პლებეურ მასას და სუსტ, უორგანიზაციო წინაპროლეტარიატს, მაღაროს მუშების სახით, არ შეეძლოთ ამ როლის შესრულება.

ტაბორიტების დამარცხების შემდეგ 1434 წ. ბრძოლა მათ და მებარძიმეთა შორის არ შეწყვეტილა. ტაბორიტებმა ჯერ კიდევ შეინარჩუნეს რამოდენიმე პუნქტი ჩეხიაში, მათ შორის ტაბორი, რომელიც დარჩა მათ უმთავრეს დასაყრდენად. სიგიზმუნდის სიკვდილის შემდეგ კათოლიკეებმა და მებარძიმეებმა აირჩიეს მეფედ ალბრეხტ ავსტრიელი, მაგრამ ტაბორიტებმა არ სცხეს იგი. ალბრეხტის სიკვდილის შემდეგ, უკანასკნელის შვილის მცირეწლოვანობის გამო მებარძიმეებმა წამოაყენეს რეგენტად ჰუსიტი პანი იური პოდებრადი. 1452 წ. მან აიღო ტაბორიტების უკანასკნელი სიმაგრე — ტაბორი. ამ

დროისათვის დამარცხებულმა ტაბორიტულმა მოძრაობამ, დაკარგა თავისი წინანდებური რევოლუციური ხასიათი. ტაბორიტების ნაწილი შეუერთდა მებარძიმეთ. დანარჩენთ დაარსეს თემი, საზოგადოება ეგრეთწოდებული ჩ ე ხ ე ლ ი ი მ ე ბ ი ს ა, რომელნიც ქადაგებდნენ ბოროტისადმი წინააღუდგომლობას, ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებათა და დაწესებულებათა უმაქნისობას. მშვიდობიანი ანარქიზმის ეს სწავლება ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპის გაღატაკებულ ხელოსნებსა და გლეხებს შორის.

ჩეხელი თავად-აზნაურობის გაძლიერება. 1457 წ. იური პოდებრადი არჩეულ იქნა მეფედ. მებარძიმეთა ღალატს, მათ მიერ ქალაქის და სოფლის მშრომელ ფენების დამარცხებას, რომელნიც ყველაზე თანამიმდევრულად გამოხატავდნენ ჩეხიის ეროვნულ ინტერესებს, შედეგად მოჰყვა ქვეყნის საშეურნეო დაცემა. განსაკუთრებით დაზიანდა საქალაქო მრეწველობა. ახლა მთავარი როლის თამაში იწყო ჩეხელმა თავად-აზნაურობამ, სწორედ მან მოიგო უმთავრესად ჩეხიის პოლიტიკური და საეკლესიო ავტონომიით. პანებს ჩაუვარდათ ხელში უშველებელი საეკლესიო ქონება, დატაცებული ჰუსიტური ომების დროს. ისინი დაეუფლნენ აგრეთვე სამეფო ქონების მნიშვნელოვან ნაწილს. ქალაქების მნიშვნელობა ეცემა, და, თუ ისინი აქამდისაც თამაშობდხეხ შედარებით მეორეხარისხოვან როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კერძოდ სეიმებში, ახლა მათ სრულიად ესპობათ მათში ყოველგვარი მონაწილეობის საშუალება.

მაგრამ განსაკუთრებით დაზიანდა გლეხობა, რომელიც შეადგენდა ტაბორიტთა ძირითად კადრებს. ტაბორიტების საბოლოო დამარცხების შემდეგ გლეხების მნიშვნელოვან ნაწილს დაადეს სასჯელები, მათ ართმევდნენ მიწებს. თავად-აზნაურობა იყენებდა თავის პოლიტიკურ პრივილეგიებს, თავის გაზრდილ სოციალურ წონას და მან ხელი მიჰყო გლეხების გაძლიერებულ დაყმევას. 1487 წ. გამოცემულ იქნა სეიმის დადგენილება, რომლის ძალითაც გლეხებს ეკრძალებოდათ პანებისაგან სადმე წასვლა. ისინი ფაქტიურად მიმაგრებული იყვნენ მიწაზე: მათ ეკრძალებოდათ სასამართლოში ჩივილი თავიანთ ბატონებზე. 1499 წ. ახალი დადგენილების ძალით ის გლეხები, რომელნიც წავიდნენ ქალაქებში საცხოვრებლად, მოვალენი იყვნენ დაბრუნებოდნენ საბატონო ბეგარისა და გამოსაღების მოხდას. ეს იყო ერთსა და იმავე დროს ზიანის მომტანი როგორც გლეხობისათვის, ისევე ქალაქებისათვისაც, რომელთაც ამის წყალობით დაკარგეს მნიშვნელოვანი ნაწილი მუშა ხელისა, რომელიც უმთავრესად სოფლიდან იყო გამოსული განსაკუთრებული სიგელით. პანებმა თავისთვის დაიმტკიცეს მეტი ნაწილი უმაღლესი თანამდებობათა სახელმწიფოში.

იური პოდებრადის შემდეგ ჩეხიის ტახტს ერთმანეთს ედავებოდნენ უნგრეთის მეფე მათე კორვინი (წამოყენებული კათოლიკეთა მიერ) და პოლონეთის მეფის ძე ვლადისლავ იაგელონი (წამოყენებული მებარძიმეთა მიერ), ბოლოს, 1478 წ. ჩეხიის სამეფო ტახტზე განმტკიცდა იაგელონთა დინასტია, რომელსაც ხელთ ეპყრა იგი 1526 წლამდის, როდესაც ეს ტახტი გადავიდა ავსტრიელ ჰაბსბურგთა ხელში.

ლიტერატურა

I. ძრავიზმის ქრონიკები. Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 60—61, 74, 77, 95—97, 104—105, 284—290, 294, 297—300) и т. II („Архив Маркса и Энгельса", т. VI, стр. 4—5, 33—34, 75—81, 141—153, 155—166, 210—220, 224—244, 246—248, 343—366, 376, 393). — Маркс и Энгельс, Революционная борьба в Венгрии, Соч., т. VII. — Маркс и Энгельс, Переписка, Письма от 5 и 7 марта 1856 г. Соч., т. XXII. — Энгельс, Крестьянская война в Германии, Соч., т. VIII.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. II, ч. I, 1938, стр. 118—129. — Послания магистра Иоанна Гуса, М. 1903.

III. გამოკვლევანი. დამხმარე მასალა. Ланисс и Рамбо, Всеобщая история с IV века, 1897, т. II, стр. 679—709, т. III, стр. 675—717, 732—742. — Любавский, История западных славян, М., 1918. — Томек, История Чешского королевства, Спб. 1868. — Очерк истории Чехии, П. 1915. — Гильфердинг, Очерки истории Чехии, Соч., т. I, изд. 2-е, 1893. — Ясинский, Падение земского строя в чешском государстве (X—XIII века), Киев 1895. — Ясинский, Очерки и исследования по социальной и экономической истории Чехии в средние века, т. I, Юрьев 1901. — Флейшганс, Ян Гус, 1916. — Бильбасов, Чех Ян Гус из Гусинца (Исторические монографии, т. II, 1901. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. III, ст. 63, 64; т. IV, ст. 74, 76.

თ ა ვ ი XXIX

პოლონეთი X—XV საუკუნეებში

ფეოდალიზაციის პროცესი. ჯერ კიდევ პოლონეთის პირველ მთავართა მეშკოსა და ბოლესლავ გულადის ხანაში (იხ. თავი VII) ფეოდალიზაციის პროცესმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი წადგა წინ. სულ უფრო და უფრო დიდი როლის თამაშს იწყებს საგვარეულო არისტოკრატია, nobiles. მართალია, წინანდებური პატრიარქალური მონათმფლობელობა ნაწილობრივ შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ მომეტებულ ნაწილად მონებს ამაგრებდნენ მიწას. მონები შედგებოდნენ, უმთავრესად, სამხედრო ტყვეთაგან. მონათმფლობელობის მეორე წყაროს წარმოადგენდა მონის ყიდვა, დავალიანება და გასაჭირში ჩავარდნილთა „ნებაყოფლობით“ მონებად ქცევა, გლეხობის მთავარ მასას შეადგენდნენ ეგრეთწოდებული კ მ ე ტ ე ბ ი, რომელნიც სარგებლობდნენ პირადი თავისუფლებით, მაგრამ მოვალენი იყვნენ მთავრისათვის ბარკები და სხვადასხვა ვალდებულებანი ეხადნათ. გარდა გადასახადებისა, რომელსაც უმთავრესად ნატურით იხდიდნენ, ისინი მოვალენი იყვნენ მიეცათ ბარგის საზიდი ურმები და საკვები მთავრისათვის და მისი ამალისათვის, როდესაც ისინი გადადიოდნენ სადმე: პოლონეთის მთავარს, ისევე როგორც საერთოდ ბარბაროსთა მეფეებს, არ გააჩნდა მუდმივი სატახტო ქალაქი (რეზიდენცია). კმეტები მოვალენი იყვნენ ემუშავნათ სიმაგრეების აგებაზე, გზებისა და ხიდების გაყვანაზე და შეესრულებინათ კიდევ მთელი რიგი ვალდებულებები, ეხადნათ ბაეები ბაზრებით სარგებლობისათვის, გადაზიდვისათვის და სხვ. მთავარი ურიგებდა სამღვდელოებას და თავის მოხელეებს კმეტებით დასახლებულ მიწებს, რის გამოც ისინი ხდებოდნენ სასულიერო და საერო ფეოდალთაგან დამოკიდებულ ხალხად. ამას გარდა, მთავარმა მიითვისა ყველა უპატრონო მიწები, რომელთაც უბოძებდა სასულიერო და საერო დიდკაცებს.

პირველსავე მთავრების ხანაში დაფუძნებულ იქნა ცენტრალური და ადგილობრივი სათავადო მმართველობა. ცენტრში შექმნეს ვოევოდას, კანცლერის, სკარბნიკის (ხაზინადარის), პოდკომორის (მთავართა მამულების ზედამხედველის), მსაჯულის თანამდებობები. მთავრის ორგანოებს ადგილობრივ შეადგენდნენ განსაკუთრებული მეთაურები, რომელთაც შემდეგ მიიღეს კ ა შ ტ ე ლ ა ნ ე ბ ი ს სახელწოდება, ლათინური სიტყვა castelum-ისაგან, ე. ი. ციხე-სიმაგრისაგან. ამ ციხე-სიმაგრეებს პოლონურად ეწოდებოდა გ რ ო დ ე-

ბ ი. ყოველ გრიდში ინიშნებოდა სამეფო კაშტელანი, რომელსაც ეკუთვნოდა სამხედრო და საშოსამართლო ძალაუფლება, გროდზე მიწერილ ოლქში, სამეფო შემოსავლის აკრეფა და სამეფო მამულების მართვა-გამგებლობა.

პოლონეთის პოლიტიკური წყობილება სულ უფრო და უფრო შორდებოდა საგვარეულო დემოკრატიას. თავადი ბჭობდა ახლა მხოლოდ თავის რაზმელებთან, მოხელეებთან და უმაღლეს სამღვდელო პირებთან ერთად. ხოლო რაც შეეხება ცალკეულ პოლონურ ტომებთან არსებულ სახალხო კრებას, ვ ე ჩ ე ს, იგი სწყვეტს თავის არსებობას. მეორეხარისხოვან ადგილს იჭერს აკრეთვე სახალხო ლაშქარი.

სამხედრო საქმეში მთავარ როლს თამაშობენ მთავრის რაზმელები, რომელთა რაოდენობამ ბოლესლავის დროს მიაღწია დაახლოებით 20 ათასს. რაზმელები, ანუ ვოიები, ღებულობენ მიწის წყალობას, დასავლეთურ ბენეფიციუმების დაგვარად. შემდეგ ისინი ცდილობდნენ ეს წყალობა საკუთარ სამემკვიდრეო სამფლობელოებად გადაექციათ.

მთავრების მოღვაწეობის წყალობით XI საუკ. ფეოდალიზაციის პროცესი ჩქარდება. გლეხობა სულ უფრო და უფრო ვარდება ყმების მდგომარეობაში, როგორც საგვარეულო წყობილების დაშლასთან და საგვარეულო მამასახლისთა ძალაუფლების გაძლიერებასთან დაკავშირებით, ისევე მსახურეულ წოდების შექმნასთან დაკავშირებითაც. საგვარეულო დიდკაცობის, nobiles გვერდით იქმნება სამხედრო-მსახურეული milites. ეს ორივე ფენა თანდათანობით უახლოვდება ერთმანეთს და ხდება მათი შერწყმა.

გლეხობის აჯანყება. ბოლესლავ გულადის სიკვდილის შემდეგ, ის შედარებით ზერელე გაერთიანება, როგორსაც წარმოადგენდა მისი სახელმწიფო, იწყებს დაშლას მის მემკვიდრეების ურთიერთ ბრძოლის დროს. მეტი ნაწილი იმ ტერიტორიალური შენაძენებისა, რომელნიც მოიპოვა პოლონეთმა მისი მთავრობის ხანაში, ახლა დაკარგა. ბოლესლავ გულადის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ მოეწყო საყოველთაო აჯანყება კმეტებისა და მონებისა. ეს აჯანყება მიმართული იყო ერთსა და იმავე დროს რაინდობისა და სამღვდელოების, და აგრეთვე, კაშტელანთა და მეფის სხვა აგენტთა წინააღმდეგ. გლეხები ილებდნენ იერიშით გროდებს, ძარცვავდნენ კოსტელებს (საყრდენს) და აწარმოებდნენ ძველებურ, ქრისტიანობამდის არსებული რელიგიის აღდგენას.

იმპერატორი ჰენრიხ III დაეხმარა პოლონეთის მთავარს კაზიმირს ამ მოძრაობის ჩახშობაში. კაზიმირმა აღადგინა საეკლესიო და თანამდებობრივი იერარქია, ხელახლად ააგო გროდები და კოსტელები, აიძულა მონები და კმეტები ეხადნათ წინანდებური ვალდებულებანი.

პოლონეთის დაშლა საუფლისწულოებად. მოძნოვლადსტვო. 1138 წ. კაზიმირის შვილიშვილის ძის, ბოლესლავ პირმრუდის სიკვდილის შემდეგ, პოლონეთში იწყება საუფლისწულო დაქსაქსულობის ხანა. პოლონეთი დაშალა მთელ რიგ დამოუკიდებელ სამთავროებად. თუმცა სახელმწიფოს სათავეში ედგა ფორმალურად სამეფო გვარის პიასტების ერთ-ერთი წარმომადგე-

ნელთაგანი, მაგრამ ეს არ უზრუნველჰყოფდა ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობას. მართალია, პირველ ხანებში სცნობდნენ იმ დიდი მთავრის ძალაუფლებას, რომელიც იყო უხუცესი პიასტთა გვარში და იჯდა კრაკოვში, მაგრამ მალე ეს წესიც დაირღვა, და დიდი მთავრის ძალაუფლება გადაიქცა მხოლოდ ტიტულად. ზოგიერთი ნაწილები პოლონეთისა დაქუცმაცდა უწვრილეს საუფლისწულოებად. მთავრებს შორის სუფევდა განუწყვეტელი შინა ომი.

პოლონეთის ისტორიის ამ პერიოდს ხშირად უწოდებდნენ მოჟნოვლადსტვოს, არისტოკრატიის ბატონობის პერიოდს. მნიშვნელოვნად იზრდება ფეოდალთა პოლიტიკური გავლენა; მათ შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირათ მთავრის წინანდელ მსახურებს (მოხელეებს) — ვოევოდებს, მსაჯულებსა და კაშტელანებს, — რომელნიც მთავრის აგენტებისაგან დამოუკიდებელ ფეოდალურ მფლობელად გადაიქცნენ.

ამ დროს პოლონეთს შეექმნა დიდი გარეშე საფრთხე. XIII საუკ. დამდეგს მაზოვიის მთავარმა კონრადმა პრუსებთან ბრძოლის დროს, მიიხმო ტევტონური ორდენი და უწყალობა მას მიწები. XIII საუკ. განმავლობაში ორდენმა თანდათანობით დაიპყრო პრუსია, შეიერთა მახვილოსანთა ორდენი და ამის წყალობით შეუერთა თავის სამფლობელოებს აღმოსავლეთი ბალტიის პირეთი (იხ. თავი XXIV). თავისი ბეცი პოლიტიკით პოლონეთმა თვითონვე შეიქმნა უსაშინელესი მტერი.

დიდი ზიანი მიაყენა დაქუცმაცებულ პოლონეთს თათართა შემოსევამ 1241 წ., რომელთაც ამაზე ცოტა უფრო ადრე მოაოხრეს და მოარბიეს რუსეთი. მათ დაანგრიეს კრაკოვი, ვროცლავი (ბრესლავლი), საშინლად ააოხრეს მთელი სახელმწიფო. მართალია პოლონეთს არ განუცდია თათართა ბატონობა, მაგრამ თათრები პერიოდულად აწიოკებდნენ და არბევდნენ მას, განსაკუთრებით კი სამხრეთ პოლონეთს, სწვავდნენ სოფლებსა და ქალაქებს, მიერეკებოდნენ საქონელს, იტაცებდნენ მრავალ ტყვეს მონებად გასაყიდად.

თავად-აზნაურობა და ეკლესია. ამასთან ერთდროულად მიმდინარეობდა პოლონეთის შემდგომი ფეოდალური დაშლა-დაქუცმაცება. მთავრები იმყოფებოდნენ სრულ დამოკიდებულებაში მსხვილ მიწათმფლობელთაგან, პანებისაგან (მოჟნოვლადცებისაგან, ბარონებისაგან) და უმაღლესი სამღვდელოებისაგან. ამ მსხვილმა ფეოდალებმა გარს შემოირტყეს მრავალი მათგან დამოკიდებული რაინდობა. პრელატებსა და პანებზე იყო დამოკიდებული მთავრის არჩევანი. ისინი შეადგენდნენ მთავრის საბჭოს, ურომლისოდაც მთავარს არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. ფეოდალური კლასი პოლონეთში იყოფოდა ორ ძირითად ჯგუფად, პანებად, ანუ მოჟნოვლადცებად და რაინდობად ანუ შლიახტად. შლიახტა დაკავშირებული იყო თავიანთ პანებთან, სავსებით იყო მათგან დამოკიდებული, ღებულობდა მათგან მიწებს და შეადგენდა მათ სამხედრო ამალას. პანებს და შლიახტას შორის არსებულ ურთიერთობაში შენარჩუნებულ იქნენ უძველესი საგვარეულო კავშირები: შლიახტიჩები ატარებდნენ თავიანთ პანის გვარს და ღერბს. გალატაკებული შლიახტიჩები იკვებებოდნენ დიდ პანთა კარზე, ეჭირათ მათთან სხვადასხვა თანამდებობანი.

ამ შლიახტიჩებითურთ პანები აწარმოებდნენ ხშირ-ხშირ ომებს, ახდენდნენ დარბევებს. ამ ფეოდალურმა აღვირახსნილობამ, რომელიც ცნობილია ჩვენთვის დასავლეთ ევროპის ისტორიიდანაც, იჩინა თავი პოლონეთში მისთვის დამახასიათებელი უარყოფითი თვისებებით. პანებმა შექმნეს პრივილეგიებიანი მიწათმფლობელური წოდება, ისინი ფლობდნენ თავიანთ მიწებზე მთავრის უფლებას („jus ducale"), რომელნიც უქმნიდა მათ წვრილ მბრძანებელთა მდგომარეობას მათ მამულებში.

სამღვდელოებისა და პანების მისამხრობად, მთავრები იძულებული იყვნენ დაერიგებინათ თავიანთი მიწები და ამით კი ისინი აუსტებდნენ საკუთარ პოლიტიკურ გავლენას. უზარმაზარი სამფლობელოების პატრონი იყო ეკლესია. არქიეპისკოპოსებს და ეპისკოპოსებს ხელთ ეპყრათ მთელი სამთავროები და მთავრის უფლებები ამ მიწების მოსახლეობის მიმართ.

გლეხობა. XIII საუკ. მდგომარეობა გლეხობისა, რომლის დაყმევების პროცესი არ წყდებოდა, კიდევ უფრო მეტად გაუარესდა. შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ უმნიშვნელო ფენა ეგრეთწოდებული თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი კ მ ე ტ ე ბ ი ს ა, ე. ი. იმ გლეხებისა, რომელნიც იძლეოდნენ გამოსაღებს და იხდიდნენ ვალდებულებებს, მაგრამ ჰქონდათ უფლება თავისუფალი წასვლისა. თავისუფალმა კმეტებმა ახლა დაკარგეს ყოველგვარი მფარველობა მთავრების მხრივ. იმ უზენაესი უფლებების წყალობით, რომელნიც მიიღეს მსხვილმა მიწათმფლობელებმა თავიანთ მამულებში, ეს გლეხები მოექცნენ თავიანთ მებატონეთა იურისდიქციის ქვეშ, რის გამოც გზახსნილი შეიქნა მათი სრული დაყმევებისათვის. საიმუნიტეტო სიგელებით პანებმა მიიღეს უფლებები თავიანთი „გლეხებისა და მსახურთა" გასამართლებისა, „სიკვდილით დასჯისა, ჩამოხრჩობისა, ცეცხლით წამებისა" და სხვ. მეტი ნაწილი გლეხობისა იქცევა ყ მ ა კ მ ე ტ ე ბ ა დ, და ხდება მათი აღრევა მიწაზე მიმაგრებულ მონებთან.

XIV საუკ. დამლევს შემოღებული წესის თანახმად, მიწათმფლობელს უფლება ეძლეოდა გაქცეული გლეხის დაჭერისა; დაჭერილი გლეხი იქცეოდა მონად, და შეიძლებოდა მისი გაყიდვა. კმეტი, რომელიც წინათ თავისი მონაკვეთის მემკვიდრეობითი მფლობელი იყო, ახლა ჰკარგავდა მასზე უფლებებს და, შეიძლება, აქედან გაგდებული და უარეს მონაკვეთზე გადაყვანილი ყოფილიყო, თუ ამას საჭიროდ სცნობდა მისი ბატონი.

ამგვარად მოენოვლადსტვოს ხანა წარმოადგენს სახალხო მასათა გაძლიერებული დაყმევების პერიოდს.

ქალაქები. აღსანიშნავია პოლონეთის ისტორიული განვითარების ერთი თავისებურობა, რომელმაც დაამჩნია დიდი პოლონეთის სახელმწიფოს ბედიღბალს, — ეს არის სისუსტე პოლონეთის ქალაქებისა. ის „გროდები", რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, წარმოადგენდნენ გამაგრებულ პუნქტებს ციხე-სიმაგრეებს. ქალაქებმა, როგორც სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებმა იწყეს აღმოცენება XII და XIII საუკუნეებში, უმთავრესად, გერმანული კოლონიზაციის პროცესში. პოლონეთის მთავრები, ჩეხიის მეფეებსავით, აწარმოებდნენ გერმანული კოლონისტების დანერგვის პოლიტიკას, ვარაუდობდნენ აქედან მატერიალური მოგების მიღებას. გერმანულ ქალაქების

ალმოცენებასთან ერთად წარმოებდა ალმოცენება გერმანული სასოფლო თემებისა, გ მ ი ნ ე ბ ი ს ა (გერმანული სიტყვისაგან Gemeinde—თემი). უპატრონო დაუმუშავებელ მიწებზე თავადები ეპატიჟებოდნენ გერმანელ კოლონისტებს, უბოძებდნენ მათ თვითმართველობის უფლებებს. თვითმართველობას „გერმანული სამართლით" ღებულობდნენ ზოგჯერ პოლონური სოფლებიც, დაარსებულნი ახალ ან ბეითალმან მიწებზე.

პოლონელი მთავრები განსაკუთრებით ხელს უწყობდნენ გერმანული ხელოსნებიანი და ვაჭრებიანი ქალაქების დაარსებას. ამ ქალაქებს ეძლეოდათ ყოველგვარი პრივილეგიები ,მათ შორის თვითმართველობის უფლება,—სახეხვაობა მაგდებურგული საქალაქო უფლებისა. ეს გერმანული ქალაქები იზოლირებული იყვნენ პოლონეთისაგან; ისინი გაცილებით უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებულნი თავიანთ გერმანულ სამშობლოსთან, ვიდრე პოლონეთთან. მართვა-გამგებლობის სხვადასხვა სადავო საკითხების გადასაჭრელად ისინი მიმართავდნენ ხოლმე არა პოლონელ თავადებს, არა ადგილობრივ სამართალს, არამედ მაგდებურგის ქალაქის ხელისუფლებას. გერმანელები ურყევად ინახავდნენ თავიანთ ეროვნებას, თავიანთ ენას და ადათ-ჩვეულებებს და განზე იდგნენ პოლონელთაგან.

საქალაქო მოსახლეობაში დასაბამითგანავე შეიძლება გავარჩიოთ რამოდენიმე ფენა. ქალაქს სათავეში ედგა პატრიციატი, შემდგარი ვაჭრულ გვარებისაგან, რომელნიც ხშირად დაკავშირებული იყვნენ ნათესაობრივად გერმანული, ჩეხური და უნგრული ქალაქების პატრიციებთან; მათზე დაბლა იდგნენ ხელოსანთა საამქროები, შემდგარნი ნაწილობრივ გერმანელთაგან და ნაწილობრივ პოლონელთაგან, და საამქროთა გარეშე მასა, პ ო ს პ ო ლ ს ტ ვ ო, სრულიად მოკლებული გავლენას საქალაქო საქმეებზე. ქალაქები ემსახურებოდნენ უმთავრესად ადგილობრივ ბაზარს. მაგრამ ვაჭრები ზოგიერთი დიდი ქალაქებისა, როგორებიც იყვნენ კრაკოვი და ლვოვი, აწარმოებდნენ ვაჭრობას საზღვარგარეთთან და ღებულობდნენ დიდ მოგებებს პოლონეთის გზით მიმდინარე სატრანზიტო ვაჭრობისაგან.

არა მარტო მთავრები, არამედ პანებიც კი ცდილობდნენ საკუთარი შემოსავლის გაზრდას ქალაქების დაარსებისა და მათში გერმანელი კოლონისტების მიზიდვის გზით.

პოლონეთის ქალაქებში გაჩნდა კიდევ ერთი ახალი ეროვნული ელემენტი — ებრაელობა. ებრაელებმა დაიწყეს გადმოსახლება პოლონეთში იმ დევნათა შედეგად, რომელსაც ისინი განიცდიდნენ დასავლეთში. ისინი სახლდებოდნენ ქალაქებში, სადაც ღებულობდნენ თვითმართველობის უფლებებს, და შეიქმნეს თავიანთი საკუთარი თემები. ებრაული თემები იხდიდნენ, სხვებთან შედარებით უფრო დიდ გადასახადებს, სამაგიეროდ სარგებლობდნენ მთავართა მფარველობით, რადგან უკანასკნელნი სთვლიდნენ მათ შემოსავლის კარგ წყაროდ. მათ მიეცათ სკულის თავისუფლება.

გერმანულ-ებრაული ქალაქები განცალკევებული იყვნენ პოლონეთში, ისინი შედარებით მცირეოდენ გავლენას ახდენდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე, რომელიც ძირითადად დარჩა სოფლური ხასიათის მქონე.

ამგვარად, პოლონეთში დამყარდა წმინდა ფეოდალური წესწყობილება. იმავე საერთო მიზეზებმა, რომელთაც გამოიწვიეს დასავლეთ ევროპაში დაქსაქსული ფეოდალური საზოგადოების გაერთიანება, იჩინეს თავი და იწყეს განსაზღვრული გავლენის მოხვეჭა პოლონეთშიაც.

პოლონეთის გაერთიანების დასაწყისი. უკვე XIV საუკ. დამდეგს, ვლადისლავ I ლოკეტკის დროს დაიწყო პოლონეთის პოლიტიკური გაერთიანება: ვლადისლავმა შეძლო თავის ხელში პოლონეთის ოლქების უმრავლესობის თავის მოყრა. 1320 წ. მან მიიღო პაპისაგან მეფის ტიტული. მართალია, თუმც ამ დროისთვის პოლონეთმა განიცადა სერიოზული დანაკარგი — მას ჩაეკეტა გასავალი ბალტიის ზღვისაკენ, ვინაიდან ტევტონურმა ორდენმა დაიპყრო გდანსკი და დასავლეთ პრუსია; მაგრამ სწორედ ორდენთან ბრძოლა იქცა იმ ერთ-ერთ მომენტთაგანად, რომელმაც აიძულა პოლონეთის ფეოდალები გაერთიანებულიყვნენ. ვლადისლავ I მმართველობის ბოლო ხანამ ჩაიარა სასტიკ ბრძოლაში ტევტონურ ორდენთან. ამასთანავე ერთად, პოლონეთი განიცდიდა საშინელ აოხრებას.

პოლონეთის გაერთიანებას ხელი შეუწყო კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა მომენტმა. XIV საუკ. დამდეგი არის ხანა განსაზღვრული ეკონომიური გამოცოცხლებისა პოლონეთში. პოლონეთმა დაიწყო დასავლეთში გაზიდვა თავისი ნედლეული პროდუქტებისა. სავაჭრო გზებმა, რომელნიც მიიმართებოდნენ პოლონეთზე და რომელნიც უკავშირებდნენ მას აღმოსავლეთს და დასავლეთს, იწყეს უფრო დიდი როლის თამაში პოლონეთის ეკონომიკაში. ნედლეულის გაზიდვამ დასავლეთში გამოაცოცხლა სოფლის მეურნეობა, რომელსაც ჯულმოდგინედ კიდებს ხელს შლიახტა, წვრილი და საშუალო შეძლების აზნაურობა, ამისათვის იგი საჭიროებდა შინაგანი მნიშვნელობის დაცვას და ცენტრალური ხელისუფლების გამაგრებას.

კაზიმირ III. შლიახტას ინტერესებზე დაყრდნობით, მეფეებმა, კერძოდ კაზიმირ III (1333—1370 წწ.), შესძლეს ფეოდალურად დაქსაქსული ქვეყნის განსაზღვრული პოლიტიკური ერთიანობის დამყარება. მაგრამ კაზიმირმა მაინც ვერ შესძლო ზოგიერთი საუფლისწულოს დამორჩილება: მაზოვიის და კიდევ რამოდენიმე სხვა საუფლისწულოს სათავეში წინანდებურად იდგნენ ადგილობრივი მთავრები.

პოლიტიკური გაერთიანების პროცესი, რომელსაც ვამჩნევთ დასავლეთ ევროპაში, პოლონეთში მიმდინარეობს შესუსტებულ ფორმებში. ამის ასახსნელად უნდა მიღებულ იქნეს მხედველობაში, პირველ ყოვლისა, უკვე ნახსენები სუსტი განვითარება ქალაქებისა, რაც განსხვავებდა პოლონეთს დასავლეთი ევროპის ქვეყნებისაგან.

მარქსი შემდეგს ამბობს ქალაქების პოლიტიკური როლის შესახებ პოლონეთში: „...გერმანელებმა ხელი შეუშალეს პოლონეთში პოლონური ქალაქების და პოლონური ბურჟუაზიის შექმნას. თავიანთი განსაკუთრებული ენით, პოლონური მოსახლეობისაგან უცხოობით, თავიანთი ათასგვარი სხვადასხვა პრივილეგიებითა და საქალაქო სტატუტებით მათ გააძნელეს და შეაფერხეს განხორციელება ცენტრალიზაციისა, ყოველ ქვეყნის სწრაფი განვითარების ამ

უძლიერესი პოლიტიკური საშუალებისა. თითქმის ყოველ ქალაქს ჰქონდა თავისი განსაკუთრებული უფლება-სამართალი; კიდევ უფრო მეტი, ყოველ ალრეულ მოსახლეობიან ქალაქში არსებობდა და ხშირად ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას სხვადასხვა უფლებები გერმანელთათვის, პოლონელთათვის და ებრაელთათვის".[1]

ამის წყალობით სამეფო ხელისუფლებამ ვერ შესძლო პოლონეთში ისეთივე პოლიტიკური გაერთიანებისა და შემჭიდროვების შექმნა, როგორსაც ჩვენ ვხედავთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. პოლონეთის პოლიტიკურ გაერთიანებას გააჩნდა გაცილებით უფრო ვიწრო ბაზა—მხოლოდ შლიახტა. მეფეს არ გააჩნდა საკმაო დასაყრდენი ქალაქებში, რომ შესძლებოდა შლიახტის პოლიტიკურ მისწრაფებისადმი დამაპირისპირებელ ძალის შექმნა. საბოლოო ჯამში ამას შედეგად მოჰყვა არა სამეფო ხელისუფლების, არამედ შლიახტის გაძლიერება.

კაზიმირ III ამაოდ ებრძოდა პანების თვითნებობას. XIV საუკ. პოლონეთი წარმოადგენდა დამოუკიდებელ ფეოდალთა თვითნებობისა და ძალმომრეობის სავალალო სანახაობას; მასში მეორდებოდნენ უარესი მაგალითები დასავლეთ ევროპის X—XI საუკუნეების ფეოდალური არეულობებისა.

კაზიმირ III ცდილობდა მთელი სახელმწიფოსათვის საერთო კანონმდებლობის შემოღებას უძველესი სამოსამართლო ადათების კოდიფიკაციის საშუალებათა („საერო სამართალი") და ახალ კანონების გამოცემის გზით, რომელთაც უნდა გაეძლიერებინათ სამეფო ხელისუფლება. ეს კოდიფიკაცია ჩატარდა იურისტთა დახმარებით, რომელთაც მიიღეს განათლება ბოლონისა და დასავლეთ ევროპის სხვა უნივერსიტეტებში. პოლონეთში იწყებს აღმოცენებას ლეგისტების ის ფენა, რომელიც ცნობილია ჩვენთვის დასავლეთის ისტორიიდან. კაზიმირ III გახსნა 1364 წ. კრაკოვში უნივერსიტეტი სპეციალურად სამეფო სამმართველოსა და სასამართლოსათვის სწავლული იურისტების მოსამზადებლად.

მოხდენილი იყო ყმა-გლეხებისათვის განსაზღვრული იურიდიული გარანტიების მიცემის ცდაც კი. გლეხებს ნება მეცათ თავიანთ პანებისაგან წასვლისა იმ შემთხვევებში, თუ ადგილი ექნებოდა აშკარა ძალმომრეობას უკანასკნელთა მხრივ. შეიზღუდა უფლებები პანებისაგან წასულ კმეტების დაბრუნებისა. ყველა ეს ზომები შეეჯახნენ მსხვილ მიწათმფლობელების წინააღმდეგობას. ველიკოპოლონელმა პანებმა შეადგინეს კაზიმირის წინააღმდეგ (1352 წ.) გაერთიანება („კონფედერაცია") მაგრამ მეფემ მოათვინიერა ოპოზიციონერები, ხოლო მათი მეთაური, ვოევოდა ბერკოვიჩი, შიმშილით მოკლა საპყრობილეში. გაბრაზებული პანები უწოდებდნენ კაზიმირს „ხლოპთა მეფეს".

კაზიმირ III ცდა, კანონმდებლობის გზით გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, დაკავშირებული იყო პოლონეთის დამოკიდებული გლეხობის მდგომარეობის XIV საუკუნიდან დაწყებულ ზოგიერთ ცვლილებებთან, გლეხობის ნაწილი ებმის ქალაქებთან სავაჭრო ურთიერთობაში. ამის შედეგად რენტების ნატურალური ფორმები იწყებს ნაწილობრივ შეცვლას ფულადით,

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. VI, зд. 370.

რაც ასუსტებდა გლეხობის იმ ნაწილს, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყო ბაზართან, ე. ი. უპირველეს ყოვლისა, გლეხობის ზედა ფენის დამოკიდებულებას. ამავე დროს ბაზრის და ფულადი რენტის განვითარება პოლონეთში, ისევე როგორც ყველგან, აღრმავებდა გლეხობის დიფერენციაციას. კაზიმირის პოლიტიკა წარმოადგენს სამეფო ხელისუფლების ცდას დასაყრდენის ძებნისას გლეხობის ზედა-ფენაში. განსაზღვრული გავლენა გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იქონიეს იმ შეღავათებმა, რომელნიც ეძლეოდათ გერმანელ გადმოსახლებულთ; ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ზოგჯერ პოლონურ სოფლებსაც ეძლეოდათ „გერმანული უფლებები“.

სამეფო ხელისუფლების მიერ ჩატარებულ იქნა რეფორმები, რომლებმაც გაზარდა პოლონეთის სახელმწიფოს სიძლიერე; აგებდნენ ცახე-სიმაგრეებს, აბამდენ სამხედრო სამსახურში ყველა მიწათმფლობელებს, — არა მარტო შლიახტას, არამედ აგრეთვე სასულიერო პირებსაც, რომელთაც უნდა გაეგზავნათ თავიანთი ნიშებიდან მეომართა განსაზღვრული რაოდენობა. სამხედრო სამსახურში იწვევდნენ აგრეთვე შეძლებულ გლეხებსაც. მიწათმფლობელთა მიერ გაგზავნილი მეომართა რაოდენობა შესაფერი უნდა ყოფილიყო სამფლობელოთა სიდიდისა. ეს რაზმები უნდა გამოცხადებულიყვნენ მეფის გამოწვევის უმალვე, როდესაც ცხადდებოდა პოსპოლიტე რუშენიე, ე. ი. საყოველთაო ლაშქრობა.

ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც შეადგენდა სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთი შემოსავლის წყაროთაგანს, იწყეს გაუმჯობესება შარა-გზებისა, აგება ხიდებისა, იარმარკტების მოწყობა. პოლონელი ვაჭრები ისწრაფიან მიიღონ შეღავათები საზღვარგარეთ. სატრანზიტო ვაჭრობიდან, რომელიც მიიმართებოდა პოლონეთის გავლით გერმანიაში, ფლანდრიაში, უნგრეთში, იტალიაში, აღმოსავლეთში, რუსეთში და იტალიის კოლონიებში შავ ზღვაზე, სამეფო ხელისუფლება ცდილობდა გამოეღო სარგებლობა პოლონური ვაჭრობისათვის, იგი აიძულებდა უცხოელ გამვლელ ვაჭრებს მიეყიდნათ თავიანთი საქონლის განსაზღვრული ნაწილი პოლონელთათვის. ვაჭრობის ზრდა ჰმატებდა შემოსავალს მეფეს სავაჭრო ბაჟების სახით.

თავისი შემოსავლის გასაადიდებლად კაზიმირ III მიმართავდა იმ საშუალებასაც, რომლითაც სარგებლობდნენ მისი წინაპრები, ე. ი. გერმანელ კოლონისტების შეზიდვას და ქალაქების დაარსებას. მაგრამ ამავე დროს, კაზიმირი ცდილობდა გაეწყვიტა პოლონეთში დაარსებული გერმანული ქალაქების კავშირი გერმანიასთან: მან აუკრძალა გერმანიის ქალაქებს მიემართნათ თავიანთი საქმეების გადასაწყვეტად მაგდებურგისათვის და დააწესა კრაკოვში. განსაკუთრებული სასამართლო გერმანული უფლების მქონე ქალაქთათვის.

კაზიმირ III ისარგებლა გალიციურ-რუსულ სამთავრო გვარეულობის მოსპობით და შეუერთა პოლონეთს გალიცია და დასავლეთი ნაწილი ვოლინისა. დიდი სამფლობელოები ამ ოლქებში დაურიგდათ პოლონელ პანებს. იქვე დაიგზავნენ საქადაგოდ ბერძენები, დომინიკელები და ფრანცისკელები კათოლიციზმის დასანერგად, რომელშიაც მეფე ჰხედავდა თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს.

კაზიმირ III დროს მომხდარი სამეფო ხელისუფლების გაძლიერება ატარებდა გარდამავალ ხასიათს, ვინაიდან თვით ბაზა, რომელსაც ეყრდნობოდა ეს ხელისუფლება, იყო მეტად არამყარი. ამასთანავე ერთად ყველა თავისი პოლიტიკური ღონისძიება კაზიმირს შეეძლო ჩაეტარებინა მხოლოდ სასულიერო და საერო პანების ანუ ბარონების თანხმობით. ეს კი, უნდა ითქვას, რომ მაგნატთა ოპოზიციას ასუსტებდა მუდმივი შინაგანი უთანხმოებანი მათ წრეში.

პიასტთა დინასტიის აღსასრული. პანებისა და შლიახტის პრივილეგიები. კაზიმირ III სიკვდილი (1370 წ.) მოასწავებდა პიასტთა დინასტიის აღსასრულს, იმ დინასტიისას, რომელსაც ხელთ ეპყრა პოლონეთის სამეფო ტახტი პოლონეთის სახელმწიფოს აღმოცენებითგან დაწყებული. ტახტის მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით პანები ცდილობენ გამოსტყუონ სამეფო ხელისუფლებას მთელი რიგი პრივილეგიები. მეფედ არჩეულმა ანჟუელთა დინასტიის წარმომადგენელმა ლ უ დ ო ვ ი კ ო უნგრელმა უბოძა მათ ეგრეთწოდებული, კ ო შ ი ც ის პ რ ი ვ ი ლ ე ი 1374 წ., რომლის ძალით პანები და შლიახტა განთავისუფლებული შეიქმნენ ყოველგვარი სახელმწიფო ვალდებულებებისაგან, გარდა სამხედრო ვალდებულებისა სახელმწიფოს ფარგლებში და მცირეოდენი ფულადი გადასახადისა. მან აქცია პოლონეთის თავად-აზნაურობის ბენეფიციუმები სამემკვიდრეო სამფლობელოებად. ამას გარდა, ამ პრივილეის ძალით, მეფემ აღუთქვა დაენიშნა სახელმწიფო თანამდებობებზე ოლქებში მხოლოდ ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენელნი.

კოშიცის პრივილეი წარმოადგენდა პირველ პრივილეის, ბოძებულს პოლონეთის თავად-აზნაურობისათვის — პანებისათვის და შლიახტისათვის — როგორც წოდებისათვის. ამ ჟამამდის ჩვენ გვხვდება მხოლოდ იმუნიტეტის ტიპის პრივილეგიები, გაცემული ცალკეულ პირთათვის. უნგრეთის მეფის მმართველობის ხანა აღბეჭდილია შლიახტის უაღრესი თვითნებობით, ძარცვა-გლეჯით, ყაჩაღობით და ფეოდალური ანარქიის სხვა დამახასიათებელი თვისებებით, რომელთაც ებრძოდა, თუმცა ყოველთვის წარმატებით ვერა, კაზიმირ III.

კოშიცის პრივილეიმ შლიახტასა და პანთა მიერ გადასახადების გადახდა წმინდა ფორმალურად აქცია, ამით მან მნიშვნელოვნად შეკვეცა მუდმივი შემოსავალი მეფისა, და მოაქცია სახელმწიფო ფინანსები პანების და შლიახტის დამოკიდებულებაში. ახალი გადასახადების ნებადართვისათვის შლიახტამ იწყო შეკრება ადგილობრივ ყრილობებზე — ს ე ი მ ი კ ე ბ ზ ე, რომელნიც მალე შეიქნენ შლიახტის ძალაუფლების ადგილობრივ ორგანოებად.

უნია ლიტვასთან. ლუდოვიკო უნგრელის სიკვდილის შემდეგ დადგა უმეფობის ხანა (1382—1384 წწ.). ამ წლების განმავლობაში წარმოებდა გამძვინვარებული ბრძოლა ცალკეულ ფეოდალურ ჯგუფებს შორის, რომელნიც ცდილობდნენ დაუფლებოდნენ პოლონეთის სამეფო ტახტის ბედ-იღბალს. ბოლოს, 1384 წ. ტახტზე აყვანილ იქნა ლუდოვიკო უნგრელის ასული იადვიგა. პანებმა აიძულეს იადვიგა მისთხოვებოდა ცოლად 1386წ. ლიტვის თავადს იაგაილოს. ამ ქორწინების წყალობით მოხდა პოლონეთისა და ლიტვის გაერთიანება პირადი უნიით. ეს უნია ერთობ სუსტი იყო: ლიტვა ცდილობდა თავის

დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. მაგრამ მაინც ლიტვის და პოლონეთის უნიამ მნიშვნელოვნად გააძლიერა პოლონეთის სახელმწიფო.

უნიის ძირითადი მიზანი იყო ბრძოლა ორდენთან, რომელიც ერთნაირ საშიშროებას წარმოადგენდა ორივე სახელმწიფოსათვის. ამას გარდა, ლიტველი პანები ფიქრობდნენ საკუთარ პოლიტიკურ გავლენის გაძლიერებას მოეხოვლადსკურ პოლონეთთან უნიით. პოლონელ პანებს იზიდავდა კოლონიალური დაპყრობების პერსპექტივი, პერსპექტივი უკრაინის ვრცელი მიწის ფართობების ხელში ჩაგდებისა, რომელნიც შედიოდნენ ლიტვის სახელმწიფოს ფარგლებში. იაგაილომ, რომელიც პოლონეთის მეფედ შეიქნა ვლადისლავ II სახელწოდებით (1386—1434 წწ.), დაიწყო თავისი მმართველობა იმით, რომ დაადასტურა პანებისა და შლიახტის ყველა პრივილეგია და უბოძა მათ მთელი რიგი ახალ პრივილეგიებისა.

1399 წ. ლიტვის დიდი მთავრის ვიტოვტის ჯარებმა განიცადეს საშინელი დამარცხება თათართაგან ვორსკლის პირას, რის შედეგადაც პოლონეთი და ლიტვა განიცდიან თათართა გამუდმებულ თარეშებს: თათრებმა საშინლად აოხრეს გალიცია, ანუ ჩერვონა რუსი. ეს იქცა პანური კოლონიზაციის გაძლიერების საბაბად. აქეთკენ მოიმართებიან პოლონელი პანები, და იქმნიან თავისთვის მამულებს. ეს მამულები უნდა გამხდარიყო პოლონეთისათვის სამხედრო სიმაგრედ და საფარველად თათართა თარეშების წინააღმდეგ. მსხვილი პანური სამფლობელოები თანდათანობით სულ უფრო და უფრო აღმოსავლეთისაკენ ვრცელდებოდნენ.

პანური კოლონიზაცია იჭრება უკრაინის მიწა-წყალში — პოდოლიაში და ვოლინში, რომელნიც იმ დროს შედიოდნენ ლიტვა-რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში. პოლონელმა პანებმა ჩაიგდეს აქ ხელთ ვეებერთელა მიწის სამფლობელოები და ცდილობდნენ პოდოლია და ვოლინი უშუალოდ პოლონეთისათვის შეეერთებინათ. ამას შედეგად მოჰყვა სამხედრო შეტაკებები ლიტვასა და პოლონეთს შორის. ეს შეტაკებები დამთავრდა პოლონეთის მიერ პოდოლიის დაპყრობით (1430 წ.).

ტევტონური ორდენის განადგურება. უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელიც წამოიჭრა პოლონეთსა და ლიტვას წინაშე, წარმოადგენდა ორდენთან ბრძოლა, რომელიც განახლდა უკვე იაგაილოს მეფობის პირველსავე წლებიდან. ორდენმა მოახდინა მთელი რიგი თარეშებისა პოლონეთის მიწა-წყალზე, ამასთან ერთად მან საშინლად მოაოხრა ეს ოლქები. 1410 წ. გრიუნვალდთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ორდენის ჯარებსა და პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებულ ძალებს შორის. ორდენს მოეშველა რაინდობა გერმანიიდან და კიდევ ზოგიერთი სხვა ქვეყნებიდანაც. პოლონურ-ლიტვურ ჯარებში მონაწილეობდნენ სმოლენსკის ა თ ა ს ე უ ლ ე ბ ი, იბრძოდა ჩეხური რაზმიც სახელგანთქმულ იან ჟიჟკას მეთაურობით. აქვე იყო მაშველი თათრული რაზმიც. ეს გადამწყვეტი ბრძოლა მოგებულ იქნა სმოლენსკის ა თ ა ს ე უ ლ თ ა წყალობით. იგი დასრულდა ორდენის სრული დამარცხებით, რაინდების მნიშვნელოვანი ნაწილი ამოწყვეტილ იქნა, მათ შორის დაიღუპა დიდი მაგისტრი ორდენისა ულრიხ იუნინგენი, ორდენის ყველა დროშებს დაეუფლნენ გამარ-

ჯვებულნი. მაგრამ ამის შემდეგ ატეხილმა შეტაკებებმა პოლონელებსა და ლიტველებს შორის არ მისცეს მათ საშუალება ეს გამარჯვება ბოლომდის მიეყვანათ.

1411 წ. შეკრულ იქნა ორდენისათვის მეტად მძიმე ზავი. იგი იძულებული შეიქნა მთელ რიგ ტერიტორიულ დათმობებზე წასულიყო და გადაეხადნა კონტრიბუცია. თუ თავის დროს ნოვგოროდის მთავრის ალექსანდრე ნეველის ჩუდის ტბაზე გამარჯვებამ შეაჩერა ორდენის წინსვლა აღმოსავლეთში, რუსეთის მიწებში, — სწორედ ასევე ახლაც გამარჯვებამ, მოპოვებულმა უმთავრესად რუსულ ათასეულების წყალობით გრიუნვალდთან, აწვნია ორდენს და მის პოლიტიკური გავლენას საშინელი დამარცხება, რომლისგანაც მან ვეღარაოდეს ვერ შეიძლო გამობრუნება. ამავე დროს ამ გამარჯვებამ მეტად აამაღლა პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა პოლონეთისა და ლიტვისა. იან ჰუსმა გაუგზავნა იაგაილოს მილოცვა გერმანელებზე გამარჯვების გამო. ვაცლავის სიკვდილის შემდეგ ჰუსიტები ჩეხიაში აყენებდნენ ჩეხიის სამეფო ტახტზე იაგაილოს კანდიდატურას.

პოლონეთ-ლიტვის უნიას შედეგად მოჰყვა მსხვილ ფეოდალთა გავლენის ზრდა ორივე სახელმწიფოში. პოლონელმა მაგნატებმა მოიპოვეს ახალ-ახალი უფლებები. ე დ ლ ი ნ ი ს პ რ ი ვ ი ლ ე ი 1430 წ., პანებისა და შლიახტის ყველა წინანდელი უფლებებისა და პრივილეგიების დადასტურებასთან ერთად, ადგენდა აგრეთვე, რომ ამიერიდან ვერც ერთი აზნაური პოლონეთში ვერ იქნებოდა დაპატიმრებული გაუსამართლებლად: „ჩვენ არავის არ ჩავსვამთ საპყრობილეში, თუ მისადმი ბრალდება არ იქნება დამტკიცებული კანონის ძალით“.

კაზიმირ IV. შლიახტის გაძლიერება. ჯერ კიდევ კაზიმირ III ცდილობდა შლიახტაზე დაყრდნობას, მაგრამ იმ დროს ეს დასაყრდენი ჯერ კიდევ სუსტი იყო. შლიახტა ჯერ კიდევ იმყოფებოდა მოჟნოვლადცების დამოკიდებულებაში. მაგრამ კაზიმირ IV იაგელონმა (1447—1492 წწ.) უკვე შესძლო მტკიცედ დაყრდნობოდა შლიახტას მსხვილ ფეოდალთა წინააღმდეგ. თუ მანამდის შლიახტა ძირითადად დამოკიდებული იყო პანებისაგან და მხარს უჭერდა უკანასკნელთ ამა თუ იმ პრივილეგიების მოპოებისათვის ბრძოლის დროს, ახლა შლიახტისა და პანთა ინტერესები შორდებიან ერთმანეთს. შლიახტა ხშირად განიცდიდა პანებისაგან შევიწროვებებს. შლიახტიჩები ხშირად წარმოადგენდნენ პანების დამქაშებს, უკანასკნელთა პოლიტიკურ უწესრიგობების დროს, მაგრამ თვითონაც ხშირად იტანჯებოდნენ ამ უწესრიგობებისგან; შლიახტიჩს, რომლის მიწის სამფლობელოები ხშირად მეტად უმნიშვნელო იყო, არ შეეძლო პანს გამკლავებოდა სასამართლოში, რომელიც მაგნატთა ხელში იმყოფებოდა.

ამავე დროს, XIV—XV საუკუნეებში ხდება შლიახტის ეკონომიური ზრდა, დაკავშირებული პოლონეთიდან დასავლეთში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პურის გატანის განვითარებასთან. დასავლეთთან ვაჭრობა იწყებს სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო როლის თამაშს პოლონეთის ეკონომიკაში, განსაკუთრებით თურქების მიერ ყირიმში იტალიის კოლონიების დაპყრობის შემდეგ.

ამასთანავე ერთად შლიახტის ხასიათიც ცვლილებას განიცდის. მეომარი-რაინდისაგან შლიახტიჩი სულ უფრო და უფრო იქცევა სოფლის მეურნედ. ამას ძალიან შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ XV საუკ. მთავარი როლის თამაში ჯარში იწყეს დაქირავებულმა, უმთავრესად ქვეითმა ჯარებმა, და შლიახტის რაინდული სამსახური ჰკარგავდა წინანდებურ მნიშვნელობას. შლიახტიჩი აღარ კმაყოფილდებოდა უკვე წინანდელი შემოსავლით, რომელსაც იძლეოდა მისი მამული, ამ დროისათვის მისი მოთხოვნილებები გაიზარდა, იგი ისწრაფის ფუფუნებით ცხოვრებისაკენ. უცხოეთის ბაზარი უქმნიდა მას საშუალებას შემოსავლის წყაროების გაზრდისას. თუ წინათ შლიახტიჩი ექსპლოატაციას უწევდა გლეხობას უმთავრესად გამოსაღების გამორთმევით, ახლა მან დაიწყო საბატონო მეურნეობის — ფოლვერკების დაარსება და ამისათვის უპატრონო და სათემო მიწებს იყენებდა,

პოლონეთის ბევრ რაიონში იწყო ამ დროს ზრდა საბატონო საბეგრო მეურნეობამ. ამასთან დაკავშირებით ძლიერდებოდა გლეხობის ექსპლოატაცია. გლეხობისაგან რაც შეიძლება მეტი დამატებითი შრომის გამოსაქაჩავად, შლიახტა საჭიროებდა ცენტრალური ხელისუფლების დახმარებას. ამგვარად, შლიახტა ამ დროს მხარს უჭერდა სამეფო ხელისუფლებას, როგორც პანების მიერ წვრილ აზნაურების ჩაგვრის აღსაკვეთად, ისევე საკუთარი სავაჭრო ინტერესების დაცვისათვის და, ბოლოს, გლეხობაზე თავისი სოციალური ბატონობის დაცვისათვის. მაგრამ, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად, შლიახტა, ამავე დროს, ცდილობდა დაემორჩილებინა იგი თავისი კონტროლისათვის.

ჯერ კიდევ 1454 წ. შლიახტამ, თავისი მუქარის წყალობით, რომ შეწყვეტდა ორდენის წინააღმდეგ დაწყებულ ლაშქრობას და დაიშლებოდა თავ-თავის სახლებში, მიიღო მთელი რიგი პრივილეგიებისა, რომელნიც იცავდნენ მას პანთა ძალმომრეობისაგან. ეს იყო ეგრეთწოდებული ნ ე შ ა ვ ი ს ს ტ ა ტ უ ტ ე ბ ი 1454 წ., რომელნიც შეიცავდნენ მსხვილი ფეოდალების ზოგიერთი უფლებების შეზღუდვას შლიახტის სასარგებლოდ. მსხვილ ფეოდალებს მოესპოთ შესაძლებლობა ადგილობრივად სამოსამართლო და ფინანსიურ თანამდებობათა ხელში ჩაგდებისა. შლიახტამ მიიღო უფლება ჩივილისა ადგილობრივ ხელისუფალთა ბოროტმოქმედებებზე უშუალოდ მეფის წინაშე, მაგრამ ნეშავის სტატუტების უმთავრესი დადგენილება მდგომარეობდა იმაში, რომ ამიერიდან არ შეიძლებოდა რაიმე კანონის გამოცემა, რომელიმე ომის დაწყება შლიახტის თანხმობის გარეშე „საერთო საერო ყრილობაზე". ამგვარად, შლიახტამ მიიღო ახალი პოლიტიკური მნიშვნელობა, პოლიტიკური გავლენა პანებისა შეიზღუდა, და მეფემ შესძლო პანების წინააღმდეგობის დაძლევა შლიახტის შემწეობით.

როგორი იყო შლიახტის საერთო პოლიტიკური ორგანო?

შლიახტის პოლიტიკური ორგანიზაცია. XIV საუკუნის დამლევიდან ფეოდალებს შორის ყალიბდება განსაკუთრებული პოლიტიკური ორგანო სამეფო ხელისუფლებაზე გავლენის მოსახდენად და მართვა-გამგებლობაში მონაწილეობისათვის—პანების და შლიახტის ყრილობები—როგორც მთლიან სამეფოს ფარგლებში, ისევე პოლონეთის ცალკეულ ოლქებში. ეს ყრილობები პირ-

ველ ხანებში არ იკრიბებოდნენ რეგულარულად. მათ იწვევდნენ ტახტის შემკვიდრეობის საკითხებთან ან რაიმე მსხვილ სამხედრო წამოწყებასთან დაკავშირებით, რომლებზედაც საჭირო იყო ფეოდალთა თანხმობა. თვით კომპეტენცია ამ ყრილობებისა და მათი შემადგენლობაც კი არ იყო ზუსტად განსაზღვრული. მათზე იკრიბებოდნენ, უმთავრესად მსხვილი ფეოდალები, ბარონები, პანები, პრელატები. მათზე ცხადდებოდნენ აგრეთვე უმაღლესი მეფის მოხელენიც. შლიახტისაგან ცხადდებოდა ის, ვისაც სურდა ან შეეძლო მოსვლა, ჩვეულებრივ იმ ოლქებიდან, რომელნიც ახლოს მდებარეობდნენ ამ ყრილობის შეკრების ადგილიდან. ყრილობებზე გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ პანებს და პრელატებს. შლიახტის როლი იყო მეტ ნაწილად პასიური. მაგრამ ამ მდგომარეობამ იწყო შეცვლა XV საუკ., როდესაც შლიახტა გამოვიდა მოჟნოვლადსტვოს წინააღმდეგ, როგორც დამოუკიდებელი ძალა.

პოლონეთის ცალკეულ რაიონებში, სავოევოდოებში, იკრიბებოდნენ ეგრეთწოდებული „სეიმიკები". ეს სეიმიკები წარმოადგენდნენ ადგილობრივი შლიახტის ყრილობებს, რომლებზედაც იგი სწყვეტდა ყველა იმ საკითხებს, რომელნიც შეეხებოდნენ მას, და, პირველ ყოვლისა, საკითხებს ახალი გადასახადების შესახებ. პირველ ხანებში მეფე თვითონ დაიარებოდა ამ სეიმიკებზე, მაგრამ შემდეგ ამის მოუხერხებლობასთან დაკავშირებით, მან იწყო რომელიმე განსაზღვრულ პუნქტში რამოდენიმე სეიმიკის წარმომადგენელთა მიწვევა. დაბოლოს, ზოგჯერ მეფის მოთხოვნით შლიახტის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ მთლიანი პოლონეთის საერთო სეიმზე. ეს სეიმიკების სისტემა შეიქმნა შლიახტის ბატონობის ძირითად დასაყრდენად. ვინაიდან ორდენთან ბრძოლისათვის კაზიმირი IV საჭიროებდა დიდ სახსრებს, იგი იძულებული იყო ხშირად მიემართნა სეიმიკებისათვის და ამით განემტკიცებინა მათი პოლიტიკური მნიშვნელობა.

მოჟნოვლადცების ყრილობებისაგან და სეიმიკების სისტემისაგან, XVI საუკ. დამდეგს საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეგრეთწოდებული ვალნური სეიმი, ე. .ი საერთო სეიმი მთელი სახელმწიფოსათვის. ეს სეიმი იყოფოდა ორ პალატად: ზემო პალატად, სენატად, ანუ საგვირგვინო რადად, რომელშიაც ბჭობდენ მოჟნოვლადცები, პრელატები და დიდმოხელეები პოლონეთის სამეფოსი, და მეორე პალატად — საელჩო კარვად, რომელშიაც იკრიბებოდნენ სეიმ-კრებაზე არჩეულ შლიახტის დეპუტატები. სეიმიკების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა: ისინი არა თუ მარტო ირჩევდნენ დეპუტატებს, არამედ აგრეთვე ადგენდნენ მათთვის სავალდებულო განაწესებს. ვალნურ სეიმში დეპუტატები თავისი სახელით კი არ გამოდიოდნენ, არამედ როგორც სეიმიკების წარმომადგენლები.

ტევტონური ორდენის დამორჩილება. შლიახტის დახმარებით კაზიმირ IV დააბოლოვა ომი ორდენთან. ამას ძალიან შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ორდენის სამფლობელოების ქალაქები და თავად-აზნაურობა ებრძოდა ორდენსა და ეძებდა დასაყრდენს პოლონეთში.

1466 წ. ტორუნის ზავით ორდენი იძულებული იყო ეცნო თავისი ვასალური დამოკიდებულება პოლონეთისაგან. ორდენის გროსმაისტერმა იკისრა დაედო ვასალური ფიცი პოლონეთის მეფის წინაშე და დაკარგა უფლება და-

მოუკიდებლად კავშირების შეკვრისა და ომის გამოცხადებისა. გდანსკი და დასავლეთი პრუსია შეუერთდნენ უშუალოდ პოლონეთს. ეს იყო უდიდესი მოვლენა, რომელმაც გაუხსნა პოლონეთს გასავალი ბალტიის ზღვისაკენ, ხელი შეუწყო პოლონური საქონლის გაზიდვას და ამით აამაღლა შლიახტის მნიშვნელობა, როგორც დასავლეთისთვის ნედლეულის მიმწოდებლისა.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერება. ახლა პოლონეთი იქცა დიდ პოლიტიკურ ძალად. კაზიმირ IV ძე ვლადისლავი არჩეულ იქნა ჯერ ჩეხიის, და შემდეგ უნგრეთის მეფედ, მან გააერთიანა ამგვარად თავის ხელში ეს ორი მოსაზღვრე სამეფო. ამ ძლიერების ზრდისა და ამ დიდი რესურსების გამოყენების წყალობით, რომელთაც იძლეოდა მზარდი ვაჭრობა, ხოლო უმთავრესად შლიახტაზე დაყრდნობით, მეფემ დაიჭირა გაბატონებული მდგომარეობა სამეფოში მაგნატების მიმართ. კაზიმირმა გამოიყენა აგრეთვე ეკლესიის განხეთქილება თავისი ხელისუფლების გასაძლიერებლად ეკლესიაზე. მან მიიღო უფლება უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნისა, მიუხედავად უმაღლესი სამღვდელოების ნაწილის ოპოზიციისა.

დიდი იდეოლოგიური როლი ითამაშა ამაში კრაკოვის უნივერსიტეტმა. კრაკოველი იურისტები ანვითარებდნენ რომის სამართლის მოძღვრებას მეფის შეუზღუდავი ძალაუფლების შესახებ. რასაკვირველია, თეზისი სამეფო ძალაუფლების შეუზღუდველობისა პოლონეთში, თვით კაზიმირ IV ხანისთვისაც კი მეტად გაბედული იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო თვით ამ იდეის წამოყენება. იმ დროის ცნობილი პოლონელი პოლიტიკური მოაზროვნის იან ოსტროროგის ტრაქტატში უკვე ვითარდებოდა თეორია სამეფო აბსოლუტიზმისა და ეკლესიის დამორჩილებისა მეფის ინტერესებისადმი.

ქალაქები და შლიახტა XV საუკ. მეორე ნახევარში. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, სოციალური ბაზა, რომელსაც ეყრდნობოდა ეს გაძლიერება სამეფო ხელისუფლებისა, უწინდებურად ვიწრო იყო. ეს იყო შლიახტა. XV საუკუნე ითვლება პოლონური ქალაქების უდიდესი აყვავების ხანად, მაგრამ მათი პოლიტიკური გავლენა უმნიშვნელო რჩებოდა. XV საუკ. ქალაქებმა გაიფართოვეს თვითმართველობის უფლებები, მაგრამ ისინი ცდილობდნენ მხოლოდ საკუთარი პრივილეგიების გაზრდას და თითქმის სრულიად მოსწყდნენ საერთო პოლიტიკურ ცხოვრებას. ქალაქთა წარმომადგენელნი იშვიათად ცხადდებოდნენ სეიმიკებზე. მხოლოდ კრაკოვი გზავნიდა ზოგჯერ დეპუტატებს სეიმზე. ქალაქებსა და შლიახტას შორის წარმოებდა ეკონომიური ბრძოლა, რომლის ბედ-იღბალი გადაწყვიტა შლიახტის პოლიტიკურმა უპირატესობამ.

შლიახტამ მიიღო მნიშვნელოვანი პრივილეგიები ქალაქების ხარჯზე. უკვე XV საუკ. პროდუქტების ფასთა რეგულირება გადადის ვოევოდების ხელში. შლიახტა ღებულობს უახლოესი ბაზრებიდან საქონლის უბაჟოდ მიღების უფლებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1496 წ. პ ე ტ რ ო კ ო ვ ს კ ი ა ს ტ ა ტ უ ტ ი, რომლის ძალით შლიახტამ მიიღო უფლება თავისუფალი ზღვაოსნობისა ვისლათი საზღვარგარეულ, ე. ი. უფლება თავისი პროდუქტების თავისუფლად უბაჟოდ გატანისა. ეს უფლება ებოძა მხოლოდ შლიახტას, ქალაქის ვაჭრები არ სარგებლობდნენ იმით. შლიახტამ მიიღო აგრეთვე უფლება

საქონლის უბაჟოდ შემოტანისა უცხოეთიდან, და ამგვარად, ქალაქის ვაჭრების შუამავლობა აღმოჩნდა ზედმეტი. მოქალაქეთ აეკრძალათ შლიახტის მიწების შეძენა. დაბოლოს, შლიახტას ებოძა პროპინაციის უფლება, ე. ი. განსაკუთრებული უფლება სპირტიანი სასმელების წარმოებისა და გაყიდვისა. ყველა ამ პრივილეგიებმა შესაძლებლობა მისცა შლიახტას თავისი შემოსავლის წყაროების მნიშვნელოვნად გაზრდისა და ისინი ძირს უთხრიდნენ საქალაქო წოდების შემდგომი ეკონომიური განვითარების საფუძველს. ამავე სტატუტის ძალით ამიერიდან მხოლოდ შლიახტის წოდების ხალხიდან დანიშვნა შეიძლებოდა უმაღლეს სასულიერო თანამდებობებზე — ეპისკოპოსებად და კანონიკებად. მეშჩანები მოკლებული იყვნენ ამ თანამდებობების დაჭერის უფლებას.

პეტროკოვსკის სტატუტმა, ისევ და ისევ შლიახტის სასარგებლოდ, კიდევ უფრო შეზღუდა გლეხობის უფლებები. შემოღებულ იქნა ახალი შეზღუდვები გლეხების ადგილიდან წასვლისა: დაწესებულ იქნა გაქცეული გლეხების ძებნის უფლება, ამის ყოველგვარი ვადებით შეუზღუდავად. გლეხს უფლება ჰქონდა მიემართნა სასამართლოსათვის მხოლოდ თავისი მემამულის საშუალებით, რითაც აღიკვეთა შესაძლებლობა გლეხის ჩივილისა მებატონეზე.

შლიახტამ მიიღო გლეხობის ექსპლოატაციის გაძლიერების შესაძლებლობა. ამას შედეგად მოჰყვა საბატონო ბეგარის საყოველთაო ზრდა. პირველ ყოვლისა და ყველაზე მეტად საბატონო ბეგარა მატულობდა იმ მამულებში, რომელნიც მდებარეობდნენ ვისლასა და მისი შენაკადების, ე. ი. საზღვარგარეთ საქონლის გატანის უმთავრესი გზის, მახლობლად.

შლიახტა პირველ ხანებში მხარს უჭერდა სამეფო ხელისუფლებას, ვინაიდან იგი საჭიროებდა მას თავისი პრივილეგიების განსამტკიცებლად, პანების პოლიტიკური ბატონობის შესაზღუდად, ქალაქებთან საბრძოლველად, და გლეხთა ექსპლოატაციის გასაძლიერებლად. მაგრამ სამეფო ხელისუფლებამ, რომელსაც არ გააჩნდა ფართო ბაზა, ვერ მოიპოვა პოლონეთში ისეთივე გაბატონებული მდგომარეობა, როგორიც მიიღო მან იმ დროს დასავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნებში. აბსოლუტური მონარქია, რომელსაც ჩვენ ვხედავთ იმჟამად დასავლეთში, ვერ დამყარდა პოლონეთში. მასში განმტკიცდა შლიახტის ბატონობა. შლიახტის ამ ბატონობამ, დამყარებულმა გლეხობის ჩაგვრაზე, შეამზადა ის პოლიტიკური ქაოსი, რომლის წყალობითაც XVIII საუკ. პოლონეთი იქცა ძლიერ მეზობელ სახელმწიფოთა მსხვერპლად.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив Маркса и Энгельса", т. V, стр. 74, 77, 95—97, 104—105, 345—348) и т. II („Архив Маркса и Энгельса", т. VI, стр. 129, 196—200, 246—247, 876, 393). — Маркс и Энгельс, Прения по польскому вопросу во Франкфурте, Соч., VI.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. II, ч. I, 1938. стр. 200—214.

III. გამოკვლევები. დამხმარე წყაროები. Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века, 1897, т. II стр. 679—709, т. III, стр. 768—788. — Любавский, Истории западных славян, М. 1918. — Мархлевский, Очерки истории Польши, Соч., т. VI, 1931. — Бобржинский, Очерк истории Польши, т. I, Спб. 1888. — Грабеньский, История польского народа, Спб. 1910. — Кутшеба, Очерки истории общественно-государственного строя Польши, 1907. — Бальцер, К истории общественно-государственного строя Польши, Спб. 1903 — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн изд., т. III, ст. 66—68.

თავი XXX

უნგრეთი და ბალკანეთის ქვეყნები XI—XV საუკ.

1. უნგრეთი XI—XV საუკ.

უნგრეთის სამეფოს წარმოშობა. უნგრეთი ჩამოყალიბდა სამეფოდ XI საუკ. დამლევს. X საუკ. დამდეგს უნგრელებმა გაანადგურეს მორაველთა კავშირი და დაიპყრეს ნაწილი მისი მიწა-წყლისა (იხ. თავი VIII). დაპყრობილი ოლქის მოსახლეობა ნაწილობრივ ამოწყვიტეს, ნაწილობრივ კი დაბეგრეს ხარკებით. IX საუკ. დამლევს და X საუკ. დასაწყისში უნგრელები ახდენდნენ სასტიკ თარეშს არა მარტო მეზობლად მდებარე გერმანიაზე, არამედ საფრანგეთზედაც, ესპანეთზედაც, იტალიაზედაც. ისინი ჩნდებოდნენ მოულოდნელად და, როგორც გრიგალი, დაჰქროდნენ მთელ ევროპაში, სწვავდნენ და ჰბუგავდნენ სოფლებს, ქალაქებს, მონასტრებს, მიერეკებოდნენ ტყვედ მრავალ ხალხს. ტყვეებს ისინი ნაწილობრივ თვითონ იყენებდნენ მონებად, ნაწილობრივ ჰყიდდენ აღმოსავლეთში.

საქსონური დინასტიის მეფეებმა დაიწყეს რეგულარული ბრძოლა უნგრელებთან (იხ. თავი VI). 955 წ. ზდინარე ლეხთან მომხდარ ბრძოლაში ოტონ I აწვნია უნგრელებს საშინელი დამარცხება. ამის შემდეგ უნგრელთა თარეშები მიყუჩდა, მით უმეტეს, რომ უნგრელებმა თანდათანობით დაიწყეს გადასვლა ბინადრულ მიწათმოქმედებაზე.

X საუკ. უნგრელებში ხდება საგვარეულო წყობილების დაშლა და მძლავრი არისტოკრატიის გამოყოფა, რასაც განსაკუთრებით უწყობდა ხელს მონათმფლობელობის არსებობა და დაპყრობილ ტომთა ექსპლოატაცია.

სტეფანე I არპადი. კლასობრივი საზოგადოების განვითარებასთან ერთად ისახება სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. უნგრელებს უჩნდებათ არპადების გვარის მთავრები, რომელნიც თანდათანობით ავრცელებენ თავიანთ ძალაუფლებას მთელ უნგრეთზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია როგორც მნიშვნელოვანი გარდატეხის მომენტი, სტეფანე I არპადის (997—1038 წწ.) მმართველობა, რომელმაც 1000 წ. მიიღო მეფის ტიტული. სტეფანემ მიითვისა უპატრონო მიწები, რომელნიც წინათ იმყოფებოდა საგვარეულო ჯგუფთა განუყოფელ სარგებლობაში და დაიწყო ამ მიწების დარიგება თავისი დაახლოებულ ხალხისათვის. საგვარეულო არისტოკრატიის გვერდით დაიწყო წარმოშობა მსახურეული არისტოკრატიისა, რომელიც დაკავშირებული იყო მეფესთან სა-

მიწათმფლობელო და პირადული ურთიერთობით. შემოღებულ იქნა დანაწილება ოლქებად, რომელიც წარმოადგენდა ერთობ ზერელე ზედნაშენს უძველეს საგვარეულო ორგანიზაციაზე. უნგრეთი დაყოფილ იქნა ეგრეთწოდებულ კომიტატებად. ეს არის ლათინური სიტყვა, საგრაფოს აღმნიშვნელი. ყოველ კომიტატს სათავეში ჩაუყენეს მეფის მოხელე; მას ეწოდებოდა იშპანი. ეს არის დამახინჯებული სიტყვა, წარმოშობილი „ჟუპანი"-საგან.

ყოველ კომიტატში აგებული იყო ციხე-კოშკი, მასში იჯდა იშპანი, რომელსაც ეპყრა იგი სახელმწიფოს დასაცავადაც და აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის მღელვარების ჩასაქრობადაც. იშპანს ჰქონდა აგრეთვე სხვა ფუნქციებიც: იგი ჰკრეფდა სამეფო კუთვნილ გადასახადებს და შემოსავალს და მეფის სახელით აწარმოებდა სამართალს.

უნგრეთის ფეოდალიზაცია და ქრისტიანიზაცია. სტეფანეს დროს მოხდა უნგრეთის ძალდატანებითი მოქცევა კათოლიკობაზე. სტეფანემ მიიღო ეკლესიისაგან „წმინდანის" სახელწოდება. აქაც ქრისტიანიზაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული საზოგადოების ორგანიზაციასთან ფეოდალურ საფუძვლებზე. ბრძოლა ქრისტიანობის დანერგვის წინააღმდეგ უნგრეთში ატარებდა შეუპოვარ ხასიათს. წარმართობა იყო საგვარეულო ჯგუფთა იდეოლოგია, ქრისტიანობა კი — ფეოდალიზმისა, რომელიც იკიდებდა ფეხს.

ფეოდალიზაციის პროცესში თვალსაჩინო როლს ასრულებდა დასავლეთის გავლენა, განსაკუთრებით კი გერმანიისა. გერმანულ რაინდობაში უნგრეთის მეფეები ჰხედავდნენ დასაყრდენს საგვარეულო წყობილების წინააღმდეგ. ხშირად ისინი იწვევდნენ გერმანულ რაინდებს და ურიგებდნენ მათ მიწებს. ამგვარად ჯერ კიდევ უნგრეთის სახელმწიფოს არსებობის ადრეულ ეპოქაში დაიწყო გერმანიის რაინდების კოლონიზაცია.

სტეფანესა და მისი შემკვიდრეების დროს ადგილი აქვს მთელ რიგ ამბოხებებს, მიმართულს ქრისტიანიზაციის, მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრისა და მისი ფეოდალებისადმი დამორჩილების ცდების წინააღმდეგ. გლეხები, შეიარაღებულნი კეტებით, სარებით, ფიწლებით ებრძოდნენ გერმანულ დაქირავებულ რაინდობას. XI საუკ. დამლევს ეს მოძრაობა ძირითადად გასრესილ იქნა, და ფეოდალიზმმა გაიმარჯვა უნგრეთში.

XI საუკ. დამლევს და XII საუკ. დამდეგს ხდება უნგრეთის მნიშვნელოვანი ტერიტორიული გაფართოვება, რამაც ითამაშა დიდი როლი მის ეკონომიურ განვითარებაში. აღმოსავლეთით უნგრეთს შემოურთეს ტრანსილვანია, სამხრეთით — ხორვატია და დალმაცია; ამგვარად, უნგრეთმა ხელში ჩაიგდო ადრიატიკის ზღვაზე გასავალი, მაგრამ ამის შედეგად იგი ჩაბმული აღმოჩნდა ხანგრძლივ ბრძოლაში ვენეციისა და ბიზანტიის წინააღმდეგ. გაცხოველდა სავაჭრო ბრუნვა უნგრეთის გავლით, განსაკუთრებით მის უმთავრეს გზაზე — დუნაიზე. ამ გზამ მიიღო უდიდესი მნიშვნელობა: იმით მიემგზავრებოდნენ ჯვაროსნები აღმოსავლეთისაკენ; ამ გზით მყარდებოდა კავშირი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

XII და XIII საუკ. ხდება ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი განმტკიცება, მნიშვნელოვანი ზრდა მსხვილი მიწათმფლობელობისა, განსაკუთრე-

ბიან საეკლესიოსი, მახვილ ფეოდალთა დამოუკიდებლობისა და ეკლესიის ძლიერების ზრდა. მეორე მხრივ, შესამჩნევია სამეფო ძალაუფლების შესუსტება ფეოდალთათვის მამულების დარიგებათა შედეგად, რაც თანდათან ლევდა მიწის ფონდს, შექმნილს არპადების დინასტიის პირველი მეფეების დროს. ძლიერდება დამოუკიდებლობა სამეფო ხელისუფლების წინანდელი ორგანოებისა. კაროლინგთა მონარქიის გრაფებისდაგვარად, იშპანები იქცევიან მემკვიდრეობით ფეოდალებად კომიტატებში.

ანდრია II ოქროს ბულა. ფეოდალთა, განსაკუთრებით კი უნგრეთის მრავალრიცხოვანი შლიახტას წინაშე, სამეფო ხელისუფლების დათმობათა ძეგლს წარმოადგენს 1222 წ. ოქროს ბულა, რომელიც იძულებული იყო გამოეცა უნგრეთის მეფე ანდრია II. 1222 წ. ოქროს ბულა, ისევე, როგორც ინგლისური თავისუფლებათა დიდი ქარტია, რომელსაც მას ხშირად ადარებენ, წარმოადგენდა უნგრეთის თავისებურ ფეოდალურ კონსტიტუციას, თავად-აზნაურობის უფლებათა და პრივილეგიათა დადასტურებასა და განმტკიცებას. ბულა უმტკიცებდა თავად-აზნაურებს მეფის მიერ დარიგებულ ბენეფიციუმებს სრულ საკუთრებად. იგი უზრუნველჰყოფდა სეიმის ყოველწლიურ მოწვევას, რომლის შემადგენლობა თუმცა ღა ძლიერ გაურკვეველი იყო. აქ, ისევე, როგორც პოლონეთში, ჯერ კიდევ ვერ დამყარდა იმ დროს რამოდენადმე რეგულარული წარმომადგენლობა. სეიმზე იწვევდნენ მსხვილ სენიორებს, ხოლო წვრილ ფეოდალთაგან იკრიბებოდნენ ისინი, ვისაც შეეძლო და სურვილი ჰქონდა ამისი. თავად-აზნაურობა განთავისუფლებული იყო გადასახადთაგან. შეზღუდულ იქნა სამეფო აგენტების უფლებები თავად-აზნაურობის მიმართ, კომიტატებში გაუქმებულ იქნენ მეფის მიერ დანიშნული ყველა თანამდებობანი. თვითმართველობა გადაეცა ადგილობრივ თავად-აზნაურობას. კომიტატს ამიერიდან დაერქვა „niversitas nobilium"—დიდკაცების გაერთიანება. კომიტატს ჰმართავდა ახლა დიდკაცობა, რომელიც ირჩევდა თავის კრებებზე ყველა თანამდებობის პირებს.

ამას გარდა თავად-აზნაურობას ებოძა უფლება იმისა, რომ ემსახურნა მეფისათვის მხოლოდ სახელმწიფოს ფარგლებს შიგნით. თავად-აზნაურობის სამხედრო ძალთა სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ გაყვანისათვის საჭირო იყო მათი სპეციალური თანხმობა ამაზე. მეფემ აღუთქვა არ დაერიგებინა უცხოელთათვის მიწები და წყალობანი.

ოქროს ბულას უკანასკნელი მუხლი მოგვაგონებს თავისუფლებათა დიდ ქარტიის უკანასკნელ მუხლს. იგი აკანონებდა უფლებას მეფისათვის წინააღმდეგობის გაწევისა, იმ შემთხვევაში, თუ მეფე არ შეასრულებდა ოქროს ბულას დებულებებს. ამ შემთხვევაში თავად-აზნაურობას უფლება ჰქონდა ავღანყებისა მეფის წინააღმდეგ, რათა აიძულებინა იგი დამორჩილებულიყო.

გერმანული კოლონიზაცია და ქალაქები. ფეოდალთა დამოუკიდებლობის ზრდამ და განუწყვეტელმა შინა-ომებმა მათ შორის, შეასუსტეს უნგრეთის სამხედრო ძლიერება, და როდესაც 1241 წ. ქვეყანას თავს დაესხნენ მონღოლები, მათ ადვილად გასტეხეს უნგრეთის ჯარების წინააღმდეგობა, აოხრეს მთელი უნგრეთი, და თავიანთი ლაშქრობებით ადრიატიკის ზღვას მიაღწიეს. როდესაც

მონღოლები დაბრუნდნენ უკან აღმოსავლეთში, უნგრეთი წარმოადგენდა თითქმის უდაბნოს, და საჭირო აღმოჩნდა უდიდესი ძალთა დაჭიმვა, მისი საშეურნეო ცხოვრების აღსადგენად. მნიშვნელოვანი როლი ამაში შეასრულეს კოლონისტებმა, მეფის მიერ მეტწილად გერმანიიდან მიწვეულებმა.

ნაწილობრივ გერმანულ კოლონიზაციასთან დაკავშირებით, ნაწილობრივ საავაჭრო ბრუნვის გაზრდის შედეგად, უნგრეთში XIII საუკ. შესამჩნევი ხდება ქალაქთა ზრდა, მაგრამ ეს ქალაქები ჯერ კიდევ დიდ ხანს, ისევე როგორც პოლონეთშიაც, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში თამაშობდნენ მეორეხარისხოვან როლს. ისინი დასახლებული იყვნენ მეტ ნაწილად გერმანელებით და ებრაელებით, რომელნიც იმჟამად უნგრეთში სარგებლობდნენ თანასწორუფლებიანობით და თემური თვითმართველობით. უნგრეთის ეკონომიკის განვითარება ხელს უწყობდა უფრო სოფლის მეურნეობას, ვიდრე ქალაქთა განვითარებას. უნგრეთიდან ექსპორტის უმთავრეს საგნად იქცა იმ დროს ღვინო, რომელმაც სახელი გაითქვა მთელს ევროპაში.

ანჟუელთა დინასტია. 1301 წ. უნგრეთის სამეფო ტახტზე შეწყდა არპადთა დინასტია და დაიწყო ბრძოლა უნგრეთის ტახტისათვის. 1310 წ. ტახტი გადავიდა მეფე კარლოს რობერტის ხელში, რომელიც ეკუთვნოდა ანჟუელთა დინასტიას. კარლოს რობერტი პატრონობდა გერმანელ კოლონისტებს მიწის დამუშავების გასაუმჯობესებლად და აგრეთვე გერმანელ მემადაროებს უნგრეთის ოქროსა და ვერცხლის მაღაროების დასამუშავებლად. უნგრეთი „იქცა კეთილშობილი ლითონებით უმდიდრეს ქვეყანად, მას შემდეგ, რაც მისი მაღაროების დამუშავებას ხელი მოჰკიდეს იქ გადასახლებულმა საქსონელებმა და ბავარიელებმა. ამ ოქრომ შესაძლებლობა მისცა კარლოს რობერტს ეთამაშნა მედიატორე, მსაჯულის როლი მეზობელ სლავურ ხალხებს შორის, მაგ., ჩეხიის და პოლონეთის მეფეთა შორის“.[1]

XIV საუკ. დამდეგს ანჟუელთა დინასტიის მეფეები ცდილობენ თავიანთი ხელისუფლების გაძლიერებას. ქალაქებზე და საშუალო შეძლების და წვრილ აზნაურობაზე დაყრდნობით, ისინი ცდილობდნენ მსხვილი ფეოდალების პოლიტიკური დამოუკიდებულობის მოსპობას. განსაკუთრებით ითქმის ეს ანჟუელთა დინასტიის ყველაზე უფრო გამოჩენილი მეფის — ლუდოვიკოს მეფობაზე (1342—1382 წწ.), რომელსაც 1370 წლიდან ეპყრა პოლონეთის სამეფო ტახტიც. მის დროს უნგრეთმა მოიხვეჭა დიდი პოლიტიკური გავლენა ევროპაში. ლუდოვიკო აწარმოებდა ფართო საგარეო პოლიტიკას. მას ეკუთვნის გეგმა სამხრეთ იტალიაში ანჟუელთა სამფლობელოების, ე. ი. ნეაპოლის სამეფოს, გაერთიანებისა უნგრეთთან. ამ მიზნით მან მოაწყო ორი ლაშქრობა იტალიაში, თუმცა კი მათ არ გამოუღიათ არავითარი სასურველი ნაყოფი.

მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლის დროს, ანჟუელთა დინასტიის მეფეები ერიდებოდნენ სეიმების მოწვევას. რომელნიც წარმოადგენდნენ დიდკაცობის მთავარ ორგანოს, და ქვეყანას მართავდნენ თავიანთი სამეფო საბჭოს საშუალებით, რომელშიაც იწვევდნენ მომეტებულად სამღვდელოებას. სეიმი მოწვე-

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. V, [illegible]

ულ იქნა მხოლოდ 1351 წ. ამ სეიმს, რომელმაც გამოსცა ეგრეთწოდებული Decretum unicum, უნდა განემტკიცებინა მეფის შეთანხმება თავად-აზნაურობასთან. თავად-აზნაურობა გადასცემდა მეფეს უზენაეს ძალაუფლებას, სამაგიეროდ კი მეფე დახმარებას უწევდა თავად-აზნაურობას გლეხობის დაყმევებაში.

Decretum unicum, პირველ ყოვლისა, ადგენდა, რომ მხოლოდ აზნაურებს შეეძლოთ მიწის მესაკუთრეებად ყოფნა. გლეხობა დაიბეგრა დამატებითი გამოსაღებებით მებატონეთა სასარგებლოდ, მათ აეკრძალათ თავისუფლად ადგილიდან ადგილზე გადასვლა, დაბოლოს, ისინი სავსებით დაუმორჩილეს მემამულის სასამართლოს. აზნაურული სამფლობელოები გამოცხადებულ იქნენ განუსხვისებლად.

ანჟუელთა დინასტია ეყრდნობოდა არა მარტო თავად-აზნაურობას, არამედ მზარდ ქალაქებსაც. XIII-XIV საუკუნეები—წარმოადგენს ქალაქთა სწრაფი ზრდისა და უნგრეთის მრეწველობის, განსაკუთრებით სამთომადნო მრეწველობის, აყვავების ეპოქას, დაწინაურდნენ ისეთი ქალაქები, როგორიც იყვნენ პეშტი, ბუდა, პრესბურგი, კაშაუ, კრონშტადტი და სხვ. ქალაქებში შეიქმნენ საამქროები დასავლეთ ევროპის ყაიდაზე. უნგრეთმა დაიჭირა თვალსაჩინო ადგილი სატრანზიტო ვაჭრობაში დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთს შორის.

1382 წ. ლუდოვიკოს სიკვდილთან ერთად უნგრეთში მოისპო ანჟუელთა დინასტია. ტახტისათვის ბრძოლის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ უნგრეთის სამეფო გვირგვინი წილად ხვდა სიგიზმუნდ ლუქსემბურგელს, რომელიც 1411 წ. შეიქმნა გერმანიის იმპერატორად (იხ. თავი XXIV).

თურქ-ოსმანთა შემოტევა. ამ დროისათვის უნგრეთის ისტორიაში ჩნდება ახალი მნიშვნელოვანი ფაქტორი—თურქ-ოსმანები, რომელთაც ახლა იწყეს სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო როლის თამაში აღმოსავლეთ ევროპაში. უნგრელებისათვის თურქებთან ბრძოლა იქცა ერთ-ერთ უუმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო საკითხად. სიგიზმუნდმა მიმართა ევროპის მეფეებს თურქების წინააღმდეგ საერთო ლაშქრობის მოწყობის წინადადებით. მართლაც შესდგა ისეთი საყოველთაო ლაშქრობა დასავლეთ ევროპის რაინდობისა თურქების წინააღმდეგ. 1396 წ. ნიკოპოლთან დუნაიზე, ახლანდელ ბულგარეთში, მოხდა ბრძოლა დასავლეთელი რაინდობისა სულთანის ბაიაზიდის ჯარებთან, რომელიც დასრულდა თურქთა სრული გამარჯვებით. თვით სიგიზმუნდმა ძლივს უშველა თავს ბრძოლის ველიდან გარიდებით. მართალია, თურქებმა იმჟამად ვერ გამოიყენეს თავიანთი გამარჯვება, მაგრამ თურქეთის საშიშროება ამიერიდან ემუქრება უნგრეთს.

იანოშ გუნიადი და მათე კორვინი. 1437 წ. სიგიზმუნდი მოკვდა, და უნგრეთში დაიწყო გაუთავებელი ბრძოლა სამეფო ტახტისათვის, რომელიც გადადიოდა ხან ჰაბსბურგთა, ხან იაგელონთა ხელში, სანამ უნგრეთის ტახტზე არ დამკვიდრდა ეროვნული უნგრული დინასტია.

თურქებთან ბრძოლის დროს დაწინაურდა სარდალი იანოშ გუნიადი, რომელსაც დაუმკვიდრდა ეროვნული გმირის სახელი, იგი შეიქნა უნგრეთის სამეფოს რეგენტად. მისი სიკვდილის შემდეგ მეფედ არჩეულ იქნა მისი ვაჟი-

შვილი მათე კორვინი (1458—1490 წწ.). კორვინის მმართველობის ხანა—უნგრეთის სიძლიერის უდიდესი აღმავლობის ხანაა.

რა ძალებს ეყრდნობოდა მათე კორვინი? პირველ ყოვლისა. წვრილ და საშუალო შეძლების აზნაურთა მასას. მათე კორვინის დროს სეიმი იწვეოდა თითქმის ყოველწლიურად. ამას გარდა, იკრიბებოდნენ მუდმივი ყრილობები სეიმიკებისა, ანუ კონგრეგაციებისა კომიტატებში. მეფე ეყრდნობოდა აგრეთვე ქალაქების მზარდ ძალას. მრეწველობისა და ქალაქების განვითარებამ აიძულა უნგრეთის მეფეები ამაზე უფრო ადრეც შემოეღოთ ზოგიერთი ცვლილებანი სეიმის სისტემაში. სეიმებში დაშვებულ იქნენ აგრეთვე ქალაქების წარმომადგენლები. ქალაქები იძლეოდენ მატერიალურ სახსრებს ფართო პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელსაც ატარებდა იმ დროს უნგრეთი.

მათე კორვინი აწარმოებდა წარმატებით ომებს ჩეხიასთან. მან დაიპყრო ნაწილი ჩეხიის ტერიტორიისა და ერთ დროს ეჭირა კიდეეაც ჩეხიის სამეფო ტახტი. მან დაიპყრო ავსტრია, ჰაბსბურგთა სამემკვიდრეო სამფლობელო.

მისი სიკვდილის შემდეგ, 1490 წ., მაგნატთა პარტიამ ჩააგდო უნგრეთი ხანგრძლივად პოლიტიკური ქაოსის მდგომარეობაში. ხელახლად დაიწყო გაუთავებელი ბრძოლა სამეფო ტახტისათვის, რომლის დროს მაქსიმილიანე ჰაბსბურგმა წაართვა უნგრეთს ავსტრია და სხვა მიწები, ჩამორთმეული მათე კორვინის მიერ ჰაბსბურგთაგან (იხ. თავი XXIV).

კურუცების აჯანყება. პოლიტიკურმა შინაომებმა და არეულობებმა კიდევ უფრო გააუარესეს უნგრელი გლეხობის მდგომარეობა. ამ ნიადაგზე 1514 წ. უნგრეთში მოეწყო ამ ქვეყნის ისტორიაში უდიდესი გლეხთა ამბოხება, ამბოხება ეგრეთწოდებული კ უ რ უ ც ე ბ ი ს ა (ჯვაროსნებისა), რომელიც იქცა ნამდვილ გლეხთა ომად. კურუცების ამბოხება დაკავშირებული იყო თურქების საწინააღმდეგო ჯვაროსნულ ლაშქრობასთან, რომელიც გამოაცხადა პაპმა ლეო X.

ამ ჯვაროსნულმა ლაშქრობამ მოიხვეჭა გლეხთა შორის არაჩვეულებრივი პოპულარობა, ვინაიდან იგი უქადდა ჯვაროსნულ ლაშქარში მონაწილეთ ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას. კურუცების ჯარებში მრავლად იწყეს თავმოყრა გამოქცეულმა გლეხებმა. გლეხურ ლაშქარს მასობრივად მიემხრნენ აგრეთვე უღარიბესი ელემენტები ქალაქებიდან. ბუნებრივია, რომ ყველა ამან ძალიან შეაშფოთა და შეაფიქრიანა უნგრეთის თავადაზნაურობა, რომელსაც ხრულიადაც არ სურდა ყმა მუშახელის დაკარგვა და ეშინოდა გლეხობის ორგანიზაციული გამოსვლისა. თავად-აზნაურების მოთხოვნით მეფე ვლადისლავმა შეაჩერებინა ჯარის კრება ჯვაროსნულ რაზმებში და უბრძანა სახალხო არმიის ხელმძღვანელ დოჟას, რომლის მეთაურობით შეიყარა 40 ათასი კურუცი, დაძრულიყო თურქთა წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ ახლა იფეთქა გლეხთა ამბოხებამ, რომლისაც ესოდენ ეშინოდათ მემამულეებს. ჯვაროსნული ლაშქარი იქცა რევოლუციურ არმიად დოჟას ხელმძღვანელობით. მან გამოიჩინა თავი არა მარტო როგორც დახელოვნებულმა სარდალმა, არამედ აგრეთვე როგორც გლეხთა მასების ნამდვილმა ბელადმა. დოჟა ავრცელებდა მთელ უნგრეთში მოწოდებებს, რომლებშიაც მოუწოდებ-

და გლეხებს გამოსულიყვნენ გლეხურ თავისუფლებათა დასაცავად, ამბოხება-ში მონაწილეობისა, აზნაურთა მამულების დარბევისა და ყველა აზნაურის შესამუსრად. თუ არა და, ამბობდა იგი, „თქვენ ამოგწყვეტენ, როგორც ძაღლებს, და გაწამებენ“.

გლეხებს მიემხრნენ აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენები. გლეხურმა არმიამ შესძლო ხელში ჩაგდება რამოდენიმე ციხე-სიმაგრისა და ქალაქისა. იგი უწევდა შეუპოვარ და წარმატებით წინააღმდეგობას თავად-აზნაურთა რაზმებს ოთხი თვის განმავლობაში. მაგრამ მოძრაობის ფართო გაქანებამ აიძულა თავად-აზნაურობა შემჭიდროვებულიყო და მთელი თავისი ძალების მობილიზაცია მოეხდინა. ამის შედეგად გლეხთა ამბოხება გასრესილ იქნა. თვით დოჟა დაიჭრა ბრძოლაში, ჩავარდა ტყვედ და დაისაჯა საშინელი სიკვდილით. მეამბოხეების მიმართ უნგრეთის თავად-აზნაურობის მძვინვარე შურისძიების შედეგად დაიღუპა რამოდენიმე ათე ათასი გლეხი. არ კმაყოფილდებოდნენ ამბოხების მონაწილეთა სიკვდილით დასჯით, არამედ მათ ოჯახებსაც აგებდნენ ყოველგვარ სასჯელს და წამებას. გლეხებს დააწერეს ვეებერთელა კონტრიბუცია მემამულეთა სასარგებლოდ.

გამარჯვება, მოპოვებული გლეხობაზე, განმტკიცებულ იქნა ეგრეთწოდებული „ველური სეიმის“ მიერ 1514 წ. ამ სეიმმა წაართვა გლეხებს საცხოვრებელი ადგილის გამოტვლის უფლება და დაადგინა გლეხური ბეგარების გადიდება. შემდეგ, 1515 წ. სეიმზე გატარებულ იქნა ახალი წესდება, ანუ კანონთა კოდექსი, ეგრეთწოდებული Decretum Tripartitum. იგი წარმოადგენდა უნგრული სამართლის კოდიფიკაციას ჰკაცრი წოდებრივი დანაწილების საფუძველზე. ერთადერთ სრულუფლებიან მოქალაქეებად—populus-ად ახლა აღიარებულ იქნენ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. ზოგიერთი პრივილეგიები დაშვებული იქნენ ქალაქის ზედა ფენისათვის. რაც შეეხება ხალხის დანარჩენ მასას, სახელდობრ ქალაქის ქვედა ფენებს და განსაკუთრებით კი გლეხების მთელ მასას, იგი დეკრეტში წოდებულია plebs-ად, ე. ი. ბრბოდ. Plebs-ი არ სარგებლობს არავითარი უფლებებით მიწაზე. მთელი მიწა-წყალი შეადგენდა მებატონეთა საკუთრებას. გლეხები საკუთრებით დამოკიდებულნი. უნდა ყოფილიყვნენ მებატონეთაგან და უნდა ემუშავნათ მათთვის.

უნგრეთის სახელმწიფოს დაცემა. ასე განიმტკიცა უნგრელმა თავად-აზნაურობამ ბატონობა გლეხობაზე. მაგრამ ეს გამარჯვება სავალალო აღმოჩნდა თვით თავად-აზნურობისათვის. გლეხობაზე გაწერილმა უზომოდ დიდმა კონტრიბუციამ წელში გაწყვიტა იგი, რასაც შედეგად მოჰყვა უნგრეთის სამხედრო ძალის გამოფიტვა. როდესაც დაიწყო თურქების ახალი შემოტევა, გახადგურებულ და გალატაკებულ გლეხობას აღარ გააჩნდა აღარავითარი სურვილი თავის მჩაგვრელთა სახელმწიფოს დაცვისა. ამას მოჰყვა სრული დამარცხება უნგრეთისა. მოგაჩითან ბრძოლის დროს (1526 წ.) თურქეთის სულთანმა სულეიმან მშვენიერმა საშინლად დაამარცხა უნგრელები. ამით მოეღო ბოლო უნგრეთის დამოუკიდებლობას. ამის შემდეგ უნგრეთი დაიშალა სამ ნაწილად. მისი ერთი ნაწილი დაიპყრეს თურქებმა, მეორე ნაწილი შეუერთეს

ჰაბსბურგთა სამფლობელოებს, ავსტრიას, და მხოლოდ აღმოსავლეთმა ნაწილმა შეინარჩუნა ერთგვარი დამოუკიდებლობა, თუმცა იგი იმყოფებოდა ვასალურ დამოკიდებულებაში თურქთაგან.

2. ბიზანტია, ბულგარეთი და სერბეთი XI—XV საუკუნეებში

ფეოდალიზმის გამარჯვება კომნენთა ხანაში. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა მიაყენეს ბიზანტიის იმპერიას მძიმე ჭრილობები, რომელთაგანაც მან ვეღარ შესძლო გამობრუნება. მათ დააკარგვინეს ბიზანტიას ის მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა, როგორც უმთავრეს შუამავალს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობაში, და ჩააყენეს იგი მეორეხარისხოვან სახელმწიფოს მდგომარეობაში.

კომნენთა დინასტია მოხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის ინტერესების წარმომადგენელი იყო. ფეოდალიზმმა სავსებით გაიმარჯვა XI საუკ. მიანებეს თავი თავისუფალ გლეხობის მფარველობის პოლიტიკას, იმ გლეხობისა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ბიზანტიის სამხედრო ძალის საფუძველს; ატარებდნენ პ რ ო ნ ი ა—ფეოდების—პრონიანართათვის გლეხობით დასახლებულ მიწების დარიგების—სისტემას (იხ. თავი XI). კომნენთა ხანაში ფართო გამოყენება ჰპოვა აგრეთვე ქ ა რ ი ს ტ ი კ ი ე ბ ი ს სისტემამ — სისტემამ სამონასტრო მიწების დარიგებისა საერო მფლობელთა სარგებლობაში. უხვად ურიგებდნენ XI საუკ. იმუნიტეტებს (ექსკუსია). გაისმის მრავალი საჩივრები გადასახადებზე; რომელნიც მომეტებულად კისერზე აწვნენ მშრომელ მოსახლეობას და ამავე დროს მეტი ნაწილი მსხვილი სამფლობელოებისა მათგან თავისუფალი იყვნენ. თანამედროვენი უწოდებდნენ გადასახადების ამკრეფთ „უფრო ყაჩაღებს, ვიდრე გადასახადების ამკრეფთ, რომელნიც არაფრად აგდებდნენ არც ღვთის ხამართალს და არც იმპერატორის ბრძანებას“. გამუდმებული ომები ჰფიტავდნენ მოსახლეობას და იწვევდნენ ახალ-ახალ გადასახადების საჭიროებას.

ჯარებში მთავარი როლი თანდათან მიეკუთვნა დაქირავებულ რაზმებს. X და XI საუკუნეებში მათ შორის ჰპარობდნენ ვარიაგები და რუსები, XI საუკ. დამლევიდან კი—ანგლო-საქსები. შეუძლებელია, რომ მათი მოზღვავება დაკავშირებული იყო ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობასთან.

ჯვაროსნების მიერ აღმოსავლეთში დაარსებული სახელმწიფოები უქმნიდნენ ბიზანტიას მუდმივ შუქარას და საფრთხეს. დასავლეთის უშუალო სავაჭრო კავშირი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, დამყარებული ჯვაროსნების მიერ დაპყრობილი ლევანტის ნავთსადგურების საშუალებით, აყენებდა დიდ ზიანს ბიზანტიის ვაჭრობას და ამას შედეგად ადევდა ხაზინის დაცარიელება. XII საუკ. ჯვაროსნები და ბიზანტია განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს, ამასთანავე ერთად ორივე მხარე კრავდა კავშირებს თურქეთის მთავრებთან.

ბიზანტიელი ისტორიკოსები ხატავენ XII საუკ. იმპერიის გაღატაკებისა და გაჩანაგების სავალალო სურათს. მაგრამ ბიზანტია დასავლეთელ მოგზაურებს ეჩვენებოდათ ჯერ კიდევ არაჩვეულებრივად მდიდარ ქვეყანად. დასავლეთელი მოგზაურები მოგვითხრობენ იმპერატორის ხაზინის უშველებელ შე-

მოსავალზე, რომელიც ვითომდა ღებულობდა მარტო კონსტანტინეპოლიდან 20 ათას ოქროს, ისინი იხსენებენ შენობათა სიმშვენიერეს, ძვირფას ტანსაცმელებს, საკვების სიუხვეს, უეჭველია, რომ ყველა ეს უფრო მოწმობს დასავლეთის სიღატაკეს, ვიდრე ბიზანტიის სიმდიდრეს.

ანდრონიკ კომნენი. სახალხო უკმაყოფილებამ კომნენთა პოლიტიკით, — რომელნიც იყვნენ ფეოდალური მიწათმფლობელობის წარმომადგენელნი, — მცირედი ხნით წინ წამოსწია და გაამეფა ანდრონიკ კომნენი (1183—1185 წწ.), ერთ-ერთი საინტერესო ფიგურათაგანი ბიზანტიის იმპერატორთა შორის.

მისი ცხოვრება — ნამდვილი ავანტიურული რომანია. მარქსი „ქრონოლოგიურ ამონაწერებში" ახასიათებს ანდრონიკს, როგორც „გენიალურ ადამიანს ალკიბიადურ—ნერონულ—ბიზანტიური ყაიდისას... პრინცი და ავანტიურისტი, გულადი, ბილწი, მოხერხებული, ვერაგი, რაინდული, არაჩვეულებრივ ძლიერი". იგი სარგებლობდა განსაკუთრებული პოპულარობით მოსახლეობაში, რომლისთვისაც „ერთი თანამედროვეს სიტყვით, იგი „ღმერთზე უფრო ძვირფასი იყო" მის ტახტზე ასვლას ხალხი შეხვდა დიდი აღტაცებით. მისი მეფობა იყო მეტად ხანმოკლე იმისათვის, რომ შეგვძლებოდა მოგვეცა სავსებით ზუსტი შეფასება მისი ღონისძიებისა. ძირითადად ისინი მდგომარეობდნენ მსხვილ ფეოდალურ მიწათმფლობელობასთან ბრძოლაში და მხარის დაჭერაში დაღუპვის გზაზე დამდგარი თავისუფალი გლეხობისათვის. ანდრონიკემ მიიღო ზომები საგადასახადო ტვირთის შესამსუბუქებლად, მოხელეთა აპარატის მძარცველობასთან საბრძოლველად. მოწყობილ იქნა საზოგადოებრივი სამუშაოები, კერძოდ სატახტო ქალაქის წყლით მოსამარაგებლად. სიკვდილით იქნა დასჯილი მთელი რიგი მიწათმფლობელი არისტოკრატიის წარმომადგენლებისა. ანდრონიკეს პოლიტიკამ გამოიწვია ბიზანტიელ დიდკაცობის გააფთრებული წინააღმდეგობა. იმპერატორის წინააღმდეგ შეადგინეს შეთქმულებები, რომლებზედაც მან უპასუხა სასტიკი რეპრესიებით. ანდრონიკეს მიერ დევნილი ფეოდალები გარბოდნენ იტალიაში და აქეზებდნენ იტალიის მთავრობებს სამხედრო მოქმედებებზე ანდრონიკეს წინააღმდეგ. დიდკაცობის შეთქმულებას, რომელიც დაემთხვა ნორმანელთა შემოსევას, შედეგად მოჰყვა ანდრონიკეს დაცემა. მტრებმა იძიეს შური და დასაჯეს იგი არაჩვეულებრივი წამებით. ტახტზე ავიდა ახალი დინასტია ანგელოსებისა (1185წ.).

ბიზანტია მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ. სამეფო ტახტისათვის ბრძოლა ანგელოსთა ოჯახში შეიქნა საბაბად მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მიმართულების შეცვლისათვის, კონსტანტინეპოლის აღებისა და გაძარცვისათვის, ლათინთა იმპერიის დაარსებისათვის. ბიზანტიამ, როგორც მთლიანმა სახელმწიფომ, შეწყვიტა თავისი არსებობა (იხ. თავი XVI). 1261 წ. აღდგენილი ბიზანტიის იმპერია პალეოლოგებისა წარმოადგენდა მხოლოდ აჩრდილს წინანდელი ძლიერი სახელმწიფოსი. მისი ტერიტორია გაცილებით უფრო მცირე იყო, ვიდრე კომნენთა ხანაში, იგი შეიცავდა მხოლოდ მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს, თრაკიის და მაკედონიის ნაწილს, თესალიას და ეგეოსის ზღვის ზოგიერთ კუნძულებს. ეპირის დესპოტატი წარმოადგენდა ბიზანტიისაგან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფს ცალკე სახელმწიფოს. ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი ეპირათ

სერბიასა და ბულგარეთს. შუა საბერძნეთი და მორეა (გარდა რამოდენიმე გამაგრებული პუნქტისა)ჯერ კიდევ ხელთ ეპყრათ „ლათინელ“ ფეოდალებს; მეტი ნაწილი კუნძულებისა ეკუთვნოდათ ვენეციელებს. ტრაპიზონის იმპერია არ შესულა აღდგენილ ბიზანტიის შემადგენლობაში. გენუამ, რომელიც ეხმარებოდა ნიკეის იმპერატორებს, ხელთ იგდო ვაჭრობა შავსა და ეგეოსის ზღვებზე.

თურქ-ოსმალები. XIII საუკ. დამლევიდან ბიზანტიას უჩნდება ახალი საშიში მტერი — თ ურ ქ-ო ს მ ა ლ ე ბ ი.. იკონიის სასულთნო, იმ დამარცხების შემდეგ, რომელიც განიცადა მან 1243 წ. მონღოლთაგან, დაიშალა მთელ რიგ ფეოდალურ სამფლობელოებად. მათ შორის უუძლიერესი იყო ოსმანი საემირო (1288—1326 წწ.), რომელმაც ხელი მიპყო დაპყრობებს მცირე აზიაში. ოსმანის ძემ ურხანმა, რომელმაც გამოაცხადა თავი სულთნად, ბრუსა დაიპყრო და აქცია იგი ოსმალთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქად. თურქებმა აიღეს ნიკეა, ნიკომედია და მიადგნენ მარმარილოს ზღვის სანაპიროებს. ისინი აწყობდნენ თარეშებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

ბიზანტიის დაცემა. იმპერია განიცდის დაცემის ხანას. კონსტანტინეპოლი ინარჩუნებდა მხოლოდ ძველი დიდების ნაშთს. XIV—XV საუკუნეების მოგზაურნი აღნიშნავენ, რომ ქალაქში მრავლად არის უპატრონო და დანგრეული შენობები. განიცდის დაცემას იმპერიის ადმინისტრატიული და ფინანსიური აპარატი. გადასახადების აკრეფა გაჩანაგებულ მოსახლეობისაგან სულ უფრო და უფრო ძნელდება.

გაღატაკებული მოსახლეობის ფეოდალთა და სახელმწიფოს მიერ ჩაგვრის გამო XIV საუკ. უაღრესად მწვავდება კლასთა ბრძოლა. XIV საუკ. 40-იან წლებში იმპერიის ქალაქებზე და მიწებზე გადაიარა ამბოხებათა ტალღამ.

1342 წ. ისარგებლეს რა ტახტის პრეტენდენტების ურთიერთ ბრძოლით, აჯანყდნენ ღარიბ-ღატაკნი თესალონიკში, რომელსაც ეჭირა მეორე ადგილი იმპერიაში სავაჭრო მნიშვნელობის მხრივ. მათ სათავეში ჩაუდგა ჰილოტების დემოკრატიული სექტა. ქალაქიდან გააძევეს მომეტებული ნაწილი დიდკაცებისა, მმართველობა გადავიდა ჰილოტების ხელში. 1345 წ. თესალონიკში მოხდა ხოცვა-ჟლეტა დიდკაცობისა, რომელიც შეეცადა ჰილოტების მმართველობის დამხობას. 1349 წლამდის თესალონიკი წარმოადგენდა დამოუკიდებელ რესპუბლიკას, რომელიც არ სცნობდა იმპერატორის ძალაუფლებას. აჯანყებამ მოიცვა მაკედონიის სხვა ქალაქებიც.

ბიზანტია კარგავს ხელმძღვანელი პოლიტიკური ძალის მნიშვნელობას ბალკანეთის ნახევარკუნძულზედაც კი. ეს როლი გადადის ჯერ ბულგარეთის, ხოლო შემდეგ სერბიის ხელში.

ბულგარეთი და სერბია ბიზანტიის ბატონობის უღელ ქვეშ. 1018 წ. მოსპობილ იქნა პირველი ბულგარული სამეფო ვასილი ბულგართა შემმუსრავის შიერ, ბულგარეთის მიწა-წყალი შეუერთდა ბიზანტიას. ბულგარელ ბოიარებს, რომელთაც გამოაცხადეს მორჩილება, ებოძათ ბიზანტიური ტიტულები და დაადასტურეს მათი პრივილეგიები. ამის შემდეგ სერბიელი ტომებიც იძულებული შეიქნენ ეცნოთ თავიანთი დამოკიდებულება ბიზანტიისაგან, მათ შეუ-

ნარჩუნეს მათი წინანდებური წყობილება. თუმცა ბიზანტიის ხელისუფალნი ცდილობდნენ დაპყრობილ ქვეყნების, განსაკუთრებით, ბულგარეთის სრულ დამორჩილებას. ბულგარული ეკლესიის სათავეში აყენებდნენ მხოლოდ ბერძენ არქიეპისკოპოსებს. ბიზანტიური მოხელეები აჩანაგებდნენ მათ ქვეყანას გადასახადებით, მოძალადე ყვლეფითა და მექრთამეობით. ამ ჩაგვრამ გამოიწვია მტრული გრძნობა მჩაგვრელ სახელმწიფოს წინააღმდეგ, და განთავისუფლებისადმი მისწრაფება. სლავთა შორის განუწყვეტლივ ხდება აჯანყებები.

ბიზანტიის ბატონობის უღელ ქვეშ ყოფნის ხანს ბულგარეთის ისტორიის შესახებ მოგვეპოვება ძალიან მცირე ცნობები. ბულგარეთში შემოღებულ იქნა ბიზანტიური კანონები (გადათარგმნილი ბულგარულ ენაზე). სავსებით საფუძვლიანია აზრი იმის შესახებ, რომ ამ დროის განმავლობაში ბულგარული საზოგადოების ფეოდალიზაციამ წინ წადგა დიდი ნაბიჯი. ამას შეუწყო ხელი ბულგარეთში ბიზანტიური ინსტიტუტის. — პრონიის გავრცელებამ.

ბოგომილები. ფეოდალურ ურთიერთობათა ზრდას მოწმობს ამ ხანად გამწვავება კლასთა ბრძოლისა, რის მაჩვენებელია სწრაფი ზრდა ბ ო გ ო მ ი ლ თ ა მწვალებლობისა, რომელიც ჩაისახა ბულგარეთში ჯერ კიდევ IX საუკ. ჩვენ არ ვარჩევთ ბოგომილობის დოგმატიურ მხარის ბნელ საკითხებს (ცნობილს ჩვენთვის მხოლოდ მის მოწინააღმდეგეთა გადმოცემით), აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი ენათესავებოდა პავლიკიანთა ბიზანტიურ მწვალებლობას, დაკავშირებულს დუალისტურ მანიქეველურ მოძღვრებასთან სხვადასხვა სახელწოდებებით (პატარენებისა, კატარებისა, ალბიგოელებისა და სხვ.) ეს მწვალებლობა გავრცელდა შორს დასავლეთით. ბოგომილობაში ნათლად გამოსჭვივის შემდეგი თვისებები: უარყოფა გაბატონებული ეკლესიისა და მისი იერარქიისა, საეკლესიო წესებისა და საიდუმლოთა, ეერძოდ ზიარებისა და ხატების თაყვანისცემისა, მოთხოვნა სჯულისსწავლებისა და ზნეობრივი ცხოვრების დამყარებისა საღვთო წერილის საფუძვლებზე. ბოგომილები რელიგიურ ქადაგებას ეერთებდნენ ქადაგების სოციალურ სამართლიანობასაც. ბოგომილობის ერთ-ერთი მტერთაგანი განსაზღვრავს მათ სწავლებას, როგორც ხელისუფლების მიმართ ურჩობის ქადაგებას. ბოგომილები მოითხოვდნენ საეკლესიო ქონებათა კონფისკაციას და დანაწილებას. ისინი ილაშქრეზდნენ ბატონყმური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, აქეზებდნენ გლეხებს მოშორებოდნენ ბოიარებს და არ ეხადნათ ვალდებულებანი. მიუხედავად მკაცრი დევნისა, ეს მწვალებლობა დიდად გავრცელდა ბულგარეთში, სერბიაში, მაკედონიაში.

ბიზანტიის პოლიტიკურმა დაუძლურებამ XII საუკ. დამლევს შეუქმნა ხელსაყრელი პირობები ბულგარეთისა და სერბიის დამოუკიდებლობის შექმნას.

ბულგარეთის განთავისუფლება ბიზანტიელთა ბატონობისაგან. 1186 წ. აჯანყდნენ ბულგარები და ვლახები (რუმინელები) ბოიარების პეტრესა და ასენის ხელმძღვანელობით. აჯანყება დაიწყო ჩრდილოეთ ბულგარეთში, ბალკანეთის მიუვალ მთებში, და მან მალე მოიცვა მთელი ბულგარეთი. ბულგარებმა მოიხმეს ყიჩაყები და შეკრეს კავშირი სერბიის მთავარ სტეფანე ნემანთან, რომელიც იმჟამად ებრძოდა ბიზანტიას სერბიის დამოუკიდებლობისა-

თვის. ბულგარებმა შეძლეს თავიანთი სახელმწიფოს აღდგენა დედაქალაქი ტირნოვით.

ბიზანტია შეეცადა გამოეყენებინა ბულგარელი ბოიარების უკმაყოფილება, გამოწვეული პეტრეს და ასენის განდიდებით — ორივ ძმა მოკლულ იქნა ბოიართა მიერ, მაგრამ მათი ადგილი დაიკავა მესამე ძმამ, კალოიანმა, რომელიც წარმატებით მოქმედებდა ბიზანტიელთა წინააღმდეგ ყივჩაყებთან კავშირში მყოფი. ბიზანტია იძულებული შეიქნა ეცნო ბულგართა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა (1201 წ.), რომელიც შეიცავდა მთელ მეზიას, თრაკიის ჩრდილოეთ ნაწილს, ჩრდილოეთ მაკედონიას და სერბიის ნაწილს. კალოიანი ცდილობდა რომზე დაყრდნობას: მან დადო ხელშეკრულება ინოკენტი III და მიიღო მისგან ტიტული ვლახთა და ბულგართა მეფისა (dominus Blacorum et Bulgarorum) ნაცვლად დაპირებისა, რომ ბულგარეთის ეკლესიას დაუმორჩილებდა პაპს. შენახულია მათი მიწერ-მოწერა, რომლიდანაც სჩანს, რომ ეს ორი დაოსტატებული დიპლომატი ცდილობდა ერთმანეთის მოტყუებასა და მაქსიმალურ დათმობათა მიღებას, ნაცვლად მინიმალური დაპირებებისა. 1204 წ. შეიკრა უნია ბულგარეთსა და რომს შორის. კალოიანმა უწოდა თავისთავს მეფე.

სერბიის განთავისუფლება. ამასთან ერთდროულად ხდება სერბიის გაერთიანება და მისი განთავისუფლება ბიზანტიის ბატონობისაგან. გაერთიანება მიმდინარეობს აღმოსავლეთი სერბიიდან („რაშკიდან“), რომლის დიდი ჟუპანი სტეფანე ნემანი უკვე დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა დამოუკიდებლობის მოპოვებას. დანარჩენი ჟუპანების დახმარებით იგი მედგარ ბრძოლას აწარმოებდა ბიზანტიასთან. ბიზანტიასთან ბრძოლისათვის იგი ცდილობდა ჯვაროსნების გამოყენებას. მან დაამყარა ურთიერთობა ფრიდრიხ ბარბაროსასთან და აწარმოებდა მასთან მოლაპარაკებას სერბიის საღვთო რომის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. 1190 წ. ბიზანტიამ სცნო სერბიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. 1195 წ. ნემანის ტახტიდან გადადგომის შემდეგ ძალაუფლება სერბიაში გადავიდა მისი უმცროსი ძმის სტეფანე პირველწვირგვინოსანის ხელში, რომელმაც მიიღო მეფის ტიტული.

ბულგარეთის სამეფო. ამგვარად, XII საუკ. დამდეგისათვის, ლათინთა იმპერიის შექმნის ხანისათვის, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე აღმოცენდა ორი დამოუკიდებელი სლავური სახელმწიფო — ბულგარეთი და სერბია. რამდენადაც შესაძლებელია მსჯელობა მცირერიცხოვანი წყაროების საფუძველზე, რომელნიც გადარჩენილია იმ ეპოქიდან, ბულგარეთის სამეფოს გაერთიანება და განთავისუფლება, ეყრდნობოდა ფართო სახალხო მოძრაობას და მას წინააღუდგა ბულგარელი ბოიარების ოპოზიცია. მეორე ბულგარული სამეფოს სამივე დამაარსებელი — პეტრე, ასენი, კალოიანი — მოკლულ იქნენ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისადმი მტრულად განწყობილი ბოიარების მიერ. ბოიარებშივე პოულობს მომხრეს ბიზანტია ახალ ბულგარულ სამეფოსთან ბრძოლის დროს. ამავე დროს ბულგართა პირველი მეფენი სწყვეტენ იმ შეუბრალებელ დევნას, რომელსაც განიცდიდნენ ბოგომილები ბიზანტიის ბატონობის ჟამს.

თავდაპირველად კალოიანმა სცადა დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობანი ლათინთა იმპერიასთან. მაგრამ ჯვაროსანთა ამპარტავნობამ და სისულელემ მალე მიიყვანა საქმე ომამდის. კალოიანს დახმარებას უწევდნენ თრაკიისა და მაკედონიის ბოგომილები. ლათინთა იმპერიის ბერძენ მოსახლეობის დემოკრატიული ნაწილიც აგრეთვე იყო ბულგართა მხარეზე. ქალაქების მთელი რიგი მოსახლეობა აუჯანყდა „ლათინელებს" და მთავაზობდა ბულგართა მეფეს იმპერატორის ფვირგვინს. ადრიანოპოლთან მან სასტიკად დაამარცხა ჯვაროსნები (1205 წ.). „იმპერატორი" ბალდუინი ჩავარდა ტყვედ და მოკვდა ჭრილობებისაგან. კალოიანი განაგრძობდა ძლევამოსილ ბრძოლას ლათინთა იმპერიასთან, რომლის დროსაც იგი მოიკლა ერთ-ერთი ბულგარელი ბოიართაგანის ხელით (1207 წ.). კალოიანის სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება ხელთ იგდეს ბოიარებმა. ბედმა ახლა უღალატა ბულგარეთს ლათინთა იმპერიასთან ომში, ვინაიდან ბოიართა ნაწილი ცდილობდა მასთან შეთანხმებას და იმავე დროს მათ საშინელი სიმკაცრით დაიწყეს ბოგომილთა დევნა.

ასენი II და ბულგარეთის ბატონობა ბალკანეთზე. ამავე დროს სწორედ ბოგომილებში ჰპოვა თავისი მთავარი დასაყრდენი ძლიერი ბულგარეთის სამეფოს აღმდგენელმა იოანე — ასენ II (1218—1241 წწ.). იგი ხან უკავშირდებოდა ლათინთა იმპერიას ბერძენთა წინააღმდეგ, ხან ბერძნებს — ლათინთა იმპერიის წინააღმდეგ, და ამის წყალობით ასენ II გააფართოვა თავისი სამეფოს ტერიტორია თითქმის კონსტანტინეპოლამდის. მის მეფობაში ბულგარეთი წარმოადგენდა უუძლიერეს სახელმწიფოს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ასენმა გარემოიცვა კონსტანტინეპოლი, რომელიც მას სურდა ექცია თავისი სამეფოს დედაქალაქად, მაგრამ შექმნილმა პოლიტიკური პირობების სირთულემ (შეტაკებებმა ნიკეის იმპერიასთან) აიძულა იგი უარი ეთქვა ამ გეგმაზე.

ბოიართა ბატონობა და გლეხების მდგომარეობის გაუარესება. ასენის სიკვდილის შემდეგ განახლდა ბოიართა არეულობანი და შინა-ომები ,რომელთაც მოჰყვა შედეგად ასენის თრაკიულ და მაკედონურ დანაპყრობთა დაკარგვა, რომელნიც ხელთ იგდო ნიკეის იმპერიამ. ბულგარეთმა მალე დაკარგა ის პოლიტიკური როლი, რომელსაც იგი თამაშობდა მანამდის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. იგი განიცდის უნგრელთა, ბერძენთა, თათართა და თურქ-სელჯუკთა განუწყვეტელ შემოსევას. ფეოდალური ბოიარების ძალმომრეობამ და თვითნებობამ დააგვირგვინეს ქვეყნის გაჩანაგება. ბოიარებს, უმაღლეს სამღვდელოებას და მონასტრებს ეკუთვნოდათ ადგილმამულის მეტი ნაწილი.

ქვეყნის გაჩანაგებამ ბოიართა შინა-ომების წყალობით, და გლეხობის საკალალო და გაჭირვებულმა მდგომარეობამ გამოიწვიეს ამბოხება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სახალხო ბელადი — მწყემსი ივაილო, რომელმაც გამოაცხადა თავი მეფედ (1277 წ.). მის მხარეზე გადადიან მთელი ოლქები. იგი აწარმოებდა წარმატებით ომს თათრებთან და ორჯერ დაამარცხა ისინი. ბულგარეთის სატახტო ქალაქ-ტირნოვის მოსახლეობამ გაუღო ქალაქის ჭიშკარი ივაილოს. ბულგარელმა ბოიარებმა მოიხმეს ბერძნები, თათრები და ყივჩაყები და ჩააქრეს ამბოხება. ივაილო დაიღუპა, მაგრამ ხალხს დიდხანს არ სურდა მისი სიკვდილის დაჯერება. თხუთმეტი წლის შემდეგ ახალ ამბოხებას ჩაუდგა სათავეში ცრუ მოსახელე, რომელიც უწოდებდა თავის თავს ივაილოს.

ბულგარეთის სამეფოს დაშლა. XIII საუკ. დამლევს ბულგარეთი ფაქტიურად იშლება მთელ რიგ საუფლისწულო-სამთავროებად. სამეფო ხელისუფლების არსებობა წარმოადგენს ბოიართა სამეფო ტიტულისათვის გამუდმებული შინა ომების მხოლოდ საბაბს. ასეთ პირობებში სამხედრო შეტაკებას იმ დროს გაძლიერებულ სერბიასთან შედეგად მოჰყვა ბულგარების დამარცხება (1330 წ.).

XIV საუკ. მეორე ნახევარში ბულგარეთი დაიშალა სამ ცალკეულ სახელმწიფოდ. განუწყვეტელი სამხედრო გაჩანაგება, ფეოდალური შინა-ომები, ვალდებულებათა ზრდა იწვევენ ამ დროს გლეხთა მოძრაობის ხელახალ ზრდას. ახალი ძალით გამოდის და ილაშქრებს ბოგომილობა და მთელი რიგი სხვა ხალხური „მწვალებლობებისა". გლეხები სტოვებენ თავიანთ მონაკვეთებს და გარბიან მთებში, სადაც ჰქმნიან შეიარაღებულ რაზმებს, რომელნიც ებრძვიან ბოიარებს.

სერბიის სახელმწიფო. თუ ბულგარეთის განთავისუფლება წარმოადგენდა ფართო სახალხო მოძრაობის შედეგს და მას წინ ეღობებოდა ბულგარელი ბოიარების ოპოზიცია, სამაგიეროდ სერბიის განთავისუფლება იყო შედეგი დიდკაცობის მეცადინეობისა. ბულგარეთში ბოიარობამ, ჯერ კიდევ პირველი სამეფოსა და ბიზანტიის ბატონობის ხანაში მოასწრო გლეხობის უმრავლესობის დაყმევება, სერბიაში კი საგვარეულო თემის დაშლის პროცესი მიმდინარეობდა გაცილებით უფრო ნელა. სერბიის გაერთიანება წარმოადგენდა ეტაპს საგვარეულო საზოგადოებიდან კლასობრივში გადასვლისას და საგვარეულო დიდკაცობის ძალაუფლების განმტკიცებისას ხალხის მასაზე. სტეფანე ნემანი ეყრდნობოდა, პირველ ყოვლისა, ეუპენებს. მათ სასარგებლოდ ჩატარდა საშინელი დევნა ბოგომილებისა. ბოგომილთა დევნა დადგენილ იქნა „კეთილშობილთა" თათბირზე. ნემანის ძე, სტეფანე პირველგვირგვინოსანი ასე აღწერს თავისი მამის მოღვაწეობას: „ერთნი მან დაწვა, მეორენი დასაჯა სხვაფრივ, მესამენი სრულიად გარეკა თავისი მიწა-წყლიდან... ხოლო მათ მასწავლებელსა და მეთაურს... მან ამოსჭრა ენა, მისი უწმინდური წიგნები დაწვა, ხოლო თვითონ იგი გააძევა".

სტეფანე პირველგვირგვინოსანის შემდეგ ძალაუფლება გადადის „კეთილშობილთა", ანუ დიდებულთა (ვლასტელთა) ხელში. მათზე არის დამოკიდებული ტახტის მემკვიდრეობა. XIII საუკ., მეფე ურეშ I დროს, სერბიაში იწყება სამთომადნების — ოქროსი, ვერცხლის, კალისა და სპილენძის — დამუშავება. ამას ხელი შეუწყო უნგრეთიდან გერმანელთა ემიგრაციამ, რომელნიც დაშინებული იყვნენ თათართა შემოსევით. ურეშმა დადო ხელშეკრულება დუბროვნიკთან (რაგუზასთან), რომლითაც მიანიჭა დუბროვნიკელ ვაჭრებს ვაჭრობის თავისუფლება, ხოლო სერბებს ეძლეოდათ უფლება დუბროვნიკში პურისა და ღვინის ყიდვისა იმავე ფასებში, როგორშიაც ყიდულობდა მათ ადგილობრივი მოსახლეობა.

დუბროვნიკი. დუბროვნიკი, სლავური ვენეცია, იწყებს უდიდესი როლის თამაშს სერბიის ისტორიაში. ვენეციასავით, რომელთანაც იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ვაჭრობით, დუბროვნიკი წარმოადგენდა ვაჭრულ რესპუბლი-

კას. მთელი ძალაუფლება დუბროვნიკში ეკუთვნოდა სავაჭრო არისტოკრატიას, ეხოლოდ მას შეეძლო საბჭოში, ანუ ვეჩეში მონაწილეობა. პოლიტიკური გავლენა დუბროვნიკისა XIII—XIV საუკუნეებში იყო მეტად მნიშვნელოვანი. უნგრეთი, სერბია, ბულგარეთი ცდილობდნენ მასთან კავშირის დაჭერას. მისი მეფეები და დიდკაცები ამაყობდნენ დუბროვნიკის მოქალაქის წოდებით. დუბროვნიკში აგებდნენ ისინი სასახლეებს, აქ ინახავდნენ თავიანთ განძეულობას. დუბროვნიკივე წარმოადგენდა მათ მთავარ კრედიტორს. მისი ვაჭრები ვაჭრობდნენ არა მარტო ადრიატიკულ ზღვაზე, არამედ ხმელთაშუაზეადაც, საბერძნეთთან, იტალიასთან, სამხრეთ საფრანგეთთან, აზიისა და აფრიკის ნავთსადგურებთან. დუბროვნიკმა განვითარა საკუთარი მრეწველობაც (ქსოვილები, საოქრომჭედლო ნაკეთობანი, ჭურჭლეული), აწარმოებდა ფართო ხასიათის ვაჭრობას მარილით, და აგრეთვე ლითონებით, რომელნიც მოდიოდა სერბიიდან. სერბიიდგანვე დუბროვნიკი ღებულობდა აგრეთვე საქონელსა და მესაქონლეობის ყოველგვარ პროდუქტებს, — სელს, თაფლს, ცვილს — და ამარაგებდა სერბიას მარილით, ქსოვილებით, იარაღით, ჭურჭლეულით, ღვინით, სანელებლებით. სერბია წარმოადგენდა დუბროვნიკისათვის უმნიშვნელოვანეს ბაზარს, და მათ შორის მყარდებოდა სულ უფრო და უფრო მჭიდრო ურთიერთობანი. XIII—XIV საუკუნეების განმავლობაში მათ შორის დაიდო მთელი რიგი ხელშეკრულებები.

სერბიის მძლავრობა. სტეფანე დუშანი. ურიოშის დროს სერბია იხვეჭს სულ უფრო და უფრო დიდ გავლენას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ჩრდილავს რა ბულგარეთს, რომელიც ასენი II სიკვდილის შემდეგ განიცდის დაცემას. სერბიის სამეფომ მიაღწია თავის სიძლიერის უმაღლეს მწვერვალს XIV საუკ. მეფე სტეფანე დუშანის დროს (1331—1355 წწ.).

სტეფანე დუშანმა დაუმორჩილა თავის გავლენას ბულგარეთი და წაართვა შესუსტებულ ბიზანტიას თითქმის მთელი მაკედონია, ალბანეთი და თესალია. მისი სამფლობელოები ვრცელდებოდა ეგეოსის ზღვის სანაპიროებამდის; იგი ცდილობდა კონსტანტინეპოლის დაპყრობას. მისი შემდგომი დაპყრობანი შეაფერხეს ბიზანტიის მიერ მიხმობილმა თურქებმა, რომელთაც დაამარცხეს სერბები მარიცაზე (1352 წ.). დუშანმა დაამყარა მჭიდრო კავშირი დუბროვნიკთან და უბოძა ამ ქალაქის ვაჭრებს სავაჭრო შეღავათები. დუბროვნიკთან ვაჭრობაში უშუალო მონაწილეობას ღებულობდა თვით სტეფანეც და სერბიელი ფეოდალებიც, მფლობელნი ცხვრის და ღორის ვეებერთელა ფარებისა, ცხენის და რქოსანი საქონლის დიდი ჯოგებისა. მეფე სარგებლობდა სავაჭრო პრივილეგიებით. ბაზრებზე აკრძალული იყო ხორცის ყიდვა ვაჭრებისაგან, „სანამ არ გაიყიდებოდა კრალისა“ (მეფისა).

სერბია იქცა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ძალად ბალკანეთზე. 1346 წ. სტეფანე დუშანმა მიიღო ტიტული „სერბებისა და ბერძნების მეფისა“. დუშანის კარზე შემოღებულ იქნა ბიზანტიური ცერემონიალი.

სტეფანე დუშანის „კანონდება“. სტეფანეს დროს ხდება გლეხობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, განმტკიცებული ცნობილი „კანონდებით“ (1349 წ.). „კანონდება“ წარმოადგენდა ნაწილობრივ სერბიული საადათო სამართლის ჩანაწერს, ნაწილობრივ სერბიის მეფეებისა და განსაკუთრე-

ბით თვით სტეფანე დუშანის კანონების, ნაწილობრივ კი ბიზანტიური კანონების კრებულს, რომელნიც შეუგუეს სერბიის პირობებს. 1354 წ. გამოცემულ იქნა დამატებანი „კანონდებისა“, რომელთაც კიდევ უფრო მეტად გააუარესეს გლეხთა მასის მდგომარეობა. „კანონდების“ მიხედვით, შეიძლება საკმაო ზუსტი სურათის აღდგენა XIV საუკ. სერბიის საზოგადოებრივი წყობილებისა.

სერბიაში შენარჩუნებულ იქნა ჯერ კიდევ განსაზღვრული ფენა თავისუფალი გლეხობისა, ეგრეთწოდებული ს ე ბ რ ე ბ ი, რომელთა მიმართ „კანონდება“ იჩენს უნდობლობას, უკრძალავს მათ ყოველგვარ კრებებს: „себрова собора да несть“. ამ აკრძალვის დარღვეევისათვის „კანონდება“ აწესებს ყურეის მოჭრასა და ჯარიმას. ალბათ სებრები იცავდნენ საკუთარ თავისუფლებას ვლასტელების შემოტეევებისაგან. უარესდებოდა სებრების უფლებრივი მდგომარეობაც: სებრის მოკვლისათვის ვლასტელი იხდიდა ჯარიმას, ხოლო ვლასტელის მოკვლისათვის სებრი არა მარტო ჯარიმდებოდა, არამედ მას ჰკვეთდნენ ორივე ხელს. ძირითადი მასა გლეხობისა — მ ე რ ო პ ხ ე ბ ი — იმყოფებოდა ყმის მდგომარეობაში. მეროპხები ცხოვრობდნენ მებატონის ადგილ-მამულზე, იხდიდნენ ბეგარას, იძლეოდნენ გამოსაღებს და ამას გარდა იხდიდნენ ყველა სახელმწიფო ვალდებულებებს. „კანონდების“ გამოცემამდის მეროპხები საოგებლობდნენ ერთი მფლობელისაგან მეორესთან გადასვლის უფლებით, „კანონდებამ“ წაართვა მათ ეს უფლება. დაბოლოს არსებობდა ფენა მონა-გლეხებისა — ო ტ რ ო კ ე ბ ი ს ა.

მნიშვნელოვანი ნაწილი სერბიელი გლეხობისა ცხოვრობდა ზ ა დ რ უ გ ე ბ ა დ — დიდ ოჯახებად, რომელიც რამოდენიმე ათეული ადამიანისაგან შედგებოდა კოლექტიური საკუთრებით. უეჭველია, რომ სტეფანე დუშანის მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა ზადრუგას, როგორც გლეხობის ორგანიზაციის ფეოდალთათვის სახიფათო ფორმას.

ფეოდალთა კლასი შედგებოდა საგვარეულო და მსახურეულ დიდკაცობისაგან; უკანასკნელს ეკუთვნოდნენ ოლქების მეთაურები, დაყენებულნი მეფის მიერ. იშვიათი არ იყო შემთხვევა, რომ მათი თანამდებობა ხდებოდა სამემკვიდრეოდ. უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდნენ საეკლესიო ფეოდალები, რომელთაც მეფეები უხვად უბოძებდნენ მიწებს, ვინაიდან ხედავდნენ მათში თავიანთი ძალაუფლების მთავარ დასაყრდენს. ფეოდალები იყოფოდენ მსხვილ — ვ ლ ა ს ტ ე ლ ე ბ ა დ. და წვრილ — ვ ლ ა ს ტ ე ლ ი ჩ ი ჩ ე ბ ა დ.

თურქთა დაპყრობანი ბალკანეთში. სტეფანე დუშანის შემდეგ სერბიაში, რომელიც დანაწილებული იყო მთელ რიგ საუფლისწულოებისად, იწყება ხანგრძლივი შინაომები. ურთიერთ ბრძოლის დროს სერბიასა და ბიზანტიას არა ერთხელ მიუმართნიათ დახმარებისათვის თურქ-ოსმალთათვის, რომელთაც თავიანთი ექსპედიციების დროს მიეცათ შესაძლებლობა დარწმუნებულიყვნენ ბალკანეთის სახელმწიფოთა სისუსტეში. XIV საუკ. ნახევრიდან ოსმალები იწყებენ ფეხის მოკიდებას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ჰალიპოლის დაპყრობით. სულთან მურად I ხელთ იგდო ადრიანოპოლი (1360 წ.), და იქ გადაიტანა ოსმალთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქი. თურქული საშიშროება ემუქრე-

ბა კონსტანტინეპოლს. შესუსტებულ სერბიასა და ბულგარეთს არ შეეძლოთ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა თურქებისათვის.

1389 წ. თურქებმა საშინლად დაამარცხეს სერბები კოსოფის ველზე. მეფე ლაზარე დატყვევებული და სიკვდილით დასჯილ იქნა. სერბია იძულებული იყო ეცნო ვასალური დამოკიდებულება თურქთაგან, მაგრამ მან შეინარჩუნა თვითმართველობა, თუმცა კი იგი ჩამოერთვა მას XV საუკ. ნახევარში. კოსოვის ველზე მომხდარ ბრძოლაზე სერბიელი სახალხო პოეტები თხზავდნენ სიმღერებს, ისინი დასტიროდნენ ამ დამარცხებას, როგორც უდიდეს ეროვნულ უბედურებას. 1393 წ. თურქებმა აიღეს ტირნოვი და მალე დაიპყრეს ბულგარეთის მთელი ტერიტორია. თურქები პირისპირ მიადგნენ ბიზანტიას.

კონსტანტინეპოლი შემოირკალა თურქების სამფლობელოებით. იმპერატორმა მანუილ II შემოიარა ევროპა, იგი ემუდარებოდა დახმარებას დასავლეთელ მეფეებს. მას ღებულობდნენ პატივით და აძლევდნენ დაპირებებს, მაგრამ ჭეშმარიტი დახმარება მისთვის არ აღმოუჩენიათ. ბიზანტია დროებით იხსნა იმ გრანდიოზულმა შეტაკებამ, რომელიც XV საუკ. დამდეგს მოხდა თურქებსა და თემურლენგის მონღოლთა შორის. თემურლენგმა ააოხრა სამხრეთი რუსეთი, ჩრდილო ინდოეთი, მესოპოტამია, ირანი, სირია. სირიაში ლაშქრობის შემდეგ ადგილი ჰქონდა მცირე აზიაში თურქებთან შეტაკებას. ბრძოლა ანკარასთან 1402 წ. დასრულდა თურქთა სრული დამარცხებით. მაგრამ თემურლენგი არ დარჩენილა მცირე აზიაში. მან დაიწყო ლაშქრობა ჩინეთზე, რომლის დროს იგი მოკვდა. თურქთა შესუსტების წყალობით, ანკარასთან დამარცხების შედეგად, ბიზანტიის დაცემა გადაიდო ნახევარ საუკუნით.

XV საუკ. დამდეგს ბიზანტიის სამფლობელოებში შედიოდნენ მხოლოდ კონსტანტინეპოლი, მეზობლად მყოფი ნაწილი თრაკიისა, რამოდენიმე კუნძული ეგეოსის ზღვაზე, თესალონიკა და მორეა, უკან წართმეული XIV საუკ. მეორე ნახევარში „ლათინთაგან“.

1422 წ. თურქთა შემოტევა განახლდა. თურქებმა გარემოიცვეს კონსტანტინეპოლი. ამაო იერიშის შედეგად მათ მოხსნეს მას ალყა, მაგრამ საშინლად ააოხრეს მორეა. ბიზანტიამ დაუწყო სულთანს ხარკის ხდა. ამიერიდან იმპერატორის სამფლობელოები იფარგლებოდა მხოლოდ კონსტანტინეპოლით, მისი უახლოესი მიდამოებითურთ, თესალონიკა და მორეა გადაიქცნენ დამოუკიდებელ სამთავროებად. 1430 წ. თესალონიკა აღებულ იქნა თურქების მიერ.

უკანასკნელი პალეოლოგები მიჰმართავდნენ სულთმობრძავ ცდებს იმპერიის გადასარჩენად. იმპერატორი იოანე VIII ცდილობდა კონსტანტინეპოლის ძველი სიმაგრეების აღდგენას. იგი გაეშურა პატრიარქისა და უმაღლესი სამღვდელოების თანხლებით იტალიაში. 1439 წ. შეიკრა ფლორენციის უნია, რომელსაც უნდა დაემორჩილებინა აღმოსავლეთის ეკლესია პაპისათვის. თურქთა შემოსევის მუქარამ ცენტრალური ევროპის მიმართ, და პაპის ქადაგებამ გამოიწვია ახალი „ჯვაროსნული ლაშქრობა“ თურქების წინააღმდეგ, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა უნგრელებმა, პოლონელებმა და რუმინელებმა, მაგრამ „ჯვაროსნებმა“ განიცადეს დამარცხება თურქთაგან 1444 წ. ვარნასთან.

კონსტანტინეპოლის აღება თურქების მიერ. 1453 წ. აპრილის დამდეგს სულთანმა მუჰამედ II დიდძალი სახმელეთო და საზღვაო ძალებით და არტილერიით გარემოიცვა კონსტანტინეპოლი. გარემოცვა, რომელშიაც გადამწყვეტი როლი შეასრულა არტილერიამ, გაგრძელდა მაისის დამლევამდის. მიუხედავად მედგარი და შეუპოვარი თავდაცვისა, რომელსაც სათავეში ედგა უკანასკნელი პალეოლოგი, კონსტანტინე XI, ქალაქი იერიშით იქნა აღებული და მან განიცადა სამი დღის განმავლობაში ძარცვა-გლეჯა. კონსტანტინეპოლში, რომელსაც ახლა დაარქვეს სტამბოლი, გადატანილ იქნა სატახტო ქალაქი ოსმალთა იმპერიისა. უახლოეს წლებში მუჰამედ II დაიპყრო ყველა დამოუკიდებელი სამფლობელოები საბერძნეთში.

კონსტანტინეპოლის აღებამ თურქების მიერ და ბიზანტიის იმპერიის დაღუპვამ მოახდინა უდიდესი შთაბეჭდილება თანამედროვეებზე. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ- ნაწილში თურქთა ბატონობის საბოლოო განმტკიცებამ და თურქების შემდგომმა შეტევამ დასავლეთზე იქონიეს უმნიშვნელოვანესი გავლენა ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაზე XV საუკ. ნახევრიდან მოყოლებული.

ლიტერატურა

I. **მარქსიზმის კლასიკოსები.** Маркс, Хронологические выписки, т. I („Архив, т. V, стр. 73, 77, 92—95, 101—105, 189—208, 297—300, 348—350), т. II. (Архив, т. VI, стр. 129—130, 155—157, 171—208, 210, 246—248, 363—366, 376, 393—394) и т. III (Архив, т. VII, стр. 200—205, 209—211). — Маркс и Энгельс, революционная борьба в Венгрии. Соч., т. VII. — Маркс и Энгельс, Русский засм. — Эвакуация княжеств. — Австро-турецкий договор. — Молдавия и Валахия. Соч., т. X.

II. **წყაროები.** Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. II, ч. I, 1939, стр. 215—231.

III. **გამოკვლევები. დამხმარე წიგნები.** Лависс и Рамбо, Всеобщая история с IV века. 1897, т. II, стр. 719—724, 751—763; т. III, стр. 718—742, 841—932. — Левченко, История Византии. Краткий очерк, 1940. — Васильев, Византия и крестоносцы, П. 1923. — Васильев, Падение Византии, 1925. — Диль, Византийские портреты, М. 1914. — Борецкий-Бергфельд, История Венгрии в средние века и новое время, Спб. 1908. — Борецкий-Бергфельд, История Румынии, Спб. 1909. — Погодин, История Болгарии, Спб. 1910 — Иречек, Исторпи болгар, Одесса 1878. — Успенский Ф., Образование второго Болгарского царства, Одесса 1874. — Гильфердинг, История сербов и болгар, Соч., т. I, изд. 2-е, 1893. — Погодин. История Сербии, Спб. 1909. — Флоринский, Памятники законодательной деятельности Стефана Душана, Киев 1888. — Книга для чтения по истории средних веков под ред. Виноградова, разн. изд., т. III, ст. 65, 69—71.

თ ა ვ ი XXXI

ეკლესია და მწვალებლობანი XI—XIV საუკუნეებში

შუასაუკუნოებრივ მწვალებლობათა სოციალური საფუძვლები. მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში ფეოდალურ ეკლესიასა და სახელმწიფოს უხდებოდათ მედგარი ბრძოლა ჩაგრულ მასების ოპოზიციურ და რევოლუციურ მოძრაობებთან. ეს მოძრაობანი ჩვეულებრივ გვევლინებიან მ წ ვ ა ლ ებ ლ ო ბ ა თ ა, ანუ ე რ ე ს თ ა სახით (ბერძნული სიტყვა airesis რაც ნიშნავს სექტას). მწვალებლობა, თავისი ფორმალური თვისებებით, რამდენადაც იგი მიმართულია განსაზღვრულ საეკლესიო დოგმის წინააღმდეგ, წარმოადგენს რელიგიური ხასიათის მოძრაობას და შეადგენს ეკლესიის ისტორიის საგანს. მაგრამ, არსებითად, მწვალებლობა წარმოადგენს პროტესტს არა მარტო გაბატონებულ ეკლესიისა, არამედ აგრეთვე მთელი არსებული წყობილების წინააღმდეგ.

ენგელსი თავის წიგნში, „გლეხთა ომი გერმანიაში" შემდეგნაირად ხსნის იმ ფაქტს, რომ შუასაუკუნოებრივი ოპოზიციური მიმდინარეობანი გვევლინებოდნენ რელიგიურ სამოსელში გახვეულნი, მწვალებლობათა სახით. იგი წერს: „ეკლესია... წარმოადგენდა როგორც არსებული ფეოდალური წესწყობილების საერთო განზოგადოებასა და სანქციას. ამ პირობებში, ცხადია, რომ საყოველთაო თავდასხმა ფეოდალიზმზე, უწინარეს ყოვლისა, თავდასხმა ეკლესიაზე, ყველა რევოლუციონური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური დოქტრინა ერთდაიმავე დროს უმთავრესად თეოლოგიური მწვალებლობა უნდა ყოფილიყო".[1]

ის გარემოება, რომ სწორედ XI საუკუნიდან იწყება განსაკუთრებით ფართო განვითარება მწვალებლურ მოძრაობათა, განსაზღვრული იყო, ერთი მხრივ, სავაჭრო კავშირის დამყარებით აღმოსავლეთთან, საიდანაც აღწევენ ევროპაში კათოლიციზმის მიმართ მტრულად განწყობილი მოძღვრებანი, მეორე მხრივ — ეკლესიის შესუსტებით გამწვავებული ბრძოლის პერიოდში იმპერიასა და პაპობას შორის. ეს ბრძოლა, გაბატონებული კლასის შიგნით განსაზღვრულ წინააღმდეგობათა შედეგად აღმოცენებული, ქმნიდა სუსტ კერებს და ადგილებს, სადაც შეეძლოთ შეკრა ოპოზიციურ მოძრაობათ. იმპერიასა და პაპობას შორის ბრძოლის გამწვავებასა და მწვალებლურ მოძრაობათა წარმატების შორის შესაძლოა შემჩნეულ იქნას განსაზღვრული კავშირი. იმპერატორი-

---

[1] ენ გ ე ლ ს ი, „გლეხთა ომი გერმანიაში", თბ., 1932, გვ. 46.

სა ანდა სხვა საერო ხელისუფალთა წინააღმდეგ პაპობის ბრძოლის ერთ-ერთ მეთოდთაგანს წარმოადგენდა ინტერდიქტის დადება იმ ქვეყანაზე, სადაც იმ-ყოფებოდა ეს ხელისუფალი იმჟამად. ინტერდიქტის ძალით ამ ქვეყანაში წყდებოდა, ანდა ძლიერ იკვეცებოდა ღვთისმსახურება, ეკლესიის მოღვაწეობა ჩერდებოდა, და ეს კი ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს მწვალებლობის გავრცელებისათვის.

მაგრამ მწვალებლური მოძრაობის აღმოცენების ძირითად წინაპირობებს წარმოადგენს დასავლეთ ევროპაში ანტიფეოდალური ელემენტების განვითარება, მჭიდროდ დაკავშირებული საქალაქო ვაჭრობის განვითარებასთან, ეგრეთწოდებული ქალაქური პლებსის ანუ ქალაქების სოციალური ქვედა-ფენების რიცხვისა და მისი საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ზრდასთან. მწვალებლური მოძრაობანი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა სწორედ იმ ქვეყნებში, რომელშიაც სხვებზე უფრო ადრე განვითარდა ეკონომიკა და საერთოდ მატერიალური კულტურა, — ჩრდილო იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთში, ნაწილობრივ სამხრეთ გერმანიაში. ხსენებულ ქვეყნებში ქალაქები შეიქმნენ მწვალებლობათა მთავარ კერებად, თანაც ისინი ახდენდნენ გავლენას მათ გარეშეც გლეხურ მოსახლეობაზე. ამასთან დაკავშირებით, ენგელსის მიერ აღნიშნული „გლეხების აშკარა ამბოხებები“ ხშირად ღებულობდნენ ქალაქებისაგან მწვალებლური იდეოლოგიის მზამზარეულ ფორმას და ამბოხების ბელადებსაც კი. ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი, მაგალითად, გლეხობის ამბოხების დროს ჩრდილოეთ იტალიაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მწვალებელი დოლჩინო (1302 — 1307 წწ.) (იხ. თავი XXVI).

მწვალებლობის რევოლუციური ტიპის გვერდით ენგელსი აღნიშნავს კიდევ ორ სახესხვაობას მწვალებლური მოძრაობისა: მწვალებლობა, რომელიც „გამოხატავდა პატრიარქალური ალპიელი წყემსების წინააღმდეგობას მათ ქვეყანაში ფეოდალიზმის შეჭრის მიმართ (ვალდენელები)“[1] და ბიურგერული მწვალებლობა, ე. ი. ოპოზიცია ქალაქების ზედა ფენებისა-მდიდარი სამღვდელოების წინააღმდეგ, ბიურგერობის მიერ „იაფფასიანი ეკლესიის“ მოთხოვნა, სწორედ ისევე როგორც ბურჟუაზია მოგვიანებით მოითხოვდა „იაფფასიან მთავრობას“.[2]

მხედველობაში კი არის მისაღები ის გარემოება, რომ რევოლუციური ტიპის მწვალებლობანიც კი ყოველმხრივ არ წარმოადგენდნენ პროგრესიულ მოვლენას. რამდენადაც მათ თავიანთი მთავარი იერიში მიჰქონდათ ეკლესიის წინააღმდეგ, საეკლესიო დოგმის წინააღმდეგ, ისინი არაერთხელ ავიწყებდნენ მასებს ბრძოლის პირდაპირ დანიშნულებას და ჭეშმარიტ მიზნებს. მწვალებლურ მოძრაობათა იდეოლოგები, ერესიარქები XI—XIV საუკუნეებში, სრულიადაც არ მოუწოდებდნენ ყოველთვის მასებს აშკარა აჯანყებისაკენ, უფრო ხშირად ისინი ქადაგებდნენ მოწამეობასა და ბოროტის წინააღმდეგობას. ამგვარად, მხედველობაში უნდა მივიღოთ ორმაგი ბუნება ყველაზე რადიკალური ხასია-

---

[1] ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში“, თბ. 1932, გვ. 46.
[2] იქვე, გვ. 47.

თის მწვალებლობისაც-კი. წარმოადგენდნენ რა მასების იდეოლოგიის რელიგიურ ფორმას, ისინი თავიანთი ბუნებით იყვნენ რეაქციული, მაგრამ მათ მიერ გამოწვეული მოძრაობის ობიექტური შედეგების მიხედვით, იმდენად, რამდენადაც ისინი აძლიერებდნენ მასების პროტესტს გაბატონებული კლასისა და მისი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ, მწვალებლობანი შეიცავენ პროგრესიულ და რევოლუციურ თვისებებს.

კათარები. XI—XIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში მწვალებლობის ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა კ ა თ ა რ ო ბ ა. კათარები ცნობილი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებში სულ სხვადასხვანაირი სახელწოდებებით. სამხრეთ საფრანგეთში ისინი იწონებდნენ ალბიგოელებად, ქალაქი ალბის გამო, რომელიც წარმოადგენდა მათ ცენტრს. ლომბარდიაში, კერძოდ მილანში, ისინი გამოდიოდნენ ხან ჰ უ მ ი ლ ა ტ ე ბ ი ს (წარმოსდგა humilis-დან, რაც ნიშნავს თავმდაბალს, დამდაბლებულს), ხან კი პ ა ტ ა რ ე ბ ი ს პ ა ტ ა რ ე ნ ე ბ ი ს (დაგლეჯილ-დაფლეთილნი) სახელწოდებით. გერმანიაში მათ ეწოდებოდათ ketzer და ის გარემოება, რომ გერმანულად ამ სიტყვით საერთოდ აღინიშნება მწვალებელი, მოწმობს კათარობის მნიშვნელობას როგორც მწვალებლობის ყველაზე უფრო გავრცელებული სახისა.

კათართა მწვალებლობა შემოდის ევროპაში XI საუკ., უეჭველია მახლობელ აღმოსავლეთიდან, უმთავრესად ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან. თავიანთი დოგმატიკით კათარები ძალიან ენათესავებიან ძველი დროის მანიქეველთ. მათთან ჩვენ ვპოულობთ იმავე დუალისტურ მსოფლმხედველობას, ე. ი. მოძღვრებას ორი დასაბამის ბრძოლის შესახებ — კეთილისა და ბოროტისა, სინათლისა და სიბნელისა. ეს მოძღვრება, შეთვისებული ბიზანტიურ პავლიკიანთა სექტის მიერ, უკანასკნელთა თრაკიაში იძულებით გადასახლების შემდეგ (X საუკ.) იმყოფება ურთიერთ ზემოქმედებაში აქ გავრცელებულ ევტიხიანურ მწვალებლურ მოძღვრებასთან. საფიქრებელია, რომ პავლიკიანთა და ევტიხიანთა შეერთების შედეგად წარმოიშვა მწვალებლობა ბ ო გ ო მ ი ლ ე ბ ი ს ა (სიტყვები: бо гу милы-დან, რაც აღნიშნავს ღვთისათვის საამო ხალხს), რომელიც განსაკუთრებით წარმატებით ვრცელდება ბულგარულ მოსახლეობის დაბალ ფენებში (იხ. თავები XI და XXX). ბოგომილობა, შემოტანილი ჯვაროსნულ ლაშქრობების დროს ევროპაში, ღებულობს იქ კათართა მწვალებლობის სახელწოდებას.

სიტყვა „კათარი“ — ბერძნული წარმოშობისაა, აღნიშნავს „სუფთას“. კათართა ღვთისმსახურების წესები და სულიერი სწავლებაც ხაზგასმით მოითხოვდნენ „ღვთის წინაშე სისპეტაკის“ დაცვის აუცილებლობას. კათარები მკვეთრად ილაშქრებდნენ კათოლიკური ეკლესიის მიმართ და ქადაგებდნენ, რომ პაპი — მოადგილეა არა ქრისტესი, არამედ სატანასი, რომ კათოლიკური ეკლესია წარმოადგენს ცთომილი და წარწყმედილი ადამიანების თემს. კათოლიკურ ეკლესიას ისინი უპირისპირებდნენ თავიანთ საკუთარ ეკლესიას, რომის პაპს — თავიანთ საკუთარ პაპს (რომელიც, როგორც ჩანს, ცხოვრობდა ბოსნიაში), კათოლიკურ სამღვდელოებას — თავიანთ საკუთარ, კათარულ, სამღვდელოებას, რომლის შორისაც იყვნენ ეპისკოპოსები და დიაკვნები.

კათართა დოგმატიკა. კათარები სთვლიდნენ მთელ გარემო სამყაროს სიბოროტისა და სიბნელის სამყაროდ. ეს თვალსაზრისი სავსებით შეესაბამება ჩაგრული მასების მსოფლმხედველობას განვითარების იმ სტადიაზე, როდესაც ამ მასებს ჯერ კიდევ ვერ შეეძლოთ არსებულ წყობილების წინააღმდეგ თავიანთი ყრუ პროტესტის ქცევა აშკარა რევოლუციურ გამოსვლად. ამგვარად, მტრული განწყობილება მასებისა არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ, პოულობს გამოსახულებას მტრულ განწყობილებაში მთელ სამყაროს, ბუნების მიმართ. ყოველგვარი მატერია, სხეული, ხორცეული გატაცებანი და სხვ. ამგვ. წარმოადგენენ კათართათვის „მსოფლიო ბოროტების გამოხატულებას. მხოლოდ სიკვდილი ანთავისუფლებს სულს ხორციელი საპყრობილისაგან — სხეულისაგან, რომელშიაც იგი დამწყვდეულია, და აძლევს ამ სულს ღმერთთან შეერთების საშუალებას. მაგრამ იმისათვის, რომ სიკვდილის შემდეგ ასეთი განთავისუფლება მომხდარიყო, აუცილებელი იყო განსაკუთრებული პირობების შექმნა, რომელთა შორისაც პირველი ადგილი ეჭირა „ნუგეშისცემას" (consolamentum) — ნათლობის თავისებურ ფორმას ხელდასხმითა და იოანეს სახარებით („სულიერი ნათლობა"). თუ ავადმყოფი ადამიანი, რომელმაც მიიღო „ნუგეშისცემა", და იწყებდა მორჩენას, იგი, კათარების აზრით, უქმნიდა თავის სულს ახალი დაცემის საშიშროების საფრთხეს; ამიტომ ასეთ ავადმყოფს აღარ აძლევდნენ საკვებს და წყალს, ე. ი. ფაქტიურად კლავდნენ მას, რათა უზრუნველეყოთ მისთვის უეჭველი ცხონება. კათარების ამ ჩვეულებას ეწოდებოდა endura.

მატერიალური სამყაროს როგორც ბოროტების გამომქღავნების მიმართ თავიანთი მტრული დამოკიდებულების შესაბამისად, კათარები უკიდურესად მტრულად იყვნენ განწყობილი ყოველგვარი დაწესებული სახელმწიფოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ: ისინი გმობდნენ სამხედრო სამსახურს. სიკვდილით სასჯელებს და საერთოდ ყოველგვარ სისხლისღვრას. ისინი თვლიდნენ ცოდვად ხორცის საკვების და კიდევ მთელ რიგ სხვა საქმელების მიღებას; ქორწინებას და ოჯახს ისინი თვლიდნენ ბოროტების განსახიერებად.

კათართა ეკლესიის ორგანიზაცია. ყველა კათარს რომ ეცხოვრა ამ მოძღვრების თანახმად, თვით მრეწველობასაც მალე მოეღებოდა ბოლო. მაგრამ კათარობამ ჰპოვა ისეთი ორგანიზაციული ფორმები, რომელნიც არა მარტო აძლევდნენ მას თავის არსებობის შენარჩუნების საშუალებას, არამედ ზრდისა და ხალხის მასების მხრივ ფართო მხარის დაჭერისასაც. კათარებში თითქმის მათი არსებობის დასაბამითგანვე იქმნება დანაწილება ორ ჯგუფად: რიცხვობრივად უმნიშვნელო სრულყოფილთა (perfecti) კატეგორიად, რომელნიც მთელი მიწიერი ცხოვრების განმავლობაში ახორციელებდნენ კათარობის ყველა იდეალებს, წარმოადგენდნენ „წმინდანებს", „მოწამეთ", და მოძღვრების მქადაგებლებს, და უბრალო მორწმუნეთა (credentes) მასად, რომელნიც ცხოვრობდნენ გარემო პირობებთან შეგუებით და მალავდნენ თავის მწვალებლობას. პირველნი ითვლებოდნენ აბსოლუტურად „სპეტაკებად" მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მეორენი უზრუნველყოფდნენ თავისთვის სწორ და ჭეშმარიტ გზას სიკვდილის წინ „ნუგეშისცემის" მიღებით.

კათართა მქადაგებლები მართლაც და გამოირჩეოდნენ მაღალი მორალური ღირსებებით, რაც, აღვირახსნილ კათოლიკურ სამღვდელოებასთან შედარებით, აქცევდა მათ ხალხის თვალში წმინდა და უდიდესი პატივისცემის ღირს ადამიანებად.

ამგვარად, კათართა მწვალებლობა შეიქმნა მეტად სახიფათო ეკლესიისათვის, რომელიც ჩაფლული იყო ფუფუნებაში და გარყვნილებაში. მაგრამ იგი არანაკლებ სახიფათო იყო მთელი არსებული წყობილებისათვის იმდენად, რამდენადაც ეს მწვალებლობა უარყოფდა ფეოდალურ სახელმწიფოსაც. შემთხვევითი არ არის ის, რომ რომის პაპის ისეთი უძლიერესი მტერი და ისეთი ინდიფერენტული ადამიანიც კი რწმენის საკითხებში, როგორიც იყო ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი, გვევლინება საერთოდ მწვალებლების და განსაკუთრებით კათარების დაუძინებელ მტრად. ის განსაცვიფრებელი ერთსულოვნობა, რომელსაც იჩენდა ორივე ურთიერთის მოქიშპე და მტერი — იმპერატორი და პაპი — კათარების დევნაში, ყველაზე უკეთ ამტკიცებენ იმას, თუ რაოდენ სახიფათო იყო ეს მწვალებლობა საერთოდ მთელი გაბატონებული კლასისათვის.

კათარობის გავრცელება. კათარული მწვალებლობა, როგორც იყო უკვე ნახსენები, გავრცელდა ლომბარდიაში და სამხრეთ საფრანგეთში, საიდანაც იგი ძლევამოსილად ვრცელდება თვით პირენეებამდის, ვრცელდება ჩრდილო საფრანგეთში, სამხრეთ გერმანიაში და სხვადასხვა განშტოებების საშუალებით აღწევს აღმოსავლეთ ოლქებამდისაც კი— ბრანდენბურგამდის და პრუსიამდის. ჩრდილო გერმანიის და საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობათა წყალობით ინგლისთან, კათართა მწვალებლობა შეტანილ იქნა ამ უკანასკნელშიაც. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო გზები და ბაზრები წარმოადგენდნენ მწვალებლობის გავრცელების ძირითად გზებს და ცენტრებს. ყველგან, სადაც კი იყრიდა თავს სახალხო მასა, დაუყოვნებლივ იწყებოდა კათარობის ქადაგება, წარმოებული დიდის წარმატებით, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც, ეკლესიის ძალები ნაწილობრივ დეზორგანიზებული იყვნენ პაპობის ბრძოლით იმპერიასთან და ჯვაროსნული ლაშქრობების მარცხით.

ვალდენსები. მეორე ტიპს მწვალებლობისას, რომელმაც აგრეთვე მოიპოვა დიდი გავრცელება XIII საუკ., წარმოადგენდა მწვალებლობა ვალდენსებისა, ანუ ლ ი ო ნ ე ლ ი ღ ა ტ ა კ ე ბ ი ს ა.

ეს მწვალებლობა აღმოცენდა ლიონელი ვაჭარის პეტრე ვალდის მოღვაწეობის შედეგად, რომელმაც 1173 წ. დაურიგა ღარიბ-ღატაკთ თავისი სიმდიდრე და ქონება და იწყო სიღატაკისა და ცოდვების მონანიების ქადაგება. ფეხშიშველი, გამოწყობილი უბრალო ტანსაცმელში — მოციქულთა ტანსაცმელში, როგორც ეს იმ დროს ჰქონდათ წარმოდგენილი, — იგი დახეტიალობდა გზა-გზა და ქალაქიდან ქალაქში, გარს იკრეფდა მოწაფეებს და მიმდევრებს. ასე იქმნება მქადაგებელ „მოციქულთა" თემი, რომელიც თავდაპირველად არც თავისი მოძღვრებით, არც ყოფა-ქცევით არ ახდენდა ეკლესიის მიმართ მტრული დამოკიდებულების შთაბეჭდილებას. მაგრამ, როდესაც ვალდენსების მოძრაობაში ებმიან ლიონისა და სხვა ქალაქების ღარიბ-ღატაკთა მასები, თვით

თავისი განსაკუთრებული პოპულარობის გამო, მან იწყო მიღება ეკლესიისა-თვის სახიფათო ხასიათისა. ლიონის ეპისკოპოსმა აუკრძალა ვალდ და მის მიმდევრებს ქადაგება; მათ მიმართეს პაპს, რომელმაც გააუქმა ეპისკოპოსის გადაწყვეტილება, მაგრამ დაუქვემდებარა ვალდენსების მქადაგებლური მოღვაწეობა იმ ოლქების სამღვდელოებას, რომლებშიაც მათ მოუხდებათ ყოფნა. „ლიონელი ღატაკნი“ არ დაემორჩილნენ ამ დადგენილებას, და XII საუკუ-დამლევს პაპმა ლუციუს III განკვეთა ისინი ეკლესიისაგან.

თვით ეკლესიის თვალსაზრისითაც კი ეს იყო დიდი ტაქტიკური შეცდომა. ეკლესიისაგან განკვეთამ გადაიყარა არსებითად რეაქციული ვალდენსობა-ოპოზიციის ბანაკში.

ვალდენსური მწვალებლობის განვითარება. ბურჟუაზიული ავტორები ხსნიან ვალდენსებისა და დანარჩენი სექტების წარმატებას ქალაქთა მასების მისწრაფებით მისტიკისა, ღმერთთან საიდუმლო ურთიერთობისადმი და იმით, რომ ოფიციალურ ეკლესიას არ ჰქონდა უნარი მისტიკის ამ წყურვილის დაკმაყოფილებისა. რასაკვირველია ასეთი ახსნა-განმარტება უვარგისია, ვინაიდან მაშინვე იბადება კითხვა — საიდან წარმოიშვა მისწრაფება მისტიკისადმი. ერთადერთი სწორი განმარტება, რომელსაც აძლევს ამ მოვლენას მარქსისტული მეცნიერება, მდგომარეობს იმაში, რომ მ ტ რ ე ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა მ ა-ს ე ბ ი ს ა მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი ფ ე ო დ ა ლ ე ბ ი ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ, დ ა ა მ ა ს თ ა ნ ა ვ ე მ ა თ ი უ ძ ლ ე ბ ა დ ა ე ს ა ხ ს ნ ა ა ამ წ ყ ო-ბ ი ლ ე ბ ი ს შ ე ც ვ ლ ა ში ი მ ო ს ე ბ ო დ ა ს ა მ ყ ა რ ო ს დ ა ს ა კ უ თ-რ ე ბ ი ს ც ო დ ვ ი ლ ი ა ნ ო ბ ი ს ს ა მ ო ს ე ლ ი თ. რაკი არ შეიძლება საკუ-თრების განაწილება ისეთნაირად, რომ დაკმაყოფილებულ იქნას ყველა, მაშ უნდა უარყოფილ იქნეს ყოველგვარი საკუთრება; რაკი სიღარიბე გარდუვა-ლია, იგი ცხადდება სულის დახსნის აუცილებელ პირობად. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ შეხედულებათა ეს სისტემა, როგორც ჩაგვრისა და უთანასწო-რობის საწინააღმდეგო რეაქცია, შესაძლებელი იყო მხოლოდ ფეოდალური წარმოების წესის პირობებში მისი შედარებით დაბალ ტექნიკით და შრომის სუსტი წარმოების უნარიანობით.

აქედან გამომდინარეობს სიღატაკის ქადაგება, თაყვანისცემა სიღარიბისა, როგორც რალაც იდეალისა, რის რეაქციონული არსიც თვალსაჩინოა ჩვენთვის.

ვალდენსების განკვეთისა და მათი მწვალებლებად გამოცხადების შემდეგ, ამ მწვალებლობის წარმატებანი ღებულობენ იმდენად საშიშ ხასიათს ეკლესი-ათვის, რომ შემდგომში პაპმა, ინოკენტი III გადაწყვიტა ჩადენილი შეცდო-მის გამოსწორება. მან დაიწყო მოლაპარაკება ვალდენსებთან და საეკლესიო და საყოფაცხოვრებო წესებში ზოგიერთი თავისებურებობის ცნობით, მან შე-ძლო გათიშვა ვალდენსობისაგან იმ ელემენტებისა, რომელნიც ჯერ კიდევ არ ჩამოშორებოდნენ საბოლოოდ კათოლიკურ ეკლესიას. ასე აღმოცენდა გან-საკუთრებული ჯგუფი ეგრეთწოდებული კ ა თ ო ლ ი კ ე ღ ა ტ ა კ ე ბ ი ს ა.

კათოლიკე ღატაკნი და იმისადაგვარი დაჯგუფებანი წარმოადგენენ ვალ-დენსური მოძრაობის ერთგვარ უკიდურეს მემარჯვენე ფრთას; ისინი წავიდ-ნენ კომპრომისზე ეკლესიასთან და დარჩნენ მის წიაღში. ხოლო მეორე ნა-

წილი ვალდენცებისა, თვით ეკლესიასთან ბრძოლის ლოგიკურ ძალით, სულ უფრო და უფრო შორდება მის დოგმატებს და უახლოვდება კათარებს, ანუ ალბიგოელებს. კათარების დაგვარად, ისინი ახლა იყოფიან „სრულყოფილებად“ და „მორწმუნეებად“, აარსებენ თავიანთ განსაკუთრებულ ეკლესიას ამორჩეულ სამღვდელოების — ეპისკოპოსების, პრესბიტერების და დიაკვნების მეთაურობით. მართალია, კათართაგან განსასხვავებლად ვალდენცებმა არ შექმნეს საკუთარი დოგმატიკა და. არ იდგნენ დუალიზმის პოზიციებზე, მაგრამ მათსავით უარჰყოფდნენ ფეოდალურ სახელმწიფოს, სისხლის ღვრას, ფიცს, წმინდანების მიმართ ლოცვას, ინდულგენციებს, სალოცავად მოგზაურობას. შეურიგებელმა ვალდენსობამ მოიპოვა განსაკუთრებით მკვიდრი ნიადაგი საფრანგეთისა და იტალიის იმ ოლქის გლეხობას შორის, სადაც ბუნებრივი პირობების მიხედვით შენარჩუნებულ იქნა ჯერ კიდევ ნაშთები ძველი თავისუფლებისა, რომელთა მოსპობას ცდილობდნენ ფეოდალები. ვალდენსობა, როგორც მიუთითებს ენგელსი, იქცა, ამგვარად, თავისი ფორმითაც და შინაარსითაც უმთავრესად „პატრიარქალური ალპიელი მწყემსების“[1] ფეოდალიზმის გავრცელებისაგან თავის დაღწევის რეაქციულ ცდად იმ დროს, როდესაც კათარობა იყო და ბოლომდის დარჩა ქალაქების ქვედა ფენებისა და ქალაქების ანტი-ფეოდალური ელემენტების მოძრაობად.

ვალდენცების მოძრაობასთან დაკავშირებულმა გამოცდილებამ ასწავლა ეკლესიას, რომ უფრო დიდი სიფრთხილე იყო საჭირო მასების მოძრაობათა ჩანასახების მიმართ. ამიერიდან ეკლესია ცდილობს შეძლებისდაგვარად ლოკალიზებულ და უვნებელჰყოს ყოველგვარი ნახევრად მწვალებლური მოძრაობა მის დასაწყისშივე. ოსტატური პოლიტიკით იგი ზოგჯერ ასეთ მოძრაობას იმსახურებს კიდევაც საკუთარ ინტერესებისათვის. ასეთი პოლიტიკის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ეკლესიის პოლიტიკა ფრანციისკანობის მიმართ.

ფრანციისკანობა. ფრანციისკანობა პირველ ხანებში თითქმის არაფრით არ განირჩეოდა ვალდენსობისაგან; ამავე დროს მათ ეწიათ სულ სხვადასხვაგვარი ბედ-იღბალი. იმ დროს, როდესაც ვალდენსობა შეჩვენებულ იქნა და გახდა უსასტიკეს დევნათა ობიექტად, ფრანციისკანობა, საბოლოო ანგარიშით, მოექცა არა ჩაგრულთა, არამედ მჩაგვრელთა ბანაკში და თვითონაც იქცა მწვალებელთა დევნისა და განადგურების იარაღად. პეტრე ვალდი დაიღუპა მივიწყებული, ხოლო ფრანციისკანობის დამაარსებელი ფრანციზკ ასიზელი, შერიცხულ იქნა ეკლესიის მიერ წმინდანებში. ვალდენსებს შეუბრალებლად ანადგურებდნენ ცეცხლითა და მახვილით, არ ინდობდნენ მათ ცოლშვილსაც კი — ფრანციისკანები კი იქცნენ უმდიდრეს და უგავლენიანეს სამონასტრო ორგანიზაციად.

ფრანციისკ ასიზელი (ასიზი — ჩრდილო იტალიაშია) იყო მაუდით მოვაჭრის შვილი, ახალგაზრდობაში ატარებდა მდიდარი იტალიელი მოქალაქისათვის დამახასიათებელ ცხოვრებას. შემდეგ, უეჭველია, ვალდენსების მოძღვრების გავლენის წყალობით, რომელსაც იგი გაეცნო თავისი სავაჭრო მოგზა-

[1] ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში“, ტფ., 1932, გვ. 46.

ურობების დროს საფრანგეთში, უარს აცხადებს თავის ქონებაზე, სტოვებს მშობლიურ სახლს და იწყებს სიღატაკისა და ცოდვის მონანიების ქადაგებას.

თავდაპირველად ჩვენ თვალწინ არის სრული ანალოგია ვალდენსობის ჩასახვასთან. ფრანცისკის ირგვლივ თავს იყრიან მისი მოწაფეები და მიმდევრები, ჩვეულებრივ ღარიბი და პლებეური წარმოშობის ხალხი. ისინი ვალდენსებსავით, დაეხეტებიან წყვილ-წყვილად, სოფელ-სოფელ და ქალაქ-ქალაქ უმბრიაში და იტალიის სხვა ოლქებში, ჰქადაგებენ სიტყვით და საქმით. ისევე, როგორც ვალდენსები, ისინიც არ ილაშქრებდნენ ეკლესიის წინააღმდეგ და არ ამეღავნებენ მტრობას არსებულ წესწყობილების მიმართ. უხეშ დამახინჯებას წარმოადგენს კაუცკის შეხედულება ფრანცისკზე, როგორც კომუნიზმის ერთგვარ მოციქულზე. მის მოძღვრებაში და მოღვაწეობაში არაფერია კომუნიზმის მსგავსიც კი. იგი ჰქადაგებდა პირადი საკუთრების უარყოფას, მაგრამ სრულიადაც არ აღიარებდა საჭიროებას მისი განსაზოგადოებრივობისა და არასდროს არ ილაშქრებდა ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ.

ფრანცისკანობის თავდაპირველი ხასიათი და მისი ევოლუცია. მწვალებელთა დაგვარად, ფრანცისკი სრულიადაც არ ისახავდა მიზნად მონაზონური ორგანიზაციის დაარსებას, რომელსაც უნდა ეცხოვრა მოწყალებით. იგი მოითხოვდა, რათა მის მიმდევრებს („მინორიტებს"—უმცირესთ) ეშრომათ და ერჩინათ თავი თავიანთი ოფლით და მარჯვენით. ამგვარად იქმნებოდა მშრომელთა თავისებური თემი, რომელიც ჰქადაგებდა ცოდვის მონანიებას და სულის ცხონებას სიმდიდრის უარყოფის გზით. ამ თემის მოღვაწეობაში არ გამოსჭვივოდა ეკლესიის მიმართ აშკარად მტრული ტენდენციები, მაგრამ ამას შეეძლო თავი ეჩინა უფრო მოგვიანებით. პაპი ინოკენტი III გამოიჩინა დიდი წინდახედულება, როდესაც 1209 წ. გადაწყვიტა აეყვანა მინორიტები თავისი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ. ეკლესიის ამ მფარველობის შედეგს წარმოადგენდა სწრაფი ევოლუცია ამ თემისა, მისი მონაზონურ ორდენად ქცევის მიმართულებით. შედარება ფრანცისკანულ ძმობის წესდებებისა, რომელნიც მტკიცდებოდნენ რიგრიგად, ერთიმეორის შემდეგ და თანდათანობით, ნათლად ხდის ამ ევოლუციას. უძველესი წესდება (1209—1210 წწ.), ეგრეთწოდებული regula antiquissima უკრძალავს ფრანცისკანებს, რაიმე საკუთრება ჰქონოდათ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი. „ნურაფერს წაიღებთ თან გზაზე — ნურც კვერთხსა, ნურც აბგასა, ნურც ვერცხლსა". მათ ეკრძალებათ ფულის შეხებაც კი; არ შეიძლება ფეხსაცმელის ტარება — ძმანი უნდა დაიარებოდნენ მთელ წელიწადს ფეხშიშველნი; მათ შეუძლიანთ ტანის შემოსვა მხოლოდ უბრალო და ძველი ტანსაცმელით: პერანგით და შარვლით. ზამთარში უხეში წამოსასხამით, აუცილებლად დაკერებულით. ერთადერთი და ფრიად დამახასიათებელი გამონაკლისი დაშვებულია შრომის იარაღისათვის. ფრანცისკანებს შეეძლოთ წაეღოთ თან მგზავრობის დროს შრომის იარაღი. ეს გასაგებია, ვინაიდან ძმობის ფუძემდებელი და მისი მოწაფეები შრომობდნენ, მსახურობდნენ მზარეულებად, წყლის მზიდავებად, უქირავდებოდნენ სასოფლო სამუშაოების შემსრულებლად და სხვ.

ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ფრანცისკი უარყოფითად სთვლიდა ყოველგვარ სწავლულობას, ე. ი. იმ ღვთისმეტყველურ და იურიდიულ დახვეწილობას, რომლებითაც ხასიათდებოდა, უმთავრესად, საეკლესიო — ფეოდალური სწავლულობა. ეს გარემოება, მშრომელურ ცხოვრებასთან ერთად, კიდევ უფრო იწვევდა ფრანცისკანების დაახლოებას ხალხის მასებთან. ფრანცისკანი მქადაგებლები აკმაყოფილებდნენ ამ მასის ამა თუ იმ მოთხოვნილებებს, აძლევდნენ მას ასე თუ ისე, დეე თუნდაც მხოლოდ მოჩვენებით, ნუგეშისცემას მის ტანჯვასა და დუხჭირში. აქედან, ამ გარეგნული დემოკრატიზმიდან, წარმოდგა ფრანცისკანთა არაჩვეულებრივი პოპულარობა იტალიაში, ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნებშიაც.

მაგრამ მალე იჩინა თავი პაპის მფარველობის შედეგებმა ძმობის მიმართ. მეორე წესდებაში (1221 წ.) ჩვენ უკვე ვხედავთ მთელ რიგ გადახრებს წინანდელ წესების სიმკაცრიდან: ნებადართულია ორი წამოსასხამის შეძენა, ფეხსაცმელის ტარება და სხვ. წესდებაში შეიტანეს ფანდი, რომელიც შესაძლებლად ხდიდა მის დარღვევას, სახელდობრ აღიარებულ იქნა პრინციპი, რომ „ხელმოკლეობამ კანონი არ იცის", დაბოლოს, 1223 წ. წესდება, დამტკიცებული პაპი ჰონორიუს III მიერ, არსებითად წარმოადგენს თავისებური მონაზონური ორდენის წესდებას.

ფრანცისკანთა ორდენის ორგანიზაცია. თანახმად ამ წესდებისა, ფრანცისკანთა ძმობა საბოლოოდ ყალიბდება იერარქიულ პრინციპზე. მას უდგას სათავეში გენერალი, ანუ გენერალური მინისტრი, ამორჩეული ორდენის უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ. 1264 წლისათვის ორდენი მოითვლიდა 1.100 მონასტერს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მონასტერთა მთელი ეს მასა დანაწილებული იყო 32 ოლქად, რომელთაც ეწოდებოდათ პროვინციები: ყოველი მათგანის სათავეში იდგა პროვინციული მინისტრი, ყოველი ამ ოლქთაგანი თავის მხრივ ნაწილდება მონასტერთა რამოდენიმე ჯგუფად, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ კუსტოდები, ანუ მცველები. ეს არის მესამე საფეხური ფრანცისკანთა იერარქიაში. ამას მოსდევენ ყოველი ცალკეული მონასტრის წინამძღვარნი — გვარდიანები, ჩვეულებრივი წევრები ორდენისა, — ძმანი, დაბოლოს, ნოვიციები ანუ მორჩილნი, ე. ი. ორდენში ახლად შესული ბერები, რომელნიც იცდებიან ვიდრე მათ საბოლოოდ მიიღებდნენ.

კათარების „მორწმუნეთა" მიბაძვით, ფრანცისკანებმა შექმნეს აგრეთვე ტერციარიების ძმობა, რომელნიც მონასტრებში კი არ მიდიოდნენ, არაშედ განაგრძობდნენ საერო ცხოვრებას. ისინი ემორჩილებიან ორდენის სუბორდინაციის წესებს, ასრულებენ სხვადასხვა დავალებებს. მაგრამ არ იცვამდნენ მონაზონურ ჩასაცმელს. ტერციარიების საშუალებით ორდენი უფრო მეტად უკავშირდებოდა ხალხთა მასას.

ორგანიზაციის გართულებასთან ერთად მკვეთრად იცვლება მთელი ხასიათი ორდენის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ფორმალურად ძალაში რჩება ის დებულება, რომ ორდენი არის „მათხოვრული", რომ მისი წევრები ცხოვრობენ ყოველდღიური მოწყალებით, მათ არ გააჩნიათ არავითარი საკუთრება. ფაქტიურად კი ორდენი მრავალრიცხოვანი შენაწირავების წყალობით იქ-

ცევა დიდ სიმდიდრეთა მფლობელად. ორდენის ფუძემდებელი მოითხოვდა, რომ ფრანცისკანებს ეცხოვრათ „ტალახისაგან აგებულ ქოხებში", ამავე დროს ჯერ კიდევ მისი სიცოცხლის ჟამსვე აგებენ ქალაქებში სამონასტრო სახლებსა და სხვა ქვის ნაგებობათ. იმისათვის, რომ არ დაცემულიყო ავტორიტეტი, მოხვეჭილი ხალხის თვალში ფრანცისკანთა მიერ. მათი „სიღატაკის" წყალობით, პაპმა გამოაცხადა ორდენის მთელი მოძრავი და უძრავი ქონება კათოლიკური ეკლესიის კუთვნილებად. შეიქმნა ფიქცია, რომლის თანახმად, ორდენი ვითომც მხოლოდ სარგებლობდა მისთვის ნაჩუქარი ქონებით, და კი არ ფლობდა მას. მიუხედავად ამისა, ფრანცისკანობის ძველი მწვალებლური ზნე ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი იყო, რომ ბევრმა ძველ წესდების „გულმოდგინე დამცველებმა" შემდეგში სპირიტუალებად წოდებულებმა, არ ისურვეს ასეთ მდგომარეობასთან შერიგება და იწყეს მედგარი ბრძოლა ახალი წესების წინააღმდეგ.

გათიშვა ფრანცისკანთა ორდენში. სპირიტუალები ქადაგებდნენ, რომ სიღატაკე წარმოადგენს ცხონების აუცილებელ პირობას; რომ პაპმა, სიმდიდრეთა მფლობელმა, გვერდი აუხვია იმ გზას, რომელზედაც მიგვითითეს ქრისტემ და მოციქულებმა; რომ მთელი რომის ეკლესია, ჩაფლული ფუფუნებაში და გარყვნილებაში, საჭიროებს რადიკალურ გარდაქმნას. სპირიტუალებმა, რომელთაც იტალიაში ეწოდებოდათ ფრატიჩელი (ძმები), ხოლო საფრანგეთში ბეგინები, დაიჭირეს იმდენად მტრული პოზიცია პაპობის მიმართ, რომ პაპმა იოანე XXII (1316—1333 წწ.) გამოაცხადა ისინი მწვალებლებად და დაუწყო მათ დევნა. სპირიტუალებს დაუწყეს კოცონებზე დაწვა, როგორც მწვალებელთ და მისჯა სამუდამო პატიმრობისა.

ამგვარად ფრანცისკანთა ნაწილსა და პაპობის შორის ხდება განხეთქილება, რასაც ზედ ერთვის გათიშვა თვით ორდენის შიგნით. თუ გაცხარებული ბრძოლის დროს პაპობამ არ მოსპო ფრანცისკანობა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი უმრავლესობა, ეგრეთწოდებული კონვენტუალები დარჩნენ მონაზონური ორგანიზაციის ერთგულნი, რომელიც მკვეთრად დაშორდა ადრინდელ ფრანცისკანთა ძმობას. თუმცა კონვენტუალთა შორისაც იყვნენ მოწინააღმდეგნი იოანე XXII, ამ ბანკირი — პაპისა, რომელმაც სხვადასხვა უწმინდური საშუალებებით შეკრიბა თავის ხაზინაში აუარებელი სიმდიდრე. ზოგიერთი კონვენტუალთაგანი, მაგალითად, ცნობილი ღვთისმეტყველი ოკამი, პაპსა და იმპერატორს შორის წარმოებულ ბრძოლის პერიოდში გაიქცნენ ლუდოვიკო ბავარელთან (იხ. თავი XXIV) და შეიქმნენ მისი უახლოესი მრჩეველები. მიუხედავად ამისა, ფრანცისკანთა ორდენი მთლიანად რჩებოდა პაპობის მეტად ძვირფას თანაშემწედ, იმდენად,რამდენადაც იგი წარმოადგენდა ახალი ტიპის მონაზონურ ორგანიზაციას, რომელმაც მონახა გზა ხალხის მასებში შეჭრისა, მათთან მჭიდროდ დაკავშირებისა, რის წყალობითაც მას გაჩნდა შესაძლებლობა მასების მოძრაობის კონტროლისა და მათი კათოლიკური ეკლესიისადმი ერთგულების დაცვისა. ფრანცისკანობა, რომელსაც ადვილად შეეძლო ქცეულიყო ოპოზიციონურ მწვალებლურ მოძრაობად, საბოლოოდ იქცა მწვალებლურ და რევოლუციურ მოძრაობათა ყველაზე უფრო საშიშ მტრად. სწორედ ფრანცისკანობას მიუძღვის ყველაზე დიდი ღვაწლი

ოპოზიციურ განწყობილებათა მოჩლუნგებაში, ხალხის მასების ჩამოშორებაში აშკარა ბრძოლისაგან პაპობასა და ოფიციალური ეკლესიის წინააღმდეგ.

დომინიკანები. მეორე „მათხოვრულ", მხოლოდ რამდენადმე უფრო სხვანაირი წარმოშობისა და ხასიათის ორდენს, წარმოადგენდა ფრანცისკანთა თითქმის ერთდროულად დაარსებული ორდენი დომინიკანებისა, ანუ ძმათა მქადაგებელთა. მათი მოღვაწეობის მთავარ მიზანს და დანიშნულებას შეადგენდა ქადაგება მწვალებელთა წინააღმდეგ.

ორდენის დამაარსებელი დომინიკ გუსმანი, წარმოშობით ესპანელი აზხაური, 1207—1208 წწ. მოხვდა ერთ ესპანელ ეპისკოპოსთან ერთად სამხრეთ საფრანგეთში, სადაც იმ დროს წარმოებდა ალბიგოელთა მწვალებლობის სისხლისმღვრელი დევნა. ჩრდილო საფრანგეთის ფეოდალებისათვის, რომელთაც სათავეში ედგათ სიმონ დე მონფორი, მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მწვალებელთა სიმდიდრისა და ქონების დაუფლებას, არა მარტო მიწებისა და ქალაქების ხელში ჩაგდებას სამხრეთ საფრანგეთში, არამედ მწვალებლობის აღმოფხვრასაც. ამისათვის საჭირო იყო გაძლიერებული მოღვაწეობა მქადაგებლებისა, რომლებადაც თავდაპირველად დაგზავნეს ცისტერციანელი ბერები. მაგრამ უკანასკნელნი ვერ მოერივნენ ამ ამოცანის გადაწყვეტას, მწვალებელნი სასაცილოდ და აბუჩად იგდებდნენ ქრისტიანობის ამ მქადაგებელთ, რომელნიც თვითონვე წარმოადგენდნენ ქრისტიანობის დამახინჯების საუკეთესო მაგალითს და ამავე დროს იჩენდნენ უვიცობას ღვთისმეტყველებაში. ამ გარემოებამ მიიყვანა დომინიკე იმ აზრამდე, რომ საჭირო იყო შექმნა ისეთ მქადაგებელთა მონაზონური ორგანიზაციისა, რომლის წევრებიც არ უნდა ჩამორჩენოდნენ კათარებს არც ცხოვრების „სიწმინდით", არც ცოდნით ღვთისმეტყველების დარგში. ფრანცისკანული წესდების ზეგავლენით იგი აარსებს თავის საკუთარ ორდენს, როგორც ძმობას მათხოვრული მქადაგებლებისას — პრედიკანტებისას, ანუ დომინიკანებისას, ყოველგვარი საკუთრების სრული უარყოფით. წესდება დამტკიცებულ იქნა პაპის მიერ 1216 წ., და უკვე უახლოეს წლებში ორდენმა დაიჭირა ხელმძღვანელი პოზიციები მწვალებლურ მოძრაობებთან ბრძოლაში.

მწვალებლობებთან ბრძოლას დომინიკანები აწარმოებდნენ ორი გზით: ერთი მხრივ, ისინი ეჯიბრებოდნენ მწვალებლობათა იდეოლოგებს თეორიულ დარგში, ემზადებოდნენ ამისათვის ღვთისმეტყველების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლით. ღვთისმეტყველურმა სტუდიებმა მიაღწიეს უუდიდეს განვითარებას ამ ორდენის ბერებს შორის. XIII საუკ. მეორე ნახევრიდან ისინი, ნაწილობრივ ფრანცისკანებთან ერთად, იგდებენ ხელთ საღვთისმეტყველო კათედრებს ევროპის ყველა უნივერსიტეტებში. დომინიკანთა და ფრანცისკთა რიგებიდან გამოვიდნენ უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები შუასაუკუნეების სქოლასტიკისა — ალბერტ დიდი „ანგელოზური დოქტორი" თომა აკვინელი, ბონავენტურა, დუნს სკოტი და ბევრიც სხვ.

დომინიკანთა მწვალებლობის ბრძოლის წინააღმდეგ მეორე, უფრო რეალურ, ძალდატანებით და უხეშ საშუალებას წარმოადგენდა პირდაპირი დევნის გზა. დომინიკანები ხდებიან ინკვიზიტორებად. როდესაც იქმნება ინკვიზიცია, სწორედ ისინი ამარაგებენ კადრებით ამ საზარელ სამსჯავროს, აწარმოებენ

მწვალებელთა ძებნას, მათ დაკითხვას და დასჯას. დომინიკანები ბრწყინვალედ სწყვეტდნენ ამ ამოცანას, იჩენდნენ განსაკუთრებულ შეურიგებლობას და შეუბრალებლობას მართლმორწმუნე კათოლიციზმის ყველა მოწინააღმდეგეთა მიმართ. ტყუილად კი არ უწოდებდნენ ისინი თავიანთ თავს domini canes — „ღვთის ძაღლებს"— და თავიანთ დროშაზე გამოხატავდნენ ძაღლებს, რომელნიც გლეჯდნენ მწვალებელთა სხეულს.

ამგვარად, დომინიკანთა ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ინკვიზიციის ისტორიასთან.

ინკვიზიცია. ინკვიზიცია (წარმოსდგა ლათინური სიტყვიდან — inquisitio გამოძიება) ფარული ფორმით უკვე დიდი ხნიდან არსებობდა ეკლესიაში. ჯერ კიდევ „ნეტარი" ავგუსტინეს დროიდან ეკლესია იჩენდა მკეთრ შეურიგებლობას ყველა იმათ მიმართ, ვინც გვერდს უქცევდა მიღებულ და საყოველთაოდ ცნობილ დოგმას. მაგრამ მწვალებელთა დევნა, მათი „ცრუმოძღვრების" გამომჟღავნება მოქცეული იყო ეპისკოპოსთა ხელში. განვითარებულ ფეოდალიზმისა და ეკლესიის „საეროობის" ხანაში ეპისკოპოსები, მთლიანად გატაცებულნი თავიანთი საერო ინტერესებით, ძლიერ მცირე ყურადღებას აქცევდნენ მწვალებლობას. მათ უფრო ედარდებოდათ შემოსავლის შენარჩუნება, ვიდრე მორწმუნეთა გადარჩენა შეცოდებათაგან. ამასთანავე ერთად, ისინი მეტ ნაწილად სრულიად უსუსურნი იყვნენ თეორიულ დარგში. ამიტომ, როდესაც მწვალებლობანი უთხრიან ძირს თვით ეკლესიის საძირკველს და ემუქრებიან მის არსებობას, იქმნება საჭიროება გამოსაკუთრებული ორგანოების შექმნისა მწვალებელთა შესახებ საქმეების გამოსაძიებლად. XII საუკ. დამლევს ამ მიზნით ეპისკოპოსებთან არსდება სპეციალური კომისიები, რომელთაც საინკვიზიციოების სახელწოდება მიიღეს.

დომინიკანთა როლი ინკვიზიციის განვითარებაში. მაგრამ ინკვიზიციის ეს ორგანოები, დაარსებულნი პაპი ლუციუს III მიერ ვერონის საეკლესიო კრებაზე და კიდევ უფრო მეტად განვითარებულნი ინოკენტი III ხანაში (ლატერანის საეკლესიო კრების დადგენილება 1208—1209 წწ.), ძველებურად არსებობდნენ ეპისკოპოსებთან და ამიტომ ცუდად ასრულებდნენ თავიანთ დანიშნულებას. სწორედ ამიტომაც პაპობამ, შეამჩნია თუ არა დომინიკანების განსაკუთრებული გულმოდგინება მწვალებლებთან ბრძოლაში, გადასცა მათ ინკვიზიცია, დაუმორჩილა ორდენი უშუალოდ თავის ტახტს და გახადა იგი ეპისკოპოსთაგან დამოუკიდებელი. დომინიკანები ღებულობდნენ დიდ მიწის ნაწყალობებს; თავისუფლდებიან ადგილობრივი სასულიერო ხელისუფალთა კონტროლისაგან, ღებულობდნენ სხვადასხვა პრივილეგიებს. მათთვის მასების თვალში განსაკუთრებული მდგომარეობისა და პოპულარობის შესაქმნელად, პაპობა უბოძებს მათ (ისევე, როგორც ფრანციისკანებსაც) რელიგიური წესების შესრულების უფლებას ყველგან, ისეთ ადგილებშიაც კი, რომლებიც იმყოფებოდნენ ინტერდიქტის ქვეშ. ამის შედეგად დომინიკანები იქცევიან გავლენიან მქადაგებლებად „სულის მოძღვრებად" და ხშირად ჩრდილავენ ადგილობრივ სამღვდელოებას, უფრო მოგვიანებით დომინიკანთა წრიდანაც გამოდიოდნენ ისეთი ადამიანები, რომელნიც თავიანთ გავლენას იყენებდნენ თვით პაპობის

წინააღმდეგ, ასეთი იყო მაგალითად, ცნობილი დომინიკანი საეკლესიოლა XV საუკ. დამლევს. მაგრამ XIII—XIV საუკუნეებში ეს ორდენი წარმოადგენდა პაპობის მტკიცე დასაყრდენს და მწვალებლობის ყველაზე უფრო დაუძინებელ მტერს.

XIII საუკ. 30-იანი წლებიდან ინკვიზიცია მთლიანად ექცევა მათ ხელში, და ამ დროიდან მათი მოღვაწეობა ღებულობს განსაკუთრებით ფართო გასაქანს.

ინკვიზიციის მოქმედების მეთოდები. ეკლესია უწოდებდა ინკვიზიციას Sanctum officium სამღვთო, წმინდა სამსახურს, სამღვთო, წმინდა ინკვიზიციას. ინკვიზიტორთა ამოცანას შეადგენდა მწვალებელთა მოძებნა, დამბეზღებელთა წაქეზება, გამოძიების წარმოება წამების საშუალებით საინკვიზიციო საწამებელ საპყრობილეებში, მწვალებელთა სამართალში მიცემა და მათი მწვალებლობაში მხილების შემდეგ საერო ხელისუფლებისათვის გადაცემა სასჯელის დადების მიზნით. ეკლესია პირმოთნედ აცხადებდა, რომ იგი არ დაუშვებდა სისხლის ღვრას, ამიტომ მწვალებელთ სჯიდნენ სიკვდილით ან დაბრჩობის, ან და კოცონზე დაწვის საშუალებით.

თავდაპირველად დომინიკანური ინკვიზიცია იჩენდა ერთგვარ ზომიერებას. 1226 და 1246 წწ. შორის ტულუზაში მისჯილ 140 მწვალებლისათვის ერთადერთ სასჯელს წარმოადგენდა სამუდამო საპყრობილე. მაგრამ XIII საუკ. მეორე ნახევრიდან მწვალებელთა უმრავლესობა ისჯება კოცონზე დაწვით, ამასთანავე ერთად ინკვიზიტორები მიდიოდნენ ისეთ უდიერობამდისაც კი, რომ იმ შემთხვევაში, თუ მწვალებელი მოკვდებოდა გასამართლებამდის ან და მხილებული იქნებოდა მწვალებლობაში სიკვდილის შემდეგ, მის ძვლებს ამოყრიდნენ საფლავიდან და სწვავდნენ. მართალია, ასეთ უდიერ აქტებს ჰქონდა მატერიალური სარჩული. შვილები და შვილიშვილები მწვალებლისა, კოცონზე დამწვარისა თუნდაც სიკვდილის შემდეგ, კარგავდნენ სამემკვიდრეოს; მწვალებლის ქონება ნაწილდებოდა ეკლესიის, საერო ხელისუფლებისა და დამბეზღებლის შორის. ამავე დროს სიკვდილ მისჯილ მწვალებლის მოვალენი თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი ვალდებულებებისაგან მის მიმართ.

ინკვიზიციის მწვალებლობასთან ბრძოლის შედეგები. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო, სხვათა შორის, ეკონომიური ცხოვრების და საქმიან ურთიერთობათა შესამჩნევ დაცემას იმ ოლქებში, სადაც მძვინვარებდა საინკვიზიციო ტერორი. საკრედიტო ხელშეკრულების დადება შეუძლებელი ხდება იქ, სადაც ადამიანს უნდა ჰშინებოდა, რომ მისი მოვალე მიცემული იქნებოდა საინკვიზიციო სასამართლოში და მისი ქონება კი კონფისკაციაქმნილი. მწვალებელთა მოძებნისა და საქმეთა წარმოებისათვის დომინიკანმა-ინკვიზიტორებმა გამოიმუშავეს მთელი სისტემა წესებისა, დამბეზღებლის სახელი საიდუმლოდ ინახებოდა. დაბეზღებას აქეზებდნენ დამბეზღებლისათვის კონფისკაციაქმნილი ქონების ნაწილის მიცემით. შეადგინეს სპეციალური სახელმძღვანელოები გამოძიების წარმოებისა, ვინაიდან მწვალებლები ჯიუტობდნენ და არა ტყდებოდნენ თავის მწვალებლობაში, მოგონილ იქნა ყოველგვარი მოქნილი ხრიკები, რათა გამოეტეხათ ინკვიზიციის სასამართლოში მიცემული ბრალდებული. და-

კითხვასთან ერთად ფართოდ იყენებდნენ წამებას, რომელთა გამოგონებაში ინკვიზიტორებმა მიაღწიეს დიდ სრულყოფას.

ინკვიზიციის მსხვერპლთა რაოდენობა, რომელიც სულ უფრო და უფრო მატულობს XIII საუკ. დამლევისათვის და XIV საუკ. დამდეგისათვის, იყო აუწერელი. მწვალებელთა გაძლიერებული დევნის, მათი მასობრივი ფიზიკური განადგურების შედეგი იყო ის, რომ მწვალებლური მოძრაობა ამ პერიოდის დასასრულს შენელდა.

ბურჟუაზიულ იდეალისტურ ისტორიოგრაფიაში არა ერთხელ გატარებულია ის აზრი, რომ იდეა დაუძლეველია, რომ შეუძლებელია იდეის ჩახშობა. იდეა, როგორც ამას გვასწავლიან მარქსი და ლენინი, მართლაც დაუძლეველია, როდესაც იგი მოიცავს მასებს, მაგრამ შესაძლებელია იდეის ჩახშობა ფიზიკური ძალადობით, თუ იგი არ მოუწოდებს მასებს წინააღმდეგობისაკენ, ჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, არამედ ილაშქრებს ბოროტის წინააღუდგომლობის გეგმით, ქადაგებს მორჩილებას, მოწამეობისათვის მზადყოფას და სხვ. მწვალებლური იდეა კი იყო სწორედ ასეთი სახის იდეა. მწვალებლები ყველაზე უფრო ხშირად უპირისპირებდნენ თავიანთ მტრებს არა შეიარაღებული ბრძოლისადმი მოწოდებასა და ამბოხების ორგანიზაციას, არამედ პასიურ წინააღმდეგობას, მორჩილებას, მოწამეობას. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი გზით არ შეიძლება არავითარი იდეის გადარჩენა. მწვალებლები ფიზიკურად განადგურებული და აღმოფხვრილნი იქნენ, რაშიაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ინკვიზიციას.

ეკლესიისა და ფეოდალური სახელმწიფოს თანამშრომლობა მწვალებელთა აღმოფხვრის საქმეში. რასაკვირველია, მწვალებლობათა შეუბრალებელი აღმოფხვრის საქმეში ეკლესიას ყოველმხრივ ეხმარებოდა საერო ხელისუფლება. ეკლესია იყო უმნიშვნელოვანესი ბურჯი ფეოდალური წესწყობილებისა, ერთადერთი ფორმა მასების იდეოლოგიური, სულიერი დამონებისა, რაც უზრუნველყოფდა დამონებას სოციალურს და ეკონომიურს. ზიანი, მიყენებული ეკლესიისათვის, წარმოადგენდა საერთოდ ფეოდალიზმისათვის მიყენებულ ზიანს. ამასთანავე ერთად, მწვალებლობანი მიმართული იყო არა მარტო ეკლესიის, არამედ სახელმწიფოს წინააღმდეგაც. შემთხვევითი არ არის რომ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, პაპობის მტერი ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი 1220 და 1249 წწ. შორის სცემს მთელ რიგ სასტიკ კანონებს მწვალებელთა წინააღმდეგ. პაპობამაც კი ვერაფერი დაუმატა მათ, და იგი ფაქტიურად ატარებდა ცხოვრებაში თავისი დაუძინებელი მტრის მიერ გამოცემულ კანონებს. ასე, მაგალითად, 1231 წ. კანონით იმპერატორი ადგენს, რომ მწვალებელს არა აქვს უფლება რაიმე საკუთრება ჰქონდეს, რომ სწორედ ამ საფუძველზე უნდა მოახდინონ მისი ქონების კონფისკაცია. ასეთსავე პრაქტიკას ითვისებს ეკლესიაც. საერო და სასულიერო ხელისუფლებანი ეჯიბრებიან ერთმანეთს მწვალებელთა შეუბრალებელ დევნაში, ღებულობენ ამისგან უშუალო სარგებლობას კონფისკაციაქმნილ ქონების სახით.

მაგრამ ასეთი მოსაზრებების სტიმულით წარმოებული მწვალებელთა საწინააღმდეგო ბრძოლაც კი არ შეიძლებოდა წარმოებულიყო მხოლოდ და მხოლოდ ძალადობის გზით. საჭირო იყო ამ ბრძოლისათვის თეორიული დასაბუ-

თების მიცემა, საჭირო იყო ჯალათის საერო მახვილთან ერთად გალესვა აგრეთვე სულიერი იარაღისა — საეკლესიო „მეცნიერებისა"—ღვთისმეტყველებისა, შუასაუკუნოებრივი სქოლასტიკისა. მხოლოდ და მხოლოდ იდეოლოგიის მბრძანებლური მწვალებლების, მაშინდელი „მეცნიერების" მწვერვალების დაუფლებით იყო შესაძლებელი არა მარტო აღმოფხვრა ოპოზიციისა, არამედ მისი გაჩენის წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღება. სწორედ ამიტომაც ეკლესიაც და ფეოდალების მთელი გაბატონებული კლასიც მცირე მნიშვნელობას როდი აძლევდა სქოლასტიკური, განსაკუთრებით ღვთისმეტყველო, სწავლულობის განვითარებას, რომლის შინაარსი და ხასიათიც განხილული იქნება შემდეგ თავში.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. ენგელსი, „ლუდოვიგ ფეიერბახი", ტფ. 1940. — Энгельс, Юридический социализм, Соч., т. XVI, ч. I. — ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში", ტფ., 1932.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. II, ч. I, 1938, стр. 232—252. — Средневековье в его памятниках, под ред. Егорова, отд. V, XII, М. 1913. — Инфессура и Бурхард, Дневники, под ред. С. Лозинского, М. 1939.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Лависс и Рамбо, Эпоха крестовых походов, т. I. гл. V, М. 1914. — ქაუცკი კ., „უახლოესი სოციალიზმის წინამორბედნი", ტფ. 1927. — Лозинский, История папства, т. I, М. 1934. — Герье, Западное монашество и папство, М. 1913. — Герье, Расцвет западной теократии, М. 1916. — Гаусрат, Средневековые реформаторы, 2 т., Спб. 1900. — Осокин, История альбигойцев, т. I. Казань 1869. — Ли, История инквизиции в средние века, т. I, Спб. 1911. — Котлиревский, Францисканский орден и римская курия в XIII и XIV веках, 1901. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. II, ст 32, 40, 41; т. IV, ст. 72—76.

თ ა ვ ი XXXII

დასავლეთ ევროპის კულტურა XI—XV საუკუნეებში

ეკლესია და სკოლა. კულტურის მთავარ მატარებელს XI—XV საუკ. ფეოდალურ ევროპაში, ისევე როგორც წინაპერიოდშიაც, წარმოადგენდა ფეოდალური კათოლიკური ეკლესია.

მის ხელში იმყოფებოდა წინანდებურად სკოლა. მართალია, XII—XIII საუკუნეებში ქალაქებში აღმოცენდა სკოლა, რომელიც უშუალოდ აღარ იყო დამოკიდებული ეკლესიისაგან, მაგრამ მასშიაც სწავლებას ჰქონდა უმთავრესად საეკლესიო-რელიგიური ხასიათი. თავდაპირველად სკოლის მასწავლებლებად იყვნენ ყველგან ან მღვდლები, ან ბერები, და, რასაკვირველია, მათი სწავლება ატარებდა წმინდა რელიგიურ ხასიათს.

რაში მდგომარეობდა სწავლება შუა საუკუნეებში? ამ სწავლების ტიპი ჩამოყალიბდა შედარებით ადრე. და შენარჩუნებულ იქნა ურყევად მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. თავდაპირველად ბავშვს აზეპირებდნენ ლოცვებსა და საეკლესიო ფსალმუნებს, ამასთანავე სწავლება მიმდინარეობდა ლათინურ ენაზე, ე. ი. უცხო ენაზე, რომელიც დიდი ხანია რაც მკვდარ ენად იყო ქცეული. შემდეგ იწყებდნენ წერა-კითხვის შესწავლას. მცირე როლს როდი ასრულებდა სწავლებაში წკეპლა. შუასაუკუნოებრივი სურათები, რომლებზედაც გამოსახულია სკოლა, ჩვეულებრივ გვიხატავენ მასწავლებელს წკეპლით ხელში. იმ დროს წერა-კითხვის შესწავლა არ იყო ადვილი. სიტყვები იწერებოდა სხვადასხვა ქარაგმებით. მოწაფეს ზეპირად უნდა დაესწავლა მთელი ეს რთული სისტემა სიტყვების გამოსახვისა.

დაწყებით სწავლებას მოსდევდა „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“ შესწავლა (იხ. თავი X).

უნივერსიტეტები. XI—XII საუკუნეებითგან დაწყებული ჯვაროსნული ლაშქრობების, სასაქონლო-ფულადი მეურნეობისა და ქალაქების ზრდისა და განვითარების ეპოქაში, სკოლამ წინ დიდი ნაბიჯი წარსდგა. ამ დროიდან იწყებს ჩამოყალიბებას უმაღლესი სკოლა, უნივერსიტეტი. ძალიან ძნელია იმის გამორკვევა, თუ ზუსტად როდის იყო დაარსებული ესა თუ ის უძველესი უნივერსიტეტი, ვინაიდან მის დასაწყისად ბევრი სთვლის იმ მომენტს, როდესაც ეს ა თუ ის სკოლა იწყებდა მსმენელთა დიდი რაოდენობის მიზიდვას, როდესაც მასში ჩნდებოდნენ სახელგანთქმული მასწავლებლები. ასე, მაგალითად, სთვლიან,

რომ ბოლონის უნივერსიტეტი დაარსებულ იქნა XI საუკ. დამლევს, როდესაც ბოლონის სკოლაში დაიწყო რომის სამართლის ,როგორც ცალკე საგნის, შესახებ ლექციების კითხვა ცნობილმა იურისტმა ირნერიუსმა, რომელმაც პირველმა მიმართა რომის სამართლის პირველ წყაროებს, იუსტინიანეს „სამოქალაქო სამართლის კრებულს". და დაიწყო მისთვის კომენტარიების გაკეთება, ეგრეთწოდებული გ ლ ო ს ა ტ ო რ ო ბ ა. ევროპა, რომელმაც ფეხი შესდგა სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ეპოქაში, პოულობს რომის სამართალში მზამზარეულ პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებსაც უყენებდა შუა საუკუნეების ადამიანის უფლებრივ ,ცნობიერებას ეს ახალი სტადია მისი განვითარებისა. რომის სამართალი არა თუ შეიცავდა სასაქონლო-ფულად მეურნეობის შესაბამის უფლებრივ ნორმათა სისტემას, არამედ იძლეოდა აგრეთვე პასუხს იმ ეპოქის მთელ რიგ პოლიტიკურ კითხვებზე, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ სამეფო ძალაუფლების ზრდასთან. მეფის თვითმპყრობელობის თეორია ეყრდნობოდა იუსტინიანეს კოდექსს, და ჩვენთვის უკვე ცნობილია, თუ როგორ იყენებდნენ ლეგისტები მის ტექსტებს მონარქთა აბსოლუტისტური პრეტენზიების დასაცავად. შემდგომ ბურჟუაზიულ საკუთრების განვითარება ფეოდალურისაგან, სათემო მიწების დატაცების ცდა, გლეხობის ექსპლოატაციის გაზრდის ცდა — ყველაფერი ეს პოულობდა გამართლებას რომის სამართალში, რომელიც დაფუძნებული იყო მონათმფლობელობაზე და შეუზღუდავ კერძო საკუთრებაზე. ბოლონში იქმნება სახელგათქმული სკოლა გლოსატორებისა, ანუ რომის სამართლის კომენტატორებისა. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო XIII საუკ. გლოსატორი აკურსიუსი, რომელმაც შეკრიბა თავის „glossa perpetua-ში ყველაზე უფრო ავტორიტეტული კომენტარიები.

ძველია აგრეთვე პარიზის უნივერსიტეტის დაარსების თარიღის დადგენა. ამ ქალაქში უკვე XII საუკ. იყრიდა თავს აუარებელი სტუდენტობა, რომელიაც იზიდავდა ბრწყინვალე მასწავლებელთა სახელი, რომელთა შორისაც იყო სახელოვანი ფილოსოფოსი — სქოლასტიკოსი აბელარი (1079—1142 წწ). ამა თუ იმ უნივერსიტეტის აღმოცენების ოფიციალურ მომენტად შეიძლება ჩაითვალოს მისი დამტკიცება პაპის ან იმპერატორის მიერ. პარიზის უნივერსიტეტის პირველი ქარტია თარიღდება 1200 წ.

მაშინ უნივერსიტეტს ჯერ კიდევ ეწოდებოდა studium generale რაც აღნიშნავდა „საზოგადო", ანუ „საყოველთაო" სკოლას. ეს სახელწოდება იხმარებოდა იმ აზრით, რომ უნივერსიტეტში ისწავლებოდა ჩვეულებრივ ყველა ძირითადი მეცნიერებანი, რომელნიც კი არსებობდა იმ დროს, და აგრეთვე იმიტომაც, რომ მას არ ჰქონდა ადგილობრივი ხასიათი, არამედ მისი კარები ღია იყო მთელ მაშინდელ დასავლეთ ევროპულ სამყაროსთან. უნივერსიტეტი წარმოადგენდა სულ სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსულ მოსწავლეთა თავმოყრის ადგილს. ბევრი სტუდენტი ამა თუ იმ მეცნიერებას საუკეთესო მასწავლებელთა ძებნაში შემოივლიდა ხოლმე მთელ რაგ უნივერსიტეტებს. მოგზაური სტუდენტი — ჩვეულებრივი მოვლენა შუასაუკუნოებრივ ევროპაში.

იყვნენ სტუდენტთა შორის ისეთებიც, რომელნიც, გაივლიდნენ თუ არა უნივერსიტეტის პირველდაწყებით კურსს, შემდეგ მეცნიერების შესწავლის

სიძნელით დაშინებულნი, სტოვებდნენ ამ საქმეს. მათთვის მოგზაურობა იქცეოდა პროფესიად ან და მხიარულ დროსტარებად. ამ ეპოქაში XIII—XIV ს.ს. უკუნეებში შეიქმნა ტიპი მოგზაური სტუდენტისა — ვაგანტისა, ანუ გოლიარდისა. სტუდენტები მოგზაურობდნენ დიდ კამპანიებად და სთხზავდნენ სიმღერებს, რომლებშიაც მოუთხრობდნენ თავიანთ ყოფა-ცხოვრებას, და აგრეთვე ხშირად ბესლიანი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ კარდინალებს, ეპისკოპოსთ და თვით პაპს. ეს ვაგანტები არა ერთხელ იყვნენ ეკლესიაში რეფორმაციული იდეების გამტარებლები.

საერთაშორისო ხასიათი მაშინდელი უნივერსიტეტებისა გამოიხატებოდა იმაში, რომ ყოველ დიდ უნივერსიტეტში არსებობდა ყოველთვის რამდენიმე ნაცია, ე. ი. სათვისტომო, რომელნიც იმავ დროს წარმოადგენდნენ უნივერსიტეტის თვითმართველობის მუდმივ ორგანოებს. ამ ორგანიზაცია-თემებისგან (universitas), რომლებშიც შედიოდნენ პროფესორებიც, უმაღლესმა სკოლამ მიიღო შემდეგ განმტკიცებული სახელწოდება „უნივერსიტეტისა". ამ უკანასკნელმა გააძევა ხმარებიდან მისი თავდაპირველი სახელწოდება studium generale.

უნივერსიტეტების თავისებურ ინტერნაციონალურ ხასიათს ხელს უწყობდა ისიც, რომ ყველა უნივერსიტეტებში სტუდენტები ისმენდნენ ლექციებს ერთდაიგივე ლათინურ ენაზე — მაშინდელი მეცნიერების საერთაშორისო ენაზე.

მთელი საუნივერსიტეტო წყობილება, რომელიც შენახულია ევროპაში დღევანდლამდის, ჩამოყალიბდა უნივერსიტეტთა არსებობის პირველსავე საუკუნეებში. ასე მაგალითად, უნივერსიტეტების ფაკულტეტებად დანაწილება იწყება ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან. ჩვეულებრივ უნივერსიტეტში არსებობდა მოსამზადებელი ფაკულტეტი, ეგრეთწოდებული არტისტული (facultas actium), რომელზედაც ისწავლებოდა შვიდი თავისუფალი ხელოვნება (artes liberales), ე. ი. ტრივიუმი და ქვადრივიუმი. ამ ფაკულტეტის სტუდენტები, „არტისტები", იყვნენ ახალგაზრდა ხალხი, ნაწილობრივ ჯერ კიდევ 12—13 წლის მოზარდნი. არტისტიულ ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს შეეძლოთ შესვლა რომელიმე უფროს ფაკულტეტზე. ასეთ უფროს ფაკულტეტებს წარმოადგენდნენ საღვთისმეტყველო, სამედიცინო და იურიდიული, რომელზედაც ისწავლებოდა არა მარტო სამოქალაქო (რომის), არამედ კანონიკური (საეკლესიო) სამართალიც.

შუა საუკუნეებიდანვე მომდინარეობს ლექციური სისტემა, შემოღებული წიგნების ნაკლებობის საფუძველზე. სტუდენტებს უნდა ჩაეწერათ ლექციები, შემდეგ ამ ლექციებს ამუშავებდნენ დისპუტებზე. დისპუტებზე წარმოებდა კამათი, იგი იწყებოდა ეგრეთწოდებული თეზისით, რომელსაც სვამდა მასწავლებელი, ხოლო შემდეგ ხდებოდა სტუდენტთა მსჯელობის საგნად. ამასთანავე ერთად მოკამათე მხარეთა შორის ზოგჯერ სდგამდნენ ტიხრებს (ბარიერებს), ვინაიდან დისკუსია არა ერთხელ გადასულა მუშტი-კრივზე.

ძალიან ხშირად უნივერსიტეტებში სწავლება არ წარმოებდა აუდიტორიებში, ე. ი. სტუდენტები კი არ მიდიოდნენ პროფესორებთან, არამედ პროფე-

სორები მიდიოდნენ სტუდენტებთან, მათ საერთო საცხოვრებლებში. უნივერსიტეტთან თანდათანობით არსდება მთელი რიგი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები, ანუ კოლეგიები, რომელნიც არსდებოდნენ ქველმოქმედ პირთა ან ქალაქთა ხარჯზე. კოლეგიებში უღარიბესი სტუდენტები ღებულობდნენ ბინასა და საკვებს, ხოლო შემდეგში, ხშირად აქვე გადაჰქონდათ ლექციების კითხვა მასწავლებლებს. ასე, მაგალითად, სახელგანთქმული სორბონა, ცენტრი პარიზის უნივერსიტეტისა, წარმოადგენდა სწორედ რომ ვთქვათ, ღვთისმეტყველი სტუდენტების საერთო საცხოვრებელს.

სტუდენტს, რომელიც გაივლიდა კურსის განსაზღვრულ ნაწილს, შეეძლო ჩაებარებინა გამოცდა ბაკალავრის ხარისხზე, ე. ი. პირველ სამეცნიერო ხარისხზე, ხოლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იჭერდა გამოცდას ლიცენციატის ხარისხზე და ღებულობდა სწავლების უფლებას (licentia docendi). შემდგომ ხარისხს წარმოადგენდა ხარისხი მაგისტრისა, ხოლო უმაღლესს — დოქტორისა.

უნივერსიტეტების გავრცელება. უნივერსიტეტები სწრაფად ვრცელდება და მრავლდება ევროპაში, ამასთანავე ერთად მათი გავრცელების ერთ-ერთ საშუალებათაგანს წარმოადგენდა უნივერსიტეტთა გადასახლება. უნივერსიტეტები იმყოფებოდა მუდმივ კონფლიქტში ადგილობრივ საეკლესიო ხელისუფლებასთან და განსაკუთრებით კი ადგილობრივ საქალაქო ხელისუფლებასთან. ეს კონფლიქტები ხდებოდა მომეტებულ ნაწილად იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით. ძალიან ხშირად იჭრებოდა კითხვა, ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს უფლება საკუთარი სტუდენტების გასამართლებისა, თუ ეს უფლება უნდა ეკუთვნოდეს ეკლესიას, ან და ადგილობრივ საქალაქო სასამართლოს.

ქალაქისათვის სტუდენტები წარმოადგენდნენ შემოსავლის წყაროს, მაგრამ ეს იყო უაღრესად მოუსვენარი ელემენტი. სტუდენტებსა და მოქალაქეთა შორის შეტაკებებს ხშირად სდევდა თან ცემა-ტყეპა და მუშტი-კრივი, რომლებშიაც უხდებოდათ ჩარევა ქალაქის მსაჯულებს, ზოგჯერ საქმე მიდიოდა სტუდენტთა ნამდვილ დარბევამდე. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კონფლიქტის შედეგად უნივერსიტეტი სრულ შემადგენლობით გადადიოდა მეორე ქალაქში, რასაც ხშირად თან სდევდა ახალი უნივერსიტეტების აღმოცენება. ასე, მაგალითად, ოქსფორდის უნივერსიტეტი ინგლისში აღმოცენდა XIII საუკ. იმის წყალობით, რომ პარიზის უნივერსიტეტი გაიფიცა, ნაწილი პროფესორებისა და სტუდენტებისა გადასახლდა ინგლისში და დაბინავდა ოქსფორდში, მაგრამ ეს პროფესორები და სტუდენტები ვერ მორიგდნენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ახლა გადასახლდნენ ოქსფორდიდან კემბრიჯში. შემდეგ ოქსფორდის უნივერსიტეტმა მაინც განაახლა თავისი მუშაობა, მაგრამ კემბრიჯშიაც დარჩა უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტები იწყებენ აღმოცენებას ევროპის ყველა ქვეყნებში. იტალიაში, ბოლონის უნივერსიტეტის გარდა, ჯერ კიდევ XI საუკ. სახელმოხვეჭილი იყო უმაღლესი სამედიცინო სკოლა სალერნოში, საფრანგეთში, პარიზის უნივერსიტეტის გარდა, XIII საუკ. ჩნდებიან უნივერსიტეტები მონპელიეში, ტულუზაში და ორლეანში, ინგლისში არსდება ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტები, ესპანეთში — სალამანკასი. XIV საუკ. ჩნდებიან უნივერსი-

ტეტები პრაგაში, კრაკოვში, ჰაიდელბერგში. XVI საუკ. დამდეგისათვის ევროპაში დაითვლებოდა 60 უნივერსიტეტზე მეტი.

ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ ეს უნივერსიტეტები ძლიერ ხალხმრავალად. პარიზის უნივერსიტეტის, ამ უუმსხვილესი უნივერსიტეტის, სტუდენტთა რაოდენობა საეჭვოა, რომ ყოფილიყო 2 ათასზე მეტი. უუმნიშვნელოვანესი უნივერსიტეტები განთქმული იყვნენ ერთი რომელიმე ძირითადი დისციპლინის სწავლებით. ასე მაგალითად, ბოლონის უნივერსიტეტი განთქმული იყო იურიდიულ მეცნიერებათა შესწავლით, ორლეანისა — ლათინური ავტორების შესწავლით, პარიზისა — თავისი საღვთისმეტყველო ფაკულტეტით. პარიზის უნივერსიტეტი წარმოადგენდა ევროპის საღვთისმეტყველო ცენტრს და სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით თეოლოგიურ საკითხებში. პაპობის კრიზისისა და კათოლიციზმის „დიდი გათიშვის“ ხანაში პარიზის უნივერსიტეტი თამაშობდა ხელმძღვანელ როლს ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხებში.

სქოლასტიკა. როგორი ხასიათისა იყო ის მეცნიერება, რომელსაც ასწავლიდნენ შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში? მას ჩვეულებრივ **ს ქ ო ლ ა ს ტ ი კ ა ს** უწოდებენ, რაც ნიშნავს სასკოლო მეცნიერებას. მხედველობაში უნდა მივიღოთ კი, რომ ჯერ ერთი, სქოლასტიკური მეთოდი, ანუ სქოლასტიკა ვერ ამოწურავს შუა საუკუნეების მთელი მეცნიერების დახასიათებას, და მეორეც ის, რომ თვით სქოლასტიკურმა მეთოდმა განვლო მთელი რიგი ეტაპებისა, და ძალიან ხშირად ჩვენ ვმსჯელობთ მასზე უკანასკნელი, მისი დაცემის ხანის მიხედვით, რაც XVI საუკ. დამდეგს ჰუმანისტების კრიტიკის საგნად იქცა.

ყველაზე უფრო თანმიმდევრობითი გამოყენება სქოლასტიკურმა მეთოდმა ჰპოვა ღვთისმეტყველებაში, იმ „მეცნიერებაში“, რომელსაც ეკლესია სთვლიდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად და არსებითად. სქოლასტიკურ მეთოდს, პირველ ყოვლისა, ახასიათებს უუდიდესი როლი ავტორიტეტისა და მეტად უმნიშვნელო როლი გამოცდილებისა. ნაგულისხმევი იყო, რომ მთელი ჯამი ცოდნისა უკვე მოცემული იყო ან სამღვთო წერილში, ან ეგრეთწოდებული ეკლესიის მამათა და მოძღვართა თხზულებებში, ან და, ბოლოს, ზოგიერთი ანტიკური მწერლების თხზულებებში. ამოცანა მდგომარეობდა არა ცოდნის მოცულობის გაზრდაში, არამედ მის სისტემატიზაციაში. ამიტომ აქ უუდიდეს მნიშვნელობას იხვეჭდა მასალის დამუშავებისა და მის დასრულებულ სისტემაში მოყვანის ხერხი.

მეთოდი, რომლითაც სარგებლობდნენ ამისათვის, იყო **დ ე დ უ ქ ტ ი უ რ ი**, მეთოდი ამა თუ იმ დასკვნების მიღებისა უკვე მოცემული დებულებებისაგან, ანუ ფორმალური ლოგიკის ტერმინით ეს იყო **ს ი ლ ო გ ი უ რ ი** მეთოდი. მას საფუძვლად ედო ფორმალური ლოგიკა არისტოტელესი, შუასაუკუნოებრივი ფილოსოფიის უდიდესი ავტორიტეტისა. არისტოტელეს გავლენა გაბატონებული შეიქნა XII საუკ. დამლევიდან, როდესაც ესპანელ არაბთა, და ებრაელთა, მეშვეობით ღვთისმეტყველნი უფრო სრულად გაეცნენ მის თხზულებებს.

სქოლასტიკას უხდებოდა გადამუშავება ერთ მთლიან სისტემად მეტად ჰეტეროგენული ელემენტებისა, რომელნიც მხოლოდ დიდის გაჭირვებით შე-

იძლებოდა გაერთიანებულიყო ერთიან სისტემაში. ან და როგორ შეიძლებოდა არისტოტელეს ფილოსოფიის შეთანხმება ქრისტიანულ ეკლესიის ტრადიციასთან? აქ არსებობდა შეურიგებელი წინააღმდეგობანი, რომელთა ერთიან სისტემაში მოყვანაც შეიძლებოდა მხოლოდ გონებამახვილი ლოგიკური ხერხებითა და ხრიკებით. ან და რამდენ შინაგან წინააღმდეგობას შეიცავდა თვით ტექსტი სამღვთო წერილისა და ეკლესიის მამათა თხზულებანი, წინააღმდეგობანი, რომელნიც ნათელნი ხდებოდნენ გავარჯიშებული და გაწაფული ლოგიკური აზრისათვის და რომელთა ნაწილიც შეკრიბა, მაგალითად, აბელიარმა თავის თხზულებაში „Sic et non" („ჰო და არა"). საჭირო იყო ყველა ამ წინააღმდეგობათა თავიდან მოშორება, შენელება და მოჩლუნგება, გაშალაშინება, და ამისთანეებზე მუშაობის წყალობით, შეიქმნა სქოლასტიკოსთა ლოგიკური ოპერაციების განსაცვიფრებელი დახვეწილობა და სიმახვილე.

კამათი უნივერსალიების შესახებ. რასაკვირველია, გამოცდილების ნიადაგს მოწყვეტილი, ეს ლოგიკური ვირტუოზობა ჩვეულებრივ ფუჭად მუშაობდა. მაგრამ მთელ რიგ ფილოსოფიურ საკითხებში სქოლასტიკას ცოტა რამ არ გაუკეთებია ღირებული და დასაფასებელი, რითაც იგი უწმენდდა გზას ევროპაში ფილოსოფიური აზრის შემდგომ განვითარებას. მაგალითად, მოვიყვანოთ სქოლასტიკოსებისათვის ამაღელვებელი და მათი გამთიშავი საკითხი უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ ი ე ბ ი ს შესახებ (ე. ი. საკითხი ზოგადი ცნებებისა). ეს იყო შუასაუკუნოებრივი ფილოსოფიის განსაკუთრებით საყვარელი პრობლემა და მდგომარეობდა შემდეგში: აქვთ თუ არა ზოგად ცნებებს რეალური არსებობა, თუ ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ცარიელ სახელწოდებებს, რომელნიც აერთიანებდნენ ცალკეული მოვლენების მთელ რიგს? ამ კითხვაზე გაცემული პასუხი ჰყოფდა შუა საუკუნეების სქოლასტიკოსებს ორ მთავარ სკოლად—რ ე ა ლ ი ს ტ ე ბ ა დ და ნ ო მ ი ნ ა ლ ი ს ტ ე ბ ა დ. ნომინალისტების სკოლა სთვლიდა ზოგად ცნებებს, უნივერსალიებს, მხოლოდ სიტყვად (flatus vocis), სახელწოდებებად,—ლათინურად nomina, საიდანაც წარმოიშვა თვით სახელწოდება — ნომინალიზმი. რეალისტების სკოლა კი სთვლიდა მათ რეალურ, ნამდვილ საგნებად (realia), საიდანაც წარმოსდგა სახელწოდება რეალიზმი. უნდა გვახსოვდეს, რომ შუასაუკუნოებრივ რეალიზმს არაფერი აქვს საერთო რეალიზმთან ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით და, პირიქით, წარმოადგენს პლატონური ყაიდის უაღრესი იდეალიზმის გამოძღვანებას. სწორედ ისევე, როგორც პლატონის მხრით იდეები არსებობენ მატერიალური სამყაროს კონკრეტული საგნების დამოუკიდებლად, რომელნიც წარმოადგენენ ამ იდეათა ასლებს, ისევე უნივერსალიები, შუა საუკუნეების რეალისტების აზრით არსებობენ მოვლენათა მრავალსახეობისაგან დამოუკიდებლად. ნომინალისტებისა და რეალისტების სკოლები ჩამოყალიბდა XI—XII საუკუნეებში. ნომინალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია როსცელინი, ხოლო რეალიზმისა კი — ვილჰელმ შამპოელი.

შუალედური — თუმც ნომინალიზმთან უფრო ახლოს მდგომი — პოზიცია ეჭირა XII საუკ. უმჯობესს ფილოსოფოსს აბელიარს, ყოფილ როგორც

როსცელინის, ისე ვილჰელმ შამპოელის მოწაფეს. მისი მოძღვრების, ეგრეთწოდებული „კონცეპტუალიზმის“ თანახმად, ცნება როგორც რაღაც საზოგადო, არ არსებობს რეალურად არც საგნებში, არც მათ გარეშე, მაგრამ იგი არც ცარიელი „სახელწოდებაა“, იგი არსებობს შემცნობ გონებაში და შეესაბამება რაღაც ობიექტურს საგანთა ბუნებაში. არ ვეხებით რა დაწვრილებით ნომინალიზმისა და რეალიზმის რთული საკითხის ისტორიას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საღვთისმეტყველო პრობლემებთან, როგორც საკითხი ღვთაებრივი სამების ერთარსობის შესახებ. სენსუალიზმთან ახლოს მდგომი ნომინალიზმი საშიში იყო ქრისტიანობის ამ ძირითადი დოგმებისათვის და საეკლესიო ავტორიტეტებს ეს კარგად ესმოდათ — შემთხვევითი არ არის ის, რომ ზომიერი ნომინალიზმი აბელარისა დაგმობილ იქნა სანსის საეკლესიო კრებაზე 1141 წ. თვალსაჩინო როლი ამაში ითამაშა აბელარის მოწინააღმდეგემ, სახელგანთქმულმა მისტიკოსმა და ასკეტმა ბერნარდ კლერვოელმა.

სკოლასტიკის გაფურჩქვნა. სქოლასტიკამ მიაღწია თავის უმაღლეს მწვერვალს XIII საუკ., რომელზედაც მოდის მოღვაწეობა ისეთი უდიდესი მისი წარმომადგენლებისა, როგორიც არიან ალბერტ დიდი და განსაკუთრებით მისი მოწაფე თომა აკვინელი (1225 — 1274 წწ.). თომა აკვინელი არ წარმოადგენდა ნოვატორს იდეათა სფეროში, სამაგიეროდ იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული, სქოლასტიკოსებისათვისაც კი არაჩვეულებრივი, სისტემატიზაციის ნიჭით და მოგვცა თავის მთავარ თხზულებაში „Summa theologiae“, თავისებური ენციკლოპედია შუასაუკუნოებრივი მსოფლმხედველობისა. ზომიერი რეალისტი უნივერსალიების საკითხში, იგი ფიქრობდა, რომ არსებობს ორი წყარო შემეცნებისა: უმაღლესი — ზეშთაგონება და უმდაბლესი — გონება, რომელთა ერთმანეთის წინააღმდეგობა ყოვლად შეუძლებელია. ფილოსოფიური საკითხების გარდა, თომა აკვინელი თავის ენციკლოპედიურ „სუმაში“ იხილავდა აგრეთვე პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს. მისი ეკონომიური შეხედულებანი ასახავდნენ იმ მომენტს საქალაქო ვაჭრობის და ხელოსნობის განვითარებაში, რომელიც შესამჩნევია XIII საუკუნეში. იმ დროინდელ ეკლესიაში გაბატონებულ მოსაზრებების შესაბამისად მან განავითარა მოძღვრება „სამართლიან ფასზე“ და პროცენტის ცოდვიანობაზე.

მისტიკა. სქოლასტიკურ მიმართულების გვერდით შუასაუკუნოებრივ მსოფლმხედველობაში, კერძოდ ღვთისმეტყველებაში, განვითარდა მეორე მიმდინარეობა, რომელმაც მიიღო მ ი ს ტ ი კ ი ს სახელწოდება.

მისტიკოსები სთვლიდნენ, რომ გონება არ წარმოადგენს ჭეშმარიტების შემეცნების საშუალებას. სქოლასტიკოსებს ლრმად სწამდათ ის, რომ გონება და რწმენა არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, და, მაშასადამე, შეიძლება ყოველი რელიგიური დოგმის ლოგიკურად დამტკიცება. მისტიკოსები უარჰყოფდნენ გონების უნარიანობას, ისინი ფიქრობდნენ, რომ ჭეშმარიტების შემეცნება შეიძლება განჭვრეტის, განუწყვეტელი ლოცვისა და ღვთის მიმართ საკუთარი ზრახვების მუდმივი მიპყრობის გზით, რის შედეგადაც ადამიანი ღებულობს ერთგვარ ღვთაებრივ განსხივოსნებას, ჭეშმარიტება ეცლინება მას რო-

გორც ერთგვარი ღვთითბოძებული ნიჭი. შუასაუკუნოებრივი მისტიკის უდიდესი წარმომადგენელი იყო ზემოთ მოხსენებული ბერნარდ კლერვოელი.

სქოლასტიკოსებსა და მისტიკოსებს შორის ადგილი ჰქონდა განუწყვეტელ შეტაკებებს, ისინი ურთიერთს სდებდნენ ბრალს მწვალებლობაში, და იშვიათი როდი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის წარმომადგენელი სქოლასტიკური ან მისტიკური სწავლებისა თავისი აზრების გამო განიცდიდა დევნას, როგორც მწვალებელი.

მაგრამ შუასაუკუნოებრივი მსოფლმხედველობა ძირითადად სქოლასტიკურ ხასიათს ატარებდა.

სქოლასტიკა და დადებითი ცოდნა. უმთავრესი ნაკლი სქოლასტიკური ფილოსოფიისა — ავტორიტეტთა თაყვანისცემა და გამოცდილების უგულვებელყოფა — სულს უხუთავდა დადებითი ცოდნის იმ ელემენტებს, რომელნიც ინერგებოდა შუა საუკუნეების მეცნიერებაში და რომელნიც იჩენენ მასში თავს უკვე XII—XIII საუკუნეებში ძველ ბერძნულ და არაბულ მეცნიერულ თხზულებათა ლათინურად თარგმანის წყალობით. საქმეს სწყვეტდა არა დაკვირვება, არა ექსპერიმენტი, არამედ ავტორიტეტი. ასეთ ავტორიტეტებს წარმოადგენდნენ პტოლემეოსი ასტრონომიაში, ჰიპოკრატე და გალენი მედიცინაში და სხვ. ზუსტი ცოდნის ეს ჩანასახები, მიღებულნი ანტიკურ მწერალთაგან, მჭიდროდ იყო გადახლართული ყოველგვარი სახის ცრუმეცნიერებებთან, როგორებიც იყო, მაგალითად, ასტროლოგია და ალქიმია, რომელნიც სწამდათ უდიდეს მეცნიერებს ჯერ კიდევ XVII საუკუნეშიაც კი.

XIII საუკ., სქოლასტიკის ყველაზე უდიდესი გაფურჩქვნის ხანაში, ოქსფორდის უნივერსიტეტის მასწავლებლებს, ფრანციისკანებს შორის შეიქნა მიმდინარეობა, რომელიც მოითხოვდა აპელაციას არა ავტორიტეტებისადმი, არამედ პირდაპირი გამოცდილებისადმი და დაკვირვებისადმი. ამ იდეებს, რობერტ გროსტეტის მიერ წამოყენებულთ, განსაკუთრებული ძალით და ენტუზიაზმით ჰქადაგებდა მისი მოწაფე როჯერ ბეკონი (1214—1294 წწ.). იგი მკვეთრად ილაშქრებდა სქოლასტიკის ძირითადი ნაკლის — ავტორიტეტთა თაყვანისცემის — წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ მეცნიერების, ცოდნის შენობის აგება შეიძლება მხოლოდ მათემატიკისა და გამოცდილების საძირკველზე: ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ძველ მწერლებს, ამბობდა ბეკონი, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინიც იყვნენ ადამიანები და არაერთხელ სცდებოდნენ. თვით არისტოტელესაც არ შეეძლო ყველაფრის ცოდნა, და მან გააკეთა მხოლოდ ის, რაც კი შესაძლებელი იყო მისი დროის კვალობაზე. ცოდნის სამი წყაროსაგან — როგორიცაა ავტორიტეტი, გონება და გამოცდილება — ავტორიტეტი თავის თავად არ არის საკმარისი, თუ იგი მოკლებულია გონიერ საფუძველს, ხოლო მარტო გონებას „არ ძალუძს" სოფიზმის გარჩევა ნამდვილი დამტკიცებისაგან, თუ მას არ შეუძლიან თავისი დასკვნების გამართლება ცდით. ბეკონი რადიკალურად შორდებოდა მაშინდელ მეცნიერებაში გაბატონებულ აზრებს და ამავე დროს მკაცრად ამათრახებდა სამღვდელოების ზნე-ჩვეულებებს, ამით მან დაიტეხა თავს ეკლესიის მხრივ დევნა, სასჯელი გადაუწყვიტეს, როგორც მწვალებელს, და დაჭყო საპყრობილეში მრავალ წელიწადს.

რასაკვირველია, ბეკონის მოთხოვნილებამ მეცნიერული აზრის რეფორმისა, რომელიც გაისმა „ანგელოზებრივი დოქტორის" (ასე უწოდებდნენ ლრმა-აზროვნების გამო თომა აკვინელს) გახურებული მოღვაწეობის ჟამს, ვერ პოვა გამოძახილი. XIII საუკუნე იყო უმაღლესი მწვერვალი სქოლასტიკური ავტორიტარულ-სილოგიური მეთოდისა.

მაგრამ მაინც ბერძნულ-არაბული მეცნიერების შეთვისებამ XII—XIII საუკუნეებში მისცა ბიძგი მეცნიერულ აზროვნების განვითარებას, და არა მარტო უნივერსიტეტებში, არამედ მათ გარეთაც. მაგალითად, XIII საუკ. დამდეგს იტალიელმა ვაჭარმა ლეონარდო პიზელმა, რომელმაც შეისწავლა არითმეტიკა და ალგებრა არაბთაგან, სცადა თვითონ დამოუკიდებლად ამ მეცნიერებათა გადმოცემა და დალაგება. მისი წიგნი წარმოადგენდა პირველ თხზულებას ალგებრაში შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. XIII საუკ. მეორე მათემატიკოსი იორდანე ნემორარიუსი ამუშავებდა გეომეტრიისა და მექანიკის საკითხებს.

საუნივერსიტეტო მეცნიერების გარეშე იდგნენ აგრეთვე XII—XIII საუკ. გეოგრაფი-მოგზაურები. XIII საუკ. მეორე ნახევარში ვენეციელმა ვაჭარმა მარკო პოლომ იმოგზაურა შორეულ აღმოსავლეთში, ოცი წელიწადი იცხოვრა მონღოლეთის ყაენის ყუბილაის კარზე და მისი დავალებით მოაწყო მთელი რიგი მოგზაურობებისა ჩინეთში, ბირმაში და, შესაძლებელია, ანამშიაც. თავის ჩანაწერებში იგი გადმოგვცემს მთელ რიგ საინტერესო დაკვირვებებს მის მიერ ნანახი ქვეყნების ყოფა-ცხოვრების, ადათ-ჩვეულებებისა და დაწესებულებათა შესახებ, მაგრამ ამავე დროს მან ჩათვალა ჭეშმარიტებად ბევრი მის მიერ განაგონი ფანტასტიური ნაამბობი. იმ ხანის გეოგრაფიულ აღწერებში ზუსტ, ჭეშმარიტ ცნობებთან გადახლართული იყო ფანტასტიური ისტორიები იმ ქვეყნებზე, სადაც ცხოვრობდნენ ზღაპრული ნახევრად ადამიანები — ნახევრად ურჩხულები. ასეთივე ფანტასტიური აღწერებით არის სავსე წიგნები ცხოველების, მცენარეულობისა და მინერალთა შესახებ. ასეთ აღწერათა ავტორები ცდილობდნენ გამოეტანათ მათ მიერ ნაამბობი სასწაულებიდან რელიგიურ-მორალური დასკვნები და ჭკუის დარიგებანი.

XII—XIII საუკ. განსაზღვრულ წარმატებებს მიაღწიეს მედიცინაში, უმთავრესად სალერნოს სამედიცინო სკოლის მეცნიერთა შრომის და მეცადინეობის წყალობით. მაგრამ ამ მეცნიერთა მიერ ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის არცოდნა ძლიერ აფერხებდა მედიცინის განვითარებას.

XII—XIII საუკ. მეცნიერება ჯერ კიდევ ვერ ახდენდა ჩერიოზულ ზეგავლენას იმ ეპოქის ტექნიკური ცოდნის დონეზე. პირიქით, ტექნიკის დამუშავების დროს გზა და გზა დამოუკიდებლად იქმნებოდა დიდი მეცნიერული ცოდნა და გამოცდილება. მისი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შეადგენდა ზეპირი, სიტყვიერი ტრადიციის, ხვედრს და გამოცდილების სახით გადაეცემოდა ერთი ხელოსნისაგან მეორეს. მხოლოდ ცოტა რამ თუ პოულობდა ასახვას ხელნაწერ ლიტერატურაში. ცნობილია რამოდენიმე ხელნაწერი თხზულება XII—XIII საუკ. პრაქტიკული ქიმიის საკითხებზე. ისინი შეიცავენ სხვადასხვა ნივთიერებათა დამზადების, საღებავების მომზადების, შუშის ქიმიური შელებვის, ზოგიერთი ამაფეთქებელი ნარევების მიღების და სხვ. რეცეპტებს.

ეს ლიტერატურა იმყოფებოდა ბერძნულ-არაბული ალქიმიის ძლიერი გავლენის ქვეშ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დარგში XII—XIII საუკ. ჩვენ გვხვდება რჩევათა და რეცეპტთა ჩანაწერები მიწის დამუშავებისა და მცენარეულობათა გაშენების შესახებ. ყველაზე უფრო დაწვრილებითი და საფუძვლიანი იყო თხზულება სქოლასტიკოს ალბერტ დიდისა. როგორც შეიძლება დავასკვნათ ამ თხზულების საფუძველზე, XIII საუკ. მოწინავე მეურნეობებში უკვე ესმოდათ სხვადასხვა ნიადაგებისა და სასუქების მნიშვნელობა მოსავლისათვის, ცდილობდნენ მცენარეთა საუკეთესო ჯიშების ამორჩევას, აწარმოებდნენ ხეხილის მყნობას და სხვ.

მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოებაში ძველებურად წარმოადგენდა ადამიანთა და პირუტყვთა შრომა. მაგრამ პარის საფქვავ დარგში სულ უფრო და უფრო ფართო გამოყენებას პოულობს წყლის მამოძრავებელი (წყლის წისქვილი), უმარტივესი ფორმით ცნობილი ჯერ კიდევ კარლოს დიდის დროიდან და უფრო ადრეც კი. XII საუკუნიდან ვაკე ქვეყნებში (როგორებიცაა, მაგალითად, ჰოლანდია ან გერმანია) იწყეს გამოყენება აგრეთვე ქარის მამოძრავებელისა წისქვილისათვის. წყლისა და ქარის მამოძრავებლები იწყებენ თანდათან გავრცელებას სხვა წარმოებებშიაც.

XIV—XV საუკუნეებში შესამჩნევია მნიშვნელოვანი განვითარება ტექნიკისა. სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო როლის თამაშს იწყებს ლითონების დამუშავების ტექნიკა, განსაკუთრებით, სამხედრო საჭიროების გავლენით, რომელიც ბადებდა დიდ მოთხოვნილებას ლითონზე. ჩნდება ცეცხლისმფრქვევი იარაღი, ზარბაზნები, რომლებითაც ისროდნენ თავდაპირველად ქვის, ხოლო შემდეგ ლითონის ყუმბარებს. სროლისათვის იყენებდნენ თოფის წამალს, რომელიც გამოგონებულ იქნა გერმანიაში XIV საუკ. პირველ ნახევარში.

იწყებს გამოცოცხლებას თეორიული აზროვნებაც. პარიზის უნივერსიტეტში, XIII—XV საუკ. სქოლასტიკური მეცნიერების ამ მთავარ სიმაგრეში მიღწეულ იქნა ზოგიერთი წარმატება წონასწორობის თეორიაში და სწავლებაში მოძრაობის შესახებ, ე. ი. მექანიკაში (ალბერტ საქსონელის, ბურიდანის ლექციებში და ამ უნივერსიტეტში აღზრდილი ორეზმის თხზულებებში). XV საუკ. სქოლასტიკეს ერთ-ერთი წარმომადგენელთაგანი ნიკოლოზ კუზანელი (გერმანიაში), გამოთქვამდა აზრს იმის შესახებ, რომ სამყაროში არ არსებობს უძრაობა, არამედ ყველა არსი მოძრაობს, მათ შორის დედა-მიწაც. მაგრამ ამ სწავლულ ეპისკოპოსის აზრებში ჩვენ ვერ ვპოულობთ მკაფიო მსჯელობას დედა-მიწის მოძრაობის შესახებ მზის გარშემო. მეცნიერების მიღწევანი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იტალიაში, მაშინდელი ევროპის მოწინავე ქვეყანაში.

ამგვარად, ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეების მეცნიერება ისე, თითქოს იგი წარმოადგენდა სრული უძრაობის სურათს. ჩვენს მიერ გასახილველი პერიოდის ბოლო საუკუნეებში მიღწეულ იქნა წარმატებები მათემატიკის, ფიზიკის, ასტრონომიის და სხვ. დარგებში, რომელთაც შეამზადეს ის მძაფრი გაფურჩქვნა ცოდნისა, რომელიც უკავშირდება აღორძინების ეპოქას (იხ. თავი XXXIII). მაგრამ ეს დადებითი შედეგები მიღწეულ იქნა არა

საეკლესიო მსოფლმხედველობისა და მისთვის დამახასიათებელი სქოლასტიკური მეთოდის საფუძველზე, არამედ მისგან გათიშვის წყალობით.

კუდიანური პროცესები. შუასაუკუნოებრივი სწავლულობა, რჩებოდა რა ეკლესიის „მსახურად", იგი თავისი ავტორიტეტით ხშირად ხურგს უმაგრებდა ეჯაშინელეს ცრუმორწმუნეობათ და პოულობდა მათთვის გამართლებასა და დასაბუთებას, თუ ეს შეესაბამებოდა ეკლესიის ინტერესებს. ეკლესია ყოველთვის იყო კრიტიკული აზრის მდევნელი, დამნერგველი გონებრივი სიძნელისა და ცრუმორწმუნეობათა. შუა საუკუნეების ადამიანის თვალში არ არსებობდნენ ბუნების გარდუვალი კანონები ისე, როგორც დღეს ეს გვესმის ჩვენ. მთელი სამყარო მისი აზრით სავსე იყო კეთილი და ავი სულებით, ანგელოზებით და დემონებით, ყოველ ნაბიჯზე მას მოელოდა სასწაული, სასწაულების რწმენით არის ვაჟღენთილი უთვალავი წმინდანთა ცხოვრებანი, რომელნიც წარმოადგენდნენ უსაყვარლეს საკითხავ წიგნებს შუა საუკუნეებში. შემდეგ დაიწყეს ამ წმინდანთა ცხოვრებების თავმოყრა კრებულებში, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია XIII საუკუნეში გენუელი არქიეპისკოპოსის იაკობ ვორაგინელის მიერ შედგენილი კრებული, ეგრეთწოდებული „ოქროს ლეგენდა" („Legenda aurea").

შუა საუკუნეების ადამიანის მსოფლმხედველობის ამ მხარის დასახასიათებლად დიდად საინტერესოა წიგნი XII საუკ. დამლევს და XIII საუკ. პირველ ნახევარში მცხოვრები გერმანელი ბერი ცეზარიუს ჰაისტერბახელისა „მოთხრობები სასწაულების შესახებ" (Dialogi miraculorum). ამ წიგნში ცეზარიუსი მოუთხრობს მკითხველს მრავალ სასწაულებრივ ამბებს, რომლებშიაც მთავარ როლს თამაშობდნენ დემონები. დემონები ყველგან უდარაჯებენ ადამიანს, ცდილობენ მის შეცდენას და მისი სულის წაწყმედას. განსაკუთრებულ გულმოდგინეობით ნადირობენ ისინი ბერებზე. დემონები ღებულობდნენ სხვადასხვა გარეგნობას — ხან ჩვეულებრივი ადამიანისას, ხან მდევისას, ხან რომელიმე პირუტყვისას; ძაღლებისას, კატისას, თაგვისას და სხვ. ცეზარიუსი მოგვითხრობს, მაგალითად, რომ ერთმა ეპისკოპოსმა შენიშნა ეკლესიაში მიმავალი რომელიღაც „კაპწია" ქალის კაბის ბოლოში მთელი ხროვა ეშმაკუნებისა: „ისინი იყვნენ სიდიდით ვირთაგვების ოდენა, შავები, როგორც ეთიოპები, და მოცინარი პირისახეებით. ისინი უკრავდნენ ტაშს და ცეკვავდნენ, ბადეში დაჭერილი თევზებსავით". მეორე შემთხვევაში რომელიღაც ქალმა იხილა ასეთი შემაძრწუნებელი სურათი: „ბერებს მიუძღოდნენ წინ უზარმაზარი, საშინელი გამომეტყველების ძაღლები ჯაჭვით ყელზე, ჯაჭვების ერთი ბოლო მიმაგრებული იყო მათ საყელოებზე, ხოლო მეორე ებათ კისერზე ბერებს: ასე მიპყავდათ უკანასკნელნი ეშმაკებს წარწყმედისაკენ".

გაბატონებულ ცრუმორწმუნეობათა ეკლესიის მიერ ექსპლოატაციის ნიადაგზე აღმოცენდნენ შემაძრწუნებელი და საშინელი კუდიანური პროცესები. ადრინდელ შუა საუკუნეების ეპოქაში ეკლესია უყურებდა კუდიანებისა და ჯადოსნების რწმენას, რომელიც აფუჭებენ ადამიანს, ფრენენ ჰაერში, — როგორც წარმართობის ნაშთს; სდევნიდა იმას, ვისაც ეს სწამდა და ჰკლავდა „კუდიანებს". კუდიანთა დახოცვის აკრძალვა გვხვდება კარლოს დიდის კაპი-

ტულარებში. მაგრამ შემდეგ ეკლესიამ დაინახა ამ ცრუმორწმუნეობებში საკუთარი ავტორიტეტის განმტკიცების საშუალება. გარდამტეხ მომენტს აჭ წარმოადგენს გამწვავება მწვალებლობებთან ბრძოლისა და საეკლესიო ტერორის დასაწყისი, რომელიც იწყება ინოკენტი III პაპობის ხანაში. ალბიგოელებს ბრალს სდებდნენ კუდიანობაში, სატანასთან ურთიერთობაში და კავშირში და სდევნიდნენ მათ არა მარტო როგორც მწვალებლებს, არამედ აგრეთვე როგორც კუდიანებსაც. ეკლესიამ დაამუშავა სწავლება კუდიანობაზე მთელ სისტემად და გამოიყენა იგი იმისათვის, რომ მოსახლეობა მუდმივ შიშში ჰყოლოდა, ერთი მხრივ, ვითომდა არსებული კუდიანებისა და ჯადოსნების წინაშე, რომელთაგან დახსნა შეეძლო მხოლოდ ეკლესიას, ხოლო, მეორე მხრივ, კუდიანობის გამო დევნით, რომელიც ეკლესიას შეეძლო ადვილად თავზე დაეტეხა ყველა იმისათვის, ვინც კი არ იყო მისთვის სასურველი. ეკლესიის მოძღვრების თანახმად, სატანა ჰკრავდა განსაკუთრებულ „პაქტებს" ზოგიერთ ადამიანებთან, ანიჭებდა მათ ბუნებრივ ძალას ადამიანისშვილის ვნებისას — ნათესის გაფუჭებისას, პირუტყვის დაღუპვისა, ეპიდემიების მოვლენისას და, რაც ყველაზე უფრო საშინელი იყო, ადამიანთა სულების წარწყმედისა. ვითომდა ეს ჯადოსნები და კუდიანები ჰოფრინავენ კუდიანთა შაბათობაზე, სადაც დროს ატარებენ გიჟურ ცეკვა-თამაშში, ღორმუცლობაში, გარყვნილებაში, და ღებულობენ სატანასაგან ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა ევნოთ ადამიანისათვის. ეკლესია ასწავლიდა, რომ ჯადოქრებმა და კუდიანებმა შეადგინეს შეთქმულება მთელი ადამიანთა მოდგმის დასაღუპად და რომ მხოლოდ ინკვიზიციას თავისი წამებისა და კოცონების საშუალებით შეუძლია დაიხსნაკაცობრიობა ამ მოსალოდნელი განსაცდელისაგანო. ეს საზიზღარი ბოდვა გამოცხადებულ იქნა ჭეშმარიტებად, და მისი ურწმუნოება განიხილებოდა როგორც მწვალებლობა. საკოდავ ბრალდებულთ წამების საშუალებით აღიარებინებდნენ ყველაფერს იმას, რაც სასურველი იყო ინკვიზიტორთათვის, ხოლო შემდეგ მათი ჩვენებანი მოჰყავდათ როგორც უტყუარი საბუთი სატანასთან პაქტების და კუდიანური შაბათობების ჭეშმარიტებად არსებობისა. 1487 წ. სტრასბურგში გამოიცა ერთ-ერთი ყველაზე უსაზარლესი წიგნი, როგორიც კი ოდესმე გამოცემულა კაცობრიობის ისტორიაში — ეს ეგრეთწოდებული „კუდიანთა ჩაქუჩი" „Malleus maleficarum"), შეთხზული („სწავლული" გერმანელი დომინიკანების შპრენგერის და კრემერის (ინსტიტორისის) მიერ. ეს წიგნი, სქოლასტიკური „მეცნიერების" მთელი აპარატის გამოყენებით ანვითარებს ეკლესიის სწავლებას კუდიანობაზე და შეიცავს დაწვრილებით ინსტრუქციებს კუდიანთა და ჯადოსანთა დაკითხვისა და გამოტეხის საშუალებებსა და ხერხებზე. ეკლესია ფართოდ იყენებდა ამ იარაღს, იგი აცხადებდა ხან ერთ და ხან მეორე ოლქს სუფთად კუდიანობის გავრცელების მხრივ. ინკვიზიტორთა გაჩენა მოსახლეობას შიშის ზარსა სცემდა, ვინაიდან ბრალდება კუდიანობისა შეაძლებელი იყო დასტეხოდა თავზე ყველას და მაშინ ხსნა აღარსად იყო: მას მოელოდა წამება და კოცონი.

ხელოვნება. ხუროთმოძღვრება. ისევე, როგორც „მეცნიერება", ხელოვნებაც შუა საუკუნეებში ემსახურებოდა ეკლესიას და იმყოფებოდა რელიგიური იდეოლოგიის განსაკუთრებული გავლენის ქვეშ. ეს ითქმის, პირველ ყოვ-

ლისა, ხუროთმოძღვრებაზე, რომელიც თამაშობდა იმქამად წამყვან ხელმძღვანელ როლს ხელოვნებაში. XI—XV საუკ. დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქალაქებში აგებულ იქნა ნამდვილი შედევრები ჯერ ქრისტიანული ტაძრების სახით, ხოლო შემდეგ ქალაქების შენობების, განსაკუთრებით საქალაქო საბჭოების შენობათა სახით.

შუა საუკუნეთა ევროპის ქალაქებში, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო ვიწრო ქუჩები და ერთი მეორეზე მიდგმული სახლები, ცად იყვნენ აზიდული უშველებელი ტაძრები, ყოველი მხრივ გარსშემორტყმულნი საცხოვრებელი ნაგებობებით, როგორც მერცხლის ბუდეებით. ხალხი, შეჩვეული პატარა, ვიწრო ოთახებს, შედიოდა ტაძრის დიად შენობაში, ისმენდა აქ საეკლესიო გალობას, შეხმატკბილებულს ორგანოს და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების ჰანგებთან. ეს ახდენდა უაღრესად ძლიერ შთაბეჭდილებას ფსიქიკაზე.

ხელოვნება ისახავდა მიზნად ადამიანის წარმოდგენისა და გონების განცვიფრებას, აღტაცებას და მის დამორჩილებას ეკლესიის გავლენისადმი.

IX—XIII საუკ. ერთმანეთი შეცვალა ორმა ძირითადმა სახუროთმოძღვრო სტილმა. რომის ეპოქის საარქიტექტურო ხელოვნება საკუთრებით დაეცა დასავლეთ ევროპაში VI—VIII საუკუნეების განმავლობაში. კარლოს დიდის ეპოქიდან იწყება მისი აღორძინება და იწყებს გამომუშავებას ეგრეთწოდებული რომანული სტილი, რომელიც წარმოადგენს რომაულ ნაგებობათადმი მიბაძვას. ამ სტილის დამახასიათებელ თავისებურობას შეადგენს რგვალი ნახევარფარგლოვანი თაღი. რომანული სტილის ნაგებობა წარმოადგენს ქვის შენობას რგვალი თაღებით, მძიმე, მკვრივი სვეტებით, მეტად სქელი ციხეკოშკის მაგვარი კედლებით, და მცირერიცხოვანი სარკმელებით, რომანული ტაძრის სიდიადე და მისიურობა, მასში გაბატონებული ნახევრადჩაბნელებულობით, საკუთრებით შეესაბამებოდა ეკლესიის მიერ თავის წინაშე დასახულ მიზანს — ჩაენერგათ ხალხისათვის შიშის, მორჩილებისა და მოკრძალების გრძნობა ღვთაებისა და მიწაზე მისი წარმომადგენელის, სამღვდელოების მიმართ. ჩვეულებრივ ამგვარი რომანული საყდარი, აგებული ქვისაგან, გვირგვინდებოდა ზეციდან ხის სახურავით და ირთვებოდა ერთობ პრიმიტიული, უხეში და ლაპლაპა, თვალის მჭრელი შეღებილი ქანდაკებებით.

XII საუკ. დამლევიდან რომანული სტილის შეცვლას იწყებს გოთური, რაც წარმოადგენს უკვე მნიშვნელოვან პროგრესს. გოთური სტილის მთავარ თავისებურობას წარმოადგენს ისრისებური, ტეხილი თაღი, დაფუძნებული ძლიერ დაგრძელებულ სვეტებზე. გოთურ ეკლესიებს ჰქონდათ დიდი სარკმელები. მთელი ნაგებობა ღებულობდა გაცილებით უფრო მეტად ჰაეროვან ხასიათსა და ცამდე იმართებოდა.

რომანული სტილის გოთურით შეცვლა მოხდა, რასაკვირველია, არა მარტო საარქიტექტურო ხელოვნების განვითარების შინაგანი კანონების წყალობით. ამაში ჰპოვა ასახვა აგრეთვე მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა ფეოდალური საზოგადოების მთელი სოციალურ სამეურნეო სტრუქტურაში (სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარება, ქალაქთა ზრდა და სხვ.), რომელთაც წარმოშვეს ახალი მოთხოვნილებები და შეაქმნეს ახალი გართულებული მსოფლ-

ჰხედველობა. გოთური ტაძარი, რომანულისაგან განსხვავებულად, როდი აბეჩავებს და სთრგუნავს ადამიანის წარმოდგენასა და გონებას თავისი მასივობითა და სიბნელით, არამედ იგი იტაცებს მას ზევითკენ, შთააგონებს მას ღვთაების და მისი წარმომადგენლის — ეკლესიის მიუწვდომელ სიმაღლის იდეას.

გოთური სტილის ქანდაკებანიც გამოირჩევიან უფრო მეტი მოხდენილობითა და სიკეკლუცით, და გაცილებით უფრო მეტად არიან აზიდულნი ზევითკენ, ვიდრე დაბალი რომანული ქანდაკებანი. ისინი უფრო ახლოს დგახან ცხოვრებასთან; აქ უკვე პოულობს ასახვას გემოვნება მოქალაქეებისა, რომელნიც ფეოდალებზე გაცილებით უფრო მეტად იჩენდნენ მიდრეკილებას რეალიზმისაკენ. მთელი გოთური ტაძარი მორთულია აურაცხელი ქანდაკებებით.

გოთური სტილი ბატონობდა დასავლეთ ევროპაში დაახლოვებით XIV—XV საუკუნეებამდე. ამის შემდეგ იგი თანდათან ადგილს უთმობს სხვა სტილებს.

რასაკვირველია, შეცდომაა იმის ფიქრი, რომ მთელი შუასაუკუნოებრივი კულტურა იყო მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო. ეკლესიის გარდა არსებობდა საერო ფეოდალური სამყარო, რომლის ინტერესებიც სავსებით არ შეესაბამებოდა ეკლესიის ინტერესებს და რომლის მსოფლმხედველობა ხასიათდება სპეციალური თვისებებით.

რაინდული კულტურა. ჯვაროსნული ლაშქრობების ხანაში სხვადასხვა ქვეყნების ფეოდალებმა იგრძნეს თავიანთი თავი ერთიანი წოდების წევრებად და იწყეს შეგნება თავიანთი კლასობრივ ინტერესთა ერთობისა. ძლიერდება კლასთა ბრძოლა გლეხობასა და ფეოდალთა შორის. ჯანყდებოდნენ სენიორთა წინააღმდეგ ქალაქები. საერთო საშიშროება და საფრთხე იწვევდა ფეოდალებს ურთიერთ დაახლოვებას, რომელნიც სთვლიდნენ თავიანთ თავს უმაღლესი მოდგმის ადამიანებად, „კეთილშობილებად“. მათ ექმნებათ წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ფეოდალური კლასის ყველა წევრნი ეკუთვნიან ერთ დიდ ძმობას „რაინდობას“, და რომ ისინი მოვალენი არიან დაეხმარონ ერთმანეთს. აღმოსავლეთში და ევროპაში საერთო წამოწყებების დროს ყალიბდებიან გასაკუთრებული რაინდული შეხედულებანი, დაწესებულებანი და ადათ-ჩვეულებანი, რომელნიც სავალდებულო ხდებიან ყველა რაინდთათვის. რანდისაღვის არ იყო სავალდებულო განათლება. ბევრი არ გამოიძებნებოდა რაინდებს შორის ისეთი, რომ ცოდნოდა წერა-კითხვა. ბავშვობიდანვე მომავალ რაინდს აჩვევდნენ არა წიგნებს, არამედ იარაღის ხმარებას.

რაინდის წოდების მიღებას თან სდევდა რაინდად კურთხევის წესი. ეს წესი მდგომარეობდა იმაში, რომ ის, ვინც უნდა კურთხებულიყო, იჩოქებდა მუხლებზე სენიორის წინაშე და ხრიდა თავს, ხოლო სენიორი არტყამდა კისერში ნუშტით მუჯლუგუნს ან და მახვილის ყუით ბეჭებში. მაშინ იგი ისხამდა იარაღს, მოახტებოდა რაშს, უზანგის ფეხშეუხებლად, და ჭენებით და ჯირითით შემოივლიდა რამოდენიმე წრეს, თან აგდებდა შუბით ბოძებზე მიმაგრებულ საფრთხობელას, რათა დაემტკიცებინა თავისი იარაღის ხმარების უნარი. შემდეგში, რაინდად კურთხევის წესი გაცილებით უფრო გართულდა.

განვლო იმ დრომ, როდესაც რაინდები იყვნენ თავ-თავიანთ კოშკებში და უყურებოდათ მხოლოდ ურთიერთის წინააღმდეგ წვრილ-წვრილი შეტაკებები. რაინდებს უყურებოდათ ყოფნა შეფეთა და ჰერცოგთა კარზე, მოგზაურობების ეროს სხვა რაინდების ციხე-კოშკებში სტუმრობა. მათ უნდა თვითონაც მიეღოთ სტუმრები. ამიტომ რაინდისათვის საჭირო ხდება ალზრდილობა, კარგი მიხვრა-მოხვრა, უნარი ხალხთან ზრდილობით მოპყრობისა. რაინდობამ შეიგნო თავისი კლასობრივი სოლიდარობა და იგი მოითხოვს თავისი კლასის წევრთაგან ურთიერთ დახმარებასა და ხელის გამართვას. რაინდები უნდა ეხმარებოდნენ ერთმანეთს გასაჭირში, უნდა დაიცვან შეურაცხყოფილნი, უნდა დასაჯონ შეურაცხმყოფელნი. იცვლება აგრეთვე დამოკიდებულება ქალის მიმართ. წინათ ფეოდალი უხეშად ეპყრობოდა ქალებს და სთვლიდა მათ დაბალი მოდგმის სულდგმულებად. ახლა რაინდობის წესები მოითხოვდნენ განსაკუთრებულ ზრდილობასა და თავაზიანობას ქალების მიმართ. რაინდს უნდა აღმოეჩინა მათთვის ყოველგვარი დახმარება და მფარველობა. ზოგიერთი ქვეყნის რაინდებში ქალის კულტიც კი წარმოიშვა. რაინდი ირჩევდა თავის „გულის სატრფო ქალს“ და ემსახურებოდა მას, ვით ვასალი სენიორს. იგი ამაგრებდა თავის ფარზე ან შუბზე მის ხელთათმანს, ქამარს ან ყელსახვევს. მის სახელს იხმობდა იგი ბრძოლებში და სხვა რაინდებთან ხმალში გასვლისას. მის პატივსაცემად ეძებდა განსაცდელს, მაგრამ ეს გულის სატრფო ქალის კულტი ხელს არ უშლიდა რაინდს უხეშად მოპყრობოდა თავის ცოლსა და შინაურებს, ეცემნა კიდეც მათთვის.

რაინდულ ადათ-ჩვეულებათა დაცვა სავალდებულო იყო მხოლოდ საკუთარი კლასის ადამიანთა მიმართ. რაინდები სთვლიდნენ თავიანთ თავს შეუდარებლად მაღლა მდგომად გლეხებთანა და მოქალაქეებთან შედარებით და ეპყრობოდნენ მათ ზიზღით. სუსტთა და ჩაგრულთა დახმარების ვალდებულება არ უშლიდა ხელს რაინდებს სასტიკად ეჩაგრათ თავიანთი გლეხები და ეძარცვათ ვაჭრები შარა-გზაზე, გარეგნული პეწი, რომლის დასაც რაინდული კულტურა ამჩნევდა ფეოდალთ, ჰფარავდა შინაგან უხეშობას და გაუთლელობას.

რაინდობას საყვარელ გასართობს შეადგენდა სამხედრო თამაშობანი — ტურნირები (ასპარეზობანი). ჩვეულებრივ მეფე ან მთავარი აწყობდა ტურნირს რაიმე საზეიმო შემთხვევის გამო. ცნობა მომავალი ტურნირის შესახებ აღწევდა შორს. დიდ ტურნირებზე თავს იყრიდა მრავალი რაინდი სხვადასხვა ქვეყნიდან. ტურნირისათვის ილობებოდა ასპარეზი, რომლის გარშემოც აწყობდნენ ადგილებს მაყურებელთათვის. ჩვეულებრივ თამაში მდგომარეობდა იმაში, რომ რაინდები მიაქენებდნენ ერთმანეთის შესაძგერებლად დაბლაგულ შუბებ-მოლერებულნი და ცდილობდნენ ეკრათ მოპირდაპირისათვის ფარში ან მუზარადში, რათა ჩამოეგდოთ იგი უნაგრიდან. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ქვეით ბრძოლას დაბლაგული მახვილებით. ზოგჯერ რაინდები გამოდიოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ მთელ რაზმებად. იყო შემთხვევები, როდესაც ტურნირები მთავრდებოდა სისხლისღვრით, რომლის შედეგად მოასპარეზენი იხოცებოდნენ და სახიჩრდებოდნენ. რაინდი, რომელიც გამოიჩენდა ყველაზე უფრო მეტ გულადობას და ოსტატობას, ღებულობდა ჯილდოს.

რაინდული ლიტერატურა. რაინდულ წრეში იქმნებოდა ეპიკური პოეზია,

რომელშიაც შექებული იყო სახელგანთქმულ მებრძოლთა ღვაწლი და გმირობა. იგი წარმოიშვა უძველესი თქმულებებიდან, მაგრამ ძველებური სიმღერები განიცდიდა გადასხვაფერებას და მათ უგუებდნენ რაინდობის გემოვნებას. ამ პოემათა უმრავლესობის ავტორები უცნობი დარჩნენ. პოემებს მღეროდნენ რაინდების კოშკებში მოხეტიალე მოგზაური მომღერლები ქნარის აკომპანიმენტით.

ყველაზე უფრო ცნობილ რაინდულ პოემას წარმოადგენდა „სიმღერა როლანდზე". ეს პოემა შეითხზა ჩრდილო საფრანგეთში ფრანგულ ენაზე. მასში მოთხრობილი იყო კარლოს დიდის გალაშქრება ესპანეთში და როლანდის მეთაურობით მიმავალი ფრანკთა არიერგარდის გმირულად დაღუპვა პირენეის ქედის გადასასვლელზე. ამ სიმღერას, ისევე როგორც მრავალ სხვასაც, სარჩულად უდევს ისტორიული მოვლენა. მაგრამ იგი გადმოცემულია ძლიერ შეცვლილ სახით; პოემის ენა და მომქმედ პირთა ცნება—წარმოდგენანი ასახავენ XI და არა VIII საუკ. ეპოქას. „სიმღერა როლანდზე" აგზნებდა და აქეზებდა რაინდებს მაჰმადიანებთან ბრძოლაში და ქება-დიდებას ასხამდა ვასალის ერთგულებას თავისი სუნიორისადმი. სიმღერა ქებით იხსენიებდა რაინდების სამხედრო გმირობას, ძალასა და კეთილშობილებას. „სიმღერა როლანდზე" სხვადასხვა ნაირად გადაკეთებული, გავრცელდა ევროპის ყველა ქვეყნებში.

სხვა უფრო ნაგვიანევი პოემები ასახავდნენ ფეოდალთა ურთიერთწინააღმდეგ ბრძოლას, რაინდთა გმირობას ჯვაროსნული ლაშქრობების დროს. ესპანეთში XII საუკ. შეითხზა „პოემა სიდზე", რომელშიაც ასახული იყო ესპანელთა ბრძოლა არაბებთან. გერმანიაში უსაყვარლეს პოემას წარმოადგენდა „სიმღერა ნიბელუნგებზე", ჩაწერილი დაახლოვებით 1200 წ. მისი სიუჟეტი ზღაპრულია. გმირი „სიმღერისა ნიბელუნგებზე" ზიგფრიდი ჰკლავს საშინელ გველეშაპს და იბანება მის სისხლში. ამის წყალობით მისი სხეული ხდება უვნები მტრის იარაღისაგან. მაგრამ გველეშაპის სისხლში ბანაობის დროს ხიდან ჩამოვარდნილი ფოთოლი დაეცა და მიეკრო ზურგზე ზიგფრიდს. ეს იყო ერთადერთი ადგილი, რომელშიაც შეიძლებოდა სასიკვდილო ლახვრის ჩაცემა. ზიგფრიდის მტრები ხრიკებით იტყობენ მის საიდუმლოებას და ვერაგულად ჰკლავენ მას ნადირობის დროს. ზიგფრიდის მეუღლე კრიმჰილდა საშინლად იძიებს შურს ქმრის მოკვლისათვის. მოქმედება წარმოებს ხალხთა დიდი გადასახლების ხანაში. პოემაში მოქმედებენ ბურგუნდთა მეფეები, თეოდორიხი, ჰუნები, ატილა. მაგრამ არსებითად კი ეს სიმღერა გვიხატავს XII საუკუნის რაინდობის ზნე-ჩვეულებებს.

დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ პოემები ალექსანდრე მაკედონელზე. მათში არაფერია ისტორიული. ალექსანდრე გამოსახულია როგორც ფეოდალური სუნიორი, გარსშემორტყმული თავისი ვასალებით. მას აქვს განსაცვფრებელი თავგადასავალი, იგი ებრძვის ფანტასტიკურ ურჩხულებსა და გველეშაპებს.

XII საუკუნიდან ჩნდებიან რაინდული რომანები. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყვნენ რომანები ბრიტების ლეგენდარული მეფე არტურისა და მისი რაინდების შესახებ, რომელნიც იკრიბებოდნენ მრგვალი მაგიდის გარშემო. რაინდული რომანების მთავარი თემაა — გულის სატრფო ქალის მომსა-

ხურება, რომლისათვისაც რაინდები განიცდიან სხვადასხვა ფათერაკსა და ხიფათს და ყოველგვარ თავგადასავალს. რაინდული რომანებისათვის ფარითოდ იყო გამოყენებული უძველესი ზღაპრული მოტივები. მათში ჩნდებიან ეჯადოსნები, მდევები, მოჯადოვებული კოშკები და ბალები, უჩინ-მაჩინი ქუდები.

აღსანიშნავია რაინდობის ლირიკული პოეზია, რომელიც განსაკუთრებით გაიფურჩქნა სამხრეთ საფრანგეთში ეგრეთწოდებული ტ რ უ ბ ა დ ი ერ ე ბ ი ს პოეზიის სახით (გერმანიაში მათ ეწოდებათ მ ი ნ ე ზ ი ნ გ ე რ ე ბ ი. მომღერალნი სიყვარულის შესახებ, ხოლო ჩრდილოეთ საფრანგეთში — ტ რ უ ვ ე რ ე ბ ი), რომლის მთავარ სიუჟეტს შეადგენდა სიყვარული და გულის სატრფო ქალის მომსახურება.

სასიყვარულო, სატრფიალო ლირიკის გარდა, სამხრეთ საფრანგეთში განვითარდა განსაკუთრებული ლიტერატურული ფორმა, სირვენტებისა — სატირული, შამხილებელი სიმღერებისა. ამ სახის პოეზიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი იყო ბერტრან დე-ბორნი. მთელ ამ ლიტერატურამ, გაფურჩქნულმა სამხრეთ საფრანგეთში, პოვა მიმბაძველები ჩრდილოეთ საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში.

ამავე დროს ეითარდებოდა ხალხური პოეზიაც, თუმცა იმის შესახებაც ჩვენ ცოტა რამ ვიცით. ჩაწერილია შედარებით მცირე რიცხვი ხალხური სიმღერებისა, თქმულებებისა და სხვ. ჩანაწერები, რომელნიც იმყოფებიან ჩვენს განკარგულებაში, შეეხებიან უმთავრესად უფრო გვიანდელ ხანას. მათ საფუძველზე ჩვენ შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ ხალხში არა მარტო მღეროდნენ უძველეს თქმულებებსა და სიმღერებს, არა მარტო უამბობდნენ ზღაპრებს, არამედ ხშირად გაისმოდა დაცინვა და აღშფოთება მჩაგვრელ-რაინდებისა და სამღვდელოების მიმართ.

საქალაქო კულტურა. XII—XIII საუკუნეებიდან მოქალაქეთა წრეში იქმნება განსაკუთრებული კულტურა, რომელიც არ წაგავს რაინდულს. მოქალაქენი იყვნენ ფეოდალის დამზოგველი მოყაირათე ხალხი, ფხიზელი და დამცინავი გონების მქონე. მოქალაქეთა წრეში განსაკუთრებით განვითარდა სატირა. პატარა გალექსილ თხზულებებში (ფრანგები უწოდებდნენ მათ ფ ა ბ ლ ი ო ს, გერმანელები შ ვ ე ნ კ ე ბ ს). სასაცილოდ იყვნენ გამოსახული სამღვდელოების აღვირახსნილი ზნე-ჩვეულებანი, მისი სისულელე და სიხარბე. ძალიან უყვარდათ მოქალაქეთ ოგავ-არაკები პირუტყვებზე, რომლებშიაც მგლის სახით გამოყვანილი იყო რაინდი, ვირის სახით — მღვდელი, მელიის სახით — მოხერხებული და ცბიერი მოქალაქე. სხვადასხვაგვარი სასაცილო და შესაქცევ თავ-გადასავლებში მელია იმარჯვებდა ყველაზე. საფრანგეთში ეს ოგავ-არაკები გაერთიანებული იქნენ „რომანში მელაზე“, რომლის მთავარ შინაარსს შეადგენს ხანგრძლივი ბრძოლა მგლისა და მელიის შორის, დასრულებული უკანასკნელის სრული გამარჯვებით.

ქალაქის წრეებში აღმოცენდა თეატრი. იგი განვითარდა მ ი ს ტ ე რ ი ე ბ ი დ ა ნ, ე. ი. ქრისტიანულ ლეგენდების გამომსახველი წარმოდგენებიდან. ასეთი წარმოდგენები იდგმებოდა მოქალაქეთა მიერ დიდ-დიდ დღესასწაულებში. მომქმედი პირები წარმოადგენდნენ ქრისტეს, წმინდანებს, ანგელოზებსა და ეშმაკებს. აქაც მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი სატირას.

მოქმედებაში შიგა და შიგ იყო ჩართული ოხუნჯობანი; ეშმაკი ასრულებდა კომიკური როლს. მისტერიის წარმოდგენები ხშირად მთავრდებოდა სასაცილო სცენებით — ფარსებით, რომლებშიაც დასცინოდნენ რაინდებსა და სამღვდელო პირებს. ქრისტეს შობის და დიდმარხვის შორის ეწყობოდა მხიარული კარნავალები, ნილაბოსანთა თავშესაქცევი პროცესიები, რომლებშიაც ხშირად დასცინოდნენ მღვდლებს. ქალაქის წრეებში ისახებოდა და მტკიცდებოდა ახალი რელიგიური მიმდინარეობანი, მიმართული კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ.

ასე ამგვარად, საქალაქო კულტურა იწყებს თავისი. თავის საეკლესიო-ფეოდალურისათვის დაპირისპირებას, მაგრამ ეს ოპოზიცია იმყოფებოდა ჯერ ნასოლოდ ჩანასახის მდგომარეობაში.

გაცილებით უფრო გამბედავად და მკვეთრად დაუპირისპირა თავისი თავი სქოლასტიურ მეცნიერებასა და საეკლესიო-ფეოდალურ მსოფლმხედველობას ჰუმანიზმის ფართო გონებრივმა მიმდინარეობამ, აღმოცენებულმა იტალიაში XIV საუკ., რაც შეიქნა საფუძველი ახალი ბურჟუაზიული კულტურისა (იხ. თავი XXXIII).

დანტე. ახალ ბურჟუაზიულ კულტურის ზღურბლზე დგას ყველა დროის ერთ-ერთ უდიადესი პოეტი — ფლორენციელი დანტე ალიგჰიერი (1265 — 1321 წწ.). როგორც წერს ენგელსი, „საშუალო საუკუნეების ბოლო, თანამედროვე კაპიტალისტური ხანის დასაწყისი, ვეება პიროვნებით არის აღნიშნული. ეს არის იტალიელი დანტე, საშუალო საუკუნეთა უკანასკნელი მგოსანი და ამასთან ერთად ახალი დროის პირველი მგოსანი".[1] დანტე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფლორენციაში კლასთა და პარტიათა გამწვავებული ბრძოლის ეპოქაში. იგი ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას მშობლიური ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში, არა ერთხელ უბრძოლია მისთვის, ეჭირა საზოგადოებრივი თანამდებობანი. როგორც მომხრე „თეთრი" გველფებისა, იგი გაძევებულ იქნა ფლორენციიდან „შავების" გამარჯვების შემდეგ 1302 წ. (იხ. თავი XXV). ექსორიის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი პოლიტიკური შეხედულებანი. ისევე, როგორც ყველა საუკეთესო შვილნი იტალიისა, იგი საუკეთესო წამლად თავისი შინაგანი უთანხმოებით გაფათრული სამშობლოს გადასარჩენად სთვლიდა პოლიტიკურ გაერთიანებას. მაგრამ ეს გაერთიანება ეხატებოდა მას ერთიანი მონარქიის სახით. იგი ითვისებს „ერთიანი რომის იმპერიის გიბელინურ იდეას" და ამყარებს თავის იმედებს გერმანიის იმპერატორ ჰენრიხ VII. მაგრამ რომის წმინდა იმპერიას არასდროს არაფერი არ მოუტანია იტალიისათვის, გარდა ძარცვისა და გაჩანაგებისა, ხოლო იმ დროისათვის მან უკვე დაკარგა ყოველგვარი წარმატების შესაძლებლობა. ჰენრიხ VII ცდა დასრულდა სრული მარცხით და დანტეს იმედები ჩაიფუშა. დანტეს პოლიტიკურმა შეხედულებებმა ჰპოვეს გამოსახულება მის ტრაქტატში. „De monarchia".

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", 1940 წ. გამოც. გვ. 22.

უდიდესი როლი დანტეს შემოქმედებაში შეასრულა მისმა სიყვარულმა ადრე გარდაცვლილ ბეატრიჩე პორტინარის მიმართ. ექსორიის ჟამს დანტემ შეთხზა ბეატრიჩეს საპატივცემლოდ მთელი სერია ლექსებისა, რომლებსაც თანდართული აქვთ შიგა და შიგ კომენტარიები. ეს წიგნი, მიძღვნილი ბეატრიჩესადმი, ატარებს სახელწოდებას „Vita nuova" („ახალი ცხოვრება").

დანტეს უდიადეს ნაწარმოებს წარმოადგენს მისი სახელგანთქმული „ღვთაებრივი კომედია", დაწერილი ეკვე ექსორიის ჟამს, ე. ი. 1302 წ. შემდეგ.

დანტეს ნაწარმოებს არაფერი აქვს საერთო კომედიასთან, როგორც ვხედავთ მის იგი ჩვენ. კომედია მას ეწოდება იმიტომ, რომ აქ გამოყვანილი არიან სხვადასხვა წოდებისა და მდგომარეობის პირები, და აგრეთვე იმიტომაც, რომ მას აქვს კეთილი ბოლო. ხოლო რაც შეეხება სიტყვას „ღვთაებრივი", ეს სახელწოდება მიაკუთვნა თხზულებას არა თვით დანტემ, არამედ მისით აღტაცებულებმა და მისმა ნიჭის მაღმერთებლებმა.

„ღვთაებრივი კომედია" შედგება სამი ნაწილისაგან: „ჯოჯოხეთი", „სალხინებელი" და „სამოთხე", ამასთანავე ყოველი ეს ნაწილთაგანი იყოფა ერთნაირი რაოდენობის სიმღერებად (33). ყოველი სიმღერა შედგება 3 სტროფონიანი ლექსებისგან, ტერცინისაგან. პოემის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ჯოჯოხეთი", გამოსახულია 9 წრე; „სალხინებელში" — 9 საფეხური ამ სალხინებლისა, და ბოლოს, როდესაც პოეტი გადადის „სამოთხეში", იქ აღმოჩნდება 9 ზეცა, ემპირეის გარდა.

ყველგან მეორდება ციფრები 3 და 9, და ეს არ არის შემთხვევითი: ეს შედეგია სიმბოლიკისა, რომლითაც გაჟღენთილია დანტეს მთელი პოემა.

დანტეს პოემა არის შუა საუკუნეების უუდიდესი ძეგლი: მას შეიძლება ეწოდოს კვინტესენცია შუასაუკუნოებრივი შემეცნებისა, და აზროვნების: შუასაუკუნოებრივი კულტურისა. მასში შეკუმშულად და სხარტად, პოეტურ ფორმაში არის მოცემული შუასაუკუნოებრივი ადამიანის ცოდნის და წარმოდგენათა მთელი ჯამი.

დანტეს ნაწარმოები — მთლიანად ალეგორიულია და სიმბოლიური. ყველაფერი, რაზედაც კი არის ლაპარაკი, უნდა შევიცნოთ როგორც სიმბოლო.

„ღვთაებრივი კომედიის" სიუჟეტი მდგომარეობს შემდეგში: დანტე, რომელსაც ხელმძღვანელობს ვირგილიუსი, ერთ-ერთი, შუა საუკუნეებში ყველაზე უფრო პატივცემულ, პოეტთაგანი ძველი დროისა, გამოდის ადამიანის ვნებათა ამსახველი ბნელი ტყიდან და შედის ჯოჯოხეთში, სადაც ეცნობა ყოველგვარ ცოდვილებს და მათ ტანჯვა-წამებას. დანტეს ჯოჯოხეთი წარმოადგენს ძაბრს, ვულკანის კრატერს, რომელიც სულ უფრო და უფრო ვიწრო წრეებად ეშვება ძირს ამ ძაბრის ფსკერის მიმართულებით, სადაც ზის თვით მეთაური ჯოჯოხეთისა — საზარელი ლუციფერი. ჯოჯოხეთის ყოველ რკალში იმყოფება განსაკუთრებული ცალკეული კატეგორია ცოდვილთა და ადგილი აქვს ცალკეულ ხასიათის ტანჯვა-წამებას. პირველ რკალში (ლიმბაში), რომელიც წარმოადგენს ჯოჯოხეთის ერთგვარ კარიბჭეს, სადაც ჯერ არ არის

არავითარი ტანჯვა და წვალება, დანტე ათავსებს ძველი დროების პოეტებს, ფილოსოფოსთ და მეცნიერთ—ჰომეროსს, ოვიდიუსს, ჰორაციუსს, ლუკიანეს, სოკრატეს, პლატონს, არისტოტელეს, არაბ ფილოსოფოსებს—ავიცენას, ავეროეს, ძველი დროების სხვადასხვა მეფეებსა და გმირებს, რომელთა მოთავსებაც მას არ ძალუძს სამოთხეში ან სალხინებელში, ვინაიდან ისინი არ იყვნენ ქრისტიანნი.

მეორე რკალში განიცდიან ტანჯვა-წვალებას ავხორცნი, ისინი ვინც გაიტაცა უკანონო სიყვარულის ვნებამ. აქ ყველაზე უფრო ამაღელვებელ ეპიზოდს წარმოადგენს დანტეს საუბარი პაოლოსთან და ფრანჩესკა და-რიმინისთან — მთელს ლიტერატურაში უშესანიშნავესი საუბარი, ერთ-ერთი ულამაზესი ადგილთაგანი პოემისა. აქვე გვხვდებიან ანტიკურ-ლიტერატურულ სახელგანთქმულ ქალთა პერსონაჟები, როგორც, მაგალითად, ელენე, დიდოწა.

შემდგომ წრეებში იტანჯებიან ღორმუცელები, ძუნწები, კიდევ უფრო ქვევით მეგახშენი და სხვ. ყველა ეს ტანჯვა-წვალებანი გამოსახულია არაჩვეულებრივ რეალისტურად, უზარმაზარი დრამატული ნიჭით და ახდენენ მართლაც რომ შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას.

მერვე რკალის მეცხრე თხრილში, რომელშიაც იტანჯებიან უთანხმოებათა მთესველნი, დანტე ათავსებს მაჰმადს და ამბობს, რომ აქვე არის შემზადებული ადგილი დოლჩინოსათვის, რაშიაც გამოსჭვივის დანტეს თხზულების კლასიკურივი სარჩული.

დაბოლოს, უკანასკნელი რკალი განკუთვნილია მოღალატეთათვის, რომელნიც, დანტეს აზრით, წარმოადგენდნენ უუსაშინელეს დამნაშავეებს. აქ, სატანას კბილებში, იგი ათავსებს იუდა ისკარიოტელს, ქრისტეს გამცემს, და აგრეთვე ბრუტუსსა და კასიუსს, ცეზარის, — რომის იმპერიის ფუძემდებლის, — მკვლელებს.

აქედან დანტე ძაბრის ქვედა ნაპირიდან გადის დედამიწის, მეორე, საწინააღმდეგო მხარეზე და მოხვდება სალხინებელში. სწორედ ისევე, როგორც ჯოჯოხეთი წარმოადგენს ვულკანის კრატერს, რომელიც სულ უფრო და უფრო ვიწროვდება ფსკერისაკენ, სალხინებელიც წარმოადგენს მთას, რომელიც სულ უფრო და უფრო ვიწროვდება წვერისკენ: ამ მთის საფეხურები მიიმართება ზევითკენ სპირალურად, და მათი შემწეობით დანტე ადის წვერამდის. იგი აცნობს მკითხველს სალხინებლის სხვადასხვა სურათებს, რომელნიც უფრო ნაკლებ საინტერესო არის, ვიდრე ჯოჯოხეთის სურათები. აქ მას სტოვებს ვირგილიუსი, რომელიც როგორც წარმართი, არ შეეძლება შეშვებულ იქნეს სამოთხეში და დანტე სალხინებლიდან ხვდება პირდაპირ ზეცაში. მას შეუშვებს პეტრე მოციქული, რომელიც იცავს სამოთხის ბჭეს, აქ მას ხვდება ბეატრიჩე. „სამოთხეში“ დანტე გამოსახავს სხვადასხვა პლანეტებს, სადაც ცხოვრებულნი განიცდიან მუდმივ ნეტარებას. პოემა მთავრდება რელიგიის სიმბოლური გამომსახველი ბეატრიჩეს ტრიუმფით, ე. ი. სწორედ საეკლესიო სულისკვეთების შესაბამისად.

თავის თხზულებაში დანტემ ასახა თავისი თანამედროვე პოლიტიკური ბრძოლა. ჯოჯოხეთის მერვე რკალის მესამე თხრილში, სადაც იტანჯებიან

„ღვთის მგმობელნი“, იგი ათავსებს ზოგიერთ პაპსაც. კერძოდ პაპი ნიკოლოზ III გამოსახულია გავარვარებულ ცეცხლოვან ორმოში ჩაშვებული. პაპი უცდის იმას, თუ როდის მოვა მისი მოადგილე და შემცვლელი, ჯერ კიდევ ცოცხლად მყოფი ბონიფაცი VIII. ამგვარად, დანტე ფრიად ენერგიულად უსწორდებოდა, თუნდაც პოეტურ თხზულებაში, თავისი პოეტური ფანტაზიის დახმარებით, თავის პოლიტიკურ მტრებს.

„ღვთაებრივი კომედია“ დაწერილია იტალიურ ენაზე (ტოსკანური კილოთი). დანტე არის შემომქმედი ლიტერატურული იტალიური ენისა. „კომედია“ წარმოადგენს სინთეზს საეკლესიო მსოფლმხედველობის, მაგრამ იმავე დროს — პროტესტს საეკლესიო მორალის შეზღუდულობის წინააღმდეგ. დანტე ქებას ასხამს გრძნობების თავისუფლებას, სულის მაძიებლობას, სამყაროს შემეცნებისადმი მისწრაფებას. მართალია დანტე დგას ჯერ კიდევ საეკლესიო იდეათა ნიადაგზე, მაგრამ ამავე დროს ქრისტიანული სამყაროს გვერდით უყენებს ანტიკურობის სამყაროს, როგორც ტოლფასიანს. „ღვთაებრივ კომედიაში“ იშვიათი არ არის ანალოგიები ქრისტიანობისა და ანტიკურობის შორის. დანტეს გზის მაჩვენებელი იყო ვერგილიუსი, რომელსაც უფრო ადრეც კი სთვლიდნენ თითქმის წმინდანად იმის გამო, რომ მან თავის ერთ-ერთ ეკლოგთაგანში ვითომც იწინასწარმეტყველა ქრისტეს დაბადება. ანტიკურობის დიადი ადამიანები მის მიერ გამოსახულ იმქვეყნიურ სამყაროში არ განიცდიან ტანჯვა-წვალებას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ ქრისტიანები. ჯოჯოხეთის მცველი იყო მითიური მინოსი. კიდევ უფრო მოულოდნელია ის გარემოება, რომ ქრისტიანული სალხინებლის მცველად გამოყვანილია წარმართი და თავისმკვლელი (ე. ი. ქრისტიანული წარმოდგენით, უდიდესი ცოდვილი) — კატონ უტიკელი.

ეს ახალი მოტივები — მოთხოვნილება ახალი, უფრო ფართო მორალისა და ანტიკურობის თაყვანისცემა — გაცილებით უფრო ხმამაღლა ეღერენ დანტეს დიადი მემკვიდრეების თხზულებებში, რომელთაც დაიწყეს იტალიური ალორძინების ერა.

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. ენგელსი, „ანტი დიურინგი“, 1933. — Энгельс, Диалектика природы, Соч., т. XIV. — Энгельс, Юридический социализм, Соч., т. XVI, ч. 1. — ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში“, 1932.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т II, ч. I, 1938. стр. 259—281. — Средневековье в его памятниках, под ред. Егорова, отд. XIII, М. 1913. — „სიმღერა როლანდზე“, თარგმანი რ. გვეტაძისა, ხ. ვარდოშვილისა და ა. აბაშელისა, 1942. — „Поэма о Сиде“, Спб. 1897. — „თქმულება ნიბელუნგებზე“, თარგმ. კ. ჭიკინაძისა, 1935. — დანტე ალიგჰიერი, „ღვთაებრივი კომედია“, „ჯოჯოხეთი“ თარგმანი კ. გამსახურდიასი და კ. ჭიკინაძისა, დანარჩენის თარგმანი კ. გამსახურდიასი, 1941. 1938 და 1933. — Хрестоматия по западноевропейской литературе. Средние века (IX—XV вв.), под ред. Шор, 1938. — Инститорис и Шпренгер, Молот ведьм, М. 1932.

III. ჯამოკლევანი. დამხმარე წყაროები. Лависс и Рамбо, Эпоха крестовых походов, т. II, гл. X. М. 1914. — Вайнштейн, Культура западноевропейского средневековья (XI—XIV века), „Исторический журнал" № 10, 1939. — Эйкен, История средневековой философии, М. 1912. — Виноградов, Римское право в средневековой Европе, Спб. 1910. — Корш и Кирпичников, Истории всеобщей литературы, т. II. Спб. 1885. — Суворов, Средневековые университеты, М. 1898. — Сперанский. Очерки из истории народной школы в Западной Европе, М. 1898. — Сперанский. Ведьмы и ведовство, М. 1906. — Добиаш-Рождественская, История письма в средние века, П. 1923. — Средневековой быт, сб. статей. Л. 1925. — Иванов, Средневековой замок и его обитатели в эпоху процветания рыцарства, Спб. 1894. — Иванов, Средневековой город и его обитатели, Спб. 1895. — Иванов, Средневековая деревня и ее обитатели, Спб. 1896. — Иванов, Трубадуры, труверы и миннезингеры, Спб. 1909. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. II, ст. 39, 42—49, т. IV, ст. 72, 79, 82, 86.

თ ა ვ ი XXXIII

ადრინდელი აღორძინება იტალიაში (XIV—XV საუკუნეები)

რენესანსის არსი და მისი წანამძღვარნი. როგორც უკვე დავინახეთ ბურჟუაზიის განვითარებასთან ერთად, ევროპის ქალაქებში ისახება ბურჟუაზიული კულტურა, რომელიც თავდაპირველად გაუბედავად, ხოლო შემდეგ სულ უფრო და უფრო გადაჭრით, უპირისპირდება ფეოდალურ კულტურას.

იტალიაში, სადაც ქალაქების გაფურჩქვნა, მათი ეკონომიური ცხოვრების აღმავლობა და სიმდიდრის სწრაფი დაგროვება ხდება უფრო ადრე, ვიდრე ევროპის დანარჩენ ქვეყნებში, საქალაქო კულტურა აღწევს განსაკუთრებულ მწვერვალს და XIV საუკუნიდან იჩენს თავს ფართო კულტურულ მოძრაობაში, რომელმაც მიიღო **რ ე ნ ე ს ა ნ ს ი ს,** ანუ **ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ი ს** სახელწოდება.

ამ მოძრაობას შედეგად მოჰყვა გადატრიალება სულიერი კულტურის ყოველ დარგში — ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში, მეცნიერებაში — და მნიშვნელოვანი ცვლილებანი მთელ მსოფლმხედველობაში.

რენესანსის მოღვაწენი, ახალი ბურჟუაზიული კულტურისა და მსოფლმხედველობის მატარებელნი და შემომქმედნი, ცნობილნი არიან **ჰ უ მ ა ნ ი ს ტ ე ბ ი ს** სახელწოდებით, რაც წარმოიშვა სიტყვიდან humanus, რომელიც აღნიშნავს,—ადამიანურს; ეს იმიტომ, რომ ისინი საერო მეცნიერებას, მეცნიერებას, რომლის შესწავლის საგანს შეადგენდა ადამიანი (studia humana) უპირისპირებდნენ ფეოდალურ სქოლასტიკურ მეცნიერებას, „ღვთაებრივ“ მეცნიერებას, — ღვთისმეტყველებას (studia divina). აქედან წარმოიშვა ცნება ჰუმანიზმისა, რომლითაც აღინიშნება მიმდინარეობა რენესანსის პერიოდის ლიტერატურისა და მეცნიერების დარგში და რომელიც ჩვენ არ უხდა აურიოთ ჩვენს, თანამედროვე, უფრო ფართო წარმოდგენის ჰუმანიზმში.

იტალიური რენესანსის ისტორიაში შეიძლება აღინიშნოს ორი ეტაპი: ადრინდელი რენესანსი, რომელიც მოიცავს XIV—XV საუკუნეთა პერიოდს, კულტურის აღმავლობისა და გაფურჩქვნის პერიოდს, და გვიანდელი რენესანსი XVI საუკ., როდესაც მიღწეულ მაღალ დონედან უკვე იწყება დაქვეითება.

რენესანსის ისტორია იძლევა იმის აშკარა მაგალითს, რომ განვითარება უმაღლესი, საზედნაშენო სფეროების, თუმცა მჭლიანად განსაზღვრულია ეკონომიური და სოციალური განვითარებით, მაგრამ საკუთარი არ ემთხვევა მას

დროის მიხედვით. იტალიის უმსხვილესმა ქალაქ-რესპუბლიკებმა უკვე XIII საუკ. მიაღწიეს ეკონომიურ გაფურჩქვნას, ახალი კულტურის, რენესანსის კულტურის აღმავლობა კი, იწყება XIV საუკუნიდან, ხოლო XIII საუკუნემ ჩაიარა მომეტებულ ნაწილად ფეოდალური საზოგადოების იდეათა და მსოფლმხედველობის დროშით. მეორე მხრივ, მართალია XV საუკ. დამლევი და განსაკუთრებით კი XVI საუკუნე, აღნიშნულია იტალიის ეკონომიური და პოლიტიკური დაცემის დაღით, მაგრამ მისი კულტურა სწორედ მაშინ აღწევს უუდიდეს ბრწყინვალებას, მაგალითად, ისეთი გენიოსების შემოქმედებაში, როგორიც არიან ლეონარდო და-ვინჩი, მიქელ ანჯელო და სხვ. ამგვარად, მაღალ დონეს მიღწეული კულტურა იძენს ერთგვარ ინერციის ძალას და კიდევ ერთ ხანს განაგრძობს განვითარებას, თუმცა ამ მაღალი კულტურის შემქმნელი პირობები, უკვე იწყებენ გაქრობას.

პირველ ყოვლისა საჭირო გამოირკვეს ახალი კულტურის საზოგადო თვისებები და ფეოდალური კულტურის მიმართ მისი დაპირისპირების არსი.

რაციონალიზმი, ანგარიშიანობის პრინციპი ბურჟუაზიულ ეკონომიკისა და კულტურის სფეროში. ტიპიური ფეოდალური მეურნეობა შუა საუკუნეების ხანისა ხასიათდება თავისი უგეგმობითა და ურაციონალობით. ფეოდალი აწყობს თავის მეურნეობას მხოლოდ და მხოლოდ სამომხმარებლო მიზნებისათვის, ასეთ მეურნეობაში წესად არის ქცეული ანგარიშიანობის პრინციპის გამოყენება; მოცემულ ეპოქაში. არსებული მოგების ამა თუ იმ ნორმის მიუხედავად, ცალკეულ ფეოდალურ მეურნეობას შეუძლიან მოქმედება იმ პირობით, თუ მას ძალუძს ფეოდალის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. იგივე ითქმის, ბუნებრივია, შუა საუკუნეების საამქრო ხელოსანზედაც.

პირიქით, მსხვილ ქალაქელ ბურჟუის, მაგალითად, XIV—XV საუკ. იტალიელი ვაჭრის, ბანკირის, მრეწველის მეურნეობა აგებულია სულ სხვაგვარ საფუძვლებზე. იგი ისახავს არა სამომხმარებლო, არამედ მაქსიმალური მოგების მიღების მიზანს. ვინაიდან მასში ყველაფერი კეთდება ამ მიზნის შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იგი წარმოებს რაციონალურად: იგი მოქმედებს მთლიანად დამყარებული ანგარიშიანობის პრინციპზე.

ეს პრინციპი დამახასიათებელი ხდება ახალი კულტურისა და ახალი მსოფლმხედველობისთვისაც. ასე, მაგალითად, მეცნიერების დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მათემატიკას. რენესანსის ხელოვნების უდიდესი წარმომადგენლები—ლეონარდო და-ვინჩი, ლეონ-ბატისტა ალბერტი—იმავე დროს იყვნენ მეცნიერნიც, რომელნიც ფართოდ იყენებდნენ მათემატიკურ გამოანგარიშებას. განსაკუთრებით დამახასიათებელია დამოკიდებულების შეცვლა დროის გამოთვლის მიმართ. ფეოდალურ საზოგადოებაში დროს არ აფასებენ და ხშირად ტყუილ-უბრალოდ ხარჯავენ მას. ამის საწინააღმდეგოდ ლეონ-ბატისტა ალბერტიმ უკვე ჩამოაყალიბა დებულება, „ვინც ბატონობს ფულზე და დროზე ,— ის ბატონია ყოველი საგნისა“. შემთხვევითი არ არის ის, რომ XIV საუკ. იტალიის ყველა ქალაქებში ჩნდება საკოშკო მრეკავი საათები, რომელნიც რეკავენ ყოველ საათს, მოაგონებენ ადამიანს, რომ საჭირო დროის ყაირათი, რომ დრო—ფულია.

ეს ახალი დამოკიდებულება დროის მიმართ მეღავნდება, სხვათა შორის, შენობათა აგების ვადებშიაც: ეს ვადები მკვეთრად მოკლდება. შუა საუკუნეების რომელიმე ტაძრის აგებას უნდებოდნენ რამოდენიმე საუკუნეს მუშების და ხუროთმოძღვრების მრავალი თაობანი; რენესანსის შენობები შენდება რამოდენიმე წლის განმავლობაში და ამასთანავე ერთად განსაზღვრული გეგმით, წინასწარი დაპროექტების და გამოანგარიშების მეთოდების გამოყენებით. საუკეთესო მაგალითია მათემატიკური გამოანგარიშების გამოყენებისა არქიტექტურაში უზარმაზარი ტაძრის გუმბათი ფლორენციაში. სახელგანთქმულმა ხუროთმოძღვარმა ბრუნელესკიმ მხოლოდ ზუსტი გამოანგარიშების საშუალებით შესძლო გადაეჭრა მის წინაშე დასმული ამოცანა — დაეშენებინა ტაძრისათვის გუმბათი, რომელიც, მიუხედავად თავისი სიმძიმისა და სიდიდისა, არ შეარყევდა ტაძრის კედლებს.

არა ნაკლებ იჩენს თავს ანგარიშიანობის პრინციპი მხატვრობაშიაც. XII—XIII საუკ. ოსტატებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ პერსპექტივაზე. ფიგურათა და საგანთა სიდიდე, გამოსახული მათ სურათებზე, განისაზღვრება არა მათი მეტ-ნაკლები დაშორებით წინა პლანიდან, არამედ სულ სხვა მოსაზრებებით: ასეთ სურათზე მეფე ან წმინდანი ყოველთვის უფრო დიდია „უბრალო“ მოკვდავზე; ადამიანი ყოველთვის ჭარბობს სიდიდით სახლს და სხვ. ეს აიხსნება იმით, რომ ფეოდალურ სამყაროსათვის დამახასიათებელი პრინციპი საზოგადოების იერარქიულ აღნაგობისა, გადატანილია შემოქმედების დარგშიაც. პირიქით, XIV—XV საუკ. მხატვართა ნაწარმოებებში ჩნდება უკვე ხაზოვანი პერსპექტივა, რომელიც მოითხოვს განსაზღვრულ მათემატიკურ გამოანგარიშებას.

ცვლილებები ბუნებისადმი დამოკიდებულებაში და საერო ხაფუძვლები ახალი კულტურისა. ამგვარად, ანგარიშიანობის პრინციპი ზეიმობს თავის გამარჯვებას არა მარტო მეურნეობის, არამედ ხელოვნების დარგშიაც.

კავშირს მეურნეობისა და კულტურის შორის ადასტურებს აგრეთვე ის მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება ახლა ბუნებას. ფეოდალური სამყარო უსიტყვოდ ემორჩილებოდა ბუნების ბრმა სტიქიას, და მომეტებულ წილად არ უყვარდა იგი და არც აფასებდა მას. ეკლესია ასწავლიდა, რომ დედა-მიწა არის „გოდებათა და ტანჯვათა ველი“, ადამიანი დედა-მიწაზე წარმოადგენს „განმვლელ მოგზაურს“, „კანდელს, დადგმულს ჭარზე“. ადამიანის სხეული, თუმც არ იყო ოფიციალურად აღიარებული, როგორც, მაგალითად, კათარებთან, „ეშმაკის ჭურჭლად“, მაგრამ მაინც ითვლებოდა ცოდვილ რამედ, ყოველ შემთხვევაში, არა ლირსად ყურადღებისა. ყველა მოვლენები, მომხდარი ბუნების წიაღში (ქარიშხალი, წყალდიდობა, გვალვა და სხვ.) და ადამიანის გვამში (ავადმყოფობანი, სიკვდილი), ითვლებოდენ ღვთაების ჩარევის შედეგად, მისი ნების გამომჟღავნებად, ცოდვებისათვის სასჯელად.

XIV—XV საუკ. იტალიელი ბურჟუა, რაციონალურად მომწყობი საკუთარი მეურნეობისა, ცდილობს ბუნების რაციონალურად შემეცნებასა და გაგებასაც. ანგარიშიანობის პრინციპის მიხედვით, დაშვებულია რაღაც იმქვეყნიური ძალის ჩარევა, რომელიც ყველაფერს რევს და წეწავს; ვაჭარი და მრეწველი დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ შეიცნონ ბუნება და ადამიანი, გა-

მოიტანონ ამ შემეცნებიდან სარგებლობა, შეიძინონ უნარი წინასწარი გათვალისწინებისა და ვარაუდისა. ამგვარად ბუნების ცნება ხდება სავსებით საერო; იგი თავისუფლდება წინანდელი „ღვთაებრივობის“, რელიგიურობის ნაზავისაგან. თვალსაჩინო სამყაროს ფარგლებში აღარ რჩება ადგილი ღვთისათვის, და ეს სამყარო განიხილება, როგორც ერთმანეთთან განსაზღვრულ მიზეზობრივ ურთიერთმოქმედებაში მყოფ მოვლენათა და საგანთა სისტემა. მოგვიანებით, XVI—XVII საუკუნეებში, საერო მსოფლმხედველობის გამარჯვებას მივყევართ მეცნიერებაში გალილეისა და ჯორდანო ბრუნოს სისტემათა აღმოცენებამდის, რომლებშიაც ღმერთს მიეკუთვნება ან მეორეხარისხოვანი ადგილი, ან და სრულიად არავითარი. ასე მზადდება ბუნებისმეტყველების წარმატება, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის გაუნთავისუფლებლად რელიგიის დამთრგუნავი, გონების დამაჩლუნგებელი გავლენისაგან.

ინტერესი ადამიანის სხეულისადმი მეცნიერებაში და ხელოვნებაში. კერძოდ, უკვე XV—XVI საუკ. შეიძლება აღინიშნოს ინტერესი ადამიანის სხეულისა და მისი აგებულობის შესწავლისადმი. ეს მეღავნდება, პირველ ყოვლისა, ანატომიის, როგორც მეცნიერების, ჩასახვაში, და ამავე დროს ახდენს უდიდეს გავლენას მხატვრობაზე და სკულპტურაზე. ახალი ხელოვნების ერთ-ერთ ნიშნად იქცევა რეალისტური გამოსახვა ადამიანის სხეულისა, ხშირად გაშიშვლებულისა.

XV საუკ. დამდეგს მაზაჩო, ხოლო მის დამლევს — სანდრო ბოტიჩელი, გენიალური რეალობით გამოსახავენ ადამიანის შიშველ სხეულს. მოგვიანებით ადამიანის სხეულის მცოდნენი იყვნენ ლეონარდო და-ვინჩი და მიქელ ანჯელო, რომელთაც თავიანთ შემოქმედებაში მიაღწიეს შესანიშნავ შედეგებს ანატომიის გულდასმით შესწავლის წყალობით. ადამიანის სხეულთან ერთად და მასთან მჭიდროდ დაკავშირებით რენესანსის ხელოვნებაში ახალი შუქი ეფინება გარემო ბუნებასაც. ფეოდალური საზოგადოების საეკლესიო მხატვრობისათვის ბუნება სრულიად უცნობია. „წმინდანთა“ გამოსახულებანი მოცეშულია ჩვეულებრივ მოოქროვილ ფონზე: XIII საუკ. უდიდესი მხატვარი ჯოტო, მართალია, ცდილობს თავის სურათებში, უკანა პლანზე ბუნების გამოსახვას, მაგრამ მისი მთები მოგვაგონებს კენჭებს, მის ხეებს, მინდვრებს, ფულებს აკლიათ რეალურობა. XIV—XV საუკ. ისახება უკვე რეალისტური პეიზაჟის ხელოვნება, დაკავშირებული ხაზოვან, ხოლო მოგვიანებით ჰაერიან პერსპექტივის განვითარებასთან.

ინტერესი ადამიანის განცდებისადმი. ინდივიდუალიზმის განვითარება. ამასთანავე ერთად იცვლება დამოკიდებულება ადამიანის პიროვნებისა და მისი გრძნობებისა და განცდებისადმი. მხატვრის „მოქანდაკის, პოეტის ყურადღების ცენტრში ექცევა ადამიანი და მისი სულიერი ცხოვრება. ხელოვნებაში ეს პოულობს თავის გამოხატულებას, პირველ ყოვლისა, საპორტრეტო მხატვრობის განვითარებაში, რომელიც თითქმის სრულიად უცნობი იყო ფეოდალური ხელოვნებისათვის. პორტრეტული მსგავსების მიღწევა ხდება მოქანდაკობის (სკულპტურის) მიზანიც. XV საუკ. უდიდესი ოსტატი დონატელო ჰქმნის ცხენოსნის პირველ მონუმენტს, რომელიც გამოსახავს კონდოტიერ გატამელატას, ე. ი. ინდივიდუალური „გმირის“ პირველ სკულპტურულ ძეგლს.

ამასთან ერთდროულად იწყებს გამომუშავებას და. ლეონარდო და-ვინჩის ნაწარმოებებში აღწევს უდიდეს სრულყოფას ფსიქოლოგიური პორტრეტის ოსტატობა, ე. ი. უნარი გამოსახული ადამიანის სახის ნაკვეთებში და გამომეტყველებაში მისი შინაგანი, სულიერი ცხოვრების ჩვენებისა, როგორც, მაგალითად, ეს მიღწეულია სახელგანთქმულ მონა ლიზაში (ჯიოკონდო).

არანაკლებ მკაფიოდ, და საფიქრებელია, რომ უფრო ადრეც, ვიდრე საბვით ხელოვნებაში, ახალი დამოკიდებულება ბუნებისა და ადამიანის მიმართ იჩენს თავს მხატვრულ ლიტერატურაში. უკვე პირველი ჰუმანისტების — პეტრარკასა და ბოკაჩიოს — თხზულებებში, ადამიანი და მისი ურთიერთ დამოკიდებულება და ურთიერთმოქმედება ბუნებასთან წარმოადგენს შემოქმედების ცენტრალურ მომენტს. პეტრარკა სპეციალურად აწყობს ასვლებს მთაზე, რათა დატკბეს იქიდან თვალწინ გადაშლილი სანახაობით. ეს სრულიად უჩვეულო რამეა ფეოდალური მსოფლმხედველობის ადამიანისათვის. თვით პოეტის პიროვნება, მისი სულიერი განცდები ხდება ლიტერატურულ ნაწარმოებების ძირითად შინაარსად.

ჰუმანისტების დამოკიდებულება ფეოდალური საზოგადოებისა და მისი ორგანიზაციისადმი. დაბოლოს, ზემოთ განხილული ცვლილებები პოულობს ასახვას აღზრდის ახალ სისტემაშიაც, გამომუშავებულში ჰუმანისტი პედაგოგების მიერ, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ვიტორინო და-ფელტრეს. ახალ აღზრდას აქვს სავსებით საერო ხასიათი; მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პიროვნების ჰარმონიული განვითარება, რომაელთა იდეალის შესაბამისად: — „სალი სული სალ სხეულში". ამიტომ ფიზიკურ აღზრდას, სპორტსა და თამაშს — გასართობებს ჰუმანიტარულ სკოლაში ექცეოდა არა ნაკლები ყურადღება და დათმობილი ჰქონდა არა ნაკლები ადგილი, ვიდრე ინტელექტუალურს.

ყველა ეს მოვლენები ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში და სკოლაში შეიძლება განიმარტონ, როგორც გამარჯვება ინდივიდუალიზმისა. ფეოდალური ადამიანის წოდებრივი და კორპორატიული ბორკილების დასაპირისპირებლად, ახალი მსოფლმხედველობა აღიარებს პიროვნების თვითღირებულებას და მის თავისუფლებას შუასაუკუნოებრივი ბორკილებისაგან. მაგრამ პიროვნების თავისუფლება რენესანსის ეპოქის ჰუმანისტებისათვის — იყო თავისუფლება ბურჟუაზიული პიროვნებისა, ან და უფრო ვიწროდაც კი — თავისუფლება პიროვნებისა, რომელიც ეკუთვნოდა მმართველი კლასის თხელ ფენას. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ თვით ჰუმანისტური სკოლაც კი არ იყო დემოკრატიული, იგი იყო კარჩაკეტილი და ემსახურებოდა, უმთავრესად, გაბატონებული კლასის ზედაფენის წარმომადგენლებს. ჰუმანისტთა ინდივიდუალიზმი თავდაპირველად იჩენს თავს ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობაში და იმ დროიდან დაწყებული რჩება მის განუყრელ თვისებად.

ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან იტალიელი ჰუმანისტები იყვნენ არა მარტო იდეოლოგები ახალი აღმავალი ბურჟუაზიული კლასისა, არამედ ისინი მომეტებულ ნაწილად თვითონვე იყვნენ ამ კლასის წევრნი, ან და მატერიალურად მისგან დამოკიდებულნი. ბოკაჩიო იყო ვაჭრის შვილი და ცხოვრობ-

და მამის მიერ ნაანდერძევი კაპიტალით. ლეონარდო ბრუნი, ნიკოლი, პოჯიო და ბევრი სხვა ემსახურებოდნენ ფლორენციის რესპუბლიკას, რომელშიაც XIV — XV საუკ. ბატონობდა მდიდარი ბურჟუაზია, „მსუქანი ხალხი“. ამიტომ არ არის გასაკვირალი ის გარემოება, რომ ჰუმანისტები არა მარტო უთხრიდნენ ძირს თავიანთი შემოქმედებით, და ახალ ბურჟუაზიული კულტურის შექმნით, ძველ ფეოდალურ მსოფლმხედველობას, არამედ ხშირად მასთან ამკარა ბრძოლასაც აწარმოებდნენ. ასე, მაგალითად, ისინი ილაშქრებდნენ იერარქიულობისა და წოდებრივობის პრინციპების წინააღმდეგ, რომელნიც ბატონობდნენ ფეოდალურ საზოგადოებაში. ფლორენციელი ჰუმანისტი პოჯო წერს თხზულებას „კეთილშობილებაზე“ („De nobilitate“). აქ ის ატარებს იმ აზრს, რომ კეთილშობილებას, წარჩინებულობას იძლევიან არა დაბადება და წარმოშობა, არამედ პირადი დამსახურებანი და ცოდნა. პოჯო დასცინის ფეოდალთა უსაყვარლეს დროს ტარებას, როგორიცაა, მაგალითად, ნადირობა, რომელსაც უწოდებს „სამხეცო გასართობს“, ადამიანის დამამცირებელს. იგი ამტკიცებს, რომ არ შეიძლება თავის თავის ჩათვლა კეთილშობილად და წარჩინებულად მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ წინაპართა გრძელი მწკრივი ეწეოდა ყაჩაღურ საქმიანობებს და გასართობებს. ინტელექტუალური ინტერესები და საქმიანობანი — აი ის, რაც, მისი აზრით, ღირსია ადამიანისა და ანიჭებს მას ჭეშმარიტ კეთილშობილებასა და წარჩინებულობას, მაგრამ თუ ჰუმანისტები ილაშქრებენ ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ, სამაგიეროდ ისინი ცდილობდნენ მის ადგილას დააყენონ არისტოკრატია ინტელექტისა, განათლებისა და არისტოკრატთა ფულიან ტომრისა. ჰუმანისტთა შორის, თავიანთ თხზულებებში ბევრნი ამეღავნებენ ზიზღს სახალხო მასის მიმართ, რომელსაც ისინი უწოდებენ „ბრბოს“ (vulgus). ეს, პირველ ყოვლისა, იჩენს თავს იმაში, რომ ისინი ჩვეულებრივ წერენ მასისათვის გაუგებარ ლათინურ ენაზე, და სჩადიან ამას, შეიძლება ითქვას, განზრახ, რათა გასაგები იყოს მხოლოდ „რჩეულთათვის“, ბურჟუაზიის განათლებული ზედა-ფენისათვის და არა უმრავლესობისათვის. საგულისხმიერია ჰუმანისტთა დამოკიდებულება ისეთი მოძრაობისადმი, როგორიც იყო ჩომპის ამბოხება ფლორენციაში. სახელგახთქმულმა ჰუმანისტებმა კოლუჩიო სალუტატიმ და ლეონარდო ბრუნიმ დაიწახეს ამ მოძრაობაში მხოლოდ და მხოლოდ უაზრო აჯანყება ბრბოსი. XVII საუკ. პალმიერი და გვიჩარდინი პირდაპირ აღიარებდნენ, რომ ხალხს არა აქვს უნარი პოლიტიკურ მოვლენათა სწორი შეფასებისა, რომ მასა პოლიტიკის დარგში „ისევე შორს არის ჭეშმარიტებისაგან, როგორც ესპანეთი — ამერიკისაგან“.

რენესანსი და ანტიკური კულტურა. ჰუმანისტთა შემოქმედებაში უდიდესი როლი შეასრულა ანტიკური კულტურის გავლენამ. ამ როლს ჩვეულებრივ აზვიადებენ კიდევაც, ფიქრობენ, რომ ჰუმანისტები ყველაფერში ბაძავდნენ ანტიკურობას. ისინი მართლაც და გატაცებული იყვნენ ლათინური და ბერძნული ენების შესწავლით, ყველგან ეძებდნენ ძველი დროების მწერალთა თხზულებებს და გულმოდგინედ აწარმოებდნენ მათ გადაწერას, მათ ისინი სთვლიდნენ სანიმუშოდ, ხშირად ბაძავდნენ კიდევაც ამ ნიმუშებს, განსაკუთრებით,

ფორმის მხრივ. ისინი გატაცებული იყვნენ ოგრეთვე არქეოლოგიით, ცდილობდნენ მიწაში ჩამარხულ ანტიკური ხელოვნების ნაწარმოებების — ქანდაკებების, შენობათა ნაწილების — ამოთხრასა და მათ გულდასმით აღწერას. ამის წყალობით, ბევრ ისტორიკოსს, მაგალითად, ფოიგტს, ესმოდა აღორძინება სიტყვა-სიტყვით, როგორც „კლასიკური ძველი დროის აღორძინება“.

ასეთი წარმოდგენა მოკლებულია სიზუსტესა და შემცდარიც კია. მართალია, თუმც ჰუმანისტები დიდის ინტერესით აწარმოებდნენ ანტიკურ ფილოსოფოსთა, მწერალთა შესწავლას და სთვლიდნენ თავის თავს მათ მიმბაძველებად, რენესანსის ხანის მხატვრები ღებულობდნენ ზე-შთაგონებას ძველ დროების ნაწარმოებებისაგან, — მაგრამ ყველაფერ ამაში არ გამოსჭვივის არც უბრალო მიმბაძველობა, არც მისწრაფება ანტიკური კულტურის საკვსებით გამოყენებისა და მისი გადმოტანისა თანადროულობაში. სინამდვილეში კი სიძველეებით გატაცების ფარდის ქვეშ იმალებოდა მისწრაფება საკუთარი ახალი შეხედულებების, საკუთარი ბურჟუაზიული იდეოლოგიის და კულტურის კურთხევისა ანტიკურ ავტორთა ავტორიტეტით. რენესანსის დროის მოღვაწეებმა შემოქმედების ყოველ დარგში, რომელშიაც კი მათ უხდებათ მოღვაწეობა, შესძლეს ახალი წვლილის შეტანა, შესძლეს წინსვლა ძველ მწერლებთან შედარებით.

ზემოთ მოხსენებული ყველა თავისებურებანი ადრინდელი რენესანსისა, და კიდევ მთელი რიგი, უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი თვისებები, იშლება ჩვენს თვალწინ ამ ახალი ბურჟუაზიული კულტურის ცალკეულ წარმომადგენლების შემოქმედებების გაცნობასას.

პეტრარკა. დროის მიხედვით პირველ ჰუმანისტად ჩვეულებრივ ითვლება ფრანჩესკო პეტრარკა (1304—1374 წწ.). ფორმალურად იგი იყო ეკლესიის მსახური, დიდ ხანს ცხოვრობდა პაპის კარზე ავინიონში, მატერიალურად ნაწილობრივ დამოკიდებული იყო კათოლიკური ეკლესიისაგან. მაგრამ მთელი მისი შემოქმედება გაჟღენთილია საერო მოტივებით. მართალია, იმ შრომებში, რომელნიც მიძღვნილია სხვადასხვა განყენებული საკითხებისადმი ეგრეთწოდებულ ფილოსოფიურ ტრაქტატებში, როგორიცაა „ამ ქვეყნიურობის მოძულებაზე“, „განდგომილ ცხოვრებაზე“, „მონაზონთა სულიერ სიმშვიდეზე“, პეტრარკა ჯერ კიდევ იზიარებს საეკლესიო-ფეოდალური საზოგადოების ზოგიერთ იდეებს. მაგრამ პოეტურ თხზულებებში, რომელიც დაწერილია იტალიურ ენაზე, იგი სრულიად შორდება ამ წარმოდგენებს. მისი ლექსების, კანცონების და სონეტების კრებულნი წარმოადგენენ სრულიად ახალ რასმე, როგორც ფორმის, ისევე შინაარსის მხრივ.

თავის ბრწყინვალე ლექსებში, რომლებშიაც იტალიური ენა ღებულობს თითქმის საკვსებით სრულყოფილ ფორმას, პეტრარკა ქებას ასხამს თავისი სიყვარულის საგანს—ლაურას, მაგრამ სრულიად სხვაგვარად, ვიდრე ამას სჩადის დანტე. დანტეს ბეატრიჩე გვევლინება, როგორც უსხეულო, ანგელოზისდაგვარი არსება, ზოგჯერ როგორც აბსტრაქცია, როგორც სიმბოლო ქრისტიანობისა; პეტრარკას ლაურა კი წარმოადგენს სისხლ-ხორცით შემოსილ არსებას, რომლის მიმართ პოეტი განიცდის საკვსებით მიწიერი სიყვარულის გრძნობას.

პეტრარკა იყო პირველი პოეტთაგანი, რომელიც განსაკუთრებით დიდი ყურადღებით ეპყრობა თავის შინაგან განცდებს. იგი შეისწავლის საკუთარი სულის ყოველ მცირედ განცდასაც კი, თითქოს სპვრეტს მას გამადიდებელ შუშით და გადმოგვცემს ხმატკბილ ლექსებში. ბატონობა ინტიმური ლირიკისა მის ლექსებში მოწმობს ახალი ადამიანის ყურადღებას პიროვნებისა და, პირველ ყოვლისა, საკუთარი პიროვნების მიმართ, ე. ი. მის შემოქმედებაში უალრესი ინდივიდუალიზმის გადამწყვეტ გამარჯვებას. ამასთან დაკავშირებულია არა მარტო პეტრარკასათვის, არამედ რენესანსის ყოველი მოღვაწისათვის, დამახასიათებელი სახელის მოპოების დაუშრეტელი წყურვილი. პიროვნების ემანსიპაცია იმ ბორკილებისაგან, რომლებსაც ადებდა მას შუა საუკუნეების საზოგადოების წოდებრივ-იერარქიული ორგანიზაცია, წინ სწევს და აყენებს საკითხს პიროვნების უკვდავების შესახებ, მისი სახელის საუკუნოდ შენახვისა და შენარჩუნების შესახებ. პეტრარკასათვის დამახასიათებელია რენესანსის ეს ტენდენციაც. მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი შემოქმედებითი აქტი, ყველა მისი თხზულება გაჟღენთილია საუკუნო სახელის მოხვეჭისადმი მისწრაფებით. ამ მისწრაფებას განსაკუთრებით ჰფენს ნათელს მისი მრავალი წერილები, რომელნიც მხოლოდ ფორმალურად იყვნენ განკუთვნილნი განსაზღვრული ადრესატისადმი, ფაქტიურად კი მათ ჰქონდათ ფართო გავრცელება და მიმოქცევა ჰუმანისტთა და მათ მდიდარ მფარველთა შორის.

პეტრარკა ღრმად სცდებოდა საკუთარი დიდების წყაროების შესახებ. ის სთვლიდა, რომ მოიპოვა იგი თავისი ეკლოგებითა და ვრცელი პოემით „აფრიკა", რომელიც ვირგილიუსის „ენეიდა"-ს მიბაძვითაა შეთხზული. მაგრამ თუ ეს ლათინურ ენაზე შეთხზული ნაწარმოებნი, იწვევდნენ თანამედროვეების მხურვალე აღტაცებას, ახლა მათ აღარავინ კითხულობს, თუმცა მათ მოუპოვეს პეტრარკას პოეტური დაფნის გვირგვინით დაგვირგვინება კაპიტოლიუმზე რომში. პეტრარკას მსოფლიო ლიტერატურის ბუმბერაზთა შორის ადგილი უჭირავს არა როგორც „აფრიკა"-ს ავტორს, არამედ როგორც იტალიურ ენაზე შეთხზულ კანცონებისა და სონეტების ავტორს.

პეტრარკას დამოკიდებულება ანტიკურ ლიტერატურისადმი. ყველა დანარჩენ ჰუმანისტებსავით, პეტრარკა გატაცებული იყო ანტიკური ავტორებით. მას ბედმა გაუღიმა და მიაგნო ძველი დროის ცნობილი მწერლების — კვინტილიანესა და ციცერონის მანამდის უცნობ თხზულებებს. მან თვითონ, საკუთარი ხელით, ანდა მისი შეკვეთით გადამწერებმა, გადაიღეს ასლები სხვა ანტიკური ავტორებიდან. იგი, ერთ-ერთი პირველთაგანი, მიხვდა, რომ რომაული ლიტერატურის წარმომობის წყარო იყო ბერძნული და დაინტერესდა ანტიკური საბერძნეთის დიადი ნაწარმოებებით. მაგრამ პეტრარკამ ვერ შესძლო ბერძნული ენის დაუფლება, და იგი სწერდა, რომ ბოლოს, რიგორც იყო, იშოვნა ჰომეროსი, რომელსაც ეალერსება, სიყვარულით ხელს უცაცუნებს, მაგრამ, უმატებდა იგი გულნატკენი: „ჰომეროსი, ჩემს გვერდით მყოფი, ჩემ-თვის რჩება მუნჯი, ხოლო მე, მის გვერდით მწოლარე, ვარ მის მიმართ ყრუ". მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუნდაც მხოლოდ ამ ენთუზიაზმმა მცირეოდენი ხოლი როდი ითამაშა ძველი ლიტერატურის მიმართ ინტერესის გაღვივება-

ში. ბიზანტიელმა მწერლებმა, კარდინალმა ბესარიონმა, გემისტოს პლეტონმა, ხრიზოლორასმა, რომელნიც გადასახლდნენ იტალიაში ბიზანტიის დაღუპვის ჟამანში, დიდად შეუწყეს ხელი ბერძნული ენის ცოდნის გავრცელებას. მათი მოღვაწეობის წყალობით პეტრარკას მომდევნო, მეორე თაობა ჰუმანისტებისა უკვე სავსებით სძლევს ამ ენას, და ამ თაობის სწავლულთა შორის ბევრია სპეციალობით ჰელენისტი.

ბოკაჩიო. პეტრარკას უმცროსი თანამედროვე და მოწაფე იყო მეორე დიდი სახელგანთქმული ჰუმანისტი ჯოვანი ბოკაჩიო (1313—1375 წწ.). პეტრარკასავით, ისიც სთვლიდა თავისი სახელგანთქმულობის მიზეზად და საფუძვლად მრავალრიცხოვან მეცნიერულ ტრაქტატებს, შეთხზულთ ლათინურ ენაზე („ღმერთების გენეალოგია", „სახელოვან ქალთა ცხოვრება" და სხვ.), რომლებშიაც მან გამოაშკარავა ბრწყინვალე სტილთან ერთად, ღრმა ცოდნა უძველესი ლათინური ლიტერატურისა. მაგრამ მის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს, რომელმაც ჩააყენა იგი დიდ მწერალთა რიგებში, წარმოადგენდა არა ეს ტრაქტატები, არამედ ჟანრული მოთხრობების თაეშესაქცევი ანუ ნოველების კრებული — „დეკამერონი". ამ ნოველებში, რომელიც დაწერილია ზოგჯერ მეტად თავაშვებულ ფრივოლიურ სიუჟეტებზე, ხედავენ განსაზღვრულ გავლენას იმ აღვირახსნილ ცხოვრების, როგორსაც ბოკაჩიო ეწეოდა ერთ დროს ნეაპოლის მეფის კარზე. ამ ნაწარმოების დაუეჭნობელი და უკვდავი ლიტერატურული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ მასში მოკლე მხატვრული მოთხრობების ოსტატობა აყვანილია მაღალ დონეზე. „დეკამერონი" ძვირფასია აგრეთვე მრავალრიცხოვანი საყოფაცხოვრებო მომენტებით, რომელნიც გაფანტული არიან მასში ავტორის მიერ, განსაკუთრებით კი მღვდლებისა და ბერების ცხოვრებიდან, რომელნიც ხდებიან გონებამახვილ დაცინვის საგნად.

„დეკამერონი" (ბერძნული სიტყვა — ნიშნავს ათ დღეს) შეიცავს ას ნოველას. მათ შინაგან კავშირს წარმოადგენს ის, რომ ავტორი მათ აამბობინებს მოგონილ პირებს შვიდ ქალსა და სამ ვაჟს, ფლორენციელებს, რომელნიც ჭირიანობის ჟამს 1348 წ. გაიხიზნენ ქალაქიდან მეზობელი ფიეზოლეს ერთ-ერთ ვილაში. ამ ვილაში ათი დღის განმავლობაში ყოფნის დროს, ყოველიფე თითო წევრი ამ საზოგადოებისა უამბობდა დანარჩენებს თითო ნოველას.

„დეკამერონს" გაუჩნდა მრავალი მიბაძვა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ფრანკო საკეტის (გარდაიცვალა დაახ. 1400 წ.) ნოველები; XVI საუკ. უცნობი ავტორის „ასი ახალი ნოველა" და მარგარიტა ნავარელის „ჰეპტამერონი".

ბოკაჩიო არის მხურვალე თავყანისმცემელი დანტესი. მან დაწერა დიადი ფლორენციელის ბიოგრაფია და „ღვთაებრივი კომედიის" კომენტარიები. მის კალამს ეკუთვნის კიდევ მთელი რიგი რომანები — „ფიამეტა", „ფილოსტრატო" და სხვ., რომელნიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან მხატვრული ღირებულებით „დეკამერონს", მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქვთ დიდი მნიშვნელობა, როგორც თანამედროვე რეალისტური რომანის წინამორბედებს.

პეტრარკა და ბოკაჩიო არიან ახალ იდეათა და ახალ მხატვრულ ფორმათა საძირკველის ჩამყრელნი. ჰუმანისტთა მოღვაწეობა აღწევს შემდგომ გან-

ვითარებას XV საუკ. რენესანსის ისეთ ცენტრებში, როგორიც არიან ფლორენცია, რომი, ნეაპოლი, ვენეცია.

ჰუმანიზმის ფლორენციელი ცენტრი. XIV—XV საუკ. ფლორენციაში იწყებს ალმოცენებას სპეციალური დაწესებულება, რომლის ირგვლივაც იყრიან თავს ჰუმანისტები, ეს არის უნივერსიტეტი, პლატონის სახელობის აკადემია. მედიჩთა გვარის ტირანები — კოზიმო, შემდეგ ლორენცო მშვენიერი — ძალიან მფარველობდნენ ჰუმანისტებს. გარდა ზემოხსენებული პიკოსი, სალუტატისა, ლეონარდო ბრუნისა, ნიკოლისა, ფლორენციელ ჰუმანისტებს შორის უნდა აღინიშნოს მარსილიო ფიჩინოს თავისებური ფიგურა, რომელმაც ხელი მოჰკიდა პლატონის ფილოსოფიის შესავალს.

ის ინტერესი, რომელსაც იჩენდა და ის მფარველობა, რომელსაც უწევდა მდიდარი ბურჟუაზია პლატონური იდეალისტური ფილოსოფიის განვითარებას, ნათლად მოწმობენ იმას, რომ ამ ბურჟუაზიის რაციონალიზმი ჯერ კიდევ ფრიად შეზღუდული იყო და რომ მატერიალისტურად მოაზროვნე, მოწინავე ბურჟუაზია XVIII საუკუნისა ძალიან წინ წავიდა მასთან შედარებით. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ „განმანათლებლობის“ ხანის საფრანგეთის ბურჟუაზია წარმოადგენდა რევოლუციურ კლასს, რომელიც ილტვოდა ფეოდალთა ბატონობის ლიკვიდაციისაკენ და ძალა-უფლების დაპყრობისაკენ. XV საუკ. იტალიის ბურჟუაზია კი, რომელმაც უკვე ხელთ იგდო ძალა-უფლება იტალიის ქალაქ-რესპუბლიკებში, ფლორენციაში ჩიომპის აჯანყების ჩაქრობისა და სხვა ქალაქებში პლებეური მასების ამბოხებების შემდეგ, დგება პოლიტიკაში სულ უფრო და უფრო რეაქციულ პოზიციებზე. მისი რაციონალიზმი ვერ აღწევს მატერიალისტურ ფილოსოფიამდე, სწორედ ისევე როგორც თავის კრიტიკულ დამოკიდებულებაში ეკლესიის მიმართ, იგი ვერ მიდის ათეიზმამდე და XVIII საუკ. დეიზმამდეც კი.

მაღალმა დონემ მატერიალური კულტურისა და ეკონომიური განვითარებისა, რომელსაც მიაღწია ფლორენციამ, ხელი შეუწყო მასში უმსხვილესი მხატვრებისა და სწავლულთა დიდი რიცხვის თავმოყრას. აქ ეწეოდენ შემოქმედებას ადრინდელი რენესანსის დიადი ოსტატები: მხატვარი მაზაჩიო, მოქანდაკე დონატელო და ბევრიც სხვა. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლეონბატისტა ალბერტი, XV საუკ. ერთ-ერთი უბრწყინვალესი და მრავალმხრივი ფიგურათაგანი. იგი იყო მათემატიკოსი, ინჟინერი, ხუროთმოძღვარი, მხატვარი და მხატვრობის თეორეტიკოსი, და დააჩნია კვალი ხელოვნებისა და ცოდნის სულ სხვადასხვა დარგებს. მის კალამს ეკუთვნის „ათი წიგნი ხუროთმოძღვრების შესახებ“, ტრაქტატი ანატომიაზე, დროის მიხედვით პირველი მსჯელობა პერსპექტივაზე, მთელი რიგი ფილოლოგიური ნაშრომებისა. თავის მრავალმხრივ სწავლულ და მხატვრულ საქმიანობას ალბერტი უხამებდა და უერთებდა ინტერესს ფიზიკური კულტურისადმი, გატაცებას სპორტით, იგი ყოველმხრივ წარმოადგენდა მაგალითს რენესანსის ეპოქის პიროვნებას ჰარმონიული განვითარებისა. დაბოლოს, ფლორენციასთან მჭიდროდ დაკავშირებული კიდევ უფრო მეტად მრავალმხრივი ლეონარდო და-ვინჩი, ერთნაირად გენიალური როგორც მხატვარი, ისევე როგორც ინჟინერი-გამომგონებელი და როგორც მეცნიერი. თავის მეცნიერულ შრომებში მექანიკის შესახებ, რომელ-

ნიც არ იყვნენ გამოქვეყნებულნი მის სიცოცხლეში, ლეონარდო, პირველი, მეცნიერების ისტორიაში, აღიარებს ექსპერიმენტს მეცნიერული შემეცნების საფუძვლად და ხაზგასმით აღნიშნავს თეორიული მეცნიერებისა და გამოყენებითი ტექნიკის მჭიდრო კავშირისა და მათი ურთიერთ ზემოქმედების ნაყოფიერებას. „სულისა და სწავლულობის ბუმბერაზთ“ შორის, რომელნიც დაბადა რენესანსმა, ენგელსი ტყუილად კი არ ასახელებს, პირველ ყოვლისა, ლეონარდო და-ვინჩის.

ჰუმანისტების კრიტიკული კვლევის სულისკვეთება. ვალა. XV საუკ. ფლორენციელ ჰუმანისტებში მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს კრიტიკული გამოკვლევის სულისკვეთება, რომელმაც განსაკუთრებით იჩინა თავი ფილოლოგიისა და ისტორიის დარგში. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს „ფლორენციის ისტორია“ ლეონარდო ბრუნისა, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ წინამორბედს მაკიაველისა. მაგრამ განსაკუთრებით აშკარა კრიტიკული დამოკიდებულება წარსულის ხანის ძეგლების მიმართ იჩენს თავს ლორენცო ვალას (1406—1457 წწ.) თხზულებებში, რომელიც დაიბადა რომში, მაგრამ დიდი ხანი დაჰყო ნეაპოლის სამეფო კარზე. ვალამ განითქვა სახელი თავისი გამოკვლევით „კონსტანტინეს საჩუქარზე“, რომლითაც პაპობა ასაბუთებდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში თავის პოლიტიკურ პრეტენზიებს. ფილოლოგიური კრიტიკის მეთოდების გამოყენებით, ვალამ დაამტკიცა ამ დოკუმენტის სიყალბე. პაპის მიმართ მტრულად განწყობილი ნეაპოლის მეფის კარზე სამსახურის ჟამს, ვალა სხვა თხზულებებშიაც გაბედულად ესხმოდა თავს პაპობას. ამავე დროს თავის ფილოსოფიურ ტრაქტატებში, მაგალითად, თხზულებაში „ჭეშმარიტი ბედნიერების შესახებ“ („De vero bono“), იგი ილაშქრებს კათოლიკური ეკლესიის ასკეტიზმის წინააღმდეგ, აღიარებს კანონიერად და ამართლებს ხორციელ მოთხოვნილებებს და მიწიერი ცხოვრების ხორციელ სიტკბოებათ.

დამახასიათებელია ჰუმანისტთა ერთგვარი უპრინციპობისათვის ის გარემოება, რომ ვალამ შესაძლებლად სცნო, ნეაპოლის რომთან შერიგების შემდეგ, თავისი სამსახურის შეთავაზება პაპისათვის. იგი მიმართავს უკანასკნელს წერილებით, რომლებშიაც არწმუნებს მას მიიღოს იგი თავისთან სამსახურში, და, ამას იმით ასაბუთებს, რომ, თუ მან შესძლო თავისი მწერლობით პაპობისათვის ზიანის მიყენება, ახლა სურვილისამებრ და წახალისების მიხედვით, იგი შესძლებს მოუტანოს უკანასკნელს დიდი სარგებლობა. ვალამ მიაღწია თავის მიზანს, იგი მიიწვიეს რომში და გარდაიცვალა სასულიერო წოდებაში.

რომის ეკლესია და ჰუმანიზმი. ეს ეპიზოდი, სხვათა შორის, იმასაც მოწმობს, რომ რომის ეკლესია, რომელიც განიცდის იმ დროს გახრწნას, ჰუმანისტებში საშიშ მეტოქეებს არა ხედავდა, ხოლო თვით ჰუმანიზმში თავისი ბატონობისათვის — ძირის გამოთხრას. ამ პერიოდში ჰუმანისტება არამც თუ გარს ეხვევნენ პაპებს, არამედ პაპის ტახტზედაც კი ადიოდნენ. ასეთია, მაგალითად, ჰუმანისტი ტომაზო პარენტუჩელი, რომელიც ფაპა ნიკოლოზ V სახელით (1447—1455 წწ.) და რომელმაც ჩაუყარა საფუძველი ცნობილ ვატიკანის ბიბლიოთეკას. ასეთივეა ენეა-სილვიო პიკოლომინი (პაპი პიუს II)

ცნობილი ჰუმანისტი, რომელმაც მოიხვეჭა სახელი ისტორიულ-გეოგრაფიული ნასიათის შრომებით. ამ პაპებისა და მათი მემკვიდრეების ხანაში რომში თავს იყრის მთელი ჯგუფი ჰუმანისტებისა, რომელნიც პაპების დავალებით წიგნებს თარგმნიან ბერძნულიდან და ლათინურიდან და აგრეთვე სწერენ ორიგინალურ ნაწარმოებებს.

ჰუმანიზმის რომაული ცენტრი. პომპონიო ლეტი და ფლავიო ბიონდო. რომაელ ჰუმანისტთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან პომპონიო ლეტი და ფლავიო ბიონდო. პომპონიო ლეტი ფუძემდებელია რომაელ ჰუმანისტთა წრისა—აკადემიისა, რომელშიაც ისინი კითხულობდნენ თავიანთ თხზულებებს და წაკითხულის ირგვლივ აწარმოებდნენ აზრთა გაცვლა-გამოცვლას. რომაელი ჰუმანისტები გატაცებული იყვნენ წარმართული ფილოსოფიით, თავიანთი სულიერი განწყობილებითა და მსოფლმხედველობით ისინი წარმოადგენდნენ ნამდვილ წარმართებს. პაპის კუთვნილ რომში არსებული აზრის თავისუფლებისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ პომპონიო ლეტს შეეძლო ხანგრძლივად დაუსჯელად ეკამათნა სულის უკვდავების საეკლესიო დოგმის წინააღმდეგ. მხოლოდ პაპმა პავლე II (1464—1471 წწ.) ჩაამწყვდია იგი საპყრობილეში და დაშალა აკადემია.

მეორე რომაელი ჰუმანისტი, ლეტის მასწავლებელი, ფლავიო ბიონდო, ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ისტორიკოსი, რომელმაც თავის შრომებში პირველად დაჰყო ისტორია ძველ და შუა საუკუნეთა პერიოდებად. მისი „ილუსტრირებული იტალია“, „აღდგენილი რომი“ და სხვა ნაშრომები ამეღავნებენ მათი ავტორის მიერ არქეოლოგიის დიდ ცოდნას. დიდ დაუმთავრებელ შრომაში „ისტორია რომის დაცემიდან“, იგი იძლევა შუა საუკუნეების პირველ დალაგებულ ისტორიას. მაგრამ ბიონდო სწერდა შედარებით ცუდი ენით იმ ეპოქაში, როდესაც ბრწყინვალე ლათინური ენა ცოდნაზე გაცილებით უფრო მეტად ფასდებოდა, — ამიტომ იგი არ სარგებლობდა დამსახურებული სახელით.

ამ მხრივ ბიონდოს სრულ დაპირისპირებას წარმოადგენდა ჰუმანისტი ფილელფო, ნაუკეირი ადამიანი, რომელიც ადვილად სწერდა გამართულ ლათინურ ლექსებს და ამის წყალობით სარგებლობდა უდიდესი სახელით. მისი თხზულებები მოკლებული იყო მხატვრულ მნიშვნელობას, მაგრამ საინტერესოა, რომ მათი შემწეობით შეიძლო ფილელფომ ჰქონოდა დიდი შემოსავალი, რამდენიმე ეტლი, ჰყოლოდა მსახურნი და გაუჭირვებლად და ხელგაშლილად ეცხოვრნა. იგი აწარმოებდა ფულის დაცინცვლას და გამოტყუებას მთავრებისათვის და „სახელის“ სხვა მოყვარულთათვის, აძლევდა რა მათ ლექსებში „უკვდავყოფის“ დაპირებებს. ხშირად იგი უგზავნიდა ვისმე თავის თხზულებებს, თან პირდაპირ წერდა: „მე გიგზავნით თქვენ ამ ლექსს, რათა გადავცვალო ისინი ფულზეო“.

ფილელფოს პიროვნება საინტერესოა არა მარტო როგორც ისეთი ჰუმანისტის ტიპისა, რომელიც სცინცლავდა ფულს თავის მფარველებს, არამედ ერთეთვე როგორც ერთ-ერთი პირველი იმ ლიტერატორთაგანი, რომელნიც ცხოვრობდნენ მხოლოდ და მხოლოდ თავისი საკუთარი ლიტერატურული

შრომით. მოგვიანებით, XVI საუკუნეში, ეს ტიპი აღადგინა, მხოლოდ სხვა პირობებში და მთელი რიგი სხვაგვარი თავისებურებებით, პიეტრო არეტინოს — ლიტერატორმა, რომელიც წერდა პოლიტიკურ თემებზე.

იტალიური ჰუმანიზმის გავლენა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებზე. XV საუკ. დამლევიდან ჰუმანისტური განათლება იწყებს გავრცელებას იტალიიდან ევროპის სხვა ქვეყნებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საფრანგეთის მეფეთა ლაშქრობებმა იტალიაში, რომელთა წყალობით საფრანგეთის საზოგადოება გაეცნო და დაუახლოვდა იტალიურ კულტურას, და აგრეთვე ევროპიელ ლიტერატორთა და სწავლულთა განათლების მიღების მიზნით იტალიაში მოგზაურობებმა. ასე, მაგალითად, ცნობილი გერმანელი ჰუმანისტი ერაზმ როტერდამელი ბევრს უნდა უმადლოდეს ლორენტო ვალას, რომლის მოწაფედაც იყო იგი; მეორე უდიდესი გერმანელი ჰუმანისტი ულრიხ ფონ-ჰუტენი სწავლობდა პავიაში იურისპრუდენციას და ამავე დროს არ ივიწყებდა თავის წმინდა ჰუმანისტურ ინტერესებს.

წიგნის ბეჭდვის გამოგონება და ჰუმანიტარული განათლება. ახალი ბერძნული განათლების მძლავრ იარაღად იქცა წიგნის ბეჭდვა, გამოგონილი მაინცში დაახლოვებით 1440 წ. იოანე ჰუტენბერგის მიერ. ჯერ კიდევ უფრო ადრეც ცალკეული სურათების, ან პატარა-პატარა ტექსტების გასავრცელებლად მიმართავდნენ ხოლმე ეგრეთწოდებულ ქსილოგრაფიას. ხის ფიცარზე იჭრებოდა ამობურცული ასოები ან ნახატი და ამ ფიცრიდან იბეჭდებოდა წიგნის გვერდი.

ძირითადი გაუმჯობესება, შეტანილი ჰუტენბერგის მიერ, მდგომარეობდა იმაში, რომ მთლიანი ფიცრების მაგიერ, მან შემოიღო მოძრავი ასოების ხმარება. ამას გარდა, ხის ასოების ნაცვლად, მან დაიწყო ხმარება ლითონისაგან გამოდნობილი ასოებისა, და ბოლოს მან გამოიგონა წიგნის საბეჭდი დაზგა.

ეს გაუმჯობესებანი ელვის სასწრაფით გავრცელდა მთელს ევროპაში. ყველგან იწყებენ აღმოცენებას სტამბები, რომელთაც შესაძლებელი გახადეს წიგნის გამოშვება ასეულ, ხოლო ზოგჯერ ათასებულ ეგზემპლიარად. დაბეჭდილი წიგნი, ამას გარდა, გაცილებით უფრო იაფი იყო ხელნაწერზე, და ამის გამო ხელმისაწვდომი შეიქნა მკითხველთა უფრო ფართო წრისათვის.

ჰუმანისტები მალე ეუფლებიან წიგნის ბეჭდვის საქმეს. ვენეციელი ჰუმანისტი ალდო მანუცი 1490 წ. აარსებს სტამბას, რომელშიაც იბეჭდება სპეციალურად ანტიკურ ავტორთა თხზულებანი, წინასწარ კრიტიკულად შემოწმებული ფილოლოგთა მიერ. XVI საუკ. ამ სტამბის წიგნები — „ალდინები" — იხვეჭენ დიდ სახელს. იწყებენ თვით ჰუმანისტთა თხზულებების ბეჭდვასაც.

წიგნის ბეჭდვის გამოგონების გარდა, ადრინდელი რენესანსის ხანამ მოუტანა და შესძინა კაცობრიობას მთელი რიგი სხვა გამოგონებებისა და გაუმჯობესებათა (საფეიერო, საათების საწისქვილო წარმოებაში, მეტალურგიაში და სხვ.), რომელთაც, როგორც ამას აღნიშნავს ენგელსი „ბუნების დიალექტიკაში", ითამაშეს ეგნიშვნელოვანესი როლი ახალი მეცნიერების განვითარებაში. „შეიძლება ითქვას — წერს ენგელსი, — რომ საკუთრივ სისტემატური ექსპერიმენტალური მეცნიერება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ ამ დრო-

დან".[1] აღსანიშნავია აგრეთვე ამ ეპოქაში გეოგრაფიული რუკის კომპასისა და გეომომშენებლობის საქმეში სხვა გაუმჯობესებათა გაჩენა, რომელთაც წარმოშვეს აუცილებელი ტექნიკური წინასწარი პირობები დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისათვის.

ამგვარად, უკვე ადრინდელი რენესანსის პერიოდმა შეამზადა საფუძველი საეკლესიო-ფეოდალური მსოფლმხედველობისა და სქოლასტიკური ყალბიმეცნიერების დამხობისა. შუასაუკუნოებრივი წყვდიადი იწყებს მიმოფანტვას. მაგრამ უუმნიშვნელოვანეს წარმატებებს ამ მხრივ მიაღწიეს მხოლოდ შემდგომი ორი საუკუნის განმავლობაში. სწორედ ამ პერიოდს შეეხება უმთავრესად ბრწყინვალე დახასიათება მიცემული რენესანსისათვის ენგელსის მიერ.[2]

ლიტერატურა

I. მარქსიზმის კლასიკოსები. ენგელსი, „ანტი-დიურინგი", 1933. — Энгельс. Диалектика природы, Соч., т. XIV.

II. წყაროები. Хрестоматия по истории средних веков, под ред. Грацианского и Сказкина, т. II, ч. I, 1938, стр. 282—294. — Петрарка, Автобиография. Исповедь. Сонеты. М. 1915. — ჯოვანი ბოკაჩო, „დეკამერონი", თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. ნაწ. I, 1934. ნაწ. II, 1936. აგრ. შემოკლ. გამოც. 1928 და 1929 წწ. Боккачио, Фьяметта. Спб. 1913. — Боккачио, Фьезоланские нимфы, 1934. — Поджо Браччолини, Фацетии, 1934. — Новеллы итальянского Возрождения, 3. т. М. 1912—1914. — Хрестоматия по западноевропейской литературе. Эпоха Возрождения, сост. Пуришев, М. 1938, стр. 9—84.

III. გამოკვლევები. დამხმარე წიგნები. Дживелегов, Начало итальянского Возрождения, М. 1908 — Фойгт, Возрождение классической древности, 2 т., М. 1884—1885. — Буркхардт, Культура Италии, 2 т., 1905—1906. — Монье, Кватроченто, 1904. — Фриккен, Итальянское искусство в эпоху Возрождения, т. I, М. 1891. — Зайчик, Люди и искусство итальянского Возрождения, Спб. 1906. — Корелин, Очерки итальянского Возрождения, 1910. — Виллари, Николо Макиавелли и его время. М. 1914. — Виллари, Савонарола и его время, 2 т., 1913. — Ольшки, История научной литературы на новых языках, т. 1—2, М. 1934. — Книга для чтения по истории средних веков, под ред. Виноградова, разн. изд., т. IV, ст. 77, 78, 81, 85.

---

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. XII, стр. 439.

[2] იხ. ტომი II თავი: „მეცნიერება და ტექნიკა" XV—XVII საუკუნეებში. „ახალი მსოფლმხედველობა".

ქრონოლოგიური ცხრილი[1]

I საუკ. ჩვ. წ. ალრიცხვამდე	58—52	— იულიუს ცეზარის ომები გალიაში, ბრიტანეთში და გერმანიაში.
I საუკ. ჩვ. წ. ალრიცხვისა	9	— ვარის დამარცხება ტევტობურგის ტყეში.
	დაახ. 98	— ტაციტის „გერმანია“.
II საუკ.	165—180	— მარკომანების ომი.
III საუკ.	285	— ბაგაუდთა ამბოხების ჩაქრობა გალიაში.
IV საუკ.	332	— კონსტანტინეს ბრძანებულება კოლონების მიწაზე მიმაგრების შესახებ.
	376	— ჰუნების შემოსევა. ოსტგუთების ტომობრივი კავშირის განადგურება და ვესტგუთების გადახიზვნა დუნაის გაღმა.
	378 აგვისტოს 9	— ბრძოლა ადრიანოპოლთან.
	378—395	— იმპერატორი თეოდორე.
	395	— რომის იმპერიის გაყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად.
V საუკ.	404—405	— რადაგაისის შემოსევა იტალიაში.
	406—407	— ვანდალთა, ალანთა და სვევთა შემოსევა გალიასი და ესპანეთში და ბრიტანეთიდან რომაული ლეგიონების გამოყვანა.
	408	— სტილიხონის სიკვდილით დასჯა. რომის პირველი გარემოცვა ალარიხის მიერ.
	410 აგვისტოს 24	— რომის აღება ალარიხის მიერ.
	419—711	— ვესტგუთთა სახელმწიფო.
	429—534	— ვანდალთა სახელმწიფო აფრიკაში.
	443	— ბურგუნდთა დასახლება საბაუდიაში (საფოიში).
	451	— ბრძოლა კატალაუნის ველებზე (ტროუას მახლობლად).
	455 ივნისი	— რომის აღება და აკლება ვანდალთა მიერ.
	476	— დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა. ოდოაკრის სახელმწიფო იტალიაში.
	481—511	— ხლოდვიგი.
	486	— ბრძოლა სუასონთან. სიაგრიის სამფლობელოს დაპ-

[1] შავი შრიფტით აღნიშნულია უმნიშვნელოვანესი თარიღები. დანარჩენნი, დაბეჭდილნი ჩვეულებრივი შრიფტით, მოცემულია არიან ცნობებისათვის.

ურობა ფრანკთა მიერ.

	493—534	— ოსტგუთთა სახელმწიფო იტალიაში.
	496	— ხლოდოვეხის ფრანკთა მიერ კათოლიკობის მიღება.
V საუკ. დამლევი—VI საუკ. დამდეგი		— სალიკური სამართალი.
VI საუკ.	507	— პუატიესთან ბრძოლა. ფრანკთა მიერ გალიის ვესტ-გუთური ნაწილის დაპყრობა.
	527—565	— იმპერატორი იუსტინიანე I.
	529—534	— იუსტინიანეს კოდექსი.
	532	— ამბოხება „ნიკა".
	533—534	— ბიზანტიის მიერ ვანდალთა სახელმწიფოს დაპყრობა.
	534	— ბურგუნდიის დაპყრობა ფრანკთა მიერ.
	535—554	— ბიზანტიის ომი ოსტგუთებთან და ოსტგუთთა სახელმწიფოს დაცემა.
	568	— ლანგობარდთა მიერ იტალიის ჩრდილოეთი ნაწილის დაპყრობა.
VIII საუკ.	610—641	— იმპერატორი ჰერაკლე.
	614	— ხლოტარი II პარიზის ედიქტი.
	622 სექტემბრის 20	— მუჰამედის (მაჰმადის) გაქცევა მექადან მედინაში (ჰეჯრა).
	622—628	— ბოჰემური ტომთა კავშირი. სამო.
	630	— მექას დანებება მუსლიმანთადმი.
	632	— მუჰამედის (მაჰმადის) სიკვდილი.
	632—634	— ხალიფა აბუ-ბექრი.
	634—644	— ხალიფა ომარი. სირიის, ეგვიპტის, დასავლეთ ირანის დაპყრობა.
	656—661	— ხალიფა ალი.
	661—750	— ომაიადთა დამასკოს სახალიფო.
	661—679	— ხალიფა მუავია.
	679	— ბულგართა სახელმწიფოს წარმოშობა.
VIII საუკ.	711—714	— არაბთა მიერ ესპანეთის დაპყრობა.
	715—741	— კარლოს მარტელი.
	717—741	— იმპერატორი ლეონ III ისავრიელი.
	732	— ფრანკთა გამარჯვება არაბებზე პუატიესთან.
	741—768	— პიპინ მოკლე.
	741—775	იმპერატორი კონსტანტინე V კოპრონიმი.
	750—1258	— აბასიდთა ბაღდადის სახალიფო.
	751	— პიპინ მოკლეს მიერ სამეფო ტიტულის მიღება.
	754—775	— ხალიფა მანსური.
	755—756	— პიპინ მოკლეს ლაშქრობანი იტალიაში. პაპის ოლქის დაარსება.
	756	— კორდოვას საემიროს გამოყოფა.
	768—814	— კარლოს დიდი.
	772—804	— კარლოს დიდის ომები საქსებთან.

774	— კარლოს დიდის მიერ ლანგობარდთა იტალიის დაპყრობა.
778	— კარლოს დიდის გალაშქრება ესპანეთში. ბრძოლა რონსევალის ხეობაში.
786—809	— ხალიფა ჰარუნ-არ-რაშიდი.
IX საუკ. 800 დეკემბრის 25	— კარლოს დიდის იმპერატორად კურთხევა.
814—840	— ლუდოვიკო კეთილმსახური (ღვთისნიერი).
815—837	— ბაბეკის აჯანყება აზერბაიჯანში.
821—823	— თომა სლავის აჯანყება მცირე აზიაში.
841—842	— ამბოხება „სტელინგთა“ საქსონიაში.
843	— ვერდენის ხელშეკრულება. კაროლინგთა იმპერიის დანაწილება.
843	— მართლმადიდებლობისა და ხატების თაყვანისცემის აღდგენა ბიზანტიაში.
852—888	— ბორისი, მეფე ბულგართა.
867—1057	— ბიზანტიის იმპერატორთა მაკედონური დინასტია.
869—883	— ზინჯიების ამბოხება ერაყში.
871—900	— ალფრედ დიდი.
879	— ალფრედის ხელშეკრულება გუტრუმთან.
892—927	— სიმეონი, მეფე ბულგართა.
IX საუკ. დამლევი	— უნგრების გაჩენა პანონიაში.
XI საუკ. დამლევი	— ჩეხიის სახელმწიფოს წარმოშობა.
X საუკ. 904—906	— დიდი მორავიის დაცემა.
911	— ნორმანდიის საჰერცოგოს წარმოშობა.
911	— კაროლინგთა დინასტიის მოსპობა გერმანიაში.
911	— ოლეგის ხელშეკრულება ბიზანტიასთან.
919—1024	— საქსონიის სამეფო (შემდგომში საიმპერატორო) დინასტია გერმანიაში.
919—936	— ჰენრიხ I ბაზიერი (ფრინველთმჭერი).
929	— კორდოვაში სახალიფოს გამოცხადება აბდარახმან III მიერ.
936—973	— ოტონ I.
941	— იგორის ხელშეკრულება ბიზანტიასთან.
955 აგვისტოს 10	— ოტონ I გამარჯვება უნგრებზე ლეხთან.
962 თებერვლის 2	— ოტონ I კურთხევა რომის საღვთო იმპერიის იმპერატორად.
963—969	— ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე ფოკა.
967—971	— სვიატოსლავის ლაშქრობანი ბულგარეთში და ბიზანტიაზე.
969	— ფატიმიდთა სახელმწიფოს წარმოშობა ეგვიპტეში.
969—976	— იოანე ციმისხი, ბიზანტიის იმპერატორი.
976—1025	— ბასილი II ბულგართა შემმუსრავი, ბიზანტიის იმპერატორი.

	983	— ლაბისპირის სლავების აჯანყება.
	987	— კაროლინგთა დინასტიის მოსპობა საფრანგეთში.
	987—1328	— კაპეტინგები.
	987—996	— ჰუგო კაპეტი.
	988	— რუსეთის ქრისტიანობაზე მოქცევა.
	992—1025	— ბოლესლავ I გულადი, პოლონეთის მეფე.
	997—1038	— სტეფანე, პირველი მეფე უნგრეთისა. უნგრეთის გაქრისტიანება.
XI საუკ.	1017—1035	— კანუტ დიდი, მეფე ინგლისისა, დანიისა და ნორვეგიისა.
	1018	— ბულგართა პირველი სამეფოს დაცემა.
	1024—1125	— ფრანკონული (სალიკური) დინასტია გერმანიაში.
	1029	— მორავიის შეერთება ჩეხიასთან.
	1032	— ბურგუნდიის შესელა იმპერიის შემადგენლობაში.
	1039—1056	— იმპერატორი ჰენრიხ III შავი.
	1042—1066	— ედუარდ აღმსარებელი.
	1054	— ქრისტიანული ეკლესიის საბოლოო გაყოფა კათოლიკურად და მართლმადიდებლურად.
	1055	— ბაღდადის აღება სელჯუკთა მიერ.
	1050—1106	— იმპერატორი ჰენრიხ IV.
1066	ოქტომბრის 14	— ბრძოლა ჰასტინგთან. ინგლისის დაპყრობა ნორმანდიელების მიერ.
	1066—1154	— ნორმანდული დინასტია ინგლისში.
	1066—1087	— ვილჰელმ I დამპყრობელი.
1071	აგვისტო	— სელჯუკთა გამარჯვება ბიზანტიაზე მანციკერტთან.
	1073—1085	— პაპი გრიგოლ VII (ჰილდებრანდი)
	1074	— გლეხთა ამბოხება საქსონიაში.
1076	იანვარი	— ვორმსის საეკლესიო კრება.
1076	ოქტომბერი	— ტრიბერის სეიმი.
1077	იანვრის 25—29	— შეხვედრა კანოსაში.
	1077	— კომუნის დაარსება კამბრეში.
	1079—1142	— აბელარი.
	1081—1118	— ალექსი I კომნენი.
1085	მაისის 25	— ტოლედოს დაპყრობა კასტილიის მიერ.
	1086	— „საშინელი სამსჯავროს წიგნი".
	1095	— კლერმონის საეკლესიო კრება.
	1096—1270	— ჯვაროსნული ლაშქრობანი.
	1096—1099	— პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა.
XII საუკ.	1100—1135	— ჰენრიხ I, მეფე ინგლისისა.
	1108—1137	— ლუდოკიკ VI სქელი.
1122	სექტემბრის 23	— ვორმსის კონკორდატი.
	1123	— სამხრეთ იტალიის ნორმანდთა სახელმწიფოების გაერთიანება ორიკე სიცილიის სამეფოდ.

1135—1154	ეფემალური მინა-ომები ინგლისში. სტეფანის და მატილდის ურთიერთობა.
1137—1180	ლუდოვიკ VII.
1138—1254	— ჰოჰენშტაუფენთა დინასტია საიმპერატორო ტახტზე.
1139	— პორტუგალიის სამეფოს დაარსება.
1144 დეკემბერი	— ედესის დაცემა.
1147—1149	— მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა.
1152—1190	— ფრიდრიხ I ბარბაროსა.
1154—1800	— ანჟუელთა (პლანტაგენეტთა) დინასტია ინგლისის სამეფო ტახტზე.
1154—1189	— ჰენრიხ II, მეფე ინგლისისა.
1155 ივნისის 18	არნოლდ ბრეშიელის სიკვდილით დასჯა.
1157—1182	— ვალდემარ I დანიელი.
1158 ნოემბერი	— რონკალის სეიმი.
1162	— მილანის დანგრევა.
1164	— კლარენდონის კონსტიტუციები.
1167	— ლომბარდიის ლიგის დაარსება.
1170 დეკემბრის 29	— თომა ბეკეტის მკვლელობა.
1176 მაისის 29	— ბრძოლა ლენიანოსთან.
1180—1223	— ფილიპე II ავგუსტუსი.
1183	— კონსტანცას ზავი.
1184	— ბირკენბაინერთა ამბოხების გამარჯვება ნორვეგიაში.
1186	— ბულგარეთის დამოუკიდებლობის აღდგენა (ბულგართა მეორე სამეფო).
1187 ოქტომბრის 3	— იერუსალიმის აღება სალადინის მიერ.
1189—1199	— რიჩარდ I ლომგული.
1189—1196	— მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა.
1190—1197	— იმპერატორი ჰენრიხ VI.
1194—1266	— ჰოჰენშტაუფენთა დინასტია ორივე სიცილიის სამეფოში.
1198—1216	— პაპი ინოკენტი III.
1199—1216	— იოანე უმიწაწყლო.
XIII საუკ. 1201	— რიგის დაარსება.
1202—1241	— ვალდემარ II დანიელი.
1202—1204	— მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა.
1204 აპრილის 12	— ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინეპოლის აღება და დარბევა.
1204—1261	— ლათინთა იმპერია.
1204—1206	— ფილიპე II ავგუსტუსის მიერ ნორმანდიის, მენის, ანჟუსი, ტურენისა და პუატუს ნაწილის შეერთება საფრანგეთის მეფის სამფლობელოებისათვის.
1205	— ბულგართა მეფე კალოიანის გამარჯვება ჯვაროსნებზე.

1209 — ფრანცისკანთა ორდენის დაარსება.

1200—1216 — ალბიგოური ომები.

1212 ივლისის 16 — კასტილიის, არაგონის, პორტუგალიისა და ნავარას გაერთიანებულ ძალთა გამარჯვება მავრებზე ლას ნავას დე ტოლოსასთან.

1212—1250 — ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი.

1212 — ფრიდრიხ II მიერ პრივილეგიების ბოძება ჩეხიის მეფეთათვის (Fridericiana).

1213 — იოანე უმიწაწყლოს მიერ თავის ვასალური დამოკიდებულების აღიარება პაპის მიმართ.

1214 ივლისის 2 — ფრანგთა გამარჯვება ინგლისელებზე ლაროშ-ო-მუანთან.

1214 ივლისის 27 — ფილიპე II ავგუსტუსის გამარჯვება იმპერატორ ოტონ IV ბუვენიესთან.

1215—1294 — როჯერ ბეკონი.

1215 ივნისის 15 — თავისუფლებათა დიდი ქარტია.

1216—1272 — ჰენრიხ III, მეფე ინგლისისა.

1216 — დომინიკანთა ორდენის დაარსება.

1217—1221 — მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა.

1222 — უნგრეთის მეფე ანდრია II „ოქროს ბულა".

1225—1274 — თომა აკვინელი.

1226—1270 — ლუი IX წმინდანი.

1228—1229 — ფრიდრიხ II ჯვაროსნული ლაშქრობა (მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობა).

1229 — ლანგედოკის შეერთება საფრანგეთის მეფის სამფლობელოებთან.

1231 — ტევტონური ორდენი პრუსიაში.

1231 — „სიცილიის სამეფოს კონსტიტუცია".

1235 — მერტონის სტატუტი შემოღობვათა შესახებ.

1236 — კასტილიის მიერ კორდოვას დაპყრობა.

1237 — ტევტონური და მახვილოსანთა ორდენების გაერთიანება.

1240 ივლისის 15 — ნოვგოროდელთა გამარჯვება მათი თავადი ალექსანდრეს მეთაურობით შვედებზე.

1241 — ბათუს ლაშქრობა დასავლეთ უვროპაში.

1242 აპრილის 5 — „ყინულზე ბრძოლა", ალექსანდრე ნეველის გამარჯვება ტევტონელ რაინდებზე ჩუდის ტბის ყინულზე.

1243—1254 — პაპი ინოკენტი IV.

1248—1254 — მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობა.

1253—1278 — პშემისლ II, მეფე ჩეხიისა.

1254—1273 — უმეფობის ხანა იმპერიაში.

1258 — ოქსფორდის პროვიზიები.

1258 — ბაღდადის აღება მონღოლთა მიერ.

1261 — ბიზანტიის იმპერიის აღდგენა.

1264 მაისის 14 — სიმონ მონფორის გამარჯვება პეფის ჯარებზე ლუისთან.

1265 — ინგლისის პარლამენტის დასაწყისი.

1265 აგვისტოს 4 — მონფორის დამარცხება და დაღუპვა ევზეშთან.

1265—1321 — დანტე.

1266 თებერვლის 26 — ბრძოლა ბენევენტთან. სამხრეთ იტალიის დაპყრობა კარლოს ანჟუელის მიერ.

1266—1442 — ანჟუელთა დინასტია სამხრეთ იტალიაში.

1268 აგვისტოს 23 — ბრძოლა ტალაკოცოსთან და უკანასკნელი ჰოჰენშტაუფენის დაღუპვა.

1270 — მერვე ჯვაროსნული ლაშქრობა.

1272—1307 — ედუარდ I.

1273—1291 — რუდოლფ I ჰაბსბურგი.

1273 — მესტას აღმოცენება კასტილიაში.

1276—1278 — პშემისლ II მიერ ჩეხია-ავსტრიის სახელმწიფოს განადგურება. რუდოლფ I ჰაბსბურგის მიერ ავსტრიის, შტირიის, კარინტიის და კრაინას დაპყრობა.

1277—1447 — ვისკონტის ტირანია მილანში.

1279 — ედუარდ I სტატუტი „მკვდარი ხელის შესახებ“.

1282 მარტის 30 — „სიცილიური მწუხრი“.

1282 — ინგლისელთა მიერ უელსის დაპყრობა.

1282 — სახალხო კრების დაარსება დანიაში (Danehof).

1285—1314 — ფილიპე IV ლამაზი.

1285 — ვესტმინსტერის სტატუტი შემოღობვათა შესახებ.

1291 — აკრას დაცემა. ჯვაროსანთა უკანასკნელი სამფლობელოების დაკარგვა აღმოსავლეთში.

1291 — შვეიცარიის კავშირის დასაწყისი.

1293 — „სამართლიანობის წესდებები“ ფლორენციაში.

1294—1303 — პაპი ბონიფაციო VIII.

1296 — გენუას გამარჯვება ვენეციაზე კურეოლასთან

1297 — ედუარდ I სტატუტი „გადასახადთა ნებადაურთველობის შესახებ“.

XIV საუკ. 1302 — დანტეს განდევნა ფლორენციიდან.

1302 — სიცილიის შეერთება არაგონთან.

1302 აპრილის 8 — გენერალური შტატების პირველი მოწვევა საფრანგეთში.

1302 მაისის 18 — „ბრიუგეს ცისკარი“.

1302 ივლისის 11 — ფლანდრიის ქალაქების საომარ ლაშქრის გამარჯვება ფრანგ რაინდებზე კურტრესთან („დვზების ბრძოლა“).

— ედუარდ I სავაჭრო ქარტია.

1302—1307	— დოლჩინოს ამბოხება ლომბარდიაში.
1304—1374	პეტრარკა.
1307—1312	ტამპლიერთა ორდენის მოსპობა.
1308—1378	— პაპების „ავინიონის ტყვეობა“.
1310—1437	— ლუქსემბურგთა დინასტია ჩეხიაში.
1310—1382	— ანეუელთა დინასტია უნგრეთში.
1310—1313	— იმპერატორის ჰენრიხ VII ლაშქრობა იტალიაში.
1313—1375	— ბოკაჩიო.
1315 ნოემბრის 15	— შვეიცარიელთა გამარჯვება მორგარტენთან ჰაბსბურგთა ჯარებზე. შვეიცარიული კავშირის დამოუკიდებლობის დასაწყისი.
1315	— ლუდოვიკ X ორდონანსი გლეხების მიერ თავის გამოსყიდვის შესახებ.
1320—1323	— ფლანდრიის გლეხებისა და ქალაქების ამბოხება.
1324	— სარდინიის შეერთება არაგონთან.
1326	— ბრუსას აღება თურქების მიერ.
1327—1377	— ედუარდ III.
1328—1589	— ვალუას დინასტია საფრანგეთში.
1328	— ამბოხებულ ფლანდრიელ მოქალაქეთა დამარცხება კასელთან.
1330	— სერბების გამარჯვება ბულგარებზე ველბუჟთან.
1331—1355	— სტეფანე დუშანი, მეფე სერბიისა.
1333—1370	— კაზიმირ III, მეფე პოლონეთისა.
1337—1453	— ასწლიანი ომი ინგლისსა და საფრანგეთს შორის.
1340 ივლისის 24	— ინგლისური ფლოტის გამარჯვება სლეისთან (ეკლუზთან).
1340—1375	— ვალდემარ IV ატერდაგი, მეფე დანიისა.
1343	— დოფინეს შეერთება საფრანგეთთან.
1346—1378	— იმპერატორი კარლოს IV.
1346 აგვისტოს 25	— ინგლისელთა გამარჯვება კრესისთან.
1347 აგვისტოს 4	— ინგლისელების მიერ კალეს აღება.
1347 და 1354	— რომის რესპუბლიკა.
1348	— პრაგის უნივერსიტეტის დაარსება.
1348—1350	— „შავი სიკვდილი“ ევროპაში.
1349—1361	— ედუარდ III „მუშათა კანონმდებლობა“
1349	— სტეფანე დუშანის კანონდება.
1350	— კარლოს IV „ოქროს ბულა“.
1356	— თურქთა დაპყრობების დასაწყისი ევროპაში.
1356 სექტემბრის 19	— ინგლისელთა გამარჯვება პუატიესთან.
1356—1358	— პარიზის აჯანყება ეტიენ მარსელის მეთაურობით.
1358 მაისი—ივნისი	— ჟაკერია.
1359—1389	— თურქეთის სულთანი მურად I.
1360 მაისის 8	— ზავი ინგლისსა და საფრანგეთს შორის ბრეტანიში.

1360	— თურქების მიერ ადრიანოპოლის აღება.
1363	— ბურგუნდიის გამოყოფა საფრანგეთის სამეფო დომენისაგან.
1364—1380	— კარლოს V, მეფე საფრანგეთისა.
1367—1870	— ჰანზის ომი დანიასთან. შტრალზუნდის ზავი.
1369	— ინგლისის პირველი „სანავიგაციო აქტი“.
1374	— პოლონეთის მეფე ლუდოვიკო კოშიცის პრივილეგია
1377—1399	— რიჩარდ II.
1378 ივლისი-აგვისტო	— ჩიომპის აჯანყება ფლორენციაში.
1378—1417	— „დიდი გათიშვა“ (სქიზმა) კათოლიკურ ეკლესიაში.
1380	— ვენეციის გამარჯვება გენუაზე კიოჯთან.
1381 მაისი-ივნისი	— უოტ ტაილერის აჯანყება.
1382	— „ულოთა“ აჯანყება პარიზში.
1385—1386	— უნიის შეკვრა პოლონეთსა და ლიტვას შორის.
1386—1572	— იაგელონთა დინასტია პოლონეთში.
1389 ივლისის 28	— ბრძოლა კოსოვის ველზე.
1396 სექტემბრის 28	— თურქების გამარჯვება ჯკაროსნებზე ნიკოპოლთან.
1397	— კალმარის უნია დანიისა, ნორვეგიისა და შვეციისა.
1399—1461	— ლანკასტერთა დინასტია ინგლისში.
1399—1413	— ჰენრიხ IV, მეფე ინგლისისა.
XV საუკ. 1402 ივლისის 20	— ბაიაზიდ I დამარცხება თემურის მიერ ანკარასთან.
1410 ივლისის 15	— ტევტონური ორდენის განადგურება გრიუნვალდთან. (ტანანბერგთან) პოლონელთა, ლიტველთა და რუსთა გაერთიანებული ძალების მიერ.
1411—1437	— იმპერატორი სიგიზმუნდი.
1418	— კაბოშის აჯანყება პარიზში.
1413—1422	— ჰენრიხ V, მეფე ინგლისისა. საფრანგეთთან ომის განახლება.
1414—1418	— კონსტანცის საეკლესიო კრება.
1415 ივლისის 6	— იან ჰუსის დაწვა.
1415 ოქტომბრის 25	— ინგლისელების გამარჯვება ფრანგებზე აზინკურთან.
1419—1434	— ჰუსიტური ომები.
1422—1461	— კარლოს VII, მეფე საფრანგეთისა.
1428—1429	— ორლეანის გარემოცვა ინგლისელების მიერ. ჟანა დარკი.
1431 მაისის 30	— ჟანა დარკის სიკვდილით დასჯა.
1431—1447	— ბაზელის საეკლესიო კრება.
1433 ნოემბრის 30	— პრაგის კომპაქტატები.
1434 მაისის 30	— ტაბორიტების დამარცხება ლიპანთან.
1434	— მედიჩის ტირანიის დამყარება ფლორენციაში.
1434—1436	— გლეხთა ამბოხება შვეციაში ენგელბრეკტ ენგელბრეკტონის მეთაურობით.

1439 იგლისის 6	— კათოლიკური და ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკ-ლესიის ფლორენციული უნია.
1442	— ნეაპოლის დაპყრობა არაგონის მიერ.
1444 ნოემბრის 10	— ჯვაროსანთა განადგურება ვარნასთან თურქების მიერ.
1447—1492	— კაზიმირ IV იაგელონჩიკი.
1450	— ჯეკ კედის აჯანყება.
1450	— სფორცას ტირანიის დამყარება მილანში.
დაახ. 1450	— წიგნის ბეჭდვის გამოგონება იოანე ჰუტენბერგის მიერ.
1451—1481	— თურქეთის სულთანი მუჰამედ II.
1453 მაისის 29	— კონსტანტინეპოლის აღება თურქების მიერ. ბიზანტიის იმპერიის დაცემა.
1454	— კაზიმირ IV იაგელონჩიკის ნეშავას სტატუტები.
1455—1485	— ალისფერი და თეთრი ეკრდების ომი.
1458—1490	— უნგრეთის მეფე მათე კორვინი.
1461—1483	— ლუდოვიკ XI.
1461	— ტრაპიზონის აღება თურქების მიერ.
1461—1485	— იორკთა დინასტია ინგლისში.
1461—1483	— ედუარდ IV.
1462—1472	— გლეხთა ამბოხებანი კატალონიაში და ბალეარის კუნ-ძულებზე.
1466	— ტორუნის ზავი. ტევტონური ორდენის მოქცევა პო-ლონეთის ვასალურ დამოკიდებულებაში.
1469—1492	— ლორენცო მედიჩი მშვენიერი.
1470—1503	— სტენ სტიურეს რეგენტობა შვეციაში.
1477 იანვრის 5	— კარლოს თამამის დამარცხება და დაღუპვა ნანსისთან. ბურგუნდიის მიწა-წყლის განაწილება საფრანგეთსა და ჰამბურგთა შორის.
1479	— არაგონისა და კასტილიის გაერთიანება ფერდინან-დისა და იზაბელას ძალაუფლების ქვეშ.
1480	— კასტილიის ქალაქების „წმინდა ჰერმანდადას" დაარ-სება.
1480	— ინკვიზიციის დაარსება ესპანეთში.
1483—1485	— რიჩარდ III.
1483—1498	— კარლოს VIII, მეფე საფრანგეთისა.
1484	— გენერალური შტატები ტურში.
1484—1486	— გლეხთა ამბოხება კატალონიაში. „ცუდი ადათების" გაუქმება.
1485 აგვისტოს 22	— ჰენრიხ ტიუდორის გამარჯვება რიჩარდ III ბოს-ვორტთან.
1485—1603	— ტიუდორთა დინასტია ინგლისში.
1485—1509	— ჰენრიხ VII ტიუდორი.
1492	— გრანადას დაპყრობა ესპანეთის მიერ. რეკონკისტას დამთავრება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

83

წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის

შესავალი

ნაწილი I. ადრინდელი შუა საუკუნეები

თავი I. ფეოდალური წყობილების კრიზისი და ფეოდალურ ურთიერთობათა ჩანასახები რომის იმპერიაში IV—V სს. გვ. 13.

თავი II. ძველი კელტები, გერმანელები და სლავები . 25
1. ძველი კელტები . . 25
2. ძველი გერმანელები 31
3. ძველი სლავები 47

თავი III. ბარბაროსული დაპყრობანი და მონების რევოლუცია ბარბაროსთა სახელმწიფოების წარმოქმნა რომის იმპერიის ტერიტორიაზე . . . 54
1. გერმანელ ტომთა ეკონომიური განვითარება II — III საუკუნეებში . . 54
2. შავიზღვისპირეთი ჩვენი წელთაღრ. II — IV საუკუნეებში გუთები და ჰუნები. 56
3. ვესტგუთები ბალკანეთში და მათ მიერ სახელმწიფოს შექმნა გალიასა და ესპანეთში. 58
4. ვანდალები, ალანები. და სვევები ესპანეთში. ალან-ვანდალთა სამეფო ჩრდილოეთ აფრიკაში 64
5. ჰუნების ტომობრივი კავშირი პანონიაში 66
6. ბურგუნდთა სამეფოს დაარსება . . . 68
7. ოსტგუთთა სამეფო იტალიაში . 70
8. ლანგობარდთა სამეფო იტალიაში. 75

თავი IV. მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფო. . . 79

თავი V. კაროლინგების ფრანკთა სახელმწიფო 96
1. კაროლინგების ფრანკთა მონარქიის წარმოქმნა . . . 96
2. კაროლინგების მონარქიის ფეოდალური ორგანიზაცია. 109
3. კაროლინგთა იმპერიის დაშლა . . 124

თავი VI. ინგლისი და სკანდინავია ადრეულ შუა საუკუნეებში. 129
1. ინგლისი ანგლო-საქსურ ეპოქაში 129
2. სკანდინავია ადრეულ შუა საუკუნეებში 141

თავი VII. გერმანია, იტალია და პაპობა IX — XI საუკუნეებში . . . 148

თავი VIII. დასავლეთის სლავები VII — XI სს. 158

თავი IX. ფეოდალური საზოგადოება დასავლეთში X — XI საუკუნეებში 167

თავი X. დასავლეთ ევროპის კულტურა ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში (V — X საუკუნეებში) 182

თავი XI. VI — XI სს. ბიზანტია და სამხრეთის სლავები . 202

თავი XII. არაბები (VI — XI სს.) 230

ნაწილი II. დასავლეთი ევროპა XI — XV საუკუნეებში

		გვ.
თავი XIII.	დასავლეთ ევროპის ეკონომიური განვითარება XI საუკუნის დამლევისათვის.	250
თავი XIV.	ფეოდალური ევროპის ქალაქების განვითარება XI — XV საუკუნეებში .	258
თავი XV.	პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა .	282
თავი XVI.	შემდგომი ჯვაროსნული ლაშქრობანი .	295
თავი XVII.	იმპერია და პაპობა XI — XIII საუკუნეებში	305
თავი XVIII.	საფრანგეთი XI — XIII საუკუნეებში .	325
თავი XIX.	გენერალური შტატები. ეტიენ მარსელის აჯანყება და უაკერია	339
თავი XX.	საფრანგეთი XIV — XV საუკუნეებში .	356
თავი XXI.	ინგლისი XI — XII საუკუნეებში.	367
თავი XXII.	თავისუფლებათა დიდი ქარტია. და პარლამენტის დასაწყისი	380
თავი XXIII.	უოტ ტაილერის აჯანყება. ლანკასტერები და იორკები.	392
თავი XXIV.	გერმანია XIII — XV საუკუნეებში. აღმოსავლეთით მდებარე მიწების დაპყრობა და კოლონიზაცია.	412
თავი XXV.	იტალია და პაპობა XIII — XV საუკუნეებში	430
თავი XXVI.	ესპანეთი და პორტუგალია XI — XV საუკუნეებში .	448
თავი XXVII.	სკანდინავიის ქვეყნები XI — XV საუკუნეებში . .	459
	1. დანია	459
	2. შვეცია	466
	3. ნორვეგია	470
თავი XXVIII.	ჩეხია XI — XV საუკუნეებში . .	474
თავი XXIX.	პოლონეთი X — XV საუკუნეებში . .	490
თავი XXX.	უნგრეთი და ბალკანეთის ქვეყნები XI—XV საუკ.	506
	1. უნგრეთი XI — XV საუკ.	506
	2. ბიზანტია, ბულგარეთი და სერბეთი XI — XV საუკუნეებში	513
თავი XXXI.	ეკლესია და მწვალებლობანი XI — XIV საუკუნეებში .	524
თავი XXXII.	დასავლეთ ევროპის კულტურა XI — XV საუკუნეებში	539
თავი XXXIII.	ადრინდელი აღორძინება იტალიაში (XIV — XV საუკუნეები)	561
ქრონოლოგიური ცხრილი		575